საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში

სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა

კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა,
შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო **მარინა ალექსიძემ**

რედაქტორი **გრიგოლ ბერაძე**

გამომცემლობა **არტანუჯი**
თბილისი 2016

წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

All ideas expressed herewith are those of author and may nor represent the opinion of the Foundation itself.

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

ნესტან ბაგაური, ეთერ ბაიდოშვილი, ირმა ბერიძე,
შალვა გლოველი, ლევან თაქთაქიშვილი, ნინო მიწიშვილი,
ნიკოლოზ ჟღენტი, გოჩა საითიძე, თეა ქართველიშვილი,
მაია შაორშაძე, ნათია ხიზანიშვილი, თემო ჯოჯუა

წიგნი დაიბეჭდა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის
საელჩოს კულტურის განყოფილების მხარდაჭერით

ISSN 1512-4452

ISBN 978-9941-463-18-1

© გამომცემლობა არტანუჯი, 2016.

© მარინა ალექსიძე, 2016.

ვუძღვნი
ჩემი მშობლების
მერაბ და ეთერ ალექსიძეების
ხსოვნას

სარჩევი

წინასიტყვაობა 13

შესავალი: საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში 16

ტექსტები:

1. მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩის რუსეთში მოგზაურობის წიგნი (1814) 52
2. მირზა სალეჰ შირაზი, მოგზაურობის წიგნი (1815) 88
3. ხოსროვ მირზას პეტერბურგში მოგზაურობის წიგნი (1829) 93
4. სეიფ ალ-მოლქის რუსეთში მოგზაურობის წიგნი (1855-56) 102
5. ჰაჯ საიიაჰის ევროპაში მოგზაურობის წიგნი (1859) 118
6. მირზა ხანლარ ხან ე'თესამ ალ-მოლქის მოგზაურობის წიგნი (1863) 150
7. სეიფ ად-დოულე სოლთან მოჰამადი, სეიფის მოგზაურობის წიგნი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1863) 156
8. იაყუბ მირზა თაბრიზი, მანსურის ჰაჯი (1868) 172
9. მირზა მოჰამად თაყი თაბიბ ქაშანი, თბილისში მოგზაურობა (1871) 199
10. ნასერ ად-დინ შაჰის ევროპაში მოგზაურობების მოგონებების დღიურები (1873, 1878, 1889) 209
11. სანი' ად-დოულე მოჰამად ჰასან ხან ე'თემად ას-სალთანეს მოგზაურობის წიგნი, თბილისიდან თეირანამდე (1873) 244
12. ე'თემად ას-სალთანეს მოგონებების დღიური (1889) 252
13. ფარჰად მირზას მოგზაურობის წიგნი (1875-76) 256
14. პრინც არფა'ს მოგონებები (1876-94) 299
15. მომთაჰენ ად-დოულეს მოგონებები (1878) 341
16. სეიდ მოჰამად რეზა თაბათაბაი თაბრიზი, პილიგრიმთა საჩუქარი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1879) 346
17. ჰაჯ მეჰდი ყოლი ჰედაიათი, მოგონებები და ხიფათები (1879, 1909) 363
18. სოლთან მორად მირზა ჰოსამ ას-სალთანე, მექაში მოგზაურობის წიგნი (1881) 368
19. მირზა აბდ ალ-ჰოსეინ ხან აფშარ ორუმი, დიდებულ მექაში მოგზაურობის წიგნი (1882) 379
20. მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანის მოგზაურობის წიგნი (1885) 392

21. მირზა აბდ ალ-მაჯიდ მაჰმუდ სეყეზი მაჯდი, მექასა და ათაბათში მოგზაურობის წიგნი (1888)....420
22. მოჰამად მა'სუმ ნაიებ ას-სადრ შირაზი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1888)....423
23. ზეინ ალ-აბედინ მარაყაი, ებრაჰიმ ბეგის მოგზაურობის წიგნი....430
24. ჰაჯი სელიმ ხან თაქაბი, მექაში პილიგრიმობის წიგნი (1893)....438
25. ჯემშიდ ხან აფშარ ორუმი მაჯდ ას-სალთანე, მოგზაურობის წიგნი (1894)....441
26. უცნობი ავტორი, ხოდავერდი ხანის მოგზაურობა მექაში (1897-1898)....469
27. ამინ ად-დოულე ჰაჯ მირზა ალი ხან სადრ ა'ზამის მოგზაურობის წიგნი (1899)....473
28. მოზაფარ ად-დინ შაჰის ევროპაში მოგზაურობის დღიური (1900)....496
29. ზაჰირ ად-დოულეს ევროპაში მოგზაურობის დღიური (1900)....504
30. ნასერ ას-სალთანე მირზა ნასროლაჰ თაბათაბაი დიბა, ნასერის მოგზაურობის წიგნი (1900)....522
31. უცნობი ავტორი, ათაბათსა და მექაში მოგზაურობის წიგნი (1900)....527
32. დუსთალი მო'აიარ ალ-მამალექი, რამდენიმე ფურცელში მოქცეული 75 წლის ცხოვრება (1900)....530
33. აბუ'ლ-ყასემ ქასმაის მოგონებები (1900, 1908)....532
34. რაის აზ-ზაქერინი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1901)....537
35. ჰაჯი აბდოლაჰ ამირ ნეზან ყარაგოზლუ, დიდებულ მექაში მოგზაურობის წიგნი (1902)....542
36. მირზა მაჰმუდ ხან მოდირ ად-დოულე, დიდებულ მექაში მოგზაურობის აღწერა (1903)....547
37. მირზა დაუდ ვაზირ-ე ვაზაიეფი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1904)....550
38. სეიდ ჰასან თაყი ზადეს მოგონებები, ბობოქარი ცხოვრება (1905-1909)....556
39. შარაფ ად-დოულეს მოგონებების დღიური (1907)....563
40. ჰაჯ მოჰამად თაყი ჯურაბჩი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1907)....568
41. იაჰია დოულათაბადი, იაჰიას ცხოვრება (1908)....569
42. მოჰამად მოსადეყის მოგონებები და დარდები (1909)....575
43. ჰაჯი მირ აყა ნაყიბ ალ-აშრაფ აჰარი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1910)....582
44. აბუ'ლ-ყასემ მარჯანი აინ ქალაი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1913)....584
45. აბდ ალ-ჰოსეინ ოურანგ შეიხ ალ-მოლქი, წარსულის მოგონებები (1915-1916)....587
46. აჰმად ქასრავი თაბრიზი, ჩემი ცხოვრება (1916)....589
47. აბდ ალ-ჰოსეინ შეიბანი ვაჰიდ ალ-მოლქი, ემიგრაციის მოგონებები (1917)....595
48. რეზა ალი დივანბეგი, პირველი მსოფლიო ომის დროს მოგზაურობის წიგნი (1918)....598
49. აჰმად ხან მალექ სასანი, სტამბოლში ელჩობის მოგონებები (1919)....606

50. ზია' ად-დინ სადეყ თაბათაბაი, თურქეთში მოგზაურობის მოგონებები (1924) 609
51. ალი ჯავაჰერ ქალამის მოგონებები (შეითან-ბაზრის სკოლაში) (1935) ... 611
52. აბდოლაჰ მოსთოუფი, ჩემი ცხოვრების აღწერა ანუ ყაჯართა პერიოდის სოციალური და ადმინისტრაციული ისტორია 614

დანართი 1: საქართველო ყაჯართა პერიოდის შუა აზიელ ავტორთა სპარსულენოვან თხზულებებში

1. რაჰმათოლაჰ ბოხარაი, მექაში მოგზაურობის წიგნი (1886) 620
2. ბუხარის ემირის სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ჯანგის მოგზაურობის დღიური (1893) 623
3. აჰმად მახდუმ დანეში, *რესალე* ანუ მანგითების დინასტიის ისტორია (1893) 633
4. მირზა სერაჯ ად-დინ აბდ არ-რაუფი, ბუხარელის ძღვენი (1902) 636

დანართი 2: საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ პოეზიაში

1. ანდალიბ ქაშანი, ქრონოგრამა საავადმყოფოსი, რომელიც თბილისში ირანის კონსულმა მირზა მაჰმუდ ხანმა ააგო (1879) 642
2. ფათჰოლაჰ ხან შეიბანი, თბილისისადმი მიძღვნილი ყასიდა (1890) 645
3. ზაჰირ ად-დოულე, ბორჯომისადმი მიძღვნილი ლექსები (1904, 1909) 650
4. მირზა სადეყ ყარაბაყი, თბილისისადმი მიძღვნილი ლექსები 654
5. ვაფა დაღესთანი, თბილისისადმი მიძღვნილი ლექსები 656

ლექსიკონები

1. უცხო ტერმინთა ლექსიკონი 658
2. სამოხელეო ტერმინებისა და ტიტულების ლექსიკონი 660
3. მეტროლოგიურ და ნუმიზმატიკურ ერთეულთა ლექსიკონი 662

ბიბლიოგრაფია 663

საძიებლები

1. პირთა ანოტირებული საძიებელი 688
2. გეოგრაფიულ და ტომობრივ სახელთა საძიებელი 716
3. საგნობრივი საძიებელი 724

CONTENTS

PREFACE 13

INTRODUCTION: Georgia in Persian Travelogues and Memoirs of the Qajar Period 16

TEXTS:

1. Mīrzā Abu'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī's Book of Travel to Russia (1814) 52
2. Mīrzā Sāleh Shīrāzī, The Book of Travels (1815) 88
3. Khosrov Mīrzā's Book of Travel to Petersburg (1829) 93
4. Seyf al-Molk's Book of Travel to Russia (1855-1956) 102
5. Hājj Sayyāh's Book of Travel to Europe (1859) 118
6. Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk's Book of Travels (1863) 150
7. Seyf ad-Doule Soltān Mohammad, Seyf 's Book of Travels, The Book of Travel to Mecca (1863) 156
8. Ya'qūb Mīrzā Tabrīzī, Mansūr's Pilgrimage (1868) 172
9. Mīrzā Mohammad Taqī Tabīb Kāshānī, The Travel to Tbilisi (1871) 199
10. Nāser ad-Dīn Shāh's Diaries of Memoirs of Travels to Europe (1873, 1878, 1889) 209
11. Sanī' ad-Doule Mohammad Hasan Khān E'temād as-Saltane's Book of Travels, From Tbilisi to Teheran (1873) 244
12. E'temād as-Saltane's Diary of Memoirs (1889) 252
13. Farhād Mīrzā's Book of Travels (1875-1876) 256
14. Prince Arfa's Memoirs (1876-1894) 299
15. Momtahen ad-Doule's Memoirs (1878) 341
16. Seyyed Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī, Gifts of Pilgrims, The Book of Travel to Mecca (1879) 346
17. Hājj Mehdīqolī Hedāyat (Mokhber as-Saltane), Memoirs and Dangers (1879, 1909) 363
18. Soltān Morād Mīrzā Hosām as-Saltane, The Book of Travel to Mecca (1881) 368
19. Mīrzā 'Abd al-Hoseyn Khān Afshār Orūmī, The Book of Travel to Honorable Mecca (1882) 379
20. Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī's Book of Travels (1885) 392
21. Mīrzā 'Abd al-Majīd Mahmūd ebn 'Abd al-Kerīm Seqezī Majdī, The Book of Travel to Mecca and Atabat (1888) 420

22. Mohammad Ma'sūm Nāyeb as-Sadr Shīrāzī,
The Book of Travel to Mecca (1888) 423
23. Zeyn al-'Ābedīn Marāgha'ī, Ebrāhīm Bīg's Book of Travels 430
24. Hājjī Selīm Khān Takābī, The Book of Pilgrimage to Mecca (1893) 438
25. Jamshīd Khān Afshār Orūmī Majd as-Saltane, The Book of Travels (1894) 441
26. Unknown author, Khodaverdi Khan's Travel to Mecca (1897-1898) 469
27. Amīn ad-Doule Hāj Mīrzā 'Alī Khān Sadr-e A'zam's Book
of Travels (1899) 473
28. Mozaffar ad-Dīn Shāh's Book of Travel to Europe (1900) 496
29. Zahīr ad-Doule's Book of Travel to Europe (1900) 504
30. Nāser as-Saltane Mīrzā Nasrollāh Tabātabā'ī Dībā, Nāserī's Book of Travels
(1900) 522
31. Unknown author, The Book of Travel to Mecca and Atabat (1900) 527
32. Dūst'alī Mo'ayar al-Mamālek, 75 Years of Life Outlined
in a Few Pages (1900) 530
33. Abū'l-Qāsem Kasmā'ī's Memoirs (1900, 1908) 532
34. Ra'īs az-Zākerīn, The Book of Travel to Mecca (1901) 537
35. Hājjī 'Abdollāh Amīr Nezām Qarāgozlū, The Book of Travel to
Honorable Mecca (1902) 542
36. Mīrzā Mahmūd Khān Modīr ad-Doule, The Description of Travel to
Honorable Mecca (1903) 547
37. Mīrzā Dā'ūd Vazīr-e Vazāyef, The Book of Travel to Mecca (1904) 550
38. Seyyed Hasan Taqī Zāde's Memoirs, Stormy Life (1905-1909) 556
39. Sharaf ad-Doule's Diary of Memoirs (1907) 563
40. Hājj Mohammad Taqī Jūrābchī, The Book of Travel to Mecca (1907) 568
41. Yahyā Doulatābādī, Yahyā's Life (1908) 569
42. Doctor Mohammad Mosaddeq's Memoirs and Sorrows (1909) 575
43. Hājjī Mīr Āqā Naqīb al-Ashrāf Aharī, The Book of Travel to
Mecca (1910) 582
44. Abū'l-Qāsem Marjānī Ā'yīn Kalā'ī, The Book of Travel to Mecca (1913) 584
45. 'Abd al-Hoseyn Ourang (Sheykh al-Molk), The Memoirs
of the Past (1915-1916) 587
46. Ahmad Kasravī, My Life (1916) 589
47. 'Abd al-Hoseyn Sheybānī Vahīd al-Molk, The Memoirs of
Emigration (1917) 595
48. Rezā 'Alī Dīvān Bīgī, Travels during the First World War (1918) 598
49. Ahmad Khān Malek Sāsānī, The Memoirs of Embassy to Istanbul (1919) 606
50. Zīyā' ad-Dīn Tabātabā'ī, The Memoirs of Travel to Istanbul (1924) 609
51. 'Alī Javāher Kalām's Memoirs (In Sheytān-Bāzār's School) (1935) 611
52. 'Abdollāh Mostoufī, The Administrative and Social History
of the Qajar Period: The Story of My Life 614

ANNEX 1: GEORGIA IN THE PERSIAN LANGUAGE WRITINGS OF CENTRAL ASIAN AUTHORS OF THE QAJAR PERIOD

1. Rahmatollāh Bokhārā'ī, The Book of Travel to Mecca (1886) 620
2. Emir of Bukhara Seyyed 'Abd al-Ahad Bahādor Khān, The Diary of Travels (1893) 623
3. Ahmad Makhdūm Dānesh, *Resale* or The History of Manghit Dynasty (1893) 633
4. Mīrzā Serāj ad-Dīn 'Abd ar-Ra'ūf, A Gift of the Bukharian (1902) 636

ANNEX 2: GEORGIA IN THE PERSIAN POETRY OF THE QAJAR PERIOD

1. 'Andalīb Kāshānī, The Chronogram of Hospital Built in Tbilisi by the Consul of Iran Mirza Mahmud Khan (1879) 642
2. Fathollāh Khān Sheybānī, Qasida Devoted to Tbilisi (1890) 645
3. Zahīr ad-Doule, Poems Devoted to Borjomi (1904, 1909) 650
4. Mīrzā Sādeq Qarābāghī, Poems Devoted to Tbilisi 654
5. Vafā Dāghestānī, Poems Devoted to Tbilisi 656

GLOSSARY

1. Glossary of Foreign Terms 658
2. Glossary of Titles, Ranks, Official Terms 660
3. Glossary of Metrologic and Numismatic Units 662

BIBLIOGRAPHY 663

INDEX

1. Annotated Index of Personal Names 688
2. Index of Geographic and Ethnic Names 716
3. Thematic Index 724

წინასიტყვაობა

ყაჯარული პერიოდის (1794-1925) სპარსული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა უაღრესად საყურადღებოა როგორც ლიტერატურული, ისე ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და კულტუროლოგიური თვალსაზრისით. საინტერესოა ის საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევართათვისაც, ვინაიდან საქართველოს თემას ამ ლიტერატურაში გარკვეული ადგილი უჭირავს[1]. წინამდებარე წიგნი აღნიშნული პერიოდის სპარსული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურის საქართველოსთან დაკავშირებული ეპიზოდების თარგმანების შეძლებისდაგვარად სრული კრებულის შექმნის მცდელობას წარმოადგენს. ჩვენ შევისწავლეთ 63 თხზულება, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ეხება საქართველოს ან ქართველებს და ვთარგმნეთ შესაბამისი ნაწილები. ამ თხზულებათაგან ხუთი შუა აზიელ სპარსულენოვან ავტორებს ეკუთვნის, ამიტომ ისინი წიგნში დანართის სახით შევიტანეთ. მეორე დანართში კი გაერთიანდა ყაჯართა პერიოდის სპარსულენოვანი პოეტების საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსების თარგმანები.

წიგნში წამოდგენილი რვა უადრესი (1814-1870 წლების) პერიოდის ავტორის თხზულებათა ნაწილების თარგმანი 2012 წელს ცალკე წიგნად გამოვეცით[2]. დანარჩენ ნაწარმოებთაგან აქამდე ქართულ ენაზე მხოლოდ სამი იყო ნათარგმნი: მოჰამად ჰასან ხან ე'თემად ას-სალთანეს „მოგზაურობა თბილისიდან

---

1 განსაკუთრებით საინტერესოა ის XIX საუკუნის ირან-საქართველოს ურთიერთობების მკვლევართათვის. აღნიშნული პერიოდის ირან-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტები და საქართველოში მცხოვრები (ან დროებით ჩამოსული) ირანელების საქმიანობა განხილულია ბოლო პერიოდის რიგ პუბლიკაციებში: M. Alexidze, "Persians in Georgia (1801-1921)", *Journal of Persianate Studies*, Vol.1, No.2, Leiden & Boston, 2008, 254-260; G. Sanikidze, "An Historical Survey of Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century", *Journal of Persianate Studies*, Vol.1, No.2, Leiden & Boston, 2008, 148-173; მ. ალექსიძე, *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 2009; M. Alexidze, *Georgia and the Muslim East in the Nineteenth Century: Studies in the History of Culture, Religion and Life*, Tbilisi, 2011; გ. სანიკიძე, „ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობები XIX საუკუნეში", წიგნში: გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები. სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.–XXIს.-ის დასაწყისი)*, თბილისი, 2011, 127-145; ი. კოშორიძე, *საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება, XVI-XIX საუკუნეები*, თბილისი, 2011, 137-165.

2 *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, წიგნი პირველი, კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2012.

ლეირანაშდე" მაგალი თოდუას მიერ[3] და მაჯდ ას-სალთანეს „ქალაქ თბილისის აღწერა" მაია მამაცაშვილის მიერ[4]. იაპია დოულათაბადის მემუარული თხზულებიდან ცალკეული ფრაგმენტების თარგმანი მოაქვს ნუგზარ ტერ-ოგანოვს თავის გამოკვლევაში, რომელიც დოულათაბადის თბილისისა და თბილისელებისადმი დამოკიდებულებას ეხება[5]. დანარჩენი თხზულებები ქართველი მკითხველისთვის სიახლეს წარმოადგენს და ვიმედოვნებთ, რომ სარგებლობას მოუტანს როგორც სპეციალისტებს, ისე საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

კრებულზე მუშაობისას უპირველეს პრობლემას შესაბამისი სპარსული ტექსტების მოძიება წარმოადგენდა. მინდა უღრმესი მადლობა მოვახსენო გრიგოლ ბერაძეს, რომელსაც ეკუთვნის ამ კრებულის იდეა და რომელიც მუშაობის დაწყებიდან დასრულებამდე მეხმარებოდა მასალითა თუ რჩევებით. ასევე დიდად მადლობელი ვარ ჩემი კოლეგების – ნიკოლოზ ნახუცრიშვილის, მზია ბურჯანაძისა და თეა შურღაიასი, რომელთაც დიდი დახმარება გამიწიეს ირანში ლიტერატურის მოძიებაში.

თხზულებათა სპარსული ტექსტის თარგმნისას მთავარ სიძნელეს გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა იდენტიფიცირება-გადმოტანა წარმოადგენდა. სახელთა უმრავლესობა ტექსტში ძლიერ არის დამახინჯებული, რაც აძნელებს და მთელ რიგ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის მათ იდენტიფიკაციას. მოგზაურების მიერ ადგილზე სახელდახელოდ ჩანიშნულ საკუთარ სახელთა დამახინჯება, ძირითადად, მსგავსი დაწერილობის ასოებისა და დიაკრიტიკული ნიშნების აღრევით, სპარსულისათვის უცხო ულერადობის ფონემების გასპარსულებით, ორ და რამდენიმე თანხმოვანზე დაწყებული სახელების თავში ან შუაში ხმოვნის დამატებით, ზოგჯერ კი, ჩვენთვის ამოუხსნელი მიზეზებით არის გამოწვეული. ასე მივილეთ, მაგალითად, ზუგდიდიდან რაქდი, ოზურგეთიდან – აზდარქე, ოჩამჩირედან – ჰური, მცხეთიდან – ამსა ქეთრი, მეხეთი და მრავალი სხვა. ქართულ თარგმანში დამახინჯებული ფორმების უმეტესობა მათი სწორი ქართული ვარიანტებით შეიცვალა, თუმცა ზოგიერთი საკუთარი სახელისა თუ ტოპონიმის იდენტიფიკაცია ვერ მოხერხდა და ავტორისეული ფორმები უცვლელად დარჩა. ორსავე შემთხვევაში ქართულ დასახელებას ფრჩხილებში მოსდევს მისი სპარსული ვარიანტი ლათინური ტრანსკრიფციით, რათა მკითხველს საშუალება ჰქონდეს თავად შეაფასოს თარგმანის სიზუსტე.

სპარსულ ტექსტში ხშირია ტოპონიმების სპარსული, თურქული და რუსული შესატყვისობების ხმარება. მაგალითად, ავტორთა ნაწილი შავ ზღვას თურქულ „ყარადანგიზს" (თურქული karadeniz-ის დიალექტური ფორმა) ან სპარსულ-არაბულ „დარია-იე ასვადს" უწოდებს, გატეხილ ხიდს (დღევანდელი წითელი

---

3 „მოჰამმად ჰასან-ხან ე'თემად ალ-სალთანეს მოგზაურობა თბილისიდან თეირანამდე", ნიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 225-259.

4 მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1971.

5 ნ. ტერ-ოგანოვი, „იაპია დოულათაბადი თბილისისა და თბილისელების შესახებ", *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VIII, თბილისი, 1993, 280-285.

ხიდი) – აზერბაიჯანულ „სანაყ-ქერფის" (აზერბაიჯანული sınık körpü-s დამახინ-ჯებული ფორმა), სპარსულ „ფოლ-ე შექასთეს" ან რუსულ „კრასნი მოსტს" და სხვა. თარგმანში ასეთ შემთხვევებში ქართული სახელებია ნახმარი და ავტორი-სეული ვარიანტები აქაც ფრჩხილებშია მითითებული.

სპარსული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურის – ისე როგორც, ზოგადად, ამ ჟანრის თხზულებების – ერთ-ერთ სტილურ თავისებურებას მათში უცხოენოვანი (ჩვენს შემთხვევაში, ძირითადად, რუსული) სიტყვებისა და ტერ-მინების ხმარება წარმოადგენს. ზოგჯერ ამის მიზეზი სპარსულ რეალობაში ამა თუ იმ საგნისა და მოვლენის და, შესაბამისად, სპარსულ ენაში მისი შესატყვისი ტერმინის არარსებობაა. ზოგჯერ კი უცხო სიტყვების ხმარება მათ ამ საგნისა თუ მოვლენის უცხოური ელფერის ხაზგასასმელად სჭირდებათ. როცა ირანელი მოგზაური ამბობს, რომ თბილისში არის ამდენი სასტუმრო (*მეჰმანხანე*) და ამ-დენი *ჰოტელი*, ამით ის ერთმანეთისგან მიჯნავს დასავლური ტიპის დიდ სას-ტუმროებსა და პატარა ფუნდუკებს, რომელთა მსგავსი ირანშიც ბევრი იყო. ასევე სხვადასხვაა მისთვის *კალიასკა*, ფაეტონი, ფურგონი და ოთხთვალა, ჩვეუ-ლებრივი ფანჯარა და რუსული *აკოშკა*, ზოგადად ჯარისკაცი და რუსი *სალდათი* და სხვა. ამ ნიუანსური განსხვავების ხაზგასასმელად ირანელი ავტორები უცხო სიტყვებს იშველიებენ. ქართულ თარგმანში ბარბარიზმები, როგორც სტილური თავისებურება, შეგნებულად შენარჩუნდა და ისინი იტალიკით არის გამოყო-ფილი.

სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურის სპეციფიკიდან გამომდინარე, წიგნში უამრავი პირია ნახსენები. მოკლე ინფორმაცია მათ შესახებ მკითხველს შეუძლია მოიძიოს პირთა ანოტირებულ საძიებელში, რომელიც წიგნს ბოლოში ერთვის.

და ბოლოს, სპარსულ ფონემათა ტრანსკრიფციებში ჩვენ ვანსხვავებთ მოკლე და გრძელ ხმოვნებს (ę,o,ā,ū,ī), მაგრამ არ ვანსხვავებთ განსხვავებული დაწერილობის და მსგავსი ულერადობის თანხმოვნებს (ს, ზ, ჰ, თ). რაც შეეხება საკუთარ სახელებს, „ალ" არტიკლით ნაწარმოებ საკუთარ სახელთა გადმოცემი-სას სპარსულ-არაბული ტრადიციისამებრ ვიცავთ ე.წ. მზის თანხმოვნების ასიმი-ლაციის წესებს (მაგ. მაჯდ ას-სალთანე და არა მაჯდ ალ-სალთანე).

სპარსულ ტექსტში ხშირია არაბული ჩანართები. ძირითადად, ეს არის ცი-ტატები ყურანიდან ან არაბ ავტორთა თხზულებებიდან და სხვადასხვა რე-ლიგიური (ისლამური) ფორმულები თუ გამოთქმები. დიდ მადლობას ვუხდი ჩემს სემიტოლოგ კოლეგებს გიორგი ლობჟანიძეს, დარეჯან გარდავაძეს, ნინო დოლიძესა და ნინო კვირიკაშვილს არაბული ჩანართების თარგმნაში გაწეული დახმარებისთვის.

საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში

„ნუ მეტყვი, რამდენად განათლებული ხარ,
მითხარი, რამდენი გიმოგზაურია".

წინასწარმეტყველი მუჰამედი

1. ყაჯართა პერიოდის სპარსული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურას ირანში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს. ძირითადად, ის მოიცავს „მოგზაურობის წიგნებს" (*საფარ-ნამე*), „მოგონებებს" (*ხათერათ*) და „მოგონებათა დღიურებს" (*რუზ-ნამე-იე ხათერათ*). აჰმად აშრაფი ამ ჟანრის ჩანასახს ხედავს უძველეს ეპოქაში – ირანის აქემენიდი მეფეების კლდეზე ამოკვეთილ წარწერებში, რომლებიც მეფეთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს გადმოგვცემს[6]. სამოგზაურო ლიტერატურის უადრესი ნიმუშები ირანში XI საუკუნეში გაჩნდა. პოეტი და ფილოსოფოსი ნასერ ხოსროვი (1004-1088) იყო პირველი ირანელი ავტორი, ვინც მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილებები საკუთარ თხზულებაში აღწერა[7].

სამოგზაურო და მემუარულმა ლიტერატურამ ირანში განსაკუთრებულ პოპულარობას XIX საუკუნეში ყაჯართა დინასტიის მმართველობის პერიოდში მიაღწია. ამ დროს ხდება მისი ლიტერატურულ ჟანრად ჩამოყალიბება[8]. აჰმად მონ-

---

6 Ahmad Ashraf, "Sābeqe-ye khāterenegārī dar Īrān", *Īrān Nāmeh*, Vol. 15, No 1, 1375/1997, 5-26.

7 *Safar-nāme-ye Nāser Khosrov*, be kūshesh-e Mohammad Dabīrsīyāqī, Tehran, 1375/1996.

8 სპარსულ ლიტერატურაში მოგზაურობის ჟანრის განსაზღვრისა და კლასიფიკაციისათვის იხ.: B. G. Fragner, *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, Wiesbaden, 1979; H. Farman Farmayan, "The Forces of Modernization in Nineteenth Century Iran: A Historical Survey", *Beginnings of Modernization in the Middle East: The Nineteenth Century*, ed. by W. R. Polk and R. L. Chambers, The University of Chicago Press, Chicago & London, 1968, 133-136; Hafez Farman Farmayan, "Observations on Sources for the Study of Nineteenth- and Twentieth-Century Iranian History", *International Journal of Middle East Studies*, Vol.5, No.1, 1974, 38-49; O.C. Меликов, "Персидская мемуарная литература XIX века как источник по истории Ирана", *Иран и Турция: Вопросы истории*, Баку, 1986, 5-60; M. R. Ghanoonparvar, *In a Persian Mirror: Images of the West and Westerners in Iranian Fiction*, University of Texas Press, Austin, Texas, 1993, 11-38; Īraj Afshār, "Safarnāmehā-ye fārsī tā rūzgār-e esteqrār-e Mashrūtīyat", *Jashn-nāme-ye ostād Zabīhollāh Safā*, be kūshesh-e Seyyed Mohammad Tarābī, Tehran, 1377/1998, 45-82; Iraj Afshar, "Persian Travelogues: A Description

ზავის „სპარსული ხელნაწერების კატალოგი" შეიცავს 270 დასახელების „მოგ-ზაურობის წიგნს", რომელთაგან 229 ყაჯარული პერიოდისაა[9]. რა თქმა უნდა, ა. მონზავის ამ ჟანრის ყველა წიგნი არ აღურიცხავს. ირაჯ აფშარის მიხედვით, XVIII საუკუნის ბოლოდან კონსტიტუციურ რევოლუციამდე დაწერილ „მოგზაუ-რობის წიგნების" რიცხვი ხუთასს უნდა აღწევდეს[10].

შუა საუკუნეების სპარსული „მოგზაურობის წიგნების" ავტორები, როგორც წესი, ან მექასა და სხვა მუსლიმური სიწმინდეების მომლოცველები იყვნენ, ან ხელისუფალთა მიერ უცხო ქვეყნებში დავალებით გაგზავნილი ელჩები, სავაჭრო ემისრები და სხვა. XIX საუკუნიდან შესამჩნევად გაფართოვდა მოგზაურთა მიზნე-ბი. მომლოცველთა და სახელმწიფო მოხელეთა გვერდით გაჩნდნენ განათლების მისაღებად, გასართობად თუ შემეცნებითი მიზნით მოგზაური სპარსელებიც, რომლებიც ნანახს თავიანთ წიგნებში აღწერდნენ. შორეულ მოგზაურობებში და, განსაკუთრებით, დასავლეთის ქვეყნებში, ძირითადად, საზოგადოების უმაღლესი კლასის წარმომადგენლები – სამეფო ოჯახის წევრები, სახელმწიფო მოხელეე-ბი, ელჩები და მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეები დადიოდნენ, რადგან ასეთი მოგზაურობა დიდ თანხებს მოითხოვდა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, – რო-გორც, მაგალითად, ჰაჯ საიიაჰი, – რომლებიც საკუთარი ინიციატივით, ლამის სრულიად უსახსროდ მოგზაურობდნენ და გზად დიდ გაჭირვებას იტანდნენ. მოგ-ზაურ წარჩინებულთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია ორ ირანელ მონარქს – ნასერ ად-დინ შაჰსა (1848-1896) და მოზაფარ ად-დინ შაჰს (1896-1907). ნასერ ად-დინ შაჰი შვიდი მოგზაურობის წიგნის ავტორია: ორი აღწერს მოგზაურობას ხორასანში, სამი – ევროპაში, ერთი – ათაბათში (ცენტრალურ ერაყში) და ერ-თიც – ირანულ ერაყში. ყაჯარ უფლისწულთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებები ეკუთვნით ხოსროვ მირზას, მოჰამად მირზა სეიფ ად-დოულეს, ფარჰად მირზას, აბას მირზა მოლქარას და სხვა. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ ირანელი ახალგაზრდები, რომლებიც ევროპაში „სასარგებლო მეცნიერებებისა და ენების შესასწავლად" მიდიოდნენ. ამ მისწრაფებით XIX საუკუნის სხვადასხ-ვა პერიოდში მრავალი ათეული ირანელი სტუდენტი გაემგზავრა საზღვარგა-

---

and Bibliography", *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, ed. by Elton L. Daniel, Costa Mesa, CA, 2002, 145-162; Mohammad Rezā Hājj Bābā'ī, *Khāterāt va safar-nāmenevīs dar 'asr-e Qājār*, Tehran, 1385/2006; W. L. Hanaway, "Persian Travel Narratives: Notes Toward the Definition of a Nineteenth-Century Genre", *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, 249-268; K. Rastegar, *Literary Modernity Between the Middle East and Europe: Textual Transactions in Nineteenth-Century Arabic, English and Persian Literatures*, London & New York, 2007, 77-84; Hoseyn Mesrat, "Ahamīyat-e safar-nāmehā-ye fārsī", *Āyyīne-ye Mīrās*, No.7, Tehran, 1386/2007, 3-42; Naghmeh Sohrabi, *Taken for Wonder: Nineteenth-Century Travel Accounts from Iran to Europe*, Oxford University Press, Oxford & New York, 2012.

9 Ahmad Monzavī, *Fehrest-e noskhehā-ye khattī-e fārsī*, j. 6, Tehran, 1353/1974, განსახილველ. პერიოდის სპარსული „მოგზაურობის წიგნების" და სხვა მემუარულ-ლიტერატურული ძეგლების ბეჭდური გამოცემების შესახებ იხ.: Ahmad Monzavī, *Fehrestvāre-ye ketābhā-ye fārsī*, j.1, Tehran, 1374/1995; M. Hāfez Qor'ānī, *Ketābshenāsī-ye tārīkh-e Īrān*, Tehran, 1375/1997, 201-202, 222-241, 253-274.

10 Iraj Afshar, "Persian Travelogues: A Description and Bibliography", 146.



XIX საუკუნის მუსლიმ პილიგრიმთა ძირითადი მარშრუტების რუკა ჰ. ფარმაიანისა და ე. ლ. დანიელის მიხედვით.

რეთ. პირველი ასეთი ჯგუფი 1815 წელს ინგლისში ჩავიდა. ამ ხუთკაციანი ჯგუფის წევრი იყო მირზა სალეჰ შირაზი, რომელიც XIX საუკუნის ერთ-ერთი პირველი „მოგზაურობის წიგნის" ავტორია. მათი, ისევე როგორც ბევრი სხვა ახალგაზრდის, საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნა ფათჰალი შაჰის (1897-1834) ვაჟის, ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის აბას მირზას სახელს უკავშირდება. ეს იყო ნაწილი ჯარის რეორგანიზაციის აბას მირზასეული პროგრამისა (*ნეზამ-ე ჯადიდ*)[11].

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის ირანელ მოგზაურთა გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართო იყო. ა. მონზავის მიერ აღნუსხული ყაჯართა პერიოდის 229 „მოგზაურობის წიგნიდან" 75 აღწერს მოგზაურობას ირანის შიგნით, 64 – ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში (20 – მექა, 10 – ათაბათი, 34 – ინდოეთი და შუა აზია), 26 – ევროპასა და ამერიკაში და სხვა.

პილიგრიმული ლიტერატურა (*საფარ-ნამე-იე ჰაჯჯ*) სპარსული სამოგზაურო ლიტერატურის ყველაზე ძველ და მრავალრიცხოვან განშტოებას წარმოადგენს. მარტო ყაჯარულ პერიოდში მექასა და სხვა წმინდა ადგილებში მოგზაურობის ამსახველი წიგნების რაოდენობა რამდენიმე ასეულს აღწევს[12]. მათი ავტორები, მეტწილად, სახელმწიფო მოხელეები და სასულიერო პირები

---

11 M. M. Ringer, "The Quest for the Secret of Strength in Iranian Nineteenth-Century Travel Literature: Rethinking Tradition in the Safarnamah", *Iran and the Surrounding World: Interactions in Culture and Cultural Politics*, ed. by N. R. Keddie and R. Matthee, University of Washington Press, Seattle & London, 2002, 147.

12 ყაჯართა ეპოქის სპარსულ პილიგრიმულ ლიტერატურაზე იხ.: Rasūl Ja'farīyān, „Hajjgozārī-ye Īrānīyān dar doure-ye Qājār", წიგნში: Rasūl Ja'farīyān, *Maqālāt-e tārīkhī*, j. 8, Qum, 1387/2008; მისივე ვრცელი შესავალი წერილი წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, j. 1, Tehran, 1389/2010, 9-131; E. L. Daniel, "The Hajj and Qajar Travel Literature", *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, 215-237; Hafez Farmayan, E. L. Daniel, "Introduction", *A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-1886: The Safarnameh of Mirza Mohammad Hosayn Farahani*, Edited, Translated, and Annotated by Hafez Farmayan and E. L. Daniel, University of Texas Press, Austin, Texas, 1990, XIII-XXXII; Mohammad Shahrī Barābādī, "Seyri kūtāh dar safar-nāmehā-ye hajj", *Mashkūt*, No. 25, Mashhad, 1368/1989-90, 182-202.

არიან. ისინი, ძირითადად, ჯგუფ-ჯგუფად მოგზაურობდნენ, რათა გრძელი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა შეძლებისდაგვარად უსაფრთხოდ გაეელოთ. ბუნებრივ (მკაცრი კლიმატი, ქარიშხალი ზღვაზე, მეწყერი და ზვავი მთაში...), ყოფით (უცხო და, ხშირად, მიუღებელი საჭმელი, ენის უცოდინრობა, აგრესიული მოსახლეობა, დანგრეული გზები, მექრთამეობა და ყაჩაღობა ფოსტის სადგურებსა თუ საბაჟოებზე...) და მორალურ (მუსლიმისთვის მიუღებელი ზნეობრივი გარემო) პრობლემებს, რომლებიც ყველა ირანელი მოგზაურის ხვედრი იყო, მომლოცველებისთვის სპეციფიკური რელიგიური დაბრკოლებებიც ემატებოდა. რამდენად დასაშვებია მექას მოსალოცად მიმავალი პილიგრიმისთვის კონტაქტი უცხო რჯულის ხალხთან ან არის თუ არა უცხო ქვეყნის წყალი, რომელსაც ყველა რჯულის ხალხი ეხება, რელიგიურად სუფთა – ეს საკითხები ირანელ პილიგრიმებს იმდენად აწუხებდათ, რომ მასზე ხშირად მსჯელობდნენ. მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანიმ თავის „მოგზაურობის წიგნში" ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური თავი „წყლის პრობლემა გზაზე და შიიტი სწავლულების აზრი წყალსა და მის რიტუალურ სისუფთავეზე", რომელშიც დაწვრილებით განიხილა ცნობილი შიიტი თეოლოგების მოსაზრებები ამ საკითხზე[13]. მირზა მოჰამად თაყი თაბიბ ქაშანიმ კი თავის თხზულებას დაურთო ნაწყვეტები იმ ჰადისებიდან, რომლებშიც წიგნის ხალხი (ქრისტიანები) უწმინდურად არ არის მიჩნეული და, შესაბამისად, მათთან კონტაქტი ცოდვად არ ჩაითვლება[14].

კულტუროლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ირანელთა ევროპაში მოგზაურობის ამსახველი წიგნები. ამ რიგის პირველი თხზულება – „ჰეირათ-ნამე" („საოცრებათა წიგნი") ეკუთვნის მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩის, რომელიც 1809-1810 წლებში ელჩად იყო ინგლისში[15]. ევროპაში მოგზაუ-

---

13 *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī*, be kūshesh-e Mas'ūd Golzārī, Tehran, 1362/1983, 72-73.

14 *Mosāferat-e Teflīs: Gozāresh-e safar-e hey'at-e sīyāsī-ye Īrān be darbār-e emperātūr-e Rūsīye*, neveshte-ye Mīrzā Mohammad Taqī Tabīb Kāshānī, be kūshesh-e Gīorgī Sānīkīdze, Seyyed Hoseyn Razavī Borqe'ī, Tehran, 1389/2010, 88-93.

15 ამ პიროვნებისა და მისი თხზულებების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება მსჯელობა. აქ კი მცირე შენიშვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქრონოლოგიური თვალსაზრისით დღეისათვის ცნობილ ყველაზე ადრინდელ სპარსულენოვან „მოგზაურობის წიგნს", რომელიც მკითხველს აწვდის სხვადასხვა საინტერესო ინფორმაციას ევროპული ქვეყნების შესახებ, წარმოადგენს ინდოეთში მცხოვრები მირზა შეიხ ე'თესამ ად-დინ თაჯფურის „შეგარფ-ნამე-იე ველაიათ"-ი, რომელშიც აღწერილია ამ მუსლიმი ავტორის მოგზაურობა ინდოეთიდან ინგლისში 1784-1785 წლებში. ინფორმაციის მრავალფეროვნებისა და დოკუმენტურობის თვალსაზრისით საყურადღებოა იმავე ინდოეთში მცხოვრები წარმოშობით ირანელი მუსლიმის მირზა აბუ თალებ ხანის (1752-1806) მიერ სპარსულად დაწერილი მოგზაურობის წიგნი („მასირ-ე თალები ფი ბილად-ე აფრანჯ"), რომლის ტექსტი 1804 წელს არის დასრულებული და რომელშიც აღწერილია ავტორის მიერ 1799-1803 წლებში განხორციელებული მოგზაურობა ინდოეთიდან აზიის, აფრიკისა და ევროპის ქვეყნებში. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ირანელი მირ 'აბდ ალ-ლათიფ ხან მუსავი შუშთარის (1758-1805) „თოჰფათ ალ-'ალამ"-ი (დაიწერა 1798-1801 წლებში), თუმცა თვით ამ ავტორს პირადად ევროპაში არ უმოგზაურია და მისი ინფორმაცია ეყრდნობა წერილობით მონაცემებსა და მისივე ნაცნობი ევროპელების (ძირითადად, ინდოეთში მყოფი ინგლისელების)

რობის შედეგად დაწერილი წიგნები მნიშვნელოვანია, როგორც ტრანსკულტურაციის სპარსული მაგალითები[16]. ისინი ცოცხლად წარმოაჩენს მსოფლიო სისტემის პერიფერიაზე აღმოჩენილი ქვეყნის წარმომადგენელთა მცდელობას განსაზღვრონ, რა შეიძლება იქნეს ათვისებული მოწინავე ქვეყნებისგან და რა სიკეთეს ნახავს ამით მათი ქვეყანა.

XIX საუკუნე იყო პერიოდი ძირეული ცვლილებებისა ირანში. დასავლეთთან დაახლოების შედეგად ქვეყანაში მიდიოდა ევროპეიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესები, ხდებოდა ტრადიციისა და ისტორიის გადააზრება და ამასთან დაკავშირებული ცვლილებები იდენტობასა და კულტურაში. დასავლეთის ქვეყნებში მოგზაურ ირანელთა მთავარი მიზანი იყო ახალი ეპოქის (*'ასრ-ე ჯადიდ*) შეცნობა, რაც გამოიხატებოდა ახალი ტექნოლოგიების, განათლების ახალი სისტემის, ახალი კანონებისა და მმართველობის ფორმების ათვისებაში. ამ მხრივ „მოგზაურობის წიგნების" როლი მეტად მნიშვნელოვანი იყო. უცხო ქვეყნების გეოგრაფიული, ისტორიული, ეთნოგრაფიული დახასიათების პარალელურად, ისინი მათ სამეცნიერო, კულტურულ, ეკონომიკურ და, რაც მთავარია, პოლიტიკურ მიღწევებს გვამცნობენ. სწორედ დასავლეთში მოგზაურობის ამსახველ წიგნებში გვხვდება პირველად ისეთი თემები, როგორიცაა დემოკრატიული საკანონმდებლო სისტემა, სასამართლო ინსტიტუტები, პოლიტიკური თავისუფლება და ჩნდება ირანში მმართველობის სისტემის შეცვლის იდეაც. ნასერ ად-დინ შაჰის შერისხული ძმა აბას მირზა მოლქარა თავისი მოგზაურობის ჩანაწერებში პირველად ხმარობს სიტყვას „კონსტიტუციური" მისი პოლიტიკური მნიშვნელობით – რამდენიმე წლით ადრე, ვიდრე ირანში კონსტიტუციურ მმართველობაზე ლაპარაკი დაიწყებოდა. 1810 წელს ინგლისში ჩასული დიპლომატი აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩი, რომელიც პირველად იგებს სიტყვა „პარლამენტს", გულისტკივილით აღნიშნავს: „სირთულე ის არის, რომ სიტყვა პარლამენტი აქამდე გაგონილი არ მქონდა. რაც უფრო ღრმად შევდივარ ამ უცხო წალკოტში, სულ უფრო და უფრო მეტ სიახლეს ვაწყდები"[17].

მონათხრობს. იხ.: *Masīr-e Tālebī yā safar-nāme-ye Mīrzā Abū Tāleb Khān*, be kūshesh-e Hoseyn Khadīv-e Jām, Tehran, 1352/1973-74; Mīr 'Abd al-Latīf Khān Shūshtarī, *Tohfat al'Alam va Zeyl al-Tohfah*, be kūshesh-e Samad Movahhed, Tehran, 1363/1984; О.С. Меликов, "Персидская мемуарная литература XIX века ...", 12-15; Juan R.I. Cole, "Invisible Occidentalism: Eighteenth-Century Indo-Persian Constructions of the West", *Iranian Studies*, Vol. 25, 1992, 3-16; R. Matthee, "Europe, Persian Image of", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1998; Iraj Afshar, "Persian Travelogues: A Description and Bibliography", 152-153; W. L. Hanaway, "Persian Travel Narratives", 257-262; Taqī Sūfī Nīyārākī Najafī, "Safar-nāmehā· nokhostīn bāztābhā dar movājehe bā qarb-e jadīd", *Āmūze*, No. 2, Tehran, 1382/2003, 160-165; M.H. Fisher, "From India to England and Back: Early Indian Travel Narratives for Indian Readers", *Huntington Library Quarterly*, Vol. 70, No. 1, University of California Press, 2007, 161-169; Amrit Sen, "The Persian Prince in London: Autoethnography and Positionality in Travels of Mirza Abu Taleb Khan", *Asiatic*, Vol. 2, No. 1, 2008, 58-68.

16 E. L. Daniel, "The Hajj and Qajar Travel Literature", 219.

17 Behzād Jāme Bozorg, "Nokhostīn daryāfthā-ye safar-nāme-nevīsān-e īrānī az nehād-e pārlamān (bā ta'kīd bar safar-nāmehā-ye īrānī-ye doure-ye Fath'alī Shāh Qājār)", *Payām-e Bahārestān*, Vol. 2, No. 10, Tehran, 1389/2011, 155.

აღწერდნენ რა უცხო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მოგზაურები ძალაუნებურად ადარებდნენ მას საკუთარ ქვეყანაში გამეფებულ მდგომარეობას. ამა თუ იმ ფაქტისა და მოვლენის შეფასებისას ისინი შედარებით მეთოდს მიმართავდნენ და კრიტერიუმი მათთვის მათივე ქვეყანა იყო. „მოგზაურობის წიგნები" ევროპული „სხვას" და ირანული „მეს" დიქოტომიურ მოდელზეა აგებული. თანამედროვე მკვლევარი მონიკა რინგერი მათ განიხილავს, როგორც ევროპული სიძლიერის საიდუმლოსა და ირანის „ნაკლულობის" მიზეზების ძიების საშუალებას[18].

მოგზაურები დასავლური იდეების პროპაგანდას, ძირითადად, შეფარვით ეწეოდნენ. მათი მიზანი იყო მეფეებსა და მაღალი თანამდებობის პირებში გაეჩინათ სურვილი, რომ სოციალურ-პოლიტიკური თუ არა, სამრეწველო, სამეცნიერო და კულტურული სიახლეები მაინც გადმოეღოთ. 1829 წელს ფათჰალი შაჰის მიერ რუსეთში გაგზავნილი „მოსანანიებელი მისიის" ერთ-ერთი წევრი მოსტაფა აფშარი ტულის იარაღის ქარხნის ნახვის შემდეგ ოცნებობდა: „ნეტავ, ირანის მთავრობამ ამ ქარხანაში გამოგზავნოს თავისი გამოცდილი ახალგაზრდები, რომლებიც მოკლე დროში მცირე ხარჯების ფასად სხვადასხვა პროფესიების დაუფლებას შეძლებდნენ"[19].

ირანისა და დასავლეთის ასეთი დაახლოება, რასაც ირანელების მიერ მათი ფუნდამენტური ღირებულებების თანდათანობითი გადააზრება მოჰყვა, აშინებდათ ირანის კონსერვატიულ წრეებს. ნასერ ად-დინ შაჰის მინისტრი ამინ ად-დოულე კატეგორიულად აცხადებდა: „ჩემი ქვეყნის ხალხი არ უნდა იცნობდეს ირანის გარდა სხვა ადგილს ... სიტყვა „პარიზის" ან „ბრიუსელის" გაგონებისას, მათ არ უნდა იცოდნენ, ეს საჭმელია თუ ტანსაცმელი"[20]. ამიტომ „მოგზაურობის წიგნები" ცენზურას გადიოდა. ცნობილია, რომ ნასერ ად-დინ შაჰის მინისტრის, 1856 წელს ინგლისში გაგზავნილი სახელმწიფო მისიის ხელმძღვანელის ფაროხ ხანის „მოგზაურობის წიგნი", რომელშიც ავტორი ევროპული ლიბერალური კანონების, მრეწველობის, კულტურისა და განათლების შესახებ საუბრობდა, შაჰის კარის მოხელის მირზა აყა ხანის ბრძანებით არ დაიბეჭდა[21].

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დამდეგის სპარსულ სამოგზაურო ლიტერატურაში ორი ძირითადი ტენდენცია შეიძლება გამოიყოს. პირველი წარმოდგენილია გარკვეული ინსტიტუციური ან ულიტარული საჭიროებისათვის შექმნილ რეპორტაჟულ თუ საცნობარო სახის ტექსტებში, რომელთა ავტორები სახელმწიფოს მაღალი რანგის მოხელეები არიან. ისინი, როგორც წესი, ასრულებენ თავიანთი პატრონ-დამკვეთის სურვილს და დაწვრილებით აღწერენ ნანახი ქვეყნების არა მარტო ღირშესანიშნაობებს, არამედ ნებისმიერ წვრილმანს, რომელსაც საყურადღებოდ ჩათვლიან. ამ წიგნებისთვის დამახასიათებელია თხრობის მშრალი, ჟურნალისტურ-დოკუმენტური სტილი. მათში მოვლენები ქრონოლოგიურ პრინ-

---

18 M. M. Ringer," The Quest for the Secret of Strength...", 148.

19 Д. С. Комиссаров, "Персидская художественная проза XIX-XX столетий", *История персидской литературы XIX-XX веков*, Москва, 1999, 230.

20 M. M. Ringer, "The Quest for the Secret of Strength...", 153.

21 Д. С. Комиссаров, "Персидская художественная проза XIX-XX столетий", 231.

ციპზეა დალაგებული და თხრობა მაქსიმალური ინფორმაციულობით გამოირჩევა. ინფორმაციის სიფართოვისა და სისრულიდან გამომდინარე, ზოგიერთ მათგანს უფრო „ენციკლოპედიური" შეიძლება ეწოდოს, ვიდრე „რეპორტაჟული". მოგზაურთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ძირითადად, ორი სახისაა. პირველი და უმთავრესი არის შემეცნებითი ინფორმაცია ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნების, მოსახლეობის, მათი წეს-ჩვეულებების და, განსაკუთრებით, ღირშესანიშნაობებისა და სიახლეების შესახებ. მეორე, და არა ნაკლებ მნიშვნელოვანი, არის პრაქტიკული ინფორმაცია, რომელიც, ძირითადად, მომავალი მოგზაურებისთვის არის განკუთვნილი: მანძილი პუნქტებს შორის, გზების მდგომარეობა, ტრანსპორტის სახეობები და მათი ფასები, ფულის ერთეულები და მათი შესაბამისობა ირანულ ფულთან, ანუ ის ინფორმაცია, რომელიც ამ ქვეყანაში მოხვედრილ მოგზაურს მგზავრობას გაუადვილებს.

მეორე ტენდენცია ასახავს ლიტერატურის სფეროს მზარდ ავტონომიურობას ღირებულებათა წინამორბედი სისტემებისგან და ხასიათდება მეტი პირადულობით („ინტერიერიზაციით")[22]. „მოგზაურობის წიგნებს", რომლებშიც ეს ტენდენცია იჩენს თავს, პირობითად ავტობიოგრაფიული შეიძლება ეწოდოს. მათი ავტორები – სამეფო თუ რელიგიური პატრონაჟისგან თავისუფალი ადამიანები – პირველ რიგში თავიანთ სუბიექტურ გამოცდილებას გვიზიარებენ. მათში პირადული ინფორმაცია სჭარბობს ენციკლოპედიურს. ასეთი თხზულების საუკეთესო მაგალითია ჰაჯ საიიაჰის „მოგზაურობის წიგნი", რომლისთვისაც დამახასიათებელია თხრობის კონცენტრაცია ავტორის პიროვნებაზე და ლირიკული გადახვევების სიჭარბე – მსჯელობა წუთისოფელზე, ზნეობაზე, ადამიანობაზე და სხვა განყენებულ თემებზე. ეს არ არის დინამიკური თხზულება, რომელშიც მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება. თხრობა, ერთი შეხედვით, მდორეა, სტატიკური, მაგრამ მას აქვს თავისი რიტმი, რომელიც სიმსუბუქესა და სიცოცხლეს სძენს.

ეს ორი ტენდენცია სპარსულ „მოგზაურობის წიგნებში", ძირითადად, თანაარსებობს. ყველა მათგანში არის გარკვეული ინფორმაცია ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ და, ამავე დროს, მეტნაკლებად ყველგან ჩანს ავტორიც.

სპარსული მემუარული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას მოგონებათა წიგნები (*ხათერათ*) წარმოადგენს. მათი ავტორები, მეტწილად, სამეფო ოჯახის წევრები და მაღალი რანგის მოხელეები არიან და მათ თხზულებებშიც სამეფო კარის მოვლენებია აღწერილი. ერთმანეთისგან განსხვავდება „მოგონებათა დღიურები", რომლებიც ერთი კონკრეტული მოვლენის, ძირითადად, მოგზაურობის ამსახველია და „მოგონებები", რომლებიც განვლილი ცხოვრების შეჯამებას წარმოადგენს. თუ პირველი ფორმითა და შინაარსით ჟურნალისტურ-რეპორტაჟულ ენციკლოპედიურ „მოგზაურობის წიგნებს" ჰგავს, მეორე უფრო ავტობიოგრაფიულ „მოგზაურობის წიგნებს" მოგვაგონებს. ამ უკანასკნელებს ავტორები, მეტწილად, მოწიფულ ასაკში წერდნენ, თავიანთ ცხოვრებას წლების გადასახედიდან აანალიზებდნენ და აჯამებდნენ. როგორც ერთ-ერთი მოგონებების წიგნის ავტორი ამინ ად-დოულე წერს, „ამ წიგნის მიზანია ჩემი საყვარელი

---

22 K. Rastegar, *Literary Modernity Between the Middle East and Europe*, 79-80.

სამშობლოს მდგომარეობისა და ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოვლენების მოკლე აღნერა ..., რათა მცდარი ჭეშმარიტისგან, სამართლიანი უსამართლოსგან გავმიჯნოთ, [ჩვენი ქვეყნის] სატკივარი გავიაზროთ და წამალი ვუპოვოთ"[23].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სპარსული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურისთვის დამახასიათებელია თხრობის მარტივი სტილი, უბრალო ენა, აზრის გამჭვირვალობა, რაც მას წინარე საუკუნეების სპარსულ პროზაში გამეფებული ღვლარჭნილი სტილისგან განასხვავებს. მარტივ სტილს თავად ამ ჟანრის სპეციფიკა განაპირობებს: იმისთვის რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას უცხო ქვეყნებზე და, შესაბამისად, თავის ქვეყანაში რეფორმების გატარების აუცილებლობაში დარწმუნდეს, თხზულება მარტივი ენით უნდა იყოს დაწერილი, რომ წასაკითხად სახალისო იყოს. სწორედ მარტივი სტილი უწყობს ხელს ავტორს ნათლად გამოხატოს თავისი აზრი, რაც მისი მიზნის აღსრულების ერთ-ერთი წინაპირობაა.

2. საქართველო სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში

საქართველოსა და ქართველების შესახებ ინფორმაცია სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჩნდება. ცნობილი ირანელი პოეტი და მოგზაური ნასერ ხოსროვი 1047 წელს ნილოსის არხის გახსნისადმი მიძღვნილი ცერემონიალის აღწერისას ფატიმიანთა სამეფო კარის სტუმრებს შორის ასახელებს ქართველ უფლისწულებს – „ქართველ მეფეთა ვაჟებს"[24]. ერთ-ერთი პირველი შუასაუკუნოვანი სპარსელი ავტორი, ვინც საქართველო თავის „მოგზაურობის წიგნში" პოეტურად აღწერა, იყო ისმაილიტი პოეტი ნეზარი ყოპესთანი, რომელმაც 1279-1281 წლებში იმოგზაურა ამიერკავკასიაში[25]. საქართველოს, კონკრეტულად კი მის ერთ-ერთ პუნქტს ახალციხეს, პოეტურად აღწერს XV საუკუნის ავტორი მირ სეიდ ჰოსეინ აბივარდიც თავის

---

23 Mansoure Ettehādych (Nezām Māfī), "Khāterāt-e rejāl-e Qājār: morūri bar omūr-e darbār va ravābet-e darbārīyān", *Īrān Nāmeh*, Vol. 14, No. 4, 1375/1996, 541.

24 *Safar-nāme-ye Nāser Khosrov*, 84. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: ვ. გაბაშვილი, „საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.)", *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1968, 69-71; გ. ჟორჟოლიანი, „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან", *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*, II, თბილისი, 1979, 52-66; მ. ცინცაძე, „საქართველო და ქართველები X-XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1984, №4, 84-94.

25 *Safar-nāme-ye hakīm Nezārī Qohestānī*, be tashīh va moqābele-ye Chengīz Gholām'Alī Bāybūrdī, be ehtemām-e doctor Mahmūd Rafī'ī, Tehran, 1391/2012, 15-16, 59-62, 177. ნეზარი ყოპესთანის „საფარ-ნამეს" შესახებ იხ.: Ч. Г. Байбурди, *Жизнь и творчество Низари*, Москва, 1966, 87-101; Iraj Afshar, "Persian Travelogues: A Description and Bibliography", 145-146; N.E. Jamal, *Surviving the Mongols: Nizārī Quhīstānī and the Continuity of Isma'ili Tradition in Persia*, London & New York, 2002, 108-146.

ავტობიოგრაფიულ პოემაში „ოთხი სამეფო ტახტი"[26]. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, აგრეთვე, სეფიანთა ეპოქის სპარსელი ავტორის ფაღფურ ლაჰიჯანის ლექსების ციკლი (ე.წ. „შაჰრ-აშუბი"), რომელშიც პოეტურად არის გადმოცემული 1592 წელს კახეთის სამეფოში მისი სტუმრობის შთაბეჭდილებები[27] და XVIII საუკუნის სპარსელი პოეტის საფი ხალხალის ვრცელი პოემა-მასნავი „ქალაქ თბილისის ქება"[28].

განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი საქართველოსადმი XIX საუკუნეში. ირანელ მოგზაურთა ორი ძირითადი მარშრუტი – მექისაკენ და ევროპისაკენ – სწორედ ამ ქვეყანაზე გადიოდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანამ და სატრანსპორტო რევოლუციამ საქართველოს გზა არსებითად უალტერნატივო გახადა. თუ ადრე მექაში მოგზაურობა ერთი ან ორი წელი გრძელდებოდა და საშიში და ძვირი იყო, ნელ-ნელა ტრანსპორტირებაც გამარტივდა და მოგზაურობის ტემპებიც შეიცვალა. მაგალითად, 1863 წელს სეიფ ად-დოულე თეირანიდან ფოთში სამ თვეში ჩავიდა, 1875 წელს, როცა თბილისი-ფოთის სარკინიგზო ხაზი უკვე ამოქმედებული იყო (გაიხსნა 1872 წ.), ფარჰად მირზამ ამ გზას თვენახევარი მოანდომა, ხოლო 1885 წელს, ბაქო-თბილისი-ბათუმის დამაკავშირებელი მაგისტრალის დასრულების (გაიხსნა 1883 წ.) შემდეგ, ფარაჰანიმ ეს გზა ორ კვირაში დაფარა.

XIX საუკუნეში საქართველოს თავისი გეოპოლიტიკური და მულტიკულტურული თავისებურებების გამო გამორჩეული ადგილი ეკავა რეგიონში. დიდ კულტურათა გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანა როგორც აღმოსავლელი, ისე დასავლელი მოგზაურების ყურადღებას იპყრობდა. განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი თბილისისადმი. აღმოსავლური და დასავლური ყოფისა და კულტურის თანაარსებობა თბილისს განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა. „კავკასიის დედოფალი", „ტკბობის ქალაქი", „სამოცდაათი ენის ქალაქი", „ქალაქი, რომელიც არაფერს ჰგავს ამქვეყნად თავისი თავის გარდა" – აი, ეპითეტების ის მცირე ჩამონათვალი, რომლითაც მოგზაურები თბილისს ამკობდნენ. „ეს მხარე, ჭეშმარიტად, ამქვეყნიური სამოთხეა და ჭკუათმყოფელი კაცი თავისი ნებით ამ ქვეყნიდან არსად წავაო", წერს სეიფ ად-დოულე[29].

---

26 Iraj Afshar, "Persian Travelogues: A Description and Bibliography", 146; მ. თოდუა, „სპარსული წყარო საქართველოში თორქმანთა შემოსევის შესახებ", წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, 173-194.

27 გ. ბერაძე, „ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს. სპარსელი პოეტის ლექსები საქართველოზე)", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1979, № 2, 160-173; G. Berādze, "Dīplomāsī va she'r: Safahāti az tārīkh-e ravābet-e motaqābel-e Īrān va Gorjestān dar avākher-e qarn-e 16", *Ta'sīrāt-e motaqābel-e tārīkhī va farhangī-ye Īrān va Gorjestān (Majmū'e-ye maqālāt)*, Tehran, 1380/2001, 139-150.

28 მ. თოდუა, „საფი ხალხალის „თბილისის ქება", წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, 294.

29 *Safar-nāme-ye Seyf ma'rūf be Safar-nāme-ye Makke*, neveshte-ye Seyf ad-Doule Soltān Mohammad, be tashīh va tahshīye-ye 'Alī Akbar Khodāparast, Tehran, 1364/1985, 85.



თბილისი. ფლორან ჟილის გრავიურა, 1859.

მაგრამ დასავლელი და აღმოსავლელი მოგზაურების დამოკიდებულება და ინტერესი საქართველოსადმი და, განსაკუთრებით, თბილისისადმი რადიკალურად განსხვავდებოდა. ევროპელებისთვის და რუსებისთვის თბილისი იყო ერთგვარი „კარი აღმოსავლეთში" და მათ აქ, ძირითადად, აინტერესებდათ სწორედ აღმოსავლური ეგზოტიკა – აზიური უბანი ვიწრო ქუჩებითა და ძველი ბანიანი სახლებით და, განსაკუთრებით, აღმოსავლური ტიპის ბაზრები, სადაც საკუთარი დუქნების წინ აღმოსავლური წესით ფეხმორთხმული მედუქნეები სპარსულ ხალიჩებს, ფარდაგებს, იარაღს, სამკაულებს და სხვა საქონელს ჰყიდდნენ. თბილისის აღმოსავლური უბნის რომანტიზაციის ტენდენცია XIX საუკუნის ბოლო წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა. ორიენტალური ეგზოტიკის მოტრფიალე დასავლელი და რუსი ავტორები აქ შთაგონების განსაკუთრებულ წყაროს ხედავდნენ. ზოგიერთი მათგანი სპარსულ დუქანს და ყავახანას ერთგვარ მისტიკურ ადგილად წარმოგვიდგენს, სადაც „ბევრი, ბევრი შეუცნობელი რამ იმალება განდობილთათვის"[30].

დასავლელ მოგზაურთაგან განსხვავებით, აღმოსავლელი და, კერძოდ, ირანელი მოგზაურებისათვის თბილისი იყო „კარი დასავლეთში" ანუ ფაქტობრივად პირველი ევროპული ტიპის ქალაქი, რომელსაც ისინი გზაზე ნახულობდნენ. ამდენად, მათი ინტერესების სფეროც განსხვავებული იყო. მათ ყურადღებას, პირველ რიგში, იპყრობდა თბილისის ახალი, ევროპული უბნები, ფართო ქუჩები, ახალი სახლები, ფაბრიკები, სასტუმროები, საავადმყოფოები, თეატრები,

[30] Г. Евангулов, "Тифлисские очерки", *Республика*, №8, Тифлис, 1917.



თბილისი, ირანული ხალიჩების დუქანი. 1870-იანი წლების ფოტოსურათი.

მუზეუმები, კლუბები, სტამბა და სხვა ევროპული დაწესებულებები. ირანელი მოგზაურები ამ ჟანრის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი პედანტურობით აღწერდნენ ყველა იმ სამეცნიერო თუ ტექნიკურ სიახლეს, რომელსაც ამ ქვეყანაში ხვდებოდნენ და რომელთაც, ხშირად, ან თვითონ არქმევდნენ სახელს ან რუსულ და ევროპულ დასახელებებს იყენებდნენ, რადგან შესატყვისი ტერმინი სპარსულ ენაში ჯერ არ არსებობდა.

ირანელი მოგზაურების ინტერესი საქართველოსადმი კიდევ ერთი ასპექტით იყო განპირობებული. მათი უმეტესობისთვის საქართველო იყო ნაწილი იმ დიდი ერთობისა, რომელსაც სპარსულენოვან სამყაროს ეძახიან. საქართველოს გასვლას ირანის დაქვემდებარებიდან და მის რუსეთის იმპერიასთან მიერთებას ისინი ისტორიულ უკულმართობად აღიქვამდნენ. ბუნებრივია, ასეთი განწყობა გაციცლებით ძლიერი იყო XIX საუკუნის დასაწყისის ავტორებთან, რომელთაც ჯერ კიდევ ახსოვდათ დრო, როცა საქართველო პოლიტიკურად და კულტურულად ირანზე იყო გადაჯაჭვული. ამ პოლიტიკური და კულტურული კავშირის ნარმოსაჩენად ისინი დიდი ენთუზიაზმით გვამცნობენ, რომ თბილისი, თურმე, სპარსელი მეფის ანუშირვანის აგებულია, მტკვრის ნაპირზე მდგარი მეჩეთი, მინარეთი და ეკლესიაც კი – შაჰ აბასის, კობის ციხესიმაგრე და დარიალის ხეობის სხვა ძეგლები – დარიოსის და სხვა. ძირითადად ეს მათში ერთგვარ ნოსტალგიურ განწყობილებას იწვევს. „კაცი სანამ საკუთარი თვალით არ ნახავს კავკასიის დედაქალაქს, დანარჩენ დიდ ქალაქებს, სოფლებს, ნათესებს, მდინარეებსა და

ამწვანებულ მინდვრებს, ვერ მიხვდება, ირანის სახელმწიფო მოღვაწეებისა და ხალხის სისულელისა და უვიცობის გამო ჩვენი ძვირფასი სამშობლოს სხეულს რა მნიშვნელოვანი ნაწილი მოწყდა და კასპიის ზღვის გადაღმა რა მდიდარი ქვეყანა დავკარგეთ"[31], – დანანებით წერს იაპია დოულათაბადი. თუმცა ზოგი – მაგალითად, ირანელი მხედართმთავარი ფაშა ხან შოჯა' ალ-მოლქი – უფრო აქტიური ქმედებების მომხრეა: „ამ ვითარების შემყურე თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. მოგზაურობიდან დავბრუნდები თუ არა, დიდებულ შაჰინშაჰს მუხლებში ჩავუვარდები, რომ 30000-იანი ლაშქარი მომცეს, რათა თბილისი რუსებისგან უკან დავიბრუნო"[32]. ეს განწყობა, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში ირანელებს ემოციადღა შემორჩათ, საუკუნის პირველ ათწლეულებში ჯერ კიდევ დიდწილად განსაზღვრავდა ირანის სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. როგორც მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩის მემუარული თხზულებიდან „ჰეირათ-ნამე" („საოცრებათა წიგნი") ვიგებთ, 1809-1810 წლებში ინგლისის მეფის კარზე ჩასული ირანის საელჩო მისიისთვის საქართველოს საკითხი ერთ-ერთი საკვანძო იყო. ინგლისის მეფესთან შეხვედრაზე ილჩიმ მას გადასცა შაჰის თხოვნა, დახმარებოდა თბილისის რუსებისგან გამოხსნაში ისე, როგორც ოსმალეთის სულთანს დაეხმარა ეგვიპტიდან ფრანგული არმიის განდევნაში[33].

ზოგიერთი ავტორი ირანის მიერ საქართველოს დაკარგვაზე პასუხისმგებლობას როგორც ქართველ, ისე ირანელ მეფეებს აკისრებს. მაგალითად, ფარჰად მირზა გულისტკივილით აღნიშნავს: „ირანის შაჰები საქართველოს მმართველებს მეტად რომ გაფრთხილებოდნენ, შესაძლოა, მათ თავი არ შეერცხვინათ და ამდენი ხნის დინასტია ასე უცებ ქარს არ გაჰყოლოდა"[34].

ირანელი მოგზაურების საქართველოსადმი ასეთი „მესაკუთრული" დამოკიდებულება ლაიტმოტივად გასდევს მათ თხზულებებს. ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ ისინი მოელოდნენ, რომ ამ მეზობელ ქვეყანაში, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ირანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, იგივე ან თითქმის იგივე კულტურული და ყოფითი ტრადიცია დახვდებოდათ, რაც მათ სამშობლოში იყო. ზემოთ ნახსენები „სხვა"-„მე"-ს დიქოტომიური მოდელი საქართველოსთან მიმართებაში ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდის: „მე" და „სხვა", რომელიც ადრე „მე"-ს ნაწილი იყო. ამდენად, მოულოდნელობის ეფექტი აქ განსაკუთრებული სიმძაფრით იჩენს თავს და, დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სხვაობა ძლიერ გაღიზიანებას იწვევს. ახალი, „გაევროპულებული"

---

31 Yahyā Doulatābādī, *Hayāt-e Yahyā*, j. 3, Tehran, 1387/2008, 853.

32 *Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk*, be kūshesh-e Manūchehr Mahmūdī, Tehran, 1351/1972, 16.

33 *A Persian at the Court of King George, 1809-10: The Journal of Mirza Abul Hassan Khan*, Translated and Edited by M. M. Cloake, Introduction by D. Wright, London, 1988, 60, 64, 69, 91, 117, 119, 164; ი. ნაჭყებია, *ნარკვევები საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისი)*, თბილისი, 2002, 88-91; G. Beradze, I. Natchkebia, "Une question de Tbilissi dans les négotiations de Mirza Abul Hassan Khan (1809-1810)", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*, Abstracts, Tbilisi, 2002, 18-19.

34 *Safar-nāme-ye Farhād Mīrzā*, tashīh va tahshīye-ye Gholāmrezā Tabātabā'ī, Tehran, 1366/1987, 47.

საქართველოს აღწერისას ისინი მძაფრად აკრიტიკებენ ფოსტის სადგურებსა და საბაჟოებზე გამეფებულ მექრთამეობას, გზებზე ყაჩაღობასა და ძარცვას. მათი განსაკუთრებული გაკიცხვის საგანია ქალების სოციალური სტატუსი, მათი ჩაცმულობა და ქცევის სტილი, რომელსაც ისინი „რუსულს" უწოდებენ. ისინი აღნიშნავენ საქართველოში ზნეობის დაცემას და ამას რუსეთის „დამღუპველ" ზეგავლენას მიაწერენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ მკაცრი კრიტიკის პარალელურად, მოგზაურები მოწონებით აღწერენ ქვეყნის ეკონომიკურ მიღწევებს, რომლებსაც ასევე რუსეთს უკავშირებენ. ისინი აღიარებენ, რომ საქართველოში, ირანისგან განსხვავებით, აღმშენებლობის პროცესი მიდის. „ჩემ წინ გაშლილი აყვავებული მიწები ღიმილით მეუბნებიან, – წერს იაჰია დოულათაბადი, – ირანის შემადგენლობაში რომ დავრჩენილიყავით, განა ასეთ კეთილდღეობას მივაღწევდით? უეჭველია, წლების განმავლობაში ისევ ისე გავერანებულები, ვირებისა და საფორანე ცხენების წიხლებქვეშ გათელილები და გაქელილები ვიქნებოდით. ახლა კი რკინიგზის ხაზები ვენებისა და არტერიების მსგავსად ჩვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებენ და ჩვენს ძარღვებს სიცოცხლეს შთაბერავენ"[35].

3. ირანელ მოგზაურთა ინტერესები საქართველოში

ისტორია

ირანელი მოგზაურები საქართველოს ისტორიით, ჩვეულებრივ, მხოლოდ ირან-საქართველოს ურთიერთობების კუთხით ინტერესდებოდნენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი უმეტესობისთვის საქართველო იყო ნაწილი დიდი სპარსულენოვანი სამყაროსი, მისი ერთ-ერთი *ვილაიეთი*, რომლის მმართველები – ქართველი მეფეები ირანის შაჰების ვასალებს წარმოადგენდნენ, მათ სახელზე ფულს ჭრიდნენ და საჩუქრად ხალათებს იღებდნენ. ირანელი შაჰების დამპყრობელ ომებს საქართველოში ისინი განიხილავენ, როგორც „სადამსჯელო ლაშქრობებს" მეამბოხე და დაუმორჩილებელი ხალხის წინააღმდეგ[36]. მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუ აღიარებს, რომ ირან-საქართველოს განყვეტილი ურთიერთობა ირანის შაჰების უგუნური და სასტიკი პოლიტიკის შედეგი იყო. უფლისწული ბაჰმან მირზა მკაცრად აკრიტიკებს ირანის მმართველებს, განსაკუთრებით, „ულმობელ" და „გულქვა" შაჰ აბასს, რომელიც „უდანაშაულო" ქართველ ხალხს თავს ესხმოდა, სასტიკად აწიოკებდა და ქვეყანას აოხრებდა[37].

---

35 Yahyā Doulatābādī, *Hayāt-e Yahyā*, 853; Ter-Oganov, N., "Two Iranian Authors, Majd os-Saltaneh and Yahya Dowlatabadi, on Tbilisi", *ტიპოლოგიური ძიებანი*, IV, თბილისი, 2000, 408.

36 Mīrzā Sāleh Shīrāzī, *Safar-nāme*, bā motāle'e va hamkārī va moqaddame-ye Esmā'īl Rā'yīn, Tehran, 1347/1968, 64.

37 Bahman Mīrzā, *Shokr-nāme-ye Shāhanshāhī: Tārīkh-e shast-sāle-ye Qafqāz*, moqaddame, tashīh va yāddāshthā-ye Hoseyn Ahmadī, Tehran, 1384/2005, 72; А. Х. Аванесов, "„Шукр-наме-йе Шахиншахи" Бахмана Мирзы", *ქართული წყაროთმცოდნეობა*, III, თბილისი, 1971, 321-322.

საქართველოს რუსეთთან მიერთებას მოგზაურების ნაწილი საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის მკაცრი კრიტიკით ეხმაურება და ირწმუნება, რუსების ხელში ჩავარდნილი ქართველები ისეთ საშინელ დღეში არიან, რომ „დღე და ღამე ირანის შაჰის დღეგრძელობისთვის ლოცულობენ და მას რუსებისგან განთავისუფლებას შესთხოვენო"[38]. ირანელ მოგზაურთა ნაწერებს ლაიტმოტივად გასდევს ოცნება „ისტორიულ სამართლიანობაზე" – „ნეტავ, ჩვენმა ძლევამოსილმა მბრძანებელმა კავკასია რუსეთს კლანჭებიდან გამოსტაცოს"[39]. თუმცა ზოგიერთი არსებულ ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებს და აღიარებს, რომ განახლებული საქართველო ბევრი ასპექტით არა თუ არ ჩამოუვარდება, არამედ წინ უსწრებს ირანს.

გეოგრაფია, ბუნება, კლიმატი

ირანელ მოგზაურთა უმეტესობა საქართველოს გეოგრაფიულ მიმოხილვას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. მათ ნაწერებში გვხვდება ინფორმაცია საქართველოს ადგილმდებარეობის (ზოგჯერ განედისა და გრძედის მითითებით), საზღვრების, უახლოესი მეზობლების, ქალაქებისა და სოფლების, ზღვების, მდინარეების, მთების, ტყეების შესახებ. განსაკუთრებით ისინი მდინარე მტკვრით ინტერესდებიან. მტკვრის სათავის, შენაკადებისა და შემოგარენის ყველაზე დეტალურ აღწერას შეიცავს ფარჰად მირზასა და მოჰამად რეზა თაბათაბაი თაბრიზის „მოგზაურობის წიგნები". ორივე მოგზაურის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს თბილისის გუბერნიის გუბერნატორის კ. ორლოვსკის წიგნი, რომელიც სპარსულად მირზა ფათჰალი ახუნდოვმა თარგმნა.

ირანელი მოგზაურები საქართველოს გეოგრაფიული პუნქტების დასახელებისას ხშირად მათ აღმოსავლურ და რუსულ სახელებს ხმარობენ: ყაზბეგის მთას ყაფის მთას ეძახიან[40], შავ ზღვას – ყარადანგიზს და დარია-იე ასვადს, კასპიის ზღვას – ასტრახანის და ხაზართა ზღვას, ახალციხეს – ახისხას, მდინარე ხრამს – სანაყს, მდინარე არაგვს და არაგვის ხეობას – ყარაყალხანს, იმერეთს – ბაშ-აჩოყს, ქსანს – ქსანკას, ნუკრიანს – ნუკრიანსკაიას და სხვა.

საქართველოს ბუნებით მოხიბლული ირანელი მოგზაურები მას ისეთი ეპითეტებით ამკობენ, როგორიცაა „ამქვეყნიური სამოთხე", „გამაოგნებელი სილამაზე, რომლის შექმნაშიც, უეჭველია, ღმერთის ხელი ურევია", ქვეყანა, საიდანაც „ჭკუათმყოფელი კაცი თავისი ნებით არსად წავა". აღტაცებული შეძახილების კასკადს ისინი ხშირად ასე აბოლოებენ: „კალამი უძლურია გადმოსცეს ამ

---

38 *Safar-nāme-ye Mīrzā Abū'l-Hasan Khān Shīrāzī (Īlchī) be Rūsīye*, be qalam-e Mīrzā Mohammad Hādī 'Alavī Shīrāzī, be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 1357/1978, 28.

39 *Mosāferat-e Teflīs*, 87.

40 ყაფის მთა მუსლიმური წარმოდგენებით არის მითიური მთა, რომელიც დედამიწას გარს ერტყმის. მეორე მხრივ, იგივე მუსლიმური ტრადიცია მას კავკასიის მთიანეთს უკავშირებს. ეს ორგვარი გაგება ტერმინისა შუა საუკუნეების არაბულ-სპარსულ ნერილობით წყაროებშიც არის ასახული (დაწვრილებით იხ.: გ. წერეთელი, „შაპურის წარწერის kpy TWR'", *აღმოსავლური ფილოლოგია*, III, თბილისი, 1973, 47-56). ყაჯართა პერიოდის ირანელი მოგზაურები ამ სახელით, ძირითადად, ყაზბეგის მთას მოიხსენიებენ.

გზების, მთების, მდინარეების და ტყეების სილამაზე ... უმჯობესია, წახვიდეთ და თავად ნახოთ"[41].

ასევე ერთსულოვანნი, ოღონდ ნეგატიური თვალსაზრისით, არიან ირანელი მოგზაურები საქართველოს კლიმატის შეფასებაში. ისინი იწუნებენ ამინდის ხშირ ცვალებადობას, მკვეთრ გადასვლებს ძლიერი სიცხიდან ძლიერი სიცივისკენ და, განსაკუთრებით, სამეგრელოს ნესტიან ჰავასა და ნიადაგს, რომელიც ხშირად ციებ-ცხელებას იწვევს.

გზები და ტრანსპორტი. დაბრკოლებები გზაზე

ირანელი მოგზაურები საქართველოში, ძირითადად, აღსთაფასა და წითელი ხიდის გავლით შემოდიოდნენ და გარკვეული ხანი თბილისში ჩერდებოდნენ. შემდეგ მათი გზები იყოფოდა: რუსეთში მიმავალები თბილისი-ვლადიკავკაზის სამხედრო გზით სარგებლობდნენ, მექაში მოგზაური პილიგრიმები კი დასავლეთ საქართველოს გავლით ჯერ ფოთში, იქიდან კი პატარა გემებით ბათუმში ჩადიოდნენ და სტამბოლისკენ მიმავალ დიდ ხომალდებზე სხდებოდნენ. ევროპაში მოგზაურები ამ ორი გზიდან ხან ერთს არჩევდნენ და ხან მეორეს.



გატეხილი ხიდი (ახლანდელი წითელი ხიდი). ფლორან ჟილის გრავიურა, 1859.

ირანელი მოგზაურები დიდ ყურადღებას უთმობდნენ გზების მდგომარეობის აღწერას. რუსეთის იმპერიაში მათ ამ კუთხით დიდი აღმშენებლობა დახვდათ. „რუსეთის ხელისუფლება გზის სამუშაოებზე მილიონებს ხარჯავს", „ადამიანის ნება მთებს აპობს", „ფარჰადის მსგავსად მთებს ჭრიან, ასწორებენ და შიგ გვირაბები გაჰყავთ, ხეობებს ავსებენ და ავაკებენ და მდინარეებზე რკინის ხიდებს

[41] *Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk*, 19.

აგებენ", „ამ სამუშაოების მნახველი გაოცებული დარჩები" – ასეთ შეფასებებს ბევრი მოგზაურის ჩანაწერებში შეხვდებით.

1860-იან წლებამდე საქართველოში ძირითად სამგზავრო საშუალებას საფოსტო ეტლები წარმოადგენდა. გზები მოფენილი იყო ფოსტის სადგურებით – *ჩაფარხანეებით*, რომლებშიც მოგზაურები ცხენებს ცვლიდნენ, ისვენებდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, ღამეს ატარებდნენ. ირანელი მოგზაურების აღწერით, ფოსტის სადგურები დიდი, კეთილმოწყობილი შენობები იყო, სადაც ცხოვრობდნენ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი ჯარისკაცები ოჯახებთან ერთად, რომელთა მოვალეობასაც ფოსტის დარაჯობა და მგზავრების მომსახურება შეადგენდა. მაგრამ მიუხედავად მოწესრიგებული გზების, კომფორტული ტრანსპორტის და კეთილმოწყობილი ფოსტის სადგურებისა, მოგზაურებისთვის ეს გზა მრავალი სიძნელით იყო აღსავსე. გარდა იმისა, რომ იძულებულები იყვნენ, ყველა ფოსტის სადგურში გაჩერებულიყვნენ, პასპორტი და „პოდოროჟნა"[42] წარედგინათ, შიგ ბეჭედი ჩაერტყათ და ამ ყველაფერში ფული გადაეხადათ, ზოგიერთ ფოსტის სადგურში მათ განგებ აყოვნებდნენ და ცხენების გამოცვლაში ან პასპორტში „ყაზანის" ბეჭდის ჩარტყმაში, რაც შეუფერხებლად მგზავრობის გარანტია იყო, ქრთამს სთხოვდნენ. ამას ემატებოდა ყაჩაღობა გზაზე. ამ მხრივ განსაკუთრებით სახიფათო განჯის რაიონი და სამხედრო გზის კობი-ლარსის მონაკვეთი იყო. ამ უკანასკნელზე კავკასიის მთიელი ხალხების შეიარაღებული ჯგუფები დათარეშობდნენ, მგზავრებს ძარცვავდნენ ან ტყვედ აპყავდათ და გამოსასყიდს სთხოვდნენ. მოგზაურები იძულებულები იყვნენ შეიარაღებული დაცვის თანხლებით ემგზავრათ, მაგრამ ზოგჯერ ესეც არ შველოდა: 1829 წელს უფლისწულ ხოსროვ მირზას ამალას, რომელსაც 50 კაზაკი ცხენოსანი, 80 ჯარისკაცი და ერთი ქვემეხი ახლდა, კობის სიახლოვეს ჩეჩნებისა და ქისტების ჯგუფი დაესხა თავს, სროლა აუტეხა და უფლისწული მხოლოდ ბადრაგის სიმამაცემ იხსნა.

თბილისი-ბათუმის სარკინიგზო ხაზის – „შემენდეფერის", როგორც მას ირანელი მოგზაურები ფრანგულ ყაიდაზე ეძახდნენ, – მშენებლობამ და 1883 წელს მასზე ბაქო-თბილისის ხაზის მიერთებამ მგზავრობა ძლიერ გაამარტივა, დააჩქარა და, რაც მთავარია, შედარებით უსაფრთხო გახადა[43]. ამდენად, გასაგებია ირანელი მოგზაურების გამორჩეული ინტერესი მათთვის ამ ახალი ტრანსპორტისადმი, რომელსაც რუსულ-ევროპული სახელებით მოიხსენიებენ და ხან „ორთქლის კალიასკას" ეძახიან, ხან „მაშინას", ხან – „ვაგონს" და ხან – „თრენს". რკინიგზის სპარსული სახელი „რაჰ-ე აჰან" (სიტყვ. „რკინის გზა") მათ ჩანაწერებში მხოლოდ XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოდან ჩნდება.

---

[42] „პოდოროჟნა" ანუ „პოდოროჟნაია" (подорожная) იყო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მგზავრის უფლებას ესარგებლა საფოსტო ცხენებით.

[43] „შემენდეფერი" (ფრ. chemin de fer – „რკინის გზა") ანუ ბაქო-თბილისი-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალი არა მარტო აღმოსავლელი, არამედ დასავლელი მოგზაურების აღტაცებასაც იწვევდა. „სიმშვენიერით ვერაფერი შეედრება ბათუმი-თბილისის რკინიგზის ხაზს", წერდა ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე ჯ. კერზონი, რომელმაც ირანში მოგზაურობის დროს საქართველო გაიარა (J.N. Curzon, *Persia and the Persian Question*, Vol.1, London, 1892, 63).

ამდენად, განსაკუთრებული დეტალიზაცია როგორც თავად მატარებლის, ისე მასზე მგზავრობის წესების აღწერისას სწორედ ამ „უცხო მოვლენის" საკუთარი ხალხისთვის გაცნობის სურვილით იყო განპირობებული.

ირანელი მოგზაურები დაწვრილებით აღწერენ მათთვის მოსახერხებელ კიდევ ერთ ტრანსპორტს – გემს. ისინი ახსენებენ ბათუმის პორტში მომუშავე ოთხი ქვეყნის – ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის სანავიგაციო კომპანიებს, რომელთაც განსაზღვრული განრიგი ჰქონდათ. ირანელი მოგზაურები უპირატესობას გერმანული კომპანიის გემებს ანიჭებდნენ, რადგან, მათი მტკიცებით, ისინი უფრო კომფორტული, სწრაფი და უსაფრთხო იყო და, რაც მთავარია, მათზე მგზავრებს გამორჩეულად პატივისცემით ექცეოდნენ. მიუხედავად ზღვაზე მოგზაურობასთან დაკავშირებული სიძნელეებისა, ირანელებისთვის და, განსაკუთრებით, პილიგრიმებისთვის ეს გზა ყველაზე მოსახერხებელი იყო.

ყველაზე დიდი წინააღმდეგობა, რასაც ირანელი მოგზაურები რუსეთის იმპერიაში აწყდებოდნენ, საბაჟოებზე გამეფებული ბიუროკრატია და კორუფცია იყო. ქვეყანაში დაწესებული უზარმაზარი საბაჟო გადასახადები ეხებოდა პრაქტიკულად ყველაფერს, რაც მოგზაურს ქვეყნის გარეთ გაჰქონდა, მისი საგზლისა და პირადი ნივთების ჩათვლით. მოგზაურები აღშფოთებით წერენ, რომ მებაჟეები ბარგში იქექებიან, გადამალული ნივთების ძებნაში დასაჯდომ ბალიშებს, საბნებსა და მუთაქებს არღვევენ და ხალხს ჯიბეებსა და იღლიებსაც კი უთვალიერებენ, ამ დროს კი საბაჟოს მოხელეები და ჯარისკაცები აურზაურით სარგებლობენ და საქონელს იპარავენ. ამ მხრივ განსაკუთრებით ბათუმის საბაჟო გამოირჩეოდა. იქ არსებობდა კორუფციის მთელი სისტემა, რომლის მეშვეობითაც საბაჟოს მოხელეები და მათთან დაკავშირებული დალალები (შუამავლები) ირანელ მგზავრებს ფულს სძალავდნენ: აიძულებდნენ პასპორტში ორმაგი ფასი გადაეხადათ, ბინა ჩვეულებრივზე მაღალ ფასებში ექირავათ, პროდუქტი ძალიან ძვირად ეყიდათ, ხოლო საკუთარი ისე იაფად გაეყიდათ, რომ გაყიდვას აზრიც აღარ ჰქონდა. ფარაჰანის ცნობით, 1885 წელს ამ კორუფციულ სისტემას ორი ურთიერთდაპირისპირებული ირანული დაჯგუფება განაგებდა, რომელთაგან ერთს სათავეში ბათუმში ირანის ხელისუფლების წარმომადგენელი თექრანი, მეორეს კი საბაჟოს ჯარისკაცი ჰაჯი ყოლამი ედგნენ[44].

მოსახლეობა

საქართველოს მოსახლეობის აღწერისას ირანელი მოგზაურები ყურადღებას, ძირითადად, მის ეთნიკურ სიჭრელეზე ამახვილებენ. ისინი გაოცებით აღნიშნავენ, რომ აქ ქართველები, სომხები, რუსები, მუსლიმები, მთიელები (ჩერქეზები, ჩეჩნები, კაზაკები და სხვა), ებრაელები, ბერძნები და „უცხოელი ქრისტიანები" (ასე მოიხსენიებენ ისინი არამართლმადიდებელ ქრისტიან ევროპელებს) ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ და გარეგნობით, ჩაცმულობით, წეს-

---

[44] *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī*, 85. ამ საკითხზე იხ. G. Beradze, "The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage: Iranians in Tbilisi and Batumi (Late Nineteenth Century)", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*, Abstracts, Tbilisi, 2002, 14-17.

ჩვეულებებით და ხშირად ენითაც კი ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან. მათი დაკვირვებით, საქართველოში მცხოვრებ ხალხთაგან ყველას თავისი „ეთნიკური" პროფესია ჰქონდა: ქართველები მიწათმოქმედებას მისდევდნენ, სომხები, ებრაელები და ირანელები – ვაჭრობასა და ხელოსნობას, თურქები – მეცხოველეობას, ბერძნები – ქვისმთლელობას და ასე შემდეგ.

ქართველების შეფასებაში ირანელი მოგზაურები, მეტწილად, ერთსულოვანნი არიან: ლამაზი, თავისუფალი, მხიარული და უდარდელი ხალხი, რომელიც „დროს, ძირითადად, სიამოვნებასა და უზრუნველ ცხოვრებაში ატარებს"[45] და „რომლის ერთადერთი სადარდებელი ფულია"[46]. „გამიჭირდება მათ [თბილისელებს] ჩვეულებრივი ადამიანები ვუწოდო და, საერთოდ, ადამის მოდგმას მივაკუთვნო, – წერს იაყუბ მირზა თაბრიზი, – რადგან ერთ ქალაქში ამდენი ლამაზი ადამიანის არსებობა არც ვინმესგან გამიგია და არც ქრონიკებში წამიკითხავს. დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს თეთრი პირისახე, ნახევარმთვარესავით მორკალული წარბები, კაკაბის მიხვრა-მოხვრა და საროს ტანი აქვს"[47].

ირანელი მოგზაურები განსაკუთრებულ ყურადღებას „სიმშვენიერით განთქმულ" ქართველ ქალებს უთმობენ და მათ აღტაცებული ეპითეტებით და ზოგჯერ ლექსებითაც ამკობენ. ამ მხრივ გამორჩეულია ნასერ ად-დინ შაჰის მოგონებები[48]. იგი აქებს ქართველი ქალების მშვენიერებასა და მოხდენილ ჩაცმულობას, თუმცა გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ისინი ძირითადად ევროპულად იცვამენ იმ დროს, როცა ქართული სამოსი უფრო ლამაზიაო[49]. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ირანელი მოგზაურების ქართველი ქალით აღტაცება ერთგვარად შიშნარევია. ნაიებ ას-სადრ შირაზი მათ ჩინგიზ ხანის სისხლისმსმელ მეომრებს ადარებს, რომელთა მომაკვდინებელ იარაღს – თვალთა ისრებს ამ ქვეყნად ყველაზე მოხერხებული კაციც კი ვერ დაუძვრება. მოგზაური იხსენებს ქრისტიანი ქალის მიერ ცნობილი შეიხ სანაანის ცდუნების ამბავს[50] და დასძენს:

---

45 *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī*, 88.

46 *Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk*, 19.

47 Ya'qūb Mīrzā Tabrīzī, "Hajj-e Mansūr", ნიგნში: *Panjāh safar-nāme-ye Hajj-e Qājārī*, j. 2, 269.

48 Fāteme Qāzīhā, "Zan az negāh-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-nāmehā-ye Farangestān", *Hoqūq-e Zanān*, Tehran, 1377/1998, No.2, 47-53.

49 *Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e avval-e Farangestān*, be kūshesh-e Fāteme Qāzīhā, Tehran, 1377/1998, 364.

50 ლეგენდა შეიხ სანაანზე, რომელმაც რუმელი ქრისტიანი ქალის სიყვარულით უარყო ისლამი და გაქრისტიანდა, ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში. ჩამოყალიბდა ამ ამბის საქართველოსთან დაკავშირებული ლოკალური ვერსიაც, რომელშიც შეცვლილია არა მარტო გეოგრაფიული არეალი (მოქმედება რუმიდან საქართველოშია გადმოტანილი), არამედ ამბის ბოლოც: თუ სპარსულ ვერსიაში შეიხ სანაანი ისლამს დაუბრუნდა, თბილისურ ვერსიაში იგი ქრისტიანად დარჩა, მეტიც, დიდი სასულიერო მოღვაწე მამა დავით გარეჯელი გახდა და იგი მამადავითის ეკლესიის ეზოშია დაკრძალული (ვრცლად შეიხ სანაანის კავშირზე თბილისთან იხ.: მ.ალექსიძე, სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში, თბილისი, 2009, 9-26, 109-115; M. Alexidze, "Le Cheikh Sanaan et Tiflis/Tbilissi", *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Iréne Natchkebia, Paris, 2009, 73-85; 'Alī Javāher Kalām, "Mazār-e Sheykh Sana'ān dar Teflīs", *Armaghān*, Vol. 39, No.11-12, Tehran, 1349/1971, 761-764)

შემთხვევითი არ არის, რომ ეს ამბავი სწორედ საქართველოში მოხდა, რადგან ეს ისეთი ქვეყანაა, ცასაც კი დააკარგვინებს რწმენასო[51].

ზნეობრივი გარემო. ქალი და მორალის საკითხები

ირანელ მოგზაურთა მიერ უცხო ქვეყნების ზნეობრივი გარემოს შეფასება ერთი იმ სფეროთაგანია, რომელშიც განსაკუთრებული სიცხადით აისახა ორ ცივილიზაციას შორის არსებული კულტურული განსხვავება. „ეს ქვეყანა ჩვენი ქვეყნისგან რადიკალურად განსხვავდება, – წერს სეიფ ად-დოულე, – აქ ღვთისმოსავობისა და წესიერების გარდა, რასაც მოისურვებ, ყველაფერს იშოვი... ვისაც როგორი აღვირახსნილი ცხოვრება უნდა, აქ ამისთვის ყველა პირობაა შექმნილი და არანაირი დაბრკოლება არ არსებობს... ღმერთმა დაიფაროს ამ ქვეყანაში მოხვედრილი მუსლიმი მოგზაური ეშმაკის ცდუნებისა და გარყვნილებისაგან"[52]. განსაკუთრებით მძაფრი იყო მექასა და სხვა წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მოგზაურების რეაქცია. იაყუბ მირზა თაბრიზი პილიგრიმებს აფრთხილებს, რომ კავკასიაზე გავლას ერიდონ, რადგან „ეს ლხინისა და დროსტარების გზაა და არა პილიგრიმობის"[53].

ირანელი მოგზაურების კრიტიკის მთავარ სამიზნეს კავკასიელი ქალები წარმოადგენდნენ. ქალების გარეგნული იერი, მათი ჩაცმულობა მეჯლისებსა და წვეულებებზე, ურთიერთობა კაცებთან (ირანელი კაცების ჩათვლით) შოკისმომგვრელი იყო მათთვის. მოგზაურთა წინაშე ორი პრობლემა იდგა: როგორ მოქცეულიყვნენ ისინი ქალების, განსაკუთრებით მაღალი წრისა და წოდების ქალბატონების, თანდასწრებით და როგორ უნდა ეწერათ მათზე ისე, რომ თან ობიექტურები ყოფილიყვნენ და თან არ შეელახათ გალანტური და მომხიბვლელი კაცის იმიჯი, რომელიც, მათი წარმოდგენით, ირანელ კაცს ჰქონდა.

ქალებისა და ზოგადად მორალის საკითხებისადმი ყველა სპარსელი მოგზაურის დამოკიდებულება არ არის ერთგვაროვანი. ამ მხრივ გამორჩეულად მკაცრია აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩი, რომლის კრიტიკა ხშირად შეურაცხყოფაშიც კი გადადის. ილჩი წერს, რომ როგორც კი გადმოლახა ირანის საზღვარი, ის გარყვნილების სამყაროში მოხვდა: ადგილობრივი ქალები რუს კაცებთან ერთად დადიან აბანოში, მათთან ერთად სვამენ ღვინოს და დაუფარავად ატყუებენ ქმრებს, რომლებიც მათ წინააღმდეგობას ვერ უნევენ. ისინი სარგებლობენ თავიანთი თავისუფლებით, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ, ნებისმიერ თემაზე ლაპარაკობენ და არ არსებობს კაცი, რომლის ავტორიტეტიც მათ დააკავებს. ილჩის კრიტიკა ეხება როგორც დაბალი, ისე მაღალი წრის ქალებს: მისი თქმით, თბილისის გუბერნატორის ცოლიც კი ღიად ატყუებს თავის ქმარს, რომელიც ამ სიტუაციაში ვერაფერს ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ „ადგილობრივ ქალებზე" ლაპარაკისას ის მიჯნავს კავკასიაში მცხოვრებ რუს ქალებს და ადგილობ-

---

51 Nāyeb as-Sadr Shīrāzī, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye Hajj-e Qājārī*, j. 5, 366.

52 *Safar-nāme-ye Seyf*, 79.

53 Ya'qūb Mīrzā Tabrīzī, Hajj-e Mansūr, 287.

რივებს, რომლებიც „ზოგჯერ მათ ბაძავენ, იხატებიან და მათი ცხოვრების წესით ცხოვრობენ"[54].

თუმცა იყვნენ ისეთი მოგზაურებიც, რომლებშიც კავკასიელი ქალების ემანსიპირებული მდგომარეობა არათუ გაღიზიანებას, შექებასაც კი იმსახურებდა. 1894 წელს თბილისში ჩამოსული ირანელი გენერალი მაჯდ ას-სალთანე აღტაცებით წერს, რომ „ქალების უმეტესობა სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობს: მაღაზიის დირექტორად, ბუღალტრად, მოლარედ, მოსამსახურედ და სხვა. ქალები სახელმწიფო დაწესებულებებშიც მსახურობენ და ძირითადად ტელეგრაფისტები, მდივნები და რკინიგზის სალაროებში ბილეთების გამყიდველები არიან. ისინი კაცების მსგავსად მოსამართლეებადაც მუშაობენ და ამ პროფესიის სპეციალურ ტანსაცმელს ატარებენ. ოფიცერი ქალების უმეტესობა შორეული ქალაქების გარნიზონებსა და ჯარში მსახურობს და მათ თან ქმრებიც მიჰყვებიან"[55]. მოგზაური მოწონებით აღნიშნავს, რომ „თეატრებსა და სხვა თავშეყრის ადგილებში ქმრები თავიანთ ცოლებს მოწიწებით პალტოს აცმევენ და თუ ქალს ქმარი არ ახლავს, მას ნათესავი ან ნაცნობი მოემსახურება"[56]. თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ილჩისა და მაჯდ ას-სალთანეს ვიზიტებს შორის 80-წლიანი ინტერვალია და ამასობაში სიტუაცია ამ კუთხით ირანშიც ასე თუ ისე შეიცვალა, რაც, დიდწილად, ირანელების მიერ უცხო ქვეყნების მონახულებამ და მათი ცხოვრების ნირის გაცნობამ განაპირობა. ბევრ მათგანს უკვე მოსწონდა, რომ ქალებს ისეთივე უფლებები ჰქონდათ, როგორც კაცებს, შეეძლოთ აერჩიათ ქმარი, ჩაეცვათ ნებისმიერი ტანსაცმელი და არ დაემალათ სახე უცხო ხალხისგან. ევროპაში მეორე მოგზაურობიდან დაბრუნებულ ჰაჯი ფირზადეს თავისი მეგობრისთვის უთქვამს: „ცოტა ხანში ამ თელებქვეშ კაცებთან ერთად ქალები ჩაის დასალევად უჩადროდ დასხდებიანო"[57].

აღსანიშნავია, რომ ირანელი მოგზაურების დამოკიდებულება ევროპელი ქალებისადმი ხშირად განსხვავებულია. ისინი მათ „სამოთხის ჰურიებს" უწოდებენ, აღტაცებული ეპითეტებით ამკობენ და ირანული ეპოსის ცნობილ ქალებს ვისს, ლეილის, აზრას ადარებენ[58]. მიზეზი ალბათ უნდა იყოს მეტი დისტანცია (არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ კულტურული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც), რაც შეფასების ნაკლებ კრიტიკულობას განაპირობებს – განსხვავებით ზემოთ აღნიშნული „მესაკუთრული" დამოკიდებულებისაგან, რომელიც ცხადად იჩენს თავს ქართველ და, ზოგადად, კავკასიელ ქალებზე მსჯელობისას[59].

---

54 *Safar-nāme-ye Mīrzā Abū'l-Hasan Khān Shīrāzī (Īlchī) be Rūsīye*, 28.

55 მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1971, 54.

56 მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, 54.

57 *Safar-nāme-ye Hājī Pīrzāde Nā'īnī*, bā moqaddame va fahāres az Īraj Afshār, j. 1, Tehran, 1963/64, 18; Д.С. Комиссаров, "Персидская художественная проза..", 233.

58 Mohamad Tavakoli-Targhi, *Refashioning Iran: Orientalism, Occidentalism and Historiography*, London & New York, 2001, 54-76.

59 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: მ. ალექსიძე, „ქალი და მორალის საკითხები XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა წიგნებში", *კოტე ფალავა 90*, საიუბილეო კრებული მიძღვნილი კოტე ფალავას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, თბილისი, 2012, 117-121.

მოსავალი და საკვები

საქართველოში გავრცელებულ სამეურნეო კულტურებს შორის ირანელი მოგზაურები გამოყოფენ ბამბას, ბრინჯს, ხორბალს, სიმინდს, აბრეშუმსა და თამბაქოს, რომელთაგან თამბაქო, აბრეშუმი და სიმინდი ქართველებს ექსპორტზეც გააქვთ და ამით ქვეყანა დიდ მოგებას იღებს. ისინი აღნიშნავენ ხილის ნაირგვარობას, სიუხვესა და სიიაფეს ამ ქვეყანაში, თუმცა როგორც ზემოთ ჩამოთვლილ კულტურებს, ისე ხილს ხარისხს უწუნებენ.

ქართველების რაციონის უმნიშვნელოვანეს პროდუქტებად მოგზაურები პურს, სიმინდს და ხორცს ასახელებენ და განსაკუთრებით ღორის ხორცზე ამახვილებენ ყურადღებას. ამ ქვეყნის საძოვრები ღორის კოლტებითაა მოფენილი და ხალხი იმდენ ღორის ხორცს ჭამს და ღვინოს სვამს, რომ ვერ მოთვლიო, წერენ ისინი. ღორის ხორცის და ღვინის სიყვარული მათში, ძირითადად, გაღიზიანებას იწვევს, თუმცა ზოგიერთები არა მარტო აღიარებენ ქართული, განსაკუთრებით კახური ღვინის ხარისხს და კარგ გემოს, არამედ მას სამკურნალო თვისებებსაც მიაწერენ და ამტკიცებენ, ამ ღვინოს ექიმები ავადმყოფს წამლად უნიშნავენო[60]. საფიქრელია, რომ მათ ამ გამონათქვამებში აისახა მუსლიმის ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა – ინტერესი ამ „აკრძალული ხილისადმი".

სასტამბო საქმე და პრესა

ირანელი მოგზაურებისათვის თბილისი იყო უახლოესი ქალაქი, სადაც შეიძლებოდა „ევროპული" ხელობის – სასტამბო საქმის შესწავლა. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1821 წელს ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის აბას მირზას რჩევით აქ ლითოგრაფიის ტექნიკის შესასწავლად ჩამოვიდა ირანელი მხატვარი ალაჰვერდი[61]. ირანელ მოგზაურთაგან თბილისში სასტამბო საქმეს დაეუფლა ჰაჯ საიიაჰიც (1859 წელს). თბილისში ცხოვრების პერიოდში ის რეგულარულად დადიოდა თავისი თბილისელი მფარველის ჰამბარცუნის კუთვნილ სტამბაში და იქ ასოთამწყობის პროფესიას სწავლობდა.

ირანელი მოგზაურები ინტერესდებიან თბილისში გამომავალი გაზეთებით. მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, 1879 წელს აქ ოთხი ყოველდღიური რუსულ და ქართულენოვანი გაზეთი და ორი ყოველკვირეული თურქულ და სომხურენოვანი გაზეთი იბეჭდებოდა, ხოლო 1885 წელს – თურქულენოვანი გაზეთები: „კავკასიის სინათლე" (*ზია'-ე ყაფყაზ*) და „ქაშქული". 1871 წელს თბილისში ჩამოსული თაბიბ ქაშანი ახსენებს გაზეთ „კავკაზს" და თავის ჩანაწერებს ურთავს ნაწყვეტებს ამ გაზეთის სტატიებიდან, რომლებიც, მისი აზრით, მკითხველს

---

[60] *Tohaf-e ahl-e Bokhārā*, asar-e Mīrzā Serāj ad-Din Hājjī Mīrzā 'Abd ar-Ra'ūf, ba moqaddamei az Mohammad Asadīyān, Tehran, 1369/1990, 67.

[61] ამის შესახებ იხ.: О.П. Щеглова, *Иранская литографированная книга (Из истории книжного дела в Иране в XIX – первом десятилетии XX в.)*, Москва, 1979, 30; Nugzar Ter-Oganov, "Two Iranian Authors, Majd os-Saltaneh and Yahya Dowlatabadi, on Tbilisi", *ტიპოლოგიური ძიებანი*, IV, თბილისი, 2000, 402; მისივე, "Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Madjd os- Saltaneh et Yahya Dowlatabadi", *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 271.

მცდარ ცნობებს აწვდიან ირანის შესახებ[62]. თბილისის ერთ-ერთ რუსულენოვან გაზეთში (სავარაუდოდ, იმავე „კავკაზში") ირანის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ და ირანის პირველი მინისტრის კრიტიკამ 1889 წელს თვით ნასერ ად-დინ შაჰის რისხვა გამოიწვია[63]. XX საუკუნის დასაწყისის მოგზაურები ახსენებენ თურქულენოვან გაზეთს „შარყ-ე რუსსა" (რუსული აღმოსავლეთი) და ჟურნალ „მოლა ნასრედინს" და დაწვრილებით საუბრობენ მათ რედაქტორებსა და თანამშრომლებზე.

განათლება

უცხო ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემა ერთი იმ სფეროთაგანია, რომელიც ირანელ მოგზაურებს განსაკუთრებით აინტერესებდათ. ისინი მძაფრად განიცდიდნენ თანამედროვე სამყაროში ირანელი ხალხის განათლების დაბალ დონეს და ზოგიერთები ამაში ქვეყნის სულიერ წინამძღოლებს ადანაშაულებდნენ. „ჩვენი სულიერი წინამძღოლები უბრალო ხალხს ფანატიზმისა და უმეცრებისკენ უბიძგებდნენ და უბიძგებენ. მოსახლეობის გაუნათლებლობამ დღეისთვის შედეგად ის გამოიღო, რომ ქვეყანაში მრეწველობის, მეცნიერების, ხელოსნობის, სოფლის მეურნეობის, მინათმოქმედების, ვაჭრობის და ა. შ. არარსებობის გამო ადამიანებს სრულფასოვანი ცხოვრება და დალხენილი ყოფა ვერც კი წარმოუდგენიათ"[64], – გულისტკივილით წერდა თაბიბ ქაშანი.

სკოლები იმ ღირშესანიშნაობათა სიაში შედიოდა, რომლებსაც თბილისში ჩამოსული ირანელი მაღალი თანამდებობის პირები და, მათ შორის, თვით შაჰები ათვალიერებდნენ. ეს იყო სიახლე, რომლის ანალოგიც მათ ქვეყანაში არ მოიძებნებოდა და ამიტომ ისინი დეტალურად აღწერდნენ სკოლებსა და მათ პროგრამებს. მათ ჩანაწერებში გვხვდება ინფორმაცია რუსული გიმნაზიის, კადეტთა სკოლის (იგივე კადეტთა კორპუსი), მადამ სტასულევიჩის ფრანგული პანსიონის და სხვათა შესახებ. ირანელი მოგზაურები გაკვირვებით აღნიშნავენ ენობრივ სიჭრელს ამ სკოლებში („ზოგიერთში რეგიონში გავრცელებულ ოთხ ენას ასწავლიან"). განსაკუთრებულ ინტერესს ისინი ქალების განათლებისა და ქალთა სკოლებისადმი იჩენენ. ირანელი გენერალი მაჯდ ას-სალთანე მოწონებით აღნიშნავს, რომ „თბილისში ქალს ვერ იპოვით, უსწავლელი და გაუნათლებელი რომ იყოს. ქალიშვილები სპეციალურ სკოლებში სწავლობენ და მისი დამთავრების შემდეგ მდივნები, ბუღალტრები, მუსიკოსები და სხვა პროფესიის ადამიანები გამოდიან"[65].

ბუნებრივია ირანელი მოგზაურების გამორჩეული ინტერესი საქართველოში მცხოვრები მუსლიმების სწავლა-განათლებისადმი. XIX საუკუნეში თბილისში ორი მუსლიმური სასწავლებელი იყო: ერთი შიიტური (გაიხსნა 1847 წელს) და მეორე სუნიტური, რომლებშიც გარდა სპარსული და არაბული ენებისა, ასწავ-

---

62 *Mosāferat-e Teflīs*, 83-86.

63 *Rūz-nāme-ye khāterāt-e E'temād as-Saltane*, bā moqaddame va fahāres az Īraj Afshār, Tehran, 1345/1966, 756.

64 *Mosāferat-e Teflīs*, 87.

65 მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, 54.

ლიდნენ რუსულს, მსოფლიო ისტორიას და ლიტერატურას, გეოგრაფიას, არითმეტიკას და ფიზიკას. ორივე სკოლას კავკასიის *შეიხ ალ-ესლამი* მეურვეობდა და იქ ისეთი ცნობილი ირანელი მოღვაწეები ასწავლიდნენ, როგორიც, მაგალითად, ფაზელ ხან გარუსი იყო[66]. XX საუკუნის დასაწყისში თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოებისა (დაარსდა 1905 წელს) და ირანის კონსულის მოფახამ ას-სოლთანის თაოსნობით კიდევ ორი სკოლა გაიხსნა: ჯერ „ეთეფაყ-ე ირანიან" (ირანელთა კავშირი) და შემდეგ „ნეჯათ" (განთავისუფლება). „ეთეფაყ-ე ირანიან" თბილისის მუსლიმურ უბანში შეითან-ბაზარში მდებარეობდა და მას „შეითან-ბაზრის სკოლასაც" ეძახდნენ. თავდაპირველად ის ვაჟთა სკოლა იყო, მაგრამ შემდეგ შერეულ სკოლად გადაკეთდა[67].

ჯანდაცვა

თბილისის საავადმყოფოებისა და იქ მომუშავე ექიმების შესახებ დეტალურ ინფორმაციას გვაწვდიან მირზა მოჰამად თაყი თაბიბ ქაშანი (1871) და ჰაჯ მირზა ალი ხან ამინ ად-დოულე (1899) – პირველი იმიტომ, რომ თავად ექიმი იყო და პროფესიული ინტერესი ჰქონდა, მეორე კი იმიტომ, რომ თბილისში მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა და მისი მოგზაურობის ჩანაწერები ფაქტობრივად ავადმყოფობის ისტორიას წარმოადგენს. მათ თხზულებებში ნახსენებია კავკასიის ექიმთა საზოგადოება, რომელსაც ექიმი იოანესიანი ედგა სათავეში და კავკასიის ჯანდაცვის უწყება, რომელსაც ექიმი მალინი ხელმძღვანელობდა. ამინ ად-დოულე ასევე ახსენებს იმდროინდელი თბილისის ცნობილ ექიმებს ტარსაიძეს (მოიხსენიებს როგორც „ტარსაიჩს"), ნავასარდიანს, ბარისკის, ჩუდოვსკის და კუდელინს.

ირანელ მოგზაურთა ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ საქართველოს დიდ ქალაქებში ექიმები სამ კატეგორიად იყოფოდნენ: სამხედრო, ჩვეულებრივი და სახალხო. მათი თქმით, ყველა მათგანს თავისი ავადმყოფი ჰყავდა, აღრეცა დაუშვებელი იყო და, მაგალითად, სამხედრო ექიმი ჯარისა და სამხედრო ჰოსპიტალის გარდა ვერსად იმუშავებდა.

მოგზაურები აღტაცებით აღწერენ ექიმ ანდრეს ლიბაუს ძალისხმევით და მეფისნაცვალ მიხეილის მფარველობით აშენებულ სახელმნიფო საავადმყოფოს (დღევანდელი მიხეილის საავადმყოფო). ისინი ხაზს უსვამენ საავადმყო-

---

[66] ფაზელ ხან გარუსის საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. : მ. ალექსიძე, *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, 55-78; M. Alexidze, "Fazel Khan Garrusi and Tbilisi", *Iran and the Caucasus*, Vol. 7, No. 1-2, Brill: Leiden & Boston, 2003, 125-132; M. Alexidze, *Georgia and the Muslim East in the Nineteenth Century*, 57-67.

[67] მეფრესე „ეთეფაყ-ე ირანიანის" შესახებ იხ.: Nezām'alī Dahnavī, *Irānīyān-e mohājer dar Qafqāz, fa'āliyathā-ye farhangī dar sālhā-ye 1900-1931 mīlādī*, Tehran, 1383/2004, 141-197; Mohammad Hoseyn Khosropanāh,"Kārnāme va rūzgār-e īrānīyān-e mohājer dar Qafqāz-e 1900-1920", *Negāh-e Nou*, No. 43, 52-59; Kāve Bayāt, "Madrase-ye Ettefāq-e Īrānīyān", *Ta'sīrāt-e motaqābel-e tārīkhī va farhangī-ye Īrān va Gorjestān (Majmū'e-ye maqālāt)*, Tehran, 1380/2001, 63-74; 'Alī-Rezā 'Alī Sufī va Nezām-'Alī Dahnavī, "Madrase-ye Ettefāq-e Īrānīyān dar Teflīs", *Motāle'āt-e Tārīkh-e Farhangī*, No.9, Tehran, 1390/2011, 171-191.

ფოს სისუფთავესა და კეთილმოწყობას, ახსენებენ ლამაზ ბაღს, რომელშიც ის დგას. მოგზაურები ისეთ დეტალურ ინფორმაციასაც კი გვაწვდიან, როგორიცაა საავადმყოფოს აშენების ხარჯები (400 000 რუბლი), წლიური ბიუჯეტი (60 000 რუბლი) და ავადმყოფის თვიური გადასახადი, რომელშიც წამლებისა და კვების ხარჯებიც შედიოდა (საერთო ოთახში – 5 რუბლი, ხოლო იზოლირებულ ოთახში – 30 რუბლი). მათ უკვირთ, რომ მუსლიმები და ქრისტიანები, ქალები და კაცები ამ საავადმყოფოში ერთად მკურნალობენ.

გენერალი მაჯდ ას-სალთანე საგანგებოდ უთითებს, რომ გარდა საავადმყოფოებისა, თბილისში ასევე ფუნქციონირებდა სამედიცინო საქონლის სპეციალური მაღაზიები და აფთიაქები, რომლებშიც, ძირითადად, ქალები მუშაობდნენ.

ირანელი მოგზაურები სიამაყით ახსენებენ თბილისის ღარიბთა თავშესაფარსა და საავადმყოფოს, რომელიც 1890-იან წლებში მუსლიმური უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ირანის საკონსულოს მიერ შეძენილ მიწაზე გენერალური კონსულის მირზა რეზა ხანის ძალისხმევით და თბილისში მცხოვრები ირანელი ვაჭრებისა და ხელოსნების შემოწირულობებით აშენდა. თავად მირზა რეზა ხანის ჩანაწერებიდან ვიგებთ, რომ საავადმყოფოს აშენებაში და შემდგომ მის შენახვაში ირანელებთან ერთად სომეხი და ქართველი შეძლებული პირებიც მონაწილეობდნენ და, საკონსულოს ბრძანებით, იქ ნებისმიერი ეროვნებისა და აღმსარებლობის გაჭირვებულ ადამიანს შეეძლო ემკურნალა. აღსანიშნავია, რომ ეს ირანელების მიერ თბილისში საავადმყოფოს აშენების ერთადერთი შემთხვევა არ არის: ცნობილია, რომ აქ საავადმყოფო ჯერ კიდევ 1878/79 წელს ირანის იმუამინდელმა გენერალურმა კონსულმა მირზა მაჰმუდ ხან დიბამაც ააშენა, რაზეც მეტყველებს ირანელი პოეტის მირ თაყი ქაშანის (მისი *თახალუსი* იყო „ანდალიბი“ ანუ „ბულბული“) მიერ საგანგებოდ ამ მშენებლობისა და მისი თარიღისადმი მიძღვნილი პოეტური ქრონოგრამა *„თარიხ-ე მარიზხანე ქე მირზა მაჰმუდ ხან ყონსულ-ე ირან დარ თეფლის ბანა ნემუდ“* („ქრონოგრამა საავადმყოფოსი, რომელიც ირანის კონსულმა მირზა მაჰმუდ ხანმა თბილისში ააგო“), რომელიც შესულია მისი ლექსების კრებულში[68].

მრეწველობა

ირანელ მოგზაურებს განსაკუთრებით აინტერესებდათ მრეწველობის განვითარება უცხო ქვეყნებში. ისინი დეტალურად აღწერდნენ გზად ნანახ ყველა ტექნიკურ სიახლეს, იქნებოდა ეს წყლის წისქვილი თუ დიდი ქარხანა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. მოგზაურთა უმეტესობამ შენიშნა, რომ ინდუსტრიული პროგრესი საქართველოში – და, უპირველეს ყოვლისა, თბილისში – უფრო აშკარა იყო, ვიდრე მათ სამშობლოში. ყველაზე მეტად მათ ცნობისწადილს უცხოელთა მონაწილეობით დაარსებული, მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი საწარმოები აღძრავდა. ერთ-ერთი ასეთი საწარმო – კასტელას აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა 1829 წელს გულმოდგინედ დაათვალიერა მირზა მოსტაფა აფშარმა. ის დაწვრილებით აღწერს ფაბრიკის დანადგარებს და ძაფის

---

[68] Mīr Taqī Kāshānī ʻAndalīb, *Dīvān-e ʻAndalīb-e Kāshānī*, Istanbul, 1313/1895-96, 135-136.

გამოყვანის ტექნოლოგიას აბრეშუმის ბოჭკოების გასუფთავებიდან და გამოხარშვიდან ძაფის კოჭებზე დახვევამდე.

მაჯდ ას-სალთანე ახსენებს ეტლების დამამზადებელი ფაბრიკას, რომლის პროდუქციაც, მისი ცნობით, იყიდებოდა როგორც თბილისში, ისე საზღვარგარეთ და, მათ შორის ირანშიც. მისი ყურადღება მიიპყრო „მოჯთაჰედის უბანში" (ე. ი. ახლანდელი მუშტაიდის ბაღის მიდამოებში) მდებარე სასოფლო ტექნიკის ქარხანამაც, სადაც მიწის სახნავი გუთნები, სალენი და სარწყავი მანქანები და მარცვლის საფქვავი დანადგარები მზადდებოდა. „ამ მანქანებსა და თანამედროვე ირანის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მაუზერის შაშხანასა და კაჟიან და პატრუქიან თოფებს შორის", გულისტკივილით აღნიშნავს მაჯდ ას-სალთანე და ირონიულად დასძენს: როგორც ჩანს, ირანში ამ ტიპის მანქანები არც ისე გვჭირდება, ცხენის ძალითაც იოლად გავდივართო[69].

ვაჭრობა

ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე მდებარეობა საქართველოს ოდითგანვე გაცხოველებული ვაჭრობის ცენტრად აქცევდა. XIX საუკუნეში საქართველოს საგარეო ვაჭრობას მთლიანად რუსეთი აკონტროლებდა: ძირითადი საექსპორტო საქონელი რუსეთიდან შემოდიოდა და შემდეგ ზოგიერთი სახეობა – განსაკუთრებით ბეწვეული – ირანსა და თურქეთში გადიოდა. ბუნებრივია, ირანელი მოგზაურები განსაკუთრებით ირან-საქართველოს სავაჭრო კავშირებით ინტერესდებიან. თბილისში ირანიდან შემოტანილ საქონელს შორის ისინი ასახელებენ ხორასნულ და თავრიზულ ხალიჩებს, ქსოვილებს, ბრინჯს, შაქარს, ნაბათს და სხვა. ირანულ ქსოვილებს შორის გამორჩეულად პოპულარული იყო ჰამადანისა და ბორუჯერდის ჩითი, ნაინის ტილო, იაზდის ნარმა და თავრიზის კანაუსი. მოგზაურები აღტაცებით აღწერენ სავაჭრო ობიექტებს – ბაზრებს, ქარვასლებს, დუქნებს და მაღაზიებს და იქ საქონლის ფართო ასორტიმენტსა და სიიაფეს უსვამენ ხაზს.

1880 წლის შემდეგ დაწერილ „მოგზაურობის წიგნებში" ცხადად იგრძნობა გაზრდილი ინტერესი ბათუმის მიმართ, რაც პირველ რიგში მის მზარდ სავაჭრო-ეკონომიკურ მნიშვნელობას უკავშირდება. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, რომ ეს ახლად შემოერთებული ქალაქი რაც შეიძლება სწრაფად დაენინაურებინა და ამ მიზნით მისთვის სპეციალური საბაჟო შეღავათები შემოიღო: უცხოური საქონელი აქ განუბაჟებლად შემოდიოდა, რამაც ქალაქში იაფი საქონელის მოზღვავებას შეუწყო ხელი.

საქართველო, როგორც რუსეთის იმპერიის მიკრომოდელი

XIX საუკუნეში განათლებულ ირანელთა წრეში დიდი იყო ინტერესი დასავლური ცივილიზაციის მიღწევებისადმი ეკონომიკაში, კულტურაში და, განსა-

---

[69] მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, 87.

კუთრებით, სახელმწიფოს სამართლებრივ, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მოწყობაში. ამ მხრივ, ირანისთვის რუსეთი იყო გეოგრაფიულად უახლოესი დასავლური ქვეყანა, ხოლო საქართველო – რუსეთის იმპერიის უახლოესი რეგიონი, სადაც ამ მიღწევების გაცნობა შეიძლებოდა. „თბილისი ნამდვილი ევროპული ქალაქის ნიმუშია, – წერს ფარჰად მირზა, – როგორც ამბობენ, ერთი პეშვით ერთ ხარვარს შეიცნობ"[70] (ანუ მცირედით დიდი გამოიცნობა).

საქართველოში ჩამოსულ ირანელ მოგზაურთა უმეტესობა მაღალი რანგის ოფიციალური პირი იყო და ირანში რეფორმების განხორციელება თუ უშუალოდ მათ ხელში არა, მათდამი კეთილგანწყობილი შაჰის ხელში იყო. ამდენად, გასაგებია მათი ყურადღება საქართველოსადმი, როგორც რუსეთის იმპერიის მიკრომოდელისადმი, ისეთ საკითხებში, როგორიცაა ჯარი, ადმინისტრაცია, პოლიცია, საიდუმლო პოლიცია და სხვა.

ირანელი მოგზაურები, განსაკუთრებით, საქართველოში დისლოცირებული რუსული ჯარით ინტერესდებოდნენ. მათი სტატუსიდან გამომდინარე, ისინი უშუალოდ ეცნობოდნენ რუს მოხელეებსა და ჯარისკაცებს და მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო წვრთნებსა და აღლუმებში, რომლებიც, ხშირად, სპეციალურად მათ პატივსაცემად იმართებოდა. რუსული ჯარის სტრუქტურული შემადგენლობა, სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება, სამხედრო ობიექტები, როგორიცაა არსენალი, არტილერია და ყაზარმა, მოსახლეობის ჯარში გაწვევისა თუ „შეფობის" წესები – ეს არის საკითხები, რომლებსაც ისინი თავიანთ მოგზაურობის ჩანაწერებში დაწვრილებით განიხილავენ.

მოგზაურების ინტერესს რუსეთის იმპერიაში სახელმწიფო ჯაშუშური სისტემის ფუნქციონირებაც იმსახურებდა. ფარაჰანი იმპერიის ყველა წერტილში ფარული ინფორმატორების არსებობას ამ ქვეყნის „სანაქებო წეს-ჩვეულებას" უნოდებს, თუმცა იქვე სიამაყით აღნიშნავს, რომ ეს სისტემა აღმოსავლეთში ოდითგანვე იყო გავრცელებული და ჯერ კიდევ ისლამამდელი ირანის ნახევრადლეგენდარული ვეზირი ბოზორჯმიჰრი მონარქიის თორმეტი დასაყრდენიდან ერთ-ერთად სწორედ სახელმწიფო ჯაშუშებს მიიჩნევდა[71].

თბილისი და მისი ღირშესანიშნაობები

XIX საუკუნის სპარსული მემუარული თხზულებებით შეიძლება თვალი გავადევნოთ თბილისის ურბანული განვითარების ასწლიან პერიოდს. თუ საუკუნის დასაწყისში ჩამოსულ ილჩის, მირზა სალეჰ შირაზისა და ხოსროვ მირზას დახვდათ ლამაზი, მაგრამ პატარა (3/4 ფარსახი გარშემოწერილობის) ქალაქი ვინრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, ერთ ან ორსართულიანი ბანიანი სახლებითა და ხის ბაზრებითა და დუქნებით, საუკუნის მიწურულის „მოგზაურობის წიგნებში" თბილისი უკვე „ევროპული ტიპის ქალაქია" ფართო ქვაფენილებით, რკინის ხიდებით, ხუთ და ექვსსართულიანი ქვის სახლებით, სასტუმროებით, თეატრებით, კლუბებით და სხვა „ევროპული" დაწესებულებებით.

---

[70] *Safar-nāme-ye Farhād Mīrzā*, 50.

[71] *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī*, 85.



თბილისი, სეიდაბადი, აბანოს ქუჩა.
1920-იანი წლების ფოტოსურათი.

ირანელ მოგზაურთა შეფასებით, „ამ ქალაქში ყველა პირობაა შექმილი, რომ მოგზაურმა კარგი დრო გაატაროს“: შუალამემდე გაზის ფარნებით განათებულ ქუჩებში ხალხი ფეხით ან ფაეტონებით სეირნობს, ღიაა არა მარტო გასართობი, არამედ სავაჭრო დაწესებულებებიც, ბაღებიდან და სამიკიტნოებიდან მხიარული მუსიკა და ჟრიამული გამოდის. მოგზაურები დაწვრილებით აღწერენ თბილისის გასართობ ადგილებს – სასეირნო ბულვარებსა და ბაღებს, თეატრებს, ცირკს და განსაკუთრებით, კლუბებს, სადაც ცეკვის საღამოები „ბალები“ და „ბალმასკარადები“ იმართება, რომლებზეც, მათდა გასაოცრად, ქალები და კაცები დროს ერთად ატარებენ, „ხელიხელჩაკიდებულები“ ცეკვავენ. მოგზაურები იმასაც აღნიშნავენ, რომ „ცეკვის დროს მიღებულია ზრდილობიანი შეკითხვები, გალანტურობა და მსუბუქი ფლირტი“[72].

თბილისის ღირშესანიშნაობებიდან ირანელი მოგზაურები (და არა მარტო ისინი) პირველ რიგში თბილისის განთქმულ აბანოებს ასახელებენ. „მოგზაურობის წიგნებში“ დეტალურად არის აღწერილი გოგირდის აბანოების სტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, ფასები, მომსახურე პერსონალი და მათი მოვალეობები. ზოგიერთ ავტორს არც ისეთი პიკანტური დეტალი გამორჩა, როგორიც იყო ქალების გამოძახების სერვისი.

შემდეგი ღირშესანიშნაობა, რომელსაც თითქმის ყველა ირანელი მოგზაური ახსენებს, მუზეუმებია (კავკასიის მუზეუმი ანუ „დიდების ტაძარი“, სამხედრო-ისტორიული მუზეუმი და სხვა). თუ გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნეში ირანში საჯარო მუზეუმები არ არსებობდა, ეს გამორჩეული ინტერესი სავსებით გასაგებია. მოგზაურები აღტაცებით აღწერენ მუზეუმების მრავალრიცხოვან ექსპონატებს და, განსაკუთრებით, ცხოველების ფიტულებს, რადგან ეს ტექნიკა მათთვის სიახლე იყო. მათი წიგნებიდან ვიგებთ, რომ კავკასიის მუზეუმში დარჩა ნასერ ად-დინ შაჰის ორი სამახსოვრო ჩანაწერი, გაკეთებული 1878 და 1889 წლებში, და ჰაჯ მეჰდი ყოლი ჰედაიათის ეპიგრამა:

[72] მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, 32.



თბილისი, „დიდების ტაძარი" (ახლანდელი ეროვნული გალერეა).
1900-იანი წლების ღია ბარათი.

„ეს ქვეყანა მუზეუმის მსგავსია, ბრძენო,
ეცადე, რომ მუზეუმში კვალი დატოვო,
ბოლოს, როცა მუზეუმიდან წახვალ,
ეს ნაკვალევი სახსოვრად დარჩება"[73].

საქართველოში ჩამოსულ ირანელ მოგზაურთა დიდი უმეტესობა პირველად აქ გაეცნო ევროპული ტიპის სათეატრო წარმოდგენებს. ისინი როგორც სტრუქტურულად, ისე დრამატურგიულად ძირეულად განსხვავდებოდა ტრადიციული ირანული თეატრისაგან, რომელიც, ძირითადად, რელიგიური მისტერიებითა (*თა'ზიე*) და კომიკური იმპროვიზირებული წარმოდგენებით (*სიაჰ-ბაზი* და *რუ-ჰოუზი*) შემოიფარგლებოდა[74]. მოგზაურები, როგორც წესი, მაინცდამაინც ვერ გრძნობდნენ განსხვავებას მაღალ ხელოვნებასა და გასართობ სანახაობას შორის და ერთნაირი გულუბრყვილო ენთუზიაზმით აღწერდნენ ოპერის თეატრსა და ნიკიტინების ცირკს. განსაკუთრებული დეტალურობით საცირკო წარმოდგენების აღწერები გამოირჩევა. მათი წყალობით ჩვენ საკმაოდ კარგად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ XIX საუკუნის თბილისური ცირკის პროგრამა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტებისა, ირანელ მოგზაურთა ჩანაწერები ასევე შეიცავს ინფორმაციას თბილისის ცნობილი შენობების (განსაკუთრებით, მეფისნაცვლის სასახლის), მოედნების, ხიდების, ბაღების, სასტუმროების, ეკლესიების, ქარვასლების, ბაზრების, ობსერვატორიის და ა.შ. შესახებ.

---

[73] Hājj Mehdīqolī Hedāyat (Mokhber as-Saltane), *Khāterāt va khatarāt*, Tehran, 1375/1996, 110.

[74] 'Ali Miransari, "Qajar Travel Narratives and the Institution of European Plays in Iran 1213-1323/1799-1906", *IQSA Ten Year Anniversary 2010 Conference*, Abstracts, Oxford, UK, 2010 (http://www.qajarstudies.org/abstractsoxford2010.html#Miransari).

ბუნებრივია, ირანელი მოგზაურები გამორჩეულად ინტერესდებოდნენ საქართველოში მცხოვრები თავიანთი თანამემამულეებით და, ზოგადად, ირანული კვალით ამ ქვეყანაში. ისინი გვაწვდიან ცნობებს საქართველოში მცხოვრებ ირანელებზე – დიპლომატებზე, სახელმწიფო მოხელეებზე, სასულიერო პირებზე, პოლიტიკურ ემიგრანტებზე, ვაჭრებზე, მშენებლებზე, ხელოსნებზე და სხვა. განსაკუთრებით დიდია მათი ინტერესი საქართველოს დიდ ქალაქებში – თბილისში, ბათუმსა და ფოთში მოქმედი ირანის საკონსულოებისადმი.

ირანელ მოგზაურთა მონაცემებით, საქართველოს ირანული თემი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და მათი უმეტესობა თბილისში ცხოვრობდა. ირანელთა რიცხვმა განსაკუთრებით 1850-იანი წლებიდან მოიმატა: თუ 1825 წელს თბილისში სულ 300 ირანელი იყო, 1864 წელს მათმა რიცხვმა 1500-ს მიაღწია, ხოლო 1876 წელს – 4800-ს, რაც, დიდწილად, ირანში შექმნილი ეკონომიკური სიძნელეებით, იქ გავრცელებული ქოლერით, შიმშილითა და არეულობით იყო გამონვეული[75]. ირანელები თბილისში, ძირითადად, „მუსლიმურ უბანში" – სეიდაბადსა და ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე სახლობდნენ. თბილისის ირანული თემი საკმაოდ ჩაკეტილი იყო, მაგრამ ქრისტიანთა გვერდით თანაცხოვრებამ მაინც იქონია გავლენა მათი ცხოვრების წესსა და ჩვეულებებზე. ირანელი მოგზაურები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თბილისში ირანელები და ქრისტიანები ერთმანეთში არიან არეული და მათი გარჩევა იმდენად ძნელია, რომ ირანის ქვეშევრდომს მხოლოდ სამოსით თუ იცნობო. მკვიდრ მოსახლეობაში ირანელთა ინტეგრაციის ფაქტის შეფასება სხვადასხვა ავტორთან ძლიერ სხვაობს. უმეტესობას აღიზიანებს, რომ „აქაურმა ირანელებმა მუსლიმური ადათ-ნესები სულ დაივიწყეს..., ღვინოს სვამენ და ყოველგვარ უზნეობასა და უწესობას სჩადიან..., მუსლიმის ნიშან-წყალიც კი არ შერჩენიათ და რიტუალურ სისუფთავესა და გარეგნულ ღვთისმოსავობაზეც კი უარი თქვეს"[76]. მათი კრიტიკის ობიექტი, განსაკუთებით, საქართველოში მცხოვრები ირანელი ქალები არიან, რომელთაგან ზოგიერთები სახეს არ იფარავენ ან თუ იფარავენ, ისეთი მოკლე ჩადრით იმოსებიან, რომ ან თავი უჩანთ, ან ფეხი. თუმცა არიან ისეთებიც, მაგალითად იაჰია დოულა-თაბადი და მომთაჰენ ად-დოულე, რომლებიც, პირიქით, აღტაცებულები არიან ირანელების პატრიოტიზმით, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ ათნლეულეებია, რაც საქართველოში ცხოვრობენ, თავს მაინც ირანელებად თვლიან, თა-

---

[75] XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ირანელების ამიერკავკასიაში სხვადასხვა მიზეზებითა და მოტივებით ემიგრაციის პროცესის, მისი მიზეზებისა და მასშტაბების შესახებ იხ.: Hakimian, H., "Wage Labor and Migration: Persian Workers in Southern Russia, 1880-1914", *International Journal of Middle East Studies*, Vol. 17, No.4, 1985, 443-462; Н. Белова, "Об отходничестве из северо-западного Ирана в конце XIX-начале XX века", *Вопросы истории*, Москва, 1956, №10, 112-121; К. Шукуров, *Отходничество в Закавказье из Южного Азербайджана (вторая треть XIX в. – 1905 г.). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук*, Баку, 1984; Nezām'alī Dahnavī, *Īrānīyān-e mohājer dar Qafqāz*, 1-30; Mohammad Hoseyn Khosropanāh, *Kārnāme va rūzgār-e īrānīyān-e mohājer dar Qafqāz-e 1900-1920*, 31-40.

[76] *Safar-nāme-ye Mīrzā Abū 'l-Hasan Khān Shīrāzī (Īlchī) be Rūsīye*, 29.

ვიანთ ირანელობას თავგამოდებით იცავენ, იმ ადათ-წესებსაც კი ასრულებენ, რომლებიც ირანში უკვე დაივიწყეს და დღენიადაგ სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ. სხვები, მაგალითად ფარაჰანი, სრულიად ნეიტრალურები არიან იმ ფაქტისადმი, რომ „მუსლიმები ქრისტიანებს ჰგვანან, არ იცავენ კვების [მუსლიმურ] წესებს, ჭამენ [ქრისტიანულ] საკვებს და ქრისტიანების მიერ დაკლულ საქონელს და სვამენ ყველა სახის მათრობელ სასმელს"[77].



თბილისი, მოჯთაჰედის (ახლანდელი მუშტაიდის) ბაღის ბუფეტი.
1890-იანი წლების ფოტოსურათი.

ირანელ მოგზაურთა ყურადღებას იპყრობდა ის ადგილებიც, რომლებიც მათ სამშობლოსთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი ასეთი ადგილი „მოჯთაჰედის ბაღი" (ცნობილი მუშტაიდის ბაღი) იყო, რომელიც თავრიზის მოჯთაჰედმა აყა მირ ფათაჰმა თბილისში ცხოვრების პერიოდში ააშენა[78]. ირანელი მოგზაურები

---

[77] *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī*, 82.

[78] აყა მირ ფათაჰი იყო თავრიზის მოჯთაჰედი. 1828 წელს რუსეთ-ირანის მეორე ომის დროს ის დაეხმარა რუსებს თავრიზის დამორჩილებაში, რის შემდეგაც თბილისში გადმოსახლდა და რუსეთის ხელისუფლებისაგან საჩუქრად მიიღო მინის დიდი ნაკვეთი მტკვრის მარცხენა ნაპირზე, იმდროინდელი ქალაქის გარეთ. ნაბოძებ მიწაზე აყა მირ ფათაჰმა გააშენა ბაღი, რომელიც 1853 წელს ხაზინის საკუთრებაში გადავიდა და საზოგადოებრივი გახდა. XIX საუკუნის მანძილზე ეს ბაღი თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი და გასართობი ადგილი იყო. ის დღესაც არსებობს და ხალხში ცნობილია „მუშტაიდის" (დამახინჯებული მოჯთაჰედი) სახელწოდებით.

რამდენადაც აქებენ ამ ბაღს, იმდენად ლანძღავენ მის ამშენებელს, რომლის დახმარებითაც რუსებმა თავის დროზე (1828 წ.) თავრიზი დაიკავეს.

ირანელი მოგზაურები გამორჩეულად ინტერესდებოდნენ მამადავითის ეკლესიით, სადაც მათ აღმოსავლეთში კარგად ცნობილი შეიხ სანაანის საფლავი ეგულებოდათ[79]. ქრისტიანი და მუსლიმი წმინდანების გაიგივების კიდევ ერთ ფაქტს ვხვდებით ფარაჰანისთან, რომელიც თბილისის წმინდა გიორგის ერთ-ერთ ეკლესიას მუსლიმი წმინდანის ხიზრის სახელობის ეკლესიად მოიხსენიებს. ამ გაიგივების საფუძველი უნდა იყოს მუსლიმურ სამყაროში გავრცელებული წარმოდგენა ხიზრის ელია წინასწარმეტყველთან და წმინდა გიორგისთან იდენტიფიკაციის შესახებ[80].

4. სპარსული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა როგორც ისტორიული წყარო

ყაჯართა პერიოდის სპარსული სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა მნიშვნელოვანი წყაროა ამ დროის როგორც საკუთრივ ირანის ისტორიის, ისე ირანის გარე სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით[81]. აღნიშნული ლიტერატურა სპეციფიკური მნიშვნელობის წყაროა საქართველოს ისტორიისთვისაც. ინფორმაციული მნიშვნელოვნების მხრივ ალბათ, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის ტექსტები, რომლებიც შეიცავს ცნობებს მაღალი რანგის ირანელ მოხელეთა თბილისში ვიზიტებისა და აქ გამართული შეხვედრების შესახებ. ისინი ავსებს და აცოცხლებს ირან-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიის სურათს. საყურადღებოა ასევე ცნობები თბილისსა და ბათუმში მცხოვრები ირანელების თაობაზე. თავისებურ ხიბლს სძენს ირანელ მოგზაურთა ნაწერებს ინტერესი ყოფითი თუ ტექნიკური დეტალებისადმი. მაგალითად, ამ ნაწერებიდან შეიძლება გავიგოთ, რა ნომრებისაგან შედგებოდა ნიკიტინების ცირკის პროგრამა, როგორ იყო მოწყობილი სასტუმრო „ლონდონის" ოთახი, რა დანადგარები იდგა კასტელას აბრეშუმის სახვევ ფაბრიკაში და სხვა. ასეთ დეტალებს სხვა წყაროებში (მაგალითად, ევროპელ მოგზაურთა ნაწერებში) ვერ შევხვდებით.

სამოგზაურო და მემუარულ ლიტერატურაზე, როგორც ისტორიულ წყაროზე საუბრისას, დგება მათ ავტორთა ობიექტურობის საკითხი. ბუნებრივია, მათი უმეტესობა ასე თუ ისე მიკერძოებულია თავისი პოლიტიკური თუ იდეოლოგიური სიმპათია-ანტიპათიების შესაბამისად. მაგალითად, მირზა მოჰამად ჰადი ალავი შირაზის უკიდურესად გაღიზიანებული ტონის მიზეზი მისი ნეგატიური დამოკიდებულებაა რუსების კავკასიური ექსპანსიისადმი; ზეინ ალ-აბედინ მარაყაის მიერ საქართველოში მცხოვრები ირანელების მძიმე მდგომარეობის

---

79 იხ, ზემოთ შენიშვნა 50.

80 ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ.: მ. ალექსიძე, *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, 115-117.

81 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: B. G. Fragner, *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, Wiesbaden, 1979; О.С. Меликов, " Персидская мемуарная литература XIX века ...", 12-15.

ჰიპერბოლიზაცია შაჰის რეჟიმის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად; რეზა ალი დივანბეგისა და მოსადეყს საქართველოს პირველი რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული მმართველობა არ მოსწონთ და ა. შ. ზოგჯერ მათ სუბიექტურობას არა ასეთი საფუძვლიანი მიზეზები, არამედ იმწამიერი განწყობა განაპირობებს. მაგალითად, ნასერ ად-დინ შაჰს, რომლის ევროპაში მოგზაურობების სამივე წიგნი სავსეა ქართველი ქალების მისამართით გამოთქმული აღტაცებული ეპითეტებით, თავის ბიძასთან, კავკასიაში პოლიტიკურ ემიგრანტ ბაჰმან მირზასთან შეხვედრა ისე აღიზიანებს, რომ აღარც თბილისი მოსწონს, არც მოჯთაჰედის ბაღი და არც აქაური მოსახლეობა და ქალები. „თბილისში ერთი ლამაზი ქართველი ან ევროპელი ქალიც კი ვერ ვნახე", – შაჰის ეს ჩანაწერი აშკარად ეწინააღმდეგება მისი თხზულებების ზოგად განწყობას. ხშირად ასეთი ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების მიზეზი მემუარული თხზულებების „ორმაგი ავტორობაა". მოგზაურების უმეტესობა მაღალი თანამდებობის პირი იყო და მათ მგზავრობაში ახლდნენ მდივნები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების მერე მათ ჩანაწერებს აშალაშინებდნენ და შიგ საკუთარ შთაბეჭდილებებსაც ურთავდნენ. იშვიათად, მაგრამ გვხვდება სამმაგი და მეტი ავტორობის შემთხვევებიც. მაგალითად, ცნობილია, რომ ნასერ ად-დინ შაჰს მესამე მოგზაურობის აღწერაში ეხმარებოდნენ მისი თანამგზავრები ამინ ხალვათი, აბუ'ლ-ჰასან ხანი, მოჰამად ბაყერ ხან ადიბ ალ-მოლქი და, ასევე, ქალიშვილი ფახრ ად-დოულე.

მაგრამ ისტორიკოსისათვის ყაჯარული პერიოდის სპარსულ სამოგზაურო და მემუარულ თხზულებებში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო სწორედ მათი ავტორების სუბიექტური ხედვა და შეფასებებია. ზოგადად, საქართველოს XIX საუკუნის ისტორიისათვის ამ ლიტერატურიდან ჩვენ ბევრს არაფერს ვიგებთ ისეთს, რაც სხვა წყაროებიდან არ არის ცნობილი. მისი, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა არ განისაზღვრება ინფორმაციული დატვირთულობით. მისი მთავარი ღირებულება ირანელთა საქართველოსადმი დამოკიდებულების ძალიან ცოცხალი ილუსტრირებაა. მოგზაურთა ნაწერებით კარგად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ აღიქვამდნენ საქართველოს ყაჯართა ეპოქის ირანელები. მეტიც, ეს ნაწერები გვიჩვენებს „გაევროპულებული" საქართველოს აღქმის პრიზმაში გარდატეხილ დამოკიდებულებას დასავლური ცივილიზაციისადმი. უფრო ფართოდ კი ისინი გვეხმარება გავიგოთ რთული და წინააღმდეგობრივი რელიგიურ-იდეოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური პროცესები, რომლებიც მიმდინარეობდა ევროპასთან დაახლოების გზაზე დამდგარ ირანში.

GEORGIA IN PERSIAN TRAVELOGUES AND MEMOIRS OF THE QAJAR PERIOD

Persian travel and memoir literature has a history of a thousand years. The earliest preserved travelogue in Persian was written by Nāser Khosrow in the mid-eleventh century.[82] However, Medieval travel narratives did not form a particular genre of Persian literature until the Qajar period.[83] Beginning from the early nineteenth century, writing travel notes and accounts became increasingly popular. According to recent studies, there were about five hundred travelogues written in the Qajar period. Apart from their role in the development of the Persian literary style, many of these travelogues were the means of transferring scientific knowledge, new economic and political ideas, and cultural and educational innovations. Thus, they are significant as a most vivid reflection of the cultural interaction of Iranians with the rest of the world.

Georgia appears in dozens of books written by Iranian travellers in the nineteenth and early twentieth centuries. Almost all of them visited Georgia on their way to other countries. Two major routes – to Mecca and to Western Europe – went through Georgia. Generally, pilgrims from northern Iran carrying out hajj traveled to Istanbul via Georgia and from there proceeded to Mecca. That was a long and difficult journey, but safer and more pleasant than other routes. Georgia is described in many travelogues written by pilgrims the most well-known of whom were Farhad Mīrzā, Mīrzā Mohammad Hoseyn Farāhānī, Amīn ad-Doule, Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī, Mīrzā Abd al-Hoseyn Khān Afshār Orūmī and Seyf ad-Doule Soltān Mohammad.

Travellers to Western Europe and Central Russia formed another important group of Iranians who passed through Georgia. As a rule, these were well-educated people who considered writing travelogues to be an essential outcome of their trips. Among them, there were two royal persons: Nāser ad-Dīn Shāh and Mozaffar ad-Dīn Shāh, as well as many notables, government officials, military men, and diplomats (Mīrzā Abū'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī, Mīrzā Saleh Shīrāzī, Seyf al-Molk, Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk, E'temād as-Saltane, Majd as-Saltane, Zahīr ad-Doule, Mīrzā Serāj ad-Dīn Abd ar-Raūf, Rezā Alī Dīvān Bīgī, etc). Also, Western Europe was the main destination for rare independent intellectuals among whom the most famous was the indefatigable traveller Hājj Sayyāh. Actually, his eighteen-year tour around the world started in Tbilisi.

---

82 I. Afshar,"Persian Travelogues: A Description and Bibliography", in: *Society and Culture in Qajar Iran*: Studies in Honor of Hafez Farmayan, ed. by Elton Daniel, (Costa Mesa, CA, 2002), 145.

83 W. L. Hanaway, "Persian Travel Narrativs: Notes Toward the Definition of a Nineteenth-Century Genre", in: *Society and Culture in Qajar Iran*: Studies in Honor of Hafez Farmayan, 249.

Southern Caucasus in general and Georgia in particular was a gateway to the West for Iranians. In fact, the route to Europe through Georgia had no alternative. The importance of that route significantly increased after the opening of the Transcaucasian railway in 1883, which provided fast and cheap transportation from Baku to the Black Sea ports.[84] Iranian pilgrims to Mecca also normally used this railway line.

Persian travelogues and memoirs of the Qajar period, which contain notes on Georgia, cover the period of more than a century from the 1810s to the 1920s. They are valuable sources of how Iranians of the Qajar period saw Georgia. Being very different from each other in literary form and taste, as well as in their authors' interests, they deal with various aspects of the country such as history, geography, climate, population, government, law, education, industry, transport, society, religion, moral, everyday life, leisure, food, etc.

What was Georgia in the eyes of Iranian travellers? The following aspects should be mentioned here.

The first is that the Iranians saw Georgia as a part of the great entity that we call the Persianate world. Subjugation of Georgia to the Russian Empire and its political and cultural consequences were considered by Iranians an error of history, something abnormal and upsetting. Naturally, this feeling of vexation is stronger in the writings of the early Qajar period travelling authors such as Mīrzā Abu'l-Hasan Khān Shīrāzī Ilchī and Mīrzā Saleh Shīrāzī, who visited Georgia respectively in 1814 and 1815. These two noblemen remembered the times of the sole domination of Iran in the south Caucasus, when Georgia was politically and culturally closely linked to it. They believed that Iranian domination in Georgia was the normal state of things having a centuries-old history and being of benefit both for the Iranians and for the Georgians. One can easily imagine the contradictory feelings that seized them when in Georgia. Unlike Paris and London where crowds used to assemble to gaze at exotic guests,[85] nobody was surprised at their beards and native costumes in Tbilisi. The inhabitants of Georgia were well accustomed to seeing Iranians in their own cities and towns. Iranian travellers met people whose standards and style of everyday life were very similar to their own. But this feeling of being in a familiar cultural environ-ment was clouded by the fact that this land belonged to a foreign – and actually hostile – power. Ilchī and Mīrzā Saleh Shīrāzī saw Georgia that had become a province of the Russian Empire just a few years before their visit and their attitude to this new political reality was very deprecative and somehow jealous. Ilchī believed that the lowering of moral standards was the main result of the Russian rule in Georgia. He was outraged by the relaxed manners of the Georgians, which he ascribed to the pernicious Russian influence. Generally, the "Russian style of behaviour" is the object of his sharp criticism

---

[84] G. Beradze, "The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage: Iranians in Tbilisi and Batumi (Late Nineteenth Century)," in: *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century". Abstracts*, (Tbilisi, 2002), 14-17.

[85] M. Tavakoli-Targhi, *Refashioning Iran: Orientalism, Occidentalism and Nationalist Historiography*, (London & New York, 2001), 41-42.

and the underlying message of that criticism is a reproach to the Georgians for their cultural choice in favour of Russia.[86]

Accusations of immorality and indecency can be found in the writings of later Iranian as well. In 1854, Seyf ad-Doule Soltān Mohammad wrote: "This country strikingly differs from our country. Here one can find everything except piety and decency. May God protect a Muslim traveller in this country from Satan's temptations and depravity!"[87]

Some Iranian travellers blamed the breaking off of Iranian-Georgian relations not only on Georgian kings, but also on the Shahs of Iran who were criticised for their aggressive attitude and lack of flexibility. Farhād Mīrzā wrote in 1856: "Perhaps the centuries-old alliance [of Iran and Georgia] would not go with the wind if the Shahs treated Georgian rulers with more respect".[88] Here and there, the idea of revenge upon Russia occurs in nineteenth-century Persian travelogues. Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk, who was a member of the Iranian diplomatic mission to London in 1863, wrote in his travelogue that Pashā Khān Shoja al-Molk, the head of the mission, promised to ask Nāser ad-Dīn Shāh to send 30,000 soldiers to drive Russians out of Georgia.[89]

Iranian travellers often quoted legends and stories, which aimed to stress the civilizing role of Iran in Georgia. According to Farāhāni, concerning Tbilisi "some have said that it is one of the constructions of Anushīrvān".[90] Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī and Seyf ad-Doule Soltān Mohammad wrote that Shah Abbas built not only a mosque and a minaret, but also a church in Tbilisi.[91]

The nostalgia for the previous close Persian-Georgian relations is peculiar, to more or less extent, to almost all Iranian travellers. The loss of the dominant position in the south Caucasus by Iran was a bitter reality that upset them. But sentiments did not prevent them from being interested in what happened in the region after Iran had left. In the first place, their eyes were directed towards Tbilisi, the "Queen of the Caucasus", which reflected most fully the economic and cultural development of the region in the nineteenth century. Tbilisi was considered the fourth capital of the Russian Empire, after St Petersburg, Moscow, and Warsaw. It had a "royal court" of its own – the palace of the viceroy. Since the 1850s, there was everything that one could find in any European city: banks, clubs, hotels, hospitals, schools, libraries, theatres, museums, etc. Thus, from economic, social, and cultural points of view, the city could serve as a certain narrow-scale model of the Russian Empire and – to a certain degree – of Europe as well for those who wanted to gain a first-hand knowledge of the

---

86 *Safar-nāme-ye Mīrzā Abū 'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī be Rūsīye*, be qalam-e Mīrzā Mohammad Hadī 'Alavī Shīrāzī, be kūshesh-e Mohammad Golbon, (Tehran, 1357/1978), 28.

87 *Safar-nāme-ye Seyf ma'rūf be Safar-nāme-ye Makke*, neveshte-ye Seyf ad-Doule Soltān Mohammad, be tashīh va tahshīye-ye 'Alī Akbar Khodāparast, (Tehran, 1364/1985), 79.

88 *Safar-nāme-ye Farhād Mīrzā*, tashīh va tahshīye-ye Gholāmrezā Tabātabā'ī,(Tehran, 1366/1987), 48.

89 Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk, be kūshesh-e Manūchehr Mahmūdī, (Tehran, 1361/1982), 16.

90 Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī, 75.

91 *Hedāyat ol-Hojjāj, Safar-nāme-ye Makke*, ta'līf: Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, (Qom, 1386/2007), 93; *Safar-nāme-ye Seyf ma'rūf be Safar-nāme-ye Makke*, 71.

European modernity. The importance of the Caucasian capital was intensified by the fact that it was the first europeanized (at least partly) city that met Iranian travellers on their way and accordingly the place where they could observe for the first time the wide variety of the fruits of European civilization. Reading travelogues one can easily note that unlike European travellers who were attracted by picturesque narrow streets and boisterous markets of the Oriental quarter of Tbilisi, Iranian visitors were mostly interested in "European" Tbilisi with its modern institutions and establishments.

Iranian travellers did not fail to notice that along with European progress, the Russian rule brought its ubiquitous bureaucracy and corruption to Georgia. Seyf al-Doule vividly described Russian bribetaking officials in the post office and their methods of extortion.[92]

Iranian travellers paid particular attention to their compatriots living in Georgia, specifically in Tbilisi and Batumi. An Iranian community existed in Tbilisi since the Middle Ages. Centuries of coexistence side by side with Christians noticeably affected their customs and mode of life. Farāhānī, one of the most observant travellers, noted in 1885: "the Muslims there are like Christians: they never obey the dietary laws [of Islam]; they eat [Christian] food and animals slaughtered by Christians; and they use all kinds of intoxicating beverages."[93] Many travellers observed with a heavy heart the cheerless life of Persians in Tbilisi.

It is natural that Iranian travellers in Georgia drew attention to the holy places related to Islam. The most important among them was the alleged grave of Sheykh Sana'ān, a highly venerated semi-legendary personage. According to the local version of his story that developped in Tbilisi in the eighteenth and nineteenth centuries, the sheykh died in Tbilisi and was buried on the slope of the Mt Mtatsminda, in the graveyard of the Church of St David. Moreover, in folk conception, Sheykh Sana'ān was identified with a Christian holy man, St David of Gareja, to whom the church is dedicated. Several Iranian travellers beginning with Ilchī refer to Sheykh Sana'ān's grave on Mt Mtatsminda.[94]

---

92 *Safar-nāme-ye Seyf ma'rūf be Safar-nāme-ye Makke*, 77.

93 *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī*, 79; *A Shi'ite Pilgrimage to Mecca*, 82.

94 For a more detailed discussion of this issue, see: M. Alexidze, "Le cheikh Sana'an et Tiflis / Tbilissi", in: *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, (Paris, 2009), 73-85.

მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩი
და მისი მოგზაურობის წიგნი

აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩი.
სერ უილიამ ბიჩის სურათი, 1810.

მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი, ცნობილი ლაყაბით „ილჩი" („საჰიბი ილჩი"), დაიბადა 1776 წელს შირაზში. ის ნადირ შაჰის მდივნის მირზა მოჰამად ალის მეორე ვაჟი იყო. ახალგაზრდობიდანვე ბობოქარი ცხოვრება ჰქონდა. ჯერ იყო და, ნადირ შაჰის ბრძანებით, მამამისი კოცონზე უნდა დაეწვათ, მაგრამ დასჯის წინა ღამეს შაჰის მკვლელობამ მოჰამად ალი სიკვდილს, მისი ოჯახი კი ანიოკებას გადაარჩინა. სამეფო კარის რისხვა მეორედ უკვე სიმამრის – ფათჰალი შაჰის პირველი მინისტრის ჰაჯი ებრაჰიმის გამო დაატყდა თავს. როცა შაჰმა ჰაჯი ებრაჰიმი თანამდებობიდან გაათავისუფლა და ციხეში ჩასვა, მის ახლობელთაგან ზოგი დაატყვევეს, ზოგი მოკლეს, ზოგს თვალები დასთხარეს, დანარჩენები კი ქვეყნიდან გააძევეს. აბუ'ლ-ჰასანი, რომელიც იმ დროს შუშთარის გუბერნატორი იყო, დაიჭირეს და თეირანში ჩაიყვანეს. შაჰს მისი მოკვლა უნდოდა, მაგრამ სახელმწიფო მოხელეების თხოვნით შეინყალა. შეშინებული აბუ'ლ-ჰასანი თეირანში აღარ გაჩერდა, ჯერ მექას მოსალოცად გაემგზავრა, მერე კი ინდოეთში წავიდა და გარკვეული ხანი კალკუტაში, ჰეიდარაბადსა და ბომბეიში ცხოვრობდა. შაჰის მიერ გაგზავნილმა დაბრუნების ბრძანებამ მას ბომბეიში ჩაუსწრო და იძულებული გახდა, ირანში ჩასულიყო. თავდაპირველად შირაზში დასახლდა და შირაზის გენერალ-გუბერნატორის ჰოსეინ ალი მირზას ესაულის თანამდებობა დაიკავა. პირველი მინისტრის ჰაჯი მოჰამად ჰოსეინ ხან ამინ ად-დოულეს დახმარებით ის თანდათან დააწინაურეს და 1809 წელს ინგლისში ირანის ელჩად დანიშნეს. ინგლისში აბუ'ლ-ჰასანი დიდი პოპულარობით სარგებლობდა: მას ხატავდნენ ცნობილი მხატვრები, მასზე წერდნენ ლონდონის გაზეთები და „ლონდონის მაღალი საზოგადოების ნებიერად" („darling of London high society") მოიხსენიებდნენ. იგი ჯეიმს მორიერის თხზულების „ჰაჯი ბაბა ისფაჰანელის თავგადასავლების" გმირის – ექსცენტრული სპარსელი ელჩის მირზა ფირუზის პროტოტიპი გახდა[95]. 1809-1810 წლებში აბუ'ლ-ჰასანის ინგლისში მოგზაურობა და

[95] A. Vanzan, "Mirza Abu'l-Hasan Khan Shirazi Ilchi's *Safar-nama ba Rusiya*: The Persians Amongst the Russians", *Society and Culture in Qajar Iran* ..., 350.

თავგადასავლებით აღსავსე უკანა გზა (კურსიდან აცდენის გამო გემი ბრაზილიისა და ინდოეთის გავლით ჩავიდა ირანში და გზაში თექვსმეტი თვე დაჰყო) აღწერილია ილჩის მოგზაურობის პირველ წიგნში „ჰეირათ-ნამე" („საოცრებათა წიგნი").

ლონდონიდან დაბრუნებულ აბუ'ლ-ჰასანს ფათჰალი შაჰის კარზე დიდი პატივით დახვდნენ. აქედან იწყება მისი თავბრუდამხვევი დიპლომატიური კარიერა. 1813 წელს მან მონაწილეობა მიიღო გოლესთანის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალში. 1814 წელს ხელშეკრულებით უკმაყოფილო ირანის ხელისუფლებამ ზავის პირობების გადასასინჯად პეტერბურგში რუსეთის იმპერატორის კარზე გააგზავნა მისია, რომელსაც აბუ'ლ-ჰასანი ჩაუდგა სათავეში. რუსეთში მან ორი წელი დაჰყო და როგორც გზაში, ისე რუსეთის სამეფო კარზე ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია.

1817 წელს საჰიბი ილჩი ფათჰალი შაჰმა დიპლომატიური მისიით გააგზავნა ინგლისში, საფრანგეთსა და ავსტრიაში. 1820 წელს იგი თეირანში დაბრუნდა და 1823 წელს ირანის ისტორიაში პირველ საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა. ეს თანამდებობა მას 11 წელი ეკავა. 1834 წელს ფათჰალი შაჰის გარდაცვალებასთან, მოჰამად შაჰის გამეფებასა და, განსაკუთრებით, მასთან დაპირისპირებული მირზა აბუ'ლ-ყასემ ყაიმ მაყამის პირველ მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით აბუ'ლ-ჰასანმა თანამდებობა დატოვა და სამეფო კარზე მხოლოდ მაშინ დაბრუნდა, როცა პირველ მინისტრად ჰაჯი მირზა აყასი დანიშნეს. იგი ჯერ იშიქაყასიბაშის (მთავარი ცერემონმაისტერის) მოვალეობას ასრულებდა, ხოლო 1838 წელს ხელმეორედ დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად და გარდაცვალებამდე ეს თანამდებობა ეკავა. აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩი გარდაიცვალა თეირანში 1846 წელს.

წიგნი, რომლის პირველი ნაწილის თარგმანიც ქვემოთ არის მოტანილი, საჰიბი ილჩის რუსეთის იმპერიაში მოგზაურობის დეტალურ ანგარიშს წარმოადგენს. მისი ავტორი ილჩის მდივანი და თანამგზავრი მირზა მოჰამად ჰადი ალავი შირაზია. თხზულება სადა, მარტივი ენით არის დაწერილი და კარგად იკითხება. მასში ერთმანეთშია გადახლართული ჰადი ალავისა და საჰიბი ილჩის ურთიერთსაწინააღმდეგო და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები და მსჯელობა სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის, რუსეთის პოლიტიკაზე კავკასიაში, დასავლურ ცივილიზაციაზე და, განსაკუთრებით, ქალის ადგილზე საზოგადოებაში, ამიტომ თხზულების ორმაგ ავტორობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. „მოგზაურობის წიგნი" პირობითად ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი (თხზულების დაახლოებით ერთი მესამედი) თეირანიდან თბილისამდე მოგზაურობისა და აქ გატარებული რვა თვის შთაბეჭდილებებს ასახავს და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს და, განსაკუთრებით, თბილისის ცოცხალ სურათს იძლევა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანები

Mīrzā Abū'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī, *Heyrat-nāme: Safar-nāme-ye Abū'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī be Landan*, be kūshesh-e Hasan Morselvand, Tehran, 1364/1986.

Safar-nāme-ye Mīrzā Abu'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī be Rūsīye, be qalam-e Mīrzā Mohammad Hādī 'Alavī Shīrāzī, be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 1357/1978.

„მირზა აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩის რუსეთში მოგზაურობის წიგნი", წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, წიგნი პირველი, კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2012, 38-69.

A Persian at the Court of King George, 1809-10: The Journal of Mirza Abul Hassan Khan, Translated and Edited by Margaret Morris Cloake, Introduction by Denis Wright, London, 1988.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 1, Tehran, 1347/1968, 36.

Mohammad Golbon, "Pīshāmad", წიგნში: *Safar-nāme-ye Mīrzā Abū'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī be Rūsīye*, 1-22.

Behzād Jāme Bozorg, "Nokhostīn daryāfthā-ye safar-nāme-nevīsān-e īrānī az nehād-e pārlamān", 155-156.

Taqī Sūfī Nīyārākī Najafī, "Safar-nāmehā: nokhostīn bāztābhā dar movājehe bā qarb-e jadīd", 165-172.

Karāmatollāh Rāsekh, "Andīshe-ye eslāhāt dar Īrān-e qarn-e nūzdahom va en'ekās-e ān dar safar-nāmehā-ye īrānīyān", *Faslnāme-ye 'Olūm-e Sīyāsī*, Dāneshgāh-e Eslāmī-ye Āshtīyān, No.1, Ashtiyan, 1388/2009, 161-184.

G. Beradze, I. Natchkebia, "Une question de Tbilissi dans les négotiations de Mirza Abul Hassan Khan (1809-1810)", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*, Abstracts,Tbilisi, 2002, 18-19.

M. M. Eskandari-Qajar, "The Story of the Fair Circassion and Mirza Abol Hassan Khan Shirazi Envoy Extraordinary and Minister Plenipotentiary of Fath Ali Shah Qajar to the Court of St. James", *Qajar Studies*, Journal of the International Qajar Studies Association, Vol.7, Rotterdam & Gronsveld & Santa Barbara & Tehran, 2007, 60-77.

H. Javadi, "Abu'l Hasan Khān Īlčī, Persian diplomat, b.1190/1776 in Šīrāz", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1983.

H.B. McKenzie Johnston, "Hajji Baba and Mirza Abul Hasan Khan – a conundrum, *Iran, Journal of the British Institute of Persian Studies*, Vol.33, London, 1995, 93-96.

D. O'Quinn, "Tears in Tehran/Laughter in London: James Morier, Mirza Abul Hassan Khan, and the Geopolitics of Emotion", *Eighteenth-Century Fiction*, Vol.25, Issue 1, Toronto, 2012, 85-114.

N. Sohrabi, "Behind Hajji Baba of Isfahan: The Case of Mirza Abul Hasan Khan Ilchi Shirazi", *Untold Histories of the Middle East: Recovering Voices from the 19th and 20th Centuries*, ed. by Amy Singer et al., London, 2010, 159-177.

M. Tavakoli-Targhi, *Refashioning Iran* ..., 41-43, 57-60.

A. Vanzan, "Mirza Abu'l-Hasan Khan Shirazi Ilchi's Safar-nama ba Rusiya: The Persians Amongst the Russians", *Society and Culture in Qajar Iran* ..., 347-357.

D. Wright, "Introduction", წიგნში: *A Persian at the Court of King George, 1809-10: The Journal of Mirza Abul Hassan Khan*, 13-22.

D. Wright, *The Persians Amongst the English: Episodes in Anglo-Persian History*, London, 1985.

თავი II

თბილისის ქვეყანაში შესვლა და მოულოდნელი შემთხვევები

აბუ'ლ-ჰასან ხან შირაზი ილჩი.
გრავიურა თომას ლოურენსის
1810 წლის სურათიდან.

დღეს, 1229 წლის შაბანის თვის ათში (1814 წლის 28 ივლისს), ხუთშაბათს რვა *ფარსანგის* გავლის შემდეგ მივუახლოვდით ჰამამლოს (Hamām Lū), საიდანაც რუსი ხალხის მიერ დაპყრობილი თბილისის ქვეყანა[96] იწყება. ერევნიდან ჰამამლომდე გზაზე სულ მდინარეები, აყვავებული მინდვრები და ბაღებია. ჰამამლოდან მდინარე ბამბაკამდეც (Banbak)[97] იმდენი ტყე, წყალი, მცენარე, გემრიელი წყარო და წარმტაცი ბაღია, რომ ვერ მოთვლი. აქ მთა და ბარი მწვანეშია ჩაფლული და ყვავილები და რეპანი ერთმანეთში გადახლართულა. დასახლებიდან ორ-სამ *ფარსანგში* გენერალ ბასანავიჩის (Basānāvīj) ძმა *კნიაზ* ზიხანი (Zīkhan) და *კნიაზ* მაიორი ოფიცერთა მრავალრიცხოვან ჯგუფთან და ყარას[98] (Qarā') ას ცხენოსანთან ერთად დაგვხვდნენ და თავიანთი წესისამებრ მოგვესალმნენ. რამდენიმე ნაბიჯში გზაზე ხუთასამდე *სალდათი*, რამდენიმე ოფიცერი, არტილერისტი და ქვემეხი იდგა. ცოტაც რომ გავიარეთ, ბასანავიჩის თანაშემწე და ყარაქილისას (Qarā' Kelīsā) გამგებელი *შეფ*[99] ლაბდილი (Shef Labdīl), ამ ქალაქის *დარუღა*, დიდებულები და უხუცესები შეგვეგებნენ და დიდი პატივით მიგვიღეს.

კიდევ რამდენიმე ნაბიჯში დაგვხვდა რუსული ჯარის სარდალი ყაფლან ოღლი ლიდნაია (Qaplān Oghlī Līdnāye), რომელიც შარშან აყა ავალანის (Āqā Avvalān) ციხესიმაგრეში მსახურობდა. მას იოსიფ ანდრეიჩი (Asaf Andvīj) და

---

96 თბილისის ქვეყანაში თბილისის გუბერნია იგულისხმება.

97 ბამბაკი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარეა, რომელიც მდინარე დებედას სათავის მთიან ხეობას მოიცავს. სავარაუდოდ, ავტორი მდინარე ბამბაკში სწორედ დებედას გულისხმობს.

98 იგივე ყარაქილისა, ქალაქი დღევანდელი ბოლნისის რაიონში, რომელსაც ავტორი ხან სრული სახელით მოიხსენიებს, ხანაც შემოკლებით – ყარა' (Qarā') ან ყარა (Qara).

99 სავარაუდოდ, ფრანგული სიტყვიდან shef, რაც უფროსს ნიშნავს.

რუსი დიდგვაროვნები ახლდნენ. ისინი თავიანთი წესისამებრ მოგვესალმნენ და ჩვენდამი დიდი პატივისცემა გამოხატეს. ყველანი ცხენებიდან ჩამოხდნენ და საჰიბი ილჩის კარავში ეახლნენ. აქ მათ ჩაითა და ტკბილეულობით გაუმასპინძლდნენ. რუსი დიდებულების წასვლის შემდეგ საჰიბი ილჩის ბრძანებით ჰამამლოს მოსახლეობისგან სურსათი ძალიან მაღალ ფასად შევიძინეთ და ბევრი ფული დავხარჯეთ.

ასი რუსი *სალდათი* კარვის შესასვლელთან საგუშაგოზე დააყენეს. ისინი დილამდე კარვის გარშემო დადიოდნენ და გვდარაჯობდნენ. პარასკევ ღამეს მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის*[100] კარისკაცი ისმაილ ბეგი, რომელიც ამ მოგზაურობაში თან გვახლდა, თავრიზში დაბრუნდა და მის ბრწყინვალება *ყაიემ მაყამთან*[101], მის თანმხლებ პირებთან და სხვა კალმის ხალხთან[102] წერილები წაიღო.

დილით ჰამამლოდან წამოვედით და სამი *მეჰმანდარის,* ცხენოსანი კაზაკების და *სალდათების* თანხლებით დარბაზისკენ (Darbāz) გავემართეთ.

1229 წლის[103] 11 შაბანი (29 ივლისი), პარასკევი:

ორი *ფარსანგის* გავლის შემდეგ დარბაზში შევედით. ერთ მინდორში, სადაც მშვენიერი ჰაერი იყო, კარავი გავშალეთ და დავბანაკდით. გუშაგები და *სალდათები* გუშინდელივით სადარაჯოზე დადგნენ. ციხესიმაგრის მცხოვრებთაგან სურსათი ვიყიდეთ: 1 *მანი* ქერი 400 *დინარი,* 1 სული ცხვარი 7000 *დინარი,* 1 *მანი* კარაქი 4000 *დინარი* და 1 ქათამი 1000 *დინარი* ღირდა. დარბაზში მისი ბრწყინვალება ჰოსეინ ხან სარდარ-ე ერევანის *იშიქაყასი* ჯაფარ ხანი და ჩუფან-ქარას (Chūpān Kāre) რამდენიმე მოსახლე, რომლებიც მისი ბრნყინვალების ბრძანებით თან გვახლდნენ, გაუშვეს და ისინი ერევანში დაბრუნდნენ. საჰიბის მითითებით, ჯაფარ ხანს, შეთანხმებისამებრ, არაბული წაბლა ცხენი და ათი თუმანი ნაღდი ფული მისცეს. მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის ჩალვადარი* ალი ბეგიც, რომელიც თავრიზიდან ცხენებს გამოჰყვა, უკან გაბრუნდა. ტახტრევნინამა ვირმა, რომელიც გამორჩეულ პატივში ჰყავდათ, მოულოდნელად ნელი დაიზიანა და დაკოჭლდა. იმ საღამოს ყარაქილისას მფლობელი *შეფ* ლაბდილი დიდებულების თანხლებით გვესტუმრა. მათ კარავში ჩაი და ტკბილეულობა მიირთვეს, მერე გარეთ გავიდნენ, ძველი გუშაგები და *სალდათები* ახლებით შეცვალეს და თავისთვისაც ჩვენ ახლოს გააშლევინეს კარავი. მოგვიანებით რუსი დამკერელები და მომღერლები მოვიდნენ და თავიანთი მელოდიები შეასრულეს. საჰიბი ილჩის ბრძანებით მათ ცოტა ფული მისცეს, რის შემდეგაც ისინი სახლებში ნავიდნენ.

---

100 აქ იგულისხმება ფათჰალი შაჰის ვაჟი, ტახტის მემკვიდრე-უფლისწული აბას მირზა, რომელიც ირანის აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორი იყო.

101 აქ იგულისხმება მირზა აბუ'ლ-ყასემი.

102 ტერმინი „კალმის ხალხი" (სპარსული „ahl-e qalam"/"shakhs-e qalam") აერთიანებს მწერლებს, გადამწერებს, კანცელარიის თანამშრომლებს, ჩინოვნიკებს ანუ მათ, ვისაც კალამთან და წერასთან აქვს საქმე.

103 ტექსტში შეცდომით 1329 წერია.

12 შაბანი (30 ივლისი), შაბათი:

დილით დარბაზიდან გავემგზავრეთ. *შეფმა* გზის დიდ ნაწილზე გაგვაცილა. ათას რამეს გვიყვებოდა. მათ შორის, გვიამბო: „როცა რუსები სალაშქროდ მიდიან და შვილები არ ჰყავთ, უკან დაბრუნებულებს, როგორც წესი, სამი, ოთხი, ხუთი შვილი?![104] ხვდებათ. კითხვაზე, ეს ბავშვები საიდანო, მათი ცოლები პასუხობენ: ამა და ამ ღამეს სიზმარში ვნახეთ, რომ ერთად ვიწექით. იმ ღამის შემდეგ დავფეხმძიმდით და ეს ბავშვი გვეყოლა. ასეთი სიზმარი კიდევ რამდენჯერმე განმეორდა და ყოველ ჯერზე თითო ბავშვი გვიჩნდებოდაო. ქმრები მათ ისე ენდობიან, რომ უჯერებენ, იმ ბავშვებს საკუთარ შვილებად თვლიან და ასეთი ქცევა მათში უხამსობად არ ითვლება"[105]. მე *შეფის* მონაყოლისგან გაოგნებული ვიყავი, საპიბი ილჩიმ კი ბრძანა, რომ ევროპაში და რუსეთში ასეთი შემთხვევები ხშირია და არ უკვირს. მოკლედ, *შეფმა* ბევრი ასეთი ისტორია გვიამბო, მერე ბოდიში მოიხადა და უკან გაბრუნდა. ჩვენ კი კაზაკების, *კნიაზების* და *მეჰმანდარების* თანხლებით ბუზაბდალი (Būzābdāl) და მდინარე ლორი (Lūrī) გავიარეთ და ლორის შემოგარენს[106] მივადექით.

დარბაზიდან ლორამდე ხუთი *ფარსანგია*. თავიდან, დაახლოებით ერთი *ფარსანგი*, გზაზე ბევრი ოღროჩოღრო, ქვა-ღორღი და წყალია. მერე ორი-სამი *ფარსანგი* ხან ზევით მიდიხარ და ხან ქვევით ეშვები და ამ აღმართ-დაღმართებს ბოლო არ უჩანს. შემდეგ, დაახლოებით ერთი *ფარსანგი*, ვაკეა. არემარე სულ ამწვანებული და აყვავებული იყო. ისეთი ჯიშის მცენარეები და ფერადი ყვავილები ვნახეთ, რომლებსაც ირანში ვერ ნახავ. გზაზე და ღრანტეებში უთვალავი ხე იზრდებოდა. უმრავლესობა 50-60 *ზარ'ი* სიმაღლის და 2-3 *ზარ'ი* სისქის იყო, მაგრამ ნაყოფი არ ესხა. მდინარე ლორი ქვის ლოდებით შემოჯარულ ღრმა ხევში მიედინება. მისი სიგანე 200 *ზარ'ამდეა*, ხოლო სიღრმე მინდან წყლის ზედაპირამდე 1000 *ზარ'ს* აღწევს. მდინარეზე ხის ხიდია აგებული და მასზე გადადიან. ლორის წყალი ერევნის მდინარე ზანგას[107] (Rankā) წყალს ჰგავს და ძალიან სასიამოვნო და გემრიელია. შუა გზაზე, იქ, სადაც მდინარის კალაპოტი ყველაზე ღრმა და განიერია, ლორის ციხესიმაგრე დგას. ის სამი მხრიდან მდინარით არის გარშემორტყმული, მეოთხე მხრიდან კი გადაჰყურებს მინდორს,

---

104 პუნქტუაცია ავტორისეულია.

105 აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ ისტორიას ჰყვება ალ. პუშკინიც თავის „სამგზავრო ჩანაწერებში": სამწლიანი ლაშქრობიდან სახლში დაბრუნებული კაზაკი ჯარისკაცი იგებს, რომ მის არყოფნაში მის ცოლს ბავშვი გაუჩენია. ის ფილოსოფიური სიმშვიდით ხვდება ახალ ამბავს („უცოდველი არც მე ვარო") და მეგობრების კითხვაზე, ბავშვს რას უპირებო, პასუხობს, რომ საკუთარივით გაზრდის. რაც შეეხება ცოლს, ჯარისკაცი ამ საკითხს პრაქტიკულად უდგება: თუ ზამთრისთვის თივა მოიმარაგა, ვაპატიებ და თუ არა, ვცემ. ჯარისკაცების საუბრებიდან ირკვევა, რომ ასეთი ფაქტები მეფის რუსეთის ჯარში ხშირი იყო (А.С. Пушкин, "Отрывок из путевых заметок, не вошедший в «Путешествие в Арзрум»", *Полное собрание сочинений*, т. 6, Ленинград, 1978, 509-510).

106 ლორი/ლორე – შუა საუკუნეების ისტორიული მხარე და ციხე-ქალაქი ტაშირში (ახლანდელი სომხეთის ტერიტორიაზე, ქ. სტეფანავანის ახლოს).

107 ზანგა მდ. რაზდანის ძველი სახელია. ტექსტში შეცდომით რანქა წერია. „ზანგა" და „რანქა" გრაფიკულად მსგავსად გამოისახება და განსხვავება მხოლოდ დიაკრიტიკულ ნიშნებშია, რაც შეცდომის მიზეზი გახდა.

რომელზეც კედლები და ბურჯებია ამოყვანილი. ლორის ციხე ოსმალთა პერიოდშია აგებული. აქაური მოსახლეობა, ძირითადად, სომხები და რუსებია, თუმცა ცოტა მუსლიმსაც შეხვდები. გზაზე ერთი რუსი, სახელად ფარსადანი (Pārsīdan) ლორის მამასახლისებისა და დიდებულების თანხლებით დაგვხვდა და არსენ ბეგ არმანის (Arsīn Bek Armanī) სამფლობელომდე მიგვაცილა. არსენ ბეგი რუსების მიერ ბორჩალოსა (Bozchalo) და დემირჩი-ჰასანლოს (Demīrchī Hasan Lo) თემის უფროსად არის დანიშნული და მთელი ამ მხარის ბატონ-პატრონია. ის ბორჩალოსა და დემირჩი-ჰასანლოს მოლების, თავისი თანაშემწის, მდივნისა და *ქალანთარის* თანხლებით შეგვეგება და მოგვახსენა, რომ რუსეთის მთავარსარდლის გამოგზავნილი იყო. გზაში ნაპოლეონთან ომში რუსების გამარჯვებასა და ტრიუმფზე და ფრანგების დამარცხებაზე გვესაუბრა. ცოტა ხანში არსენ ბეგის მამულში მივედით და ყველა მისთვის განკუთვნილ ადგილზე დაბინავდა.

საჰიბი ილჩი საკუთარ კარავში გაჩერდა, დიდებულებთან ერთად ისადილა და დასასვენებლად განმარტოვდა.

რადგან სასაჩუქრე სპილოები თან გვახლდა, ხოლო იქაურებს სპილო ნანახი არ ჰყავდათ, მათ სანახავად უამრავი ქართველი, სომეხი და რუსი ქალი შეიკრიბა. მათი უმეტესობა თავშიშველი იყო, ნაწნავები აეკეცა, ევროპული ტანსაცმელი ეცვა და გულ-მკერდი უჩანდა. ზოგიერთი ძალიან ლამაზი გახლდათ. ქალები სპილოებს მუცლების ქვეშ უძვრებოდნენ იმ იმედით, რომ ეს მათ დაფეხმძიმებაში დაეხმარებოდა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ მათი კაცებიც ასევე იქცეოდნენ, სპილოებს სასქესო ორგანოებზე ხელს ჰკიდებდნენ, სახესთან და თავთან მიჰქონდათ და ამბობდნენ, ახლა კი ნამდვილად გვეყოლება ბავშვიო. უეჭველია, იმ ღამეს იმ სოფელში ათასობით კაცსა და ქალს ბავშვის გაჩენის მიზნით სქესობრივი კავშირი ჰქონდა. რუსი დიდებულების თანხლებით რამდენიმე სახლში შევედით და მოსახლეობისგან სურსათი მაღალ ფასად შევიძინეთ.

ერთ დღეს საჰიბი ილჩისთან ყარაქილისას მფლობელი *შეფ* ლაბდილი და დიდებულები მობრძანდნენ და სასაუბროდ დასხდნენ. საუბარი ორივე ხალხის ეტიკეტისა და წეს-ჩვეულებათა შესაბამისად წარიმართა. საჰიბი ილჩიმ აღნიშნა: „ევროპელ ხალხებს შორის ეტიკეტს ყველაზე მეტად ინგლისელები იცავენ და მათ ქვეყანაში ჩასულ ელჩებსა და სხვა [ოფიციალურ] პირებს გამორჩეულად კარგად ხვდებიან". რუს დიდებულებს მოერიდათ, რომ სათანადო პატივით არ დაგვხვდნენ და სურსათი არ მოგვცეს და შეცბნენ. საჰიბი ილჩიმ მათ განუცხადა: „ჩვენი კმაყოფილება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ სურსათს მოგვცემთ. თქვენგან კი ვერაფერი მივიღეთ და რა გვექნა?" ძალიან შერცხვათ.

13 შაბანი (31 ივლისი), კვირა:

ხუთი *ფარსანგის* გავლის შემდეგ სოფელ ჩანახჩიში (Chanāghchī) შევედით. გზაზე მდინარე ახქერფი[108] (Arvādār Kerpī), მთები, თავშიშველას ტყე (Jangal-e

[108] ახქერფი – მდინარე ბოლნისის რაიონში ლორი-ჩანახჩის გზაზე, ბოლნისისწყლის შენაკადი. ტექსტში „არვადარ-ქერფი"-ს ხმარება ან ავტორის შეცდომაა, ან ადრე ამ მდინარეს ასე ერქვა.

oryan)[109] და პირღებულის (Aghezbyūk)[110] შემოგარენი გავიარეთ. ლორიდან ჩანახ-ჩიმდე ბევრი ხე, დაბლობი, მაღლობი, ხევი, მთა და გორაკია. ამ გზაზე ბორ-ჩალოსა და დემირჩი-ჰასანლოს ოთხ-ხუთ ათასამდე კომლი ცხოვრობს. ზოგი-ერთი მათგანი მკვიდრი მოსახლეა, ზოგი კი მომთაბარე ცხოვრებას ეწევა და ცხვრებს, კამეჩებს და ძროხებს მწყემსავს. აშკარად ჩანდა, რომ აქაურები დიდ-ძალი ქონებისა და საქონლის პატრონები იყვნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამდენი ცხვარი და ძროხა ჰყავდათ, ერთი *მისხალი* რძე, მაწონი ან ყველიც კი არ მოეპოვებოდათ, რაც ძალიან უცნაური იყო. მაგალითად, ირანში ერთ მოსახ-ლესაც ვერ ნახავ, სახლში *დული*, მაწონი, რძე და ყველი რომ არ ჰქონდეს. ამათ კი, მიუხედავად ამდენი დოვლათისა, ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტებიდან ვერაფერი ვუპოვეთ. ამ მხარეში ბალახიც კი არ იზრდება, ამიტომ რამდენიმე კაცი წავიდა და ჩვენი სასაპალნე ცხოველებისთვის ბალახი სხვა ადგილებიდან მოიტანა. სოფლის შესასვლელთან *კნიაზ* აფხაზოვი (Abekhof), რომელიც შარ-შან ირანში იყო ჩამოსული და კაპიტანი პალიმავიჩი (Palī Māvech) ოფიცრების, ცხენოსანი კაზაკების და ქვეითი *სალდათების* თანხლებით დაგვხვდნენ და მასპინძლობის ეტიკეტის დაცვით დიდი პატივით შეგვეგებნენ. ბორჩალოს თე-მის უფროსი არსენ ბეგი, ყარაქილისას *დარუღა* და სხვა [ოფიციალური] პირები, რომლებმაც აქამდე გამოგვაცილეს, *სალდათებთან* და გუშაგებთან ერთად სა-კუთარ სახლებში დაბრუნდნენ. ჩვენი მასპინძლობა და მფარველობა ამჯერად *კნიაზ* აფხაზოვმა და მისმა თანამგზავრებმა ითავეს. საჰიბი ილჩიმ ისინი სა-კუთარ კარავში დაპატიჟა და გაუმასპინძლდა. შეხვედრა ოფიციალური ეტიკე-ტის შესაბამისად წარიმართა. ახალი დაღამებული იყო, იქიდან რომ წამოვედით და სოფელ ალგეთისკენ (Al Ked) გავემართეთ.

14 შაბანი (1 აგვისტო), ორშაბათი:

შვიდი *ფარსანგის* გავლის შემდეგ აფხაზოვისა და სხვა პირების თანხლებით ალგეთს მივუახლოვდით. გზა ტყეში მიდიოდა და ისეთი ვიწრო იყო, რომ გავლა ჭირდა. ამ მიდამოებში უამრავი ხე, ნაკადული და მდინარეა, რომლებიც ცხენს თოქალთომდე სწვდება. ტყე და მდინარეები გავიარეთ და ალგეთში შევედით. არსენ ბეგი მოვიდა და თავისი სამსახური შემოგვთავაზა.

---

109 თავშიშველა – შუა ხრამის მთათა კვანძის ერთ-ერთი შტოქედი. აღსანიშნავია, რომ ავ-ტორმა ის ტოპონიმად არ გაიაზრა და თარგმნა, როგორც „შიშველი ტყე" (jangal-e oryan), რამაც გამოიწვია ტექსტის გამომცემლის მცდარი შენიშვნა: „შიშველი ტყე უნაყოფო და უფოთლო ტყეს ნიშნავს" (*Safar-nāme-ye Mīrza Abū'l-Hasan Khan Shīrazī Īlchī be Rūsiye*, 22).

110 სპარსულ ტექსტშია „აღიზბიუქი" (თურქ. „დიდი, ფართო პირი"), რაც ქართულ ტოპონიმ პირღებულის თურქული შესატყვისია. ტექსტის სქოლიოში მისი სპარსული სახელიც არის მოყვანილი: dahanbozorg. პირღებული ადგილია თეთრიწყაროს სამხრეთ-დასავლეთით, რომელიც XIII საუკუნის სამონასტრო კომპლექსით არის ცნობილი. კომპლექსის გარშემო კლდეებში ბერების საცხოვრებელი გამოქვაბულები იყო, საიდანაც, სავარაუდოდ, მოდის ამ ადგილის სახელიც.

საჰიბი ილჩის მითითებით, ეტიკეტის თანახმად, მას ერთი ცალი ქუშანჯის[111] შალი, ერთი *ყალამქარი* და ერთი...[112] ვაჩუქეთ და აფხაზოვს შევუთანხმდით, რომ თბილისამდე გაგვაცილებდა.

რადგან მეორე დღეს თბილისში უნდა შევსულიყავით, იმ საღამოს საჰიბი ილჩის ბრძანებით სპილოები მორთეს, ტახტრევანი და სხვა აღკაზმულობა დაადგეს და სასაჩუქრე ცხენებიც შეკაზმეს. ისინი მცველების თანხლებით ღამით გაუშვეს, საჰიბი კი გამთენიისას გაემგზავრა. ალგეთიდან თბილისამდე ოთხი *ფარსანგია* და სწორი გზა მიდის. აქა-იქ ნაკადულები და მდინარეები მოედინება, მაგრამ არც ერთი ღრმა არ არის.

თავი III

ქალაქ თბილისში შესვლა

15 შაბანი (2 აგვისტო), სამშაბათი:

ოთხი *ფარსანგის* გავლის შემდეგ თბილისს მივუახლოვდით. ქალაქიდან ორ *ფარსანგში* მთავარსარდლის *იშიქაყასიბაში* და რუსი გენერლები, წარჩინებული მოხელეები და დიდგვაროვნები, რომელთა სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ორ-სამათასიან ქვეით და ცხენოსან რაზმთან ერთად დაგვხვდნენ. ერთი ფერის ცხენზე ამხედრებული, ერთნაირ ტანსაცმელსა და იარაღში გამოწყობილი მხედრები და, ასევე, ერთ ფორმაში ჩაცმული ქვეითი *სალდათები* მწყობრში იდგნენ. ისინი საჰიბი ილჩის ოფიციალური ეტიკეტის დაცვით შეეგებნენ. თბილისის მთავარსარდალმა ექვსცხენშებმული *კარეტა* და მეეტლეები დაგვახვედრა. რადგან წვიმამ იკლო, [საჰიბი ილჩიმ] გზის ნაწილი *კარეტით*, ნაწილი კი ცხენით გაიარა და თავის მხლებლებთან ერთად თბილისში შებრძანდა. ქალაქის მისადგომებთან მთელი მოსახლეობა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გამოსულიყო. მთავარსარდლის სასახლე ციხე-ქალაქის გარეთ, ზედ გზაზე იდგა, ამიტომ მან ჩვენ შესახვედრად დიდგვაროვნები გამოგზავნა, თავად კი ჭიშკართან შეგვეგება და საჰიბი ილჩი ძალიან გულთბილად და თავაზიანად სახლში ჩაის დასალევად შეიპატიჟა.

საჰიბიმ ჭიშკართან გამოსულ მასპინძელს უარი ვეღარ უთხრა, მიპატიჟება მიიღო და ცხენიდან ჩამოვიდა. როგორც წესია, სრულუფლებიანი ელჩის გამოჩენას ქვემეხიდან 21 გასროლით შეხვდნენ. მთავარსარდალმა სტუმარი, ოფიციალური ეტიკეტის შესაბამისად, დიდი პატივით მიიღო, ხელი მოჰკიდა, სახლში შეიყვანა და თავის წინ დაისვა.

რადგან [მთავარსარდალს] სპილოების ნახვა ძალიან სურდა, საჰიბი ილჩიმ მათი მოყვანა ბრძანა. სპილოების დათვალიერების შემდეგ მთავარსარდალი და საჰიბი სასაუბროდ განმარტოვდნენ. მთელი რუსი დიდებულები ამ სახლში შეკრებილიყვნენ. აყა ბეგ დერბენდი, რომელიც თბილისში წინა დღეს ინგლისის

---

111 იგივე ქუშანგი – ქაშმირის შაჰრესთანის ერთ-ერთი სოფელი.

112 სპარსული გამოცემის სქოლიოში აღნიშნულია, რომ ხელნაწერში აქ სიტყვა არ იკითხება.

ელჩს ჩამოჰყვა, საჰიბი ილჩის ეახლა. ამ შეხვედრაზე ის *დილმაჯის* მოვალეობას ასრულებდა. ჩაის დროს მთავარსარდალმა მის უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰს წყალობისთვის დიდი მადლობა მოახსენა. ერთი საათის შემდეგ მან *კარეტა* იხმო, საჰიბი ხელმარჯვნივ დაისვა, თვითონ მარცხენა მხარეს დაჯდა და სტუმარი მისთვის განკუთვნილ სახლამდე მიაცილა.

მიუხედავად იმისა, რომ საჰიბი ილჩის კარავი უკვე დაედგათ და იქაურობა მოეწესრიგებინათ, მთავარსარდლის დაჟინებული თხოვნით ის ამ სახლში გაჩერდა და მისთვის მომზადებულ ოთახებში დაბინავდა. სასაუბროდ დასხდნენ. მთავარსარდალმა საჰიბი ილჩის თავისი მეფის კეთილგანწყობის [დამადასტურებელი] სასიხარულო ამბავი ამცნო და უთხრა: მისი უდიდებულესობის ბრძანებით, თქვენს ჩამოსვლასთან დაკავშირებით ესა და ეს [ღონისძიებები] არის დაგეგმილიო. მერე თავისი დიდგვაროვნებიდან ათ კაცს ჩვენი *მეჰმანდარობა* დაავალა და საჰიბის განუცხადა, თქვენს ერთ-ერთ *მეჰმანდარად* მეც მიგულეთო. სტუმრობის ოფიციალური ცერემონიალის დასრულების შემდეგ მთავარსარდალი სახლში დაბრუნდა. მისი ბრძანებით, საგუშაგო რაზმის *სალდათები* მოვიდნენ და სახლის გარშემო სადარაჯოზე დადგნენ.

საჰიბი ილჩიმ ერთი საათი დაისვენა, მერე კი ირანის სახელმწიფოს თავკაცებს წერილები მისწერა და თბილისში ჩვენი ჩამოსვლის ამბავი შეატყობინა.

მეორე დღეს მისი უდიდებულესობა ირანის *ვალიაჰდის* კარისკაცი ფულად ბეგი, რომელიც თან გვახლდა, უკან გაუშვეს. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ თბილისში ღვინის სმა გავრცელდა და აქაურმა ქალებმა



თბილისი, სეიდაბადი. 1890-იანი წლების ფოტოსურათი.

უწინდელი უმანკოება და პატიოსნება დაივიწყეს. ამიტომ ზოგიერთმა ირანელმა, რომელიც აქ ჩვენამდე ჩამოვიდა, აყა ბეგ დერბენდის ხელშეწყობით ბევრი უმსგავსობა ჩაიდინა და ქვეყანა შეარცხვინა. იმის შიშით, რომ ჩვენს ერევნელ მეგზურებსა და მსახურებს ეს ამბავი არ გაეგოთ და ეშმაკის ცდუნებას არ აჰყოლოდნენ, საჰიბი ილჩიმ მათ ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა და მეორე დღეს, მიუხედავად მათი პროტესტისა, ყველა ერევანში გაისტუმრა.

იმ საღამოს მთავარსარდლისგან საჰიბი ილჩისთან აყა ბეგ დერბენდი და ორი დიდგვაროვანი მოვიდნენ, რათა მეორე დღისთვის დანიშნული წვეულების დროზე შეთანხმებულიყვნენ. რადგან მათთან ეს[113] ცოდვად არ ითვლება, საჰიბი ილჩიმ ბრძანა, რომ საჭმელი მისთვის სახლში მოემზადებინათ და ხვალინდელი წვეულებისთვის მთავარსარდლის სახლში წაეღოთ. მას შემდეგ, რაც დრო დათქვეს, დიდებულები თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ. ეს დღეც დამთავრდა.

თბილისის *ვილაიეთი* მას შემდეგ, რაც განსვენებული შაჰის დროს დაიწვა[114], დღეს სრულიად განახლებული და აყვავებულია. ქალაქში დიდებული სახლები, ორსართულიანი შენობები და ხის ბაზრის რიგები აშენდა. მაგრამ ბაზრისა და ქუჩების სივიწროვისა და ხალხის დიდი რაოდენობის გამო აქაურობა ისეთი ჭუჭყიანია, რომ ნაგვისა და სიბინძურის სუნისგან გავლა ჭირს. ამ მიზეზით, რუსული ოკუპაციიდან დღემდე, რამდენჯერმე ქოლერა და შავი ჭირი გავრცელდა და უამრავი ხალხი დაიღუპა.

თბილისის დანარჩენი შენობები და დუქნები საკმაოდ უხარისხოა. ქალაქში ორი-სამი აბანოა, რომლებშიც ბუნებრივი ცხელი წყალი მოდის. ის ცეცხლისა და საცეცხლეს გარეშე სხვა აბანოების წყალზე უფრო ცხელია. აბანოებში აშენებულ აუზებში ცხელი წყალი მილებით შედის. ეს წყალი ცოტა მლაშე და მწარეა, მაგრამ ერთი დაბანაც საკმარისია, რომ სხეული რბილი და ნაზი გახდეს. თბილისში ბევრი სახლი, ქარვასლა, მოედანი, ეკლესია, მეჩეთი, სასეირნო ადგილი და ყველა სახის დუქანი და ბაზარია. დუქნები და ბაზრები ორსართულიანია და გრძელი და მსხვილი ხის მორებით არის აშენებული. ქალაქი მჭიდროდ არის დასახლებული და მასში ძირითადად სომხები, ქართველები და რუსები ცხოვრობენ, თუმცა ცოტა მუსლიმსაც შეხვდები. თბილისის ციხე-ქალაქი ხეობაში მდებარეობს. მას სამი მხრიდან მთები, მეოთხედან კი ქუჩები აკრავს. ქალაქის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილში ბევრი ბაღი, ბოსტანი და ხეა. ხეები მსხმოიარეა და სხვადასხვა ჯიშის ნაყოფს ისხამს. განსაკუთრებით ბევრია ყურძენი, რომლის რამდენიმე სახეობა იზრდება. მთებიდან ნაკადულები გადმოდის, ერთმანეთს უერთდება და ჩაედინება დიდ აუზში, რომელიც წარმტაცი სანახავია. ამ წყალს ძირითადად ბოსტნების, ზოგჯერ კი ნათესების მოსარწყავად იყენებენ. ამას გარდა, აქ მდინარე მტკვარიც (Koriz) მოედინება. მისი ერთი განშტოება ქალაქში შედის და მას შუაზე კვეთს. მდინარეზე ხის ხიდია აგებული და მასზე გადადიან. მტკვრის წყალი მღვრიე, მაგრამ სასიამოვნო და გემრიელია. ძალიან ჩქარა მოდის. ზოგან მისი სიღრმე ხუთ *ყადის* აღწევს, ზოგან კი უფრო მეჩხერია. აქაურები ამ წყლით ნათესებს რწყავენ.

---

113 სავარაუდოდ, იგულისხმება მუსლიმებისთვის მიუღებელი საკვები.

114 იგულისხმება 1795 წელს აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის გადაწვა.

ციხე-ქალაქის გალავნის საფუძვლები და ბურჯები მაინცდამაინც მყარი არ არის და ზოგიერთი დანგრეული და ჩამოშლილია. გალავანი მთიდან იწყება, ნელ-ნელა ქვევით ეშვება და მიწას ებჯინება. ციხის შუაში, მთის წვერზე დგას ერეკლე ხანის (Īraikī Khān) სასახლე, რომელიც პატარა კოშკის ფორმისაა და მის ახლოს წყარო გადმოდის. დღეს ზოგი მორღვეული ადგილი უკვე შეკეთებულია. რუსების მიერ თბილისის დაპყრობის შემდეგ ქართველი ბატონიშვილები ოჯახებით პეტერბურგში გადასახლდნენ და ახლა ამ კოშკში რუსების საპყრობილეა. თუ ვინმე დანაშაულს ჩაიდენს, მას, აქაურ ხელისუფალთა ბრძანებით, საპყრობილეში ამწყვდევენ. პატიმრებს საგუშაგოზე მდგარი *სალდათები* დარაჯობენ და ცოტა საჭმელსაც აძლევენ. პატიმრების სიკვდილის შემთხვევაში, მათი ცხედრები კოშკიდან გააქვთ და სადმე სხვაგან მარხავენ. რუსების [აშენებულ] ნაგებობათაგან აღსანიშნავია რუსი მთავარსარდლის სასახლე, საავადმყოფო, არტილერია, არსენალი და კიდევ რამდენიმე შენობა, რომელიც ციხე-ქალაქიდან 2000-3000 ნაბიჯში მდებარეობს. მთავარსარდლის სასახლე ევროპული წესისამებრ ორ-სამ სართულიანია და ყველა მხარეს მინის ფანჯრები აქვს. პირველ სართულზე მთავარსარდალი და მისი ხელქვეითები ცხოვრობენ, ქვევით კი თავლა, ამბარი და მსახურების ოთახებია. თბილისში ბევრი მაღალი და განიერი ხეა, ამიტომ ქალაქის შემოგარენში საგუშაგოები, ყაზარმა, საავადმყოფო, არტილერია და საჭურველთსაწყობი ხით არის აშენებული. ციხის გარეთ მშვენიერი ადგილებია, სადაც მოსახლეობა ჰაერის გამოსაცვლელად, სასეირნოდ და დროს გასატარებლად დადის. ციხის მოპირდაპირე მთის ფერდობზე აკლდამაა აგებული. ამბობენ, რომ მასში შეიხ სანაანის[115] საფლავია, თუმცა იქ კიდევ ბევრი დიდგვაროვანია დაკრძალული.

თბილისში მცხოვრები რუსი დიდგვაროვნებიდან და ციხესიმაგრეში განთავსებული *სალდათებიდან* ზოგი საკუთარ, ზოგი კი ქართველების და სომხების სახლებში ცხოვრობს. ამიტომ აქაურმა ქალებმა სულ დაივიწყეს პატიოსნება და ზნეობა და ქმრები მათ ველარ იმორჩილებენ. რუსები ადგილობრივების ცოლებთან დაუფარავად დადიან და მათთან ურთიერთობა აქვთ. ქალები და კაცები, როგორც დიდები, ისე პატარები, აბანოში ერთად შიშვლები შედიან და ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადიან. ეს გარყვნილება რუსებისგან ქართველებსა და სომხებს გადაედოთ და თბილისელ მუსლიმებშიც გავრცელდა. მე თვითონ მოვისმინე აქაური *შეიხ ალ-ესლამის* მოლა ნარ ქორდის[116] (Nār Kordī) ნათქვამი, რომ „მე თბილისში ... [117] არ გამიკეთებია და ცოტა ... , რომელთანაც არ ვყოფილვარ". ამ სიტყვების სიმართლეზე პასუხისმგებელი თავად მთქმელია. თუმცა ბაზარში, ქუჩებსა და შესახვევებში ქალების ქცევით, სიარულით და გარეგნობით თუ ვიმ-

---

115 იხ. შენიშვნა 50.

116 შემდგომში ავტორი თბილისის შეიხ ალ-ესლამს სხვა სახელით მოიხსენიებს: თარივერდი. რადგან „ნარ ქორდი" და „თარივერდი" სპარსულად გრაფიკულად ერთნაირად გამოისახება და განსხვავება მხოლოდ დიაკრიტიკულ ნიშნებშია, უეჭველია, ერთსა და იმავე ადამიანზეა ლაპარაკი და ერთ შემთხვევაში, სავარაუდოდ პირველში, სახელი შეცდომით წერია.

117 აქაც და შემდგომაც მრავალწერტილი ავტორისეულია.

სჯელებთ, პატიოსანი და უმანკო მათში ცოტაა. არაერთხელ დავინახე მორთულ-მოკაზმული ქართველი და სომეხი ქალები, რომელთაც სახეზე ფერუმარილი და სურმა ესვათ. ისინი კაცებთან ერთად ბაღებსა და ქუჩაბანდებში ღვინოს სვამდ-ნენ და უხამსად იქცეოდნენ. ამ ქალებმა სრულიად აითვისეს რუსული ქცევის წესები, რადგან რუსებს მათზე დიდი ზეგავლენა აქვთ. ამგვარად, აქ ნებისმიერი რუსი ნებისმიერ სახლში რასაც უნდა, იმას აკეთებს და ვერავინ ხმას ვერ იღებს. ქართველები კი დღე და ღამე ირანის შაჰინშაჰის დღეგრძელობისთვის ლოცუ-ლობენ და მას რუსებისგან განთავისუფლებას შესთხოვენ. ისინი ამბობენ: „ჩვენი ბატონიშვილები და დიდებულები რუსებს სრულიად დაემორჩილნენ, ისინი ჩვენს ქვეყანაში შემოუშვეს, თავად კი ოჯახებთან ერთად პეტერბურგში ტყვეობაში ცხოვრობენ და მათხოვრობენ. მაგრამ ჩვენ რა გვეშველება?“ ასეა თუ ისე, ამ ქვეყანაში უზნეობა და გარყვნილება დიდია და ლოთობა იმდენად მოდებულია, რომ ღვინო ბაზარსა და ქუჩებშიც კი იყიდება და ქალი და კაცი, ყველა სვამს. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსებმა და ყიზილბაშებმა[118] დაიპყრეს, მათში ... გავრცელდა და ბევრმა ამ საქმეს მიჰყო ხელი. ქალები რუსული წესისამებრ გარყვნილ ცხოვრებას ეწევიან და თბილისის მთავარსარდლის ცოლსაც კი ცუდი რეპუტაცია აქვს. აქ ერთი კაცია, სახელად მანდარკინი (Mandarkīn), რომელიც მთავარსარდლის ერთ-ერთი უკანასკნელი ხელქვეითია. ირანსა და რუსეთს შო-რის ზავის დადების წელს[119] მისი აღმატებულება *სადრ ა'ზამის* რწმუნებულ-მა მოჰამად ალი ბეგმა ის თბილისში ჩამოიყვანა, რათა საჰიბი ილჩის ჩამან-ე გოლესთანში[120] გაჰყოლოდა. ამ კაცს მაიორსა და გენერალს ეძახიან, თუმცა, როგორც ცნობილია, მთავარსარდლის ტრაპეზის დროს, როცა დიდი და პატარა სუფრას უზის და საჭმელს შეექცევა, მას დაჯდომის ნება არა აქვს. მანდარკინს მთავარსარდლის ცოლთან აქვს კავშირი და, როცა მასთან ოთახში იმყოფება და საუბრითა და უკადრისი საქმეებით არის გართული, ოთახში შესვლის უფლება თავად მთავარსარდალსაც კი არა აქვს და მან უნდა მოიცადოს, სანამ მანდარ-კინი გამოვა და მერე უნდა შევიდეს.

რადგან, რუსული წესებით, ქალს დიდი ძალაუფლება აქვს, რას გააკეთებს, როგორ მოიქცევა, სად წავა და ვისთან იქნება, მის ქმარს არ ეხება. ის ვერც აუკრძალავს და ვერც გაუბრაზდება. აქ ქალი თავისი თავის ბატონ-პატრონია და რომელ კაცთანაც მოისურვებს, იმასთან იქნება. ახლა ეს წესი თბილისის მოსახლეობამაც გადმოიღო და რუსული ხელისუფლების პირობებში ცოლს ვე-ღარავინ იმორჩილებს. ქალიც, სადაც უნდა, იქ მიდის და რასაც უნდა, იმას აკეთებს. კიდეე კარგი, ირანელებმა არაფერი იციან რუსული ქცევის ნესების შესახებ. მაგალითისთვის ავიღოთ რუსი მთავარსარდლის მინისტრი პალივანი-

---

118 ყიზილბაშები თურქული წარმოშობის ტომებია, რომლებსაც გაბატონებული მდგომარეო-ბა ეკავათ ირანში სეფიანთა დინასტიის დროს. განსხვავებით ქართული ტრადიციისა-გან, რომელიც „ყიზილბაშებში“ ზოგადად ირანელებს გულისხმობს, ყაჯარული ეპოქის ავტორი მკაფიოდ მიჯნავს თავისდროინდელ ირანს ყიზილბაშური ირანისაგან.

119 იგულისხმება 1813 წელს სოფელ გოლესთანში/გულისთანში (ყარაბაღი) ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულება, რითაც დასრულდა 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომი.

120 იგივე გოლესთანი.

ჩი[121] (Bālīvānīch), რომელიც ორ ქვეყანას შორის საზავო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ირანში იყო ჩამოსული. მას ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავს. ადრე ის ქართველი მეწაღის ცოლი იყო. როცა პალივანიჩმა მისი სილამაზის ამბავი შეიტყო, ქალი შეაცდინა. მან ძველი ქმარი მიატოვა, საცხოვრებლად პალივანიჩთან გადავიდა და ახლა, ფაქტობრივად, მისი ცოლია. ქმარი კი ხმის ამოღებასაც ვერ ბედავს.

კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: მირზა სადეყ დერბენდის ვაჟი აყა ბეგ დერბენდი დიდი ხანია, რაც თბილისის მთავარსარდლის სამსახურშია და *დილმაჯის* მოვალეობას ასრულებს. საჭიროდ მიმაჩნია, მოკლედ გიამბოთ მისი ქცევისა და საქმიანობის შესახებ, რათა ცხადი გახდეს, რუსების მოსვლამ და მათ მიერ ირანის ზოგიერთი *ვილაიეთის* დაპყრობამ ხალხს რა უქნა. ეს კაცი მუსლიმია, დერბენდის დიდგვაროვანთა წრიდან არის და ძალიან განსწავლულ და განათლებულ ადამიანად ითვლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისე ცხოვრობს, რომ, როგორც ჩანს, მუსლიმური ადათ-წესები სრულიად დავიწყა და რუსივით იქცევა. დღე და ღამეს მათთან ერთად ატარებს, ღვინოს სვამს და ყოველგვარ უწესობასა და უზნეობას სჩადის. მუსლიმის ნიშანწყალიც არ შერჩენია და ერთ მუსლიმთანაც კი არა აქვს ურთიერთობა. რუსული რჯული და წეს-ჩვეულებები იმდენად გაითავისა, რომ არანაირი ზღვარი და შეზღუდვა აღარ დარჩა. მან რიტუალურ სისუფთავესა და გარეგნულ ღვთისმოსაობაზეც კი უარი თქვა. არაერთხელ დაინახეს, რომ შარვლის უბე გაიხსნა, ძაღლივით და რუსივით ფეხზე დამდგარმა მოშარდა და გზა განაგრძო. საპირფარეშოშიც დასაბანი წყლის გარეშე შედიოდა და, რუსული წესისამებრ, ქუდში შენახული ქაღალდის ნაგლეჯით იწმენდდა. საუბრებშიც გაუთავებლად რუსულ ხელისუფლებას აქებდა და ერთგულებას ეფიცებოდა, ხოლო მუსლიმებს აკრიტიკებდა და კიცხავდა.

ერთხელ ეს კაცი საჰიბი ილჩისთან მოვიდა და მისი თანდასწრებით რუსული უტიფრობითა და ყოყოჩობით განაცხადა: „ფათჰალი ხან დერბენდიმ მე და მამაჩემი პეტერბურგში გაგვაგზავნა. მას შემდეგ, რაც რუსულ ხელისუფლებას ჩვენი ერთგულება და მეგობრობა ვაჩვენეთ, ისინი ირანში ჩამოსასვლელად შევაგულიანეთ. ყიზილ აიაყი (Qezel Ayāgh) (?) ჩვენ ჩამოვიყვანეთ და მის ჩამოსვლამდე ესა და ეს რუსი მთავარსარდალი ირანში ჩვენ წავიყვანეთ. ფათჰალი ხან დერბენდის მერე შეიხ ალი ხანი, რატომღაც, მამაჩემს შემოსწყრა. ამგვარად, პირველები, ვინც რუსებს ირანის გზა გაუხსნა, მე და მამაჩემი გახლდით".

საუბრისას, ასევე, თქვა: „ერევანზე ღამეული თავდასხმის დროს[122] მეც მათთან ერთად ვიყავი და ესა და ეს გავაკეთე. რუსი არტილერისტები ქალაქს დილამდე ბომბავდნენ. ახლა ერევანიც ჩვენს ხელშია და განჯაც დავიკავეთ". სხვა დროსაც გავიგე, საჰიბი ილჩის თანდასწრებით თურქულად როგორ ამბობდა: „ღმერთმა გაანათლოს უჩ ფახთარი (Üch Pakhtar) (?). დღეს რომ [ცოცხალი] ყო-

---

121 სპარსულ ტექსტში ბალივანიჩი წერია, მაგრამ სხვაგან იგივე მინისტრი პალივანიჩად არის მოხსენიებული. რადგან რუს მოხელეებში ასეთი გვარის არავინ ჩანს, ხომ არ არის სახელისა და მამის სახელის პაველ ივანოვიჩის შემოკლებული ფორმა, რაც ირანელ მოგზაურს გვარი ეგონა.

122 იგულისხმება 1804 წელს ეჩმიაძინისა და განჯისთვის ბრძოლა.

ფილიყო, რუსეთი მთელ ირანს დაიპყრობდა". ამ მოღალატე არაკაცისგან ასეთი ლაპარაკი არაერთხელ მსმენია. მუსლიმური აკრძალვის მიუხედავად, 21 რამაზანის[123] ღამეს ღვინოს სვამდა და ღორის ხორცს ჭამდა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ ამტკიცებდა, ჯაფარ ყოლი ხან დენბელის ღორის ხორცის ჭამა ცოდვად არ მიაჩნია და თვითონაც მიირთმევსო. ამ სიტყვების სიმართლეზე პასუხისმგებლობა თავად მთქმელზეა. მოკლედ, აყა ბეგ დერბენდის საქმეების, ურჯულოების, რუსებისადმი მეგობრობისა და სიყვარულის, ხოლო მუსლიმებისადმი მტრობისა და სიძულვილის დაწვრილებით აღწერა რომ მოვინდომო, მთელი ცხოვრება არ მეყოფა.

მიუხედავად ამ ვითარებისა და მისი ამგვარი ქმედებებისა, მადლობა უზენაესს, რომ ეს კაცი მთავარსარდლისა და სხვა რუსების წრეში არც პატივისცემით და არც მაღალი მდგომარეობით არ სარგებლობს. პირიქით, საკმაოდ ცუდი რეპუტაცია აქვს და სიღარიბესა და გაჭირვებაში ცხოვრობს.

ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი აზერბაიჯანელებისგან, რომელთაც ღირსება და სარწმუნოებრივი ერთგულება დაივიწყეს და რუსებს ირანში შემოსვლაში ხელი შეუწყვეს.

ცხადია, რომ რუსებმა აზერბაიჯანის *ვილაიეთი* ძალითა და ბრძოლით კი არ დაიმორჩილეს, არამედ, ნაწილობრივ, რუსეთის ტყვეობაში მყოფი ქართველების[124], ნაწილობრივ კი აყა ბეგ დერბენდისნაირი ხალხის დახმარებით ისარგებლეს. მაგალითად, განჯის *ვილაიეთში* ჯალილ ყაჯარის შთამომავალმა ჯავად ხანმა, რომელიც ვაჟკაცობის, სიმამაცის და ღირსების განსახიერება იყო, თავი შეაკლა, მაგრამ იქაურმა სომხებმა მას უღალატეს და რუსეთს მფარველობა სთხოვეს. მას შემდეგ იქ რუსების ძალაუფლება დამყარდა. სხვა *ვილაიეთების* დამორჩილებაც თავად ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეწყობით მოხდა და ახლა ამ რეგიონში საკუთარი ცოლ-შვილისა და ქონების ბატონ-პატრონი აღარავინ დარჩა.

თუ, დავუშვათ, ვინმე გაიბრძოლებს, მას დაუყოვნებლივ გადაასახლებენ რუსეთის ერთ-ერთ საპყრობილეში ციმბირში (Sĭber), საიდანაც ვერავინ ვერ ბრუნდება. ასე, მაგალითად, შაქისა და შირვანის მცხოვრებნი სულ უბრალო დანაშაულის გამო ციმბირში გააგზავნეს. ბევრი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის და ვერც სხვები გადარჩებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ზნედაცემული ხალხი ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გავიცანი, თბილისელების მონათხრობით თუ ვიმსჯელებთ, ვაი იმათ, ვისაც რუსებთან ურთიერთობა უწევს და მათ დაქვემდებარებაშია.

16 შაბანი (3 აგვისტო), ოთხშაბათი:

დილით საჰიბი ილჩისთან მთავარსარდლის გამოგზავნილი აყა ბეგი მოვიდა და მოახსენა: „დღეს მთავარსარდალი თავის სასახლეში სადილს მართავს და

---

[123] რამაზანის თვეში მუსლიმები სავალდებულო მარხვას (Rouze-ye vajeb) იცავენ.

[124] სავარაუდოდ, გულისხმობს გენერალ ციციანოვს, რომლის მეთაურობითაც რუსულმა არმიამ 1804 წელს ეჩმიაძინთან ბრძოლაში დაამარცხა აბას მირზას ლაშქარი.

იმედს გამოთქვამს, რომ მასზე სამყაროს მფარველი შაჰინშაჰის *ფირმანების* ხილვის პატივი ექნება. გთხოვთ, უზენაესი *ფირმანები* და მისი უდიდებულესობის წერილები თან იქონიოთ და მის აღმატებულებას გადასცეთ". საჰიბი ილჩიმ თანხმობა მოახსენა. ნაშუადღევს 4 საათზე მის წასაყვანად და მისი უდიდებულესობა შაჰინშაჰის მიერ მინისტრ პალივანიჩისა და *დილმაჯ* აყა ბეგისთვის გამოგზავნილი ლომისა და მზის ორდენების[125] წასაღებად სპეციალური *კარეტა* მოვიდა. საჰიბი ილჩიმ მისი უდიდებულესობის ნაწყალობევი უზენაესი *ფირმანები* და წერილები აიღო და მხლებლებთან ერთად მთავარსარდალთან წაბრძანდა. სასახლის ჭიშკართან მას თავად მთავარსარდალი და მისი დიდებულები შეეგებნენ, სახლში შეუძღვნენ და საპატიო ადგილზე დასვეს. მისალმების შემდეგ მთავარსარდალმა საჰიბი ილჩის ჰკითხა: „როგორც გავიგე, თქვენ შარშან ორი ქვეყნის დაზავების ცერემონიალიდან წახვედით და ჩამან-ე გოლესთანიდან თავრიზში დაბრუნდით, რითიც მისი მოწყალება *ყაიემ მაყამის* გულისწყრომა დაიმსახურეთ. მითხარით, რა მოხდა?" საჰიბი ილჩიმ უპასუხა: „ეს ამბავი მტკნარი სიცრუეა. მისი მოწყალება *ყაიემ მაყამი* ჩემდამი ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო და ახლაც არის. ხოლო ის, ვინც ეს ამბავი აქ ჩამოიტანა, მატყუარაა. მას ადრე არ ვიცნობდი, ახლა კი შევხვდი და მივხვდი, რომ ცბიერი და ვერაგი კაცია და მისი ასეთი საუბრების მიზანი მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის* მოხელეებსა და თქვენი სახელმწიფოს თავკაცებს შორის უთანხმოების ჩამოგდებაა. მე მას საკადრისი პასუხი გავეცი და იმედია, ამიერიდან ასეთ ფიქრებსა და ოცნებებს თავს დაანებებს". მთავარსარდალმა მისი უმაღლესობა *სადრ ა'ზამის* ამბები იკითხა. საჰიბი ილჩიმ მის ყველა კითხვას მოკლედ უპასუხა.

ამის შემდეგ მთავარსარდალმა უზენაესი *ფირმანების* ნახვა ისურვა. საჰიბი ილჩიმ მას გადასცა *ფირმანი* სამყაროს მფარველი შაჰინშაჰის ბოძებული 500 *მანი* აბრეშუმის გილანში გაგზავნის შესახებ და, აგრეთვე, მეორე *ფირმანი*, რომელიც დაზავებასა და საჰიბი ილჩის რუსეთში მის უდიდებულესობასთან გამგზავრებას შეეხებოდა. [მთავარსარდალი] წამოდგა, *ფირმანები* აიღო და მისი უდიდებულესობის ბეჭედს ემთხვია. როცა მათ შინაარსს გაეცნო, სამყაროს მფარველ შაჰინშაჰს დიდი მადლობა გადაუხადა. საჰიბიმ მას *ფირმანები* და პალივანიჩისა და აყა ბეგისთვის განკუთვნილი ლომისა და მზის ორდენები გადასცა. მთავარსარდალი ადგა და მოხელეებს ორდენები საკუთარი ხელით გაუკეთა. შემდეგ საჰიბი ილჩის ხელი მოჰკიდა და გაწყობილ მაგიდასთან მიიყვანა. ყველანი დავსხედით და ჭამა დავიწყეთ. სუფრა მათი წესისა და ეტიკეტის შესაბამისად იყო გაშლილი. მოიტანეს საჰიბი ილჩის სადილი, რომელიც მან ორი დღის წინ საგანგებოდ შეუკვეთა. ის სხვადასხვა სახეობის პურისგან, შემწვარი ხორცისგან და ტკბილეულობისგან შედგებოდა. მაგიდას ას კაცამდე დიდგვაროვანი და ორი მღვდელი უჯდა. ისინი თავიანთი წესისამებრ ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ, ხოლო ჩვენ ჩვენს საჭმელს შევექცეოდით. სადილის ბოლოს მთავარსარდალმა, დიდებულებმა და მღვდლებმა ფიალები ღვინით აავსეს, წამოდგნენ და სამყაროს მფარველი შაჰინშაჰის სადღეგრძელო დალიეს.

---

[125] ლომისა და მზის ორდენი დააარსა 1808 წელს ფათჰალი შაჰმა. არსებობდა 1925 წლამდე. ორდენს მაღალი თანამდებობის პირებს და, მათ შორის, უცხოელებსაც ანიჭებდნენ.

ამ დროს დაზავების აღსანიშნავად ქვემეხიდან 33-ჯერ გაისროლეს, რის შემდეგაც ყველანი დაიშალნენ.

მთავარსარდალი და საჰიბი ილჩი ისევ სასაუბროდ განმარტოვდნენ და ბევრი საკითხი განიხილეს. მთავარსარდალმა ბრძანა: „უმჯობესი იქნებოდა, ჩვენი მიპატიჟების მიღებისთანავე ჩამოსულიყავით, რადგან საფრანგეთთან ომში რუსეთის იმპერატორის გამარჯვებისა და მისი პარიზში შებრძანების შემდეგ ჩვენს ქვეყნებს შორის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა გაჭიანურდება და თქვენი გამგზავრებაც გადაიდება". საჰიბი ილჩიმ ამ თავხედური განცხადების საპასუხოდ უთხრა: „ირანიდან ამ ხელშეკრულების ტექსტის ჩამოტანა უფრო რთული იყო, ვიდრე მისი ხელმოწერაა. მაგრამ რადგან ხელმოწერა იგვიანებს, მზად ვართ, რომ დაველოდოთ".

მთავარსარდალმა ამ სიტყვების გაგონებაზე ბოდიში მოიხადა და საჰიბი საღამოს თავისთან დაპატიჟა. მერე საჰიბი ილჩი მასპინძლის თანხლებით გარეთ გამოვიდა, *კარეტაში* ჩაჯდა და სახლში დაბრუნდა. რადგან იმ დღეს რუსების დღესასწაული იყო, მთელი ხალხი ზეიმობდა და ერთობოდა. როცა მოსაღამოვდა, ქალაქი და შემაღლებული ადგილები გაანათეს და სახლის სახურავებზეც ჩირაღდნები დაანთეს. მთავარსარდლის სასახლის წინ ფართო მოედანზე ფეიერვერკები მოეწყო და მის სანახავად ხალხი შეიკრიბა. ცოტა ხნის დაღამებული იყო, როცა საჰიბი ილჩის და მის თანამგზავრებს მთავარსარდლის მინისტრმა და აყა ბეგმა გამოუარეს და სასახლეში წაიყვანეს. მასპინძელი მათ გუშინდელივით კარებთან შეეგება და დიდი პატივით მიიღო. მთავარსარდალმა საჰიბის ხელი მოჰკიდა და თავისი ცოლის გასაცნობად წაიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ საჰიბი ილჩის ამ ქალთან შეხვედრა ზიზღს ჰგვრიდა, იძულებული გახდა, ერთი საათით მაინც სწვეოდა. მერე ყველანი გარეთ გამოვიდნენ, სასახლის აივანზე დასხდნენ და უყურებდნენ, როგორ უშვებდნენ ფეიერვერკებს, უკრავდნენ და მღეროდნენ. წარმოდგენის დასრულების შემდეგ ოთახში შებრუნდნენ, ჩაი დალიეს, მერე კი სახლში წავიდნენ და დაიძინეს.

17 შაბანი (4 აგვისტო), ხუთშაბათი:

აყა ბეგი საჰიბი ილჩის ეახლა და მოახსენა: „მთავარსარდალს სურს, რომ სახლში გეწვიოთ, რათა ერთმანეთს განმარტოებით შეხვდეთ". საჰიბი დათანხმდა და ცოტა ხანში მთავარსარდალი მოვიდა. სტუმარს ჩაით, ყავითა და ტკბილეულობით გაუმასპინძლდნენ. მთავარსარდალმა საჩუქრების ნახვა მოისურვა. ყველაფერი მოიტანეს, აღნუსხეს და მის წინ გაშალეს. მას შემდეგ, რაც ძღვენი კარგად დაათვალიერა, მთავარსარდალმა განაცხადა: „ჯერ ერთი, საჩუქრების ნაკრები ძალიან მწირია და ბევრი აუცილებელი ნივთი აკლია. გარდა ამისა, თუ ხელმწიფის ძმას კონსტანტინეს (Qostantīn) ჩამოუტანეთ საჩუქარი, მისმა დედამ, ცოლმა და დამ რა დააშავეს? მით უმეტეს, რომ მეფეს ისინი ძმაზე მეტად უყვარს. რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, მარგალიტის კრიალოსანი, მოსასხამი და ნაჭრები ჩამოატანინეთ, რადგან ამ ქალბატონებს ხელმწიფეზე დიდი ზეგავლენა აქვთ. ჩემი მიზანია, რომ მათ ირანისადმი მეგობრული და თბილი გრძნობები გაუჩნდეთ, რათა ამ საქმის მოგვარებაში თანადგომა გაგვიწიონ და, როცა მეფის კარზე ჩახვალთ, მათი დახმარებით თქვენი მისია წარმატებით დაგვირგვინდეს.

აჯობებს, თუ სამი-ოთხი კვირა თბილისში დარჩებით, სანამ ირანში გაგზავნილი თქვენი შიკრიკი საჩუქრებს ჩამოიტანს. ამასობაში მეც ჩემს ხელმწიფესთან კურიერს გავაგზავნი, რომ საზავო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერინოს და ჩამოიტანოს. ამის შემდეგ კი პეტერბურგში გაემგზავრებით". მთავარსარდლის დაუინებულ თხოვნას საჰიბიმ თანხმობით უპასუხა: „საქმის ვითარებას ჩემს მბრძანებელს შევატყობინებ და როგორც მეტყვის, ისე მოვიქცევი".

მერე მთავარსარდალმა თქვა: „რადგან თქვენ ირანის სრულუფლებიანი ელჩი ბრძანდებით, ამიტომ რუსეთის სატახტო ქალაქში ჩასვლისას იქაურ სახელმწიფო თავკაცებს თავადაც უნდა დაურიგოთ საჩუქრები. ამისთვის თან რა გაქვთ?"

საჰიბი ილჩიმ უპასუხა, რომ 130 ცალი ქაშმირის შალი მიჰქონდა, მაგრამ, მთავარსარდლის განცხადებით, ამ საქმეს ორასი-სამასი ცალიც კი არ ეყოფოდა.

საჰიბი გაოგნებული ფიქრობდა: ეს სადაური წესია, რომ მთავარსარდალი ასე დაუინებით მოითხოვს საჩუქრებს! ვის გაუგია, კაცი პრეტენზიას აცხადებდეს, ჩემს ხელმწიფეს, რაც შეიძლება, მეტი ძღვენი მიართვითო.

მთავარსარდლის წასვლის შემდეგ საჰიბი ილჩიმ საქმის ვითარება ირანის სახელმწიფოს თავკაცებს მისწერა და თავრიზიდან ჩამოსულ ებრაჰიმ ბეგს იმავე საღამოს წერილი უკან თავრიზში გაატანა.

18 შაბანი (5 აგვისტო), პარასკევი:

ნაშუადღევს სამ საათზე საჰიბი ილჩის მთავარსარდალი ეწვია, თავაზიანად მოიკითხა და უთხრა: „სანამ აქ იქნებით, ყოველდღე გინახულებთ და მასპინძლობას გაგინევთ". მეგობრობითა და სიყვარულით აღსავსე ამ თბილი სიტყვების შემდეგ მთავარსარდალმა მოისურვა, რომ ძღვენი კიდევ ერთხელ ენახა.

საჰიბი ილჩიმ ბრძანა, რომ საჩუქრები მოეტანათ და მის წინ გაეშალათ. მთავარსარდალმა გულდასმით დაათვალიერა და თქვა: „გამიგია, რომ ირანში ძალიან კარგ ხალიჩებს ქსოვენ. თუ რამდენიმე ცალს ხელმწიფის საჩუქრებს დაუმატებთ, ურიგო არ იქნება". საჰიბიმ უპასუხა: „ეს ადვილი საქმეა". მთავარსარდალი ზრდილობისთვის ცოტა ხანს შეყოვნდა და მერე სურვილი გამოთქვა, მოშორებით გაშლილი საჰიბის კარავიც ენახა. საჰიბი ილჩი დასთანხმდა და მთავარსარდალს და მხლებლებს კარვის სანახავად გაუძღვა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ კარავი რუსეთის ხელმწიფისთვის *ფეშქეშად* მიერთმია. მართლაც რომ საუცხოო კარავი იყო და მთელი მისი ინვენტარი – მოხატული ბოძები, მომრგვალებული ტიხრები, ტილო, თოკი, ყაითანი, ტყავი, დოლი და ა. შ. – ისეთი მდიდრული იყო, რომ კაცი უკეთესს ვერ წარმოიდგენდა. კარავი იმხელა იყო, რომ მგზავრობის განმავლობაში რამდენჯერმე იქ გაშლილ ხალიჩაზე ოცდაათიორმოცი კაციც კი შეიკრიბა. მთავარსარდალმა კარავი კარგად დაათვალიერა, შეაქო და იკითხა, ვისთვის ჩამოიტანეთო? როცა გაიგო, რომ რუსეთის ხელმწიფის ძღვენი იყო, აღარაფერი უთქვამს, ისე წავიდა.

საჰიბიც სახლში დაბრუნდა და ირანის სახელმწიფოს თავკაცებს წერილები მისწერა, რომ ხალიჩები გამოეგზავნათ.

ცოტა ხანში *დილმაჯი* აყა ბეგი მოვიდა, ამ მთისა და იმ ბარის ამბები მოჰყვა და ბოლოს განაცხადა: „მთავარსარდალი თქვენი კარვით აღტაცებულია და ძალიან უნდა, რომ მას აჩუქოთ".

საჰიბი ილჩი ამ ახლადაღმოცენებული მეგობრული ურთიერთობების გაფუჭებას და მთავარსარდლის წყენინებას მოერიდა და დაყაბულდა. მაშინათვე ბრძანება გასცა, რომ ხალიჩები აეკეცათ და კარავი მთელი ინვენტარით მისთვის მიერთმიათ.

მთავარსარდალს საჩუქარი ძალიან გაუხარდა და კარვის მიმტანებს გასამრჯელოდ ხუთი ბაჯაღლოს *აშრაფი* მისცა. მათ საჰიბის რისხვის შეეშინდათ, ფული აიღეს და წამოვიდნენ. ამ ამბის გამგონე გაოგნებული დავრჩი, რომ ასეთ ძვირფას კარავში მხოლოდ ხუთი ბაჯაღლო გადაიხადეს. საჰიბიმ თქვა: „ამ ხალხის სიხარბესა და წუწურაქობას საზღვარი არა აქვს. როცა ამასწინათ ორ ქვეყანას შორის საზავო ხელშეკრულების დასადებად ჩამან-ე გოლესთანში ვიყავი, წამოსვლის დღეს მთავარსარდალი და სხვა რუსები კარგად დავასაჩუქრე და მთავარსარდლის ცოლს ცხრა ცალი ქაშმირის შალი, ძვირფასი ზურმუხტის ბეჭედი და კიდევ სხვა ნივთები გავუგზავნე. მან კი საპასუხოდ ყუთში ჩადებული ცხრა ცალი ძალიან ცუდი ფაიფურის ჩაის ჭიქა გამომიგზავნა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ როცა ჭიქები მოიტანეს, იქ მყოფმა აყა ბეგ დერბენდიმ მოულოდნელად გამოაცხადა: როგორ, ამ კაცს, რომელმაც მთავარსარდლის ცოლის საჩუქარი მოგიტანათ, გასამრჯელოდ მხოლოდ ათი ბაჯაღლოს *აშრაფი* მიეცით? იძულებული გავხდი, კიდევ ათი *აშრაფი* დამემატებინა. ეს ისეთი ხალხია, რომ ამათგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს“. იმ დღემ ასე გაიარა.

19 შაბანი, შაბათი – 21 შაბანი, ორშაბათი (6-8 აგვისტო):

ამ დღეებში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ერთხელ საჰიბი ილჩი ყაფლან ოღლის საპასუხო ვიზიტით ეწვია და ერთ საათში უკან დაბრუნდა. მეორე დღეს ჰამადანის მცხოვრებლებმა ბარგით დატვირთული საპალნე ცხოველები ჩამოიყვანეს. თითოეულის ქირა თეირანიდან თბილისამდე ექვსი *თუმანი* და 5000 *დინარი* იყო. მას შემდეგ, რაც მათ ფული გადაუხადეს და *ჩალვადარსაც* ერთი ხიფთანი აჩუქეს, ისინი უკან გაბრუნდნენ.

ამ დღეებში საჰიბი ილჩის ბარგით დატვირთული სახედრები ჩამოუვიდა. თანმხლებ *ფარაშებსა* და მსახურებს შეთანხმებისამებრ ხარჯები აუნაზღაურეს, გასამრჯელოც მისცეს და ირანში გაუშვეს. მთავარსარდალი ყოველდღე მოდიოდა და მასპინძლობის ეტიკეტის შესაბამისად ერთ საათს საჰიბი ილჩისთან ატარებდა.

ერთ დღეს ამბავი მოვიდა, რომ მოსტაფა ხან თალიში[126], რომელმაც რამდენიმე მუსლიმი რუსებს გადასცა და დაახოცინა, ამ საწყლების სიკვდილისა და უდანაშაულოდ დაღვრილი სისხლისთვის დაიჭირეს.

22 შაბანი (9 აგვისტო), სამშაბათი:

დილით საჰიბი ილჩის მთავარსარდალი ეწვია, თავაზიანად მოიკითხა და უთხრა: „ის დღე, როცა თქვენ ვერ გხედავთ, ჩემთვის ბნელია“. ერთი საათი

---

126 1786-1814 წლებში თალიშის სახანოს ემირი, რომელმაც სახანო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეიყვანა.

დარჩა, ჩაი და ტკბილეულობა მიირთვა და სახლში დაბრუნდა. ცოტა ხანში თავრიზის რეზიდენციიდან ორი ჩუბანქარელი მხედარი ჩამოვიდა და ირანის სახელმწიფოს თავკაცების წერილები ჩამოიტანა. წერილებში აღწერილი იყო საქართველოს მმართველის საქმეები და მღელვარების დროს ორივე მხრიდან დაკავებული *სალდათებისა* და ჯარისკაცების განთავისუფლების ამბები. საჰიბის მთავარსარდალთან საპასუხო ვიზიტი უგვიანდებოდა, ამიტომ კარეტა იხმო და ამ შემთხვევაზე მოსალაპარაკებლად სასახლეში წაბრძანდა. მთავარსარდალმა, როგორც ყოველთვის, სტუმარი დიდი პატივით მიიღო. საჰიბიმ მას წერილების შინაარსი გააცნო. მთავარსარდალმა საქმის ვითარება აუხსნა. მას შემდეგ, რაც მოილაპარაკეს და სხვადასხვა თემებზეც ისაუბრეს, საჰიბი სახლში დაბრუნდა. იმავე საღამოს მან მოლაპარაკების შედეგები ირანის სახელმწიფოს თავკაცებს მისწერა და მეორე დღეს ჩუბანქარელ მხედრებს თავრიზში გაატანა.

1229 წლის 23 შაბანი, ოთხშაბათი – 29 შაბანი, სამშაბათი (1814 წლის 10-16 აგვისტო):

ამ დღეებში ღირშესანიშნავი არაფერი მომხდარა და საჰიბი ილჩი ხან სპილოებისა და ცხენების სანახავად დადიოდა და ხან თავისი სახლის წინ ბაღში სეირნობდა.

ერთ დღეს შეგვატყობინეს, რომ თბილისში ფულის საშოვნელად ჩამოსული ირანელი ჯამბაზები აქაური *კომენდანტის* (ანუ ქალაქის თავის) ბრძანებით დაეკავებინათ და სატუსაღოში ჩაემწყვდიათ. საჰიბი ილჩიმ კაცი გაგზავნა, *კომენდანტი* მოაყვანინა და ჰკითხა: „ირანელი ჯამბაზები რატომ დააპატიმრეთ?" *ყალაბეგმა* უპასუხა: „ვიფიქრე, ღმერთმა ნუ ქნას, ყაჩაღები ხომ არ არიან ან ირანში რაიმე დანაშაული ხომ არა აქვთ ჩადენილი და ჩვენთან გადაცმულები იმიტომ ხომ არ ჩამოვიდნენ, რომ აქედან სხვა ქვეყანაში წავიდნენ-მეთქი. მერე ირანიდან ბრძანება რომ მოსულიყო, ესა და ეს ხალხი უკან დააბრუნეთო, რა პასუხი გაგვეცა? მე ისინი ცოტა ხნით დავაკავე და, თუ ბრალი არ გამოუაშკარავდათ, გავათავისუფლებ, მაგრამ, თუ დანაშაული აქვთ ჩადენილი, საპყრობილეში დარჩებიან".

საჰიბი ილჩის მისი გონივრული მსჯელობა ძალიან მოეწონა. მართლა ჭკვიანი კაცი ჩანდა. საჰიბიმ სთხოვა, დაკავებულები ისევ ირანში დაებრუნებინათ. *კომენდანტი* დათანხმდა, ჯამბაზები მოაყვანინა და ერთი კაცის თანხლებით ირანში გაუშვა.

მეორე დღეს სასაჩუქრე ცხენების *ჩალვადარები* და მეჯინიბეები უღირსად მოიქცნენ და ერთმანეთში იჩხუბეს. როცა ეს ამბავი საჰიბიმ გაიგო, ისინი თავისთან დაიბარა და საკადრისად დასაჯა. შემდეგ დღეს ყველანი სახლში ვიყავით, რომ უცებ საშინელი ხმა გაისმა. გაირკვა, რომ საჰიბის ოთახის მცველებიდან ერთ-ერთმა თურმე გატეხილი მოაჯირი ვერ შენიშნა, მიეყრდნო და ძირს ჩავარდა. რადგან საჰიბის ოთახები *ბალაბანაში* იყო, სანყალი კარგა დიდი სიმაღლიდან გადავარდა და ასეთი ხმა იმიტომ ჰქონდა. ჯარისკაცი ერთი საათი უგრძნობლად იწვა და მერე მოსულიერდა. ასე ბედნიერად დასრულდა ეს უბედური შემთხვევა.

1 რამაზანი (17 აგვისტო), ოთხშაბათი:

კალენდრის მიხედვით, დღეს ახალი მთვარეა, მაგრამ ისეთი მოღრუბლულია, რომ მთვარე არ ჩანს. საჰიბი ილჩი საღამოს მთავარსარდალთან იყო დაპატიჟებული. წავიდა, მაგრამ არაფერი უჭამია, ისე დაბრუნდა. გვიან ღამით სახლში ივახშმა, მარხვის დაწყების სურვილი გამოთქვა და დაიძინა. დღეს ორი ცხენი, ერთი არაბული და მეორე თურქმენული, რომლებიც მთავარსარდალმა ნახა და მოისურვა, მას საჩუქრად გაუგზავნეს. მთავარსარდალმა ძღვენი ყურადღებით დაათვალიერა, კმაყოფილი დარჩა და მსახურებს ათი ბაჯაღლოს *აშრაფი* აჩუქა. მეტი არაფერი მომხდარა.

2 რამაზანი, ხუთშაბათი – 3 რამაზანი, პარასკევი (18-19 აგვისტო):

რადგან რამაზანის დღეები იყო, ყურანის კითხვის გარდა, სხვა არაფერი გვინდოდა. მთიდან გადმომდინარე წყაროების თავშეყრის ადგილზე დიდი აუზია აშენებული და, როცა იქ ზიხარ, თვალწინ სულ ბაღებსა და ხეებს ხედავ. საჰიბი ხან აუზთან მიდიოდა და ყურანს კითხულობდა, ხან კი სახლში წიგნებს ათვალიერებდა და ინგლისურად წერილებს წერდა.

4 რამაზანი (20 აგვისტო), შაბათი:

დილით აყა ბეგ დერბენდი მოვიდა და გვითხრა, რომ სპილოები და ცხენები პეტერბურგში უნდა გაგვეგზავნა. საჰიბი ილჩიმ სპილოების მარეკები და ცხენების *ჩალვადარები* და მეჯინიბეები დაიბარა და უბრძანა, სამგზავროდ მომზადებულიყვნენ. მათ ყველაფერი, რაც საჭირო იყო, მისცეს და იმავე საღამოს ცხენოსანი კაზაკების და *მეჰმანდარების* თანხლებით *კარანტინში* (karachten) წაიყვანეს. *კარანტინი* ერთი ადგილია, რომელიც თბილისიდან პეტერბურგში მიმავალმა ყველამ და ყველაფერმა უნდა გაიაროს. იქ ორ-სამ დღეს აჩერებენ და კვამლში ამყოფებენ. ერთ ოთახში ცეცხლში რაღაცებს ყრიან და, როცა ბოლი დგება, ხალხი და მათი საქონელი იმ ოთახში შეჰყავთ, კვამლში ატარებენ და მერე უშვებენ. ამას იმიტომ აკეთებენ, რომ, აქაურების მტკიცებით, თუ ვინმე ცუდად არის, ან რაიმე სენი სჭირს, ან იმ *ვილაიეთიდან* ჩამოვიდა, სადაც ქოლერა და შავი ჭირია მოდებული, ეს კვამლი ყველა დაავადებას მოსპობს და ეპიდემია სხვა ქვეყანაში აღარ გავრცელდება. მოკლედ, *კარანტინში* ნაყვანის და კვამლში გატარების მიზანი ეს არის. სპილოების მარეკებს და ცხენების მომვლელებს და მათ ბარგს *კარანტინში* რამდენიმე დღე აკვირდებოდნენ და მერე გამოუშვეს. დანარჩენმა დღემ სხვა დღეებივით გაიარა.

5 რამაზანი (21 აგვისტო), კვირა:

დღეს რუსების ზეიმია და მთავარსარდალი ეკლესიაში ნაბრძანდა. უკანა გზაზე რუს დიდებულებთან და წარჩინებულებთან ერთად გვესტუმრა, საჰიბის თავისი მეგობრობა და სიყვარული დაუდასტურა და გამგზავრების დაყოვნებისთვის ბოდიში მოუხადა. შუა საუბარში ირანის სამეფო კარის შიკრიკი შემოვიდა და შაჰინშაჰის უზენაესი *ფირმანი* მოიტანა. *ფირმანი* თურქმენი ხალხის დამარ-

ცხებას, ისლამისთვის მებრძოლი ძლევამოსილი მეომრების გამარჯვებას, ხორასანში ვითარების მოწესრიგებას და მისი უდიდებულესობის მიერ ჰერათისა და მოსაზღვრე რეგიონების მოსახლეობის დამორჩილებას შეეხებოდა. შიკრიკმა საჰიბის *ფირმანთან* ერთად მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის* და სახელმწიფო დიდმოხელეების წერილებიც გადასცა.

წერილების შინაარსმა გული სიხარულით აგვივსო. საჰიბი ისეთი ბედნიერი იყო, რომ აღტაცებას ვერ მალავდა.

ამ ამბის შემსწრე მთავარსარდალმა და მისმა დიდებულებმა გამარჯვება მოგვილოცეს, საჰიბის *ფირმანი* და წერილები გამოართვეს და სახლში დაბრუნდნენ, რომ მათი რუსული ასლი გაეკეთებინათ და პეტერბურგში გაეგზავნათ. ამ დღემ ახალი ამბის გამო მხიარულად ჩაიარა.

6 რამაზანი, ორშაბათი – 12 რამაზანი, კვირა (22-28 აგვისტო):

ამ დღეებში ღირშესანიშნავი არაფერი მომხდარა. დღისით საჰიბი ილჩი ხან ყურანს კითხულობდა, ხან ბაღში სეირნობდა და ხან მასთან სტუმრად მოსულ მეგობრებს ესაუბრებოდა. ერთ დღეს წერილები დაწერა, გამარჯვების ამბის მომტან შიკრიკს შესაბამისი მითითებები მისცა და ირანში გაუშვა. მთავარსარდალი თითქმის ყოველდღე მოდიოდა და საჰიბის თბილისში დაყოვნების გამო თანაგრძნობას უცხადებდა.

მომდევნო დღეს თბილისში აბედინ ბეგ მაზანდარანი ჩამოვიდა. მას ჰყავდა მსახური, სახელად იოსები, რომელმაც გაქურდა და ირანიდან გაიქცა. ამ უკანასკნელმა წლების წინ ისლამი მიიღო, მერე კი ისევ სომხურ რჯულს დაუბრუნდა, სომეხი ცოლი მოიყვანა და თბილისში დასახლდა. საჰიბიმ მას ქონება ჩამოართვა და პატრონს დაუბრუნა. შემდეგ ირანის სახელმწიფოს თავკაცებს წერილები მისწერა და ირანში მიმავალ აბედინ ბეგს გაატანა.

13 რამაზანი (29 აგვისტო), ორშაბათი:

თბილისის მთავარსარდალი ავად გახდა და საჰიბი ილჩიმ მასთან მოსაკითხად აყა ბეგი გაგზავნა.

დღეს საჰიბისთან მთავარსარდლის მინისტრი და გადამწერი მირზა ებრაჰიმი მოვიდა. ჩამან-ე გოლესთანში ორ ქვეყანას შორის ზავის დადების დროს უადგილო კირკიტის, უსაფუძვლო განცხადებების და ხელშეკრულების ტექსტში სამყაროს მფარველი შაჰინშაჰის *ლაყაბების* შეცდომით ჩაწერის გამო საჰიბი მასზე გაბრაზებული იყო. მირზა ებრაჰიმმა უწინდელი უპატივცემულო მოპყრობისთვის ბოდიში მოიხადა და ირანისადმი თავის ერთგულებასა და სიყვარულზე ბევრი ისაუბრა. სახეზე ეწერა, რომ გულწრფელად ლაპარაკობდა და მართლა თავაზიანი და ზრდილი კაცი აღმოჩნდა. ამიტომ საჰიბი ილჩი დაჰპირდა, რომ ირანის ხელისუფლებასთან უშუამდგომლებდა, რომ მისთვის ლომისა და მზის ორდენი მიეცათ. ამ დაპირებითა და ორდენის მიღების იმედით აღტაცებული მირზა ებრაჰიმი ირანისადმი კიდევ უფრო კარგად განეწყო. ამასობაში აყა ბეგი შემოვიდა და მირზა ებრაჰიმს შეხვდა. რადგან მათ შორის დაძაბული ურთიერ-

თობა იყო, აყა ბეგს ხასიათი გაუფუჭდა და წავიდა. ცოტა ხანში მირზა ებრა-ჰიმიც სახლში დაბრუნდა.

დღეს გავიგეთ, რომ სარხაი ხან ლეზგის, რომელიც თეირანსა და თავრიზში სტუმრობის შემდეგ ცოლ-შვილთან ერთად საკუთარ *ვილაიეთში* ბრუნდებოდა, მდინარე მტკვარზე გადასვლისას თავს მთავარსარდლის დაცვის კაზაკები და *სალდათები* დაესხნენ და მისი ცოლი, ვაჟი და რამდენიმე თანამგზავრი დახოცეს. თავად სარხაი ხანმა გაქცევა მოახერხა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა. საჰიბი ილჩი ამ ამბავმა ძალიან დაამწუხრა. ეს დღე ასე სევდიანად დასრულდა.

14 რამაზანი, სამშაბათი – 15 რამაზანი, ოთხშაბათი (30-31 აგვისტო):

ამ დღეებში ახალი არაფერი მომხდარა. მისი აღმატებულება სარდარ-ე ერე-ვანის გამოგზავნილი კაცი ჩამოვიდა და საჰიბი ილჩის ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა. საჰიბის მისი ნახვა არ უნდოდა, მაგრამ გაითვალისწინა თანამგზავ-რების რჩევა, მისი უკან გაბრუნება შეურაცხყოფააო, და სტუმარი მიიღო. დღესვე ცნობილი გახდა, რომ მისი აღმატებულება *სადრ ა'ზამის* რწმუნებული მთავარსარდალი ესქანდერ ბეგი, რომელიც ცოტა ხნის წინ თბილისში გამოაგ-ზავნეს, ისევ ირანში გაიწვიეს. ამ ორმა დღემ წინა დღეებივით გაიარა.

16 რამაზანი, ხუთშაბათი – 17 რამაზანი, პარასკევი (1-2 სექტემბერი):

ამ დღეებში, ესქანდერ ბეგის გამგზავრებასთან დაკავშირებით, საჰიბი ილ-ჩიმ ირანში გასაგზავნი წერილები და *არზები* მოამზადა და მას გადასცა. ქარ-თველი და სომეხი ქალების უზნეობამ შედეგად ის გამოიღო, რომ მათ მიერ შეცდენილმა *ფარაშმა* მოჰამად თაყიმ, სასაჩუქრე ცხენების *ჩალვადარმა* სო-მეხმა აბუ'ლ-ყასემმა და კიდევ ერთმა-ორმა კაცმა მდაბიოთაგან გამოაცხადეს: ჩვენ აქ ვრჩებით და სომხურ რჯულზე გადავდივართო. მათ ქართველებსა და სომხებს მიბაძეს და, მათი წესისამებრ, რამდენჯერმე ეკლესიაშიც ნავიდნენ. ეს ამბავი საჰიბის მოახსენეს. საშინლად განრისხდა და უნდოდა დაესაჯა, მაგრამ თანამგზავრებმა გადაათქმევინეს. ორი დღის მერე ამ ხალხს ცოტაოდენი ფული მისცეს და კაზაკების თანხლებით შებოჭილები ერევანში გაუშვეს, რომ იქიდან ირანში წასულიყვნენ.

კიდევ ერთი უცნაური ამბავი მოხდა. როცა ესქანდერ ბეგმა გამგზავრების ბრძანება მიიღო და საჰიბის წერილებიც ჩაიბარა, თბილისელ მუსლიმთა *შეიხ ალ-ესლამი*, ჩვენ მიერ ადრე ნახსენები მოლა თარიველრდი (Tārīverdī), მასთან მი-ვიდა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმე დავალებული არ ჰქონდა, ქაღალდის დალუქული გრაგნილი გადასცა და უთხრა: „ეს რუსი ხალხის საქმეთა ამსახ-ველი წლიური ანგარიშია. რუსეთის დედაქალაქიდან თბილისამდე ამ ერთ წელი-წადში რაც რამ მოხდა, აქ წერია". ამბობენ, რომ ესქანდერ ბეგის თბილისში ყოფნის განმავლობაში ეს კაცი მასთან ყოველდღე მიდიოდა და ამ ჩანაწერებს ჰპირდებოდა. როცა გამგზავრების დღე დადგა, გრაგნილი მიუტანა და უთხრა: „ამ დღიურში ყველაფერი აღნუსხულია, მაგრამ აქ ნუ გახსნით და, თბილისიდან ერთ-ორ სადგურს რომ გაივლით, მერე ნახეთ. ახლა კი ამ სამსახურის გასამ-

რჯელოდ ერთი ძვირფასი ქაშმირის შალი მომეცით და წავალ". ესქანდერ ბეგს ძალიან გაუხარდა და უთხრა: „შალი უკვე ბოხჩაში დევს. ერთ საათში მობრძანდით და წაიღეთ". *ახუნდი* დათანხმდა და წავიდა. ესქანდერ ბეგს ჩანაწერების ნახვის დაუძლეველი სურვილი დაეუფლა, ცდუნებას ვეღარ გაუძლო და გრაგნილი გახსნა, მაგრამ შიგ მარტო სუფთა ფურცელი დახვდა. ძალიან გაბრაზდა, გრაგნილი დაახვია და დადო. ამასობაში *ახუნდი* დაბრუნდა და შალი მოითხოვა. ესქანდერ ბეგმა უთხრა: „ახუნდ, ამ გრაგნილში თეთრი ფურცლის მეტი არაფერია". *ახუნდმა* შესძახა: „დიდება ალაჰს! ოთახში თაროზე ორი გრაგნილი იდო და, როგორც ჩანს, შეცდომით სხვა წამოვიღე. მომეცით, წავალ და ნამდვილს მოვიტან". გრაგნილი აიღო და წავიდა. სამი დღე იმალებოდა, ელოდებოდა, სანამ ესქანდერ ბეგი ქალაქს დატოვებდა და ორ-სამ სადგურს მაინც გაივლიდა.

მისი აღმატებულება ნეზამ ად-დოულეს გულუხვობისა და დიდსულოვნების ამბავმა რუსი მთავარსარდლის ყურამდეც მიაღწია. რადგან მათ შორის მეგობრობის ძაფები იყო გაბმული, მთავარსარდალმა მას ესქანდერ ბეგის ხელით ერთი ჩინებული *სამოვარი* გაუგზავნა.

18 რამაზანი, შაბათი – 25 რამაზანი, შაბათი (3-10 სექტემბერი):

ღირშესანიშნავი არაფერი მომხდარა. საჰიბი ილჩი, ძირითადად, ყურანს კითხულობდა, ხანდახან კი სახლის წინ ბაღში და აუზის პირას სეირნობდა, ინგლისურ წერილებს წერდა და წიგნს კითხულობდა. მთავარსარდალი და დიდებულები თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ და მას სხვადასხვა თემაზე ესაუბრებოდნენ. ერთი-ორჯერ საჰიბიც საპასუხო ვიზიტით მთავარსარდალთან ბრძანდებოდა. მთავარსარდალმა ის დიდი პატივით მიიღო და ახარა, რომ მალე რუსეთის სამეფო კარიდან ხელმოწერილი დოკუმენტი ჩამოვიდოდა და ის პეტერბურგში გამგზავრებას შეძლებდა.

ერთ დღეს საჰიბი ილჩის აყა ბეგ დერბენდი ეწვია და უთხრა: „მესიზმრა, რომ ჩემკენ უზარმაზარი ყვითელი ძაღლი მორბოდა. მე ვიდექი, მის მოახლოებას ველოდებოდი და ვფიქრობდი, თავი როგორ დამეცვა, რომ არაფერი დაეშავებინა. უცებ ძაღლი გაქრა და რამდენიც არ ვეძებე, ვეღარ ვიპოვე". ამ საუბარში იყვნენ, რომ მოსტაფა ხან თალიშის გარდაცვალების ამბავი მოიტანეს. ეს კაცი რუსების თავგასულობისა და გახრწნილობის მოთავე იყო. აყა ბეგი, რომელიც მასთან მეგობრობდა, ძალიან დანაღვლიანდა და მოთქმა-გოდება დაიწყო. საჰიბი ილჩიმ უთხრა: „შენსავით სწრაფად სიზმარი არავის ახდენია. ყვითელი ძაღლი მოსტაფა ხანი იყო და ძაღლის გაუჩინარება მის გარდაცვალებას ნიშნავდა". აყა ბეგს სიზმრის ასეთი ახსნა არ მოეწონა, ადგა და სახლში წავიდა. არადა, არც ერთ მისანს არ აუხსნია ასე ზუსტად სიზმარი.

26 რამაზანი (11 სექტემბერი), კვირა:

გამთენიისას საჰიბი ილჩის მთავარსარდლის *იშიქაყასი* ეახლა და მოახსენა: „რუსეთის სამეფო კარიდან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერა და თქვენი პეტერბურგში გამგზავრების ბრძანება მოვიდა".

საჰიბი ილჩიმ მას ერთი ცალი რეზაიეს[127] შალი აჩუქა. ახალი ამბავი ყველას ძალიან გაუხარდა. ამ დროს მთავარსარდალი და მისი მოხელეები შემოვიდნენ. მთავარსარდალს სამყაროს მფარველი შაჰინშაჰის ნაბოძები ლომისა და მზის ორდენი ეკეთა, რომელიც თავისი ხელმწიფის ნებართვის მისაღებად პეტერბურგში ჰქონდა გაგზავნილი და სწორედ დღეს სხვა ორდენთან ერთად ჩამოუვიდა. მის აღმატებულებას მადლობა მოახსენა და თქვა: „როგორც წერილის შესავლიდან გავიგე, ეს რუსეთის სამეფო კარიდან გამოგზავნილი მესამე ხელმოწერაა. პირველი ერთ კაცს გამოატანეს, მაგრამ კაციცა და დოკუმენტიც ორივე გზაში დაიკარგა და მათი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. მეორე ჯერზე შიკრიკი ფრანგებმა დაიჭირეს და მხოლოდ მესამემ ჩამოაღწია დანიშნულების ადგილამდე. მე, ამ ქვეყნის მთავარსარდალი, ღმერთს მადლობას ვსწირავ, რომ ირანის ხელისუფლებისა და თქვენ წინაშე არ შევრცხვი". და დასძინა: „ჩვენი ხელმწიფის ბრძანებით, ბასანავიჩი, რომელიც ირანში გულადი მაიორის სახელით არის ცნობილი, და სხვა [ოფიციალური] პირები პეტერბურგამდე გაგაცილებენ და გზაში თქვენს სამსახურში იქნებიან. გარდა ამისა, ას კაცამდე კარგად შეიარაღებული მხედარი, მსახურები და სხვა მხლებლებიც გამოგყვებიან, რომ სათანადო პატივით იმგზავროთ, რადგან ჩემი ხელმწიფე ამ სამშვიდობო შეთანხმებასა და თქვენს სტუმრობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სულ მალე თქვენი მისია წარმატებით დასრულდება და ირანში კმაყოფილი დაბრუნდებით".

კიდევ ბევრი ასეთი სიტყვა ითქვა და ჩვენ დავმშვიდდით. მთავარსარდალმა ხელშეკრულების ხელმოწერის მშვიდობიანად ჩამოსვლასთან დაკავშირებით სასახლეში ნადიმი გამართა და საჰიბი ილჩი დაპატიჟა. საჰიბიმ, მიუხედავად იმისა, რომ მარხულობდა, მიპატიჟება მიიღო. კმაყოფილი მთავარსარდალი თავაზიანად დაგვემშვიდობა და წავიდა. საჰიბიმ მაშინათვე ბრძანება გასცა, რომ ირანში გასაგზავნი *არზები* და წერილები მოემზადებინათ და მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის* კარისკაცის აყა ბაბა ბეგისთვის თავრიზში გაეტანებინათ, რისთვისაც ეს უკანასკნელი ღირსეულად დაასაჩუქრეს. შიკრიკის გამგზავრების შემდეგ სპეციალური *კარეტა* მოვიდა და საჰიბი ილჩი თანამგზავრების თანხლებით სასახლეში წავიდა.

მთავარსარდალმა სტუმარი სათანადო პატივითა და ცერემონიებით მიიღო. სასიხარულო ამბავთან დაკავშირებით დიდი მხიარულება იდგა და მუსიკა უკრავდა. საუცხოოდ გაშლილ მაგიდას დიდებულები და სხვა წარჩინებული პირები უსხდნენ და ქეიფობდნენ. ლხინის ბოლოს სამყაროს მფარველი შაჰინშაჰის სადღეგრძელო დალიეს და ზეიმის ნიშნად ქვემეხიდან 33-ჯერ გაისროლეს.

სტუმრობის შემდეგ საჰიბი ილჩი სახლში დაბრუნდა. ნინა დღეებისგან განსხვავებით, როცა ხელმოწერის დაგვიანებისა და თბილისში დაყოვნების გამო გულშეჭურვილი იყო, დღევანდელი დღე და საღამო მხიარულად გაატარა. მთავარსარდალმა ბრძანება გასცა, რომ იმ ღამეს თბილისი და მისი შემოგარენი გაეჩირაღდნებინათ და მთელი მოსახლეობა, კაციცა და ქალიც, ილხენდა და ლაღობდა.

---

[127] ირანის ქალაქ ურმიის ძველი სახელი.

რამდენიმე დღის წინ, მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის* ბრძანებით, თბილისში მოჰამად ბეგ განჯეევი ჩამოვიდა. მან ცოტაოდენი რუსული იცოდა და რუსული ენის თარჯიმნის მოვალეობა უნდა შეესრულებინა. საჰიბი ილჩისთან შეხვედრისა და მისთვის წერილების გადაცემის დროს ის უზრდელად იქცეოდა და თავხედურად ლაპარაკობდა. დღეს კი, მიუხედავად იმისა, რომ რამაზანის დღეებია, ღვინო დალია და მთვრალი ბაზარში წავიდა. როცა ეს ამბავი საჰიბიმ გაიგო, იქ მყოფ ბაბა ბეგს უბრძანა: „წადით და უთხარით, რომ ამ ქვეყანაში ასეთი უმსგავსო ქცევა მიღებული არ არის. სასწრაფოდ დატოვოს აქაურობა". ბაბა ბეგი წავიდა და მოჰამად ბეგს დანაბარები გადასცა, რის გამოც მან კამათი და ჩხუბი დაუწყო.

27 რამაზანი, ორშაბათი – 29 რამაზანი, ოთხშაბათი (12-14 სექტემბერი):

ამ დღეებში ახალი არაფერი მომხდარა, რომ აღნიშვნის ღირსი იყოს. [საჰიბი] დღისით ყურანსა და წიგნს კითხულობდა და სახლის გარშემო სეირნობდა. ერთ დღეს მისი უმაღლესობა სარდარ-ე ერევანის გამოგზავნილი სომეხი კურიერი ჩამოვიდა და საჰიბი ილჩის მოკითხვის ბარათი ჩამოუტანა. საჰიბიმ პასუხი დაწერა, მას მისცა და ერთი *აშრაფიც* აჩუქა. დანარჩენი დღეები უწინდებურად სახლში გაატარა.

30 რამაზანი (15 სექტემბერი), ხუთშაბათი:

საჰიბი ილჩიმ ეს დღე ყურანის კითხვასა და თანამგზავრებთან საუბარში გაატარა. შემდეგ მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის* მსახური აყა ბაბა ბეგი მოვიდა და საჰიბის თავისი ბატონის ბრძანებულებები, მოხელეების წერილები, [რუსეთის] ხელმწიფისთვის ძღვნად მისართმევი ორი მარგალიტის კრიალოსანი და სახარჯო ათასი თუმანი ნაღდი ფული გადასცა. ბაბა ბეგმა ორი მსახური, რომლებიც მას ჩამოჰყვნენ, დასასვენებლად გაუშვა, თავად კი დღის დარჩენილი ნაწილი და საღამო საჰიბისთან გაატარა.

1229 წლის 1 შავალი (1814 წლის 16 სექტემბერი), პარასკევი:

დღეს მარხვის დასრულების ზეიმია. საჰიბი ილჩიმ სადღესასწაულო ნამაზი შეასრულა და თანამგზავრებთან ერთად ისადილა. მთავარსარდალი და მისი დიდებულები მოსალოცად მოვიდნენ. მათ ჩაითა და ტკბილეულობით გაუმასპინძლდნენ. საჰიბიმ სტუმრებს აყა ბაბა ბეგის ჩამოსვლის და მისი უდიდებულესობის ბრძანებულებების და მარგალიტის კრიალოსნების ჩამოტანის ამბავი ამცნო. ერთსაათიანი საუბრის შემდეგ რუსი დიდგვაროვნები სახლებში წავიდნენ. დარჩენილმა დღემ სხვა დღეებივით გაიარა.

2 შავალი (17 სექტემბერი), შაბათი:

როგორც რუსებმა გვითხრეს, დღეს ხელმწიფის დედის დაბადების დღეა. ეს თარიღი მათთვის დღესასწაულია და მას დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავენ.

მთავარსარდალი მხლებლებითურთ საჰიბი ილჩის ეწვია და სთხოვა, რომ მათთან ერთად ეკლესიაში წასულიყო და რუსების ადათ-წესები ენახა.

საჰიბი ილჩიმ მიპატიჟება მიიღო და მთავარსარდალთან და თავის თანამგზავრებთან ერთად ეკლესიაში წაბრძანდა. იქ უამრავი ხალხი შეკრებილიყო, მათ შორის ქალები, მღვდლები და *პადრი*, რომელსაც *მოჯთაჰედად*[128] თვლიან. მღვდლებს, *პადრის* და სხვა სასულიერო პირებს სხვადასხვა ფორმის ფარჩის ტანსაცმელი ეცვათ, ხელში წიგნები ეჭირათ, წინ და უკან დადიოდნენ და რაღაცას კითხულობდნენ, მოკლედ, ძალიან უცნაურად იქცეოდნენ. *პადრიმ* ხელში ჯვარი აიღო და, ვისკენაც გაიშვირა, ყველამ მის წინაშე მუხლი მოიყარა. ეს ცერემონიალი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ერთი საათის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა თეფში აიღო და ხალხს ჩამოუარა. ყველა რაღაცას აძლევდა. საჰიბიმაც თეფშზე რამდენიმე *აშრაფი* დაუგდო და მთავარსარდალთან ერთად მათი მთავარი *პადრის*[129] სახლში წავიდა.

იქ მაგიდა გაეშალათ და მასზე სხვადასხვა ღვინო დაელაგებინათ. ყველანი დასხდნენ. *პადრიმ* ფიალა თავად შეივსო და დალია. მას სხვებმაც მიბაძეს. სანამ ხალხი ჭამა-სმით იყო გართული, საჰიბი თავის თანამგზავრებს ესაუბრებოდა. ნადიმის დასრულების შემდეგ სტუმრები წამოიშალნენ და სახლებში წავიდნენ. დარჩენილმა დღემ სხვა დღეებივით გაიარა.

3 შავალი, კვირა – 11 შავალი, ორშაბათი (18-26 სექტემბერი):

ამ დღეებში საჰიბი ილჩი ხან წიგნს კითხულობდა, ხან ინგლისურ წერილებს წერდა და ხან თავისი სახლის წინ ბაღში სეირნობდა. თბილისში დაყოვნებისა და ხელშეკრულებების გაცვლის [ცერემონიალის] გაჭიანურების გამო ის მეტწილად მოწყენილი და აღელვებული იყო. ერთ დღეს მთავარსარდალმა მასთან *მეჰმანდარი* ბასანავიჩი, რომელიც აქამდე არ გვენახა, და მინისტრი პალიავანიჩი გამოგზავნა და შეუთვალა: „ჩვენი ხელმწიფის განკარგულებით, გენერალი ბასანავიჩი გზაში თქვენი *მეჰმანდარი* იქნება და გთხოვთ, მისდამი სითბო და სიყვარული გამოიჩინოთ“. საჰიბიმ გენერალი ძალიან ალერსიანად და თავაზიანად მიიღო. მან ჩვენი მეგზურობისთვის მზადყოფნა გამოხატა და სახლში წავიდა.

მეორე დღეს მთავარი *პადრი*, რომელიც აქაურ სასულიერო პირთა მეთაურია, საპასუხო ვიზიტით საჰიბი ილჩის ეწვია. მისალმების ცერემონიალის შემდეგ ჩაი და ტკბილეულობა მიირთვა და წავიდა. ამ კაცის შესახებ ერთი ისტორია გავიგე, რომელსაც მოგიყვებით: რუსების ადათ-წესების მიხედვით ნელინადში ერთხელ, განსაზღვრულ დღეს, ქალები და კაცები ეკლესიაში *პადრისთან* და მღვდლებთან მიდიან და მათ საიდუმლოდ თავიანთ ცოდვებს უყვებიან. ისინი ზოგიერთს პატიობენ, ზოგს კი ცოდვათა მონანიებისკენ მოუწოდებენ და მომავალში პატიების იმედს აძლევენ. ეს ხალხი ეკლესიიდან გახარებული გამოდის და შემდეგ წლამდე ჩვეულებრივ ცხოვრებას განაგრძობს. მათი წესისამებრ, მას შემდეგ, რაც კაცი მღვდელი ან *პადრი* გახდება, ცოლი აღარ უნდა ჰყავდეს და სქესობრივ ურთიერთობაზეც უარი უნდა თქვას. თუ, ვთქვათ, ვინმე აღნიშნულ

---

128 როგორც ტექსტიდან ჩანს, ავტორი კათოლიკურ „პადრის“ და მუსლიმურ „მოჯთაჰედს“, ზოგადად, მაღალი რანგის სასულიერო პირების აღსანიშნავად ხმარობს, რომ განასხვაოს რიგითი მღვდლებისგან (keshīsh).

129 სავარაუდოდ, ეგზარქოსს გულისხმობს.

წესს დაარღვევს და ეს ამბავი გახმაურდება, მას ეკლესიაში აღარ შეუშვებენ. წელსაც დათქმულ დღეს, ჩვეულებისამებრ, ხალხი *პადრისთან* მივიდა, აღსარება უთხრა და შენდობა მიიღო. ჯერი ერთ ახალგაზრდაზე მიდგა. რადგან ამ დროს ვალდებული ხარ, რომ სიმართლე თქვა და არ უნდა იცრუო, ამ კაცმა ყველაფერი, რაც ჩადენილი ჰქონდა, *პადრის* უამბო, მერე მორცხვად თავი დახარა და ერთი საქციელის გამხელაზე უარი თქვა. *პადრი* ჩაციცვდა, ნუ გრცხვენია, თქვიო, და ახალგაზრდამაც აღიარა: მე თქვენს ქალიშვილთან მქონდა კავშირიო. რაზეც *პადრიმ* უპასუხა: მე კი დედაშენთან მქონდა კავშირი, მაგრამ არა უშავს, ორივეს შეგვენდობაო. მოკლედ, ამ ხალხს ბევრი სანაქებო თვისება აქვს.

ერთ დღეს საჰიბი ილჩის მთავარსარდალი ეწვია, თავაზიანად მიესალმა და უთხრა: „მირზა ებრაჰიმ არმანიმ ხელშეკრულების ტექსტი სპარსულად მშვენივრად თარგმნა, ამიტომ თქვენს მბრძანებელთან უშუამდგომლეთ, რომ ლომისა და მზის ორდენით დააჯილდოვონ".

საჰიბი ილჩი, რადგან პირობა ადრევე ჰქონდა მიცემული, დათანხმდა. მეტი ამ დღეებში არაფერი მომხდარა.

12 შავალი (27 სექტემბერი), სამშაბათი:

დილით მთავარსარდალმა თავისი დიდებულები გამოგზავნა და შეგვატყობინა: დღეს ხელშეკრულება და მისი ხელმოწერის აქტი უნდა გავცვალოთო. მისი ბრძანებით, ჩვენი სახლის ჭიშკრიდან მთავარსარდლის სასახლემდე მთელი რუსი დიდგვაროვნები, წარჩინებული მოხელეები, ოფიცრები და ქვეითი და ცხენოსანი *სალდათები* გამწკრივდნენ. ისინი თავიანთი წესისამებრ უკრავდნენ, მღეროდნენ და მხიარულობდნენ. მთავარსარდალმა საჰიბი ილჩისთან ექვსცხენშებმული სპეციალური *კარეტა* და დიდებულები გამოგზავნა. ისინი საჰიბის ეახლნენ და მოახსენეს: „მის აღმატებულებას სურს, რომ სამყაროს მფარველი შაჰინშაჰის ბეჭდით დალუქული უზენაესი ხელშეკრულების დედანი, რომელიც თქვენთან ინახება, მასთან წაიღოთ. გზად ჩვენი ხელმწიფის ხელმოწერის აქტსაც ავიღებთ, ორივეს სასახლეში მივიტანთ და გავცვლით".

საჰიბი ილჩიმ, მისი თხოვნის შესაბამისად, ოქროს ჩარჩოში ჩასმული უზენაესი ხელშეკრულების დედანი *კარეტაში* დააბრძანა და თანამგზავრებთან ერთად მთავარსარდალთან წავიდა. ხალხი დიდი პატივით გვხვდებოდა. შუა გზაზე რუსი დიდებულები შემოგვიერთდნენ და სასახლემდე ერთად ვიარეთ. მისალმების ცერემონიალის შემდეგ მთავარსარდალმა და საჰიბი ილჩიმ ხელშეკრულება და ხელმოწერის აქტები გაცვალეს.

გაცვლის ცერემონიალის დასრულების შემდეგ საჰიბი ილჩის გაახსენდა, ამ დესპოტებმა აზერბაიჯანის *ვილაიეთი* რა ტყუილუბრალოდ მიითვისეს და რომ ახლაც მათ ხელშია. ამ ფიქრებისგან გული ისე დაუმძიმდა, რომ ყველა იქ მყოფმა შეამჩნია და მისი უგუნებობა ძალიან გაუკვირდათ. მთავარსარდალიც გაოცებული იყო და მიზეზის გარკვევა სცადა. საჰიბიმ არაფერი უპასუხა, ხელმოწერის აქტი აიღო და თანმხლებ პირებთან ერთად სახლში დაბრუნდა. მთავარსარდალმაც ხელშეკრულება აიღო, რუს დიდებულებთან ერთად ეკლესიაში წავიდა და იქ თავისი წესისამებრ ილოცა და ღმერთს მადლობა შესწირა. მერე ისინიც სახლებში დაიშალნენ.

იმ დღეს საჰიბი ილჩი მთავარსარდალთან სადილზე იყო დაპატიჟებული. სამი-ოთხი საათის შემდეგ *კარეტა* მოვიდა და ყველანი სასახლეში წავიდნენ. საჰიბი და მისი მხლებლები დიდი პატივით მიიღეს. სასახლეში რუსი მღვდლები, *პადრი* და დიდებულები შეკრებილიყვნენ. ცოტა ხანში მაგიდას მიუსხდნენ. საჰიბის საგანგებოდ მისთვის მომზადებული საჭმელი მოუტანეს და მაგიდაზე დადეს. ყველა ჭამას შეუდგა. სადილის ბოლოს მთავარსარდალი და სხვა იქ მყოფები წამოდგნენ და სამყაროს მფარველი შაჰინშაჰის სადღეგრძელო დალიეს. ზეიმის აღსანიშნავად ქვემეხიდან 33-ჯერ გაისროლეს და მუსიკოსებმა დაკვრა და სიმღერა დაიწყეს. საჰიბი ილჩი ცოტა ხანს დარჩა, მთავარსარდალს ესაუბრა, მერე სახლში დაბრუნდა და ერთი საათი დაისვენა. მთავარსარდლის ბრძანებით, იმ ღამეს თბილისი და მისი შემოგარენი გააჩირაღდნეს და ფეიერვერკებისთვის ემზადებოდნენ. ქალაქის მთელი მოსახლეობა, ქალი და კაცი, ზეიმობდა და ილხენდა. საღამოს საჰიბი მთავარსარდალთან იყო მიწვეული, ამიტომ დაღამებისას *კარეტა* მოიყვანეს და ყველანი სასახლეში წავიდნენ.

მიღების ოფიციალური ცერემონიალის დასრულების შემდეგ აივანზე გავიდნენ. სასახლის პირდაპირ მოედანზე ფეიერვერკი და კონცერტი გაიმართა. ილუმინაციების საშუალებით ჰაერში ირანის სამეფო გერბი – ლომი და მზე, მის თავზე შაჰინშაჰის დიდებული სახელი და, ასევე, რუსეთის სამეფო გერბი და რუსი იმპერატორის სახელი გამოსახეს. ეს საოცარი სანახაობა, რომელიც შორიდანაც კარგად ჩანდა, საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. წარმოდგენის დასრულების მერე ყველანი შებრუნდნენ ოთახში, სადაც როგორც რუსი, ისე სხვა ეროვნების კაცები და ქალები ირეოდნენ. ერთი საათის საუბრის შემდეგ ყველანი ნამოიშალნენ და სახლებში წავიდნენ. საჰიბი ილჩიც *კარეტაში* ჩაჯდა, სახლში დაბრუნდა და დაისვენა.

13 შავალი, ოთხშაბათი – 14 შავალი, ხუთშაბათი (28-29 სექტემბერი):

მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ერთ დღეს მთავარსარდალმა გენერალი ბასანავიჩი მოიყვანა და საჰიბი ილჩის მოახსენა: „ჩვენი ხელმნიფის ბრძანებით, ეს კაცი გზაში თქვენი *მეჰმანდარი* იქნება და გთხოვთ, მისდამი სითბო და სიყვარული გამოიჩინოთ". საჰიბიმ უპასუხა: „თუ ის მეგობრობას გაგვინევს და გზაში კარგად მოიქცევა, ჩვენც სითბოთი და სიყვარულით ვუპასუხებთ". გენერალმა ჩვენი მეგზურობისა და სამსახურისთვის მზადყოფნა გამოხატა და საჰიბი ილჩი სტუმრად დაპატიჟა. შემდეგ საღამოს მთავარსარდლის *კარეტა* მოვიდა და საჰიბი და მისი თანმხლები პირები წავიდნენ ბასანავიჩის სახლში, რომელიც მის სიმამრს, სახელმწიფოს დიდმოხელეს და ასტრახანის (Hājī Tarkhān) საბაჟოს უფროსს ეკუთვნოდა. იქ შეკრებილი მთავარსარდალი, დიდებულები, წარჩინებული მოხელეები და მათი ცოლები საჰიბის და მის მხლებლებს დიდი პატივით მიეგებნენ. ცოტა ხანში მაგიდას მიუსხდნენ. სუფრა მათი ნესისამებრ იყო განყობილი. სადილის შემდეგ სტუმრები ერთი-ორი საათი კიდევ დარჩნენ და დაიშალნენ. იმ საღამოს მთავარსარდალმა გვითხრა: თქვენი გამგზავრების დღე ახლოვდება და, თუ რამე საქმე დაგრჩათ, დროზე დაასრულეთო.

15 შავალი (30 სექტემბერი), პარასკევი:

დილით ოთხთვალა და *კალიასკა* მოიყვანეს და საჰიბი ილჩის მთელი ბარგი, ასევე, მსახურები და ობლები გაუშვეს *კარანტინში*, რომლის დანიშნულებაზეც ზემოთ უკვე გესაუბრეთ. იქ საჰიბის კარავი გაშალეს, მთელი მისი მოწყობილობა კვამლში გაატარეს და დაკეცეს. საღამოს საჰიბი კარეტით წავიდა არტილერიის შენობაში, რომელიც მტკვრის პირას, კარავთან ახლოს, იყო და იქ დაბინავდა.

ერთი საათის შემდეგ მთავარსარდალი და დიდებულები მოვიდნენ, საჰიბის ახალსახლობა მიულოცეს, ცოტა ხანს სასაუბროდ დასხდნენ და წავიდნენ.

ის ღამე ახალ ბინაში გავატარეთ.

16 შავალი (1 ოქტომბერი), შაბათი:

საჰიბი ილჩიმ სახლის გარშემო გასეირნება ინება. თავრიზიდან შიკრიკი აყა ბაბა ბეგი და კიდევ ერთი კაცი ჩამოვიდნენ, რუსი ხელმწიფისთვის მისართმევი თივთიკის რამდენიმე შალი, საუცხოო ფარჩის ქსოვილები და სამი ხალიჩა, აგრეთვე, მისი უდიდებულესობის ბრძანებულებები და წერილები ჩამოიტანეს და საჰიბის გადასცეს. ამ წერილების მიღება ძალიან გაგვიხარდა, რადგან ჩვენს თბილისიდან გამგზავრებას შეეხებოდა. საჰიბიმ მირზა ებრაჰიმი და აყა ბეგი იხმო, მათ წერილების შინაარსი გააცნო და უთხრა: „წადით და ეს ამბავი მთავარსარდალს შეატყობინეთ, იქნებ მასზე იმოქმედოს და ჩვენი გამგზავრება დააჩქაროს".

მოგვიანებით საჰიბი ილჩისთან მთვრალი მოჰამად ბეგ განჯეევი მოვიდა და განაცხადა: ჩემს ხარჯებში, ვფიქრობ, შეცდომაა. საჰიბიმ უპასუხა: „მე ბრძანება გავეცი, რომ რაც გეკუთვნოდათ, მოეცათ". მაგრამ მოჰამად ბეგი იმდენად უგონოდ იყო, რომ თავხედურად შეეპასუხა. მერე მთავარსარდალთან წავიდა და სასახლის წინ თურქულად აყვირდა: „შენ ... ზავი დადე და ჩვენ ზავი არ დაგვიდია". მთავარსარდალმა მისი ყვირილი გაიგო და იკითხა: რას ამბობსო? იქ მყოფებმა უპასუხეს: თავის ამხანაგებს უჩივისო. მთავარსარდალმა კაცი გაგზავნა და ის საჰიბისთან წაიყვანეს. როცა საჰიბიმ ეს ამბავი გაიგო, ბრძანა, მოჰამად ბეგი შეეკრათ და ერევნის გავლით თავრიზში გაეგზავნათ. ეს დღე ასე დამთავრდა.

16 შავალი, შაბათი – 23 შავალი, შაბათი (1-8 ოქტომბერი):

ამ დღეებმა მგზავრობის თადარიგსა და მზადებაში გაიარა. საჰიბი ილჩი ხან წიგნს კითხულობდა, ხან კი სახლის გარშემო და მდინარის პირას სეირნობდა. ერთ დღეს მან მთავარსარდლის თხოვნით მინისტრ პალივანიჩს, რომელიც უზენაესი ხელშეკრულების ხელმოწერის აქტის ხელახლა დასამოწმებლად ირანში მიემგზავრებოდა, ირანის სახელმწიფოს თავკაცების სახელზე სარეკომენდაციო წერილები დაუწერა.

პალივანიჩის მიერ აქტის ხელმოწერის და სხვა საკითხების შესახებ ილჩიმ ბევრი ბრძანებულება და წერილი მოამზადა, აყა ბაბა ბეგსა და მის თანამგზავრებს, რაც ეკუთვნოდათ, გადაუხადა და კორესპონდენცია ირანში გაატანა.

მეორე დღეს მთავარსარდალი გვეწვია, ახლად ჩამოტანილი ხალიჩები და შალები დაათვალიერა და ძალიან აქო. განსაკუთრებით ერთი ვარდისფერი რეზაიეს შალი მოეწონა. საჰიბი ილჩიმ აჩუქა და მთავარსარდალი ძალიან კმაყოფილი წავიდა.

შემდეგ დღეს საჰიბი *კარეტაში* ჩაჯდა და საპასუხო ვიზიტით მთავარსარდალთან წაბრძანდა. მთავარსარდალმა უთხრა: „რუსეთის სახელმწიფოს თავკაცებს წერილები მივწერე, რომ თქვენი საქმეები, რაც შეიძლება, სწრაფად მოაგვარონ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მალე თქვენი მისია წარმატებით დასრულდება და იქიდან კმაყოფილი დაბრუნდებით". იმავე დღეს მთავარსარდალი საჰიბის პირისპირ შეხვდა და ბარათი მისცა, რომელშიც ეწერა, პეტერბურგში შესვლისას ამ ხალხს პატივისცემით მოექეცითო. მეორე დღეს მთავარსარდალმა სპეციალურად საჰიბის მგზავრობისთვის ნაყიდი და გამართული *კარეტა* გამოგზავნა. საჰიბიმ ეტლი დაათვალიერა და მის მომყვანებს გასამრჯელო გადაუხადა. სხვა ღირშესანიშნავი ამ დღეს არაფერი მომხდარა.

24 შავალი, კვირა – 25 შავალი, ორშაბათი (9-10 ოქტომბერი):

თბილისიდან გამგზავრების დრო მოახლოვდა. საჰიბი ილჩის ბრძანებით, *მეჰმანდარებს*, *ყალაბეგს*, *დარუღას*, რომელიც, ასევე, ჩვენი *მეჰმანდარი* იყო, აგრეთვე, *კარანტინის* ექიმს, დაცვის ოფიცრებს და *სალდათებს*, მეეტლეებს, მუშებს და ყველას, ვინც თბილისში ყოფნის დროს გვემსახურებოდა, რეზაიესა და ქუშანჯის შალები, არაბული ცხენები, დიდი რაოდენობით ნაღდი ფული, კარავი და სხვა ნივთები აჩუქეს და ყველამ რაც დაიმსახურა, ის მიიღო. საჰიბი ილჩიმ ირანის სახელმწიფოს თავკაცებს პალივანიჩის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის აქტის ირანში წაღების და ჩვენი [პეტერბურგში] გამგზავრების ამბები მისწერა და მისი უდიდებულესობის მსახურს ბაბა ბეგს მისცა. ბაბა ბეგი და მისი თანამგზავრები არაბული ცხენითა და ცოტაოდენი ნაღდი ფულით დაასაჩუქრეს და პალივანიჩის დახვედრის მითითებები გადასცეს. შემდეგ ყუთი, რომელშიც ხელმოწერის აქტი იდო, დალუქეს და პალივანიჩსა და ბაბა ბეგს გაუგზავნეს. ამგვარად, მეორე დღისთვის, როცა გამგზავრება იგეგმებოდა, ყველაფერი მოგვარებული იყო და თბილისში აღარაფერი გვაყოვნებდა.

შემდეგ მთავარსარდალი, *გუბერნატორი* (kürnader) და სხვა დიდებულები გვეწვივნენ. მთავარსარდალმა განაცხადა: „ჩემი ქვეყნის თავკაცებს თქვენი საქმეების სასწრაფოდ მოგვარების მითითებები გავუგზავნე. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მალე თქვენი მისია წარმატებით დასრულდება". მერე ბარათი, რომელშიც ეწერა, პეტერბურგში ამ ხალხს პატივისცემით მოექეცითო, გადასცა და წავიდა. მეორე დღეს ბარგისა და ობლებისთვის თორმეტი ოთხთვალა მოიყვანეს. გზაში ჩვენ დასაცავად გამოყოფილი ოფიცრები და *სალდათებიც* მოვიდნენ. საჰიბიმ ბრძანა, რომ მთელი ბარგი იმ დღესვე შეეკრათ, ყველასთვის თავ-თავისი ადგილი მიეჩინათ და დაუმთავრებელი საქმეები დაესრულებინათ, რათა ხვალ დილისთვის ყველაფერი მზად ყოფილიყო და მგზავრობა აღარაფერს შეეყოვნებინა.

ამ დღეს საჰიბი ილჩისთან ყაფლან ოღლი და სხვა დიდებულები მოვიდნენ. ვიზიტი ოფიციალური ეტიკეტის მიხედვით წარიმართა და შემდეგ სტუმრები დაიშალნენ. მეტი არაფერი მომხდარა.

26 შავალი (11 ოქტომბერი), სამშაბათი:

დღეს თბილისიდან მივემგზავრებით. შუადღისას საჰიბი ილჩის თბილისის ალანშეფ სარდალი[130] და ერევნისა და ასტრახანის საზღვრების მფლობელი გენერალი რტიშჩევი (Radīshchof), ქალაქ თბილისის გუბერნატორი სიმონოვიჩი (Semanāvīch) და სხვა დიდებულები ეწვივნენ. მისალმების ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ [სტუმრებმა] ორი ბოთლი ღვინო ამოიღეს, საჰიბის გზა დაულოცეს და მისი სადღეგრძელო დიდი მოწინებით დალიეს. ამასობაში სპეციალური *კარეტა*, რომელიც მთავარსარდალმა საჰიბი ილჩის მგზავრობისთვის შეიძინა, მოიყვანეს და საჰიბი შიგ ჩაჯდა. მისი თანამგზავრები უფრო პატარა ეტლებში მოთავსდნენ და ელჩის კორტეჟი დაიძრა. მთავარსარდალი და მისი მხლებლები ცხენებზე შესხდნენ და გამოგვყვნენ. ცოტა ხნის მგზავრობის შემდეგ მთავარსარდალი შეუძლოდ გახდა და საჰიბის დაჟინებული თხოვნით უკან გაბრუნდა, პალივანიჩმა და სხვა დიდებულებმა კი ორ *ფარსახზე* მეტ მანძილზე გაგვაცილეს.

[ქალაქიდან] ორ *ფარსახში* მდინარე მტკვრის პირას დაახლოებით 2000 *სალდათი* დაბანაკებულიყო და გზას იცავდა. იქ ცოტა ხანს გავჩერდით და ჩაი დავლიეთ. მუსიკოსები მოვიდნენ და ჩვენთვის დაუკრეს და იმღერეს. მათ რამდენიმე *აშრაფი* აჩუქეს.

მეჰმანდარი ბასანავიჩი საჰიბი ილჩის *კარეტაში* ჩაჯდა და მათ გზა ერთად განაგრძეს. გზა სულ მდინარე მტკვარს მიუყვებოდა. თბილისიდან სამი *ფარსახის* გავლის შემდეგ მივედით პატარა ციხე-ქალაქში, რომელსაც მცხეთას (Mesek) ეძახიან. ძველ დროში ის საქართველოს დედაქალაქი იყო.

მცხეთასთან მდინარე ყარაყალხანი[131] (Qarāqalkhān) უერთდება მდინარე მტკვარს, რომელიც მასზე ორჯერ უფრო წყალუხვია. ამ ციხე-ქალაქში დიდი ეკლესია დგას. მცხეთაში დაახლოებით ორმოცი კომლი სომეხი ცხოვრობს. ქალაქთან ახლოს მდინარეზე ხიდია აშენებული და მასზე გადადიან. როგორც გვითხრეს, ეს ეკლესია ემირ თემურის შემოსევების დროს დაინგრა და სამოთხის მკვიდრ შაჰ აბასის დროს, მას შემდეგ, რაც ქართველებმა ხაზინაში ხარკი გადაიხადეს, მისი აღდგენის ბრძანება გაიცა.

ერთი-ორი *ფარსახის* გავლის შემდეგ მივადექით ლამაზ მინდორს, რომლის ფართობი ორი კვადრატული *ფარსახი* იქნებოდა. ამ მთასა და კორომს ქართულად ღართისკარს (Ghārtīs Kar) ეძახიან. იქაურობას დაახლოებით ორასი *სალდათი* იცავდა.

რადგან კარავი და ბარგი ჯერ არ ჩანდა, ბასანავიჩის ცოლი, ცოლისდა და სხვები, რომლებიც მოზდოკამდე ჩვენთან ერთად მგზავრობდნენ და იქიდან ას-

---

130 ალანშეფ სარდალი (alanshef sardar) – (ფრ. სიტყვიდან enchef – მთავარი) – რუსეთში პეტრე I-ის მერე ასე ეძახდნენ მთავარსარდალს.

131 სეფიანთა დროში და შემდგომაც მდინარე არაგვს ყარაყალხანს ეძახდნენ.

ტრახანში მიდიოდნენ, გზის პირას ჩამოხდნენ და ბანაკი მოაწყვეს. მათი დაჟინებული თხოვნით საჰიბი ილჩი ეტლიდან გადმოვიდა და ჩაი მიირთვა. მერე კარავი გაშალეს და იქ შევისვენეთ. ეს ადგილი თავიდან ბოლომდე 4,5 *ფარსახი* თუ იქნება. ის ქართლის (Kārtīl) რეგიონს ეკუთვნის და ქართველებს უკავიათ.

ღართისკარში გაირკვა, რომ ტვირთი და ობლები თორმეტ ოთხთვალაში ვერ ეტეოდნენ, რაც ჩვენი შეფერხების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო. გენერალმა ბასანავიჩმა ორი ოთხთვალა დაგვიმატა და დავმშვიდდით. ის დღე და ღამე იმ ადგილას გავატარეთ.

27 შავალი (12 ოქტომბერი), ოთხშაბათი:

დილით ღართისკარიდან წამოვედით და გეზი დუშეთისკენ (Dūshet) ავიღეთ. იქამდე ოთხი *ფარსანგია*. გზაზე ბევრი აღმართ-დაღმართი შეგვხვდა. დუშეთის ახლოს ღვთივკურთხეული მდინარე მოედინება. აქ კარგი შენობები დგას. საქართველოს მეფის მმართველობის დროს მისი ერთ-ერთი ვაჟი[132] ამ ციხე-ქალაქში დასახლდა და ის ყარაყალხანის[133] დედაქალაქად აქცია. ახლა მას შვიდი-რვა სოფელი აკრავს. ციხის ახლოს სომხების ასამდე კომლი ცხოვრობს და ასორმოცდაათი დუქანი დგას.

იქაურობა დავათვალიერეთ და გზა განვაგრძეთ. ორი *ფარსანგის* (ანუ დღეს დილიდან ექვსი *ფარსანგის*) გავლის შემდეგ სოფელ ანანურში (Anlūr) შევედით. ანანურის *კომენდანტი* ანუ ციხის უფროსი ორასი *სალდათის* თანხლებით გამოგვეგება. ეს სოფელი ოთხი მთის ქვაბულშია მოქცეული. იქვე მოედინება პატარა მდინარე, რომელშიც ძალიან გემრიელი წყალია. ანანურში პატარა ციხე და ეკლესია დგას და სომეხი და სხვა ეროვნების ასამდე კომლი ცხოვრობს. *კომენდანტმა* საჰიბი ციხის გარეთ მდებარე თავის სახლში დაპატიჟა. საჰიბი მასთან ერთი საათი დარჩა, მაგრამ რადგან ცუდი ამინდი იყო, ბასანავიჩმა გაუარა და მინდორში გაშლილ კარავში მიიყვანა.

ამასობაში აყა ბეგი მოვიდა და საჰიბის განუცხადა: „მთავარსარდლის ცოლის *ხაზინადრებისა* და მსახურებისთვის თივთიკის შალების ჩუქება დაგავინყდათ. მე ერთი კაცი მახლავს, იმას მიეცით და წაულებს". საჰიბიმ უპასუხა: „მე მთავარსარდლის ცოლის მსახურებსა და *ხაზინადრებს* არ ვიცნობ და არავითარ შემთხვევაში მათ შალებს არ მივცემ". აყა ბეგი იმედგაცრუებული გაბრუნდა. გაჩერება გამოაცხადეს და ჩვენც დასასვენებლად შევჩერდით.

28 შავალი (13 ოქტომბერი), ხუთშაბათი:

გამთენიისას ანანურიდან წამოვედით და კაიშაურისკენ (Qay Shādūr) გავემართეთ. იქამდე რვა *ფარსანგია*. ოთხი *ფარსანგის* გავლის შემდეგ სოფელ ფასანა-

---

132 იგულისხმება მეფე ერეკლეს ვაჟი ალმასხან (ვახტანგ) ბატონიშვილი (1762-1814), რომელსაც 1782 წელს მეფე ერეკლემ საუფლისწულოდ გადასცა მთიულეთისა და არაგვის საერისთავო. რეზიდენცია ჰქონდა დუშეთში.

133 იგულისხმება არაგვის ხეობის მიმდებარე რეგიონი.

ურში (Pasanādūr) შევედით. აქ რუსებს სანგრები და ფაცხები აუშენებიათ, რომლებშიც *სალდათები* ცხოვრობენ. ეს ადგილი ყარაყალხანის რეგიონს ეკუთვნის.

ფასანაურში გავჩერდით, ვისადილეთ და გზა განვაგრძეთ. გზას მარცხნიდან მთელ გაყოლებაზე მაღალი მთები აკრავს. აქ უამრავი ხეა, რომელთა სიმაღლე 40-50 *ზარ'ს* აღწევს. მარჯვნივ მოედინება მდინარე ყარაყალხანი, რომელსაც მეორენაირად არაგვს ('Arakv) ეძახიან. ამ მდინარის წყალი ძალიან გემრიელია. გზაზე ბევრი მთა და ხევია. მდინარეზე რამდენიმე ადგილას ხის ხიდია აშენებული და მასზე გადადიან. ხიდის თავში მდგარ ხის სახლებში რუსი გუშაგები არიან. გზის მარჯვნივ კახეთის (Kākhet), ხოლო მარცხნივ ქართლის რეგიონია და მათ ერთმანეთისგან 130-140 *ზარ'ი* სიგანის ქედი ყოფს. მთა ორგან, დაახლოებით 100 ნაბიჯის ინტერვალით, გაბურღულია და შიგ გვირაბია გაყვანილი. გვირაბის სიგანე 12 ნაბიჯამდეა, ხოლო სიგრძე 100 ნაბიჯს აღწევს. მიწის პირიდან მთის წვერამდე 4-5 *ზარ'ი* თუ იქნება. ამ ადგილს მაქსიმუმ 20 არტილერისტი თუ გაივლიდა, თორემ ორასათასიანი ჯარი ნამდვილად ვერ დაეტეოდა.

ღმერთმა და მისმა მოციქულმა დასწყევლოს ის ხალხი, ვინც რუსებს აქაურობის გზა ასწავლა. მთების ძირში უზარმაზარი მდინარე მოედინება და, გარდა ამ ორი გვირაბისა, აქაურობას სხვა ვერსაიდან ვერ მიუდგები. მოკლედ, ეს გზა დიდი წვალებით გავიარეთ, ერთ სოფელში გავჩერდით და დილამდე იქ დავრჩით. მეორე დღეს გზა განვაგრძეთ და სხვა სოფელში შევედით.

29 შავალი (14 ოქტომბერი), პარასკევი:

დილით ბასანავიჩმა და აყა ბეგმა გამოაცხადეს: „დღეს ძალიან რთული გზა გვაქვს გასავლელი, ამიტომ ჩვენ ცოტა მოვიცადოთ და ბარგი წინ გავუშვათ, რომ შემდეგ პუნქტში ჩქარა ჩავიდეთ". საჰიბიმ ბარგი გაგზავნა, თავად კი ცოტა ხანი შეიცადა და ჩაი მიირთვა. მერე გზა განვაგრძეთ და სოფელ კობში (Qopī) შევედით. ამ სოფლამდე 3 *ფარსახია* და გზა შემდეგნაირია: მარჯვნივ მთა გადაჭრილია და ზედ გზაა გაყვანილი. დაახლოებით ორი *ფარსახი* აღმართში მიდიხარ და მას ბოლო არ უჩანს. გზის ორსავე მხარეს ელბრუსის (Alborz) მთებია, რომლებიც ისეთი მაღალია, რომ თვალს ვერ შეაწვდენ. ის შავი ზღვიდან (Qara Dangīz) იწყება და ქაბულამდე გრძელდება. ამ მთებს შორის მოედინება მდინარე თერგი (Etrek), რომელიც მოზდოკში ჩადის. მთიდან ნაკადულები გადმოდის და მდინარეში ეშვება. მდინარესთან ახლოს ორ-სამ ადგილას წყაროს წყალი შადრევანივით გადმოჩქეფს. ეს წყალი მეავე და შუშხუნაა და, მდინარის გემრიელი წყლისგან განსხვავებით, უცნაური გემო აქვს. აქაურობა გავიარეთ და მივადექით ერთ მაღლობს, საიდანაც გაშლილი სივრცე და მინდვრები მოჩანს. მარცხნივ ღრმა ხევია, რომლის ძირშიც მდინარე მოედინება. ეს გზა მთაში ადის და ადგება ხის ხიდს, რომელზეც *სალდათები*, გუშაგები და არტილერიაა თავმოყრილი. მთის წვერზე ციხესიმაგრეა აღმართული. ამბობენ, რომ ის დარიოსის[134] აგებულია. ძალიან, ძალიან მიუვალი ადგილებია და რამდენიმეათასკაციანი ჯარის შეკავებას ათი გუშაგიც კი მოახერხებს, რადგან გზა არ არის.

---

[134] სპარსულ ტექსტში სქოლიოში აღნიშნულია: „სხვა ვერსიით – დაუდის".

წინ მაღალი მთა და მდინარეა, გარშემო კი – ელბრუსის მთები. ცოტა ხანში კაიშაურის სოფლებს მივადექით. ერთი რიალის ცხვარი ერთ თუმნად ვიყიდეთ, მინდვრის პირას დავსხედით, ვისადილეთ და გზა განვაგრძეთ. მარჯვნივ უამრავი სოფელია და შიგ კერპთაყვანისმცემელი რუსები ცხოვრობენ. დაახლოებით 10-20 ათასი კომლი იქნება. რამდენიმე ადგილას რუსი *სალდათები* დგანან და ორგან არტილერიაც შევნიშნეთ. მიუხედავად მთების, უღელტეხილების, ბორცვებისა და ხევების სიმრავლისა, აქ, კაიშაურისგან განსხვავებით, ტყე არ არის და საწვავი შეშა ცოტაა, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში ის წინა სოფლიდან მოაქვთ.

ამ რეგიონის რუსები, 10-20 ათასი კომლი, სხვადასხვა ჯურის ხალხისგან შედგება, მაგრამ ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობს და ელბრუსის შემოგარენში ცხოვრობს. ამ მთიდან უამრავი ნაკადული გადმოდის და მდინარეში იღვრება.

კობში შედარებით ცოტა სალდათი და არტილერია იყო. ის დღე და ღამე კობში გავატარეთ და მეორე დღეს ლარსისკენ (Lārs) გავემართეთ.

1229 წლის 1 ზუ ლ-კადა (1814 წლის 15 ოქტომბერი), შაბათი:

დილით სოფელ კობიდან წამოვედით და გავემართეთ ლარსისკენ, რომელიც აქედან 6 *ფარსანგში* მთის წვერზე მდებარეობს. გზა გუშინდელივით ელბრუსის მთებში მიდის და გარშემო ბევრი გორაკი და ხევია. რამდენიმე ადგილას მთა დენთით აუფეთქებიათ და შიგ 10 *ზარ'ი* სიგრძის გზა გაუყვანიათ.

შუა გზაზე ერთ სოფელს მივადექით, რომელსაც ყაზბეგს (Qāzī Bīk) ეძახიან. აქ მცხოვრები გენერალი და მისი *სალდათები* გამოგვეგებნენ. ეტლებიდან გადმოვედით, ჩვენთვის მომზადებული სადილი შევჭამეთ და გზა განვაგრძეთ. გენერალმა ცოტა გაგვაცილა და სახლში დაბრუნდა.

მთა კიდევ რამდენიმე ადგილას გაეჭრათ და ზედ გზა გაეყვანათ. ამ სამუშაოებს მართლაც რომ დიდი ოსტატობა და ხარჯები დასჭირდებოდა. ცოტაც გავიარეთ და მივადექით მდინარეზე გადებულ ხის ხიდს, რომლის სიგანე 7, ხოლო სიგრძე 15 *ზარ'ი* იქნებოდა. ხიდის თავში უამრავი *სალდათი* იდგა. მარცხენა მხარეს ბევრი სოფელია, სადაც რუსები და ქართველები ცხოვრობენ.

მთის წვერზე ეკლესიაა აღმართული. ხის ხიდზე გადავედით. რამდენიმე ადგილას მთა გადაჭრილია და 30-40 *ზარ'ი* სიგრძის გზაა გაყვანილი, რომელზეც ცხენოსნები, ქვეითები და *კარეტები* გადადიან. აქ მართლა დიდი სამუშაოებია ჩატარებული.

უწინ ამ ადგილებში უამრავი ხის ხიდი იყო, მაგრამ რუსებმა ოთხთვალების სასიარულოდ ძველი ხიდები მოშალეს, მთები გაჭრეს და ზედ გზები ააშენეს და ახლა ეს ერთი ხიდიღა დარჩა, რომელიც ძალიან მყარია.

შუა გზაზე ერთი სოფელია, რომელსაც კალთას (Kalt) ეძახიან. ის საქართველოს საზღვარზე მდებარეობს. ამ უღელტეხილით საქართველოს ტერიტორია თავდება. წინა დღეს გავლილი ადგილებისგან განსხვავებით, აქ მთები ტყით არის დაფარული. იალბუზის შემოგარენში და ამ გზაზე მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობა – ოსები, ჩერქეზები და ჩეჩნები – რუსებს თავს ესხმის, ძარცვავს და მათ ქონებას იტაცებს. ხშირი იყო შემთხვევები, როცა რუსები დახოცეს, ცოცხლები კი ტყვედ აიყვანეს.

უკვე 14-15 წელია, რაც რუსები ამ მხარეში მოვიდნენ და აქ დასახლდნენ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს, რომ ამ გზაზე გავლა უსაფრთხო იყოს.

ახლა რუსებმა დაანესეს, რომ *კავკასკაია ლინიაზე*[135] (Qafqāz Līne) მოძრავი ქარავნები და მოგზაურები კვირაში ორჯერ მოზდოკში იკრიბებიან, კარგად შეიარაღებული *სალდათები* მათ ამ გზაზე აცილებენ და მერე თავიანთ ადგილს უბრუნდებიან. მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როცა ზემოხსენებული ხალხები გამვლელებს თავს ესხმიან, ძარცვავენ და ატყვევებენ. დაცვის გარეშე ამ გზაზე ჩაფარიც კი ვერ დადის. ჩვენს კორტეჟს 300-400 *სალდათი* და 4 ქვემეხი აცილებდა და იცავდა და გუშაგების მეთვალყურეობის გარეშე ერთი წუთითაც არ ვრჩებოდით.

ჩვენ წინ მიმავალ სასაჩუქრე სპილოებსა და ცხენებსაც შეიარაღებული *სალდათები* მიჰყვებოდნენ. მაგრამ, მიუხედავად გამცილებლების დიდი რაოდენობისა და კარგი შეიარაღებისა, რუსები ამ ხალხის წინაშე უძლურები არიან და მათგან საშველი არ არის.

---

[135] კავკასიის ხაზი (Кавказская линия) იყო XVIII-XIX საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი თავდაცვის ნაგებობათა სისტემა, რომელსაც რუსები თურქებთან და მთიელებთან საბრძოლველად იყენებდნენ. ის აერთიანებდა ყიზლარის, მოზდოკის და სხვა ხაზებს და შედგებოდა ციხესიმაგრეების, *სტანიცების*, ფორტების და საგუშაგოებისაგან. 1832 წელს ჩამოყალიბდა კავკასიის კაზაკთა ჯარი (Кавказское линейное казачье войско), რომელიც ამ გზაზე მოსიარულეებს იცავდა. მაგრამ როგორც ტექსტიდან ჩანს, ამ ჯარის ჩანასახი ჯერ კიდევ 1814 წელს არსებობდა.

მირზა სალეჰ შირაზი და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა სალეჰ შირაზი. ედვარდ სევიერის ქანდაკება, მარმარილო, 1833.

1815 წელს ირანის აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორმა, ტახტის მემკვიდრეუფლისწულმა აბას მირზა ნაიებ ას-სალთანემ ხუთი ირანელი ახალგაზრდა სასწავლებლად ლონდონში გააგზავნა. ჯგუფს აბას მირზას კარზე მყოფი ინგლისელი ოფიცერი დარსი ზედამხედველობდა. სტუდენტებს შორის იყო მირზა სალეჰ შირაზიც, რომელმაც ცოტაოდენი ინგლისური უკვე იცოდა, რადგან გამგზავრებამდე თავრიზში ინგლისელი ოფიცრის ლინდსეის მდივნად მუშაობდა.

ლონდონში მირზა სალეჰმა თითქმის ოთხი წელი დაჰყო. მან შეისწავლა ინგლისური, ფრანგული და ლათინური ენები, ისტორია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ზედამხედველი დარსი ძალიან უყურადღებო და ძუნწი კაცი აღმოჩნდა და ირანელ სტუდენტებს ყველანაირად აბრკოლებდა და ფულს არ აძლევდა. მირზა სალეჰმა სტამბაში დაიწყო მუშაობა. იგი სასტამბო საქმემ ისე გაიტაცა, რომ ბეჭდვა და გრავირება კარგად შეისწავლა და საბეჭდი დანადგარიც შეიძინა.

ლონდონში მირზა სალეჰი ფრანკმასონური ორგანიზაციის ნევრებს დაუახლოვდა, თავადაც ლოჟის წევრი გახდა და ოსტატის რანგსაც მიაღწია. ის ერთ-ერთი პირველი ირანელი მასონი იყო.

ლონდონში გატარებული წლები და იქ მიღებული შთაბეჭდილებები აისახა მირზა სალეჰის „მოგზაურობის წიგნში". ეს თხზულება იმით არის საგულისხმო, რომ ავტორი, რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში კარგად გაიცნო ევროპა, დეტალურად აღწერს დასავლურ ცივილიზაციასა და კულტურას.

1818 წელს ირანელი სტუდენტები სამშობლოში დაბრუნდნენ. აბას მირზა მათ დიდი პატივით შეხვდა და ლონდონში მიღებული განათლების შესაბამისად დაასაქმა. მირზა სალეჰი მის თარჯიმნად და მრჩევლად დაინიშნა. იმავდროულად, მან ბეჭდვის საქმესაც მოჰკიდა ხელი და ირანში პირველი სტამბა დააარსა. იმავე წელს მან მასონური ორგანიზაცია (*ფარამუშ-ხანე*) ჩამოაყალიბა.

1820 წლიდან მირზა სალეჰი ფათჰალი შაჰის თარჯიმანი და საგარეო საქმეთა მრჩეველი, მოგვიანებით კი „თეირანის მინისტრი" გახდა. 1822 წელს იგი ინგლისში ირანის ელჩად გააგზავნეს, ხოლო 1829 წელს მონაწილეობა მიიღო ალ. გრიბოედოვის მკვლელობასთან დაკავშირებულ „მოსანანიებელ მისიაში", რომელსაც აბას მირ-

ზას ვაჟი ხოსროვ მირზა ხელმძღვანელობდა. 1837 წელს მისი თაოსნობით ლითოგრაფიულად დაიბეჭდა ირანში პირველი გაზეთი – „ქაყაზ-ე ახბარ“ („ცნობათა ფურცელი“). გარდაიცვალა მირზა სალეჰი 1839 წელს თეირანში.

წინამდებარე ტექსტი მირზა სალეჰ შირაზის „მოგზაურობის წიგნის“ საქართველოსთან დაკავშირებული მონაკვეთის თარგმანს წარმოადგენს. ავტორი მოკლედ აღწერს საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, ბუნებას, ისტორიას, მოსახლეობას, ვაჭრობას და, განსაკუთრებით, იმ სიახლეებს, რომლებსაც გზაზე ხვდება. როგორც ფაქტების გადმოცემისას, ისე მათი შეფასებისას იგი საკმაოდ სუბიექტურია და ხშირად სიზუსტის მხრივაც სცოდავს.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანი

Mīrzā Sāleh Shīrāzī, *Safar-nāme*, bā motāle'e va hamkārī va moqaddame-ye Esmā'īl Rā'yīn, Tehran, 1347/1968.

Majmū'e-ye safar-nāmehā-ye Mīrzā Sāleh Shīrāzī, be tashīh-e Gholāmhoseyn Mīrzā Sāleh, Tehran, 1364/1986.

„მირზა სალეჰ შირაზი და მისი მოგზაურობის წიგნი“, წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, 70-74.

ლიტერატურა

Mohammad Asadīyān, "Safar-nāme-ye Mīrzā Sāleh Shīrāzī", *Rāhnemā-ye Ketāb*, Vol.13, No.8-10, Tehran, 1349/1970, 608-617.

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 1347/1968, 175-179.

Behzād Jāme Bozorg, "Nokhostīn daryāfthā-ye safar-nāme-nevīsān-e īrānī az nehād-e pārlamān", 156-159.

'Alī Karīmīyān, "Mīrzā Sāleh Shīrāzī va Kāghaz-e akhbār", *Ganjīne-ye Asnād*, No. 29-30, Tehran, 1377/1998, 5-8.

Homā Nāteq, "Mīrzā Sāleh Shīrāzī va janghā-ye Īrān va Rūs", *Rāhnemā-ye Ketāb*, Vol.17, No.1-3, Tehran, 1353/1974, 20-29.

Taqī Sūfī Nīyārakī Najafī, "Safar-nāmehā: nokhostīn bāztābhā dar movājehe bā qarb-e jadīd", 172-177.

Rahīm Ra'īs Nīyā, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", *Tā'sīrāt-e motaqābel-e tārīkhī va farhangī-ye Īrān va Gorjestān (Majmū'e-ye maqālāt)*, Tehran, 1380/2001, 191-192.

Gītī Fallāh Rastegar, "Mīrzā Sāleh Shīrāzī dar safar-nāme", *Faslnāme-ye Dāneshkāde-ye Adabīyāt va 'Olūm-e Ensānī, Dāneshgāh-e Ferdowsī-ye Mashhad*, No.30, Mashhad, 1351/1972, 236-257.

Seyyed Mohammad 'Alī Shahrestānī, "Safar-nāme-ye Mīrzā Sāleh Shīrāzī", *Ganjīne-ye Asnād*, No.33-34, Tehran, 1378/1999, 51-59.

H. Algar, "An Introduction to the History of Freemasonry in Iran", *Middle Eastern Studies*, Vol. 6, No. 3, 1970, 276-296.

H. Farman Farmayan, "The Forces of Modernization in Nineteenth Century Iran: A Historical Survey", 122-124, 145-146, 149-150.

B. G. Fragner, "Ein Vorläufer des neueren persischen Memoirenschrifttums: Mirza Muhammad Salih Širazi", წიგნში: B. G. Fragner, *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, Wiesbaden, 1979, 13-19.

M.R. Ghanoonparvar, *In a Persian Mirror...*, 18-20.

M. M. Ringer, "The Quest for the Secret of Strength in Iranian Nineteenth-Century Travel Literature: Rethinking Tradition in the *Safarnameh*", 146-161.

О. Меликов, "Персидская мемуарная литература XIX века как источник по истории Ирана", 15-18.

მოგზაურობის წიგნი
(1815)

[1230 წლის] 29 ჯუმადა ას-სანი (1815 წლის 8 ივნისი), ოთხშაბათი:

დილის შვიდ საათზე გეზი თბილისისკენ ავიღეთ. ბაღები გავიარეთ და მივადექით შენობას, რომელსაც *კარანტინს* (Qārāgh Tīn) ეძახიან. ამ შენობაში ქარავანი და ყველა სხვა [ტრანსპორტი] შეჰყავთ. ქაფურის სადეზინფექციო ხსნარს ცეცხლს უკიდებენ და კვამლში ბარგს და სხვა ნივთებს ატარებენ, რათა თუ მასში ქოლერის ან შავი ჭირის მიკრობებია, დაიხოცოს და ეპიდემია მთელ *ვილაიეთზე* არ გავრცელდეს. ნახევარი საათის მერე გზა განვაგრძეთ და თბილისში შევედით. დღის თორმეტის ნახევარზე ერთ სახლში გავჩერდით.

მოგახსენებთ ზოგიერთ ცნობას, რაც თბილისის და, განსაკუთრებით, საქართველოს საზღვრების, ხალხის და წეს-ჩვეულებების შესახებ გავიგე. საქართველოს ჩრდილოეთიდან ჩერქეზეთი, აღმოსავლეთიდან დაღესტანი და შირვანი, სამხრეთიდან სომხეთი, ხოლო დასავლეთიდან კასპიის ზღვა (Daryā-ye Hājjī Qarkhān)[136] ემიჯნება. ძველად საქართველოს „ქორესთანს" (Korestān) ეძახდნენ, რადგან ის მდინარე მტკვარზე (Kor) მდებარეობს. დროთა განმავლობაში სახელმა „ქორესთან" „გორჯესთან"-ის ფორმა მიიღო. საქართველოს ძველ ქრონიკებში წერია, რომ ეს *ვილაიეთი* მჭიდროდ იყო დასახლებული და აქ 350 000 კაცი ცხოვრობდა. ამ მხარის მმართველები და დიდებულები ყოველთვის მეამბოხეები იყვნენ, ამიტომ მეზობელი ქვეყნების მეფეები მათ დასამორჩილებლად ჯარებს აგზავნიდნენ. თანდათანობით მოსახლეობა ტყვედ ჩავარდა, მინები დაკარგა და ქვეყანა განადგურდა. 988 (1580) წელს[137] საქართველო ოსმალეთის ლაშქარმა დაიპყრო. მოსტაფა ფაშას ოციათასიან თურქულ ლაშქარს თბილისი დიდი ხნის განმავლობაში ეკავა. მან ქალაქში ციხესიმაგრე ააშენა, რომლის ნაშთები

---

[136] „ჰაჯი თარხანის" (ტექსტში შეცდომით „ჰაჯი ყარხანი" წერია), ე. ი. ასტრახანის ზღვა კასპიის ზღვაა. ავტორს აქ შავი და კასპიის ზღვები ერთმანეთში ერევა.

[137] ავტორის მოტანილი თარიღი მცირეოდენ არაზუსტია. მოსტაფა ლალა ფაშამ საქართველოზე 1578 წელს ილაშქრა.

დღესაც შემორჩენილია. საქართველოში სადამსჯელო რაზმი შაჰ აბას სეფიანმაც გამოგზავნა და ქვეყანა მთლიანად ააოხრა. როცა ნადირ შაჰმა დაღესტანზე გაილაშქრა, საქართველოს და, განსაკუთრებით, თბილისს დიდი ზარალი მიაყენა.

საქართველოს მოსახლეობა ძირითადად წესიერი და კანონმორჩილი ხალხია, მაგრამ განათლებულები არ არიან. ამ ქვეყნის მთები ტყეებით არის დაფარული. აქ ბევრი მსხმოიარე ხეა, მათ შორის წაბლი, კაკალი, ბროწეული და ველური ყურძენი. ხეობებსა და მინდვრებში ცხვრების საძოვრებია. ტყეებში კანჯარსა და სხვადასხვა ჯიშის ფრინველს შეხვდები.

როგორც ამბობენ, საქართველოს მოსახლეობა ფაქტობრივად სამოც ათას კაცამდეა, რომლის ნახევარზე მეტი სომეხია, დანარჩენი კი ქართველები არიან. აქ ცოტა მუსლიმი და ებრაელიც ცხოვრობს და ისინი, ძირითადად, ხელოსნობით არიან დაკავებული. საქართველოში მოჰყავთ ბამბა, ბრინჯი, ხორბალი და აბრეშუმი, რომელსაც ამ მხარისთვის დიდი შემოსავალი მოაქვს.

საქართველოს დედაქალაქი თბილისია. კარგი, მაგრამ პატარა ქალაქია და მისი გარშემოწერილობა სამ მეოთხედ *ფარსახზე* მეტი არ იქნება. ქვისა და აგურის ძველი შენობები ბრტყელი სახურავით არის გადახურული, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში აშენებულ სახლებში კი ოთახები რუსულ ყაიდაზე ხითა და სარკეებით არის გაწყობილი. თბილისის ქუჩები ვიწროა. ქალაქში რამდენიმე ქარვასლაა. აქ რუსეთიდან დიდი რაოდენობით სიასამურის, ციყვის და ქრცვინის ბეწვი ჩამოაქვთ, რომელიც მერე სტამბოლსა და ირანში გააქვთ, ხოლო ირანიდან აბრეშუმი, შაქარი, *ნაბათი*, *ყალამქარი* და სხვა საქონელი შემოაქვთ. საქართველოში დღეს ტრადიციულ ტანსაცმელს აღარ ატარებენ. 50 წლის წინათ, რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების დროს, თურქების წინააღმდეგ გაგზავნილმა რუსულმა ჯარმა საქართველოზე გაიარა. საქართველოს მაშინდელმა მმართველმა ერეკლე ხანმა (Arīklī Khān) ქალებისა და კაცების ჩაცმულობა შეცვალა და რუსების მიბაძვით დანა-ჩანგლით ჭამაც დაიწყეს. თბილისის მოსახლეობა სულ 15000 კაცია. მათი უმრავლესობა სომეხია, დანარჩენი კი მუსლიმები, ქართველები და ებრაელები არიან. ქალაქში თხუთმეტი სომხური, თერთმეტი ქართული და ორი რუსული ეკლესიაა. მუსლიმებსაც თავიანთი მეჩეთი აქვთ. თბილისში ექვსი ბუნებრივი ცხელი წყლის აბანოა. ამ მხარეში რკინის დიდი საბადოებია და, სავარაუდოდ, ეს წყაროები სწორედ ამ საბადოებზე გადის. მათში რკინის გარდა გოგირდის მარაგიც არის და როცა წყალი ახლოს ჩაუვლის, აორთქლება ხდება და წყალი ცხელდება. ამბობენ, რომ ეს აბანოები ჯანმრთელობისთვის კარგია. თბილისში ბევრი ბაზარი და დუქანია. მდინარე მტკვარი, რომელიც ახალციხიდან (Akheske) მოედინება, თბილისს შუაზე კვეთს და გილანისკენ აგრძელებს გზას. საქართველოს და თბილისის მთავარმართებელი გენერალი რტიშჩევია (Ardīshjof). მის განკარგულებაში 2000 ჯარისკაცია. სანახავად რომ მივედით, ძალიან თბილად მიგვიღო და ორი დღის მერე საუზმეზე დაგვპატიჟა. რაც გვჭირდებოდა, ყველაფერი მოგვცა.

14 რაჯაბი (22 ივნისი), ხუთშაბათი:

ნაშუადღევს ოთხ საათზე თბილისიდან პეტერბურგისკენ გავემგზავრეთ. სამი საათის დაღამებული იყო, მდინარე მტკვარზე გადებული ხის ხიდი რომ გა-

დავკვეთეთ და ღართისკარში (Azīs Kāl) შევედით. ღართისკარი დაუსახლებელი ადგილია. იქ ცოტა ხანი გავჩერდით. თბილისიდან ღართისკარამდე 29 *ვერსია*. ამის შემდეგ იცოდე, რომ რუსული სიგრძის საზომი ერთეული *ვერსია* და შვიდი *ვერსი* დაახლოებით ერთი *ფარსანგის* ტოლია.

15 რაჯაბი (23 ივნისი), პარასკევი:

დილის თერთმეტ საათზე ღართისკარიდან წამოვედით და სოფელ დუშეთში (Dūshet) შევედით. დუშეთი ციხე-ქალაქია, რომელიც საქართველოს მმართველის ერეკლე ხანის ვაჟმა ალმასხანმა (Almās Khān) ააშენა. ახლა ის რუსების ხელშია. ციხეს 200 ჯარისკაცი და ორი ქვემეხი იცავს. აქ 60 სომხური ოჯახი ცხოვრობს. სოფელში დუქნებიანი ბაზარია. ვისადილეთ და გზა განვაგრძეთ. ღართისკარიდან დუშეთამდე 23 *ვერსია*. დუშეთიდან გავემართეთ ანანურისკენ (Anānūrān), რომელიც 13 *ვერსის* სავალზეა.

16 რაჯაბი (24 ივნისი), შაბათი:

ანანურიდან 19 *ვერსი* გავიარეთ და ფასანაურში (Pas Anānūr)[138] შევედით. იქ ვისადილეთ და გზა განვაგრძეთ. საღამოს ცხრის ნახევარზე კაიშაურში (Qāshū) მივედით. ფასანაურიდან კაიშაურამდე 21 *ვერსია*.

17 რაჯაბი (25 ივნისი), კვირა:

კაიშაურიდან გავემგზავრეთ და სოფელ კობში (Kobak) ვისადილეთ. კაიშაურიდან კობამდე 19 *ვერსია*. გზას იცავს გარნიზონი, რომელშიც 200 *სალდათი* და 2 ქვემეხია. ნაშუადღევს 6 საათზე ყაზბეგში (Qāzī Bīg) ჩავედით. კობიდან ყაზბეგამდე 16 *ვერსია*. აქაურობას რუსი გენერალი, 400 *სალდათი* და 2 ქვემეხი იცავს.

---

138 მოგზაურმა ეს ტოპონიმი სპარსულად გაიაზრა და მისცა ფორმა „ფასანანური" ანუ „ანანურის მერე".

ხოსროვ მირზა და მისი მოგზაურობის წიგნი

ხოსროვ მირზა.
ფილიპ ბერჟეს აკვარელი, 1829.

1829 წლის 30 იანვარს ფათჰალი შაჰის ყოფილი პირველი მინისტრის ალაიარ ხანის მიერ წაქეზებული ირანელი ფანატიკოსების ჯგუფი ირანში რუსეთის მისიას დაესხა თავს და მისიის ხელმძღვანელი ალექსანდრ გრიბოედოვი და მისი თანამშრომლები დახოცა. იმავე წლის 22 აპრილს თავრიზიდან პეტერბურგში რუსეთის იმპერატორის კარზე გაემგზავრა „მოსანანიებელი მისია", რომელსაც სათავეში ყაჯარი უფლისწული ხოსროვ მირზა ედგა. მისია ათ თვეს გაგრძელდა და 1830 წლის 26 თებერვალს დასრულდა. მოგზაურობის შთაბეჭდილებები მისიის ერთ-ერთმა წევრმა მირზა მოსტაფა აფშარმა აღწერა და მას „ხოსროვ მირზას პეტერბურგში მოგზაურობის წიგნი" უწოდა. შესაბამისად, თხზულების მთავარი მოქმედი პირია ხოსროვ მირზა (1813-1875) – ფათჰალი შაჰის შვილიშვილი, ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორის აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს მეშვიდე ვაჟი. ის 16 წლის იყო, როდესაც მისიის ხელმძღვანელად პეტერბურგში გაგზავნეს. სამი წლის შემდეგ ირანის პირველი მინისტრის ყაიემ მაყამ ფარაპანის მითითებით იგი შეიპყრეს და არდებილის ციხეში ჩასვეს. იმავე წელს ხოსროვ მირზა საკუთარი ძმის მოჰამედ შაჰის ბრძანებით დააბრმავეს. ამის შემდეგ იგი აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოსცილდა.

„ხოსროვ მირზას პეტერბურგში მოგზაურობის წიგნის" ავტორი – მირზა მოსტაფა აფშარი, ცნობილი ლაყაბით „ბაბა ალ-მოლქი", მირზა მას'უდ ანსარის მდივანი იყო და პეტერბურგში მას თან ახლდა. მის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ცნობილია, რომ 1860/61 წელს, როცა ნასერ ად-დინ შაჰის უფროსი ვაჟი მას'უდ მირზა იამინ ად-დოულე (ზელ ას-სოლთანი) მაზანდარანის, ასთარაბადის, სემნანის და დამღანის გუბერნატორად დაინიშნა და სარიში გაემგზავრა, თავის საქმეთა მწარმოებლად (მდივნად) მირზა მოსტაფა აფშარი წაიყვანა. მირზა მოსტაფამ ამ თანამდებობაზე ოთხი წელი იმსახურა და 1864/65 წელს იუსტიციის მინისტრად დაინიშნა.

წინამდებარე თხზულების რამდენიმე ხელნაწერი არსებობს. მოჰამად გოლბონმა, რომლის გამოცემითაც ჩვენ ვსარგებლობთ, თავის გამოცემას საფუძვლად დაუდო ირანის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი (№599/1239), მაგრამ ნაკლული ადგილები ირანის მეჯლისის ბიბლიოთეკის ხელნაწერის (№87521) საშუალებით შეავსო.

ხოსროვ მირზას მისიამ საქართველოში თვეზე ნაკლები დაჰყო და ძირითადად თბილისში იმყოფებოდა. მიუხედავად დროის სიმცირისა, როგორც ჩანს, ირანელ სტუმრებს ქალაქი კარგად დაათვალიერებინეს, რაზეც მოსტაფა აფშარის წიგნიც მიუთითებს. თხზულება ენციკლოპედიური ტიპის „მოგზაურობის წიგნის" ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. ავტორი საკმაოდ დეტალურად აღწერს ყველა იმ ღირშესანიშნაობას, რომელიც თბილისში ნახა, განსაკუთრებით საფეიქრო ფაბრიკას, არსენალს, კანცელარიის შენობას და სხვა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი და თარგმანი

Safar-nāme-ye Khosrov Mīrzā be Peterzbūrgh, be qalam-e Mīrzā Mostafā Afshār (Bahā' al-Molk), be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 1349/1970.

„ხოსროვ მირზას (პეტერბურგში) მოგზაურობის წიგნი", წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, 77-82.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 4, Tehran, 1347/1968, 103-104.

Mohammad Golbon, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Khosrov Mīrzā be Peterzbūrgh*, 1-26.

Maryam Kamālī, "Safar-nāme-ye Rūsīye", *Payām-e Bahārestān*, Vol. 2, No. 11, Tehran, 1390/2011, 117-130.

Rahīm Ra'īs Nīyā, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", 192-195.

G. Beradze, "Diplomacy and Poetry: Khosrow Mirza's Commemorative Inscription Revisited", *India in the Persianate World: ASPS Fifth Biennial Convention (Hyderabad, India, 4-8 January 2012)*, Program and Abstracts, New York & New Delhi, 2011, 41-42.

George A. Bournoutian, *From Tabriz to St. Petersburg: Iran's Mission of Apology to Russia in 1829*, Mazda Publishers: Costa Mesa, 2014.

H. Farman Farmayan, "The Forces of Modernization in Nineteenth Century Iran: A Historical Survey", 124-125.

F. I. Melville, "Khosrow Mirza's mission to St. Petersburg in 1829 (on the material of the diary of its secretary Mirza Afshar)", *Iranian-Russian Encounters: Empires and Revolutions since 1800*, ed. by S. Cronin, New York, 2013, 68-93.

G. M. Meredith-Owens, *Handlist of Persian Manuscripts 1895-1966*, London, 1968, 49.

Ч. Байбурди, Ю. Борщевский, "Искупительное посольство Хосров-Мирзы в Россию в 1829 г. и его дневник *Рузнама-и сафар-и Питирбург*", *Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока*, Краткие сообщения и автоаннотации, Москва, 1970, 39-41.

Ю. Балаценко, "Пребывание в Москве посольства Хосров-Мирзы в 1829 г. (по материалам дневника Мирзы Афшара "Рузнаме-йе сафар-е Петерзбург" и русским источникам)", *Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока*, Доклады и сообщения, часть 1, Москва, 1989.

Ю. Балаценко, "Хосров-Мирза на Кавказе", *Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока*, Доклады и сообщения, часть 1, Москва, 1991, 88-101.

Ад. Берже, "Хосров-Мирза (1813-1875)", *Русская Старина*, т. XXV, Санкт-Петербург, 1879, 333-352, 401-414.

С. Боглачев, "Извинительная миссия в Петербурге", წიგნში: С.В. Боглачев, *Персидские трагедии*, Пятигорск, 2007 (http://blge.ru/texts/boglachev.htm#000).

С. Боглачев, "Персидский принц Хосров-Мирза в Петербурге", *Невский Архив*, выпуск 6, Санкт-Петербург, 2003, 370-399.

Н. Маркелов, "Персидский принц Хозрев-Мирза в России", *Московский журнал*, № 3, Москва, 2001 (http://www.russk.ru/st.php?idar=800462).

В. Потто, "Хосров-Мирза", წიგნში: В. Потто, *Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях*, том 3, выпуск 4, Санкт-Петербург, 1887, 633-652.

М. Розанов, "Персидское посольство в России 1829 года", *Русский Архив*, книга I, Москва, 1889, 209-260.

ხოსროვ მირზას პეტერბურგში მოგზაურობის წიგნი (1829)

ხოსროვ მირზა.
უცნობი მხატვრის აკვარელი.

[1244 წლის] ზუ ლ-კადას თვის 15-ში (1829 წლის 19 მაისს), სამშაბათის წვიმიან დღეს მისი უდიდებულესობა უფლისწული თბილისში შებრძანდა. ქალაქიდან ერთ *ფარსახში* პირველი მას შეეგება [კავკასიის] *ლინიის*[139] კაზაკთა რაზმის მეთაური პოლკოვნიკი დერეზილინი (Derezīlīn) თავისი მხლებლებითურთ. შემდეგ მოვიდნენ ქალაქის *პოლიცმაისტერი*, რომელსაც მაიორის ჩინი ჰქონდა, ასევე გრაფ პასკევიჩის (Gherāf Pāskevīch) თანაშემწე გენერალი საკენი (Sāken) და კიდევ რამდენიმე დიდმოხელე. სანამ მისთვის განკუთვნილ სახლში დაბინავდებოდა, უფლისწული ჯერ პასკევიჩს ეწვია. მისალმების ცერემონიალისა და ჩაის დალევის შემდეგ უფლისწული და გრაფი ამ უკანასკნელის *კალიასკაში* ჩასხდნენ და უფლისწულის სახლში წავიდნენ. პირველი, რაც პასკევიჩმა უფლისწულს უთხრა, ეს იყო: „ერთი სასიხარულო ამბავი უნდა გაუწყოთ: ჩვენმა ლაშქარმა ბებუთოვის (Behbūdof) მეთაურობით ახალციხიდან (Ākhesqe) თორმეტ *ფარსახში* ოსმალეთის ლაშქარი დაამარცხა. ძალიან მიხარია, რომ ეს სასიხარულო ცნობა სწორედ თქვენი ჩამობრძანების დღეს მივიღეთ". უფლისწულმა ბრძანა: „ღმერთმა ინებოს, რომ ასეთივე, ოღონდ ასჯერ უფრო სასიხარულო, ცნობა თავრიზშიც ჩავიდეს". გრაფმა

[139] იხ. შენიშვნა 135.

თქვა: „იმედი მაქვს, რომ სწორედ ასე იქნება". გრაფმა მთავარსარდალ *მოყარაბ ალ-ხაყანთან* და მის აღმატებულება *მოყარაბ ალ-ჰაზრათ* მოჰამად ჰოსეინ ხან *იშიქაყასიბაშისთან* ერთად ყავა დალია, მათ თავაზიანად გაესაუბრა და სახლში დაბრუნდა. უფლისწული დააბინავეს *გუბერნატორის* (gübernatūr) სასახლეში, რომელიც საუცხოოდ იყო მოწყობილი. უფლისწულისთვის განკუთვნილი ორი ოთახი დიდი სარკეებით, საათებით, მოოქროვილი შანდლებით და სურათებით მოერთოთ. ოთახების წინ დიდ აივანზე ქოთნებში სხვადასხვა ჯიშის ყვავილები იყო დარგული. ოთახებსა და აივანზე ირანულ ყაიდაზე ხალიჩები ეფინა. მესამე, დიდ ოთახში, რომელშიც ხალიჩა არ ეგო, ტაბლაზე სხვადასხვა სახის ტკბილეულობა, ხილი, მურაბები, ასევე ვერცხლის კოვზები, ჩანგლები და მოხატული თეფშები ეწყო.

[ზუ ლ-კადას თვის] 16-ში (20 მაისს), ოთხშაბათს გამთენიისას გამარჯვების აღსანიშნავად ქვემეხიდან ასერთხელ გაისროლეს და საღამომდე ზარები რეკდა. იმ დღეს უფლისწულს გენერლები და სხვა ოფიცრები ეახლნენ და [მშვიდობიანად ჩამობრძანება] მიულოცეს. უფლისწულმა ყველა მათგანი ეტიკეტის შესაბამისად მიიღო. როგორც მეხუთე თავში მოგახსენეთ, გრაფი პასკევიჩი რუმის[140] მთავარსარდლის ჯარის შეკრებაზე რუმში მიდიოდა და ამიტომ ძალიან ჩქარობდა, რომ უფლისწულის პეტერბურგში გამგზავრების ზუსტი თარიღი დადგენილიყო. მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე შეთანხმდნენ, ზუ ლ-კადას თვის 24–ში (28 მაისს) გრაფი უფლისწულთან მობრძანდა, დაემშვიდობა და მისი *მეჰმანდარობა ბეგლარბეგ* გენერალ სტრეკალოვს (Estrākālof) დაავალა. სანამ თბილისიდან გაემგზავრებოდა, გრაფი უფლისწულს ხშირად სტუმრობდა და რამდენჯერმე საუზმეზე, *ბალზე* და ბაღში სასეირნოდ დაპატიჟა. რამდენიმე დღეში ერთხელ უფლისწულთან გრაფის ვაჟიც მოდიოდა. უფლისწულმა გრაფს ცხენი, მის ვაჟს *ქოლიათი, გრაფინიას* ერთი წყვილი რეზაიეს შალი, ხოლო დრაგუნთა რაზმის მეთაურს გენერალ რაევსკის (Rāyevskī) ცხენი აჩუქა. გრაფის გამგზავრების შემდეგ უფლისწულს *მეჰმანდარობას* სტრეკალოვი უნევდა და სტუმარ-მასპინძლობის წესისამებრ ყოველ დღე აკითხავდა და სასეირნოდ დაჰყავდა. მისმა უდიდებულესობამ თავისი ცხენებიდან მას ერთი ცალი უბოძა. სტრეკალოვმა *ბალი* გამართა და გრანდიოზული ფეიერვერკი მოაწყო. ამ ფეიერვერკში უცხო და შთამბეჭდავი ის იყო, რომ გოგირდის სხვადასხვაფერი მაშხალებისგან შენობებისა და კოშკების ნაირგვარი ფიგურები გამოჰყავდათ. ერთი შენობის ცენტრში რუსეთის სახელმწიფო გერბი – ორთავიანი არწივი იყო გამოსახული. დანარჩენი ილუმინაციები, მათ შორის ვარსკვლავები, ნაღმები და სხვა, ისეთივე იყო, როგორც ირანში.

თბილისის საწარმოებიდან აღსანიშნავია აბრეშუმის ფაბრიკა, რომელიც ერთმა ფრანგმა ააშენა, მაგრამ გარდაცვალების გამო საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა[141]. დასრულებულია მხოლოდ ერთი დანადგარი, რომელშიც აბრეშუმის

---

140 რუმში ავტორი ოსმალეთის იმპერიას გულისხმობს.

141 იგულისხმება აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა, რომელიც 1828 წელს დააარსა ფრანგმა კომერსანტმა კასტელამ. მისი აღჭურვილობა საფრანგეთიდან ჩამოიტანეს. აქ მომუშავე

ბოჭკოები სუფთავდება და იხარშება. ფაბრიკა შედგება რამდენიმე ოთახისგან, რომელთაგან ზოგიერთში აბრეშუმის ნედლეული ინახება. ერთ დიდ ოთახში რამდენიმე ქვაბი დგას და იქვე ჩარხია მოწყობილი. ორი ფრანგი ქალი, რომლებიც დანარჩენების ოსტატები იყვნენ, ქვაბებში ბოჭკოებს ხარშავდნენ, ცოცხით ურევდნენ და შვიდი-რვა ადგილიდან მოხარშული აბრეშუმის მასა ამ ჩარხში გადაჰქონდათ. ერთი ადამიანი ჩარხს ატრიალებდა და აბრეშუმი მასზე ეხვეოდა. თუ ნართი გაწყდებოდა, ოსტატი აბამდა. მეორე დანადგარი აბრეშუმის სასინჯია და ის ზემოხსენებული ჩარხის ტრიალზე და ადამიანის ან ცხენის ძალით მოძრაობს. ამ ჩარხში მოთავსებულია დაკბილულთავიანი მილი, რომელიც ბრუნავს და თავის მხრივ მოძრაობაში მოჰყავს სხვა მილები, რომელთაც ასევე დაკბილული თავი აქვთ და კბილანებით ერთმანეთში შედიან. მილების ტრიალზე მოძრაობას იწყებს აბრეშუმის კოჭები და ნართი მათზე ეხვევა, მერე ისევ ჩარხებში და მილებში გადის და ამ მრავალჯერადი გრეხით აბრეშუმის ძაფი სრულყოფილებას აღწევს. როგორც ფრანგებმა გვითხრეს, [ამ დანადგარის წყალობით] შირვანისა და შაქის ცუდი აბრეშუმიც კი იტალიური აბრეშუმივით ხარისხიანი ხდება. ამ დანადგარში ჩარხები, მილები და კოჭები იმდენ სხვადასხვა მოძრაობას აკეთებენ, რომ მნახველი გაოგნებული რჩება. იქვე იყო ოთხფეხა სადგამი, რომელსაც ძირზე ორი გორგოლაჭი ჰქონდა დამაგრებული. ქარხნის ზედამხედველი მასზე დგებოდა, დანადგარს ყოველი მხრიდან სწრაფად ამოწმებდა და გაწყვეტილ ადგილებს ერთმანეთზე აბამდა.

თბილისის ერთ-ერთი ღირშესანიშნაობაა სკოლა, რომელშიც ქართველ და მუსლიმ ბავშვებს თურქულ და რუსულ ენებს, ხატვას და სხვა ტრადიციულ მეცნიერებებს ასწავლიან. განსხვავებული მონაცემების შესაბამისად, ბავშვებისთვის ოთხი საფეხურია დაწესებული. როცა უფლისწული სკოლას ეწვია, ოთხივე საფეხურის თითო მონაფემ თავისი ცოდნა აჩვენა და სპარსულად და თურქულად ნარმოთქვა სიტყვა, რომელშიც უფლისწულთან შეხვედრით გამოწვეული სიხარული და მადლიერება გამოხატა. ამის შემდეგ ყველანი გადავიდნენ მეორე ოთახში, სადაც მოწაფეებმა თავიანთი ცეკვის ხელოვნება გვიჩვენეს.

კიდევ ერთი ღირშესანიშნაობაა არსენალი, რომელიც გრაფის სასახლის მოპირდაპირე მხარეს დგას. ამ შენობაში ორი გრძელი ოთახია: ქვედა და ზედა, რომელთა შორისაც პატარა ოთახში კედელთან რამდენიმე რიგად ხმლები და სხვა იარაღია ჩამწკრივებული. იქვე დევს ახალციხის მეჩეთის გუმბათიც, რომელსაც ტყვია მოხვდა და გატყდა[142]. დიდ ოთახში ახალი და ძველი ტიპის შაშხანები, ხმლები და პისტოლეტები შტაბელებად აწყვია. ახალი შაშხანა 12000 ცალია, ხოლო ძველი, რომელიც განსხვავებული ფორმისაა და ამიტომ აღარ იხ-

---

კვალიფიციური ოსტატებიც ფრანგები იყვნენ. კასტელა 1829 წელს გარდაიცვალა და ფაბრიკა ხაზინის საკუთრება გახდა (Э. Хоштария, *Очерки социально-экономической истории Грузии*, Тбилиси, 1974, 65).

142 ახალციხის მეჩეთის გუმბათი რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს არ ჩანგრეულა. აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება გუმბათზე აღმართული ნახევარმთვარე, რომელიც რუსებმა, როგორც ალაფი, თბილისში ჩამოიტანეს.

მარება, – 3000. შემდეგ ოთახში სხვადასხვა კონსტრუქციის ქვემეხები, ყუმბარები, საომარი რაკეტები და დენთის გამოსაცდელი ხელსაწყოებია თავმოყრილი.

შემდეგი ღირშესანიშნაობაა *ვილაიეთის* კანცელარიის შენობა, რომელიც ასევე რამდენიმე ოთახისგან შედგება. სხვადასხვა დარგის მოხელეები ცალ-ცალკე ოთახებში სხედან და წერენ. ვნახეთ სამხედრო კანცელარიაც, რომელიც დიდებულ შენობაშია განთავსებული. აქ სამხედრო საქმეთა მოხელეები და *ვილაიეთის* რუკის მხაზველები მუშაობენ.

[ზუ ლ-ჰიჯას თვის] 2-ში (5 ივნისს), ხუთშაბათს მისი უდიდებულესობა უფლისწული პეტერბურგში გაემგზავრა. *მეჰმანდარმა* გენერალმა რენენკამპფმა (Rāyatqampof) *კალიასკები* მოიყვანა: ერთში უფლისწული დაბრძანდა, მეორეში – ამირ ნეზამი და მირზა მას'უდი, მესამეში – მირზა სალეჰი და *ჰაქიმბაში* მირზა ბაბა, სამეფო ამალის დანარჩენი წევრები კი თავიანთ ცხენებზე შესხდნენ. *იშიქ-ყასიბაში* მოჰამად ჰოსეინ ხანი მსახურებთან ერთად თავრიზში დაბრუნდა. როცა უფლისწულის კორტეჟმა გრაფ პასკევიჩის სასახლეს ჩაუარა, მისმა უდიდებულესობამ *გრაფინია* ინახულა და დაემშვიდობა. თბილისიდან გამგზავრებისას მზის ჩასვლას ოთხი საათი აკლდა. ძლიერი წვიმის გამო 28 *ვერსის* გავლას რვა საათი მოანდომეს და ღამის ოთხ საათზე ღართისკარის (Qārtīzqār) ფოსტის სადგურში შევიდნენ. ასეთ ძლიერ წვიმაში გამგზავრების მიზეზი ის იყო, რომ რუმში წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე გრაფი მის უდიდებულესობას ეწვია, პეტერბურგში გამგზავრება დაჟინებით მოსთხოვა და უთხრა: „თუ ირანს რუსეთთან მეგობრობა და კავშირი სურს, მის მაღალალმატებულება *ნაიებ ას-სალთანესადმი*[143] ჩემი კეთილგანწყობის გამო გირჩევთ, რომ უფლისწული დაუყოვნებლივ გაემგზავროს რუსეთის იმპერატორის კარზე და ახლაევე შემატყობინოს გამგზავრების ზუსტი დრო, თორემ შესაძლოა ორი ქვეყანა განხეთქილებამდე და ომამდე მივიდეს". ამ დაჟინებული თხოვნის საპასუხოდ მისმა უდიდებულესობამ გრაფს გამგზავრებასთან დაკავშირებული ბოლო გადაწყვეტილება შეატყობინა, რომ ორ რიცხვში, ხუთშაბათს თბილისს უეჭველად დატოვებდა და მისი რჩევისა და დარიგების შესაბამისად პეტერბურგში გაემგზავრებოდა.

გრაფ პასკევიჩს ამის გაგონება ძალიან გაუხარდა, უფლისწულს დაემშვიდობა და წავიდა ამირ ნეზამთან, რომელმაც უფლისწულის სიტყვების უტყუარობა დაუდასტურა. და მართლაც, ხუთშაბათს, მიუხედავად საშინელი წვიმისა, მისმა უდიდებულესობამ პირობა არ დაარღვია და თბილისიდან გაემგზავრა. იმ დღეს მათ გზაზე რამდენიმე ღირშესანიშნაობა და ძეგლი ნახეს. პირველი იყო მდინარე მტკვარზე გადებული ხიდი, რომელიც დასახლებიდან რვა *ვერსით* არის დაშორებული. ეს ხიდი და მის მოპირდაპირე მხარეს მდგარი ეკლესია საყათაის (Saqātāy)[144] აშენებულია და მის სახელს ატარებს. ამ ეკლესიაში საქართ-

---

[143] აქ იგულისხმება ირანის ტახტის მემკვიდრე-უფლისწული ირანის აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორი აბას მირზა ნაიბ ას-სალთანე.

[144] ტექსტიდან ჩანს, რომ საუბარია სვეტიცხოვლის ტაძარზე, რომელიც მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთგზის იქნა ხელახლა აშენებული ან აღდგენილი. მშენებლობის სხვადასხვა ეტაპები დაკავშირებულია წმ. ნინოსა და მირიან მეფის, ვახ-

ველოს მეფეთა წინაპრები და წმინდა მამები არიან დასაფლავებული და მათი განსასვენებელი ადგილია. ეკლესიის პირდაპირ მდინარე ყარა-ჩაი (Qarā Chāy), რომელსაც ქართველები არაგვს ('Arqave) ეძახიან, მტკვარს უერთდება.

[ზუ ლ-ჰიჯას თვის] 3-ში (6 ივნისს), პარასკევის წვიმიან დღეს 2 საათზე [მისიის წევრები] ღართისკარიდან გაემგზავრნენ და 24 *ვერსის* გავლის შემდეგ დუშეთში (Dūshed) ჩავიდნენ. ამ სოფელში 300 კომლზე მეტი გლეხი ცხოვრობს. დუშეთის მიწების დიდი ნაწილი ქართველ დიდებულებს ეკუთვნის. მიწის გადასახადი, რომელსაც გლეხები იხდიან, ჯერ კიდევ ერეკლე ხანის (Arakīl Khān) დროიდან არის დაწესებული და რუს გუბერნატორებსა და გამგებლებს მათთვის ერთი დინარი და *ყერანიც* კი არ მიუმატებიათ. მაგრამ აქაურ გლეხებს ამ ბეგარის გადახდა ძალიან უმძიმთ. ამ სოფელში თქვენს მონა-მორჩილს დამევალა, რომ ყოველ დილით, უზენაესი კორტეჟის გამგზავრებამდე, შემდეგ პუნქტში ჩავიდე და უფლისწულისა და მისი თანმხლები პირებისთვის საცხოვრებელი მოვამზადო, ასევე გენერალ რენენ-კამპფის ხალხს ყოველდღიურ ხარჯებთან დაკავშირებული განკარგულებები გადავცე.

დარიალის ხეობა.
ფლორან ჟილის გრავიურა, 1859.

[ზუ ლ-ჰიჯას თვის] 4-ში (7 ივნისს), შაბათს [მისიის წევრები] დუშეთიდან გაემგზავრნენ და 11 *ვერსის* გავლის შემდეგ ანანურის (Āne Nūr) *კარანტინთან* გაჩერდნენ. თბილისიდან პეტერბურგამდე სამი *კარანტინია* აშენებული. გამგზავრებამდე უფლისწული *კარანტინის* შესახებ ესაუბრა გრაფ პასკევიჩს, რომელმაც აღუთქვა, რომ უფლისწულის მისიას *კარანტინი* არ შეეხებოდა. ამგვარად, ყოველგვარი პროცედურების გარეშე ის ღამე დუშეთში გავატარეთ და დილით გზა განვაგრძეთ.

[ზუ ლ-ჰიჯას თვის] 5-ში (8 ივნისს), კვირას [მისიის წევრები] *კარანტინიდან* გაემგზავრნენ და ანანურის დასახლება გაიარეს. იქ მათ ნახეს დაახლოებით 50-60

ტანგ გორგასლის, მელქისედეკ კათალიკოსის, ალექსანდრე I-ის, როსტომ მეფის და ერეკლე II-ს სახელებთან. გაუგებარია, „საყათაი"-ში ვის გულისხმობს ავტორი.

ოსმალო, რომლებიც ახალციხის ციხეში ტყვედ აეყვანათ და აქ გუშაგების მეთვალყურეობით შავ მუშებად ამუშავებდნენ. მისმა უდიდებულესობა უფლისწულმა ისინი ანუგეშა და ცოტაოდენი ფული აჩუქა. 37 *ვერსის* გავლის შემდეგ შებრძანდნენ დარიალის (Dār al-Ayāle) [ხეობის] სოფელ კაიშაურში (Qāyshāur), რომელიც რუსების აშენებულია. დასახლებიდან 6 *ვერსში* იქაურობის გამგებელი მაიორი ჯალაიოვი (Jalayof), რომელსაც ქართულად მოურავს[145] ეძახიან, მათ ცხენოსნებისა და დიდმოხელეების თანხლებით დიდი პატივით დახვდა.

[ზუ ლ-ჰიჯას თვის] 6-ში (9 ივნისს), ორშაბათს [მისიის წევრები] კაიშაურიდან გაემგზავრნენ, გადავიდნენ უღელტეხილზე, რომლის მწვერვალსაც გარისდაგორს (Garīsdāgor) ეძახიან და 21 *ვერსის* გავლის შემდეგ კობის (Qopī) ფოსტის სადგურში დაბინავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჰამალიდან[146] 83 დღე იყო გასული, კობიდან ერთ *ფარსახში* თოვლი იდო.

[ზუ ლ-ჰიჯას თვის] 7-ში (10 ივნისს), სამშაბათს უზენაესი კორტეჟი კობიდან გაემგზავრა და გეზი ლარსისკენ (Lārs) აიღო. კავკასიის მთიელი ხალხების თავდასხმის ასაცილებლად კობში 50 ცხენოსანი კაზაკი, 80 *სალდათი* და ერთი ქვემეხი ჩამოვიდა და რამდენიმე ოფიცრის თანხლებით უფლისწულის ამალას გაჰყვა. ოფიცრებს შორის იყო პოლკოვნიკი აგაროვიც (Aqarof), რომელიც თბილისიდან ვლადიკავკაზამდე (Velād-e Qafqāz) გზის სარემონტო სამუშაოების ზედამხედველია. სახელმწიფო ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს, რათა გზა მოწესრიგებული, ხოლო ხიდები გამართული იყოს და ზედ *კალიასკები* და ოთხთვალები შეუფერხებლად დადიოდნენ. სამეფო ამალამ 16 *ვერსი* გაიარა და შევიდა ფოსტის სადგურ ყაზბეგში (Qāzī Bīg), რომელიც ერთ ვინრო და გრძელ ხეობაში მდებარეობს. აქ უფლისწულს ეახლა *ყალთაგირი* ანუ შიკრიკი, რომელიც სურსათის მოსამარაგებლად წინ იყო წასული და მოახსენა: „ლარსიდან 6 *ვერსში* ჩეჩნების ჯგუფია შეკრებილი. როცა გავიარე, გამომედევნენ და რამდენჯერმე მესროლეს. ლარსში ჩავედი თუ არა, ეს ამბავი შევატყობინე იქაურ ოფიცერს, რომელმაც ჩეჩნების გასაფანტად შემთხვევის ადგილზე *სალდათები* და ერთი ქვემეხი გააგზავნა". ერთი საათის მერე მისი უდიდებულესობის კორტეჟმა იმ ადგილს მიაღწია. მთის უკან ტყეში დამალული ჩეჩნები და ქისტები მოულოდნელად თავს დაესხნენ და სროლა აუტეხეს. აქეთა მხრიდანაც უფლისწულის მხლებლებმა, კაზაკმა მხედრებმა და ქვეითმა ჯარისკაცებმა მათ სროლით უპასუხეს. ამასობაში ჩეჩნების ნასროლი ტყვია მკლავში მოხვდა ერთ მხედარს, სახელად ჰოსეინს, რომელსაც მისი აღმატებულების საპარადე ცხენი აღვირით მიჰყავდა. *მეჰმანდარმა* გენერალმა რენენკამპფმა *სალდათების* ერთი ჯგუფი მთიელების გასაყრელად გაგზავნა, თავად გენერალი, ოფიცრები, კაზაკი მხედრები, *სალდათების* მეორე ჯგუფი და ერთი ქვემეხი კი უზენაეს კორტეჟს გაჰყვნენ და ლარსამდე მიაცილეს. მისი უდიდებულესობის ლარსში ჩასვლამდე

---

145 ტექსტშია „მურად" და, სავარაუდოდ, ეს შეცდომა მსგავსი დანერილობის ვავ-ის და დალ-ის აღრევამ გამოიწვია.

146 ირანული მზის ნელიწადის პირველი თვე, შეესაბამება მარტ-აპრილს.

სალდათების პირველმა ჯგუფმა ჩეჩნების სანგრების მიმართულებით დიდი სროლა ატეხა, რამდენჯერმე იერიშიც მიიტანა, მაგრამ ვერაფერს გახდა, რადგან მათი სანგრები მთის კალთაზე ხეების ქვეშ იყო მოწყობილი და უზარმაზარი ლოდებით იყო ამოშენებული. როგორც რუსებმა გვითხრეს, მთიელები სანგრებს მოფარებულ ადგილებში აშენებენ, გამვლელებს უსაფრდებიან და ტყვედ აჰყავთ, რათა რუსეთის სახელმწიფოს მორჩილი ჩერქეზებისა და თაქაურების დახმარებით ისინი რუსებს მიჰყიდონ. ცოტა ხნის წინ ერთი მაიორი დაუტყვევებიათ და მხოლოდ 5000 მანეთის გადახდის მერე გაუნთავისუფლებიათ.

ერთი სიტყვით, კობიდან ლარსამდე 32 *ვერსია*: კობიდან ყაზბეგამდე – 16 *ვერსი*, ყაზბეგიდან დარიალამდე – 8 *ვერსი* და დარიალიდან ლარსამდეც – 8 *ვერსი*. ყაზბეგის მერე გზა ვიწრო ხეობაში შედის და ძალიან ძნელი სავალია. როცა უზენაესი კორტეჟი ლარსში შევიდა, მზის ჩასვლას ორი საათი აკლდა. ლარსში ჩასვლისთანავე *ჰაქიმბაშმა* მირზა ბაბამ ზემოხსენებულ ჰოსეინს ჭრილობა გაუსინჯა, შიგ ჩარჩენილი ტყვია ამოუღო და ცოტა ხანში ყმაწვილს მკლავი მოურჩა.

სეიფ ალ-მოლქი და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა აბას ყოლი ხან ნური
სეიფ ალ-მოლქი.

1855 წელს რუსეთის ტახტზე ალექსანდრე II ავიდა. ნასერ ად-დინ შაჰის განკარგულებით, ამ ფაქტთან დაკავშირებით პეტერბურგში საგანგებო დიპლომატიური მისია გაემგზავრა. მისიას რუსეთის სამეფო კარისთვის ნიკოლოზ I-ის გარდაცვალება უნდა მიესამძიმრებინა და ალექსანდრე II-ის გამეფება მიელოცა. პირველმა მინისტრმა მირზა აყა ხანმა მისიის ხელმძღვანელობა თავის ბიძაშვილსა და ცოლისძმას მირზა აბას ყოლი ხან ნური მაზანდარანი სეიფ ალ-მოლქს დაავალა. მისიაში ასევე შედიოდნენ: ელჩის მრჩეველი მოყარაბ ალ-ხაყანი მოჰამად ყასემ ხანი, პირველი თანაშემწე ნარიმან ხანი, პირველი თარჯიმანი ჰაჯი მირზა მოჰსენი, მეორე თანაშემწე და ჰაქიმბაში მირზა სადეყი, მესამე თანაშემწე მირზა იუსუფი და მეორე თარჯიმანი ნაზარ აყა მსახურებითურთ. მისია 1855 წლის 26 ივლისს გაემგზავრა და 1856 წლის 24 სექტემბერს თეირანში დაბრუნდა.

მისიის ხელმძღვანელი აბას ყოლი ხან ნური მაზანდარანი, ცნობილი ლაყაბით „სეიფ ალ-მოლქი", ფარსის ოსთანის მხედართმთავრისა და მინისტრის მოჰამად ზაქი ხან ნურის ვაჟი იყო. ის წლების მანძილზე ხორასნისა და მაზანდარანის არმიაში მსახურობდა და მირფანჯის (ბრიგადის გენერალი) თანამდებობა ეკავა. მის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. მირზა აყა ხანი თავისი პირველი მინისტრობის პერიოდში მას ყველანაირად ეხმარებოდა და სხვადასხვა თანამდებობებზე ნიშნავდა. მისი კარიერის მწვერვალს ზემოხსენებული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელობა წარმოადგენს. მას შემდეგ, რაც ნასერ ად-დინ შაჰი მირზა აყა ხანს შემოსწყრა და ისფაჰანის ციხეში დაამწყვდია, სეიფ ალ-მოლქი, როგორც მისი ნათესავი და ერთგული მოხელე, ისფაჰანში გადაასახლეს.

სეიფ ალ-მოლქი ნამდვილი სამხედრო იყო და დიდი განათლებით არ გამოირჩეოდა. მ. ბამდადი აღნიშნავს, რომ მისი გაუნათლებლობა საარაკოდ იყო ქცეული და მასზე საოცარ ისტორიებს ჰყვებოდნენ. პეტერბურგში სეიფ ალ-მოლქმა ორი მდივანი წაიყვანა და ერთ-ერთ მათგანს – მირზა ჰაბიბოლაჰ აფშარ ყაზვინის მოგზაურობის ჩანაწერების გაკეთება დაავალა, რაც ამ უკანასკნელმა ზედმიწევნით შეასრულა. თხზულება ამ პერიოდის რუსეთის სამეფო კარისა და რუსეთ-ირანის ურთიერთობების ამსახველი საინტერესო დოკუმენტია. საქართველოში მისია ორჯერ ჩავიდა: წინა გზაზე თითქმის ერთი თვე დაჰყო (აქედან 20 დღე თბილისში გაატარა), ხოლო უკანა გზაზე – დაახლოებით ორი კვირა. მირზა ჰაბიბოლაჰი ძალიან მწირ ინფორმაციას იძლევა თბილისის შესახებ. ქალაქ თბილისის მოკლე აღწერას ერთგვარი დანართის სახე აქვს და საქართველოსადმი მიძღვნილ ნაწილს ასრულებს. ერთად-

ერთი, რაც ავტორს აინტერესებს, არის ელჩის შეხვედრები სხვადასხვა ოფიციალურ პირებთან, მის პატივსაცემად გამართული მიღებები და სამხედრო წვრთნები.

„სეიფ ალ-მოლქის რუსეთში მოგზაურობის წიგნის" სამი ხელნაწერია შემორჩენილი: პირველი ირანის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება (№758/1308); მეორე 1900-1905 წლებში სახალხო პარტიის ერთ-ერთი წევრის აჰმად ყასემის მიერ არის გადაწერილი და მასში „სეიფ ალ-მოლქის რუსეთში მოგზაურობის წიგნის" გარდა, ამირ ნეზამ გარუსის ეპისტოლარული თხზულებებიც შედის; მესამე კი აყა მოჰსენ ასემის საკუთრებაა. ჩვენ ვსარგებლობთ მეორე ხელნაწერის ტექსტით, რომელიც 2001 წელს მოჰამად გოლბონმა გამოსცა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი და თარგმანი

Safar-nāme-ye Seyf al-Molk be Rūsīye (Sharh-e sefārat-e Mīrzā 'Abbāsqolī Khān Nūrī Seyf al-Molk be Rūsīye), be qalam-e Mīrzā Habībollāh Afshār Qazvīnī, be ehtemām-e Mohammad Golbon, Tehran, 1380/2001.

„სეიფ ალ-მოლქის რუსეთში მოგზაურობის წიგნი (მირზა აბას ყოლი ხან ნური სეიფ ალ-მოლქის რუსეთში ელჩობის აღწერა)", წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, 84-98.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 1347/1968, 232-234.

Mohammad Golbon, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Seyf al-Molk be Rūsīye (Sharh-e sefārat-e Mīrzā 'Abbāsqolī Khān Nūrī Seyf al-Molk be Rūsīye)*, 8-40.

სეიფ ალ-მოლქის რუსეთში მოგზაურობის წიგნი (მირზა აბას ყოლი ხან ნური სეიფ ალ-მოლქის რუსეთში ელჩობის აღწერა) (1855-1856)

წინა გზა
(1855)

[მუღანლო (Mokhanlo) / კოდა (Kode)]

[1272 წლის] 27 მუჰარამი (1855 წლის 9 ოქტომბერი), ოთხშაბათი:

[მისი აღმატებულება ელჩი და მისიის წევრები] ზემოხსენებული ადგილიდან [აღასანყარიდან] გაემგზავრნენ. გატეხილ ხიდთან (pol-e shekaste)[147], საიდანაც

[147] ტოპონიმ გატეხილი ხიდის (დღევანდელი წითელი ხიდი) აღსანიშნავად ირანელი ავტორები ხმარობენ ან „სანაყ-ქერფის" (აზერბაიჯანული „სინიყ-ქორფუს" (sınık körpü)

თბილისის ქვეყანა[148] იწყება, მათ რეგიონის *ავიაზ*[149] *ნაჩალნიკი* ცხენოსანთა რაზმის თანხლებით დახვდა და მოახსენა: „მე გენერალი ლელი (Lelī) გახლავართ და მისმა აღმატებულება *კნიაზ* ბებუთოვმა (Kīnyāz Behbedof/Behbūdārof) თქვენს სამსახურად დამადგინა". დილიჯანის *ნაჩალნიკმა* და [მისმა თანმხლებმა] მხედრებმა წასვლის ნებართვა ითხოვეს და უკან გაბრუნდნენ. 14 *ვერსის* გავლის შემდეგ [მისიის ნევრებმა] მუღანლოს ფოსტის სადგურში ისადილეს, ყავა დალიეს და გზა განაგრძეს. 26 *ვერსის* მერე სოფელ კოდაში შევიდნენ. აქ მათ თბილისში ირანის გენერალური კონსული *მოყარაბ ალ-ხაყანი* მირზა ჰოსეინ ხანი დახვდა. გაირკვა, რომ კავკასიის საგარეო უწყების მოხელეებს ქალაქიდან ნახევარ *ფარსახში*, პარკში მდგარ დიდებულ შენობაში მისი აღმატებულება ელჩის საპატივცემულოდ ტკბილეულობა და სხვა ნუგბარი მოემზადებინათ და მას იქ ელოდნენ.

[თბილისი]

28 მუჰარამი (10 ოქტომბერი), ხუთშაბათი:

მისი აღმატებულების კორტეჟი კოდადან დაიძრა. რადგან გენერალი ლელი და სხვა მოხელეები მიღებისთვის საპარადე ფორმაში იყვნენ გამოწყობილი, მისმა აღმატებულება სრულუფლებიანმა ელჩმა *ამირ ალ-ომარა ალ-ა'ზამმა* და მისმა თანმხლებმა პირებმა სოფელ სოღანლუღში (Seqān Lo) სამხედრო ტანსაცმელი ჩაიცვეს და გზა ისე განაგრძეს. კოდადან თბილისამდე 25 *ვერსია*. ბაღიდან ნახევარ *ფარსახში* მათ დახვდნენ: ქართველი დიდგვაროვანი გენერალ-მაიორი მუხრანსკი (Mokhrānskī), კავკასიის საგარეო უწყების თანამშრომელი ლელი კონსტანტინ ფიოდოროვიჩი (Lelī Qostantīn Fedorovīj), თბილისის გუბერნატორი პოლკოვნიკი კოლიუბაკინი (Qolī T(e)kīn), ქვეითი და ცხენოსანი ჯარის პოლკოვნიკები და მაიორები, კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე მისი აღმატებულება ადიუტანტი *კნიაზ* ბებუთოვი და მისი თარჯიმანი მირზა ისქანდერი, ქალაქის მუნიციპალიტეტის 100 ცხენოსანი ჟანდარმი და 150 კავალერისტი. სრულუფლებიანი ელჩის მისასალმებლად ისინი ოთხთვალებიდან გადმოვიდნენ, მხედრები კი მწყობრში დადგნენ. მისი აღმატებულება ყველას თბილად მიესალმა, გენერალი ლელი მოიკითხა და თავის გვერდით დაჯდომა შესთავაზა. სხვები თავ-თავიანთ ოთხთვალებში ჩასხდნენ და გზას გაუდგნენ. მატიოვის (Mātyof) ბაღის შესასვლელთან, სადაც ტკბილეულობა და სხვა ნუგბარი იყო მომზადებული, გენერალმა შჩერბინინმა (Sherbīn), გენერალმა ბრუსილოვმა (Bereselof), გენერალმა კოხანოვმა (Kākhānof) და სხვა ოფიცრებმა მის აღმატებულებას ღირსეული შეხვედრა მოუწყვეს. მისმა აღმატებულებამ ბაღში ჩაი და ტკბილეულობა მიირთვა. მერე ყველანი ოთხთვალებსა და *კალიასკებში* ჩასხდ-

---

დამახინჯებული ფორმა) ან მის სპარსულ თარგმანს — „ფოლ-ე შექასთე" (pol-e shekaste), რაც ჩვეულებრივი მოვლენაა: გატეხილ ხიდს იმ რეგიონში მცხოვრები ყველა ხალხი საკუთარ ენაზე მოიხსენიებდა (იხ.: Н. Квезерели-Копадзе, *Гатехили Хиди (Красный мост). Исторический и технический очерк*, Тбилиси, 1956).

148 იგულისხმება თბილისის გუბერნია.

149 რუსული სამოხელეო ტერმინი უნდა იყოს, მაგრამ გაურკვეველია, რომელი. გენერალი კ.ფ. ლელი იმ დროს მთავარმართებლის დიპლომატიური კანცელარიის უფროსი იყო.

ნენ და გზა განაგრძეს. *პოლიცმაისტერი* თავის რაზმთან ერთად და ქალაქის *ქალანთარი* დიდებულებისა და ვაჭრების თანხლებით მათ დროშებითა და დოლის ცემით შეეგებნენ. გზის ორსავე მხარეს თბილისის მცხოვრებლები – მუსლიმები, სომხები, ქართველები და ებრაელები – გამწკრივებულიყვნენ. მათ დაახლოებით 70-80 სული ცხვარი და ძროხა დაეკლათ. ქალაქის ალაყაფთან [ჩვეულებრივზე] ორჯერ მეტი გუშაგი იდგა. ელჩს ისინი მუსიკით, დოლითა და საყვირებით მიესალმნენ. ჯარისკაცებმა იარაღი მოამზადეს და კორტეჟის ქალაქში შესვლა 21 გასროლით აღნიშნეს. ქალი და კაცი, დიდი და პატარა გარეთ იყო გამოსული. კავკასიის მეფისნაცვლის სასახლის შესასვლელთან საგუშაგოზე უამრავი ჯარისკაცი იდგა. ელჩის მისიას ისინი სამხედრო პატაკით შეეგებნენ. მისი აღმატებულება შტაბის პოლკოვნიკის ანუ მთავარსარდლის დიდებულ სასახლეში დაბინავდა. სასახლის წინ საპატიო ყარაულში მდგარ *სალდათებს* სახელმწიფო დროშები ეჭირათ. *კომენდანტი* ანუ ციხის უფროსი დროშის გვერდით იდგა. მისი აღმატებულება *ამირ ალ-ომარა ალ-ა'ზამის* ეტლიდან გადმოსვლას დოლზე და საყვირზე დაკვრით და დროშების ფრიალით შეხვდნენ. *კომენდანტი* და სხვა ოფიცრები მას ხმლებით მხედრულად მიესალმნენ და ჯარისკაცებმა თოფები წინ გამოსწიეს[150]. ერთ მხარეს სასამართლო პალატის უფროსი *კნიაზ* ბებუთოვის ძმა თავისი უწყების ხელმძღვანელ პირებთან, სამხედრო მაღალჩინოსნებთან და კანცელარიის თანამშრომლებთან ერთად იდგა. სამხედრო პატაკის მერე სასამართლო პალატის უფროსმა ყველანი ელჩს წარუდგინა. მისი აღმატებულება მათ თბილად მიესალმა და სახლში შევიდა. *კნიაზ* ბებუთოვის ბრძანებით, მისმა ადიუტანტმა ელჩის მისიას ჩაი და ტკბილეულობა დაახვედრა. გენერალმა ლელიმ, დანარჩენმა გენერლებმა და სხვა დიდმოხელეებმა ჩაი მიირთვეს და დაიშალნენ. შენობაში მისი აღმატებულების სამსახურში ორი ოფიცერი და ორი პოლიციელი დარჩა. ერთი საათის შემდეგ მისი აღმატებულება *კნიაზ* ბებუთოვი მობრძანდა. მისალმების ოფიციალური ცერემონიალის მერე ჩაის დასალევად დასხდნენ. საღამოს მისმა აღმატებულება *ალ-ა'ზამმა* მიღება გამართა და ქალაქის წარჩინებული პირები დაპატიჟა. მიღებას მუსიკოსები და მომღერლებიც ესწრებოდნენ. დილის ხუთ საათამდე ელჩის აპარტამენტებში რუსი მოხელეები მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰის (*შაჰანშაჰი*), ალაჰმა შეუნარჩუნოს მას თავისი სამფლობელო და მეუფება, მისი ბრწყინვალება *სადრ ა'ზამ* არფა' ამჯადის, ალაჰმა განაერცოს მისი მაღალი ჩრდილი, და მისი აღმატებულება *ამირ ალ-ომარა ალ-ა'ზამის* სადღეგრძელოებს სვამდნენ და მხიარულობდნენ. დილიდან ღამემდე სასახლის წინ ერთი ოთხცხენშებმული ოთხთვალა, ერთი *კალიასკა* და ოთხი *დროშკა* მზად იყო და, თუ მის აღმატებულებას ან მის რომელიმე მხლებელს სადმე წასვლა მოუნდებოდა, ემსახურებოდნენ.

29 მუჰარამი (11 ოქტომბერი), პარასკევი:

[მისი აღმატებულება ელჩი] საპასუხო ვიზიტით *კნიაზ* ბებუთოვთან წაბრძანდა. ამასთან დაკავშირებით მეფისნაცვლის სასახლეში მიღება გაიმართა. სამ დიდ ოთახში კედლების გასწვრივ თბილისის სამასზე მეტი წარჩინებული მოხე-

---

150 იარაღის მდგომარეობა, რომელსაც რუსები „на караул" ეძახიან.

ლე იდგა. მასპინძელი სტუმრებს კართან შეეგება და ოფიცრები მათ სამხედრო წესით მიესალმნენ. მეოთხე ოთახში სტუმრებს ჩაითა და ყავით გაუმასპინძლდნენ. სახლში დაბრუნების შემდეგ მის აღმატებულებასთან *კნიაზ* ბებუთოვი მობრძანდა. ერთმა საათმა სასიამოვნო საუბარში გაიარა. საღამოს მისი აღმატებულება გენერალურ კონსულს მირზა ჰოსეინ ხანს ეწვია და სახლში მზის ჩასვლისთვის დაბრუნდა.

1 საფარი (12 ოქტომბერი), შაბათი:

[მისმა აღმატებულებამ] დარ ალ-ხელაფეში[151] გასაგზავნი წერილები მოამზადა. შუადღისას მას გენერალი ლელი ესტუმრა, ჩაი და ყავა მიირთვა და წავიდა.

2 საფარი (13 ოქტომბერი), კვირა:

ნაშუადღევს [მისი აღმატებულება] საპასუხო ვიზიტით გენერალ ლელის, მთავარსარდალს, *კომენდანტს*, გენერალ ბრუსილოვს, გენერალ შჩერბინინს, გენერალ კოხანოვს და გენერალ მუხრანსკის ეწვია და სახლში მზის ჩასვლისთვის დაბრუნდა.

3 საფარი (14 ოქტომბერი), ორშაბათი:

ნაშუადღევს [მისი აღმატებულება] მეგობრული ვიზიტით *კნიაზ* ბებუთოვსა და მის ცოლს ეწვია და სახლში ერთ საათში დაბრუნდა. ირანის ქვეშევრდომი ვაჭრები, რომლებიც იმუამად თბილისში იმყოფებოდნენ, ელჩის აპარტამენტებში მოვიდნენ. მისმა აღმატებულებამ ისინი ძალიან თბილად მიიღო, ყველა სათითაოდ მოიკითხა და მათდამი კეთილგანწყობა გამოხატა.

4 საფარი (15 ოქტომბერი), სამშაბათი:

შუადღისას მის აღმატებულებასთან ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი გენერალი ვასილიევი (Vāselīf) და თბილისში წინა დღეს ჩამოსული კასპიის ზღვის (Bahr-e Khazar) სანაოსნოს უფროსი მოვიდნენ. საღამოს *კნიაზ* ბებუთოვი ნვეულებას მართავდა და მისი აღმატებულება და გენერალური კონსული იქ ნაბრძანდნენ. დილის ხუთ საათამდე მეფისნაცვლის სასახლეში ქეიფობდნენ, სიმღერებს უსმენდნენ და მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰისა და *ვალიაჰდის* სადღეგრძელოებს სვამდნენ.

5 საფარი (16 ოქტომბერი), ოთხშაბათი:

ნაშუადღევს სრულუფლებიანი ელჩის მრჩეველი *სართიფი მოყარაბ ალ-ხაყანი* მოჰამად ყასემ ხანი დიდებული ორდენისა და ბრწყინვალე ბეჭდით დაპეჭდილი *ფირმანის* გადასაცემად გაემგზავრა კავკასიის მეფისნაცვალთან, რომელიც ამ დროს ყარსში იბრძოდა[152].

---

151 სიტყვასიტყვით „ხალიფას რეზიდენცია", „ხალიფას სატახტო ქალაქი" – ქალაქ თეირანის მეორე სახელი.

152 კავკასიის მეფისნაცვალი, გენერალი ნ. ნ. მურავიოვი ხელმძღვანელობდა რუსული არმიის მიერ ყარსის ბლოკადას 1855 წლის შემოდგომაზე.

6 საფარი (17 ოქტომბერი), ხუთშაბათი:

[მისი აღმატებულება] სახლში ბრძანდებოდა. თვის პირველი და ბოლო დღეების აღრევის გამო ირანის შაჰინშაჰის დაბადების დღე შვიდში, პარასკევს აღნიშნეს. ამ ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებული ზეიმი ელჩის აპარტამენტებში გაიმართა. ირანის მოქალაქეები სახელმწიფო დროშებით, ალმებითა და საზებით შენობის წინ შეიკრიბნენ. ყველანი ცეკვავდნენ, ტკბილეულობას მირთმევდნენ და *შარბათს* სვამდნენ. ორდენებითა და ლენტებით დამშვენებულ საპარადე ფორმაში გამოწყობილი მისი აღმატებულება *კნიაზ* ბებუთოვი და სხვა რუსი დიდმოხელეები მოსალოცად მოვიდნენ. ლხინისა და ქეიფის შემდეგ *კნიაზ* ბებუთოვმა გვთხოვა: „ქალაქში დიდ მოედანზე ჯარისკაცები და არტილერისტები არიან შეკრებილი და თქვენს მობრძანებას ელოდებიან. დღევანდელი დღის აღსანიშნავად მუსიკა დაუკრავს და კარგ დროს გავატარებთ". მისი აღმატებულება ელჩი და მისიის წევრები მოედანზე წავიდნენ. ოფიცრები მათ სამხედრო პატაკითა და მუსიკით შეეგებნენ. მისი აღმატებულება *ამირ ალ-ომარა ალ-ა'ზამის* ნებართვით, *კნიაზ* ბებუთოვმა სამხედრო წვრთნების გამართვა ბრძანა. მისი აღმატებულების ნიშანზე არტილერისტებმა 21-ჯერ გაისროლეს. სეირნობის შემდეგ მისი აღმატებულება სახლში დაბრუნდა. საღამოს ყველანი საკონსულოში შეიკრიბნენ. გენერალურმა კონსულმა *მოყარაბ ალ-ხაყანმა* მირზა ჰოსეინ ხანმა სადღესასწაულო განწყობის შესაქმნელად ყველაფერი გააკეთა. სტუმრებს ფეიერვერკებით შეეგებნენ. მიღება ისეთ მაღალ დონეზე იყო მოწყობილი, რომ უკეთესის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. კავკასიის ყველა წარჩინებული მოხელე იყო დაპატიჟებული. ირანის სიდიადის საჩვენებლად და პრესტიჟის ასამაღლებლად არაფერი დაიშურეს. დილის ხუთ საათამდე მუსიკას უსმენდნენ, ილხენდნენ და მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰის, მისი ბრწყინვალება *სადრ ა'ზამ* არფა' ამჯადის და მისი აღმატებულება სრულუფლებიანი ელჩის *ამირ ალ-ომარა ალ-ა'ზამის* სადღეგრძელოებს სვამდნენ. *მოყარაბ ალ-ხაყანი* მირზა ჰოსეინ ხანი ირანის ქვეშევრდომებზე და დიადი იმპერიის სახელმწიფო მოხელეებზე ზრუნვისთვის, ორ ქვეყანას შორის კავშირის განმტკიცებისთვის, თბილისში ელჩის მისიისთვის მოწყობილი ბრწყინვალე დახვედრისა და დღევანდელი ზეიმის კარგად ჩატარებისთვის ლომისა და მზის ორდენით დააჯილდოვეს.

8 საფარი (19 ოქტომბერი), შაბათი:

დღევანდელი დღე მისმა აღმატებულებამ *დარ ალ-ხელაფეში* გასაგზავნი ნერილების მომზადებაში გაატარა.

9 საფარი (20 ოქტომბერი), კვირა:

მისმა აღმატებულება ელჩმა ირანის მოქალაქეებზე ზრუნვისთვის და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის გენერალური კონსული მირზა ჰოსეინ ხანი ღირსების ოქროს მედლით, ხოლო მისი თანაშემწე აბდ ალ-აზიმ ბეგი ვერცხლის მედლით დააჯილდოვა.

10 საფარი (21 ოქტომბერი), ორშაბათი:

ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი გენერალი ვასილიევი, რომელიც სახლში დაბრუნებას აპირებდა, მისი აღმატებულების მოწვევით ჩვენთან მობრძანდა. მას ჩაითა და ტკბილეულობით გაუმასპინძლდნენ. გამასპინძლების შემდეგ გენერალი თბილად დაგვემშვიდობა და წავიდა.

11 საფარი (22 ოქტომბერი), სამშაბათი:

ნაშუადღევს *მეჰმანდარ* პოლკოვნიკ კოხანოვისა და სხვა ოფიცრების თხოვნით, [მისი აღმატებულება] არსენალის სანახავად წაბრძანდა. კეთილმოწყობილი და სუფთა ადგილი იყო, მაგრამ სამხედრო ტექნიკა ბევრი არ ჰქონდათ. არსენალის შემდეგ ქალთა სკოლაც დაათვალიერეს და დამშვიდობებისას სკოლის მასწავლებელს ორი ქაშმირის შალი და ერთი თოფი ოქრომკედით ნაქარგი ფარჩა აჩუქეს.

12 საფარი (23 ოქტომბერი), ოთხშაბათი:

ექიმმა იოანესიანმა (Yoānesyān), რომელიც წლების განმავლობაში ირანის საკონსულოში მუშაობდა და [მისი უდიდებულესობის] დაბადების დღის აღსანიშნავ ზეიმზე ძალიან თავაზიანი იყო, მის აღმატებულებასთან თავისი ვაჟი გამოგზავნა. მას ერთი ქაშმირის შალი და ერთი თოფი ოქრომკედით ნაქარგი ფარჩა აჩუქეს. საღამოს მისი აღმატებულება *კნიაზ* ბებუთოვმა ინახულა და ღამის ორ საათზე წავიდა.

13 საფარი (24 ოქტომბერი), ხუთშაბათი:

საღამოს *კნიაზ* ბებუთოვის თხოვნით მისი აღმატებულება ქალთა სახელმწიფო სკოლის სანახავად წაბრძანდა. მას *კნიაზ* ბებუთოვიც ახლდა. სკოლაში მის აღმატებულებას მუსიკით შეეგებნენ, დიდი პატივი სცეს და ჩაით გაუმასპინძლდნენ. ჩაის შემდეგ მისი აღმატებულება სახლში დაბრუნდა. ღამის სამ საათზე ელჩის მრჩეველი და *სართიფი მოყარაბ ალ-ხაყანი* მოქრიდან დაბრუნდა.

14 საფარი (25 ოქტომბერი), პარასკევი:

ეს დღე [მისმა აღმატებულებამ] სახლში გაატარა, საღამოს კი მრჩეველთან წაბრძანდა.

15 საფარი (26 ოქტომბერი), შაბათი:

[მისი აღმატებულება] *დარ ალ-ხელაფეში* გასაგზავნ წერილებს ამზადებდა.

16 საფარი (27 ოქტომბერი), კვირა:

[მისი აღმატებულება] გენერალური კონსულის მიწვევით საკონსულოში წაბრძანდა და სახლში ღამის პირველ საათზე დაბრუნდა.

17 საფარი (28 ოქტომბერი), ორშაბათი:

ეს დღე [მისმა აღმატებულებამ] სახლში გაატარა.

18 საფარი (29 ოქტომბერი), სამშაბათი:

კნიაზ ბებუთოვის თხოვნით, [მისი აღმატებულება] სამხედრო წვრთნებისა და აღლუმის სანახავად მოედანზე წაბრძანდა. მთელი გენერლები და ოფიცრები მწყობრში დადგნენ და მის აღმატებულებას სამხედრო პატაკით შეეგებნენ. წვრთნების მერე ოთხი ქვემეხი მოამზადეს და ნიშანში სროლა დაიწყეს. სახლში მზის ჩასვლისთვის დაბრუნდნენ.

19 საფარი (30 ოქტომბერი), ოთხშაბათი:

ისევ ნიშანში სროლა მოაწყვეს. მისი აღმატებულება მისიის წევრებთან ერთად სანახავად წაბრძანდა. ელჩის პირველმა თანაშემწემ მისმა მოწყალება ნარიმან ხანმა და პირველმა თარჯიმანმა ჰაჯი მირზა მოჰსენმა თითო-თითოჯერ ისროლეს, მიზანში მოახვედრეს და გენერლების ქება დაიმსახურეს.

[დუშეთი (Dūshet) / მცხეთა (Sekhet)]

20 საფარი (31 ოქტომბერი), ხუთშაბათი:

თბილისიდან გამგზავრების დღეს ორდენებითა და ლენტებით დამშვენებულ მუნდირებში გამოწყობილი *კნიაზ* ბებუთოვი, გენერლები, ოფიცრები, დიდგვაროვნები, წარჩინებული პირები, ვაჭრები და ირანის მოქალაქეები მისი აღმატებულების აპარტამენტების წინ გამოსამშვიდობებლად შეიკრიბნენ. გაცილების ცერემონიალი მოეწყო. მისი აღმატებულება თითოეულ მათგანს ძალიან თბილად დაემშვიდობა და ოფიცრებს, მსახურებს და მეეტლეებს, რომლებიც თბილისში ყოფნის დროს მას ემსახურებოდნენ, ერთი ხმალი, ქერმანის ოთხი ძვირფასი შალი, ქაშმირის ოთხი შალი და ექვსი თოფი ოქრომკედით ნაქარგი ფარჩა აჩუქა.

ნაშუადღევს პირველ საათზე გზას გაუდგნენ. გენერალურმა კონსულმა მირზა ჰოსეინ ხანმა, ირანის ქვეშევრდომმა ვაჭრებმა, გენერალმა ლელიმ, გუბერნატორმა კოლიუბაკინმა, გენერლებმა და ცხენოსანმა ჟანდარმებმა ისინი ერთ *ფარსახზე* გააცილეს, დაემშვიდობნენ და უკან გაბრუნდნენ.

52 *ვერსის* გავლის შემდეგ ელჩის კორტეჟი სოფელ დუშეთში შევიდა. იქ მათ *სალდათებისა* და ოფიცრების ორი ჯგუფი დახვდა და სამხედრო წესით მიესალმა. თბილისის *პოლიცმაისტერმა*, რომელიც თავის რაზმთან ერთად თბილისში ყოფნის დროს მუდამ მის აღმატებულებას დაჰყვებოდა, ის დუშეთამდე მიაცილა და უკან გაბრუნდა.

თბილისიდან ნახევარი *ფარსახის* გავლის შემდეგ [ელჩის მისიამ] მდინარე მტკვარზე გადებული ხიდი გაიარა და სოფელ მცხეთაში შევიდა. ხიდის გვერდით ძველი ეკლესია დგას. უნინ ის საქართველოს მმართველთა საცხოვრებელი იყო. ირგვლივ ბევრი მაღალი კოშკი და მკვიდრად ნაგები ციხესიმაგრეა.

[ანანური (Anānūr) /ფასანაური (Pāsānaūr) /ქვეშეთი (Kveshet)]

21 საფარი (1 ნოემბერი), პარასკევი:

[ელჩის მისიამ] გზა განაგრძო და 12 *ვერსის* გავლის შემდეგ სოფელ ანანურში შევიდა. პოლკოვნიკმა საგინოვ გორჯიმ (Sāknīf Gorjī), რომელიც ამ რეგიონის გარნიზონის უფროსი და მცველია, ისინი ჩაიზე დაპატიჟა. მისმა აღმატებულებამ მიპატიჟება მიიღო, ეტლიდან გადმოვიდა და სახლში შევიდა. მასპინძელს ძალიან გაუხარდა, სტუმრები დიდი პატივით მიიღო და ჩაითა და ტკბილეულობით გაუმასპინძლდა. შემდეგ გზა განაგრძეს. 23 *ვერსის* მერე სოფელ ფასანაურში გაჩერდნენ და იქ ისადილეს. *მეჰმანდარ* პოლკოვნიკ კოხანოვის ძმა ამ სოფელში ცხოვრობდა. [მისმა აღმატებულებამ] მის შვილებს ორი ცალი ქერმანის შალი აჩუქა. 16 *ვერსის* გავლის შემდეგ სოფელ ქვეშეთში მივიდნენ. ძალიან კარგი ადგილია. დუშეთიდან ქვეშეთამდე გზა ორ მთას შორის გადის და ირგვლივ ბევრი ტყე, წყალი და დასახლებაა. ღამე პოლკოვნიკ ყაზბეგის (Qāzī Bīg) სახლში შეისვენეს. პოლკოვნიკმა სტუმრები დიდი პატივით მიიღო. მასპინძლების თქმით, მეორე დღეს კავკასიის მთებში ძნელი გადასასვლელი გველოდა, ამიტომ გადაწყდა, რომ დიდ *კალიასკებში* ხარებს შეაბამდნენ, ხოლო მისი აღმატებულებისთვის მსუბუქ *კალიასკას* და ცხენს მოამზადებდნენ და რომლითაც მოისურვებდა, იმით იმგზავრებდა.

[ყაზბეგი (Qazī Bīg)]

მისი აღმატებულება მსუბუქ *კალიასკაში* დაბრძანდა, დანარჩენები კი ცხენებზე შესხდნენ. ქვეშეთიდან კობის (Kūbī) ფოსტის სადგურამდე 21 *ვერსი* სიგრძის ძალიან ძნელი გზაა. კობის სადგურში სადილის მერე *კალიასკებში* ცხენები შეაბეს, ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ და გზა განაგრძეს. 16 *ვერსის* გავლის შემდეგ სოფელ ყაზბეგში შევიდნენ. აქ [მის აღმატებულებას] გრაფი სიმონიჩი (Sīmānovīj) ეახლა და თავაზიანად მოიკითხა. მამამისი ადრე ირანში სრულუფლებიანი ელჩი იყო და მას ლეკეთის (Legzye)[153] საზღვრები ებარა.

[ლარსი / ვლადიკავკაზი]

23 საფარი (3 ნოემბერი), კვირა:

ელჩის მისია ყაზბეგიდან გაემგზავრა. მიუხედავად იმისა, რომ გზა გაყვანილი იყო, რისთვისაც რამდენიმე ადგილას მთა გაეჭრათ და გზა ქვის ჯებირებით გაემაგრებინათ, *კალიასკებს* სიარული ძალიან უჭირდა. ერთ ხეობაში, რომელიც ორივე მხრიდან მთებით იყო შემოჯარული, ქვის მკვიდრად ნაშენი ციხესიმაგრე იდგა. მას ოთხი ქვემეხი და ასი ჯარისკაცი იცავდა. ციხის *სალდათები* ელჩის კორტეჟს სამხედრო წესით მიესალმნენ. 17 *ვერსის* გავლის შემდეგ სოფელ ლარსში (Lārs) გაჩერდნენ, ისადილეს და გზა განაგრძეს. კიდევ 25 *ვერსი* გაიარეს და ვლადიკავკაზში (Velādī Qafqāz) შევიდნენ. ქალაქიდან ერთ *ფარსახში* მათ დახ-

---

153 სპარსულ ტექსტში შეცდომაა და Lezgye უნდა იყოს.

ვდნენ იქაური გარნიზონის უფროსი გენერალ-მაიორი ზარეცკი (Zāretskī), ციხის კომენდანტი პოლკოვნიკი დისტარი (Dīstar) და მათი მხლებელი ოფიცრები და ცხენოსნები. ქალაქის შესასვლელთან რამდენიმე ცხვარი დაეკლათ. კორტეჟის შესვლისას მთელი მოსახლეობა გარეთ გამოეფინა. [ელჩის მისიისთვის განკუთვნილი] სახლის წინ ოფიცრები, ჯარისკაცები და მუსიკოსები მწყობრში იდგნენ და სტუმრებს სახელმწიფო დროშების ქნევითა და მუსიკით ეგებებოდნენ. *სალდათებმა* თოფები მოამზადეს და *ორდინარეცების* წარმომადგენელმა მის აღმატებულება ელჩს სამხედრო პატაკი ჩააბარა.

უკანა გზა
(1856 წელი)

[1272 წლის] 2 შავალი (1856 წლის 6 ივნისი), პარასკევი:

[ელჩის მისია] კობიდან გაემგზავრა. ვლადიკავკაზიდან მთის მწვერვალამდე, სადაც ჯვარია აღმართული, საგზაო ინჟინერი პოლკოვნიკი თავის მოხელეებთან ერთად მათ სამსახურში იყო. ინჟინერი პოლკოვნიკი ვასილი სემიონოვიჩი (Vāselī Sīmānovīch), რომელიც საქართველოსა და თბილისის მხრიდან ამ რეგიონის გზებს აკონტროლებს, სტუმრებს მთის წვერზე დახვდა და თავისი სამსახური შესთავაზა. პოლკოვნიკები ყაზბეგ გორჯი და ალექსანდრ საგინოვიც თავიანთ ოფიცრებთან ერთად მზად იყვნენ სამსახურისთვის.

მისმა მაღალაღმატებულება მეფისნაცვალმა ეს ადგილები გაიარა 6 დღის წინ, როცა დაღესტნის საზღვრების დასათვალიერებლად მიემგზავრებოდა. მისი მითითებით, თითოეულმა დიდმოხელემ თავისი ჯარისკაცები და გლეხები გამოიყვანა, რომ გაზაფხულის უკანასკნელი დეკადის ზვავებისგან ჩახერგილი გასასვლელები გაწმინდათ, რათა ელჩის კორტეჟს უსაფრთხოდ და მშვიდობიანად გაევლო. მისმა აღმატებულება *ამირ ალ-ომარა ალ-ა' ზამმა* ჯარისკაცებს ორასი მანეთი გაუნაწილა და სამივე პოლკოვნიკს თითო ხმალი აჩუქა.

მთაზე გადასვლის შემდეგ გაჩერდნენ პოლკოვნიკ ყაზბეგის სახლში, სადაც სადილი მოემზადებინათ. საჭმლისა და ყავის მერე, სანამ ელჩის კორტეჟის ხარებშებმული და ცხენებშებმული ოთხთვალები მოაღწევდნენ, მისმა აღმატებულებამ ერთი საათი დაისვენა. ნაშუადღევს გზა განაგრძეს და მივიდნენ სოფელ ანანურში, სადაც პოლკოვნიკ საგინოვს სახლი ჰქონდა. პოლკოვნიკმა მისიის ნევრები დიდი პატივით მიიღო. სტუმრების საპატივცემულოდ მთელი სოფელი გაეჩირაღდნებინათ. დაახლოებით 4000 ჩირაღდანი და სანთელი ენთო. ანანურში რუსებმა ააშენეს დიდი, მკვიდრად ნაგები ციხე-კოშკი, სადაც ბევრი იარაღი და *სალდათია.* პოლკოვნიკ საგინოვის სახლი მშვენიერ ბაღში იდგა. კოშკიცა და ბაღის ბილიკებიც განათებული იყო. მისი აღმატებულება ელჩის გამოჩენისას მთელი *სალდათები,* კაზაკები და არტილერისტები სწორ ხაზზე გამწკრივდნენ. მუსიკოსები და ოფიცრებიც მწყობრში იდგნენ და მას ესალმებოდნენ. მისმა აღმატებულებამ ყველა თბილად მოიკითხა და ბაღში შებრძანდა. აქ მას ეახლა *ავიაზ ნაჩალნიკი,* რომელიც თბილისის [გუბერნიის] მთელი მაზრების გუბერნატორია. პოლკოვნიკ ალექსანდრესთან სტუმრობის შემდეგ მისი აღმატებულება

თავს შეუძლოდ გრძნობდა, ამიტომ მაგიდასთან დაჯდომაზე და საჭმლის ჭამაზე უარი თქვა, მხოლოდ ჩაი დალია და დასვენება ინება. მისიის დანარჩენი წევრები კი მაგიდას შემოუსხდნენ, ისადილეს, მისი აღმატებულება ადღეგრძელეს და დასასვენებლად დაიშალნენ.

3 შავალი (7ივნისი), შაბათი[154]:

[ელჩის კორტეჟი] ანანურიდან გაემგზავრა და გეზი თბილისისკენ აიღო. მისმა აღმატებულებამ სოფელ დუშეთში ისადილა, ყავა დალია და გენერალური კონსულის *მოყარაბ ალ-ხაყან* მირზა ჰოსეინ ხანის გამოგზავნილი პაკეტი გახსნა. კონსული იტყობინებოდა, რომ მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვალი სრულუფლებიანი ელჩისადმი დიდ პატივისცემას გამოხატავდა და სთხოვდა, თბილისში კვირას ჩამობრძანებულიყო, რადგან ამ დღეს ქრისტიანული დღესასწაული იყო და მეფისნაცვლის ბრძანებით მთელი მოსახლეობა – სარდლები, გენერლები, წარჩინებული პირები, დიდგვაროვნები და ვაჭრები – მისი აღმატებულების შესახვედრად მზად იქნებოდნენ. მისმა აღმატებულება ელჩმა მეფისნაცვლის სურვილი გაითვალისწინა და იმ ღამეს დუშეთში დარჩა. *მეჰმანდარმა* პოლკოვნიკმა მისთვის და მისი თანამგზავრებისთვის კარვები მშვენიერ ბაღში გაშალა. მუსიკოსები მოვიდნენ და დაუკრეს. საღამოს მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლის ადიუტანტი მოვიდა, თბილისის ქვეყანაში ჩამოსვლა მოგვილოცა და მის აღმატებულებასთან შეხვედრის გამო დიდი სიხარული გამოთქვა. გენერალური კონსული *მოყარაბ ალ-ხაყანიც* ჩამოვიდა და მის აღმატებულება *ამირ ალ-ომარა ალ-ა' ზამს* ეახლა. ცოტა ხანი საუბრის შემდეგ ყველანი დაიშალნენ და ღამე კარვებში დაისვენეს.

[თბილისში შესვლა]

4 შავალი (8 ივნისი), კვირა:

[მისმა აღმატებულებამ] გამგზავრების ბრძანება გასცა. 24 *ვერსის* გავლის შემდეგ ფოსტის სადგურ ღართისკარში (Qārteskālaskyā) ისადილეს, ყავა დალიეს და გზა განაგრძეს. რადგან, გენერალური კონსულის თქმით, თბილისის მთელი ოფიცრები ორდენებითა და ლენტებით დამშვენებულ საპარადე ფორმაში გვხვდებოდნენ, ამიტომ მისი აღმატებულების ბრძანებით მისიის წევრები თბილისიდან ერთ *ფარსახში* მდგარ შენობაში გაჩერდნენ და მასპინძლების პატივსაცემად მათაც სამხედრო ფორმა ჩაიცვეს. პირველი, ვინც სტუმრებს გზაზე დახვდა, გენერალი მუხრანსკი იყო. ის ხუთი პოლკოვნიკისა და 200 კაზაკი მბედრის თანხლებით გზაზე გამოვიდა და ელჩის კორტეჟს სამხედრო წესით მიესალმა. მისი აღმატებულება გენერალ მუხრანსკის ძალიან თბილად მიესალმა და გზა განაგრძო. ქალაქის მისადგომებთან მათ დახვდნენ კავკასიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი გენერალი კონსტანტინ ლელი, მისი ოფიცრები, გუბერნატორი გენერალი კოლიუბაკინი, გენერალი შჩერბინინი, გენერალი ბრუსილოვი

[154] სპარსულ ტექსტში შეცდომით სამშაბათი წერია.

და გენერალი კოხანოვი, ასევე თბილისის *კომენდანტი* და *პოლიცმაისტერი* თავიანთ ხელქვეითებთან ერთად. ისინი გზის პირას ნახევარი *ფარსახის* ინტერვალით ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და მის აღმატებულებას სამხედრო პატაკით ეგებებოდნენ.

ელჩის კორტეჟს მის მაღალაღმატებულება მეფისნაცვალთან და *კნიაზ* ბებუთოვთან ერთად ქალაქის მთელი მოსახლეობა დახვდა. *პოლიცმაისტერმა* და *ქალანთარმა* ირანისა და რუსეთის ქვეშევრდომი ვაჭრები და ხელოსნები მოიყვანეს. მათ სამი სახის დროშა ეჭირათ: მუსლიმური, ქართული და ებრაული. ისინი გზის ორსავე მხარეს იდგნენ და უამრავ ცხვარსა და ძროხას მსხვერპლად სწირავდნენ. ქუჩებსა და სახლების ბანებზე იმდენი კაცი და ქალი, დიდი და პატარა ირეოდა, რომ ელჩის კორტეჟი გზას *პოლიცმაისტერისა* და მისი რაზმის დახმარებით მიიკვლევდა. ხალხის დიდი რაოდენობისგან ერთ-ერთი სახლის ბანი ჩაინგრა. მისმა აღმატებულება ელჩმა ურემი გააჩერებინა და [ამბის გასაგებად] *პოლიცმაისტერი* იხმო. როგორც გაირკვა, ღვთის წყალობით, არავინ დაშავებულიყო.

ქალაქის ახლოს ოფიცრები და *სალდათები* იდგნენ და სახელმწიფო დროშები ეჭირათ. როცა მისი აღმატებულება და მისიის წევრები ურმებიდან მათთვის მომზადებულ ოთხთვალებში გადადიოდნენ, სამხედროებმა თოფები წინ გამოსწიეს და დროშები დახარეს. არსენალის შენობასთან გავლისას იქიდან 21-ჯერ გაისროლეს. ელჩისთვის განკუთვნილი სახლის წინ *სალდათები* და მუსიკოსები შეკრებილიყვნენ. კორტეჟის გამოჩენას ისინი მუსიკითა და სამხედრო პატაკით დახვდნენ. კომენდანტმა ელჩს სათითაოდ ყველა სამხედრო წარუდგინა. მისი აღმატებულება მათ ძალიან თბილად მიესალმა და შენობაში შებრძანდა. მეფისნაცვლის ადიუტანტმა ტკბილეულობა, ხილი და ლარნაკებში ჩაწყობილი ყვავილები დაგვახვედრა და ახალსახლობა მოგვილოცა. რადგან მისი აღმატებულება ელჩი ძალიან დაღლილი იყო, მეფისნაცვალთან შეხვედრა მეორე დღისთვის გადადეს.

[ოფიციალური და არაოფიციალური ვიზიტები
და საპასუხო ვიზიტები]

5 შავალი (9 ივნისი), ორშაბათი:

დილით ადრე მეფისნაცვალთან შეხვედრის დროზე მოსალაპარაკებლად მის აღმატებულებასთან გენერალი ლელი მობრძანდა. დილის ათი საათისთვის შეთანხმდნენ. დათქმულ დროს მისმა მაღალაღმატებულებამ საკუთარი ოთხთვალა (მანამდე თბილისში საკუთარი ოთხთვალა არავის ჰყავდა!) და კაზაკ ოფიცერთა რაზმი გამოგზავნა. მისი აღმატებულება ელჩი თბილისის *ბეგლარბეგის*, გენერალ ლელის და მეფისნაცვლის პირადი ადიუტანტის თანხლებით სასახლეში წაბრძანდა. გზაზე საგუშაგოებზე გუშაგები იდგნენ და ელჩის კორტეჟს სამხედრო სალმით აცილებდნენ. სასახლის შესასვლელთან *სალდათები* და მუსიკოსები შეკრებილიყვნენ. ელჩის გამოჩენისას მუსიკოსებმა საყვირზე დაუკრეს და *სალდათებმა* თოფები წინ გამოსწიეს. კიბის ორსავე მხარეს იდგნენ ხმლიანი კაზაკები, რომლებიც მის აღმატებულებას სამხედრო წესით მიესალმნენ. კი-

ბის ბოლოდან მეორე ოთახამდე კედლების გასწვრივ დიდგვაროვნები, ვაჭრები, *პოლიცმაისტერი, ქალანთარი*, ოფიცრები, გენერლები და სარდლები გამწკრივებულიყვნენ. ისინი მის აღმატებულება *ამირ ალ-ომარა ალ-ა' ზამს* დიდი პატივითა და ცერემონიებით შეხვდნენ. მისი აღმატებულება ყველას თბილად მიესალმა და გენერლები და სარდლები მოიკითხა. *კნიაზ* ბებუთოვიც აქ ბრძანდებოდა. მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვალი სტუმარს მესამე ოთახში დახვდა, ხელი მოჰკიდა და შეუძღვა მეოთხე ოთახში, სადაც ხილი, ტკბილეულობა და ყვავილები მოემზადებინათ. დივანზე დასხდნენ. მეფისნაცვალმა ელჩს თავისი ოფიცრები წარუდგინა, მისმა აღმატებულებამ კი მისიის ნევრები გააცნო. ჩაითა და ტკბილეულობით გამასპინძლების შემდეგ მისი აღმატებულება წასასვლელად წამოდგა. მეფისნაცვალმა ის კიბის თავამდე მიაცილა და უთხრა: „თქვენთან ყოველი შეხვედრა ჩემთვის ბედის საჩუქარია". გენერლები და *კნიაზ* ბებუთოვი მის აღმატებულებას გასასვლელამდე გაჰყვნენ. გენერალმა ლელიმ და *ბეგლარ-ბეგმა* ხელი შეაშველეს და ოთხთვალაში ჩასვეს. კაზაკი მხედრები ოთხთვალას გარს შემოერტყნენ და მისი აღმატებულება სახლამდე მიაცილეს.

ცოტა ხანში ელჩთან მეფისნაცვალი მობრძანდა. მისმა აღმატებულებამ სტუმრის შესახვედრად კონსული და საკონსულოს თანამშრომლები შენობის შესასვლელთან გაგზავნა, თავად კი მეორე ოთახში დახვდა და მესამე ოთახში შეუძღვა. ჩაისა და საუბრის შემდეგ მეფისნაცვალი წავიდა.

6 შავალი, სამშაბათი – 7 შავალი, ოთხშაბათი (10-11 ივნისი):

[მისი აღმატებულება ელჩი] საპასუხო ვიზიტით *კნიაზ* ბებუთოვთან, გენერალ ლელისთან, გუბერნატორთან და კომენდანტთან ბრძანდებოდა, ხოლო დანარჩენ გენერლებს და დიდმოხელეებს, ვინც თბილისში მისდამი ყურადღება გამოიჩინა, ბარათები გაუგზავნა.

8 შავალი (12 ივნისი), ხუთშაბათი:

მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვალი მის აღმატებულება ელჩს მეგობრული ვიზიტით ეწვია და ელჩის მისია მოსაწვევი ბარათებისა და მსახურების გარეშე, პირადად დაპატიჟა. ცოტა ხანი ისაუბრეს და წავიდა.

9 შავალი (13 ივნისი), პარასკევი:

მისი აღმატებულება საპასუხო ვიზიტით მეფისნაცვლის სასახლეში ნაბრძანდა. მეფისნაცვალი მას დიდი პატივით შეხვდა, წინ დაისვა და ჩაითა და ტკბილეულობით გაუმასპინძლდა. ცოტა ხანი ისაუბრეს. დამშვიდობებისას მეფისნაცვალმა სტუმარი კიბის თავამდე გააცილა.

10 შავალი (14 ივნისი), შაბათი:

მისი აღმატებულება ელჩი, დაპირებისამებრ, მეფისნაცვალს ეწვია. ამ უკანასკნელმა ელჩის შესახვედრად გენერლები შენობის შესასვლელთან გაგზავნა. ჭიშკართან და კიბის თავში მდგარი გუშაგები მის აღმატებულებას სამხედრო

წესით მიესალმნენ. მეფისნაცვალი სტუმარს პირველ ოთახში დახვდა, მისი ვიზიტის გამო სიხარული გამოთქვა, ხელი მოჰკიდა, მეოთხე ოთახში შეიყვანა და პატივისცემის ნიშნად ხელმარჯვნივ ანუ თავისზე უფრო წინ დასვა. ერთი საათი ისაუბრეს, ჩაი დალიეს და მაგიდას მიუსხდნენ. პურობის ბოლოს მეფისნაცვალმა მისი უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰის, *ვალიაჰდის* და მისი აღმატებულება *ამირ ალ-ომარა ალ-ა' ზამის* სადღეგრძელოები დალია. მუსიკოსებმა დაუკრეს და *„ურა"* დასძახეს. მისმა აღმატებულება ელჩმაც მისი უდიდებულესობა იმპერატორი, ტახტის მემკვიდრე-უფლისწული და მეფისნაცვალი *შარბათით* ადღეგრძელა. მაგიდიდან ადგომის მერე, ერთი საათი საუბარსა და ყავის სმაში გაატარეს. დამშვიდობების ცერემონიალის შემდეგ მისი აღმატებულება სახლში დაბრუნდა.

[მისი აღმატებულება ელჩის ხელმეორე ავადმყოფობა]

11 შავალი, კვირა – 15 შავალი, ხუთშაბათი (15-19 ივნისი):

[მისი აღმატებულება ელჩი] ფეხისა და წელის ტკივილის გამო ექიმების რეკომენდაციით ყოველდღე დადიოდა თბილისის აბანოში, რომელიც ზემოთ აღვწერე. საღამოობით მასთან მეგობრული ვიზიტით მოდიოდნენ გენერალი *კნიაზ* ბებუთოვი, გენერალი ლელი, გენერალი კოლიუბაკინი, მთავარსარდალი და გუბერნატორი. ყოველდღე მზის ჩასვლისთვის კავკასიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი გენერალი ლელი მის აღმატებულება *ამირ ალ-ომარა ალ-ა' ზამს* აკითხავდა და ოთხთვალით სასეირნოდ მიჰყავდა სხვადასხვა ადგილებში და, მათ შორის, აყა მირ ფათაჰის ბაღშიც[155], რომელიც მტკვრის პირას მდებარეობს. მისმა აღმატებულებამ მებაღეებს 20 მანეთი აჩუქა.

16 შავალი (20 ივნისი), პარასკევი:

მისი აღმატებულება ელჩის ნებართვით, ირანის გენერალურმა კონსულმა დიდი მიღება გამართა და მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვალი, *კნიაზ* ბებუთოვი, დანარჩენი გენერლები, მთავარსარდალი და სხვა წარჩინებული მოხელეები დაპატიჟა. მისმა აღმატებულებამ ორდენებითა და ლენტებით დამშვენებული ოფიციალური ტანსაცმელი ჩაიცვა და მიღებაზე წაბრძანდა. მეფისნაცვალი და სხვა ოფიცრებიც საპარადე ფორმით გამოცხადდნენ. რადგან მიღების ნამდვილი მასპინძელი თავად მისი აღმატებულება ელჩი იყო, ამიტომ მან პურობის მერე მეფისნაცვალი ხელმარჯვნივ, თავისზე უფრო წინ დაისვა და *შარბათით* მისი უდიდებულესობა იმპერატორის სადღეგრძელო დალია. მუსიკოსებმა დაუკრეს და *„ურა"* შემოსძახეს. თავის მხრივ მეფისნაცვალმაც ირანის მბრძანებლის მისი უდიდებულესობა შაჰინშაჰის და მისი ბრწყინვალება *ვალიაჰდის* სადღეგრძელო დალია. მერე ერთმანეთი ადღეგრძელეს, ერთი საათი ისაუბრეს და დაიშალნენ.

17 შავალი (21 ივნისი), შაბათი:

[მისმა აღმატებულებამ] ეს დღე წერილების წერაში გაატარა.

---

155 იგივე მოჯთაჰედის ბაღი. იხ. შენიშვნა 78.

18 შავალი (22 ივნისი), კვირა:

[მისმა აღმატებულებამ] თბილისიდან გამგზავრება ინება. დილით განკარგულება გასცა, რომ ოფიცრები, *სალდათები*, მეეტლე, მეჩირაღდნე და სხვები, ვინც აქ ელჩის მისიას ემსახურებოდა, დაესაჩუქრებინათ: მსახურებს 100 მანეთი ნაღდი ფული მისცა, ბაზრის მოხელეს, რომელსაც *აფიცერს* ეძახდნენ, ხმალი აჩუქა, ხოლო მომსახურე პერსონალსა და მეეტლეს ნაღდი ფულის გარდა სამი თოფი ქაშმირის შალი, სამი თოფი ჩინური ქსოვილი და ოთხი თოფი ოქრომკედით ნაქარგი ფარჩა უბოძა.

მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვალი გამოსამშვიდობებლად მობრძანდა, ელჩის მისიის გამგზავრების გამო წუხილი გამოთქვა და წავიდა. *კნიაზ* ბებუთოვიც მოვიდა და მის აღმატებულებას დაემშვიდობა. ნასადილევს ამ ქვეყნის ყველა წარჩინებულმა მოხელემ და სამხედრომ ელჩის აპარტამენტებში მოიყარა თავი. ჩაით გამასპინძლების შემდეგ ელჩის კორტეჟი გააცილეს მატიოვის ბაღამდე, რომელიც ქალაქიდან ერთ *ფარსახში* მდებარეობს. აქ მისი აღმატებულება მასპინძლებს დაემშვიდობა და ისინი უკან გაბრუნდნენ. გენერალური კონსულიც წავიდა და ელჩის სამსახურში მხოლოდ *ავიაზ ნაჩალნიკი*, მოურავი და *ასპრანკი* (Asprānk)[156] დარჩნენ. 25 *ვერსის* გავლის შემდეგ ელჩის კორტეჟი სოფელ კოდაში შევიდა.

[ქალაქ თბილისის აღწერა]

ქალაქი თბილისი უსწორმასწორო რელიეფზეა გაშენებული. მისი მოსახლეობა 120000 კომლს შეადგენს. ქართველები და მუსლიმები ცხოვრობენ ძველ სახლებში, რომელთაც მხოლოდ კარი, კედლები და ტიხრები აქვს. ამ უბანში ვიწრო ქუჩები და უშნო სახლებია. რუსების ახლადაშენებული სახლები კი ფართო ქუჩებზე დგას და დიდებული სანახავია. ფეხით მოსიარულეთათვის აქ ბულვარია გაშენებული. რუსების სახლებს დასაჯდომად *ბალკონები* აქვს და ისინი ძალიან ლამაზია. აქაური მუსლიმური მოსახლეობა 40 კომლზე მეტი არ იქნება. მდინარე მტკვარი თბილისს შუაზე კვეთს, მაგრამ მისი წყალი ბაღებს, ბოსტნებს და ნათესებს არ სწვდება. დასალევი წყალი *ბოჩკებით* ამოაქვთ, კარდაკარ დააქვთ და ისე ყიდიან. აყა მირ ფათაჰმა თბილისში ყოფნის დროს ქალაქის ზემოდან გაიყვანა ერთი *ფარსახი* სიგრძის არხი, რომელშიც დაახლოებით ერთი *სანგი* მტკვრის წყალი მოდის. არხის ზემოთ მან ორი სახლი ააშენა, რომელშიც გერმანელები დასახლდნენ და მიწათმოქმედებას მიჰყვეს ხელი. აყა მირ ფათაჰს ეკუთვნოდა ქალაქის გარეუბანში მტკვრის პირას გაშენებული ლამაზი ბაღი და შიგ კარგი სახლიც. ახლა ეს სახლებიცა და ბაღიც სახელმწიფოსია. უწინდელმა მეფისნაცვალმა მისმა აღმატებულება კნიაზ ვორონცოვმა (Varānsof) ქალაქის ცენტრში მდინარე მტკვარზე ააგო მყარი ხიდი, რომელიც მდინარე ნევაზე (Nīvā) გადებულ იმ ხიდებს ჰგავს, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრე.

თბილისში ცხელი წყლის წყაროებია, რომლებიც ქალაქის გარშემო მდებარე მთებიდან გადმოდის. წყაროების სათავიდან მდინარე მტკვრამდე ერთმანეთის

---

[156] გაუგებარია რა თანამდებობას გულისხმობს ავტორი.

თბილისის აბანო, ირანელი მექისე.
დ. როინაშვილის ფოტოსურათი, 1880-იანი წლები.

მიყოლებით ოთხი აბანოა აგებული და მათში წყალი ამ წყაროებიდან შედის. ოთხივე აბანო რამდენიმე განყოფილებისგან შედგება, რომლებშიც ერთი დიდი აბანო და ორი აუზია მოთავსებული. თითოეულ აბანოში ხუთი, ექვსი ან შვიდი სათავსოა, რომლებშიც დერეფნიდან კარებით შედიხარ. სათავსოები სამი ოთახისგან და ერთი ყავახანისგან შედგება. ოთახებში 1,5 *ზარ'ი* სიგრძის, ერთი *ზარ'ი* სიგანის და ერთი *ზარ'ი* სიღრმის აუზებია აშენებული. აუზის ორსავე მხარეს ტახტები დგას, სადაც კაცს შეუძლია დაწვეს და მექისე მას დაზელს. ყავახანაში ერთი ორკაციანი სათავსოა, სადაც ტანსაცმელს იხდიან. თითოეულ აბანოში 7-8 აუზია, ამგვარად ოთხივე აბანოში მათი რიცხვი ოცდაათს აღწევს, ამიტომ წყაროს წყალი ოცდაათ ნაკადად იყოფა. აუზის კედელზე ერთი *ზარ'ის* სიმაღლეზე რკინის მილია გაყვანილი და იქიდან განუწყვეტლივ წყალი გადმოდის, აუზში იღვრება, ქვის შვერილზე გადადის და მტკვარში ჩაედინება. ცხელი წყაროების გვერდით ცივი წყაროებიც არის, მაგრამ მათში იმდენი წყალი არ არის, რომ ოცდაათ ნაკადად გაიყოს და ყველა აუზს ეყოს. პირველ, წყაროსთან უახლოეს, აბანოში სამი აუზია და თითოეულს თითო ნაკადი ავსებს. დანარჩენ აბანოებშიც ცხელი წყალი შედის. მათ საცეცხლე, ღუმელი და ცეცხლი არ სჭირდება და ჰაერი ცხელი წყლის ორთქლით იმდენად თბება, რომ ხანდახან კარის გაღება ხდება საჭირო. წყალი ისეთი სუფთაა, რომ აუზის ფსკერზე საკუთარ ფეხებსაც კი ხედავ და თუ კარგი განათებაა, ფეხის ბალანიც კი მოჩანს. ერთი აბანო სპეციალურად ქალებისთვის არის, მეორე – მუსლიმებისთვის, დანარჩენებში კი განურჩევლად ყველა შედის. ასე ამბობენ, თორემ, სინამდვილეში, ვისაც რომელ აბანოში უნდა, იმაში ბანაობს. ქალი და კაცი, ახლობელი თუ შორებელი ორნი ერთ სათავსოში შედიან, მაგრამ ხმას არავინ იღებს და ისინი თითით საჩვენებელი არ ხდებიან.

ჰაჯ საიიაჰი და მისი მოგზაურობის წიგნი

ჰაჯ საიიაჰი.

ჰაჯ მოჰამად ალი, ცნობილი ლაყაბით „საიიაჰი" („მოგზაური"), დაიბადა 1836 წელს ყუმის პროვინციის სოფელ მაჰალათში, გლეხის ოჯახში. თეირანში მან ტრადიციული მუსლიმური განათლება მიიღო, მოგვიანებით კი, მდიდარი ბიძის ფინანსური დახმარებით, ქერბალასა და ნაჯაფში დაასრულა სწავლა. მაჰალათში დაბრუნებული ჰაჯ საიიაჰი მამამისმა მუჰაჯირანში ბიძასთან გააგზავნა. აქ მან შეიტყო, რომ ოჯახს განზრახული ჰქონდა მისთვის ბიძაშვილი შეერთო ცოლად. დარჩენილი ცხოვრების მუჰაჯირანში ცოლთან ერთად გატარების პერსპექტივა ჰაჯ საიიაჰს, როგორც ჩანს, სრულებით არ ხიბლავდა. 1859 წელს, 23 წლის ასაკში, მან დატოვა მუჰაჯირანი და სამოგზაუროდ წავიდა ისე, რომ ოჯახისთვის არც შეუტყობინებია. ჰაჯ საიიაჰმა მოგზაურობაში 18 წელი გაატარა. მოგზაურობის ხანგრძლივობით და გეოგრაფიის სიფართოვით მას ირანელ მოგზაურთაგან ძნელად თუ ვინმე შეედრება. თავიდან ის კავკასიის გავლით ოსმალეთში წავიდა და შემდეგ ევროპის დიდი ნაწილი (სერბეთი, ავსტრია, სლოვენია, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, შოტლანდია, ლატვია, პოლონეთი, უკრაინა, რუსეთი) მოიარა. ამ ხეტიალის შედეგად დაიწერა „ევროპაში მოგზაურობის წიგნი". თხზულება დაუმთავრებელია. მისი ერთადერთი შემორჩენილი ხელნაწერი (ინახება მეშჰედის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში), რომელსაც ემყარება ყველა გამოცემა, შუა ფრაზაზე წყდება (უკანასკნელი აღწერილი პუნქტი არის ტური საფრანგეთში). მაგრამ ცნობილია, რომ ჰაჯ საიიაჰის მარშრუტი ევროპით არ შემოფარგლულა. აქედან ის გაემგზავრა ამერიკაში, სადაც რამდენიმე წელი დაპყო და შეერთებული შტატების მოქალაქეობაც მიიღო. ამერიკიდან ჰაჯ საიიაჰი წავიდა იაპონიაში, შემდეგ იმოგზაურა ჩინეთში, ბირმაში, სინგაპურში და საბოლოოდ, 1877 წელს ინდოეთის გავლით დაბრუნდა ირანში. მოგზაურობის სიყვარული მას არც სამშობლოში განელებია – ფეხით, ცხენით თუ ეტლით მოიარა ირანის თითქმის ყველა მხარე. ამ მოგზაურობების დროსაც ის გამუდმებით წერდა დღიურებს, რომლებიც ცალკე წიგნად გამოიცა 1967 წელს.

ირანში დაბრუნების შემდეგ ჰაჯ საიიაჰი პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაება და სახელი გაითქვა, როგორც რეფორმებისთვის აქტიურად მებრძოლმა მოღვაწემ. ამის გამო მას პრობლემებიც შეექმნა. ხელისუფლებამ ჰაჯ საიიაჰი თეირანიდან განდევნა

და ის იძულებული გახდა ხორასანში ეცხოვრა. 1891 წელს ის დააპატიმრეს კიდეც და ორი წლით ყაზვინის ციხეში ჩასვეს. პოლიტიკური დევნა ციხიდან განთავისუფლების შემდეგაც არ შეწყვეტილა, რის გამოც ჰაჯ საიიაჰი იძულებული გახდა ერთხანს თეირანში ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური მისიის შენობაში ეძებნა თავშესაფარი. ჰაჯ საიიაჰი აქტიურად მონაწილეობდა ირანის კონსტიტუციურ რევოლუციაშიც.

საქართველოში ჰაჯ საიიაჰი ორჯერ იყო. პირველად ის ჩამოვიდა 1859 წელს, თავისი მოგზაურობის დასაწყისში, სომხეთის გავლით. იმხანად ის შედარებით დიდხანს დარჩა თბილისში და ასევე მოინახულა ქუთაისი, ფოთი და ბათუმი. მეორედ ჰაჯ საიიაჰი საქართველოს რუსეთის იმპერიაში ხანგრძლივი ხეტიალის დროს ეწვია და, თბილისის გარდა, მოიარა ახალქალაქი, ახალციხე, აბასთუმანი, სოხუმი და რამდენიმე სხვა პუნქტი აფხაზეთსა და სამეგრელოში.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანები

Safar-nāme-ye Hājj Sayyāh be Farang, be ehtemām-e 'Alī Dehbāshī, Tehran, 1363/1984.

Khāterāt-e Hājj Sayyāh ya doure-ye khūf va vahshat, be kūshesh-e Hamīd Sayyāh, be tashīh-e Seyfollāh Golkar, Tehran, 1346/1967.

„ჰაჯ საიიაჰის ევროპაში მოგზაურობის წიგნი", წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, 101-125.

An Iranian in Nineteenth Century Europe: The Travel Diaries of Haj Sayyah, 1859-1877, Translated by Mehrbanoo Nasser Deyhim, Foreword by Peter Avery, IBEX Publishers: Bethesda, Maryland, 1998.

ლიტერატურა

მ. ალექსიძე, „ჰაჯ საიაჰი საქართველოში", *პერსპექტივა – XXI*, №10, თბილისი, 2008, 6-13; წიგნში: მ. ალექსიძე, *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, 79-94.

ნ. ნახუცრიშვილი, „XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო ირანელი მოგზაური ჰაჯ საიაჰის ჩანაწერებში", *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, XVII, თბილისი, 2003, 250-255.

Javād 'Abbāsī, "Hājj Sayyāh Mahallātī – dour-e donyā dar hījdah sāl", *Bukhārā*, Vol.14, No.83, Tehran, 1390/2011, 647-657.

Mortezā As'adī, "Safar-nāme-ye Hājj Sayyāh", *Nashr-e Dānesh*, No.25, Tehran, 1363/1984, 51-53.

'Abd al-Hoseyn Āzerang, "Hājj Sayyāh: nevīsande-ye safar-nāme va khāterāt va az degarandīshān va mashrūtekhāh-e 'asr-e Qājār", *Bukhārā*, Vol.6, No.1(31), Tehran, 1382/2003, 48-62.

'Abd al-Hoseyn Āzerang, "Hājj Sayyāh", *Dāneshnāme-ye Jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Ali Haddād 'Ādel, Vol.12, Tehran, 1387/2008, 293-297.

Taqī Bīnesh, "Sīyāhat-nāme-ye Hājj Sayyāh", *Rāhnemā-ye Ketāb*, Vol.12, No.3-4, Tehran, 1348/1969, 38-45.

'Alī Dehbāshī, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Hājj Sayyāh be Farang*, 9-22.

Āmene Ebrāhīmī, "Farār az vaz'-e moujūd (negāhi be Safar-nāme-ye Farang-e Hājj Sayyāh)", *Bukhārā*, No.76, Tehran, 1389/2010, 609-612.

'Alī Ferdowsī, "Hājj Sayyāh va ezterār-e ta'ālloq: hekāyati dar tabarshenāsī-ye sharm va shahrvandī", *Īrān Nāmeh*, Vol.19, No.3, New York, 1380/2001, 16-17, 293-336.

'Alī Ferdowsī, "Goftogū bā Hāj Sayyāh: Āmrīkā – shegeftī-ye jahān", *Bukhārā*, Vol.12, No. 75, Tehran, 1389/2010, 354-369.

Rahīm Ra'īs Nīyā, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", 201.

Mansūr Sarvat, " Safar-nāme-ye Hājj Sayyāh be Farang", *Nāme-ye Anjoman*, No.15, Tehran, 1383/2004, 45-70.

P. Avery, "Foreword", წიგნში: *An Iranian in Nineteenth Century Europe: The Travel Diaries of Haj Sayyah*, 11-14.

'A. Ferdowsi, "Eating Corpse: The Deplorable Asylum of Haji Sayyah at the U.S. Legation in Tehran", *Annals of Japan Association for Middle East Studies*, No.11 (1996), 251-286.

'A. Ferdowsi, "Hājj Sayyāh", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 2002 (http://www.iranicaonline.com/articles/hajj-sayyah).

'A. Ferdowsi, "Emblematic Identity and Management of Self-presentation: the Case of Hajj Sayyah", *Востоковедение и африканистика в диалоге цивилизаций. XXV Международная конференция "Источниковедение и историография стран Азии и Африки"*, Тезисы докладов, Санкт-Петербург, 2009, 99.

M. R. Ghanoonparvar, *In a Persian Mirror...*, 25-26.

S. Holgate, "Hajj Sayyah – First Persian to Become an American", *Pars Times*, 2003 (<http://www.parstimes.com/news/archive/2003/washfile020.html>).

K. Rastegar, *Literary Modernity between the Middle East and Europe ...*, 84-88.

ჰაჯ საიიაჰის ევროპაში მოგზაურობის წიგნი

წინა გზა
(1859)

თბილისი

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში ჩავედი. შაჰ აბას სეფიანის – უფალმა განუსვენოს – მეჩეთში მივედი და ღამის გასათევი ვითხოვე. უარი მითხრეს და ხალათოვის (Khalatof) ქარვასლაში[157] გამაგზავნეს. წავედი და იქაურ დარაჯს ვკითხე, ბინა ჰქონდა თუ არა. მითხრა, რომ ჰქონდა, მაგრამ თვეში სამიდან ათ მანეთამდე ღირდა. დარაჯმა შემატყო, რომ ამდენი ფული არ მქონდა და მირჩია: „თუ იაფი ოთახი გინდა, მე მიგასწავლი. ამ ქარვასლაში ერთი თავრიზელი კაცია, *თოჯარბაში*, სახელად ჰაჯი მეჰდი. მასთან წადი და სთხოვე, უარს არ გეტყვის". გამახსენდა თავრიზი და ახუნდი ჰაჯი მოლა რეზა. გავიფიქრე: „ამას

[157] ხალათოვის ქარვასლა აშენდა 1850-იან წლებში არქიტექტორ ა. სოკოლოვის პროექტით და ერთ-ერთი უდიდესი იყო იმდროინდელ თბილისში. ის იდგა ვორონცოვის (ახლანდელი გორგასლის) ქუჩის დასაწყისში და უკანა მხარეს მტკვარს გადაჰყურებდა.

არასოდეს ვიზამ". დარაჯს ვთხოვე: „იქნებ იყოს რაიმე ადგილი, თუნდაც ქვის სკამი, მე მაინც კმაყოფილი ვიქნები". მითხრა: „მაქვს ერთი ადგილი, მაგრამ იქ არ იცხოვრება". ვუპასუხე: „რაც არ უნდა იყოს, ჩემთვის მაინც კარგია". გამიყვანა დერეფანში, რომლის მეორე გასასვლელი დაკეტილი იყო. ფასი ვკითხე. მითხრა: „რამდენიც გინდა, იმდენი მომეცი". ჩავეძიე და საბოლოოდ თვეში ერთ მანეთზე შევთანხმდით.

ერთი სიტყვით, წავიდა, კლიტე მოიტანა, თავისი გასაღები და ურდული მომცა და მითხრა: „თანამემამულევ, მომეწონე, თორემ ამ ფასად არ მოგცემდი". მადლობა გადავუხადე და ბაზარში წავედი. დავინახე, ერთი კაცი პენალს ყიდდა. ფასი ვკითხე. ძალიან იაფად შევიძინე და მეჩეთისკენ გავეშურე. უცებ ვიღაც კაცი მოვიდა და მკითხა: „სპარსულად წერა იცით?" ვუთხარი: „ცოტა". მითხრა: „ღმერთმა დალოცოს მამაშენი. გთხოვ, წერილი დამიწერე". ვიფიქრე, რომ უფასოდ უნდოდა და ვუთხარი: „ძალიან ცუდად ვწერ". მიპასუხა: „არა უშავს, მთავარია, წაკითხვა შეიძლებოდეს". ვუთხარი: „ქაღალდი არა მაქვს".

სასწრაფოდ წავიდა, ქაღალდი იყიდა და მოიტანა. იძულებული გავხდი, მისთვის წერილი დამეწერა. ცოტა ქაღალდი დარჩა და წინ დავუდე. მკითხა: „რას აკეთებ?" ვუპასუხე: „სიმართლე რომ გითხრა, ძალიან ცუდად დაგიწერე და ქაღალდი გაგიფუჭე". მითხრა: „არა უშავს, მე კმაყოფილი ვარ" და ერთი მანეთი მომცა. წასვლა დააპირა, მაგრამ მე ვუთხარი: „ძმაო, ბევრია". გაიცინა, მითხრა, არაფერიაო და წავიდა. გავიფიქრე: „ფულის შოვნის რა კარგი გზა ვიპოვე, ასე შეიძლება გავმდიდრდე კიდეც".

სამი დღე მეჩეთში დავდიოდი, მუშებს გარკვეულ საფასურად წერილებს ვუწერდი და თან მათგან თურქულს ვსწავლობდი. რასაც ვაგროვებდი, დარაჯს ვაძლევდი. უკვე ხუთ მანეთამდე მქონდა მიცემული. რადგან უცოდინრობის ძალიან მეშინოდა, ჯერ ციფრები და მერე დაახლოებით 500 თურქული სიტყვა ვისწავლე. ერთ საღამოს ჩემთან დარაჯი მოვიდა. დაინახა, რომ მოსასხამი მინაზე მქონდა დაფენილი და ზედ ვიწექი, სანთელი კი აგურზე მედო. მკითხა: „თანამემამულევ, ჭიქა გაქვს?" ვუპასუხე: „რაც მაქვს, ყველაფერი აქ არის". სასწრაფოდ ადგა, გავიდა და დასაძინებელი ტახტი და წყლის დასალევი ჭიქა მომიტანა. ცოტა ხანი იჯდა და მიყურებდა, თურქულ სიტყვებს როგორ ვსწავლობდი. როცა დაინახა, რომ ცოტა თურქული უკვე ვიცოდი, შემაქო. ვკითხე: „თქვენი ენა უფრო ძნელია თუ თურქული?" მიპასუხა: „თურქული". ვუთხარი: „სომხური თურქულზე გაცილებით ადვილია. მასწავლებელი არა მყავს, თორემ უცებ ვისწავლიდი". ვთხოვე, ათამდე დაეთვალა. ერთიდან ათამდე ციფრები ჩამომითვალა. იმავე საღამოს ძალიან ადვილად დავიზეპირე. გამიკვირდა, რომ უარი არ მითხრა სწავლებაზე.

ოთხშაბათს ფულის საშოვნელად კიდევ ერთხელ წავედი მეჩეთში. ვიღაც კაცი მოვიდა და მითხრა: „აქ ვაჭრობის უფლება ვინ მოგცა? ჩქარა დახურე შენი დახლი". სასწრაფოდ სახლში დავბრუნდი და დარაჯს რამდენიმე ახალი სიტყვა ვკითხე. მან მომცა რვეული, რომელშიც სომხური ანბანი ეწერა და მითხრა: „ეს შენი სავარჯიშო იქნება". მერე რამდენიმე სიტყვის გამოთქმა მასწავლა. ჩავიწერე და სამი დღე დარაჯისგან გაკვეთილებს ვიღებდი. მეოთხე დღეს მკითხა: „მეჩეთში აღარ დადიხარ?" ვუპასუხე: „არა". მიზეზი მკითხა და ავუხსენი. გაკვირვებულმა შესძახა: „ღმერთო, დიდებულო! ვის რა მოაკლდება, თუ ეს საწყა-

ლი კაცი ცოტა ფულს შეაგროვებს და თან გაჭირვებულ ხალხს დაეხმარება?!" ვუთხარი: „მთელი ქვეყნის სიმდიდრე არ მიღირს იმად, რომ იმ კაცს ვეპირფერო". მითხრა: „ერთ კაცს სპარსულის სწავლა უნდა. თუ ნებას მისცემთ, მოვა და თან სპარსულის სანაცვლოდ სომხურს და რუსულს გასწავლით". ვუპასუხე: „ძალიან კარგი". მეორე დღეს ერთი მშვენიერი ახალგაზრდა მოვიდა. უნდოდა, რომ ანბანით დაეწყო, მაგრამ რადგან ასოები უკვე ვიცოდი, გადაბმები მასწავლა და წავიდა. საღამოს დაბრუნდა და როცა დაინახა, რომ კარგად მქონდა ნასწავლი, ძალიან გაუხარდა და ახალი დავალება მომცა. შემომთავაზა, რომ მასთან მეცხოვრა, მაგრამ მე უარი ვუთხარი: „არ შემიძლია, რადგან ამ ოთახის სამი თვის ქირა უკვე გადახდილი მაქვს". მითხრა: „ძალიან ცუდი ადგილია". ვუპასუხე: „ჩემი არ არის, ნაქირავები მაქვს". აღარაფერი აღარ თქვა და წავიდა. რადგან აქაურები ძალიან სუფთა ხალხია, ამიტომ ყოველ კვირას მდინარეზე საბანაოდ დავდიოდი, თან იქვე ტანსაცმელს ვრეცხავდი, ვაშრობდი და უკან სუფთა ტანსაცმლით ვბრუნდებოდი.

რამდენიმე ხანი ასე ვცხოვრობდი. ამასობაში ცოტაოდენი თურქული და სომხური წერა-კითხვა ვისწავლე. ჩემი მასწავლებელი ძალიან გახარებული იყო, ყველგან ჩემზე ლაპარაკობდა, მაქებდა და ამბობდა: „საოცარია, რომ ეს 23 წლის ახალგაზრდა ყოველგვარი სახსრებისა და პირობების გარეშე ახერხებს ენის სწავლას და მიუხედავად იმისა, რომ უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს, არაფერს ყურადღებას არ აქცევს. მე კი, ყოველგვარი ხელშენყობის მიუხედავად, ჯერ ცოტა კითხვაც ვერ ვისწავლე". ერთ დღეს გავიფიქრე, ამ გაჭირვებასა და წვალებაში როდემდე უნდა ვიყო და ბოლო რა იქნება-მეთქი, მაგრამ მერე ვთქვი: „სიკვდილი ცოდნის ძიების გზაზე გაცილებით უკეთესია, ვიდრე უმეცრებაში გატარებული ცხოვრება. კარგ პირობებში სწავლას დიდი ოსტატობა არ უნდა, ჩემს მდგომარეობაში სწავლა კი ნამდვილი გმირობაა". ამ ფიქრებით გამხნევებული მუშაობას ვაგრძელებდი და საბოლოოდ მე უკვე ვლაპარაკობდი, ის საწყალი კი ჯერ კიდევ სიტყვათწარმოებაზე იყო გაჩერებული, მაგრამ მაინც ყოველდღე მოდიოდა, გაკვეთილებს მიტარებდა და თვითონაც სწავლობდა.

ასე გაგრძელდა, სანამ მთელი ფული არ დამეხარჯა. ღამღამობით ბაღლინჯოები (ტილის მსგავსი პატარა მწერები) არ მაძინებდნენ, მაგრამ მაინც ღმერთს მადლობას ვსწირავდი, რომ სწავლას ვახერხებდი. ერთ დღეს აღმოვაჩინე, რომ სამი კაპიკის, სახელმძღვანელოების, დარაჯის ტახტის, ჭიქის, ძველი პენალის და ტანსაცმლის მეტი არაფერი მებადა. გავიფიქრე, ღმერთი მონყალეა და საღამომდე რამე მოხდება-მეთქი და კვლავ დიდი ენთუზიაზმით განვაგრძე მუშაობა. მაგრამ საღამო მოვიდა და არაფერი არ მოხდა.

გაჭირვება და შიმშილი

ჩემს თავს ვუთხარი: „არასოდეს საჭმლის პრობლემა არ გქონია და რა მოხდება, თუ ერთი დღე იშიმშილებ". მთელი ღამე ვმეცადინეობდი. დილით ის ახალგაზრდა მოვიდა, გაკვეთილი ჩამიტარა, ბოდიში მომიხადა, რომ თვითონ მოუმზადებელი იყო, ხვალ ჩაგაბარებთო, დამპირდა და წავიდა. გამოსავალი არც ნაშუადღევს გამოჩნდა. მოგვიანებით მოწაფე ისევ მოვიდა და მითხრა: „დრო გამოვნახე, რომ სამეცადინოდ მოვსულიყავი". გაკვეთილი ჩამიტარა, თვითონაც

გადაბმები წამიკითხა და წავიდა. ისევ დიდი გატაცებით შევუდექი სწავლას. საღამოს დარაჯმა შემოიარა და მითხრა: „შეწუხებული მეჩვენებით". ვიუარე, მაგრამ ჩამაცივდა, რომ წუხილის მიზეზი მეთქვა. ვუპასუხე: „გეტყვით, რაც მჭირს – შიმშილი". მითხრა: „თქვენი ნებაა, მაგრამ მე თუ რამე შემიძლია, მზად ვარ გემსახუროთ". მერე ადგა და წავიდა. ისე მშიოდა, რომ ლაპარაკის თავიც კი აღარ მქონდა. გავიფიქრე, ვინმე ნაცნობთან წავალ-მეთქი, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე. ვიგრძენი, რომ დახმარების თხოვნას სიკვდილი მერჩივნა. ისევ გავიფიქრე: „სხეულზე ზრუნვა აუცილებელია, ამიტომ რამე უნდა ვიღონო". ჩემს თავს ვუთხარი: „ნუ გეშინია, ღმერთი ხედავს შენს გაჭირვებას". სხვა რა გზა მქონდა, ბედს შევეგუე და წიგნებს მივუბრუნდი. ისევ გავიფიქრე: სიკვდილის პირას ვარ და რა დროს სწავლაა-მეთქი, მაგრამ მერე ვთქვი: „სიკვდილი გაციცლებით უკეთესია, ვიდრე უმეცრება და ხალხის წინაშე მლიქვნელობა. მეგობრის კმაყოფილებით უნდა დაკმაყოფილდე. მიზნისკენ მიმავალი გზა კი ყოველთვის დაბრკოლებებით არის სავსე". გული გავიმაგრე, უღლების წიგნი ავიღე და სწავლა განვაგრძე. იმ ღამეს ვერაფრით ვერ დავიძინე. მთელი ღამე იმაზე ვფიქრობდი, რა ცუდ დროს ვკვდები-მეთქი. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ უკვე მოვკვდი. ხელზე ვიკბინე და ტკივილი რომ ვიგრძენი, მივხვდი, ცოცხალი ვიყავი. მთელი ღამე ასე გავატარე. გამახსენდა ექიმების ნათქვამი, რომ ადამიანი უჭმელი 80 საათზე მეტს ვერ ძლებს, მე კი უკვე 42 საათი იყო, რაც არ მეჭამა. გავიფიქრე: „უდაბნო ხომ არ არის, რომ კაცი ცარიელი ბალახით იკვებოს?! მაღალი ღმერთის წინაშე ცოდვაა, სხეულს თუ არ მოვუფრთხილდები. როცა ადამიანი კვდება, განკითხვის დღეს მისი საქმეების წიგნში ჩაწერილია მისი ცოდვები. რა იქნება, ჩემს წიგნში ეწეროს, რომ ამ კაცს არ უნდოდა, უფლის გარდა, ვინმესთვის დახმარება ეთხოვა და სხვებთან ეწუწუნა და ამიტომ მოკვდა". გადავწყვიტე, წავსულიყავი და რამე შავი სამუშაო მეპოვნა. დიდი წვალებით წამოვდექი, წავედი და მუშების რიგში დავდექი, რომ ფიზიკური შრომით მეშოვა პურის ფული. ძალიან ვნანობდი, რომ არანაირი ხელობა არ ვიცოდი. სამუშაოს მძებნელები მოვიდნენ და მითხრეს: „ხომ ხედავ რომ ცუდად ხარ, აქ რატომ მოხვედი? წადი და კარგად რომ გახდები, მერე მოდი". სასოწარკვეთილი გამოვბრუნდი. უცებ გამახსენდა, რომ ნახევარი კაპიკი მქონდა დარჩენილი. ერთ უკაცრიელ ქუჩაზე გავედი, რომ ცოტა პური მეყიდა. სასურველი მაღაზია ვიპოვე, სირცხვილის გრძნობა გადავლახე და ხაბაზს ნახევარი კაპიკის პური ვთხოვე. მითხრა, რომ ამ თანხის პურს არ ჰყიდდნენ. საშინელმა სირცხვილმა ყველა უბედურება გადამავიწყა. ფული სასწრაფოდ მოვისროლე, სჯობს, თუ ესეც არ მექნება-მეთქი და სიკვდილს შევეგუე. სახლს დიდი გაჭირვებით მივაღწიე და კიბეებზე ძლივს ავედი. ცალი ხელით კედელს ვეყრდნობოდი, მეორეთი კი – მუხლს. კარი გავაღე და დარაჯის ნაჩუქარ ტახტზე დავეცი. სიკვდილის გარდა, ვერაფერზე ვფიქრობდი. კარი ჩავკეტე, რომ არავინ შემოსულიყო და ხელი არ შეეშალა. თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა, რომ ნახევარ საათში ჩემი ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდებოდა. სიკვდილის დადებით მხარეებზე დავინყე ფიქრი და თან ვლოცულობდი. იმ წუთას უცხო სამყაროს ვჭვრეტდი. ვთქვი: „მადლი იქნება, თუ მას აღვწერ, შესაძლოა, ჩემი გამოცდილება სხვებს გამოადგეთ". ერთი სიტყვით, მარტო სიკვდილსა და მის ხეირზე ვფიქრობდი:

„გაჭირვებას სიკვდილი არ სჯობს? პატიმრობას სიკვდილი არ სჯობს? მძიმე ტვირთის ტარებას სიკვდილი არ სჯობს?“ ნელ-ნელა სიკვდილის უსაზღვრო სურვილი დამეუფლა. ძლიერი შიმშილისგან ჯდომის თავიც კი არ მქონდა და წამოვწექი. ისევ გავიფიქრე: „იმ მდგომარეობაში, რომელსაც სიკვდილი ჰქვია და რომელსაც ვერავინ გაექცევა, რა სჯობს, ჯდომა თუ წოლა, სიფხიზლე თუ ძილი, ზურგზე წოლა თუ მხართეძოზე?“ ვიგრძენი, რომ წოლა მერჩივნა. ამ ფიქრებში შიმშილი დამავიწყდა. კაცს ლომის რომ ეშინია, ისე მეშინოდა ადამიანის ფეხის ხმისა და ლაპარაკის. უცებ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

ვკითხე: „ვინ არის?“

მითხრა: „მაშჰადი ჯაბარი ვარ, *თოჯარბაშის* მსახური“.

ვუთხარი: „თავს ცუდად ვგრძნობ და ვწევარ, რა გინდა?“

მიპასუხა: „მარტო ვიყავი და თქვენ სანახავად მოვედი“.

ვთხოვე: „სხვა დროს მოდი“.

წავიდა. ძალიან გამიხარდა. ისევ გაისმა კარზე კაკუნი.

ვკითხე: „ვინ არის?“

მიპასუხა: „დარაჯი ვარ“.

სხვა რა გზა მქონდა, ავდექი და კარი გავუღე. შემოვიდა და მკითხა: „გუშინ ღამე სად იყავით?“

ვუპასუხე: „ცუდად ვიყავი და ვიწექი“.

მითხრა: „მე მეგონა, რომ ესრაფილ ბეგთან იყავით, რადგან გუშინ ღარიბებისთვის სადილი ჰქონდა“.

ვუპასუხე: „ხომ იცით, რომ ასეთ ადგილებში არასოდეს დავდივარ. ეს რამ გაფიქრებინათ?!“

ცოტა ხანი იჯდა, მერე ადგა, გამოჯანმრთელება მისურვა და წავიდა.

ისევ დავწექი. უცებ ვიგრძენი, რომ თვალთ დამიბნელდა, თითქოს დავბრმავდი. რამდენიმე წუთში ნელ-ნელა განათდა. გავიფიქრე: „ნამდვილად სიკვდილის დრო მოვიდა. კარგი იქნება, თუ პირით ყიბლასკენ დავწვები“. მერე ვთქვი: „ყველა მუსლიმი სიკვდილის წინ ყიბლას უყურებს. რა დაშავდება, თუ მე ცას შევხედავ?!“ ზურგზე დავწექი, მაგრამ ვერ მოვისვენე. შიმშილისგან მუცელი ხერხემალზე მქონდა მიკრული და ძალიან მტკიოდა. გვერდზე გადავბრუნდი, მაგრამ მაინც ვერ დავიძინე.

წამოვჯექი და თავი მოხრილ მუხლებზე დავდე. ტკივილი ცოტა მომეშვა. კარგად ვიცოდი, ცუდად რატომ ვიყავი და ეს რომ არა, სხვა არაფერი მჭირდა. ისევ მომეჩვენა, რომ მოვკვდი, მაგრამ მერე დავინახე, რომ ხელ-ფეხს ვამოძრავებდი. ვთქვი, იქნებ მკვდარი ვარ და მეჩვენება-მეთქი. ხელის ზურგზე ვიკბინე და ტკივილი რომ ვიგრძენი, ვირწმუნე, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი. ისევ გამიჭირდა სუნთქვა და სიკვდილის მოახლოება ვიგრძენი. თავიდან წუთებს ვითვლიდი, მერე სუნთქვის თვლა დავიწყე, მაგრამ უკეთესობა არ ჩანდა.

ამასობაში დარაჯი მოვიდა და მითხრა: „დღეს ძალიან ფერმკრთალი მეჩვენებით. ვშიშობ, რომ ამ უცხო ქვეყანაში ავად გახდით. კარგი იქნებოდა, გემკურნალათ“.

ვუპასუხე: „მეძინება და გთხოვ, მარტო დამტოვე. მთელი ღამე არ მძინებია და ასე იმიტომ ვარ“.

წავიდა და დაახლოებით ორი საათი მშვიდად ვიყავი. ვლოცულობდი და ღმერთს ვეხვეწებოდი: „ღმერთო, ხომ იცი, რომ მხოლოდ შენი მჯერა და სულით ხორცამდე შენ გემორჩილები. სიკვდილისთვის მზად ვარ და არც ჯოჯოხეთის მეშინია და არც სამოთხეზე ვოცნებობ. ისეთ დღეში ნუ ჩამაგდებ, რომ შენს ქმნილებებთან შენზე დავიჩივლო". უცებ კარზე დააკაკუნეს. ენით აუწერელ მდგომარეობაში ჩავვარდი. ვკითხე: „ვინ არის?".

მიპასუხა: „ესა და ეს კაცი მინდა" და ჩემი სახელი მითხრა.

ვუთხარი: „აქ ასეთი არავინ არის".

წავიდა და დარაჯთან ერთად დაბრუნდა. დარაჯმა ჩემზე ანიშნა და მითხრა: „ერთ ადგილას გეპატიჟებიან". ვუთხარი: „ცუდად ვარ". ჩამაცივდა: „ეს კაცი თქვენთან ერთმა დიდგვაროვანმა გამოგზავნა. გთხოვთ, წახვიდეთ". გამახსენდა, ამ საწყალმა დარაჯმა რამდენი სიკეთე გამიკეთა, ამიტომ უარი ვეღარ ვუთხარი და დავთანხმდი. გავიფიქრე: „რა იქნება, ყველამ თავი დამანებოს, რომ მოვკვდე და დავისვენო". კედელს ჩავეჭიდე და ძლივს წამოვდექი, მაგრამ ვიგრძენი, რომ სიარული არ შემეძლო. დარაჯს ვუთხარი: „ძმაო, არ შემიძლია, თავი დამანებე. ვნახოთ, იქნებ ხვალ უკეთ გავხდე". მითხრა: „არ შეიძლება, შორს არ არის, წადით და მალე დაბრუნდით, მერე კი რამდენიც გენებოთ, იმდენ ხანს იწექით". ერთი სიტყვით, დიდი წვალებით გავუდექი გზას. როგორც იქნა, ერთ სახლში მივედით. მსახურმა მითხრა: „ერთი წუთით მოითმინეთ, ახლავე მოვალ". ცოტა ხანში დაბრუნდა და მისაღებ ოთახში შემიძღვა. მივდიოდი და თან ვფიქრობდი: „ღმერთო დიდებულო, რატომ არ მაცლიან სიკვდილს? ამ სომეხ კაცს ჩემგან რა უნდა?!" დანიშნულ ადგილზე რომ მივედით, მსახურმა კარი გამიღო და წინ გამიშვა. დარბაზში შესვლისთანავე სირცხვილისგან აზრზე მოვედი და ძველი მოსასხამი გავიხადე, რომ არ დაენახათ. [მსახურმა] სკამი შემომთავაზა. მოშორებით დავჯექი და ჩემთვის ვთქვი: „შე საწყალო სულელო, როგორც ჩანს, ამ ქვეყანაზე ჯერ კიდევ მაგრად ხარ მიჯაჭვული, თორემ აქამდე როგორ არ მოკვდი?" ერთი სიტყვით, სკამზე ვიჯექი და ვცდილობდი, რომ [ამქვეყნიური] ვალდებულებები დამევიწყებინა და სიკვდილს დავნებებულიყავი. მსახური არ ჩანდა. რამდენჯერმე სახლში დაბრუნება დავაპირე, მაგრამ ძალა არ მეყო. შევეგუე იმ აზრს, რომ აქედან ცოცხალი ვეღარ გავაღწევდი. გავიფიქრე: „შენ ვინ ხარ და რა ხარ? რაც ბედისწერის წიგნში გიწერია, იმას მაინც ვერ გაექცევი". უცებ დავინახე, რომ დარბაზობა დამთავრდა და ერთი კაცის გარდა, ყველა წავიდა. ის კაცი ნამოდგა, გარეთ გავიდა, მაგრამ მალევე შემობრუნდა და დარბაზის თავში თავისი სკამი შემომთავაზა. დარცხვენილი მივედი და დავჯექი. სომხურად მკითხა: „რას აკეთებ?" ვუპასუხე: „სიცოცხლეს, როგორც ამ ქვეყნად ჩემი ყოფნის საფასურს, ვფლანგავ". მკითხა: „რა გაწუხებს?" ვუპასუხე: „უმეცრება".

ვხედავ, თვალები ცრემლით აევსო და თქვა: „დიდებულო ღმერთო, ეს ირანელები რა ხალხი ყოფილა, რომ ასეთ მდგომარეობაშიც კი სწავლასა და ცოდნაზე ფიქრობენ. ჩვენ კი უფასო სკოლები გვაქვს, მაგრამ სწავლა არ გვინდა". ეს თქვა და დადუმდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მითხრა: „გთხოვთ, როგორც ძმას, ისე შემომხედოთ. ნუ გრცხვენიათ, რაც გინდათ, მთხოვეთ, სულით და გულით მზად ვარ, გემსახუროთ. მინდა, ცნობილი ნერსესის (Bersenes)

სკოლის[158] მასწავლებლად დაგნიშნოთ. ამას საკუთარი სახელისთვის ვაკეთებ, რადგან თქვენი სამსახური იგივე კაცობრიობის სამსახურია. ჩემი ვალია დავეხმარო მას, ვინც სიკეთისა და სიყვარულისკენ ისწრაფვის. გარდა ამისა, რადგან თქვენ სომხურ ენას სწავლობთ, ყველა სომეხის ვალია, რომ თქვენ გემსახუროთ და რადგან ცოდნას ეძებთ, ყველა ადამიანის ვალია, რომ თქვენ დაგეხმაროთ". ეს დიდებული კაცი ასე თბილად და თავაზიანად ლაპარაკობდა, მე კი იმას ვფიქრობდი, რა ყბედია-მეთქი. როცა დაინახა, რომ გონზე არ ვიყავი, მითხრა: „ადექით, სახლში წავიდეთ". ხელი ჩამჭიდა და გარეთ გამომიყვანა. ქვევით რომ ჩავდიოდით, გავჩერდი და გზა დავუთმე, მაგრამ მან კატეგორიული უარი მითხრა და წინ გამიშვა. გავიფიქრე, დიდი-დიდი თქვან, ცუდი მანერები აქვსო და ნელ-ნელა დავეშვი კიბეზე, მაგრამ ყველა საფეხურზე მეჩვენებოდა, რომ ახლა დავეცემოდი და სანამ ქვევით ჩავაღწევდი, მოვკვდებოდი. მითხრა: „თუ გნებავთ, *კალიასკას* მოვაყვანინებ". ეტლში ჩავსხედით და მასთან სახლში წავედით. ვხედავ, მისი ცოლი და შვილები შემომეხვივნენ. შუათანა ვაუმა თქვა: „მამა, ეს ძალიან კარგი კაცია. მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ის გამუდმებით სწავლობს. რა სამწუხაროა, რომ ცუდად არის. კარგი იქნებოდა, ემკურნალა. ცუდია, რომ ასეთი კაცი უცხო ქვეყანაში ავად გახდა". ცოლმა თქვა: „რა ჭუჭყიანი ტანსაცმელი აცვია, [როგორც ჩანს] მსახური არა ჰყავს". ამ კაცმა მითხრა: „ძმაო, მზად ვარ გემსახურო და ამით ჩემს თავს გავუწიო სამსახური, რადგან დარწმუნებული ვარ, ცნობილი კაცი გახდები და მინდა ისეთი საქმე გავაკეთო, რომ ჩემი სახელი დავიწყებას არ მიეცეს. რადგან ყველა, ვისი სახელიც ამ ქვეყნად დარჩება, უკვდავებას ჰპოვებს". უბრძანა, ჩაი მოეტანათ და მითხრა: „ძმაო, მე თქვენი სახელი გაგონილი მქონდა. თქვენ შესახებ აყა გალუსტს (Āqā Kālūst) ძმამ ერევნიდან მისწერა. მას ძალიან მოუნდა თქვენი ნახვა, ის წერილი მაჩვენა და მეც თქვენი გაცნობის სურვილით ავენთე. მან დღეს გნახათ, მაგრამ რადგან ცუდი ტანსაცმელი გეცვათ, ყურადღება არ მოგაქციათ, მე კი დაგინახეთ თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ გამორჩეული ადამიანი ბრძანდებოდით. მაგრამ ზუსტად არ ვიცოდი, ის კაცი იყავით თუ არა, ამიტომ მის ვაუს ეკითხე და დავრწმუნდი, რომ არ შემეშალა. ხალხის ნასვლას დაველოდე და სახლში მოგიყვანეთ. ახლა თავი როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრძენით და ჩემი ოჯახი თქვენს სამსახურში იგულეთ". ისე სუსტად ვიყავი, რომ სახლში ნასვლაზე ვერც კი ვოცნებობდი და ვფიქრობდი: „ასე რატომ ვიტანჯები და რატომ არ ვკვდები? სიკვდილმა მე დამივიწყა და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები წაიყვანა". იმ კაცმა მკითხა: "რა გემართებათ?" ვუთხარი, კარგი იქნება, თუ ცოტას დავისვენებ-მეთქი და თავი მაგიდაზე ჩამოვდე. სუნთქვა მიჭირდა და სიკვდილის მოახლოებას ვგრძნობდი. ჩაი მოიტანეს. ვუთხარი: „არ შემიძლია დალევა". მიპასუხა: „არა უშავს, გინდ უკან ამოიღოთ, მაინც უნდა დალიოთ". სხვა რა გზა მქონდა, დავლიე, მაგრამ კიდევ უფრო დავსუსტდი. ვხედავ, სიკვდილის

---

[158] ნერსესის სემინარია (1837 წლამდე – სკოლა) თბილისის ყველაზე მნიშვნელოვანი სომხური სასწავლებელი იყო. ის 1824 წელს დააარსა არქიეპისკოპოსმა (შემდგომში სომეხთა კათოლიკოსმა) ნერსესმა. სემინარიის შენობა, რომელიც ნერსესმა თავისი ხარჯით ააგო, იდგა ახლანდელი ორბელიანის (ყოფილი კოლმეურნეების) მოედნის ტერიტორიაზე.

გარდა სხვა არაფერი დამრჩენია. ძლივს ავდექი. ბევრი მეხვეწა, რომ მათთან დავრჩენილიყავი, მაგრამ არ დავთანხმდი. მკითხა: „ხვალ მოხვალთ?" რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ამაღამ მოვკვდებოდი, ვუთხარი: „ვერ შეგპირდებით". მთხოვა: „ზეგ მაინც გადმოდით ჩვენთან საცხოვრებლად". ვუპასუხე: „თუ ცოცხალი ვიქნები, კი".

მან წვრილმანი ხარჯებისთვის 300 ქაღალდის *რუბლი* გამომიწოდა. უარი ვუთხარი, მაგრამ ჩამაცივდა და საბოლოოდ 50 მომცა. ვკითხე: „რისთვის მაძლევთ?" მიპასუხა: „ეს სკოლის ფულია. ჩვენ მოვითათბირეთ და სპარსული ენის მასწავლებლად დაგნიშნეთ და ეს თქვენი ხელფასია". ვუთხარი: „მე ჯერ არაფერი გამიკეთებია, რომ გასამრჯელო ავიღო. თანაც, 50 *რუბლი* სულ არ ვღირვარ". მითხრა: „ეს ბანკნოტი აიღეთ, უარს ნუ მეტყვით, მეწყინება". გავიფიქრე, ღმერთის ნება ასეთია და უნდა დავთანხმდე-მეთქი. ფული ავიღე და ვნახე, რომ ათმანეთიანი იყო. წასასვლელად მოვემზადე. ამ კაცმა მითხრა: „რა მოუთმენელი ხართ, მოიცადეთ". ბრძანა, რომ *კალიასკა* მოეყვანათ, მეეტლეს ფული მისცა და ჩემი მისამართი უთხრა. დავემშვიდობე და წამოვედი, მაგრამ მთვრალივით ვბარბაცებდი. ჩემი ქარვასლის ახლოს ერთი ჰამადანელი კაცი მოხარშულ ხორცს ჰყიდდა. ცოტა ფული მივეცი და ვთხოვე, პური, ხორცი და ბულიონი ჩემს ოთახში ამოეტანა. კიბეებზე ძლივს ავედი. ოთახში რომ შევედი, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ, თითქოს, ცხოვრების უმთავრეს მიზანს მივაღწიე. ძალიან გახარებული ვიყავი, რომ ღმერთმა ისე გამომიგზავნა დახმარება, რომ არავისთან სათხოვნელად წასვლა არ დამჭირდა. უსაზღვრო ბედნიერებისგან ტირილი დავიწყე. ამასობაში მზარეულის შეგირდმა პური, ბულიონი და ხორცი მომიტანა და წავიდა. ვცადე, ერთი ლუკმა პური მეჭამა, მაგრამ ვერ შევძელი. ყელში არ გადამდიოდა, რადგან მთელი სასა და ტრაქეა გამომშრალი მქონდა. დიდი წვალებით ცოტა ბულიონი მოვსვი და ყელი დამირბილდა.

ნელ-ნელა მადა მომივიდა. რამდენიმე ნაჭერი ხორცი შევჭამე. მომწყურდა. ცოტა წყალი დავლიე და ღმერთს მადლობა შევსწირე. ძალიან სუსტად ვიყავი. ძილი მომერია და დავიძინე. დილით ისევ ის კაცი და დარაჯი მოვიდნენ. როცა ნახა, როგორ ვცხოვრობდი, გაოცდა და მკითხა: „ასეთ პირობებში როგორ ცხოვრობთ?" ვუპასუხე: „კეთილმოწყობილი ადგილი რომ იყოს, სულ ვიწვებოდი და სწავლას ვერ მოვახერხებდი". მითხრა: „თქვენნაირი კაცი ნებისმიერ სიტუაციაში მოახერხებს მეცადინეობას. აფერუმ, თქვენს გამძლეობას. ლოგინი და თეთრეული სადა გაქვთ?" ვუპასუხე: „ხომ გითხარით, რომ ჩემთვის სულერთია ძილიცა და თეთრეულიც". მითხრა: „ჭეშმარიტად, სნორედ თქვენნაირები ხდებიან საქვეყნოდ ცნობილები და არა ჩვენი ხალხი, რომელიც ნასუქ ძროხას ჰგავს".

მერე მან დაწვრილებით მიამბო წინა დღის ამბები: „აყა გალუსტს ერევნიდან მისწერეს, რომ არის ერთი ასეთი და ასეთი არაჩვეულებრივი კაცი, უეჭველია, იცნობთო. ძალიან შეწუხდა, რომ თქვენი მისამართი არ იცოდა. ბოლოს თქვენი ადგილსამყოფელი თქვენი მოწაფისგან გავიგეთ და მსახური გამოვაგზავნეთ. ვიცოდი, რომ არავის არ ხვდებოდით, ამიტომ დავაბარეთ, რომ აუცილებლად თან წამოეყვანეთ. ოთახში რომ შემოხვედით, [აყა გალუსტმა] რუსულად მითხრა: ჩემი ძმა ძალიან გულუბრყვილო კაცია. ეს კაცი არაფრით გამორჩეული არ ჩანს. სანამ ყველა არ წავიდა, არაფერი ვუთხარი. აი, ასე მოხდა, რომ თქვენ შეგაწუხეთ".

ცოტა ხანი იჯდა და მერე მითხრა: „ადექით, წავიდეთ". უარი ვუთხარი. ჩამაცივდა, მაგრამ ვერ დამიყოლია. მითხრა: „თქვენ გუშინ პირობა მომეცით, რომ ორ დღეში მოხვიდოდით, ამიტომ დღეს წამოსვლას ვერ გაიძულებთ. მაგრამ ხვალ თუ არ წამომყვებით, თავს არ დაგანებებთ". გავჩუმდი. გაიცინა და თქვა: „განძი ნანგრევებში მანამდე რჩება, სანამ ხალხმა მის შესახებ არაფერი იცის. მაგრამ როგორც კი მის ადგილსამყოფელს იგებენ, მას ხელს აღარ უშვებენ. დღევანდელი დღე თქვენს განკარგულებაში იყოს". ადგა, ხელი ჩამომართვა და წავიდა. დარაჯს დავუძახე და ამ კაცის ვინაობა და სადაურობა ვკითხე. მიპასუხა: „მას აყა ჰამბარცუნი (Hambārsūn) ჰქვია, ოსმალეთიდან არის, მაგრამ დიდი ხანია ამ *ვილაიეთში* ცხოვრობს. ის ცნობილი საზოგადო მოღვაწეა და მდიდარი და კეთილშობილი კაცია". ძალიან გამიკვირდა და გამიხარდა. ღმერთს მადლობა შევსწირე.

დათქმულ დროს მოწაფე მოვიდა. ჩემი დანახვა ძალიან გაუხარდა და მითხრა: „მადლობა ღმერთს, რომ ახლა კარგად ხართ". ვუთხარი: „დიახ, გამოვჯანმრთელდი". მკითხა: „თქვენი ავადმყოფობის მიზეზი გაარკვიეთ?" ვუპასუხე: „მუცელი მაწუხებდა". მკითხა: „თქვენ ექიმობაც იცით?" ვუთხარი: „ექიმობა არა, მაგრამ საკუთარი თავის ამბავი კი კარგად ვიცი".

ერთი სიტყვით, გაკვეთილი ჩამიტარა და წავიდა. უსაზღვროდ ბედნიერი და იმედებით აღსავსე შევუდექი მუშაობას. ასე გავატარე ის დღე და ღამე. დილით აყა ჰამბარცუნის მსახური მოვიდა და მითხრა: „ბატონმა მოკითხვა შემოგითვალათ და გადმოგცათ, რომ თქვენი ბინა მზად არის. წამობრძანდით". მივხვდი, რომ სხვა გზა აღარ მქონდა, უნდა დავმორჩილებოდი. ღმერთს მივენდე და წასასვლელად მოვემზადე. მკითხა: „ბარგი რა გაქვთ?" ვუპასუხე: „ეს ჭიქა და ტახტი სხვისია. ეს სახელმძღვანელო ჩემი მოწაფის არის, ანბანი – დარაჯის". დარაჯს დავუძახე და ვკითხე: „თქვენი რამდენი მმართებს?" მითხრა: „არაფერი, იმასაც ვნანობ, რომ თავიდან გართმევდით ფულს. ნება მიბოძეთ, უკან დაგიბრუნოთ". ვუთხარი: „ვერ გამოგართმევთ, რადგან შეიძლება, უკან დავბრუნდე". დავემშვიდობე და მსახურს გავყევი. ერთ სახლში მიმიყვანა და მითხრა: „ამიერიდან აქ იცხოვრებთ, მაღლა ადით". ბინა ძალიან მომეწონა. შიგ რამდენიმე სკამი, დასაძინებელი ტახტი და სამუშაო მაგიდა იდგა. მაგიდაზე სანერი საშუალებები, ლამფა, ჭურჭელი და სხვა აუცილებელი ნივთები იდო. დასასვენებლად დავჯექი. მსახური წავიდა. ნაშუადღევს აყა ჰამბარცუნი მესტუმრა და ახალსახლობა მომილოცა. მითხრა: „ეს ბინა თქვენ გეკუთვნით. იმედი მაქვს, ამიერიდან კარგად იქნებით და ბოლოს და ბოლოს მთელ ყურადღებას საკუთარ მიზნებს დაუთმობთ". ცოტა ხანი ვისაუბრეთ და წავიდა. მეორე დღეს კაცი გამომიგზავნა და თავისი სტამბის დასათვალიერებლად დამპატიჟა. წავედი და ასოთამნყობის პროფესია ძალიან მომეწონა. ყურადღებით დავაკვირდი, მერე კიდევ რამდენჯერმე მივედი, სანამ ასოების აწყობა არ ვისწავლე, მაგრამ ამასობაში ლაპარაკი[159] სულ დამავიწყდა.

---

159 „ლაპარაკის" აღსანიშნავად ავტორი ხმარობს კომპოზიტს "სიტყვათანყობა" და ამით სიტყვათა თამაშის ეფექტს ქმნის: ასოთა აწყობა (horufchīnī) და სიტყვათანყობა (sokhanchīnī).

ერთი სიტყვით, სანამ თბილისში ვცხოვრობდი, სპარსული ენის მასწავლებლად ვმუშაობდი. ყოველ საღამოს ქუჩებსა და ბაღებში ვსეირნობდი. ძირითადად მუსლიმების მოჯთაჰედის ბაღში[160] დავდიოდი. ნელ-ნელა უფრო კარგად და სუფთად ჩავიცვი. ერთ დღეს ჩემს თავს ვუთხარი: „რამდენიმე თვის წინ არც ენა იცოდი და არც პროფესია გქონდა, ახლა კი ენებიც იცი და ხელობაც". ძალიან ბედნიერი ვიყავი. ქალაქში ყველა მიცნობდა და პატივს მცემდა, მაგრამ კარგად ვაცნობიერებდი, რომ მთელი ჩემი პოპულარობა აყა ჰამბარცუნის დამსახურება იყო.

ერთ დღეს ჩემი სახლის კარი გაიღო და თეთრწვერა კაცი შემოვიდა. მომესალმა და სპარსულად მომიკითხა. ვუთხარი: „უკაცრავად, მე თქვენ არ გიცნობთ". მითხრა: „ირანის აზერბაიჯანიდან, ურმიას რაიონიდან გახლავართ და ჩემი სახელია ყაშადინხა. ქრისტიანი, ქალდეველი კათოლიკე ვარ. თქვენზე ბევრი მსმენია. ძალიან მინდოდა თქვენი გაცნობა და ამიტომ მოვედი". დიდი მადლობა გადავუხადე. ყაშადინხა თავაზიანი, გულთბილი, კარგი მოსაუბრე და ზრდილობიანი კაცი იყო. მისი სახე კეთილშობილების კვალს ატარებდა. მისალმების შემდეგ მითხრა: „მიხარია თქვენთან შეხვედრა. დასანანია, რომ ირანის ყველა ქალაქში სკოლა არ არის, თორემ თქვენნაირ ნიჭიერ და სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას განათლება უკვე მიღებული ექნებოდა. აფსუს, რომ ამდენი დრო დაკარგეთ, რადგან მალე სწავლას ველარ შეძლებთ". ვუპასუხე: „განათლების მიღების ორი გზა არსებობს: როცა ყველანაირი ხელშემწყობი პირობები გაქვს და როცა სწავლისთვის აუცილებელი ნივთებიც კი არ გაგაჩნია. მაგრამ კეთილმოწყობილ გარემოში სწავლა ყველას შეუძლია, დასაფასებელი კი ის არის, ვინც მიუხედავად იმისა, რომ არანაირი ხელშეწყობა არა აქვს, მაინც ახერხებს ცოდნის შეძენას". მკითხა: „ნუთუ ასაკს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს?" ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ მე თუ ბავშვობაში ვისწავლიდი, ეს სხვების დამსახურება იქნებოდა და მე არაფერ შუაში ვიქნებოდი. ახლა კი კარგი ის არის, რომ ჩემით ვსწავლობ". მითხრა: „ახლა თქვენ განათლება უკვე მიღებული უნდა გქონდეთ და საკუთარი პროფესიით მშვიდი ცხოვრებისთვის საჭირო პურის ფულს უნდა შოულობდეთ". ვუთხარი: „ამ შემთხვევაში, რა განსხვავება იქნებოდა ჩემსა და შავ მუშას შორის? მუშა ბევრია. რამდენიმე დღის წინ ბაღლინჯოებით სავსე ბინაში ვცხოვრობდი და ამიტომ ცოტა მეძინა და ბევრს ვმუშაობდი. ახლა კომფორტულად ვცხოვრობ, მაგრამ მეცადინეობისთვის ველარ ვიცლი. ერთი ცხადია, რომ ცოდნის ძიების გზაზე სიკვდილი უკეთესია, ვიდრე უმეცრებაში გატარებული ცხოვრება. ვაჭრობაში ხან სარგებელს და ხან ზარალს ნახულობ. საქონელი შესაძლოა ზღვაში ჩაიძიროს, ან სხვა მიზეზით დაიკარგოს, მაგრამ შესაძლოა მოგება მოგიტანოს. მე ცხოვრების გატეხილ გემზე საკუთარი თავი სავაჭროდ დავდე. თუ უცოდინრობის მორევში ჩაძირვას გადავურჩები, ცოდნის სიმდიდრეს დავაგროვებ, მაგრამ თუ დავიხრჩობი, ესეც არაფერია. ბევრი ყოველმხრივ ჩემზე უკეთესი დაღუპულა ამ გზაზე და ქვეყანაზე არაფერი შეცვლილა. ჩემი სიკვდილითაც ამ ქვეყანას ბევრი არაფერი დააკლდება". მითხრა: „ჩემო ძმაო, ჩემო შვილო, კუჭს ჭამა უნდა, მარტო აწ-

[160] იხ. შენიშვნა 78.

მყოზე კი არა, მომავალზეც უნდა იფიქრო". ვუპასუხე: „ჩემო ბატონო, ჩემო მეგობარო, სიკვდილისთვის მზად ვარ. თუნდაც მიზანს ვერ მივაღწიო, იმითაც კმაყოფილი ვიქნები, რომ ვერავინ ზარმაცს ვერ დამიძახებს და თუ მივაღწევ მიზანს, მით უკეთესი". მთელი გულით შემაქო და მითხრა: „რადგან ასეთი მონდომებული ხართ, აუცილებლად მიაღწევთ მიზანს. სანამ სამყარო არსებობს, ღმერთი თქვენნაირ ცოდნის მძებნელს არ მიატოვებს".

ადგა და წავიდა. მეორე დღეს საღამოს სტუმრად დამპატიჟა. მისი სახლი ბაღის პირას იდგა. კვირა დღე იყო და სანამ მასთან შევიდოდი, ბაღში გავისეირნე.

რამდენიმე ხანი ასე ვცხოვრობდი: დავდიოდი თეატრში და სხვა გასართობ ადგილებში, ბაზრის დღეებში ბაზარში მივდიოდი, სკოლაში გაკვეთილებს ვატარებდი, დანარჩენ დროს კი ენებისა და სასტამბო საქმის სწავლას განვაგრძობდი. აყა ჰამბარცუნი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებული იყო, ხან ჩემთან სახლში მოდიოდა, ხან კი თავისთან მპატიჟებდა. რადგან სტამბა სახლთან ახლოს იყო, იქ ტანსაცმელს ვიცვლიდი და ვმუშაობდი. ძველი ტანსაცმელი კარგად შევინახე, რომ ჩემი უწინდელი მდგომარეობა არ დამვიწყებოდა.

ერთ დღეს ყაშადინხა მესტუმრა, ჩემი ჩანაწერებიდან ნაწყვეტები წაიკითხა და ძალიან შეწუხდა. რატომღაც ხალხში ხმა გავრცელდა, რომ მე ალქიმიკოსი ვიყავი და ელექსირით გატაცებულები მოსვენებას არ მაძლევდნენ. მიუხედავად ჩემი კატეგორიული უარისა, [ალქიმიკოსობას] სულ უფრო და უფრო მეტი დაჟინებით მომაწერდნენ.

ერთხელ ჩემთან მირზა ფათჰალი მოვიდა. ეს ირანელი მწერალი წლების განმავლობაში ამ ქვეყანაში მსახურობდა[161]. დიდხანს ვისაუბრეთ. შევჩივლე, რომ ხალხს ალქიმიკოსი ვეგონე და ამ ხმებით თავს მაბეზრებდნენ.

მითხრა: „რა გაწუხებს? ისარგებლე და ამ სულელებს რაც შეიძლება მეტი გამოართვი". ვუპასუხე: „ერთი ხალხური ანდაზაა: მრუდე საპალნე სადგომს ვერ მიაღწევს. ჩემი სადგომი ძალიან, ძალიან შორს არის და სიმრუდეს ვერ ეგუება. წყალობას ღმერთი თავად მომცემს".

თანდათანობით ჩემთან სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი მოდიოდა, იმდენად, რომ სწავლის დროც კი აღარ მრჩებოდა და ჩემი მუშაობა მხოლოდ სკოლით და სტამბაში სიარულით შემოიფარგლებოდა. სახლში ჩემს თავთან განმარტოებას და საკუთარ საქმეებზე ფიქრს საღამოობითაც კი ვერ ვახერხებდი.

ერთ დღეს ყაშადინხა მოვიდა და სასეირნოდ წასვლა შემომთავაზა. ნავედით და მდინარე მტკვრის პირას ხიდის გვერდით დავსხედით. საუბრისას მითხრა, რომ ძალიან განიცდიდა რომის დატოვებას. ქალაქზე ბევრი რამ მიამბო და მითხრა: „თქვენ ენების სწავლაზე ამდენ შრომას ხარჯავთ. კარგი იქნება, თუ რომელიმე საერთაშორისო ენას ისწავლით. ხომ ხედავთ, რომ ფრანგულს ყველა სკოლაში ასწავლიან, რადგან დღეს ყველაზე საჭირო ენაა. სცადეთ, ფრანგული ისწავლოთ". ვუპასუხე: „ჯერჯერობით თურქულისა და სომხურის სწავლა

---

161 იგულისხმება ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი მირზა ფათჰალი ახუნდოვი (ახუნდზადე) (1812-1878), რომელიც 1834 წლიდან სიკვდილამდე თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

არ დამიმთავრებია. მირჩევნია, ჯერ ეს ორი ენა ვისწავლო სრულყოფილად. ღმერთი დიდია და იქნებ ცოტა ხანში ფრანგულის სწავლაც მოვახერხო. მაგრამ თბილისზე გული მაქვს აცრუებული". მითხრა: „ერთ რჩევას მოგცემთ. თუ თურქულის სრულყოფილად სწავლა გინდათ, იზმირელ სომეხს იაყუბს მიაკითხეთ და ლიტერატურულ თურქულს ის გასწავლით. ამ *ვილაიეთში* ნასწავლი თურქული კი არაფრად ვარგა. თავს მოვალედ ვთვლი, რომ იაყუბი გამოგიგზავნოთ". ვკითხე: „ჩემთან ცხოვრებას არ დათანხმდება?". მითხრა: „ვნახოთ". ავდექით და სახლებში წავედით.

მეორე დღეს ყაშადინხა ვიღაც კაცთან ერთად მოვიდა და მითხრა: „ეს ის იაყუბია, გუშინ რომ გეუბნებოდით". ცოტა ხანს ჩამოსხდნენ და ათას რამეზე ვისაუბრეთ. ვკითხე, სად ცხოვრობდა. ლაპარაკი ოსმალური თურქულის სწავლაზე ჩამოვარდა. იაყუბს ვუთხარი: „ყაშადინხასთან საუბრის შემდეგ ძალიან მომინდა თქვენი გაცნობა. კარგი იქნება, თუ ერთად ყოფნის დროს ოსმალურ თურქულად ვილაპარაკებთ. იქნებ რამდენიმე სიტყვა დავიმახსოვრო და ეს თქვენგან საუკეთესო სახსოვარი იქნება ჩემთვის"[162]. მითხრა: „სულით და გულით მზად ვარ გემსახუროთ".

იმ დღეს ამით დავკმაყოფილდი და მეორე დღეს მასთან სახლში მივედი. ვნახე, რომ კარგი ოთახი არ ჰქონდა და თან ცხოვრობდა მეზობელთან ერთად, რომლითაც მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყო. ვუთხარი: „მეც მარტო ვარ. თუ საცხოვრებლად ჩემთან გადმოხვალთ, ძალიან გამიხარდება და მადლობელი დაგრჩებით". დამთანხმდა და ჩემს ბინაში დასახლდა.

გაკვეთილს ყოველ დღე მიტარებდა და ერთ დღესაც არ აცდენდა. ნელ-ნელა აცივდა, მაგრამ მე თურქულის სწავლით ვიყავი ანთებული[163]. იაყუბი ბევრს მიყვებოდა სტამბოლზე, მიმტკიცებდა, ქვეყნად მეორე ასეთი ქალაქი არ არსებობსო. ვუთხარი: „თუ ცოცხალი ვიქნები, როცა დათბება სტამბოლში წავალ". სტამბაში სიარულს თავი დავანებე და მთელი ენერგიით თურქულის სწავლა განვაგრძე.

ცოტა რომ დათბა, იაყუბს ვთხოვე, აყა ჰამბარცუნისთვის ჩემი სტამბოლში წასვლის გადანყვეტილების შესახებ ეთქვა და მისი აზრი გაეგო. ერთ დღეს აყა ჰამბარცუნი მოვიდა. იაყუბმა უთხრა: „თუ ნებას მისცემთ, საიიაჰს სტამბოლში უნდა წასვლა". შევატყვე, რომ არ ესიამოვნა, მაგრამ თქვა: „ვიცოდი, რომ ეს კაცი ამ ქვეყანაში ცხოვრებით არ დაკმაყოფილდებოდა. მის სურვილს ვეთანხმები და სიკეთეს ვუსურვებ. ის, რაც მისთვის არის კარგი, ჩემთვისაც კარგია". ძალიან გამიხარდა, რომ უარი არ მითხრა. ცოტა ხანში ადგა და წავიდა. იაყუბს დახმარებისთვის დიდი მადლობა გადავუხადე.

ნელ-ნელა ყველა ჩემმა ნაცნობმა გაიგო, რომ სტამბოლში მივდიოდი. ერთ დღეს აყა ჰამბარცუნთან მივედი და ვუთხარი: „ყოველთვის და, განსაკუთრებით, ამ მოგზაურობაში ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი მხარდაჭერა. თქვენ ჩემდამი უსაზღვრო სიკეთე გამოიჩინეთ. ახლა შემიძლია, დარჩენილი ცხოვრება საკუთარი სურვილისამებრ გავატარო, რადგან უკვე ხელობა ვიცი. როგორც კი

---

[162] ისევ სიტყვების თამაში.

[163] ისევ სიტყვების თამაში.

ნებას დამრთავთ, მაშინვე გავემგზავრები". მითხრა: „ჩემო ძვირფასო, თუ თქვენი მიზანი მეტი შემოსავალია, სამი სამუშაო შემიძლია შემოგთავაზოთ: ერთი სტამბა, მეორე თამბაქოს ქარხანა და მესამე სახელმწიფო სამსახური, სადაც მე ვმუშაობ. რომელსაც აირჩევთ, იმას ჩაგაბარებთ და ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნებით. მთავარია, რომ თქვენ იყოთ კმაყოფილი".

ვუთხარი: „ენით ვერ გამოვთქვამ, მაგრამ ღმერთმა ხომ უწყის, თქვენი როგორი მადლობელი ვარ. რომ ვიცოდე, რომ ჩემი დარჩენით რაიმე სარგებელს მოგიტანდით, მთელ ცხოვრებას თქვენს სამსახურში გავატარებდი. მაგრამ ვხედავ, რომ აქ კიდევ ორმოცდაათი წელიც რომ დავრჩე, ყოველი ასეთი დღე ბოლო იქნება ჩემთვის. თქვენ ისეთი კეთილშობილი და დიდსულოვანი ხართ, დარწმუნებული ვარ, თქვენს კეთილგანწყობას არასოდეს მომაკლებთ. რომელ სამუშაოს დავთანხმდე? ახლა სკოლაში ვასწავლი და ძალიან მრცხვენია, რადგან ვიცი, რომ სკოლისთვის არანაირი სარგებელი არ მომაქვს. სადაც არ უნდა ვიყო, თქვენს სიკეთეს არ დავივიწყებ და თუ, ღმერთმა ნუ ქნას, დამავიწყდება, ჩემი სხეული ჩემს არსს დაგმობს".

მითხრა: „მისი აღმატებულება ახუნდი მოლა აჰმადი, ესრაფილ ბეგი და აყა მირზა ფათჰალი მეგობრად გთვლიან. ამიტომ რჩევა მათაც ჰკითხეთ და ნახეთ, რას გეტყვიან".

ავდექი და მათთან წავედი, მაგრამ ეს აყა ჰამბარცუნის ხათრით გავაკეთე, თორემ მათი აზრი ჩემთვის არაფერს ცვლიდა. ვუთხარი: „თქვენთან გამოსამშვიდობებლად მოვედი". ისინიც დავითანხმე. საღამოს სახლში დავბრუნდი. მომავალი მოგზაურობით აღელვებულმა მთელი ღამე თეთრად გავათენე. დილით ყაშადინხა მოვიდა და მითხრა: „გავიგე, რომ სამოგზაუროდ მიდიხართ". ვუთხარი: "დიახ, თქვენმა საუბარმა წასვლისკენ მიბიძგა". მკითხა: „საით აპირებთ?" ვუპასუხე: „სტამბოლში". მითხრა: „ფოთამდე (Pūtī) გაგაცილებთ. როცა არ უნდა წახვიდეთ, მე მზად ვარ". ვუთხარი: „აყა ჰამბარცუნის ნებართვას ველოდები, მე თვითონ ვერ ვწყვეტ. მისი ისეთი მადლობელი ვარ, რომ არ მინდა, გული ვატკინო".

ყაშადინხა თავად წავიდა აყა ჰამბარცუნთან და მისგან ნებართვა აიღო. გადავწყვიტეთ, რომ სამ დღეში გავემგზავრებოდით, ფოთამდე ერთად ვიელიდით, მერე კი ის ოდესაში (Ūdesā) წავიდოდა, მე კი სტამბოლისკენ განვაგრძობდი გზას.

ამ სამი დღის განმავლობაში ყველა ნაცნობს დავემშვიდობე. აყა შეიხ აჰმადთან მივედი და [წასვლის] ნებართვა ვთხოვე. გარეგნულად სინანული გამოხატა, მაგრამ შევატყვე, რომ გულის სიღრმეში ძალიან გაუხარდა. მესამე დღეს აყა ჰამბარცუნი მოვიდა და მითხრა: „რადგან საზღვარგარეთ მიდიხართ, პასპორტი დაგჭირდებათ". ვკითხე: „სად უნდა ავიღო?" მიპასუხა: „ამაზე ნუ იფიქრებთ, მე უკვე გავაგზავნე კაცი და მალე მოიტანენ". ერთ საათში ირანის საელჩოს თარჯიმანი მირზა ბარსიყი მოვიდა და პასპორტი მომიტანა. როგორ არ ვთხოვე, ფასი ეთქვა, უარი მითხრა: „ფული არ მიმიცია. თანამემამულეების სამსახური ჩემი ვალია. თქვენ [აქაურებისთვის] უცხო ხართ და, მიუხედავად ამისა, მათ ასეთი სამსახური და მეგობრობა გაუწიეთ. ჩვენ კი ერთი ქვეყნის შვილები ვართ და როგორ შეიძლება, რომ არ გემსახუროთ". ერთი წყვილი ძალიან კარგი ჩექ-

მა მაჩუქა და მითხრა: „თქვენი მოწყალების საკადრისი არაფერი მაქვს, მაგრამ მინდა, რომ ეს ჩექმა ჩემგან სახსოვრად გქონდეთ". ვუთხარი: „ფეხი, რომელზეც თქვენი ნაჩუქარი ფეხსაცმელი მეცმევა, ჩემთვის თავზე უფრო ძვირფასი იქნება".

ვხედავ, აყა ჰამბარცუნს მსახურებმა რაღაც ქაღალდები მოუტანეს. წაიკითხა, თქვა, ძალიან კარგიო და მე გადმომცა. ვკითხე: „რა ამბავია?" მიპასუხა: „ფოსტის სადგურის საშვია. გზაზე ძალიან გამოგადგებათ. სამ ცხენს მოგცემენ, რომლითაც თქვენ და ყაშადინხა ფოთამდე ჩახვალთ". დალუქული წერილი გადმომცა და მითხრა: „ეს სტამბოლში ჩემს კოლეგა ჰასან ფაშა ხანს მიეცით. ახლა კი გთხოვთ, თუ რამე გჭირდებათ, მითხარით, დიდი მადლობელი ვიქნები". ვუპასუხე, რომ სტამბოლში ჩასასვლელად ყველაფერი მქონდა და არაფერი მჭირდებოდა. კიდევ ერთი დალუქული პაკეტი მომცა და მითხრა, რომ მხოლოდ ქალაქიდან გასვლის შემდეგ გამეხსნა. მერე ხელი მომკიდა და თავისთან წამიყვანა.

სახლში რომ შევედით, მისი ცოლი და ბავშვები ტირილით შემომეხვივნენ. ძალაუნებურად მეც ავტირდი და ვთქვი: „ღმერთო, ამ ადამიანებში, რომლებსაც საერთო არც სამშობლო და არც ენა აქვთ, როგორ გააჩინე ასეთი სიყვარული და მეგობრობა?!" კიდევ უფრო მწარედ ავტირდი. ბოლოს ყველას დავემშვიდობე და წასასვლელად მოვემზადე. აყა ჰამბარცუნმა გამომაცილა და მითხრა: „გთხოვთ, თუ ჩემგან რამე გჭირდებათ, მითხარით". ვუპასუხე: „მართლა არაფერი მჭირდება". სახლიდან ერთად გამოვედით, *კალიასკაში* ჩავსხედით და მივედით ჩემს სახლში, სადაც სამცხენშებმული ეტლი იდგა. ახლოს რომ მივედი, დავინახე, რომ ყაშადინხას ჩემი ბარგი უკვე ჩამოეტანა და მელოდებოდა. აყა ჰამბარცუნს დავემშვიდობე, ეტლში ჩავჯექი და ცხენები დაიძრნენ. ყაშადინხამ ლოცვა დაიწყო, მე კი გამახსენდა, როგორ ჩამოვედი ამ ქალაქში, რა ტანჯვა გამოვიარე და ბოლოს როგორი სიყვარული მივიღე აყა ჰამბარცუნისგან. ისეთი გაოგნებული ვიყავი, თითქოს სხვა სამყაროში გადავდიოდი და თვალებიდან უნებლიე ცრემლები ჩამომდიოდა.

სანამ ყაშადინხა ლოცულობდა, მე ფანჯრიდან ვიყურებოდი და იქაურობას ვათვალიერებდი. ყაშადინხამ რაღაც მკითხა და ფიქრებიდან გამოვერკვიე. ერთ პუნქტში ცხენები გამოვცვალეთ და მალე გორში (Gori) ჩავედით. იქ ნახევარი დღე დავრჩით და ქალაქი დავათვალიერეთ.

ქუთაისი

ნაშუადღევს *კალიასკაში* ჩავსხედით და ქუთაისში (Kütays) წავედით. საკმაოდ დიდი ქალაქი აღმოჩნდა. ყაშადინხას ვუთხარი: „მოდი, ამ ქალაქში ორი დღე დავრჩეთ და კარგად დავათვალიეროთ". დამთანხმდა. *გასტინიცაში* დავბინავდით და პირველ რიგში პოლიციაში წავედით. ძალიან კარგი ადგილი იყო და იდეალური წესრიგი სუფევდა. იქიდან გავემართეთ გუბერნატორის რეზიდენციისკენ, რომელიც ასევე ძალიან მომეწონა. გზად სასამართლოს შენობა და სკოლები დავათვალიერეთ. სომხებს საკუთარი სკოლა ჰქონდათ. იქ სწავლა სომხურად მიდიოდა, რომ ბავშვებს მშობლიური ენა არ დაეკარგათ.

ქუთაისი, საერთო ხედი.
დ. ერმაკოვის ფოტოსურათი, 1880-იანი წლები.

ქუთაისში ორი დიდი უბანია, რომლებსაც ერთმანეთისგან მდინარე რიონი (Rasī) ჰყოფს. მდინარეზე აგურის მყარი ხიდია აშენებული. მოსახლეობა ძირითადად თბილისელი ქართველებია[164]... მესამე სადგური გორია (Kūrī), ხოლო მეშვიდე ქუთაისი. სადგურებს რუსული წესისამებრ *ფოჩტას* ეძახიან. ქალაქში წარჩინებულთათვის გახსნილია კლუბი, სადაც ღამ-ღამობით იკრიბებიან და დროს ატარებენ. აქ ბევრი ოსმალური ყავახანა და საზოგადო პარკია, სადაც მოსეირნეებისთვის სკამები დგას. ირგვლივ უამრავი ნაკადული და ნყლით სავსე აუზია. ერთ-ერთ წყაროზე აგებულია პატარა შავი ხიდი, რომელიც ხისა და ტყავისგან არის გაკეთებული.

აქაური წონის ერთეულები გირვანქა, ფუთი და *ზოლოტნიკია*. სამი *ზოლოტნიკი* ორი *მისხალის* ტოლია. ფულის ერთეულები კაპიკი და მანეთია, თუმცა იმვიათად ძველი ქართული ფულიც შეიძლება ნახო. მოსახლეობა ძირითადად ქართულად და რუსულად ლაპარაკობს, თუმცა თურქული და სხვა ენებიც იციან. სომხები სომხურად ლაპარაკობენ, მათ ეკლესიაშიც ნირვა სომხურად მიდის, მაგრამ რუსული ყველამ იცის. ქუთაისში მეგრელები, მუსლიმები და ებრაელებიც ცხოვრობენ.

---

[164] აქ ტექსტში რამდენიმე სიტყვა გამოტოვებულია.



ქუთაისის ებრაული უბანი. 1900-იანი წლების ღია ბარათი.



ქუთაისის ბულვარი. 1900-იანი წლების ღია ბარათი.

ორი დღის მერე ფოთისკენ გავეშურეთ. გზაზე პირველი სადგური მარანი (Maran) იყო. მდინარე რიონზე გემი იდგა. ორი საათის ლოდინის შემდეგ გემზე ავედით და ნახევარი დღე ზღვაში გავატარეთ.

ფოთი

ფოთში ჩასვლისთანავე *გასტინიცაში* გავჩერდით. ოდესისა და სტამბოლის გემების განრიგი ვიკითხე და მითხრეს, რომ ოდესის გემი სამშაბათს გადიოდა, ხოლო სტამბოლის – ხუთშაბათს. ქალალდები ამოვიღე და ისინი, რომლებსაც ფოთთან ჰქონდა კავშირი, ცალკე გადავდე. უცებ აყა ჰამბარცუნის მოცემული წერილი ვიპოვე, რომელზეც მითხრა, თბილისიდან გასვლის შემდეგ წაიკითხეო. გავხსენი და შიგ 100 მანეთი ვიპოვე. ის კეთილი კაცი კიდევ ერთხელ დავლოცე, მერე ბაზარში წავედი და ეს თანხა ოსმალურ ფულზე გადავცვალე.

მე და ყაშადინხამ ის ღამე ქალაქში გავატარეთ, დილით კი პატარა გემზე დავსხედით და დიდ გემთან მივედით. ყაშადინხა დამემშვიდობა და გემზე ავიდა. სხვა გამცილებლებთან ერთად ნაპირზე გამოვედი და სახლში დავბრუნდი. ძვირფას მეგობართან განშორების გამო ძალიან დავნაღვლიანდი. გადავწყვიტე, გულის გადასაყოლებლად სადმე წავსულიყავი, მაგრამ ქალაქში არანაირი გასართობი ადგილი, თეატრიც კი არ იყო. სხვა რა გზა მქონდა, ყავახანებში გავისეირნე. გათენებას სამი საათი აკლდა, როცა საშინლად დაქანცული სახლში დავბრუნდი. მიუხედავად დაღლილობისა, ვერა და ვერ დავიძინე და დილამდე წიგნს ვკითხულობდი. დილით ზღვის ნაპირზე გავედი და ყავახანაში შევიარე. შევამჩნიე, რომ ვიღაც სასულიერო პირი დაჟინებით მათვალიერებდა. შევატყვე, რომ ჩემს სალამს ელოდა და რომ მესიამოვნებინა, მივესალმე. გაუხარდა და თვითონაც ძალიან თბილად მიპასუხა. ერთად დავსხედით. როცა გაიგო, რომ სტამბოლში მივდიოდი, შემომთავაზა, ერთად გვემგზავრა. ნეღანდელი მისალმებისთვის დიდი მადლობა გადამიხადა და სახელი და მისამართი მკითხა. ვუთხარი. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ავდექი, დავემშვიდობე და სახლში დავბრუნდი. ნახევარ საათში სასტუმროში მეწვია, ბრონეული მომიტანა და მითხრა: „ეს ბრონეული დერბენდიდან ჩამოვიტანე. გადაწყვეტილი მქონდა, რომ ვინმე დიდი კაცისთვის მიმეცა. აქამდე ვერავისთვის გავიმეტე, მაგრამ დაგინახეთ თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ასეთი კაცი სწორედ თქვენ იყავით". ძალიან გამიკვირდა, რადგან რაც რუსეთში ჩამოვედი, სასულიერო პირისგან სიკეთე არ მენახა. როგორც ჩანს, ასეთი კეთილგანწყობა ჩემი მისალმებით დავიმსახურე. სანაცვლოდ, სახსოვრად, ჯიბის დანა ვაჩუქე. ყავა დალია და წავიდა. გავიფიქრე: „უბრალო მისალმებაზე თუ ასეთი რეაქცია ჰქონდა, „თქვენო აღმატებულებავ" რომ მენოდებინა, ხომ მეტ სარგებელს ვნახავდი".

მოსაღამოვდა. ისევ იმ ყავახანაში წავედი და იმ კაცს შევხვდი. „თქვენო აღმატებულებავ" დავუძახე და შევატყვე, რომ ძალიან გაუხარდა. საუბრის დროს მითხრა: „როგორც ჩანს, ერთი გზა გვაქვს, რადგან მე მექას მოსალოცად მივდივარ". სახელი ვკითხე და მიპასუხა, რომ ფაზელ დერბენდი ერქვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ცნობილი მოძღვარი იყო, მაგრამ საბოლოოდ სულ სხვა ვინმე აღმოჩნდა.

საღამოხანს ყავახანაში გავისეირნე, მაგრამ რადგან დილას ადრე ვიყავი ამდგარი, დიდხანს აღარ დავრჩი, სახლში მალე დავბრუნდი და დავიძინე.

დილით, გავიღვიძე თუ არა, სანაპიროზე წავედი და გემის ბილეთი ვიყიდე. შუადღემდე ორი საათი იყო დარჩენილი, როცა ღმერთი ვახსენეთ, პატარა გემში ჩავსხედით და ზღვაში გავედით. მზის ჩასვლას ორი საათი აკლდა, დიდ ხომალდზე რომ ავედით. ორთქლის გემზე პირველად ვიყავი. გემს ცეცხლი შეუკეთეს, საყვირის ხმა გაისმა და გემი დაიძრა, მაგრამ რაღაც პერიოდი ვერც კი აღვიქვი, თუ მივცურავდით.

დაღამდა. მის ბრწყინვალებას თავაზიანად ვუთხარი: „ჩემი აზრით, თქვენნაირი განსწავლული კაცი არც ხმელეთზე და, მითუმეტეს, არც ზღვაზე არ არის. კარგი იქნება, თუ გვიხელმძღვანელებთ და ერთობლივ ლოცვას წარუძღვებით". ვერ აგიწერთ, ისე ესიამოვნა. მითხრა: „ძალიან კარგი". სასწრაფოდ წამოდგა, რიტუალური განბანვა ჩაატარა და ის იყო ლოცვა უნდა დაეწყო, რომ სთხოვეს, სხვებსაც დალოდებოდა. სანამ მგზავრები მოვიდოდნენ, მისი ბრწყინვალება ერთობლივი ლოცვის უპირატესობაზე გვესაუბრა. მალე ყველა შეგროვდა და ლოცვა დაიწყო.

ბათუმი

გვითხრეს, რომ ბათუმს ვუახლოვდებოდით. ნავსადგურში ღამე შევედით და დილამდე გემი ღუზაზე დადგა. გათენდა. ვხედავ, გემთან მოცურდნენ პატარა ნავები, რომელთა მეპატრონეებიც ხალხს ნაპირზე გაყვანას სთავაზობდნენ. ერთ-ერთ მათგანში ჩავსხედით და ნაპირზე გადავედით.

ბათუმში იგივე ფულია გავრცელებული, რაც არაბეთში, ოღონდ აქ მას სხვა სახელი ჰქვია. ხურდა ფულს „*ფარას*" ეძახიან და ერთი *ფარა* 5-6 *დინარის* ტოლია. აქაურები თურქულად ლაპარაკობენ. სანაპიროზე რამდენიმე ყავახანაა, სა-

ბათუმის პორტი. 1900-იანი ნლების ღია ბარათი.

დაც ნებისმიერი საქონელი იშოვება. რაც გვჭირდებოდა, ყველაფერი ვიყიდეთ, მერე ისევ ნავში ჩავსხედით და გემზე დავბრუნდით. შუადღისთვის ტრაბზონისკენ გავემართეთ.

მშვენიერი ამინდი იდგა და ზღვა ძალიან წყნარი იყო. ნაპირზე მთები მოჩანდა. დაღამდა და ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ. ზღვაში რაღაც ნაპერწკლები გამოჩნდა. მის აღმატებულებას ვკითხე, რა იყო. მიპასუხა: „ამას არავითარი კავშირი რწმენასთან და რელიგიასთან არა აქვს, მე კი თეოლოგიის გარდა სხვა ვერცერთ მეცნიერებაში ვერ ვერკვევი. და, საერთოდ, რელიგიური თემების გარდა სხვა საკითხებზე ლაპარაკი არ მიყვარს". აღარაფერი ვუთხარი.

ღამემ ჩაიარა და მეორე დილას ტრაბზონი გამოჩნდა...

უკანა გზა

ახალქალაქი

ორი დღის მერე ახალქალაქში (Akīl Kalak) ჩავედი. აქ სომხური ქალაქების მსგავსად მშვენიერი ეკლესია იდგა, რომელთანაც სკოლა იყო გახსნილი. ძალიან ჭკვიანი მამასახლისი ჰყავდათ, რომელიც გაუთავებლად თავის ხალხზე ლაპარაკობდა. საღამოს სკოლის სპექტაკლზე დამპატიჟა. დღისით ბაზარში გავისეირნე. ქალაქში რამდენიმე *ტრაქტირი* და ერთი *გასტინიცა* იყო. პატარა მდინარის პირას, რომლის სახელიც არავინ იცის, რამდენიმე დუქანი იდგა, სადაც ნებისმიერი საქონელი ძალიან იაფად იყიდებოდა. როცა დაღამდა, სომხური სპექტაკლის სანახავად წავედი. მეორე დღეს ქალაქი დავათვალიერე, მზის ჩასვლისთვის კი საზოგადოებრივ პარკში გავისეირნე.

მიუხედავად იმისა, რომ ახალქალაქი ძალიან პატარა დასახლებაა, მასში მშვენივრად ორგანიზებული ფოსტის და პოლიციის განყოფილებები და კარგი საჯარო სკოლაა. ქუჩები ლამპიონებით არის განათებული.

როცა დაღამდა, თეატრში წავედი. ჯერ აჩვენეს პიესა ვინმე პასან ხანზე, რომელიც სომხებს სასტიკად ეპყრობოდა და ავინროებდა. საბოლოოდ, ის ერთმა გულადმა სომეხმა დასაჯა. მეორე დადგმა მეფე დართანზე იყო. დარბაზში დიდი ვნებათაღელვა იდგა. მაყურებლები განსაკუთრებით იმ მომენტში აღელდნენ, როცა ერთმა მსახიობმა ხალხს შეგონებით მიმართა: „დართანს არც ოთხი ხელი ჰქონდა და სხვებისგან არც არაფრით გამოირჩეოდა, გარდა იმისა, რომ ჭკვიანი კაცი იყო და ხალხს მისი სიტყვის სჯეროდა. ჩვენ კი, მათგან განსხვავებით, არც მთქმელი გვყავს ჭკვიანი და არც – გამგონე". მაყურებლების უმრავლესობამ თეატრი ტირილით დატოვა.

ახალციხე

ორი დღის მერე ახალციხეში (Akhaltsīkh) წავედი. გზაზე უამრავი ძველი სომხური ნანგრევი ვნახე. ამ ქალაქშიც მშვენიერი *გასტინიცა* და ბაზარი იყო. მდინარე მტკვარი სათავეს აქ იღებს. ახალციხეში ბევრი ხეა, ამიტომ ერთ უბანში მარტო ხისმჭრელები და ხუროები ცხოვრობენ. ცოტა ხანი ქალაქში გავისეირნე და დავათვალიერე საჯარო სკოლა, რომელშიც მდიდარი და ღარიბი ოჯახე-

ახალციხე, საერთო ხედი. 1850-იანი წლების გრავიურა.

ბიდან გამოსული ბავშვები ერთად სწავლობენ. მოსახლეობის მშობლიური ენა ქართულია, სახელმწიფო ენა კი – რუსული. სომხებს საკუთარი კეთილმოწყობილი სკოლა აქვთ. ახალციხე ოსმალეთის საზღვარზე მდებარეობს და აქაურებს ოსმალებისადმი განსაკუთრებული სიძულვილი აქვთ. აქ მშვენიერი პოლიციის და ფოსტის შენობები და საზოგადო პარკია, სადაც მთელი მოსახლეობა დადის სასეირნოდ. ქალაქში 7500 კაცი ცხოვრობს. მწვანეში ჩაფლული, განათებული ქუჩები ქვით არის მოფენილი. აქ ევროპიდან და აზიიდან უამრავი საქონელი შემოდის. ახალციხეში ორი დღე დავრჩი და მესამე დღეს დილაუთენია გავემგზავრე აბასთუმანში (Abās Tūmā), სადაც ცხელი წყლის საბადოებია.

აბასთუმანი

აბასთუმანში მზის ჩასვლისთვის ჩავედი. გზაზე უამრავი წყარო და მიუვალი კლდე შეგვხვდა. ქალაქში ბევრი საუცხოო შენობა და ლამაზი კლუბია[165], საიდანაც არაჩვეულებრივი ხედი იშლება. როგორც გაირკვა, აქ ქალაქი სწორედ ამ მინერალური წყლების გამო ააშენეს. ისინი ძალიან კარგია ჯანმრთელობისთვის და თუ მასში ავადმყოფი იბანავებს, მაშინვე გამოჯანმრთელდება. ზაფხულობით აბასთუმანში ძალიან სუფთა ჰაერია და ხალხი დროს ძირითადად სეირნობაში

[165] ტექსტშია „საბრანი", რაც, სავარაუდოდ, რუსული „собрание"-დან უნდა მოდიოდეს. ასე ეძახდნენ მეფის რუსეთში კლუბებს. აღსანიშნავია, რომ ტექსტის ინგლისური თარგმანის ავტორებმა ეს სიტყვა შეცდომით სასტუმროდ (hotel) თარგმნეს (*An Iranian in Nineteenth Century Europe: The Travel Diaries of Haj Sayyah*, 284).

აბასთუმანი, უფლისწულ გიორგი ალექსანდრეს ძის სასახლე.
მარგულოვის ფოტოსურათი, 1896.



აბასთუმანი, ნყლია აბაზანა. მარგულოვის ფოტოსურათი, 1896.

ატარებს. ქალაქში მეტწილად ავადმყოფები ცხოვრობენ, რომელთა ერთადერთი საქმე მკურნალობაა. აქ არიან აგრეთვე ვაჭრებიც, რომლებსაც მათთვის სხვადასხვა საქონელი ჩამოაქვთ.

თითოეულ წყაროსთან აშენებულია აბანო, რომელშიც პატარა აუზია მოთავსებული. მას მერე, რაც კლიენტი აბაზანას მიიღებს, აუზს ცლიან და მას სუფთა წყლით ავსებენ. თუ ვინმეს უნდა, რომ შედარებით დიდხანს დარჩეს, უნდა მივიდეს რეგისტრატურაში და აიღოს საშვი, რომელსაც თვეში ერთხელ განაახლებს. აბანოს შესასვლელთან დარაჯი დგას და საშვის გარეშე შიგ არავის უშვებს. [რუსეთის] მთავრობის გამოგზავნილი ექიმი ავადმყოფებს სინჯავს და დანიშნულებას აძლევს, თუ რამდენჯერ და რამდენი ხნით უნდა მიიღონ აბაზანა. ექიმის მიერ გამოწერილ საშვში აბანოში შესვლის ზუსტი დროა მითითებული. მთავრობამ აქ მუსიკოსებიც გამოგზავნა, რომლებიც საღამოობით კონცერტებს მართავენ. აბასთუმანში ერთი პარკია, სახელად როთნი (Rotn)[166], სადაც წარჩინებულები შუაღამემდე სეირნობენ, მღერიან და ცეკვავენ. ქალაქში ისეთი კარგი ჰაერია, რომ ჭკუათმყოფელი კაცი თავისი ნებით აქედან არსად წავა. ირგვლივ ისეთი წესრიგია, რომ ადამიანს ხმის აწევაც კი არ სჭირდება.

სამი დღის მერე ვირი ვიქირავე და ქუთაისში (Kŭtăvĭsĭ) გავემგზავრე. მთებში *კალიასკებისა* და ოთხთვალების სასიარულო გზას აშენებდნენ. ქუთაისში რომ ჩავედი, აყა ჰამბარცუნის სიკეთე გამახსენდა და გადავწყვიტე, თბილისში ნავსულიყავი. ოთხთვალაში ჩავჯექი და გორში ჩავედი. მაღალი სიცხე მომცა და იძულებული გავხდი, ერთი ღამე ამ ქალაქში დავრჩენილიყავი. მეორე დილით უკეთ გავხდი და გზა განვაგრძე. ბედნიერი ვიყავი, რომ ამდენი ხნის განშორების შემდეგ ჩემს ძვირფასს მეგობარს ვნახავდი. ერთი სიტყვით, წუთი წუთს მისდევდა და მე ნაბიჯ-ნაბიჯ...[167]

თბილისი

თბილისში სრულიად დაუძლურებულმა ჩავაღწიე. აყა ჰამბარცუნის სახლში მივედი და ზარი დავრეკე. კარი მისმა ვაჟმა გამიღო. დამინახა თუ არა, მშობლებთან გაიქცა და ჩემი მისვლა ამცნო. აღელვებულები კარებთან მოცვივდნენ და უზომოდ გაიხარეს. აყა ჰამბარცუნმა ჩემი მშვიდობიანად დაბრუნებისთვის უფალს მადლობა შესწირა და მოგზაურობის ამბები დაწვრილებით გამომკითხა. როცა გაიგო, რომ რამდენიმე ენა ვისწავლე, თქვა: „მოწიფულ ასაკში ენის სწავლა ისეთივე საოცრებაა, როგორც იესოს მიერ მიცვალებულის მკვდრეთით აღდგინება". ვუპასუხე: „რა გიკვირთ? იესომ ხალხს ეს სასწაული გულის ძალით აჩვენა. და ის, რაც მაშინ მკვდარს გადახდა, ახლა [სასწაულებრივი] ძალის გარეშე მე ცოცხალს მომევლინა".

ერთსაათიანი საუბრის შემდეგ აყა ჰამბარცუნმა მთხოვა, რომ მათთან მეცხოვრა. ვუპასუხე: „უარი უნდა გითხრათ, რადგან სანამ თქვენთან მოვიდოდი, ხალათოვის ქარვასლაში ბინა ვიქირავე. თუ ნებას მომცემთ, იქ გავჩერდე-

---

166 როგორც ჩანს, იგულისხმება ротный парк – როტის (სამხედრო ნაწილის) პარკი.

167 ასე სრულდება ეს თავი ავტორთან.

ბი". მითხრა: „თუ რამე გჭირდებათ, მაგალითად ფული ან ტანსაცმელი, გთხოვთ, ნუ დამიმალავთ. ჩემი სახლიდან რაც გინდათ, წაიღეთ, რადგან ეს იგივე თქვენი სახლია". ასეთი სიკეთისთვის დიდი მადლობა გადავუხადე და ვუთხარი: „მე მხოლოდ თქვენ სანახავად მოვედი და სხვა არაფერი მინდა".

სამი დღე თბილისში გავატარე. მეოთხე დღეს აყა ჰამბარცუნმა მითხრა: „ხომ იცით, როგორ მიყვარხართ. რაღაც მინდა გთხოვოთ და უარს ნუ მეტყვით". ვუპასუხე: „მიბრძანეთ და, თქვენთან ცხოვრების გარდა, ყველაფერს შეგისრულებთ". თქვა: „ქალაქში ქოლერის ეპიდემიაა და აქედან უნდა წახვიდეთ. საცოდაობა იქნება, თუ თქვენი ამდენი შრომა წყალში ჩაიყრება. მე თუ მოვკვდები, ეს მხოლოდ ჩემი სიკვდილი იქნება, მაგრამ თუ, ღმერთმა ნუ ქნას, თქვენ მოკვდებით, ეს ყველა ჩვენგანის სიკვდილი იქნება, რადგან სანამ თქვენ ცოცხალი ხართ, ჩემი და კიდევ ბევრი ჩემნაირის სახელი დავიწყებას არ მიეცემა. ამიტომ გთხოვთ, აქედან სადაც გინდათ, იქ წახვიდეთ. თუ რამე გჭირდებათ, მიბრძანეთ და ყველაფერს გავაკეთებ". ვუთხარი: „რადგან ასე დაჟინებით მთხოვთ, დაგემორჩილებით, თუმცა თქვენს მონას სიკვდილის არ ეშინია. სადაც არ უნდა ვიყოთ, ყველგან ღმერთის სამფლობელოა და ჩვენი ყოველი დღეც მას ეკუთვნის, რადგან ყველანი ღმერთის ქმნილებები ვართ.

მე სიკვდილი უკვე გამოვცადე – ახალი სიცოცხლის კარია,
რადგან ამ ქვეყნიდან ჩემი გზა მარადისობაშია".

მითხრა: „მიუხედავად ამისა, გთხოვთ, ამ ქალაქიდან წახვიდეთ და თუ ფული გჭირდებათ, მითხარით". ვუპასუხე: „როგორც მიბრძანებთ, ისე მოვიქცევი, მაგრამ არაფერი მინდა". უნდოდა, სახსოვრად თავისი ოქროს ძეწკვიანი საათი მოეცა, მაგრამ არ გამოვართვი. კაცი გაგზავნა და ფოსტის სადგურის *პოდოროჟნა*[168] მოატანინა. ორი ცხენი ვიქირავე, ერთ კაცთან ერთად ოთხთვალაში ჩავჯექი და გეზი კავკასიისკენ ავიღე.

ვნახე, რომ მთავრობა დიდ ძალისხმევასა და თანხებს ხარჯავდა, რომ მთებში ისეთი გზა გაეყვანა, რომ ზედ ეტლებითა და ოთხთვალებით სიარული შეესაძლებელი ყოფილიყო. გარშემო ბევრი ტყე და წყარო იყო...[169]

სოხუმ-ყალა

მეორე დილით სოხუმ-ყალაში (Sokhūm Qale) ჩავედი. ქალაქში სნორი ქუჩები, ნაწილობრივ აშენებული ზღვის სანაპირო და ძალიან კარგი აბანო და ბა-

---

168 იხ. შენიშვნა 42.

169 თბილისიდან სოხუმამდე ჰაჯ საიიაჰმა ჩრდილოეთ კავკასიის რამდენიმე ქალაქი გაიარა. სპარსული ტექსტის გამომცემლის კომენტარით, მოგზაურს ამ ქალაქების სახელები ძალიან გაურკვევლად ეწერა და მათი აღდგენა შინაარსის გათვალისწინებით მოხერხდა. მაგრამ, როგორც ჩანს, გამომცემელს ხელთ ჰქონდა არა მეფის რუსეთის, არამედ საბჭოთა პერიოდის რუკა და ამიტომ ვლადიკავკაზს მოიხსენიებს ორჯონიკიძედ (Orazhni Kitz), ხოლო ნოვოროსიისკს – ბუდიონოვსკად (Budyaneski), რაც თავისთავად შეცდომაა, რადგან ბუდიონოვსკის ძველი სახელია სვიატოი კრესტი (*Safar-name-ye Haj Sayyah be Farang*, 388 და 403). ეს შეცდომები ნაწილობრივ გაიმეორეს ტექსტის ინგლისურად მთარგმნელებმაც (*An Iranian in Nineteenth Century Europe*, 286).

სოხუმ-ყალა. გრავიურა ედმუნდ სპენსერის წიგნიდან „მოგზაურობა ჩერქეზეთში, თათართა ყირიმში და სხვა“, 1839.

ზარი იყო. ყავახანები თურქულს ჰგავდა, რადგან იქ ოსმალეთის ბევრი მოქალაქე ცხოვრობდა. შემოდგომა იყო და გაშიშვლებულ ხეებზე გაყვითლებული ფოთლები ეკიდა. ძალიან ციოდა, ამიტომ ხალხი მოწყენილად გამოიყურებოდა. ქუჩები ლამპიონებით გაეჩირაღდნებინათ. სანაპიროზე ძალიან კარგი საბაჟოს შენობა იდგა.

როგორც გაირკვა, აქ საბაჟოები მთელ სანაპიროზეა გახსნილი და ყველა მათგანში სარეგისტრაციო წიგნი ინახება. საბაჟო კონტროლის გავლის მერე [ტვირთის] მესაკუთრეს ქვითარს აძლევენ, რომელიც საქონლის უკან მიღებამდე უნდა შეინახოს. პორტში შედიხარ თუ არა, გემზე საბაჟოს თანამშრომლები ამოდიან, საქონლის გატანის ნებართვაზე ბეჭედს გირტყამენ და უკან გიბრუნებენ.

სოხუმ-ყალაში ჯერ კიდევ მოჩანს ძველი ციხესიმაგრის ნაშთები, თუმცა თვითონ ქალაქი ახალი აშენებულია. მთიანი რაიონების მცხოვრებლებს აქ ყოველდღე დათვისა და სხვა ცხოველების ტყავი ჩამოაქვთ გასაყიდად, ხოლო აქედან ექსპორტზე ტყავი, ზეთი და შალი გააქვთ. ქალაქში დაახლოებით 5000 კაცი ცხოვრობს, რომელთა უმრავლესობაც სამხედრო მოსამსახურეა. საღამოობით მოსახლეობა სასეირნოდ გამოდის, მაგრამ ერთადერთი გასართობი ადგილი ყავახანაა. ზოგიერთ მათგანში [გასაქირავებელი] ოთახებია მოწყობილი, სადაც უცხოელები ცხოვრობენ.



სოხუმ-ყალა, ნავსადგომი. 1900-იანი ნლების ფოტოსურათი

ქალაქის დათვალიერების შემდეგ გადავწყვიტე ახლომახლო სოფლები მენახა. აქ ასეთი წესია, რომ ტრანსპორტირებისთვის და ბარგის გადასატანად ხმარობენ ურმებს, რომლებშიც კამეჩებია შებმული. ურემი ვიქირავე და დრანდაში (Drândă) წავედი. გზაში ძალიან გავწვალდი: მიუხედავად იმისა, რომ მეურმე საცოდავ ცხოველებს უმონყალოდ ურტყამდა, ურემი მაინც ძლივს მიღოლავდა. გული დამეთუთქა და ვუთხარი: „შე უგულო ადამიანო, ამ საწყლებს ცხენივით ჭენებას სთხოვ?!" გაბრაზებულმა შემომხედა და მითხრა: „ცხენებზე ნაკლები რითი არიან? ღმერთმა მე მათ პატრონად დამადგინა, ამიტომ მინდა ვცემ და მინდა დავხოცავ და მათი ხორცისგან მწვადს, ხოლო ტყავისგან ფეხსაცმელს გავაკეთებ. ცუდად თუ ვექცევი, ეს ჩემი ბრალი არ არის, ღმერთმა მე და თქვენზე უკეთ იცოდა, როცა ისინი ასეთებად შექმნა". მივხვდი, რომ ჯობდა, გავჩუმებულიყავი.

დრანდა

დრანდაში მზის ჩასვლისთვის ჩავაღწიეთ. იქვე შორიახლოს ერთ ჩაიხანაში ჭრელი საზოგადოება შეკრებილიყო. მივედი და თავშეყრის მიზეზი ვკითხე. მიპასუხეს: „აქ ერთი გოგოა, რომელიც მამამისმა ამ ჩაიხანის მეპატრონეს ვალის სანაცვლოდ მისცა, ამიტომ ეს გოგო იძულებულია, რომ მასთან იმუშაოს". ვკითხე: „სად არის?" მიპასუხეს: „ხალხს გაექცა და იმალება. ყველა აქ მყოფს უნდა, რომ მის გვერდით დაჯდეს და ამის გამო ერთმანეთში ჩხუბიც კი მოუვიდათ". ცოტა ხანი გავჩერდი. ჩაიხანაში ალკოჰოლური სასმელებიც იყიდებოდა, მაგრამ მუსლიმები ყავას სვამდნენ, რომელსაც ოსმალური წესით ადუღებდნენ.

ვხედავ, ერთი საათის მერე ყაყანი და ყვირილი ატყდა და ხალხი ცემაზე გადავიდა. ეტყობოდა, რომ ნამდვილი ჩხუბი იწყებოდა. ჩაიხანის მეპატრონეს დავუძახე და ვუთხარი: „ძალიან მეცოდები, რადგან მე გაზეთის კორესპონდენტი ვარ და თუ ყველაფერს, რაც აქ მოხდა, გაზეთში დავწერ, სამუშაოს დაკარგავ და რომ არ დავწერო, არ შეიძლება". შეშინებულმა მკითხა: „რა გავაკეთო?" ვურჩიე: „შუქი ჩააქრე და ხალხი წავა". ასეც მოიქცა და, მართლაც, ხალხმა დაშლა დაიწყო. ზოგიერთებს დარჩენა უნდოდათ, რადგან ქუჩაში ტალახი იყო, მაგრამ ჩაიხანის მეპატრონემ უარი უთხრა და კარი ჩაკეტა. მეც წასასვლელად მოვემზადე, მაგრამ მთხოვა, ცოტა ხანი დავრჩენილიყავი. მითხრა: „დარწმუნებული ვარ, იმიტომ მოხვედით, რომ გგონიათ, ეს გოგო აქ ძალით მოვიყვანე, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ეს ასე არ არის..."

უცებ, ვხედავ, კარი გაიღო და ის გოგო შემოვიდა. ცხოვრებაში ასეთი ლამაზი და მოხდენილი არავინ მენახა. ვთქვი: „ალაჰმა აკურთხოს ეს მშვენიერი ქმნილება. ღმერთია მოწმე, ისეთი მომხიბვლელია, რომ თვალს ვერ ვუსწორებ. მისი დამაბრმავებელი სილამაზე ნებისმიერ კაცს დაახვევს თავბრუს". დაახლოებით ხუთი წუთი ხმა ვერ ამოვიღე და გულში მარტო „დიდება ალაჰს" და „ალაჰმა აკურთხოს" ვიმეორებდი.

დიდება იმ მხატვრის კალამს, რომელმაც
ასეთი სრულყოფილი სილამაზე შექმნა.

რამდენიმე წამში გონზე მოვედი და იმ გოგოს შევხედე. მინდოდა, მის სახეში რამე ნაკლი მეპოვა, მაგრამ, სალამაზისა და მომხიბვლელობის გარდა, ვერაფერი დავინახე. ყავახანის მეპატრონეს თავის ენაზე რაღაც უთხრა. მართალია, მათი ენა არ ვიცოდი, მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ ხმაც გარეგნობის შესაფერისი ჰქონდა. 16 წლის იქნებოდა და მისი სახე, თმა, ტანი და ლაპარაკი სრულყოფილების განსახიერება იყო. იქაური წესისამებრ, გოგონას საჩუქრად ცოტა ფული მივეცი, ავდექი, დავემშვიდობე და სახლში წამოვედი. მისმა სილამაზემ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ სულ თვალწინ მედგა და მთელი ღამე მასზე ფიქრებში გავატარე.

მეორე დილით ერთი ნაცნობი ვნახე. იმ ფერიის ამბავი ვუამბე და წუხილი გამოვთქვი, რომ დევის კლანჭებში იყო ჩავარდნილი. მითხრა: „გატყობ, შეგიყვარდა". ეკითხე: „შენ როდესმე გყვარებია?" მიპასუხა: „არა, რადგან ყველას და ყველაფერს იმ თვალით ვუყურებ, რომლითაც შენ გიყურებ". ვუთხარი: „ვფიცავ ალაჰს, მე სხვანაირი ვარ: შუშაში შუშას ვხედავ, ბროლში – ბროლს და ალმასში – ალმასს. მაღალმა ღმერთმა ყველა სულიერი გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ნიშან-თვისებებით დააჯილდოვა. ადამიანს უნდა შეეძლოს, რომ ცუდი კარგისგან განასხვავოს. გარდა ამისა, სიამოვნების მიღების სურვილი ყველა კაცის ბუნებაშია, ამიტომ თუ იმ მშვენიერის ყურებით არ დავტკბები, კაცი არ ვიქნები".

ქუჩაში ტალახი იყო და სიარული ძალიან ჭირდა, მაგრამ

ქააბას სილამაზე ისეთ სიამოვნებას მპირდება,
რომ მისკენ მიმავალ გზაზე ეკლები აბრეშუმად მეჩვენება.

ავდექი და ისევ იმ ყავახანაში წავედი. შიგნით რომ შევედი, მეპატრონე მოვიდა და მთხოვა: „ხალხმა გული გამიწყალა. თქვენ იმ კუთხეში დაჯექით, რომ არავინ შემოვიდეს". ცოტა ხანში გვერდზე მომიჯდა. ვთხოვე, იმ გოგოს ამბავი ეამბნა. მითხრა: „ერთმა აქაურმა კაცმა ჩემგან ფული ისესხა. ორ თვეში უნდა დაებრუნებინა, მაგრამ ხუთი წელი ისე გავიდა, რომ არაფერი მოუცია. ხუთი წლის თავზე პროცენტები რომ დავთვალე, საკმაოდ დიდი თანხა გამოვიდა. რადგან ამ მხარეში ასეთი წესია, რომ ხალხი თავიანთ შვილებს ყიდის (თუმცა ახლა სახელმწიფო ამას კრძალავს), გოგოს მამამ შემომთავაზა, რომ მისი შვილი ვალის საფასურში წამეყვანა. შევთანხმდით, რომ რაღაც დროის განმავლობაში ჩემს ყავახანაში იმუშავებდა და სახელმწიფოსგან ქალალდიც ავიღე. დღეისთვის ვალი უკვე დაფარულია. აქ რამდენიმე დიდგვაროვანია, რომელიც მზადაა, 5 000 *რუბლი* გადაიხადოს და ეს გოგო ცოლად შეირთოს, მაგრამ მე ჯერ თანხმობა არ მიმიცია". ვუთხარი: „ნამდვილად, ის უფრო მეტს იმსახურებს".

ამ ლაპარაკის მერე ავდექი, დავემშვიდობე და სახლში წამოვედი. ის ღამეც იმ სოფელში გავატარე, მეორე დილით კი ხარები ვიქირავე, ოთხთვალაში ჩავჯექი და

საყვარლის ქუჩიდან წამოვედი და
თან წამოვიღე ჩემი საწყალი გული.

სანამ მდინარე კოდორზე (Kodor) გადავიდოდით, გავემართეთ ჯგერდასკენ (Chekerdä), რომელიც იმ გოგოს მშობლიური სოფელი იყო. უსწორმასწორო ტალახიან გზაზე კამეჩები ძლივს მიდიოდნენ. ხეების ტოტები ისე იყო ერთმანეთში გადახლართული, რომ გავლა ჭირდა. ზოგან წყალი ისეთი ღრმა იყო, რომ კამეჩებს ფარავდა.

ჯგერდა

დიდი წვალების შემდეგ მივედით ჯგერდაში, სადაც რამდენიმე სოფლური სახლი იდგა. მოსახლეობა ჩვენ სანახავად გამოვიდა. ყველანი ძალიან კარგი შესახედავები იყვნენ. აქ ორი ღამე დავრჩი. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონში ბევრი ტყეა, ხეების მოჭრა მხოლოდ მთავრობის მიერ გაცემული სპეციალური ქალალდის საფუძველზე შეიძლება. სოფლის მამასახლისი დაცვის თანხლებით ხშირად დადის ტყეში და აკონტროლებს, რომ ხეები უნებართვოდ არ გაჩეხონ და თუ ვინმე კანონს დაარღვევს, მას სასამართლოს გადასცემენ. ევროპაში ასეთი წესია: სახელმწიფო მოხელე ფიცს დებს, რომ ქვეყნის საზიანოს არაფერს გააკეთებს და თუ ვინმე დანაშაულს ჩაიდენს, ის სამოქალაქო და რელიგიური კანონმდებლობით აგებს პასუხს.

ფიზიკურად და სულიერად გადაღლილმა ჯგერდაში ორი ღამე გავატარე, მესამე დილით კი ისევ ოთხთვალაში ჩავჯექი და ოჩამჩირის (Hüri)[170] გზას დავადექი. ეს სოფელი საკმაოდ შორს იყო და გზაზე ბევრი წყლისა და ტალახის გამო სიარული ჭირდა.

---

[170] ტოპონიმის დადგენა მარშრუტისა და დასახლების გარეგნული აღწერილობის მიხედვით მოხდა.

ოჩამჩირე

ოჩამჩირე პატარა ნავსადგურია. აქ მხოლოდ რამდენიმე კარგი შენობა დგას, რომელთაგან ერთ-ერთი საბაჟოა. საშინლად ჭუჭყიანი მოედნის გარშემო ბევრი ბაზარი და დუქანია, რომლებიც მარტო ბაზრის დღეებში მუშაობს, დანარჩენ დროს კი დაკეტილია. აქ უამრავი ღორია, რომლებიც ტალახში გორაობენ.

საბაჟოს უფროსი ერთი სომეხი კაცი იყო. საუბრის დროს გული გადამიშალა და თავის ცოლზე მიამბო. როგორც გაირკვა, მისი ცოლი ძალიან მდიდარი ქალი იყო და ამიტომ თავის ქმარზე მბრძანებლობდა. ვურჩიე, გაყროდა, მაგრამ მითხრა, რომ ქრისტიანული აღმსარებლობით ეს დაუშვებელი იყო. მაშინ შევთავაზე, რომ ისლამი მიეღო. ამაზე მიპასუხა: „ამ ტანჯვას როგორმე გავუძლებ, მაგრამ ჩემი რჯულის ხალხის წინაშე თავს არ შევირცხვენ. ჭკვიანი ხალხის თვალში რჯულის შეცვლა საძრახისი საქმეა. მირჩევნია, ეს გაჭირვება ავიტანო, ვიდრე ჩემმა ახლობლებმა გამკიცხონ“.

ის დღე ოჩამჩირეში გავატარე, მეორე დილით კი ზუგდიდში (Rākdī)[171] წავედი. გზა ტყეში მიდიოდა, მაგრამ ისეთი ტალახი აღარ იყო.

ზუგდიდი

ზუგდიდი ბაღებში ჩაფლული პატარა ქალაქია. ერთი ბაღი, რომელიც ადრე აქაურ მბრძანებელს ეკუთვნოდა, ახლა რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებაა. ქალაქში ბევრი ძველი შენობა და ხისა თუ ქვის სახლია. აქ იგივე ჯურის ხალხი ცხოვრობს, რაც აბასთუმანში. ზუგდიდში ჭუჭყიანი მოედანი, დუქნები და პატარა ბაზარია, რომელშიც დაახლოებით 100 დახლი დგას. მოედანზე და ქუჩებში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი ტყის ხეები. მოსახლეობა ძირითადად ინდაურებისა და ბატების მოშენებით არის დაკავებული. ისინი, ცხვრების მსგავსად, საძოვრებზე გაპყავთ და მერე ბაზარში ყიდიან. მოგზაურებისთვის ქალაქში *გასტინიცაა* აშენებული, სადაც რამდენიმე ოთახი ქირავდება. აქაური დიდებულები დროის გასატარებლად ხშირად იკრიბებიან ერთ დაწესებულებაში, სადაც სვამენ, ჭამენ და ბილიარდს თამაშობენ. მოსახლეობის უმრავლესობას მოხდენილი აღნაგობა და ლამაზი სახე აქვს და, შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ისინი მთელ საქართველოში გამორჩეული ხალხია. ზუგდიდში დაახლოებით 5000 კაცი ცხოვრობს, რომლებიც ძირითადად მეგრელები[172], აბაზები, რუსები და სომხები არიან. ქართველი[173] შედარებით ცოტაა. ქვით მოფენილი ქუჩები ლამპიონებით არის განათებული. ქალაქში კეთილმოწყობილი ფოსტის, პოლიციის და სასამართლოს შენობებია.

---

[171] Rakdi და Zagdi გრაფიკულად ერთნაირად გამოისახება და განსხვავება მხოლოდ დიაკრიტიკულ ნიშნებშია. ტოპონიმის სახელის შეცვლაც დიაკრიტიკული ნიშნების არევამ და ბოლო მარცვლის „დი“ ამოვარდნამ გამოიწვია.

[172] ინგლისურ თარგმანში mikrel გაგებულია, როგორც „ხალხი მიქრედან“, ხოლო კომენტარებში აღნიშნულია, რომ მიქრე ბულგარეთის ერთ-ერთი ქალაქია. აღსანიშნავია, რომ შემდეგ გვერდებზე იგივე „მიქრელ“ თარგმნილია, როგორც „the villagers from Mingrelia“ (*An Iranian in Nineteenth Century Europe*, 300).

[173] ავტორი XIX საუკუნეში მიღებული ეთნოდემოგრაფიული სქემის შესაბამისად ქართველში გულისხმობს მხოლოდ ქართლელსა და კახელს.

ზუგდიდში 5 დღე დავრჩი, მერე ცხენი ვიქირავე და ხობში (Hūbī) წავედი. გზა გაყვანილი არ იყო და ირგვლივ ტყეები, ეკალ-ბარდები, წყალი და ტალახი იყო.

ხობი

ხობში მზის ჩასვლისთვის ჩავედით. აქაური გლეხები ძირითადად კამეჩების მოშენებითა და ფარჩის ქსოვით არიან დაკავებული. მოსახლეობის უმრავლესობას მეგრელები შეადგენენ, რომლებიც მარტო საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ. ქალაქის ახლოს მდინარე რიონი (Rīn) მოედინება, მაგრამ მასზე ხიდი არ არის. გარშემო ბევრი კლდე და ტყეა. აქ რამდენიმე დუქანი, ფოსტისა და პოლიციის შენობები და დაახლოებით 40 სახლი დგას, რომლებიც მეტწილად გამხმარი ტოტებითა და მცენარეებით არის გადახურული.

ხობში ისევ ცხენი ვიქირავე და ქუთაისში წავედი. აქ ადრეც ვიყავი ნამყოფი, ამიტომ მხოლოდ ერთი ღამე დავრჩი. მინდოდა, მეორე დღესვე ფოთში წავსულიყავი, მაგრამ რადგან მარტო ვიყავი, გზის გაგრძელება ვერ შევძელი. ჩემს *გასტინიცაში* ერთი კაცი ცხოვრობდა, რომელიც რუსულად საერთოდ ვერ ლაპარაკობდა. ფრანგულად ვკითხე, სადაური იყო და საით მიდიოდა. მითხრა: „წარმოშობით იტალიელი ვარ, ირანში ვიყავი სამოგზაუროდ, მაგრამ მხოლოდ ხორასნამდე მივედი და ახლა ისევ სტამბოლში ვბრუნდები". ვკითხე: „ირანში რამდენი ხანი იყავით?" მიპასუხა: „ექვსი თვე". ვკითხე: „სპარსული თუ ისწავლეთ?" როგორც გაირკვა, მარტო „კარგი ცხენი მომეცი და ფულს გადაგიხდი. თუ ცუდს მომცემ, ჯოხით გცემ" იცოდა. სახელი ვკითხე და მითხრა, რომ დოქტორი კაპუჩი (Doctor Kābūchī) ერქვა. რადგან ორივენი მარანში (Mārān) მივდიოდით, გადავწყვიტეთ, გზა ერთად გაგვეგრძელებინა. საფოსტო ეტლი ვიქირავეთ და ჩავედით მარანში, რომელიც მდინარე რიონის (Remyī) პირას მდებარეობს.

ეტლიდან გადმოვედით. გაირკვა, რომ ჩვენი გემი სნორედ იმ დღეს გასულიყო და შემდეგი მარტო ერთი კვირის მერე იქნებოდა. ამდენი ხანი ფოთში დარჩენა არ მომინდა, ამიტომ დოქტორ კაპუჩის დავემშვიდობე და ოზურგეთში (Azdarke)[174] ხმელეთით გავემგზავრე. გზა ტყეზე გადიოდა, მაგრამ მთლიანად მოსწორებული იყო. ფოსტის სადგური გავიარეთ. გარშემო სოფლების მცხოვრებლები სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ. გზაზე ბევრი ინდაური შეგვხვდა, რომლებიც ცხვრებივით საბალახოდ ჰყავდათ გაყვანილი.

ოზურგეთი

ოზურგეთი ძალიან კარგი, სიცოცხლით სავსე დასახლებაა. ფართო ქუჩები ახალი აშენებულია. აქ კარგი ციხესიმაგრე, არტილერიის შენობა და ყაზარმაა, სადაც სამხედროები ცხოვრობენ. რადგან ზედ ოსმალეთის საზღვარზე მდებარეობს, ამიტომ იქაურ საქონელს აქ დიდი გასავალი აქვს. დაბაში მშვენიერი საჯარო სკოლა და ფოსტის, ტელეგრაფის და პოლიციის შენობებია. ოზურგეთში დაახლოებით 4000 კაცი ცხოვრობს. ისინი ძალიან მხიარულები და უდარდელები

---

[174] ოზურგეთიდან „აზდარქე" მსგავსი მოხაზულობის დალ-ისა და ვაე-ის და ასევე ქაფ-ისა და გაფ-ის აღრევით მივიღეთ.

არიან და გართობა და დროსტარება უყვართ. ახლომახლო ტყეებში, ყველგან, სადაც შესაძლებელია, სახლები დგას. ძალიან გამიკვირდა, რომ მიუხედავად ოსმალეთის ასეთი სიახლოვისა, აქ ერთი თურქიც კი ვერ ვნახე. ოზურგეთში ორი დღე დავრჩი.

სენთ ნიქალა

ვიცოდი, რომ აქედან სამი *ფარსახის* მოშორებით, შავი ზღვის პირას სამხედრო ციხესიმაგრე იყო, რომელსაც სენთ ნიქალას[178] (Sent Nīkalā) ეძახდნენ. ცხენზე შევჯექი და მის სანახავად წავედი. ციხეს კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული სამხედროები იცავდნენ, რომლებიც ძალიან ფრთხილობდნენ, რომ ტერიტორიაზე კორესპონდენტი არ შესულიყო. პატარა მოედანზე ციხის კომენდანტისა და ჯარის მეთაურის სახლები იდგა. სამხედროები ორსართულიან შენობებში ცხოვრობდნენ. რამდენიმე დუქანი ცარიელი იყო და შიგ მოგზაურები ჩერდებოდნენ.

სენთ ნიქალაში ერთი ღამე დავრჩი და მეორე დილით ფოთში გავემგზავრე. გზა ტყეზე გადიოდა. პატარა ორთქლის გემი, რომელიც კვირაში ერთხელ დადის, მზად იყო. შიგ ჩავჯექი და ანაკლიაში (Anāklyā) წავედი.

ანაკლია

ანაკლია სამეგრელოს რეგიონის ნავსადგურია. ის შავი ზღვის პირას მდებარეობს. აქ ერთადერთი კარგი შენობა საბაჟოა, რომელშიც უცხო ქვეყნებიდან ჩამოსულ მოგზაურებს ძალიან მკაცრად ექცევიან. იქვე ახლოს მდინარე ენგური (Enkūr) მოედინება, რომელიც მერე ზღვას უერთდება. ანაკლიაში ფოსტის შენობა და პატარა სკოლაც არის. პორტს რამდენიმე სამხედრო პოლიციელი იცავს. ოფიციალური ენა რუსულია, მაგრამ აქაურებს საკუთარი ენაც აქვთ. კვირაში ერთხელ ანაკლიაში პატარა ორთქლის გემი ჩამოდის, რომლითაც ნებისმიერ ადგილას შეგიძლია წახვიდე, მაგრამ თუ სხვა დროს გინდა გამგზავრება, სახმელეთო გზით უნდა ისარგებლო. არავითარი სურვილი არ მქონდა, რომ აქ დიდხანს დავრჩენილიყავი, ამიტომ მეორე დღესვე კამეჩებშებმულ *კალიასკაში* ჩავჯექი და რედუტ-ყალაში (Redūt Qale) წავედი. ეს სამხედრო ციხესიმაგრე ძველ დროში მუსლიმებმა ააშენეს, თუმცა ახლა იქ მუსლიმები აღარ არიან და ოდესღაც მათ აქ ყოფნაზე მხოლოდ დანგრეული მეჩეთი თუ მიანიშნებს. რედუტ-ყალაში აღარ გავჩერდი და ფოთში მიმავალ ნავში ჩავჯექი. ნესტისა და ტენიანი კლიმატისგან ცუდად ვიყავი. რამდენიმედღიანი წვალების შემდეგ ფოთში ჩავედი. რადგან სტამბოლის გემი არ ჩანდა, იძულებული გავხდი, ოდესის გემზე დავმჯდარიყავი. გზაზე უამრავი ნავსადგური გავიარეთ, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე და გემიდან არ ჩამოვედი. ერთი კვირის შემდეგ ოდესაში შევედით.

---

178 „სენთ ნიქალა" უნდა იყოს მდინარე ნატანების შესართავთან მდგარი წმინდა ნიკოლოზის პოსტი (Пост св. Николая). 1878 წლამდე რუსეთ-თურქეთის საზღვარი ამ ადგილიდან ორიოდე კილომეტრით სამხრეთით გადიოდა.

მირზა ხანლარ ხან ე'თესამ ალ-მოლქი
და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა ხანლარ ხან ე'თესამ ალ-მოლქი დაიბადა ყუმში 1827 წელს. მამამისი მირზა მოჰამად ალი მაზანდარანი ფათჰალი შაჰისა და მოჰამად შაჰის მუსთოუფი (ანგარიშმწარმოებელი) იყო. ხანლარ ხანმა დაწყებითი განათლება ყუმში მიიღო და 15 წლისა სწავლის გასაგრძელებლად ისფაჰანში გაემგზავრა, მაგრამ 1845 წელს, მამის გარდაცვალების გამო, სწავლა შეწყვიტა და ყუმში დაბრუნდა. აქ მან გუბერნატორის მდივნად დაიწყო მუშაობა, მაგრამ მცირე ხელფასის გამო იძულებული იყო, სხვა სამსახურიც ეძებნა და ყუმში მცხოვრები უფლისწულის ჯაჰანგირ მირზას ვაჟის მასწავლებელი გახდა. ჯაჰანგირ მირზას ოჯახში მოხვედრა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: მას თავდავიწყებით შეუყვარდა თავისი მონაფის ექვსი წლის და ბიბი ჯაჰანი. ასაკობრივი და სოციალური სხვაობის გამო ჯაჰანგირ მირზა ქორწინების სასტიკი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ხანლარ ხანს ეს სიყვარული სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა და, თუმცა კი მოწიფულ ასაკში (39 წლისამ), ბიბი ჯაჰანის ცოლად მოყვანა მაინც მოახერხა.

მირზა ხანლარ ხანი მთელი ცხოვრება სახელმწიფო სამსახურში იყო: 1845-1858 წლებში ყუმის, ხორასნისა და აზერბაიჯანის ადმინისტრაციაში მუშაობდა, 1859 წელს კი თეირანში გადავიდა და ჯერ ვაჭრობისა და მრეწველობის, 1862 წლიდან კი საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა. 1862 წელს სამინისტროს დელეგაცია ირანის არმიის სართიფის ფაშა ხან შოჯა' ალ-მოლქის ხელმძღვანელობით ინგლისში გაემგზავრა. ხანლარ ხანი ამ დელეგაციის წევრი იყო. გზად ისინი სპეციალურად ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა დიდი თავადი მიხეილისთვის ამიერკავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დანიშვნა მიელოცათ. ლონდონში მოგზაურობამ ორ წელს გასტანა და 1864 წელს თეირანში დაბრუნებულმა ხანლარ ხანმა ნასერ ად-დინ შაჰს ამ მოგზაურობის ანგარიში – „მოგზაურობის წიგნი" მიართვა, რისთვისაც ხანის ტიტული მიიღო. აღსანიშნავია, რომ ამ თხზულების გარდა, მირზა ხანლარ ხანს კიდევ ორი „მოგზაურობის წიგნი" აქვს დაწერილი, რომელთაგან ერთი 1867-1868 წლებში ერაყში მის პილიგრიმობას ასახავს, ხოლო მეორე 1876-1878 წლებში მისი ყაიენში სამსახურის ანგარიშია.

1871 წელს მირზა ხანლარ ხანი საგარეო საქმეთა სამინისტროში ინგლისის დეპარტამენტს ჩაუდგა სათავეში და ეს თანამდებობა სიკვდილამდე – 1897 წლამდე ეკავა.

წინამდებარე ტექსტი მირზა ხანლარ ხანის ლონდონში მოგზაურობის წიგნის საქართველოს ეპიზოდის თარგმანს წარმოადგენს. ვსარგებლობთ მანუჩეჰრ მაჰმუდის გამოცემით, რომელიც ძმების ყოლამ ალი ხან მაჰმუდის და აბდ ალ-ჰოსეინ მაჰმუდის კერძო კოლექციაში დაცული ხელნაწერის საფუძველზეა შესრულებული.

ტექსტი და თარგმანი

Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk nāyeb-e avval-e vezārat-e omūr-e khāreje, be kūshesh-e Manūchehr Mahmūdī, Tehran, 1351/1972.

„მირზა ხანლარ ხან ე'თესამ ალ-მოლქი, ლონდონში მოგზაურობის დღიური", წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, 127-131.

ლიტერატურა

Manūchehr Mahmūdī, "Sharh-e hāl-e Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk", წიგნში: *Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk nāyeb-e avval-e vezārat-e omūr-e khāreje*, 11-30.

ლონდონში მოგზაურობის დღიური (1863)

[1280 წლის მუჰარამის თვის] 25-ში (1863 წლის 12 ივლისს), კვირას ერევნიდან გავემგზავრეთ და შვიდ დღეში თბილისში[176] ჩავედით. ერევნიდან თბილისამდე ექვსი დასახლებული პუნქტია და ყველა მათგანი ძალიან ლამაზი და სიცოცხლით სავსეა. მაგალითად, გოგჩას (Kūkare) ტბის ნაპირები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილთაგანია. ეს ტბა ყოველი მხრიდან მთებშია ჩაფლული. მის ნაპირზე ერთი სოფელია, რომელშიც მალაკნები ცხოვრობენ. მათ გამოკვეთილი რელიგია და ეროვნება არა აქვთ. ყველა ყვითელთმიანი და უშნოა და იშვიათად თუ ნახავ ლამაზ ან თუნდაც საშუალო გარეგნობის ადამიანს, ძირითადად, მახინჯები არიან. რუსებისთვის მალაკნები იგივეა, რაც მუსლიმებისთვის ფიუჯი[177]. შემდეგი პუნქტი ჩაბაყლოა (Chabaqlo), რომელიც აზერბაიჯანის ბოლო სოფელია. ის მთის კალთაზეა შეფენილი და ძალიან ლამაზი ადგილია. სოფელს რომ გაცდები, [გზა] მაღალ მთაში ადის. მთის ის მხარე, რომელიც თბილისისკენ არის მიმართული, საქართველოს ეკუთვნის, ხოლო ის, რაც ჩაბაყლომდეა – ერევანს. მთაცა და ხეობაც ტყით არის დაფარული და ძალიან, ძალიან ლამაზია. გარშემო ბევრი სოფელია.

ჩაბაყლოს ფერდობზე მშვენიერი აყვავებული მდელოა გაშლილი. საღამოს მისმა კეთილშობილება შოჯამ თანამგზავრებთან ერთად ამ მდელოზე გაისეირნა და მათ თავისი გულისტკივილი გაუზიარა: „რუსეთის ომი გამახსენდა და თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. ამ მოგზაურობიდან რომ დავბრუნდები, დიდე-

---

176 იგულისხმება არა ქალაქი, არამედ თბილისის გუბერნია.

177 სპარსული ტექსტის გამომცემლის კომენტარში ნათქვამია, რომ „ფიუჯი ინდური სიტყვაა და ინდოეთში მცხოვრებ სიუშნოვით განთქმულ ხალხს ჰქვია. ირანში მათ ბოშებს (kūlī) ეძახიან". როგორც ჩანს, იგულისხმება ბოშათა მონათესავე ეთნოსოციალური ჯგუფი დომი, რომელიც გაფანტულად ცხოვრობს ინდოეთში. დომები მიუკარებელთა კასტას ეკუთვნიან.

ბულ შაჰინშაჰს შევევედრები, რომ 30000-იანი ლაშქარი მომცეს, რათა თბილისი რუსებისგან უკან დავიბრუნო. პირობას ვდებ, რომ, თუ დანარჩენ საზღვრებს სხვა მხედართმთავრები გააკონტროლებენ, სანამ ცოცხალი ვარ, ამ რეგიონიდან პრობლემები აღარ გვექნება. და თუ პირობას ვერ შევასრულებ, დაე, სახლიცა და მამულებიც ჩამომართვან". ათასი ფიცი დადო, რომ „ამ თხოვნით [შაჰინშაჰს] აუცილებლად მივმართავ და სათათბიროში მინისტრებსაც დავარწმუნებ, რომ ეს სახელმწიფოს ინტერესებში შედის და დავითანხმებ, რომ ამ საქმეს ხელი შეუწყონ. დიახ!".

საფარის თვის ორში (19 ივლისს) თბილისში შევედით. *ქალანთარი* რამდენიმე სამხედროსთან და სხვა [ოფიციალურ] პირთან ერთად ქალაქის მისადგომებთან დაგვხვდა. მისიის წევრები სპეციალურად მათთვის განკუთვნილ *კალიასკებში* ჩასვეს და მთავრობის სასახლეში დააბინავეს. [იმ დღეს] ისინი საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელმა *გრაფ საჰიბმა*[178] (Gherāf Sāheb) და ქალაქის გუბერნატორის თანაშემწემ, მეორე დღეს კი თავად გუბერნატორმა ინახულეს. მეფისნაცვალმა, რომელიც იმხანად ქალაქგარეთ ბრძანდებოდა, ადიუტანტი გამოგზავნა და მისი კეთილშობილება მხლებლებითურთ თავისთან მიიწვია. მესამე დღეს ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მისიის წევრები მეფისნაცვლის აგარაკზე გაემგზავრნენ და ღამე იქ დარჩნენ. მეფისნაცვალმა ისინი სათანადო პატივით მიიღო და მეორე დღეს ბრწყინვალე ნადიმი გაუმართა. სადილის შემდეგ მეფისნაცვალი სტუმრებს ძალიან თბილად დაემშვიდობა და ქალაქში გამოისტუმრა.

თბილისში ჩამოსვლის მეოთხე საღამოს რამდენიმე რუსი ოფიცერი მობრძანდა, რომელთა შორის *გრაფ საჰიბი*, გენერალი ლისლი (Līslī) და ჰალკროფი (Halkrof) იყვნენ. შოჯა' ალ-მოლქი ერევნის საკითხს შეეხო, ისევ ერევნის მოვლენებს[179] მიუბრუნდა და *გრაფ საჰიბსა* და გენერალ ლისლის უთხრა: „ოფიციალურად მოგმართავთ და გთხოვთ, თქვენს ხელისუფალთ მოახსენოთ, რომ ერევნის გუბერნატორი მოხსნან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მომავალში რომელიმე თქვენი მოხელე ჩვენთან ჩამოვა, მასაც არაფრად ჩააგდებენ. მე პატარა კაცი არ ვიყავი, როცა თქვენს ქვეყანაში ჩამოვედი. ყველამ იცის, რომ 5000 ქვეშევრდომი მყავს, ბევრი სასტიკი ბრძოლა გამომივლია და ბრწყინვალე გამარჯვება მომიპოვებია. ფადიშაჰის სიძე და ირანის არმიის მთავარსარდლის ძმისშვილი და მემკვიდრე ვარ და აზერბაიჯანის სრულუფლებიანი მმართველი გახლავართ. თუ მოვისურვებდი, შემეძლო დღეში 30 კაცისთვის მომეკვეთა თავი და დასჯის ასეთი და ასეთი ხერხები მიხმარია".

იმ საღამოს საუბარმა დიდხანს გასტანა, მაგრამ ყველა კითხვა უპასუხოდ დარჩა. რუსმა მოხელეებმა ერთი სიტყვის, თუნდაც ტყუილის, თქმაც კი ვერ

---

[178] ავტორი ამ პირს რუსულ-აღმოსავლური ტიტულით მოიხსენიებს და გვარს არ ასახელებს.

[179] როგორც ტექსტიდან ჩანს, ირანის მისიას ერევანში სათანადო პატივით არ დახვდნენ და ოფიციალური პირებიდან მხოლოდ ქალანთარმა და რამდენიმე მოხელემ ინახულეს, რამაც ირანელები ძალიან გაანაწყენა (*Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk*, 12-13).

მოახერხეს და ლამის ისინიც ერევნელი *მეპმანდარის* მდგომარეობაში ჩაცვივდნენ.

ზემოხსენებული მოხელეები შემდეგ საღამოს ისევ შეიკრიბნენ და დრო მხიარულად გაატარეს. მისმა კეთილშობილება შოჯამ ისაუბრა მერვის ბრძოლაზე[180], მასში დამარცხების მიზეზებზე და უმეფობის ხანის შეცდომებზე. თავისი თავის გასამართლებლად მან საკუთარი მოხერხებულობისა და დამსახურების დამამტკიცებელი ფაქტები მოიყვანა და ბევრი ისაუბრა დროულად უკან დახევაზე, რამდენიმე პოლკის ყიდვაზე, სხვა სარდლების დანაშაულზე, მთავარსარდლის ძმის მორთეზა ხანის სამარცხვინო საქციელზე და მის ვაჟზე, რომელიც ჯერ კიდევ ტყვეობაში იყო, მთავარსარდალი კი მის გამოსასყიდ ფულს არ იძლეოდა. მსმენელები გაოცებულები იყვნენ და მას აქებდნენ.

ერთ საღამოს *ხან რაისი*[181] თავის სასიყვარულო თავგადასავლებზე გვესაუბრა. ერთი მოხდენილი ქართველი ქალი 30 მანეთად დაითანხმეს, რომ მასთან მისულიყო. როგორც გავიგე, შეხვედრით აღელვებულმა და გახარებულმა *ხან რაისმა* თავი ველარ შეიკავა და ქალი გულში ისე მაგრად ჩაიკრა, რომ მთელი ძვლები ჩაულეწა. [ქალმა] ტკივილისგან შეჰკივლა და გონება დაკარგა. მსახურებმა ეს ამბავი მის ოჯახს შეატყობინეს. ამის შემდეგ ამ ქალის შესახებ არავის არაფერი სმენია.

ერთ დღეს *ხან რაისი* მიღებაზე ერთ-ერთ მსახურს გაეარშიყა და სახეზე და თმაზე მიეფერა. მერე თავისთან დაიბარა და უთხრა: „რაც ამ ქვეყანაში ქონება და ტანსაცმელია, ორი იმდენიც რომ მოისურვო, უარს არ გეტყვი". მსახურმა გაიცინა. მისმა უმაღლესობამ ღიმილი თანხმობის ნიშნად მიიღო. ღამე, როცა დაწოლის დრო დადგა, მსახურს თავის საწოლ ოთახში დაუძახა, მაგრამ მან თავაზიანი უარი უთხრა. *ხან რაისმა* ეს თავაზიანობა პრანჭვად ჩაუთვალა და არ მოეშვა. როგორც გავიგე, ამ შეტევასა და თავდაცვაში მსახურს შარვალი გაეხა და *ხან რაისს* საკონსულოში უწივლა. [კონსული] შეეცადა, რომ დაპირისპირებული მხარეები შეერიგებინა და მომხდარი დაემალა. „და შეთანხმებაა ამაზე".

თბილისი ძალიან დიდი და ლამაზი ქალაქია. აქ მშვენიერი შენობები დგას და შიგ ქართველი კაცები და ქალები ცხოვრობენ. ისინი ძალიან მოხდენილები არიან, მაგრამ მომხიბვლელობა აკლიათ. ქართველები უაღრესად თავისუფალი და უდარდელი ხალხია და მათი ერთადერთი სადარდებელი ფულია. მდინარე მტკვარი ქალაქის შუაში მოედინება. თბილისში ცამეტი დღე გავატარე და მისი ყველა ღირშესანიშნაობა დავათვალიერე, მათ შორის წისქვილი, რომელიც ოთხი განყოფილებისგან შედგება. მარცვალი ზედა განყოფილებაში იყრება და ჩარხის მეშვეობით სუფთავდება. მეორე განყოფილებაში გასუფთავებული მარცვალი იფქვება და მესამეში ღერღილის, ხოლო მეოთხეში ფქვილის სახით გადმოდის. ეს წისქვილი დღეში რვა *ხარვარ* ფქვილს უშვებს. საოცარია, რომ ოთხივე განყოფილების ჩარხები მოძრაობაში მოჰყავს ერთ ბორბალს, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი და მძლავრია, მყარ სადგომზე კი არ დგას, არამედ

---

180 1857 წელს ქალაქ მერვის მისადგომებთან ირანისა და თურქმენების ჯარების ბრძოლა გაიმართა.

181 „ხან რაისი" (khān ra'īs) სპარსულად „ბატონ უფროსს" ნიშნავს.

ჩამოკიდებულია და მისი ერთი ნაწილი ყოველთვის წყალშია. როცა წყლის დონე მატულობს, ეს ნაწილი მაღლა ადის, ხოლო როცა კლებულობს, დაბლა ეშვება, ასე რომ ბალანსი არასოდეს ირღვევა. კიდევ ბევრი ასეთი დეტალია, მაგრამ ამ მოკლე ანგარიშში მათ აღწერას ვერ მოვახერხებ. ევროპაში უნდა გავემგზავრო და მეტს ვეღარ შევყოვნდები.

საფარის თვის 14-ში (31 ივლისს) მე და მისი აღმატებულება ღრმად პატივცემული სწავლული აყა მირზა ჯაფარი, რომელიც სტამბოლის გავლით დიდებულ მექაში მიდიოდა, თბილისიდან გავემგზავრეთ. 15-ში ჩავედით დაბა გორში (Kor), რომელიც თბილისიდან ... *ვერსში* მდინარე მტკვრის პირას მდებარეობს. გორი ძალიან კეთილმოწყობილი დასახლებაა. მასში დაახლოებით 2000 დიდი და ლამაზი სახლი და ძალიან სუფთა ბაზარია. ქალაქის ცენტრში მთის წვერზე ბასტიონია აღმართული. მთის კალთები ყველა მხარეს ციცაბოა, გარდა ერთისა, რომელიც შედარებით ნაკლებად არის დაფერდებული. ბასტიონი სწორედ ამ მხარეს დგას და მთის მთელი ზედაპირი უკავია. თბილისიდან გორამდე გზა მტკვრის ნაპირს მიუყვება, ქალაქიდან ნახევარ *ვერსში* კი მდინარეს კვეთს და მერე სულ საქართველოს სოფლებსა და დასახლებებზე გადის. კალამი უძლურია, გადმოსცეს ამ გზების, მთების, მდინარეებისა და ტყეების სილამაზე და სისუფთავე, აღწეროს ის [ტექნიკური] სიახლეები, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ ამ გზების მშენებლობისას გამოიყენა: გაბურღა მთები, გაჩეხა და მოასუფთავა ტყეები, ააშენა ჯებირები და ხიდები. უმჯობესია, წახვიდეთ და თავად ნახოთ.

227 *ვერსის* გავლის შემდეგ ქუთაისში (Kūtāyīs) ჩავედით. შეიძლება ითქვას, რომ ძალიან დიდი და აყვავებული ქალაქია. თბილისის მერე [მეორე] საგუბერნიო ცენტრია. ის მდინარე რიონზე (Ryon) მდებარეობს და ძალიან სუფთა და კეთილმოწყობილია, მაგრამ ნესტიანი კლიმატი და უგემური და მავნე წყალი აქვს. ქალაქში ჩასვლის პირველსავე ღამეს სიცხე მომცა და მალარიის შეტევა დამემართა.

მეორე დღეს წავედით მარანში (Mārān), რომელიც ქუთაისიდან 35 *ვერსით* არის დაშორებული. ქუთაისიდან მარნამდე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გზა გადის. თითქოს საგანგებოდ, ისეა აშენებული, რომ ერთი მოსახვევიც კი არა აქვს. თუ არ ჩავთვლით ერთ ადგილს, სადაც დაახლოებით ათასი ნაბიჯი სიგრძის მსუბუქი დაღმართია, მთელი გზა ლარივით არის გაჭიმული. გზას ორივე მხრიდან ლამაზი ტყეები მიუყვება.

თბილისიდან მარნამდე 262 *ვერსია*. შვიდი *ვერსი* ერთი *ფარსახის* ტოლია. სამცხენშებმული ოთხთვალის ქირაობა ყოველ *ფარსახზე* ერთი *რიალი* და 435 *დინარი* ღირს. მარანი გილანის ტიპის დასახლებაა. აქ ძალიან ცუდი კლიმატი და წყალია. ის მდინარე რიონის პირას მდებარეობს.

საფარის თვის 17-ში (3 აგვისტოს) მარანში ჩავედით. მდინარე რიონზე პატარა ორთქლის გემი დადის, მაგრამ ამ ჯერზე იქ არ იყო და იმ ღამეს მარანში დავრჩით.

18-ში (4 აგვისტოს) მარანში მალარიის საშინელი შეტევა დამემართა. ძალიან ცუდად ვიყავი და მთელი ღამე გემის მოლოდინში გავატარე. საღამოს ფოთიდან გემი ჩამოვიდა.

19-ში (5 აგვისტოს) გემში ჩავსხედით და ხუთ საათში ფოთში ჩავედით. ფოთი მარანზე დიდი სოფელია და მას შეიძლება პატარა ქალაქიც ეწოდოს. ის რუსეთის საზღვარზე მდებარეობს[182] და საქართველოს ბოლო პუნქტია. რუსეთის ხელისუფლებამ ქალაქში კანცელარიის ორი შენობა და საბაჟოსთვის საწყობი ააშენა. საწყობში ყველა სახის შემოტანილი და გასატანი საქონლის აღნუსხვა და განბაჟება ხდება. კანცელარიის ერთი შენობა საბაჟოს ეკუთვნის, მეორეში კი *პასპორტს* (bashbort) ანუ *თეზქერეს* ამოწმებენ, რეგისტრაციაში ატარებენ და შიგ ვიზას არტყამენ. პასპორტის გარეშე არავის აქვს უფლება, რომ ქვეყნის საზღვარი გადაკვეთოს და უკან მხოლოდ იმ გზით შეუძლია დაბრუნდეს, რომლითაც აქ ჩამოვიდა. ფოთი შავი ზღვის (Daryā-ye Qarārdangīz) ნაპირზე, მდინარე რიონისა და ზღვის შესართავთან მდებარეობს.

ოცში (6 აგვისტოს) ორთქლის გემი ისევ არ გამოჩნდა და ფოთში დავრჩით. დღისით მალარიის უმძიმესი შეტევა დამემართა და მთელი ის დღე და 21-ის ღამე უგონოდ ვიყავი. იმ ღამეს ბათუმიდან წინაზე უფრო დიდი სარეისო გემი ჩამოვიდა.

---

182 როგორც ჩანს, ავტორი გულისხმობს საზღვარს სამეგრელოს სამთავროსთან, რომელიც მისი მოგზაურობის დროს ჯერ კიდევ ფორმალურად დამოუკიდებელი იყო. რუსეთის იმპერიამ ის 1867 წელს მიუერთა ქუთაისის გუბერნიას.

სეიფ ად-დოულე და მისი მოგზაურობის წიგნი

სოლთან მოჰამად მირზა სეიფ ად-დოულე დაიბადა თეირანში 1813 წელს. ერთი ვერსიით, ის იყო ფათჰალი შაჰის 38-ე ვაჟი, ხოლო მეორე ვერსიით – ფათჰალი შაჰის შვილის სოლთან აჰმადის ვაჟი. 13 წლის იყო, როცა ფათჰალი შაჰმა ისფაჰანის გუბერნატორად დანიშნა და ლაყაბი „სეიფ ად-დოულე" მიანიჭა. ვილაიეთის მართვაში მას შაჰის მიერ დანიშნული მინისტრი იუსუფ ხან გორჯი ეხმარებოდა. ამ თანამდებობაზე სოლთან მოჰამადმა 10 წელი გაატარა. 1834 წელს ფათჰალი შაჰის გარდაცვალებასა და მოჰამად შაჰის (1834-1848) გამეფებასთან დაკავშირებით, იგი თეირანში გაიწვიეს. სეიფ ად-დოულემ თეირანში რამდენიმე წელი დაჰყო და მერე მოჰამად შაჰს, რომელიც თავისი ძმისშვილისადმი მაინცდამაინც კეთილგანწყობილი არ იყო, ერაყში წმინდა ადგილების მოსალოცად გამგზავრების ნებართვა სთხოვა. შაჰის ნებართვის მიღების შემდეგ სოლთან მოჰამადი დედასთან (ერთი ვერსიით, ეს იყო ფათჰალი შაჰის საყვარელი ცოლი თაუს ხანუმ თაჯ ად-დოულე) ერთად ერაყში გაემგზავრა და ბაღდადში დასახლდა.

1863 წელს სოლთან მოჰამადმა მექაში იმოგზაურა და მოგზაურობის შთაბეჭდილებები გადმოსცა თხზულებაში „სეიფის მოგზაურობის წიგნი", რომელიც ასევე ცნობილია სახელით „მექაში მოგზაურობის წიგნი". „მოგზაურობის" ხელნაწერი ინახება ირანის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში (№761). ის პირველად 1985 წელს გამოსცა 'ალი აქბარ ხოდაფარასთმა. 2010 წელს ამ გამოცემით ისარგებლა რასულ ჯა'ფარიანმა და გარკვეული შესწორებებით შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი".

სეიფ ად-დოულეს თხზულება ენციკლოპედიური ტიპის „მოგზაურობის წიგნებს" განეკუთვნება, თუმცა მასში უხვად არის ავტორისეული მსჯელობებიც სხვადასხვა საკითხზე. ავტორი განსაკუთრებული ინტერესით ძველ ქალაქებსა და მათ კულტურულ მემკვიდრეობაზე წერს. იგი გულისტკივილით აღწერს ევროპელების, მისი აზრით საზიანო, არქეოლოგიურ გათხრებს უცხო ქვეყნებში, რის შედეგადაც ერთი მხრივ, განათხარი უნიკალური ნივთები ქვეყნის გარეთ გადის და მეორე მხრივ, თავად გათხრების პროცესში ბევრი ძეგლი ზიანდება. საინტერესოა სეიფ ად-დოულეს დამოკიდებულება უცხო კულტურათა მიმართ. თხზულების დასაწყისშივე ის აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ბევრი რამ მიუღებელია, ის არაფერზე თვალს არ დახუჭავს და ყველაფერს აღწერს, რადგან ეს ყველა მოგზაურის ვალია. განსაკუთრებით მკაცრია ის თბილისის მოსახლეობისა და მათი ცხოვრების ნირის მიმართ, თუმცა, მეორე მხრივ, აღტაცებულ ეპითეტებს არ იშურებს თბილისის შენობების, მოედნების და ბაღების აღწერისას. მის მიერ დახატული ქალაქის სურათი სპარსულ „მოგზაურობათა წიგნებს" შორის ერთ-ერთი ყველაზე მრავლისმომცველი და საინტერესოა.

ტექსტები და თარგმანი

Safar-nāme-ye Seyf ma'rūf be Safar-nāme-ye Makke, neveshte-ye Seyf ad-Doule Soltān Mohammad, be tashīh va tahshīye-ye 'Alī Akbar Khodāparast, Tehran, 1364/1985.

Seyf ad-Doule Soltān Mohammad, "Safar-nāme-ye Seyf ma'rūf be Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hājj-e Qājārī*, j. 2, 13-176.

„სეიფის მოგზაურობის წიგნი (მექაში მოგზაურობის წიგნი)", წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, 133-145.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 1347/1968, 103.

Rasūl Ja'farīyān, "Dar bāre-ye safar-nāme-ye hāzer va nevīsande-ye ān", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hājj-e Qājārī*, j. 2, 9-13.

Rahīm Ra'īs Nīyā, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", 198-199.

Khalīlollāh Yazdānī, "Hajj va safar-nāme", წიგნში: Khalīlollāh Yazdānī, *Hajj dar adab-e fārsī*, Qum, 1379/2000, 131-132.

სეიფის მოგზაურობის წიგნი (მექაში მოგზაურობის წიგნი) (1863)

თბილისი

თბილისი მდინარე მტკვრის ხეობაში მდებარეობს. მისი რამდენიმე უბანი გზის ორსავე მხარეს არის გაშენებული. ქალაქი ძალიან კეთილმოწყობილია. შენობები ძირითადად მთის წვერზე და კალთებზეა შეფენილი, ამიტომ ისინი დიდებული სანახავია. ქუჩები ფართოა და ქვით არის დაფენილი.

ქალაქის შენობების აღწერა

თბილისის ქუჩებში ძირითადად ორ-სამსართულიანი შენობებია აღმართული. ქვედა სართულზე დუქნები და სავაჭრო დახლებია განლაგებული. ეს დიდებული სახლები ქვით, ხითა და აგურით არის ნაგები. ქალაქში ბევრი ლამაზი ბაღი და ბაღჩაა. აქაური კლიმატი რბილია. მოსახლეობას ქართველები, რუსები, სომხები, ებრაელები და შიიტი და სუნიტი მუსლიმები შეადგენენ. ქალაქში დიდებული ეკლესიებია. მტკვრის პირას მდგარი დიდი ეკლესია შაჰ აბას სეფიანის აგებულია[183]. მისივე აშენებულია ამ ეკლესიის გვერდით მდებარე მეჩეთი და მინარეთიც.

---

[183] ირანელი ავტორები თბილისის სიონის ტაძრის აგებას შაჰ აბას II-ს შესაძლოა იმიტომ მიაწერენ, რომ მისი მეფობის ხანას (1642-1666) ემთხვევა სიონის აღდგენა მთავარეპისკოპოს ელისე საგინაშვილის მიერ.

ქალაქის აბანოები

თბილისში კარგი აბანოებია, რომლებშიც წყალი ცხელი წყაროებიდან შედის და ამიტომ ცეცხლით გათბობა აღარ სჭირდება. ცხელი წყაროების გვერდით ცივი წყაროებიც არის. ყველა აბანოში ცხელი და ცივი წყლის მილები ერთმანეთის გვერდით აყენია და იქიდან წყალი აუზებში იღვრება. ეს წყალი ძალიან სუფთა და სასიამოვნოა და სხეულს არბილებს.

ხალხის აღწერა

თბილისში მცხოვრებმა რუსმა დიდებულებმა აქ დიდი შენობები და სახლები და ულამაზესი ბაღები ააშენეს. ქალები და კაცები არც იმდენად ლამაზები არიან, რომ აღნიშვნად ღირდეს. ისინი უზნეოები და ქარაფშუტები არიან. ქალაქში ბევრი ყავახანა და სამიკიტნოა. ვისაც როგორი აღვირახსნილი ცხოვრება უნდა, აქ მისთვის ყველა პირობაა შექმნილი და არანაირი დაბრკოლება არ არსებობს.

თბილისში ძალიან კარგი ქარვასლებია, მათ შორის სომეხ ხალათოვის (Khalatof) ქარვასლა[184], რომელიც მტკვრის პირას მდებარეობს. ის ორ-სამ სართულიანია და ორმოცზე მეტი ოთახისგან შედგება. თბილისი დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქია. ის გრძელია, თუმცა განიერი არ არის. აქ ყველანაირი საქონელი და საჭმელ-სასმელი იშოვება და ნებისმიერი ჯიშის ხილი ხარობს. ძალიან კარგი ვაშლი აქვთ, რომელიც ახალ მოსავლამდე ინახება.

მეფისნაცვლის სასახლე

მეფისნაცვლის სასახლე გაშლილ ადგილზე დგას და მოედანს გადაჰყურებს. ეს ქვის დიდებული შენობა ბრწყინვალე მდიდრული ავეჯით არის გაწყობილი. მის წინ ლამაზი ბაღია გაშენებული. სასახლის წინ მოედანზე ჩამწკრივებულია სახელმწიფო დაწესებულებები: ყაზარმა, კანცელარია, არსენალი, არტილერია და ციხე. ყველაფერი რა ლამაზია!

მოედნის აღწერა

მოედნის ერთ მხარეს ორ-სამსაფეხურიანი ლამაზი აუზია აშენებული, მეორე მხარეს კი ფეხით მოსიარულეთათვის ქვაფენილია დაგებული. გზის პირას ქვის ბოძები დგას, რომლებზეც ჯაჭვია გაბმული, რომ ხალხი გზიდან არ გადავიდეს. ბოძებზე გასანათებელი ლამპიონები კიდია. აქა-იქ ჩრდილისა და სილამაზისთვის ხეებია დარგული. მოედნის ერთ მხარეს დგას ქვის დიდებული სამსართულიანი ქარვასლა[185], რომელსაც შესასვლელი ოთხივე მხრიდან აქვს და ზედ საუცხოო კარებები აბია. აქ მშვენიერი მზა ტანსაცმელი და სხვა საქონელი იყიდება. ქარვასლის მფლობელს გადაწყვეტილი აქვს, რომ ქარვასლა 200 000

---

184 იხ. შენიშვნა 157.

185 ლაპარაკია თამამშევის ქარვასლაზე, რომელიც იდგა ერივანსკის მოედნის შუაში. ის აშენდა 1847-1851 წლებში არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის პროექტით და იმდროინდელი თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ნაგებობად ითვლებოდა. მასში იყო თეატრიც, რომელსაც ავტორი ქვემოთ ახსენებს.



თბილისი, მეფისნაცვლის სასახლე. 1865-67 წლების ფოტოსურათი.

იმპერიალად ლატარიაში გაათამაშოს. მოედანზე კარგი თეატრიც დგას. ცხენებშებმული საუცხოო ეტლები დღედაღამ მზად არის გასაქირავებლად. ამ ქალაქის გარეუბნებში ძალიან დიდი სახელმწიფო ყაზარმები, არტილერია, არსენალი და ქარხნებია აშენებული.

თბილისის ვაჭრობა

თბილისში ყველა ქვეყნის მდიდარი და გავლენიანი ვაჭარი ცხოვრობს და ებრაელიც ბევრია. ყველა თვალსაზრისით მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია. აქ ნებისმიერი სახის ხელოსანს შეხვდები. თბილისში დიდი რაოდენობით აბრეშუმს აწარმოებენ. მუშები ძირითადად აზერბაიჯანიდან, ხალხალიდან, ხამსედან[186] და თარამიდან არიან.

საჭმლის და ტანსაცმლის აღწერა

ამ ქალაქში იმდენი ღორის ხორცი იჭმევა და ღვინო ისმევა, რომ ვერ მოთვლი. ხალხი ძალიან სუფთად და კარგად არის ჩაცმული. თბილისისა და საქართველოს [სხვა რეგიონების] მუსლიმები, როგორც ქალები, ისე კაცები, აქაური ქრისტიანების მსგავსად იცვამენ და მათ ენაზე ლაპარაკობენ. ქალებიც ქრისტიანული წესით სახეს არ იფარავენ.

---

186 ხამსეში (სპ. ხუთეული) იგულისხმება ზენჯანის ოსთანი, რომელიც ხუთ რაიონს მოიცავს: ჰუმეს, აბჰარს, თარამს, მაჰნეშანს და ხოდაბანდს.

თბილისის აბანოები

თბილისში ორი სახის აბანოებია: რამდენიმე მათგანი ირანული აბანოების ყაიდაზეა აგებული, მაგრამ იქ მუსლიმებთან ერთად ქრისტიანები და ებრაელებიც დადიან. რუსები აბანოში თეძოს შემოსაკრავს არ იკეთებენ. მეორე ტიპის აბანოებს გრძელი დერეფანი მიუყვება, რომლის ორსავე მხარეს კარებებია ჩამწკრივებული. აქ ერთ სკამზე აბანოს მეპატრონე ზის, დანარჩენი სკამები კი მომსვლელებისთვის არის განკუთვნილი. ჯდებით და აბანოს მფლობელს ეუბნებით, რომ შესვლა გინდათ. საათს ინიშნავს და კარს გიღებთ. პატარა ოთახში შედიხართ. თუ თანამგზავრი გახლავთ, გინდ ქალი იყოს და გინდ კაცი, დაუფარავად თან შეგყავთ. ოთახი თლილი ქვით არის ნაშენები და მისი ფართობი სამი კვადრატული *ზარ'ია*. კედლების გასწვრივ ორი ხის ტახტი დგას, თითო თითო კაცისთვის. გინდა მარტო იყოთ და გინდ ამხანაგთან ერთად, ტანზე იხდით. თეძოს შემოსაკრავი არ არის, თვითონ უნდა მოიტანოთ. აქედან მეორე, ზუსტად ამავე ზომის ოთახში გადიხართ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეორე ოთახში აუზი დგას, რომლის ფართობი 1,5 კვადრატული *ზარ'ი*, ხოლო სიღრმე 1,4 *ზარ'ია*. აუზის ზემოთ კედელზე დამაგრებულია ციცი და ცხელი წყლის მილები, საიდანაც რამდენსაც მოისურვებთ, იმდენი წყალი მოდის. ოთახში უნებართვოდ ვერავინ შემოვა. თუ მარტო ხართ და გინდათ, რომ ამხანაგი მოვიდეს, დაიძახებთ და ამ საქმეს დამატებით საფასურად ერთი კაცი მოგიგვარებთ, რომელსაც კონკრეტულად ეს საქმე ეხება. ამ კაცს ეტყვით: წადი და მავან ქალს ან კაცს, რომელიც ჩემი ამხანაგია, უთხარი, რომ მოვიდეს. წავა და მოიყვანს. თუ თქვენ არავინ გყავთ და გინდათ, რომ მან მოიყვანოს ვინმე, ეტყვით: ქალი მინდა. დაუყოვნებლივ მოგიყვანთ. ფასს ის განსაზღვრავს[187] და თვითონვე გადასცემს. თუ საჭმელი ან სასმელი მოგინდებათ, იმ კაცს ფულს მისცემთ და მოგიტანთ. რამდენსაც გინდათ, იმდენ ხანს დარჩებით. აბანოდან გამოსვლისას მეპატრონე საათს შეამოწმებს: კაცი საათი 3 *ყერანი* ღირს. ხმები რომ დადის, ქალები და კაცები აბანოში ერთად შედიანო, [მართალია] და ეს ასე ხდება.

ქარვასლები

ქალაქში ბევრი დიდი ქარვასლა და დუქანია. ხალათოვის ქარვასლის აშენება, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, 100 000 თუმანი დაჯდა და წელიწადში 5 000 თუმნად ქირავდება. ცოტაოდენს გიამბობთ ფოსტაზე და მისი თანამშრომლების მოპყრობაზე მოგზაურებთან, რათა იცოდეთ.

პასპორტი

საიდანაც არ უნდა იყოთ ჩამოსული, პირველ რიგში რუსეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლისგან გარკვეულ საფასურად უნდა აიღოთ ქაღალ-

---

187 სპარსული ტექსტის სქოლიო: „ფასის განსაზღვრა ნიშნავს თანხის რაოდენობის დადგენას და მის გადახდას. ამინ ად-დოულეს „მოგზაურობის წიგნში" წერია: შეიხ ალის გავაგზავნი, ის აარჩევს და ფასსაც განსაზღვრავს (*Safar-nāme-ye Amīn ad-Doūle*, be kūshesh-e Eslām Kāzemye, 198)".

დი, რომელსაც აქაურები *პასპორტს* (pāspūrt) ეძახიან, ჩვენ კი *თეზქერეს* ვეძახით. თუ გინდათ, რომ შეუფერხებლად იმგზავროთ და გზაზე ყურადღება მოგაქციონ, უნდა ეცადოთ, რომ პასპორტში ჩაგირტყან ბეჭედი, რომელსაც ყაზანის (Ghāzānī) ბეჭედი ჰქვია. ამ ქაღალდის აღების შემდეგ შეგიძლიათ რუსეთის მიწაზე შეხვიდეთ. საზღვარზე სხვადასხვა მიზეზით დიდ საბაჟო გადასახადს გახდევინებენ. მოგზაურებს ლამის ჯიბეებსა და იღლიებსაც კი უთვალიერებენ. ყველა ქალაქსა და ფოსტის სადგურში, სადაც ჩახვალთ, პასპორტი უნდა წარადგინოთ და ბეჭდის ჩარტყმაში განსაზღვრული თანხა გადაიხადოთ.

პოდოროჟნა

მას შემდეგ, რაც ოთხთვალის ქირის ფულს გადაიხდით, მოგცემენ ქაღალდს, რომელსაც *პოდოროჟნა*[188] (Pādarozhna) ჰქვია. ფოსტის თანამშრომელი მოიყვანს ოთხთვალას და თქვენს ბარგს შიგ ჩააწყობს. ის ცალკე თანხას იღებს *მაზუთისთვის* (mazūd), რაც იმ ზეთის საფასურია, რომელსაც გზაზე ოთხთვალის ღერძებს უსვამენ. მერე გზას გაუდგებით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ამ მძიმე მოგზაურობის დროს. მართალია, ოთხთვალა სწრაფად დადის, მაგრამ კაცს მაინც არაქათი ეცლება, რადგან იძულებულია, ყველა ფოსტის სადგურში ზემოხსენებული წესით ჩაარტყას ბეჭედი, აიღოს *პოდოროჟნა* და გადაიხადოს გადასახადი. თქვენი ნებაა, გინდ დარჩით და გინდ წადით.

ფოსტის სადგურის აღწერა

ფოსტის სადგურების უმრავლესობა კარგი შენობებია, რომელშიც დიდი ბუხრიანი ოთახებია. ოთახში დგას ტახტი, მაგიდა, შანდალი და წყლის ჭურჭელი, რაშიც დამატებით თანხას არ იხდით. ფოსტაში ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი ჯარისკაცები, რომელთა მოვალეობაც ფოსტის დარაჯობა და მოგზაურების მომსახურებაა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ცივ ამინდში უნდა დაანთონ ბუხარი, მოთხოვნის შემთხვევაში მოიტანონ წყალი ან ცხელი *სამოვარი* და თუ მგზავრი ღამე რჩება, აანთონ შუქი. ეს ყველაფერი თქვენ ყოველგვარი გადასახადის გარეშე გეკუთვნით და ფოსტის თანამშრომელს გასამრჯელოს მისცემთ თუ არა, თქვენი ნებაა. მაგრამ თუ სხვა რამეს მოისურვებთ, მაგალითად, ქათამს, პურს ან საჭმლის მომზადებას, უნდა გადაიხადოთ როგორც ამ ყველაფრის, ისე ფოსტის თანამშრომლის შეწუხების საფასურიც.

მექრთამეობა

ზოგიერთ ფოსტის სადგურში მგზავრებს ცუდად ექცევიან და ცხენებს უგვიანებენ. ჩვენ ორგან ძალიან გაგვაწვალეს. ერთ სადგურში მთელი დღე-ღამე

---

188 სპარსული ტექსტის სქოლიოში აღნიშნულია, რომ „პოდოროჟნა მეფის რუსეთში დიპლომატიურ პასპორტს ერქვა. ამ პასპორტს სახელმწიფო ემისრებსა და მოხელეებს აძლევდნენ". განმარტება ზუსტი არ არის. „პოდოროჟნაია" (Подорожная) იყო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა მგზავრის (არა მხოლოდ უცხოელის) უფლებას ესარგებლა საფოსტო ცხენებით.

გაგვაჩერეს. უცხოები ვიყავით და აქაური სიტუაცია არ ვიცოდით, საზღვარგარეთიდან კი გაგონილი გვქონდა, რომ რუსეთში ასეთი და ასეთი წესრიგია, არ ტყუიან და ქრთამს არ იღებენო. ამიტომ როცა გვეუბნებოდნენ, რომ ცხენები მზად არ იყო, ვუჯერებდით და ვიცდიდით. ბოლოს ჩავედით ქალაქ განჯის წინა სადგურში. ფოსტის უფროსს, რომელსაც *ხოზაინს* ეძახდნენ, პასპორტები გავუგზავნეთ. 15 წუთის შემდეგ მსახური დაბრუნდა და გვითხრა, რომ ცხენები არ იყო. შევწუხდი და ვთხოვე, გაერკვია, როდის იქნებოდა. წავიდა და პასუხი მოიტანა: „ამბობს, არ ვიცი. ხვალ, ზეგ, სამი დღის მერე, როცა მოიყვანენ, მოგცემთო". სხვა რა გზა მქონდა, მსახურს ვუთხარი: „ბარგი შენობაში შეიტანეთ, ერთ საათს დავისვენებ და მერე ვნახოთ". ბარგი რომ შეჰქონდათ, ოთახიდან ისევ ის რუსი გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მოგზაურებს ფოსტაში შესვლის უფლება აქვთ, უხეშად გაგვაჩერა და შიგ არ შეგვიშვა. ბარგი მინდორში ღია ცის ქვეშ დაგვიყარეს. დაღონებულები იქვე ჩამოვსხედით და დაახლოებით ორი საათი ასე ვიყავით: არც საქირავებელი პირუტყვი ჩანდა, არც ბინა და გასაჩერებელი ადგილი და არც ვახშამი. გაოგნებულები ვიყავით. ის საზიზღარი რუსი კი საათში ერთხელ ოთახიდან გამოდიოდა და რუსულად რაღაც სისულელეებს გველაპარაკებოდა. გამოსავალი არ ჩანდა.

ყველა ფოსტის სადგურს რამდენიმეკაციანი ცხენოსანი დაცვა ჰყავს. აქაური დაცვის თანამშრომლები გარეთ იყვნენ გამოსული და იმ რუსის თავგასულობას და ჩვენს უმწეობას შორიდან აკვირდებოდნენ. მათ კაზაკებს ეძახდნენ და ტანსაცმელიც კაზაკებისა ეცვათ. როცა რუსი ოთახში შევიდა, ჩვენთან ორი კაზაკი მოვიდა. ყალიონს ვეწეოდით და მათაც შევთავაზეთ. ერთ-ერთმა მათგანმა თურქულად გვკითხა: „საიდან მოდიხართ და საით გაგიწევიათ?" ვუთხარი: „თეირანიდან ვართ და მექაში მივდივართ". გაირკვა, რომ ისინი ყარაბაღელი მუსლიმები იყვნენ. გამოგვემცნაურნენ. ერთმა მათგანმა ჩუმად მითხრა: „ეს რუსი ტყუის. ცხენები თავლაშია. ასე იმიტომ იქცევა, რომ ქრთამი უნდა". ვუთხარი: „რამდენსაც მოისურვებს, იმდენს გადავუხდი. ფული აიღე, მიეცი და გაგვატარეთ". მითხრა: „ქრთამი მე ან თქვენმა მსახურმა რომ წავუღოთ, არ აიღებს და კიდევ უფრო გაგაწვალებთ". ვკითხე: „აბა, რა ვქნათ?" მიპასუხა: „ერთი თხუთმეტმანეთიანი ქაღალდის ბანკნოტი პასპორტთან ერთად მსახურს მიეცით და [უთხარით], ჩემთან ერთად წამოვიდეს. მე იმ რუსის მსახურს რუსულად ვეტყვი, რომ მასთან საქმე გაქვთ. დანაბარებს თავის ბატონს გადასცემს და ისიც ოთახიდან გამოვა. თქვენი კაცი მასთან მივიდეს და პასპორტი მისცეს. მისი მსახური კი მეორე მხრიდან დაუდგება და თარჯიმნის ფუნქციას შეასრულებს. უთხრას: ჩვენ მოგზაურები ვართ, მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს და თუ [მალე] არ გავემგზავრებით, საქმის გაკეთებას ვერ მოვასწრებთ და ზარალს ვნახავთ, სიკეთე ქენით და როგორმე გაგვიშვითო. ამ ლაპარაკსა და სიარულში კი ფული სწრაფად ჩაუდოს სახელოში. ის მიხვდება და ცხენებს მოგცემთ".

როგორც მირჩია, ისე მოვიქეცი: პასპორტები თხუთმეტმანეთიან ბანკნოტთან ერთად მსახურს მივეცი და იმ კეთილ კაცს გავაყოლე. წავიდა და დარიგებისამებრ რუსის მსახური ნახა, [ბატონთან] გააგზავნა და ისიც ოთახიდან გამოვიდა.

შორიდან ვხედავდით: ჩვენი მსახური მასთან მივიდა, ლაპარაკი დაუწყო და თან ბანკნოტი ნელა ჩაუცურა სახელოში. რუსმა შეამჩნია და როცა მსახურმა

ლაპარაკი დაამთავრა, პასპორტები გამოართვა და ყვირილითა და ფეხების ბაკუნით ოთახში შებრუნდა. ნახევარი საათის შემდეგ გამოვიდა, ბეჭედჩარტყმული პასპორტები დამიბრუნა და აღშფოთებულმა მკითხა: „შენ განჯაში წასვლა გინდა თუ აუცილებლად სამი ეტლი და სამი ცხენი უნდა მოგცე?" ვუპასუხე: „განჯაში წასვლა მინდა". მისაყვედურა: „რატომ თავიდანვე არ მითხარი?" ვუპასუხე: „არ ვიცოდი, რა გინდოდათ". სამი ეტლის ქირის ფული აიღო, მაგრამ ორი მოიყვანა, თანაც თითოეულში სამის მაგივრად ორი ცხენი იყო შებმული. მზის გულზე სამსაათიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, განჯაში გაგვიშვა. დიახ, იმ წესიერ ხალხს შორის, რომელზეც გსმენიათ, ასეთი არამზადაც ბევრია.

საზოგადოების აღწერა

მოკლედ, თბილისის ქუჩები, დუქნები და ქუჩაზე გამავალი შენობები ღამის თორმეტ საათამდე გაჩირაღდნებულია. განსაკუთრებით, მეფისნაცვლის სასახლისა და სახელმწიფო დაწესებულებების მიმდებარე მოედანია დღესავით განათებული. ქალები და კაცები *კალიასკებითა* და ფეხით სეირნობენ, [საქონელს] ათვალიერებენ და ვაჭრობენ. სამიკიტნოებში მუსიკა უკრავს და ყველა თავისი საქმით არის გართული. აბანოები და ყავახანებიც ღიაა და მუშაობს. ეს ქვეყანა ჩვენი ქვეყნისგან სრულიად განსხვავდება: აქ ღვთისმოსავობისა და წესიერების გარდა, რასაც მოისურვებ, ყველაფერს იშოვი. ღმერთმა დაიფაროს ამ ქვეყანაში მოხვედრილი მუსლიმი მოგზაური ეშმაკის ცდუნებისა და გარყვნილებისგან.

ჯარის აღწერა

ქალაქის დასაცავად და სხვა საჭიროებებისთვის თბილისში რუსული ჯარი დგას. ჯარისკაცები, ცხენები და არტილერია ქალაქგარეთ სუფთა ყაზარმებშია განთავსებული და საჭირო რაოდენობაზე მეტი ქალაქში არასოდეს შეჰყავთ.

თბილისში ბევრი ეტლის დამამზადებელი ქარხანაა, სადაც კარგი ხელოსნები მუშაობენ. ის ჩინებული *კალიასკები*, რომლებიც პიტერიდან (Peter) ჩამოდის, აქ მზადდება. ქართველი ქალები ოქრო-ვერცხლით ქარგვასა და აბრეშუმის წარმოებაში არიან დახელოვნებული.

მთის კალთაზე ოდითგანვე ქვის ციხესიმაგრე დგას, რომელიც ახლა დანგრეულია. მტკვარზე ხალხის გადასასვლელად ქვისა და ხის ბევრი ხიდია აშენებული. ამ მდინარეში თევზ შამაიას იჭერენ, მაგრამ დიდები არ არის.

თბილისიდან გამგზავრება

შავალის თვის ოცში (16 ივლისს), პარასკევს თბილისიდან გავემგზავრეთ.

მცხეთა

თბილისიდან მცხეთის (Amsa Kętr) ფოსტის სადგურამდე ოცი *ვერსია*. ქალაქის მისადგომებთან პატარა ლამაზი მწვანე მინდორია, რომელზეც შორიდანვე კარგად მოჩანს ჯარისკაცების ყაზარმები და ზამთრის სადგომები. გზის პირას

მოგზაურთათვის ორი-სამი დუქანი და სამიკიტნოა აშენებული. საღამოობით აქ ხალხი *კალიასკებით* სეირნობს.

თავდაპირველად უნდა გადახვიდე მტკვარზე, რომელზეც ძველი დროიდან კარგი აგურის ხიდია აგებული. გზები გაყვანილი და გასწორებულია. მტკვარი გზას სულ მარჯვნიდან მიუყვება. გარშემო მთები მწვანეშია ჩაფლული და ტყეებით არის დაფარული. ლამაზ და კეთილმოწყობილ სოფლებში ბევრი ნათესი და წყაროა. გზის მარჯვენა მხარეს მთის წვერზე ძველი ეკლესია დგას. მტკვრის პირას უამრავი ციხე-კოშკის ნაკვალევი მოჩანს. ამ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში ქართველები ცხოვრობენ.



მცხეთა. 1900-იანი წლების ფოტოსურათი.

მცხეთის ფოსტის სადგური

მდინარის პირას მთის კალთაზე ძალიან კარგი ქვის შენობა დგას, რომელშიც მოხატული ოთახებია. ოთახის ინვენტარს შეადგენს საუცხოო მაგიდა, ტახტი, სკამი, ფარდები და სარკეები. საჭმელ-სასმელისთვის ფაიფურისა და ბროლის ჭურჭელი იხმარება. სადგურის გარშემო რამდენიმე დასახლებაა. ეს სადგური გზის გასაყარზე მდებარეობს: ჩრდილოეთით პეტერბურგის გზა მიდის, ხოლო დასავლეთით – სტამბოლის გზა. ჩრდილოეთში წამსვლელები მტკვარზე გადებულ აგურის ხიდზე უნდა გადავიდნენ. ხიდის მეორე მხარეს, ფოსტის სადგურის მოპირდაპირე მთის კალთაზე ძალიან დიდი სოფელია, რომელშიც დიდებული ეკლესია დგას. ირგვლივ ბევრი ბაღი და ნათესია.

ფახნისი[189]

მცხეთის ფოსტის სადგურიდან ფახნისის (Pakhnīs) ფოსტის სადგურამდე ცამეტი *ვერსია*. გზა მიდის მთებში, სადაც ბევრი ლამაზი ტყე, სოფელი და ნათესია. მტკვარი გზას მარჯვნიდან მიუყვება და მთებიდან მასში უამრავი ნაკადული ჩაედინება. გზა გაყვანილი და გასწორებულია. ყველა დასახლებულ პუნქტში ერთი-ორი დიდი თუ პატარა ეკლესია დგას. გზის პირას საბაყლოები და სამიკიტნოებია ჩამწკრივებული. ფახნისის ფოსტის სადგური ერთ დიდ შენობაშია მოთავსებული. სადგურის გვერდით კეთილმოწყობილი სოფელია. გზა ცივ კლიმატურ ზონაზე გადის და მთებში თოვლია. ენით ვერ გადმოსცემ, ისეთი სუფთა და კარგი ჰაერია. მოსახლეობა სულ ქართველებია და ისინი ძალიან ლამაზები და მომხიბვლელები არიან.

ახალქალაქი

ფახნისის ფოსტის სადგურიდან ახალქალაქის (Ākhārkalā) ფოსტის სადგურამდე ოცი *ვერსია*. გზა მთებში მიდის, მაგრამ სულ მოსწორებულია და აღმართ-დაღმართი ცოტაა. მთები, ტყეები და მინდვრები ამწვანებული და აყვავებულია და იებითა და სხვადასხვაფერი ყვავილებით არის მოფენილი. ირგვლივ ბევრი წყაროა. გზის ორსავე მხარეს ნათესები, სოფლები, ლამაზი ეკლესიები, საუცხოო სახლები და ბაღებია. იმდენი ყურძნის ხეა, რომ ვერ დათვლი. უამრავი ჯიშის ხილი ხარობს. ამ რაიონში აბრეშუმს აწარმოებენ. თვითონ ახალქალაქი ლამაზი, მწვანეში ჩაფლული კეთილმოწყობილი სოფელია. მთელი მოსახლეობა ქართველებია.

ახალქალაქიდან გორამდე (Gorī), რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ქალაქია, 22 *ვერსია*. გზა მთაგორიანია და ტყეში მიდის. გარშემო ყველგან დასახლებები, ნათესები და ლამაზი ბაღებია. კლიმატი ისეთივეა, როგორც წინა პუნქტებში. გზის ბოლოს მტკვარი უნდა გადაკვეთო. მდინარეზე კარგი ხიდია აგებული. ახალქალაქში დიდი საბაჟოა, რომლის მიმდებარე სოფელში დიდებული შენობები, კარგი ეკლესია, ბევრი ნათესი და ბაღია.

ქალაქი გორი

ქალაქის მდებარეობა

გორი მტკვრის პირას მთის კალთაზეა გაშენებული. პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი ქალაქია. ქალაქის შუაში აღმართულ მთაზე უძველესი დროიდან აგურითა და ქვით ნაშენები ციხე დგას. რუსეთის მთავრობა ქალაქში სარემონტო სამუშაოებს ატარებს.

---

[189] ტოპონიმის იდენტიფიცირება ჭირს. ჟღერადობით ის ძალიან ჰგავს ფავნისს, მაგრამ ფავნისი მცხეთიდან ბევრად შორსაა, თანაც XIX საუკუნეში მას ახალქალაქი ერქვა. მდებარეობით სეიფ ად-დოულეს „ფახნისს" ყველაზე მეტად ძეგვი შეეფერება.

შენობების აღწერა

ქალაქის ყველა ახალი შენობა განლაგებულია ერთ ძალიან გრძელ და ფართო ქუჩაზე, რომელიც მდინარიდან მთისკენ მიდის. ქუჩის ორსავე მხარეს მშვენიერი ორ-სამსართულიანი სახლები დგას, რომელთა ქვედა სართულებზე საუცხოო დუქნები, ზემოთ კი საცხოვრებელი ბინებია განთავსებული. გორში კარგი ეკლესიებია. ყველა შენობა ქვისაა. ქალაქში კიდევ რამდენიმე ასეთი ქუჩა შენდება.

აქ, ქართველების გარდა, ბევრი რუსიც ცხოვრობს. მდინარე, რომელიც ქალაქს მიუყვება, ბოლოს მტკვარს უერთდება. მასზე რკინისა და ხის ძალიან კარგი ხიდია აშენებული. მტკვარი ქალაქის ახლოს მოედინება. ფოსტის სადგური მდინარის მეორე ნაპირზე, ქალაქის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს. კარგი შენობაა. მდინარეზე ოდითგანვე დიდებული ქვის ხიდია გადებული. ხიდის თაღები დამსხვრეულია, მაგრამ ბურჯები ჯერ კიდევ მთელია.

მთები და ტყეები

გორის მთები ტყით არის დაფარული და იქ უამრავი ნაძვი ხარობს. აქედან თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში ნაძვის ხეები სახლების ასაშენებლად და სხვა საჭიროებისთვის მიაქვთ, მაგრამ ყველაფერი სახელმწიფო საკუთრებაა და მთავრობის მოხელეები ყიდიან. ქალაქის ჩრდილოეთით მთები თოვლით არის დაფარული.

ხე-ტყის გადაზიდვა წყლით.
1880-იანი წლების ფოტოსურათი.

ხე-ტყის გადაზიდვის გზები

აქედან ხე-ტყე თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში შემდეგნაირად გააქვთ: დაჭრილ და ერთმანეთზე გადაბმულ შეშას მდინარეში ყრიან და წყალს ის ზღვამდე ჩააქვს. ამ საშუალებით დიდი ხეები ძალიან მარტივად შეიძლება გადაიტანონ ნებისმიერ დასახლებულ პუნქტამდე.

ქალაქის კლიმატი ცივია, წყალი – გემრიელი, ხოლო მოსახლეობა – ძალიან ლამაზი.

აგარა

ქალაქ გორიდან აგარის (Ārkor) ფოსტის სადგურამდე 22 *ვერსია*. შენობა მთებში ჩაფლულ ლამაზ მწვანე მინდორზე დგას. გზაზე გასასვლელად მტკვარზე

უნდა გადახვიდე. მდინარეზე ძალიან კარგი ხის ხიდია გადებული. ახლა ქვისა და აგურის მეორე ხიდს აშენებენ, რადგან ძველი ხიდის ერთი მალი გატეხილია. მინდორი მწვანეშია ჩაფლული და იებითა და სხვადასხვა ფერის ყვავილებით არის მოფენილი. გარშემო ბევრი სოფელი, ნათესი, ბაღი და საუცხოო შენობაა. მთებიდან და ტყეებიდან უამრავი ნაკადული გადმოდის, რომლებიც ბოლოს მტკვარს უერთდება.

ჭალა

აგარის ფოსტის სადგურიდან ჭალას (Chāle) ფოსტის სადგურამდე 23 *ვერსია*. თავიდან გზა ცოტა ოღროჩოღროა, მაგრამ მერე სწორდება. გარშემო ტყეები, სოფლები, ნათესები, ლამაზი ბაღები და მდინარეებია. ამ მხარეში აბრეშუმს აწარმოებენ. ჭალას ფოსტის სადგური დიდ შენობაშია მოთავსებული. შორიახლოს ბევრი კარგი სოფელია. მოსახლეობა მთლიანად ქართველებია.

მოლითი

ჭალას ფოსტის სადგურიდან მოლითის (Malīd) ფოსტის სადგურამდე 28 *ვერსია*. გზა ხეობას მიუყვება და ტყეებზე, დასახლებებზე, ნათესებსა და ბაღებზე გადის. ეს ადგილი კლიმატით, სისუფთავით და კეთილმოწყობით ჭალას ჰგავს, მაგრამ უფრო დიდია.

ქავალი[190]

მოლითის ფოსტის სადგურიდან ქავალის (Kavāl) ფოსტის სადგურამდე 18 *ვერსია*. გზა ხეობას, ტყეებსა და დასახლებულ პუნქტებს მიუყვება. ეს *ვილაიეთი* კლიმატით და სიმშვენიერით თბილისს გაცილებით სჯობს და მოსახლეობაც უფრო ლამაზია.

გზების მშენებლობა

რუსეთის ხელისუფლება გზების დასაგებად და მდინარეებზე ხისა და ქვის ხიდების ასაშენებლად მილიონებს ხარჯავს. ამ სამუშაოების მნახველი გაოცებული დარჩები. გზის გასაყვანად მთებს ჭრიან და, რომ არ ჩამოიშალოს, ქვითკირის ჯებირებით ამაგრებენ. ზოგიერთ ხის ხიდს, მიუხედავად მის აშენებაზე გაწეული ხარჯებისა, შლიან და მის ნაცვლად ქვის მაგარ ხიდს აგებენ.

მცენარეები

ამ ტყეებში ყველა სახის ხილსა და ყვავილს შეხვდები. ბევრია ბალი, ალუბალი, განსაკუთრებით კი თხილის ხეები. წითელ ვარდებსა და თეთრ, ცისფერ და ყვითელ იებს ხომ ვერ მოთვლი. აქ ერთი უშნო სახეც კი არ მინახავს, თუ არ ჩავთვლით სიბერისგან დანაოჭებულ სახეებს. ეს მხარე, ჭეშმარიტად, ამქვეყ-

---

190 როგორც ჩანს, ეს უნდა იყოს დამახინჯებული მარელისი.

ნიური სამოთხეა. გზაზე ვისაც კი შევხვდი, მხარზე ღვინის ტიკი ედო და ხელში ცოტაოდენი შებოლილი ღორის ხორცი ეჭირა. ამ *ვილაიეთის* მცხოვრებლებს შავი თვალები, თმები და წარბები აქვთ და თბილისელ ქართველებზე გაცილებით უფრო ლამაზები არიან. კაცი თუ ჭკუათმყოფელია, ამ ქვეყნიდან თავისი ნებით არსად წავა.

ზესტაფონი

ქავალის ფოსტის სადგურიდან ზესტაფონის (Zestapān) ფოსტის სადგურამდე 24 *ვერსია*. გზები აქაც გაყვანილი და გასწორებულია. ირგვლივ ყველაფერი ამწვანებული და ლამაზია. მდინარის პირას ტყეები, ნათესები და დასახლებებია. მოსახლეობა ისეთივეა, როგორც ქავალში. გზის ბოლოს მკვიდრად ნაშენებ ხის ხიდზე უნდა გადახვიდე. მისი სიგრძე ას *ზარ'ს* აჭარბებს. თვითონ ფოსტის სადგური ძალიან კარგ შენობაშია მოთავსებული და ყოველი მხრიდან ნათესები და სახლები აკრავს.

სიმონეთი

ზესტაფონიდან სიმონეთის (Sīmānet) ფოსტის სადგურამდე 18 *ვერსია*. ისე, როგორც წინა პუნქტებში, აქაც კარგი გზაა. გარშემო ლამაზი ამწვანებული ტყეები, ნათესები და დასახლებებია. ხალხი იგივე ტომისაა [რაც ზესტაფონში]. მდინარეებზე და ნაკადულებზე ქვის, ზოგან კი ხის ხიდებია აშენებული. ამ ტყეებში ზოგიერთი ხე მუშკის ტირიფს ჰგავს. მათ ერთი მტკაველი სიგრძის ისეთივე სურნელოვანი, მაგრამ უფრო ბაცი ყვითელი ყვავილი და უფრო გრძელი და განიერი ფოთლები აქვს. აქაურებმა გვითხრეს, რომ მისგან, ისე როგორც მუშკის ტირიფისგან, არაყს ხდიან და სვამენ. ფოსტის სადგურის ახლოს ბევრი შენობა და დასახლებაა.

სიმონეთის ფოსტის სადგურიდან ქალაქ ქუთაისამდე (Kotāys) 18 *ვერსია*. გზა ისევ ტყეში მიდის. ირგვლივ ბევრი ლამაზი სოფელია. მთა და ბარი თითქოს მუშკით დაცვარული ზურმუხტის ფარდაგიაო, რომელზეც სხვადასხვაფერი ძვირფასი ქვებია მიმობნეული. გზა ძირითადად სწორია და მოსახვევები არა აქვს. მთელ გაყოლებაზე ჩრდილოვანი ხეებია დარგული. რამდენიმე ადგილას გზას კვეთს მდინარე, რომელზეც ქვის და ხის ხიდებია აშენებული. ქალაქ ქუთაისთან გზა შედარებით უფრო მიხვეულ-მოხვეული ხდება.

ქალაქი ქუთაისი

ქუთაისი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქია. ის მდინარის პირას, მთის კალთაზე მდებარეობს. ეს ქალაქი რუსეთის ხელისუფლებამ სულ ახლახანს ააშენა და ის ძალიან ლამაზია. ყველა ქუჩა სწორი და განიერია და მათზე ორ-სამსართულიანი შენობები დგას. ქუჩებიცა და სახლებიც ქვისაა. ქუჩებს ორსავე მხრიდან ხეების რიგი მიუყვება. აქ ბევრი კარგი დუქანი და სახლია.



ქუთაისი, ხიდი. 1890-იანი წლები.

შენობები

ქუთაისში დიდი და კარგი ეკლესიებია. რუსების აშენებული გუბერნატორის სასახლე საუცხოო ნაგებობაა. მის წინ დიდი ლამაზი ბაღი და ფართო ქუჩებია, რომლებზეც სახელმწიფო დაწესებულებები – ყაზარმა, არტილერია და სკოლა დგას. ქალაქში პატარა თეატრი და ბევრი სამიკიტნოა. აქ ბევრი ვაჭარი და ხელოსანი ცხოვრობს. მოსახლეობა, ძირითადად, ქართველები, რუსები და ებრაელებია. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისი თბილისივით დიდი არ არის, კლიმატით, სილამაზით და შენობებით გაცილებით მასზე უკეთესია.

ბაშ-აჩოყი

თბილისსა და შავ ზღვას (Qara Dangīz) შორის ერთი *ვილაიეთია*, რომელიც საქართველოს ნაწილია და მას ბაშ-აჩოყს[191] (Bāsh Āchoq) ეძახიან. აქ ხალხი ძირითადად თავშიშველი დადის, თუმცა ზოგიერთს თავზე შემოხვეული აქვს ეპლილეჯის ფორმის[192] ხავერდის ან ველვეტის სირმაშემოვლებული ნაჭერი, რომელსაც ნიკაპქვეშ ორჯერ ინასკვავენ.

---

191 იგულისხმება იმერეთი.

192 ეპლილეჯის ფორმა სპარსულ ტოპოგრაფიულ ტერმინოლოგიაში ნიშნავს სპეციფიკურ ფორმას, როცა ორი ტოლი რკალი ისე შემოწერს ზედაპირს, რომ თითოეულის სიგრძე წრის ნახევარზე ნაკლებია.

ქუთაისი ბაშ-აჩოყის *ვილაიეთის* გუბერნატორის რეზიდენციაა. ამ მხარეში სულ ქართველები ცხოვრობენ, რომლებიც თავიანთი სილამაზით არიან განთქმული. ქალაქში ორი დიდი ეკლესია და ორი სკოლაა. მდინარეზე დიდი ხიდია აგებული და მას ქვის ბურჯები და ხისა და რკინის ზედაპირი აქვს. ქალაქში ბევრი გერმანელია (ahl-e nemse)[193], რომლებიც ძირითადად ხელოსნები და გლეხები არიან.

მარანი

ქალაქ ქუთაისიდან მარნამდე (Mārān) 36 *ვერსია*. სწორი, მწვანეში ჩაფლული გზა აყვავებულ ტყეზე გადის. აქ ორი კარგი ფოსტის სადგური დგას. გარშემო ბევრი წყაროს წყალია. ტყეებში ყველა ჯიშის ხე ხარობს, განსაკუთრებით ბევრია თხილი. სოფლები, სახლები და ნათესები ერთმანეთს ებმის. გზაზე უამრავი დუქანი და სამიკიტნოა. ამ რაიონში ბევრი ებრაელი ცხოვრობს, მაგრამ ისინი ტანსაცმლითა და ენით ქართველებისგან არ განსხვავდებიან.

ყირბელი

ამ რეგიონს ყირბელის[194] (Qīrbelī) *ვილაიეთს* ეძახიან. ტყეებში იმდენი ნარგიზი, შროშანი და ია ხარობს, რამდენსაც მთელ ქვეყანაზე ვერ ნახავ.

მდინარე რიონი

სოფელი მარანი მდებარეობს მდინარე რიონის (Ryān) პირას. რიონი მთელ საქართველოს კვეთს და შავ ზღვაში ჩაედინება. ცუდი სოფელი არ არის. მდინარესთან დიდი ფოსტის სადგური დგას. აქ კარგი ფიცრული ბაზარია აშენებული და შიგ ყველანაირი საქონელი იშოვება. მარანში ქართველები და ებრაელები ცხოვრობენ. ეს რეგიონი თბილისიდან შავ ზღვამდეა გადაჭიმული და, ჭეშმარიტად, ყოველმხრივ ამ ქვეყნად ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია.

შავალის თვის 29-ში (25 ივლისს), კვირას მზე ორი საათის ამოსული იყო, როცა მარანში ორთქლის გემზე დავჯექით და მდინარე რიონზე დავეშვით.

ფოთი

მარნიდან ფოთამდე, რომელიც შავ ზღვაზე რუსეთის სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია, ცეცხლის გემით 5 საათის გზაა. მდინარის ორსავე მხარეს ძალიან ლამაზი ტყეები, დასახლებები და ნათესებია, რომლებიც აქა-იქ წყალში იჭრება. მოსახლეობა ბაშ-აჩოყის მოდგმის ხალხი და ქართველებია. ამ რეგიონში აბრეშუმს აწარმოებენ. თვითონ ფოთი კეთილმოწყობილი ნავსადგურია, თუმცა ჯერ ქალაქის სახე არა აქვს მიღებული. აქ ბევრი კარგი

---

193 სეიფ ად-დოულე და ბევრი სხვა ირანელი მოგზაური გერმანელებს, რუსული немцы-ს გავლენით, ahl-e nemse-ს უწოდებს. თუმცა ამ შემთხვევაში ის ალბათ გულისხმობს კათოლიკეებს, რადგან გერმანული მოსახლეობა ქუთაისში თითქმის არ ყოფილა.

194 როგორც ჩანს, იგულისხმება სამეგრელო.

სახლია, მაგრამ ისინი ტყეშია გაფანტული. მოსახლეობა ბაშ-აჩოყელები, რუსები და ებრაელები არიან. ფოთში პატარა გემიდან დიდ ხომალდზე გადავსხედით და ზღვაში გავედით.

ბათუმის პორტი

ფოთიდან ბათუმამდე ცეცხლის გემით 4 საათის გზაა. ბათუმი თურქეთის სახელმწიფოს ეკუთვნის. ძალიან კარგი პორტია. მოსახლეობა ზღვის პირას ცხოვრობს. აქედან ტყით დაფარული მთები მოჩანს. კარგი ადგილია. აქ ბევრი ბალი და ნათესია. ქალაქში არის მეჩეთი და აბანო. მოსახლეობა მუსლიმები და ქრისტიანები არიან. ადრე ამ პორტის წყალი უგემური იყო, ახლა კი თურქეთის ხელისუფლებამ დიდი ხარჯი გაიღო და მთიდან კარგი წყალი გამოიყვანა. ქალაქ მარნიდან ამ ნავსადგურამდე 400 *ვერსია* და გემი 8 საათში ჩადის. ბათუმიდან ტრაბზონამდე ზღვის გასწვრივ სახმელეთო გზაც მიდის, რომლის გავლასაც 5 დღე უნდა. პორტში ჩვენი ბარგი კიდევ უფრო დიდ გემზე გადაიტანეს. ბათუმიდან ტრაბზონამდე გემი 9 საათს უნდება. მგზავრების ასაკრებად და ბარგის ჩასაბარებლად და ასაღებად გემი ნავსადგურში 8 საათი დგას.

ბათუმის პორტი. 1900-იანი წლების ფოტოსურათი.

იაყუბ მირზა თაბრიზი და მისი მოგზაურობის წიგნი

1868 წელს ყაჯარ უფლისწულთა ჯგუფი თავრიზიდან მექას მოსალოცად გაემგზავრა. მასში შედიოდნენ ირანის აზერბაიჯანის მმართველი თაჰმასბ მირზა მოაიედ ად-დოულე, მისი და, ვაჟი ემირზადე ჰაჯი მოჰამად თაჰერ მირზა, იაყუბ მირზა თაბრიზი, მისი ძმა სადრ ად-დოულე და ჰაჯ მირ ხანი.

მოგზაურობა შვიდ თვეს გაგრძელდა. ის ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, იაყუბ მირზა თაბრიზიმ დეტალურად აღწერა, როგორც თვითონ წერს, თავრიზში დარჩენილი თავისი მეგობრის თხოვნით, რომელსაც თხზულებაში „ჭაბუკად" მოიხსენიებს და ყველა თავს მისდამი მიმართვით იწყებს. თავად ავტორის შესახებ ძალიან ცოტა ცნობა მოგვეპოვება და ამ ცნობებსაც, ძირითადად, მისი მოგზაურობის წიგნიდან ვგებულობთ. ცნობილია, რომ ის პოეტი იყო და წერდა თახალუსით „მანსურ"-ი. ეს თახალუსი მან მოგზაურობის წიგნის სათაურშიც გამოიყენა და ტექსტშიც თავის თავს ამ სახელით მოიხსენიებს. მის პოეტურ ნიჭზე თავად თხზულება მეტყველებს. გარდა იმისა, რომ ის სავსეა ავტორისეული ლექსებით, ამ ჟანრის სხვა წიგნებისგან განსხვავებით, ის მხატვრულობითაც გამოირჩევა. აღსანიშნავია, რომ თხრობა მასში „ათას ერთი ღამის" პრინციპზეა აგებული: ღამის დადგომასთან ერთად წყდება ფრაზით „ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა" და მზის ამოსვლასთან ერთად გრძელდება ფრაზით „თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა სამყაროს მანათობელი მზე აღმოსავლეთიდან ამოიწვერა...".

„მანსურის ჰაჯი" ენციკლოპედიური ტიპის მოგზაურობის წიგნებს განეკუთვნება, თუმცა მასში ავტორისეული, ხშირად ხუმრობანარევი, შეფასებები და მსჯელობაც ბევრია. ემოციური თხრობისა და იუმორის წყალობით, იაყუბ მირზას თხზულება ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და სახალისოდ საკითხავ მოგზაურობის წიგნად ითვლება. მისი ერთადერთი შემორჩენილი ხელნაწერი ირანის მეჯლისის ბიბლიოთეკაში ინახება (№9908).

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანი

Safar-nāme-ye hajj-e Mansūr, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1388/2009.

Ya'qūb Mīrzā Tabrīzī, "Hajj-e Mansūr", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 2, 229-542.

„მანსურის ჰაჯი", წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, 147-170.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Dar bāre-ye Safar-nāme-ye hajj-e Mansūr (az sāl-e 1285 q.)", *Mīqāt-e Hajj*, Vol.17, No.66, Tehran, 1387/2008-2009.

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 2, 197-228.
Maryam Ghaffārī-Jāhed, "Safar-nāme-ye hajj-e Mansūr", 1390/2011 (http://www.jahed.blogsky.com/1390/01/07/post-36/).

მანსურის ჰაჯი
(1868)

[სოღანლუღი]

[1285 წლის შაბანი (1868 წლის ნოემბერი)]

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა სამყაროს მანათობელი მზე აღმოსავლეთიდან ამოიწვერა, ძილით გათანგული მგზავრები საწოლებიდან წამოიშალნენ, ბარგი შეკრეს და გაემართნენ მეჩვიდმეტე პუნქტისკენ, რომელსაც სოღანლუღი (Soqānlo) ჰქვია. დღის ორ საათზე ქამიყიადან (Kamī Qye) წამოვედით და ღამის სამის ნახევარზე სოღანლუღში შევედით. ქამიყიადან სოღანლუღამდე 70 *ვერსია* და გზაზე ერთი დასახლებაც კი არ არის, ამიტომ ქამიყიადან წამოსულმა მგზავრმა ან პირდაპირ თბილისამდე უნდა იაროს, ან სოღანლუღში უნდა გაჩერდეს და თბილისში მეორე დილით ჩავიდეს.

ახლა თხრობას შევაჩერებ და ცოტაოდენს ამ გზის შესახებ მოგიყვებით.

მას შემდეგ, რაც ქამიყიადან 13 *ვერსი* გავიარეთ, მივადექით ერთ მდინარეს, რომელიც ორი სახელით არის ცნობილი. ერთი სახელია სანაყი (Sanaq). გვითხრეს, რომ ძველად აქ გატეხილი ხიდი იყო, რომელსაც სანაყ-ქერფის (Sanaq Kerpī)[195] ეძახდნენ და მდინარის სახელიც აქედან მოდის. მეორე სახელი კი ხრამია (Kh(a)rām). მერე ხიდი შეაკეთეს და ახლა ძალიან მყარია. მას ოთხი მალი და მაღალი თაღები აქვს. ხრამი არაქსზე (Aras) უფრო წყალუხვია და მისი წყალი ძალიან გემრიელია. ის დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიედინება და ხიდიდან ერთი *ვერსის* მოშორებით მდინარე მტკვარს უერთდება. ხრამის პირას ჩამოვსხედით, ყალიონი გავაბოლეთ და მეგობრები მოვიგონეთ. მერე ავდექით და სოღანლუღისკენ გავემართეთ. რამდენიმე *ვერსი* ისეთ გაწამაწიაში ვიარეთ, რომ წერისა და ლაპარაკის თავიც კი არ მქონდა. მადლობა ღმერთს, სოღანლუღში მშვიდობიანად ჩავაღწიეთ.

სოღანლუღი ლამაზ ადგილზეა გაშენებული. ერთი მხრიდან მას მთა ესაზღვრება, მეორე მხრიდან კი – მდინარე მტკვარი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიედინება და სოფლიდან ასი ნაბიჯის სავალზეა. დაახლოებით ერთი საათი მთვარის შუქზე მტკვრის პირას ვისხედით, ყალიონს ვეწეოდით და მეგობრებს ვიგონებდით. ვინატრე, ნეტავ ამ მთვარიან ღამეს ჩემი მეგობრები და შეყვარებული ვაჰითი აქ იყვნენ-მეთქი. ყველანი ტკბილ ზმანებებში ჩავიძირეთ.

---

[195] იხ. შენიშვნა 147.

ეჰ, ეჰ, რას ვიზამთ, ხომ გაგიგონიათ: „ხელები მოკლე გვაქვს, ხურმა კი მაღლა ხეზე კიდიაო“.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[თბილისი]

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა სამყაროს მანათობელი მზე აღმოსავლეთიდან ამოიწვერა, ყველანი წამოიშალნენ, ბარგი შეკრეს და გაემართნენ მეთვრამეტე პუნქტისკენ, რომელსაც თბილისი ჰქვია. სოღანლულიდან თბილისამდე რვა *ვერსია*. დღის სამ საათზე სოღანლულიდან გამოვედით და ხუთ საათზე თბილისში შევედით. გზა საშინლად ტალახიანი იყო, მაგრამ სოღანლულიდან თბილისამდე გზატკეცილი აეშენებინათ და ჩვენმა *ფურგონმა* ისე იარა, რომ ტალახს არ შევუწუხებივართ.

თბილისის აღწერა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, მაგრამ ორიოდ სიტყვას მაინც მოგახსენებთ. მისი შემოგარენი შორიდან არ ჩანს, რადგან ქალაქი ხეობაში მდებარეობს და მდინარე მტკვარი, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიედინება, მას ორ ნაწილად ჰყოფს. თბილისის ყველა შენობა ამ მდინარეს გადაჰყურებს. ქალაქში რომ შევედით, მარცხენა სანაპიროზე მეჰდი ბეგის სახლში დავბინავდით. ადრე ამ კაცს ბანა-იე თაბრიზის[196] ეძახდნენ, მაგრამ ახლა თავის სახელს ვეღარ ამართლებს, რადგან მშენებლობას თავი დაანება და დიდკაცობის პრეტენზია გაუჩნდა. თბილისში რომ ჩამოვიდა, უბრალო მშენებელი იყო და კარგი ხუროთმოძღვრის სახელი მოიხვეჭა. ცოტა ხანში თავრიზში დაბრუნება მოისურვა, მაგრამ თბილისის გუბერნატორმა არ გაუშვა: ხელფასი დაუნიშნა და დარჩენა სთხოვა. მას შემდეგ თბილისში ცხოვრობს და აურაცხელი ქონება დააგროვა, მათ შორის სახლები, რომელთა ბადალს, თეირანის გამოკლებით, მთელ ირანში ვერ იპოვი. ახლა ამ სახლებს აქირავებს და, როგორც თვითონ ამბობს, წელიწადში 200000 მანეთი შემოსავალი აქვს. ჩვენ ერთ-ერთი საუკეთესო სახლი დაგვითმო. სამსართულიანი შენობა იყო და ყველა ოთახს ხის იატაკი ჰქონდა. ამ კაცმა დიდი პატივი გვცა: ჩამოსვლის დღესვე სამი თავისგან შემდგარი საუცხოო სადილი გამოგვიგზავნა და მომდევნო სამი დღის განმავლობაშიც, სანამ იქ ვცხოვრობდით, სადილს ყოველდღე გვიგზავნიდა. თბილისში რომ ჩამოვედით, შაბანის თვის 13 (29 ნოემბერი) იყო.

[თბილისის აბანოები]

მას შემდეგ, რაც დავბინავდით, მისმა აღმატებულება ჰაჯი ემირზადემ და თქვენმა მონა-მორჩილმა მანსურმა აბანოში წასვლა გადავწყვიტეთ. თბილისის აბანოებზე ცოტაოდენს მოგიყვებით და ყური დამიგდეთ.

უპირველეს ყოვლისა, გეტყვით, რომ მართლა ღვთაებრივი აბანოებია. ოცი აბანო ერთ რიგშია ჩამწკრივებული და ერთი წყაროდან მარაგდება. ეს წყარო მთიდან გადმოდის, ყველა აბანოზე ნაწილდება და წყალი დღე და ღამე მოდის. აბანოს

---

196 „ბანა-იე თაბრიზი“ სპარსულად თავრიზელ მშენებელს ნიშნავს.

ფასი ერთი მანეთია, რაც 13-14 *შაპის* ტოლია. გინდ მარტო შეხვიდე და გინდ ათი კაცი შეიყვანო, ამ ფასს იხდი. რამდენსაც გინდა, იმდენ ხანს დარჩები, არავინ არ შემოვა და არ გკითხავს, რას აკეთებ და ამდენ ხანს რატომ შეყოვნდიო. ამ აბანოების აგებულება ისეთია, როგორც ქვემოთ ჩემს ნახატზეა ნაჩვენები:



შუა გრძელი ხაზი დერეფანია და თითოეულ დერეფანში ოთხი ნომერია. აბანოს ნომერი ორი – შიდა ცხელი და გარე ცივი სათავსისგან შედგება. გარე სათავსის ფართობი 3 *ზარ'ი* 3 *ზარ'ზეა*. აქ კედლების გასწვრივ ტანსაცმლის გასახდელად ტახტები და სავარძლებია განლაგებული. შიდა სათავსის სიდიდე 3 *ზარ'ია* და მასში ორი აუზია ჩაშენებული. აუზების სიღრმე ერთი *ზარ'ია*. აუზიდან ერთი *ზარ'ის* მოშორებით კედელზე ონკანია დამაგრებული და იქიდან აუზში ცხელი წყალი იღვრება. ეს სუფთა და სურნელოვანი წყალი სხეულს ჭუჭყს ისე აშორებს, რომ ქისით გახეხვა აღარ გჭირდება და დასვრილ ტანსაცმელსაც საპონზე უკეთ რეცხავს.

აბანოში რომ შევედი, გული დამწყდა, რომ მარტო ვიყავი. ვინატრე, ნეტავ ვაპითი აქ იყოს, ხელს ჩავჭიდებდი, აბანოში შევიდოდით და ორ-სამ საათს განცხრომით გავატარებდით-მეთქი. ჯერ ერთი, რომ აქ ასეთი რამეები აკრძალული არ არის და რომც იყოს, მაინც ვერავინ გაიგებს, რადგან შიგ შემოსვლის უფლება არავის აქვს. აქ კაცები და ქალები აბანოში ერთად ხშირად დადიან და მათ ყურადღებას არავინ აქცევს.

ახლა ამ ქალაქის მცხოვრებლებზე მოგახსენებთ. გამიჭირდება, მათ ჩვეულებრივი ადამიანები ვუწოდო და, საერთოდ, ადამის მოდგმას მივაკუთვნო, რადგან ერთ ქალაქში ამდენი ლამაზი ადამიანის არსებობა არც ვინმესგან გამიგია და არც ქრონიკებში წამიკითხავს. დიდსა და პატარას, კაცსა და ქალს თეთრი პირისახე, ნახევარმთვარესავით მორკალული წარბები, ნარგიზივით შავი თვალები, კაკაბის მიხვრა-მოხვრა და საროს ტანი აქვს, ისეთი, როგორზეც პოეტს უთქვამს:

> კაცთა მოდგმის დასაღუპად სამოთხიდან ანგელოზი გამოგზავნეს,
> ჩათვალე, რომ უბედურება იყო, მაგრამ ანგელოზის ბუნების[197].

ერთი სიტყვით, შაბანის თვის 14-ში (30 ნოემბერს), კვირას მისი აღმატებულება ემირზადე და თქვენი მონა-მორჩილი სახლიდან გამოვედით, *ფაეტონში* (pāytūn) ჩავსხედით და სასეირნოდ წავედით. თავდაპირველად მტკვარზე აშენებულ ხიდზე გადავედით. ძალიან კარგი, მყარი და მაღალი ხიდი იყო. ხიდის თავში მისი ამშენებლის ბრინჯაოს ქანდაკება[198] იდგა. ძეგლი ისე ოსტატურად იყო ჩამოსხმული, რომ ვერ აგიწერთ. მასზე გამოსახული კაცი, უეჭველია, მეფე-

---

[197] სპარსულ ტექსტში აღნიშნულია, რომ „ლექსი სხვა ხელით წერია და ქვეშ მიწერილი აქვს: ჰადიმ სამახსოვროდ დაწერა".

[198] იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ქანდაკება, რომელიც დაიდგა 1867 წელს მიხეილის (ახლანდელ ჩუღურეთის) ხიდთან.



თბილისი, მიხეილ ვორონცოვის ქანდაკება. დ. ერმაკოვის ფოტოსურათი, 1880-იანი წლები.

თა გვარის წარმომადგენელი იყო. შორიდან ხიდზე მდგარი ცოცხალი ადამიანი გეგონებოდათ. ხელში მდიდრული კრაველის ქუდი ეჭირა და მხრებზე *შინელი* ჰქონდა მოსხმული. *შინელი* ისე ახალივით გამოიყურებოდა, თითქოს ეს არის, მკერავიდან წამოიღესო. ქანდაკების ირგვლივ თავდაყირა იდგა რვა თურქული ქვემეხი, რომელთაც მძიმე ჯაჭვი ჰქონდათ შემორტყმული. ეს ხიდი, ქანდაკება და მასზე შემოვლებული ზღუდე საოცრად შთამბეჭდავი იყო.

[თეატრი]

გავიარეთ ერთი შენობა, რომელზეც გვითხრეს, რომ თეატრი იყო. ვიკითხეთ, წარმოდგენა როდის იმართებოდა და გვიპასუხეს, რომ იმ საღამოს. სახლში დაბრუნებისთანავე [მსახურს] ხუთი მანეთი გავატანეთ და ბილეთები შევიძინეთ. სპექტაკლი საღამოს რვა საათზე იწყებოდა და შუაღამის თორმეტ საათზე მთავრდებოდა.

მონაყოლითა და დაწერილით თეატრზე წარმოდგენას ვერ შეიქმნი, უნდა წახვიდე და თავად ნახო და მოისმინო. მაგრამ, შეძლებისდაგვარად, მის აგებულებაზე მოგახსენებთ. თეატრი *თაქიას*[199] მსგავსი ადგილია, ოღონდ წარმოდგენა იმართება არა ცენტრში, არამედ შენობის ბოლოს აღმართულ ბაქანზე, რომლის წინაც დიდი მოხატული ფარდა კიდია. თეატრის შიდა სივრცე სამიარუსიანია. პირველ იარუსზე სკამები აწყვია და მათი რაოდენობა ათასს აჭარბებს. ყოველ სკამს თავისი ნომერი აქვს და ეს ნომერი ბილეთში არის მითითებული. მეორე

[199] თაქია დიდი კარავია, სადაც შიიტების რელიგიური მისტერიები იმართება.

იარუსზე პატარა ოთახებია, რომლებსაც აქაურები *ლოჟებს* (rozhĭ) ეძახიან. *ლოჟები* ასევე დანომრილია და თითოეულში ოთხი სკამი დგას. ჩვენ მეთოთხმეტე *ლოჟა* დავიკავეთ.

მოკლედ, ფარდის წინ მუსიკოსები ისხდნენ, ხელში თავიანთი ინსტრუმენტები ეჭირათ და წიგნებში იყურებოდნენ. მუსიკოსების პირდაპირ ხელმძღვანელი იჯდა და მათ წიგნის მიხედვით თავისა და ხელის მოძრაობით ავარჯიშებდა. როცა სპექტაკლი დაიწყო, ჩვენ წინ ჩამოკიდებული დიდი ფარდა აიწია და ტყე, შენობები და ქალაქი გამოჩნდა. სცენაზე ადამიანები გამოვიდნენ და სიმღერა დაიწყეს, მაგრამ ჩვენ მათი ენა არ გვესმოდა. აქ შეკრებილთა უმრავლესობისთვისაც, რომლებიც რუსები იყვნენ, მათი სიმღერა გაუგებარი იყო, რადგან იტალიურად მღეროდნენ. როცა წარმოდგენა დასრულდა, ფარდა დაეშვა. დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ლამაზი გოგონა თუ უშნო, ყველა ტაშს უკრავდა და თავის ენაზე აღტაცებას გამოთქვამდა. მერე ხალხი თეატრიდან ეზოში გავიდა და 15 წუთის განმავლობაში ზოგი არაყს სვამდა, ზოგი ეწეოდა, ბავშვები კი ერთმანეთს ეთამაშებოდნენ. 15 წუთის შემდეგ მუსიკის ხმა გაისმა და ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ. უმეტესობას ხელში დურბინდი ეჭირა და ერთმანეთს ათვალიერებდა. ამასობაში ფარდა აიწია და ქალაქში მდგარი ეკლესია გამოჩნდა. ეკლესიის შესასვლელები ღია იყო და შიგნით უცნაური ხალხი ისხდა. ისინი საუბრობდნენ და მღეროდნენ.

ერთი მსახიობი, რომელსაც თეთრი წვერი ჰქონდა და მღვდლის სამოსი ეცვა, ეკლესიიდან გამოვიდა. მასთან ორი მსახიობი მივიდა და წყალი სთხოვა. მღვდელმა ჭიქები ამოიღო, ერთი ადგილიდან, საიდანაც წყალი გადმოდიოდა,



თბილისის თეატრი. ა. ბრაუნის ლითოგრაფია, 1850-იანი წლები.

წყლით აავსო და მათ მიაწოდა. ერთმა დალევა დააპირა, მაგრამ ჭიქაში წყალს ცეცხლი მოედო და დენთივით აალდა. მეორესაც იგივე დაემართა. შემდეგ მოულოდნელად მღვდლის წვერი და ტანსაცმელი სადღაც გაქრა და მსახიობი სრულიად ახალი სახით წარმოგვიდგა: წელზე ხმლით და სამხედრო ტანსაცმლითა და ვიწრო შარვლით. ამ სცენამ ჩემზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა: მსახიობი ისე გადასხვაფერდა, რომ ადგილიდან არ დაძრულა, მისი წვერი და ტანსაცმელი კი ცაში გაუჩინარდა თუ მიწაში, ვერავინ დაინახა. მსახიობები მუსიკის თანხლებით ლაპარაკობდნენ და ლექსებს კითხულობდნენ და ვისაც მათი ენა ესმოდა, ის სიტყვებსაც არჩევდა. ამასობაში სპექტაკლი დასრულდა და ფარდა ისევ დაეშვა. ხალხმა ტაში დაუკრა და თეატრიდან გავიდა.

მოკლედ, იმ საღამოს სულ ხუთი მოქმედება ითამაშეს. ისეთი სპექტაკლი იყო, რომ კაცს ჭკუას დააკარგვინებდა. მისი აღწერა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება, თუმცა შევეცდები, ჩემი შთაბეჭდილებები, შეძლებისდაგვარად, გაგიზიაროთ.

უპირველეს ყოვლისა, ხუთი მანეთი გადავიხადეთ და ავიღეთ *ლოჟის* ბილეთები, რომელშიც ოთხი სკამი იდგა. ბილეთში *ლოჟის* ნომერი – 14 იყო მითითებული. მეთოთხმეტე *ლოჟა* ვიპოვეთ, კარი გავაღეთ და ჩვენს ადგილებზე დავსხედით. ჩვენი *ლოჟის* მარჯვნივ და მარცხნივ ორი მზესავით ქალიშვილი და ორი მთვარისსახიანი ქალი იჯდა. ოთხივე მდიდრულად იყო მორთულ-მოკაზმული. ხან ჩვენსკენ იყურებოდნენ და მიბნედილი ლურჯი თვალებიდან გამგმირავ მზერას გვესროდნენ, ხან წითელი ვარდის კოკორივით ბაგეებს ხსნიდნენ და ჩვენზე, ანუ ჩვენს ტანსაცმელსა და ქუდზე, იცინოდნენ, ხან კი ხელთათმანებიდან ქაფურივით თეთრ ხელებს აჩენდნენ. მათმა სილამაზემ თვალი ისე მოგვჭრა, თითქოს ცაზე მანათობელი მთვარე ამოვიდაო. შეშინებულები ჩუმ-ჩუმად მათკენ თვალს ვაპარებდით და გულდადარდიანებულები ისე ვოხრავდით, რომ ჩვენი ოხვრის ალი მთელ დარბაზს ედებოდა. თუ მზეს თვალს მოვარიდებდით და მეორე მხარეს გავიხედავდით, დავინახავდით მთვარეს, რომელიც იქაურობას მზესავით ანათებდა. ერთი სიტყვით, ორსავე მხარეს ერთმანეთზე უკეთესი სანახაობა იყო. ვინატრე: ნეტავ, ჩემი მეგობრები აქ იყვნენ, რომ ნახონ, ქვეყნად როგორი *ჰურიები* არსებობენ-მეთქი.

მოკლედ, თქვენი მონა-მორჩილი რაღაც სხვანაირ გუნებაზე დავდექი და ჩუმად ამ ბეითებს ვღიღინებდი:

> თუ გული მომტაცე, რჯულს ნუ წამართმევ,
> საბრალო გულს მოთმინებას ნუ წაართმევ,
> მიჯნურებზე შურს ნუ იძიებ,
> ნუ მოკლავ ნაკრძალის ნადირს.

და, ასევე, ამ ბეითსაც ვმღეროდი:

> რაც შენი ზილფის კულულმა ჩემი გული მოაჯადოვა,
> ქარს გაჰყვა რჯული, რწმენა და *ფანა*[200], ჩემო კერპო.

---

200 ფანა სუფიური მოძღვრების მიხედვით სულის თვითსრულყოფის გზის ბოლო საფეხურია.

ერთი სიტყვით, შუაღამის თორმეტ საათამდე თეატრში ასეთ ყოფაში ვიყავით. შიგადაშიგ მისი აღმატებულება ჰაჯი ემირზადე მთვარისსახიანებს ფრანგულად ესაუბრებოდა და ყველანი იცინოდნენ, მაგრამ ჩვენ მათი ლაპარაკი არ გვესმოდა.

მოკლედ, სპექტაკლის დასრულების შემდეგ დადარდიანებულები სახლში დავბრუნდით. მთელი ღამე ვერ დავიძინე, რადგან როგორც კი თვალს ვხუჭავდი, ის მთვარისსახიანები მელანდებოდნენ და დილამდე მათზე ფიქრისგან ჩემი საწოლიდან, თითქოს, ვარდის სურნელი იფრქვეოდა.

როცა სამყაროს მანათობელი მზე აღმოსავლეთიდან ამოიწვერა, *ფაეტონში* ჩავსხედით და ბაზარსა და ქუჩებში გავისეირნეთ. გაოცებულები შენობებს ვათვალიერებდით და ვფიქრობდით: აი, ქვეყნად როგორი ადგილები გაუკეთებიათ, ჩვენ კი თავრიზის სახლში შევყუჟულვართ და უაზრო განცხრომაში ვატარებთ დროს. თუ კაცი ამ *ვილაიეთების* ნახვის შემდეგაც თავრიზის სახლში ჯდომით ისიამოვნებს, ის ან გონებანაკლულია, ან ჭკუა საერთოდ არა აქვს. ასეა თუ ისე, ამ ქვეყნად ყველა სიყვარულზე ოცნებით ცხოვრობს.

ახლა ცოტაოდენს თბილისის ბაზრებსა და ქუჩებზე მოგახსენებთ. მართალია, ნაწერით სრულ წარმოდგენას ვერ შეიქმნი, თავად უნდა ნახო და შეიგრძნო, მაგრამ მაინც შევეცდები, იქნებ რამე გამომივიდეს. მაშ ასე, მზის ჩასვლას სამი საათი აკლდა, როცა მისი აღმატებულება ემირ ზადე და თქვენი მონა-მორჩილი *ფაეტონში* ჩავსხედით და ირანის ელჩის რეზიდენციაში წავედით. ჯერ ერთი, ალი ხანი ძალიან კარგი ბუნების კაცია და დღენიადაგ ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნავს, მეორეც, მას საუბარსა და თავაზიანობაში ტოლი არა ჰყავს. მასთან ერთი საათი გავატარეთ და მერე გასეირნება შემოგვთავაზა. მისი აღმატებულება ემირ ზადე დაყაბულდა და ორი *ფაეტონი* მოამზადეს. ერთში მისი აღმატებულება და ალი ხანი ჩასხდნენ, მეორეში კი – თქვენი მონა-მორჩილი და ელჩის თანაშემწე. ქუჩებში გავისეირნეთ და მივედით *მოჯთაჰედის* ანუ აყა მირ ფათაჰის ბაღში[201]. შიგ რომ შევედით, თავი ედემის ბაღში გვეგონა. ოთხი ხეივნის გადაკვეთაზე ულამაზესი შენობა იდგა. მის გარშემო ტანკენარი ხეები, მათ შორის ღვია და ფიჭვი, ხარობდა, ხოლო შიგნით ოთახების წინ დარგული იყო ლიმნის, ფორთოხლისა და თურინჯის ხეები, რომელთა მწვანე ტოტებსაც უამრავი ნაყოფი ესხა.

მოკლედ, ამ წარმტაც ბაღში დაახლოებით საათნახევარი ვისეირნეთ და მეგობრები მოვიგონეთ. იქიდან ალი ხანის სახლში დავბრუნდით. რაც გზაზე ვნახეთ, იმის აღწერა ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე მაცდუნებელ მზესა და მთვარეს ვხედავდით. ალი ხანთან ჩაი დაგვახვედრეს, მაგრამ მათი ჩაის სმის წესი არ მომეწონა. იმხელა ჭიქები აქვთ, რომ შიგ ერთი ჩაიდანი ეტევა. ჭიქას ავსებენ და მოგართმევენ, მაგრამ სპილოს ძალა უნდა გქონდეს, რომ ბოლომდე დალიო. რადგან მათი ჩაის სმის წესი არ ვიცოდით, ჩვენი წესისამებრ ჭიქები ავიღეთ და გამოვცალეთ, ალი ხანის ჭიქა კი ისევ ხელუხლებლად იდგა. ჭიქები ხელმეორედ შეგვივსეს და მოგვართვეს და ისიც დიდი წვალებით დავლიეთ, ალი ხანის ჭიქა კი ჯერ კიდევ ნახევრადსავსე იყო. ამასობაში მისი აღმატებულება ემირ ზადე და თქვენი მონა-მორჩილი ისეთ

---

201 იხ. შენიშვნა 78.

დღეში ჩავცვივდით, თითქოს ღვინით დავმთვრალიყავით: თავბრუ გვეხვეოდა და გვაქანავებდა. ალი ხანს გაეცინა და გვითხრა: „თქვენ ჩაის ირანულად სვამთ, აქ კი სხვა წესია. აქ სავსე ჭიქას დაახლოებით ერთი საათი ნელ-ნელა სვამენ და თან მუსაიფობენ". მოკლედ, ჩვენ მათი წესი არ ვიცოდით და ორი ჭიქა დავლიეთ. რა სამწუხაროა, რომ იქ არ იყავი, ჭაბუკო! ელჩისგან მთვრალებივით გამოვედით და სახლში დავბრუნდით, მაგრამ იმ წყეული ჩაისგან ორი დღე და ღამე არც გვეძინა და ვერც ვჭამდით.

ალი ხანის სახლიდან რომ გამოვდიოდით, ვიკითხეთ, წარმოდგენა იმ საღამოსაც იმართებოდა თუ არა. გვიპასუხეს, რომ თეატრი დღეგამოშვებით მუშაობდა. ძალიან დაგვწყდა გული, რადგან მეორე დღეს თბილისიდან მივემგზავრებოდით და იმ მთვარისსახიანებს ან ვნახავდით, ან ვერა.

თბილისის შენობების თავისებურება ის არის, რომ ეზო არა აქვს და შიგ პირდაპირ ქუჩიდან შედიხარ. შენობების სიმაღლე ხუთ სართულამდეა და ფანჯრები ქუჩაზე გადმოდის. მათი ბაზრები რიგებად არის ჩამწკრივებული.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[მცხეთის ფოსტა]

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა სამყაროს მანათობელი მზე აღმოსავლეთიდან ამოიწვერა და სამყარო გაანათა, ძილით გათანგული მგზავრები საწოლებიდან წამოიშალნენ, ბარგი შეკრეს და გაემართნენ მეცხრამეტე პუნქტისკენ, რომელსაც მცხეთა (Sekhetī) ჰქვია და თბილისიდან ოცი *ვერსით* არის დაშორებული. დღის ოთხ საათზე თბილისიდან გავემგზავრეთ და მზის ჩასვლას ოთხი საათი აკლდა, მცხეთაში რომ შევედით. მცხეთიდან თბილისამდე გზატკეცილია აშენებული და ეტლი თავისუფლად მოძრაობს. გზა სულ მდინარე მტკვარს მიუყვება. გზის ზემოთაც გზატკეცილი გაჰყავთ *შემენდეფერის* რკინიგზისთვის[202]. ეს გზა მივა მარნამდე (Mārān), რომელიც შავ ზღვაზე მდებარეობს და სტამბოლის პორტს წარმოადგენს. იქიდან კი ხალხი და ტვირთი ზღვით ერთ დღეში ჩავა კასპიის ზღვამდე (Daryā-ye Hasht Darkhān/Hashtarkhān)[203]. ამ სამუშაოს დასრულებას 5-6 წელი მაინც უნდა, მაგრამ მერე ძალიან კარგი გზა იქნება მომლოცველებისა და სხვა მოგზაურთათვის.

თუ კაცს სტამბოლში წასვლა მოუნდება, ტრაბზონისა და თბილისის გზით ისარგებლებს, რადგან არდებილის გზას აკეთებენ. როცა ჩვენ იქ გავიარეთ, მინდორში კარვები იყო გაშლილი იმ *სალდათებისთვის,* რომლებსაც ეს გზა გაჰყავდათ. ეს *სალდათები* ფარჰადის[204] მსგავსად მთებს ჭრიდნენ და ასწორებდნენ,

---

202 „შემენდეფერს" ავტორი როგორც ბაქო-ბათუმის დამაკავშირებელ რკინიგზის მაგისტრალს, ისე ამ მაგისტრალზე მოძრავ მატარებელსაც ეძახის.

203 ამ ეპიზოდიდან ჩანს, რომ ავტორს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს კავკასიის გეოგრაფიაზე. გარდა იმისა, რომ აქაც და შემდგომაც მას მარანი ხან ბათუმში და ხან ფოთში ერევა, მან ისიც არ იცის, რომ შავი ზღვიდან კასპიის (მის მიხედვით – ასტრახანის) ზღვაში წყლის გზით გადასვლა შეუძლებელია.

204 სპარსული ეპოსის ლეგენდარული გმირი, რომელიც ერთი დარტყმით კლდეს აპობდა და შიგ გზა გაჰყავდა.

ხეობებს ავსებდნენ და ავაკებდნენ და ისეთ ხიდებს აგებდნენ, რომ მათი აღწერა ენას არ ძალუძს. ერთ ადგილას გზას მდინარე მტკვარი ეღობებოდა, მაგრამ ამ მამაძაღლებმა შიგ იმდენი ქვა-ღორღი ჩაყარეს, რომ, რაც არ უნდა დაუჯერებელი იყოს, ხევი ამოავსეს და გზას გაუსწორეს.

მოკლედ, მცხეთის ფოსტაში ჩავედით და იქ დავბინავდით. მთელი ღამე საშინლად წვიმდა და გზა ატალახდა. შიში შეგვეპარა, რომ მეორე დღეს ჩვენი *ფურგონი* ამ ტალახში ვერ გაივლიდა.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[ახალქალაქი]

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა გათენდა და აღმოსავლეთიდან მზე ამოიწვერა, ბარგი შევკარით და გავემართეთ მეოცე პუნქტისკენ, რომელსაც ახალქალაქი (Akhraqye)[205] ჰქვია. დღის პირველის ნახევარზე მცხეთიდან გავემგზავრეთ და მზის ჩასვლას სამი საათი აკლდა, ახალქალაქში რომ შევედით. მცხეთის ფოსტის სადგურიდან ახალქალაქის ფოსტის სადგურამდე 31 *ვერსია*. მცხეთიდან რომ გამოვედით, დაახლოებით 13 *ვერსი* ძლიერი ტალახის გამო ძლივს ვმოძრაობდით, მაგრამ დანარჩენი 18 *ვერსი* გზატკეცილი იყო და თავისუფლად ვიმგზავრეთ. *სმატრიტელმა* (Esmātrīter) ანუ ფოსტის უფროსმა ქაღალდები დაგვიმოწმა და კარგი ოთახი მოგვცა. *სმატრიტელი,* რომელიც ძალიან მხიარული და ხალისიანი კაცი იყო, ხანდახან მუსლიმობას იჩემებდა და ჩემს თანამგზაერ პილიგრიმებს თურქულად ეხუმრებოდა და მე ვთარგმნიდი. ეუბნებოდა: „თქვენც მუსლიმები ხართ. და მეც, განსხვავება ჩვენ შორის მხოლოდ ...[206] პატარა კანია, რომელიც თქვენ მოგაჭრეს და მე დამიტოვეს“.

იმ საღამოს *სმატრიტელი* პილიგრიმებს იმდენს ეხუმრა, რომ საწყლები ფოსტიდან გაიქცნენ და ქარვასლაში დაბინავდნენ, მაგრამ მე მის ხუმრობებზე ბევრი ვიხალისე. მოგვიყვა, როგორ ლოცულობდა და რიტუალურ განბანვას როგორ ასრულებდა, ლოგინში ეშმაკი როგორ აცდუნებდა და დილით როგორ განიბანებოდა. შიგადაშიგ მეფეებზე წუწუნებდა, ამბობდა: ჩემნაირ ერთგულ მსახურს ასეთ პატარა ხელფასს მაძლევენ. აბა, თვეში 13 მანეთი და 90 კაპიკი რა ფულია, ერთი დღის არყის ფულიც კი არ არისო. ბოლოს წუწუნს რომ მორჩა, მის აღმატებულება ჰაჯი ემირზადეს კონსულ ალი ხანთან სარეკომენდაციო წერილი სთხოვა, რომ აქედან გადაეყვანათ და ფოთში „დაეწინაურებინათ“, რადგან ფოთში ირანელი უფროსი არ იყო. მოკლედ, ეს ქაღალდი გამოართვა და კარგად შეინახა.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[სამანლო]

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა სამყაროს მანათობელი მზე აღმოსავლეთიდან ამოიწვერა, ბარგი შევკარით და 21-ე პუნქტისკენ გავემართეთ. 21-ე პუნქტს ერთი ვერსიით სამანლო (Sāmān Lo) ჰქვია, ხოლო მეორე ვერსიით – რუსული

---

205 ავტორი პუნქტის სახელს ძლიერ ამახინჯებს, მაგრამ მდებარეობით ეს უთუოდ ახალქალაქია.

206 მრავალწერტილი ავტორისეულია.

ფოსტა (Post-e Rūs)[207]. ახალქალაქის ფოსტიდან რუსულ ფოსტამდე 42 *ვერსია*. სამს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ახალქალაქიდან გამოვედით და მზის ჩასვლას ორსაათნახევარი აკლდა, როცა რუსულ ფოსტაში შევედით. თუ მოსმენას ინებებთ, ცოტაოდენს ამ გზაზე და იმ სიძნელეებზე მოგახსენებთ, რაც მგზავრობისას გადავიტანეთ.

უპირველეს ყოვლისა, ახალქალაქიდან გამოსვლისთანავე ისეთი ქარი ამოვარდა, რომ ვერ აგიწერთ. ქარი იმდენად ძლიერი იყო, რომ *ფურგონის* ოთხივე ცხენი გზიდან გადაიყვანა, თავად *ფურგონსაც* შეუტია და ცხენებიან-ბორბლებიანად რამდენიმე ნაბიჯით უკან დასწია. ისეთი სიცივე იდგა, გეგონებოდათ თავრიზის მაცივრის კარი რუსეთისკენ გაულიათო. ძლიერი სიცივისგან ვერ ვინძრეოდით. თქვენმა მონა-მორჩილმა ორი მარცვალი თრიაქი ამოვიღე, მოსასხამი თავზე გადავიფარე, ერთ კუთხეში მივჯექი და შემდეგ პუნქტამდე არ განვძრეულვარ. რუსულ ფოსტაში რომ შევედით, გვეგონა, რომ ჯოჯოხეთში მოვხვდით. ისეთი სიცივე იდგა, სამოვარს ცეცხლს რომ ვუკიდებდით, ვერ ვგრძნობდით, ცეცხლი იყო თუ ყინული. ასეთი ღამე ცხოვრებაში არ გვქონია.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[სურამი]

თქვა: ეი, ჭაბუკო! მოღრუბლული და პირქუში დილა გათენდა. გავიღვიძე, ჩირაღდანი ავანთე, სხვებიც გავაღვიძე და გარეთ გამოვედი, რომ ამინდი მენახა. გუშინდელ ქარსა და სიცივეს ახლა თოვლიც დაერთო. ათასი წვალებით ბარგი შევკარით და 22-ე პუნქტისკენ გავეშურეთ.

22-ე პუნქტი, რომელსაც სურამი (Sūran) ჰქვია, რუსული ფოსტიდან 35 *ვერსით* არის დაშორებული. სამის თხუთმეტ წუთზე რუსული ფოსტიდან წამოვედით და მზის ჩასვლას სამი საათი და თხუთმეტი წუთი აკლდა, სურამში რომ შევედით.

ახლა ამ გზასა და ფოსტაზე მოგახსენებთ. ისეთი საშინელი სიცივე, ქარი, თოვლი და წვიმა გამოვიარეთ, რომლის მსგავსი კაცს არ უნახავს. რამდენიმე საათის განმავლობაში ტანსაცმლიდან ხელი ვერ გამოვყავი, რომ პური მეჭამა. მთელი გზა არ განვძრეულვარ და მოსასხამში გახვეული ჭამის ნაცვლად ამ ბეითს ვღიღინებდი:

მერიქიფევ, ზამთრის ამ ცივსა და სასტიკ ამინდში
ლოთებისთვის ღვინის დოქს ნუ დაინანებ.

იმ დღეს ფოსტაში აღარ გავჩერდით, რადგან *ფურგონის* მეპატრონე ალი ქერბალაიმ შემოგვთავაზა, რომ კიდევ ოთხი *ვერსი* გაგვევლო და ქალაქ სურამში დავბინავებულიყავით. გვარწმუნებდა, იქ ყველაფერი იშოვება, თან ძალიან ლამაზი ქალაქია და მრავალი ღირშესანიშნაობა აქვსო. თქვენმა მონა-მორჩილმა ვიფიქრე, რომ სურამი ერევნისა და ნახჭევანის მსგავსი ქალაქი იქნებოდა და სამ საათს იქ

---

[207] ტოპონიმის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. მდებარეობით დაახლოებით აგარასთან უნდა იყოს. გზებზე განლაგებული საფოსტო სადგურების რუსული სისტემა ავტორისთვის უცხო მოვლენა იყო და, ალბათ ამიტომ, გამოთქმა Русская почта მან პუნქტის სახელწოდებად მიიჩნია.

კარგად გავატარებდით. ეს ამბავი მის აღმატებულება შაჰ ბაჯის[208] მოვახსენეთ და თანხმობა განაცხადა. დარჩენილი გზა იმაზე ვოცნებობდით, ქალაქში როგორ დავბინავდებოდით და გადატანილი სიცივისთვის რა საზღაური გველოდა.

მოკლედ, ამ ფიქრებით სურამში შევედით და ოცნების კოშკები ერთ წამში დაგვენგრა. ქალაქი კი არა, სოფელი აღმოჩნდა, თან ამ ქვეყნად ყველაზე უარესი სოფელი. იქ ასიოდე ერთსართულიანი სახლი იდგა, რომლებიც ევროპული სახლების მსგავსად ხის იყო და ეზო არ ჰქონდა.

მოკლედ, ეს ქალაქი და იქაური ვითარება რომ დავინახეთ, ალი ქერბალაის ვკითხეთ: „რატომ მოგვატყუე?" გვიპასუხა: „ქალაქია, აბა რა არის? თქვენი ქალაქებიდან რომელია ამაზე უკეთესი?!" მაგრამ თავისი ნათქვამის თვითონვე შერცხვა და თავი ჩაქინდრა. როგორც აღმოჩნდა, ამ სოფელში მეგობარი ჰყავდა და მისი ნახვა უნდოდა.

მოკლედ, იმ ღამეს ერთ ოთახში დავბინავდით. ოთახი ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი და შიგ ფიცრული ტახტები იდგა. მზის ჩასვლას სამი საათი აკლდა, ოთახში რომ შევედით. ისეთი ტალახი და სიცივე იყო, რომ დილამდე გარეთ არ გამოვსულვართ.

ამას ისიც დაერთო, რომ მთელი ღამე სახლის გარშემო სომეხი დარაჯი დადიოდა და რაღაც უცნაურ ხმებს გამოსცემდა: ხან ძაღლივით წკმუტუნებდა, ხან საყვირივით გაჰკიოდა და ხან სომხურ ლექსებს კითხულობდა. მოკლედ, არც თვითონ ეძინა და არც ჩვენ დაგვაძინა.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[ხარაგაული]

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა გათენდა, ბარგი შევკარით, *ფურგონში* ჩავსხედით და 23-ე პუნქტისკენ გავემართეთ. 23-ე პუნქტს ხარაგაული (Kharakaülü) ჰქვია და სურამიდან 42 *ვერსით* არის დაშორებული. დილით ძლიერი სიცივის გამო სწრაფად ვერ ჩავბარგდით, ამიტომ შუადღის ოთხის ნახევარი იყო, სურამიდან რომ გამოვედით და მზის ჩასვლას 15 წუთი აკლდა, ხარაგაულის ფოსტაში რომ შევედით.

სანამ ამ ფოსტის აღწერას შევუდგებოდე, მინდა ორიოდე სიტყვა გზის შესახებ მოგახსენოთ. სურამს რომ გავცდით, ერთი მთა შემოგვხვდა, რომელიც ჩემ მიერ ადრე აღწერილ დილიჯანის მთას ჰგავდა. ისიც შუაგულ ტყეში იდგა და ძალიან მიუვალი იყო. შვიდი წლის წინ ამ გზაზე ოთხთვალათი ვერ გაივლიდი, მაგრამ ახლა მთის აქეთა მხარეს ახალი გზატკეცილი გაიყვანეს, მასზე ხრეში დაყარეს, ბანის სატკეპნი მანქანის მსგავსი მანქანით გააშანდაკეს და მთაშიც სპირალივით დახვეული გზა გაიყვანეს. ეს მთა აგებულებით დილიჯანის მთას ჰგავს და ისეთია, როგორც ქვემოთ დავხატე:



[208] „შაჰ ბაჯი" დიდგვაროვან ქალბატონს ნიშნავს. ამ შემთხვევაში იგულისხმება თაჰმასბ მირზას და.

ახალი გზა, მიუხედავად იმისა, რომ *ვერსების* მიხედვით ძალიან გრძელია, ცხენების სასიარულოდ უფრო მარტივია და შემდეგ პუნქტშიც უფრო მალე ჩადიხარ.

სურამიდან ზღვის სანაპირომდე გზა სულ ტყეში მიდის. გზის ეს მონაკვეთი მთაში გაპყავთ, ფარჰადივით მთას აპობენ და ქვებს თლიან. მათი შემხედვარე გაოცებული დარჩები. ამ გზას *შემენდეფერისთვის* [*შემენდეფერი* = მატარებელი] აკეთებენ.

ფოსტას, რომელშიც დავბინავდით, დაწვრილებით ვერ აღვწერ, რადგან ძალიან თავსატეხი საქმეა და დიდ დროს წამართმევს. მაგრამ ფოსტაში მისვლისა და იქ ნანახის შესახებ ორიოდე სიტყვა აუცილებლად უნდა მოგახსენოთ.

როცა ჩვენი *ფურგონი* ფოსტის წინ გაჩერდა, ის იყო, უნდა გადმოვსულიყავით, რომ, უცებ, ფოსტის აივანზე კაშკაშა მზე გამოჩნდა, არემარე გაანათა, ადამიანებს კი თვალები დაუბნელა. მისი გამონათების აღწერა ადამიანის ძალღონეს აღემატება. მართლაც, რომ ორი კვირის მთვარე იყო, თვალები ნარგიზს მიუგავდა და მათი სიშავე იალდას ღამეს[209] მოგაგონებდათ. ამ მთვარისსახიანს მანსური შემდეგი ბეითებით აღწერს:

> მისი წამწამები იმ ისარს ჰგავს, მიჯნურის გულს რომ ესობა,
> მისი ზილფები ბნელ ღამესავით შავია,
> მისი წარბები ორი ნამგალა მთვარეა, მთვარე რად გვინდა,
> თუ რამაზანის სადღესასწაულო ღამეს ბანზე გამოვა სატრფო.

ბეითები დავასრულე, *ფურგონიდან* თვალისდახამხამებაში გადმოვედი და თავგზააბნეული მისკენ გავემართე. უცებ შავი ღრუბელი გამოჩნდა და მზეს ჩამოეფარა. ღრუბელი გრძელწვერა, მაღალი და მსუქანი კაცი აღმოჩნდა, რომელიც მის გვერდით დადგა. ჯერ იმ კაცთან მივედი, მივესალმე და ვკითხე: „ვინ ხარ და რა გქვია, რომ ამ მზეს შავი ღრუბელივით ჩამოეფარე?" მიპასუხა: „მღვდელი ვარ". ვკითხე: „სომეხი ხარ თუ რუსი?" მითხრა: „ქართველი ვარ და ამ მთვარისსახიანს ვახლავარ". ვკითხე: „ეს მთვარისსახიანი ვინ არის და სად მიემგზავრება?" მიპასუხა: „ჩემი ცოლია და თავისი ნათესავების მოსანახულებლად მიდის".

მოკლედ, მათი ამბავი გავარკვიე და ჩემს ადგილზე დავბრუნდი. გვიან ღამემდე იმ მღვდელს ვესაუბრებოდი და თან თვალს მთვარისსახიანისკენ ვაპარებდი.

ერთი სიტყვით, მღვდელს ისე დავუმეგობრდი, რომ შემომთავაზა, მეორე დილით ადრე ერთად გავმგზავრებულიყავით. ვუთხარი: „თუ ალაპის ნება იქნება".

იმ ღამეს დავიძინე და გათენებული არ იყო, რომ ლოგინიდან ავდექი და ბარგი შევკარი, თან მათი ოთახისკენ ვიყურებოდი, იმ მშვენიერმა თუ გაიღვიძამეთქი. ერთ საათში კარი გაიღო და, თითქოს აღმოსავლეთიდან მზემ გამოანათაო, ოთახიდან მთვარისსახიანი გამოვიდა. ფოსტის მოსამსახურეები ისე გაოგნებულები მიაშტერდნენ, თითქოს მთიდან მზე და მთვარე ერთად ამოსულიყოს. დილის *ნამაზამდე* ერთი საათი რჩებოდა, მაგრამ მაინც ვილოცე და ბარგი *ფურ-*

---

209 იალდა ზამთრის ბუნიობის ღამეა.

გონში ჩავალაგე. აღმოჩნდა, რომ ისინი აღარ მოდიოდნენ, რადგან ელოდებოდნენ საფოსტო ცხენებს, რომლებიც დილიჯანში გაეგზავნათ და იგვიანებდნენ. რას ვიზამდი?! სული იქ დავტოვე და დაცარიელებული სხეულით გზას გავუდექი.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[დიმი]

თქვა: ეი, ჭაბუკო! სული ფოსტაში დავტოვე და დაცარიელებული სხეულით გავემართე 24-ე პუნქტისკენ, რომელსაც დიმი (Doz)[210] ჰქვია. შუადღის ოთხის ნახევარზე ხარაგაულიდან გამოვედით და მზის ჩასვლას სამსაათნახევარი აკლდა, როცა დიმის ფოსტაში შევედით. ამ ორ ფოსტას შორის 22 *ვერსია*, მაგრამ გზატკეცილი დაგებული არ იყო და ტალახისგან ძლიერ გავწვალდით. გზა ვიწრო ხეობაში მიდიოდა და ბევრი აღმართ-დაღმართი იყო. ერთი მხრიდან მას მაღალი პირქუში მთა ესაზღვრებოდა, მეორედან კი – გრძელი ხეობა, რომელშიც მდინარე მიედინებოდა. თავიდან მდინარე პატარა იყო, მაგრამ თანდათანობით იმხელა გახდა, რომ შიგ გემები დაცურავდნენ. ეს მდინარე შავ ზღვას უერთდება და მარანი მის ნაპირზე მდებარეობს. მგზავრს შეუძლია მარანში პატარა გემში ჩაჯდეს, ამ მდინარით ზღვაში გავიდეს, დიდ გემზე გადაჯდეს და სტამბოლში გაემგზავროს.

ერთი სიტყვით, მზის ჩასვლას სამსაათნახევარი აკლდა, როცა ღამის გასათენებლად დიმის ფოსტაში გავჩერდით. უცებ გული შემიფრთხიალდა, გამახსენდა ის მთვარისსახიანი, რომელმაც დაიგვიანა და აღარ გამოჩნდა, რომ ჩემი დაბნელებული თვალებისთვის შუქი მოეფინა. ამ ოცნებებში ვიყავი, რომ ქარმა ველური ამბრის სურნელი მოიტანა. ძალიან მშიოდა და ის იყო, ჭამას ვიწყებდი, მაგრამ ამბრის სუნისგან ლუკმა გამივარდა და ადგილიდან ისე წამოვხტი, როგორც მანსურს უთქვამს:

> მასთან შეხვედრის იმედით ადგილიდან ისე წამოვფრინდი,
> როგორც მწყერის დანახვაზე – მიმინო.
> სახლიდან გარეთ გამოვედი მისთვის თავის გასაწირად,
> იდუმალმა ხმამ მითხრა: სული ფერხთით დაუგდე!
> ძლიერად მოვეხვიე და გულში ჩავიკარი,
> გულმა მის გულს უთხრა დაფარული საიდუმლო.

როცა ეს ბეითები დავასრულე, ავდექი და ფოსტის აივნიდან გზას გავხედე. უცებ აღმოსავლეთიდან მანათობელი მზე გამოჩნდა და ფოსტასთან გაჩერდა. ის მთვარისსახიანი ფოსტის აივანზე დაახლოებით ერთი საათი იდგა, მაგრამ ოთახი არ აიღეს. მღვდელთან მივედი და მიზეზი ვკითხე. მიპასუხა: „აქ გაჩერებას არ ვაპირებთ, ამ საღამოს სხვა ფოსტაში მივალთ და იქ დავბინავდებით. აქ მხოლოდ *ტარანტასის* (Dārān Dās) (*კალიასკის* სახეობაა) ცხენების გამოსაცვლე-

---

[210] ტექსტში დოზ (Doz) წერია, მაგრამ, მდებარეობით, სავარაუდოდ, ეს არის სოფელი დიმი.

ლად შემოვიარეთ". ეს ამბავი რომ გავიგე, დამწუხრებულმა, ფრთამოკვეცილმა და სასოწარკვეთილმა შემოქმედს ეს ბეითები შევღაღადე:

ყოვლადმოწყალეო ღმერთო, შენი საიდუმლოებათა საგანძურიდან
ცეცხლთაყვანისმცემელსაც და ქრისტიანსაც თავისი წილი აქვს.
მეგობრებს [წყალობას] რატომ ართმევ
შენ, რომელიც მტრებსაც კი მფარველობ.

ამ ლოცვაში ვიყავი, რომ ჩიტმა *ამინ, ამინო*, მითხრა: ფოსტაში ცხენები არ აღმოჩნდა და იძულებული გახდნენ, დარჩენილიყვნენ. წუხანდელივით ერთმანეთის მეზობლად დავბინავდით. გვიან ღამემდე, როგორც ფარვანა სანთელს, იმ მთვარისსახიანს ისე ვუტრიალებდი, სანამ ბოლოს ფარვანასავით სიყვარულის ცეცხლის ალზე არ დავიწვი და ჩემს წყეულ თვალებსაც რული არ მოეკიდა.

გათენებას ერთი საათი აკლდა, როცა ავდექი, ჩირაღდანი ავანთე და დანარჩენებიც გავაღვიძე. ბარგი შევკარით და გასამგზავრებლად მოვემზადეთ. მაგრამ ჩემი ფიქრები ისევ მთვარისსახიანს დასტრიალებდა. ვოცნებობდი, კიდევ ერთხელ მენახა მისი გაცისკროვნებული სახე. გარეთ გამოვედი და მათი ამბავი ვიკითხე. მითხრეს, რომ ორი საათის წინ გამგზავრებულიყვნენ. ეს რომ გავიგე, თვალთ დამიბნელდა, მაგრამ რაღას ვიზამდი.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[ქუთაისი]

თქვა: ეი, ჭაბუკო! რადგან ის მშვენიერი დავკარგე, *ფურგონში* ჩავჯექი და 25-ე პუნქტისკენ გავემართეთ. 25-ე პუნქტი ქუთაისია (Kütāys) და დიმის ფოსტიდან 37 *ვერსით* არის დაშორებული. შუადღის თორმეტ საათზე დიმიდან გამოვედით და მზის ჩასვლას სამსაათნახევარი აკლდა, ქუთაისში რომ შევედით. სანამ ამ ქალაქს აღვწერდე, რამდენიმე სიტყვას გზის შესახებ მოგახსენებთ.

დიმის ფოსტიდან ქუთაისამდე გზატკეცილია გაყვანილი. ირგვლივ სულ ვაკეა, რომელიც ტყით არის დაფარული და გზა ტყეში მიდის. გზის ორსავე მხარეს კარგი ხეებია დარგული და იქაურობა ბაღს ჰგავს. ქუთაისის სიახლოვეს ერთი მთაა, რომლისკენ მიმავალი ძველი გზა ძალიან მიუვალია და მასზე ოთხთვალები ვერ დადიან. ის ერთი *ვერსი* თუ იქნება, ახალი გზა კი თავისი მიხვეულ-მოხვეულებით ხუთი *ვერსია*, მაგრამ ამ ხუთ *ვერსს* უფრო სწრაფად გადიხარ, ვიდრე იმ ერთს.

ასეა თუ ისე, მზის ჩასვლას სამსაათნახევარი აკლდა, როცა ქუთაისში შევედით. ერთ სახლში დავბინავდით და ქალაქში გასეირნება გადავწყვიტეთ. გარეთ გამოვედით, *ფაეტონი* ვიქირავეთ და სამი საათის განმავლობაში ვსეირნობდით.

მთხრობელი ამბობს, რომ ქუთაისი თავისი აგებულებით თბილისს ჰგავს. აქაც ისეთივე დუქნები და შენობებია და მდინარეც ქალაქს ისე კვეთს, როგორც თბილისში. ეს მდინარე ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიედინება. თავად ქალაქი სულ ახალი აშენებულია. როგორც გვითხრეს, რამდენიმე წლის წინ აქ პატარა და შეუხედავი სოფელი იყო, მაგრამ ამ რამდენიმე წელიწადში აყვავდა. ქუთაისის აღმშენებლობა იმ ხანძარმა გამოიწვია, რომელიც



ქუთაისის ბაზარი. 1900-იანი წლების ღია ბარათი.

აქ თურქებმა გააჩინეს და რომლის დროსაც ქალაქის ნახევარზე მეტი დაიწვა. მას შემდეგ აქაურმა ხელისუფლებამ დარჩენილი ძველი შენობებიც დაანგრია და ძალიან ლამაზი ქალაქი ააშენა. ქუთაისში კარგი ბაზრებია, რომლებშიც ყველანაირ საქონელს იშოვი. ქალაქი ტყეში მდებარეობს და მის სახლებს გარშემო ამ ტყეში მოჭრილი ხეებისგან გაკეთებული მესერები არტყია და შიგ წარმტაცი ბაღებია გაშენებული.

თქვენი მონა-მორჩილი მის აღმატებულება ჰაჯი ემირზადესთან ერთად *ფაეტონში* ჩავჯექი, მთელი ბაზრები და სახლები შემოვიარე და ყველაფერი დავათვალიერე. მისი აღმატებულება ჰაჯი ემირზადე სახლში დარჩა, მე კი ისევ სასეირნოდ წავედი. უცებ ზემოთ ნახსენები მღვდელი და ის მთვარისსახიანი დავინახე. წამში მუხლები მომეკვეთა და მათთან ძლივს მივედი. ორივეს მივესალმე და მოვიკითხე. მთვარისსახიანის შემხედვარეს ცოტა მუხლებში ძალა მომეცა. მერე ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ისევ დავშორდით. სეირნობის ხალისი დამეკარგა და აფორიაქებული სახლში წავედი.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[მარანი]

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა სამყაროს მანათობელი მზე აღმოსავლეთიდან ამოიწვერა, გავიღვიძეთ, ბარგი შევკარით და გავემართეთ 26-ე პუნქტისკენ, რომელსაც მარანი ჰქვია. შუადღის სამის ნახევარზე ქუთაისიდან გამოვედით და მზის ჩასვლას სამსაათნახევარი აკლდა, მარანში რომ შევედით. მარანი დიდი მდინარის პირას მდებარეობს. ქუთაისიდან მარნამდე ისეთი სწორი გზაა, რომ

კარგი დურბინდით ერთი ქალაქიდან მეორეს დაინახავ. ამ გზის კიდევ ერთი მომხიბვლელობა ის არის, რომ შუაგულ ტყეში მიდის, თითქოს ბაღის ხეივანიაო. გარშემო სულ ხილის ხეებია, უმეტესად თხილი და კაკალი. ვფიქრობ, ქუთაისი-მარნის გზის მსგავს ხეივანს ვერც ერთ ბაღსა და ყვავილნარში ვერ ნახავ.

შუა გზაში ვიყავით, რომ ძლიერმა წვიმამ მოგვისწრო და სანამ მდინარის ნაპირს მივაღწევდით, სულ წვიმდა. არაქათგამოცლილები ერთი სომხის დუქანთან გავჩერდით და იქ დავბინავდით.

ახლა ამ დუქანს აღვწერ. ჩვენთვის განკუთვნილი ორი ოთახი ისეთი ვიწრო და პატარა იყო, როგორზეც იტყვიან: „აქ ორმა თაგვმა რომ იჩხუბოს, ერთი აუცილებლად დაიხრჩობაო". მაგრამ მიუხედავად ასეთი სივიწროვისა, სხვაგან ვერ წავედით, რადგან საშინლად წვიმდა. კაცი წყაროზე რომ წასულიყო, კაცი კი არა, მოჩვენება დაბრუნდებოდა[211]. გარდა ამისა, გზაზე ღორები, ძაღლები და სომხები გეტმასნებოდნენ და წაბილწვისა და დაკბენის დიდი საშიშროება იყო. ისინი სომხურად ლაპარაკობდნენ და სპარსული არ იცოდნენ, ამიტომ გინდ გეთქვა, ცოტა იქით გაიწიეო, ვერ გაიგებდნენ და იქით გაგლანძღავდნენ. ერთადერთი სპარსული სალანძღავი სიტყვა, რაც იცოდნენ, *ზახრუმა*[212] იყო და სულ *ზახრუმას* გაიძახოდნენ. მოკლედ, წვიმისა და მათი *ზახრუმას* შიშით ფეხი ვერსად გავადგით. რამდენი საპირფარეშოში მოგვინდებოდა, შორს წასვლის თავი არ გვქონდა და მისი აღმატებულება ალი ბახშ მირზას თქმით, ჩვენს ნადირს ხელში ვიჭერდით და სახლის წინ კედელთან ფეხზე დამდგრები ვშარდავდით. არ გეგონოთ, რომ ეს სიტყვები გადატანილმა გაჭირვებამ დამაწერინა. ჩემი თანამგზავრები მოწმეები არიან, რომ ტყუილი არ მითქვამს. ხშირად წყლის მაგივრობას ქაღალდი სწევდა და როცა ქაღალდი არ იყო — ხელები.

მოკლედ, შაბანის თვის 24-ში (10 დეკემბერს), ოთხშაბათ საღამოს მარანში შევედით. გემი იმ საღამოს უნდა მოსულიყო, მაგრამ ძლიერი წვიმის გამო ვერ მოვიდა. იძულებული გავხდით, ის ღამე მარანში გაგვეტარებინა და გემს დავლოდებოდით.

იმ დუქანში გატარებული ღამის შესახებ ორიოდ სიტყვას მოგახსენებთ. ის, რაც მედუქნეს მრავლად ჰქონდა, ღვინო, არაყი, ევროპული სასმელები და მუსიკალური ინსტრუმენტები იყო. მთელი ღამე სომხები და ევროპელები მოდიოდნენ, დუქნის წინ სკამებზე სხდებოდნენ, ღვინოსა და სხვა სასმელებს იღებდნენ და სვამდნენ. ევროპული სანთურისა და სეთარის[213] ხმები და მოქეიფეების ურიამული ცას აყრუებდა და არ გვაძინებდა. შიგადაშიგ გარეთ გამოვდიოდი, მოქეიფეების წინ ვჯდებოდი და მათ მხიარულებას ვუყურებდი.

მოკლედ, იმ ღამემ საზისა და დოლის ხმაში და ლხინში გაიარა. ვფიქრობდი: რა საოცრებაა! მექას მოსალოცად მივდივართ და თან გზაში ფეხზე დამდგრები ვშარდავთ, წყლის ნაცვლად ქაღალდით ვიწმენდთ და მოქეიფე ევროპელების საზოგადოებაში ვატარებთ დროს. ერთი რამ კარგად გავიგე: პილიგრიმი ამ გზას

---

211 აქ სიტყვათა თამაშია: sar-e āb (წყაროზე) და sarāb (მოჩვენება).

212 ზაჰრ-ე მარ (zahr-e mār) (სიტყვ. „გველის შხამი") სპარსული ლანძღვაა. აქედან მოდის ჩვენში საკმაოდ გავრცელებული ფორმა „ზახრუმა".

213 სანთური და სეთარი აღმოსავლური სიმებიანი მუსიკალური საკრავებია.

უნდა ერიდოს, რადგან ეს ლხინისა და დროსტარების გზაა და არა – პილიგრიმობის. თქვენმა მონა-მორჩილმა ამ მოგზაურობაში ბევრჯერ ვინანე, რომ ბედისწერამ ამ ქვეყანაში მომიყვანა, მაგრამ წინ მექა იყო და უკან ვერ გავბრუნდებოდი. მართალია, ეს სიამოვნებები მექაში მოგზაურობის არსს ეწინააღმდეგება, მაგრამ თუ გაბედავ და გაემგზავრები, სახელად ჰაჯი ხოსრო ხანი ან ჰაჯი ფარსი დაგერქმევა და სამყაროს დასასრულამდე ამ სახელს ვერავინ წაგართმევს. მოკლედ, გამთენიისას ავდექით და დილა გემის მოლოდინში გავატარეთ.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[ფოთი]

თქვა: ეი, ჭაბუკო! გამთენიისას ავდექით და დილა გემის მოლოდინში გავატარეთ. შუადღის სამი საათისთვის რაღაც უცნაური ხმა შემოგვესმა და ყველანი გარეთ გავცვივდით. შორს წყალში კვამლი დავინახეთ, რომელიც ხმაურით გვიახლოვდებოდა. ბოლოს გემი, სახელად „ბარაკუდა“ (Baraqūt), გამოჩნდა და ნაპირთან ჩამოდგა.

ერთი სიტყვით, როცა „ბარაკუდა“ ნაპირს მოადგა, ყველანი წამოიშალნენ და 27-ე პუნქტში გასამგზავრებლად მზადებას შეუდგნენ. 27-ე პუნქტი ქალაქი ფოთია. ბარგი გემზე ავიტანეთ და დავაბინავეთ. თქვენი მონა-მორჩილი *კომპანიაში* (Qonpānī) წავედი და ექვსი კაცის ბილეთი ავიღე. კაიუტის (qomre) ანუ გემის ოთახის ბილეთი სამი მანეთი ღირდა, გემბანისა კი – ერთი მანეთი.

მოკლედ, კაიუტის ბილეთები შევიძინე, ბარგი მივიტანე და ბარგის ფულიც გადავიხადე. ბილეთები რომ ავიღე, უკან დავბრუნდი, „ბარაკუდაზე“ ავედი და დავჯექი. მთელი დღე ბარგს ტვირთავდნენ და ბოლოს, მზის ჩასვლას ექვსი საათი რომ აკლდა, გზას გავუდექით. ახლა რამდენიმე სიტყვას ჩვენს მგზავრობასა და თავად „ბარაკუდაზე“ მოგახსენებთ.

„ბარაკუდამ“ ნაპირთან მოახლოება საყვირით გვამცნო და სანამ გაჩერდებოდა, სულ უკრავდა. ამ საყვირით, რომელიც ორთქლის ძალაზე მუშაობს, ერთი მხრივ ხალხს მზადყოფნისთვის მოუწოდეს, მეორე მხრივ კი წყალში მოცურავე იალქნიანი გემები გააფრთხილეს, რომ გვერდზე გაწეულიყვნენ, რათა „ბარაკუდას“ ისინი არ ჩაეძირა. გემის საყვირის ხმა ჩვეულებრივი საყვირის ხმისგან განსხვავდება. კაცმა რომ არ იცოდეს, რომ გემი მოდის, ეგონებოდა ნადირი, რომელსაც აწვალებენ და ყვირის. გემის ნაპირთან ჩამოდგომისა და გამგზავრების წინ საყვირს სამჯერ ჩამოჰკრავენ: პირველით [მგზავრებს] ამცნობენ, რომ გემი გასასვლელად მზად არის; მეორეთი აფრთხილებენ, რომ ბარგი მოამზადონ და ჩაალაგონ, მესამე კი გამგზავრების ნიშანია და ისინი გემში უნდა ჩასხდნენ. ვინც მესამე საყვირის მერე ნაპირზე აღმოჩნდება, გემზე ვეღარ ავა და დარჩება.

მოკლედ, მზის ჩასვლას ექვსი საათი აკლდა, როცა მესამე საყვირის ხმა გაისმა. *ფურგონიდან* გადმოვედით, მეეტლეს დავემშვიდობეთ და გზას გავუდექით. ახლა რამდენიმე სიტყვას გემის მოძრაობასა და გაჩერებებზე მოგახსენებთ, რომ იცოდეთ.

ჯერ ერთი, სისწრაფე: გემი სწრაფად დადის, თუმცა არა ელვის სისწრაფით, როგორც ეს ხალხს ჰგონია, არამედ იალქნიან გემებზე უფრო სწრაფად. თვითონ ირწმუნებიან, საათში ოთხ-ხუთ *ფარსანგს* გადისო, მაგრამ როგორც თქვენმა მონა-მორჩილმა განაწესში ვნახე, როცა დატვირთულია, საათში ორ *ფარსანგ* ზე მეტს ვერ ფარავს. უეჭველია, ცარიელი რომ მიდიოდეს, ცეცხლს მოუმატებდა და საათში ათ *ფარსანგსაც* გაივლიდა, მაგრამ როცა დატვირთულია, ისე უნდა იაროს, როგორც მოგახსენეთ. ასეთ დროს გემის მოძრაობა სულ არ იგრძნობა, იმდენად, რომ მოვახერხე და ეს ხუთი ფურცელი ჩემს ოთახში, რომელსაც კაიუტას ეძახიან, დავწერე.

ახლა ცოტაოდენს კაიუტების შესახებ მოგიყვებით. იმ კაიუტაში, რომელიც მისმა აღმატებულებამ დაიკავა, შეღებილკედლებიან ოთახში კარგი მაგიდა, სკამები და ჩინებული სავარძლები იდგა. აქ მისი აღმატებულება ევროპელ ქალებთან და ქალიშვილებთან ერთად დაჯდა და შიგ შესვლის უფლება არ მომცა. ამ ოთახის პირდაპირ მეორე ოთახიც იყო, სადაც მე დავბინავდი და სადაც ერთმანეთს ვხვდებოდით. იმ ოთახიდან ყველაფერს ყურადღებით ვაკვირდებოდი და რასაც ახლა მოგახსენებთ, ეს მარტო მე კი არა, მისმა აღმატებულებამაც კარგად იცის და ღვთის წინაშე აღიარებს, რომ ტყუილს არ ვამბობ. მოკლედ, მისი აღმატებულება ემირზადე ამ ქალიშვილებთან ურთიერთობაში იქამდე მივიდა, რომ მათ ემირზადეს სიგარეტი შესთავაზეს, ევროპელების წესისამებრ ტუჩებთან მიიდეს და ისე მოსწიეს. მისმა აღმატებულებამ ლახათლუხუმი გამომართვა, რამდენიმე ფორთოხალი დაამატა და მათ მიართვა.

ერთი სიტყვით, ძალიან ვწუხდი, რადგან ვხედავდი, რომ მისი აღმატებულება ამ ქალიშვილებს სულითა და გულით ისე მიეჯაჭვა, რომ თვალს ვერ აცილებდა. როგორც შევნიშნე, ისინიც მისდამი გულგრილები არ იყვნენ, რაც სახეზეც ეტყობოდათ. მათი და მისი აღმატებულების შემხედვარემ, მე ასე დავასკვენი და უკეთ ღმერთმა იცის.

მოკლედ, დაახლოებით ერთი საათი მის აღმატებულებას ფრანგულად ესაუბრებოდნენ და შიგადაშიგ ყველანი მორცხვად იცინოდნენ. მათ შორის კიდევ იყო თუ არა რამე, არ ვიცი, საკუთარი თვალით კი მხოლოდ ის ვნახე, რომ სიგარეტი პირში ედოთ და ეწეოდნენ. ერთხელ მის აღმატებულებასთან შევედი და იქ ერთ-ერთი ქალიშვილი დამხვდა. ისინი სიგარეტს ეწეოდნენ და საუბრობდნენ. მის აღმატებულებას ხელში ანთებული სიგარეტი დავუნახე, მაგრამ მან კვამლთან დაკავშირებით რაღაც მოიგონა და ის სიგარეტი მე მიწყალობა. გაურკვეველია, სიგარეტის მოწევის გარდა მათ შორის კიდევ იყო თუ არა რამე, ჩემთვის არ უბრძანებიათ. ღმერთს ვფიცავ.

კიდევ ერთი: თავრიზში რამდენიმე კაცმა გაგვაფრთხილა, რომ გემზე ერთ სიძნელეს წავაწყდებოდით: თუ ჰაერში რომელიმე საგანს ავაგდებდით, ვარდნისას კედელს მიეჯახებოდა, რადგან გემი მოძრაობდა. გემზე ყოფნისას მისმა აღმატებულებამ მიბრძანა, რაიმე მაღლა მესროლა. ჯიბიდან ფორთოხალი ამოვიღე და სამ-ოთხჯერ ჰაერში ავაგდე. უკან ისე ჩამოვარდა, რომ კედელს არ მიჯახებია და თავის ადგილზე დაეცა. მოკლედ, ეს პრობლემაც გაირკვა. როგორც ჩანს, იმ კაცებმა ეს ამბავი თავად შეთხზეს, თორემ გემზე ან *შემენდეფერის* მატარებელში რაც არ უნდა ააგდო, კედელს არ მიეჯახება და თავის ადგილზე დაეცემა.

მოკლედ, კაიუტიდან გამოვედი და გემბანი დავათვალიერე. გამაოგნებელი სანახაობა იყო: გემზე რა მძლავრი ტექნიკა და დანადგარები მუშაობდა და რა ძლიერი ორთქლი იყო, რომ ასეთ ჩარხებსა და ვეებერთელა გემს ამოძრავებდა და ასე ადვილად და ჩქარა მიჰყავდა.

„ბარაკუდა" სწრაფად მიაპობდა ტალღებს, რომ უცებ სიჩუმე ჩამოვარდა და გემბანიდან ყვირილი გაისმა. მთელი ხალხი კაიუტებიდან გარეთ გაცვივდა. ჩვენც მათთან ერთად მაღლა ავედით, მაგრამ მათი ენა არ ვიცოდით და არ გვესმოდა, რას ლაპარაკობდნენ და ეს აურზაური რატომ ატყდა. მაგრამ როცა წყალს შევხედეთ, დავინახეთ, რომ იალქნიანი გემი ჩაძირულიყო და მის სიახლოვეს ერთი ცოცხალმკვდარი ადამიანი ცურავდა. „ბარაკუდას" მეზღვაურები *ქაშქულის*[214] ფორმის ნავში ჩასხდნენ, იმ კაცთან მიცურდნენ, თმებში სწვდნენ, წყლიდან ამოიყვანეს და გემზე დააწვინეს. მისი ტვირთის ნაწილიც ამოათრიეს, მაგრამ უმეტესობა ჩაიძირა. ამბობდნენ, ნატეხი შაქარი მიჰქონდაო. ამგვარად, ერთი კაცი და მისი ორი-სამი ფუთა ჩვენმა გემმა გადაარჩინა. ეს გემი მდინარეზე მოძრაობდა, მიმდებარე ტყეში მოჭრილი შეშის ცეცხლზე მუშაობდა და ქვანახშირი არ სჭირდებოდა.

[ქალაქი ფოთი]

მოკლედ, ერთი საათი გაოგნებული ვათვალიერებდი გემის მუშაობას. მზის ჩასვლას თხუთმეტი წუთი აკლდა, როდესაც საყვირმა ნაპირის მოახლოება გვამცნო და გემი ფოთის ნავსადგურში გაჩერდა. თქვენი მონა-მორჩილი „ბარაკუდადან" ჩავედი, ქალაქში ბინა ვიქირავე და გემზე დავბრუნდი. ბილეთები *კაპიტანს* მივეცი, მის აღმატებულებებთან ერთად ნაპირზე გადავედი და ნაქირავებ ბინაში წავედით. მირზა ჰოსეინი, რომელიც ფოთში ირანის კონსული იყო, გვეახლა. მას სტამბოლის გემის მოძრაობის განრიგი ვკითხეთ და გვიპასუხა: „რამდენიმე დღე ფოთში დარჩენა მოგიწევთ, რადგან ბათუმის „ბარაკუდა"[215] მხოლოდ სამი დღის მერე გავა. ბათუმში ოთხ საათში ჩახვალთ და იქ სტამბოლში მიმავალ გემზე გადაჯდებით".

მოკლედ, სამი დღე ფოთში დავრჩით. შაბანის თვის 24-ში (10 დეკემბერს) ოთხშაბათს მზის ჩასვლას თხუთმეტი წუთი აკლდა, ფოთში რომ ჩავედით და ის ღამე მშვიდობიანად გავატარეთ. ხუთშაბათ დილას აუცილებელი საქმეები მოვაგვარეთ და ქალაქსა და ბაზარში გავისეირნეთ. ფოთი თავისთავადაც ლამაზი ქალაქია, ნავსადგური კი მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. აქაური ბაზარი უფრო ევროპელებისთვის მუშაობს, ვიდრე ირანელებისთვის, რადგან ირანული პროდუქტი მასში ძალიან ცოტაა. ეს ბაზარი სურსათით ვაჭრობს და არა არყით, ან ახალი და ლამაზი ტანსაცმლით.

---

214 ქაშქული დერვიშების სამათხოვრო რიტუალური თასია, რომელიც ჩვეულებრივ ქოქოსის ნაჭუჭისგან კეთდება და ნავის ფორმა აქვს.

215 აქაც და შემდგომაც ავტორი სიტყვა „ბარაკუდას" ზოგადად პატარა გემების აღსანიშნავად ხმარობს.

მოკლედ, ცოტა ხანი ბაზარში გავისეირნეთ, მერე მდინარის ნაპირზე წავედით და წყალს ვუყურებდით. ეს ის მდინარეა, პირველად ხარაგაულის ფოსტაში რომ ვნახეთ და რომელიც მთის ხეობაში მოედინებოდა. იქ სულ პატარა იყო, მაგრამ ნელ-ნელა გაიზარდა და ფოთში იმხელა გახდა, რომ შიგ გემები დადიან. ბაღდადის შატზე[216] უფრო დიდი იქნება. მდინარის პირას ვიდექით და ბარაკუდებს ვუყურებდით. ერთი მათგანი ძალიან დიდი იყო და როგორც გვითხრეს, ზღვაში მიცურავდა და ტვირთი დიდ ხომალდამდე მიჰქონდა.

იმ „ბარაკუდაზე" ავედი, დავათვალიერე და გავზომე. მისი სიგანე ოცი *ზარ'ი* იყო, სიგრძე – ასი *ზარ'ი*. ტყუილი არ გეგონოთ, თავად შევამოწმე. ეს გემი ორი ნაწილისგან შედგება და თითოეულში თითო დიდი დარბაზია, რომელშიც, მათი თქმით, ხალხს სძინავს. დარბაზის გარშემო განლაგებულია პატარა ოთახები, რომელსაც კაიუტებს ეძახიან. კაიუტები ოთხკაციანია და იქ სხედან და სძინავთ. დარბაზი და კაიუტები დიდებული სანათებითა და სარკეებით არის გაწყობილი. სანათები გაზისაა და გაზის საწვავზე მუშაობს. ამ ორ ნაწილს შორის სამზარეულო და ყავახანაა განლაგებული და იქ, რასაც მოისურვებ, ყველაფერს მოგიმზადებენ. გემზე ასევე უამრავი საკუჭნაო და სხვა სათავსოა. სათავსოებში ბევრი სხვადასხვა ნივთია თავმოყრილი. ჩემი თვალით ვნახე, რომ ერთში ას *ხარვარზე* მეტი ნივთი იდო.

მოკლედ, გემის აღწერა დიდი თავსატეხი საქმეა და ბოლომდე მაინც ვერ ახერხებ, ამიტომ უმჯობესია საკუთარი თვალით ნახო. მე კი არა, მწერალიც ვერ აღწერს ისე, რომ კაცმა სრული წარმოდგენა შეიქმნას. თავად უნდა ნახო და გამოსცადო. გემიდან ჩამოვედი და სახლში დავბრუნდი. იმ ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. შაბანის თვის 26 (12 დეკემბერი), პარასკევი ფოთში გავატარეთ. ძლიერი წვიმის გამო მთელი დღე სახლიდან ვერსად გავედით, მაგრამ მზის ჩასვლას ოთხი საათი აკლდა, როცა მიუხედავად წვიმისა, ირანის კონსულს მირზა ჰოსეინს ვეწვიეთ. ნახევარი საათის მისულები ვიყავით, რომ რუმის[217] კონსული ჰასან ეფენდი მოვიდა და საუბარი გაგვიბა. ძალიან სასაცილო და გადარეული კაცი იყო. ძირითად *ფიზუნაქს, დონლუზ ოღლის* და *ქუფაქ ოღლის*[218] გაიძახოდა და ამ სალანძღავი სიტყვებით რუსებსა და რუსეთის ხელმწიფეს მოიხსენიებდა. ჩიოდა: „რუსეთის სახელმწიფო რატომ არის დიდი, რუმის სახელმწიფო კი პატარა და ვალებში ჩაფლული?! ჩვენი ქვეყანა უძველესი დროიდან დიდი იყო და ახლა რატომ დაკნინდა?" ამას რომ ამბობდა, თან ისეთ უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა, რომ მეცინებოდა, მაგრამ მისი რიდით თავს ვიკავებდი, ვწრიალებდი და სიცილის შეკავებისგან კინაღამ არ გავსკდი.

მოკლედ, ერთი საათი ამგვარ საუბარსა და მოძრაობაში იყო, მერე კი ადგა და წავიდა. მირზა ჰოსეინს მისი ამბავი ვკითხე. მითხრა: „აი, ასეთ დღეშია! ყოველთვის, როცა აქ მოდის, ვინც არ უნდა დახვდეს, გინდ რუსეთის მოქალაქე, ასეთ ლაპარაკსა და ლანძღვას ინყებს".

---

216 შატი, იგივე შატ-ელ-არაბი – მდინარე ერაყში, რომელიც მდინარეების ტიგროსისა და ევფრატის შეერთების შედეგად იქმნება.

217 ე. ი. ოსმალეთის იმპერიის.

218 თურქული სალანძღავი სიტყვებია, „ღორის შვილს" და „ძაღლის შვილს" ნიშნავს.

მოკლედ, საკონსულოში ბევრი ჩაი დავლიეთ და მზის ჩასვლისთვის სახლში დავბრუნდით. იმ ღამემაც მშვიდობიანად ჩაიარა. მთელი ღამე წვიმდა, მაგრამ დილისთვის გადაიღო. დაახლოებით ერთი საათი ბაზარსა და მდინარის პირას გავისეირნეთ და მეგობრები მოვიგონეთ. მთელი დღე მარანიდან გემები მიდიმოდიოდნენ. მზის ჩასვლას ორი საათი აკლდა, როცა გემის ხმა გავიგეთ. სახლიდან გამოვედით, მდინარის ნაპირზე გავედით და ამბავი ვიკითხეთ. გვითხრეს: „ის გემი მოვიდა, რომელიც დიდ ხომალდთან მიგიყვანთ". გემთან მივედი და *კაპიტანს* დაველაპარაკე. დამშვიდებული უკან გამოვბრუნდი და ბილეთებისთვის *კომპანიაში* წავედი. ტრაბზონამდე ერთი კაცის კაიუტის ბილეთი ექვსი მანეთი ღირდა. ფული გადავიხადე და ბილეთები ავიღე. ბედნიერი სახლში დავბრუნდი და ჩემს თანამგზავრებს გემის მოსვლა ვახარე. მიუხედავად გემით მგზავრობის შიშისა, ძალიან გახარებულები ვიყავით.

მოკლედ, უნდა გენახა, ის ღამე რა შიშსა და ძრწოლაში გავატარეთ. ოთხდღიანი განუწყვეტელი წვიმისა და იმ ღამეს ამოვარდნილი ქარისგან ზღვა ისე ღელავდა, რომ მეზღვაურები შეფიქრიანდნენ, მეორე დღეს გემი ზღვაში გაეყვანათ თუ არა. ასეთი ქარიშხლის მომსწრე და გამგონე არავინ იყო. სახლები ისე ირყეოდა, გეგონებოდა, ქარი მათ ძირფესვიანად ამოგლეჯს და ზღვას გაატანსო. მსგავსად ადისა და სამუდის[219] შენობებისა, რომლებიც მიწისძვრამ გაანადგურა.

მოკლედ, ის ქარიშხლიანი ღამე შიშში გავატარეთ. როცა გათენდა, გემისთვის სურსათი ვიყიდეთ და თითო ბისკვიტში[220], რომელიც მათი პურია, ათასი დინარი გადავიხადეთ. ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი საჭმელი. ევროპულია და ევროპელებმა მიირთვან. შუაღამისას გამეღვიძა და თავი საბნიდან გამოვყავი. რაღაც აყროლებული და საზიზღარი მჟავე სუნი მეცა. ავდექი, რომ მენახა, რა იყო. ვიფიქრე: როგორც ჩანს, სადღაც ახლომახლო ძაღლი ან კატა მოკვდა და ეს სუნი იქიდან მოდის-მეთქი. ჭრაქი ავანთე და ოთახი შემოვიარე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. ბოლოს პურთან მივედი და ვნახე, რომ ეს სუნი იმ პურს ასდიოდა. ღმერთო, პური თუ ასეთი აქვთ, ღორის ხორცი როგორი ექნებათ?!

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

[ბათუმი]

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა სამყაროს მანათობელი მზე აღმოსავლეთიდან ამოიწვერა, საწოლიდან ავდექით, ბარგი შევკარით და 28-ე პუნქტისკენ გასამგზავრებლად მოვემზადეთ. 28-ე პუნქტი ბათუმია და ფოთიდან ბათუმამდე ოთხი საათის გზაა. „ბარაკუდა" ოთხ საათში ჩადის ბათუმში, სადაც სტამბოლში მიმავალი დიდი ხომალდი დგას. მოკლედ, გამთენიისას ავდექით, ბარგი შევკარით, „ბარაკუდას" გასვლის მაუწყებელი საყვირის მოლოდინში გემის საკუჭნაოში

---

219 ადი და სამუდი ლეგენდარული ტომებია, რომლებიც ღმერთმა ცოდვებისთვის დასაჯა და ამოწყვიტა.

220 სპარსულ ტექსტშია biksūmat, რაც პურის სახეობათაგან ფონეტიკურად ყველაზე ახლოს ბისკვიტთან დგას.

დავაბინავეთ და ჩვენს კაიუტაში დავსხედით. მზის ჩასვლას ოთხსაათნახევარი აკლდა, საყვირმა გემის გამგზავრება რომ გვამცნო.

გემს ზღვაში გასვლამდე ნახევარი საათი უნდა ევლო. ვიფიქრე, „ბარაკუდას" აღვწერდი და ქაღალდი და კალამი მოვიმარჯვე, რომ უცებ ცუდად გავხდი: თავბრუ დამეხვა და კინაღამ გონება დავკარგე. ფურცელი და კალამი ჯიბეში შევინახე, წამოვდექი, ფანჯარა გამოვაღე და წყალს გავხედე. ღია ფანჯრიდან „ბარაკუდასკენ" მომავალი მთა დავლანდე. ეს რომ დავინახე, თავრიზიო, ვთქვი და უგონოდ დავეცი. სხვა მგზავრებიც ცუდად გახდნენ და ისეთ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, ურჯულოსა და რჯულგანდგომილსაც კი არ ვუსურვებდი. ერთმანეთს ისე ანყდებოდნენ, თითქოს ფოთლებს შემოდგომის ქარმა დაპბერაო. გეგონებოდათ, ქოლერის ეპიდემიააო, უკლებლივ ყველას გული ერეოდა და ამ ხმებისგან სელაპიც კი დაყრუვდებოდა. მუსლიმების, სომხებისა და ებრაელების ზედახორა იდგა და ყველანი ერთმანეთზე აღებინებდნენ. თქვენი მონა-მორჩილი მანსური რეტდასხმულივით ავდექი, ხან ერთ კედელს მივეჯახე, ხან – მეორეს, ფანჯარასთან მივედი და ათასი წვალებით ზღვას გავხედე. გავხედე და რა დავინახე! ღმერთმა ასეთი სანახაობა მუსლიმსა და ურჯულოსაც აშოროს. „ბარაკუდა" ოთხ მთას შუა იყო მოქცეული და მათგან ერთიც რომ დაჯახებოდა, მისგან ნაფოტიც კი არ დარჩებოდა. ამის შემხედვარემ გადარჩენის იმედი დავკარგე და ტკბილ სულს გამოვეთხოვე. სინანულმა შემიპყრო და ჩემს თავს ვუთხარი: „ხედავ, სიკვდილმა სად დაგიჭირა, რომ სუდარად თევზები გარგუნა". ისე ნაღვლიანად ამოვიოხრე, რომ ჩემი ოხვრის კვამლისგან ზღვა გაშავდა. სწორედ ამის შემდეგ გახდა ეს ზღვა შავი და ეს სახელიც ამიტომ ეწოდა.

მოკლედ, მწარედ ამოვიოხრე და კვნესით ვთქვი: „ნუთუ მეგობრებისგან, სატრფოსგან და სამშობლოსგან შორს, შავ ზღვაში თევზების წიაღში უნდა დავიდო ბინა?!" მერე დილის ნიავს მივმართე და ვთხოვე, რომ ჩემი ამბავი თავრიზში ჩაეტანა.

ესა ვთქვი და გულწასული ძირს დავეცი. ნახევრად უგონო მდგომარეობაში ვიყავი: ლაპარაკი კი მესმოდა, მაგრამ პასუხის გაცემის თავი არ მქონდა.

მოკლედ, დაახლოებით ერთი საათი ასეთ ყოფაში ვიყავი, მერე კი ცოტა გონს მოვედი, ფეხზე წამოვდექი და ფანჯრიდან ზღვას გავხედე. დავინახე, რომ მთები და ტალღები გვერდზე დარჩენილიყო. გახარებულმა შავ ზღვას ხოტბა შევასხი: კარგი ზღვა ხარ, ბარაქალა, ღმერთი იყოს შენი მფარველი-მეთქი.

ზღვასთან ასე გულს ვიოხებდი, რომ უცებ „ბარაკუდას" საყვირის ხმა გაისმა. შეშინებული მგზავრები გემბანზე ამოცვივდნენ, კაპიტანს შემოეხვივნენ და ამბავი ჰკითხეს: „საყვირი რატომ უკრავს, ნაპირამდე ხომ კიდევ სამი საათია, ნუთუ ვიხრჩობით?" ამ ლაპარაკში შორს ქალაქი გამოჩნდა. კაპიტანს ამ ქალაქის სახელი ვკითხეთ და გვითხრა, რომ ფოთი იყო. ვუთხარით: „რა ხდება, უკან რატომ დაგბრუნდით?" გვიპასუხა: „ნუთუ ვერ დაინახეთ, ზღვას როგორ ჰქონდა პირი დაბჩენილი და როგორ იძახდა: სისხლი, სისხლიო. ზღვაში თხუთმეტი წუთის გასულები ვიყავით, რომ დურბინდში დავინახე უზარმაზარი ზვირთი, რომელიც წამოიმართა და ჩვენსკენ წამოვიდა. მივხვდი, რომ თუ ეს ტალღა „ბარაკუდას" დაეჯახებოდა, მისგან არაფერი დარჩებოდა. მაშინათვე გემი მოვაბრუნე და გავიქეცით".

ერთი სიტყვით, „ბარაკუდაზე" გატარებული იმ ერთი საათის განმავლობაში სიკვდილს თვალებში ჩავხედეთ, ამიტომ მექაში წასვლა გადავიფიქრეთ და თავრიზში დაბრუნება გადავწყვიტეთ. ვიფიქრე, ფოთში ტელეგრაფში წავალ და თავრიზში ტელეგრამას გავაგზავნი, რომ ჩვენი პილიგრიმობა ფოთში დასრულდა და უკან ვბრუნდებით-თქო.

მოკლედ, თქვენი მონა-მორჩილი „ბარაკუდადან" ჩამოვედი, თავსხმა წვიმაში სირბილით წავედი ირანის ელჩ მირზა ჰოსეინთან და მას ჩვენი გადაწყვეტილება შევატყობინე. ვუთხარი: „წადი და მტვირთავებს დაუძახე, რომ ჩვენი ბარგი „ბარაკუდადან" ჩამოიღონ და მარნის ბილეთებიც აგვიღე, რადგან თავრიზში ვბრუნდებით. სანამ შენ მტვირთავების ამბავს მოაგვარებ, მე ტელეგრაფში წავალ და თავრიზში ჩვენი დაბრუნების მაუწყებელ ტელეგრამას გავაგზავნი, ასევე თბილისში ალი ხანსაც შევატყობინებ, რომ *ფურგონები* მოაბრუნოს და მარანში დაგვახვედროს".

როცა მირზა ჰოსეინმა ჩვენი ამბავი გაიგო, იმ წვიმაში ფეხშიშველი გამომეკიდა, დამიჭირა, ტელეგრაფში არ გამიშვა და თავისთან წაგვიყვანა. იქ ელჩი და ორი თავრიზელი ვაჭარი მთელი ორი საათი არწმუნებდნენ მის აღმატებულებას, რომ ზღვაზე ასეთი შემთხვევები ხშირი იყო, მაგრამ „ბარაკუდას" ეს შტორმი ვერაფერს დააკლებდა. ამ ლაპარაკით ისინი ცდილობდნენ, რომ ჩვენთვის თავრიზში დაბრუნება გადაეფიქრებინათ.

განაწესით, მეორე დღეს, შაბანის თვის 29-ში (15 დეკემბერს), ორშაბათს, მზის ჩასვლიდან ერთ საათში „ბარაკუდა" ბათუმისკენ მიემგზავრებოდა. ჩემი თანამგზავრი პილიგრიმები ჰაჯი მოჰსენი და ჰაჯი მოჰამად თაყი ისე იქცეოდნენ, როგორც წყეული ჰარესის შვილები, რომელთაგან ერთი გაიძახოდა: წადი, წადიო, მეორე კი – არ წახვიდეო. მთელი ღამე ერთი ამბობდა, მოდი, დავბრუნდეთ, ხომ ნახეთ, რა შავ დღეში ჩავცვივდითო, მეორე კი პასუხობდა, ჭაბუკო, დაბრუნება როგორ შეიძლება, ჩვენს *ვილაიეთში* რომ ჩავალთ, ნათესავებისა და ახლობლების სალაპარაკო გავხდებითო. ამაზე პირველი ეუბნებოდა, რა ვქნათ? ნათესავების ლაპარაკის შიშით თავს ხომ არ მოვიკლავთ, აქ რომელი მათგანი გვეხმარება, რომ იქ გაგვკიცხონო? მოკლედ, დილამდე ამ კამათში იყვნენ და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ როგორც უფლისწულები მოიქცეოდნენ, ჩვენც ისე ვიზამდით. მათი სიცოცხლე ხომ ჩვენს სიცოცხლეზე მეტად ფასობდა. მთელი ღამე გიუებივით ვიყავით. როგორც კი საწოლიდან თავს წამოვწევდი, ვხედავდი, ისეთი გრიგალი უბერავდა, რომ ლამის მთელი ფოთი ძირფესვიანად მოეგლიჯა და ნაცარტუტად ექცია. ზღვაზე ისეთი შტორმი მძვინვარებდა, თითქოს წინასწარმეტყველ ნოეს წარღვნა ხელმეორედ დაწყებულიყო, ან ადისა და სამუდის ტომების ქარი ახლა ფოთელებს დატყდომოდა თავზე. ერთი მხრივ, ქარის ზუზუნისა და მეორე მხრივ, ზღვის გრგვინვისაგან ქალაქში ისეთი ხმაური იდგა, რომ თავს გაქცევით თუ უშველიდი.

თქვენი მონა-მორჩილი ავდექი, „ბარაკუდაზე" ავედი და *კაპიტანს*, რომელმაც სპარსული იცოდა, გემის ამბავი ვკითხე. დამტვრეული სპარსულით მიპასუხა: „თვალები ხომ გაქვს, შეხედე, რა ხდება. ასეთ ამინდში გემი ვერ წავა. თუ ღმერთი ინებებს და გამოიდარებს, ქარი ჩადგება და ზღვა დაწყნარდება, მაშინვე გავემგზავრებით".

უკან დავბრუნდი და ეს ამბავი ჩემს თანამგზავრებს შევატყობინე. ზღვის დაწყნარებისა და გემის საყვირის მოლოდინში ვიჯექი და ამ ლექსს ვღიღინებდი:

ღამე ფეხმძიმედ არის, ვნახოთ, დილას რა იშვება.

ერთი სიტყვით, შუადღის მერე ქარი ნელ-ნელა ჩადგა და ზღვაც ცოტა დამშვიდდა. ამბავი მოვიდა, რომ გემი გასამგზავრებლად ემზადებოდა და, ღვთის ნებით, ორ საათში გავიდოდა. ეს რომ გავიგეთ, ისეთ დღეში ჩავცვივდით, თითქოს სიკვდილის დარაჯი სისხლისმღვრელი მახვილით ხელში თავზე დაგვდგომოდა. ესრაფილის[221] საყვირის მოლოდინში ბარგს კანკალით ვამზადებდით და მზის ჩასვლას საათნახევარი რომ აკლდა, სიკვდილის საყვირის ხმაც გაისმა.

ღამე ჩამოწვა და მანსურმა თხრობა შეწყვიტა.

თქვა: ეი, ჭაბუკო! როცა სიკვდილის საყვირის ხმა გაისმა, შაბანის თვის 29, ორშაბათი საღამო იყო და ჩვენ 29-ე პუნქტში გასამგზავრებლად ვემზადებოდით. ათასი „შაჰადათი" და „ბისმილლაჰი"[222] ვთქვით, ერთმანეთს გამოვემშვიდობეთ, გემზე ავედით და კაიუტებში მოვთავსდით. „ბარაკუდა" ბათუმისკენ დაიძრა. ნახევარი საათის მგზავრობის მერე, როცა სიკვდილის სრუტეს ანუ ზღვას მივაღწიეთ, ამ ზღვასავით შავ დღეში ჩავცვივდით: ოთხივე მხრიდან ტალღები ბეჰისთუნის მთასავით წამოიმართნენ, თეთრი დევის მსგავსად გემი აიტაცეს და აქეთ-იქით ახეთქებდნენ. გემის მოძრაობას სიტყვებით ვერ აღწერ, თავად უნდა ნახო და გამოსცადო. გემი ტალღებზე ისე ირწევა, რომ კაცს ჭკუიდან გადაიყვანს. მის მოძრაობას პირსაქმებელი უნდა ერქვას, რომ ხალხმა იცოდეს, რა ელოდება. ზოგს ჰგონია, რომ მგზავრებს ზღვის წყლისა და ქვანახშირის სუნი ხდის ცუდად და გულს ურევს, მაგრამ ეს მცდარი აზრია. ღმერთს ვფიცავ, ზღვის წყალი და ქვანახშირი არაფერ შუაშია, ყველაფერი ამ რწევის ბრალია.

გემი ისე ირწევა, რომ ნებისმიერ ადამიანს ცუდად გახდის და გულს აურევს, განსაკუთრებით მაშინ, თუ გემი შტორმში მოხვდება. თუ ზღვა მშვიდია, გული არ გერევა, მაგრამ მთვრალივით ხარ. აღელვებულ ზღვაში შევედით თუ არა, ორი წუთიც არ იყო გასული, რომ მისი აღმატებულება საწოლიდან წამოხტა და გული აერია ჭურჭელში, რომელიც ცოტა ხნით ადრე მეზღვაურმა შემოიტანა. როცა ვკითხეთ, რისთვის იყო საჭირო, გვიპასუხა: თუ ცუდად გახდებით, ჭურჭლად ეს გამოიყენეთ, რომ კაიუტა არ დასვაროთო...

კაიუტის მეორე მხარეს მუსლიმების, ებრაელების, ევროპელებისა და რუსების გულისრევის ისეთი ხმა მოდიოდა, თითქოს პოლკის ჯარისკაცები სროლაში ვარჯიშობენო. მათი ოხვრა-კვნესა ცას აყრუებდა. ისეთი ამბავი იყო, რომ სიტყვებით ვერ გადმოსცემ.

თქვენი მონა-მორჩილი მანსური კი ტახტზე ვიწექი და, თუმცა ძალიან ცუდად ვიყავი, გული არ ამრევია. განძრევის თავიც კი არ მქონდა, ვიწექი და იმ გაჭირვებულებს ვუყურებდი. მათ შემხედვარეს ხან მეტირებოდა და ხან მეცინე-

---

221 ესრაფილი მუსლიმურ მითოლოგიაში სიკვდილის მაუწყებელი ანგელოზია, რომელიც იერუსალიმის მთიდან მიცვალებულთა სულებს საყვირით აუწყებს განკითხვის დღის დადგომას.

222 „შაჰადათ" და „ბისმილლაჰ" მუსლიმური სალოცავი ფორმულებია.

ბოდა და იმ ხალხს ვწყევლიდი, ვინც მექაში ამ გზით დადის, სულიერადაც იტანჯება, ქონებასაც კარგავს და თან იბილწება კიდეც. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ გზას შეუბღალავად გაივლის, ცდება. ამ საყოველთაო გულისრევაში თავი როგორ უნდა დაიცვა? მათი ნათქვამი მოისმინე, მაგრამ ნუ დაუჯერებ, რადგან მეც ამ მახეში გავები. ახლა კი თავად ვნახე და დავზარალდი....

მოკლედ, თავი რომ არ შეგაწყინოთ, ოთხსაათნახევრის დაღამებული იყო, სასიხარულო ამბავი რომ გავრცელდა: გემი ბათუმს უახლოვდება და ქალაქის ჩირაღდნები გამოჩნდაო. ამ ამბისგან, თითქოს, მკვდრეთით აღვსდექით, ერთმანეთს ისე ვულოცავდით, გეგონებოდა, ახალი წელიაო. ფანჯრებიდან გავიხედეთ და ქალაქის ჩირაღდნები რომ დავინახეთ, იმ ჩირაღდნებისგან თვალებში შუქი ჩაგვიდგა. ჩვენმა გემმა ერთი დიდი ხომალდის გვერდით ჩაუშვა ღუზა და გაჩერდა.

მგზავრებმა დარჩენილი ღამე დაიძინეს და ცოტა გონზე მოვიდნენ. როცა სამყაროს მანათობელმა მზემ ქვეყანას თავისი სხივები მოჰფინა, მგზავრობით დახოცილები სამარეებიდან წამოდგნენ, თითქოს საშინელი სამსჯავროს დღეაო, ბარგი ზურგზე მოიკიდეს და დიდ ხომალდზე ისე გადაიტანეს, გეგონებოდა, ჯოჯოხეთში ან ჰაშრის ველზე[223] მიდიან და იქ უნდა დაფუძნდნენო.

მოკლედ, ბარგი გემზე გადაიტანეს და ჩვენც კაიუტებში მოვთავსდით. თქვენი მონა-მორჩილი გემიდან ჩავედი და ქალაქ ბათუმში გავისეირნე. მგზავრობით ისეთი გაწამებული ვიყავი, ხმელეთზე ფეხი რომ დავდგი, კინაღამ პირქვე დავეცი და ბათუმის მიწას ვემთხვიე. ერთი სიტყვით, საათნახევარი ქალაქში დავდიოდი და ყავახანას ვეძებდი, რომ რამე მეჭამა და ყალიონი გამებოლებინა, რადგან უკვე ორი დღე იყო, რაც არ მომეწია. ახალი წლის დღეები იდგა და ყავახანები დაკეტილი იყო. მხოლოდ ერთი ებრაელის ყავახანა მუშაობდა, მაგრამ არც წყალი ჰქონდათ და არც ცეცხლი. სხვა რა გზა მქონდა, შიგნით შევედი და დავჯექი. ყავახანის მეპატრონის ბიჭი მოვიდა და მკითხა: „რას ინებებთ?" ვუთხარი: „ერთი ყალიონი მომიტანე, თორემ გული მიმდის". შევეცოდე და ცეცხლის მოსატანად წავიდა. დაახლოებით ერთ საათში დაბრუნდა, ორი ცალი მუგუზალი მოიტანა, ნარგილე აანთო და გამომიწოდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, მიჯნურს სატრფოს ხელის შეხებაზე რომ ეუფლება და როგორც შეყვარებული სატრფოს ბაგეს, ყალიონს ისე დავეწაფე. ცოტა ხანში დიდი, კათხის ზომის ფინჯანით მომიტანეს ყავა, რომელიც არც ტკბილი იყო და არც მწარე.

მოკლედ, ყავა დავლიე, ყალიონი მოვწიე, უამრავი ფული გადავიხადე და სიკვდილის ანგელოზის სამყოფელისკენ ანუ გემისკენ გავემართე. გემზე რომ ავედი, უცნაური, ჯერაც გაუგონარი ხმა შემომესმა. ახლოს მივედი და ვნახე, რომ რაღაც დანადგარით ბარგს გემიდან გემზე ტვირთავდნენ. ეს დანადგარი, რომელიც ორთქლის ძალით მუშაობდა, ერთი თითის დაჭერით *ხარვარზე* მეტ ტვირთს სწევდა, ციცხვში ათავსებდა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდა. მას სამი მუშა ემსახურებოდა და საათში ას *ხარვარზე* მეტ ტვირთს იღებდა

---

223 აღმოსავლური წარმოდგენებით, ჰაშრის ველი ის ადგილია, სადაც განკითხვის დღეს სამსჯავრო გაიმართება.

და პატრონებს ურიგებდა. ამ ტვირთის გადამზიდავმა დანადგარმა ჩემზე ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ შეძლებისდაგვარად ჩავხატე:



ამ სურათზე გამოსახული ორი დანაყოფიდან (აღნიშნულია ციფრით 9) ერთში წყალია და მეორეში – ცეცხლი. გრძელი ხაზით (ციფრი 8) ორთქლი გადაეცემა ბორბლებს (ციფრი 7), გაივლის ციფრი ხუთით აღნიშნულ დანადგარს და ცენტრალური მილით გადაეცემა სხვა მილებს (ციფრი 3), რის შედეგადაც ბორბლები მოძრაობაში მოდის. ციფრი 2-ით აღნიშნულია მილი, რომელიც ღილაკის დაჭერით იხსნება, მასში ორთქლი გადის და ბორბლებს ამოძრავებს, ციფრი 6-ით კი – ცენტრალური მილი, რომელზე ჩამოკიდებული ჯაჭვი თავისით იკუმშება და იხსნება და, შესაბამისად, ბარგს ხან ზევით სწევს და ხან ძირს უშვებს. ციფრი 12-ით ბარგის გადატანაა აღნიშნული.

ერთი სიტყვით, მიუხედავად თქვენი მონა-მორჩილის სიტყვიერი აღწერილობისა და ჩანახატისა, სანამ კაცი საკუთარი თვალით არ ნახავს, მასზე სრულ წარმოდგენას ვერ შეიქმნის... მზის ჩასვლამდე გაოცებული ვუყურებდი ამ დანადგარის მუშაობას. გემი მთელი ღამე ბათუმის პორტში იდგა და ზედ ბარგს ტვირთავდნენ. პირველ იანვარს, ორშაბათს დილის ცხრა საათზე გემი დაიძრა და გზას გავუდექით. ზღვა მშვიდი იყო და მიუხედავად ზღვისა და ქვანახშირის სუნისა, ცუდად არავინ გამხდარა, პირიქით, ყველანი მშვენიერ განწყობაზე იყვნენ, *სამოვარს* ადუღებდნენ და ჩაის სმით ტკბებოდნენ. მზის ჩასვლას ორსაათნახევარი აკლდა, როდესაც ტრაბზონის პორტში შევედით...

მირზა მოჰამად თაყი თაბიბ ქაშანი
და მისი მოგზაურობის წიგნი

ჰეშმათ ად-დოულე.

1871 წელს ნასერ ად-დინ შაპმა თბილისში გამოგზავნა საელჩო მისია, რომელიც რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე მეორეს უნდა შეხვედროდა და კავკასიაში მშვიდობიანად ჩამობრძანება მიელოცა. მისიის ხელმძღვანელი იყო აბას მირზა ყაჯარის 21-ე ვაჟი ჰამზა მირზა ჰეშმათ ად-დოულე. მას თან ახლდნენ: აბდოლაჰ მირზა, ალი ხანი, მირზა მეჰდი ხანი, მირზა მოჰამად თაყი, მირზა მეჰდი და მირზა პეტერს ხანი. მოგზაურობის შთაბეჭდილებები ასახულია თხზულებაში „მოგზაურობა თბილისში", რომელიც თბილისში გატარებული ორი კვირის აღწერას წარმოადგენს.

თხზულების ავტორი მირზა მოჰამად თაყი თაბიბ ქაშანი, თავისი დროის ცნობილი ექიმი, ბიოლოგი და გეოლოგი, დარ ალ-ფონუნში მოღვაწეობდა. მის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. თხზულებიდან ვგებულობთ, რომ მას პოლკოვნიკის წოდება ჰქონდა, ჰეშმათ ად-დოულეს *ჰაქიმბაში* იყო და ამ მოგზაურობაში ექიმის მოვალეობას ასრულებდა. წიგნში მირზა მოჰამადი მრავალმხრივ განათლებულ ადამიანად წარმოგვიდგება: ის ერთნაირი ინტერესით აღწერს გზად ნანახი ქვეყნების გეოგრაფიას, წიაღისეულს, ბუნებას, ფლორასა და ფაუნას, თუმცა ძირითად ყურადღებას მაინც სამედიცინო სფეროზე ამახვილებს, ერთი მხრივ, პროფესიული ინტერესის და, მეორე მხრივ, ქოლერის ეპიდემიის გამო, რომელიც სწორედ იმ პერიოდში მძვინვარებდა ირანში და მის საზღვრებს გარეთაც. თხზულებაში იგრძნობა ავტორის სასოწარკვეთილება ირანში შექმნილი მძიმე ვითარების გამო და სეიდ ჰოსეინ რაზავი ბორყეის შეფასებით, მას „ტანჯვის წიგნი" უნდა ერქვას. გარდა ამ თხზულებისა, მირზა მოჰამადი რამდენიმე საკუთარი და ნათარგმნი სამედიცინო წიგნის ავტორიცაა.

„თბილისში მოგზაურობის წიგნის" ორი ხელნაწერი არსებობს: ერთი ყუმში აიათოლა ალ-'უზმა მარ'აში ნაჯაფის ბიბლიოთეკაში ინახება (№13174), მეორე კი – სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (№1120). 2010 წელს ის ქართველი და ირანელი მეცნიერების გიორგი სანიკიძისა და სეიდ ჰოსეინ რაზავი ბორყეის რედაქციით გამოიცა და ჩვენ სწორედ ამ გამოცემით ვსარგებლობთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Mosāferat-e Teflīs: Gozāresh-e safar-e hey'at-e sīyāsī-ye Īrān be darbār-e emperātūr-e Rūsīye, neveshte-ye Mīrzā Mohammad Taqī Tabīb Kāshānī, be kūshesh-e Gīorgī Sānīkīdze, Seyyed Hoseyn Razavī Borqe'ī, Tehran, 1389/2010.

ლიტერატურა

„Mīrzā Taqī Khān Ansārī Kāshānī", *Nojūm*, Vol.21, No.8 (217), Tehran, 1391/2012, 26-27.

Seyyed Hoseyn Razavī Borqe'ī, "Moqaddame-ye mosahheh", წიგნში: *Mosāferat-e Teflīs..*, 17-43.

Gīorgī Sānīkīdze, "Pīshgoftār", წიგნში: *Mosāferat-e Teflīs..*, 11-16.

მოგზაურობა თბილისში (ირანის დიპლომატიური მისიის მოგზაურობა რუსეთის იმპერატორის კარზე) (1871)

ექიმის მიმოხილვა

განჯის სამხედრო ექიმი ირწმუნებოდა, რომ იმ დროს განჯაში ქოლერის დაავადება არ იყო, მაგრამ ჩვენ გავიგეთ, რომ რამდენიმე დღის წინ ამ ქალაქში ერთი კაცი ქოლერით ავად გახდა და დაიღუპა. პრესის წარმომადგენლებმა ეს ფაქტი უარყვეს, დამალეს და აქამდე სხვა შემთხვევა არ გაგვიგია.

რაჯაბის თვის 13-ში ანუ 16 სექტემბერს მისი აღმატებულება უფლისწული ჰეშმათ ად-დოულე – ირანის სრულუფლებიანი ელჩი – მისიის სხვა წევრების თანხლებით დიდი ცერემონიებითა და პატივით ქალაქ თბილისის შემოგარენში შებრძანდა და სასადილოდ და ტანსაცმლის გამოსაცვლელად მირზოევის (Mīrzāyof) სახლში[224] გაჩერდა.

აქ მას დახვდნენ მისი უდიდებულესობა მეფისნაცვლის დიდი თავადი მიხეილის (Grāndūk Mīshel) პირადი *ადიუტანტი*, *პოლიცმაისტერი*, *პლაც* მაიორი, *პლაც ადიუტანტი*, მხარის გუბერნატორი, მეფისნაცვლის საგანგებო რაზმის 15

[224] იგულისხმება ივანე მირზოევი (გარდ. 1880 წ.) – ცნობილი თბილისელი კომერსანტი და მეწარმე, სახლების მფლობელი. 1865 წლიდან მას ეკუთვნოდა სასტუმრო „კავკაზი" იმდროინდელი ერივანსკის მოედანზე. მირზოევის საცხოვრებელი სახლი ქალაქგარეთ იყო. ჩვეულებრივ, იქ პატიჟებდნენ ხოლმე თბილისში ჩამოსულ საპატიო სტუმრებს. ამ სახლს ახსენებენ და აღწერენ როგორც აღმოსავლელი, ისე დასავლელი მოგზაურები. ამერიკელი მოგზაური ჯ. კერტინი იხსენებს, რომ მას ქალაქგარეთ მირზოევის სახლის წინ გაშლილ მდელოზე გაუმართეს სადილი აღმოსავლურ სტილში. სადილი დასრულდა ცნობილი სპარსელი მომღერლების დასის კონცერტით და ფეიერვერკებით (J. Curtin, Memoirs, Madison, 1940, 283).

მხედარი, 6 ცხენოსანი ჟანდარმი და 10 კაზაკი. ყველანი ოფიციალურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი.

სახლის წინ იდგა მეფისნაცვლის *კალიასკები*, რომლებიც მან ელჩის მისიისთვის გამოგზავნა. ზემოთ ჩამოთვლილი პირები მის აღმატებულებას დიდი პატივით შეეგებნენ. მეფისნაცვლის *ადიუტანტმა* სრულუფლებიანი ელჩი დიდ დარბაზში მიიღო, მიესალმა და მის ჩამობრძანებასთან დაკავშირებით თავისი სიხარული გამოხატა.

მისიის წევრებმა ოფიციალური ტანსაცმელი ჩაიცვეს, ისადილეს და დამხვდურებთან ერთად ქალაქისკენ გაემართნენ.

მისიის *მეჰმანდარი* გენერალი ფრანკენი (Frānkīnī) სრულუფლებიანი ელჩის *კალიასკაში* ჩაჯდა, *პოლიცმაისტერი*, *პლაც* მაიორი და *პლაც ადიუტანტი* კი *კალიასკას* ცხენებით გაჰყვნენ.

სრულუფლებიანი ელჩი და მისიის წევრები დააბინავეს კავკასიის თავადაზნაურთა კლუბში[225], რომელიც არშაკუნის (Orshākūnī) სახელს ატარებს. სახლის წინ საპატიო ყარაული იდგა და ცხენოსნები და ქვეითები, მათ შორის ირანის მოქალაქეები, შეკრებილიყვნენ. თბილისის გუბერნატორმა, ვიცე-გუბერნატორმა, *ქალანთარმა* და კომენდანტმა მის აღმატებულებას მიღება გაუმართეს და ჩაითა და ტკბილეულობით გაუმასპინძლდნენ.

საელჩო მისიის წევრები

აბდოლაჰ მირზა – მისი აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულეს ძმისწული, პირველი *სართიფი*.

ალი ხანი – განსვენებული ნეზამ ად-დოულეს ვაჟი, პირველი *სართიფი*.

მირზა მეჰდი ხანი – *სართიფი*, ელჩის პირველი თანაშემწე.

მირზა თაყი – პოლკოვნიკი, მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის ჰაქიმბაში*, საელჩო მისიის ექიმი.

მირზა მეჰდი – ინჟინერი, პოლკოვნიკი.

მირზა პეტერს ხანი – პოლკოვნიკი, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საელჩო მისიის ექიმი.

რაჯაბის თვის 17-ში, 20 სექტემბერს, ორშაბათს, ნაშუადღევს ოთხ საათზე თბილისში რუსეთის იმპერატორი მისი უდიდებულესობა ალექსანდრე მეორე ჩამობრძანდა. ქალაქის მისადგომებთან დაბანაკებულმა კავკასიის სამი ათასმა ჯარისკაცმა მის უდიდებულესობას აღლუმი გაუმართა. ჯარისკაცების საცხოვრებელსა და კვებაზე იქაურმა დიდმოხელეებმა იზრუნეს. აღლუმის მერე

---

225 იგულისხმება ე. წ. „კრუჟოკი" (Тифлисский артистический кружок) – კულტურულ-საქველმოქმედო და გასართობი კლუბი, რომელიც 1869 წელს დაარსდა. 1885 წლამდე მას ეკავა თბილისელი სომეხი მოიჯარე-შემსყიდველის არშაკუნის სასახლე გრიბოედოვის ქუჩაზე (ახლანდელი სამხატვრო აკადემია). სახლი 1857-58 წლებში აშენდა არქიტექტორ გრ. ივანოვის პროექტით. მისი ინტერიერის მდიდრული გაფორმება ირანელი ოსტატების მიერ არის შესრულებული (არშაკუნის სასახლის შესახებ იხ.: ი. კოშორიძე, საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან, 150-151).

იმპერატორმა ქალაქში შემოსვლა ინება. უზენაესი კორტეჟის ქალაქში მსვლელობისას ქვემეხებიდან ისროდნენ და მუსიკა უკრავდა. სამი ღამის განმავლობაში მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული იყო. მისი აღმატებულება ელჩისთვის ჯარისკაცების ბანაკის სიახლოვეს, გზის მარჯვენა მხარეს სპეციალური კარავი დადგეს, რათა მას იმპერატორის შემობრძანებისთვის თვალყური ედევნებინა.

[რაჯაბის თვის 18-ში, 21 სექტემბერს] სამშაბათს, საღამოს რვა საათზე მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა ირანის სრულუფლებიანი ელჩი თავისთან მიიწვია. მისი აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულე მისიის წევრების თანხლებით იმპერატორის რეზიდენციაში წაბრძანდა. თავდაპირველად, მისი უზენაესობა ირანის შაჰინშაჰის წერილი ოქროს სინზე დადეს და იმპერატორს გაუგზავნეს, რის შემდეგაც ირანის დელეგაცია ერთ ოთახში შეიპატიჟეს. მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა სტუმრები დიდი პატივით მიიღო, ყველას სათითაოდ გაეცნო და გაესაუბრა. რადგან თქვენს მონა-მორჩილს რუსეთის ორდენი მეკეთა, მითხრა: „ორდენზე გეტყობა, რომ საზღვარგარეთ ხარ ნამყოფი".

მოვახსენე: „შარშან, როცა დიდი თავადი კონსტანტინე (Grāndūk Qostantīn) ბენდერ-გეზში ჩამობრძანდა, ეს ორდენი მიბოძა".

ამის შემდეგ მისი აღმატებულება სრულუფლებიანი ელჩი, მისი უდიდებულესობა იმპერატორი, მისი ვაჟი ტახტის მემკვიდრე-უფლისწული და ძმა, კავკასიის მეფისნაცვალი დიდი თავადი მიხეილი მეორე ოთახში გავიდნენ.

მისი აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულე ყველას სათითაოდ მიესალმა. მეფისნაცვალმა მკითხა: „აქ ახლახანს ახალი საავადმყოფოს მშენებლობა დასრულდა და არ გინდათ, რომ დაათვალიეროთ?"

მოვახსენე: „ბედნიერი ვიქნები, თუ ამ საავადმყოფოს ნახვის საშუალება მომეცემა".

მკითხა: „როგორ იმგზავრეთ, ხომ ყველა ჯანმრთელად ბრძანდება?"

მოვახსენე: „ასეთი მოგზაურობის დროს ყოველგვარი სირთულე ადვილი დასაძლევია და მგზავრობამაც ყველასთვის კარგად და მშვიდობიანად ჩაიარა".

მისმა აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულემ ბრძანა: „ეს ბატონი გულდაწყვეტილია, რომ გზაში ავად არავინ გახდა და ექიმის დახმარება არ დასჭირდა".

დიდმა თავადმა უპასუხა: „ყველა ექიმს უნდა, რომ ავადმყოფი ჰყავდეს".

ამის შემდეგ მისიის წევრები დიდი თავადის მეუღლეს (Grāndūshes) წარუდგინეს. მოგვიანებით მისი აღმატებულება ირანის ელჩი თანამგზავრებთან ერთად წაბრძანდა ზამთრის ბაღში, სადაც იმპერატორი კავკასიის თავადაზნაურებისთვის ვახშამს მართავდა.

ვახშამზე სამოცზე მეტი დიდგვაროვანი და ოფიცერი იყო მიწვეული. მეფისნაცვალმა მის უდიდებულესობა იმპერატორს ჩამობრძანებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა და ამ ფაქტთან დაკავშირებით თავისი სიხარული გამოთქვა.

იმპერატორი წამოდგა და მას თავსა და კისერში აკოცა. კავკასიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა და იმპერატორს კავკასიის მცხოვრებლებზე ზრუნვისა და მათდამი კეთილგანწყობისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

იმპერატორმა გენერალ-ადიუტანტის მეშვეობით ის თავისთან იხმო, აკოცა და კისერზე ორდენი და ლენტი დაჰკიდა.

ამის შემდეგ სრულუფლებიანი ელჩი მისი უდიდებულესობა იმპერატორის თხოვნით საცეკვაო საღამოზე წაბრძანდა. მისი უდიდებულესობა იმპერატორი, ტახტის მემკვიდრე-უფლისწული, მეფისნაცვალი და დანარჩენი წარჩინებულები ქართველ და კავკასიის სხვა ეროვნების დიდგვაროვანთა ცოლებს ეცეკვებოდნენ და თავიანთ ქვეშევრდომებს ძალიან თბილად და მეგობრულად ექცეოდნენ. *ბალის* დამთავრების მერე მისი უდიდებულესობა თავის რეზიდენციაში წაბრძანდა და საელჩო მისიის წევრებიც სახლში დაბრუნდნენ.

[რაჯაბის თვის 20-ში, 23 სექტემბერს] ხუთშაბათს საღამოს მისი უდიდებულესობა იმპერატორი მეფისნაცვალს ვახშამზე ეწვია. შეხვედრაზე მისი აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულეც იყო დაპატიჟებული. ვახშმის შემდეგ ყველანი მოჯთაჰედის ბალში[226] წავიდნენ და *ბალს* დაესწრნენ.

ცეკვების დროს მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა მის აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულეს ჰკითხა: „ირანში თუ არის მიღებული, რომ ქალები კაცების თავყრილობაზე ცეკვავდნენ და ერთობოდნენ?"

მისმა აღმატებულებამ უპასუხა: „ჯერ ასეთი წესი არ მიგვიღია".

იმპერატორმა ბრძანა: „კავკასიელმა მუსლიმმა ქალებმა ეს წესი ასე თუ ისე აითვისეს და დღეს ისინი ჩვენ წინაშე ჩადრის გარეშე ჩნდებიან".

მისმა აღმატებულებამ უპასუხა: „მისი უდიდებულესობა თავისი ქვეშევრდომების მამაა, ისინი მისი შვილები არიან და, რასაკვირველია, მამას სახე არ უნდა დაუმალო. ირანშიც ქალები ფადიშაჰის თანდასწრებით ჩადრს არ იფარებენ".

იმპერატორს ეს პასუხი თან მოეწონა და თან გაუკვირდა. ცეკვების შემდეგ ყველანი შენობის ზედა სართულზე ავიდნენ, რომ იქიდან მდინარე მტკვრის ნაპირზე გამართული ფეიერვერკისთვის ეყურებინათ.

უკანა გზაზე მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა მის აღმატებულება ელჩს უთხრა: „რა სამწუხაროა, რომ ფრანგული არ იცით, თორემ უფრო მეტს ვისაუბრებდით".

რაჯაბის თვის 21-ში, 24 სექტემბერს, პარასკევს ნაშუადღევს პირველ საათზე მის აღმატებულება ელჩს მისი უდიდებულესობა ტახტის მემკვიდრე-უფლისწული ალექსანდრე მესამე (Aleksãnder-e sevvom) თავის უმცროს ძმასთან, მის ბრწყინვალება ვლადიმირთან (Velãdemīr) ერთად გაუფრთხილებლად ეწვია და მოახსენა: „ვიცოდი, რომ დასამშვიდობებლად კიდევ ერთხელ უნდა მენახეთ, ამიტომ თქვენს შეწუხებას მოვერიდე და თავად გეახელით".

მათი წასვლის შემდეგ ელჩის რეზიდენციაში საპასუხო ვიზიტით მობრძანდნენ მისი უდიდებულესობა იმპერატორი და მისი უმაღლესობა მეფისნაცვალი. ოფიციალურ ტანსაცმელში ჩაცმული მისიის წევრები იმპერატორს შენობის შესასვლელთან შეეგებნენ. მისი უდიდებულესობა მათ თბილად მიესალმა და ბრძანა: „იმედი მაქვს, რომ ირანში მშვიდობიანად დაბრუნდებით".

---

226 იხ. შენიშვნა 78.

შენობაში შემოსვლის მერე იმპერატორმა მის აღმატებულება ელჩს ჰკითხა: „თქვენი საცხოვრებლით კმაყოფილი ბრძანდებით?"

მისმა აღმატებულებამ მოახსენა: „დიდი მადლობა, ძალიან კმაყოფილები ვართ".

მისმა უდიდებულესობამ ბრძანა: „ძალიან მიხარია, რომ ირანის შაჰინშაჰმა ჩვენთან გამოგაგზავნათ. გთხოვთ, მის უზენაესობას ჩვენი სიყვარული და პატივისცემა დაუდასტუროთ".

მისმა აღმატებულებამ მოახსენა: „ჩემთვის ეს მისია უაღრესად საამაყო გახლავთ და მისი უდიდებულესობა იმპერატორის წყალობას არა მარტო მისი უზენაესობა ირანის შაჰინშაჰი, არამედ მთელი ირანელი ხალხი არ დაივიწყებს".

მისმა უდიდებულესობამ ბრძანა: „ვისურვებდი, რომ მეგობრობა ირანის ფადიშაჰსა და თქვენი მეზობელი კავკასიის მეფისნაცვალს, ჩემს ძვირფას ძმას შორის სამარადისოდ გაგრძელებულიყოს".

მისმა აღმატებულებამ მოახსენა: „როგორც მუდამ გვემახსოვრება მისი უდიდებულესობა იმპერატორის წყალობა, ისე მარადიული იქნება ჩვენი მეგობრობა და კავშირი კავკასიის მეფისნაცვალთან".

ამის შემდეგ მისი უდიდებულესობა იმპერატორი თავის რეზიდენციაში დაბრუნდა. მან მის აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულეს უბოძა ალექსანდრე ნეველის (Aleksānder Nevskī) პირველი ხარისხის ორდენი, რომელიც ბრილიანტის თვლით იყო ინკრუსტირებული, და ვლადიმირის ლენტი და ორდენი. ერთი საათის მერე გენერალი ფრანკენი მოვიდა და მისი უდიდებულესობა იმპერატორისგან მისიის ყველა წევრს მათი რანგის შესაბამისი ორდენები გადასცა.

რაჯაბის თვის 22-ში, 25 სექტემბერს, შაბათს დილის რვა საათზე მისი უდიდებულესობა იმპერატორი სევასტოპოლში (Sebāstyān) [ყირიმი (Kerīme)] გაემგზავრა.

რაჯაბის თვის 24-ში, 27 სექტემბერს, ორშაბათს ელჩის მისიის ერთმა წევრმა გვამის გაკვეთის ნახვის სურვილი გამოთქვა, ამიტომ თქვენმა მონა-მორჩილმა კავკასიის ექიმთა [საზოგადოების] თავმჯდომარეს იოანესიანს (Yoānesyānī) ვუთხარი, რომ თუ ამას მოგვიხერხებდა, მისი ძალიან მადლიერი ვიქნებოდით.

სწორედ იმ დღეს სახელმწიფო საავადმყოფოში ერთი ქალი ჭლექით გარდაიცვალა. ექიმმა იოანესიანმა საავადმყოფოს დირექტორი გააფრთხილა, რომ გვამი გასაკვეთად მოემზადებინათ.

იმავე დღეს დილის ათ საათზე საავადმყოფოში წავედით. ჯერ შენობა და მისი მოწყობილობა დავათვალიერეთ, მერე კი შევედით სპეციალურ ოთახში, რომელშიც ორი კაცი გვამზე მუშაობდა. რადგან ჩემს თანამგზავრს უნდოდა, რომ გაკვეთის პროცესი დაწვრილებით შეესწავლა, ის კაცები კი ჩქარობდნენ და საქმეს ზერელედ აკეთებდნენ, ამიტომ თქვენმა მონა-მორჩილმა გვამი თავად გავკვეთე და ყველაფერი როგორც წესი და რიგია, ისე ვაჩვენე.

საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ კავკასიის ექიმთა [საზოგადოების] თავმჯდომარემ იოანესიანმა მის აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულეს გაკვირვე-

ბით უთხრა: „იმ ვითარებაში, როცა ირანში გვამის გაკვეთა აკრძალულია, არ გვეგონა, თუ ასეთ დახელოვნებულ ექიმებს შევხვდებოდით“.

საავადმყოფოს ერთ-ერთი ექიმი ორსაათიანი ნაცნობობის მერე იმდენად დამიახლოვდა, რომ იქიდან წამოსვლის შემდეგ თავის სახლში სადილად დამპატიჟა. სადილის დროს ირანსა და კავკასიის რეგიონში ქოლერის ეპიდემიასა და მკურნალობის ახალ მეთოდებზე ვისაუბრეთ. მითხრა: „ამბობენ, რომ *დარ ალ-ხელაფეში* ქოლერის წინააღმდეგ გამოიგონეს ახალი მკურნალობა, რომელიც, ჩემი აზრით, საღი აზრისგან შორს არის“.

ვუპასუხე: „მე ასეთი სიახლის შესახებ არაფერი მსმენია“.

მითხრა: „როგორც გავიგე, ერთმა კაცმა ირანის უწინდელ მინისტრს მოახსენა, რომ თუ შავი ცხვრის ტყავისგან დოლს გააკეთებდნენ და მასზე დღე და ღამე მთელი ქალაქის გასაგონად ურტყამდნენ, ქალაქი ქოლერის ეპიდემიას გადაურჩებოდა. ჩემი აზრით, ეს მეთოდი აბსურდულია“.

ამ სიტყვების გაგონებაზე ისე აღვშფოთდი, რომ სადილიც კი დამავიწყდა.

მას ვუთხარი: „ამ ისტორიას ირანის მინისტრს როგორ უკავშირებთ? ის განათლებული და გამოცდილი კაცი იყო და ასეთი თაღლითობებისგან შორს იდგა“.

მიპასუხა: „როგორ არ უნდა დავიჯერო, როცა ეს ამბავი საქვეყნოდ არის ცნობილი“.

ვუთხარი: „გინდაც ვიღაც სულელს ეს გაეკეთებინა, ირანის მინისტრი რა შუაშია? დიახ, ერთმა გაუნათლებელმა და თავზეხელაღებულმა კაცმა ეს ბარბაროსული საქციელი ჩაიდინა, მაგრამ როცა მინისტრმა გაიგო, ის დაიჭირა, დასაჯა და ქალაქიდან გააძევა. მიუხედავად ამისა, მისმა უდიდებულესობა ირანის შაჰინშაჰმა მას უსაყვედურა, როგორ დაუშვით, რომ ვიღაც თავხედს ასეთი ველურობა ჩაედინა, შუაღამისას დოლის საზარელი ხმებით მთელი ქალაქი გაელვიძებინა და მოსახლეობისთვის შიშის ზარი დაეცაო“.

ერთი სიტყვით, სადილის მერე სახლში დავბრუნდი. ახალი საავადმყოფოს აშენება 400 000 *რუბლი* დაჯდა, მისი წლიური ხარჯი 60 000 *რუბლს* შეადგენს და შეძლებული ავადმყოფი თვეში ხუთ *რუბლს* იხდის.

რაჯაბის თვის 25-ში, 28 სექტემბერს, სამშაბათს დილით ჩემთან მოვიდა ერთი ირანელი, ერუდირებული და მუყაითი ახალგაზრდა, რომელიც მრავალი წელია, რაც რუსეთში და, მეტწილად, თბილისში ცხოვრობს და რუს სახელმწიფო მოხელეებში ავტორიტეტით სარგებლობს.

ამ მთისა და იმ ბარის ამბებზე ვილაპარაკეთ. გულისტკივილითა და წუხილით შემომჩივლა: „ამ უცხო ქვეყანაში ირანის შესახებ ძირითადად მცდარი ინფორმაცია და ცუდი ხმები ჩამოდის, ამიტომ აქ ირანელებს გვკიცხავენ და გვლანძღავენ და ამ სიტუაციიდან გამოსავალი არ ჩანს. გამუდმებული შეურაცხყოფისგან საშინლად დათრგუნულები ვართ და პირუტყვებივით ვცხოვრობთ: ენა დაბმული გვაქვს და ყურთასმენა – დახშული“.

ვუთხარი: „გარკვევით თქვი, რა ინფორმაციაზე ლაპარაკობ და ყველაფერი დაწვრილებით მომიყევი“.

მიპასუხა: „ყველაფრის მოყოლას დიდი დრო დასჭირდება, თქვენ კი აქ მხოლოდ ერთი დღე რჩებით. ამიტომ ნიმუშისთვის გაზეთ „კავკაზის" რამდენიმე ნომერს გამოგიგზავნით და დაათვალიერეთ. უეჭველია, მათი წაკითხვა გულს გატკენთ. რა იქნებოდა, ირანის მოწყალე მბრძანებელს თავისი მოხელეებისთვის ებრძანებინა, რომ საწყალი ირანელები რუსების ავყიაობისა და უცხო ხალხების მხრიდან შეურაცხყოფისგან დაეცვა?!"

გაზეთ „კავკაზის" სამი ნომრის [სტატიების] თარგმანი

„კავკაზი"

1871 წელი, 16 (28) ივლისი, პარასკევი, №82[227]

სპარსეთში გავრცელებულმა შიმშილმა, რომელიც უწვიმობისა და გვალვის შედეგია, საზარელი მასშტაბები მიიღო. ქოლერის ეპიდემიამ სპარსეთს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გადაუარა და ახლა არდებილში მძვინვარებს. როგორც ამ ქალაქში, ისე სხვა სასაზღვრო ქალაქებსა და სოფლებში, სპორადულად თავს იჩენს რაღაც განსაკუთრებული დაავადება, რომელსაც ყელ-ყურში ჩირქგროვები ახასიათებს. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ეს დაავადება სიკვდილით მთავრდება. გარდა ამისა, ბენდერ-აბუშაჰრსა და ურმიაში შავი ჭირის შემთხვევებიც გამოვლინდა. სპარსეთში არც ექიმები არიან და არც სანიტარული კომისია ფუნქციონირებს, ამიტომ ავადმყოფობის აღსაკვეთად ვერანაირ ზომებს ვერ იღებენ. ამდენად, სავარაუდოდ, ეპიდემია ქვეყნის ფარგლებს გასცდება.

შიმშილი იმდენად საზარელია, რომ ხალხი თავის გამოსაკვებად საფლავებიდან მიცვალებულებს თხრის. სპარსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, სასაფლაოებზე სამხედრო დაცვა დაეყენებინა, რათა საფლავების ხელყოფის შემთხვევები აღეკვეთა. გვალვასთან დაკავშირებით მიიღეს რაღაც უცნაური დადგენილება, რომელიც ქრისტიანებს წვიმიან ამინდში ქუჩაში სიარულს უკრძალავს, რადგან, თურმე, ცა, რომელიც დედამიწას წვიმას უგზავნის, ქრისტიანების უწმინდურ ტანსაცმელს უკადრისობს. თეირანში არსებულმა უცხოურმა მისიებმა ეს განკარგულება გააპროტესტეს, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ დადგენილება სამღვდელოების დაჟინებული მოთხოვნით მიიღეს და მხოლოდ სპარსეთის შაჰის ქვეშევრდომ სომხებს ეხება. როგორც ჩანს, საელჩოები ამ ახსნა-განმარტებით დაკმაყოფილდნენ, ქრისტიანები კი იმის შიშით, რომ ქუჩაში წვიმამ არ მოუსწროს და ხალხის ბრბო თავს არ დაესხას, პისტოლეტებით შეიარაღებულები დადიან.

ამ რეგიონს თავს დატეხილ უბედურებასთან დაკავშირებით ინგლისის სრულუფლებიანმა ელჩმა ალისონმა (Alison) მოშიმშილეების დასახმარებლად ხელმოწერა გამოაცხადა და ამ აქციაში ლონდონელი ბანკირებიც მონაწილეობენ.

თექიეს ტომის თურქმენებმა გვალვის გამო თეირანიდან ჯარის გადაადგილების შეფერხებით ისარგებლეს, აიღეს წმინდა ქალაქი მეშჰედი და გაძარცვეს იმამ რეზას მეჩეთი, რომელიც ოქროს გუმბათითა და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ვერცხლის ლუსკუმათი არის ცნობილი.

---

227 „Кавказ", №82, Тифлис, 1871.

მისი უდიდებულესობა შაჰი კი მთელი სამეფო კარითა და ენდერუნით დემავენდის მთებში გაემგზავრა და იქ კანჯრებსა და ჯიხვებზე ნადირობს.

1871 წელი, 18 (30) ივლისი, კვირა, №83[228]

ადგილობრივი [გაზეთის] „ლისტოკის" ცნობით, ბაქოში ვიცე-გუბერნატორის მეთაურობით ჩამოყალიბდა კომისია, რომელმაც პოლიციას ქალაქში სისუფთავის დასამყარებლად და საკვებ პროდუქტებზე კონტროლის განსახორციელებლად მკაცრი ზომების გატარება მოსთხოვა. სპარსეთიდან ქოლერის ეპიდემიის ჩვენს საზღვრებთან მოახლოებასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, ასეთი კომისიები ამიერკავკასიის სხვა ქალაქებშიც შეიქმნება.

1871 წელი, 23 ივლისი (4 აგვისტო), პარასკევი, №85[229]

როგორც გავიგეთ, 16 ივლისს კავკასიის სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხეს თეირანში ჩვენი მისიის წევრის ექიმ კასტორსკის მოხსენება, რომელიც შემდეგ ინფორმაციას შეიცავდა: თეირანში ქოლერის ეპიდემია თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა, მაგრამ ჩვენი საზღვრის მეზობელ პროვინციებში დაავადების შემთხვევებმა იმატა. სპარსეთის ზოგიერთ რეგიონში გაჩნდა ავადმყოფობა, რომელსაც შავი ჭირის ბუბონების მსგავსად ჯირკვლების შესიება ახასიათებს და სიკვდილით თავდება.

ამ გაზეთების წაკითხვის შემდეგ რამდენიმე დღე აღშფოთებისა და მწარე ფიქრებისგან მოსვენება დავკარგე. მეორე დღეს სადილის დროს ვიღაც რუსი დიდმოხელე მომიჯდა.

საუბრისას მითხრა: „ირანში გამეფებული შიმშილის, ნგრევისა და არეულობის შედეგად, ამ ქვეყნის ოცი ათასზე მეტი მოქალაქე რუსეთსა და კავკასიაში გაიფანტა და ათ-თორმეტ ათასზე მეტი ირანელი ჯარისკაციც რუსეთში გამოიქცა. მე თავად ვნახე ორი-სამი ასეთი ლტოლვილი, როცა ისინი კავკასიის რეგიონში შემოდიოდნენ".

ამ ამბის მოსმენისას თქვენს მონა-მორჩილს თავმოყვარეობაზე ცეცხლი მომეკიდა, მაგრამ მერე გავიფიქრე: „მოუსავლიანობაზე, გვალვასა და მომაკვდინებელ ავადმყოფობებზე თვალს კი დავხუჭავ, მაგრამ იმ დარდს როგორ გავუძლო, რომ კავკასია და დაღესტანი, სადაც ამდენი მუსლიმი ცხოვრობს, რუსეთის ხელშია?! პატარა ბიძგი უნდა, რომ ძლევამოსილმა მბრძანებელმა კავკასია რუსეთს კლანჭებიდან გამოსტაცოს. მე თავად უამრავ ქალაქსა და სოფელში ვიყავი, სხვადასხვა ჯურის ხალხს დავუახლოვდი და დავაკვირდი და ერთი მუსლიმიც კი ვერ ვნახე, რუსეთის მიერ მისი მიწა-წყლის დაპყრობით კმაყოფილი რომ იყოს. რაც შეეხება არამუსლიმს, ასეთი კავკასიაში ძალიან ცოტაა.

მაგრამ ჩვენი სულიერი წინამძღოლები უბრალო ხალხს ფანატიზმისა და უმეცრებისკენ უბიძგებდნენ და უბიძგებენ. მოსახლეობის გაუნათლებლობამ

---

228 „Кавказ", №83, Тифлис, 1871.

229 „Кавказ", №85, Тифлис, 1871.

დღეისთვის შედეგად ის გამოიღო, რომ ქვეყანაში მრეწველობის, მეცნიერების, ხელოსნობის, სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების, ვაჭრობის და ა. შ. არარსებობის გამო ადამიანებს სრულფასოვანი ცხოვრება და დალხენილი ყოფა ვერც კი წარმოუდგენიათ. გაუსაძლისი სილატაკისა და გაჭირვებისგან ყველანი რუსეთის, კავკასიის და სხვა ქვეყნების მთებსა და ველებში გაიფანტნენ და, მიუხედავად უცხო გარემოსი, მშვიდად ცხოვრობენ.

ირანელ ხალხში თანხმობა რატომ არ უნდა იყოს? რატომ არის, რომ შიიტები და სუნიტები გამუდმებით ერთიმეორეს ლანძღავენ და ჩხუბობენ და ხელსაყრელ მომენტს იპოვიან თუ არა, ერთმანეთის გასანადგურებლად ძალ-ღონეს არ იშურებენ?

მეთორმეტე იმამი წიგნის ხალხს, ანუ ებრაელებსა და ქრისტიანებს უწმინდურებად როდის მიიჩნევდა? ეს ხალხი ჩვენს მტრებად რატომ უნდა ჩავთვალოთ? მითუმეტეს, რომ [მუსლიმი] სწავლულების უმეტესობა მათ წმინდად თვლიდა და, თუ ზოგიერთები ასე არ ფიქრობენ, აშკარად ცდებიან. თქვენმა მონა-მორჩილმა ის ჰადისები, რომლებშიც [წიგნის ხალხის] უწმინდურობასა თუ სიწმინდეზეა ლაპარაკი, ჩემი ხალხისთვის შევკრიბე და სიტყვასიტყვით ვთარგმნე. ის ვინც გადახედავს, დარწმუნდება, რომ მეთორმეტე იმამი წიგნის ხალხს უწმინდურებად არ თვლიდა და მათგან განდგომა დაუშვებლად მიაჩნდა, რადგან ასეთი მიდგომა მუდამ სხვა ხალხებთან კავშირის გაწყვეტასა და ფარულ შუღლს იწვევდა. შედეგად, ყველანი მუსლიმების გასანადგურებლად ერთიანდებოდნენ და თანდათანობით მუსლიმებმა სხვა ერებს შორის ყველაზე მდაბალი და უღირსი ხალხის სახელი დაიმკვიდრეს"[230].

იმავე დღეს ნაშუადღევს მის აღმატებულება ჰეშმათ ად-დოულესა და მისიის დანარჩენ წევრებთან ერთად თბილისის სკოლების დასათვალიერებლად წავედი. თავდაპირველად ვნახეთ კავკასიის ღარიბ ქალთა სკოლა, რომელშიც გოგონები სხვადასხვა ხელობას, მათ შორის ხელსაქმეს, გეოგრაფიას, ბოტანიკას, არითმეტიკას და ა.შ. სწავლობდნენ.

მერე წავედით დიდგვაროვან ქალთა სკოლაში. აქ ოთხასზე მეტი მოწაფე ზემოთ ჩამოთვლილ საგნებსა და ქალებისთვის საჭირო სხვა მეცნიერებებს ეუფლებოდა. მასწავლებლის შეკითხვებს ყველანი ძალიან ყოჩაღად და რიხიანად პასუხობდნენ.

რაჯაბის თვის 26-ში, ხუთშაბათს დილის რვა საათზე ელჩის მისია თბილისიდან დაიძრა და პეტროვსკის (Petrofske)[231] გავლით ირანისკენ გაემართა.

---

[230] აქ ტექსტს დართული აქვს ზემოთ ნახსენები ჰადისებიდან შესაბამისი ადგილების თარგმანები, რომლებსაც შეგნებულად ვტოვებთ.

[231] პეტროვსკი ეწოდებოდა ქალაქ მახაჩყალას 1857-1921 წლებში.

ნასერ ად-დინ შაჰის ევროპაში მოგზაურობების მოგონებათა დღიურები

ნასერ ად-დინ შაჰი. აბუ'ლ-ჰასან ყაფარი სანი ალ-მოლქის აკვარელი, 1857.

ნასერ ად-დინ შაჰი ყაჯართა დინასტიის მეოთხე ხელმწიფე (1848-1896) იყო. ის ტახტზე ჩვიდმეტი წლისა ავიდა მამის – მოჰამედ შაჰის გარდაცვალების შემდეგ. მისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მეფობა დასავლურ ცივილიზაციასთან დაახლოების მცდელობებით აღინიშნა. ნასერ ად-დინ შაჰის დროს ირანში გაიყვანეს ტელეგრაფი, შეიქმნა საფოსტო სამსახური, დაარსდა ევროპული ტიპის სკოლები, დაიწყო ბევრი ახალი გაზეთის გამოცემა და სხვა. იგი დიდად ინტერესდებოდა ფოტოგრაფიით და თავად იყო ერთ-ერთი პირველი ირანელი ფოტოგრაფი. ამ სიახლეების დანერგვისას ის კონსერვატიული წრეების ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა. 1896 წელს ნასერ ად-დინ შაჰი პანისლამიზმის იდეის მიმდევარმა ფანატიკოსმა მოკლა ჩრდილოეთ ირანის ქალაქ რეიში. დაკრძალულია იქვე, შაჰ აბდ ალ-აზიმის მავზოლეუმთა კომპლექსში.

ნასერ ად-დინ შაჰს უცხო ქვეყნების მონახულებისადმი ცხოველი ინტერესი ჰქონდა. ამის გამო მას „მოგზაური შაჰიც" (*შაჰ-ე საიიაჰ*) კი შეარქვეს. ის თავის ხელქვეითებსაც უწყობდა ხელს, რომ საზღვარგარეთ წასულიყვნენ. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ნასერ ად-დინის მეფობის პერიოდზე მოდის „სამოგზაურო წიგნების" განსაკუთრებით დიდი რაოდენობა.

ნასერ ად-დინ შაჰმა სამჯერ (1873, 1878 და 1889 წლებში) იმოგზაურა ევროპაში და შთაბეჭდილებები თავად აღწერა მოგზაურობის წიგნებში, რომლებსაც თვითონ „წიგნაკს" (*ქეთაბჩე*) და „დღიურს" (*რუზ-ნამე*) ეძახდა. მოგვიანებით ისინი „ნასერ ად-დინ შაჰის ევროპაში მოგზაურობის მოგონებათა დღიურების" სახელით გამოქვეყნდა. პირველი და მეორე მოგზაურობებისგან განსხვავებით, მესამე მოგზაურობის აღწერისას შაჰს ეხმარებოდნენ მისი თანამგზავრები ამინ ხალვათი, აბუ'ლ-ჰასან ხანი და მოჰამად ბაყერ ხან ადიბ ალ-მოლქი, ასევე ქალიშვილი ფახრ ად-დოულე.

სამივე მოგზაურობის დროს შაჰმა გაიარა ამიერკავკასია და თბილისსაც ეწვია. მისი ვიზიტები მნიშვნელოვან მოვლენებად იქცა და ფართოდ გაშუქდა იმდროინდელ ადგილობრივ პრესაში. როგორც ნასერ ად-დინ შაჰის ევროპაში მესამე მოგ-

ზაურობის ჩანაწერებიდან ვიგებთ, მის ვიზიტთან დაკავშირებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან და ვრცელ საგაზეთო პუბლიკაციებს შაჰს სპეციალურად სპარსულად უთარგმნიდნენ და აცნობდნენ[232].

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანები

Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e avval-e Farangestān, be kūshesh-e Fāteme Qāzīhā, Tehran, 1377/1998.

Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e dovvom-e Farangestān, be kūshesh-e Fāteme Qāzīhā, Tehran, 1379/2000.

Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e sevvom-e Farangestān, be kūshesh-e Mohammad Esmā'īl Rezvānī va Fāteme Qāzīhā, 3 jeld, Tehran, 1373/1994-1378/1999.

The Diary of H.M. the Shah of Persia during His Tour through Europe in A.D.1873, A verbalion translation by J.W. Redhouse, London, 1874.

A Diary Kept by His Majesty The Shah of Persia during His Journey to Europe in 1878, from the Persian, by Especial Permission of His Majesty, by Albert Houtum Schindler and Baron Louis De Norman, London, 1879.

Journal de voyage en Europe (1873) du Shāh de Perse Nāser ed-Dīn Shāh Qājār, Traduit du persan, présenté et annoté par Bernardette Salesse, Sindbad/Actes Sud, Arles, 1999/2000.

Пребывание Шаха Наср-Эддина въ России во время первого путешествия Его Величества по Европе в 1873 году, перевод с персидского горного инженера Э. Кориандер, Санкт-Петербург, 1889.

ლიტერატურა

Īraj Afshār, "Safar-nāme-nevīsī-ye Nāser ad-Dīn Shāh: negāhi dīgar", *Āyandeh*, No.1-3, Tehran, 1364/1985, 39-48.

Bahrām Amīr Ahmadīyān, "Teflīs", *Dāneshnāme-ye jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Alī Haddād 'Ādel, Vol.7, Tehran, 1382/2003, 734.

Bahrām Amīr Ahmadīyān, *Gorjestān dar gozar-e tārīkh*, Tehran, 1383/2004, 341-342.

Fāteme Qāzīhā, "Moqaddame", წიგნში: *Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e avval-e Farangestān*, 8-29.

Fāteme Qāzīhā, "Moqaddame", წიგნში: *Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e dovvom-e Farangestān*, 9-21.

Fāteme Qāzīhā, "Zan az negāh-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-nāmehā-ye Farangestān", *Hoqūq-e Zanān*, Tehran, 1377/1998, No.2, 47-53.

Ahmad Khān Malek Sāsānī, *Syāsatgarān-e doure-ye Qājār*, Tehran, 1338/1959, 74-94.

Manīzhe Rabī'ī, *Sargozasht-e Nāser ad-Dīn Shāh*, Tehran, 1384/2005.

Rahīm Ra'īs Nīyā, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", 202.

---

232 *Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e sevvom-e Farangestān*, j.1, Tehran, 1378/1999, 407-408.

Mohammad Esmā'īl Rezvānī va Fāteme Qāzīhā, "Moqaddame", ნიგნში: *Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e sevvom-e Farangestān*, j.1, Tehran, 1378/1999 (მესამე გამოც.), 7-14.

Mahmūd Tāher Ahmadī, "Rūznāme-ye Khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e Farangestān", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfiyā*, No.88-89, Tehran, 1383/2004, 50-55.

"Nāser ad-Dīn Shāh dar Teflīs", *Anjoman-e Tārīkh*, No.1, Tehran, 1349/1970, 15-18.

A. Amanat, *The Pivot of the Universe: Nasir al-Din Shah and the Iranian Monarchy, 1831-1896*, University of California Press, Berkeley and Los Angeles, 1997 (revised edition: I.B. Tauris, 2008).

E. Krüger, "Die Reisetagebücher Nasir ad-Dins – ein autobiographisches Zeugnis?", *Die Welt des Islams*, 14, Leiden, 1973, 171-191.

Ч. Стори, *Персидская литература. Био-библиографический обзор*, часть II, перевел с английского, переработал и дополнил Ю. Э. Брегель, Москва, 1972, 966-969.

ნასერ ად-დინ შაჰის ევროპაში პირველი მოგზაურობის მოგონებათა დღიური (1873)

უკანა გზა

[1290 წლის] 4 რაჯაბი (1873 წლის 28 აგვისტო), ხუთშაბათი:

ნასერ ად-დინ შაჰი.
1870-იანი წლების ფოტოსურათი.

დღეს ფოთის ნავსადგურში უნდა შევიდეთ. როგორც ზემოთ ვწერდი, გუშინ ღამე ზღვა ძალიან ღელავდა და დაძინება გამიჭირდა. ჯამში ერთ საათზე მეტ ხანს არ მძინებია. მოქუშული დილა გათენდა. ავდექი, *ნამაზი* შევასრულე და ყურანი წავიკითხე. ვუბრძანე, ყველანი *ნამაზისთვის* გაეღვიძებინათ. ძალიან ცუდი ამინდი იდგა და ძლიერად წვიმდა. გემიდან ორმოცდაათი ნაბიჯის მოშორებით ზღვაში მეხი ჩავარდა, რამდენიმე *ხარვარი* წყალი ამოაფრქვია და ათასი ქვემეხის ხმაზე დაიგრგვინა. ეს მეხი გემს რომ მოხვედროდა, თვალის დახამხამებაში ნამსხვრევებად აქცევდა. ღვთის წყალობა იყო, რომ ზღვაში ჩავარდა და გემი არ დააზიანა. მიუხედავად უამინდობისა, დამეძინა და ორი საათი მეძინა. გემს სვლაზე შეეტყო, რომ ნაპირს ვუახლოვდებოდით. ავდექი და ღმერთს მადლობა შევსწირე, რომ ზღვას გადავურჩით და ნაპირს მშვიდობიანად მივაღწიეთ. ფოთის სანაპირო გამოჩნდა. მას ყოველი მხრიდან მთები და ტყეები აკრავს. აქაური კლიმატი და ბუნება ძალიან ჰგავს

გილანისას. ჩვენი გემი ძალიან დიდი იყო, ამიტომ ნავმისადგომთან ახლოს ვერ მივიდა და მოშორებით გაჩერდა. დავინახე, რომ რაღაც გემი გვიახლოვდებოდა. ის ჩვენ უკან მომავალი გემი აღმოჩნდა, რომელზეც ამბობდნენ, სწრაფმავალი არ არის და ნაპირს ჩვენზე ათი საათით გვიან მიადგებაო. მაგრამ, როგორც გაირკვა, წუხელ უამინდობის დროს ტალღებმა ჩვენი გემი შუა ზღვაში გაიტაცეს და ფოთის ნავსადგურს დააშორეს. ამასობაში კი ჩვენ უკან მომავალ გემს ზურგის ქარმა იალქნები დაუბერა და ის ფოთში გაცილებით ადრე ჩავიდა. ღმერთს მადლობა შევსწირე, რომ ზღვაში არ დარჩნენ და სამშვიდობოს გამოაღწიეს.

ნაპირზე ჩვენ გასაყვანად ფოთიდან პატარა ორთქლის გემი მოვიდა. შიგ ისხდნენ ჩვენი ძველი *მეჰმანდარები პრინც* მენშიკოვი Princ Menchikoff[233] და პოლკოვნიკი ბეზაკი Colonelle Bazak, რომლებიც ჯერ კიდევ ენზელიში დაგვხვდნენ. *პრინცის* დანახვა ძალიან გამიხარდა. ძალიან, ძალიან კარგი კაცია. რადგან ზღვა ისევ ღელავდა, მათი გემი ჩვენს [გემს] „სოლთანიეს" ვერაფრით ვერ უდგებოდა. რამდენჯერაც ახლოს მოვიდნენ, იმდენჯერ დაგვეჯახნენ და მენშიკოვის გემის ცხვირი და გვერდი ოდნავ გაიბზარა. შემდეგ მცდელობაზე ჩვენი გემის ტრაპიც გატყდა. საბოლოოდ, ცოტა ხანს მოიცადეს და როცა ზღვა შედარებით დაწყნარდა, თავიანთი გემი „სოლთანიეს" მიაყენეს. მას შემდეგ, რაც მეფისწულები და მსახურების ნაწილი იმ გემზე გადავიდნენ და ცოტა ბარგიც გადაიტანეს, ჩვენც უკან გავყევით.

მეჰმანდარი აშრაფ ფაშა, რომელიც გუშინწინ ღამე კიბეზე დაგორდა, ამდგარიყო. შევამჩნიე, რომ თავი გატეხილი ჰქონდა, სახე დალურჯებოდა და ნაღრძობი მარჯვენა ხელი კისერზე ეკიდა. ძალიან შევწუხდი და გუნება-განწყობილება გამოვკითხე. „სოლთანიეზე" მყოფმა სხვა მოხელეებმაც დიდი ყურადღებით მოიკითხეს. პატარა გემიდან ჩვენს გემამდე ვიწრო ფიცარნაგი გადეს და ზედ გადავედით. ძალიან საშიში იყო. *ერფანჩი* დარჩა, რომ დანარჩენი ბარგი გადმოეტანა. ჩემთან ერთად წამოვიდნენ *სადრ ა'ზამი*, უფლისწულები, იაჰია ხანი, აზოდ ალ-მოლქი, *სიაჩი*, აყა ვაჯიჰი, მოჰამად ალი ხანი, *აქასბაში*, ჰაქიმ ალ-მამალექი, ამინ ას-სოლთანი, *ბაში* და სხვები.

გემი დაიძრა და ნახევარ საათში ზღვისა და ფოთის მდინარე რიონის (Ryyon) შესართავს მივადექით. რიონი დიდი მდინარეა, მაგრამ გემი ნახევარ *ფარსახზე* უფრო ღრმად ვერ შედის.

მდინარის ორივე ნაპირი კანტიკუნტად არის დასახლებული და აქაური სახლები მაზანდარანისა და გილანის სახლებს ჰგავს. ამ რეგიონში ნესტიანი ნიადაგი და ძალიან ცუდი კლიმატია, ამიტომ ხშირია ციებ-ცხელების შემთხვევები. ფოთს ნელ-ნელა აწესრიგებენ, თუმცა კარგი ნავმისადგომი ჯერ კიდევ არა აქვს, ამიტომ დიდი გემები ნაპირთან ახლოს ვერ მიდიან და შორს ჩერდებიან. მგზავრების ბარგი და ვაჭრების საქონელი ნაპირზე პატარა გემებით გადააქვთ. ნავსადგურში სულ რამდენიმე გემი იდგა: ერთი ინგლისური ორთქლის, ორი ოსმალური იალქნებიანი და კიდევ ერთი თუ ორი ხომალდი. ირგვლივ მინდ-

---

233 აქ და შემდეგ არაირანელი პირების სახელები თხზულების ორიგინალში სპარსულთან ერთად, როგორც წესი, ლათინური ალფაბეტითაც არის მოტანილი. ასეთ შემთხვევებში მათ ფრჩხილებში არ ვსვამთ.

ვრები და მინდვრების უკან მთები ტყით იყო დაფარული. მდინარის გასწვრივ სახელმწიფო დროშები აღემართათ. ნაპირზე, იქ, სადაც გემიდან გადმოვედით, ჩვენთვის პატარა ოთახი მოემზადებინათ. იმპერატორის ძმა დიდი თავადი მიხეილი Grand Duc Mishel, რომელიც კავკასიის მთავარმართებელი და მეფისნაცვალია, სახელმწიფო დიდმოხელეებისა და გენერლების მრავალრიცხოვან ჯგუფთან ერთად ნავმისადგომთან გველოდა. გემიდან გადმოვედი და უფლისწულს ხელი ჩამოვართვი. ნავმისადგომიდან რკინიგზის სადგურამდე სამხედროები და სხვადასხვა ჯურის ხალხი იდგა, მათ შორის ჩერქეზები, ლეკები, სომხები, ქართველები, მუსლიმები, დაღესტნელები, ბაშ-აჩოყელები და ევროპელები.

ეს მხარე ბაშ-აჩოყის ანუ „თავშიშველათა" რეგიონს ეკუთვნის. ეს სახელი იმიტომ დაერქვა, რომ აქაურ მოსახლეობას, როგორც კაცებს, ისე ქალებსა და ბავშვებს, თავის დაფარვა წესად არა აქვთ და თავშიშველები დადიან. ბაშ-აჩოყის დედაქალაქი ქუთაისია (Kūtā'īs), რომელიც ფოთსა და თბილისს შორის მდებარეობს. ერთი სიტყვით, უფლისწულს ძალიან თავაზიანად შევხვდი და ვესაუბრე. უაღრესად კარგი კაცია. პიტერში (Peter) ჩემი ყოფნისას იქ არ ბრძანდებოდა და ვერ შევხვდით, ამიტომ ახლა მისი დანახვა ძალიან გამიხარდა. იმპერატორის ძმებს შორის ყველაზე პატარაა. ნიკაპი გაპარსული აქვს, მაგრამ ლოყებზე წვერს ატარებს. მაღალი ტანი, ძლიერი აღნაგობა და მომხიბვლელი ცისფერი თვალები აქვს. ნასადილევი არ ვიყავით, ამიტომ *ჯუჯე-ქაბაბი* მოგვიტანეს და ცოტა შევჭამეთ. ნახევარი საათის მერე რკინიგზის სადგურში წავედით. ქართველი ქალები ძალიან მომეწონა. ჰაქიმ ალ-მამალექი დარჩა, რომ ბარგი სადგურში წამოეღო. მეფისნაცვლის თარჯიმანმა ბეგლაროვმა Begliaroff, რომელიც ირანელი შაჰ მირ ხანის ვაჟია, ფრანგული კარგად იცოდა. მატარებელში (kālaske-ye bokhār) ჩავსხედით და გავემგზავრეთ.

ეს რკინიგზა ახალი აშენებულია და თბილისამდე მხოლოდ ერთი ლიანდაგია გაყვანილი, ამიტომ მატარებელი წინ და უკან ამ ერთი ხაზით სარგებლობს. მისი აშენება ძალიან საწვალებელი იქნებოდა, რადგან ამ რეგიონში ბევრი ტყე, ჭაობი და წყალია. ასეთი ნიადაგის ამოშრობა და მასზე რკინიგზის აშენება საკმაოდ რთულია. გარდა ჭაობისა, აქ ბევრი მთა, ხეობა და კლდეა. მიხვეულ-მოხვეული გზა ჯერ აღმართში მიდის, მდინარეებსა და ხიდებზე გადადის და მერე თბილისისკენ ეშვება. ძალიან სახიფათო სავალია და ნელა უნდა იარო. [რუსული] მატარებელი ევროპული მატარებელივით[234] სწრაფად ვერ მოძრაობს. ამიტომ ჩვენც აუჩქარებლად, საათში ორნახევარი *ფარსანგი* სიჩქარით მივდიოდით, იმ დროს, როცა ევროპაში მატარებელი საათში 12 *ფარსანგს* გადის. ერთი სიტყვით, მზის ჩასვლას ხუთი საათი აკლდა, გზას რომ გავუდექით. მოლრუბლული ამინდი იყო და ძლიერად წვიმდა. გზა მთებსა და ტყეებში მიდიოდა. მზის ჩასვლისთვის შევედით ერთ სადგურში, რომელიც ქალაქ ქუთაისის ახლოს მდებარეობს. აქ სადილი დაგვახვედრეს, თუმცა უკვე ვახშმის დრო იყო. მატარებელი გაჩერდა. გადმოვედით და შევედით ერთ ოთახში, სადაც სუფრა გაეშალათ.

---

234 საინტერესოა, რომ ავტორი ტერმინოლოგიურად ასხვავებს რუსულ და ევროპულ მატარებლებს: რუსულისთვის რუსულ სიტყვა „კალიასკას" ხმარობს, ხოლო ევროპულისთვის – ფრანგულ „თრენს".

უფლისწულებთან, *სადრ ა'ზამთან* და სხვებთან ერთად მაგიდასთან დავჯექი და ცოტა ნავიხემსე. ჩვენ შესახვედრად ამ რეგიონის დიდებულთა ცოლები მოსულიყვნენ. უმეტესობა ძალიან ლამაზი იყო. ქართველი ქალები სიმშვენიერით არიან განთქმული. ისინი ძალზე მოხდენილად, ევროპულ ყაიდაზე იცვამენ, თუმცა ქართულ და ევროპულ სამოსს შორის დიდი განსხვავებაა და ჩემი აზრით, ქართული უფრო ლამაზია. იქვე იდგა სამხედროების რაზმი, რომელიც ბაშ-აჩოყის მცხოვრებლებისგან შედგებოდა. მათი ტანსაცმელი ძალიან უცნაური იყო და ძველი მეომრების სამოსს ჰგავდა. ქართველ სამხედროებს წითელი ფერის ფართო ხიფთანი ეცვათ, თავზე წითელი ნაჭერი ჩალმასავით ჰქონდათ შემოხვეული და ქამარზე პისტოლეტი ეკიდათ. ჩაცმულობით ისინი ფრანგ ზუავებსა[235] და ინდოელებს ჰგავდნენ, მაგრამ ტულას (Tül) *ჯაბახანაში* დამზადებული ხიშტიანი თოფები ეჭირათ. მატარებელში ჩავსხედით და გზა განვაგრძეთ. მე მშიერი ვიყავი, ვაგონში ვახშამი ანუ ცივი მწვადი შევჭამე და დავიძინე. დილამდე მეძინა, მაგრამ ვერც ძილში მოვისვენე.

5 რაჯაბი (29 აგვისტო), პარასკევი:

დილის *აზანის* დროს, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა, ქალაქ თბილისს მივუახლოვდით. მოთენთილმა გავიღვიძე. ტანსაცმელი ჩავიცვი. მატარებელი გაჩერდა და გარეთ გამოვედით. მეფისნაცვალი მრავალრიცხოვან ოფიცრებთან ერთად სადგურში გველოდა. სამხედრო პოლკის დათვალიერების შემდეგ, მე და მეფისნაცვალი ღია *კალიასკაში* ჩავსხედით. ძალიან, ძალიან ციოდა და წვიმდა. თან ჩვეულებრივი წვიმა კი არ მოდიოდა, მიწაზე თითქოს ხოშკაკალა ცვიოდა, რომელსაც ცივი ქარი ჰაერში ატრიალებდა. მოქუშული დილა იდგა და თუმცა ხალხს ჯერ კიდევ ეძინა, ქუჩის ჩირაღდნები ისევ ენთო. მივედით მეფისნაცვლის სასახლეში, რომლის წინ სამხედრო პოლკი, გენერლები და ოფიცრები გამწკრივებულიყვნენ. ყველას მივესალმეთ და მოვიკითხეთ. თბილისის გუბერნატორი, ქალაქის ხელმძღვანელები და *ქალანთარი* თავიანთი წესისამებრ პურითა და მარილით შეგვეგებნენ. ერთმა მოხელემ, რომელმაც სპარსული იცოდა, მისასალმებელი სიტყვა სპარსულად წარმოთქვა. მისალმების ცერემონიალის შემდეგ კიბეებზე ავედით და ქართველი ბატონიშვილის *პრინცს* ორბელიანოვის Prince Orbilianoff ოთახში შევედით. მეფისნაცვალმა *პრინცი* და კავკასიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი ბარონი ნიკოლაი Baron Nicola წარმოგვიდგინა. *პრინცს* ორბელიანოვს ადრეც ვიცნობდი. შვიდი წლის წინ, როცა მაზანდარანში ფარაჰაბადის პორტში რუსული სამხედრო გემები შემოვიდნენ, იმპერატორის მხრიდან სწორედ *პრინცს* შევხვდით. მეფისნაცვალმა ჩვენი ოთახები გვიჩვენა და წავიდა. ვისადილეთ და დავიძინეთ. მადლობა ღმერთს, ორი-სამი საათი მეძინა.

თბილისი ხეობაში მდებარეობს და გარშემო მთები აკრავს. მთის წვერზე და კალთებზე სახლებია შეფენილი. მდინარე მტკვარი ქალაქს შუაზე კვეთს. მისი

---

235 ზუავებს ეძახდნენ საფრანგეთის არმიის ქვეითებს, რომლებიც 1831-1962 წლებში ფრანგულ ჩრდილოეთ აფრიკაში მსახურობდნენ. მათ უნიფორმაში წითელი ფერი დომინირებდა, რაც, როგორც ჩანს, გახდა ანალოგიის მიზეზი.

ერთი ნაპირიდან მეორემდე ხიდია გადებული. ახლა ზაფხულის სეზონია და მტკვარი მაინცდამაინც წყალუხვი არ არის. მდინარის ჩრდილოეთი ნაპირი ახალი აშენებულია და ევროპელების უბანს წარმოადგენს. აქ მეფისნაცვლის სასახლე და გუბერნატორის რეზიდენცია დგას. სამხრეთ ნაწილში კი ქალაქის ძველი უბანია. ბორცვზე საქართველოს უწინდელი მმართველების ციხე-კოშკის ნაკვალევი მოჩანს. ძველად, ანუ ორმოცდაათი წლის წინ თბილისი პატარა, საცოდავი და ჭუჭყიანი ქალაქი იყო. ახლა ნელ-ნელა ფართო ქვაფენილებს, ახალ სახლებს, შენობებს, სკოლებს აგებენ, თუმცა ძველი ქალაქიდან ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი. ენახეთ ყაფის მთა[236], რომელსაც ევროპელები ყაზბეგს (Kāzbek) ეძახიან. ამ უზარმაზარი მთის მწვერვალები თოვლით იყო დაფარული. რუსებმა ყაფის მთაში ოთხთვალების სასიარულო გზა ააშენეს და ახლა მის მეორე მხარეს, სადაც ქალაქების ვლადიკავკაზის (Velād-e Qafqāz), მოსკოვისა (Moskū) და ასტრახანის (Hashtarkhān) გზაა, *კალიასკებით* დადიან. თბილისის გარშემო ხრიოკი, მტვრიანი მთებია, უფრო შორს კი – ტყეები და ზღვა. ქალაქში ცუდი კლიმატია: ზაფხულში და შემოდგომაზე ძალიან ცხელა და ამინდი ხშირად იცვლება. როცა ქალაქში ან მის შემოგარენში წვიმს, საკმაოდ ცივა, მერე ისევ ცხელა და ამინდის ასეთი ცვალებადობა ციებ-ცხელებას იწვევს. თბილისის მოსახლეობა ორმოცდაათი ათასი კაცია და მათი უმეტესობა უცხოელია. ქალაქში სხვადასხვა ჯურის ხალხი ცხოვრობს – ირანელები, ქართველები, რუსები, დაღესტნელები, ჩერქეზები, გერმანელები, სომხები. აქ კარგი ხილი მოდის, მათ შორის საზამთრო, ყურძენი, მსხალი და კიტრი.

დღეს მეფისნაცვლის სანახავად წავედით. ის იმავე შენობაში ცხოვრობს, სადაც ჩვენ დავბინავდით. რამდენიმე ოთახი გავიარეთ და მივადექით სარკეებითა და ნაძერწი ჭერით მორთულ დარბაზს, რომელიც ირანელი ხელოსნების აშენებულია. ოთახის მთელი მოწყობილობა ირანიდან არის ჩამოტანილი: დიდი და პატარა ხალიჩები – ფარაჰანიდან, ყაინიდან და ქერმანიდან, მაგიდები, ტახტები და სხვა ავეჯი – შირაზიდან და ისფაჰანიდან. ფანჯრებზე გობელენები ეკიდა და მუთაქებზე, ბალიშებსა და სკამის დასაჯდომებზე რაშთის მოქარგული ნაჭერი იყო გადაკრული. ეს ავეჯი და ირანული ნივთები ჩვენ ჩამოსვლასთან დაკავშირებით არ მოუტანიათ, დიდი ხანია აქ არის. ოთახის კუთხეში ცოცხალივით იდგა მეფისნაცვლის მონადირებული დიდი შავი დათვის ფიტული. ვინც კი ხედავდა, ცოცხალი ეგონა. მეფისნაცვლის ოთახებში კედლებზე უამრავი იარაღი ეკიდა: ხმლები, ხანჯლები, თოფები და რევოლვერები, ასევე ძველი იარაღი – ჯავშანი, მუზარადი და ცხენის მოოქროვილ-მოვარაყებული უნაგირი, უზანგი და სხვა აკაზმულობა. ბევრ საუცხოო ნივთს შორის *თახჩაში* იდო ზეთის ძველებური ლამფა, როგორსაც უწინ ირანში ხმარობდნენ. მეფისნაცვალთან ერთად ოთახები გავიარეთ. ერთი ოთახის ფანჯრებიდან თბილისზე და მის ქუჩებზე მშვენიერი ხედი იშლებოდა. ცოტა ხანი დავსხედით და მერე წავედით დიდი თავადის ცოლის აპარტამენტებში, რომლებიც ამ ოთახს ემიჯნებოდა. მეფისნაცვლის ცოლი ბადენის დიდი თავადის დაა. მის ძმასთან ერთად ჩვენ გერმანიაში კარლსრუეში Karlsruhe ვისადილეთ. მეფისნაცვალსა და მის ცოლს ხუთი ვაჟი და

---

236 იხ. შენიშვნა 40.



თბილისი, მეფისნაცვლის სასახლის უკანა მხარე. 1890-იანი წლების ფოტოსურათი.

ერთი ქალიშვილი ჰყავთ. უფროსი ვაჟი 14 წლისაა. ახლა თბილისში არ არიან, აგარაკზე ისვენებენ. მეფისნაცვლის ცოლს ოლგა ფიოდოროვნა Olga Feodorovna ჰქვია. ჩვენს ოთახში დაბრუნებულებს მეფისნაცვალი და მისი ცოლი საპასუხო ვიზიტით გვეწვივნენ.

საღამოს საზაფხულო თეატრში წავედით. მე და მეფისნაცვალი ერთ *კალიასკაში* ჩავსხედით. საზაფხულო თეატრი პატარა, თეთრად შეღებილი შენობაა. მასში ჩამოკიდებულია ბრინჯაოს ჭაღი, რომელიც გაზით ნათდება. თეატრის ქვედა და ზედა იარუსები რუსი წარჩინებული მოხელეებით იყო სავსე. რამდენიმე ევროპელი და ქართველი ქალიც შევნიშნე. თეატრში ორას კაცამდე შეკრებილიყო. მშვენიერი მუსიკა აჟღერდა და ფარდა აიწია. სპექტაკლი რამდენიმე აქტისგან შედგებოდა. რუსულად ლაპარაკობდნენ. ცეკვებისა და სიმღერების თანხლებით რამდენიმე სიუჟეტი აჩვენეს. თეატრი პატარა, მაგრამ დახვეწილი იყო და წარმოდგენაც ძალიან კარგი და სახალისო გამოდგა. რუსი ყმაწვილკაცები და ქალები ძალიან ლამაზები და მოხდენილები იყვნენ. ერთი ფრანგი მოცეკვავე, რომელიც თბილისში ორი წლის წინ დასახლდა, ძალიან ლამაზი იყო და კარგად ცეკვავდა. სპექტაკლის ბოლოს რუსული და ქართული ცეკვებიც შეასრულეს. ქართული ცეკვა ძალიან მომეწონა: ქართველები წრეში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და ტაშს უკრავდნენ. ერთი კაცი ირანულ დოლზე, ხოლო მეორე ირანულ ზურნაზე უკრავდა. მშვენიერი მუსიკა იყო და ირანული *ზურხანას* მელოდიებს ჰგავდა. წრეში ერთი გოგო და ერთი ბიჭი ცეკვავდნენ და მათი ცეკვაც ირანულ ცეკვას მოგაგონებდათ.

შუა წარმოდგენაში ფარდა დაეშვა. მეფისნაცვლის ცოლს ხელი შევთავაზე და უფლისწულების, *სადრ ა'ზამის*, იაჰია ხანის და სხვების თანხლებით ჩავედი ლამპიონებით განათებულ პატარა ბაღში. ამაღლებულ ადგილზე აშენებულ ფანჩატურში დავსხედით. მეფისნაცვალმა ზოგიერთი ქართველი ქალი და სხვა [იქ მყოფები] წარმოგვიდგინა. თეატრის მერე სახლში დავბრუნდით და ვივახშმეთ. ამასობაში ფოთში დარჩენილი *ერფანჩი* მირზა ალი ხან ჰაქიმ ალ-მამალექი ჩამოვიდა და ბარგი ჩამოიტანა. ზღვაზე ატეხილ ქარიშხალზე საოცრებებს ჰყვებოდა. *ერფანჩი* მირზა ალი ხანმა გვიამბო, რომ, თურმე, ჩვენი გემიდან გადმოსვლისთანავე ზღვა ისე საშინლად აღელდა, რომ, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, რუსული გემი ჩვენს გემს ვერაფრით ვერ მიუდგა. ერთი ალთას მიდიოდა და მეორე ბალთას, სანამ ძლიერი ტალღებისგან ერთმანეთს არ შეეჯახნენ და ორივეს მხოფავი ბორბალი არ გაუტყდა. საბოლოოდ, დიდი წვალებით, რუსული გემი ჩვენს „სოლთანიეს" მიუახლოვდა და სანამ ის ტალღებზე ირწეოდა, სიცოცხლის საფრთხის ქვეშ ნელ-ნელა ბარგიც გადაიტანეს და ხალხიც გადავიდა. მირზა ალი ხანი ამბობდა: ნაპირს რომ მივუახლოვდით, ტალღები ჩვენს გემს ისე აბურთავებდნენ, თითქოს მთის წვერიდან ვვარდებოდითო. ღვთის ნება იყო, რომ ეს შტორმი რამდენიმე საათით ადრე, ჩვენი გემზე ყოფნის დროს არ დაიწყო. ღმერთს მადლობა შევსწირეთ.

ჩვენ უკან მომავალი გემის მგზავრებში ერთ-ერთი ნასერ ალ-მოლქი იყო. როგორც წესი და რიგია, გემებს შორის გადეს ფიცარნაგი, რომელიც საშინლად ყანყალებდა. ნასერ ალ-მოლქსა და სხვა მგზავრებს ამ ფიცარნაგზე უნდა გაეევლოთ და მეორე გემზე ასასვლელად ნავში უნდა ჩამსხდარიყვნენ. ძლიერმა ტალღებმა ნავი მაღლა ატყორცნეს და ნასერ ალ-მოლქი ზღვაში გადავარდა. ოსმალო და სხვა მეზღვაურები წყალში გადახტნენ და ამოიყვანეს. შიშისგან კინაღამ მოკვდა. ისეთი დამფრთხალი იყო, რომ მაზანდარანში გემით მგზავრობაზე უარი თქვა და მოხბერ ად-დოულესთან ერთად ხმელეთით აზერბაიჯანში ჩავიდა და იქიდან ირანში გაემგზავრა. თავდაპირველი გეგმით, ჩვენ ყაფის მთისა და ყაზბეგის გავლით ჯერ პეტროვსკის Petrofski ნავსადგურში და იქიდან ენზელიში უნდა წავსულიყავით. ამ გზაზე ჩვენ შესახვედრად უკვე ყველაფერი მზად იყო და ოთხთვალები, *კალიასკები* და ასე შემდეგ გველოდა. მაგრამ რადგან გვინდოდა, რომ ზღვაში რაც შეიძლება ნაკლები დრო გაგვეტარებინა, ვარჩიეთ, რომ გემზე ბაქოში ავსულიყავით. გადაწყდა: მე ათი კაცის თანხლებით პირდაპირ ბაქოში წავიდოდი, დანარჩენები კი პეტროვსკის გავლით ჩამოვიდოდნენ და იქიდან ენზელიში ერთად გავემგზავრებოდით. ღმერთმა ქნას!

ჩემთან ერთად წამოვლენ *სადრ ა'ზამი*, აზოდ ალ-მოლქი, მეჰდი ყოლი ხანი, აყა ვაჯიჰი, ამინ ას-სოლთანი, უფლისწული – ფარვიზ მირზას ვაჟი, *პრინც* მენშიკოვი, *ბაში*, *დეჰბაში*, *ყაჰვეჩიბაში*, ჰაჯი ჰეიდარი და ექიმი ტულუზანი (Tūlūzan), დანარჩენები კი, და მათ შორის უფლისწულები, პეტროვსკის გზით წავლენ. მაგრამ ასეთი გაყოფა გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა, რაც უპირველეს ყოვლისა ბარგის გადატანას შეეხებოდა. ბარგის რაოდენობა და წონა ისეთი დიდი იყო, რომ მისი ოთხთვალებით გადაზიდვა ვერ ხერხდებოდა. გადაწყდა, რომ ჩემი ბარგის ნაწილს და ხალხის ბარგს თბილისში *ერფანჩის* მეთვალყურეობის ქვეშ დავტოვებდით და ის ბაქოს გავლით ენზელიში ჩაიტანდა. ღმერთმა ქნას!

მაგრამ ხალხს თავის ნივთებთან განშორება სიკვდილივით არ უნდოდა. დიდი გაწევ-გამოწევა და ჩოჩქოლი ატყდა. გონდაკარგულები გიუებივით იყვნენ, თითქოს ევროპაში მოგზაურობის ერთადერთი მონაპოვარი ეს ბარგი იყო და თუ ის გაფუჭდებოდა ან დაიგვიანებდა, დაიღუპებოდნენ. ღმერთმა ქნას, ბარგი დროულად და უვნებლად ჩამოვიდეს. ღმერთმა ქნას!

5 რაჯაბი (29 აგვისტო), პარასკევი:

როგორც ზემოთ ვწერდი, ეს დღე თბილისში გავატარე.

6 რაჯაბი (30 აგვისტო), შაბათი:

დღეს გვეწვია ბაჰმან მირზა, რომელიც ყარაბაღიდან ჩამოსულიყო. ამ მოგზაურობაში ეს კაცი რომ არ მენახა, ბევრს დავკარგავდი. უცნაურად ეცვა და საოცარი სანახავი იყო. მისი მაღალი ბეწვის ქუდი და შავი მაუდის ხიფთანი არცერთი ქვეყნისა და ხალხის ჩაცმულობას არ ჰგავდა. წვერიც ძალიან უცნაური ჰქონდა. მუცელზე ცხენის მოსართავის მსგავსი ყვითელი განიერი იარაღის სარტყელი ეკიდა. კისერზე რუსული არწივის და ირანული მზისა და ლომის და განსვენებული შაჰის გამოსახულებიანი ორდენები ეკეთა. უნაკლო კბილები ჰქონდა და თავის ასაკთან შედარებით მშვენივრად გამოიყურებოდა. თავისი ექვსი-შვიდი უფროსი ვაჟიც თან ახლდა. ყველა მათგანს რუსი ოფიცრის სამოსი ეცვა. მოკლედ, ისიც და მისი ვაჟებიც სამყაროს საოცრებებს ჰგავდნენ. თავად ბაჰმან მირზა ძალიან სულელურად გამოიყურებოდა. აღმოჩნდა, რომ ჩვენი ბერლინში ყოფნის დროს ისიც გამოფენაზე ბრძანდებოდა და იქ თხუთმეტი დღე გაატარა. ვკითხე: „რომელი გზით გაემგზავრეთ?“ მიპასუხა: „ოდესის (‘Odes) გზით“. ვუთხარი: „ევროპაში ასეთი ადგილი და სახელი არ გამიგია“. როგორც გაირკვა, რუსეთის შავიზღვისპირა ქალაქ ოდესას (Odese) გულისხმობდა. ერთი სიტყვით, ცოტა ხანი ვისაუბრეთ და წავიდა.

საღამოს მეფისნაცვალთან ერთად *კალიასკით* ძველ ქალაქში გავისეირნე. ცხელოდა და ჰაერში საშინელი ბუღი იდგა. ქალაქი ჭუჭყიანი და პირქუში მეჩვენა. წავედით გარეუბანში მოჯთაჰედის ბაღში, რომელიც აყა მირ ფათაჰის აშენებულია[237]. ბაღში *კალიასკით* შევედით. ძალიან უღიმღამო, ჭუჭყიანი და ხეებით ჩაბნელებული ბაღია. დოლაბის[238] ბაღები გაცილებით უკეთესია. ორი წლის წინ, როცა რუსეთის იმპერატორი თბილისს ეწვია, მასთან მისასალმებლად ჰეშმათ ად-დოულე გავაგზავნეთ. უკან დაბრუნებულმა თბილისი და, განსაკუთრებით, მოჯთაჰედის ბაღი ძალიან აქო, სინამდვილეში კი დიდი არაფერი ყოფილა. თბილისში ერთი ლამაზი ქართველი ან ევროპელი ქალიც კი ვერ ვნახე. ხალხი უსუფთაო, ღარიბი და გაუბედურებულია. ქალაქის მოსახლეობას, ძირითადად, სამხედროები და კაზაკები შეადგენენ, სხვას ვერავის ნახავ.

---

[237] იხ. შენიშვნა 78.

[238] სოფელი თეირანის აღმოსავლეთით, რომელიც თავისი ბაღებითა და ბოსტნებით იყო ცნობილი. მოგვიანებით თეირანს შეუერთდა და ახლა მისი ერთ-ერთი რაიონია.

[ფურცლის ბოლოს ნასერ ად-დინ შაჰმა ბაჰმან მირზა დახატა და მიაწერა:] ბაჰმან მირზას პორტრეტი, შესრულებული თბილისში, როცა ბაჰმან მირზა 67 წლის იყო. [კიდეზე:] ეს სულელი კაცუნა 27 წელია რუსეთში ცხოვრობს და რუსული ვერ ისწავლა.

საღამოს მეფისნაცვლის სასახლეში ვახშმად ვიყავით დაპატიჟებული. [ოფიციალური] ტანსაცმელი ჩავიცვით და წავედით. დარბაზის კართან უამრავი სამოქალაქო და სამხედრო მოხელე იდგა. როგორც ჩანს, ამ მიღებაზე ქალაქის მთელი დიდმოხელეები იყვნენ დაპატიჟებული. მეფისნაცვალმა ყველა მათგანი წარმოგვიდგინა. ბაჰმან მირზაც მათში ერია. იქვე იდგა უზარმაზარ ჩალმაში გამოწყობილი ახუნდი, რომელიც თბილისის *შეიხ ალ-ესლამი* აღმოჩნდა. ისიც გაგვაცნეს. სანამ მსახურები სუფრას აწყობდნენ, მე, *სადრ ა'ზამი*, მეფისნაცვალი და მისი ცოლი ერთ ოთახში დავსხედით. შემდეგ წავედით დარბაზში, რომლის თეთრი ბათქაში ნაძერწობით იყო შემკული. მაგიდას მივუსხედით. უფლისწულები, *სადრ ა'ზამი*, აზოდ ალ-მოლქი და ალა ად-დოულე ჩვენთან ერთად დასხდნენ. ბაჰმან მირზა ძალიან სასაცილოდ გამოიყურებოდა. ყველაზე სახალისო ხიფთანსა და ჩალმაში გამოწყობილი *შეიხ ალ-ესლამი* გახლდათ. ძალიან ბევრი ვიცინე. მსახური მაგიდაზე ღვინოებს მაინცდამაინც ზედ მის ცხვირწინ აწყობდა. მშვენიერი ვახშამი გამართეს. მუსიკა უკრავდა. მეფისნაცვალი ჩემ ხელმარცხნივ, ხოლო მისი ცოლი ხელმარჯვნივ იჯდა. სხვებიც მათთვის განკუთვნილ ადგილებზე ისხდნენ. მეფისნაცვალმა ჩვენი სადღეგრძელო დალია და ჩვენც *შერბეთით* იმპერატორი და მისი ოჯახი ვადღეგრძელეთ. ვახშმის მერე ავდექით და გავედით *ბალკონზე (bālkhon)*, რომელიც ტერასის მსგავსი იყო და ბაღს გადაჰყურებდა. ბაღი ძალიან ლამაზად იყო გაჩირაღდნებული. სასახლის წინ მთაზე მშვენიერი ფეიერვერკი მოაწყვეს. მთელი სტუმრები აივანზე გამოეფინენ. ბაღში უამრავი ხალხი შეკრებილიყო, როგორც დიდგვაროვნები, ისე გლეხები და სხვები. მათში ბევრი მშვენიერი ქართველი და ევროპელი ქალი და ქალიშვილი ერია. ფეიერვერკის მერე კაზაკების ცეკვები დაიწყო. ძალიან კარგად ცეკვავდნენ და თან პისტოლეტებიდან ისროდნენ. ცეკვები რომ დამთავრდა, ქვევით ჩავედით და ბაღში გავისეირნეთ. ხელი მეფისნაცვლის ცოლის მკლავზე მეკიდა და ისე ვსეირნობდით. ბაღის მთელი ხეივნები შემოვიარეთ. იქაურობა გაჩირაღდნებული იყო და ყველგან ლომისა და მზის ემბლემები ეყენა, რომლებიც უკნიდან ნათდებოდა. ბაღში ყველა ჯურის კაცი და ქალი ირეოდა – ევროპელი, ქართველი, კაზაკი, ირანელი, ოსმალო, რუსი, ჩერქეზი, სომეხი. დიდხანს ვისეირნეთ. მეფისნაცვალმა რუსეთის იმპერატორის ტელეგრამა გადმომცა. იქვე წავიკითხე. მისალმებისა და მოკითხვის ბარათი იყო. ცოტა ხნით დარბაზში შევედით და მერე სახლში დავბრუნდით.

დღეს *სართიფებისა* და მსახურების ჯგუფი პეტროვსკში გაემგზავრა, უფლისწულები და დანარჩენი მსახურები კი ხვალ მიდიან. ერევნის დიდებული ეკლესიის წინამძღოლის გამოგზავნილი მღვდელი ჩამოვიდა და არზა ჩამოიტანა.

თეირანიდან ტელეგრამა მივიღე. მწერდნენ, რომ ისფაჰანის *მოჯთაჰედი* აყა სეიდ ასადოლაჰი, რომელიც ათაბათის მოსალოცად მიდიოდა, გარდაცვლილიყო. ძალიან, ძალიან შემეცოდა.

7 რაჯაბი (31 აგვისტო), კვირა:

დღეს თბილისიდან ბაქოში უნდა წავიდეთ. დილით ადრე ავდექი და ვისაუზმე. იაჰია ხანი და უფლისნულებიც დღეს პეტროვსკში მიემგზავრებიან, მაგრამ ჩვენზე ერთი საათით უფრო გვიან გავლენ. მზის ჩასვლას ექვსი საათი აკლდა, გზას რომ გავუდექით. ჩვენ გასაცილებლად კავკასიის მეფისნაცვალი და მისი დიდმოხელეები მოვიდნენ. ჩვენი *კალიასკები* მზად იყო. გუშინდელ ჩანაწერებში ნახსენები ათი კაცისთვის ხუთი *კალიასკა* მოემზადებინათ. ჩემ *კალიასკაში* უკან ამინ ას-სოლთანი და აყა ვაჯიჰი დასხდნენ, რათა გზაში წყალი, ხილი და სხვა მოერთმიათ, წინ კი – ამინ ას-სალთანე. გზას გავუდექით. თბილისის ძველი უბანი და ბაზარი გავიარეთ. ქუჩებში უამრავი კაცი და ქალი ირეოდა. ქალაქიდან გავედით და გავუყევით მდინარე მტკვარს, რომელიც ნელ-ნელა ხელმარცხნივ ჩამოვიტოვეთ. მდინარის ნაპირებზე ტირიფები და ტყის სხვა ხეები ხარობდა. ძალიან ცხელოდა და საშინელი მტვერი იდგა. ჩვენ უკან *სადრ ა'ზამისა* და აზოდ ალ-მოლქის *კალიასკა* მოდიოდა და მას მატარებელივით სხვა *კალიასკები* მოჰყვებოდნენ. ყველა ეტლში რამდენიმე ცხენი იყო შებმული. ჩვენი *კალიასკა* ძალიან კარგი და დიდი იყო. თბილისს რაც გავცდით, ერთი სოფელიც კი არ შეგვხვედრია. სადამდეც თვალი სწვდებოდა, ყველგან მოსანყენი მინდვრები და ხრიოკი მთები მოჩანდა, არც წყალი, არც ხე და არც რაიმე დასახლება, თუ არ ჩავთვლით ფოსტის სადგურებს, რომლებიც მთელ გზაზე ორი *ფარსახის* ინტერვალით ჩამწკრივებულიყო და იქ ცხენებს ცვლიდნენ. თბილისიდან ხუთი-ექვსი *ფარსახის* მანძილზე მოხრეშილი გზა აეშენებინათ და ისეთი მტვერი აღარ იყო. მაგრამ როგორც კი ეს მონაკვეთი გავიარეთ, ისევ მტვრის ბუღი დადგა. გზაზე ოთხ-ხუთ ფოსტის სადგურში გავჩერდით და ცხენები გამოვცვალეთ. ყველა სადგურში კაზაკი და მუსლიმი მხედრები გვხვდებოდნენ და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ერთი კაზაკი თათრული წარმომავლობისა იყო, მაგრამ რუს თათრებთან საერთო არაფერი ჰქონდა. აიუბ აყა ერქვა. ოფიცერი იყო და ყვითელი ეპოლეტები ეკეთა. თურქული კარგად იცოდა, რადგან მისი მშობლიური ენა იყო. ჩვენს *კალიასკას* მოჰყვებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა არ იყო, ძალიან მხნედ გამოიყურებოდა. ფოსტის სადგურ ალგეთში (Āl Ket), რომელიც თურქულად „აიღე და წადის" ნიშნავს, სადილი დაგვახვედრეს. უკვე ღამდებოდა, მე კი მთელი დღის მშიერი ვიყავი. მხოლოდ ჩაი და საზამთრო მივირთვი და ვილოცე, სხვებმა კი კარგად ისადილეს. მერე ისევ *კალიასკებში* ჩავსხედით და გზა განვაგრძეთ. ისეთი მტვერი იდგა, რომ, მიუხედავად მთვარიანი ღამისა, არაფერი ჩანდა. უზარმაზარი მინდორი ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. სანამ ალგეთის სადგურში შევიდოდით, ერთი მდინარე გავიარეთ, რომელიც მტკვარს უერთდებოდა. მდინარეზე ხიდი იყო აშენებული. სამი საათის დაღამებული იყო, მდინარე აღსთაფას (Āghstafā) რომ მივადექით. დიდი მდინარეა, მაგრამ ახლა მეჩხერი იყო. იქაურ ფოსტის სადგურს მდინარის სახელი ერქვა. მდინარის მეორე მხარეს გამოჩნდა ფოსტის სადგური და სახლი, რომელშიც ღამე უნდა გაგვეტარებინა. *კალიასკიდან* ჩამოვედით და შევედით ერთ სახლში, რომელშიც ორი ოთახი იყო. ყველანი აქა-იქ მოთავსდნენ და ვივახშმეთ. ცხელოდა და უამრავი რწყილი და კოღო იყო. ერთი საოცარი ამბავი მოხდა. მითხრეს, რომ ჰაჯი მირზა ალი მოყადასი ჩამოსულიყო. მისი და-

ნახვა ძალიან გამიკვირდა. ბევრი ვიცინე. ძალიან უცნაურად გამოიყურებოდა: გამხდარიყო, შავი წვერი მოეშვა და სახე ექსკრემენტივით გაყვითლებოდა. ეს სულელი, გადარეული ჰაჯი თავრიზიდან ერევნის, ნახჭევანის და დილიჯანის გავლით ჩამოვიდა და ორი დღეა, რაც აქ არის. ცოტა ხანი თეირანის სიახლეებზე და სხვა ამბებზე ვისაუბრეთ. მერე გვითხრა, *აბგუშთი* მაქვსო და წავიდა. თან რამდენიმე კაცი ახლდა, დანარჩენები კი არაქსის (Aras) ნაპირზე დაეტოვებინა. მოკლედ, ძალიან უცნაურად იქცეოდა. დილით თბილისში ან თავრიზში დაბრუნება მოისურვა. ვერაფერი გავიგე, სად მიდიოდა. დასაძინებლად დავწექი, მაგრამ ვერ მოვისვენე და ძალიან, ძალიან ცოტა მეძინა. გავწვალდი.

ნასერ ად-დინ შაჰის ევროპაში მეორე მოგზაურობის მოგონებათა დღიური (1878)

[1295 წლის] 10 ჯუმადა ალ-ულა (1878 წლის 12 მაისი), ორშაბათი:

დღეს ალგეთში უნდა გავემგზავროთ. იქამდე 105 *ვერსია*. დილით ადრე ავდექი. ერევნის გუბერნატორი დაგვეთხოვა და უკან გაბრუნდა. *[კალიასკებში]* ჩავსხედით და დავიძარით. გზა ფართო ხეობას მიუყვებოდა. მარცხნივ მდინარე დილიჯანი მოდიოდა. გზის ორსავე მხარეს მაღალი, ტყით დაფარული მთები და ყვავილებით მოფენილი მწვანე მინდვრები მოჩანდა. მარჯვენა მთა უფრო მაღალი და დაბურული იყო. აქაური ბუნება მაზანდარანისასა ჰგავს, მაგრამ ტყის მასივი უფრო ვიწროა და მთის იქითა მხარეს საერთოდ წყდება. აქ ყველა ჯიშის ხეს შეხვდები. [ხეობის] ბოლომდე ბევრი კიპარისი და მთის ფიჭვია, მაგრამ იქამდე 5-6 *ფარსანგი* იქნება. გზისა და მდინარის ნაპირები ყვავილებით არის მოფენილი. თარას-ჩაიში (Taras Chāy) მივედით და ცხენები გამოვცვალეთ. აქ დილიჯანს ძალიან წყალუხვი მდინარე უერთდება. თარას-ჩაიდან წამოვედით, ხიდზე გადავედით და მდინარე მარჯვნივ ჩამოვიტოვეთ. ირგვლივ ისევ ტყით დაფარული მთები, ბევრი წყალი, ხე და ყვავილი იყო. გავიარეთ სოფლები ქარავანსარა (Kāravānsarā), რომელშიც ერთი ქარვასლაც კი არ არის, და უზუნთალა (Ūzūn Tālā). ორივეგან ცხენები გამოვცვალეთ. ბოლოს გავჩერდით სოფელ აღსთაფაში. იქ ბევრი მუსლიმი, სომეხი და რუსი დიდგვაროვანი შეკრებილიყო. სადილი დაგვახვედრეს და მივირთვით. ხუთი წლის წინ ევროპიდან რომ ვბრუნდებოდი, სწორედ ამ ფოსტის სადგურში გავათენე ღამე და მერე განჯასა და ბაქოში წავედი. სადილის შემდეგ *კალიასკებში* ჩავსხედით. თბილისიდან ჩვენ დასახვედრად ჩამოვიდა *პრინცი* გაგარინი (Qāqāzīn), რომელიც თბილისის გუბერნატორია.

გზა განვაგრძეთ და მივედით ფოსტის სადგურ ზურარეხში (Zūr Ārekh), სადაც ცხენები გამოვცვალეთ. იქიდან ფოსტის სადგურ სალოღლიში (Salāh Oghlī) წავედით. აქაც უამრავი ხალხი ირეოდა. მდინარე ხრამზე (Kh(a)rām) გადებულ ხიდზე გადავედით და სალოღლიში ჩავედით. ცხენები ისე გამოგვიცვალეს, *კალიასკიდან* არ გადმოვსულვართ. *კალიასკის* წინ უამრავი ქვეითი კაზაკი იდგა. გამოველაპარაკეთ და გვითხრეს, რომ ამ მდინარის პირას ბევრი სოფელი და

კარ-მიდამოა, სადაც კაზაკების დაახლოებით 12000 კომლი ცხოვრობს. მათი დასახლებების ქვედა საზღვარი განჯის მხარეს შამს ად-დინლოზე (Shams ad-Dīnlo) გადის, ხოლო ზედა საზღვარი – თბილისისკენ გატეხილ ხიდზე (Sanakh Kerpī) და ბორჩალოზე (Bozchalo). ბორჩალოს ხანებიც აქ იყვნენ. კაზაკების ნაწილი შიიტი, ნაწილი სუნიტი, ნაწილი კი სომეხია. შამს ად-დინლოს კაზაკებს რუს კაზაკებთან საერთო არაფერი აქვთ. ისინი სულ სხვა ჯურის ხალხია და მათი აღმსარებლობა რუსულია.

მოკლედ, გზა განვაგრძეთ და მივედით სოფელ ალგეთში. მთავარსარდალი და სხვა ოფიციალური პირები ისეთსავე ოთახებში დააბინავეს, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობდით. გარეთ კარავი გაშალეს. საღამოს *სალდათები* დოლზე უკრავდნენ და მღეროდნენ. ცივი და ნესტიანი ამინდი იყო.

11 ჯუმადა ალ-ულა (13 მაისი), სამშაბათი:

დღეს თბილისში უნდა გავემგზავროთ. იქამდე 44 *ვერსია*.

დილით ავდექი და ტანსაცმელი ჩავიცვი. მერე *[კალიასკაში]* ჩავსხედით და დავიძარით. ალგეთიდან ორი *ფარსანგის* მანძილზე სულ მინდვრები და ყვავილებით მოფენილი მწვანე ველები იყო. ბოლოს მივადექით ღრმა, ნაშალ ხევს, რომლის მარცხნივაც უამრავი ტიტა ყვაოდა. ამ მთაში, ხეობასა და ღრანტებში დიდხანს მივდიოდით, მერე მოვუხვიეთ და დაბლა დავეშვით. გამოჩნდა მდინარე მტკვარი და თბილისის დაბლობი.

იაღლუჯის (Yāghlūje) ფოსტის სადგურში ცხენები გამოვცვალეთ და ფოსტის სადგურ სოლანლულში (Suqānlīq) შევედით. მინდორში თბილისში ირანის კონსული ამინ ალ-მოლქი და აქაურობის ფოსტის უფროსი მირზა მოჰამად ალი ქაში დაგვხვდნენ. ამინ ალ-მოლქი სრულ საპარადე ფორმაში იყო გამონყობილი და ძალიან პეწიანად გამოიყურებოდა. *კალიასკა* გაჩერდა. ცოტა ხანი ვისაუბრეთ, ცხენები გამოვცვალეთ და გზა განვაგრძეთ. ამინ ას-სალთანე ჩემ წინ იჯდა. ცოტა ხანში გამოჩნდა თბილისი, რომელიც მთის ქვაბულში მდებარეობს. ქალაქის მისადგომებთან გზაზე ხალიჩები ეფინა და ზედ სატრიუმფო თაღი იყო აღმართული. ძალიან, ძალიან დიდი პატივითა და ცერემონიებით მიგვიღეს. *კალიასკიდან* გადმოვედი და გზა ფეხით განვაგრძე. ამინ ას-სალთანე ჩემ გვერდით მოდიოდა, მთავარსარდალი და სხვები კი უკან მოგვყვებოდნენ. სტაროსელსკი (Estāroselskī) ქართველი დიდგვაროვნების, დიდმოხელეების და *ქალანთარის* თანხლებით შეგვეგება. ეს კაცი უწინ ბაქოს გუბერნატორი იყო და ხუთი წლის წინ ევროპაში რომ მივემგზავრებოდი, მას ბაქოში შევხვდი. ძალიან კარგი კაცია. ახლა მთელი კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსია. თავიდან, სანამ ახლოს არ მოვიდა, ვერ ვიცანი, თუმცა კი სახეზე მეცნო. ხალხი *„ურას"* ძახილითა და *სალუტით* დაგვხვდა. ამასობაში მენშიკოვიც (Menchīkof) დაგვეწია. მთავარსარდლის *დროშკაში* ჩავსხედით. ამინ ას-სალთანე ჩემ წინ იჯდა. თბილისში შევედით და ჭუჭყიანი ქუჩები გავიარეთ. სახლების აივნები, ფანჯრები და ქუჩები ხალხით იყო სავსე. ქართველი, ევროპელი და სომეხი ქალები ძალიან ლამაზები არიან.

მოკლედ, მეფისნაცვლის სასახლის ეზოში შევედით. ევროპაში პირველი მოგზაურობიდან რომ ვბრუნდებოდით, მაშინაც აქ ვცხოვრობდით. პარმაღთან პოლკის ჯარისკაცები გამწკრივებულიყვნენ. მეფისნაცვლის თანაშემწე მირ-

სკი (Mīrskī) კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო დიდმოხელეების თანხლებით დაგვხვდა. უამრავი ხალხი შეიკრიბა. მირსკიმ სათითაოდ ყველა მათგანი წარმოგვიდგინა. იმპერატორის ძმის, დიდი თავადი მიხეილის (Dūk Mīshel) ვაჟები და მათი აღმზრდელები მოვიდნენ. ხელი ჩამოვართვი. 14-15 წლის სასიამოვნო და თავაზიანი ახალგაზრდები იყვნენ. უფროსს მიხაილ მიხაილოვიჩი (Mīkhā'īl Mīkhā'īlovīch), უმცროსს კი გიორგი მიხაილოვიჩი (Georkī Mīkhā'īlovīch) ერქვა.

მისალმების შემდეგ ოთახში შევედით. უფლისწულებიც შემოვიდნენ და სასაუბროდ დავსხედით. მეფისნაცვალი და მისი ცოლი თბილისში არ იყვნენ, პეტერბურგში ბრძანდებოდნენ. მისაღებ დარბაზში უამრავი ხალხი ირეოდა. მირსკიმ ყველა მათგანი წარმოგვიდგინა და მერე დაიშალნენ.

იქვე ვისადილეთ. დიდი რაოდენობით კარგი კიტრი ჰქონდათ. ამინ ალმოლქს ვესაუბრე და შემდეგ დარბაზის წინ მდებარე ბაღში გავისეირნე. იქ მშვენიერი ყვავილები ხარობდა, რომელთა მსგავსი ჯერ არ მენახა.

საღამოს გავედით მეორე ოთახში, რომელიც ქუჩასა და მინდორს გადაჰყურებდა. ფანჯრები გავაღეთ და გავიხედეთ. გაჩირაღდნებულ ქუჩებში უამრავი ქალი და კაცი ირეოდა. ძალიან კარგი ფეიერვერკი მოაწყვეს. ხალხი მართლა მთელი გულით ილხენდა და მხიარულობდა. ყოველნაირად ცდილობდნენ, რომ ჩვენთვის და რუსი მოხელეებისთვის პატივი ეცათ. ძალიან, ძალიან კარგი იყო.

ქალაქი თბილისი პირველი მოგზაურობის დღიურში უკვე აღვწერე და კიდევ რამის დაწერა საჭირო არ არის.

[ჯუმადა ალ-ულას] 12 (14 მაისი), ოთხშაბათი:

ეს დღე თბილისში გავატარეთ. ისევ მიღება გაიმართა და დარბაზში დიდმოხელეები და სხვები შეიკრიბნენ. მირსკიმ ყველა მათგანი წარმოგვიდგინა. მერე უფლისწულების მოსანახულებლად წავედით. მათი ოთახები ჩვენი ოთახების გაყოლებაზე იყო. ცოტა ხანი სასაუბროდ დავსხედით. ოთახიდან ქუჩასა და მინდორზე მშვენიერი ხედი იშლებოდა. კარებზე და კედლებზე კავკასიის პეიზაჟები და ფოტოები, ასევე ხივასა და ბუხარის მცხოვრებთა საცხენოსნო აკაზმულობა და იარაღი ეკიდა. ქვევით ჩავედით და უფლისწულებისა და მათი აღმზრდელების თანხლებით სასახლის შიდა ბაღში გავისეირნეთ. უფლისწულებმა ყვავილები დაკრიფეს და მოგვართვეს. მერე შეგვიძღვნენ სათბურში, რომელშიც უამრავი მარწყვი და ყვავილი იზრდებოდა. ასეთი ჯიშის ყვავილები თეირანში არ მენახა.

შემდეგ წავედით თბილისის მუზეუმში, რომელიც ბაღიდან ერთი ქუჩის დაშორებით მდებარეობს. *დირექტორმა* (direktor), რომელსაც ...[239] ერქვა და ფრანგულად მშვენივრად ლაპარაკობდა, მთელი მუზეუმი დაგვათვალიერებინა. უფლისწულებიც იქ იყვნენ და ყველანი ფრანგულად ვლაპარაკობდით. მუზეუმში ცოცხალი ცხოველები და ჩიტები – ხოხობი, დურაჯი და სხვა – ვნახეთ. იქ უამრავი ნაირგვარი ექსპონატი იყო: სხვადასხვა ქვეყნის ძველი და ახალი ნივთები, დიდი და პატარა ცხოველები და ფრინველები. მკვდარი ცხოველებისგან

---

239 იმხანად მუზეუმის დირექტორი იყო ცნობილი ბუნებისმეტყველი და ეთნოგრაფი გუსტავ რადე (1831-1903).

გაეკეთებინათ ფიტულები, რომლებიც ცოცხალს ჰგავდა. მათ შორის იყო ვეფ-ხვი, ლეოპარდი, ტახი, ბიზონი ანუ გარეული კამეჩი და შავი ზღვის დელფინი, რომელიც ძალიან იშვიათი ცხოველია; აგრეთვე მკვდარი აქლემი, სვავი, ყვავი, მელა, ტურა და კიდევ ბევრი ცხოველი, რომელთა ფიტულები, მართლაც რომ ოსტატურად იყო გაკეთებული. მუზეუმში ასევე ინახებოდა კავკასიის რეგიონის წიაღისეულის, ყვავილების, მცენარეების და ხეების ნიმუშები.

გარეთ რომ გამოვედით, წვიმა მოდიოდა. წავედით ბაღის ბოლოს მდგარ აბანოში, რომელიც მეფისნაცვალს ეკუთვნოდა. პატარა, მაგრამ ძალიან კარგი აბანო ევროპულ ყაიდაზე იყო აგებული და შიგ ცხელი წყალი მოდიოდა. ჰაჯი ჰეიდარმა ტანსაცმელი გაიხადა და, მადლობა ღმერთს, კარგად მაბანავა. გუშინ თბილისში შემოსვლისას ვნახეთ ოსმალო ტყვეები, რომლებიც ქუჩაში თავიანთი სახლის წინ იდგნენ და მათხოვრობდნენ. ოთხას კაცამდე იქნებოდა. ჩამოძონძილი ტანსაცმელი ეცვათ, მაგრამ კარგი ახალგაზრდები იყვნენ. მათში რამდენიმე სქელკისერა მონა-ზანგიც ერია.

დღეს საღამოს, ღვთის შეწევნით, თეატრში მივდივართ. მირსკი ძალიან ღირსეული კაცია, ფრანგულად მშვენივრად ლაპარაკობს, კარგი პოლიტიკოსია[240], მაგრამ სახითა და უუჟუნა თვალებით კეკლუც ქალბატონს ჰგავს.

ვახშმის შემდეგ *კალიასკაში* ჩავსხედით. მიუხედავად იმისა, რომ მთელი საღამო გულისგამაწვრილებლად წვიმდა და ძლიერმა წვიმამ თეატრის ბაღი და ჩირაღდნები დააზიანა, ხალხი მაინც შეიკრიბა. მაღლა ავედით და პატარა *ლოჟაში* დავსხედით. მთავარსარდალი, მირსკი და ორბელიანი ჩვენს *ლოჟაში* დაბრძანდნენ. ორბელიანი ქართველ მეფეთა შთამომავალია. მას ფარაჰაბადში შევხვდით. 75 წლისა იქნება, მაგრამ ჯერ კიდევ ხალისიანი და სიცოცხლით სავსე კაცია.

მოკლედ, თეატრი პატარა იყო და ზედა რიგებში რუსი მოხელეების მკერდ-მოშიშვლებული და შილიფად ჩაცმული ცოლები და ქალიშვილები ისხდნენ. მათში შვიდი-რვა ძალიან ლამაზი იყო. წარმოდგენა დაახლოებით საათნახევარი გაგრძელდა. ერთი ზორბა, მსუქანი, ქვის ქანდაკებასავით ჩამოსხმული ქალი, ერთი ბიჭი და ერთი ებრაელი სცენაზე წინ და უკან დადიოდნენ და მღეროდნენ. ოფიცრები ქვევით ისხდნენ. როცა ფარდა დაეშვა, ავდექით და ნაყინის საჭმელად გარეთ გავედით. უკან დაბრუნებულებს მირსკიმ ქალბატონები წარმოგვიდგინა. სპექტაკლის მერე გავისეირნეთ თეატრის მიმდებარე ბაღში, სადაც მშვენიერი გამანათებელი მოწყობილობები ეყენა, მაგრამ წვიმას ყველაფერი დაეზიანებინა. სეირნობის შემდეგ შევედი ჩემს სამყოფელში ანუ ბაღის ზედა ტერასაზე გაშლილ კარავში. ძილი გამიტყდა და ძალიან ცუდად მეძინა.

13 ჯუმადა ალ-ულა (15 მაისი), ხუთშაბათი:

დღეს უნდა გავემგზავროთ სოფელ მლეთაში (Melīt), რომელიც კავკასიის მთის კალთაზე მდებარეობს და იქამდე 108 *ვერსია*.

---

240 ავტორი ხმარობს ხელოვნურ რუსულ-სპარსულ კომპოზიტს: „polītīkdān" (სიტყვ. „პოლიტიკის მცოდნე").

დილით ავდექი და ნასერ ალ-მოლქის შვილიშვილს აბუ'ლ-ყასემ ხანს შევხვდი. ამ საწყალმა საშინელი წვალება გამოიარა: ფოსტის სადგურებში ცხენები ვერ იშოვა, ამიტომ უკან დარჩა და თბილისამდე მხოლოდ გუშინ ჩამოაღწია. თეირანში მამალი ლომივით გამოიყურებოდა, აქ კი ძალიან გასაცოდავებული, გამხდარი და გაყვითლებული მეჩვენა. საწყალმა მთელი ღამე გაატარა ღია, ურესორებო სატვირთო ოთხთვალაში, რომლითაც თივა გადაჰქონდათ. გულმუცელი ერთიანად დანჯღრეული ჰქონდა. მოკლედ, ძალიან სასაცილო იყო. სანამ ცხენს იშოვიდა და გზას გააგრძელებდა, თბილისში დარჩა. ერთი სიტყვით, ტანსაცმელი ჩავიცვით და წავედით ერთ დარბაზში, სადაც უფლისწულებს ირანული ორდენები და ლენტები გადავეცით და ხელი ჩამოვართვით. დიდი მადლობა გადაგვიხადეს. შემდეგ დარბაზში მირსკი და სხვა რუსი მოხელეები დაგვხვდნენ და ჩვენდამი დიდი პატივისცემა გამოხატეს.

ქვეეით ჩავედით, *კალიასკაში* ჩავსხედით და თბილისიდან გავემგზავრეთ. თბილისიდან მცხეთის (Mesīkhet) ფოსტის სადგურამდე 20 *ვერსია*. გზა დაგებული არ იყო და გუშინდელ წვიმას საშინლად აეტალახებინა. *კალიასკიდან* ავარდნილი შხეფებისგან კაზაკი მხედრები და მეეტლეები ერთიანად ტალახში ამოიგანგლნენ. ძალიან სასაცილო იყო. *სიაჩი* ჩემ წინ იჯდა. ერთმა რუსმა ოფიცერმა ჩვენს *კალიასკას* გაასწრო, რათა მცხეთაში დაგვხვედროდა და პატაკი ჩაებარებინა. თავიდან ფეხებამდე ტალახში ისე ამოითხვარა, რომ სახეც კი არ უჩანდა. სანამ ცხენებს გამოცვლიდნენ, ფოსტის სადგურში გავჩერდით. ის ოფიცერი გვეახლა და პატაკი ჩაგვაბარა. მისი ტალახიანი სახის დანახვაზე კაცი სიცილით მოკვდებოდა, მაგრამ მე არ გამიცინია.

მოკლედ, გზა განვაგრძეთ და მივედით ფოსტის სადგურ წილკანში (Tezelqān). მშვენიერი შენობა იყო. ოთახში შევედით და ვისადილეთ. დილას თბილისში *ბაშის* შეამცივნა და აქ სიცხემ აუწია. სადილის შემდეგ გეზი დუშეთისკენ (Dūshīt) ავიღეთ. ეს დასახლება ლამაზი მთის კალთაზეა გაშენებული. მისი ფოსტის სადგური მდინარის მეორე მხარეს მდებარეობს. იქიდან წამოვედით, ფოსტის სადგურები ანანური (Tānāūr) და ფასანაური (Pāsānāūr) გავიარეთ და სოფელ მლეთისკენ გავემართეთ.

მას შემდეგ, რაც თბილისიდან წამოვედით, გზაზე სულ ამწვანებული, ნაყოფიერი, ყვავილებით მოფენილი მინდვრები და ქართველების სოფლები გვხვდებოდა. გზის ორსავე მხარეს დიდი და პატარა მთები, ტყეები, აყვავებული ხეები, ნათესები, ურწყული მიწები, მდინარეები და სხვადასხვა ჯიშის ყვავილები მოჩანდა. იქაურობა მართლაც რომ ძალიან შთამბეჭდავი და ლამაზი იყო. მოღრუბლული, ნისლიანი ამინდი იდგა და წვიმდა. თბილისთან ახლოს მდინარე მტკვარი გზას მარჯვნიდან ჩამოუდის. იმავე მხარეს არის ბაქო-ფოთის რკინიგზის ხაზიც, რომელზეც ჩვენ პარალელურად დიდი სისწრაფით მიჰქროდა ფოთში მიმავალი მატარებელი. თბილისიდან ორ *ფარსანგში* რკინიგზის ხაზი მარცხნივ დარჩა და თვალს მიეფარა, ჩვენ კი მცხეთის სადგურთან ხიდზე გადავედით და გეზი ჩრდილოეთისკენ ავიღეთ. სანამ მცხეთასა და მის მიმდებარე სოფლებში მივდიოდით, გზა ხან მთებში ჩაფლულ, ტყით დაფარულ ხეობას მიუყვებოდა, ხან კი მინდვრებზე გადიოდა. ჩვენ თვალწინ აყვავებული ხეები, ამწვანებული ველები და მდინარეები ელვისებური სისწრაფით ენაცვლებოდა ერთმანეთს და არემარე



თბილისი, კავკასიის მუზეუმი. 1890-იანი წლების ფოტოსურათი.

ძალიან ლამაზი იყო. ჩავედით ფოსტის სადგურ ანანურში (Ānānūr). აქედან სოფლამდე დაახლოებით 300 ნაბიჯი სიგრძის ვიწრო ხეობა გადის, რომელშიც მდინარე არაგვი (Ārāq Vā) მოედინება. არაგვი კავკასიის მთებში იღებს სათავეს და მტკვარს უერთდება. კალამი უძლურია, გადმოსცეს ამ ხეობის სილამაზე. ხელმარჯვნივ მაღალი მთები, დაბალი ტყეები და ამწვანებული და ყვავილებით მორთული მინდვრებია. გზის გასწვრივ ახლადაყვავებული ხილის ხეები თეთრად არის გადაპენტილი. მთებიდან უამრავი ნაკადული ეშვება და მდინარეს უერთდება. მთის წვერზე, კალთებზე და ხეობის გასწვრივ ქართველების სოფლებია და მათში სახლები ზოგან ცალ-ცალკე და ზოგან ჯგუფ-ჯგუფად დგას. აქა-იქ ხეობებს შორის მოჩანს კავკასიის დიდებული მთის თოვლიანი მწვერვალები. ეს მთა ყაფის სახელით არის ცნობილი[241]. შეჰყურებ ამ თოვლსა და დიდებულებას, რომელიც, ჭეშმარიტად, ღმერთის შექმნილია, და გაოცებას ვერ მალავ.

მოკლედ, მზის ჩასვლისთვის მლეთაში მივედით. რუსი ჯარისკაცების პოლკი, რომელიც აქ არის განთავსებული, შენობის წინ მწყობრში იდგა. მათი სარდალი ალექსანდრ ივანოვიჩ პეტროვსკია (Petrofskĭ Aleksandr Ivānovĭch).

მლეთა ძალიან მაღალზე მდებარეობს და ამიტომ აქ ტყე არ არის. ცივი კლიმატის გამო იმ ხეებსაც, რომლებიც მთაში იზრდება, ფოთლები ჯერაც არ მოუსხამს. მლეთის ფოსტის სადგური დიდებული შენობაა და ის რუსების აშენებულია. მრავალსაფეხურიანი კიბე ავიარეთ და შევედით ოთახში, საიდანაც მთაზე, ხეობაზე და მდინარეზე მშვენიერი ხედი იშლება. აქ ძალიან ცივა.

---

241 იხ. შენიშვნა 40.

თბილისის მუზეუმის დათვალიერებისას ფრინველების გალიას ჩავუარეთ. შიგ რამდენიმე ბუ იჯდა. ბუს ფრანგულად „გრანდ დუკი" ჰქვია. ვთქვი: „ესენი გრანდ დუკები არიან". მეფისნაცვლის შვილებს ძალიან შერცხვათ, რადგან მათ მამას „გრანდ დუკს"[242] ეძახიან. მათმა გამზრდელმა თქვა: „მართალი ბრძანდებით, ბუს ფრანგულად ასე ჰქვია".

მუზეუმში ერთი საოცარი ერკემალიც ვნახე. მომკვდარიყო და მისგან [ფიტული] გაეკეთებინათ. რქები ჩვენი ცხვრების რქებს მიუგავდა, მაგრამ უკან ჰქონდა გადაწეული. შავი კანი, საშინელი ყვითელი თვალები, უცნაური დრუნჩი და ძალიან, ძალიან მოკლე ხელ-ფეხი ჰქონდა. ეს ცხოველი კავკასიის მთებში ბინადრობს.

ნასერ ად-დინ შაჰის ევროპაში მესამე მოგზაურობის მოგონებათა დღიური (1889)

წინა გზა

[1306 წლის] 14 რამაზანი (1889 წლის 14 მაისი), ოთხშაბათი:

დილით თერთმეტის ნახევარზე ავდექი. გუშინ ღამე კარგად მეძინა. დღეს მოწმენდილი და მზიანი ამინდია. აქ დილაობით ისედაც ბევრი პრობლემაა და ახლა ისიც დაემატა, რომ ჰაჯი ჰეიდარი სადღაც ჯანდაბაში დაიკარგა. ცოტა ხანში იპოვეს და მოიყვანეს, მაგრამ სამართებელი თან არ ჰქონდა. ეტყობა, ეგონა, იმისთვის ვეძახდი, რომ აქაურობის გუბერნატორად დამენიშნა. წავიდა, სამართებელი მოიტანა და წვერი გამპარსა.

დღეს თბილისში უნდა გავემგზავროთ. აღსთაფამდე საფოსტო *კალიასკებით* ვიმგზავრებთ, იქიდან თბილისამდე კი, როგორც ამბობენ, რკინიგზის ხაზი გადის. წავალთ, ვნახავთ და დავრწმუნდებით. ბეგლაროვი (Bīglarof) გვიმტკიცებდა, რომ ამინ ად-დოულე, მუჩულ ხანი და სხვები თბილისში ასე ჩავიდნენო. ჯუჯე, რომელიც დილით მოვიდა, ამბობდა: „ბულბული გალობს, უკვე თორმეტის ნახევარია და გამგზავრების დროა". მაჯდ ად-დოულე აზიზ ას-სოლთანის გასაღვიძებლად გავაგზავნე. დაბრუნდა და მითხრა: „აზიზ ას-სოლთანს მშვიდად სძინავს და ჰაჯი ლალა მძინარეს წინდებს აცმევს". ბოლოს ყველამ ჩაიცვა და გასამგზავრებლად მოემზადა. *კალიასკებში* ჩავსხედით. აქედან აღსთაფამდე და თბილისამდე სულ ვაკეზე უნდა ვიაროთ. დილიჯანი ძალიან კარგი სააგარაკო სოფელია. აქ სახლებს ბრტყელი სახურავები აქვს. ზოგიერთი მათგანი რკინისაა, დანარჩენებზე კი ბალახი და ყვავილებია გაშენებული და მშვენიერი ადგილია დასასვენებლად და საცხოვრებლად. დილიჯანის სოფლები ხეობაშია გაფანტული. ისინი ძალიან კეთილმოწყობილია და *მაგაზინები* და ბაზარი აქვს. დილიჯანის ახლოს მოედინება მდინარე აღსთაფა, რომელსაც გვერდზე რკინიგ-

---

242 Grand-duc ფრანგულად როგორც ბუს, ისე დიდ თავადს ნიშნავს და დიდ თავად მიხეილს ფრანგულ ყაიდაზე ასე ეძახდნენ.

ზა მიუყვება. მდინარე მარჯვნივ ჩამოვიტოვეთ და მარცხნივ წავედით. ეს მდინარე ძალიან ჰგავს მდინარე ჩალუსს[243]. აქაც ნაპირები ბალახითა და ტყით არის დაფარული და ყოველი მხრიდან მაღალი მთებით არის შემოჯარული. ცოტაც რომ გავიარეთ, მივადექით თარას-ჩაის (Tarse Chāy). იქ ცხენები გამოვცვალეთ, გზა განვაგრძეთ და უზუნთალაში (Ūzūn Talā) ჩავედით. უზუნთალაში შენობები არ იყო, ამიტომ კარავი გაშალეს და ირანული სადილით გაგვიმასპინძლდნენ. ამ მშვენიერი სადილის მომწყობი იყო ბაჰმან მირზას სიძე ზიად ხან განჯე, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა, რომ ჩვენთვის ეამებინა. მიუხედავად იმისა, რომ გარშემო ბევრი ყვავილი და ტყეა, აქ ძალიან ნესტიანი ჰავაა და ცხელა. უზუნთალადან აღსთაფამდე სულ კაზაკები ცხოვრობენ. აქაური კაზაკები რუსები არ არიან, სუნიტი მუსლიმები არიან. ძალიან ქურდბაცაცა და ავი ხალხია. რუსეთის ხელისუფლება მათ ყაჩაღობისა და ქურდობისთვის იჭერს და ციხეში ამწყვდევს. ამ რეგიონში კაზაკების 12000 კომლი სახლობს. მათთ ფაფახები ახურავთ, აზერბაიჯანული ტანსაცმელი აცვიათ და უცნაურად გამოიყურებიან. ერთი მოულოდნელი ამბავი მოხდა: თემურ ფაშა ხანი მოვიდა და მომახსენა, ყაჩაღ ქარამის[244] ძმა გეახლათო. ვუბრძანე, რომ შემოეყვანათ. ერთი თვალებ-ჩასისხლიანებული კაცი შემოვიდა და ჩემ წინ მიწაზე დაეცა. ვკითხე: „შენი ძმა არაქსის მეორე მხარეს რატომ წავიდა?" როგორც გაირკვა, ეს ქარამი დიდი ხნის განმავლობაში რუსეთში ყაჩაღობდა, ახლა კი არაქსის მეორე ნაპირზე გადავიდა და ახლა მაქუსა და ხოიში იმყოფება. მისი ზუსტი ადგილსამყოფელი არავინ იცის და ვერ იჭერენ.

ერთი სიტყვით, ისევ *კალიასკებში* ჩავსხედით, გზა განვაგრძეთ და ქალაქ ყაზახში (Qazāq) მივედით. ეს ქალაქი წინა ჩამოსვლაზე არ გვინახავს, ახალი აშენებულია. რუსეთის ხელისუფლება კაზაკებზე ძალაუფლების დასამყარებლად მათ ახალ სახლებსა და შენობებს უშენებს. ყაზახში კაზაკების ყაზარმა და საგუშაგოა აგებული და განჯის გუბერნატორის თანაშემწე კობსონი (Kobson) ზის.

მოკლედ, გზა განვაგრძეთ და ჩავედით აღსთაფაში. აღსთაფა სოფელი და რკინიგზის სადგურია. *კალიასკებიდან* გადმოვედით. სადგურში ჯარისკაცები, მუსიკოსები და უამრავი ხალხი შეკრებილიყო. თბილისის გუბერნატორი *პრინცი* შერვაშიძე (Shervāshīt) შეგვეგება და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. ამინ ად-დოულე, მოხბერ ად-დოულე და ჯაჰანგირ ხანიც აქ იყვნენ. ძალიან დაღლილი ვიყავი, ამიტომ *მეჰმანდარის* მიპატიჟება მივიღე და ამინ ად-დოულესთან ერთად *ვაგონში* ავედი. მოხბერ ად-დოულეს დაძახება დაგვავიწყდა და ქვევით დარჩა. ცოტა ხანში ჯაჰანგირ ხანი და აზიზ ას-სოლთანიც მოვიდნენ. მთელი ხალხი *ვაგონებში* შეიკრიბა. ბარგი წაიღეს და ხალხმაც მოისვენა.

---

243 ჩალუსი – მდინარე მაზანდარანის ვილაიეთში, ჩაედინება კასპიის ზღვაში.

244 ყაჩაღი ქარამი (Qāchāq Karam) (1858/59-1901) – ცნობილი ირანელი ყაჩაღი, რომელიც ძირითადად კავკასიაში დათარეშობდა. თავისი თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება მან თავად აღწერა მოგონებების წიგნში „კავკასიაში თორმეტწლიანი შფოთისა და ამბოხის მოგონებები". თხზულებაში საქართველო გაკვრით არის ნახსენები, როგორც ყაჩაღის ერთ-ერთი სათარეშო ადგილი. (Qāchāq Karam, *Khāterāti az davāzdah sāl-e toghyān va yāghīgarī dar Qafqāz*, be kūshesh-e Sīrūs Sa'dūndyān, ba moqaddame-ye Rahīm Ra'īs Nīyā, Tehran, 1380/2001).

ვაგონები ერთმანეთზე იყო გადაბმული და ქალაქს ჰგავდა: გრძელი, განიერი და შიგ ბევრი ხალხი ეტეოდა. ისინი წინა ჯერზე ჩემ მიერ ნანახი *ვაგონებისგან* ძალიან განსხვავდებოდა: გაცილებით უფრო დიდი, სუფთა და მაღალჭერიანი იყო. ჩვენს მატარებელში უამრავმა ხალხმა – ირანელმა, ევროპელმა და სხვა – მოიყარა თავი. მათ შორის იყო ერთი ულამაზესი, ატმის მსგავსი ქალიშვილი, რომელიც მთვარესავით ანათებდა. დედამისი ხანდახან ქუდს ხდიდა და გოგონას მშვენიერება ემატებოდა. იქვე იდგა მეორე ქალიშვილიც, რომელსაც თმები დერვიშივით ჰქონდა დაწნული და ძალიან მომხიბლავი იყო. დაახლოებით თხუთმეტი წუთი ამ გოგონების ყურებასა და მათზე ფიქრში ისე გავერთე, რომ სხვების ლაპარაკი არც კი მესმოდა.

ბოლოს, მატარებელი დაიძრა და სამი საათის მერე თბილისში შევედით. ოფიციალური ტანსაცმელი ჩავიცვი. აღსთაფადან თბილისამდე გზა ტყეში მიდიოდა და ძალიან ლამაზი იყო. შორს მაღალი მთები მოჩანდა. გარშემო უამრავი ცხვარი ძოვდა და მათი რაოდენობა 10000 აღწევდა. აქაური ცხვარი თეთრი და უდუმოა და ევროპულ ცხვარს ჰგავს. აღსთაფადან ცოტა გავიარეთ და მდინარე მტკვარზე აშენებულ ხიდს მივადექით. მტკვარი აქ ძალიან წყალუხვია და შესაბამისად ხიდიც ძალიან გრძელია. ხიდზე რომ გადავდიოდით, შემეშინდა, არ ჩაინგრეს-მეთქი. მტკვარი ჯავადთან მდინარე არაქსს უერთდება და კასპიის ზღვაში (Daryā-ye Khazar) ჩაედინება. მოკლედ, გზა განვაგრძეთ და მივადექით ერთ ადგილს, საიდანაც მთები იწყება. ამ მთის გაჭრა ვერ შეძლეს, ამიტომ გზა მთას მიუყვება და მის ერთ მხარეს მთის ფერდი, მეორე მხარეს კი მდინარეა. ძალიან სახიფათო ადგილია და როცა მშვიდობიანად გავიარეთ, ღმერთს მადლობა შევსწირე.

ქალაქი თბილისი უკვე არაერთგზის აღვწერე. ის მთის ქვაბულში მდებარეობს და მდინარე მტკვარი მას შუაზე კვეთს. ქალაქის გარეუბანში ისევ მთასა და ხეობას მივადექით, მაგრამ ამჯერად მთა გაჭრილი და გასწორებული იყო. ამ გზის აშენება ძალიან ძნელი იქნებოდა. ერთი სიტყვით, ქალაქის სადგურში მივედით და მატარებელი გაჩერდა. *მეპმანდარმა* მომახსენა: „მეფისნაცვალი დონდუკოვ-კორსაკოვი (Dondakof Korsakof) უნდა მოვიდეს, დაველოდოთ და სადგურში ერთად გავიდეთ". ცოტა ხანში მატარებელში მეფისნაცვალი ამოვიდა. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. მეფისნაცვალი ძალიან მომეწონა: მაღალი იყო და ჭაღარაშერეული თმა და შუაში გაპარსული წვერი ჰქონდა. 63 წლის იქნებოდა და ძალიან, ძალიან სასიამოვნო მოსაუბრე იყო. მატარებლიდან ერთად ჩავედით. სადგურის შესასვლელთან უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ყველაზე წინ სამხედრო პოლკი იდგა და ჯერ მათთან მივედით. მეფისნაცვალმა ჯარისკაცებს ჩემი სალამი გადასცა და ისინიც ხმამაღლა მომესალმნენ. მერე შევედით ქალაქის *ბეგლარბეგის* ოთახში, სადაც მთელ *მუნიციპალიტეტს* (mūnīcīpalītat) მოეყარა თავი. პურითა და მარილით შეგვეგებნენ. ბოლოს სადგურიდან გამოვედით. მე და მეფისნაცვალი ერთ *კალიასკაში* ჩავსხედით. შელკუნოვი (Shelkonof), რომელიც თარჯიმნობას გვიწევდა, ჩვენთან დაჯდა. როცა ადგილიდან დავიძარით, სროლის ხმა გაისმა და ჩვენს ზურგს უკან ცაში ორი ფეიერვერკი ავარდა. ამინ ას-სოლთანი, აზიზ ას-სოლთანი და სხვები უკან მოგვყვებოდნენ. ქუჩის ორსავე მხარეს ჯარისკაცები, *სალდათები* და სკოლის მოწაფეები გამწკრივებულიყვნენ.

მეფისნაცვალი მათ ხმამაღლა ესალმებოდა და ისინიც ხმამაღლა პასუხობდნენ. მოკლედ, მტკვარზე გადებულ ხიდზე გადავედით და სასახლეში მივედით. ქუჩაში უამრავი ხალხი ირეოდა და „*ურას*" შეძახილები ცას სწვდებოდა. სასახლის შესასვლელთან *კალიასკებიდან* გადმოვედით, კიბეზე ავედით და ერთ დარბაზში შევედით. იქ თბილისის სამხედრო და სამოქალაქო დიდმოხელეები შეკრებილიყვნენ. მათ შორის სამი კონსული იყო: ოსმალეთის, საფრანგეთის და გერმანიის. მეფისნაცვალმა ყველა მათგანი წარმოგვიდგინა. მისალმების ცერემონიალის შემდეგ დასასვენებლად ჩვენს ოთახებში შევედით.

წინა ჯერთან შედარებით, თბილისი გაცილებით უფრო კეთილმოწყობილი მეჩვენა. ვნახეთ ბევრი ახალი სახელმწიფო და კერძო შენობა, რომლებიც დიდებული იყო. ცოტა ხანი ოთახებში დავისვენეთ, ვილოცეთ და შენობის წინ პატარა ბაღში გავისეირნეთ. აზიზ ას-სოლთანი მოვიდა და მითხრა: „მეორე მხარეს ძალიან კარგი ბაღია, სადაც კანჯრები და ერკემალები არიან. წაბრძანდით და იქ გაისეირნეთ". ძალიან გამიხარდა, აზიზ ას-სოლთანს ორი *ფუნტი* მივეცი და ბაღში წავედი. მართლაც, მშვენიერი ბაღი იყო. შიგ ერკემალი, კანჯარი და თხა ვნახე. აქაური ერკემალი რაღაც უცნაურია: ჩვენსაზე გაცილებით უფრო დიდია და რქებიც განსხვავებული აქვს. ძალიან საინტერესო იყო. ერთი სიტყვით, ბაღში გავისეირნეთ და ოთახში დავბრუნდით. ამ საღამოს საქმე არა გვაქვს. დღეს გაცნობილი მთელი ხალხის აღნუსხვა რომ მოვინდომო, რვეული გაივსება. ვინც კი სამოქალაქო და სამხედრო მაღალჩინოსანი იყო, ყველამ აქ მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ ქართველი ბატონიშვილები, რომელთაც აბრეშუმის ძველებური ტანსაცმელი ეცვათ, ასევე *ზინდარბაში*, ნასერ ალ-მოლქი და ებრაჰიმ მირზა, რომელიც ზეგ თავის ცოლთან და ამინ ად-დოულეს ცოლთან ერთად მექაში მიემგზავრება. საღამოს ვივახშმეთ და დავიძინეთ.

15 რამაზანი (15 მაისი), ხუთშაბათი:

დილით ავდექი და ბანაობა მოვისურვე. აბანოში წავედი და ვნახე, რომ ჰაჯი ჰეიდარს აბანოს გასახურებლად ღუმელი დაენთო. შიგნით რომ შევედი, ვიგრძენი, ცოტაც და სიცხისგან გული წამივიდოდა. აბანოდან გამოვედი და დასაბანად ქალაქში გადავწყვიტე წასვლა, მაგრამ მეფისნაცვალმა და *მეჰმანდარმა* მითხრეს, ქალაქის აბანოში წასვლა შაჰს არ შეჰფერისო. მაშინ ვთხოვე, რომ აბანო გაეციებინათ. უამრავი ყინული მოიტანეს. ვუბრძანე, ყინული უკან წაეღოთ და აბანო როგორც იყო, ისე დაეტოვებინათ. როგორც იქნა, აბანო მოამზადეს და შიგ შევედი, მაგრამ ისეთი შეშინებული ვიყავი, რომ ტანსაცმელი არ გავიხადე და მექისემ *ყაბასა* და შარვალში გამხეხა. ტანსაცმელი გამოვიცვალე, გარეთ გამოვედი და ვისაუზმე. საუზმის მერე სამი სკოლა და მუზეუმი უნდა მოვინახულოთ. [ოფიციალური] ტანსაცმელი ჩავიცვი. მეფისნაცვალი მოვიდა და მითხრა, რომ *კალიასკა* მზად იყო. მეფისნაცვალთან და შელკუნოვთან ერთად *კალიასკაში* ჩავჯექი. ამინ ას-სოლთანი, აზიზ ას-სოლთანი, ამინ ხალვათი და სხვები თან გვახლდნენ. თავდაპირველად წავედით კადეტთა სკოლაში[245] (Ekol

[245] იგულისხმება თბილისის კადეტთა კორპუსი, რომელიც 1882 წელს სამხედრო გიმნაზიის რეორგანიზაციის შედეგად გაიხსნა.

Dokade), რომელშიც ოთხასამდე მონაფე სწავლობდა. იქ მუსიკით შეგვეგებნენ და სათითაოდ ყველა ოთახი დაგვათვალიერებინეს. მერე მოვინახულეთ გიმნაზია, რომელშიც დაახლოებით რვაასი მონაფე იყო. გიმნაზიის შემდეგ ვეწვიეთ ქალთა სკოლას, რომელსაც *მადამ* შერემეტიევა (Madam Sheremātof) მეურვეობდა. თავად გენერალი [შერემეტიევი] ავად იყო და სანოლში ინვა, ამიტომ სკოლაში მისი ცოლი დაგვხვდა. ახალგაზრდა და ლამაზი ქალი იყო. ხელი ჩამოვართვით და გავესაუბრეთ. ამ სკოლაში ოთხასამდე სხვადასხვა ასაკის გოგონა სწავლობდა და ყველა მათგანი მომხიბვლელი და სანდომიანი იყო. იქიდან მუზეუმში წავედით. ამ მუზეუმში წინა ჩამოსვლაზეც ვიყავით. ახლა მასზე კიდევ ერთი სართული დაეშენებინათ და სხვადასხვა ექსპონატები, მათ შორის ჩიტები, ხეები, ცხოველები და სხვა დაემატებინათ. მუზეუმში ნაციონალურ ტანსაცმელში ჩაცმული კავკასიელების ცვილის ფიგურები იდგა. დავათვალიერეთ ცხოველები, მცენარეები, მინერალები, ქვები და სხვა ნივთები. ყველა მათგანი ან კავკასიიდან ან მისი მეზობელი რეგიონებიდან იყო ჩამოტანილი. ბოლოს ჩემი ხელწერა ვნახე, რომელიც წინა ვიზიტის დროს მუზეუმს ვუსახსოვრე[246]. ღმერთს მადლობა შევსწირე, რომ თერთმეტი წლის შემდეგ თბილისში ისევ მშვიდობიანად ჩამოვედი. კიდევ ერთი ჩანაწერი გავაკეთე და მუზეუმს დავუტოვე. სახლში ძალიან დაღლილები დავბრუნდით და დავისვენეთ.

დღეს საღამოს მეფისნაცვალთან ოფიციალურ ვახშამზე ვართ დაპატიჟებული. ამ ვახშამს მოგვიანებით აღვწერ, ახლა კი რამდენიმე უცნაურ შემთხვევაზე შევჩერდები: ჩემი იუველირი ალინაყი ვნახე. მართლაც რომ ვირივით მიუყვებოდა გზას და, როგორც გაირკვა, მექაში მიდიოდა. იმპერატორის პირად ადიუტანტს *მოსიე* კელლერს (Kel Ler) საოცარი წვერი ჰქონდა: მოკლე, ორად გაყოფილი და შუაში გაპარსული. წვერის ერთი მხარე ქათქათა თეთრი იყო, მეორე კი – ღია ყვითელი. ძნელი წარმოსადგენია, ასეთი რამ განზრახ გაეკეთებინა.

მზის ჩასვლას ერთი საათი აკლდა, როცა ოფიციალური ტანსაცმელი ჩავიცვი და იმპერატორის ბოძებული ორდენი გავიკეთე. თავად მეფისნაცვალმა გამომიარა და მაუწყა, რომ ვახშამი მზად იყო. ერთად წავედით დიდ დარბაზში, სადაც სუფრა გაეშალათ. მეფისნაცვალი მაგიდის მეორე მხარეს ჩემ პირდაპირ დაბრძანდა. ხელმარჯვნივ ადმირალი პოპოვი (Pāpof) დამიჯდა, ხელმარცხნივ – გენერალ-ლეიტენანტი ტროცკი (Trotskī). დანარჩენ სტუმრებს ქვემოთ ჩამოვთვლი.

---

[246] ნასერ ად-დინ შაჰის ავტოგრაფი-ხელწერა, რომელიც მან კავკასიის მუზეუმს 1878 წელს ამ დაწესებულებაში სტუმრობის დროს უსახსოვრა, შემდგომ წლებში გამოფენილი იყო კავკასიის მუზეუმის შესასვლელ დარბაზში რუსეთის იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრების ავტოგრაფების გვერდით (ამის შესახებ იხ.: Г. Радде, *Краткий путеводитель Кавказского музеума*, Тифлис, 1881, 1; Г. Радде, Краткий путеводитель по Кавказскому музею, Тифлис, 1887, 1; გ. ჩხაიძე, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932)*, თბილისი, 2003, 83, 119). თბილისში ვიზიტების დროს ნასერ ად-დინ შაჰის ცხოველ ინტერესს კავკასიის მუზეუმისადმი და მის მიერ ამ მუზეუმში დატოვებულ ავტოგრაფებს საგანგებოდ შეეხო გ. ბერაძე თავის მოხსენებაში „ნასერ ად-დინ შაჰ ყაჯარი და კავკასიის მუზეუმი", რომელიც წაკითხულ იქნა გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 2010 წლის ივნისში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ირანი და კავკასია: კულტურული და ისტორიული ურთიერთობები".

დარბაზის წინ ქანდარაზე მუსიკოსები ისხდნენ და უკრავდნენ. იქვე იყო ყარაბაღელ მუსიკოსთა ჯგუფიც – მომღერალი, ქემანჩეზე დამკვრელი და მედაირე. მომღერალი ძალიან, ძალიან კარგად მღეროდა და შეიხისა[247] და ხოჯას[248] ლექსებს ასრულებდა. მისი სიმღერა ძალიან გვესიამოვნა. ვერ ვხვდებოდით, მისი ხმა ამ დარბაზში ჟღერდა კარგად, თუ მართლა კარგად მღეროდა. ვახშმის მერე თეატრში უნდა წავიდეთ. მშვენიერი ვახშამი გაგვიმართეს. მეფისნაცვალს სულ ფრანგულად ველაპარაკებოდით. ვახშმის შემდეგ ავდექით და გავედით დარბაზის წინ აივანზე, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა. იქ ცოტა ხანი დავსხედით, წარჩინებულ მოხელეებს ვესაუბრეთ და ჩვენს ოთახში დავბრუნდით. 15 წუთის მერე მეფისნაცვალმა თეატრში წასასვლელად გამოგვიარა. მეფისნაცვალთან და შელკუნოვთან ერთად კიბეები ჩავიარეთ და *კალიასკაში* ჩავსხედით. ჩვენი თანამგზავრებიც თან გვახლდნენ. თეატრი საკმაოდ შორს იყო. შიგ შევედით და ჩვენთვის განკუთვნილ *ლოჟაში* დავსხედით. მეფისნაცვალი ჩემ მარჯვნივ დაჯდა, ადმირალი პოპოვი – მარცხნივ, ამინ ას-სოლთანმა კი პოპოვის გვერდით დაიკავა ადგილი. დარბაზში თბილისის სამხედრო და სამოქალაქო დიდმოხელეები შეკრებილიყვნენ. მათ მივესალმეთ. ფარდა აიწია და ყველანი დასხდნენ. *აქტიორებისა* და *აქტრისების* დასი პარიზიდან იყო ჩამოსული. ეს თეატრი წინა ჩამოსვლაზე უკვე აღვწერე: პატარა, ორსართულიანი შენობაა და შიგ ძალიან ცხელა. ახლა აპირებენ ახალი, უფრო დიდი თეატრის აგებას. როცა ის დასრულდება, თბილისში თეატრის საქმე კარგად წავა. რუსი და ქართველი დიდგვაროვანი ქალები ოფიციალურ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. დარბაზში ორი ირანელი ქალიც იჯდა – დედა და შვილი. დედა ასაკოვანი იყო, ქალიშვილზე კი არც უშნო ითქმოდა და არც ლამაზი. ორივეს სახე ღია ჰქონდა.

მეორე მოქმედება დაიწყო. რადგან ხვალ დილით მივემგზავრებით, ამიტომ მეორე მოქმედების მერე ავდექით და თეატრის მიმდებარე პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზ ბაღში გავედით. ბაღში კარავი გაეშალათ და შიგ ხილი და ნაყინი მოემზადებინათ. *პრინცმა* რამდენიმე დიდგვაროვანი ქალბატონი წარმოგვიდგინა. მათ შორის იყო იუსტიციის მინისტრის ცოლი – ძალიან ლამაზი, მაღალი და მსუქანი ქალი, რომელიც გვერდით მომიჯდა. ცოტა ხანი ვისაუბრეთ, ნაყინი შევჭამეთ და ნარგილე მოვწიეთ. მერე *პრინცთან* ერთად *კალიასკაში* ჩავსხედით, სახლში დავბრუნდით და დავიძინეთ.

მეფისნაცვალთან გამართულ ვახშამს ესწრებოდნენ: *პრინცი* დონდუკოვ-კორსაკოვი, იმპერატორის ადიუტანტი გენერალი პოპოვი, ამინ ას-სოლთანი, ამინ ად-დოულე, მოხბერ ად-დოულე, ამინ ას-სალთანე, მაჯდ ად-დოულე, ე'თემად ას-სალთანე, ამინ ხალვათი, სადიყ ას-სალთანე, ჰაქიმბაში ტულუზანი, მრეწველობის მინისტრი ჯაჰანგირ ხანი, ნასერ ალ-მოლქი, კბილის ექიმი ჰინბათი, ირანის ელჩი მირზა მაჰმუდ ხანი, გენერალ-ლეიტენანტი ტროცკი, გენერალ-ლეიტენანტი სიპიაგინი (Sīpyāgīn), პირადი მრჩეველი პეშჩოროვი (Peshchorof), პირადი მრჩეველი გონჩაროვი (Gonchārof), იმპერატორის კამერჰერი მაგალოვი (Māgālof), თბილისის გუბერნატორი და იმპერატორის კამერჰერი *პრინცი* შერ-

---

[247] ავტორი ცნობილ სპარსელ პოეტს შეიხ საადი შირაზელს გულისხმობს.

[248] ავტორი ცნობილ სპარსელ პოეტს ხოჯა ჰაფეზ შირაზელს გულისხმობს.

ვაშიძე (Shervāshed), იმპერატორის კამერჰერი *პრინცი* არგუტინსკი-დოლგორუკი (Argūtīnskī Dālghorūkī), გენერალ-მაიორი ფერზენი (Ferez), პოლკოვნიკი შატილოვი (Shātīlof), იმპერატორის ადიუტანტი ვერვეკინი (Vervekīn), იმპერატორის ადიუტანტი გრაფი კელერი (Keler), იმპერატორის ადიუტანტი კოლენკო (Kolenko), იმპერატორის ადიუტანტი ვანდერნენი (Vandernen), *პრინც* დონდუკოვის ადიუტანტი პოლკოვნიკი *პრინცი* ორბელიანი (Orbīlyānī).

[რამაზანის] 16 (16 მაისი), პარასკევი:[249]

დღეს მლეთაში (Melet) უნდა გავემგზავროთ. დილით გავიღვიძეთ და ტანსაცმელი ჩავიცვით. 'ემად ად-დოულეს ვაუმა ებრაჰიმ მირზამ ევროპაში ჩვენი თანხლების სურვილი გამოთქვა, მაგრამ შევახსენეთ, რომ თავის და ამინ ად-დოულეს ცოლთან ერთად მექაში უნდა წასულიყო და ამ განზრახვაზე ხელი აიღო. ნაშუადღევს პირველ საათზე მეფისნაცვალი მოვიდა და გვითხრა, რომ გამგზავრების დრო იყო. თავდაპირველად შევედით დიდ დარბაზში, სადაც მღვდელმთავარი გვეახლა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა. მისდამი დიდი პატივისცემა გამოვხატეთ. მთელი წარჩინებული მოხელეები, გენერლები და კონსულები, რომლებსაც ამ ჩამოსვლის დროს შევხვდით, დარბაზში იყვნენ შეკრებილი. ყველას თბილად დავემშვიდობეთ. მერე *პრინცთან* ერთად გარეთ გამოვედით, მას კიბეებთან დავემშვიდობეთ, საფოსტო *კალიასკაში* ჩავსხედით და დავიძარით. როგორც ჩამოსვლის დღეს, ახლაც ქუჩის ორსავე მხარეს ჯარისკაცები, პოლიციელები და კაზაკები ჩამწკრივებულიყვნენ და უამრავი სხვადასხვა ჯურის ხალხი ირეოდა. ჯარისკაცების, პოლიციელებისა და კაზაკების კორდონი გავიარეთ, ქალაქს გავცდით და გზას გავუდექით. დღეს სამხედროებს შორის ვნახე კაზაკი ოფიცერი პოლკოვნიკი დომონტოვიჩი (Dement Vīch), რომელიც კაზაკების გასაწვრთნელად[250] ირანში იყო ჩამოსული და ახლა უკან დაბრუნებულიყო. თავის თავს აღარ ჰგავდა: ძალიან გამხდარი, გაუბედურებული და გაღიზიანებული მეჩვენა.

ერთი სიტყვით, მივედით პირველ ფოსტის სადგურში, მცხეთაში (Menhet) და ცხენები გამოვცვალეთ. მეორე სადგურში, წილკანში (Zelkān) კარგად ვისადილეთ და ისევ ცხენები გამოვცვალეთ. დანარჩენ ფოსტის სადგურებშიც – დუშეთში (Dūshīt), ანანურში (Anāmā Adar) და ფასანაურში (Pāsānāū) – ცხენები შევცვალეთ. ნახევარი საათის დაღამებული იყო, მლეთაში რომ შევედით. დღეს ჯამში 14 *ფარსანგი* გავიარეთ. თითოეულ სადგურში, სანამ ცხენებს ცვლიდნენ, ჩემი თანამგზავრები სათითაოდ შემოდიოდნენ და საუბრით მართობდნენ. ჯერ მაჯდ ად-დოულე, აყა მირზა მოჰამად ხანი და სადიყ ას-სალთანე მოვიდნენ, ბოლო

---

249 ტექსტში შეცდომით შაბათი წერია და ეს შეცდომა 19 რამაზანამდე გრძელდება.

250 პოლკოვნიკი ალექსეი დომონტოვიჩი იყო პირველი მეთაური (1879-1882 წლებში) ე. წ. სპარსული კაზაკთა ბრიგადისა, რომელიც ნასერ ად-დინ შაჰის სურვილით და მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლაევიჩის მხარდაჭერით შეიქმნა. ბრიგადა რუსული კაზაკთა სამხედრო ნაწილების ნიმუშით მოეწყო და მას რუსი ოფიცრები წვრთნიდნენ. მას ევალებოდა თავად შაჰის, დიდმოხელეების, სამინისტროების, დიპლომატიური მისიების, ბანკებისა და არსენალების დაცვა და უწესრიგობების აღკვეთა.

სადგურში კი – აზიზ ას-სოლთანი და მეჰდი ხანი. აზიზ ას-სოლთანი მეჰდი ხანს ეხუმრებოდა, ისიც მხარს უბამდა და ხუმრობითვე პასუხობდა. ბევრი ვიცინეთ და კარგი დრო გავატარეთ.

თბილისიდან რომ გავედით, თავდაპირველად ვაკეზე მივდიოდით. არემარე ამწვანებული და აყვავებული იყო და შორს მთები მოჩანდა. მდინარე მტკვარი გზას მარჯვნიდან მიუყვებოდა. ეს მდინარე ძალიან წყალუხვია და ზღვასავით მოღელავს. თბილისის შემოგარენში კეთილმოწყობილი სოფლები და ძალიან, ძალიან კარგი საძოვრებია, სადაც ცხვრები და ძროხები ბალახობენ. ერთნახევარი *ფარსანგი* რომ გავიარეთ, მინდორი დამთავრდა და აქა-იქ ტყე გამოჩნდა. ახლადაშენებული რკინიგზის ხაზი, რომელიც თბილისიდან ბათუმსა და პეტერბურგში მიდის, გზის მარჯვენა მხარეს, მდინარის იქითა ნაპირზეა. ორი *ფარსანგის* გავლის მერე მივადექით რკინის ხიდს, რომელიც ძალიან მყარია და ლიანდაგზე გადადის. აქ რკინიგზა გზის ხელმარცხნივ არის, მტკვარი კი – ხელმარჯვნივ. მცხეთის სადგურამდე სულ რკინიგზას მივუყვებოდით, მცხეთაში კი დავცილდით და ის პიტერისა და ბათუმისკენ წავიდა, ჩვენ კი კავკასიონისკენ გადავუხვიეთ. ცოტაც რომ გავიარეთ, მივადექით ძალიან კარგ აგურის ხიდს, რომელსაც ერთი დიდი და ერთი პატარა მალი ჰქონდა. მტკვარი ისევ გზის მარჯვნივ იყო. ცოტა ხანში შევედით ერთ ძალიან დიდ სოფელში, სადაც მტკვარს მეორე მდინარე უერთდებოდა. მტკვრის ამ შენაკადზე აგებულ ხიდზე გადავედით და მივადექით მტკვრის მეორე შენაკადს, რომელიც პირველზე გაცილებით უფრო პატარა იყო და შავი და მღვრიე წყალი ჰქონდა. ეს მდინარე მარჯვნივ ჩამოვიტოვეთ და გავემართეთ მლეთისკენ, სადაც ღამე უნდა გავატაროთ. გზა ხან ვაკეზე მიდიოდა და ხან მთის ხეობაში, ხან ვიწროვდებოდა და ხან ფართოვდებოდა. გარშემო ბევრი სომხური სოფელი იყო. რაც უფრო წინ მივიწევდით, გზა უფრო და უფრო ციცაბო ხდებოდა. აქ მთებიც უფრო მაღალია და მეტადაც ცივა. მთის კალთებზე ქართველების სოფლებია შეფენილი. პატარ-პატარა სოფლებია და თითოეულში ხუთი, ათი ან ოცი სახლი დგას. ირგვლივ მშვენიერი მწვანე საძოვრებია. გზას ორსავე მხრიდან სახიფათო ხეობა მიუყვება. მთებიდან უზარმაზარი მდინარეები გადმოსჩქეფს და მტკვარში ჩაედინება. ეს მდინარეები და ნაკადულები სავალ გზაზე გადადის და ამიტომ რამდენიმე ადგილას გზა წყლის ნიაღვრისგან გადარეცხილი და ჩანგრეული იყო. საძოვრებზე თეთრი ცხვრის ფარა ბალახობდა და მას მეცხვარეები დარაჯობდნენ. რაც უფრო მაღლა ავდიოდით, თოვლს უფრო ვუახლოვდებოდით და მეტადაც ციოდა. მთის მწვერვალები თოვლს დაეფარა და ძალიან საშიში სანახავი იყო. გზაზე ძროხები შეგვხვდა. ასეთ დიდ და კარგ ძროხებს ძროხებით განთქმულ მაზანდარანშიც კი ვერ იპოვი. ფაშატი ცხენებიც ვნახეთ. მოკლედ, მთელი გზა მწვანეში ჩაფლული და ყვავილებით მოფენილი იყო. მაღლა რომ ავედით, ვნახეთ მსხლისა და ველური ხეების ახლადგაფურჩქნილი კვირტები. ამ გზაზე რუსეთის ხელისუფლებას დიდძალი ჯარი ჰყავს და ჯარისკაცებისა და კაზაკებისთვის ყაზარმებია აშენებული. ნამდვილი სამხედრო გზაა.

[მლეთაში] რომ შევედით, შენობის კიბეებთან ქართული პოლკი და მუსიკოსები დაგვხვდნენ. მათი მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ტრიტერი (Triter) იყო. პოლკის წინ გავიარეთ, ორსართულიან შენობაში შევედით და მეორე სართულ-

ზე დავბინავდით. სახლის წინ ის მდინარე ჩამოდიოდა, რომელიც მთელი გზა ჩვენ მარჯვნივ იყო და მტკვარს უერთდებოდა. ძალიან ლამაზი ადგილი იყო. წინ ტყით დაფარული მაღალი მთები მოჩანდა. იქაურობა კარგად გაეჩირაღდნებინათ. სადილის დროს ძლიერი წვიმა წამოვიდა და დაიგრგვინა. სანამ სასადილოში ვიყავით, წვიმდა, მაგრამ რომ გამოვედით, გადაიღო. ძალიან სუფთა და კარგი ჰაერი იყო. როგორც ჩანს, ცუდი ამინდი მუდმივ თანამგზავრად გვექცა, რაც ბევრ პრობლემას გვიქმნიდა. შესაძლებელი იყო, წყალი ადიდებულიყო და გზა დაენგრია. ისედაც ერთ-ორ ადგილას წყალს გზა დაეზიანებინა და ძლივს გავიარეთ. პატარა წვიმამ თუ ასეთი ნგრევა გამოიწვია, დიდი რას იზამდა?! მადლობა ღმერთს, ის ადგილები მშვიდობიანად გადავლახეთ, სოფელში შევედით და ვივახშმეთ. ჰაერში ფეიერვერკი გაუშვეს. ცაში ატყორცნილი მაშხალები ხეებზე იფრქვეოდა და ვარსკვლავებივით ციმციმებდა. ძალიან ლამაზი სანახაობა იყო, მაგრამ საზარელი ხმა ჰქონდა.

ჯულფადან თბილისამდე მშვენიერი საფოსტო *კალიასკები* გვყავდა და კარგად ვიმგზავრეთ. მაგრამ თბილისიდან ამ სოფლამდე ცხენებმა გაგვანწვალეს: მოისაქმეს და საშინელი სუნი ასდიოდათ. საქმე იმაშია, რომ მამალი ცხენები მოგვცეს და მათი სიმყრალის მიზეზიც ეს იყო. ღმერთმა დალოცოს ის გოგონა, ერთ-ერთ სადგურზე შირვანული იასამნების თაიგული რომ მოგვართვა. ყვავილები *კალიასკაში* გვედო და იმათმა სურნელმა გვიშველა, თორემ იმ ცხენებს რა გაუძლებდა?! აქ შირვანული იასამანი ახლა ყვავის, თეირანში კი ჩვენ გამგზავრებამდე ოცი დღით ადრე მოილია.

რუსეთში სპეციალური გამოთქმებია, რომლითაც იმპერატორი ჯარისკაცებს ესალმება და ჩვენც რუსეთში ყოფნისას ჯარს ასე მივმართავდით. ქვევით ჩამოვწერ რუსულ გამოთქმებს და მათ ფრანგულ და სპარსულ თარგმანებს, აგრეთვე იმ სიტყვებს, რომლითაც ჯარისკაცები იმპერატორს პასუხობენ.

იმპერატორი ამბობს:

Zdarovo Molodtsi. Vousen bonne sante ler axes jeunes.

გაგიმარჯოთ, მამაცო ახალგაზრდებო.

ჯარისკაცები პასუხობენ:

Zdravia gelaiem vashe welitschestvo. Mous des isony sante a votre Majeste[251].

დღეგრძელობას გისურვებთ, თქვენო უდიდებულესობავ.

თეირანიდან თბილისამდე მთელ გზაზე ჩამწკრივებული იყო ინგლისური წარმოების რკინის ტელეგრაფის ბოძები, რომლებზეც მავთულები იყო გაბმული. თბილისიდან ორი სადგურის გავლის შემდეგ ბათუმსა და პიტერში მიმავალ რკინიგზას და ტელეგრაფის ბოძებს დავშორდით. ძალიან გული დაგვწყდა, რომ ველარ ვხედავდით ტელეგრაფის მავთულებს, რომლებსაც უკვე მივეჩვიეთ.

---

251 ორიგინალში რუსული და ფრანგული ფრაზები ლათინური ანბანით არის მოტანილი. ფრანგული ორთოგრაფია ძლიერ დამახინჯებულია.

[1307 წლის] 9 მუჰარამი (1889 წლის 5 სექტემბერი), ხუთშაბათი:

დღეს 9 საათზე მლეთაში უნდა გავემგზავროთ. 6 საათზე ძილისგან მოთენთილმა გავიღვიძე და ავდექი. მოღრუბლული ამინდი იდგა და ძლიერად წვიმდა. შევფიქრიანდი, ამ წვიმასა და ნისლში ყაფის მთაზე როგორ გადავალთ-მეთქი. ტანსაცმელი ჩავიცვი. წვიმამ ნელ-ნელა იკლო და ჩვენი გამგზავრებისთვის სულ გადაიღო. გარეთ გამოვედი. გუბერნატორი, გენერლები და დიდმოხელეები ჩვენ გასაცილებლად მოსულიყვნენ. მათ დავემშვიდობეთ, საფოსტო *კალიასკებში* ჩავსხედით და ღმერთს ათასი მადლობა შევსწირეთ, რომ აქამდე მშვიდობიანად ჩამოვედით და ახლა ირანის გზას ვადგავართ. ჩემი *კალიასკა* მოწინავე იყო. ჩემ უკან მოდიოდნენ აყადაი, მირზა მოჰამად ხანი, ქერბალაი ალი ხანი და მირზა აბუ'ლ-ყასემი, მერე – ამინ ას-სოლთანი, მის უკან *მეჰმანდარი* პოპოვი, მათ უკან კი აზიზ ას-სოლთანი და სხვები. ქალაქიდან გავედით. თანდათან გამოიდარა და წინ ლამაზი მინდორი გამოჩნდა. ეს გზა, სხვადასხვა პუნქტებს შორის მანძილები და სასტუმროების[252] სახელები ადრე უკვე დეტალურად აღვწერე და ახლა აღარ გავიმეორებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მას შემდეგ, რაც სამ სასტუმროში შევისვენეთ და ცხენები გამოვცვალეთ, სასტუმრო ყაზბეგში გავჩერდით. როგორც წინა ჯერზე, ახლაც *ბალახანაში* ვისადილე. აზიზ ას-სოლთანმა და სხვებმაც ისადილეს. ყაზბეგის მერე ცა მოიწმინდა და მზემ გამოანათა, მაგრამ მაინც ძალიან ციოდა. ამინ ას-სოლთანი თავს შეუძლოდ გრძნობდა. ზამთრის ტანსაცმელი ჩავიცვით, *კალიასკებში* ჩავსხედით და გზას გავუდექით. წინა ჩამოსვლის დროს ეს მთაცა და გზის ნაპირებიც თოვლით იყო დაფარული, ამ ჯერზე კი თოვლი მხოლოდ მოშორებით, მთის მწვერვალებზე იდო. ყაზბეგის ხეობას გავუყევით, ყაზბეგში ჩავედით, იქ გადავუხვიეთ და უღელტეხილის ძირს მივადექით. მდინარე თერგის (Terek) ორივე ნაპირზე ნაყოფიერი მინები და ხორბლის ყანები იყო გაშლილი და მოსავალს იღებდნენ. ღვთის წყალობით, ყაფის მთა გადავიარეთ და ნაშუადღევს 6 საათზე მლეთაში ჩავედით. აქ ყაზბეგზე უფრო ცივი კლიმატია, ამიტომ მოსავალი ჯერ არ აუღიათ. მლეთასთან კაზაკთა ქვეითი რაზმი და მათი ოფიცერი დაგვხვდნენ და ჩვენ წინ მარშით გაიარეს. მერე ავედით *ბალახანაში* და ყველა თავთავიანთ ადგილზე განაწილდა. ჩვენი მგზავრობა ცხრა საათი გაგრძელდა, აქედან შვიდი საათი გზაში ვიყავით, ორი საათი კი სადილს მოვანდომეთ. დღეს ჩემს *კალიასკაში* თავდაპირველად აჰმად ხან ჯუჯე დაჯდა, მერე კი აზიზ ას-სოლთანი, მირზა მოჰამად ხანი, ადიბი, მეჰდი ხანი და *ბაში* დამემგზავრნენ. პირველ სადგურზე, სადაც ცხენების შესაცვლელად გავჩერდით, პატარა ლეკვი ვნახე. ძალიან მომინდა, რომ მეყიდა და თან წამეყვანა, მაგრამ მერე გადავიფიქრე. მეორე სადგურზე აქბარ ხანმა მითხრა, რომ თურმე ის ლეკვი აზიზ ას-სოლთანისთვის ეყიდა და მომიყვანა. მართლა ძალიან ლამაზი იყო. ერთი სიტყვით, ვივახშმეთ და დავიძინეთ.

---

252 აქ და შემდეგაც ავტორი ფოსტის სადგურს სასტუმროს ეძახის, რადგან იმ დროს ფოსტის სადგური ფუნდუკისა და სასტუმროს ფუნქციასაც ითავსებდა.

10 მუჰარამი (6 სექტემბერი), პარასკევი:

დღეს თბილისში მივემგზავრებით. დილის შვიდის ნახევარზე გავიღვიძე. ძალიან ციოდა. მლეთის სასტუმროში მარტო ერთი საპირფარეშოა და ყველა იქ უნდა შევიდეს, ამიტომ დილით საპირფარეშოს წინ საშინელი ალიაქოთი ატყდა. ჩვენ ასეთ საპირფარეშოებს მიჩვეული არა ვართ და ხალხი უცნაურ სიტუაციაში აღმოჩნდა. მაგალითად, საპირფარეშოში შესასვლელად პოპოვი მოვიდა, მაგრამ რამდენიმე კაცი თავაზიანად წინ გაუშვა და სანამ ელოდებოდა, კინაღამ შარვალში მოისაქმა. ამასობაში აქბარ ხანმა მოინდომა შესვლა, მაგრამ, პოპოვის ბრძანებით, ერთმა კაზაკმა უკან გამოათრია. პოპოვი საპირფარეშოში შევიდა და ახლა აქბარ ხანს თვალს ვერ უსწორებს. სხვებიც ასეთსავე დღეში ჩაცვივდნენ. *ვაზირ-მოხთარი,* მირზა რეზა ხანი და მირზა ნეზამი იძულებულებული გახდნენ, საპირფარეშოში ოფიციალური ტანსაცმლით, ეპოლეტებითა და აქსელბანდებით შესულიყვნენ. მაიორი ასთუდახიც (Astūdākh) ოფიციალური ტანსაცმლითა და ორდენით შევიდა და გამოსვლისას პოპოვს სამხედრო სალამი მისცა. საოცარი აურზაური იდგა. ხალხი ისე იქცეოდა, თითქოს ალყაში მოხვდნენო. მეჰდი ხანმა მირზა მოჰამად ალი ხანის მსახურს სთხოვა, მე აქ ვერ შევალ და იქნებ საპირფარეშო ქვევით მომიძებნოო. მსახურმა ის ეზოში ჩაიყვანა და უთხრა: „შეგიძლიათ, ეს საქმე აქ გააკეთოთ". მეჰდი ხანმა გარშემო მიმოიხედა და დაინახა, რომ ეზო კაზაკებით იყო სავსე. მსახურს უთხრა: „აქ არ შეიძლება", რაზეც მსახურმა უპასუხა: „რუსეთში ეს ჩვეულებრივი ამბავია". საბოლოოდ, მეჰდი ხანმა ვერც ეზოში მოახერხა რამე, ვერც ზედა საპირფარეშოში და ასე დარჩა. ამინ ას-სოლთანმა საპირფარეშოში შესასვლელად აზიზ ხანი სადარაჯოდ დააყენა. მოკლედ, ყველა, ვინც შიგნით შედიოდა, კარს კეტავდა. კარს უკან კი საოცარი აყალმაყალი იდგა და საქმე ლანძღვა-გინებასა და ცემა-ტყეპამდეც კი მივიდა.

საბოლოოდ, ყველა გაემზადა და ქვევით ჩავედით. ცხრა საათზე *კალიასკებში* ჩავსხედით და თბილისისკენ გავემართეთ. მლეთადან თბილისამდე მდინარე გზას მარცხნიდან მიუყვებოდა. მის ნაპირებზე ნათესები იყო გაშლილი. პირველ სადგურამდე ძალიან ციოდა და თიბვა დაწყებული არ იყო, მაგრამ რაც უფრო ქვევით ვეშვებოდით, სითბო მატულობდა და უკვე მოსავალსაც იღებდნენ. მეორე სადგურში, რომელსაც დუშეთი (Redesht) ერქვა, სამი ძალიან ლამაზი გოგო ვნახეთ. ერთი მათგანი ევროპელ ლამაზმანს ჰგავდა. დუშეთიდან გავემგზავრეთ და სამი-ოთხი სადგური გავიარეთ. ნაშუადღევს სამ საათზე სასტუმრო წილკანში (Tsīl Kān) ჩავედით და სასადილოდ გავჩერდით. სადილმა დაიგვიანა. ძალიან გვშიოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, საჭმელი მზად არ იყო. საბოლოოდ, ძალიან ცუდი სადილით გაგვიმასპინძლდნენ. ამინ ხალვათს ვუთხარი, რომ ოფიციალური ტანსაცმელი ჩაეცვა და ჩემ წინ დამჯდარიყო. თავადაც ოფიციალური ტანსაცმელი ჩავიცვი. აქაც ბევრი ლამაზი ქალი და გოგო ვნახეთ. სადილის მერე *კალიასკებში* ჩავსხედით. აზიზ ას-სოლთანი და მეჰდი ხანი ჩემ წინ დასხდნენ. დიდხანს ვიარეთ და ბოლოს მცხეთის (Mets Khet) სასტუმროს მივაღწიეთ. აქ ზემოთ ნახსენებ მდინარეს უერთდება მეორე მდინარე, რომელიც ბათუმიდან მოდის. ბათუმი-თბილისის რკინიგზის ხაზი ფოსტის სადგურის უკან გადის. მცხეთაში ბევრი ხალხი ვნახეთ, მათ შორის ჰაჯი ჰოსეინ ალი ხანი, რომელმაც პარიზიდან ბათუმის გავლით თბილისში უამრავი ბარგი ჩამოიტანა, ბათუ-

მის კონსული ალი აქბარ ხანი, თემურ ფაშა ხანი და მისი ვაჟი და აგრეთვე ერთი მაქუელი ხანი. თემურ ფაშა ხანს, რომელსაც *ამირთუმანის* თანამდებობა ვუბოძეთ, ძალიან უცნაურად ეცვა: თეთრი სირმებიანი ტანსაცმელი, რომლის სახელოებიც მთლიანად მოსირმული იყო. ვკითხე: „ეს რა ტანსაცმელია?" მიპასუხა: „სტამბოლის თექა, არტილერიის თექა". მოკლედ, რაღაც უცნაურად ლაპარაკობდა, ვერაფერს გაიგებდი. ბოლოს ავუხსენით, რომ ეს *ამირთუმანის* შესაფერისი სამოსი არ იყო. ერთი სიტყვით, ოთახში შევედით. ამინ ხალვათმაც ოფიციალური ტანსაცმელი ჩაიცვა და გასამგზავრებლად მოემზადა. ამინ ას-სოლთანს მუცელი გვრემდა, ამიტომ პირდაპირ საპირფარეშოში შევიდა და ცოტა ხანი იქ დაყოვნდა. *კალიასკებში* ჩავსხედით. ამინ ხალვათი ჩემ წინ დაჯდა და ქალაქისკენ გავემართეთ. დიდხანს მივდიოდით. საშინელი მტვერი იდგა. ჩვენ კიდევ არა გვიშავდა, მაგრამ ჩვენ უკან მომავლები ძალიან დაიმტვერნენ. მზის ჩასვლისთვის თბილისში შევედით. ამინ ჰოზური და მო'ინ ალ-ვეზარა მინდორში დაგვხვდნენ და ჩვენ დანახვაზე *კალიასკიდან* გადმოვიდნენ. ამინ ჰოზური ისე შეგვეგება, თითქოს თბილისის გუბერნატორიაო. ვუთხარი: *„კალიასკაში* ჩასხედით და უკან გამოგვყევით". გზის პირას უამრავი ხალხი – ევროპელი თუ ირანელი – შეკრებილიყო და გვესალმებოდა. მათ შორის ბევრი ირანელი ვაჭარი იყო. რამდენიმე ქართველი ზურნაზე და დოლზე უკრავდა. სასახლეში მივედით. მეფისნაცვალი დონდუკოვი თბილისში არ ბრძანდებოდა და მის მოვალეობას ასრულებდა გენერალი *პრინცი* შერემეტიევი (Sherī Tof), რომელიც სასახლის ზღურბლთან შეგვეგება. ძალიან თავაზიანი და დარბაისელი კაცი იყო. ერთმანეთს მივესალმეთ, სასახლის წინ გამწკრივებული ჯარისკაცების წინ გავიარეთ და შენობაში შევედით. იქ სარდლები, გენერლები, დიდმოხელეები და გერმანიის, საფრანგეთის, ოსმალეთის და სხვა ქვეყნების კონსულები დაგვხვდნენ. ყველას თავაზიანად მივესალმეთ, მოვიკითხეთ და ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში დავბინავდით. ღმერთს მადლობა შევსწირეთ, რომ თბილისში ისევ მშვიდობიანად ჩამოვედით. ვნახეთ ებრაჰიმ მირზას ვაჟი, რომელიც ჰაჯი ჰოსეინ ალი ხანს დაშორდა, აქ მოხბერ ად-დოულეს მსახურთან შარლთან ერთად ჩამოვიდა და დილით თეირანში მიემგზავრება. ერთი სიტყვით, საღამოს ვივახშმეთ და დავიძინეთ.

კავკასიაში ჩვენ მიერ ნანახი სკოლების ჩამონათვალი ასეთია:

პირველი სასწავლებელია *„ოლგინსკაია ოსეტინსკაია შკოლა"* (Olksnakāyā Āsetī Telksīkānā Shkolā), რომელიც 1866 წელს ვლადიკავკაზში ჩასულმა კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილმა ოსების მღვდლის[253] თხოვნით ააშენებინა. მშენებლობის ხარჯები თბილისში მოქმედმა ორთოდოქსული რელიგიის გამავრცელებელმა საზოგადოებამ[254] იკისრა და პირველ ჯერზე 10000 მანეთი გაიღო. სკოლას დიდი მთავრის ცოლის ოლგას (Grāndshess Olgā) სახელი ჰქვია. მასში 89 ქალიშვილი სწავლობს, აქედან 80 მართლმადიდებელია, ოთხი

---

253 სკოლის ზუსტი სახელია Осетинский Ольгинский приют. მისი აშენების ინიციატორი იყო ვლადიკავკაზის დეკანოზი ალექსეი კოლიევი.

254 იგულისხმება „კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოება", რომელიც 1860 წელს ჩამოყალიბდა და რომლის თავმჯდომარეც თავად მეფისნაცვალი მიხეილი იყო.

– მუსლიმი, ორი – კათოლიკე და ერთი – სომეხი. 89 მოწაფიდან 30 მუდმივად სკოლაში ცხოვრობს, დანარჩენები კი სახლებიდან დადიან. აქედან ...[255]

11 მუჰარამი (7 სექტემბერი), შაბათი:

დილით გავიღვიძე. დღეს თბილისში დავრჩით. თბილისი ხეობაში მდებარეობს და ცუდი კლიმატი აქვს. დღეს მზიანი ამინდია და ნოტიო ნიავი უბერავს. ვისაუზმეთ. რაღაც უჩვეულო ალიაქოთი იდგა: ამინ ას-სოლთანი განუწყვეტლივ ბარგზე ლაპარაკობდა. ყველანი შეშფოთებულები იყვნენ და იმაზე ბჭობდნენ, ბარგი ზღვით გაეგზავნათ, თუ ხმელეთით. საბოლოოდ ბარგის მარშრუტი შევადგინეთ...[256]

სადილის დროს ამინ ხალვათმა და მეჰდი ხანმა მოიყვანეს მოჰამად ებრაჰიმ ხანი, რომელიც სამსახურიდან გაენთავისუფლა და აქ ჩამოვიდა, რათა ვლადიკავკაზში წასულიყო, იქ თავისი ბიძა მირზა მოჰამად თაყი ხანი ენახა და მერე ისევ თეირანში დაბრუნებულიყო. რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა. როგორც გაირკვა, გილანისა და კასპიის ზღვის გავლით ჩამოვიდა, ოთხი დღე-ღამე ზღვაში გაატარა და საშინელ შტორმში მოყვა. ისეთ დღეში ჩავარდა, რომ რამდენჯერმე უნდოდა, თრიაქი ეჭამა და თავი მოეკლა. გადატანილი მღელვარებისგან ისე შეცვლილიყო, რომ ვერ იცნობდი. მოარულ გვამს ჰგავდა: თვალები ერთი თითის სიღრმეზე ჩავარდნოდა და საშინლად გამხდარიყო. თეირანშიც შეუძლოდ იყო, ახლა ეს ამბავი დაემატა და მართლა ძალიან ცუდად გამოიყურებოდა: მოტვლეპილი თავითა და მოშვებული წვერით მედრესეს მოწაფეს ჰგავდა. ერთი სიტყვით, თეირანზე ბევრი გველაპარაკა. ნაშუადღევს ორ საათზე პოპოვი და მთავარმართებლის თანაშემწე *პრინცი* შერემეტიევი ერთ *კალიასკაში* ჩასხდნენ, მე და მაჯდ ად-დოულე მეორე, უფრო პატარა *კალიასკაში* მოვთავსდით, სხვებიც უკან გამოგვყვნენ და წავედით მთის წვერზე, რომ იქიდან თბილისზე გადმოგვეხედა. აყადაი, აჰმად ხანი, თემურ ფაშა ხანი, *ვაზირ-მოხთარი* მირზა მაჰმუდ ხანი და ადიბ ალ-მოლქი ჩვენთან ერთად წამოვიდნენ. თემურ ფაშა ხანმა თან წამოიყვანა ერთი სალმასელი[257] ახალგაზრდა, რომელმაც სტამბოლსა და ევროპაში ენები ისწავლა და ახლა სამსახურს ეძებდა. ვუთხარი: „თეირანში ჩამოვიდეს და სამსახურს მივცემ“. გზას გავუდექით, რამდენიმე ქუჩა გავიარეთ და მივადექით ერთ ქუჩას, რომელიც ძალიან მაღლა იყო. ქუჩა რიყის ქვებით იყო მოფენილი და *კალიასკას* აღმართში სიარული უჭირდა. ცუდი ცხენები რომ გვყოლოდა, ნამდვილად ვერ ავიდოდით. ეს ქუჩა გავიარეთ, შევუხვიეთ და კარგ გზაზე გავედით. მარცხნივ ქალაქის ხედი გადაიშალა, მთები კი მარჯვნივ დარჩა. გზა განვაგრძეთ და თბილისის ძველ, დანგრეულ ციხესიმაგრეს მივადექით. *კალიასკებიდან* ჩამოვედით და გავუშვით, ჩვენ კი გადავწყვიტეთ, ფეხით წავსულიყავით და *კალიასკებში* ბაღთან ჩავმსხდარიყავით. ციხესიმაგრიდან ქალაქზე

---

255 ხელნაწერში აქ ტექსტი წყდება.

256 აქ მოდის დეტალური ჩამონათვალი, თუ რა ბარგი რომელი გზით გააგზავნეს და შაჰის მხლებლებიდან ვინ საით წავიდა.

257 ქალაქი აზერბაიჯანში.

თბილისი, ბოტანიკური ქუჩა. 1880-იანი წლების ფოტოსურათი.

მშვენიერი ხედი იშლებოდა. აქედან მთელი ქალაქი ჩანდა: მდინარე თერგი[258], შეიხ სანაანის აკლდამა[259], რომელიც მთის ფოსოში მდებარეობს, ქალაქის მეორე მხარეს მთის კალთაზე შეფენილი *ჯაბახანა*, არსენალი და დენთის საწყობი. ერთი დიდებული შენობაც ვნახეთ, რომელზეც გვითხრეს, რომ ქალთა სკოლა იყო. *პრინცმა* შერემეტიევმა თქვა: „აღა მაჰმად ხანმა თბილისს ამ მთიდან შემოუტია, ციხე აიღო, ცეცხლი წაუკიდა და მას მერე დანგრეულია". თორმეტი კოშკიდან ერთ-ერთში შევედით, ციხე დავათვალიერეთ და გარეთ გამოვედით. მერე მიხვეულ-მოხვეული ვიწრო გზით ქვევით დავეშვით და ქალაქში ჩავედით. ამ ვიწრო გზის პირას ერთი წყაროა, რომლიდანაც ნახევარი *სანგი* კამკამა წყალი გადმოდის. წყაროს იქით ხეებით დაფარული მწვანე ხეობა და კლდოვანი, ჭუჭყიანი მთა მოჩანს. ისევ დაღმართზე დავეშვით და კიბეებს მივადექით. აქ მთიდან ნაკადული გადმოჩქეფს და მთის ძირას აშენებულ აუზში შადრევნებად იფრქვევა. გზა განვაგრძეთ და პატარა ბაღში მივედით. ბაღში ცოტა ყვავილი, უწესრიგოდ დარგული ხეები და ჭუჭყიანი სათბური იყო. ხეები ინდისხურმას ჰგავდა. ცოტა ხანს ჩამოვჯექით და ატამი შევჭამეთ. აქაური ატამი მაგარი, მაგრამ გემრიელია. ისევ ქვევით დავეშვით, კიბეები ჩავიარეთ და ქალაქის პირველ უბანსა და სახლებს მივადექით. ეს უბანი მთისა და ციხე-კოშკის ძირში მდებარეობს და

---

258 ავტორს მტკვარი და თერგი ერევა.

259 იხ. შენიშვნა 50.

სულ ირანელებით არის დასახლებული. ქუჩებში უამრავი ქართველი, ირანელი, თბილისელი და რუსი ქალი ირეოდა. ირანელი ქალები სახეს მალავდნენ, მაგრამ რაღაც უცნაური თავსაბურავი ეხურათ: თუ თავზე დაიფარებდნენ, ფეხები უჩანდათ და თუ ფეხებს დამალავდნენ, თავი გამოუჩნდებოდათ. *კალიასკებში* ჩავსხედით, ეს უბანი გავიარეთ და მივადექით მეორე უბანს, რომელიც ძალიან გრძელი იყო. აქ ქალაქი თავდებოდა და ამიტომ აქაურობა ძალიან ჭუჭყიანი იყო. ამ უბანში ყველა ჯურის ხალხი – ირანელი, ქართველი, რუსი – ირეოდა. დუქნები თეირანის დუქნებს ჰგავდა და იქ ძირითადად ცხვრის თავ-ფეხითა და თიხის ქოთნებით ვაჭრობდნენ. *ჩაყჩურსა* და ჩადრში გამოწყობილი ქალი ვნახეთ. ქართველი ქალები ძალიან ლამაზები იყვნენ. ეს უბანიც გავიარეთ და მივედით ქალაქის ცენტრში, სადაც დიდი *მაგაზინები* იყო. იქიდან სახლში დავბრუნდით. აზიზ ას-სოლთანი ბაზრიდან მოსულიყო და ნაყიდ ნივთებს ხსნიდა. ამინ ას-სოლთანი ბარგის გასაგზავნად არ წავიდა და სახლში დარჩა. ამ საღამოს ირანის საკონსულოში *როუზეზე* და ვახშამზე ვართ დაპატიჟებული. რვის ნახევარზე პოპოვისა და ამინ ას-სოლთანის თანხლებით *კალიასკით* საკონსულოში წავედი. პოპოვმა ქუდი სახლში დატოვა და *კალიასკაში* თავშიშველი იჯდა. საკონსულო ახლოს იყო და მალე მივედით. იქაურობა კარგად გაეჩირაღდნებინათ. *კალიასკებიდან* გადმოვედით. საკონსულო დიდებულ შენობაშია მოთავსებული. ნამდვილი *აპარტამენტებია* და აქ რომ გავჩერებულიყავით, ყველანი დავეტეოდით. კიბეებზე ავედით და თავდაპირველად დიდ დარბაზში შევედით. ოთახი დიდებული ჭაღებითა და შანდლებით იყო განათებული. ერთმანეთში გამავალ ოთახებში ვახშმისთვის მაგიდები გაეშალათ. მე, ამინ ას-სოლთანი და დანარჩენები დარბაზში შევედით და სკამებზე დავსხედით. *როუზეხანები* შემოვიდნენ. სიზმარშიც კი ვერ ვნახავდი, რომ თბილისის საკონსულოში *როუზეს* დავესწრებოდი. ასეთი რამ აზრადაც არ მომივიდოდა. ქვევით ჩამოვთვლი აქ შეკრებილ *როუზეხანებს*: აყა მირ ალი აქბარ თაბრიზი, აყა მირ იუსუფ რაშთი, აყა სეიდ აჰმად ზანუზი, აყა ახუნდ მოლა აბუ თალებ თაბრიზი, აყა შეიხ მოჰამად ჰოსეინ თაბრიზი, მოლა მოჰამად თაბრიზი, აყა მირ ასადოლაჰ თაბრიზი, მოლა ჰოსეინ მარაყაი, მირზა ალი აქბარ სალმასი, საადათ აყაი-ე ებრაჰიმ ალამდარი, აყა მირ ბაყერ ქუჰქამარი, ჰაჯი სეიდ ჰოსეინ სალმასი, მირ ყოლამ ხოი, სეიდ ჰოსეინ თაბრიზი. *როუზეში* ასევე მონაწილეობდნენ დერვიშები: ჰაჯი ნაჯაფ ყოლი ურმიე, ჰაჯი აბას თაბრიზი, მაშჰადი ქერიმ ხოი. ძალიან უჩვეულო *როუზე* იყო: ორი *როუზეხანი* და ორი დერვიში კითხულობდა. დღევანდელ *როუზეს* აყა მირ ალი აქბარ თაბრიზი და აყა მირ იუსუფ რაშთი უძღვე-

მირზა მოჰამად ალი ხან მოინ ალ-ვეზარა, ირანის გენერალური კონსული თბილისში (1883-1889).

ბოდნენ. პოპოვი ოთახიდან გავუშვით. ოთახში დარჩნენ ამინ ას-სოლთანი, აზიზ ას-სოლთანი, ამინ ჰოზური, თემურ ფაშა ხანი, ჰაჯი მოჰამად ფაშა ხან მაქოის ვაჟი ჰაბიბოლაჰ ხანი, ბათუმის კონსულის თემურ ფაშა ხანის ვაჟი მორთეზა ყოლი ხანი და ყაზვინის *შეიხ ალ-ესლამი*, რომელიც ამინ ჰოზურთან ერთად მოვიდა.

როუზეხანები თურქულად და სპარსულად ლაპარაკობდნენ. შეკრებამ კარგად ჩაიარა. *როუზეს* მერე ავდექით და მაგიდას მივუსხედით. მშვენიერი ვახშამი გაგვიმართეს. მო'ინ ალ-ვეზარას ცოლი ამინ ად-დოულეს და იყო და ამიტომ სუფრაზე ფლავი, ბადრიჯანი, ჩელოვი და სხვა საჭმელები იდო. ძალიან მშივრები ვიყავით და ყველაფერი შევჭამეთ. პოპოვი ამინ ას-სოლთანის წინ იჯდა. ვახშმის მერე გამოაცხადა, სამი დღის სამყოფი შევჭამეო. მო'ინ ალ-ვეზარას სამი ვაჟიშვილი ჰყავს. უფროსი 11 წლისაა და რუსული კარგად იცის. დანარჩენები 7 და 6 წლის არიან. ნაბოლარა აზიზ ას-სოლთანზე გაცილებით უფრო პატარაა და უკვე ფრანგულად ლაპარაკობს. კარგად აღზრდილი ბიჭები არიან და, უეჭველია, ღირსეული ადამიანები გაიზრდებიან. სანამ ვვახშმობდით, 11 საათი გახდა. სახლში წამოვედით და დავიძინეთ. მო'ინ ალ-ვეზარამ მე და აზიზ ას-სოლთანს მშვენიერი საჩუქრები მოგვართვა. საკონსულოში ეკიდა ჩემი პორტრეტი, რომელიც ცნობილ მუნჯ მხატვარს აწ განსვენებულ მოჰამად ჰასანს ეკუთვნის. ეს ტილო მთავარსარდალმა მოშირ ად-დოულემ თბილისის უწინდელ კონსულს ჰაჯი მირზა ჰოსეინ ხანს გამოუგზავნა. პორტრეტი 1269 (1853) წელს არის დახატული და უკვე 36 წლისაა. იმ დროს მე მშვენიერი ფართო და ხშირი წვერი მქონდა, რაც სურათზეც ჩანს.

12 მუჰარამი (8 სექტემბერი), კვირა:

დღეს აღსთაფაში უნდა წავიდეთ. იქამდე მატარებლით სამი საათის გზაა. ნაშუადღევს ოთხ საათზე თბილისიდან გავემგზავრეთ და შვიდ საათზე ადგილზე ვიყავით.

ერთი სიტყვით, დილით გავიღვიძეთ, ტანსაცმელი ჩავიცვით და ვისაუზმეთ. საუზმის მერე სასახლის წინ ბაღში გავისეირნეთ. თბილისში ნესტიანი ჰავა იყო და ძალიან ცხელოდა. გამგზავრებამდე ბაღში ვსეირნობდით. *პრინცი* შერემეტიევი მოვიდა. ჩვენი ნაბოძები ორდენი ეკეთა. შერემეტიევის, პოპოვის და ამინ ას-სოლთანის თანხლებით *კალიასკაში* ჩავჯექი და წავედით სადგურში, სადამდეც კარგა დიდი მანძილია. გზის ორსავე მხარეს *სალდათები* იდგნენ. ქუჩაში ყველა ჯურის ხალხი შეკრებილიყო და გვესალმებოდა. მათ სხვადასხვა ქვეყნის – ირანის, სომხეთის, ურჯულოების და ა. შ. – დროშები ეჭირათ. სადგურშიც ბევრი ხალხი დაგვხვდა. მატარებელში ავედით და *პრინცი* შერემეტიევს, გენერლებს, დიდმოხელეებს და ქალაქ თბილისს დავემშვიდობეთ. გასვლის ზარი დაირეკა და მატარებელი დაიძრა. მატარებლის წინ შეკრებილ ხალხში ბევრი ირანელი – ლურელი, ქურთი და ა.შ. – იყო. ერთ მათგანს ნაბდის ქუდი ეხურა. ამდენ ხალხში ერთი ლამაზი ქალიც კი ვერ ვნახე, თუ არ ჩავთვლით მომხიბვლელ ქალიშვილს, რომელიც მოხუცი ქალის, სავარაუდოდ, დედის ან დეიდის, თანხლებით ჩვენი ვაგონის წინ იდგა. მშვენიერი ქალიშვილი იყო და იმ ლამაზმანებს ჰგავდა, ევროპაში რომ მინახავს. ჩვენი *ვაგონი* ძალიან მომეწონა. წინა ჯერზე, როცა თბილის-

ში ჩამოვედით, არემარე ამწვანებული და აყვავილებული იყო, ახლა კი ყვითელი ფერი ჭარბობდა. მაშინ მინდორში უამრავი ცხვარი და ძროხა ბალახობდა, ახლა კი ერთიც ვერ ვნახეთ. ერთი სიტყვით, შვიდ საათზე აღსთაფაში ჩავედით. სადგურში სამხედროები, გენერლები და მუსიკოსები დაგვხვდნენ. ვაგონიდან გადმოვედით, სამხედროების წინ გავიარეთ და გენერლებს თავაზიანად მივესალმეთ. ჩვენ სანახავად განჯის გუბერნატორიც მოსულიყო. მისალმების ცერემონიალის მერე ისევ *ვაგონში* ავედით. მოჰამად ებრაჰიმ ხანმა აღსთაფამდე გაგვაცილა. ხვალ დილით, მას შემდეგ, რაც ჩვენ გზას განვაგრძობთ, ის მირზა მოჰამად ალი ხანთან ერთად მატარებლით თბილისში ჩავა, იქიდან ცოტა ხნით ვლადიკავკაზში წავა და მერე თეირანში დაბრუნდება. საღამოს ვივახშმეთ და ვაგონში დავიძინეთ. დილით, მადლობა ღმერთს, ვირებშებმული *კალიასკებით* დილიჯანისკენ გავემართებით.

მოჰამად ჰასან ხან ე'თემად ას-სალთანე და მისი მემუარული თხზულებები

სანი' ად-დოულე მოჰამად ჰასან ხან ე'თემად ას-სალთანე.

მოჰამად ჰასან ხანი, ცნობილი ლაყაბებით „სანი' ად-დოულე" და „ე'თემად ას-სალთანე", ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე იყო.

მოჰამად ჰასან ხანი დაიბადა 1841 წელს თეირანში ნასერ ად-დინ შაჰის მსახურთუხუცესის ჰაჯ ალი ხან ჰაჯებ ად-დოულეს ოჯახში. დაწყებითი განათლება მან დარ ალ-ფონუნში მიიღო, ცხრა წლისამ სწავლა განაგრძო რაშთის სამხედრო სკოლაში, ხოლო 1863-67 წლებში განათლება დაასრულა პარიზში, სადაც თან ირანის ელჩის ჰასან ალი ხან გარუსის მეორე თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა. ირანში დაბრუნების მერე იგი ნასერ ად-დინ შაჰის პირადი თარჯიმანი გახდა, თან გაზეთშიც მუშაობდა და ფრანგულიდან სპარსულად თარგმნიდა. 1871-72 წელს მოჰამად ჰასან ხანი სახელმწიფო სათარჯიმნო უწყების ხელმძღვანელად დაინიშნა და მიენიჭა ლაყაბი „სანი' ად-დოულე". ამ დროიდან იწყება მისი აქტიური ჟურნალისტური მოღვაწეობა: სხვადასხვა დროს გამოსცემდა „ირანის სამეფოს გაზეთს", სამხედრო გაზეთ „მარიხს" და ასევე ყოველთვიურ სამეცნიერო გაზეთს. 25 წლის განმავლობაში ის შაჰის „რუზნამეხანი" (გაზეთების წამკითხველი) იყო და მის მოვალეობას შაჰისთვის ფრანგული გაზეთების კითხვა შეადგენდა. 1881 წელს იგი პოლიგრაფიის მინისტრად დაინიშნა.

მოჰამად ჰასან ხანი, როგორც ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი და დაახლოებული პირი, მას ევროპაში სამივე მოგზაურობაში ახლდა და პირველი (1873) და მესამე (1889) აღწერა ორ „მოგზაურობის წიგნში". ისინი შაჰის „ევროპაში მოგზაურობის მოგონებათა დღიურების" ერთგვარ დამატებას წარმოადგენს. პირველი თხზულების ხელნაწერი ინახება ირანის მეჯლისის ბიბლიოთეკაში (№2312, ხელნაწერი 14211), ხოლო მეორესი – იერუსალიმის სამეფო ბიბლიოთეკაში.

პირველ მოგზაურობაში მოჰამად ჰასან ხანს დაევალა ევროპიდან ირანისკენ მიმავალი შაჰის ბარგის თბილისიდან თეირანში ჩატანა. პროფესორმა მაგალი თოდუამ „მოგზაურობის წიგნის" ეს ნაწილი თარგმნა და გამოაქვეყნა 1975 წელს. თარგმანი იმდენად კარგია, რომ ტექსტის ხელახლა გადმოქართულება ჩემი მხრივ კადნიერება იქნებოდა, ამიტომ, მთარგმნელის ნებართვით, ის უცვლელად მომაქვს.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანი

Safar-nāme-ye Sanī' ad-Doule (Mohammad Hasan Khān E'temād as-Saltane) az Tefīs be Tehrān, be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 2536

Rūz-nāme-ye khāterāt-e E'temād as-Saltane, vazīr-e entebā'āt dar avākher-e doure-ye Nāserī, marbūt be sālhā-ye 1292 tā 1313 hejrī qamarī, bā moqaddame va farāhes az Īraj Afshār, Tehran, 1345/1966.

მ. თოდუა, „მოჰამმად ჰასან-ხან ე'თემად ალ-სალთანეს „მოგზაურობა თბილისიდან თეირანამდე", წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 227-252.

ლიტერატურა

მ. თოდუა, „მოჰამმად ჰასან-ხან ე'თემად ალ-სალთანეს „მოგზაურობა თბილისიდან თეირანამდე", წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, 225-259.

Īraj Afshār, "Sanī' ad-Doule va Rūznāme-ye Khāterāt", *Rāhnemā-ye Ketāb*, Vol.9, No.3, Tehran, 1345/1960, 268-275.

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 1347/1968, 330-48.

Mohammad Golbon, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Sanī' ad-Doule (Mohammad Hasan Khān E'temād as-Saltane) az Tefīs be Tehrān*, 7-9.

Khān Malek Sāsānī, *Syāsatgarān-e doure-ye Qājār*, 169-184.

A. Amanat, "E'temād-as-Saltana, Mohammad-Hasan Khan", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, Vol. 8, 1998, 662-666.

M. Kia, "Inside the Court of Naser od-Din Shah Qajar, 1881-1896: the Life and Diary of Mohammad Hasan Khan E'temad os-Saltaneh", *Middle Eastern Studies*, Vol. 37, No. 1, 2001, 101-141.

В. Жуковский, "Мухаммед-Хасан-Хан (И'тимад-ал-Салтанэ)", *Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического общества*, т. X, 1897, 187-191.

მოჰამმად ჰასან ხან ე'თემად ალ-სალთანეს „მოგზაურობა თბილისიდან თეირანამდე"[260] (1873)

ჰიჯრის ათას ორას ოთხმოცდაათი წლის რეჯების თვის ექვსს, კვირის შუადღეს[261], ანუ ქრისტიანული წელთა აღრიცხვით ათას რვაას სამოცდაცამეტი წლის [31 აგვისტოს], როცა უზენაესმა კორტეუმა თბილისიდან ბაქოს გზით ირანში გამგზავრება ინება, მე მის შინაკაც მონას დამავალა სამეფო ბარგისა და აღა-

[260] მ. თოდუა, „მოჰამმად ჰასან-ხან ე'თემად ალ-სალთანეს „მოგზაურობა თბილისიდან თეირანამდე", წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 225-61.

[261] 1873 წელს რეჯების თვე 25 აგვისტოს, დღით ორშაბათს, დაიწყო. ასე რომ რეჯების ექვსი რიცხვი შაბათს მოუწევდა და არა კვირას.

სანი' ად-დოულე მოჰამად ჰასან ხან ე'თემად ას-სალთანე ნასერ ად-დინ შაჰს გაზეთს უკითხავს. 1880-იანი წლების ფოტოსურათი.

ლის გადასაზიდად და ამალის წევრთა მსახურების გადასაყვანად რამოდენიმე დღე თბილისში გავჩერებულიყავი და ფურგონით, რომელიც ირანული *მოქარაიეს* მსგავსია, მთელი ეს ბარგი რაშთის ფირე-ბაზარამდე ჩამეტანა. თუმცა ამ სამსახურის შესრულება ჩემთვის ორი რამის გამო მრავალი ვაი-ვაგლახის მიზეზად იქცა, – ჯერ ერთი ის, რომ უზენაესის უზანგს ვიყავი დაშორებული და სამშობლოში დაგვიანებით დაბრუნება მიწევდა; მეორე, უნდა გადამეტანა განსაცდელი და დავიდარება, რაიც ასეთ დავალებას სდევს ხოლმე თან, – მაგრამ იმის გამო, რომ ქვეყნის მპყრობელის ბრძანების დაუმორჩილებლობა წესიერების გზიდან გადახვევაა და მსახურისა და შინაკაცის მოვალეობათაგან თავის არიდებაა, თანხმობისა და დაყოლის იქეთ სხვა ღონე ვერ ვნახე, სამსახურად ქამარი შემოვირტყი, სამოქმედოდ კალთა ამოვიკეცე და ათასი ვაი-ვაგლახის ატანას შევურიგდი. სამეფო აღალი, რომელიც ასორმოცზე მეტი შეკვრისგან შედგებოდა, ამინ ალ-სოლთანისა, ამინ ალ-სალთანესა, ყაჰვაჩი-ბაშისა და სხვებისგან ჩავიბარე და სათანადო ხელწერილით მასზე პასუხისგება ვიკისრე. ამალის წევრთა ბარგი-ბარხანის გადაზიდვაც მე ვიდე თავს.

თავიდან უზენაესის სიტყვა მისი შინაკაცისა და ამ საქმის სათანადოდ მოგვარების თაობაზე ასეთი იყო, რომ იგი ინებებდა თავისი შინაკაცის წარდგენას მის უდიდებულესობა უფლისწულ მიხეილთან, რუსეთის იმპერატორის უმცროს ძმასთან, რომელიც მეფის ნაცვალია კავკასიაში, მაგრამ არ ვიცი, შემდეგ რა მოხდა, რა მიზეზი იყო, რომ ეს უმაღლესი ნება სახელმწიფოს თავკაცებმა საჭიროდ არ ცნეს, იქამდისაც კი, რომ წაბრძანების დროს ჩემი თანამგზავრების ერთმა ჯგუფმა მის უზენაესობას ამაზე შეახსენა, მაგრამ შესაძლებელი არ გახდა, საჩქაროდ ეტლში ჩაჯდომა ინება და წაბრძანდა. მისი უმაღლესობა *სადრ-ე ა'ზამიც* უზენაესი კორტეჟის წაბრძანების შემდეგ ეტლის გამართვისა და ნაცვალთან გამომშვიდობების მიზნით რამოდენიმე წუთს რომ შეყოვნდა, რამდენიც

არ ვანიშნე გვერდიდან, იქნება მომაქციოს ყურადღება და წარმადგინოს-მეთქი, უამრავი საქმისა და ხალხის სიმრავლის გამო და განსაკუთრებით ჩემი უიღბლო იღბლის გამო არავითარი ყურადღება არ მოუქცევია. ყველაფერი ისე დამთავრდა, რომ მთავრობის ვერც ერთი დიდმოხელე, რომელთანაც უზენაესი კორტეუის აქ არ ყოფნის დროს საქმე უნდა მომცემოდა, ვერ გავიცანი. მოკლედ რომ მოგახსენოთ, უზენაესი კორტეუისა და ჩემი პირადი მეგობრების გამგზავრების შემდეგ ისე ვიყავი დაღვრემილი, მიგდებულსა და მიტოვებულს ისე მქონდა გული დასევდიანებული და ისე ვიყავი დაბნეული, რომ ჩემდა უნებურად ქვითინი ამივარდა, რაც ჩემს სიცოცხლეში იშვიათად დამმართნია[262], გაჭირვებებსა და ხიფათებში ასეთი მწარე დღეები ჯერ არ დამდგომია.

როცა ყველა წავიდა და მე მარტო დავრჩი, ბარგს გარკვეულ ადგილას თავი მოვუყარე და რუსის სალდათი დავუყენე, ჩემი მსახურები და თანამგზავრები ვიხმე და გავაფრთხილე. ესენია: 1) მოსიო რიშალი, 2) აყა ბაყერ აბდარი, 3) აყა მოჰამმადი, მო'თამად ალ-მოლქის მსახური, 4) მოჰამმად ქარიმ-ბეიგი, 'აზოდ ალ-მოლქის მსახური, 5) ჰასანი – სადრ-ე ა'ზამის მსახური, 6) ქალანთარი, 'ემად ალ-დაულას მსახური, 7) ქერბალაი ხოსროვი, ალა ალ-დაულას კაცი. 8-9) სტამბის ორი თანამშრომელი. 10) რეზა, ჩემი მსახური, 11) მოჰამმად ყასემ-ბეიგი, ჩალვადარი. 12) მეჯინიბე. 13) ცნობილი ოსტატი ღოლამი. 14) თვითონ თქვენი მონა-მორჩილი; შაჰის ორი ცხენი. ჩემს თანმხლებთ ვუბრძანე ღვინო გასინჯვითაც არ გაესინჯათ, რათა უკანონო არაფერი ჩაედინათ.

გარეთ გამოვედი და სასტუმროში გავემართე, სადაც ჩვენთვის უკვე ადგილი იყო მიჩენილი და გულშეჭირვებული და დაღონებული ჩემს ოთახში ჩავიკეტე. ცუდ დღეში ვიყავი. არ ვიცოდი, ვისთვის უნდა მიმემართა, რა გზას დავდგომოდი და საქმისთვის თავი როგორ მომება. ერთი საათი ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ ვერაფრის მოსაზრება ვერ შევძელი. სასოწარკვეთილი გარეთ გამოვედი და სასტუმროს სასადილო დარბაზში ჩავედი, სადაც ჩვეულებრივ სტუმრის მიმღებნი, ზოგი კაცი, ზოგი ქალი, სხედან და სტუმრებს ღებულობენ. ვიკითხე: კავკასიაში რუსის მთავრობის მოხელეები ვინები არიან, სახელი რა ჰქვიათ და ვის რა ეკითხება-მეთქი? სასტუმროს დიასახლისმა მიპასუხა: „ბატონო, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ მე არც მოკლე კალენდარი ვარ, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა სია მქონდეს ზედ დაწერილი და არც რუსის ალმანახი, რომ ყველაფერი ვიცოდეო".

მე ვუთხარი: „კი, მაგრამ აქ რამოდენიმე წარჩინებული კაცი მაინც არავინ ცხოვრობს-მეთქი?"

მომიგო: „ორი კაცია ასეთი: ერთი ბარონ ნიკოლაია, რომელსაც ქვეყნისა და მთავრობის კანცელარია აბარია და მეორე – *პრინც* მირსკი, რომელსაც სამხედრო უწყება ემორჩილებაო".

თუმცა მე ბარონ ნიკოლაის ჯერ კიდევ ორი ჩემი წინა მოგზაურობის დროიდან ვიცნობდი, როცა გზად თბილისში მომიხდა გავლა, არ მინდოდა, ამ საქმეზე

---

262 ორიგინალის ხელნაწერში გადამწერს „იშვიათად" (kamtar) გამორჩენია, შემდეგ კი შეცდომით უადგილო ალაგას ჩაუსვამს. იკითხება „kamtar khod" სინამდვილეში კი უნდა: „khod kamtar".

მას მივდგომოდი. ამიტომ გადავწყვიტე *პრინცს* მირსკისთვის მიმემართა. ეტლს დავუძახე, მისი მისამართი მივეცი და ასე ნახევრადოფიციალური ტანსაცმლით, რუსული ორდენითა და ირანული ხმლით დამშვენებული მის სახლს მივადექი.

ზარი დავრეკე. შეუიარაღებელმა ჯარისკაცმა კარი გამიღო, ხოლო შეიარაღებულმა, რომელიც ყარაულად იდგა, სამხედრო პატივი მცა. ზარისა და პატაკის ხმაზე შინამოსამსახურე გამოვიდა. შემომხედა და როცა დამინახა, რომ ნახევრად ოფიციალურ ფორმაში ვარ გამოწყობილი და თანაც ორდენიც მიბნევია, რუსულად მკითხა: „ვინ ხართ და ვინა გნებავთო?" მე რაც რუსული ვიცოდი, ვკითხე: „პაფრანსისქი გავარითე?" ფრანგული იცი-მეთქი? უცბად სუფთა ფრანგულით მიპასუხა: „ვიცი, რას მიბრძანებთო?"

მივუგე: „*პრინცს* მირსკი შინ ბრძანდება თუ არა მეთქი?" „გახლავთ. თქვენ ვინ ბრძანდებითო?"

მე პასუხად ჩემი სავიზიტო ბარათი ვაჩვენე. ის წავიდა და რამოდენიმე სეკუნდის შემდეგ დაბრუნდა. შინ შემიწვია და *პრინცის* კაბინეტში შემიძღვა. კარი გამოაღო თუ არა, მასპინძელი შემომეგება, ხელი ჩამომართვა და მითხრა: „სწორედ ახლა მინდოდა თქვენთან კაცი გამომეგზავნა და თქვენს სამსახურად ვყოფილიყავი".

მე ვუპასუხე: „ჩემი გაჩერებისა და მოვალეობის ამბავი განა იცით-მეთქი?" მიპასუხა: „დიახ, გავიგე, რომ მთავრობის ერთი მოხელე სამეფო ბარგის გადასატანადაა დარჩენილი. მეფის ნაცვალმა მე სწორედ ახლა მიბრძანა, თქვენ შეგხვედროდით და თქვენს განკარგულებაში ვყოფილიყავიო".

მისმა ნათქვამმა ზომაზე მეტად გამახარა და ვკითხე: „თბილისიდან ბაქოში დაახლოებით რამდენ დღეში ჩავალ-მეთქი?" „ძალიან ბევრი რვა დღეშიო" – მიპასუხა. ამ ამბავმაც აღტაცებაში მომიყვანა. შემდეგ ვუთხარი: „იცით თუ არა, რომ ეს ჩვეულებრივი სავაჭრო საქონლის ქარავანი კი არ არის, არამედ სამეფო აღალია და შიგ სულ მეფის საკუთარი ნივთები და ძვირფასეულობა ძევს. მცველად ცხენოსანთა რაზმს გამაყოლებთ თუ არა-მეთქი?" მიპასუხა: „გზის უშიშროების თაობაზე არხეინად იყავით. მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის ხუთ ცხენოსანს გაგაყოლებთო".

ამ კაცთან მეტი არაფერი მქონდა სასაუბრო, უკვე კმაყოფილი ვიყავი, მადლობა მოვახსენე და გამოვეთხოვე. მთავარმართებლობისკენ გავეშურე, ყარაულისა და მისთანათა ზოგი სხვა საქმეც მოვაგვარე და დასასვენებლად ჩამოვჯექი.

რომ ვზივარ, ერთი კაცი შემოვიდა და თავი გამაცნო, კავკასიის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ვარ და ესა და ეს მქვიაო[263]. თავაზიანად შევეგებე და დაბრძანება ვთხოვე. რომ დაჯდა ჩემთან შეხვედრის მიზეზი ვკითხე. მიპასუხა: „ბარონ ნიკოლაისგან ვარ გამოგზავნილი, თქვენი გზის თადარიგი დავიჭირეთ, ოთხშაბათს დილით შეგვიძლია გაგისტუმროთო". ვკითხე: „საზღვრამდე რამდენ დღეში მივაღწევთ-მეთქი?" – „თორმეტ დღეშიო", მიპასუხა. ოთხი დღით გზის გახანგრძლივებამ ისევ დამაღონა, მაგრამ რას ვიზამდი, მოთმენისა და ატანის მეტი სხვა რა ღონე მქონდა! ამ კაცთან საუბარს შევყევი.

---

[263] ორიგინალში დასახელებულია ეს მოხელე როგორც Ri Pel (Pil, Bil?)

გზის უსაფრთხოებაზე ჩამოვუგდე საუბარი. მიპასუხა: „რისი უსაფრთხოება, ბატონო, სწორედ რამოდენიმე დღის წინ განჯის გზაზე სავაჭრო საქონლითა და შაქრით დატვირთულ ქარავანს დაესხნენ თავს და ორი მექარავნე მოკლესო!" „მაშ ამ ბარგს რა ვუყო, ოცდაექვს ურმიან აღალსა და ორას შეკვრა ბარგს ხუთი ცხენოსანი როგორ დაიცავს-მეთქი?" – შევწუხდი მე. მან მიპასუხა: „ბარონ ნიკოლაისგან თქვენთან ამაზე საუბრის უფლება არა მაქვს. მაგრამ ჩემდათავად გეტყვით: თავდაცვის საშუალებებს რაც უფრო მეტს მოუყრით თავს, მით უკეთესია თქვენთვისო".

ეს რომ მითხრა, ადგა და წავიდა. მეც ეტლი დავიჭირე და *პრინც* მირსკისაკენ გავსწიე. მე რომ მივედი, ნახევარი საათით ადრე აგარაკზე გაესწრო. ნაცვალის ნებართვით ათი დღე უნდა გაჩერებულიყო იქ. ბარონ ნიკოლაისთან წავედი, მაგრამ არც ის დამხვდა და შინისკენ გამოვსწიე. 'აზოდ ალ-მოლქსა და მოხბერ ალ-დაულას თეირანში აზერბაიჯანის გზით გამგზავრების თადარიგი აქვთ. მათ ჩემს მდგომარეობაზე ვეთათბირე, მირჩიეთ, როგორ მოვიქცე-მეთქი. ორივემ ისეთი პასუხი მომცა, არც ჩემს მიზნის შესაფერისი იყო და არც ჩემს კითხვასთან იყო რამე შუაში. მოსიო რიშალს ვუთხარი: „უკეთესია, შენ ეტლი აიყვანო, ბარონ ნიკოლაისთან წახვიდე და სანამ არ დაბრუნდება, იქ დაუცადო, საქმის ვითარება დააზუსტო და დაბრუნდე-მეთქი!"

მოსიო რიშალმა ერთხანს მიყურა და მერე მითხრა: „ასორმოცდაათი თუმანი, გზის დამატებითი ხარჯი, სადრ-ე ა'ზამს არ მოუცია, არც ერთ ქვეყანაში ჩემთვის ორდენი არ გამოუთხოვიათ. ამას ისიც მიუმატე, ერთი ძველებური ხანჯალი მქონდა, ლონდონში თან წავიტანე, გავყიდი-მეთქი. მუშტარი არ აღმომიჩნდა. ორი ათასი თუმანი ე'თეზად ალ-სალთანეს მოვთხოვე და არ იძლევა. შენს ხასიათზე არა ვარ, კეთილი ინებე და თვითონ წაბრძანდიო!"

ასეთმა ლაყბობამ და უგვანმა პასუხმა ისე გამაცოფა, რომ მინდოდა რაიმესთვის დამევლო ხელი და მისთვის თავში ჩამეცხო. ხელთ მოხბერ ალ-დაულას მკლავი მომხვდა, ვწვდი და რიშალისკენ გავიქნიე, რად გინდათ, ისევ მე და მოხბერ ალ-დაულას გვეტკინა ხელები, მას არაფერი მოხვედრია.

ბოლოს თვითონ მე ავიყვანე ეტლი და გენერალურ კონსულთან წავედი. მას ხელი მოვკიდე და ბარონ ნიკოლაისთან წავიყვანე. ბარონი კიდევ არ იყო დაბრუნებული, მის პირად მდივანს შევხვდით და ველაპარაკეთ. სიტყვა მოგვცა, ხვალ დილას გადაწყვეტილ პასუხს შემოგითვლითო.

გენერალურმა კონსულმა ვახშმად დამპატიჟა და ჩელავით, წიწილის მოსამმით და ბადრიჯნით გამიმასპინძლდა. ჩემთან ერთად ნასრ ალ-მოლქი და მოხბერ ალ-დაულაც იყვნენ. ცოტა ხნის შემდეგ კახური ღვინო და ხიზილალა შემოიტანეს. ამასობაში კარი გაიღო და ახუნდოვის გვარით ცნობილი მირზა ფათჰ ალი შემოვიდა. ამ კაცს დიდი ხანია ვიცნობდი, მაგრამ მასთან დალაპარაკების სურვილიც არასოდეს მქონია. მასთან შეხვედრა ყოველთვის ზიზღს მგვრიდა, რადგან გაფუჭებული რწმენის, რჯულით გამდგარი ხეპრე მდაბიოა და მისი ნაწერები, რომელიც ერთხელ ვნახე, ოც ათას ბეითზე მეტი, მისი უწმინდესობა სა'იდ ალ-შოჰადას[264], – ალლაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება! – სალანძ-

[264] სა'იდ ალ-შოჰადა - „მოწამეთა წინამდგომი", ყველაზე დიდი წმინდა მოწამე.

ღავად არის შეთხზული და ქერბალას მომლოცველნი სულელებად მიაჩნია. იმ დღეს მე დავიფიცე, როცა შესაძლებლობა მომეცემა, მას ან ძალით ან მოხერხებით ირანში ჩამოვიყვან, მისი რწმენის დამტკიცებისა და დადასტურების შემდეგ მუსულმანების თანდასწრებით დიდებული შარი'ათით მას საკადრისს მივაგებმეთქი. ღმერთმამც ქნას! მოკლედ, მისმა იქ მოსვლამ გუნება გამიფუჭა.

ვახშმობის შემდეგ სტუმრები წავიდნენ, მე კი დავრჩი, რათა ცოტა ფული მესესხებინა, რადგან სამეფო კანცელარიიდან ჩემთვის ორმოცდაათ თუმანზე მეტი არ უბოძებიათ, მე კი სულ მცირე, ას თუმანზე მეტი მჭირდებოდა მეეტლის, მეურმისა და სხვების გასასტუმრებლად. მირზა მოჰამმად 'ალი ქაშის (?) ორასი მანეთი ვასესხე, რაც ირანის ფულზე დაახლოებით სამოცდაათი თუმანია. მერე ავდექი და შინისკენ გავსწიე. გზაში ეტლი დავინახე, შიგ ქალი იჯდა, მეტად ლამაზი და მომხიბლავი იყო. მართლაც რომ გვერდს ვერ ჩაუვლიდი. ფრანგულად გამოველაპარაკე. პასუხი არ გამცა. ორი ღერი რუსული რომ ვიცოდი, ის დავხარჯე. კრინტი არ დასძრა. იმედი დამეკარგა. ბოლოს ვიფიქრე, იქნებ თურქული იცოდეს-მეთქი და თურქულად ვკითხე: „ქალბატონო, სად მიბრძანდებით-მეთქი?" მიპასუხა: „შინ მივდივარ, მაგრამ სურვილი თუ გაქვს, შენთან წამოვალო".

სულიერად და ფიზიკურად დაღლილი ვიყავი და ამიტომ პასუხი არ გამიცია, ისე ჩამოვეცალე. სახლში შევედი და დავიძინე.

ორშაბათი, შვიდი რეჯები (1 სექტემბერი)

დილაზე, ჩაის დალევის შემდეგ ირანელი მსახურები, რომელნიც სასტუმროში მყავდა დაბინავებული, დავიბარე და ამბავი ვკითხე. ზოგნი, რადგან მე დავუშალე, ღვინო არ დაელიათ და გაბრაზებულები იყვნენ და ამის გამო ვახშმის წინ ილანძღებოდნენ. თურმე აყა ბაყერს, ამინ ალ-სოლთანეს მსახურს დავალებული ჰქონდა, ღამე მთავრობის შენობაში უნდა გაეთია და ბარგისთვის თვალ-ყური უნდა სჭეროდა. რომ დაბრუნდა, ვუბრძანე, ბარგი დაენომრა, რათა შეკვრები ერთმანეთში არ აგვრეოდა. მას ჩაიჩიც გავატანე, რომელიც ქირით მყავდა წამოყვანილი, თვითონ კი ბარონ ნიკოლაის სახლისკენ გავეშურე. მისმა პირველმა მოადგილემ იგივე მიპასუხა, რაც გუშინ მითხრეს: თუთხმეტი დღეა საჭირო და ხუთ კაცზე მეტს არ გაგაყოლებენო. სასწრაფოდ შინ დავბრუნდი და მას წერილი გავუგზავნე. ვწერდი: მე ამ საქმისა და საქონლის პასუხისმგებელი აღარა ვარ, თქვენ თვითონ იცით. თუ რამდენიც საჭიროა, იმდენ მხედარს არ გამაყოლებთ, იძულებული ვიქნები, მის აღმატებულება ნაცვალს ეს ამბავი დეპეშით ვაცნობო-მეთქი.

ამ ჩემმა ღონისძიებამ გასჭრა, განკარგულება მოვიდა: ათი მხედარი და რამდენიმე ქვეითი კაზაკი მოგეცემათო. ამ საღამოს მოხბერ ალ-დაულა და ნასრ ალ-მოლქი გაემგზავრნენ, მათი გასვლის შემდეგ, ბარგს რომ დავუყენე, ის კაცი მოვარდა და ამბავი მოიტანა: ბარგზე ნომრების მიწებების შემდეგ ასთექვსმეტი შეკვრიდან, რომელიც ამინ ალ-სოლთანისგან გვქონდა ჩაბარებული, ექვსი შეკვრა გვაკლიაო.

ეს რომ გავიგონე, გიჟივით წამოვიჭერი. ბარგისკენ გავვარდი. მოვიძიეთ და გაირკვა, რომ თავში ექვსი ცალი ზანდუკი ნაცვლისა ყოფილიყო და აყა მოჰამ-

მად 'ალის, ამინ ალ-სოლთანის ვაჟს, შეცდომით ჩემთვის დაეწერა. დამოწმების შემდეგ ამინ ალ-სოლთანის მსახურ აყა ბაყერს ხელწერილი გამოვართვი. სამი სხვა შეკვრაც დავინყებოდათ, ნომერი არ მიეწებებინათ. მოკლედ, სანამ ამ ამ-ბავს გამოვარკვევდი, მე ჩემი დამემართა.

ვახშმის შემდეგ ერთხანს მოსიო რიშალთან ერთად ქალაქის ბულვარში ვი-სეირნე, შემდეგ კი დავწექი.

სამშაბათი [რვა რეჯები. 2 სექტემბერი]

ამ დილას ბარგს მივაკითხე. გაირკვა, სულ სამასი შეკვრა ბარგი გვქონოდა. ფურგონები მოვასხმევინე და ბარგი დავუდევით. ვიღაც-ვიღაცეებს უნდოდათ, რამოდენიმე თვალადი ირანელი ბუში ბიჭი თან წამოეტანათ, – ცოდონი არიან, მუსულმანი ბავშვები ურწმუნო ქრისტიანების ხელში როგორ ჩავტოვოთ, ღმერ-თი გვიწყენსო. მე მათი განზრახვა რომ გავიგე, ბილეთზე გავეცი განკარგულება და ქარავნისს უფროსს დავავალე: ერთ-ერთ ადგილას შეემოწმებინა და ვისაც ბილეთი ჰქონდა, წაეყვანა, ხოლო ვისაც არ ჰქონდა, თბილისში გამოებრუნებინა. თვითონ ამაღამ თბილისში დავრჩი, რადგან ბარგი საღამოს გაუდგა გზას და ვიცი, რომ ამაღამ ორ ფარსანგზე მეტს ვერ გაივლიან. დილაზე ადრე ჩაფარ-თან ერთად მათ დავეწევი. და, ღვთის იმედით, იმ საშიშ ადგილებში ბარგთან ვიქნები.

დღეს დედაჩემის დეპეშა მივიღე. ჩემს ჩამორჩენის გამო შეშფოთებულია და სწუხს. არ იცის, რომ სამსახურმა ასე იცის. ბარგის გაგზავნის შემდეგ გენე-რალური კონსული მეწვია და მოჯთაჰედის ბაღში წამიყვანა. თბილისის ცნო-ბილი ბაღი ესაა. იგი მირ მოჯთაჰედ თავრიზელს გაუშენებია მას შემდეგ, რაც ირანიდან გამოიქცა და რუსეთს შეაფარა თავი. ცუდი ბაღი არ არის, მაგრამ საქებარიც არაფერი აქვს. საღამო უამს, ბაღიდან დაბრუნებულს მინდოდა შინ წავსულიყავი, მაგრამ გენერალურმა კონსულმა მითხრა: დღეს ბადრიჯნის ფარ-ში და ჩელავი მაქვს შეკვეთილი და მეწვიეთო. მოპატიჟება მივიღე და საკონ-სულოში წავედით. ბნელოდა, კარებთან ორი სატვირთო ურემი იდგა. ვხედავ, უკანა ურემთან ერთი ირანელი და ორი ყარაბაღელი და წინა ურემზე ვიღაც ქა-ლისმსგავსი იჯდა. სახეს შავი მანდილით იფარავდა. ჯაჯრუდში ან სხვა უზენაეს მოგზაურობაში რომ მენახა, მეშქვათ ალ-მოლქია-მეთქი, ვიტყოდი, რადგან მათი თვისება ისაა, რომ რიდეს იფარებენ. მაგრამ თბილისში...[265] არ ვიფიქრებდი. რომ მივუახლოვდი, ერთმა მათგანმა ჩემი სახელი დაიძახა. კილო და ხმა მეშქვათ ალ-მოლქისა ჰქონდა. მეტად გაოცებულმა ჩემთვის ვთქვი, ცხადში ვარ თუ სიზ-მარში-მეთქი! ისე ვიყავი გაოგნებული, რომ პასუხის გაცემაც ვერ მოვახერხე. უცბად ჰაჯის მსახურს მოვკარი თვალი, რომელიც ჩიბუხგაჩრილი ჩემს გვერდით იდგა. მაშინ დავრწმუნდი, რომ ეს სახეაკრული კაცი ჰაჯი იყო. უცბად მისკენ გავქანდი და გადავკოცნე. მათთან შეხვედრამ დიდად გამახარა. ცნობილია, რომ „ანდაზას ვერ შეედავები". მახსოვს, ამ შვიდი წლის წინათ ირანში ვბრუნდებოდი, ოთხი წელი იყო, რაც სამშობლო არ მენახა. ქოლერა გაჩენილიყო და ამის გამო

---

[265] ტექსტი დაზიანებულია.

ჩვენი გემი, რომელსაც „ნილ (?)" ერქვა, სამი დღე ჩანალ-ყალეში დადგა, სანამ სანიტარი ექიმები არ დარწმუნდნენ, რომ გემში ამ ავადმყოფობით არავინ იყო ავად და მგზავრებს ნება არ დაგვრთეს გემიდან ნაპირზე გადმოვსულიყავით. მეც სხვებთან ერთად ნაპირზე რომ გადმოვედი, ნავსადგურში ერთი სახედარი დავინახე. გაჯს ეზიდებოდა. მაშინვე ირანი და იქაური ტვირთაკიდებული სახედრები მომაგონდა. გული ამიჩქროლდა, ვირთან მივედი, ყურებსა და კისერზე ხელი ვუსვი, მოფერება დავუწყე. დიდად ვისიამოვნე იმით, რომ ასე მოულოდნელად ჩემი ქვეყნის მომაგონებელი დავინახე, სამშობლო მომენატრა და გულზე სევდა მომაწვა.

ამდენი რა გავაგრძელო, მე და ბატონი მეშქვათ ალ-მოლქი საკონსულოში შევედით. ერთხანს ვისაუბრეთ. მან მე ხელმწიფური მოწყალება მაცნობა, – მისთვის ებრძანებინათ ჩემზე: იგი თბილისში ბარგის გადმოსაზიდად დავტოვეთო. მის უზენაესობას დავიწყებული არა ვჰყავდი და ამ ამბავმა იმ რამოდენიმე დღეს რაც ჭირი გარდამხდა, სუყველა დამავიწყა. საღამოს მეშქვათ ალ-მოლქთან ერთად ვივახშმე და გზისთვის საჭირო თუნგისა და სხვა ნივთების შეძენის თადარიგი დავიჭირე. სამგზავროდ განვეწყვე და დავიძინე.

დილაზე უთენია ავდექი და მოსიო რიშალთან ერთად გზას დავადექი. სამი ჩაფარხანა რომ გავიარეთ, ბარგსა და მსახურებს დავეწიეთ. დღეს აღმოსავლეთიდან ძლიერი ქარი ჰქროდა. ამბობდნენ, ამ ქარმა წვიმა იცისო.

ე'თემად ას-სალთანეს მოგონებათა დღიური (1889)

წინა გზა

[1306 წლის] 14 რამაზანი (1889 წლის 14 მაისი), ოთხშაბათი:

დღეს თბილისში მივდივართ. იქამდე 10 *ფარსახია.* საფოსტო *კალიასკით* გავემგზავრეთ. ფოთი-ბაქოს რკინიგზის მაგისტრალის სადგურ ბეხეთში (Bekhet) მატარებელში ჩავსხედით და მზის ჩასვლამდე ორი საათით ადრე თბილისში შევედით.

აღსთაფას (Āqstafā) მისადგომებთან ბაჰმან მირზას სიძემ ზიად ბეგმა მინდორში კარავი გაშალა და ირანული სადილით – ფლავითა და *ჩელოვით* გაგვიმასპინძლდა. აღსთაფაში შაჰს დახვდნენ თბილისში ინგლისის კონსული და ირანიდან რაშთის გზით ჩამოსული სამი პირი: ჯაჰანგირ ხანი, მოხბერ ად-დოულე და ამინ ად-დოულე. გზაში შემატყობინეს, რომ მირზა მაჰმუდ ხანის რჩევით, შაჰის *ფირმანებისა* და კავკასიის მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვის (Dondūkof Korsākof) *არზების* თარგმანების გაცვლის პატივი ამინ ას-სოლთანს ჩამოერთვა და მე გადმომეცა. მირზა რეზა ხანმა, რომელსაც ქვემოთ აღვწერ, თარჯიმნად თავისი თანაშემწე შემომთავაზა. მე კი თეირანში რუსეთის საელჩოს თარჯიმანი შელკუნოვი (Shelkūnof), რომელიც თეირანიდან ახალი ჩამოსული იყო, წავაქეზე: რახან რუსეთში ვიმყოფებით, თარჯიმნობა შენ გეკუთვნის-მეთქი. მანაც სრულიად მოურიდებლად [ამ თხოვნით] პირდაპირ შაჰს მიმართა და გადაწყდა, რომ

ის თარგმნიდა. თბილისის შესასვლელთან შაჰს დიდი პატივით შეეგებნენ. მე ოფიციალურ ტანსაცმელში ვიყავი ჩაცმული და შაჰს *იშიქაყასიბაშისკენ* გავუძეხი. როცა ჩვენთვის განკუთვნილ სახლებში წასასვლელად *კალიასკებში* ვსხდებოდით, მირზა მაჰმუდ ხანმა აზიზ ხანი თავის *კალიასკაში* ჩაისვა. მე და ტულუზანი (Tolūzān) მთავრობის სასახლეში დაგვაბინავეს. იქ ვნახეთ ნასერ ალ-მოლქი, სადიყ ას-სალთანე, ემირ ზადე სოლთან ებრაჰიმ მირზა და მო'ავენ ალ-მოლქი, რომლებიც გილანიდან ჩამოსულიყვნენ. საღამოს ოფიციალური ვახშამი გაიმართა და ჩვენ შაჰის მაგიდასთან დავსხედით. ამინ ას-სოლთანმა სადიყ ას-სალთანეს მწვანე ყანიმი უბოძა. საჩუქარმა სადიყ ას-სალთანე ისე გაადიდგულა, რომ მგზავრობის ბოლომდე ყველას უტიფრად ექცეოდა.

15 რამაზანი (15 მაისი), ხუთშაბათი:

ეს დღე თბილისში გავატარეთ. დილით აბანოში წავედი. სასტუმროში ვისადილე და შაჰის სადილის დროს მის წინაშე გამოვცხადდი. შაჰი დღეს ქალთა სკოლის სანახავად მიბრძანდება. აზიზ ას-სოლთანმა დაიუინა, რომ მას გაჰყოლოდა. ბოლოს ტირილი დაიწყო და შაჰი იძულებული გახდა, თან წაეყვანა. საღამოს ოფიციალური ვახშამი გაიმართა. ამ ყმაწვილმა მოითხოვა, რომ ვახშამს დასწრებოდა, მაგრამ კავკასიის მთავარმართებელი უარზე იყო. ამინ ას-სოლთანი ამის თაობაზე მთავარმართებელს რამდენჯერმე ელაპარაკა, მაგრამ ვერ დაიყოლია. მირზა მოჰამად ხანმა, რომელსაც ძალიან უნდოდა, რომ აზიზ ხანისთვის ეამებინა, მას მაგიდასთან საუკეთესო ადგილი მიუჩინა. შაჰმა და მთავარმართებელმა მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს. შელკუნოვი თარგმნიდა. სადრ ა'ზამმა სხვადასხვა პირთა აღსანუსხავად ფანქარი ამოიღო და რამდენიმე სიტყვა დაწერა ფურცელზე, რომელზეც, წესით, საჭმელების სახელებს წერენ და მაგიდაზე დებენ ხოლმე. მერე ხელი გაიწვდინა და ფურცელი შაჰს გადააწოდა. ამასობაში შაჰმა ყინული მოისურვა. სადრ ა'ზამი ადგილიდან წამოხტა და შაჰის სურვილის გადასაცემად მეორე ოთახში სირბილით გაიქცა, რითაც დამსწრე საზოგადოების აშკარა დაცინვა გამოიწვია. ვახშამს ესწრებოდა კავკასიელ *მუტრიბთა* დასი, რომელიც ირანულ მელოდიებს უკრავდა და მღეროდა. ვახშმის შემდეგ შაჰი თეატრში წაბრძანდა, მაგრამ ძლიერ სიცხეს ვერ გაუძლო და უკან დაბრუნდა.

16 რამაზანი (16 მაისი), პარასკევი:

დღეს მეფის კორტეჟი თბილისიდან მლეთაში (Melīt) გაემგზავრა. იქამდე 14 *ფარსახია*. საოცარი გაუგებრობა მოხდა: თბილისის გუბერნატორს შაჰი ქალაქის გასასვლელამდე უნდა გაეცილებინა, მაგრამ მხოლოდ სასახლის კარამდე მიაცილა. ამასობაში ებრაჰიმ მირზა გამოჩნდა. თავის ცოლთან და ამინ ად-დოულეს ცოლთან ერთად მექას მოსალოცად მიდიოდა. ძალიან მოუნდა ჩვენთან ერთად ევროპაში წამოსვლა, მაგრამ ამინ ას-სოლთანმა უფლება არ მისცა.

ერთი სიტყვით, შუა გზაზე სადილად დავსხედით. ამინ ას-სოლთანმა მითხრა: „შენ არაპრაქტიკოსი სწავლული ხარ". მე ვუპასუხე: „თქვენ კი ის მქადაგებელი ხართ, რომელსაც თავისი ქადაგებების თავად არ სჯერა". ძალიან ეწყინა.

ჯანდაბა! ნეტავ რა მოხდება? მზის ჩასვლის შემდეგ სახლში დავბრუნდით. არც სახლი ვარგოდა და არც საჭმელი.

17 რამაზანი (17 მაისი), შაბათი:

დღეს ვლადიკავკაზში (Velād-e Qafqāz) მივდივართ და იქამდე 14 *ფარსახია*. კავკასიის მთები გავიარეთ. 3 *ფარსახი* გვქონდა დარჩენილი, როცა ძლიერი წვიმა წამოვიდა. მზის ჩასვლისთვის ვლადიკავკაზში შევედით. ქალაქში არ გავჩერებულვართ, პირდაპირ რკინიგზის სადგურში წავედით და მატარებელში ჩავსხედით. ჩემი ტანსაცმელი და ღამის ნივთები დასველებულიყო. რა ძაღლური ცხოვრებაა! საღამოს შაჰის სამსახურში ვიყავი. ვახშამიც კი არ იყო, რომ მეჭამა. ის იყო მშიერს უნდა დამეძინა, რომ ერთი ნაჭერი პური ვიშოვე. ძალიან მოუსვენრად მეძინა.

უკანა გზა

[1307 წლის] 9 მუჰარამი (1889 წლის 5 სექტემბერი), ხუთშაბათი:

დღეს მლეთაში მივდივართ. ისე ცივა, თითქოს ზამთარი იყოს და ძლიერად წვიმს. მლეთამდე 15 *ფარსახია*. ყაფის მთაზე[266] უნდა გადავიდეთ. ექიმი ფურიე და ადიბ ალ-მოლქი ჩემს *კალიასკაში* ისხდნენ. მზის ჩასვლისთვის მლეთაში შევედით. საღამოს შაჰის ვახშამს დავესწარი და მისი ნარჩენებით ვივახშმე.

10 მუჰარამი (6 სექტემბერი), პარასკევი:

დღეს *აშურაა*[267]. დილით *აშურას* ლოცვა წავიკითხეთ და გზას გავუდექით. თბილისისკენ მივდივართ და იქამდე ძალიან გრძელი გზაა. ნაშუადღევის სამ საათზე ვისადილეთ. ამინ ას-სოლთანი ისევ შეუძლოდ იყო. მზის ჩასვლისთვის თბილისში შევედით. მე *ჰოტელში* დავბინავდი. საღამოს შაჰთან გამოვცხადდი. განსვენებული ამინ ად-დოულეს ვაჟი მოჰამად ებრაჰიმ ხანი თეირანიდან თავისი ბიძის მოჰამად ალი ხან ქაშის სანახავად ჩამოსულიყო. მოჰამად ალიმ რუსების სამსახურში ხუთასი ათასი დააგროვა. აქ ასევე ვნახე ამერიკაში ირანის უწინდელი ელჩი გადარეული ჰაჯი ჰოსეინ ალი ხანი და ემირ ზადე სოლთან ებრაჰიმი, რომლებიც პარიზიდან ერთად ჩამოვიდნენ და სტამბოლში საშინლად იჩხუბეს. მერე სახლში წამოვედი, ვივახშმე და დავიძინე.

---

266 იხ. შენიშვნა 40.

267 შიიტთა სამგლოვიარო დღე, როცა მოიხსენიებენ მესამე იმამის ალის ვაჟს ჰუსეინს, რომელიც თანამებრძოლებთან ერთად ჰიჯრის 61 წ. 10 მუჰარამს /680 წ. 10 ოქტომბერს ქარბალასთან (ერაყი) ომაიანებთან ბრძოლაში დაიღუპა. მუჰარამის პირველი ათი დღე სამგლოვიარო დღეებად ითვლება და ამასთან დაკავშირებით იმართება *როუზეები* – შეკრებები, რომლებზეც სპეციალური მთხრობელები – *როუზეხანები* ყვებიან შიიტი წმინდანების ცხოვრებისა და მოწამეობრივი სიკვდილის ისტორიებს.

11 მუჰარამი (7 სექტემბერი), შაბათი:

დილით აბანოში წავედი და იქიდან სახლში დავბრუნდი. საღამოს სოლთან ებრაჰიმ მირზასთან ერთად ცოტა ხანი ბაზარში გავისეირნე. დღეს შაჰი და მისი თანამგზავრები მო'ინ ალ-ვეზარასთან იყვნენ დაპატიჟებული. იქ რამდენიმე *როუზეხანი* მოვიდა და პატარა *როუზე* ჩაატარეს. ვახშმის შემდეგ სახლში წამოვედი.

12 მუჰარამი (8 სექტემბერი), კვირა:

მზის ჩასვლას ორი საათი აკლდა, თბილისიდან დილიჯანში რომ გავემგზავრეთ. მე და ექიმი ფურიე ერთ ვაგონში დავბინავდით. ვახშმის დროს შაჰს ვეახლე. რუსულ გაზეთში სადრ ა'ზამის შესახებ ცუდი რამეები დაეწერათ და ძალიან გაბრაზებული იყო. ღამე მატარებელში დავიძინეთ.

ფარჰად მირზა და მისი მოგზაურობის წიგნი

ფარჰად მირზა მო'თამად ად-დოულე.

ფარჰად მირზა, ცნობილი ლაყაბით მო'თამად ად-დოულე (1818-1887/88), აზერბაიჯანის გუბერნატორის, ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის აბას მირზა ნაიებ ასსალთანეს მეთხუთმეტე ვაჟი იყო. მან განათლება თავრიზში მიიღო და 17 წლის ასაკში უკვე ლურისტანის გუბერნატორად დაინიშნა. ორჯერ, 1837 და 1839 წლებში, მოჰამად შაჰის თეირანში არყოფნის პერიოდებში, მისი შემცვლელის (*ნაიებ ალ-ელაიე*) მოვალეობას ასრულებდა. 1841 წელს ფარსის გუბერნატორის ნასერ ად-დინ ვალიაჰდის თანაშემწე გახდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ მას უცხო ქვეყნებთან თანამშრომლობა დააბრალეს, რის გამოც მოჰამად შაჰმა ის თანამდებობიდან გადააყენა და თალაყანის გუბერნიაში გაგზავნა. იმავე წელს ფარჰად მირზამ თვითნებურად დატოვა თალაყანი, თეირანში დაბრუნდა და ინგლისის საელჩოს შეაფარა თავი. რამდენიმე წელი ჩრდილში ყოფნის შემდეგ, ფარჰად მირზა ისევ სახელმწიფო სამსახურში დაბრუნდა და ჯერ ლურისტანის და მერე ქურთისტანის და ჰამადანის გუბერნატორად დაინიშნა. 1874 წელს ავისმოსურნეებმა მას უფლისწულ მოზაფარ ად-დინთან ფარული ურთიერთობა დააბრალეს. ნასერ ად-დინ შაჰის რისხვას ფარჰად მირზა ამჯერად მექაში მოგზაურობით განერიდა. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები მან აღწერა თავის „მოგზაურობის წიგნში".

ფარჰად მირზა ყაჯართა დინასტიის ერთ-ერთ ყველაზე ერუდირებულ უფლისწულად ითვლება. ის სახელმწიფო მოღვაწეობას წარმატებით უთავსებდა სამწერლობო და მთარგმნელობით მუშაობასაც. მას ეკუთვნის წიგნი „ბობოქარი ოკეანე და დინასტიის მახვილი" იმამ ჰოსეინის მკვლელობაზე. ფარჰად მირზამ შეაგროვა, წინასიტყვაობა დაურთო და გამოსცა მირზა აბუ'ლ-ყასემ ყაიემ მაყამის ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ინგლისურიდან თარგმნა უილიამ პინაკის გეოგრაფია („ჯემშიდის ჯამი გეოგრაფიაში"), არაბულიდან თარგმნა შეიხ ბაჰაის მათემატიკის მოკლე კურსი („მათემატიკის საგანძური") და სხვა.

ტექსტები

Safar-nāme-ye Farhād Mīrzā, tashīh va tahshīye-ye Gholāmrezā Tabātabā'ī, Tehran, 1366/1987.

Safar-nāme-ye Farhād Mīrzā Mo'tamad ad-Doule, be ehtemām-e Esmā'īl Navvāb Safā, Tehran, 1366/1987.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 3, Tehran, 1347/1970, 86-92.

Esmā'īl Navvāb Safā, *Sharh-e hāl-e Farhād Mīrzā Mo'tamad ad-Doule*, Tehran, 1366/1987.

Esmā'īl Navvāb Safā, "Moqaddame-ye Safar-nāme-ye Farhād Mīrzā Mo'tamad ad-Doule", წიგნში: *Safar-nāme-ye Farhād Mīrzā Mo'tamad ad-Doule, 5-28.*

Rahīm Ra'īs Nīyā, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", 200-201.

Mohammad Shahrī Barābādī, "Seyri kūtāh dar safar-nāmehā-ye hajj", 187-189.

Gholāmrezā Tabātabā'ī, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Farhād Mīrzā*, 9-12.

Mohammad Taqī Bahār, *Sabkshenāsī yā Tārīkh-e tatavvor-e nasr-e fārsī*, j.3, Tehran, 1369/1990,373.

Kambiz Eslami, "Farhād Mīrzā Mo'tamad-al-Dawla", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1999 (http://www.iranicaonline.org/articles/farhad-mirza-motamad-al-dawla).

მოგზაურობის წიგნი
(1875)

წინა გზა

[1292 წლის] 28 რამაზანი (1875 წლის 28 ოქტომბერი), პარასკევი:

ალგეთში (Āl Get) ჩავედით. ეს სიტყვა თურქულად „აიღე და წადის" ნიშნავს. აღსთაფადან (Āq Estafā) გამგზავრების შემდეგ რკინის ხიდზე გადავედით და გეზი ჩრდილოეთისკენ ავიღეთ. ზურარეხის (Zūrārekhi) ფოსტის სადგურში ღირშესანიშნავი არაფერია. ყარაიერს (Qarāyor) ჰგავს და შიგ საფოსტო ცხენებია დაბმული. ზურარეხიდან დაახლოებით 2-3 *ვერსის* სავალზე პატარა ბორცვი და ხევია და გზის მცველებისთვის ოთახია აშენებული. აქედან გატეხილ ხიდამდე (Sanaq Kerpī) შორი არ არის და გზა მთას მარჯვნიდან მიუყვება. მთები უკან ჩამოვიტოვეთ, ვაკეზე გავედით და სალაჰლომდე (Salāh Lo) დასავლეთით ვიარეთ. სალაჰლოს ფოსტის სადგურს ჩრდილოეთიდან მდინარე მტკვარი ჩამოუდის. ეს ველი დაფარულია ყარაიაზის (Qarāyāzī) ტყით[268], რომელიც იაღლუჯიდან (Yāghlūje) იწყება და მინგეჩაურის (Mīnge Chaūr) მიმდებარე საგუშა-

[268] ყარაიაზი (ყარაია) – მტკვრისპირა ველი ახლანდელი ქალაქ რუსთავის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ისტორიულად ცნობილი იყო, როგორც საზამთრო საძოვრები და ქართველ მეფეთა სანადირო ადგილები.

გომდე გრძელდება. ამ ტყეში ბევრი კანჯარი, ნიამორი, დათვი და სხვა ცხოველია, მაგრამ სამეფო ნაკრძალია და ნადირობა არ შეიძლება. აქაურობა ძალიან ჰგავს არაბეთში მდინარე ქარხეს გარშემო გაშლილ ტყეს.

ზურარეხის ფოსტის სადგურთან სალაჰლოს ბატონები ისმაილ აყა, ბექრ აყა, ჯაფარ აყა, აბდ არ-რაჰმან აყა და ჰასან აყა 50 მხედრისა და მამასახლისების თანხლებით დაგვხვდნენ და სალაჰლოს ფოსტის სადგურამდე მიგვაცილეს. სოფელი სალაჰლო ფოსტის სადგურთან ახლოს მდებარეობს. აქ 700 კომლი ცხოვრობს, ასე რომ ფაქტობრივად პატარა ქალაქია. სალაჰლოდან მტკვარი სულ გზის გასწვრივ, ხან ათასი, ხან კი ორასი ნაბიჯის მოშორებით მიედინება. ორი *ვერსი* გავიარეთ და სოფელ შიხილოში (Shīkhlo) ჩავედით. აქ ჰაჯ ისმაილ ეფენდი სოფლის უხუცესთა თავკაცთან ერთად დაგვხვდა. სალაჰლოდან 7 *ვერსის* სავალზე შიხილოს მცხოვრებთა სასაფლაოა, რომლის სიახლოვესაც მდინარე ხრამი (Kharām) – იწერება „ხე"-თი და უწერტილო „რე"-თი და გამოითქმის როგორც „ჰარამ"[269] – მოედინება. ხრამი სათავეს ბორჩალოს (Borchalo) რაიონის მთებში იღებს, გატეხილ ხიდს ჩაუვლის და მდინარე მტკვარს უერთდება. ცამეტი *ვერსი* გავიარეთ და სანაყ-ქერფიში მივედით. ეს სიტყვა თურქულად „გატეხილ ხიდს" ნიშნავს. ამბობენ, რომ ძველი ხიდი აქვე ახლოს იყო, მაგრამ გატყდა და სხვაგან ააშენეს[270], ამ სოფლის სახელიც აქედან მოდის. ძალიან კარგი, ქვითა და აგურით მკვიდრად ნაშენები ხიდია. სამმალიანია და შუა მალი საკმაოდ დიდია. აშენების დრო უცნობია[271]. ამ რაიონში ხრამი მტკვრის მერე ყველაზე დიდი მდინარეა. ახლა ძალიან ადიდებულია და წყალი სამივე მალიდან გადმოდის. მის გარშემო, ისე როგორც მტკვრის ნაპირებზე, ტყეა გაშენებული. გატეხილ ხიდთანაც გზის გარდიგარდმო ხე დაგვხვდა გადებული. აქ თბილისიდან მომავალ მგზავრებს თითო ცხენში 9 კაპიკს და ასევე *მავაშის* ახდევინებენ.

ხიდზე რომ გადავედით, კაზაკთა დივიზიის პოლკოვნიკი და ცხენოსანთა რაზმის მეთაური ეიუბ აყა გამოსამშვიდობებლად მოვიდა. ხიდის აქეთა მხარეს 14 პატიმარი დავინახე, 11 მუსლიმი და 3 სომეხი, რომლებიც ციმბირში (Sabīrye) მიჰყავდათ. ხიდი გადავკვეთეთ და გეზი ჩრდილოეთისკენ ავიღეთ. მინდორზე რომ გავედით, შორს მტკვარი გამოჩნდა. ის გზის პარალელურად ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიედინება და გზას ხან უახლოვდება და ხან შორდება.

ალგეთის ფოსტის სადგურს ჩამოუდის მდინარე ალგეთი, რომელზეც ქვის ხიდია აშენებული. ხიდი ერთმალიანია და ფოსტის სადგურის სამხრეთით მდებარეობს. სადგურში წყალი მდინარიდან მოაქვთ, თუმცა იქამდე საკმაოდ დიდი

---

269 რაკი სპარსულში ხმოვნები არ იწერება, აქ და შემდგომ ავტორს უცხო სიტყვებისა და ტოპონიმების სწორად გადმოსაცემად ანალოგიური გახმოვანების სპარსული სიტყვები მოაქვს.

270 იგულისხმება უძველესი ხიდი, რომელიც ქალაქ მტკვრისციხეს (ხუნანს) მთავარ გზასთან აკავშირებდა და VIII საუკუნეში მურვან ყრუს ლაშქრობის დროს დაინგრა (ამ ხიდის შესახებ იხ. Н.И. Квезерели-Копадзе, *Гатехили Хиди (Красный мост), Исторический и технический очерк*, Тбилиси, 1956, 9).

271 ახალი ხიდის აშენების თარიღი XVII საუკუნეა და მისი აგება როსტომ მეფეს (1565-1658) მიეწერება (ბერი ეგნატაშვილი, *ახალი ქართლის ცხოვრება. XVIII საუკუნის დამდეგი*, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქტორობით, თბილისი, 1940, 183).

მანძილია. მუსლიმ მოგზაურებს, რომლებსაც ბევრი წყალი სჭირდებათ, ძალიან უჭირთ.

თბილისი

29 რამაზანი (29 ოქტომბერი), შაბათი:

თბილისში (Teflīs) შევედით. ამ სიტყვის ქართული ძირი „თბილისია" (Tbīlīsī), რაც ცხელი წყლის ადგილს ნიშნავს. ქალაქს ეს სახელი იმიტომ ეწოდა, რომ მისი სამხრეთი მთებიდან გადმოდის ცხელი წყლის წყაროები, რომლებზეც აბანოებია აშენებული. სპარსელებმა და არაბებმა „ბა" „ფა"-თი შეცვალეს და „თეფლისი" მიიღეს.

ალგეთის ფოსტის სადგურიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 10 *ვერსი* სიგრძის სწორი შარა მიდის. ამ გზის გავლის შემდეგ მივადექით იაღლუჯის ბორცვსა და ხევს, რომელთა შორისაც, 13 *ვერსის* დაშორებით, საგუშაგო დგას. წყალი არც აქ არის და ის მოაქვთ მდინარე მტკვრიდან, სადამდეც 7 *ვერსია*.

ალგეთს რომ გავცდით, მტკვარმა იაღლუჯის ქედს შემოუარა და გზას დაშორდა. იაღლუჯის ხევსა და ბორცვს შორის გრძელი და ღრმა ხეობაა, რომელსაც „შაჰ გიზლანანს", ანუ „აქ შაჰი დაიმალა" ეძახიან. როცა *შაჰ-ე შაჰიდმა*[272] აღა მაჰმად ხანმა გადაწყვიტა, რომ თბილისის დასასჯელად გაელაშქრა, საქართველოს მმართველმა მის შესახვედრად ჯარი გაგზავნა. ამ ხეობაში დამალული შაჰის ლაშქარი ქართველებს შეებრძოლა, დაამარცხა და თბილისს თავს დაესხა. ირანელებმა ქალაქს სამხრეთი მთიდან შეუტიეს, ერთიანად ააოხრეს და [მოსახლეობა] ამოხოცეს. ეს ამბავი ჰიჯრის 1210 წელს მოხდა.

ჩემი აზრით, *შაჰ-ე შაჰიდის* თბილისზე და ნადირ ხან აფშარის ჯეჰანაბადზე გამარჯვება[273] ამ ძლევამოსილ მეფეთა დიად საქმეთაგან უმნიშვნელოვანესია. მაგრამ, საბოლოოდ, სწორედ ეს ორი გამარჯვება გახდა მიზეზი, რომ ინგლისი ინდოეთს, ხოლო რუსეთი საქართველოს დაეპატრონა. ირანის შაჰები საქართველოს მმართველებს მეტად რომ გაფრთხილებოდნენ, შესაძლოა მათ თავი ასე არ შეერცხვინათ და ამდენი ხნის დინასტია ასე უცებ ქარს არ გაჰყოლოდა.

ერეკლე ხანის (Arīklī Khān) ვაჟი ალექსანდრე მირზა (Aleksānder Mīrzā) ერთ-ერთი იმ ქართველ მმართველთაგანი იყო, ვინც წლების განმავლობაში თავრიზში აწ განსვენებული *ვალიაჰდის* კარზე მსახურობდა, მაღალი თანამდებობა ეკავა და დიდი პატივით სარგებლობდა. თქვენს მონა-მორჩილს ნანახი აქვს თბილისური მონეტა სახელად „ქერიმ ხან ზენდი", რომელზეც „იაქერიმ" იყო ამოტვიფრული. ცუდია, რომ ქერიმ ხანმა, ან აზერბაიჯანის მმართველმა დინბალელმა[274] ხანებმა იმდენ ხანს ვერ იმეფეს, რომ საქართველო და თბილისი ამ დღეში არ

---

272 შაჰ-ე შაჰიდი/ხაყან-ე შაჰიდი (სიტყვ. „მოწამე შაჰი") – აღა მაჰმად ხან ყაჯარის ლაყაბებია.

273 ნადირ ხან აფშარი – ირანის შაჰი 1736-47 წლებში, ყიზილბაშთა აფშარის ტომიდან. 1738 წელს მან ინდოეთი დალაშქრა და ჯეჰანაბადი აიღო.

274 ერთ-ერთი ქურთული ტომის სახელი.

ჩავარდნილიყო. როცა ქართველები ირანის შაჰებს ემსახურებოდნენ და მათ სახელზე მონეტებს ჭრიდნენ, საჩუქრად ხალათებს იღებდნენ.

მოკლედ, იაღლუჯის ქედს რომ გავცდით, მტკვარი გამოჩნდა და დასავლეთისკენ წავედით. ჩვენ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მივდიოდით, მტკვარი კი გზას მარჯვნიდან, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიუყვება. იაღლუჯის ფოსტის სადგურიდან დაახლოებით ერთი *ვერსი* გავიარეთ და მინდორზე გავედით. წყალი არც იაღლუჯის ფოსტის სადგურზეა და ის ერთი *ვერსით* დაშორებული მდინარე მტკვრიდან მოაქვთ. მტკვარი სულ გზას მიუყვებოდა. სოღანლულის (Suqān Lo) ფოსტის სადგური მტკვრის ნაპირზე მდებარეობს. მინდორში ძალიან ბევრი ბალახი და ფიჩხია. სოღანლული სოფელია და ფოსტის სადგური მის სახელს ატარებს. მთის ძაბრისებრ მწვერვალზე დგას ეკლესია, რომელსაც თელეთს (Telet) ეძახიან. წელიწადში ერთხელ თბილისის მოსახლეობა აქ სალოცავად მოდის. ეკლესიის გარშემო 2-3 ოჯახი ცხოვრობს. ისინი ამ ტაძარს ემსახურებიან. ხეობის შუაში მთის კალთაზე სახლები და ბაღებია შეფენილი. სოღანლულის ფოსტის სადგურის წინ მთა არის აღმართული და ამიტომ აქედან თელეთის ეკლესია არ ჩანს. სოღანლულიდან თბილისამდე გზა სულ მთის მარცხენა მხარეს მიდის. რამდენიმე ადგილას მთა გაჭრილია და მასზე გზა არის გაყვანილი.

ქალაქიდან ორ *ვერსში* ირანის გენერალური კონსული *მოყარაბ ალ-ხაყანი* მირზა ასადოლაჰ ხანი ირანის მოქალაქეებთან და ვაჭრებთან ერთად დაგვხვდა. ჩვენთვის მომზადებულ *კალიასკას* მოჰყვებოდა ერთი ოფიცერი და ოთხი კაზაკი, რომლებიც რამდენიმე დღე ჩვენი მცველები უნდა ყოფილიყვნენ. ნაშუადღევს პირველ საათზე ირანის საკონსულოში მივედით. იქ დაგვხვდნენ კავკასიის დროებითი გამგებლის და მინისტრის *პრინც* ბაგრატიონ-მუხრანსკის (Baghrāytūn Mokhrānskī) მხრიდან მირზა ფათჰალი ახუნდოვი, რომელსაც პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდა, ხოლო თბილისის გუბერნატორის მხრიდან შაჰ მირ ხანის ვაჟი მუსიე მალექ ლუარსაბ ბეგლაროვი (Lūārsāb Beglarof). შაჰ მირ ხანი *ხაყან-ე მაყფურის*[275] დროს ირანში ბრძანდებოდა და იქ ხანის ტიტული მიიღო. მათ ჩემთან შეხვედრა სურდათ, მაგრამ მთელი დღის მგზავრობისგან ძალიან დაღლილი ვიყავი და აბანოში მინდოდა წასვლა, ამიტომ შეხვედრა მეორე დღისთვის დავუნიშნე: გუბერნატორს დილის 10 საათზე, *პრინც* ბაგრატიონს ზუსტად დღის 12 საათზე. მათი წასვლის შემდეგ ქალაქის მოსახლეობის მხრიდან ქალაქის *პოლიცმაისტერი* ანუ *ბეგლარბეგი* პოლკოვნიკი მოვიდა და თბილისის მოსახლეობის მისალმება გადმოგვცა. თეთრწვერა მოხუცი იყო. მისი უდიდებულესობა იმპერატორის უმცროსი ძმა მისი აღმატებულება კავკასიის მეფისნაცვალი *პრინცი* მიხეილი (Perens Mīkhāyyl) თბილისში არ იყო, მის უდიდებულესობასთან ყირიმში (Qerem) ბრძანდებოდა, სადაც იმპერატორი *შეფ*-ობის დღესასწაულს ზეიმობდა და მერე პეტერბურგში აპირებდა დაბრუნებას.

რუსეთში ასეთი წესია: ქვეითი ჯარისა თუ კავალერიის პოლკებს რომელიმე უფლისწულის, შესაძლოა, მეფის ასულის, ან გამოჩენილი სარდლის სახელს

---

275 ხაყან-ე მაყფური ფათჰალი შაჰ ყაჯარის ლაყაბია, რომელიც მას გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა.

ანიჭებენ და მას *შეფ*-ს – სინ-ს ქესრა და ფა-ს სუქუნი დაერთვის – ეძახიან. თუ ვინმე 25 წელი ერთ პოლკში ან ერთ თანამდებობაზე გაატარებს და სამსახურს არ გამოიცვლის, ან თუ ორდენს მიიღებს და 25 წელი ატარებს, 25 წლის თავზე მას მადლობის ნიშნად დიდ ზეიმს გაუმართავენ. მისი უდიდებულესობა იმპერატორი მსახურობდა ერევნის პოლკში, რომელსაც ეძახიან *ლეიბ გრენადერთა ერევანსკი* პოლკს[276] – „ლეიბ" გამოითქმის როგორც ყეიბ და ნიშნავს საუკეთესოს, გამორჩეულს, „გრენადე" – სპარსულ ქაფ-ს ქესრა დაერთვის, – ტანმაღალს, ახოვანს, ხოლო „ერევანსკი" ერევანთან კავშირზე მიანიშნებს. წინა იმპერატორის ნიკოლოზის (Nikülāy) დროს ეს პოლკი ახლანდელ იმპერატორს გადასცეს და მისი *შეფ*-ობის ქვეშ მოექცა ანუ მისი საკუთრება გახდა. ამ ფაქტს რუსული კალენდრით 1875 წლის 14 ნოემბერს (ანუ ინგლისური კალენდრით[277] 26 ნოემბერს და ჰიჯრით 1292 წლის 26 შავალს) ზეიმობენ. იმპერატორი ამ დღეს ყირიმში აღნიშნავს და მერე პეტერბურგში დაბრუნდება. მისი აღმატებულება მეფისნაცვალიც ამასთან დაკავშირებით შავალის თვის ბოლომდე ყირიმში დარჩება. *შეფ*-ობის ზეიმიდან სამი დღის შემდეგ იმპერატორის წმინდა გიორგის (Jārch) თეთრი ორდენით დაჯილდოების დღესასწაულია. იმპერატორ ნიკოლოზის მეფობის დროს [ახლანდელ] იმპერატორს კავკასიის და დაღესტნის მთებში თავს დაესხნენ და ესროლეს. იმპერატორმა ამ ბრძოლაში დიდი ვაჟკაცობა და სიმამაცე გამოიჩინა და მამამისმა იმპერატორმა ნიკოლოზმა ის დააჯილდოვა თეთრი ჯვრის ორდენით, რომელსაც სპეციალურად ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის ანიჭებენ[278]. ეს ორი დღესასწაული ერთმანეთის მიყოლებით სამი დღის ინტერვალით აღინიშნება და რამდენიმე დღე დიდი ზარ-ზეიმია.

მოკლედ, თბილისი ნამდვილი ევროპული ქალაქის ნიმუშია. როგორც ამბობენ, ერთი პეშვით ერთ *ხარვარს* შეიცნობ[279].

თამბურის კვნესა და დოლის ხმა
მინელდა და აღარც მოღუნული ხმალი [დარჩა][280].

ქალაქს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მთები აკრავს. სამხრეთი მთა უფრო მაღალი და ციცაბოა. მთის წვერზე მოჩანს ციხე-კოშკის ნაშთები, რო-

---

276 რუსეთის არმიის ერთ-ერთი უძველესი პოლკი. ჩამოყალიბდა 1642 წელს. 1800 წელს შემოიყვანეს საქართველოში. 1827 წელს ერევნის აღებასთან დაკავშირებით მიიღო „ერევნის" (Эриванский) სახელწოდება. იმპერატორი ალექსანდრე II, რა თქმა უნდა, პოლკში არ მსახურობდა. ის იყო პოლკის შეფი 1850-1881 წლებში.

277 ინგლისურ კალენდარში ავტორი გულისხმობს გრიგორიანულ კალენდარს, რომელსაც იმ დროს მთელი ევროპა მისდევდა.

278 წმ. გიორგის მეოთხე კლასის ორდენი მომავალმა იმპერატორმა ალექსანდრე II-მ 1850 წელს, კავკასიის ომის დროს დაღესტანში ხანმოკლე მოგზაურობის შემდეგ მიიღო. 1869 წელს მან თავის თავს წმ. გიორგის პირველი კლასის ორდენიც მიანიჭა. 14 (26) ნოემბერი მეორე ორდენის მიღების თარიღია.

279 ირანული ანდაზა, რომელიც გულისხმობს, რომ მცირედით დიდი გამოიცნობა, ანუ მცირედით წარმოდგენას შეიქმნი დიდზე.

280 მოღუნულ ხმალში იგულისხმება იატაგანი – პირმოღუნული და ყუაამოზნექილი მახვილი, რომელიც აღმოსავლეთის ხალხებში იყო გავრცელებული. ავტორისთვის იატაგანი, ისე როგორც თამბური და დოლი აღმოსავლეთის სიმბოლოს წარმოადგენს.

მელიც ადრე საქართველოს მმართველებს ეკუთვნოდა. მდინარე მტკვარი (Kor) – არაბულ ქაფ-ს ზამმე და რე-ს თაშდიდი დაერთვის და გამოითქმის როგორც სიტყვა ჰორრ – ქალაქს შუაზე კვეთს. სამხრეთი მხარე უფრო დიდია და მასში ბევრი კარგი სახლი და ბაზარია. თბილისში შვიდი ცხელი წყაროა და ყველა მათგანი ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ზოგიერთი ძალიან ცხელია და ადამიანისთვის მავნეა. ცხელ წყაროებზე მშვენიერი აბანოებია აშენებული. გოგირდის სუნი საერთოდ არ იგრძნობა, მაგრამ წყლიდან ამოსვლის შემდეგ თმა და სხეული ისე გაქვს დარბილებული, თითქოს თავზე, ტანზე და წვერზე ბალბას ნაყენი ნაგისვესო.

ირანის საკონსულო მაღლობზე დგას და იქიდან თითქმის მთელი ქალაქი მოჩანს. გენერალური კონსული ანუ ირანული ტერმინოლოგიით *„ქარფარდაზ-ე ავალი“*[281] მირზა ასადოლაჰ ხანია, რომელიც *სეიდ თაბათაბაია*[282]. ის *მოსთოუფი* მირზა ალი ასყარის ვაჟი და მირზა რაფის შვილიშვილია. ეს უკანასკნელი *ხაყან-ე შაჰიდის* დროს თავრიზის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იყო და განსვენებული *ვალიაჰდის* გამეფებამდე თავრიზში ცხოვრობდა. მირზა ასადოლაჰ ხანმა კარგად იცის ფრანგული და ახლა რუსულიც ისწავლა. ის წესიერი კაცია და კარგი რეპუტაცია აქვს. ვაჭრები და ირანის სხვა ქვეშევრდომები მისით ძალიან კმაყოფილი არიან და რუსი წარჩინებული მოხელეებიც დიდ პატივს სცემენ.

ერთი *ვერსი* – გამოითქმის როგორც ხერს – 500 *საჟენის* ტოლია, ხოლო ერთი *საჟენი* სამ რუსულ *ზარ'ს*[283] შეესაბამება. ჩვენ *ვერსი* ერაყული *ბაზაზის ზარ'ით*[284] გავზომეთ. ერთი რუსული *ზარ'ი* ნახევარ *ზარ'სა* და სამ *გერეს* უდრის, შესაბამისად, 1 *საჟენი*, რომელიც 3 რუსული *ზარ'ის* ტოლია, 33 *გერეს* ეკვივალენტია, რაც 2 *ზარ'სა* და 1 *გერეს* შეესაბამება. 24 *საჟენი* 16,5 *ზარ'ის*, ხოლო 48 *საჟენი* 33 *ზარ'ის* ტოლია. 1 რუსული *ვერსი*, რომელიც 500 *საჟენს* უდრის, 1500 რუსული *ზარ'ის* ეკვივალენტია, რაც ერაყული *ბაზაზი ზარ'ის* მიხედვით 1032 *ზარ'ისა* და 3 *ჩარაქის* ტოლია. თუმცა ახლა სავაჭრო ოპერაციების დროს 500 *საჟენს* 1500 *ზარ'ად* აფასებენ და ყველა ვაჭარი გარიგების დროს 500 რუსულ *ზარ'ს* 350 ერაყულ *ზარ'ად* თვლის, რაც, როგორც გავარკვიეთ, 1050 *ზარ'ში* 17 *ზარ'სა* და 1 *ჩარაქ* განსხვავებას იძლევა.

ბაქოდან სარაის (Sarāy) ფოსტის სადგურამდე 17 *ვერსი* და სამი *ჩათვარია* (*ჩათვარი ვერსის* მეოთხედია), სარაიდან ერბათამდე (Erbāt) – 14 *ვერსი* და 1 *ჩათვარი*. აქ ძალიან ცუდი წყალია. ერბათიდან ლანათნამემდე (La'nat Nāme) 11 *ვერსია*. აქ წყალი არ არის და ის შორიდან მოაქვთ. ლანათნამედან ჯანგის (Jangi) ფოსტის სადგურამდე 12 *ვერსია*. აქაც ცუდი წყალია. მთლიანობაში 55 *ვერსი* გზაა. ჯანგიდან ნაყი-ქერფამდე (Naqī Kerpī) 17,5 *ვერსია*. აქაურ წყალს მწარე გემო აქვს. ნაყი-ქერფიდან მარაზამდე (Maraze) 12 *ვერსი* და 3 *ჩათვარია*. აქაც ცუდი წყალია. მარაზადან აჯიდარემდე (Ājī Dare) 15 *ვერსი* და 1 *ჩათვარია*. ეს ადგილი თავის სახელს ამართლებს, რადგან აქ ძალიან მწარე წყალია და გემრი-

---

281 სიტყვასიტყვით პირველი კონსული.

282 ნინასწარმეტყველ მუჰამედის შთამომავალი ორივე მშობლის ხაზით.

283 რუსულ ზარ'ში ავტორი არშინს გულისხმობს.

284 ბაზაზი (სიტყვასიტყვით საფეიქრო) ზარ'ი – ქსოვილის სიგრძის საზომი.

ელი წყალი შორიდან მოაქვთ. აჯიდარედან შამახამდე (Shemākhā) 12 *ვერსი* და 1 *ჩათვარია*. მთლიანობაში 57 *ვერსი* და სამი მეოთხედია. ქალაქ შამახადან შერადილის (Sherādīl) ფოსტის სადგურამდე 17 *ვერსი* და 1 *ჩათვარია*. შერადილიდან აღსუმდე (Āq Sū) 19 *ვერსი* და 3 *ჩათვარია*. მთლიანობაში – 38 *ვერსი*. აღსუდან ქულულიმდე (Kolūlī) – არაბულ ქაფ-ს ზამმე დაერთვის – 12 *ვერსია*. ქულული ორი უბნისგან შედგება: ერთში, რომელიც ცოტა მოშორებით არის, მუსლიმები ცხოვრობენ, ხოლო ფოსტის სადგურის ახლოს – მალაკნები. ქულულიდან ყარამარიამამდე (Qarāmaryam) 12 *ვერსი* და 3 *ჩათვარია*. ყარამარიამიდან გოქ-ჩაიმდე (Gūg Chāy) 12 *ვერსი* და 2 *ჩათვარია*, სულ – 55 *ვერსი* და 1 *ჩათვარი*. გოქ-ჩაიდან თურიან-ჩაიმდე (Tūryān Chāy) 22 *ვერსია*. თურიან-ჩაის ფოსტის სადგური იქვე ახლოს აღდაშში (Āq Dāsh) გადაიტანეს, რადგან თურიან-ჩაი მთის ფერდობზე მდებარეობს, აღდაში კი ვაკეზეა. აღდაშიდან არაბამდე ('Arab) 14 *ვერსი*, ხოლო არაბიდან ჩომაღლომდე (Chomāqlo) 16 *ვერსია*. სულ 52 *ვერსი* გამოდის. ჩომაღლოდან მინგეჩაურამდე 19 *ვერსი* და 1 *ჩათვარია*. მინგეჩაურიდან ყარაყოლი-ჩაიმდე (Qārqolū Chāy) 20 *ვერსია*. „ყარაყოლი" თურქულად ლერწამს ნიშნავს, „ყარაყილი" კი – ლერწმიანს. ყარაყოლი-ჩაიდან ქუროქ-ჩაიმდე (Kūrok Chāy) – ორი არაბული ქაფ-ით იწერება და მხარს ნიშნავს – 19 *ვერსია*. ქუროქ-ჩაიდან ქალაქ განჯამდე (Ganje) 21 *ვერსია*, სულ – 40 *ვერსი*. ქალაქ განჯიდან ყარაიერამდე 17 *ვერსია*. აქ დაუმთავრებელ ფოსტის სადგურთან ცხენი აბია, თუმცა არავინ ცხოვრობს. ყარაიერიდან შამქორამდე (Shamkūr) 19,5 *ვერსია*. შამქორიდან ძეგამამდე (Zegam) – სპარსული ქაფ-ით იწერება – 22 *ვერსი* და 2 *ჩათვარია*, სულ – 50 *ვერსი*. ძეგამიდან თოუზამდე (Tovūz) 19 *ვერსია*, თოუზიდან ჰასანსუმდე (Hasan Sū) – 16 *ვერსი*, ხოლო ჰასანსუდან აღსთაფამდე – 12 *ვერსი*, სულ – 47 *ვერსი*. აღსთაფადან ზურარეხამდე 10,5 *ვერსია*, ზურარეხიდან სალაჰლომდე – 13 *ვერსი*, სალაჰლოდან ალგეთამდე – 23 *ვერსი*, სულ – 46,5 *ვერსი*. ალგეთიდან იაღლუჯამდე 22 *ვერსია*, იაღლუჯიდან სოღანლუღამდე (ნიშნავს ხახვიანს, ანუ ადგილს, სადაც ბევრი ხახვია) – 12 *ვერსი*, ხოლო სოღანლუღიდან თბილისამდე, ანუ [თბილისის] *ფოშთახანემდე* – 10,5 *ვერსი*, სულ – 44,5 *ვერსი*.

ერთ *ვერს* გზაზე თითო ცხენში 3 კაპიკ ქირას იღებენ. 100 კაპიკი 1 მანეთის ანუ 3010 ირანული *შაჰის* ტოლია. რუსული *იმპერიალი* 5 მანეთს უდრის და მისი ზედაპირი მოხატულია. *დუკა* სამი მანეთის ტოლფასია და მასზე გეომეტრიული ციფრებია გამოსახული. მაგრამ *იმპერიალს*, *დუკას* და ქაღალდის მანეთს შორის [კურსის მიხედვით] 2-3 ათასი სხვაობაა.

30 რამაზანი (30 ოქტომბერი), კვირა:

დილით ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მისი აღმატებულება ადიუტანტი *კნიაზ* მირსკი (Merīskī) მოვიდა და მიღება ითხოვა. რადგან წინა დღეს მის უდიდებულესობასთან ვიყავი შეთანხმებული, ვუთხარი: „თუ არ შეწუხდებით, ნაშუადღევს პირველ საათზე მობრძანდით".

შუადღეს ორი საათი აკლდა, როცა თავად მისი აღმატებულება ორლოვსკი (Orlof Eskī) და შაჰ მირ ხანის ვაჟი *მუსიე* ლუარსაბ ბეგლაროვი მოვიდნენ. მისი აღმატებულება წარმოშობით პოლონელია და 16 წელია, რაც თბილისის გუბერნატორია. აღმსარებლობით კათოლიკეა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ ხნის

განმავლობაში მისი ავისმოსურნეები ცდილობდნენ, რომ თანამდებობიდან გადაეყენებინათ, ვერაფერი მოუხერხეს. ძალიან თავაზიანი კაცია. მისი წასვლის შემდეგ დათქმულ დროს მისი აღმატებულება ბაგრატიონი მობრძანდა. ირანისა და თავისი ქვეყნის ორდენები ეკეთა. ცოტა ხანი დავსხედით და ვისაუბრეთ. ძალიან დახვეწილი და ჭკვიანი კაცია, „შინაგანად ბრწყინვალე და გარეგნულად სადა". წარმოშობით ქართველია და წინასწარმეტყველ დავითის შთამომავალია. ამასობაში ქართველი არისტოკრატი და უძველესი გვარის შთამომავალი მისი აღმატებულება *კნიაზ* გრიგოლ ორბელიანი (Grīgorī Orbī Lyānī) მობრძანდა. ის იმპერატორის გენერალ-ადიუტანტი და სენატორია. როცა ჰიჯრით 1286 წლის ბოლოს მისი უდიდებულესობა შაჰინშაჰი გილანს ესტუმრა, რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მასთან შეხვედრის პატივი სწორედ *კნიაზ* ორბელიანს ერგო. რამდენიმე ორდენი ეკეთა, მათ შორის – მისი უდიდებულესობის გამოსახულებიანი ორდენიც. მისმა აღმატებულება ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მას ადგილი დაუთმო და წავიდა. *კნიაზ* ორბელიანმა მირზა ასადოლაჰ ხანი ქებით მოიხსენია და გვთხოვა, რომ მისი სამსახურისა და ერთგულების შესახებ ირანის პირველი პირებისთვის გვემცნო. *კნიაზის* წასვლიდან ნახევარ საათში მისი აღმატებულება ბაგრატიონ-მუხრანსკი დაბრუნდა. მას თარჯიმნობას მირზა ფათჰალი ახუნდოვი უწევდა. გვითხრა: „რა სამწუხაროა, რომ თბილისის ზოგიერთი ღირშესანიშნაობა ვერ დაათვალიერეთ" და რამდენიმე ადგილი დაასახელა. მერე თქვა: „თქვენთვის თეატრში ადგილს შევანახინებ და თუ მოისურვებთ, ნებისმიერ საღამოს შეგიძლიათ, წახვიდეთ და წარმოდგენას დაესწროთ". მერე ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლის სამხედრო თანაშემწე, მისი აღმატებულება *კნიაზ* მირსკი მობრძანდა. თარჯიმნობას ისევ მირზა ფათჰალი უწევდა. *კნიაზ* მირსკი ძალიან სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა. 20 წლის წინ სევასტოპოლის ბრძოლაში ორჯერ იყო დაჭრილი. ერთი გამჭოლი ჭრილობა მკერდში ჰქონდა მიყენებული და ამის გამო ცხენზე ჯდომა უჭირდა. უამრავი ორდენი ეკეთა. საუბრის დროს გვითხრა: „ცოტა ხნის წინ დაარსდა ერთი კომპანია, რომელსაც ინგლისსა და საფრანგეთს შორის მდებარე ლა-მანშის ზღვის ქვეშ გზა გაჰყავს. ამ ზღვაზე ხშირია შტორმი და რამდენჯერმე გემები ერთმანეთს შეეჯახა და დაიმტვრა. ამიტომ მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ ვაჭრობის გამოცოცხლებისთვის მიწისქვეშა გზა აეშენებინათ და ამ დროისთვის სამუშაოები უკვე დაწყებულია". კიდევ გვიამბო: „პარიზში ერთმა კაცმა საოცარი რამ გამოიგონა: თეთრ და შავ მინაზე მოხვედრილი მზის სხივები გამოყოფენ სითბოს, რომელსაც მანქანა მოძრაობაში მოჰყავს და მისი ორთქლისგან მატარებლები და გემები ისე დადიან, რომ ქვანახშირი, ნავთობი და შეშა არ სჭირდებათ". ეს გამოგონება, მართლაც, სასწაულია. [მსმენელებმა] თქვეს: „ღმერთმა ადამიანის გონებას განუსაზღვრელი შესაძლებლობები მიანიჭა", რაზეც [მან] უპასუხა: „სასულიერო პირები გონებას არ ცნობენ". დაახლოებით ერთი საათი იჯდა და წავიდა. საუბრისას, როცა ლაპარაკი ძველ შენობებზე ჩამოვარდა, გეკითხა: „გატეხილი ხიდი თუ ნახეთ?"

ვუთხარი: „დიახ, ძალიან კარგი ხიდია".

თქვა: „ამდენი ხნის აშენებულია და პატარა შეკეთებაც კი არ დასჭირვებია".

ვკითხე: „ვისი აშენებულია?"

მიპასუხა: „შაჰ აბას პირველის".

როგორც ჩანს, [შაჰ აბასი] საქართველოზე და ყარაბაღზე ძალიან ზრუნავდა, რომ განჯაში მოედანი და მეჩეთი, აქ კი ასეთი ხიდი ააგო.

ბაგრატოვანთა გვარის წარმომადგენლები ძველ დროში საქართველოს მეფეები იყვნენ. სწორედ ამ ბაგრატიონებზეა ლაპარაკი ხაყანის[285] ერთ ლექსში:

„იქ ქრისტეს ზარებს სასოებით ვემთხვევი კიდეც,
ზონარს შევიბამ, ქრისტიანის ჯვარს დავიკიდებ.
ნაჭარმაგევში და მუხრანში მინდა, გავიდე.
ბაგრატიონთა სასახლეში ბინას დავიდებ"[286].

ხაყანის დივანის კომენტატორი კი ბაგრატიონებს *ჰაქიმად*[287] მიიჩნევს, რაც შეცდომაა.

რამაზანის დღესასწაული (31 ოქტომბერი), ორშაბათი:

გვეწვია *მუსიე* ლუარსაბ ბეგლაროვის უფროსი ძმა *მუსიე* პაველ (Pāvel) ბეგლაროვი, რომელიც სპარსულად მშვენივრად ლაპარაკობს. მირზა ფათჰალი მოვიდა და მოგვახსენა: „მისმა აღმატებულება *პრინც* ბაგრატიონ-მუხრანსკიმ თქვენდამი ღრმა პატივისცემის ნიშნად შაჰ მირ ხანის ვაჟს *მუსიე* ლუარსაბ ბეგლაროვს დაავალა, რომ ფოთის ნავსადგურამდე გაგაცილოთ, გემში ჩაგსვათ და თქვენი მშვიდობიანად გამგზავრების ამბავი ჩამოიტანოს". სიკეთისთვის დიდი მადლობა გადავუხადე. ამ კაცს პოლკოვნიკის ჩინი აქვს და ქალაქის ჩრდილოეთი ნაწილის ნახევარი ეკუთვნის.

მერე მირზა ფათჰალი ახუნდოვის ცოლისძმა მირზა მოსტაფა მოვიდა და სპარსულად გვითხრა: „გენერალ-მაიორი ბენტესკი (Ben Teskī), რომელიც პლანეტა ვენერას მზესთან მიახლოებაზე დასაკვირვებლად თეირანში იყო ჩამოსული და თქვენთანაც ბრძანდებოდა, მიღებას გთხოვთ". ვუთხარი: „ხვალ მოვიდეს". ამ კაცმა, მას შემდეგ, რაც თეირანში საქმეს წარმატებით გაართვა თავი, გენერლის ჩინი მიიღო.

შემდეგ *კალიასკაში* ჩავჯექი და საპასუხო ვიზიტებზე წავედი. მის აღმატებულება *პრინც* ბაგრატიონ-მუხრანსკის და თბილისის გუბერნატორ ორლოვსკის სადარბაზო ბარათები დავუტოვე და მის აღმატებულება *კნიაზ* მირსკის ვეწვიე. ძალიან თავაზიანი კაცი იყო და მშვენიერი მანერები ჰქონდა. ერთი ოთახი ირანულ ყაიდაზე მოეწყო და ფანჯრებიც ირანულ ყაიდაზე გაეკეთებინა. ოთახში ბევრი სპარსული ნივთი იყო. დივანზე და კედლებზე თურქული ხალიჩები ეფინა. ჩინებული მოსაუბრე აღმოჩნდა. რკინიგზის შესახებ გვიამბო და გვითხრა, რომ სამ წელიწადში დასრულდებოდა. თითო რუსული *ვერსის* აშენება 14000 ირანული თუმანი ჯდებოდა და დასრულებას სჭირდებოდა 21 მილიონი მანეთი, რაც ირანულ ფულზე დაახლოებით 7,5 მილიონია. *კნიაზ* მირსკიმ თქვა: „ათი წლის წინ მთელ რუსეთში 1000 *ვერსი* რკინიგზის ხაზი იყო გაყვანილი, ახლანდელი

---

285 ცნობილი შირვანელი პოეტი, სპარსული პოეზიის ერთ-ერთი კლასიკოსი აფზალ ად-დინ ხაყანი (1120-1199).

286 თარგმანი მ. თოდუასი (*სპარსული პოეზიის შედევრები*, ტ. 2, თბილისი, 2010, 12).

287 ჰაქიმი ყაჯართა ირანში ერქვა რაიონის ან ოლქის მმართველს.

გამოთვლებით კი უკვე 10000 *ვერსია*". ვუთხარი: „ამბობენ, რომ ამის ძირითადი მიზეზი იმპერატორის საყვარელი ქალიშვილის და დედოფალ ვიქტორიას (Kvīn Vīktoryā) მეორე ვაჟის ქორწინებაა[288]. უეჭველია, იმპერატორი ნიკოლოზი რომ გამხდარიყო, საქმე სხვაგვარად იქნებოდა".

დამეთანხმა და ლაპარაკი სხვა თემაზე გადაიტანა. მირზა ასადოლაჰ ხანს უთხრა: „თუ ეს ბატონი არტილერიისა და ყაზარმის ნახვას მოისურვებს, მოიყვანეთ". ვუპასუხე: „დიდი სიამოვნებით დავათვალიერებ". გამომშვიდობებისას მითხრა: „იმედია, ზღვაზე მოგზაურობისას არ გაწვალდებით და უკანაც ამ გზით დაბრუნდებით და ისევ შეეხვდებით". ეს იყო პასუხი ჩემს გუშინდელ სიტყვებზე, თუ ზღვაზე მოგზაურობა მშვიდობიანად ჩაივლის, მაღალი ღმერთის ნებით, უკანაც ამ გზით დავბრუნდები-მეთქი. ვუპასუხე: „თქვენგან იმდენი სიყვარული და პატივისცემა ვნახე, რომ ზღვაზე რომც გავწვალდე, უკან მაინც ამ გზით წამოვალ". დიდი მადლობა გადამიხადა. თარჯიმანმა მირზა ფათჰალიმ კარებამდე მიგვაცილა.

იქიდან *კნიაზ* გრიგოლ ორბელიანთან წავედი და სავიზიტო ბარათი დავუტოვე. მირზა ასადოლაჰ ხანს უნდოდა, წავეყვანე აყა მირ ფათაჰის ბაღში, რომელსაც მოჯთაჰედის ბაღს[289] ეძახიან. აყა მირ ფათაჰის მერე ეს ბაღი ავექ ხანს ერგო, ახლა კი სახელმწიფოს საკუთრებაა. უარი ვუთხარი, შემოდგომის ბაღი მაინცდამაინც ლამაზი სანახავი არ იქნება-მეთქი და სახლში დავბრუნდი. მირზა ასადოლაჰ ხანმა მომცა სავიზიტო ბარათები, რომლებზეც რუსული წარწერის ქვეშ სპარსულად ეწერა: უფლისწული ფარჰად მირზა მო'თამად ად-დოულე.

ჰიჯრის 1292 წლის 2 შავალი (1875 წლის 1 ნოემბერი), სამშაბათი:

დილით კავკასიის *მონაჯემბაში* მოვიდა. თარჯიმნობას მირზა მოსტაფა უწევდა. თბილისში კომპასის პოლუსიდან გადახრის შესახებ ვკითხე და მიპასუხა, რომ 3,5 გრადუსი იყო.

მისი წასვლის შემდეგ გუბერნატორ ორლოვსკის დიდმოხელე, კანცელარიის უფროსი *კნიაზ* არგუტინსკი-დოლგორუკი (Ārqūtīnskī Dālghorūkī) მოვიდა და მიტკლის ქარხანაში დაგვპატიჟა. გვითხრა, რომ წარმოშობით არდაშირ დერაზდასთის[290] გვარიდან იყო და მისი წინაპრები თბილისში ფეოდალური ხანიდან ცხოვრობდნენ. ვუთხარი: „არდაშირ დერაზდასთი ხომ *ლაყაბია* ბაჰმან ესფანდიარის ძისა, რომელსაც ბერძნები არტაქსერქსე ლანგი მანუსს[291] ეძახიან". ძა-

---

288 ალექსანდრე II-ს ასული მარია (1853-1920) გათხოვილი იყო ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიას მეორე ვაჟზე, ედინბურგის ჰერცოგ ალფრედზე (1844-1900).

289 იხ. შენიშვნა 78.

290 „არდაშირ დერაზდასთ" (სიტყვ. არდაშირ გრძელხელა) საშუალო სპარსული ფორმაა ძველი სპარსული სახელისა Artaxshassa / Artaxshathra – იგივე ბაჰმან ესფანდიარის ძე, ნახევრადლეგენდარული სპარსელი მეფე აქემენიდების გვარისა. თამარის ისტორიკოსის ცნობით, მას უკავშირდება XII-XIV სს. ქართველ ფეოდალთა საგვარეულო – მხარგრძელები (რუსული ფორმა Долгорукий), თუმცა ამ გვარის წარმომავლობაზე განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს.

291 ავტორს ერევა: „ლანგი მანუს" არტაქსერქსეს ლათინური სახელია, ბერძნები კი მას „მაკროქეირის" ეძახდნენ.

ლიან გაუკვირდა, რომ ვიცოდი. ლამაზი, შავთვალწარბა კაცი იყო და ირანელს მართლა ჰგავდა. ოფიცერი და ოთხი კაზაკი მოგვიჩინა, რომ ჩვენს *კალიასკას* გაჰყოლოდნენ. ამ ქარხანაში ისეთივე ძაფის სართავი დანადგარი იყო, როგორც თეირანის ქარხანაში, მაგრამ მიტკლის დამამზადებელი [დანადგარიც] ჰქონდათ. იქიდან სახლში დავბრუნდით. მისმა აღმატებულება *პრინც* ბაგრატიონ-მუხრანსკიმ მირზა ფათჰალის პირით შემომითვალა: „ოთხშაბათ საღამოს თქვენთვის თეატრში ადგილია შენახული და გთხოვთ, რომ წარმოდგენას დაესწროთ". თანხმობა გადავეცი. კიდევ შემომითვალა: „რადგან თქვენ ჩემი ნახვა გსურდათ, მიუხედავად საშინელი მოუცლელობისა, ხუთშაბათს ათიდან თერთმეტ საათამდე გეწვევით".

3 შავალი (2 ნოემბერი), ოთხშაბათი:

მზის ჩასვლამდე სამსაათნახევრით ადრე მისი აღმატებულება *პრინც* ბაგრატიონ-მუხრანსკის თხოვნით თეატრში წავედი. „მარგარიტა"[292] (Merkerīt) გადიოდა: ერთი ფილოსოფოსი ეშმაკის წაქეზებით გაახალგაზრდავდა და ეშმაკი მას მეფისტოფელის (Mī Fīs Tūfī Lī) სახით გამოეცხადა. ამ ქარაფშუტა კაცმა, რომელიც დროს მუდამ გართობასა და ცოდვაში ატარებდა, უმანკო მარგარიტა მახეში გააბა და გააუბედურა. ძალიან საინტერესო წარმოდგენა იყო. მარგარიტა მშვენივრად გამოხატავდა დარდსა და სიხარულს: სიხარულს, როცა ბაღში ძვირფასეულობა იპოვა და გაიკეთა და მწუხარებას, როცა შეურაცხყოფილი და შერცხვენილი დარჩა. მარგარიტას მონოლოგი, ფილოსოფოსის სიყვარული, მარგარიტას ძმის მიერ საწამლავის დალევა, ტირილი და დის დაწყევლა, ეშმაკის ქცევა, როცა ფილოსოფოსს და მარგარიტას გამოეცხადა, ეშმაკის მიერ მარგარიტას ცდუნება და დამღუპველი კოცნა – ყველაფერი ძალიან შთამბეჭდავი იყო. შვიდ საათზე სახლში დავბრუნდით. ოფიცერმა და კაზაკებმა სახლამდე მიგვაცილეს.

მირზოევი (Mīrzāyof) მოვიდა და დაგვპატიჟა თავის მამულში[293], რომელსაც წყალი 100 *გაზის* მოშორებით მტკვრიდან [საქაჩი] დანადგარით მიეწოდება. მუსიე ლუარსაბ ბეგლაროვმა *ხაყან-ე მაყფურის*, ღვთისმოსავი *ვალიაჰდის* და განსვენებული შაჰინშაჰის *ფირმანები* მოიტანა და მასთან წავედი.

ხაყან-ე მაყფურის ფირმანი ჰიჯრის 1235 წლის ზუ ლ-ჰიჯას თვით (1820 წ. სექტემბერ-ოქტომბერი) თარიღდება და შაჰ მირ ხანისთვის ხანის ტიტულის, *ალიჯაჰის ლაყაბის* და ორდენის მინიჭებას ეხება. განსვენებული *ვალიაჰდის*, მსუბუქი იყოს მისთვის სამარის მიწა, დოკუმენტი ჰიჯრის 1237 წლის რაბი ალ-ავალის თვეს (1821 წ. ნოემბერ-დეკემბერი) განეკუთვნება. განსვენებული შაჰინშაჰის *ფირმანი* მისი [შაჰ მირ ხანის] ალმასის ორდენით დაჯილდოების შესახებ კი 1262 წლის შავალის თვით (1846 წ. სექტემბერ-ოქტომბერი) თარიღდება. საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმდენი ვერ მოახერხა, რომ ბრწყინვალე *ფირ-*

---

[292] იგულისხმება გუნოს ოპერა „ფაუსტი".

[293] იხ. შენიშვნა 224.

მანს ოქროს ასოებით დაწერილი *თოლრაც*[294] ჰქონოდა. თავად *ფირმანი* მოეოქროვებინათ, მაგრამ *თოლრა* აკლდა. ეს რომ შევამჩნიე, ძალიან შემრცხვა.

კავკასიის გამგებლის თარჯიმანმა პოლკოვნიკმა მირზა ფათჰალი ახუნდზადემ, რუსულად ახუნდოვმა, თავისი გამოგონილი ანბანი მომიტანა. ის სამი ნაწილისგან შედგებოდა. ორი ნაწილი მომეწონა, მესამეში კი ცალკე მდგომი ასოები[295] ლათინური დამწერლობის ყაიდაზე მარცხნიდან მარჯვნივ ეწერა. ვუთხარი: „ამ ანბანს მუსლიმები არ მიიღებენ, რადგან ევროპულ დამწერლობას ჰგავს, რომელზეც ხაყანიმ თქვა, ქრისტიანული დამწერლობისგან ცა გაუკულმართდაო. მაგრამ დანარჩენი ორი უკეთესია. იბნ მაყალემაც[296] ხომ ქუფური დამწერლობა ნასხით შეცვალა და ის გაამარტივა".

[მირზა ფათჰალიმ] ამ დამწერლობის შექმნაზე ბევრი იწვალა. მიუხედავად იმისა, რომ არაბულ და სპარსულ ენებში სიტყვის გამოთქმისთვის გადამწყვეტი მისი გახმოვანებაა და არა დაწერილობა, მაშინაც კი, როცა ხმოვნები აღნიშნულია, მაგრამ ასოებს წერტილები არ უსვია, განსხვავებულ ვარიანტებს ვიღებთ. მაგალითად, დიაკრიტიკული წერტილების გარეშე სიტყვა „მოჯბერ" რამდენიმენაირად შეიძლება ნაიკითხო: მოხბერ, მოხირ, მოჰირ, მოხიირ, მოჰბერ, მოჯიზ. მაგრამ თუ სიტყვა გახმოვნებულია და ასოებიც სწორად წერია, მისი წაკითხვა ბავშვსა და ახალბედასაც კი არ გაუჭირდება. თუმცა დღეისთვის ამ დამწერლობას 200 მილიონი მუსლიმი ხმარობს და მისი შეცვლა დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული.

„საადიმ სამყაროში ისეთი კვალი დატოვა,
რომელიც არ წაიშლება, გინდ საუკუნეები გავიდეს".

შესაძლოა, ზოგიერთმა სწავლულმა დამწერლობის შეცვლა რელიგიურ მკრეხელობადაც ჩათვალოს, თუმცა იბნ მაყალემ ხომ შეცვალა ქუფური დამწერლობა. ახუნდოვის გამოგონილი დამწერლობის ნიმუშად ქვევით მოვიტან ორ განსხვავებულ ვარიანტს მის მიერ ჩემთვის ჩაწერილი სიტყვებისა: „თქვი: ის არის ერთადერთი ღმერთი".

პირველ ვარიანტში ასოები ძველებურად გადაბმულია, გახმოვნებულია და მთელი წერტილები ამოღებულია:



---

294 შაპის სახელისა და ტიტულის ასოებით შედგენილი მონოგრამა, რომელსაც სამეფო ფირმანებზე ათავსებდნენ.

295 არაბულ-სპარსული ანბანის ასოები (ალეფი, დალი, ზალი, რა, ზა, უა, ვავი), რომლებიც ცალკე დგანან და მომდევნო ასოებს არ იბამენ.

296 იბნ მაყალე X საუკუნის არაბი სწავლული იყო. მან არაბული დამწერლობის სხვადასხვა სახეობები – სოლსი, თოუყი, ნასხი, რეიჰანი და როყა გამოიგონა.

მეორეში ასოები დანაწევრებულია, გახმოვნებულია და მთელი წერტილები ამოღებულია:



არაბულ და სპარსულ ასოებს რომ წერტილები აქვს, ამაში მისტიკური სიბრძნე დევს. როგორც მისი ბრწყინვალება ალი ამირ ალ-მო'მენინი ბრძანებს, „ზეგარდმოვლენილი წიგნების საიდუმლო ყურანშია, ყურანის საიდუმლო წიგნის გამხსნელ სურაშია, წიგნის გამხსნელი სურის საიდუმლო „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა"-ს ფორმულაშია, ამ ფორმულის საიდუმლო ასო „ბა"-ს ქვედა წერტილშია და მე ვარ ასო „ბა"-ს ქვედა წერტილი". ასო „ბა"-ს ან დიაკრიტიკული ნიშნების მქონე სხვა ასოების წერტილებს მნიშვნელობა რომ არ ჰქონოდა, სამყაროს მბრძანებელი არ იტყოდა ამ სიტყვებს: „ილოცეთ ჩემზე, სანამ მე დამიწყებდეთ ძებნას".

ერთი სიტყვით, მირზა ფათჰალი ახუნდოვი ერუდირებული კაცია. რუსულად მშვენივრად ლაპარაკობს და თარგმნის. არაბული, თურქული და სპარსულიც იცის. პოეტური ნიჭითაც არის დაჯილდოებული. აღმსარებლობით შიიტია, მაგრამ სწამს 11 *მაზჰაბისა*[297] და *აშარისა*[298], რომელთა მიხედვითაც ადამიანს თავისუფალი ნება არ გააჩნია. მას მაღალი ღმერთის მემკვიდრის დაბადების არ სჯერა და ამ ჰადისს ამბობს: „დაიბადება იმისგან, ვინც შვა ფატიმა, მაჰდი[299], რომელიც ქვეყანას, რომელიც სავსეა ჩაგვრითა და უსამართლობით, სიმართლითა და სამართლიანობით აავსებს". ის ამტკიცებს, რომ [მემკვიდრე] ჯერ არ დაბადებულა და განუწყვეტლივ იმეორებს ამ ლექსს, რომელიც შეიხ მოჰამად შაბესთარიმ[300] თავის „საიდუმლოებათა ვარდნარში" თქვა:

„ყველა, ვისაც ბედისწერის არ სჯერა,
წინასწარმეტყველი ბრძანებს, რომ ის ცეცხლთაყვანისმცემელია".

მამამისი მირზა მოჰამად თაყი ორუნაყის რაიონის სოფელ ხამენედან იყო. ორუნაყი თავრიზის 18 მაზრიდან ერთ-ერთია. დედამისი წარმომავლობით მარაღას წარჩინებულთა წრიდან იყო, მაგრამ მერე შაქიში გადავიდა და რამდენიმე

---

297 საღვთისმეტყველო ლიტერატურაში აღნიშნავს რელიგიურ მოძღვრებას, დოქტრინას, სკოლას.

298 აბუ ლ-ჰასან ალი იბნ ისმაილ ალ-აშარი (ალ-აშ'არი) (873-935) – გამოჩენილი მუსლიმი ღვთისმეტყველი, ორთოდოქსალური ღვთისმეტყველების (ქალამ) ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომელმაც შექმნა ისლამის ღვთისმეტყველების საკუთარი სკოლა – ალ-აშარია (*ისლამი*, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 1999, 32).

299 შიიტურ ღვთისმეტყველებაში მაჰდი არის სამყაროს მოახლოებული აღსასრულის მაუწყებელი, მოციქულ მუჰამედის საქმის უკანასკნელი გამგრძელებელი, თავისებური მესია.

300 შეიხ სა'ად ად-დინ მოჰამად შაბესთარი – XIV ს. ცნობილი სწავლული და თეოლოგი, ფილოსოფიური მესნევის „საიდუმლოებათა ვარდნარის" ავტორი.

წელი ყარაბაღში გაატარა. რუსეთ-ირანის ომის შემდეგ 28 წლის [მირზა ფათჰალი] ყარაბაღში ჩავიდა და დედამისის ძმასთან დასახლდა. მან ირანში დაბრუნება აღარ ისურვა და რუსეთში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

ერთი სიტყვით, ნაშუადღევს მუზეუმის დასათვალიერებლად წავედით. იქ ძალიან კარგი ჩიტები იყო. დიდი, დაახლოებით 3 *ზარ'ი* სიგრძის, შავი თევზი, რომელსაც ისეთი სქელი კანი ჰქონდა, თითქოს შავი ტყავის ნაჭერი გადაუკრავთო, შარშან სალიანში დაუჭერიათ. ასევე ვნახეთ მშვენიერი პეპლები, ორი ვეფხვი, უზარმაზარი, ვირისტოლა ტახი და იმხელა გარეული კამეჩი, როგორიც არასოდეს მინახავს.

მუზეუმიდან ქალაქის ჩრდილოეთ მთაზე განლაგებული არსენალის, საჭურველთსაცავისა და ყაზარმის სანახავად წავედი და მდინარე მტკვარზე აგებულ რკინის ხიდზე გადავედი. აქ მტკვარი იყოფა ორ განშტოებად, რომელთა შორისაც პატარა კუნძულზე სახლები და დუქნებია აშენებული. პირველი ხიდი ერთმალიანია, ბოლო კი – ექვსმალიანი. ხიდის პირდაპირ დგას წინა მეფისნაცვლის, ძველი რუსული წარჩინებული გვარის შთამომავლის *პრინც* ვორონცოვის (Varān Sof) ბრინჯაოს ქანდაკება ჭოგრიტით ხელში. ძეგლის გარშემო ჯაჭვით შეკრული რვა თურქული ქვემეხი თავდაყირა, პირით მიწისკენ არის განლაგებული.

ვორონცოვი ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1875[301] წელს 74 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან რუსეთის სახელმწიფოს დიდი სამსახური გაუწია და 12 წლის განმავლობაში კავკასიის მმართველი იყო. კავკასიელი ხალხი მისით ძალიან კმაყოფილია. თბილისის აყვავებასა და კეთილმოწყობაში ვორონცოვს დიდი წვლილი მიუძღვის. მისი დაწესებულია, რომ ზუსტად შუადღის 12 საათზე ქვემეხიდან ისვრიან და ხალხი ამ ხმაზე საათს ასწორებს. მტკვარზე გადებული რკინის ხიდიც ვორონცოვის აშენებულია.

იქიდან არსენალისა და საჭურველთსაცავის სანახავად წავედი. შესასვლელთან გამომეგება კავკასიის არსენალის უფროსი, რომელიც *კნიაზ* მირსკის ხელქვეითია. ყველაფერი სათითაოდ დამათვალიერებინა და კაზაკი მხედრის მსუბუქი თოფი მომართვა. ვუთხარი: „დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ წმინდა ადგილების მოსალოცად მივდივარ და ამ მოგზაურობაში იარაღის წაღება არ შეიძლება. არსენალში ჩემს სახელზე შეინახეთ". დიდი მადლობა გადამიხადა. არსენალი, საჭურველთსაცავი და ახალი კონსტრუქციის შაშხანები ძალიან კარგ მდგომარეობაში იყო. მან მითხრა: „კავკასიის ჯარს იარაღით თბილისის არსენალი ამარაგებს და მოსკოვისა და პეტერბურგის მარაგი აღარ გვჭირდება".

სახლში ისევ კაზაკი ლეიტენანტისა და პოლიციის უფროსის თანხლებით დავბრუნდი.

4 შავალი (3 ნოემბერი), ხუთშაბათი:

ათსა და თერთმეტ საათს შორის, როცა [წუთების] ისარი ხუთს მიუახლოვდა, მისი აღმატებულება *პრინც* ბაგრატიონ-მუხრანსკი მობრძანდა. დიდხანს ვისაუბ-

---

301 თარიღი არასწორია: მ. ვორონცოვი გარდაიცვალა 1856 წელს.

რეთ. მირზა ფათჰალი ახუნდოვი თარგმნიდა. გამომშვიდობებისას მითხრა: „რა კარგია, რომ უკანაც ამ გზით ბრუნდებით და საშუალება გვექნება, კიდევ ერთხელ გნახოთ და თბილისის ღირშესანიშნაობები უკეთ დაგათვალიერებინოთ". ვუპასუხე: „თქვენი სიყვარულისა და პატივისცემის გამო მეც მინდა, რომ ამ გზით დავბრუნდე, მაგრამ იმ პირობით, თუ თბილისიდან ბაქოში განჯის გზით არ წავალ". მითხრა: „კეთილი, გზა რამდენიმეა და, ღვთის წყალობით, მშვიდობიანად ჩახვალთ".

მისი წასვლის შემდეგ მირზა ფათჰალიმ მითხრა: „კარგი ქენით, რომ განჯა ახსენეთ. „მინიშნება პირდაპირ ნათქვამზე უფრო მჭევრმეტყველია". *პრინც* მუხრანსკი თქვენს საყვედურს განჯის გუბერნატორს გადასცემს".

ნაშუადღევს ოსმალეთის გენერალური კონსული ბეჰჯათ ეფენდი და მისი პირველი თანაშემწე რაუფ ეფენდი მოვიდნენ. მისი აღმატებულება წარმოშობით სომეხია, მაგრამ რადგან ისლამური სახელმწიფოს კონსულია, ბეჰჯათ ეფენდის ეძახიან. გამოცდილი და ბევრისმნახველი კაცია. რაუფ ეფენდი მუსლიმია. მას იერუსალიმის (Beyt al-Moqaddas) ამბავი ვკითხე, რადგან იქ ნამყოფი იყო. მითხრა: „იაფადან იერუსალიმამდე და ჰებრონამდე წინ და უკან გზას 8 დღე უნდა და ორდღენახევარიც იერუსალიმსა და ჰებრონში დარჩებით". ზღვით მოგზაურობისთვის მანაც გერმანული [კომპანიის] გემები მირჩია, ისინი მუსლიმებისთვის საუკეთესოაო. *მუსიე* ბეგლაროვი დაბრუნდა რკინიგზის სადგურიდან, სადაც მსახურები მატარებელში ჩასვა და მითხრა: „თბილისის გუბერნატორი ორლოვსკი ხვალ დილით 8 საათზე გამოსამშვიდობებლად გეახლებათ".

ნაშუადღევს ორ საათზე მირზოევის [საქაჩი] მანქანის სანახავად წავედით. ის ორთქლზე მუშაობს, წყალი მტკვრიდან 200 *ზარ'ის* სიმაღლეზე ამოაქვს და ასხამს დიდ აუზში, რომელსაც ბაღის სარწყავად იყენებენ. მირზოევს მშვენიერი ბაღი და სახლი აქვს. ბაღში 200 ძირი ნარინჯი, ლიმონი და სხვა ციტრუსი ხარობს. ერთი ოთახის კუთხეში ვორონცოვის თეთრი მარმარილოს ბიუსტი იდგა. მასპინძელმა მითხრა, რომ მისი გაკეთება 1100 თუმანი დაუჯდა. კაცს მხოლოდ სიკეთე თუ აიძულებს, რომ 1000 თუმანი უცნობი ადამიანის გამოსახულებაში გადაიხადოს და სახლში დაიდგას.

აქ მოვიტან მდინარე მტკვრის სათავის, კასპიის ზღვამდე (Daryā-ye Khazar) მისი შენაკადების და შემოგარენის დეტალურ აღწერას, რომელიც მირზა ფათჰალი ახუნდოვმა გუბერნატორ ორლოვსკის წიგნიდან მითარგმნა:

მდინარე მტკვარი სათავეს თურქეთის სომხეთში ტავრის (Tāvr) ქედის ჩრდილოეთით მდებარე მაღალი მთიდან იღებს, ანუ მდინარეების მტკვრისა და არაქსის სათავე მუთელჯანის (Mūtel Jān) მთის კალთებია. მტკვრის მკვებავი წყაროები მუთელჯანის სამხრეთ კალთაზე გადმოდიან. მათგან ყველაზე დიდი ჰამანია (Hamān). ჰამანი ქურთების დასახლება არდაჰანზე (Ardahān) გადის. ადგილობრივები გამჭვირვალე წყლის გამო მას მარჯან-სუს (Marjān Sū) ანუ „მარგალიტის წყალს" ეძახიან. ის კასპიის ზღვის დონიდან 2466 ფუტზე მდებარეობს. მარჯან-სუს ჩრდილოეთით, 300 *ზარ'ის* სავალზე, ბუნჯუყ-ბუნღარის (Būnjūq Pūnghār) წყაროა, რომელსაც მეორენაირად ჯუნჯუყ-ბუნღარსაც (Jūnjūq Pūnghār) ეძახიან, რაც თითქოს „მარგალიტის წყაროს" ნიშნავს. ეს და ზემოთ ხსენებული წყაროები ერთმანეთს უერთდება და პატარა მდინარეს ქმნის, რომელსაც ქეივა-

რი (Kīvar) ჰქვია. მტკვარი სათავეს ამ წყაროებიდან იღებს და ნელ-ნელა დიდ მდინარედ გადაიქცევა. ის ოსმალეთის ტერიტორიაზე 90 *ვერსს* გადის, ყაზნაფარის (Qaznāfārī), არდაჰანის და სხვა დასახლებებს ჩაუვლის და ახალციხეში (Ākhesqe) შედის. რუსეთ-ოსმალეთის საზღვრიდან ბორჯომამდე (Bārzhūm) მისი სიგრძე 95 *ვერსია*. ბორჯომი მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლის საადგილაკო მამულია, რომელიც მას მისმა უდიდებულესობა იმპერატორმა უბოძა. ბორჯომიდან თბილისის *ვილაიეთის* საზღვრებამდე 200 *ვერსია*. მერე მტკვარი განჯის *ვილაიეთს* გაივლის და შედის სალიანის დასახლებაში, რომელიც ბაქოს, იგივე ბადქუბას ექვემდებარება. აქ მტკვარი ორ განშტოებად იყოფა და კასპიის ზღვაში ჩაედინება. ეს ადგილები შავი ზღვის დონიდან 86 ფუტით უფრო დაბლაა. ახალქალაქის (Ākhāl Kalak) მისადგომებთან, სოფელ ხერთვისის (Khertvīs) ახლოს მტკვარი ძალიან წყალუხვია. მას ჯერ ახალქალაქისწყალი (Āb-e Ākhāl Kalak) უერთდება, ქალაქ ახალციხესთან კი – ფოცხოვისწყალი (Paskhov Chāy). შემდეგ მტკვარი აწყურისა (Āskhūr) და ბორჯომის ხეობებს და ზემო და ქვემო ქართლს (Kārtīl) გაივლის. აქ მასში ოთხი მდინარე ჩაედინება: ლიახვი (Lekhvā), ლეხურა (Lekhūr), ქსანი (Kesān) და არაგვი (Arghavā).

თბილისის სამხრეთით მტკვარს მდინარეები თრიალეთი (Teryālet), სუმასათი (Sūmāsatī), ალგეთი (Āl Get) და ხრამი (Kherām) უერთდება. განჯის *ვილაიეთის* მიდამოებში, სამუყის (Sāmūq) რაიონის ქვევით, ყარაბაღის მოპირდაპირე მხარეს მტკვარში მდინარეები ქურანი (Kūrān), ალაზანი (Ālāzān), მეორენაირად ყანოყი (Qānoq), თერთერი (Terter) და ხაჩინი (Khāchīn) ჩაედინება.

ბაქოს *ვილაიეთში*, სოფელ ზარდაბის (Zardāb) ქვევით, ზღვასთან და სოფელ ჯავადთან (Javād) ახლოს მტკვარს მდინარე არაქსიც უერთდება.

თბილისი 41 გრადუს და 41 მინუტ განედზე და გრინვიჩის 45 გრადუს და 16 მინუტ გრძედზე მდებარეობს. ის ყიბლადან დასავლეთით 15 გრადუსსა და 40 მინუტზე, ხოლო პოლუსისკენ 3 გრადუსსა და 30 მინუტზე არის გადახრილი.

5 შავალი (4 ნოემბერი), პარასკევი:

ცხრა საათზე თბილისის გუბერნატორი ორლოვსკი მოვიდა. ძალიან მხიარული და გონებამახვილი კაცი აღმოჩნდა. გვითხრა, რომ უკვე 42 წელი იყო, რაც კავკასიაში და საქართველოში მსახურობდა. უამრავი რამ გვიამბო რკინიგზაზე, მატარებლებზე და გემებზე. წუთისოფლის ამაოებაზეც ილაპარაკა: „როცა განსვენებული მოჰამად შაჰის დროს ერევანში წინა იმპერატორი ჩაბრძანდა, აქედან ერევანში ბარგი აქლემებით ჩავიტანეთ. მერე ოთხთვალები გაჩნდა და ამაზე უკეთესი თუ რამე იქნებოდა, არ გვეგონა. ახლა მატარებელი გამოჩნდა. უეჭველია, 200 წლის შემდეგ ახალ რამეს გამოიგონებენ და მატარებელიც არაფრად მოგვეჩვენება". კიდევ თქვა: „უწინ გუბერნატორები მატარებლით მგზავრობდნენ და როცა მომჩივანები საჩივრის ქაღალდით რკინიგზაზე გამოდიოდნენ, რომ მათთვის ეჩვენებინათ, გუბერნატორები უკვე ერთი ვერსის მოშორებით იყვნენ. მე კი ხალხის მდგომარეობაში შევდივარ და რკინიგზას ცხენით მივუყვები, რომ ხალხის გასაჭირი ვიცოდე".

ვუთხარი: „თუ ხელისუფალს ხალხი უყვარს, სწორედ ასე უნდა იქცეოდეს". და დავძინე: „გუშინ ქუჩაში დაგინახეთ".

მითხრა: „როგორც ჩანს, შორს კარგად ხედავთ“.

ვუპასუხე: „მეგობარს თუ შორიდან ვერ იცნობ, ვერც ახლოდან იცნობ“.

დიდი მადლობა გადამიხადა. დაახლოებით ერთი საათი იჯდა, მერე გამომემშვიდობა და წავიდა.

მისი გვარის დაბოლოება „ესკი“ იმის მიმანიშნებელია, რომ წარმოშობით პოლონელია. მსგავსი დაბოლოებები სხვაც ბევრია: მაგალითად, „ვიჩ“ სერბიულ, ვალახიურ და მოლდავურ, ხოლო „ოვ“ რუსულ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ორლოვსკიმაც გვთხოვა, რომ უკან თბილისის გავლით დავბრუნებულიყავით. ვუთხარი: „გუშინ მის აღმატებულება *პრინცს* ბაგრატიონ-მუხრანსკის მოვახსენე, რომ განჯის გზით არ წავალ“. მიპასუხა: „ყველანი თქვენს სამსახურში გვიგულეთ. გზა ბევრია და ნებისმიერით მშვიდობიანად იმგზავრებთ“.

ნაშუადღევს ქალაქის საავადმყოფოს სანახავად წავედი. მთავარი ექიმი იოსიფ ოგანოვიჩ კარნავიჩია (Yūsūf Āqā Nāvīj Kārnāvīj). მას პოლკოვნიკისა და გენერლის ჩინი აქვს. ძალიან თავაზიანი და ლამაზი კაცია. საავადმყოფო დიდებული, კეთილმოწყობილი შენობაა და მშვენიერ ბაღში დგას. წყალი მტკვრიდან [საქაჩი] მანქანით ამოაქვთ. საავადმყოფო 200 კაცის სამკურნალოდ არის განკუთვნილი, მაგრამ გაჭირვების შემთხვევაში სამასიც ეტევა. წელიწადში სახელმწიფოსგან 62000 მანეთს იღებენ. თუ ქალაქის მოსახლეობიდან ვინმე ცუდად გახდება, მას საერთო ოთახში აწვენენ, რაც თვეში 5 მანეთი ღირს. საჭმლისა და წამლების ხარჯებს საავადმყოფო ფარავს. წარჩინებულთათვის საგანგებო, იზოლირებული ოთახებია განკუთვნილი, რომლებიც თვეში 30 მანეთი ღირს. მომსახურე პერსონალის, როგორც ქალების, ისე კაცების, ანაზღაურება სხვა დაწესებულებებთან შედარებით ორჯერ მეტია.

ეს საავადმყოფო იმპერატორის კარის მთავარი ექიმის ანდრეი ანდრეევიჩ ლიბაუს[302] (Āndre Āndrīj Lībāū) ძალისხმევით და მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვალ მიხეილის მფარველობით აშენდა. მთავარი ექიმი ორი წლის წინ გარდაიცვალა და საავადმყოფოში მისი პორტრეტი ჰკიდია. თავისი სამედიცინო ნაშრომები მან სწორედ ამ საავადმყოფოში მუშაობის დროს დაწერა.

საავადმყოფოს ტერიტორიაზე ორი ეკლესიაა, ერთი სომხური და მეორე ქართული, რომლებშიც ავადმყოფები სალოცავად დადიან. საშვის გარეშე საავადმყოფოდან გასვლა აკრძალულია. ავადმყოფებს შორის ორი სომეხი ირანის მოქალაქე იყო. [მთავარმა ექიმმა] მითხრა: „ადრე აქ ორი მუსლიმი ირანის მოქალაქეც მკურნალობდა, მაგრამ უკვე გამომჯობინდნენ და წავიდნენ“. მე ვუთხარი: „ექიმისთვის სომეხსა და მუსლიმს შორის რა განსხვავებაა?! ის უფლისკენ მიმავალ გზაზე თავის საქმეს აკეთებს და მისთვის ყველა ავადმყოფი ერთია“. მართალი ბრძანდებითო, მითხრა და მადლობა გადამიხადა.

---

302 ანდრეს ლიბაუ, რომელსაც რუსები ანდრეი ანდრეიჩს ეძახდნენ, მეფისნაცვალ მიხეილის პირადი ექიმი იყო და მას პეტერბურგიდან ჩამოჰყვა. ის იყო ხელმძღვანელი 1865 წელს შექმნილი მედიკოსთა კომისიისა, რომელსაც ახალი საავადმყოფოს მშენებლობისთვის ადგილის შერჩევა და მშენებლობის მეთვალყურეობა დაევალა. საავადმყოფოს დასრულების მერე, ლიბაუმ მას გადასცა საკუთარი ბიბლიოთეკა და 10000 მანეთი. ამ თანხის პროცენტული ნამატით ყოველ წელს საავადმყოფოს ერთ-ერთი ორდინატორი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ევროპაში იგზავნებოდა.

1292 წლის 6 შავალი (1875 წლის 5 ნოემბერი), შაბათი ანუ ჯალალის[303] კალენდრით 21 აბანი:

თბილისიდან გავემგზავრეთ. ნახევარი საათის შემდეგ ქალაქის *პოლიცმაისტერი* ანუ *ბეგლარბეგი* პოლკოვნიკი ბილიკი (Bīlīk) დაგვეწია და თავისი და მოსახლეობის სახელით დაგვემშვიდობა. გვითხრა: „რა სამწუხაროა, რომ უფლისწულმა ასე მალე დაგვტოვა. კარგი იქნება, თუ უკან ამ გზით დაბრუნდებით და თქვენი ჩამოსვლით გაგვახარებთ".

თბილისიდან ფოთამდე (Pūtī) 289 *ვერსია*. თბილისიდან გორამდე (Gūrī) და გორიდან სურამამდე (Sūrām), რომელიც ქუთაისის (Kūtāys) ახლოს არის, გზა ჩრდილო-დასავლეთით მიდის. ქუთაისიდან ფოთამდე გზის პირველი ნახევარი სამხრეთ-დასავლეთისკენ ვიარეთ, მეორე ნახევარი კი – დასავლეთისკენ. სურამის მთის შემდეგ თბილი კლიმატური ზონა იწყება. რკინიგზის ხაზი გორს, სურამს და ქუთაისს გაივლის და ფოთში ჩადის.

მოკლედ, ხუთს რომ ხუთი წუთი აკლდა *შემენდეფერის* მატარებელში ჩავსხედით. „შემენ" ფრანგულად გზას ნიშნავს, „ფერ" – რკინას, ხოლო „დე" მაკავშირებელი წინდებულია (იზაფეტი), ანუ *შემენდეფერ* „რკინის გზას" ნიშნავს.

დილის შვიდ საათსა და ხუთ წუთზე ვაგონი ფოთის სადგურში გაჩერდა. გზაში 14 საათი და 10 წუთი გავატარეთ. თბილისიდან ფოთამდე გზის დეტალური აღწერა ასეთია: გამგზავრებიდან ნახევარი საათის შემდეგ მტკვარზე გადავედით და მდინარე მარჯვნივ დარჩა. ერთი საათის მერე მტკვარი ისევ გადავკვეთეთ და მდინარე მარცხნივ ჩამოვიტოვეთ. ორსაათნახევრის შემდეგ ისევ მტკვარზე გადავედით და მდინარე ისევ მარჯვნივ დარჩა. მთელი მგზავრობის განმავლობაში 16-ჯერ გავჩერდით, ასე რომ ჯამში დაახლოებით ერთი საათი და 40 წუთი გაჩერებული ვიყავით. ქალაქ გორთან, რომელიც გზის მარჯვნივ არის, 15 წუთი ვიდექით. გორი ლამაზი ქალაქია. მის პირდაპირ, რკინიგზის მხარეს მოედინება მტკვარი, მეორე მხარეს კი – ორი მდინარე, რომლებიც მტკვარს უერთდება.

გორიდან თბილისამდე 82 *ვერსია*. ქალაქის ცენტრში ბორცვზე საქართველოს უწინდელი მეფეების აშენებული ციხესიმაგრე დგას, რომელიც ახლა დანგრეულია. თბილისიდან გორამდე მტკვარს მარჯვნიდან სამი მდინარე უერთდება. მათგან ყველაზე დიდი ქსანკა (Sangā)[304] – სპარსულ ქაფ-ს ფათჰა დაერთვის – მდინარე ჯაჯრუდის[305] ხელაა. მარჯვენა მხარეს, გორამდე არმისული, მთის კალთაზე ერთი სოფელია, სახელად უფლისციხე (Ūp Lī Sī Khe), რომელშიც სახლები გამოქვაბულების მსგავსად კლდეშია ნაკვეთი. ადრე ისინი დასახლებული იყო. მტკვარი ამ მთას გვერდზე ჩაუვლის. მთის წვერამდე წყლის ასატანად

---

303 ჯალალის კალენდარი უკავშირდება სელჯუკი სულთნის ჯალალ ად-დინ მალიქ შაჰის მმართველობას. ამ კალენდრით ათვლა იწყება ჰიჯრის 471 წლის 10 რამაზანს ანუ ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1079 წლის 15 მარტს.

304 ასე ეძახდნენ მდინარე ქსანს რუსები XIX საუკუნეში.

305 მდინარე ირანში, თეირანთან ახლოს.

გზა იყო გაყვანილი, რომელიც ახლა დანგრეულია. ინფორმაციის გადასაცემად რკინიგზაზე ტელეგრაფის ხაზები აყენია. გარდა ამისა, რამდენიმე ნაბიჯის ინტერვალით დარაჯებიც დგანან. როცა დარაჯი მწვანე ალამს აღმართავს, ეს იმას ნიშნავს, რომ გზა თავისუფალია. წითელ ალამს გამაფრთხილებელი ფუნქცია აქვს და მიუთითებს, რომ ნელა უნდა იარო, ხოლო წითელი და შავი ალამი იმის მიმანიშნებელია, რომ გზა დაზიანებულია და გავლა საშიშია. ღამ-ღამობით მწვანე და წითელ ფარნებს ანთებენ. ერთ ფარანში ორი მინაა ჩადგმული, წითელი და მწვანე, და ისინი დროშების დანიშნულებას ასრულებენ.

გამგზავრებიდან სამ საათსა და 40 წუთში ისევ მტკვარზე გადავედით. აქ მდინარის კალაპოტი განიერია და ამიტომ მდინარეზე დიდი რკინის ხიდია აშენებული. მტკვარი ისევ მარცხნივ დარჩა. გამგზავრებიდან ოთხსაათნახევარში მიხაილოვოში[306] (Mīkhā'īlo) ჩავედით. აქ ძალიან კარგი რკინიგზის ნაწილების დამამზადებელი ქარხანაა, რომელიც მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლის აგებულია. რადგან ამ სადგურში მატარებელი 20 წუთი ჩერდება, დასვენების საშუალება მოგვეცა. მატარებლიდან ჩავედი, განვმარტოვდი და შუადღისა და საღამოს *ნამაზი* შევასრულე.

აქედან სურამამდე 4 *ვერსია*. სურამი გზის მარჯვენა მხარეს მთის კალთაზე შეფენილი დიდი სოფელია. სოფლის განაპირას მთის წვერზე ქვის ციხის ნანგრევები მოჩანს. აქ ყველგან რკინიგზის ინჟინრების სახლებია. ფოსტის სადგურსაც სოფლის სახელი ჰქვია. ტერიტორია სურამიდან უღელტეხილამდე თბილისის გუბერნატორ ორლოვსკის მფლობელობაშია. მთები უღრანი ტყეებით არის დაფარული. მიუხედავად იმისა, რომ ახლა შუა აყრაბია[307], არემარე ამწვანებული და აყვავებულია და მინდვრები სხვადასხვა ფერის ყვავილებით არის მოფენილი. გაზაფხულობით აქაურობა ზურმუხტისფრად ბიბინებს. ხეების უმეტესობა თხმელა და კედარია. ჭეშმარიტად, სამყაროს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია.

სურამიდან ბეჟათუბნამდე (Bī Jī Tūban), რომელიც უღელტეხილის ძირში მდებარეობს, 54 *ვერსია*. ბეჟათუბნის ახლოს მთაში გაჭრილ გვირაბში გავიარეთ. მისი სიგრძე 120 რუსული *საჟენია*. სურამიდან ბეჟათუბნამდე ვაგონებს სიმძლავრისთვის ჩააბეს ორი ორთქლმავალი, რომლებიც ფოთამდე ერთმანეთის მიყოლებით მოხსნეს. მთა მეორეგანაც იყო გაჭრილი. შიგ დაახლოებით 20 წამი მივდიოდით, რადგან ორმოცამდე დავითვალე. გვირაბი ორი მხრიდან ქვის კედლებით იყო შემოზღუდული და შიგ თაღით შედიოდი. ცოტა ხანში გამოჩნდა კიდევ ერთი *ტუნელი*, რომელშიც თაღიდან შევედით და 15 წამში გავიარეთ. მერე გზაზე რკინის კარგი ხიდი შეგვხვდა და მასზე გადავედით.

თბილისიდან გამგზავრებიდან ცხრანახევარ საათში ანუ ღამის სამის ნახევარზე ყვირილაში (Qūvī Rīle) ჩავედით. ყვირილა დიდი სოფელია და ბაზარი აქვს. მატარებელი 12 წუთი გაჩერდა და მე მზის ჩასვლისა და საღამოს *ნამაზი* შევასრულე. ხან ყაჯარ აყას მესამე ზარი გამოეპარა და კინაღამ დარჩა. ჩვენ უკან კიდევ ბევრი ვაგონი რომ არ ყოფილიყო და ბოლო ვაგონს რომ არ ახტომოდა, ნამდვილად დარჩებოდა და ხვალინდელ გემსაც ვეღარ მიუსწრებდა.

---

306 დღევანდელი ხაშური.

307 ირანული მზის წელიწადის მერვე თვე, შეესაბამება ოქტომბერ-ნოემბერს.

სოფლის ახლოს დიდი მდინარე, სახელად ყვირილა, მოედინება. ზოგჯერ ძალიან წყალუხვია და ამიტომ მასზე ძალიან კარგი რკინის ხიდია აშენებული. თავიდან ყვირილა გზის მარცხნივ იყო, რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ კი მარჯვნივ დარჩა. მდინარის კალაპოტი ძალიან ფართოა და მასზე ორი რკინის ხიდია აგებული. [სოფელთან] უახლოესი ხიდი დაახლოებით 1,5-ჯერ დიდია მტკვარზე გადებულ იმ ხიდზე, რომელიც დღეს გავიარეთ.

შემენდეფერი[308] ფოთის ნავსადგურის სიახლოვეს გაჩერდა და ქალაქში *დროშკით* წავედით. რკინიგზის ხაზსა და ფოთს შორის დიდი მდინარე, სახელად რიონი (Reyūn), მოედინება. მასზე რკინის ხიდია აშენებული. ეს ხიდი აქამდე ნანახ ყველა ხიდს, მათ შორის თბილისის ხიდსაც, სჯობს. მისი სიგრძე 345 ნაბიჯია. ხიდის შუაში ორთავიანი არწივი დგას. ამ ხიდის აშენება 450000 მანეთი დაჯდა და მასზე გადასვლა, გინდ ფეხით იყო და გინდ ტრანსპორტით, კაცი ერთი კაპიკი ღირს. დღეში ათჯერაც რომ მოგიწიოს გავლა, ყოველ ჯერზე, ნინაც და უკანაც, ერთი კაპიკი უნდა გადაიხადო. რიონი ქუთაისიდან მოედინება და გზად მას ყვირილა და სხვა მდინარეები უერთდება. ფოთის სიახლოვეს ის ორ ნაკადად იყოფა და ზღვას ერთვის.

თბილისს რომ გასცდები, მინდორი ფართოვდება და საოცრად განიერი ხდება. გზის მარჯვნივ და მარცხნივ მთის კალთებზე ლამაზი სოფლებია შეფენილი. განსაკუთრებით მჭიდროდ მარცხენა მხარეა დასახლებული. ბევრგან მთა გაჭრილია და შიგ გზაა გაყვანილი. რამდენჯერმე გზას მარცხნიდან ისე ახლოს ჩავუარეთ, რომ ხელჯოხით მისწვდებოდი. ფოთამდე დაახლოებით 40 *ვერსი* იყო დარჩენილი, როცა მთები უკან დარჩა და გავივაკეთ. მიუხედავად სიბნელისა, ჩანდა, რომ არემარე ტყით იყო დაფარული.

გზის მარჯვნივ კავკასიის მთებია, სახელად მეგრელ (Megrel) – გამოითქმის როგორც ბეშმელ –, რომლებიც თითქმის მთელი წელი, ზაფხულშიც კი, თოვლით არის დაფარული. მეგრელის მთები ფოთს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან აკრავს და მის მეორე მხარეს კავკასიის *ვილაიეთებია.*

ფოთის პორტში ბევრი ქარხანაა. ქალაქი კეთილმოწყობილია, მაგრამ მასში ძალიან ცუდი კლიმატი და გილანზე უფრო ნესტიანი ჰავაა. მისი აღმატებულება მირზა ასადოლაჰ ხანის ფოთის წარმომადგენელი *მუსიე* დიგრან არმანია (Dīgrān Armanī). ის *შემენდეფერის* გზაზე ფოთის პოლკოვნიკთან ერთად დაგვხვდა და ჩვენთვის ნაქირავებ ბინამდე მიგვაცილა. „ფოთს" როგორც „თე"-თი, ისე „თა"-თი წერენ.

7 შავალი (6 ნოემბერი), კვირა:

ექვსის ნახევარზე ფოთიდან გავემგზავრეთ და ჩავსხედით პატარა ორთქლის გემში, რომელსაც ერქვა „ბაბუშკა" (Bābūshqe), რაც რუსულად მამის დედას ნიშნავს. *მუსიე* ლუარსაბ ბეგლაროვმა გემამდე მიგვაცილა და დაგვემშვიდობა. მისი დამსახურებაა, რომ ასე მოწესრიგებულად და ორგანიზებულად ვიმგზავრეთ. მისი მითითებით, ირანის პატივსაცემად და იმის აღსანიშნავად, რომ

---

308 ავტორი „შემენდეფერს" ზოგჯერ მატარებლის აღსანიშნავადაც ხმარობს.

გემზე უფლისწული იმყოფებოდა, ლომისა და მზის გამოსახულებიანი დროშები აღმართეს. 6 საათზე გემი დაიძრა. მისი სიგრძე 81 ფუტი იყო. მასზე მიბმული იყო მეორე გემი, რომელსაც ხალხი ბათუმში დიდ გემზე უნდა გადაეყვანა. ფოთს ძალიან ცუდი ნავმისადგომი და ყურე ჰქონდა.

45 წუთის შემდეგ გემი ზღვაში გავიდა. მდინარის სიღრმე 3-4 ფუტზე მეტი არ იქნებოდა. გემის ტურბინას წყლის ზედაპირზე ჭუჭყი ამოჰქონდა და წყალი მღვრიე იყო. მდინარის მღვრიე ფერისა და ზღვის ლურჯი ფერის გამო მდინარისა და ზღვის შესართავი მკაფიოდ იკვეთებოდა.

ფოთში მდინარის შესართავთან ერთი მაღალი კოშკი დგას. გვითხრეს, რომ მისი სიმაღლე 120 ფუტია, რაც დაახლოებით 36 ერაყული *ზარ'ის* ტოლია. კოშკის თავზე დამაგრებულია შუქურა, რომლის შუქს ბნელ, უმთვარო ღამეში ბათუმშიც კი ხედავენ. შუქურა ზღვიდან 20 ინგლისური მილის სიშორიდან ჩანს და გემებისთვის კარგ ორიენტირს წარმოადგენს.

ფოთის ნავსადგურში და მდინარის შესართავთან გემები ღამე მოძრაობას უფრთხიან, რადგან ძალიან საშიშია, განსაკუთრებით ქარიშხლისა და შტორმის დროს. ბათუმში კი, პირიქით, მშვენიერი ნავსადგურია და ზღვა რაც არ უნდა ღელავდეს, [იქ შესვლა] უსაფრთხოა. ბათუმი რუსეთ-ოსმალეთის საზღვარზე მდებარეობს და ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნის. ფოთიდან ბათუმამდე 30 ინგლისური მილია, ხოლო კოშკიდან ბათუმამდე – 28. ეს ნავსადგური რუსეთის სახელმწიფოს ძალიან სჭირდება და ოდესმე ან ძალით დაიპყრობს, ან იყიდის, ან თხოვნით ჩაიგდებს ხელში. „შენ ფსონი დადე და ან კენტი, ან ლუწი ამოგივა". ბათუმი მთის კალთაზეა გაშენებული და ძალიან კეთილმოწყობილია. დიდი გემები ნაპირიდან 10 ნაბიჯში დგანან.

ერთი სიტყვით, დღეს ღვთის შეწევნით და წმინდა იმამების – მშვიდობა მათდა – ლოცვა-კურთხევით ზღვა მშვიდია და ჩრდილოეთიდან ზურგის ქარი უბერავს. ფოთის ნავსადგურამდე გემს გეზი სამხრეთისკენ ეჭირა. მზის ჩასვლას ერთი საათი აკლდა, როცა მივუახლოვდით დიდ გემს, რომელსაც „ბუგი" (Bug) ერქვა. მისი პირველი კაპიტანი სტერანსკია (Esterān Eskī). გემის სიგრძე 18 ფუტია, სიმძლავრე – 160 ცხენის ძალა, ხოლო ტვირთამწეობა – 914 ტონა. „ბუგს" იმ მდინარის სახელი ჰქვია, რომელიც ოდესასთან (Odīse) ახლოს ზღვას ჩრდილოეთიდან უერთდება. ამ გემით, ღვთის წყალობით, სტამბოლში ჩავალთ.

სანამ დიდ გემზე გადავიდოდით, „ბაბუშკაზე" ჩვენ მისასალმებლად ამოვიდნენ ტრაბზონში ირანის გენერალური კონსულის ჰაჯი მირზა ჰასან ხანის რწმუნებული და თარჯიმანი ალი ბეგი და ბათუმის გამგებელი ჰამდი ფაშა. მათ თან ახლდნენ სამხედრო საბჭოს, არტილერიის და ადმინისტრაციის მოხელეები, დიდგვაროვნები და *ყადი*. რუსეთის კონსული ჯუდიჩიც (Jūdījī) მობრძანდა. ნავმისაბმელთან სამხედრო ორკესტრი იდგა და უკრავდა. დიდ გემზე გადავედით. ჰამდი ფაშა თავის მოხელეებთან ერთად დასამშვიდობებლად მოვიდა და გვითხრა: „აქ გემი 6 საათი იდგება და გთხოვთ, ქალაქში წამობრძანდეთ". ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი: „ჩასვლა-ამოსვლა საწვალებელია და თან ამ ღამეში ვერაფერს დავინახავთ".

ბათუმის ნავსადგურში ერთი ოსმალური ბატალიონი დგას და მასში 700 ჯარისკაცი, 200 არტილერისტი და 25 ქვემეხია. გამომშვიდობებისას ჯარის-

კაცებმა სამხედრო სალამი მოგვცეს. ფაშამ და სასამართლოს მოხელეებმა ხელი დაგვიქნიეს. ჯარის მეთაურს შეჰაბ ბეგს ვუთხარი: „უკან რომ დაბრუნდებით, სამხედროებს ჩემგან მოკითხვა გადაეცით, რომ ასე შეწუხდნენ". დიდი მადლობა გადამიხადა და შემპირდა, რომ აუცილებლად გადასცემდა.

გემის გასვლის წინ დასამშვიდობებლად რუსეთის კონსული მოვიდა და მითხრა: „თუ რამე დაგჭირდებათ, გემის ზედამხედველს უთხარით". ვუპასუხე: „რაც საჭირო იყო, ყველაფერი თბილისიდან წამოვიღეთ, მაგრამ თუ რამე მოგვინდება, აუცილებლად მივაკითხავთ. დიდი მადლობა, რომ ასე შეწუხდით და ამ შუაღამისას ბათუმიდან გემზე ამოხვედით". მიპასუხა: „თქვენი სამსახური ჩემი მოვალეობაა". სასიამოვნო გარეგნობის მოხუცი იყო. თურქული კარგად იცოდა და ოდნავ ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა.

ბათუმი 41 გრადუს და 40 მინუტ განედზე და გრინვიჩით 41 გრადუს და 27 მინუტ გრძედზე მდებარეობს.

უკანა გზა

სტამბოლი – თბილისი
(1876)

[1293 წლის] 5 საფარი (1876 წლის 2 მარტი), ხუთშაბათი:

გასულ ღამეს გარიჟრაჟზე წვიმა წამოვიდა. მზის ამოსვლისას გემი ბათუმის ნავსადგურში გაჩერდა. ბათუმი პატარა პორტია, მაგრამ კარგი ნავმისადგომი აქვს. ერზერუმსა და ბათუმს შორის, ქალაქიდან 5 მილში, მარცხენა მხარეს მდინარე ჭოროხი (Choroq) მოედინება, ხოლო ბათუმსა და ფოთს შორის, ქალაქიდან 10 მილში, მარჯვენა მხარეს – მდინარე ჩოლოქი (Cholok). ფოთიდან ჩვენთვის მოიყვანეს პატარა გემი, სახელად „სესტრიცა" (Sīs Trīt Sā), რაც დას ნიშნავს. ჩვენ მისასალმებლად გემზე ამოვიდნენ ბათუმის გამგებელი ჰამდი ფაშა, *ყადი* მაჰმუდი, ნადიმ ეფენდი, *მუფთი* ჰასანი, რაფათ ეფენდი, რედაქტორი ჰაირი ეფენდი, ჯარის კომენდანტი შეჰაბ ბეგი, მზვერავთა მეექვსე ბატალიონის *მინბაში* მოჰამად ეფენდი, კონტროლის რაზმის *მინბაში* ჰაჯი ჰოსეინ ეფენდი, ჰალიმ ეფენდი, რევიზორი ქამალ ბეგი, ინსპექტორი ებრაჰიმ ბეგი და რუსეთის კონსული. ნავმისადგომთან სამხედრო ბატალიონი იდგა და მუსიკოსები უკრავდნენ. მგზავრები „სესტრიცას" მისცვივდნენ და არავითარი ყურადღება არ მიაქციეს კონსულს, რომელსაც გემზე ყარაულის დაყენება დაავიწყდა. ძალიან შერცხვა, ბოდიში მოგვიხადა და გვითხრა: „მეორე გემიც გვყავს, სახელად „რიონი", რომელიც ამაზე უფრო დიდი და კარგია და იქ გადაბრძანდით". „რიონი" ჩვენს გემს მოაყენეს და მთელი ბარგი გადაიტანეს. ამასობაში „სესტრიცამ" თვალისმომჭრელად გაიელვა. პილიგრიმებმა და სხვა მგზავრებმა ახლა „რიონზე" მიიტანეს იერიში, რადგან წარმოიდგინეს, რომ თუ ჩვენ წავიდოდით და ისინი დარჩებოდნენ, შავ დღეში ჩავარდებოდნენ. კონსული იძულებული გახდა, ფოთში ტელეგრამა გაეგზავნა, რომ კიდევ ერთი გემი გამოეშვათ. გემის კაპიტანმა თქვა: „უკვე გვიან არის და ფოთში დაღამებამდე ვერ ჩავაღწევთ. ფოთის ნავმისადგომი კი ისეთი არ არის, რომ შიგ გემი შევიდეს. ამიტომ ღამით მგზავრობას მოვერიდოთ".



ბათუმის პორტი. 1900-იანი წლების ფოტოსურათი.

იძულებული გავხდით, ღამე ბათუმში გემ „რიონზე" დავრჩენილიყავით. გუშინ ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ხვალინდელ დღესაც ბათუმში გავატარებდი. მართალი უთქვამს მოციქულს, ალაჰიმც აკურთხებს მას და მის სახლეულს და მიესალმება, მონა განსჯის, ხოლო ალაჰი განაგებს.

> თუ კაცთა ბედი წინასწარ არ წერია,
> მაშ, წუთისოფლის დინება ღვთის ნებას რატომ არ მიჰყვება?!
> ათას სურათს გვიხატავს წუთისოფელი, მაგრამ არაფერი მოხდა ისე,
> როგორც ჩვენი წარმოსახვის სარკეში იყო.

რუსეთის კონსული სირცხვილით გემიდან თავს გარეთ ვერ ჰყოფდა, ამბობდა: „გენერალ იგნატოვს (Īqnātīf) რა პასუხი გავცეო?"

საღამოს მოვიდა გემი „გოლუბჩიკი" (Qūlūb Chīk), რაც მტრედს ნიშნავს და მასზე გადავედით. კაპიტანი გვარწმუნებდა, ეს პატარა გემი [წინა გემებზე] უკეთესიაო.

დღეს ოდესასა (Ūdīse) და ყირიმში (Qerem) მიმავალი 300 *სალდათი* მოიყვანეს. ამ ალიაქოთში იმ სულელმა ყაჯარ აყამ აღმოაჩინა, რომ ჩვენი ბარგი, მათ შორის მუშამბის სუფრები, ხელჯოხი და საზღვაო რუკები, რომელიც პირველ გემზე ასატანად ნავში ჩააწყვეს, დაკარგულიყო. მენავეს რამდენჯერაც არ ვკითხეთ, თურქულად გვპასუხობდა: „იმ ორი მენავიდან, რომლებიც ბარგს ანყობდნენ, ერთი ბათუმში ჰამდი ფაშასთან გავაგზავნე, მეორე კი აქ არის".

ამასობაში ჩვენ გასაცილებლად გემზე თავად ჰამდი ფაშა ამოვიდა. ორივე მენავე დააპატიმრეს. ნივთების სია მოვითხოვე და აღმოჩნდა, რომ პატარა საზ-

ღვაო რუკა სკივრში იდო, დიდი კი – მუშამბის სუფრებში, რომლებიც მოეპარათ. ჰამდი ფაშამ თქვა: „ყოველ ღონეს ვიხმარ და ამ ამბავს თბილისში შევატყობინებ". ვუთხარი: „თუ ვერ მოიძებნება, იძულებული ვიქნები, სტამბოლის *ვაზირ მოხთარს* შევატყობინო. მაგრამ თქვენდამი პატივისცემის გამო, სანამ რამეს არ გაარკვევთ, მოვიცდი. თქვენც სეიდ ფაშას ნუ დაემსგავსებით, რომელიც დარწმუნებულია, რომ დაუდეგარ ვირს ვერაფერი გამოასწორებს".

ჰამდი ფაშას არაორგანიზებულობის გამო ძალიან ვუსაყვედურე და შეჰაბ ბეგ *მინბაშს* ვუთხარი: „სანამ თქვენს ქვეყანაში საჯარო დასჯას არ შემოიღებენ, არამზადებისა და ყაჩაღებისგან მოსვენება არ გექნებათ. ოსმალეთში საჯარო დასჯა დააწესეს[309] და საწყალი ხალხი უფსკრულში ჩაყარეს".

მკითხა: „განა ირანში ქურდობისთვის ხელს ისევ ჭრიან?"

ვუპასუხე: „ჯერ ციდან ყურანის გამაუქმებელი ბრძანება არ მოსულა, რომ ეს წესი შეგვეცვალა".

გაბრაზდა, მაგრამ შესაფერისი პასუხი ვერ მოიფიქრა. შეეძლო ეთქვა, თქვენი ახალი აღრიცხვის სისტემა ხომ არყევს წმინდა წიგნის საფუძვლებსო, მაგრამ ვერ გაბედა.

მზის ჩასვლისთვის გემ „გოლუბჩიკზე" ავედით. მასზე მშვენიერი ქვედა და ზედა სალონებია. ამ გემის სიგრძე 170 ფუტია, სიგანე – 30 ფუტი და დაახლოებით 4 ფუტის სიღრმეზე მოძრაობს. მზის ჩასვლის შემდეგ „გოლუბჩიკი" დაიძრა. ფოთის ნავსადგურამდე ქარიშხალსა და შტორმში მოვყევით. დილამდე ძლიერად წვიმდა და გემბანზე მსხდომები ძალიან გაწვალდნენ.

გამთენიისას 5 საათზე ვაჭარ ჰაჯი ჰასანს, რომელიც ირანის ასტარადან იყო, ფეხი დაუსრიალდა და ზღვაში გადავარდა. რომ არ დაეყვირა, კაცი ვერ გაიგებდა. ამ წვიმაში ჩვენი ხალხი დაეხმარა: ბაგირი გადაუგდეს და ამოიყვანეს. მადლობა ღმერთს, რომ არ დაიხრჩო.

6 საფარი (3 მარტი), პარასკევი:

ენითაუწერელი გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით ოთხი საათისთვის ფოთის ნავსადგურში შევედით. იმის გათვალისწინებით, რომ ზღვა საშინლად ბობოქრობდა და ტალღები ფანჯრებს ეხეთქებოდა, გემმა მაინც კარგად იარა. *მუსიე* დიგრანი და ქალაქის თავი *პოლიცმაისტერი* ბარონი ჰიგინინგი (HI KI NInk) საბაჟოს უფროსისა და სანავიგაციო კომპანიის *აგენტის* თანხლებით გემზე ამოვიდნენ და [მშვიდობიანად] ჩამოსვლა მოგვილოცეს.

ხუთ საათზე ხმელეთზე გადავედით და ფოთში ირანის წარმომადგენლის სახლში წავედით. მადლობა ღმერთს, წვიმამ გადაიღო და გამოიდარა. პოლკოვნიკმა საკონსულომდე მიგვაცილა და გვითხრა: „თუ რამე გნებავთ, ბრძანეთ, მზად ვარ გემსახუროთ". ვუპასუხე: „ძალიან თავაზიანი ბრძანდებით, მაგრამ მეტს აღარ შეგაწუხებთ". გამოგვემშვიდობა და წავიდა.

ამ ორდღიანმა წვიმამ ფოთის ქუჩები ისე აატალახა, რომ სიარული ჭირდა. დასანანია ის შრომა, რაც რუსეთის ხელისუფლებამ ამ უვარგისი ნავსადგურის კეთილმოწყობაზე დახარჯა. ფოთი მასზე ზრუნვას ნამდვილად არ იმსახურებს.

---

309 როგორც ჩანს, ავტორი „თქვენს ქვეყანაში" გულისხმობს ბათუმის მხარეს. სახელმწიფოებრივად 1876 წელს ბათუმი ოსმალეთის ნაწილი იყო.

დღეს ნაშუადღევს მზემ გამოანათა და ძალიან კარგი ამინდი დადგა. ნაპირზე რომ გამოვედით, ვთქვი:

ჰოი, შავო ზღვავ, გათეთრდი!
შენი იმედი ასე ძლიერად არასოდეს მქონია.
უეჭველია, ალის მეგობარი ხარ,
რადგან ალის მეგობრები აღთქმას არ ტეხენ.

საღამოს ფოთში ფეხით გავისეირნე და გზის პირას მდგარი რუსული ეკლესია დავათვალიერე. იესოსა და მოციქულების ძალიან კარგი ნახატები ეკიდა და კაცები და ქალები მის სანახავად შეკრებილიყვნენ.

ფოთიდან თბილისამდე 289 *ვერსია*. გზაზე თბილისის გარდა 16 სადგურია. ზოგიერთში მატარებელი 15 წუთი, ზოგში კი სამიდან ხუთ წუთამდე ჩერდება.

სტამბოლიდან ფოთამდე ნავსადგურებს შორის მანძილი ინგლისურ *მილებში* შემდეგია: სტამბოლიდან ინებოლუმდე – 232 *მილი*, ინებოლუდან სამსუნამდე – 145 *მილი*, სამსუნიდან ორდუმდე – 80 *მილი*, ორდუდან გირესუნამდე – 25 *მილი*, გირესუნიდან ტრაბზონამდე – 88 *მილი*, ტრაბზონიდან ბათუმამდე – 96 *მილი* და ბათუმიდან ფოთამდე – 32 *მილი*, სულ – 678 *მილი*.

7 საფარი (4 მარტი), შაბათი:

სამის ნახევარზე ჩავსხედით *შემენდეფერში*, რომელიც სამ საათზე დაიძრა. რა საოცარი დამთხვევაა: [წინა გზაზე] ფოთიდან 7 შავალს, კვირას გავემგზავრეთ და [უკანა გზაზეც] 7 საფარს, შაბათს მივემგზავრებით. ასე რომ, ჩვენი დამქანცველი მოგზაურობა ზუსტად ოთხი თვე გაგრძელდა. „და ალაჰის ნებაა საქმეზე მის დაწყებამდეც და დასრულების შემდეგაც."

დილით *პოლიცმაისტერმა* ბარონმა ჰიგინინგმა სახლში მოგვაკითხა და სადგურზე გაგვაცილა. ძალიან ჭკვიანი და ზრდილობიანი ახალგაზრდა იყო. ღამის 5 საათზე თბილისიდან ტელეგრამით განკარგულება მიიღო, რომ ჩვენთვის თარჯიმანი მოეჩინა, რათა კომფორტულად გვემგზავრა. გვითხრა: „თარჯიმანი არა მყავს და არ ვიცი, რა ვქნა". ვუთხარი: „კარგია, რომ ვაჭარმა ჰაჯი ჰასანმა იცის რუსული".

დილით ადრე გაირკვა, რომ ვაჭარი ზღვაში ჩავარდნისგან გაციებულიყო და თავს ცუდად გრძნობდა. ბარონი იძულებული გახდა, ჩვენი თარჯიმნობა დაევალებინა *მუსიე* დიგრანის ძმის გრიგორისთვის (Grigori), რომელმაც ცოტა თურქული იცოდა. აქედან ღამით გავემგზავრეთ და ამიტომ ზუსტი დრო ვერ დავადგინე.

ფოთიდან 35 *ვერსი* გავიარეთ და ჩავედით სადგურ ნოვო-სოვაყიში (Novo' Sovāqī), რომელსაც რამდენიმე წელია, რაც ნოვო-სენაკს (Nov Senāk) ეძახიან. გარშემო მინდვრები და ტყეები ჭაობით იყო დაფარული. ნოვო-სენაკი დიდი სოფელია და გზის მარჯვენა მხარეს მთის ძირში მდებარეობს. აქედან მინდორი იწყება და ტყე შედარებით მეჩხერია. აქაურობა მთლიანად დასახლებულია.

6 საათზე მდინარე რიონზე გადებულ რკინის ხიდზე გადავედით. ეს მდინარე ქუთაისის მთებიდან მოედინება, ფოთს გაივლის და ზღვას უერთდება. ხიდიდან ქუთაისის სადგურამდე, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია, ნახევარი *ვერსია*,

ხოლო სადგურიდან გზის მარცხენა მხარეს მდებარე ქალაქ ქუთაისამდე – 7 *ვერსი*. ხიდის გადაღმა, მარცხნივ მთები, ბორცვები და ხევებია. გზა ძირითადად მთას მიუყვება. რამდენიმე *ვერსში* ისევ გავივაკეთ და ქუთაისის თოვლიანი მთები გამოჩნდა. ეს სადგური ფოთიდან 70 *ვერსში* მდებარეობს და სამ საათში ჩამოვედით. ორი *ვერსის* გავლის შემდეგ მდინარე ყვირილაზე გადებულ დიდ ხიდზე გადავედით. ეს მდინარეც რიონს უერთდება. რამდენიმე *ვერსის* მერე ყვირილა ხელმეორედ გადავკვეთეთ და შედარებით უფრო პატარა რკინის ხიდზე გავიარეთ.

სოფელ ყვირილას შემდეგ გზა ორივე მხრიდან მთებშია მოქცეული. რამდენიმე ადგილას მთას ისე ახლოს ჩავუარეთ, რომ ხელჯოხით მისწვდებოდი. ყვირილას სადგურიდან ფოთამდე 118 *ვერსია*. ყვირილასა და ბელაგორის (Bele Gor) სადგურებს შორის ერთი ადგილია, სახელად ძირულა (Serüle), სადაც ორი წუთი გავჩერდით. ძირულა მთის კალთაზეა შეფენილი. შემდეგ გადავედით მდინარე ძირულაზე აშენებულ რკინის ხიდზე. ამ ადგილას მდინარის კალაპოტი ვიწროა, ამიტომ ხიდიც შედარებით პატარაა. ძირულა სათავეს იღებს ჩრდილოეთის მთებში, რომლებიც ქუთაისის ქედს ებმის.

[ფოთიდან] გამგზავრებიდან ხუთნახევარ საათში ანუ ცხრის ნახევარზე რკინის ხიდზე გადავედით და პირველ გვირაბში შევედით. ერთ საათში მეორე, უფრო გრძელ გვირაბს მივადექით. სანამ გვირაბიდან გამოვიდოდით, დაახლოებით 44-მდე დავითვალე. ორჯერ თუ სამჯერ გადავკვეთეთ მდინარე ბეჟათუბანზე გადებული რკინის ხიდი, რომელიც ხეობის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებს ერთმანეთთან აკავშირებს. ბეჟათუბნის სადგურიდან ფოთამდე 158 *ვერსია*. ბეჟათუბანს რომ გავცდით, მესამე, კიდევ უფრო გრძელი გვირაბი შემოგვხვდა, რომელიც 54 დათვლაში გავიარეთ.

აქ მუშებმა ვაგონებს ისევ ორი მანქანა გამოაბეს, რომ მწვერვალზე სიმძიმე ჰქონოდა. მაგრამ რადგან გაზაფხულის თოვლისგან გზა დაზიანებულიყო და არემონტებდნენ, წინა ჯერისგან განსხვავებით მანქანები მატარებელს წინიდან ვერ მიუდგნენ და უკნიდან ჩაებნენ. უკუღმა სიარულისგან ვაგონები ისე საშინლად ხმაურობდნენ, რომ მგზავრები ძალიან შეწუხდნენ.

ერთი სიტყვით, ყვირილას მერე გზა სულ თოვლიანი იყო და რაც უფრო ვუახლოვდებოდით თბილისს, თოვლი მით უფრო მატულობდა. რამდენიმე ადგილას მუშებმა თოვლი გათხარეს და ვაგონებმა თხრილში გაიარეს. ზოგან თოვლი მატარებლის ფანჯრებს ფარავდა. მე ხელი გავიწვდინე და ერთი მუჭა თოვლი ავიღე.

წელს მკაცრი ზამთრის გამო რკინიგზა ძალიან დაზიანდა. ამბობდნენ, რომ თოვლის საფარმა დაახლოებით 3 *ზარ'ს* მიაღწია. მთიდან ჩამოწოლილმა მეწყერმა გზა გააფუჭა და მისი შეკეთება 500 000 მანეთი დაჯდა, მანამდე კი ერთი თვე დაკეტილი იყო. ახლა, მიუხედავად იმისა, რომ შუა *ჰუთია*[310], ჯერ კიდევ 1 *ზარ'ი* სიმაღლის თოვლი დევს. მზის ჩასვლისთვის უღელტეხილის ახლოს, საგუშაგოდან ორ *ვერსში* ძლიერი თოვლისგან დანგრეულ გზას მივადექით და ვაგონები თოვლის ტრანშეაში გაჩერდა. გზას ფეხით თუ განვაგრძობდით,

310 ირანული მზის წელინადის მეთორმეტე თვე, შეესაბამება თებერვალ-მარტს.

ძირს ჩავედით. მებარგულებმა ბარგი აიღეს. დაახლოებით 500 ნაბიჯი ან უფრო მეტი გავიარეთ და მეორე მატარებელთან მივედით. მთა ძლიერი სიცივისგან და თოვლის დიდი მასებისგან ჩამონგრეულიყო და გზა ჩაეხერგა. იქ, სადაც მუშები ტრიალებდნენ, ერთი ინჟინერი იდგა. გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა *მუსიე* რიშარს (Rīshār). ამბავი ვკითხე და მითხრა: „ოთხი დღეა, რაც გზას ვასუფთავებთ და კიდევ 21 დღის სამუშაო დაგვრჩა. ამ საქმეზე ყოველდღიურად 100 მუშაა დაკავებული". თოვლის ტრანშეა სურამამდე გრძელდებოდა და ზოგან ვაგონების სახურავებზეც გადადიოდა. თოვლი გორშიც იდო. გორის შემდეგ კი გავივაკეთ და თოვლი უკან ჩამოვიტოვეთ.

დილის 6 საათზე თბილისის სადგურში შევედით. აქ ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი გენერალური კონსული მირზა ასადოლაჰ ხანი, თბილისის გუბერნატორ ორლოვსკის მხრიდან *მუსიე* ლუარსაბ ბეგლაროვი და კაზაკი გუშაგების რაზმის მეთაური დაგვხვდნენ. *პრინცმა* ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ჩვენ შესახვედრად მირზა ფათჰალი ახუნდოვი გამოგზავნა, მაგრამ მას დააგვიანდა და სახლში გვეწვია. როცა დაბინავდით და დავიძინეთ, უკვე 9 საათი იყო. *შემენდეფერის* მომქანცველი მგზავრობით, სიცივითა და უძილობით ძალიან დაღლილები და დასუსტებულები ვიყავით.

ფოთიდან თბილისამდე სადგურების და მათ შორის მანძილების ჩამონათვალი შემდეგია: პირველი, ჭალადიდი (Chīlādīd) – 14 *ვერსი*; მეორე, ნოვო-სოვაყი – 35 *ვერსი*; მესამე, სამტრედია (Sām Trī Dī) – 61 *ვერსი*; მეოთხე, ქუთაისი – 90 *ვერსი*; მეხუთე, ყვირილა – 118 *ვერსი*; მეექვსე, ბელაგორი – 139 *ვერსი*; მეშვიდე, ბეუათუბანი – 150 *ვერსი*; მერვე, სურამი – 173 *ვერსი*; მეცხრე, მიხაილოვო – 170 *ვერსი*; მეათე, ქარელი (Qārelī) – 201 *ვერსი*; მეთერთმეტე, გორი – 232 *ვერსი*; მეთორმეტე, გრაკალი (Garākhālī) – 232 *ვერსი*; მეცამეტე, კასპი (Qaspī) – 244 *ვერსი*; მეთოთხმეტე, ქსანკა – 258 *ვერსი*; მეთხუთმეტე, მცხეთა (Mekhet) – 269 *ვერსი*; მეთექვსმეტე, ავჭალა (Avchalī) – 279 *ვერსი* და მეჩვიდმეტე, თბილისი – 289 *ვერსი*. ყველა პუნქტის დასახელება ქართულია.

თბილისი

8 საფარი (5 მარტი), კვირა:

საუზმის შემდეგ თავდაპირველად ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი თბილისის თავი ანუ *პოლიცმაისტერი* პოლკოვნიკი ბილიკი მოვიდა და ქალაქის მოსახლეობის სახელით მოგვესალმა. ვუთხარი: „წინა გზაზე თბილისელების თხოვნა გადმომეცით, რომ უკანაც ამ გზით დავბრუნებულიყავი, რათა ერთმანეთის ნახვის ბედნიერება კიდევ ერთხელ გვქონოდა. მეც სწორედ მათმა სურვილმა მიმიზიდა და აქ ჩამომიყვანა". დიდი მადლობა გადამიხადა და წავიდა.

შემდეგი საპარადე ფორმაში გამოწყობილი თბილისის გუბერნიის მმართველი გუბერნატორი ორლოვსკი მობრძანდა. დავსხედით და დიდხანს ვისაუბრეთ. ვუთხარი: „თქვენ შემპირდით, რომ თუ უკან თბილისის გავლით დავბრუნდებოდი, ბაქოში ისე ჩავიდოდი, რომ განჯას არ გავივლიდი". მიპასუხა: „ვფიქრობ, რომ შაქის გზით გაგამგზავრებთ. თან საინტერესო სანახავია და თან განჯასაც ასცდებით. მძიმე ტვირთს კი განჯის გზით გავუშვებ". ვუთხარი: „თქვენ უკეთ

იცით". თქვა: „მთელი მარშრუტი გაწერილია. გენერალურ კონსულს გავუგზავნი და ის მოგართმევთ". *მუსიე* ლუარსაბ ბეგლაროვი თარგმნიდა. საოცარია: წასვლისას *ბალკონზე* მდგარმა ორლოვსკიმ მირზა ასადოლაჰ ხანს შესჩივლა, რომ ცუდად იყო და სიკვდილის მოახლოებას გრძნობდა. მეორე დღეს კი გავიგეთ, რომ მართლა შეუძლოდ გამხდარიყო.

ორლოვსკის შემდეგ ოფიციალურ ტანსაცმელში ჩაცმული მისი აღმატებულება *პრინც* ბაგრატიონ-მუხრანსკი მობრძანდა. ჩვენი ჩამოსვლით ძალიან გახარებული ჩანდა. დიდხანს იჯდა და ათას რამეს გვიყვებოდა. ძალიან ჭკვიანი და ღირსეული კაცია. სამსახურიდან გადადგომას აპირებს. საკუთარი ოჯახი არა ჰყავს და მთელი თავისი ქონება ძმას აჩუქა. წარმომავლობით ქართველია და წინასწარმეტყველ დავითის შთამომავალია. ქართველებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. თარჯიმნობას მირზა ფათჰალი ახუნდოვი უწევდა.

პრინცის ნასვლის შემდეგ მირზა ასადოლაჰ ხანი გავაგზავნე კარის მინისტრ ანუ *იშიქაყასიბაში* ტოლსტოისთან (Tol Istoy), რათა მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლისთვის დის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩემი სამძიმარი მოეხსენებინა და შეხვედრაზე შეთანხმებოდა. გენერალური კონსული გაემგზავრა, მაგრამ ტოლსტოი სახლში არ დახვდა და ბარათი დაუტოვა. როცა სახლში დაბრუნდა, *იშიქაყასიბაშის* წერილი მიუტანეს, რომელშიც ის ჩვენთან შეხვედრის სურვილს გამოთქვამდა და მიღების ზუსტი დროის დანიშვნას ითხოვდა. გენერალურმა კონსულმა შეუთვალა, რომ მეორე დღეს ნაშუადღევს მობრძანებულიყვნენ.

9 საფარი (6 მარტი), ორშაბათი:

დილით აბანოში წავედი. აქ სრულიად გამორჩეული, სუფთა და თბილი წყალია, რომელიც სხეულს არბილებს. სახლში რომ დავბრუნდი, მირზა ფათჰალი ახუნდოვი დამხვდა, მაგრამ ამასობაში მისმა აღმატებულება *პრინც* მუხრანსკიმ გამოიძახა და სასწრაფოდ წავიდა.

შემდეგ მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლის *იშიქაყასიბაში* ტოლსტოი უნიფორმით გამოცხადდა. 10-15 დღეა, რაც პეტერბურგიდან დაბრუნდა. მითხრა: „დღეს მის მაღალაღმატებულებას უნდა შეხვედროდით, მაგრამ მას გეგმები შეეცვალა, სანადიროდ წაბრძანდა და საღამომდე არ ჩამოვა. იმედია, ხვალინდელ დღეზე შევთანხმდებით".

მას თარჯიმნობას აყა მირზა ფათჰალი უწევდა. ტოლსტოის განსხვავებული, სპეციალურად *იშიქაყასებისთვის* განკუთვნილი სირმებიანი მუნდირი ეცვა და ირანის ორდენი ეკეთა. მერე ისევ მირზა ფათჰალი მოვიდა. როგორც გაირკვა, *პრინც* მუხრანსკიმ მას ორი რამ დაავალა: ჯერ ერთი, ჩემთვის უნდა გადმოეცა, რომ მასთან საპასუხო ვიზიტი საჭირო აღარ იყო და [საავიზიტო] ბარათის გაგზავნაც იკმარებდა და მეორე, *კნიაზ* მირსკისთან უნდა მისულიყო და ეთქვა, რომ უკვე ორი დღე იყო, რაც თბილისში ვიყავი, რადგან, როგორც ჩანს, მან ეს ამბავი არ იცოდა. მირზა ფათჰალიმ მითხრა: „როცა *კნიაზ* მირსკის თქვენი ჩამობრძანების ამბავი ვუთხარი, ძალიან შერცხვა და დაიფიცა, არ ვიცოდიო. თქვენთან დამაბარა, დღეს საქმეები მაქვს და ხვალ 3 საათზე გეახლებითო".

მირზა ფათჰალისთან ერთად მობრძანდნენ ოსმალეთის გენერალური კონსული ბეჰჯათ ეფენდი და უფლისწულ ბაჰმან მირზას ვაჟი მაჰმუდ მირზა,

რომელიც სამხედრო მოსამსახურეა. მირზა ფათჰალის ბაქოს გუბერნატორის ამბავი ვკითხე: უეჭველია ავად არის, თორემ მის აღმატებულებას არასოდეს ვავიწყდები-მეთქი. შემპირდა, რომ აქედან მასთან წავიდოდა, ამბავს გაიგებდა და ხვალ მომახსენებდა. მართლაც არ დაიზარა და ჩემგან წავიდა ბაქოს გუბერნატორთან, რომელიც სახლში არ დახვდა, ამიტომ ვრცელი წერილი დაუტოვა და წამოვიდა.

10 საფარი (7 მარტი), სამშაბათი:

დღისით, სადილამდე ოფიციალურ ტანსაცმელში ჩაცმული ბაქოს გუბერნატორი მისი აღმატებულება გენერალ-მაიორი სტაროსელსკი (Estār Asīl Eskī) მეწვია და ბოდიში მომიხადა: „თქვენი ჩამობრძანების შესახებ არაფერი ვიცოდი და გუშინ ახუნდოვისგან გავიგე". ჩემდამი დიდი სითბო და სიყვარული გამოხატა. ჭეშმარიტად, მასავით კეთილშობილი კაცი არ შემხვედრია. მითხრა: „ჩემი ქალბატონი ძალიან წუხს, რომ ბაქოში თქვენ და თქვენი მეუღლე ვერ გნახათ. ახლაც რამდენიმე დღეა, რაც ყელ-ყური აწუხებს და ტკივილებისგან მოსვენება აქვს დაკარგული".

დიდხანს ვისხედით და ვსაუბრობდით. შემპირდა, რომ ბაქოს გემის განრიგს გაიგებდა და შემატყობინებდა. თურმე დაუწინაურებიათ და ახლა „დეპარტამენტის დირექტორია" (Dīrektor-e depārtmān), რაც სამოქალაქო თანამდებობაა. ამ განყოფილების ხელმძღვანელი კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსის დაქვემდებარებაშია. როგორც გაირკვა, სტაროსელსკი მეფისნაცვლის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობს და მისი დახმარებით მალე სამმართველოს უფროსადაც დანიშნავენ.

მისი წასვლის შემდეგ საპასუხო ვიზიტით წავედი *პრინც* მუხრანსკისთან და მის აღმატებულება ორლოვსკისთან. ორივეს [სავიზიტო] ბარათები დავუტოვე და სახლში დავბრუნდი. საღამოს, მზის ჩასვლამდე სამი საათით ადრე, ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი *კნიაზ* მირსკი მოვიდა. დაწერილებით გამომკითხა მექას, მედინას, ეგვიპტისა და სტამბოლის ამბები. ძალიან გონიერი და შორსმჭვრეტელი კაცია. ოსმალეთის საქმეებზე ირონიულად ლაპარაკობდა.

ვკითხე: „უწინ ნუხას[311] ფიცრულებსა და სახლების ხის ჩუქურთმებს ძალიან აქებდით. ახლა იმ გზით ვაპირებ წასვლას და თუ ზუსტად მიმასწავლით, აუცილებლად დავათვალიერებ. რამდენადაც ვიცი, ასეთი ფიცრულები ირანსა და ისფაჰანშიც ბევრია".

თქვა: „მოჰამად ჰასან ხანი დიდი ხანია, რაც იმ მხარის გუბერნატორია. რა თქმა უნდა, [ასეთი ფიცრულები] ისფაჰანშიც არის. ირანის ძველი ხელოსნები ძალიან დახელოვნებული ოსტატები იყვნენ. ხათას სამეფოს[312] მერე ირანი ამქვეყნად უძველესი სახელმწიფოა".

ვუთხარი: „როგორც ცნობილია, ჯემშიდის დროიდან მოდის".

---

311 ერთ-ერთი ძველი სახანო და ქალაქი აზერბაიჯანში, ახლანდელი შაქი.

312 იგივე ხეთების სამეფო (ძვ. წ. XVIII-XIIIსს.), რომელიც ევფრატის შუა დინების დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე (მცირე აზია, სირია, პალესტინა) მცხოვრებ ეთნიკურად სხვადასხვა წარმოშობის ტომებს აერთიანებდა.

მითხრა, სამიათასწლიანი ისტორია გაქვთო და ისფაჰანის ქება დაიწყო.

ვუთხარი: „ეს ქალაქი ავღანელთა ლაშქრობის დროს დაინგრა. ყაჯარების მმართველობის წლებში დედაქალაქი ისფაჰანი რომ ყოფილიყო, ახლა სტამბოლზე უფრო კეთილმოწყობილი იქნებოდა".

თქვა: „ჭეშმარიტად ასეა" და დედაქალაქის თეირანში გადატანის მიზეზი მკითხა.

ვუპასუხე: „*შაჰ-ე შაჰიდმა* აღა მაჰმად ხანმა ყაჯარების რეზიდენციად ასტარაბადისა და მაზანდარანის რეგიონები აირჩია და იქ დასახლდა. მას შემდეგ ასე დარჩა და ახლა შეცვლა და გადატანა ძნელია. მაგრამ ჩვენ თვითონაც კარგად ვიცით, რომ თეირანი ისფაჰანს ვერ შეედრება. მდინარე ზენდერუდი მას შუაზე კვეთს და ყოველმხრივ კეთილმოწყობილი ქალაქია".

დამეთანხმა, ასეაო, და მითხრა: „ისფაჰანის ქება ბევრისგან გამიგია".

ვუთხარი: „მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ამდენი კარგი შენობა ნახეთ, დარწმუნებული ვარ, რომ იქაურობით მოხიბლული დარჩებით".

დაახლოებით ერთი საათი მეგობრულად ვისაუბრეთ და წასვლისას მითხრა: „თქვენი აღმატებულების დიდი მადლობელი ვარ, რომ ამ გზით დაბრუნდით და თქვენი ხილვით გაგვაბედნიერეთ". მას თარჯიმნობას ახუნდოვი უწევდა.

მისი წასვლის შემდეგ უფლისწულ ბაჰმან მირზას ვაჟი ბაბა ხანი მოვიდა და თან მოიყვანა თავისი შვილი მანსურ მირზა, რომელიც ახუნდოვის ქალიშვილისგან ჰყავდა. 7 წლის კარგი ბიჭი იყო. ეტყობოდა, რომ ახუნდოვის ნიჭიერება მასზეც გადმოსულიყო.

მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლის *იშიქაყასიბაში* საპასუხო ვიზიტით ეწვია მირზა ასადოლაჰ ხანს. მერე გენერალურ კონსულთან მოვიდა მისი ბარათი, რომელშიც ეწერა: „ხვალ ნაშუადღევს პირველ საათზე მავანი მის მაღალაღმატებულება მეფისნაცვალთან უნდა მოვიდეს. დიდი თავადი მას მიიღებს. დათქმულ დროს მეფისნაცვლის *კალიასკა* მას მიაკითხავს". ცოტა ხანში გენერალური კონსული მირზა ასადოლაჰ ხანი მოვიდა და მითხრა: „თქვენ [შესაფერისი] ტანსაცმელი არა გაქვთ. ხელმწიფესთან მიღებაზე რა გეცვათ და მას რა ეცვა?" ვუპასუხე: „ჩემი მბრძანებლის წყალობით მე ყველანაირი ოფიციალური ტანსაცმელი და ორდენი მაქვს, მაგრამ რადგან წმინდა ადგილების მოსალოცად მივემგზავრებოდი, თან არ წამომიღია. ასეთი ტანსაცმელი პილიგრიმობასთან შეუთავსებადია და ადამიანს მიზანს აცდენს. ამ მოგზაურობაში მოგზაურის შესაფერისად ვიქცეოდი. ის, ვინც გულმოწყალეა და წესისამებრ იქცევა, თავის ღირსებას უწევს ანგარიშს. ხელმწიფესთან სარდლის შავი ფორმითა და შავი შარვლით ვიყავი და მის უდიდებულესობასაც არა სამეფო, არამედ სადა ტანსაცმელი ეცვა". მერე მირზა ასადოლაჰ ხანი მოვიდა და მითხრა: „*იშიქაყასიბაშის* ყველაფერი დაწვრილებით მოვახსენე და დაკმაყოფილდა".

ახუნდოვის წასვლის შემდეგ მირზა ასადოლაჰ ხანთან ერთად ქალაქში გავისეირნე და ერთი საათის დაღამებული იყო, სახლში რომ დაებრუნდით.

დღეს თბილისში ჩამოვიდა მისი აღმატებულება სენატორი გოლიცინი (Kolochin), რომელიც მისი უდიდებულესობა იმპერატორის მიერ მთელი კავკასიის მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა. მან [ამ პოსტზე] ბარონი ნიკოლაი (Bāron Nīkolāy) შეცვალა. გარკვეული პერიოდი ამ მოვალეობას დროებით

ასრულებდა *პრინცი* მუხრანსკი, მაგრამ ხანდაზმულობის გამო თანამდებობაზე თავად თქვა უარი და მოისვენა. „და როცა მიაღწევ შენს ბოლოს, ზღვარს ნუღარ გადახვალ".

11 საფარი (8 მარტი), ოთხშაბათი:

დილით ისევ ბაქოს გუბერნატორი მეწვია და მითხრა: „როგორც კი დროს ვპოულობ, შემთხვევას არ ვუშვებ და თქვენ სანახავად მოვდივარ. გთხოვთ, ბაქოში იცხოვროთ ჩემს სახლში, რომელიც ცარიელია". ვუთხარი: „თქვენი სახლი იგივე ჩემი სახლია და თქვენთან როგორც საკუთარ სახლში, ისე ვიქნები". ბაქოს გემის ამბავი შემატყობინა, ღვთის შეწევნით, რუსული კალენდრით 15 მარტს ანუ რაბი ალ-ავალის თვის პირველში, ორშაბათს გავაო. ცოტა ხანს ვისაუბრეთ და წავიდა.

მერე მოვიდა მირზა მოჰამად ალი ბეგ ქაში, რომელიც განსვენებული ამინ ად-დოულე ფაროხ ხანის ნათესავია. მას რუსეთში დიდ პატივს სცემენ. ფოსტის სადგურების უმრავლესობა არენდით აქვს აღებული. ისე ენდობიან, რომ ფოსტის სადგური ჩააბარეს. ძალიან გონიერი და წესიერი კაცია და მისით ყველა კმაყოფილია. ოცი წელია, რაც კავკასიაში ცხოვრობს და მის იერსა და ჩაცმულობაში არაფერი შეცვლილა.

მზის ჩასვლას ხუთი საათი აკლდა, როცა მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლის ადიუტანტმა *კალიასკა* მოიყვანა და გენერალური კონსულის მირზა ასადოლაჰ ხანის თანხლებით სასახლეში წავედი. შენობის წინ მდგარი გუშაგები და კაზაკები სამხედრო წესით მოგვესალმნენ. სასახლეში შევედით. შესასვლელთან *იშიქაყასიბაში* და სხვა სახელმწიფო მოხელეები დაგვხვდნენ. იქ იყო აყა მირზა ფათჰალი ახუნდოვიც, რომელიც პირველი თარჯიმანია. კიბეზე ასვლისგან ძალიან დავიღალე და ფეხი მეტკინა. ახუნდოვმა მკითხა: „დაიღალეთ?" ვუპასუხე: „ცოტა ხანი თუ შევჩერდებით, კარგი იქნება".

პირველ ოთახში *იშიქაყასიბაშიმ* მითხრა: „თუ გნებავთ, ამ დივანზე დაბრძანდით და დაისვენეთ".

სასწრაფოდ ფორთოხლის *შარბათი* და ერთი თეფში ტკბილეული მოიტანეს. ცოტა შევჭამე. *იშიქაყასიბაშიმ* მითხრა: „მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვალი გელოდებათ და როცა მოისურვებთ, წავიდეთ". ვუპასუხე: „აქ ცოტა ხანი იმიტომ დავჯექი, რომ მასთან სასაუბროდ მოვმზადებულიყავი".

ავდექი. *იშიქაყასიბაშიმ* ოთახის ზღურბლამდე მიმაცილა. მსახურთუხუცესმა კარი გააღო და შიგნით შევედი. მირზა ასადოლაჰ ხანი და სხვები გარეთ დარჩნენ. მეფისნაცვალი სრულ საპარადე ფორმაში იყო გამოწყობილი, მხოლოდ ყაწიმი არ ეკეთა. მისი უდიდებულესობის გამოსახულებიანი და სხვა ორდენები ეკიდა. ჩემსკენ რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, ხელი ჩამომართვა, მომიკითხა და დაჯდომა შემომთავაზა. მე თავაზიანად წინ გავუშვი, რომ პირველი თვითონ დამჯდარიყო, მაგრამ დაიჟინა და მარჯვენა მხარეს დამსვა. ბრძანა: „ამ ოთახში ირანის შაჰინშაჰს გავუმართეთ დარბაზობა". მოვახსენე: „კურთხეული ოთახია, რადგან ორი დიდებული შაჰინშაჰის მხილველია. აქ ხომ მისი უდიდებულესობა იმპერატორიც ბრძანდებოდა".

სამყაროს ყიბლა[313] [შაჰინშაჰი] მოიკითხა და მკითხა: „ხორასანში გამგზავრებას თუ აპირებენ?"

ვუპასუხე: „დიდი ხანია, რაც თეირანიდან წამოვედი და არაფერი ვიცი. როგორც ჩანს, თქვენ უფრო ზუსტი ცნობები გაქვთ".

თქვა: „შაჰინშაჰი შემოდგომაზე მაზანდარანში ბრძანდებოდა".

მოვახსენე: „როცა თეირანში შემოდგომაა, მაზანდარანში იმ დროს გაზაფხულია და იქაურობა ძალიან ლამაზია".

თქვა: „იქიდან შაჰინშაჰი ასტარაბადში წაბრძანდა, იმ მხარის გუბერნატორი თანამდებობიდან გადააყენა და ისევ ძველი გუბერნატორი დანიშნა".

მოვახსენე: „ძველი გუბერნატორი სოლეიმან ხანი გახლდათ. ძალიან გამჭრიახი და წესიერი კაცია. რუსეთის კონსული მისით ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან საზღვრებს კარგად აკონტროლებდა. თუ ამ კაცზეა ლაპარაკი, ასტარაბადისთვის ეს დიდი წყალობა იქნება".

თქვა: „*აშურაზე* ფიქრობდნენ ჩამობრძანებას, მაგრამ ზღვაზე ღელვის გამო გადაიფიქრეს".

მოვახსენე: „დიდი ხანია, რაც ირანიდან არავითარი ცნობა არ მიმიღია".

ეგვიპტის, სტამბოლის და ზღვების ამბები გამომკითხა. რაც საჭირო იყო, მოვახსენე.

თქვა: „თეირანში შაჰინშაჰის არყოფნისას თქვენ მისი შემცვლელი ბრძანდებოდით და სამსახურს კარგად გაართვით თავი. ჭეშმარიტად, დიდი საქმეა, რომ მისი უდიდებულესობის გარეშე ქვეყანაში სიმშვიდე შეინარჩუნო".

მოვახსენე: „ქვეყანაში წესრიგს შაჰინშაჰის არსებობის ბედნიერება განაპირობებდა. ჩემი დამსახურება კარგად უწყის რუსეთის ელჩმა, რომელმაც მითხრა, თქვენი სამსახურის შესახებ კმაყოფილებით მოვახსენებ შაჰინშაჰსა და იმპერატორს, რადგან შაჰინშაჰის არყოფნაში საქმეს ძალიან კარგად გაართვით თავიო".

მკითხა: „განჯის გზით ინებებთ გამგზავრებას თუ ნუხას გზით?"

მოვახსენე: „დღეს გავიგე, რომ ნუხას გზა ძალიან ტალახიანია. რომელ გზასაც გადავწყვეტ, მის მაღალაღმატებულებას აუცილებლად მოვახსენებ". და დავძინე: „მეფისნაცვლის სიკეთეზე ბევრი მქონდა გაგონილი ჩემი ძმებისგან, რომლებიც შაჰინშაჰის კორტეჟთან ერთად დაბრუნდნენ. როცა წმინდა ადგილების მოსალოცად მივდიოდი, მისი მაღალაღმატებულება ყირიმში ბრძანდებოდა და მისი ნახვის ბედნიერება წილად არ მხვდა. ახლა კი, როცა შევხვდი, მივხვედი, რომ ჩემს ძმებს მის ღირსებებზე კიდევ ცოტა უთქვამთ". დიდი მადლობა გადამიხადა.

ვუთხარი: „რა სამწუხაროა, რომ თქვენს მაღალაღმატებულებასთან ჩემი პირველი შეხვედრა თქვენი დის გარდაცვალებას დაემთხვა. დაე, მისი უდიდებულესობა იმპერატორის დღეგრძელობამ გაგიფანტოთ ყველა დარდი".

ბრძანა: „დიდი მადლობა სამძიმრისა და თბილი სიტყვებისთვის".

მოვახსენე: „ამ დანაკლისის სანაცვლოდ, თქვენს ოჯახში ამ დღეებში ახალშობილი გაჩნდა და, ღმერთმა ქნას, ბედნიერი იყოს".

---

313 „სამყაროს ყიბლა" ანუ „სამყაროს ცენტრი" ირანის შაჰების ტიტული იყო.

გაიცინა და თქვა: „შვიდი შვილი მყავს და ეს მეოთხე ვაჟია. კავკასიაში დაიბადა. მეტი შვილი აღარ მინდა“.

მოვახსენე: „ღმერთმა ქნას, შვილები კიდევ გეყოლოთ. ადამიანი ხეა და შვილები ამ ხის ტოტები და ფოთლები არიან. ხეს რაც უფრო ბევრი ტოტი და ნაყოფი აქვს, მით მეტია მისი სიდიადე და მისი ჩრდილიც უფრო შორს სწვდება. ბევრი შვილი ადამიანის სიძლიერის საფუძველია“.

მითხრა: „რა მოხდენილად ბრძანეთ“.

მერე წამოდგა და მეც გამოსამშვიდობებლად ავდექი.

ბრძანა: „წამოდით, ოთახებს დაგათვალიერებინებთ“.

წინ წამიძღვა და სამყაროს ყიბლა შაჰინშაჰის საძინებელ ოთახში შემიყვანა. თქვა: „ამ ოთახის ერთადერთი მორთულობა პეტერბურგში ჩემი ხელქვეითი ოფიცრების ფოტოსურათებია. მაგრამ აქ ირანის შაჰინშაჰმა და იმპერატორმა ღამე გაატარეს“.

მოვახსენე: „თუ გარეგნული შემკულობა არა აქვს, შინაგანად არის შემკული, რადგან ორი დიდებული შაჰინშაჰის მოსვენების და ძილის ადგილია“.

ოთახიდან გამოვედით და მივადექით დიდ, დაახლოებით 2,5 *ზარ'ი* სიგრძის და 2 *ზარ'ი* სიგანის, კავკასიის რუკას, რომელიც კედელზე ეკიდა. მასზე ამ რეგიონის მთების რელიეფები იყო დატანილი. სათითაოდ ყველა მათგანი მაჩვენა და მითხრა: „ეს ელბრუსის (Alborz) მთაა, რომელიც მუდამ თოვლით არის დაფარული. მის ჩრდილოეთით და დასავლეთით ჩერქეზეთის მთებია, უკან კი – ჩეჩნეთის *ვილაიეთი*, რომელიც საშინლად გვებრძვის. იქ ბევრი ულრანი ტყეა, რომელსაც ამუშავებენ და ყიდიან“. მერე შამილის (Shamīl) მშობლიური ადგილები მაჩვენა და მითხრა: „აქ დერბენდია“.

მოვახსენე: „წამიკითხავს, რომ დერბენდში ანუშირვანის დროინდელი ბევრი ძეგლია. მთიდან ზღვის ნაპირამდე ერთი კედელი მიუყვება, რომელიც ძალიან მკვიდრად არის ნაშენები. კედელს ჭიშკარი აქვს, რომელსაც ღამ-ღამობით კეტავენ“[314].

ბრძანა: „მართალია, დერბენდს ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს“. ანუშირვანის ეპოქის შესახებ მკითხა და ვუპასუხე: „დაახლოებით 1400 წლის ნინ ცხოვრობდა“. რუკაზე თბილისი-ვლადიკავკაზის გზა, ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზი და ბაქოს გზა მაჩვენა და მითხრა: „თქვენ ბაქოს გზით გაემგზავრებით და გაივლით ნუხას ველს, რომელიც ძალიან ლამაზია“. მერე შიშეს გზაზე მიმითითა და თქვა: „აქ შიშეს მთებია, სადაც ბაჰმან მირზა ცხოვრობს“. მოვახსენე: „რუსეთში ბაჰმან მირზასადმი დიდი კეთილგანწყობა გამოიჩინეთ. იმპერატორის ღირსება წარჩინებულ პირთა პატივისცემაში მჟღავნდება“. ბრძანა: „ბაჰმან მირზა ძალიან გულდაწყვეტილია. ირანში რამდენიმე სოფელი ჰქონდა და, ამტკიცებს, რომ ჩამოართვეს“. მოვახსენე: „არ ეგების უფროს ძმაზე ცუდის თქმა, მაგრამ უფლისწულის ამ მტკიცებებსა და სიტყვებში სიმართლე არ არის. მას აზერბაიჯანის 7 წლის იჯარა არ ჰქონდა გადახდილი და საკმაოდ დიდი თანხა თქვენი ხათრით აპატიეს. და თუ აზერბაიჯანის შვიდი წლის იჯარის სანაცვ-

---

[314] ავტორი საკმაოდ ზუსტად აღწერს დერბენდის ცნობილ ზღუდეს, რომელიც აგებულია ხოსრო I ანუშირვანის (488-531) დროს. ზღუდის ნაწილები დღემდეა შემორჩენილი.

ლოდ რამდენიმე სოფელი ჩამოართვეს, ეს უსამართლობა არ არის". ბრძანა: „დღეს მისი შვიდი შვილი [რუსეთის] სამხედრო მოსამსახურეა და სხვადასხვა ჩინი აქვს". მოვახსენე: „უფლისწულებსა და დიდგვაროვანთა შვილებზე ზრუნვა მბრძანებელთა საკადრისი საქმეა".

მერე მუღანის[315] რუკა მაჩვენა და მითხრა: „შაჰსევანები[316] ძალიან თაღლითი და ქურდბაცაცა ხალხია. კარგი იქნება, თუ მათ ბინადარ ცხოვრების წესზე გადაიყვანენ". მოვახსენე: „ქურდობა და თაღლითობა ბინადრების ბუნებაშია. მან, ვინც ზამთარში მუღანის მამასახლისი გახდება, გლეხების მიმართ უმართებულო ქმედებები ორივე მხრიდან უნდა აღკვეთოს". და დავძინე: „თუ მიბრძანებთ, თქვენს წინადადებას შაჰინშაჰს მოვახსენებ". ბრძანა: „თქვენი დიდი მადლობელი ვიქნები, თუ ამ ვითარებას მის უდიდებულესობას გააცნობთ".

მიუხედავად იმისა, რომ რუკა რუსული იყო, რამდენიმე პუნქტის მდებარეობას გუმანით მივხვდი და ვუთხარი, სად რა იყო. ძალიან გაუკვირდა. მირზა ფათპალი ახუნდოვმა მოახსენა: „ეს ბატონი გეოგრაფიაში ძალიან დახელოვნებულია".

აღრიდაღის (Āghrī Dāgh) მთაზე მიმითითა. ვუთხარი: „წმინდა წიგნში მას არარატი (Ārārāt) ჰქვია". მერე ირანისა და ოსმალეთის სასაზღვრო ზოლი მაჩვენა და მითხრა: „ეს ქალაქი ალექსანდროპოლია (Aleksāndr Ne Pol), რომელსაც ოსმალები გიუმრის ეძახიან".

რუკის დათვალიერების შემდეგ მაგიდასთან მიმიყვანა და მაჩვენა სურათი, რომელზეც მისი ცოლი ბავშვით ხელში იყო გამოსახული. ბრძანა: „ეს ჩემი ბოლოს წინა შვილია". იმ დივანის თავზე, რომელზეც ჩვენ ვისხედით, მისი მშობლების, იმპერატორისა და *იმპერატრიცას*, სურათი ეკიდა. ვუთხარი: „ამ ქვეყნად ერთ-ერთი უდიდესი მბრძანებელი იყო და სამყაროს გამოჩენილ მეფეებს ტოლს არ უდებდა. ჩემთვის რომ გეკითხათ, ვინ არისო, დაუფიქრებლად გეტყოდით, რადგან ძალიან გავხართ". ბრძანა: „ჩემი ძმა ნიკოლოზი (Nīkolāy) რომ გენახათ, მსგავსება რა არის, მიხვდებოდით".

იქიდან პეტერბურგის რუკასთან მიმიყვანა და მაჩვენა გაყინული მდინარე ნევა (Nevā), რომელსაც ინგლისელები ნივას (Nīvā) ეძახიან. მოვახსენე: „ამბობენ, რომ *სენთ იზაგის*[317] (Sent Īzāg) ტაძრამდე მიდის". თქვა: „მართალი ბრძანდებით". მერე ხელი ჩამომართვა და მითხრა: „თქვენთან შეხვედრით ძალიან ვისიამოვნე". რამდენიმე ნაბიჯი გამომაცილა. მე დავემშვიდობე და ახუნდოვთან ერთად გარეთ გამოვედი. შეხვედრა დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა. *იშიქაყასიბაში* და სხვა მოხელეები კარებამდე გამოგვყვნენ. ისევ იმ *კალიასკაში* ჩავსხედით და საკონსულოში დავბრუნდით. ახუნდოვი შესასვლელთან დაგვემშვიდობა.

საღამოს მირზა ასადოლაჰ ხანთან ერთად საპასუხო ვიზიტით წავედი *კნიაზ* მირსკისთან, მაგრამ სახლში არ დაგვხვდა და [საკვიზიტო] ბარათი დავუტოვეთ. ცოტა ხანს ქუჩაში და ბაზარში გავისეირნეთ და სახლში დავბრუნდით.

---

315 მუღანის ველი – ადგილი აზერბაიჯანის სამხრეთ ნაწილში.

316 თურქული ტომი ირანის აზერბაიჯანში.

317 იგულისხმება სანკტ პეტერბურგის წმ. ისაკის ტაძარი.

12 საფარი (9 მარტი), ხუთშაბათი:

დილით მეფისნაცვლის ადიუტანტი საკონსულოში მოვიდა და მოგვახსენა: „მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვალი ნაშუადღევს პირველ საათზე საპასუხო ვიზიტით გეახლებათ".

მირზა ასადოლაჰ ხანმა საკონსულო მოაწესრიგა და ირანელ ვაჭრებს შეუთვალა, რომ მოსულიყვნენ. რამდენიმე ვაჭარი მოვიდა. დათქმულ დროს მეფისნაცვალი თავის ადიუტანტ მოსნანოვთან (Mosnanof) ერთად *კალიასკით* მობრძანდა. გუშინდელივით იყო გამოწყობილი და მისი უდიდებულესობის გამოსახულებიანი ორდენი, *ეპოლეტები* (Apolot) და *აქსელბანდები* (Vaksel Band) ეკეთა. კიბის თავთან შეეგებე. ხელი ჩამომართვა და თბილად მომიკითხა. შევედით ოთახში, სადაც მარტო ახუნდოვი იყო.

მეფისნაცვალმა ბრძანა: „ძალიან მინდოდა თქვენი ნახვა. გული მწყდება, რომ თბილისში თქვენი პირველი ჩამობრძანების დროს აქ არ ვიყავი".

მოვახსენე: „თქვენი ნახვის ბედნიერება ამ ჯერზეც რომ არ მღირსებოდა, ვიფიქრებდი, ბედი არა მაქვს-მეთქი".

ბრძანა: „ეს ძველი შენობა თქვენი და გენერალური კონსულის რა საკადრისია?"

მოვახსენე: „მართალია ძველი შენობაა, მაგრამ ახლა თქვენი მაღალაღმატებულების მოსვლით განახლდა".

ბევრი იცინა და თქვა: „ისეთი ძველია, რომ არაფერი უშველის".

მექასა და მედინას ამბები გამომკითხა: „წელს როგორი *ჰაჯი* იყო?"

მოვახსენე: „ჯიდაში საფრანგეთის კონსულის თანაშემწე ამბობდა, რომ 145000 კაცი ჩამოვიდა".

ბრძანა: „ძალიან კარგი. თქვენმა ქალბატონმა აქლემით როგორ იმგზავრა? ალბათ, ძალიან გაუჭირდა".

მოვახსენე: „აქლემზე დადეს ტახტრევანი, რომელიც შედარებით მოსახერხებელი დასაჯდომია, მაგრამ მაინც გაწვალდა".

ბრძანა: „წელს კავკასიიდან და ყირიმიდან ბევრი ხალხი იყო?"

მოვახსენე: „ორი-სამი ათასი კაცი იქნებოდა. მათ ყველგან როგორც ირანის მოქალაქეებს, ისე ვეხმარებოდი და ეს ფაქტი სტამბოლში გენერალ იგნატოვს კმაყოფილებით მოახსენეს".

ბრძანა: „ეს ამბავი მეც გავიგე". მერე დასძინა: „ყირიმელები საოცარი ხალხია. იმპერატორის ბრძანებით, მოსახლეობის ნაწილმა არმიის შტაბში სამხედრო წვრთნები უნდა გაიაროს და უნდა ისწავლოს. ისინი კი უარს ამბობენ იმ მიზეზით, რომ მუჰაჯირები ვართ და ოსმალეთში წავალთ, რადგან ასეთი სამხედრო რაზმი იქაც არისო".

მეფისნაცვალმა ბოსნიის ამბები[318] მკითხა: „სტამბოლში რა გაიგეთ?"

მოვახსენე: „ჰეიდარ ეფენდი, რომელიც გარკვეული ხანი ირანსა და პეტერბურგშიც მსახურობდა, იქ მმართველად გააგზავნეს".

ბრძანა: „არაერთხელ დაგვპირდნენ, მაგრამ მოგვატყუეს".

---

[318] იგულისხმება ბოსნიის 1875-1877 წლების აჯანყება ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ.

მოვახსენე: „ახლა ამ საქმეში რუსეთი, გერმანია და პრუსიაც ჩაერივნენ და ამჯერად მოტყუება გაუჭირდებათ".

დაახლოებით 15 წუთი იჯდა და მერე წამოდგა. მინდოდა, კიბის თავამდე გამეცილებინა, მაგრამ ოთახშივე გამაჩერა, ნუ შეწუხდებითო.

მათი წაბრძანების შემდეგ მირზა ფათჰალი ახუნდოვმა მითხრა: „ეს პირველი შემთხვევაა, რომ მეფისნაცვალმა რომელიმე უფლისწული ან დიდებული ასეთი პატივით მიიღო, ერთი საათი ესაუბრა და ყველაფერი დაათვალიერებინა. აშკარაა, რომ გულის კარნახით მოქმედებდა".

საღამოს მირზა ასადოლაჰ ხანთან ერთად წავედი განსვენებული აყა მირ ფათაჰის ბაღში, რომელიც ახლა სახელმწიფოს საკუთრებაა და სახალხო სასეირნო ადგილია. მზის ჩასვლას ნახევარი საათი აკლდა, უკან რომ დავბრუნდით.

ჯარის დეტალური აღწერილობა ასეთია: წელს, ანუ ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1876 წელს, იმპერატორის ბრძანებით ყველა, ვინც 21 წლის არის, დიდგვაროვანი თუ მდაბიო, მდიდარი თუ ღარიბი, ჯარში უნდა წავიდეს: 5 წელი ყაზარმაში გაატაროს, წვრთნები გაიაროს და ლაშქრობაში გაემგზავროს. 5 წლის შემდეგ მათი სამხედრო სამსახურის ვადა სრულდება და სახლში ბრუნდებიან. მომდევნო 7 წელი ისინი მართალია სახლში ცხოვრობენ, მაგრამ ომის შემთხვევაში ვალდებული არიან, რომ გამოცხადდნენ, რადგან 32 წლამდე სამხედრო სამსახურში ითვლებიან და მხოლოდ 32 წლის ასაკში თავისუფლდებიან ამ მოვალეობისგან.

მუსლიმები და ყირიმელები სამხედრო სამსახურზე უარს ამბობენ. კავკასიისა და ყარაბაღის მოსახლეობა ამ მოვალეობისგან 25 წლამდე თავისუფალია და ისინი სამხედრო სამსახურში 25 წლის შემდეგ უნდა წავიდნენ.

დღეს ჩამოიტანეს მძიმე ბარგი, რომელიც ფოთში დავტოვეთ და [სანაოსნო] *კომპანიას* ჩავაბარეთ, რომ ჩვენ კვალდაკვალ გამოეგზავნათ. ღამე ჩანთების გახსნა დამჭირდა და აღმოვაჩინე, რომ ერთი დიდი და ერთი პატარა ჩანთა გარღვეული და გაძარცვული იყო. პატარა ჩანთიდან ამოეღოთ მისი უდიდებულესობის გამოსახულებიანი პატარა ორდენი, რომელსაც ბრილიანტი ჰქონდა და პაპი პიუს მეცხრის ოქროს მედალი, რომლის ერთ მხარეს გამოსახული იყო ლომის ხაროში ჩაგდებული წმინდა დანიელი, ღმერთმა გაანათლოს, ხოლო მეორე მხარეს – თავად პაპი პიუს მეცხრე. დიდი ჩანთიდან კი საჩუქრები მოეპარათ. როგორც ჩანს, იმ დღე-ღამის განმავლობაში, როცა ბარგი და ჩანთები *მუსიე* დიგრანის სახლში ეწყო, მათ თვალყური არ მიადევნეს და ვიღაც შინაურმა ან უცხომ, ღმერთმა უწყის, ამით ისარგებლა და მოიპარა. იმავე ღამეს გენერალურ კონსულს შევუთვალე, ქალაქის *ბეგლარბეგისთვის* ეთქვა, რომ თუ *საზარაფოში* ან ვინმეს ხელში ამ ნივთებს აღმოაჩენდნენ, მაშინვე დაეჭირათ. მოპარული ნივთების ძებნა თბილისის გუბერნიაშიც სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ამ მოგზაურობაში ეს უკვე მესამე დანაკლისია.

13 საფარი (10 მარტი), პარასკევი:

დილით, სადილამდე მისი უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტი და თბილისისა და კიდევ ოთხი ქალაქის თავადაზნაურობის წინამძღოლი *კნიაზ* ანდრონიკოვი მობრძანდა და თბილისის დიდგვაროვანთა მისალმება გადმომცა.

ძალიან ლამაზი კაცი იყო. თავადაზნაურები თავიანთ წინამძღოლს სამ წელიწადში ერთხელ ირჩევენ და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში *კნიაზ* ანდრონიკოვი ორჯერ აირჩიეს. 1876 წლის მაისში ისევ არჩევნებია. ვუთხარი: „თქვენ იმდენი მომხრე გყავთ, რომ წელსაც და მომდევნო წლებშიც თქვენ აგირჩევენ". მითხრა: „დავბერდი, დავიღალე და სამხედრო სამსახურშიც ბევრჯერ დავშავდი". გამომშვიდობებისას ვუთხარი: „თუ არ შეწუხდებით, თბილისის თავადაზნაურებს ჩემი სალამი გადაეცით და მოკითხვისთვის დიდი მადლობა გადაუხადეთ. ჭეშმარიტად, დიდგვაროვანთა და წარჩინებულთა ყადრი მაღალი წარმომავლობის ადამიანმა სხვებზე უკეთ იცის". დიდი მადლობა გადამიხადა და წავიდა.

შემდეგ ბაქოს გუბერნატორი მოვიდა და მითხრა: „ძალიან ვწუხვარ, რომ [თქვენი ჩამოსვლისთვის] ბაქოში არ ვიქნები. მეგზურობას *კონდუქტორი*[319] გაგიწევთ. თუ მიბრძანებთ, მეც ერთ ბაქოელს გამოგიგზავნით". ვუთხარი: „თუ ჩემთვის განწესებულმა *კონდუქტორმა* იმდენი თურქული იცის, რომ გზაში საჭიროების შემთხვევაში დამეხმაროს და კითხვაზე პასუხი გამცეს, საკმარისია". ჩემი მეუღლე მოიკითხა და მითხრა: „მე კარგად ვიცი აღმოსავლური წესები, რომ კაცს ცოლის ამბავი არ უნდა ჰკითხო, მაგრამ თქვენმა კეთილგანწყობამ გამათამამა. ღვთის წყალობით, ხომ კარგად არის?" ვუპასუხე: „მე თქვენ ოჯახის წევრად მიმაჩნიხართ. ჩემი მეუღლეც ყოველთვის მეკითხება თქვენი და თქვენი მეუღლის ჯანმრთელობის ამბავს".

რადგან ბაქოს გუბერნატორი ჩემ მოსანახულებლად სამჯერ გაისარჯა, სადილის მერე მასთან საპასუხო ვიზიტით წავედი. შევთანხმდით, რომ ხვალ ჩემთან მოვიდოდა და დეტალურად გამაცნობდა გზაზე სადგურების ჩამონათვალს და განრიგს, თერთმეტი ღამიდან თითოეულს რომელ პუნქტში გავატარებდი. ნუხას გზის შესახებ ყურანზე ვიმარჩიელე და ეს აია ამომივიდა: „უთხრა: მე ვარ მონა ალაჰისა, მან მიბოძა მე წიგნი და დამადგინა წინასწარმეტყველად და დამადგინა მე კურთხეულად, სადაც უნდა ვიყო". ამიტომ ამ გზით წასვლა გადავწყვიტე.

გუბერნატორმა მითხრა: „ამ გზაზე ზოგიერთი სადგური მოუწყობელია".

ვუპასუხე: „ერთ ღამეს როგორმე გავუძლებ".

როცა სახლში დავბრუნდი, ახუნდოვმა მომახსენა, რომ მისი მაღალაღმატებულება მეფისნაცვლის ერთ მოხელეს ფრანგ *მუსიე* ველირს (Velir) ჩემი ნახვა სურდა. ვუთხარი: „მას ჩემი ნახვა უნდა, მე კი ის მინდა, რომ ამ *ვილაიეთის* რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი გავიცნო".

ახუნდოვმა *მუსიე* ველირს [ჩემი თანხმობა] გადასცა და ისიც გვენვია. წარმოშობით ფრანგია და ყარაბაღელი ჰასან ბეგ აგალაროვის (Hasan Bīk Āqā Lārof) სიძეა. გენერალ-მაიორის წოდება აქვს. თავაზიანი და მჭევრმეტყველი კაცია. მექას, მედინას, *ეჰრამისა*[320] და *ჰაჯის* წესების შესახებ გამომკითხა. დაახლოებით ნახევარი საათი ვისაუბრეთ და წავიდა.

---

[319] მეფის რუსეთში კონდუქტორი საინჟინრო სამმართველოში სამხედრო თანამდებობა იყო.

[320] ეჰრამს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. მექას მომლოცველის სამოსი; 2. მექას მომლოცველის მიერ შარიათით აკრძალულ ქმედებებზე თავის შეკავება.

მერე მოვიდა მირზა მოჰამად ალი ბეგ ქაში, რომელიც *კალიასკებს, ტარანტასებს* და სხვა [ტრანსპორტს] განკარგავს და მითხრა: „ხვალ ბარგი მოამზადეთ, რომ ზეგ, ღმერთის წყალობით, შეუფერხებლად გაემგზავროთ".

14 საფარი (11 მარტი), შაბათი:

მუსიე მალექ ლუარსაბ ბეგლაროვი მოვიდა და სადგურების განაწესი მოიტანა. მერე ბაქოს გუბერნატორიც მობრძანდა. მათი წასვლის შემდეგ მირზა ფათჰალი ახუნდოვი მოვიდა. საღამოს საპასუხო ვიზიტით წავედი თბილისის [გუბერნიის] თავადაზნაურობის წინამძღოლ ანდრონიკოვთან. სახლში დამხვდა და ჩემი მისვლა ძალიან გაუხარდა. მითხრა: „თქვენი სალამი გადავეცი ორი ქალაქის თავადაზნაურთა წინამძღოლებს, რომლებიც ამჟამად თბილისში იმყოფებიან. მაისში ყველანი შეიკრიბებიან და თქვენს სალამს დანარჩენებსაც გადავცემ". ვუპასუხე: „ჩემი სახელით დაემშვიდობეთ და უთხარით, რომ მათი *ვილაიეთიდან* ძალიან კმაყოფილი მივემგზავრები". იქიდან სახლში წამოვედი. ქუჩაში მის აღმატებულება *პრინცს* ბაგრატიონ-მუხრანსკის შევხვდი და მოვიკითხე. მითხრა: „ხვალ დასამშვიდობებლად გეახლებით".

საღამოს მის აღმატებულება ორბელიანს ვესტუმრე. ძალიან თბილად მიმიღო და მითხრა: „მაპატიეთ, მაგრამ დრო არ მქონდა, რომ ოფიციალური ტანსაცმელი ჩამეცვა". ვუპასუხე: „თქვენი ავადმყოფობის გამო ამ ჯერზე ერთმანეთს ვერ შევხვდით, მაგრამ არ მინდოდა თბილისიდან თქვენ უნახავად წავსულიყავი". მითხრა: „არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ". მექას, არაფატის[321] მოსახლეობის და მენას[322] მსხვერპლშეწირვის ამბები გამომკითხა და დაწვრილებით მოვუყევი. თქვა: „ჭეშმარიტად, თუ ღმერთს უნდა ემსახურო, იქ უნდა წახვიდე". გაოცებული მეკითხებოდა: „145 000 მომლოცველი, მართლაც რომ საოცრებაა და ამდენი ხალხი იმ ხრიოკ ადგილებში რას ჭამს?". ძალიან ხალისიანი და სიცოცხლით სავსე მოხუცი იყო. *პრინცს* მუხრანსკის მსგავსად, ჯერაც არ იყო დაოჯახებული. იქიდან ახუნდოვის თანხლებით სახლში წამოვედი.

დღეს გენერალურმა კონსულმა მირზა ასადოლაჰ ხანმა მომახსენა: „პრუსიის კონსულმა საფრანგეთ-პრუსიის ომზე გამოთქმული თქვენი ლექსი მოისმინა და ნაწყვეტები ფრანგულად თარგმნა, მაგრამ არ გამოუვიდა და მე მთხოვა, რომ ვუთარგმნო". მირზა ასადოლაჰ ხანმა ფრანგული კარგად იცის და უეჭველია, რომ ამ საქმეს სხვებზე უკეთ გაართმევს თავს. როგორც გაირკვა, კონსულმა ეს ლექსი უფლისწულებისგან მოისმინა, რომლებიც მის უდიდებულესობა შაჰინშაჰს ევროპაში ახლდნენ[323].

---

321 მთა მექას რაიონში, სადაც პილიგრიმები ზუ ლ-ჰიჯას ცხრაში ჩერდებიან.

322 ადგილი მექას აღმოსავლეთით მთიანეთში, სადაც მექას მოსალოცად მიმავალი პილიგრიმები ზუ ლ-ჰიჯას ათში მსხვერპლშეწირვას ასრულებენ.

323 ტექსტს დართული აქვს ფარჰად მირზას ლექსი (80 ბეითი), რომელიც არ ვთარგმნეთ, რადგან არც საქართველოსთან აქვს რაიმე კავშირი და არც განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა.*

15 საფარი (12 მარტი), კვირა:

დილით მუშებითა და ბარგით დატვირთული *ფურგონები* გავაგზავნეთ. ზაქათალის (Zā Kān Tāle) გუბერნატორი შელკოვნიკოვი (Shel Kūnīkof), რომელსაც შაქის მოსახლეობა ბეჰბუდ ბეგს ეძახის, მოვიდა და მითხრა: „რა სამწუხაროა, რომ თქვენი ჩამოსვლისთვის ზაქათალაში არ ვიქნები, რომ გემსახუროთ". და დასძინა: „თუ თბილისში ჩემს საქმეებს ორ დღეში დავასრულებ, საფოსტო ოთხთვალით გავემგზავრები და იქ დაგხვდებით. და თუ ვერ მოვახერხე, ჩემი თანაშემწე ფილანოვი (Fīlānof) მოგემსახურებათ".

მისი წასვლის შემდეგ ბაქოს გუბერნატორი მოვიდა და მითხრა: „ჩემი ცოლი ბოდიშს გიხდით, რომ ვერ გნახათ, მაგრამ ექიმი უფლებას არ აძლევს, რომ სახლიდან გამოვიდეს". მან არდებილის გუბერნატორი გენერალი ჰასან ალი ხანი ძალიან აქო და თქვა: „მისი მუშაობით კმაყოფილი ვარ. სამი წელია ბაქოში ვმსახურობ და ამ ხნის განმავლობაში ერთი უთანხმოება არ მოგვსვლია". ვუთხარი: „ურმიის დიდგვაროვან აფშართა წარმომადგენელია". მისი წარმომავლობა არ იცოდა. ვუთხარი: „თქვენს კმაყოფილებას მის უდიდებულესობა შაჰინშაჰს მოვახსენებ". მიპასუხა: „ამ სიკეთეს თუ იზამთ, დიდად დამავალებთ".

მერე ლუარსაბ ბეგლაროვი, გენერალი ბაგრატიონ-მუხრანსკი და ახუნდოვი მოვიდნენ. მათ ვუთხარი: „გთხოვთ, მის მაღალაღმატებულება მეფისნაცვალს ჩემი მოკითხვა გადასცეთ. დრო რომ მქონოდა, ირანული წესისამებრ დავემშვიდობებოდი". მითხრეს: „მისი მაღალაღმატებულება თქვენთან შეხვედრით უაღრესად კმაყოფილია. თქვენს მოკითხვას აუცილებლად გადავცემთ".

ისინი წავიდნენ, ბაქოს გუბერნატორი კი გასაცილებლად დარჩა. მან ქვევით ჩამაცილა, *კალიასკაში* ჩამსვა, დამემშვიდობა და წავიდა.

5 საათზე თბილისიდან გავემგზავრეთ. ქალაქის *ბეგლარბეგმა* ანუ *პოლიცმაისტერმა* პოლკოვნიკმა ბილიკმა წერილი გამომიგზავნა: „მინდოდა, ქალაქის მოსახლეობის სახელით პირადად დაგმშვიდობებოდით, მაგრამ მისმა მაღალაღმატებულება მეფისნაცვალმა გამომიძახა და გვიან განვთავისუფლდი. თუ ჯერ არ გამგზავრებულხართ, ახლა გეახლებით". შევუთვალე: „ჩემთვის თქვენი თავაზიანობა და ყურადღებაც საკმარისია. თქვენი წერილი კი მობრძანების ტოლფასია".

თბილისის ქვედა უბანში პატარა რკინის ხიდზე გადავედით და მერე კიდევ ერთი რკინის ხიდი გავიარეთ. გენერალურმა კონსულმა მირზა ასადოლაჰ ხანმა, ლუარსაბ ბეგლაროვმა, მირზა მოჰამად ალი ბეგმა და ირანელმა ვაჭრებმა ქალაქიდან ერთ *ვერსზე* გაგვაცილეს, დაგვემშვიდობნენ და უკან გაბრუნდნენ.

ორი ფოსტის სადგური გავიარეთ, მაგრამ მოუწყობელი იყო და გადავწყვიტეთ, რომ სოფელ კოლონიაში[324] (Kālūnye) გავჩერებულიყავით. ამ სოფლის

---

[324] იგულისხმება გერმანელების დასახლება – „გერმანული კოლონია". თბილისში და მის შემოგარენში რამდენიმე ასეთი კოლონია იყო: თბილისში თბილისის კოლონია და ალექსანდერსდორფი, სართიჭალაში მარიენფელდი, სართიჭალის სიახლოვეს პეტერსდორფი (იხ. გ. მანჯგალაძე, *გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში*, თბილისი, 1974;

დაახლოებით ორი მესამედი გერმანელია[325], ერთი მესამედი კი ქართველები არიან. გერმანელები აქ 55 წლის წინ დასახლდნენ. კოლონია დიდი სოფელია და მასში მშვენიერი ბაღებია. როცა გერმანელები აქ მოვიდნენ, ქართველებს მსახურებად დაუდგნენ და მათ მიწებს ამუშავებდნენ. მაგრამ სულ ცოტა ხანში, თავიანთი მოხერხებულობისა და ერთობის წყალობით, ქართველების ქონება და ბაღები შეიძინეს და ახლა ისინი ბატონები და მემამულეები არიან, ქართველები კი გლეხებად გადაიქცნენ.

სიტყვა „კოლონია" წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „კოლონ", რაც სვეტს ნიშნავს. რადგან აქ ჩამოსული ხალხი საერთო [რწმენის] სვეტის გარშემო გაერთიანებულ ჯგუფს წარმოადგენს, ამიტომ მათ დასახლებას კოლონია ეწოდა. კოლონიელი ევროპაში მრავლად არის. ბევრი მათგანი კი ამერიკაში წავიდა და იქ დასახლდა[326].

ორხევისა (Ürkhevï) და ვაზიანის (Vāzyānï) ფოსტის სადგურებს ერთმანეთისგან ჰყოფს პატარა მდინარე, რომელიც ზაფხულობით შრება. სოფელ კოლონიას გვერდზე მდინარე ყავარი[327] (Qāvarï) ჩამოუდის.

დღეს ჩვენ აღმოსავლეთისაკენ მივემართებით. ირგვლივ ყველგან ნაყოფიერი მიწებია. მზის ჩასვლას სამი საათი აკლდა, ერთ დასახლებაში რომ მივედით. კაზაკები ფოსტის სადგურებში იცვლებოდნენ. მე კარგი სახლი დამახვედრეს, მსახურები კი სხვაგან დააბინავეს.

სოფელ კოლონიის ჩრდილოეთით შვიდ *ვერსში* დგას მუხროვანის (Mokhrovān) ციხესიმაგრე, სადაც რუსების სამხედრო გარნიზონი და დიდძალი იარაღია. მუხროვანის ახლოს ერთი სოფელია, მუღანლო (Moghān Lo), რომელშიც შიიტები ცხოვრობენ. როცა გაიგეს, რომ წმინდა ადგილების მოსალოცად ვიყავით, სოფლის უხუცესები ჩვენ სანახავად მოვიდნენ.

სოფელ კოლონიაში ვნახეთ წყლის ჭა, რომელსაც 6-7 *ზარ'ი* სიგრძის თოკი სჭირდებოდა. მაინცდამაინც მიმზიდველი არ იყო.

16 საფარი (13 მარტი), ორშაბათი:

კოლონიიდან სამ საათზე გავემგზავრეთ. ფოსტის სადგური სართიჭალა[328] (Sārtāchālskï) კეთილმოწყობილი სოფელია. აქ 70 კომლი ცხოვრობს. ყველანი

თ. კვირკველია, ვლ. ქურთიშვილი, „გერმანელთა დასახლება თბილისში", *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1995, №1-6, 14-34).

325 ავტორი გერმანელების აღსანიშნავად ხმარობს არა ფრანგულიდან ნასესხებ სპარსულ სიტყვა „ალმანის", არამედ რუსულ „ნემეცს" (Nemse) და ინგლისურ „ჯერმანს" (Jerman).

326 საქართველოში ჩამოსული გერმანელების დიდ ნაწილს ე. წ. „სეპარატისტების" რელიგიური სექტის წარმომადგენლები შეადგენდნენ. ეს სექტა სხვებისგან უკიდურესი რადიკალურობით გამოირჩეოდა და სამშობლოში დევნას განიცდიდა, რის გამოც ბევრი სექტანტი გერმანიიდან გადასახლდა. „კოლონიელებში" ავტორი სექტის მიმდევრებს გულისხმობს. სიტყვა „კოლონიას" მართლაც აქვს კავშირი ლათინურ columna-სთან („სვეტი"), მაგრამ, ცხადია, არა იმიტომ, რომ კოლონიებს ერთი რწმენით გაერთიანებული ხალხი აარსებდა.

327 იგივე მდინარე იორი.

328 აქ და შემდგომ ავტორი ფოსტის სადგურებს რუსული დაბოლოებით მოიხსენიებს, ისე როგორც იმ დროს იყო მიღებული: სართიჩალსკაია, მუღანლოსკაია, ნუკრიანსკაია და სხვა.

მალაკნები არიან. მთელ გზაზე ხრეში ყრია, რადგან წელს სიღნაღამდე (Seqnāq) გზატკეცილს აშენებენ. გზა, რომელზეც დღეს მივდივართ, ლამაზი და სწორია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი აღმართ-დაღმართია, აქაური მიწები კარგად არის დამუშავებული. სართიჭალასა და მუღანლოს (Moghālnoskayā) შორის მდინარე ყავარზე გადებულ ხის ხიდზე გადავედით. მუღანლოში სულ მუსლიმები ცხოვრობენ.

ნუკრიანის (Nūkryān Eskyā) ფოსტის სადგური აშენებულია დიდი სოფლის სიახლოვეს, რომელშიც 400-500 კომლი ცხოვრობს და ყველა მათგანი ქართველია. სოფელი მთის წვერზე მდებარეობს. აქ ცივი წყალი და სუსხიანი კლიმატია. ნუკრიანიდან ქალაქ სიღნაღამდე 3 *ვერსია*. სიღნაღი მთების ქვაბულშია მოქცეული და თურქულად პირქუშ ადგილს ნიშნავს. ძველი დროიდან ქალაქი ორი მხრიდან გალავნითა და კოშკით არის შემოზღუდული და თავის სახელს ამართლებს. აქ, ძირითადად, სომხები ცხოვრობენ და ხუთასიოდე ქართული კომლი

უ იქნება. სომხები და ქართველები ერთმანეთზე არასოდეს ქორწინდებიან.

ნუკრიანიდან სიღნაღამდე დასახლებები და ბაღები ერთმანეთს ებმის. ძალიან კარგი ადგილია. ძველ წიგნებში ნახსენები სახელგანთქმული კახეთი (Kākhet) – ხა-ს ქესრა დაერთვის – სწორედ ეს სიღნაღია. საყოველთაოდ ცნობილი კახური შავი ღვინოც აქედან არის და ის მთელ *ვილაიეთში* გააქვთ.

სიღნაღის *ვილაიეთი* და ქალაქი სიღნაღი თბილისის აღმოსავლეთით, ორი მთის ქვაბულში მდებარეობს. სახლები ერთმანეთთან მიჯრით არის მიწყობილი. დაღესტნის თოვლიანი მთები, რომლებიც ცასა და ვარსკვლავებს სწვდება, სიღნაღს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და აღმოსავლეთიდან აკრავს. სიღნაღიდან დაღესტნის მთის კალთებამდე დაახლოებით 60 *ვერსია* და შუაში ფართო მინდორია გაშლილი.

პოლკოვნიკები თავიანთ სოფლებში და კაზაკები ფოსტის სადგურებში იცვლებოდნენ. ჩვენმა მეგზურმა თურქული კარგად არ იცოდა, ამიტომ პოლკოვნიკების სახელები (აქ სახელი, გვარი და *ლაყაბი* ერთმანეთშია არეული) ვერ ჩავიწერეთ. ყველა მათგანს საკუთარი მამული და ქვეშევრდომები ჰყავდა.

17 საფარი (14 მარტი), სამშაბათი:

ორ საათზე სიღნაღიდან მშვიდობიანად გავემგზავრეთ და გეზი ჩრდილოეთისკენ ავიღეთ. ცოტა ხანში მთის წვერზე აშენებულ ძველ ციხე-დარბაზში მივედით. გზა ისეთი მიხვეულ-მოხვეული იყო, რომ *კალიასკები* და ოთხთვალები ძლივს მიდიოდნენ. სოფელ ვაქირამდე (Vāker), რომელიც მთის ძირში მდებარეობს, 10 *ვერსია*. იქიდან კიდევ 8 *ვერსი* გავიარეთ და შევედით ფოსტის სადგურ ასანურისწყალში (Sanūraskhāleskayā), საიდანაც ჯერ აღმოსავლეთისკენ და მერე ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ვიარეთ. 7 *ვერსის* შემდეგ მივადექით მდინარე ყანეყს (Qāneq), რომელსაც ქართულად ალაზანი (Ālāzān) ჰქვია, და მასზე აშენებულ ხიდზე გადავედით. კარგი ხიდია და მისი რკინის ბურჯები მდინარეში დგას. მდინარის მერე გზა სულ ტყეში მიდის. აქ უზარმაზარი ხეები და უამრავი იაა, რომელსაც *ფიალკას* ეძახიან. ტყეში ბევრი ხოხობი და დურაჯია.

ფოსტის სადგურ ჭიაურში (Chapāvorskī) ვისადილეთ. სადგურიდან ოთხი *ვერსის* გავლის შემდეგ ჩვენი გზა ორ მთას შორის მოექცა. მთა და ველი დაბურული ტყით იყო დაფარული. კიდევ ოთხი *ვერსი* გავიარეთ და მივედით

ახლადაშენებულ სოფელში, რომელსაც მიხაილოვკა (Mīkhāyyl Ofke) ერქვა. აქ დაახლოებით 500 სახლია. სოფლის ახლოს მოედინება მდინარე, რომელიც სათავეს დაღესტნის მთებში იღებს. მიხაილოვკამდე დაღესტნის მთის რასიათის (Rasyāt) მიმართულებით მივდიოდით, მიხაილოვკის მერე კი დაახლოებით 5 *ვერსი* აღმოსავლეთისკენ ვიარეთ და დაღესტნის მთები მარცხნივ დარჩა. გზიდან ამ მთამდე ერთ *ვერსიც* არ იქნება, ზოგან კი უფრო ნაკლებიც.

ლაგოდეხი (Lāgodekhī) დიდი დასახლებაა, რომელიც 25 წლის წინ აშენდა. მას გვერდზე ჩამოუდის მდინარე, რომელიც სათავეს დაღესტნის მთებში იღებს და ძალიან კარგი წყალი აქვს. ლაგოდეხში 1000 სამხედროა. ფოსტის სადგურს ქალაქის სახელის შესაბამისად ლაგოდეხსკაიას (Lāgodekhskayā) ეძახიან. „ესკაია" ქართულად მიმართებას აღნიშნავს.

მზის ჩასვლას სამი საათი აკლდა, როცა ლაგოდეხში შევედით და დავბინავდით გუბერნატორის სახლში, რომელიც რამდენიმე ოთახისგან შედგებოდა. შესასვლელთან სამხედროების რაზმი დოლის ცემითა და მუსიკით შეგვეგება. იქვე სამოქალაქო და სამხედრო დიდმოხელეები იდგნენ. *კალიასკიდან* რომ გადმოვედი, პირველ რიგში სამხედროებთან მივედი და ოფიცრები და პოლკის უფროსები მოვიკითხე. ერთმა მუსლიმმა ოფიცერმა მალექ მორადოვმა (Morādof), რომელიც ნახჭევანიდან იყო, თურქული იცოდა. მისალმების მერე შენობაში შევედით.

ლაგოდეხს ყველა მხრიდან დაღესტნის მთები აკრავს და ამიტომ მის დაცვაზე ძალიან ზრუნავენ. წინა იმპერატორმა ათასობით *სალდათი* გასწირა, რომ შამახათის ტყე დაეკავებინა. „და ვინც მახვილი აიღო, თავად განიგმირა მახვილით". აქაურობის კომენდანტი მალექ აშლამიდოვია (Malek Ashlamī Dyof). ლაგოდეხი სიღნაღის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს.

18 საფარი (15 მარტი), ოთხშაბათი:

დღეს პირველი დღეა ჯალალის [კალენდრის] ნამატი ხამსესი[329], რომელსაც სპარსელები „მოპარულ ხუთეულს" ეძახიან.

2 საათზე, ანუ ევროპული დროით 8 საათზე ლაგოდეხიდან გავემგზავრეთ. 4 *ვერსის* გავლის შემდეგ მივადექით მდინარე მაზამის (Mazāmī), რომელიც დაღესტნიდან მოდის. ეს მდინარე სიღნაღის *ვილაიეთისა* და თბილისის გუბერნიის საზღვარია. აქ ჩვენ ზაქათალის გუბერნატორის შელკოვნიკოვის თანაშემწე ფილანოვი და სოფლის მამასახლისი დაგვხვდნენ, ჩვენი გამცილებლები კი დაგვემშვიდობნენ და უკან გაბრუნდნენ.

---

329 ხუთი დღე, რომელსაც ჯალალის მზის კალენდრის ნელიწადის ბოლო თვეს ამატებენ.

მირზა რეზა ხან არფა' ად-დოულე და მისი მოგონებები

მირზა რეზა ხან არფა' ად-დოულე.
1935 წლის ფოტოსურათი.

მირზა რეზა ხანი, ცნობილი ლაყაბებით „დანეში", „არფა' ად-დოულე", „მო'ინ ალ-ვეზარა" და „პრინცი", დაიბადა თავრიზში 1853 წელს (ზოგი მონაცემით – 1846 წელს). დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ სტამბოლში და მერე თბილისში. აქ მას ირანის გენერალური კონსული მირზა მაპმუდ ხანი მფარველობდა და ჯერ კიდევ სწავლის დასრულებამდე, 1878 წელს საკონსულოში დააწყებინა მუშაობა. მოკლე ხანში ის კონსულის პირველი თანაშემწე გახდა. მირზა რეზა ხანი მონაწილეობდა რუსეთ-ირანის საზღვრის სადემარკაციო კომისიის მუშაობაში. 1886 წელს ის გადაიყვანეს პეტერბურგში, სადაც ირანის საელჩოს თარჯიმნად მუშაობდა. 1889 წელს თბილისში დაბრუნდა და 1894 წლამდე გენერალური კონსული იყო.

1895 წელს მირზა რეზა ხანი რუსეთში ირანის ელჩად დაინიშნა. პარალელურად სხვადასხვა დროს ეკავა უფლისწულ მოზაფარ ად-დინ მირზას მთავარი ადიუტანტის თანაშემწის, პირველი სართიფის (ბრიგადის გენერალი) და ამირ თუმანის (დივიზიის მეთაური) თანამდებობები. 1899 წელს ხელმძღვანელობდა ირანის დელეგაციას ჰაა-გის სამშვიდობო კონფერენციაზე. 1901-1910 წლებში იყო ირანის სრულუფლებიანი ელჩი ოსმალეთში. 1910-1912 წლებში მონაკოში (მონტე-კარლოში) ცხოვრობდა, შემდეგ ირანში დაბრუნდა და გახდა ჯერ იუსტიციის, შემდეგ სახალხო განათლების მინისტრი. 1921-1926 წლებში მირზა რეზა ხანი იყო ირანის წარმომადგენელი ერთა ლიგაში. სიცოცხლის ბოლო პერიოდში ხანგამოშვებით მონაკოში ცხოვრობდა. 1933 წელს იგი წარადგინეს ნობელის პრემიაზე მშვიდობის დარგში. გარდაიცვალა 1937 წელს თეირანში.

გარდა დიპლომატიური და სამხედრო სამსახურისა, მნიშვნელოვანია მირზა რეზა ხანის სამწერლობო მოღვაწეობაც: მის კალამს ეკუთვნის მემუარული თხზულება *„პრინცი* არფა'ს მოგონებები", ასევე ლექსების სამი კრებული და სამეცნიერო ტრაქტატი, რომელშიც ის არაბულ-სპარსული დამწერლობის რეფორმის საკუთარ გეგმას გადმოსცემს.

მირზა რეზა ხანი სამჯერ იყო დაქორწინებული. მეორე ცოლი ინგლისელი ლიუდმილა (ლილი) ჯერვისი მან თბილისში გაიცნო. თბილისშივე დაიბადა მისი ვაჟი

ჰასანი. მესამე ცოლს ელზა მარია სესილია ლინდსბერგს, ფინელი მევიოლინეს ქალიშვილს, ის სკანდინავიაში გემით მოგზაურობის დროს შეხვდა. ელზა მარიამ, რომელმაც გათხოვების შემდეგ ისლამი მიიღო და დოულათ ხანუმი დაირქვა, მირზა რეზას ვაჟი ებრაჰიმი და ქალიშვილი ფატიმა გაუჩინა.

მირზა რეზა ხანის გატაცებას სახლების მშენებლობა წარმოადგენდა. საქართველოში მისი თაოსნობით აშენდა სასტუმრო „ფირუზე" და სააგარაკო სახლი „დანეშაბადი" ბორჯომში, ასევე „ალმასის სასახლე" თბილისში, გუდოვიჩის (ახლანდელი ჭონქაძის) ქუჩაზე. 1910 წელს მან მონტე-კარლოში ააგო ექსტრავაგანტური არქიტექტურის სამსართულიანი სახლი „დანეშგაჰი", რომელსაც მოგვიანებით „ვილა ისფაჰანი" ენოდა და ახლა „ირანის მუზეუმის" სახელით არის ცნობილი. სახლის პირველ სართულზე მოწყობილ „მშვიდობის გალერეაში" სხვადასხვა ქვეყნის ანტიკვარული ნივთები და უიშვიათესი წიგნები იყო თავმოყრილი. მირზა რეზა ხანის თეირანის სახლში კი 1950-იანი წლებიდან ირანის კულტურის სამინისტროს საგამოფენო დარბაზი იყო გახსნილი.

„*პრინც* არფა'ს მოგონებები" მისი თბილისში ყოფნის პერიოდშივე ითარგმნა რუსულად და ფრანგულად, მაგრამ ეს არის არა სრული ტექსტის, არამედ სხვადასხვა ეპიზოდების ნაკრების თარგმანი და თბილისური პერიოდიდან მასში მხოლოდ ორი მცირე ეპიზოდი შევიდა. აღნიშნული „მოგონებების" სრული სპარსული ტექსტი ორჯერ იქნა გამოცემული თეირანში 1975 და 1999 წლებში.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანები

Khāterāt-e Perens Arfa', be kūshesh-e 'Alī Dehbāshī, Tehran, 1378/1999.

Īrān-e dīrūz, Khāterāt-e Perens Arfa', Tehran, 1345/1966 (აგრეთვე: 1354/1975).

Muntakhabi Daniche de Mirza-Riza-Khan, Traduit par L. de Djervis, Tiflis, 1892.

Memoires de Mirza-Riza-Khan, Daniche, Aide de camp general de Sa Majeste Imperiale Le Schah de Perse, Tiflis, 1893.

Perles d'Orient, par le Prince Arfa-ud-Dovleh, Mirza Riza Khan Danich, ambassador de Perse à Constantinople, Constantinople, 1904 (აგრეთვე: Paris, 1905).

Poesie et Art Persans à Monaco (1910-1919), Monte Carlo, 1919.

Мемуары Мирза-Риза-Хана Даниш, Генерал-Адъютанта Его Величества Шаха Персидского, Тифлис, 1894.

ლიტერატურა

მ. ალექსიძე, „მირზა რეზა ხან არფა' ად-დოულეს ალმასის სასახლე თბილისში", *ალმოსავლეთმცოდნეობა*, № 2, თბილისი, 2013.

გ. ბერაძე, „ბორჯომის ფირუზე (სპარსული და არაბული წარწერები)", 2012 (ჯერ გამოქვეყნებული არ არის და ავტორის ნებართვით ხელნაწერით ვისარგებლეთ).

ნ. დემურიშვილი, *მუსლიმური ხუროთმოძღვრული ძეგლები საქართველოში*, თბილისი, 2010.

ი. კოშორიძე, *საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება, XVI-XIX საუკუნეები*, თბილისი, 2011, 156-165.

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 1, Tehran, 1347/1970, 507-512.

Mohammad Ebrāhīm Bāstānī Pārīzī, "Az Marv tā Monāco", *Rāhnemā-ye Ketāb*, Zamīme-ye shomārehā-ye 10, 11 va 12-e jeld-e pānzdahom, Tehran, 1351/1972, 1-52.

'Alī Dehbāshī, "Moqaddame", ნიგნში: *Khāterāt-e Perens Arfa'*,7-17.

Ahmad Khān Malek Sāsānī, *Yādbūdhā-ye sefārat-e Estānbūl*, Tehran, 1386/2007, 274-279.

Fāteme Mo'ezzī, "Perens Arfa' ad-Doule", Mo'assese-ye motāle'āt-e tārīkh-e mo'āser-e Īrān (http://iichs.org/index.asp?id=495&doc_cat=7)

Mīrzā Mehdī Khān Momtahen ad-Doule Shaqāqī va Mīrzā Hāshem Khān, "Mīrzā Rezā Khān [Arfa' ad-Doule]", *Rejāl-e vezārat-e khāreje dar 'asr-e Nāserī va Mozaffarī*, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1365/1986, 105-107.

'Abdollāh Mostoufī, *Sharh-e zendegānī-ye man yā tārīkh-e ejtemā'ī va edārī-ye doure-ye Qājārīye, az saltanat-e Mozaffar ad-Dīn Shāh ta qarārdād-e Vosūq ad-Doule bā Englīs*, j. 1, Tehran, 1384/2005, 208-212.

Sa'īd Soltānī Moqaddam, "Khānedān-e Arfa'" (http://www.pajoohe.com/fa/index.php?Page=definition&UID=39787).

S. Vahīdnīyā, "Arfa' ad-Doule va khāne-ye Esfahān dar Orūpā", *Nashrīye-ye Dāneshkade-ye adabīyāt-e Esfahān*, Vol.1, No.1, Isfahan, 1343/1964, 158-178.

M. Alexidze, "Persians in Georgia (1801-1921)", *Journal of Persianate Studies*, Vol.1, No.2, Brill: Leiden & Boston, 2008, 255, 259.

H. Arfa, *Under Five Shahs*, Edinburgh, 1964 (აგრეთვე: New York, 1965).

F. Diba, "Arfa: Gained in Translation", *Qajar Studies*, Journal of the International Qajar Studies Association, Vol.7, Rotterdam/Gronsveld/Santa Barbara/Tehran, 2007, 127-151.

F. Diba, "Tabriz in Monaco: More on Prince Arfa's Villa", *The Iranian*, 12 December 2003 (http://www.iranian.com/History/2003/December/Danesh/index.html).

M. M. Eskandari-Qajar, "Villa Danesh. Mystery solved: Prince Arfa's house in Monte Carlo", *The Iranian*, 21 november, 2003 (http://www.iranian.com/EskandariQajar/2003/November/Arfa/).

I. Koshoridze, "Visual Images of Persian-Georgian Cultural Relations in the Turn of Eighteenth and Nineteenth Centuries", *Qajar Art – Provenance, Sources and Influences* (International Seminar, June 5-12, 2005, Tbilisi, Georgia), Report, Tbilisi, 2005, 45-48.

Ali-Akbar Sa'idi Sirjani, "Dāneš(1)", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1993.

H. E. Lazard, Riòddá Khāan, D., *Son altesse le prince Arfa-ud-Dovleh Mirza Riza Khan Danisch et l'opinion publique*, Arlon, Goetz, 1904.

B. G. Fragner, *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, 53-55.

F. Machalski, *La Litterature de L'Iran Contemporain*, I, La poesie persane de l'epoque du "reveil des Iraniens" jusqu'au coup d'etat de Reza Khan (environ 1880-1921), Wroclaw/Warszawa/Krakow, 1965, 29-31.

Дж. Гиунашвили, "О персидских надписях Боржомской Фирюзы", *Источниковедческие разыскания*, 1982, Тбилиси, 1985, 244-248.

О. Ильницкая, "Появление и развитие движения за реформирование письменности тюрко-мусульманских народов (втор. пол.XIX–нач.XX)", *Ученые записки Таврического национального университета им. В.И. Вернадского*, Серия "Исторические науки", т. 23(62), №1, 2010, 68-75.

თავი 2

მოგზაურობა კავკასიასა და სტამბოლში (1876)

...თბილისში ჩასვლისთანავე *ყადის*[330] ბინა უქირავეს განთქმული მირზა ფათჰალი ახუნდოვის სახლში. ხუთი ოთახიდან ერთი სასტუმრო იყო, ერთი – კაბინეტი, ერთი – *ყადის* საძინებელი, ერთი – ჩემი და ერთიც – მოლა რეზასი. ათი დღე *ყადის* მეურვეობის ქვეშ გავატარე. თბილისში მცხოვრები ირანელები, როგორც ვაჭრები, ისე ხელოსნები, ძალიან თბილი ხალხია. ქალაქში ორი ქარვასლაა: ხალათოვის[331] (Khālātof) და მირზოევის[332] (Mīrzāyef). ირანელი ვაჭრები და ხელოსნები, ვისაც ცოლ-შვილი არ ჰყავს, ამ ქარვასლებში ქირაობენ ოთახებს, სადაც თან ცხოვრობენ და თან ვაჭრობენ. თბილისში დაახლოებით 10000 ირანელია, რომელთა უმეტესობა შავი მუშაა. აქაური მეთუნეები, ძირითადად, სალმასის, დილმაყანის და ურმიას რაიონებიდან არიან, ფილაქნის დამგებები კი – მარაღადან, თავრიზიდან, მარანდიდან და ხოიდან. თბილისელი დიდვაჭრები არიან ჰაჯი მოჰამად ბაყერ რეზაიოვი, ჰაჯი ფათჰალი, მოჰამად აყა თოჯარბაში, ჰაჯი მეჰდი აყა და ჰაჯი მოჰამად ებრაჰიმი. თბილისის ღირშესანიშნაობა ნომრებიანი აბანოებია, რომლებშიც მინერალური წყალი მოდის. აყა მირ ფათაჰის[333] ერთ-ერთი ვაჟი აყა მირ ნემათოლაჰი აქ ცხოვრობს. ირანელები მას დიდი პატივისცემით ეპყრობიან და მიუხედავად იმისა, რომ განათლება არა აქვს, თავიანთ წინამძღოლად თვლიან. ორი კვირის განმავლობაში *ყადი* გულმოდგინედ მივლიდა. ერთი ერევნელი ვაჭარი ჩემი შორეული ნათესავი აღმოჩნდა. ჰაჯი რაჰიმ აყა ერევანი, რომელიც ხალათოვის ქარვასლაში ცხოვრობდა, თავისი ხანდაზმული ასაკის გამო, ირანელი და სხვა ვაჭრების წრეში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მას ყველანი ჰაჯი რაჰიმ ამუს[334] ეძახდნენ. ამ საწყალს საშინელი უბედურება დაატყდა თავს და სულ სევდიანად გამოიყურებოდა. ეს პატივცემული კაცი ერევნელი ემიგრანტების წრიდან გახლდათ.

ორი კვირის თავზე სამგზავრო სამზადისს შევუდექი. *ყადიმ* ეს ამბავი რომ გაიგო, სტამბოლში მიმავალ ჰაჯი აყა ყავყაზის დამამგზავრა. თბილისიდან ჯერ ფოთში უნდა ჩავსულიყავით, რადგან იმ დროს რკინიგზა მხოლოდ ამ ქალაქამდე მიდიოდა. *ყადიმ* და მისმა მეგობრებმა რკინიგზის სადგურზე გამაცილეს. *ყადიმ* ერთი ყარაბაღული სალოცავი ხალიჩა და ერთი პატარა სამგზავრო *სამოვარი* მაჩუქა.

[ფოთში] მე და ჰაჯი აყამ გემის მესამე კლასის ბილეთები ავიღეთ. გემზე რომ ავედით, ნაჩუქარი ხალიჩა გავშალე. პილიგრიმებმა ჩემი *სამოვარით* ისარგებლეს, ცეცხლი დაანთეს და ჩაი მოადუღეს. რადგან მექაში მიდიოდნენ,

---

330 იგულისხმება თბილისის ყადი ახუნდი ჰაჯი მოლა ბაბა.

331 იხ. შენიშვნა 157.

332 იხ. შენიშვნა 224.

333 იხ. შენიშვნა 78.

334 რაჰიმ ამუ სიტყვასიტყვით „მონყალე ბიძას" ნიშნავს.

არ უნდოდათ, რომ გემის სანოვაგე ეჭამათ, ამიტომ ფოთში პური და ყველი მოემარაგებინათ. გარდა ამისა, თან ერთი ტომარა ჩირი, ნიგოზი, ქიშმიში, *საბზა* და ფინიკიც ჰქონდათ და გზაში მეც მიმასპინძლდებოდნენ. ჩვენი საჭმელი სულ ეს იყო და თანამგზავრები მეუბნებოდნენ, თქვენი *სამოვარი* რომ არა, გემზე ჩაისაც არ დავლევდითო...

[სტამბოლში სასწავლებლად ჩასული მირზა რეზა ავად გახდა. ექიმებმა ავადმყოფობის მიზეზად იქაური კლიმატი მიიჩნიეს და იგი იძულებული გახდა, სტამბოლი დაეტოვებინა].

[თბილისში სწავლის წლები]
(1876)

[სტამბოლიდან] დაუძლურებული გამოვემგზავრე. თბილისში ჩავედი თუ არა, ჩემი დაბრუნების ამბავი *ყადის* შევატყობინე. დამხვდა, თავის სახლში წამიყვანა და რუსეთის სახელმწიფო საავადმყოფოს მთავარ ექიმს, რომელიც წარმოშობით გერმანელი იყო, ჩემი მკურნალობა სთხოვა. თბილისის ჰავამ ჩემზე სასიკეთოდ იმოქმედა და რამდენიმე დღეში გამოვმჯობინდი. როცა სტამბოლის თავგადასავლები და ფრანგულისა და ინგლისურის სწავლის ამბავი *ყადის* ვუამბე, მითხრა: „ვერ დავუშვებ, რომ თავრიზში დაბრუნდეთ. თუ სტამბოლში ბერძენი დალალის ვაჟი ნიკოლასი დაგეხმარათ, აქ მე გაგიწევთ თანადგომას. რუსეთის ხელისუფლებამ თბილისში მუსლიმებისთვის ორი სასწავლებელი გახსნა: ერთი შიიტებისთვის და მეორე სუნიტებისთვის. მათი *პროგრამა* Program[335] შეიცავს სპარსულ ენასა და ლიტერატურას და არაბულის დაწყებით კურსს, რომელიც სპარსული ლიტერატურის შესასწავლად არის აუცილებელი. პროგრამის ძირითადი საგნებია რუსული ენის სინტაქსი და მორფოლოგია, რუსული ლიტერატურა, გეოგრაფია, არითმეტიკა, მსოფლიო ისტორია და ფიზიკის წანამძღვრები. რადგან თქვენ სპარსული და არაბული არ გჭირდებათ, რუსულს სულ ცოტა ხანში ისწავლით. მართალია, თქვენი ასაკი დაწყებითი კლასის ბავშვების ასაკს არ შეეფერება, მაგრამ სკოლის უფროსი *შეიხ ალ-ესლამია*, რომლის რეკომენდაციითაც მე აქ დამნიშნეს და რადგან ჩემდამი ძალიან კეთილგანწყობილია, დარწმუნებული ვარ, რომ გამონაკლისის სახით მიგიღებთ“.

ამგვარად, სტამბოლიდან ჩამოტანილი მთელი საქონელი რეზაიოვის დახმარებით თავრიზში ჰაჯი რეზა აყას ვაჟს ჰაჯი მოჰამად თაყის გავუგზავნე, თავად კი რუსულ სკოლაში დავიწყე სწავლა. ვცხოვრობდი ისევ მირზა ფათჰალი ახუნდოვის სახლში, სადაც ყოველ საღამოს თბილისის მუსლიმი დიდგვაროვნები იკრიბებოდნენ. ახუნდოვი კავკასიის მეფისნაცვლისა და სამხედრო მაღალჩინოსნების რუსული ენის თარჯიმანი იყო. მან გვარად ახუნდოვი აირჩია[336] და, რადგან თბილისში უამრავი სპარსული და თურქული წერილი მოდიოდა, თავისი

---

335 აქაც და შემდგომაც ლათინური ტრანსკრიფციით ჩაწერილი სიტყვები, რომლებიც ფრჩხილებში არ არის ჩასმული, ავტორისეულია.

336 მირზა ფათჰალიმ თავისი სახელი ახუნდზადე რუსულ ყაიდაზე ახუნდოვად გადაიკეთა.

ძმისშვილი მირზა მოსტაფა ახუნდოვი თანაშემწედ აიყვანა. მირზა ფათჰალიმ სპარსული და არაბული ენები, ამ ქვეყნების ლიტერატურა და ასევე რუსული ენა სრულყოფილად იცოდა, თუმცა არაბები არ უყვარდა და მათდამი უცნაურ ანტიპათიას გრძნობდა. ყოველთვის, როცა ირანისა და არაბეთის ისტორიაზე იწყებდა ლაპარაკს, ფირდოუსის ამ ლექსს ამბობდა:

„აქლემისა და ნიანგის რძის სმისგან
არაბების საქმე იქამდე მივიდა,
რომ მეფეთა ტახტი მოინდომეს,
ფუი, შენ, ბედისწერის ჩარხო, ფუი."

ის ხშირად ქილიკობდა ყურანის ისტორიებზე, განსაკუთრებით – მუჰამედისა და მოსეს შეხვედრისა და ზულკარნაინის[337] ამბებზე. ერთ საღამოს მე და ყადი მოთმინებიდან ისე გამოგვიყვანა, რომ ბოლოს ვეღარ მოვითმინე და ვუთხარი: „ჩემი მოკრძალებული აზრით, ის, რომ ზულკარნაინის ამბავი ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება, ეს თავად წმინდა ყურანში წერია. იოსების სურაში ხომ ნაბრძანებია: „და ჩვენ გიამბობთ შენ საუკეთესო იგავთ" [12:3][338]. იგავი *ლეგენდას* Legende ნიშნავს, ასე რომ თავად ყურანი ამბობს, რომ ეს ამბავი ზღაპარია. არაბები მიდიოდნენ წინასწარმეტყველთან და სთხოვდნენ, მუჰამედ, ზღაპარი გვიამბეო და ისიც მათი გემოვნების შესაბამის ამბებს უყვებოდა". ჩემი ნათქვამი ძალიან არ მოეწონა და ვიგრძენი, რომ თუ მანამდე ჩემდამი კარგად იყო განწყობილი, იმ საღამოს მთელი კეთილგანწყობა გაუქრა. ახუნდოვი წინააღმდეგობას მიუჩვეველი იყო, რადგან მასთან საღამოს შეკრებებზე მისულები მის ნებისმიერ სიტყვას ეთანხმებოდნენ. მაგრამ ზრდილობიანი კაცი იყო და ყოველთვის, როცა *ყადის* პატიჟებდა, არც მე მივიწყებდა, რადგან მასთან ერთად ვცხოვრობდი. მეც სიამოვნებით მივდიოდი, ვინაიდან თუ არ ჩავთვლით რელიგიურ თემებზე კამათს, სხვა მხრივ ის ძალიან სასიამოვნო მოსაუბრე იყო: გვიყვებოდა ყარაბაღის, შირვანის და შაქის მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებზე, რაც ჩემთვის სიახლე იყო. ანბანის შეცვლის იდეა პირველს მე გამანდო, თუმცა მე თვითონ ანბანის ნაკლოვანებებს ვერ ვაცნობიერებდი. როგორც კი ამ თემაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მზად ჰქონდა რამდენიმე სიტყვა, რომლის წაკითხვაც სხვადასხვანაირად შეიძლებოდა[339]. პირველი სიტყვა ჰსნ იყო. მსმენელებს წინ უდებდა და ეკითხებოდა: აბა, რა წერიაო? თუ ვინმე „ჰასან"-ს წაიკითხავდა, ეტყოდა, „ჰასან" კი არა „ჰოსნ" არისო, თუ ვინმე „ჰოსნ"-ს წაიკითხავდა, ეტყო-

---

[337] ზულკარნაინი (სიტყვ. „ორრქიანი") მეტსახელია ყურანის პერსონაჟისა, რომელსაც ალაჰმა უდიდესი ძალაუფლება უბოძა და აღმოსავლეთისა და დასავლეთის დასაპყრობად გაგზავნა. აღმოსავლეთში, იქ, სადაც მზე ამოდის, მან ააგო ზღუდე და დაიცვა იქაური მოსახლეობა იაჯუჯისა და მაჯუჯისგან, რომლებიც დედამიწაზე ბინიერებას ავრცელებდნენ (*ისლამი*, ენციკლოპედიური ცნობარი, თბილისი, 1999, 67).

[338] *ყურანი*, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გ. ლობჟანიძემ, თბილისი, 2006.

[339] სპარსულში მოკლე ხმოვნები არ იწერება, ამიტომ თანხმოვნების ერთიდაიგივე კომბინაცია სხვადასხვანაირად შეიძლება წაიკითხოს იმისდა მიხედვით, თუ როგორ გახმოვანდება ისინი.

და, რატომ „ჰოსნ", „ჰესნ" არისო. თავისი დროის მოლები ისეთ უვიცებად და უბირებად მიაჩნდა, რომ მეტი არ შეიძლება. სულ იმას იმეორებდა, დაწყებითი სკოლის შვიდი წლის ბავშვებმა მეტი იციან მსოფლიო ისტორიასა და გეოგრაფიაში, ვიდრე *მოჯთაჰედებმაო*. მე ერევანში შოქრ ხანის ვაჟებთან შეხვედრა გამახსენდა და სირცხვილით დავიწვი[340]. ახუნდოვს მსოფლიო რუკა ჰქონდა, ხალხს აჩვენებდა და ეუბნებოდა: აბა, ჯაბალყა და ჯაბალსა[341] მიპოვეთო. მირზა ფათჰალიმ კავკასიურ თურქულ ენაზე დაწერა რამდენიმე *კომედიის* Comedie წიგნი, რომლებიც თეატრში იდგმებოდა. მათგან ყველაზე ცნობილი დოქტორი ჟორდანი[342] და ხან სარაბი[343] იყო. ამ წარმოდგენებზე ხალხი სიცილით იხოცებოდა, თუმცა ეს წიგნები სრულიად ამორალური იყო და ძირითადად ქალების *ჰეჯაბის* წინააღმდეგ ილაშქრებდა. ახუნდოვს ერთი ქალიშვილი ჰყავდა, რომელიც ბაჰმან მირზას ვაჟს ხან ბაბა ხანს მიათხოვა. ის თავის ქალიშვილს ნებას რთავდა, რომ მას რუსი ქალებივით თავდაუხურავს ევლო იმ დროს, როცა სხვა მუსლიმი ქალები *ჰეჯაბს* ატარებდნენ. თბილისელ მუსლიმებს, რომლებიც ფანატიკურად მორწმუნეები იყვნენ, მირზა ფათჰალი თავისუფალი აზრებისა და ქალიშვილის თავშიშველა სიარულის გამო არ უყვარდათ. თავად ახუნდოვისგან გამიგია, რომ ქუჩაში შემხვედრები მას თვალს არიდებდნენ. სინამდვილეში კი ის ძალიან გულჩვილი კაცი გახლდათ. ერთი ინსპექტორი ჰყავდა, რომელსაც, როცა სტუმრები არ იყვნენ, უფლებას აძლევდა, რომ მასთან ერთად ეჭამა. ამ ინსპექტორისგან გამიგია, რომ მირზა ფათჰალის იქაური გაჭირვებული მუსლიმების სია ჰქონდა და პარასკეობით და მუსლიმურ დღესასწაულებზე მათთან ჩუმად დახმარებას ატანდა, თან უკრძალავდა, რომ მათი სახელები ვინმესთვის ეთქვა.

მთელი კავკასიის *შეიხ ალ-ესლამი* ახუნდი მოლა აჰმადი ბრძანდებოდა. ის სალიანიდან იყო და განათლება სალიანსა და ყარაბაღში ჰქონდა მიღებული. ირანსა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში ნამყოფი არ იყო, მაგრამ ბიბლიოთეკაში ირანის, თურქესტანის და ოსმალეთის ისტორიის თითქმის ყველა წიგნი შეეკრიბა. სპარსული ენა და ლიტერატურა და, განსაკუთრებით, ოსმალური თურქული მშვენივრად იცოდა. ყოველ საღამოს თავის სახლში აწყობდა შეკრებებს, რომლებზეც სტუმრებს რომელიმე სულთნის ან გამოჩენილი სწავლულის ისტორიებს უყვებოდა. საოცარი მეხსიერება ჰქონდა: ადამიანებისა და ადგილების სახელებს ერთი მოსმენით იმახსოვრებდა და მერე სხვებს უამბობდა. თბილისელი *ბეგები* და წარჩინებულები მის შეკრებებს მირზა ფათჰალის შეკრებებს ამჯობინებდნენ. რადგან იმ დროს თეატრებსა და *კომედიებზე* სიარული მიღებული

---

340 შოქრ ხანი ერევნის ყადი იყო. მირზა რეზა ხანი მას ერევანში ყოფნის დროს ესტუმრა და მის ვაჟებთან საუბარში გეოგრაფიის უცოდინრობა გამოამჟღავნა.

341 ლეგენდარული ქალაქები, რომლებიც ძველ წყაროებში მოიხსენიება და რომელთა ისტორიულობა მეცნიერთათვის საკამათოა: ნაწილი მათ მითოტოპონიმებად მიიჩნევს, ნაწილი კი ცდილობს მათი სავარაუდო ადგილსამყოფელი დაადგინოს. გადმოცემებით, ჯაბალყა დედამიწის სფეროს აღმოსავლეთით იყო, ჯაბალსა კი – დასავლეთით, ზოგიერთი ავტორი ამ ქალაქებს მეშვიდე გეოგრაფიულ რეგიონს (ჩინეთი და ინდოჩინეთი) მიაკუთვნებს.

342 ახუნდოვის ამ კომედიის სრული სახელია „ბოტანიკოსი მუსიე ჟორდანი და სახელგანთქმული ჯადოქარი დერვიში მასთალიშაპი".

343 სავარაუდოდ, იგულისხმება კომედია „ლენქორანის ხანის ვეზირი".

არ იყო, თბილისელი მუსლიმები თეატრის, *კომედიის* და კონცერტის ნაცვლად ან მირზა ფათპალისთან, ან *შეიხ ალ-ესლამთან* იკრიბებოდნენ. *შეიხ ალ-ესლამი* სტუმრებს სასაცილო ამბებითა და იგავებით ართობდა, თუმცა მიუხედავად მთხრობელის დიდი მცდელობისა, არავინ იცინოდა. მე მისი ისტორიები ძალიან მომწონდა და სხვებზე მეტს ვიცინოდი, ამიტომ ჩემდამი კეთილგანწყობილი იყო. მაგალითისთვის მოვიტან მის ერთ-ერთ ხუმრობას, რომელიც ერთ დღეს *მინბარიდან* წარმოთქვა: „ბატონებო, გუშინ ყადირის დღესასწაული[344] იყო და ხალხი ჩემთან მოდიოდა. ვხედავ, 30 წლის კაცი და 17 წლის ახალგაზრდა მოვიდნენ. კაცმა დღესასწაული მომილოცა და მთხოვა: აყა, მე და ამ ბიჭს შეკავშირების რიტუალი ჩაგვიტარეთ. აღშფოთებულმა ვუთხარი: შენ ჩემზე გითხრეს, რომ შუამავალი ვარ, მაგრამ მე კაცსა და ქალს შორის ვშუამავლობ და მათ ვაქორწინებ და არა კაცებს. წადი, დაიკარგე, შე ლორო!" ერთ დღესაც *მინბარიდან* გამოაცხადა: „ბატონებო, მე მკვლელი ვარ. გუშინწინ მზის ჩასვლისთვის ჩემთან მოვიდა მექუდე მაშჰადი აჰმადი და მომიტანა ქუდი, რომელიც ექვსი თვის წინ შეეუკვეთე. ისეთი ვიწრო გამოდგა, რომ ძლივს დავიხურე. ვიგრძენი, რომ სული მეხუთებოდა და სასწრაფოდ ფასი ვკითხე. მიპასუხა: ათი მანეთი. დაუყოვნებლივ მივეცი, რომ წასულიყო და იმ ვიწრო ქუდისგან განვთავისუფლებულიყავი. წავიდა თუ არა, მსახურს დავუძახე, მაკრატელი მოვატანინე და ვთხოვე, ქუდის მოხდაში დამხმარებოდა. ორივე ხელით ძლივს მომხადა და მომცა. მაკრატლით ქუდის გვერდები ჩავჭერი, თავზე დავიხურე და წარბებამდე ჩამოვიწიე. თავისუფლად დამეხურა და შვებით ამოვისუნთქე. მეორე დღეს გამთენიისას რიტუალურ განბანვას ვასრულებდი, როცა კარზე კაკუნი შემომესმა. ზღურბლთან მივედი და შევიტყვე, რომ მიცვალებულისთვის *ნამაზის* წასაკითხად მიბარებდნენ. ვიკითხე, ვინ გარდაიცვალა-მეთქი და მიპასუხეს, მექუდე მაშჰადი აჰმადიო. ეს საცოდავი თურმე წინა ღამეს დარდით მომკვდარიყო, რადგან იმ ალიაქოთში 30 მანეთიან ქუდში 10 მანეთი გამომართვა. ასე რომ, მე მისი მკვლელი ვარ".

თბილისელი დიდგვაროვანი *ბეგები* ცხოვრობდნენ მუსლიმურ უბანში, რომელსაც ვორონცოვის Worontsov ქუჩა ერქვა[345]. მათ შორის იყვნენ გენერალი ესრაფილბეგოვი, აყა ბეგ აგალაროვი, ალაჰიარ ბეგი, ბეგ აყა და ქუჩექ აყა.

ერთ დღეს მე და *ყადიმ* მოვინახულეთ აბას ყოლი ხანის ვაჟები, რომლებიც *მადამ* სტასულევიჩის Stasolovitch პანსიონში ცხოვრობდნენ. *ყადიმ მადამს* ჩემი თავი წარუდგინა და უამბო, რომ სტამბოლში ფრანგულსა და ინგლისურ ენებს ვსწავლობდი, აქ კი რუსულს ვეუფლებოდი. *მადამი* ფრანგულად გამომელაპარაკა და მითხრა: „ჩემი პანსიონი სადღეღამისოა, მოწაფეები აქ მთელ დროს ატარებენ და, სხვა სკოლებისგან განსხვავებით, არდადეგები არა აქვთ. ამიტომ შეგიძლიათ, საჯარო სკოლების დასვენების პერიოდში აქ ენის პრაქტიკა Practique გაიაროთ და მე და ჩემს მოწაფეებს გვესაუბროთ. თქვენ ფრანგული არ დაგავიწყდებათ და მოწაფეებიც სარგებელს ნახავენ".

---

344 რელიგიური დღესასწაული ხალიფა ალის მუჰამედის მემკვიდრედ გამოცხადებასთან დაკავშირებით.

345 ახლანდელი გორგასლის ქუჩა.

სტასულევიჩის პანსიონში გატარებული დროიდან ორი შემთხვევა დამამახსოვრდა და მოგიყვებით. ერთ დღეს *მადამის* არყოფნაში ბიჭები და გოგოები დარბაზში ვიყავით შეკრებილი, რომ უცებ ერთი მონაფე შემოვიდა და დამიძახა: „რეზა, წამოდი, წამოდი, თქვენი წინასწარმეტყველი მოვიდა და გეძახის!“ ვუთხარი: „რა სისულელეებს ლაპარაკობ, ჩვენს წინასწარმეტყველს აქ რა უნდა?“ მაგრამ ჩამაცივდა და დაიფიცა, მართალს გეუბნებიო. ეზოში გავედი და დავინახე: აივნის ქვეშ გაცვეთილ ჩალმებსა და ძველ სამოსში გამოწყობილი სამი *სეიდი* იდგა, თითოეულს თავისი სიმაღლის ჯოხი ეჭირა და დამტვრეული რუსულით მათხოვრობდა: „რადი ხრისტა დავაი“, ღვთის გულისთვის რამე მოგვეცით. ამ უზნეო ბავშვებმა წყლის ბიდონიდან და ნაცრიანი აქანდაზიდან, რომლებიც ახალი ავსებული იყო, მათ ქუდში წყალი ჩაუსხეს და ნაცარი ჩაუყარეს, თან ეუბნებოდნენ, ქრისტეს გულისთვის აი, ეს აიღეთო. უსირცხვილო *სეიდები* კი იმის მაგივრად, რომ შეურაცხყოფა სწყენოდათ, იცინოდნენ და ისევ მათხოვრობდნენ. თავი ველარ შევიკავე და ვუთხარი: „ეი, თქვე უთავმოყვარეებო, მუსლიმებსა და *სეიდებს* რატომ არცხვენთ? წადით და სხვა ირანელებივით შავ მუშებად იმუშავეთ, რომ ასეთ დამცირებულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეთ“. როცა დაინახეს, რომ აზერბაიჯანულად ვლაპარაკობდი და მუსლიმი ვიყავი, იმის მაგივრად, რომ შერცხვენოდათ, ლანძღვა დამიწყეს და მითხრეს: „თქვენ, მუსლიმებს, ჩვენთვის წინაპრების ქონება რომ დაგებრუნებინათ, ასეთ დამცირებულ მდგომარეობაში აღარ გვნახავდი“. როცა ბავშვებმა დაინახეს, რომ *სეიდები* არ მიდიოდნენ და თან მე მეჩხუბებოდნენ, დარაჯს დაუძახეს. დარაჯი მოვიდა და ისინი ეზოდან გაყარა. მე კი იქვე ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ როდესაც თბილისში ვიმსახურებდი, ამგვარ ვაი-*სეიდებს* ნებას არ მივცემდი, რომ ასეთი სამარცხვინო საქმეები ჩაედინათ. სხვათა შორის, მსგავსი ინციდენტის შესახებ მირზა ფათჰალისგანაც მქონდა მოსმენილი. თურმე, ერთ დღეს ორი ასეთი *სეიდი* კავკასიის მეფისნაცვლის დიდი თავადი მიხეილის სასახლესთან მივიდა. მისი აღმატებულება ის იყო *კალიასკაში* ჯდებოდა, რომ ამ არაკაცებმა თაყვანი სცეს და ყვირილი დაიწყეს, თქვენთან სათხოვარი გვაქვსო. მეფისნაცვალი გაჩერდა, ისინი თავისთან იხმო და ჰკითხა: „რა სათხოვარი გაქვთ?“ მათ დამტვრეული რუსულით უპასუხეს, რომ წინაპრების ქონებას ითხოვდნენ. დიდი თავადი მათ ნათქვამს ვერ მიხვდა, ეგონა, რომ ამ ხალხს მამების დანატოვარი ქონება პოლიციამ ჩამოართვა და არ უბრუნებს. ბრძანა, მათთვის თანადგომა გაეწიათ და კარგად გაერკვიათ, რას ითხოვდნენ. სასახლეში დაბრუნებულმა მეფისნაცვალმა მირზა ფათჰალი და *სეიდები* თავისთან დაიბარა და ჰკითხა: „წინაპრების ქონებას ვინ არ გიბრუნებთ?“ მათ უტიფრად უპასუხეს: „ჩვენი წინაპრების ქონება თქვენ გაქვთ“. ამ სიტყვებმა მეფისნაცვალი ისე გააკვირვა და გააბრაზა, რომ ბრძანა, *სეიდები* საგიუეთში წაეყვანათ, რადგან გიუებად ჩათვალა. მას შემდეგ მირზა ფათჰალის მათ შესახებ არაფერი სმენოდა. როგორც ჩანს, საგიუეთში იმდენ ხანს დაჰყვეს, რომ იქვე დაიხოცნენ.

ახლა *მადამის* პანსიონში მომხდარ მეორე შემთხვევას მოგიყვებით: იქ მოსწავლე გოგო-ბიჭებიდან უმეტესობა სომეხი იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ ერთმა გოგონამ ამითვალისწუნა და ფრანგულად ხმას არ მცემდა. მოწაფეებს სახლებიდან კანფეტები და ნამცხვრები მოჰქონდათ ხოლმე და თანაკლასელებს უნა-

წილებდნენ. ერთ დღეს ერთმა ბიჭმა, სახელად ალიხანოვმა ('Alīkhānof), სახლიდან კანფეტები და ტკბილეულობა მოიტანა და მეც მიწილადა. იმ გოგომ უთხრა: „ამ თათარს ტკბილეულობას რატომ აძლევ, არ გენანება?" ალიხანოვი შეეპასუხა: „იმიტომ ვაძლევ, რომ ოდესმე, როცა ის თბილისის კონსული გახდება და შაჰის დაბადების დღის ზეიმს მოაწყობს, მეც დამპატიჟებს და გამიმასპინძლდება". მართლაც, როცა განგების ნებით თბილისში გენერალური კონსულის რანგში დავბრუნდი, ჩემ მიერ გამართულ პირველსავე ბრწყინვალე წვეულებაზე ალიხანოვი და მისი მშობლები მოვიწვიე. ვახშამზე ეს ამბავი სტუმრებს თავად ალიხანოვმა უამბო.

თბილისში სწავლის პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები, როცა *მათემატიკის* (არითმეტიკის გაკვეთილი) დავალება მასწავლებლისთვის სადილის მერე უნდა ჩამებარებინა და ამიტომ *ყადისთან* სადილად წასვლას ვერ ვასწრებდი. ასეთ დღეებში ხუთ კაპიკად შავ პურს ვყიდულობდი და, რადგან ჩემი სკოლა ზედ მტკვრის პირას იდგა, სამეცადინოდ მდინარეზე მივდიოდი. იქ თან დავალებას ვაკეთებდი და თან შავ პურს ვჭამდი და მტკვრის წყალს ვაყოლებდი. სწორედ მაშინ, როცა ხელმოკლედ ვიყავი, ერთ კვირა დღეს ჰაჯი მოლა მოჰამად ალიმ, შემდგომში მოლა მოჰამად ალი ხანმა, რომელიც *შეიხ ალ-ესლამის* სახლის ხშირი სტუმარი იყო და ძალიან ხუმარა კაცი გახლდათ, მთელი დღით სტუმრად დამპატიჟა. რადგან ვიცოდი, რომ ისიც ჩემსავით ჯიბეგაფხეკილი იყო, მიპატიჟება არ მივიღე. რაც უფრო მაცივდებოდა, მით უფრო მტკიცედ ვიდექი უარზე, მაგრამ ბოლოს მაინც დამითანხმა. *ყადის* სახლიდან გამოვედით, ცოტა ფეხით გავიარეთ და ცარიელი *დროშკა* დავინახეთ. მოჰამად ალიმ *დროშკა* გააჩერა, შიგ ჩავსხედით და მეეტლეს უბრძანა, რომ მოჯთაჰედის ბაღში[346] წავეყვანეთ. ბაღის სიახლოვეს რესტორნის მოპირდაპირე მხარეს *დროშკიდან* ჩამოვედით. ჩემმა მასპინძელმა მბრძანებლურად შემომხედა და მითხრა: „მეეტლეს ფული მიეცი". ცხადია, მივეცი და რესტორანში შევედით. მოჰამად ალიმ ოფიციანტებს დაუძახა და საჭმელი და სასმელი შეუკვეთა. რაღაც უცნაურ ხასიათზე იყო, ხუმრობდა და ვიცინოდით. როცა ანგარიში მოიტანეს, ღიმილით მითხრა: „გადაიხადე და მერე გავსწორდებით". ღმერთმა მიშველა, რომ ჯიბეში რამდენიმე მანეთი მედო. რესტორნის დანახარჯი რომ გადავიხადე, მითხრა: „ახლა ბაღში გაგასეირნებთ, გაჩვენებთ, იქაურობა რა ლამაზია". ბაღს რამდენიმე წრე დავარტყით და დაღლილები ისევ რესტორანთან გამოვედით. სწორედ ამ დროს ერთი კაცი *დროშკიდან* გადმოვიდა და მეეტლეს გაუსწორდა. მოლა მოჰამად ალიმ მეეტლეს უბრძანა, რომ ანატომიური მუზეუმის კარავთან წავეყვანეთ. *დროშკა* გაჩერდა მეფისნაცვლის სასახლის წინ, სადაც კარავი იყო გაშლილი. შესასვლელთან ერთი კაცი იდგა და ბილეთებს ჰყიდდა. მას შემდეგ, რაც *დროშკის* ფული ისევ მე გადავიხადე, ბილეთების გამყიდველთან მივედით და ფასი ვიკითხეთ. გვითხრა, რომ გამოფენა ახალგაზრდების ჭკუის სასწავლებლად იყო მოწყობილი, რათა ისინი ცუდ საქმეებს მორიდებოდნენ და ამიტომ შესვლა ხუთი კაპიკი ღირდა. ორი ბილეთი ავიღე და ის იყო, ფული უნდა გადამეხადა, რომ ჰაჯი მოლა მოჰამადმა უხეშად გამაჩერა და მითხრა: „უნამუსო ხომ არ

---

[346] იხ. შენიშვნა 78.

გგონივარ, რომ ბილეთი აგაღებინო. შენ რა, დაგავიწყდა, რომ ჩემი სტუმარი ხარ?" სასწრაფოდ გადაიხადა 10 კაპიკი და კარავში შეეედით. რას ვხედავთ! ერთ მწკრივში აწყვია ცვილისგან გაკეთებული მამაკაცის სასქესო ორგანოები, რომელთაც სხვადასხვა დაავადებები სჭირთ, მეორე მწკრივში კი, იმავე პრინციპით, – ქალის. დამთვალიერებლებს ექსპონატებს აჩვენებდნენ და შესაბამის განმარტებებსაც აძლევდნენ. გარეთ გამოვედით. რადგან *ყადის* სახლი ახლოს იყო, ჰაჯი მოლა მოჰამადმა შემომთავაზა: მოდი, ნუღარ დავიხარჯებით და ფეხით წავიდეთო. სახლში რომ მივედი, *ყადის* ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. მითხრა: „ამ საღამოს *შეიხ ალ-ესლამთან* წავიდეთ და ეს ამბავი ყველას თანდასწრებით მოყევი". განგების ნებით, *შეიხ ალ-ესლამთან* ჰაჯი მოლა მოჰამადიც იყო. *ყადიმ* მაიძულა, დამსწრეებისთვის, რომელთა შორის *ბეგებიც* იყვნენ, იმ დღის თავგადასავალი მეამბნა. იმის მაგივრად რომ შერცხვენოდა, მოჰამად ალი სხვებზე მეტს იცინოდა. ღმერთმა დამიფარა, რომ იმ დღეს მხოლოდ ათი კაპიკი დახარჯა, რადგან წლების მერე, თბილისში ჩემი გენერალური კონსულობის დროს, ამ თანხის სანაცვლოდ ათასჯერ მეტი გამომართვა.

თბილისში სწავლის ორი წლის განმავლობაში სხვა ისეთი არაფერი მომხდარა, რომ აღსაწერად ღირდეს. სკოლაში ჩემი სპარსულისა და არაბულის მასწავლებელი მოლა აბდ ალ-ესლამი იყო, რომელიც შემდგომ კავკასიის *შეიხ ალ-ესლამი* გახდა, ხოლო რუსული ენის – *მუსიე* კარაბაშოვი (Qare Bāshof). ორივე ძალიან თბილად მექცეოდა.

თავი 3

სახელმწიფო სამსახურის დაწყება
[1878-1882]

სკოლის დამთავრებამდე და ატესტატის აღებამდე ორი თვე მრჩებოდა, როცა ერთ დღეს აწ განსვენებულმა მირზა მაჰმუდ ხანმა, რომელიც შემდგომ ალა ალ-მოლქი გახდა, *ყადისთან ფარაში* ალი გამოგზავნა, რომელმაც მითხრა, რომ გენერალური კონსული მიბარებდა. მის აღმატებულებას ვიცნობდი და მან ჩემი სწავლის შესახებ იცოდა: ერთხელ *ყადიმ* საკონსულოში წამიყვანა და მას ჩემი თავი წარუდგინა. იმ დღის მერე, მირზა მაჰმუდ ხანის მიწვევით, ყოველ კვირა დღეს საკონსულოში სადილად დავდიოდით და თუ რომელიმე კვირას გავაცდენდით, ხელმეორედ გვპატიუებდა. მარტო ჩემი მიწვევა *ყადის* გაუკვირდა. გავიფიქრე, ნეტავ რა მოხდა-მეთქი და მიზეზი *ფარაშ* ალის ვკითხე, მაგრამ არ იცოდა. მითხრა: „მე მხოლოდ ნაბრძანები მაქვს, რომ საკონსულოში მიგიყვანოთ". *ფარაშ* ალის გავყევი და გენერალურ კონსულს ვეახლე. მითხრა: „ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა, რომელიც შეიძლება თქვენთვის სასიკეთოდ შემობრუნდეს". ვუპასუხე: „თუ მაღალი ღმერთი ინებებს". მითხრა: „საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღეში მისი უდიდებულესობა ნასერ ად-დინ შაჰი ევროპაში თავის მეორე მოგზაურობაში მიემგზავრება და ჯულფასა და ერევნის მერე თბილისსაც ეწვევა. *სადრ ა' ზამმა* ჰაჯი მირზა ჰოსეინ ხან სეფაჰსალარმა თავის

გერს ასტრახანის გენერალურ კონსულს მირზა აჰმად ხანს მისწერა, რომ ის თავის თარჯიმან მირზა თაყი ხანთან ერთად თბილისში ჩამოსულიყო და მეც ტელეგრამა გამომიგზავნა, რომ ჩემი თარჯიმნის მირზა მა'სუმ ხანის თანხლებით მისი უდიდებულესობის დასახვედრად ჯულფაში წავსულიყავი. მაგრამ მირზა მა'სუმ ხანი რამდენიმე დღეა, რაც ავად არის. გუშინ საღამოს ციებ-ცხელების შეტევა დაემართა და თავის მსახურს მარიამს, რომელიც წარმოშობით სომეხია, ქინაქინას აბები სთხოვა. მარიამმა ქინაქინას ნაცვლად ვერცხლისწყლის აბები მისცა, რადგან ორივე ერთნაირ ბოთლში იდო. მირზა მა'სუმ ხანმა, ჩქარა რომ მორჩენილიყო, ორის მაგივრად ოთხი აბი დალია. ამ დროს მირზა თაყი ხანი, რომელიც მირზა მა'სუმ ხანის სტუმარი იყო, სეირნობიდან დაბრუნდა და ავადმყოფის ოთახში შევიდა. წამლის ბოთლი რომ დაინახა, ჰკითხა: ეს რა არისო? მირზა მა'სუმ ხანმა უპასუხა: შეუძლოდ ვარ და, რადგან ხვალ დილით აუცილებლად უნდა გავემგზავრო, ქინაქინას აბები დავლიეო. მირზა თაყი ხანმა თქვა, მეც შეუძლოდ ვარო და იმანაც ოთხი აბი ვერცხლისწყალი დალია. შუალამისას ორივეს საშინლად ასტკივდა ყელი და კაცი გაგზავნეს სახელმწიფო საავადმყოფოს უფროსთან, რომელიც საკონსულოს მეზობლად ცხოვრობდა. ექიმმა ავადმყოფები მოინახულა, მერე წამლის ბოთლი გასინჯა და თქვა: ეშმაკმა დალახვროს, ვერცხლისწყლის აბები დაგილევიათ, დაუყოვნებლივ საავადმყოფოში უნდა წაგიყვანოთო. ახლა ორივე მძიმე მდგომარეობაშია და საავადმყოფოში სძინავთ, ჩვენ კი დღეს საღამოს ან ხვალ დილით უნდა გავემგზავროთ, თარჯიმანი კი არა გვყავს, ამიტომ თქვენ უნდა წამოხვიდეთ და გაგვიწიოთ თარჯიმნობა". ვუთხარი: „ჯერ ერთი, *ყადის* ნებართვის გარეშე ვერაფერს შეგპირდებით, რადგან მისი სტუმარი ვარ და ჩემთვის ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული. გარდა ამისა, სკოლის დამთავრებამდე ორი თვეღა დამრჩა და სწორედ ახლა კარაბაშოვმა საატესტატო გამოცდისთვის რამდენიმე თემა მომცა და უნდა მოვამზადო. თუ თქვენთან ერთად გავემგზავრები, ვშიშობ, გამოცდას ვერ ჩავაბარებ და იძულებული გავხდები, სკოლაში კიდევ ერთი წელი ვისწავლო". გენერალურმა კონსულმა მითხრა: „რაც შეეხება *ყადის*, მას გადაეცით, რომ ჩემი აზრით, ამგვარი დასაწყისი თქვენი მომავალი წარმატებების საწინდარი იქნება და ასეთი ხელსაყრელი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. კარაბაშოვს კი უთხარით, რომ ის რამდენიმე დღე, რომელსაც მოგზაურობას მოვანდომებთ, დაბრუნების შემდეგ აგინაზღაუროთ, მე კი პირობას ვაძლევ, რომ შაპს მისთვის მისი რანგის შესაბამის ლომისა და მზის ორდენს გამოვართმევ. ახლა კი ნულარ აყოვნებთ, წადით, სახლიდან პატარა სამგზავრო ჩემოდანი წამოიღეთ და მალევე დაბრუნდით, რადგან უმჯობესია, თუ დღესვე გავემგზავრებით და ამ ღამეს ფოსტის სადგურში გავათენებთ".

ყადისთან დავბრუნდი და საქმის ვითარება მოვუყევი. *ყადიმ*, რომელსაც ძალიან სჯეროდა ყურანზე მკითხაობის, მითხრა: „სანამ არ გიმკითხავებ, ვერსად გაგიშვებ. გზაზე იმდენი ხიფათია, მითუმეტეს, რომ თქვენ ურმებით დილიჯანის უღელტეხილის გავლით უნდა წახვიდეთ. ეს გზა საკალადაც ძნელია და თან შეიძლება მალაკნების ცოფიან ცხენებსაც გადაეყაროთ". ხმის ამოღება არ მაცალა, თავისი ყურანი მოიტანა და სამკითხაოდ გაშალა. აი, ეს აია ამომივიდა იუსუფის სურიდან: „ჩაუშვა სათლი ჭაში და წამოიძახა: ო, გახარებავ! ეს ყმაწ-

ვილიაო" (12: 19). *ყადიმ* მომილოცა, კარაბაშოვთან კაცი გაგზავნა, ჩვენთან მოიწვია და საქმის ვითარება თავად გააცნო. კარაბაშოვს, როგორც ყველა რუსს, ორდენები ძალიან უყვარდა და სიხარულით მომცა გამგზავრების უფლება.

ნაშუადღევს *ფარაშმა* ალიმ გამომიარა, ჩემი ჩემოდანი აიღო და საკონსულოში წავედით. მირზა მოჰამად ალი ხან ქაშმი, რომელიც თბილისი-ვლადიკავკაზის გზატკეცილის უფროსი იყო, ახალი კარგი *კალიასკა* გამოგვიგზავნა. *კალიასკაში* სამნი ჩავსხედით, მსახურები დავტოვეთ, რადგან გენერალური კონსულის თქმით, შაჰსა და მის მხლებლებს იმდენი მსახური ეყოლებოდათ, რომ ჩვენებისთვის ადგილი არ იქნებოდა. რუსეთის ტერიტორიაზე მისი უდიდებულესობა სახელმწიფოს ოფიციალური სტუმარი იყო და მისი მოგზაურობის მთელ ხარჯებს რუსეთის ხელისუფლება იხდიდა. ბრძანება გასცეს, რომ ჯულფადან თბილისამდე ყველა ფოსტის სადგური შეძლებისდაგვარად გაელამაზებინათ: კედლებზე ხალიჩები და ფარდაგები დაკიდეს და კარები და ფანჯრები მინდვრის ყვავილებით მორთეს. გენერალურ კონსულს თბილისის გუბერნატორის სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა, ამიტომ ყველა პუნქტში ცხენებს სწრაფად გვიცვლიდნენ. ერთი საათის დაღამებული იყო, როცა დილიჯანის ფოსტის სადგურში შევედით. მირზა აჰმად ხანმა გვითხრა: „მოდით, ჩვენ სამმა მოვალეობები ტოლად გავინაწილოთ, რადგან მსახურები არა გვყავს და ჩვენს თავებს ჩვენ თვითონ უნდა მოვემსახუროთ". გადაწყდა, რომ რაკი მე რუსული ენა ვიცოდი, წყაროდან წყლის მოტანა და პურის, კვერცხის, ყველის და ხილის ყიდვა ჩემზე იქნებოდა. ჩაის თავად მირზა აჰმად ხანი მოამზადებდა, მაგრამ სამოვარი მალაკნებისთვის მე უნდა გამომერთმია. მირზა მაჰმუდ ხანმა სანთლების ანთება, სუფრის გაწყობა და საჭმლის მომზადება ითავა. შევთანხმდით, რომ ხორცი, ქაბაბი და *აბგუშთი* არ გაგვეკეთებინა და ერბოკვერცხით დავკმაყოფილებულიყავით. საქმის ასეთი განაწილება ძალიან მომეწონა, რადგან დავინახე, რომ კონსულები როგორც თანასწორს, ისე მექცეოდნენ. ღამე ფოსტის სადგურში გავატარეთ, დილით გზა განვაგრძეთ და რუსულ ჯულფაში ჩავედით. იმ დროს მდინარე არაქსზე ხიდი არ იყო, ამიტომ ერთი ნაპირიდან მეორემდე სქელი ბაწარი გაეჭიმათ და მასზე გამოებათ ბარკასი, რომლითაც მენიჩბეებს მგზავრები მეორე ნაპირზე გადაჰყავდათ, თოკი კი იმისთვის იყო საჭირო, რომ ბარკასი წყალს არ მოეტაცა. ასე გადავკვეთეთ არაქსი. ირანის მხარეს საპასპორტო დაწესებულებისთვის რამდენიმე ოთახი აეშენებინათ, შენობის წინ მინდორში კი შაჰისთვის, მისი მხლებლებისთვის და *ვალიაჰდისთვის* კარვები გაეშალათ. აწ განსვენებულმა მირზა აფზალ ხან ვაქილ ალ-მოლქმა, რომელიც *ვალიაჰდის* კანცელარიის უფროსი და გენერალური კონსულის მირზა მაჰმუდ ხანის ძმა იყო, ჩვენი ჩამოსვლის ამბავი ტელეგრამით შეიტყო. მისი განკარგულებით შენობაში, რომელიც თან საბაჟოს და თან საპასპორტოს ფუნქციას ასრულებდა, მოსასვენებლად სამი კეთილმოწყობილი ოთახი გამოგვიყვეს, თავად კი საპასპორტოს უფროსის ამინ ალ-ვეზარასა და მეგობრების თანხლებით არაქსის ნაპირზე შეგვეგება. მეორე დღეს მისი უდიდებულესობა დიდი ზარ-ზეიმით მარანდიდან უნდა ჩამობრძანებულიყო. ვაქილ ალ-მოლქმა სამი ცხენი მოგვცა და ყველანი უზენაესი კორტეჟის დასახვედრად გავემგზავრეთ. ფადიშაჰის პირადი რაზმის მხედრებმა და მაქუს, ყარაბაღის, ქურთებისა და შაჰსევანების თემების წინამძღოლებმა მტვრის ისე-

თი კორიანტელი დააყენეს, რომ ერთმანეთს ეელარ ვხედავდით. იქაური წესის მიხედვით, ასე ხანები შაჰს თავიანთ საცხენოსნო ხელოვნებას უჩვენებდნენ. მისი უდიდებულესობის ბრწყინვალე კორტეჟი ბანაკში გაჩერდა. მეორე დღეს ჩამოვიდნენ რუსი *მეჰმანდარები* და, მათ შორის, ძმები ბეგლაროვები[347], რომლებმაც სპარსული კარგად იცოდნენ. მასპინძლებმა არაქსი გადალახეს და ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილები შაჰს ეახლნენ. გადაწყდა, რომ ნაშუადღევს, სადილის მერე გავემგზავრებოდით და ღამეს რუსულ ჯულფაში გავატარებდით. მისი უდიდებულესობა ჰაჯ მირზა ჰოსეინ ხან სეფაჰსალართან და სხვა მხლებლებთან ერთად ბარკასში ჩაჯდა და არაქსი მშვიდობიანად გადალახა. რადგან ჩვენთვის ადგილი აღარ დარჩა, მენავე შეგვპირდა, რომ უკან დაბრუნდებოდა და მეორე ჯერზე გადაგვიყვანდა. ამ მოლოდინში ვიყავით, რომ უცებ დავინახეთ: საუბედუროდ, ბაწარი გაწყდა და ბარკასი წყალმა წაიღო. მენიჩბეებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ნავი იმ ადგილიდან საკმაოდ მოშორებით ნაპირზე გაიყვანეს. გზა ჩაიკეტა. კონსულები ლამის ტიროდნენ და ამბობდნენ: „რა გვეშველება, ფადიშაჰი კავკასიაში შებრძანდება და ჩვენ ვერ დავხვდებით. მისი უდიდებულესობა და მისი მხლებლები რას იზამენ და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ბრალი არ არის, ჩვენდამი როგორ განიწყობიან?!" მირზა მაჰმუდ ხან ალა ალ-მოლქი ძალიან მამაცი კაცი იყო და სიკვდილს არად დაგიდევდათ. თქვა: „თუ ნავს ვიშოვით, მეორე ნაპირზე გადავალთ და გინდ დავიხოცოთ, ფადიშაჰის სამსახურში დავიხოცებით". ვაქილ ალ-მოლქმა უპასუხა: „ნავს კი ვიშოვით, მაგრამ ძალიან საშიშია და ვერ გაგიშვებთ. არაქსი ისეთი ადიდებულია, რომ ბარკასი წაიღო და თქვენ ნავით როგორ გადახვალთ?!" მაგრამ ალა ალ-მოლქმა დაიჟინა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ამ საღამოსვე მეორე ნაპირზე უნდა მოვხვდეო. ვაქილ ალ-მოლქი იძულებული გახდა, ამინ ალ-ვეზარასთვის, რომელიც იმ მხარის გუბერნატორი იყო, ნავი ეთხოვა. იქაურმა ხანებმა ერთი ნავი და ექვსი მენიჩბე მოიყვანეს. მენავემ თქვა: „აქ მოსვლა ხანმა მაიძულა, თორემ მე ასეთი წყალდიდობის დროს არაქსის გადაცურვა უგუნურება მგონია, რადგან ძალიან საშიშია". მირზა აჰმად ხანიც ამ აზრზე იყო, მაგრამ რადგან ალა ალ-მოლქი კავკასიის გენერალური კონსული გახლდათ და მთელი პასუხისმგებლობა მასზე იყო, ვერავინ შეეწინააღმდეგა. მიუხედავად იმისა, რომ ნავი დიდი იყო და შიგ ბევრი ხალხი ეტეოდა, მხოლოდ სამნი ჩავსხედით, სხვა ვერავინ გაბედა. ნაპირს მოვშორდით თუ არა, დინების ძალამ მენიჩბეების ძალას აჯობა და ნავი წყალმა წაიღო. მენავემ გვითხრა: „რადგან ჩემი გაფრთხილება არად ჩააგდეთ, ახლა ლოცვაღა დაგრჩენიათ. თქვენი ღმერთი თუ გიშველით, თორემ მე უძლური ვარ". მენიჩბეებმა მაშინათვე „ო, ალის" ძახილი დაიწყეს. დახმარებისთვის ღმერთს იშვიათად მიმართავდნენ, ძირითადად წინასწარმეტყველ ალის სთხოვდნენ შველას. წყლის ნაკადი ერთხანს უგზო-უკვლოდ მიგვაქროლებდა. მენიჩბეები მხოლოდ იმას ახერხებდნენ, რომ რუსეთის ნაპირს არ მოვშორებოდით. თქვეს: „ორდუბადსა და ჯულფას შორის ბოშების დასახლებაა. თუ იქამდე მივაღწევთ,

---

[347] ლუარსაბ და პაველ ბეგლაროვები რუსი სახელმწიფო მოხელეები იყვნენ. იმ დროს ლუარსაბ ბეგლაროვი მეფისნაცვალ მიხეილის თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა.

იქნებ ბოშებმა გვიშველონ". „ო, ალის" ძახილით გზა განვაგრძეთ და უცებ შორს ბანაკის ჩირაღდნები დავინახეთ. მენავეები გამოცოცხლდნენ და ყვირილი დაიწყეს: „გვიშველეთ, გვიშველეთ, გვიშველეთ!" ბოშებმა მათი ძახილი გაიგეს, ჩვენკენ გამოიქცნენ და რადგან კარგი მოცურავეები იყვნენ, წყალში გადაეშვნენ. მენავეებმა მათ თოკი გადაუგდეს და საერთო ძალით ნავი სამშვიდობოზე გაიყვანეს. ნაპირზე რომ გავედით, შუა ბოშების ბანაკში აღმოვჩნდით. სასწრაფოდ ჩაი მოგვიტანეს და ცეცხლი დაანთეს, რადგან მიუხედავად ზაფხულისა, ღამე ძალიან ციოდა. ცეცხლს შემოვუსხედით, ჩაი დავლიეთ და ცოტა გავთბით. ალა ალ-მოლქმა მათ წინამძღოლს უთხრა: „ცხენები უნდა მოგვცეთ და ერთი კაცი უნდა გამოგვაყოლოთ, რომ ჯულფაში ჩაგვიყვანოს". ვკითხეთ: „აქედან ჯულფამდე რა მანძილია?" ერთმა თქვა, ორი *ფარსახიაო*, მეორემ – სამიო. გამყოლის ცხენის გარდა კიდევ სამი ცხენი მოგვიყვანეს. ორს უნაგირი ჰქონდა, მესამეს კი – მხოლოდ ასალი. კონსულები უნაგირიან ცხენებზე შესხდნენ, ასალიანი ცხენი კი მე მომცეს. გზას გავუდექით. ძალიან ბნელი ღამე იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, გზა მდინარეს მიუყვებოდა, სნორი იყო და ცხენებიც იქაურობას კარგად იცნობდნენ. ჯულფამდე დაახლოებით ნახევარი საათი რჩებოდა, რომ ალა ალ-მოლქის ცხენმა შეიკუნტრუშა და ჩემს ცხენს წიხლი ჰკრა. წიხლი ფეხში მომხვდა და საშინლად მეტკინა. ალა ალ-მოლქი ძალიან შეწუხდა, რომ აქ წამომიყვანა და შესაძლებელი იყო, ხეიბრად დავრჩენილიყავი. მანუგეშებდა და მეუბნებოდა: „ნუ გეშინიათ, რუსეთის მხარეს რუსული სამხედრო ჰოსპიტალია და იქ წაგიყვანთ". დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ ჯულფას. კონსულებმა დაუყოვნებლივ რუსულ საავადმყოფოში წამიყვანეს. საავადმყოფოს მუშებმა ცხენიდან ძლივს ჩამომიყვანეს, საკაცეზე მომათავსეს, ზევით ამიყვანეს და საწოლში ჩამაწვინეს. მაშინათვე ქირურგი მოვიდა, გამსინჯა და თქვა: „ერთი ძვალი დაზიანებულია, მაგრამ ნუ გეშინიათ, მორჩება". სასწრაფოდ ჩამისვა და შემიკრა, მაგრამ ძლიერი ტკივილისგან ვერაფრით ვერ დავიძინე.

ჯულფაში რომ ჩავედით, შუაღამე დიდი ხნის გადასული იყო და ყველას ეძინა. მეორე დღეს ნასერ ად-დინ შაჰმა, ჩვეულებისამებრ, დილაადრიანად გაიღვიძა და კონსულებმა მას ჩვენი თავგადასავალი უამბეს. მისმა უდიდებულესობამ ჩემი სახელი პირველად გაიგო და *სადრ ა'ზამის* მეშვეობით გენერალურ კონსულს ჰკითხა: „რეზა ვინ არის?" ალა ალ-მოლქმა უპასუხა: „რუსული ენის თარჯიმანია". შაჰს ძალიან შეეცოდე, რომ მის სამსახურში ასეთი უბედურება შემემთხვა. თავისი *ჰაქიმბაში* ექიმი ტულუზანი საავადმყოფოში გამოგზავნა და დაავალა, ჩემი ფეხი ენახა და თუ კარგად არ იყო შეკრული, გაესწორებინა. ექიმმა ტულუზანმა მინახულა, ქირურგს ჩემი მდგომარეობა გამოჰკითხა, შეაქო, არტახები აღარ მომხსნა და წავიდა, რომ ყველაფერი მისი უდიდებულესობისთვის მოეხსენებინა. საბედნიეროდ, ბარკასის თოკის გაწყვეტის გამო შაჰის კორტეჟი იძულებული გახდა, ჯულფაში ორი დღე დარჩენილიყო და მსახურებსა და ბარგს დალოდებოდა. მე კი ამ ორ დღეში ტკივილმა გამიარა, ბევრად უკეთ გავხდი და დიდი წვალებით რამდენიმე ნაბიჯიც გადავდგი. როცა მსახურები ჩამოვიდნენ და ბარგიც ჩამოიტანეს, უზენაესი კორტეჟი ერევნისკენ დაიძრა... ერევანში სამი დღე დავისვენეთ და გზა განვაგრძეთ.

თბილისში შაპი, *სადრ ა' ზამი* და ამალის სხვა წევრები კავკასიის მეფისნაცვლის სასახლეში დაბინავდნენ, დანარჩენები კი *ჰოტელ* „კაეკაზში"[348] გავჩერდით. ერთ საღამოს გენერალურმა კონსულმა ოფიციალური ვახშამი გამართა. მიპატიჟებულთა შორის *სადრ ა' ზამის*, შაპის მხლებლების, პეტერბურგიდან ჩამოსული რუსი *მეჩარდარეპისა* და თბილისის გუბერნატორის გვერდით თქვენი მონამორჩილიც გახლდით.

ამ დღეებში ორი ამბავი შემემთხვა და მოგიყვებით. ერთი ის იყო, რომ ჰაჯი მირზა ჰოსეინ ხან სეფაპსალარმა ალა ალ-მოლქს სთხოვა, ვინმე გაეგზავნათ, რათა მისთვის მინერალური წყლის საუკეთესო აბანო ექირავებინათ. აბანო, სულ ცოტა, სამი საათით უნდოდა, რადგან თმებს საღებავითა და ხნით იღებავდა. ალა ალ-მოლქმა ეს მისია მე დამაკისრა და მეც იქაური საუკეთესო აბანო, რომელსაც ერეკლეს აბანოს ეძახიან, მოვამზადებინე. დათქმულ დროს მეფისნაცვლის სასახლეში მივედი. ზღურბლთან მდგარ *კალიასკებში* გუბერნატორ ორლოვის ცხენები იყო შებმული. სეფაპსალარი და აწ განსვენებული მირზა ალი ასყარ ხანის მამა აყა ებრაჰიმი გარეთ გამოვიდნენ და *კალიასკაში* ჩასხდნენ. სეფაპსალარმა მითხრა, რომ მეეტლის გვერდით დავმჯდარიყავი. მე შევეპასუხე: „მეეტლის გვერდით ჯდომა არ შემეფერება, თანაკლასელებმა რომ დამინახონ, გაუკვირდებათ". ჩემი პასუხი ძალიან არ მოეწონა და გაღიზიანებულმა იგივე თავის საქმეთა მმართველს ალი ხანს სთხოვა. ალი ხანმა, რომელსაც ხელში სეფაპსალარის საცვლებითა და ფარჩის ტანსაცმლით სავსე ბოღჩა ეჭირა, ეს დავალება დიდ პატივად ჩათვალა და კოფოზე ამაყად დაჯდა. ალა ალ-მოლქმა, რომელიც მეეტლის გვერდით იდგა, მისაყვედურა, ქვეყნის პირველ მინისტრს როგორ შეეპასუხეო. მერე მკითხა: „აბანოს მისამართი თუ უთხარი?" ვუპასუხე: „არა, არ მითქვამს". თავში ხელები წაიშინა და მისაყვედურა: „ეს რა შავ დღეში ჩამაგდე! ვორონცოვის Worontsof ქუჩაზე რამდენიმე აბანოა და სრულიად შესაძლებელია, მისი აღმატებულება შეცდომით შევიდეს სხვა აბანოში, სადაც ადგილები არ იქნება და მაშინ რა მეშველება?!" მისი მღელვარება რომ დავინახე, აღარ დავაყოვნე და შაპის მხლებლებისთვის გამზადებულ ერთ-ერთ *კალიასკაში* ჩავჯექი, მაგრამ ორლოვის Orlov ცხენებს რას დავეწეოდი. გამწარებული დიდი თავადის *კალიასკას* ჩანჩალით მივსდევდი, სანამ ფქვილის მოედანს[349] არ მივაღწიე. რას ვხედავ, ხარებშებმულ ოცამდე ურემს, რომლებიც ფქვილით არის დატვირთული, გზა ჩაუხერგავთ და სადრ ა'ზამის *კალიასკაც* გაჩერებულია. ეს რომ დავინახე, ძველი ეგვიპტელებივით ხარის თაყვანისმცემელი გავხდი: მინდოდა, მივსულიყავი და მათ წინაშე დამეჩოქა, რომ მე და გენერალური კონსული გადაგვარჩინეს. ერთი საათი ვიდექით, სანამ პოლიციელები ხარებს გვერდზე გაიყვანდნენ. გზა რომ გაიხსნა, ეტლიდან ჩამოვედი, დიდი თავადის მეეტლესთან მივედი და ვუთხარი, რომ ერეკლეს აბანოში წასულიყო. მას შემდეგ, რაც *სადრ*

---

348 სასტუმრო „კავკაზი" (Hôtel du Caucase) 1858 წელს ერივანსკის მოედანზე სუმბათაშვილების სახლში ვინმე ფრანგმა გიიომმა გახსნა და ის 1917 წლამდე ფუნქციონირებდა. ახლა მისი ადგილი სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტის" მარჯვენა ნაწილს უკავია (დ. ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები*, თბილისი, 2011, 35-39).

349 იგულისხმება პურის მოედანი.

ა' ზამი და მისი მხლებლები აბანოში შევიდნენ, მე ალა ალ-მოლქთან დავბრუნდი და ყველაფერი მოვუყევი. ბევრი იცინა და მითხრა: „იღბალი გქონია. ახლა წადი და ხარებზე ილოცე".

მეორე შემთხვევა ასეთი იყო: სეფაპსალარის საქმეთა მმართველმა ალი ხანმა თბილისიდან გამგზავრების დღეს მითხრა: „ორი საწვიმარი ქოლგა გვჭირდება, ოღონდ აბრეშუმის კარგი ქოლგები უნდა იყოს და სახელურიც მდიდრული უნდა ჰქონდეს. წადი, მაღაზიის მეპატრონეს უთხარი, რომ რამდენიმე ცალი მოგვიტანონ და შევარჩევთ". წავედი ერთ ახლადგახსნილ მაღაზიაში, რომელშიც ძალიან კარგი საქონელი იყიდებოდა და მსახურს ვუთხარი, ქოლგები მეფისნაცვლის სასახლეში მოეტანა. დავალების შესასრულებლად სულ რამდენიმე წუთი დამჭირდა და ალი ხანმა ქოლგები სეფაპსალარს მიართვა. მან ორი ცალი აირჩია, დანარჩენები კი დააბრუნა. ქოლგები 50 მანეთი ღირდა, რადგან აბრეშუმის იყო. ალი ხანმა გვითხრა: „ქოლგების ფულს კონსული გადაიხდის, მაგრამ ახლა შაჰის გამგზავრებასთან დაკავშირებით დიდი ალიაქოთია, ამიტომ მაღაზიის მფლობელს უთხარით, რომ ცოტა მოიცადოს და როგორც კი დროს გამოვნახავ, წავალ და კონსულს ფულს გამოვართმევ". მე და მსახური ფულის მოლოდინში ვიყავით, რომ უცებ დავინახე: კონსული შაჰის კორტეჟთან ერთად *კალიასკაში* ჩაჯდა და პეტერბურგში გაემგზავრა. საგონებელში ჩავვარდი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. მსახურის თანხლებით მაღაზიის მეპატრონესთან წავედი და საქმის ვითარება ავუხსენი. შეწუხდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, კონსულის დაბრუნებას უნდა დალოდებოდა. როცა ორი კვირის მერე ალა ალ-მოლქი დაბრუნდა, მას ყველაფერი ვუამბე. თქვა: „მათ ჩემთვის ქოლგის ფული არ მოუციათ. გამყიდველმა უნდა მოითმინოს, სანამ მე ამ ამბავს პარიზში მივსწერ და ისინი ფულს გამოგზავნიან". ეს რომ მაღაზიის მეპატრონემ გაიგო, მითხრა: „*სადრ ა' ზამთან* და კონსულთან რა საქმე მაქვს, ქოლგები მე თქვენ მოგეცით და ფულიც თქვენ უნდა გადამიხადოთ". რადგან ამხელა თანხა არ მქონდა, ხელწერილი გამომართვა, რომ თანდათანობით გადავუხდიდი.

პეტერბურგიდან დაბრუნებულმა გენერალურმა კონსულმა ჩემდამი დიდი გულისხმიერება გამოიჩინა და მითხრა: „თუ *ყადი* თანახმა იქნება, სკოლის დამთავრებამდე საკონსულოში იცხოვრეთ. განკარგულებას გავცემ, ერთი ოთახი გამოგიყონ და სადილსა და ვახშამს ჩვენთან ერთად შეჭამთ. ჩემი ვაჟიშვილი ჯავად აყა რუსულ გიმნაზიაში Gymnase სწავლობს და რუსულ ენას ეუფლება. პარიზიდან მისთვის ჩამოვაყვანინე მასწავლებელი ქალი, რომელიც თან ფრანგულს ასწავლის და თან უვლის. თქვენ ჯავად აყას რუსულად დაელაპარაკებით, მასწავლებელს – ფრანგულად და ასე ფრანგულსაც გაიუმჯობესებთ". მისი შემოთავაზება ძალიან გამიხარდა. წავედი, *ყადისგან* ნებართვა ავიღე და ჩემი მცირე ბარგით საკონსულოში გადავედი. ფრანგი მასწავლებლის ჩამოსვლასთან დაკავშირებით საკონსულოში ცოტა სივიწროვე იყო, ამიტომ მე კონსულის პირველი თანაშემწის მირზა მოჰამად ხანის სამუშაო ოთახში დამასახლეს. ის თავის ოჯახთან ერთად ცალკე ბინას ქირაობდა და სამსახურში მხოლოდ დღისით რამდენიმე საათით მოდიოდა და საპასპორტო საქმეებს აგვარებდა. გენერალურ კონსულს პირადი მდივანიც ჰყავდა, რომელიც საკანცელარიო საქმეებს განაგებდა. როცა მირზა მოჰამად ხანი მუშაობდა, მე ან სკოლაში ვიყავი, ან – ჯავად აყასთან, ასე

რომ ერთმანეთს ხელს არ ვუშლიდით. გენერალურ კონსულს ხელფასზე ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ საკონსულოში გადასვლის მესამე დღეს ამ საკითხზე საქმეთა მმართველს მირზა ფაროხს დაელაპარაკა და დაავალა: „სანამ მირზა რეზას მოვალეობები გაირკვევა, მას ჯიბის ფულად თვეში 25 მანეთი და, ასევე, ყოველკვირა ერთი გირვანქა შაქარი და ცოტა ჩაი მიეცით". როცა მირზა ფაროხმა ეს სასიხარულო ამბავი მამცნო, ძალიან გამიხარდა. რადგან პარიზიდან გენერალური კონსულის წერილის პასუხი არ ჩანდა, მე კი ამ საკითხზე მასთან საუბრის განახლება მერიდებოდა, მირზა ფაროხს ვთხოვე: „მე დილაობით ჩაის არ ვსვამ, ამიტომ ჩაისა და შაქრის ფული ხელზე მომეცით". თანხმობა მივიღე თუ არა, წავედი და მაღაზიის მეპატრონეს შევუთანხმდი, რომ ვალის საფასურად ყოველ თვე ხუთ მანეთს გადავუხდიდი.

აწ განსვენებული ალა ალ-მოლქი, მართლაც, შვილივით მექცეოდა და თავის ვაჟისგან არ მასხვავებდა. ცირკში Cirque, თეატრში Theatre თუ სასეირნოდ ოთხნი დავდიოდით: *კალიასკაში მადმუაზელ* მასწავლებელი მის გვერდით ჯდებოდა, მე და ჯავად აყა კი – მათ წინ. ცირკსა და თეატრშიც ერთ ლოჟაში Loge ვსხდებოდით. ჯავად აყა ალა ალ-მოლქის ერთადერთი შვილი იყო და მამას ის გაგიჟებით უყვარდა. მან თეირანიდან სპარსული ენის მასწავლებელი გამოიძახა, რათა მის შვილს სპარსულად შირაზელივით ელაპარაკა. მასწავლებელი, რომელსაც ჯანაბს ეძახდნენ, ჯავად აყას სპარსულში ავარჯიშებდა, მაგრამ რადგან ჩემსავით ვერ წერდა, ალა ალ-მოლქმა გადაწყვიტა, რომ ჯანაბი ოფიციალური მასწავლებელი იქნებოდა, ხოლო მე – არაოფიციალური და მის შვილს ჩუმად ვასწავლიდი, რომ ჯავადს არ სწყენოდა. უნდა გითხრათ, რომ მე მანამდე თეატრში ნამყოფი არ ვიყავი. შემოდგომაზე, როცა თბილისის სახელმწიფო თეატრი გაიხსნა, ალა ალ-მოლქმა იქ *ლოჟა* შეიძინა და წავედით. მარია სტიუარტი გადიოდა[350] და მარიას როლს ასრულებდა რუსი *არტისტი* Artiste, რომელიც ძალიან მაღალი და ლამაზი იყო. იმ სცენების ხილვისას, როცა ინგლისის დედოფლის ელისაბედის ბრძანებით პროტესტანტმა მსაჯულებმა მარია სტიუარტს თავის მოკვეთის განაჩენი გამოუტანეს, როცა ჯალათებმა ის სიკვდილით დასჯის ადგილზე – ეშაფოტზე Echafaud მიიყვანეს და ბოლოს, როცა მარია სიკვდილის წინ უკანასკნელად ლოცულობდა, გული ისე ამიჩუყდა, რომ მთელი *ლოჟის* გასაგონად მოთქმა-გოდება დავიწყე. ალა ალ-მოლქი და *მადმუაზელი* მანუგეშებდნენ, მეუბნებოდნენ, მართლა კი არ მოკლავენო. ვუთხარი: „თვითონაც ვიცი, რომ არ მოკლავენ, მაგრამ რა ვქნა, ამ საწყალი დედოფლის ამბავმა გული დამითუთქა".

რამდენიმე დღის მერე ჯავად აყამ თავისი სავარჯიშო რვეული მომიტანა. გადავშალე და ვნახე, რომ ჯანაბს კალიგრაფიაში სავარჯიშოდ ასეთი ნიმუში ჩაეწერა:

> ამ ღამეს შენზე დარდით სისხლის ცრემლებში უნდა დავიძინო,
> და ბედნიერების სარეცლისგან შორს უნდა დავიძინო.

ეს ლექსი რომ წავიკითხე, რაღაც უცნაური გრძნობა დამეუფლა და მთელი ტანით ავკანკალდი. ის ნიმუში შევინახე, ფურცელი ავიღე, სხვა ნიმუში

---

[350] იგულისხმება ფ. შილერის ტრაგედია „მარია სტიუარტი".

ჩავუწერე და ვუთხარი: „ის არ ვარგოდა". ჯავად აყა წავიდა და ცოტა ხანში ჯანაბი მოვიდა. ვუსაყვედურე: „ბავშვს ასეთი მდარე ლექსი ნიმუშად როგორ მიეცით?"[351] ჯანაბმა მიპასუხა: „სიმართლე რომ გითხრათ, დავასრულე თუ არა, მაშინვე ვინანე, მაგრამ უკვე დაწერილი მქონდა".

ალა ალ-მოლქს თავისი ვაჟი მართლაც რომ თვალის ჩინზე მეტად უყვარდა. იმ დროს თბილისში ასეთი წესი იყო, რომ შეძლებული ხალხი ერთცხენიან ორადგილიან ლამაზ დაწნულ *კალიასკებს* ევროპაში უკვეთავდა და იქიდან ჩამოჰქონდა. საღამოობით ორი კაცი *კალიასკაში* ჯდებოდა და სასეირნოდ მიდიოდა. ჯავად აყას მასწავლებელი *მადმუაზელ* ლუიზა ძალიან პატივმოყვარე ქალი იყო და ჯავად აყა აიძულა, მამამისისთვის ასეთი *კალიასკა* ეთხოვა. ალა ალ-მოლქმაც ეტლი ევროპიდან გამოიწერა და მისთვის ერთი ყარაბაღული არაბული ცხენიც იყიდა. როცა ცხენი *დროშკაში* შეაბეს, *მადმუაზელ* ლუიზამ გამოაცხადა: მე თვითონ შემიძლია *კალიასკის* მართვა და მეეტლე არ მჭირდებაო. მან შემომთავაზა, მათთან ერთად გამესეირნა და მეც დავთანხმდი. სანამ მასწავლებელი ემზადებოდა, საკონსულოში ერთი ირანელი მოვიდა და გენერალურ კონსულს შესჩივლა, რომ ვიღაც სომეხმა მისი ვაჟი უმიზეზოდ სცემა. თურმე მან ეს ამბავი პოლიციას შეატყობინა, მაგრამ რადგან მამა-შვილმა რუსული არ იცოდა, პოლიციამ სომხის ნაცვლად მისი შვილი დააკავა. აბობოქრებული ირანელი რომ დაეშოშმინებინა, ალა ალ-მოლქმა მთხოვა, *მადმუაზელთან* ერთად ჯერ პოლიციაში წავსულიყავი და დაკავებული ირანელი გამომეხსნა. რადგან *მადმუაზელი* იგვიანებდა, ხოლო პოლიციის განყოფილება იქვე ახლოს იყო, ალა ალ-მოლქმა მითხრა: „ჩქარა წადით და მალე დაბრუნდით, რომ სასეირნოდ წასვლა მოასწროთ". საბედისწეროდ, პოლიციის უფროსი ადგილზე არ დაგვხვდა. მითხრეს, მალე მოვაო, მაგრამ სანამ მე მას ველოდებოდი და მერე ირანელის საქმეს ვაგვარებდი, საკმაო დრო გავიდა. საკონსულოში რომ დავბრუნდი, *ფარაშებმა* მითხრეს: „*მადმუაზელი* გელოდათ, მაგრამ რომ დაიგვიანეთ, გაბრაზდა და ჯავად აყასთან ერთად სასეირნოდ წავიდა". ვკითხე: „საით წავიდნენ?" მიპასუხეს: „მოჯთაჰედის ბაღისკენ". რაც ძალი და ღონე მქონდა, ფეხით გამოვედევნე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ყავახანასთან გაჩერდებოდნენ. მიხეილის (Mīkhāyyl Eskī) პროსპექტს რომ მივადექი, დავინახე, ვიღაც პოლიციელს მკერდშენგრეული გასისხლიანებული ცხენი და გატეხილი *შარაბანი* საკონსულოსკენ მიჰყავდა. ვკითხე: „რა ამბავია?" მიპასუხა: „კონსულის ვაჟმა და მისმა მასწავლებელმა ცხენი ვერ დაიმორჩილეს და მან *კალიასკა* გაიტაცა. სახელმწიფო საავადმყოფოსთან შეკრებილმა ხალხმა მათი დახმარება და ცხენის გაჩერება სცადა, მაგრამ ეტლი გაზის ლამპიონის ბოძს შეეჯახა და ამოტრიალდა, რის შედეგადაც კონსულის ვაჟმა ტვინი გაასხა, ხოლო მასწავლებელმა ფეხი მოიტეხა". ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავვარდებოდი. საავადმყოფოში გავიქეცი და დავინახე, რომ კიბეებს იმ საწყლების სისხლი ჯერ კიდევ არ შეხმობოდა. ჯავად აყას ნეშტი ერთ ოთახში ესვენა და პოლიციელი შიგ არავის უშვებდა, *მადმუაზელი* კი მეორე ოთახში საწოლში იწვა.

---

[351] მირზა რეზა ხანის გულისწყრომა, როგორც ჩანს, იმან გამოიწვია, რომ ლექსი გაუმართავია როგორც პოეტიკურად (სპარსული ლექსწყობის სისტემის – არუზის არც ერთ საზომში არ ჯდება), ისე შინაარსობრივად.

მასთან შეევედი და ვნახე, რომ ის უბედურ დღეზე გაჩენილი გატეხილ ფეხზე მეტად ჯავად აყას ამბავს განიცდიდა და მოთქვამდა: ღმერთო, მომკალი და უბედური მამამისის სახეს ნუ დამანახებო. ამასობაში ეს ამბავი საწყალმა მირზა მაჰმუდ ხანმა გაიგო, საავადმყოფოში მოვიდა და საავადმყოფოს დირექტორთან ერთად იმ ოთახში შეევიდა, სადაც ჯავად აყა ესვენა. როცა მამამ თავგატეხილი შვილი დაინახა, ერთი ამოიგმინა და თავი კედელს ისეთი ძალით მიანარცხა, რომ გაუსკდა და სისხლმა ჩანჩქერივით გადმოხეთქა. უბედური ალა ალ-მოლქი მიწაზე უგონოდ დაეცა. საავადმყოფოს ექიმები მისცვივდნენ, თავი შეუხვიეს და გონზე მოიყვანეს, მაგრამ საცოდავი მკვდარზე უარეს დღეში იყო. ექიმის თანხლებით ის საკონსულოში გადაიყვანეს და საწოლში ჩააწვინეს. ღმერთმა ყველა მამას აშოროს ასეთი უბედურება. როცა ოდეკოლონით Eau de cologne გონზე მოიყვანეს, საწოლიდან წამოხტა და საავადმყოფოში გაქცევას ლამობდა, მაგრამ მომვლელმა ექიმმა და საკონსულოს თანამშრომლებმა გააკავეს და ოთახში დააბრუნეს. საწყალი ტანზე ტანსაცმელს იხევდა და ისეთ დღეში იყო, კაცს მისი ამბავი რომ არ სცოდნოდა, გიჟი ეგონებოდა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, განკარგულება გასცა, რომ მისი ვაჟის ნეშტისთვის *ამბომე* Embaume (ბალზამირება) გაეკეთებინათ, რათა თავრიზში მათ საგვარეულო სასაფლაოზე დაესაფლავებინა. როცა ალა ალ-მოლქი ცოტა გონს მოვიდა და თავიც შეუხორცდა, ვაჟის ნეშტი თავრიზში გადაასვენა.

ალა ალ-მოლქის გამგზავრების მერე, მისი პირველი თანაშემწე მირზა მოჰამად ხანი საკონსულოს უფროსი გახდა. ის მუდმივად იმის შიშში იყო, რომ, ღმერთმა ნუ ქნას, ოდესმე მისი ადგილი არ დამეკავებინა, ამიტომ ყოველმხრივ მავიწროვებდა. მაგალითად, ჩვენი საერთო ოთახის გასაღებს, რომელიც, კონსულის განკარგულებით, ჩემ არყოფნაში სახლში წასვლის წინ *ფარაშბაშისთვის* უნდა დაეტოვებინა, არასდროს არ ტოვებდა და თან მიჰქონდა. რადგან საკონსულოდან საკმაოდ შორს ცხოვრობდა, სანამ ჩემ მიერ გაგზავნილი *ფარაში* მასთან მივიდოდა, გასაღებს გამოართმევდა და მომიტანდა, იძულებული ვიყავი, აივანზე ვმდგარიყავი. როცა ასეთ დროს ჩემთან თანაკლასელები და მეგობრები მოდიოდნენ, საშინლად მრცხვენოდა, რადგან ვერ ვუხსნიდი, რატომ არ ვპატიჟებდი ოთახში და რატომ ვიდექით გარეთ. ერთ დღეს მირზა ფაროხ ხანს ვუთხარი: „გთხოვთ, მირზა მოჰამად ხანთან წახვიდეთ და ჩემგან გადასცეთ, რომ კარგად ვიცი, ასე რატომ იქცევა: ეშინია, რომ დამაწინაურებენ, პირველ თანაშემწედ დამნიშნავენ და მის ადგილს დავიკავებ. მინდა იცოდეს, რომ მე უფრო მაღლა ვუმიზნებ, ვიდრე კონსულის პირველი თანაშემწეობაა. მას კი იმ დღის ეშინოდეს, როცა პირდაპირ გენერალური კონსული გავხდები და ის ჩემ წინაშე წარდგება, იმ დღის ეშინოდეს, როცა მისი საქციელი გამახსენდება და სამაგიეროს გადავუხდი". მირზა ფაროხ ხანმა შემომხედა და იფიქრა, რომ ვბოდავდი. მითხრა: „თქვენს დანაბარებს ვერ გადავცემ. კონსულის პირველ თანაშემწეს ასეთი სიტყვები როგორ შევკადრო, როცა მესამე თანაშემწეც კი არა ხართ". ერთი მხრივ, მართლაც უცნაური იყო ასეთი პრეტენზიების მოსმენა კაცისგან, რომელიც დილაობით ჩაის არ სვამდა და ჩაის ფულს მირზა ფაროხ ხანი ხელზე აძლევდა. ამ ყველაფერს ვაცნობიერებდი, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ცოტა უკან დამეხია და საკუთარი ნათქვამის შემრცხვენოდა, კიდევ ერთხელ ვუთხარი: „წადი და ჩემი

ნათქვამი მას მოახსენე". მართლაც, წავიდა და ჩემი დანაბარები მირზა მოჰამად ხანს გადასცა. ამ უკანასკნელმა ბევრი იცინა და შემომითვალა: გონს მოეგეო.

იმ დროისთვის, როცა მირზა მაჰმუდ ხანი თავრიზიდან დაბრუნდა, მე სკოლა უკვე დამთავრებული მქონდა და დიპლომი – აღებული. ფრანგულ-სპარსული ლექსიკონის შემდგენელი და კავკასიის სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე *მუსიო* ბერჟე[352], რომელიც წარმომავლობით გერმანელი იყო, სკოლის დამთავრების ცერემონიას ესწრებოდა და დიპლომი საკუთარი ხელით გადმომცა. კარაბაშოვმა შემთხვევით ისარგებლა და ძალიან მაქო, ამიტომ *მუსიო* ბერჟე ჩემდამი კეთილად განეწყო და თბილისში ჩამოსულ ალა ალ-მოლქს, რომელიც მას დიდ პატივს სცემდა, ჩემზე ბევრი საქებარი სიტყვა უთხრა. *მუსიო* ბერჟე კეთილი და საინტერესო კაცი იყო. ერთ დღეს ასეთ ისტორიას მოგვიყვა: „მსახური, რომელიც პეტერბურგიდან ჩამოვიყვანე, უკან გაბრუნდა და იძულებული გავხდი, ჩემი მოხელისთვის მეთხოვა, რომ სხვა მსახური ეპოვა. სხვათა შორის, ცნობილია, რომ კავკასიელი *პრინცების* უმრავლესობა ნამდვილი *პრინცი* არ არის. ამასთან დაკავშირებით ერთი ისტორია მახსენდება: ერთხელ ერთმა მებაღემ საქართველოს ერთ-ერთი პატარა სამთავროს ხელმწიფეს ადრეული ვაშლებით სავსე კალათა მიართვა. მეფემ დედოფალს უთხრა: თუ ფული გაქვს, ამ კაცს ხუთი მანეთი მიეციო. დედოფალმა დაიფიცა, რომ ერთი კაპიკიც კი არ ჰქონდა. რადგან ფული არც ხელმწიფეს აღმოაჩნდა, დედოფალს ჰკითხა: რა ვქნათ? დედოფალმა უპასუხა: მოდი, ხუთი მანეთის ნაცვლად, *პრინცის* ტიტული ვუბოძოთო. იმ დროს კავკასიაში ხელმწიფე სამგან იჯდა: თბილისში, სამეგრელოში და აფხაზეთში. როცა თბილისის ხელმწიფე ერეკლემ რუსეთთან ხელშეკრულება დადო და მთელი საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ გადასცა, საქართველოს დიდგვაროვნებმა, რომლებიც მანამდე *ბეგის* ტიტულს ატარებდნენ, რუსეთის ქვეშევრდომობის მიღების შემდეგ ძველი ტიტულები დაკარგეს, რამაც მათ შორის დიდი მითქმა-მოთქმა და პროტესტი გამოიწვია. ეს ისტორია თავად ქართველებისგან მაქვს მოსმენილი. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მეფისნაცვალს უბრძანა, რომ ყველასთვის, ვინც ადრე *ბეგი* იყო, *კნიაზის* ტიტული მიენიჭებინათ. მისი ეს ქმედება ორი მოსაზრებით იყო ნაკარნახევი: ერთი ის, რომ ამ შემთხვევაში ქართველი თავადები რუსეთის ქვეშევრდომობას მთელი სულითა და გულით, სიხარულით მიიღებდნენ, მეორე კი – ის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიაში ბატონობის პერიოდში საადგილმამულო ბანკი გახსნა, *კნიაზებად* ქცეულმა *ბეგებმა* კი, რომლებმაც მინათმოქმედებას და მესაქონლეობას თავი გაანებეს, თავიანთი მამულები ბანკში დააგირავეს და ფული აიღეს. ასე ქართველი თავადების ქონება რუსეთის კუთვნილება გახდა. ეს ყველაფერი ჩანართი იყო, ახლა კი დავუბრუნდეთ *მუსიო* ბერჟეს ისტორიას. მან გვიამბო: მოხელემ მომიყვანა ერთი *კნიაზი*, რომელსაც უნდოდა, რომ ჩემი მსახური გამხდარიყო. *კნიაზმა* მითხრა: ერთი პირობით 10 მანეთად ვიმუშავებ,

---

[352] ადოლფ ბერჟე (1828-1886), ცნობილი რუსი ისტორიკოსი, არქეოლოგი და აღმოსავლეთმცოდნე, მამით ფრანგი და დედით გერმანელი იყო. ის დაიბადა პეტერბურგში და გარდაიცვალა თბილისში. 1846 წლიდან იყო კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე.

მეორე პირობით კი – 5 მანეთად. თუ პატივისცემით მომექცევით და დავალების მოცემისას *ალტუს*-ს[353] დამიძახებთ, 5 მანეთს გამოგართმევთ, ხოლო თუ სხვა მსახურებივით მომმართავთ – 10 მანეთს. ვუპასუხე: ორი მიზეზით პირველ პირობაზე დაგთანხმდებით: ერთი, სახალისოდ და მეორე, ეკონომიისთვის. მას შემდეგ, ყოველ დილით, როცა ვდგები, მსახურს ვეძახი: *ალტუს*, ფეხსაცმელი გამიწმინდე და მომიტანე. ასე, რომ მიცემულ სიტყვას კეთილსინდისიერად ვასრულებ, ოღონდ ერთი პირობა დავუდე, რომ უცხოელი სტუმრის თანდასწრებით სახელს დავუძახებდი და დამთანხმდა".

თბილისში დაბრუნებული მირზა მაჰმუდ ხანი მართლაც რომ შვილივით მეექცეოდა და მეუბნებოდა, შენ ჩემთვის ჯავად აყას მოსაგონარი ხარო. რადგან ჯულფაში შაჰის დახვედრის ცერემონიაში მივიღე მონაწილეობა, ჩემი სახელი უზენაესი კორტეჟის მხლებელთა სიაში ჩაწერა და ერთ დღესაც, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, თავისთან დამიბარა, სტანისლავის (Estānīlās) მესამე ხარისხის ორდენი გადმომცა და ჩემს ცხოვრებაში პირველი ორდენის მიღება მომილოცა. მართალია, ეს ყველაზე პატარა რუსული ორდენი იყო, მაგრამ რადგან კავკასიელ მუსლიმებს რუსული ორდენებით ძალზე იშვიათად აჯილდოვებდნენ, მისი მიღება ძალიან გამიხარდა. ჩემს ბალიშს მივაკერე და ღამ-ღამობით რამდენჯერაც თვალს გავახელდი, ორდენს შევხედავდი და ისევ ვიძინებდი. რამდენიმე თვის შემდეგ გენერალურმა კონსულმა კვლავ დამიბარა და ამჯერად გადმომცა ლომ̣ისა და მზის მეხუთე ხარისხის ორდენი და *ფირმანი*, რომლითაც მე საკონსულოს მესამე თარჯიმნად ვინიშნებოდი და *მირზას* ტიტულს ვიღებდი. გენერალურმა კონსულმა მითხრა: „თქვენ საკონსულოს პირველი თარჯიმანი ხართ, რომელიც შაჰის *ფირმანითა* და *სადრ ა'ზამის* ხელმოწერით დაინიშნა. ჩვეულებრივ, ასეთ ბრძანებულებებს საგარეო საქმეთა სამინისტრო გასცემს, მაგრამ მე ეს სპეციალურად გავაკეთე, რადგან თუ სხვა ადგილას გამაგზავნიან, ჩემმა შემცვლელმა საკუთარი ნება-სურვილით ვეღარ გაგათავისუფლოთ".

როცა სკოლაში ვსწავლობდი და *ყადისთან* ერთად მირზა ფათჰალი ახუნდოვის სახლში ვცხოვრობდი, ყოველ საღამოს ჩვენი ანბანის ნაკლოვანებებზე ლაპარაკს ვისმენდი. ამ საუბრებმა ირანის ანბანის შეცვლა და შესწორება გადამაწყვეტინა და სპარსულ ენაზე ერთი ტრაქტატი დავწერე: ლათინური ასოების უმრავლესობა და რამდენიმე რუსული ასო გადავარჩიე და მათი მეშვეობით ახალი ანბანი შევადგინე. ტრაქტატს, რომელიც სახელმძღვანელოს ტიპის იყო, სახელად „ჭეშმარიტების გზა" ვუწოდე. ნაშრომი გენერალურ კონსულს ვუჩვენე და მისი სტამბოლში გაგზავნისა და გამომცემლობა „ახთარ"-ში დაბეჭდვის ნებართვა ვთხოვე. კონსული დამყაბულდა და მითხრა: „ვხედავ, რომ ამ საქმით ანთებული ხარ და მინდა, რომ ხელი შეგიწყო".

იმ დროს რუსული პოლიცია, ადგილობრივი კანონების შესაბამისად, ირანელების მიერ თეირანში, თავრიზში ან საზღვარზე აღებულ პასპორტებს არ ცნობდა და ამის მიზეზად ის მოჰყავდა, რომ ირანში აღებული პასპორტების მეშვეობით აქაური სომხები, ქართველები და თათრები სამხედრო სამსახურსა და სხვა ვალდებულებებს თავს არიდებდნენ. დღესაც კი ამ პასპორტების სან-

---

[353] ალტუს (altus) ლათინური სიტყვაა და კეთილშობილს ნიშნავს.

დოობაზე პასუხს არავინ აგებს, რადგან მათში გაცემის ადგილი და ხელმომწერის ვინაობა მითითებული არ არის. როცა რუსეთის მოქალაქეებისგან ასეთ ყალბ პასპორტებს ვიღებდით, დაუყოვნებლივ თეირანში რუსეთის საელჩოში ვაგზავნიდით, მაგრამ იქ მათ არავინ ცნობდა. ამიტომ კავკასიის პოლიციის უწყებამ დაადგინა, რომ სანამ პასპორტს საკონსულო გასცემდა და კავკასიის პოლიცია დაამოწმებდა, ირანის საკონსულოს პასპორტის მფლობელისთვის ჯერ [დროებითი] მოწმობა და მერე ერთწლიანი დოკუმენტი უნდა მიეცა. ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ დადგენილების შესახებ საქმის კურსში იყო და მოწმობის ფასი ერთი მანეთით განსაზღვრა. ალა ალ-მოლქის ბრძანებით, მთელ ამ მოწმობებს, რომლებიც არა ნაბეჭდი, არამედ ხელნაწერი უნდა ყოფილიყო, მე ვწერდი და ყოველი მეათის საფასურსაც ვიღებდი, რამაც ჩემი შემოსავალი საგრძნობლად გაზარდა. თბილისსა და კავკასიაში იმ დროს ძალიან ბევრი ირანელი იყო, ამიტომ მუშაობა ხან ღამის ორ საათამდე, ხან კი დილამდე მიწევდა. რაც მეტ მოწმობას ვწერდი, ალა ალ-მოლქი მით უფრო კმაყოფილი იყო, რადგან მეტი ფული მრჩებოდა. ამის გამო საკონსულოს თანამშრომლებს ჩემი შურდათ, მაგრამ მათი უფროსის ჩემდამი კეთილგანწყობის გამო ვერაფერს აკეთებდნენ.

იმ პერიოდში რუსეთსა და ოსმალეთს შორის ყარსის ბრძოლის სახელით ცნობილი შეტაკება გაიმართა. ყარსში ოსმალეთის ლაშქრის დამარცხების შემდეგ[354], იქიდან დაახლოებით 10000 ტყვე ჩამოიყვანეს და თბილისის გარეუბანში კარვებში დაასახლეს. რადგან რუსმა ოფიცრებმა მათი ენა არ იცოდნენ, ტყვეების ზედამხედველებად თურქულის მცოდნე კავკასიელი სომხები დანიშნეს. *ეტამაჟორის*[355] (შტაბის) უფროსმა ალა ალ-მოლქს მისწერა და სთხოვა, მისთვის გაეგზავნა თურქულის მცოდნე სანდო პირი, რათა ის რუს ოფიცრებს ტყვეების მდგომარეობის შესამოწმებლად გაჰყოლოდა და სომხების მათდამი მოპყრობის შესახებ გამოეკითხა. ალა ალ-მოლქმა მე წარმადგინა და ერთ *პოლკოვნიკთან* და ორ *პოდპოლკოვნიკთან* ერთად ტყვეების ბანაკში წავედი. როგორც გაირკვა, სომხები ამ საწყლებს საშინლად ექცეოდნენ: საკმარის საკვებს არ აძლევდნენ, ძირითადად აშიმშილებდნენ, უმიზეზოდ სცემდნენ და დღიურ ოც კაპიკს, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ მათ ჯიბისა და თამბაქოს ფულად გამოუყო, ან საერთოდ არ აძლევდნენ, ან შუაზე უყოფდნენ და ნახევარს თვითონ ითვისებდნენ. როცა ჩემი *რაპორტი* (raport) კავკასიის მეფისნაცვალს წარუდგინეს, ბრძანა, რომ სომხები ტყვეების ზედამხედველობიდან ჩამოეშორებინათ და მათ ადგილზე რუსები დაენიშნათ. მეფისნაცვალმა გენერალურ კონსულს სთხოვა, ჩემთვის ნება დაერთო, რომ კვირაში ერთხელ ბანაკი შემემოწმებინა და რაპორტი დამეწერა. რამდენიმე თვის შემდეგ ზავი დაიდო და ტყვეები სამშობლოში დაბრუნდნენ. ოსმალეთის ხელისუფლებამ თბილისში საკუთარი გენერალური კონსული დანიშნა. ალა ალ-მოლქთან პირველივე ვიზიტის დროს მან ჩემი ნახვა მოისურვა და გაწეული სამსახურისთვის მაჯიდიეს IV ხარისხის ორდენი გადმომცა. ოსმალეთის კონსულმა მადლიერების ნიშნად შემომთავაზა, რომ

---

354 იგულისხმება ყარსის აღება რუსეთის არმიის მიერ 1877 წლის ნოემბერში.

355 ეტამაჟორი (état-major) ფრანგულად შტაბს ნიშნავს.

ჩემს ტრაქტატს, რომელსაც თბილისში ფრანგულ ენაზე ვბეჭდავდი, სტამბოლში ქემალ ფაშას გაუგზავნიდა. ქემალ ფაშა იმ დროს ოსმალეთის განათლების მინისტრი იყო და მოგვიანებით *სადრ ა'ზამი* გახდა. მერიდებოდა, რომ გენერალური კონსულის მესამე თანაშემწეს ისეთი დიდი ადამიანისთვის, როგორიც ქემალ ფაშა იყო, პირდაპირ მიმეწერა, მაგრამ თურქეთის კონსულმა გამაბედინა. წერილი დავწერე და ოსმალეთის საკონსულოს საშუალებით გავაგზავნე. ქემალ ფაშასგან პასუხად ისეთი აღტაცებული შეფასება მივიღე, სულ რომ არ ველოდი. მისმა პასუხმა გამათამამა და ტრაქტატის ერთი ნუსხა და ქემალ ფაშას წერილის ასლი გავუგზავნე თეირანში სანი' ად-დოულე მოჰამად ჰასან ხანს, რომელიც მერე ე'თემად ას-სალთანე გახდა. იმ დროს თეირანში ერთი ოფიციალური გაზეთი, სახელად „ირანი" გამოდიოდა. მისი რედაქტორი ზაქა ალ-მოლქის მამა მოჰამად ჰოსეინ ხანი გახლდათ. ჩემდა გასაკვირად, მან თავისი გაზეთის ერთი სვეტი ჩემი და ჩემი ტრაქტატის ქებას დაუთმო. სწორედ ამ პერიოდში ლონდონში ირანის ელჩმა *პრინც* მალქომ ხანმა, რომელიც თეირანში იყო გამოძახებული და ახლა ლონდონში ბრუნდებოდა, გზად რამდენიმე დღე თბილისში გაატარა, რადგან მისი ძმა ესქანდერ ხანი ავად გახდა და მისთვის უნდა ემკურნალათ. მასაც ანბანის შესწორების საკითხებზე წიგნი ჰქონდა დაწერილი და თავადაც ახალი ანბანის ავტორი იყო, ამიტომ ჩემი ტრაქტატის სპარსული ვარიანტი მივართვი და მოვახსენე, რომ ფრანგული თარგმანი ახლა იბეჭდებოდა. მან ჩემს ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა და მის ნათქვამს სიტყვასიტყვით მოვიტან:

„ბატონო მირზა რეზა ხან, მსხვერპლადაც შეგეწირებით. თქვენ ჩვენი ეპოქის სიახლეების შესახებ კარგად მოგეხსენებათ და, უეჭველია, გესმით, რომ ყველა ადამიანს სახელის გარდა გვარიც უნდა ჰქონდეს. გვარის საჭიროებისა და დადებითი მხარეების ახსნით თავს აღარ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ თქვენი გვარისთვის რომელიმე სიტყვა შეარჩიოთ. თქვენი მრავალმხრივი ღირსებების გათვალისწინებით შესაფერის გვარად *დანეში*[356] მესახება. ამიერიდან მე თქვენ ყოველთვის მირზა რეზა ხან დანეშად მოგიხსენიებთ და ღმერთმა ქნას, რომ თქვენმა მოწყალებამ ეს ბრწყინვალე სახელი სულ უფრო და უფრო მეტი პატივით შეამკოს. 1299 წლის 1 რამაზანი (1882 წლის 17 ივლისი), ნაზემ ად-დოულე მალქომი".

როცა ჩემი წიგნი სპარსულ და ფრანგულ ენებზე დაიბეჭდა, ალა ალ-მოლქის რჩევით მის უდიდებულესობა *ვალიაჰდ* მოზაფარ ად-დინ მირზას მივუძღვენი და მირზა ფაზლოლაჰ ხან ვაქილ ალ-მოლქის მეშვეობით მას მივართვი. სანაცვლოდ მივიღე *ფირმანი*, რომლითაც *ვალიაჰდის* მთავარი ადიუტანტის თანაშემწის თანამდებობა მიწყალობეს. ამ თანამდებობის პირებს ძალიან ლამაზი და მოხდენილი უნიფორმა ეცვათ და ჩემთვისაც შეეკერინე. ერთ საღამოს ერთმა *კნიაზმა* თავისთან დამპატიჟა და მასთან ახალ ფორმაში გამოწყობილი წავედი. როცა იქ შეკრებილმა ახალგაზრდა ოფიცრებმა დაინახეს, რომ სახლის პატრონის ცოლი ჩემდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა, შურით აღივსნენ და ამ ქალბატონის წინაშე ჩემი დამცირება მოინდინეს. ერთმა მათგანმა ხმამაღლა მკითხა, რომელ სამხედრო სასწავლებელში სწავლობდითო, თუმცა კარგად იცოდა, რომ

[356] დანეშ (dānesh) სპარსულად ცოდნას ნიშნავს.

იმ დროს ირანში სამხედრო სასწავლებელი არ იყო და სამხედრო თანამდებობები მხოლოდ საპატიო წოდებას წარმოადგენდა. ვუპასუხე: „ბატონო, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ სწორედ ახლა, როცა ბედს რამდენიმე წუთი მოვსტაცე და ამ თავაზიან ქალბატონთან საუბარი მეღირსა, გინდათ, რომ დრო სისულელეებზე დამაკარგვინოთ. მე ირანის გენერალურ საკონსულოში ვცხოვრობ და თუ ეს საკითხი ძალიან გაინტერესებთ, ხვალ ათ საათზე საკონსულოში მოდით და იქ გიპასუხებთ". მოკლედ, იმის მაგივრად რომ მე დავემცირებინე, უფრო საკუთარი თავი დაიმცირა. ქალბატონმა შექების ნიშნად ტაში დამიკრა, თუმცა ჩემი პასუხი იძულებით იყო ნაკარნახევი. მთელი ღამე ვიტანჯებოდი. ერთი მხრივ, *ვალიაჰდის* ადიუტანტის თანაშემწის თანამდებობა და ეს ტანსაცმელი მიხაროდა, მეორე მხრივ კი სინდისი მქეჯნიდა: ფორმა, რომელიც არ მეკუთვნის, რატომ მაცვია-მეთქი. გადავწყვიტე, შეძლებისდაგვარად, სამხედრო საქმე შემესწავლა. ალა ალ-მოლქის მეგობრებს შორის, რომლებიც საკონსულოში მოდიოდნენ, ერთი *ეტამაჟორის* (სამხედრო შტაბის) პოლკოვნიკი იყო. მისი კეთილგანწყობით ვისარგებლე, სახლში ვეწვიე და ჩემი გაჭირვება მოვუყევი. ჩემმა მონათხრობმა პოლკოვნიკი ძალიან გაამხიარულა, ბევრი იცინა და მითხრა: „ამ საქმეს მე ვითავებ და რაც საჭიროა, ყველაფერს გასწავლით". დიდი მადლობა გადავუხადე და მოკრძალებით შევბედე: „ახლა, როცა ჩემდამი ასეთი სიკეთე გამოიჩინეთ, გთხოვთ, სწავლის თვიური საფასური განმისაზღვროთ, რომ დათქმულ დროს თქვენთან სიარული არ მომერიდოს". თავიდან უარზე იყო, მაგრამ დავიჟინე, ანაზღაურების გარეშე თქვენ შეწუხებას ვერ გავბედავ-მეთქი და დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ფულს თვიურად კი არა, სწავლის დასრულების მერე ერთბაშად გადავუხდიდი. ასე დავიწყე სამხედრო საქმის შესწავლა. პოლკოვნიკი დღეში ერთ საათს *კადეტსკი კორპუსის* სკოლის პროგრამით მამეცადინებდა. თავდაპირველად თავის იარაღის საწყობში წამიყვანა, სათითაოდ ყველა სისტემის იარაღი დამათვალიერებინა და მათი მუშაობის მექანიზმი – თოფისნამლის ჩადება და ჩახმახის მეშვეობით გასროლა – ამიხსნა. ჯერი *ბერდანკას*[357] ტიპის შაშხანაზე მიდგა. ის შემდეგნაირად იტენებოდა: ჩახმახის ზამბარას ქვევით სწევდი, თოფი იხსნებოდა, შიგ ვაზნას დებდი, ზამბარას მაღლა სწევდი და იარაღი ისროდა. გარდა ამისა, მასწავლა ჯარისკაცების მარშირება, როგორც იარაღით, ისე უიარაღოდ, და, ასევე, მისალმების წესი. როცა ეს ყველაფერი ვისწავლე, ორი სქელტანიანი სამხედრო წიგნი მომცა: ერთი *მილიტარული* ტაქტიკის (სამხედრო ტაქტიკის) და მეორე *მილიტარული* ადმინისტრაციის (შტაბში სამსახურის ტექნიკის) სფეროში.

ჩვენი მეცადინეობები ჩემ თეირანში წასვლამდე გაგრძელდა. მე და პოლკოვნიკი ხშირად დავდიოდით წმინდა დავითის ანუ შეიხ სანაანის მთაზე[358], ერთ ჯარისკაცს თან *რევოლვერი* (თოფი) მოჰქონდა და მიზანში სროლის წესებს მასწავლიდა. ერთ დღეს პოლკოვნიკმა მითხრა: „დღევანდელ რუსეთში დიდ მნიშვ-

---

357 ბერდანა/ბერდანკა ამერიკელი პოლკოვნიკის ჰ. ბერდანის გამოგონილი ერთვაზნიანი შაშხანაა, რომლითაც 1870-90-იან წლებში რუსეთის არმია იყო შეიარაღებული. ამის გამო მას „რუსულ შაშხანას" ეძახდნენ.

358 იხ. შენიშვნა 50.

ნელობას ანიჭებენ ცეკვის ცოდნას, რადგან ყოველ საღამოს იმართება საცეკვაო მეჯლისები, რომლებზეც კადრილს Quadrille, ვალსს Valse და ვენგერკას Venguerka ცეკვავენ". სამხედროები ყველა ცეკვას ვენგერკას ამჯობინებდნენ. მაშინდელი კადრილი ხუთფიგურიანი იყო. თავად მას ცეკვა გერმანელი მასწავლებლის ბოლდუინისგან (Boldüyn) ჰქონდა ნასწავლი. პოლკოვნიკმა მითხრა: „კაცს სიარულზე ეტყობა, სამხედროა თუ არა. ჯარისკაცი მარშირებებზე სწავლობს, ოფიცრის ამა თუ იმ ბრძანებაზე რომელი ფეხი წინ გადადგას და რომელი – უკან. მარშირებებზე ნასწავლი მოძრაობა მას ცეკვის დროსაც ადგება და მოცეკვავეს ყოველთვის ეტყობა, სამხედროა თუ არა".

ალა ალ-მოლქი რამდენიმეწლიანი სამსახურის შემდეგ თეირანში დაბრუნდა და მის ნაცვლად გენერალური კონსულის თანამდებობა აწ განსვენებულმა ალა ას-სალთანემ დაიკავა. ამ დროისათვის მე კონსულის პირველი თანაშემწის მოვალეობას ვასრულებდი. თბილისში ჩამოსვლამდე ალა ას-სალთანე ბაღდადის კონსული იყო და, რადგან ცხენები ძალიან უყვარდა, იქიდან სამი არაბული ცხენი, *ჩალვადარი* და მეჯინიბე ჩამოიყვანა. ერთ-ერთი ცხენი ძალიან ლამაზი და ჯიშიანი იყო. იმ დროს მეც ერთი სალმასური ცხენი მყავდა და დროდადრო ოფიცრებთან და *მადმუაზელებთან* ერთად ვსეირნობდი. ალა ას-სალთანემ მითხრა: „თქვენი ცხენი არაფრად ვარგა, გაყიდეთ და როცა დაგჭირდებათ, ჩემი ცხენებით ისარგებლეთ". მისი ცხენებისადმი სიყვარული რაში გამოიხატებოდა, ვერ გავიგე, რადგან სანამ თბილისში იყო, ზედ ერთხელაც არ შემჯდარა და მის ცხენებს თავლაში უქმად დგომისგან რამე რომ არ დამართნოდათ, *ჩალვადარი* და მეჯინიბე ასეირნებდნენ.

ერთ დღეს მეფისნაცვლის სასახლეში მიღებაზე ვიყავით. მასპინძლის ცოლმა *მადმუაზელ* ტაუბე Taube და მისი ძმა წარმომიდგინა და მითხრა: „ეს ქალბატონი *იმპერატრიცას* ფრეილინაა, მისი ძმა კი სამართლის სკოლის წარჩინებული მოწაფეა. ისინი კავკასიაში მოგზაურობენ და ორი კვირა თბილისში დარჩებიან. *მადმუაზელი* პეტერბურგში ცხენზე ხშირად ზის და უნდა, რომ აქაც ცხენით ისეირნოს. კარგი იქნება, თუ ქალაქის შემოგარენს და ლამაზ ადგილებს დაათვალიერებინებთ". ალა ას-სალთანეს წყალობით, ცხენები მყავდა და ორივე სასეირნოდ დავპატიჟე. *მადმუაზელმა* მითხრა: „მე ქალის უნაგირი მაქვს ჩამოტანილი და გამოგიგზავნით. ხვალ ცხენები მოიყვანეთ მეფისნაცვლის სასახლესთან, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ და აქედან ერთად გავისეირნოთ". მათი თბილისში ყოფნის განმავლობაში ოთხ-ხუთჯერ შევხვდით და ჩემით ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. განსაკუთრებით მოეწონათ არაბული ცხენები, რომლებიც მართლა ულამაზესები იყვნენ. ამ ქალბატონს ჩემი პეტერბურგში ელჩობის პერიოდში ალექსანდრე მესამის კორონაციაზე შევხვდი. დიდი პატივი მცა და იმპერატორთან და *იმპერატრიცასთან* დიპლომატიური საქმეების მოგვარებაში დამეხმარა.

თეირანში ჩემ დაბრუნებამდე რამდენიმე თვით ადრე თბილისში არქეოლოგიური კონგრესი Archeologues congres გაიმართა[359] და მასზე დასასწრებად რუსეთიდან უამრავი მეცნიერი ჩამოვიდა. თბილისის გუბერნატორმა საკონსულოში

---

[359] რუსეთის მეხუთე არქეოლოგიური ყრილობა გაიმართა თბილისში 1881 წლის სექტემბერში.

წერილი გამოგზავნა და ირანის მხრიდან კონგრესზე ერთი კაცი დაპატიჟა. ალა ას-სალთანემ მე წარმადგინა. პირველ რიგში კონგრესის მონაწილეებმა ქრისტიანული ეკლესია და სასაფლაო მოინახულეს, რამდენიმე ძველი საფლავი გახსნეს და დაათვალიერეს. როგორც კი გახსნილ საფლავს ჰაერი მოხვდა, მიცვალებულების ძვლები დაიშალა და ნაცრად იქცა. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ეს საფლავები ათასწლეულებს ითვლიდა.

კავკასიაში საუკეთესო ღვინო კახეთის Kakhet ღვინოა და კავკასიელები მას დიდი რაოდენობით სვამენ. აქ ასეთი წესია, რომ ჩამოსულ სტუმრებს ღვინით უმასპინძლდებიან. კონგრესის მონაწილეებისთვის სადილად და ვახშმად წითელი და თეთრი კახური ღვინო მიჰქონდათ და ეტიკეტებს უჩვენებდნენ, რომ სტუმრებს ღვინის ასაკი თავად ენახათ. აქ ყველა დიდგვაროვანს საკუთარი ღვინის სათავსი აქვს და სტუმრის პატივისცემა იმით განისაზღვრება, მასპინძელი მას რამდენად ძველ ღვინოს დაალევინებს. მოკლედ, განურჩევლად ყველა მონაწილეს, როგორც ასაკოვან *პროფესორს*, ისე ახალგაზრდას აიძულებდნენ სათვალე მოემარჯვებინა და ბოთლზე მიკრული თარიღი ენახა. საქმე იქამდე მივიდა, რომ კონგრესის ბოლო დღეს თბილისის ილუსტრირებულ გაზეთში დაიბეჭდა სურათი, რომელზე გამოსახულ კოშკზეც აგურის ნაცვლად კახური ღვინის ბოთლი ეხატა. კოშკს შემოხვეული პროფესორებიდან ზოგს სათვალე, ზოგს კი დურბინდი მოემარჯვებინა და, ძეგლის ნაცვლად, ბოთლის ეტიკეტებს ათვალიერებდნენ. კონგრესის მონაწილეთა ნაწილს ეს ხუმრობა მოეწონა და გაიცინა, ნაწილმა კი შეურაცხყოფად მიიღო და ხელისუფლებას გაზეთის ჟურნალისტის დასჯა მოსთხოვა.

როცა ქუთაისში (Kūtāys) ჩავედით, მოვინახულეთ ერთი მთა, რომლის წვერზეც ძველი ტაძარი იდგა. მთის ძირში ცხენები დაგვახვედრეს, ზედ დავსხედით და ტაძრისკენ გავემართეთ. ქუთაისის ეს მხარე ტყით იყო დაფარული და რადგან შემოდგომა იდგა, ხეები სხვადასხვაფრად ყვაოდა. ათამდე განსხვავებული ფერის ფოთლებისგან იქაურობა ისეთი ლამაზი იყო, კაცს საკუთარი თვალით რომ არ ენახა, ასეთ წარმტაც სანახაობას ვერ წარმოიდგენდა. ქუთაისიდან ბორჯომამდე (Būrzhūm) და აბასთუმნამდე ('Abās Tūmān) სულ ასეთი ბუნება იყო. აქაური ტყე ევროპულისგან იმით განსხვავდება, რომ მასში ბევრი მსხმოიარე ხეა, განსაკუთრებით კაკალი და თხილი, და ამით ის ირანის ტყეებს ჰგავს. გზაზე იმდენი ველური მარწყვი იყო, რომ ცხენებიდან ჩამოვდიოდით, ვკრეფდით და ვჭამდით.

სტუმრების სიმრავლისა და *ჰოტელსა* და ქალაქის თვითმართველობის შენობაში ოთახების სიმცირის გამო მე და *მუსიე* ბარონი ტაუბე ერთ ოთახში მოგვათავსეს. საბედნიეროდ, ძალიან თავაზიანი და კარგად აღზრდილი ახალგაზრდა აღმოჩნდა. დილით ჩემზე ადრე ადგა და ძილ-ღვიძილში დავინახე, რომ თავის ფეხსაცმელებთან ერთად ჩემიც აიღო და იმის მაგივრად, რომ მსახურისთვის მიეცა, თავად გაწმინდა ვაქსით. პეტერბურგში ჩემი ელჩად ყოფნის დროს ამ კაცს გენერალური პროკურორის თანამდებობა ეკავა.

ჩემ კონგრესზე ყოფნას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ქუთაისში და მის შემოგარენში ვიპოვეთ ორი დანგრეული კედელი, რომელიც მეჩეთისა და ორი *მიჰრაბის* ნაშთი აღმოჩნდა. *მიჰრაბის* თავზე და გარშემო ქუფური დამწერლობით ყურანის

აიები ეწერა. საბედნიეროდ, შენობის აშენების თარიღი შემორჩენილი იყო. აიები წავიკითხე, ნასხითა და ლათინური შრიფტით ჩავწერე და მნიშვნელობაც მივუწერე. დიდხანს ითათბირეს და დაასკვნეს, რომ ნანგრევები განეკუთვნებოდა ომაიანების[360] ბატონობის პერიოდს, როცა ისლამური ლაშქარი აქ ჩამოვიდა და ეს მეჩეთი ააგო. მეჩეთის ადგილმდებარეობიდან დადგინდა, რომ ქუთაისი ძველად ბევრად უფრო დიდი და აყვავებული იყო, ვიდრე ახლაა.

ამაობაში ალა ალ-მოლქის ტელეგრამა მივიღე. მწერდა: „ნასერ ად-დინ შაჰის ძმა უფლისწული 'ეზ ად-დოულე უზნაეს კორტეუთან ერთად მოსკოვში ალექსანდრე მესამისთვის გამეფების მისალოცად მიემგზავრება და რადგან მათ რუსული ენის თარჯიმანი არ ჰყავთ, ნაზემ ად-დოულეს ვთხოვე, რომ ეს მისია თქვენ დაგაკისრონ. გაემზადეთ და გაემგზავრეთ". ტელეგრამა ალა ას-სალთანეს ვაჩვენე. მან საგარეო საქმეთა სამინისტროს მისწერა: „გთხოვთ, რუსეთში მეც გამაგზავნოთ, რადგან თბილისში ახალი ჩამოსული ვარ და კარგად არ მიცნობენ, ამიტომ კორონაციაზე ჩემი თანაშემწე რომ გაემგზავროს და მე დავრჩე, კავკასიელების თვალში დავმცირდები". მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და სამხედრო ატაშე *სართიფი* მოსტაფა ყოლი ხანი, რომელიც არდებილის გუბერნატორი და ირანის ოფიცერი იყო, მრჩეველი მირზა ჯავად ხან სა'ად ად-დოულე, ალა ას-სალთანე და თქვენი მონა-მორჩილი მოსკოვში გავემგზავრეთ...

...გენერალურმა კონსულმა თავრიზში წასვლის წინ საკონსულოს საქმეები თავის თანაშემწეს მეჰდი ბეგს გადააბარა, ხოლო საკუთარი და საბუღალტრო საქმეები – თქვენს მონა-მორჩილს. თავრიზში ჩასვლიდან ორ თვეში მისგან ტელეგრამა მივიღე, რომელშიც მწერდა: „სოლთან მორად მირზა ჰოსამ ას-სალთანე ფათეჰ-ე ჰერათი მექადან უკანა გზაზე თბილისში გაჩერდება[361]. საკონსულოს თანამშრომლებთან ერთად მას რკინიგზის სადგურზე დახვდით, საკონსულოს ზედა სართულზე დააბინავეთ, მათი სადილისა და ვახშმის თადარიგი დაიჭირეთ და ყველაფერი იღონეთ, რომ კმაყოფილი დარჩნენ". დათქმულ დროს მათ დასახვედრად წავედი. უფლისწული წარმოსადეგი, სიტყვაძუნწი კაცი გახლდათ და მის სახეზე დიდებულების კვალი აღბეჭდილიყო. მისი ვაჟი მანსურ მირზა 18-20 წლის კარგად აღზრდილი ყმაწვილი იყო. მას ახლდა ფრანგული ენის მასწავლებელი მეჰდი ხან ნაჯაბი, შემდგომში მოფახერ ად-დოულე, რომელიც თან ექიმის მოვალეობასაც ასრულებდა. შვილს მამისადმი ისეთი პატივისცემა ჰქონდა, რომ მამის ნებართვის გარეშე მასთან ოთახში ვერ შედიოდა და მაშინაც, როცა მამა თავისთან უხმობდა, კარის ზღურბლთან დგებოდა, იქიდან მდაბლად თავს უკრავდა და მისალმებას ვერ ბედავდა. რამდენიმე წუთის მერე მამა მას შეხედავდა და რაღაცას ჰკითხავდა, რაზეც შვილი მოკრძალებულად პასუხობდა. ამის მერე მამა ნასვლის ნებას რთავდა და ისიც თავის დაკვრით გადიოდა. ცხადია, მამა-შვილის ასეთი ურთიერთობის შემყურე, მე და მეჰდი ხანიც სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდით. მხოლოდ მანსურ მირზას, მეჰდი ხანს

---

360 ომაიანები (ბანუ უმაია) – არაბული დინასტია, რომელიც მართავდა ომაიანთა სახალიფოს 661-750 წლებში.

361 უფლისწულ ჰოსამ ას-სალთანეს თბილისში ვიზიტი აღწერილია მის მემუარულ თხზულებაში, რომელიც ჩვენს კრებულში შედის.

და თქვენს მონა-მორჩილს გვქონდა პატივი, რომ მასთან ერთ მაგიდაზე გვესადილა და გვეევახშმა, საკონსულოს სხვა არც ერთ წევრს არ პატიჟებდნენ. ჩემი დასწრებაც იმით იყო განპირობებული, რომ მისი თარჯიმანი ვიყავი, რადგან უფლისწულმა არც ერთი უცხო ენა არ იცოდა. ერთხელ უფლისწულის არყოფნაში მას მეფისნაცვლის თანაშემწე ეწვია და უფლისწული მასთან საპასუხო ვიზიტით გაემართა. რასაკვირველია, მეც თან წამიყვანა და თავის *კალიასკაში* ჩამსვა. როცა უფლისწულმა დაინახა, მეფისნაცვლის თანაშემწე გენერალი სტაროსელსკი (Setăroselsgĭ) და მისი ცოლი როგორი პატივით მექცეოდნენ, ისიც ჩემდამი პატივისცემით განიმსჭვალა. საღამოობით, როცა *კალიასკებით* სასეირნოდ მივდიოდით, მე უფლისწულის *კალიასკაში* ვჯდებოდი, მისი ვაჟი და მეჰდი ხანი კი – მეორე *კალიასკაში.* იმ დროს მე *ლაყაბი* „ხანი" არ მქონდა, მაგრამ მანსურ მირზა და მეჰდი ხანი ხანს მეძახდნენ. ერთხელ უფლისწულის ვაჟმა თავისი ფოტოსურათი მომცა და მასზე გაკეთებულ წარწერაზე ხანის ტიტულით მომიხსენია. მე გავაპროტესტე და ვუთხარი: „ხანს ნუ წერთ, ხანი არა ვარ". მითხრა: „დარწმუნებული ვარ, მამაჩემი თეირანში დაბრუნებისთანავე ამ *ლაყაბს* მოგანიჭებთ, ასე რომ მე მოვლენებს წინ გავუსწარი". ერთ დღეს მათთან ერთად მოჯთაჰედის ბაღში გავისეირნე. უკანა გზაზე შევხვდით მიხეილის პროსპექტზე შეკრებილ თბილისის მოქალაქეებს, რომლებიც მეფისნაცვლისა და ჰოსამ ასსალთანეს *კალიასკებს* ათვალიერებდნენ. მათ შორის რამდენიმე ჩემი ნაცნობი იყო და მომესალმნენ. ეს რომ უფლისწულმა დაინახა, იფიქრა, რომ ეს ხალხი მისი პატივისცემით მესალმებოდა და სრულიად სერიოზულად მითხრა: „მიხარია, რომ თბილისელებმა ამ დიდებულ *კალიასკაში* ნასერ ად-დინ შაჰის ბიძის სამსახურში დაგინახეს". მადლობა გადავუხადე და მოვახსენე: „მართალს ბრძანებთ, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა". მიუხედავად იმისა, რომ უფლისწული თბილისში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, რუსეთის ხელისუფლება მას დიდი პატივით ექცეოდა: მეფისნაცვლის სასახლის მსგავსად, საკონსულოსთან ორი ჯარისკაცი საპატიო ყარაულში დააყენეს და ყოველ დილით პოლიციის უფროსის თანაშემწე მოდიოდა და მეკითხებოდა: მისი უდიდებულესობა რას გვიბრძანებს, *კალიასკას* როდის ინებებს და ვის მიიღებსო. თუმცა თბილისში ყოფნის ორი კვირის განმავლობაში უფლისწულს გუბერნატორისა და მეფისნაცვლის თანაშემწის გარდა თავისთან არავინ მოუწვევია და თავადაც არსად წასულა. მან მეფისნაცვლის არც ერთი მიპატიჟება არ მიიღო და მხოლოდ ერთხელ ოფიციალური საპასუხო ვიზიტით იმყოფებოდა მეფისნაცვლის თანაშემნესთან და ერთხელ – მის ცოლთან ჩაიზე. ის არც თბილისის გუბერნატორთან წავიდა და თავისი სავიზიტო ბარათი მე გამატანა.

იმ დროს განჯაში, ბაქოსა და ერევანში რკინიგზა არ იყო გაყვანილი, ამიტომ უფლისწული თბილისში ერთი კვირა დარჩა, სანამ მის გასამგზავრებლად მოემზადებოდნენ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის ოთახში იჯდა და არაბულ და სპარსულ ისტორიულ წიგნებს კითხულობდა. ლექსების რამდენიმე კრებულიც ჰქონდა, მაგრამ ლექსები მაინცდამაინც არ უყვარდა. მე დღე და ღამე უფლისწულთან და მეჰდი ხანთან ერთად ვიყავი. ერთმანეთს საოცრად მივეჩვიეთ და დავმეგობრდით. თბილისიდან გამგზავრების დღეს უფლისწულმა თავისთან მიხმო. შევამჩნიე, რომ მეჰდი ხანს ხელში ხმალი ეჭირა. უფლისწულ-

მა მითხრა: „ეს ხმალი ერთ-ერთია იმ ხმლებიდან, რომლებიც პერათში მოგზაურობისას მეშჰედის ხანებმა *ფეშქეშად* მომართვეს. ამ საჩუქარმა მე ბევრი გამარჯვება მომიტანა და დარწმუნებული ვარ, თქვენც ბედნიერებას მოგიტანთ. აიღეთ და წესისამებრ წელზე შემოირტყით". ეს ხორასნული ხმალი, რომელსაც ბადრიჯნისფერი ქარქაში ჰქონდა, მართლაც რომ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ოქროთი მოჭედილი ვადა და ბუდე ჩინებული ოსტატების ნახელავი იყო. ხანჯლის პირზე გამოთქმა „არ არის მახვილი მსგავსი ზუ ლ-ფაკარისა[362] და არც ჭაბუკი ალისთანა" და ჰოსამ ას-სალთანეს სახელი იყო ამოტვიფრული.

გამგზავრების დღეს საკონსულოში მეფისნაცვლის თანაშემწე მოვიდა და უფლისწულს ოფიციალურად დაემშვიდობა. თბილისის გუბერნატორმა და პოლიციის უფროსის თანაშემწემ მისი უდიდებულესობის *კალიასკა*, რომელსაც ოფიცერი და 25 კაზაკი მიჰყვებოდა, ქალაქის გასასვლელამდე გააცილეს, მე კი პირველ ფოსტის სადგურამდე გავყევი. იქ მათ ცხენები გამოცვალეს და გზა განაგრძეს, მე კი უკან დავბრუნდი. უფლისწულის ნაჩუქარმა ხმალმა ჩემი თანამშრომლების შური გამოიწვია.

თავი 6

თბილისში ცხოვრება
[1889-1894]

თეირანში არაფერი იმალება და შაჰის ბრძანების[363] შესახებ მთელმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიგო. მირზა შოქრ ალაჰმა ჩემი დანიშვნის ბრძანება დაწერა, გადმომცა და მითხრა: „იმედი მაქვს, თქვენი ყველა დანიშვნის ბრძანებას მე დავწერ". მართლაც, ასე მოხდა და წლების მერე პეტერბურგსა და სტამბოლში ჩემი ელჩად გაგზავნაც მან გააფორმა. მთელი საქმეები დავასრულე, შაჰს, ამინ ას-სოლთანსა და ყავამ ად-დოულეს დავეთხოვე, სახელმწიფო მოხელეებსა და მეგობრებს დავემშვიდობე და ენზელისკენ გავემართე. ვიცოდი, რომ თბილისში ბევრი საქმე მელოდა, ამიტომ ყარაჯადაღის სარდლის ძმა მირზა ისმაილ ხანი *მონშიბაშის*, ხოლო მირზა მაჰმუდ ხანი *მონშის* თანამდებობაზე წავიყვანე. გამგზავრების დღეს ამინ ას-სოლთანმა თავისი მსახური მირზა სამად ხან ჰეიდარი გამომიგზავნა და მთხოვა, რომ თან წამეყვანა და თბილისში მისთვის რამე საქმე მიმეცა.

ენზელიში თბილისიდან ჩამოსული ჰაჯი მოლა მოჰამად ალი დაგვხვდა და გვითხრა, რომ ბაქოში თბილისელი ვაჭრები გველოდნენ. მართლაც, ბაქოში იქაური გენერალური კონსული მირზა ბაბა ხანი დიდვაჭრებისა და ირანის ქვეშევრდომების თანხლებით ზღვის სანაპიროზე შეგვეგება. მათთან ერთად იყვნენ

---

362 ზუ ლ-ფაკარი – ისლამამდელი არაბეთის სახელგანთქმული ორდანიანი მაგიური ხმალი, რომელსაც შეეძლო დაგრძელებულიყო და დამოკლებულიყო. ის თავდაპირველად ეკუთვნოდა მუნაბიჰ იბნ ჰაჯაჯს, ბადრის ჭებთან ბრძოლაში ხელთ იგდო მოციქულმა მუჰამადმა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ დაისაკუთრა ალი იბნ აბი ტალიბმა.

363 იგულისხმება მირზა რეზა ხანის თბილისის გენერალურ კონსულად დანიშვნის ბრძანება.

ჰაჯი ბაყერ აყა რეზაიოვი, ხამენელი ვაჭარი ჰაჯი მოჰამად ებრაჰიმი და ჰაჯი მეჰდი აყა. ერთი დღე დავისვენეთ და თბილისისკენ გავემგზავრეთ. ახსთაფაში (Āqstāfā) საკონსულოს თანამშრომლები მირზა ფარაჯ ბეგი, ჰასან სოლთანი და რამდენიმე ფარაში დაგვხვდნენ, თბილისის შესასვლელთან კი კონსულის თანაშემწე მირზა მოჰამად ბეგი, თარჯიმანი თაყი ბეგი, ვაჭრები მუსიკის თანხლებით და ხელოსნები საკუთარი დროშებით შეგვეგებნენ. ქალაქის თვითმმართველობამ პოლიციის უფროსის თანაშემწე და რამდენიმე ოფიცერი გამოგზავნა. ალა ასსალთანეს ფეხი სტკიოდა და საკონსულოში გველოდა.

საკონსულოში წასვლის წინ ოფიციალური ტანსაცმელი ჩავიცვი, რადგან იქ სახელმწიფო დროშები იყო გამოფენილი. *თოჯარბაშმა* მოჰამად აყამ ვაჭრების სახელით და მენარდეების უფროსმა ალი ბეგმა ხელოსნების სახელით ჩამოსვლა მომილოცეს და მეც შესაბამისი პასუხი გავეცი. შემდეგ დამხვდურ 12 კაცთან ერთად საკონსულოში წავედი. იქ *შარბათი* და ტკბილეულობა მოემზადებინათ. ვაჭრებისა და ხელოსნების წინამძღოლებს ხელმეორედ შევხვდი დიდ დარბაზში, რომელშიც ირანელი მხატვრის მიერ ზეთის საღებავით დახატული ნასერ ად-დინ შაჰის დიდი პორტრეტი ეკიდა. ვაჭრებს ნაქირავები ჰქონდათ მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელიც სამხედრო მელოდიებს უკრავდა, ხოლო ხელოსნებმა რამდენიმე ქართველი და სომეხი მუსიკოსი მოიყვანეს. ისინი საკონსულოში რკინიგზის სადგურიდან მოვიდნენ და დაკვრა და სიმღერა დაიწყეს.

სანამ დარბაზში ვაჭრებსა და ხელოსნებს შევხვდებოდი, ჯერ ალა ასსალთანე მოვინახულე და ვნახე, რომ ფეხი მართლა სტკიოდა. ჩემ დანიშვნასა და ჩამოსვლასთან დაკავშირებით დიდი სიხარული გამოთქვა. ამასობაში ქუჩაში შეკრებილებს *შარბათით*, ტკბილეულობითა და თამბაქოთი გაუმასპინძლდნენ. ვაჭრებს დახვედრისათვის დიდი მადლობა გადავუხადე და ქუჩაში გავედი. ჩემ დანახვაზე ისევ შაჰის სადიდებელი სიმღერა დაუკრეს და მერე დაიშალნენ.

თბილისში ჩამოსვლის მეორე დღეს მირზა ფარაჯ ბეგი მეახლა. თბილისის საკონსულოში ჩემი პირველი თანამშრომლობის პერიოდში ამ კაცის მეშვეობით კონსულის თანაშემწე მირზა მოჰამად ბეგი, რომელიც ძალიან მაწვალებდა, გავაფრთხილე, რომ იმ დღის შინებოდა, როცა ჩემ წინაშე ხელქვეითის რანგში წარდგებოდა. მირზა ფარაჯ ბეგმა მითხრა: „მას შემდეგ, რაც მირზა მოჰამად ბეგმა თქვენი თბილისში დანიშვნისა და ჩამობრძანების ამბავი გაიგო, მოსვენება და ძილი დაკარგა. ამბობს, რომ წლებია, რაც საკონსულოში მუშაობს და ცოლის, ორი ქალიშვილისა და ვაჟის გარდა არაფერი აბადია. ეშინია, რომ წარსული წყენის გამო, თქვენ მას სამსახურიდან დაითხოვთ და მაშინ უფულოდ დარჩენილს ამ უცხო ქვეყანაში რა ეშველება?" ვუთხარი: „ჩემგან გადაეცით, რომ ნუ ღელავს. თუ ჩემში შურისძიების ქვენა გრძნობა არსებობდა, ზეცამ მისგან უკვე გამათავისუფლა. იმის სამადლობელოდ, რომ ჩემი წინასწარმეტყველება ახდა, დათხოვნის ნაცვლად დავაწინაურებ". მეორე დღეს, ვხედავ, მირზა მოჰამად ბეგი მოვიდა, დარჩენილი პასპორტები მოიტანა, მორჩილად ჩემ წინაშე წარდგა და მითხრა: „რას მიბრძანებთ, ეს პასპორტები ვის გადავცე?" ვუთხარი: „პასპორტები თქვენთვის დაიტოვეთ და სანამ მე აქ ვმუშაობ, მშვიდად იყავით". ვკითხე, რამდენი წელი იყო, რაც საკონსულოში მუშაობდა და მიპასუხა, რომ აქ იუსუფ ხან მოსთაშარ ად-დოულესთან ერთად ჩამოვიდა. ვუთხარი: „თითქმის

ორმოცი წელია, რაც აქ მუშაობთ, ამიტომ ამ კვირაში თეირანში მივწერ, რომ საკონსულოს პირველ თანაშემწედ დაგნიშნონ და ხანის *ლაყაბი* გიბოძონ". ასეც მოვიქეცი, მაგრამ ჩემმა შემცვლელმა ჩამოსვლისთანავე ის გაათავისუფლა და თავისი ნათესავი დანიშნა. მოკლედ, მირზა მოჰამად ბეგი რას ელოდა და რა მიიღო!

თბილისის საკონსულოს თანამშრომლები იყვნენ: პირველი თანაშემწე მირზა მოჰამად ხანი, მეორე მდივანი ისმაილ ხანი, რუსული ენის თარჯიმანი მირზა თაყი ხანი, პასპორტების განმკარგულებელი და მეთვალყურე მირზა ფარაჯ ბეგი, მისი თანაშემწე ჰასან სოლთანი და გადამწერი მირზა მაჰმუდ ხანი.

ალა ას-სალთანე და მისი ხალხი ორმოცი დღე ჩემი სტუმრები იყვნენ და მერე დიდი პატივითა და ზარ-ზეიმით გავაცილეთ. ისინი ვლადიკავკაზში ჩავიდნენ და იქიდან საფოსტო *კალიასკებით* გაემგზავრნენ.

თბილისში ჩემი სამსახურის პირველ წელს თეირანსა და თავრიზში ქოლერის ეპიდემია დაიწყო და ამ ქალაქებში დღეში სამასამდე კაცი იღუპებოდა. ავადმყოფობა თავრიზიდან თბილისშიც შემოვიდა და ჯერ ირანელებში გავრცელდა. ერთ დღეს ვაჭრები და ხელოსნების წინამძღოლები საკონსულოში მოვიდნენ და მითხრეს: „რადგან თბილისელი ირანელები მეტწილად შავი მუშები არიან და ერთ ოთახში სამი-ოთხი კაცი ცხოვრობს, ვერ ხერხდება მათი საცხოვრებლის ექიმთა მიერ გაკონტროლება, ამიტომ კავკასიის მთავარმართებლის ბრძანებით ავადმყოფობის მთელ ქალაქში გავრცელების თავიდან ასაცილებლად ირანელები დაცვის თანხლებით ჯულფას გზით ირანში უნდა გაემგზავრონ". მათ მთხოვეს: „თბილისიდან ჯულფამდე ფეხით ერთი თვის გზაა, თბილისში მცხოვრებ 10000 ირანელს შორის კი ბევრი ქალი, ბავშვი და ავადმყოფია და მათი ნახევარი უწამლოდ გზაში მოკვდება. რამე უნდა იღონოთ, რომ ისინი თბილისში დატოვონ". ბევრი ყაყანისა და ჩხუბის მერე გადაწყვიტეს, რომ თავად ისინი ყოველ დილით ირანელებს სახლში მიაკითხავდნენ, მათ საცხოვრებელ პირობებს დაათვალიერებდნენ, იქაურობის დასუფთავებას აიძულებდნენ და წამლებსაც დაურიგებდნენ. გარდა ამისა, მოილაპარაკეს, რომ იმავე დღეს სიას შეადგენდნენ, დიდძალ ფულს შეაგროვებდნენ, მუსლიმური უბნის გარეთ, მირზოევის მანქანაზე უფრო მოშორებით თვითმმართველობისგან ცარიელ ადგილს აიღებდნენ და 80 კაცისა და 25 ქალისთვის ააშენებდნენ ხის საავადმყოფოს, რომელშიც კარი, კედელი, ტახტი თუ სკამი, ყველაფერი ხის იქნებოდა. მართლაც, იმავე დღეს სია შეადგინეს და დაახლოებით 5000 მანეთი შეაგროვეს. გადაწყდა, რომ მე მთავარმართებელთან წავიდოდი, ამ ყველაფერს მოვახსენებდი და ირანელების თბილისიდან განდევნას გადავათქმევინებდი. გარდა ამისა, ვთხოვდი, რომ ირანელებისთვის რუსი ექიმი მიეჩინათ და ცოტა წამლებიც მიეცათ. მთავარმართებელი გენერალი შერემეტიევი (Sheremetyef) ძალიან გულმოწყალე და ლმობიერი კაცი იყო და დამთანხმდა. მეორე დღეს არაირანელმა ვაჭრებმა და ხელოსნებმაც, რომლებიც ძირითადად სომხები და ქრისტიანები იყვნენ, ამ საქმისთვის ფული გაიღეს და რამდენიმე დღეში *ბარაკები* მზად იყო. გამოვაცხადეთ, რომ ამ *ბარაკებში* მარტო ირანელებს კი არა, ქოლერით დაავადებულ ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ემკურნალა.

ბევრ თბილისელს სჯეროდა, რომ ქოლერას ირანელები ავრცელებდნენ და ავადმყოფობის შიშით მათ ხელსაც კი არ ართმევდნენ. ამ მდგომარეობით შეწუხებულმა კავკასიის ერთ ნახევრადოფიციალურ გაზეთში ასეთი მოთხრობა დავბეჭდე: „ერთ დღეს მოლა ვირზე შეჯდა და ქალაქში წავიდა. გზაში დაინახა საშინელი ურჩხული, რომელიც მისკენ მიდიოდა. უდაბნოს ბოროტი სული ან ჯინი ეგონა და „ღმერთო მიშველეს" ძახილი და მისკენ ფურთხება დაიწყო. მაგრამ ამ შელოცვამ არ უშველა და ურჩხული თანდათან უახლოვდებოდა. როცა სულ ახლოს მივიდა, მოლას მიესალმა და უთხრა: „ნუ გეშინია, მე ღვთის მოციქული ვარ, ქოლერა მქვია და მან ამ ქალაქში იმიტომ გამომგზავნა, რომ ვინც ღმერთს არ ეთაყვანება, მოვკლა". მოლამ ღმერთისა და მოციქულის სახელი რომ გაიგონა, შიშმა გაუარა და უთხრა: „თუ ქალაქში მიდიხარ, უკან შემომიჯექი". მართლაც, ურჩხული ვირზე შეისვა და გზა ერთად განაგრძეს. როცა ქალაქის ჭიშკარს მიადგნენ, ქოლერა ვირიდან ჩამოვიდა და მოლას უთხრა: „აქ უნდა გავიყაროთ და შენ შენი გზით წადი და მე – ჩემით". მოლამ ჰკითხა: „ღმერთმა რამდენი კაცის მოკვლა გიბრძანა?" ქოლერამ უპასუხა: „ზუსტად 1000 კაცის". მოლამ უთხრა: „მაინცდამაინც სანდო არ ჩანხარ, სიტყვა მომეცი, რომ 1000 კაცზე მეტს არ მოკლავ". ქოლერა შეჰპირდა და ერთმანეთს დაშორდნენ. ქალაქის გუბერნატორის ბრძანებით, ქოლერისგან დახოცილებს ქალაქის შესასვლელთან მარხავდნენ და საფლავებს კირს აყრიდნენ. ერთი კვირის მერე მოლა თავის სოფელში ბრუნდებოდა. კარიბჭეს რომ ჩაუარა, გუშაგს მკვდრების რაოდენობა ჰკითხა. როცა გაიგო, რომ მათი რიცხვი 10000-ს აღწევდა, შესძახა: „შე სიტყვის გამტეხო, უღმერთო ქოლერავ! ღვთის ამდენი ქმნილება რატომ დახოცე?" ქოლერამ უპასუხა: „სულსწრაფო მოლავ, პასუხს მე კი ნუ მთხოვ, მოჰკითხე ღმერთს, რომელმაც აქ გამომგზავნა. მე ათას კაცზე მეტი არ მომიკლავს, დანარჩენი ცხრა ათასი შიშით მოკვდა. მე არაფერ შუაში ვარ".

ჩემმა მოთხრობამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და სხვა გაზეთებმაც, მათ შორის უცხოურებმა, გადაბეჭდეს. განსაკუთრებით ექიმებს მოსწონდათ, მაგალითები მოჰყავდათ და ამბობდნენ, შიშმა საშინელი ფაღარათი იცისო.

ქოლერის ეპიდემიის დღეებში ერთი საზოგადოების[364] თავმჯდომარის წერილი მივიღე. მწერდა: „ერთ ირანელს ქოლერა დაემართა და კვდება. გთხოვთ, საკონსულოდან ვინმე მოვიდეს და მისი ანდერძი მოისმინოს". მირზა მოჰამად ხანს დავუძახე და ვუბრძანე, წასულიყო. მითხრა: „მე ოჯახის პატრონი ვარ და ქოლერა რომ დამემართოს და მოვკვდე, ჩემს ცოლ-შვილს ვინ უპატრონებს?" მირზა ფარაჯ ბეგმა და თაყი ხანმაც უარი მითხრეს. ძალიან გავბრაზდი, ვუბრძანე, *კალიასკა* მოემზადებინათ და თავად წავედი. საზოგადოებაში რომ მივედი, ვნახე, ავადმყოფი იწვა და პირიდან დუჟი გადმოსდიოდა. ძალიან გამხდარი კაცი იყო და მისგან ცარიელი ძვალი და ტყავი დარჩენილიყო. სახელი ვკითხე

---

[364] საზოგადოების რუსული სახელი ავტორს დამახინჯებულად გაუგია და ჩაუწერია – Mästeh Nīkī Zāmok და გაშიფვრა ჭირს. შესაძლოა ეს იყოს კლიტის ხელოსანთა გაერთიანება, თუმცა XIX საუკუნის თბილისში, ჩვეულებრივ, ასეთი ვიწრო სპეციალიზაციის ამქრები არ იქმნებოდა.

და მიპასუხა, სალმასელი სომეხი ასპატანი ვარო. ანდერძად დამიბარა, რომ ამა და ამ ადგილას ამდენი და ამდენი ფული ჰქონდა, რომელიც მისი სიკვდილის მერე მისი ერთადერთი დისთვის უნდა გადამეცა. გავიფიქრე: იქნებ ქოლერა არ ჭირს, ვცდი, ეგებ *ჰიპნოზით* მოვარჩინო-მეთქი. მბრძანებლური ტონით მკვახედ ვუთხარი: „ბრიყვო, არ გრცხვენია, რომ გენერალური კონსულის წინაშე განოლილხარ? ადექი, შე არამზადა, შენა!" ვნახე, რომ არ უშველა. მიწაზე ფეხი დავაბაკუნე და უფრო უხეშად შევუძახე: „ადექი, შე ბრიყვო, შენა!" უცებ გაინძრა და წამოჯდა. საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც ჩვენს საუბარს ესწრებოდა, გაოგნდა და მთხოვა: „ნება მომეცით, აქაურ ექიმს დავუძახო, რომ მოვიდეს და ამ საწყალს რამე უშველოს". ექიმი რომ მოვიდა, გაოცებულმა თქვა: „თქვენ სასწაული მოახდინეთ და ეს კაცი მოარჩინეთ. ორ-სამ დღეს აქ დავტოვებთ, *კონიაკს* დავალევინებთ და კარგად გახდება". სომეხი კი მოვარჩინე, მაგრამ მე თვითონ ქოლერა დამემართა. საკონსულოში დამაწვინეს და სხვების სამკურნალო გავხდი. საბოლოოდ, მეც გადავრჩი და სომეხიც.

ორი წლის სამსახურის შემდეგ განსვენებული ნასერ ად-დინ შაჰის განკარგულება გამახსენდა. პასპორტების ფული ყოველი მხრიდან წვიმასავით მოდიოდა და სახელმწიფო ბანკში უკვე გვარიანად თანხა იყო დაგროვილი. ირანელ დიდვაჭრებს რჩევა ვკითხე, ეს ფული სანდო ადგილას სად დავაბანდო-მეთქი? მითხრეს: „ფულის დაბანდების საუკეთესო ადგილი მიწის საკუთრებაა. თბილისში და ბორჯომში, რომელსაც კარგი მომავალი აქვს, მიწა იყიდეთ". ეს რჩევა ჭკუაში დამიჯდა. ერთხელ ჩემთან ირანელების ახლო მეგობარი მირზა მოჰამად ალი ხანი მოვიდა და მითხრა: „რატომ ჩქარობთ და არაბებს რატომ არ ჰბაძავთ, რომლებიც გვირჩევენ, მიჰყევი შენს გზასო. როგორც კი ირანში გაიგებენ, რომ თბილისის საკონსულოს ამხელა შემოსავალი აქვს, ყველას აქ მოუნდება წამოსვლა. საგარეო საქმეთა სამინისტროში იაჰია ხანისნაირი კაცი რომ მოვიდეს, თქვენ არაფერი დაგრჩებათ. ჯობს, ფული ბანკში შეინახეთ და აქციები იყიდეთ". ვუპასუხე: „დამშვიდდით, დასამალი არაფერი მაქვს, რადგან ამ მიწას შაჰის ბრძანების თანახმად ვყიდულობ".

ბორჯომში, რომლის შემოგარენშიც უამრავი მდინარე და მინერალური წყაროა, უზარმაზარ თანხად მიწა ვიყიდე და ირანულ ყაიდაზე *ჰოტელი* „ფირუზე" ავაშენე[365]. ნაძერწობებისა და სარკეების ხელოსანი ყაზვინიდან ჩამოვიყვანე[366],

---

[365] ბორჯომის „ფირუზეს" და არფა' ად-დოულეს თბილისის რეზიდენციას აღტაცებით მოიხსენიებენ იმდროინდელი ევროპელი და რუსი მოგზაურებიც. იხ. მაგ.: J. W. Bookwalter, *Siberia and Central Asia*, Springfild, Ohio, 1899, 368-369 (წიგნს ერთვის „ფირუზეს" ავტორისეული ფოტო); E.A. Brayley, *Round about Armenia: The Record of a Journey across the Balkans through Turkey, the Caucasus and Persia in 1895*, London, 1896, 56; C. Lefévre-Pontalis, *De Tiflis à Persepolis*, Paris, 1894, 11; Г. Джаншиев, *Перя Кавказа (Боржом-Абастуман). Впечатления и мысли туриста*, Москва, 1900, 82-83 (წიგნს ერთვის „ფირუზეს" ფოტო); ი. კოშორიძე, *საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან*, 157, 163.

[366] ამ ხელოსნის სახელი – მირზა მოჰამად ნაყაშ-ე ყაზვინი (ყაზვინელი მხატვარი მირზა მოჰამადი) სარკეებიანი აივნის ცენტრშია გამოსახული (Дж. Гиунашвили, "О персидских надписях Боржомской Фирюзы", 244-248).



ბორჯომი, სასტუმრო „ფირუზე". 1910 წლის ფოტოსურათი.

ირანელი მხატვარი კი – ბაქოდან[367]. მათ *ჰოტელის* კარების თავზე დამაგრებულ შავი ქვის ფილებზე ოქროთი ლექსები ამოტვიფრეს. პირველ კარზე ეს ლექსი:

„1300-დან ცხრა წელი იყო გასული,
როცა ამ პატარა სახლსა და ბაღს
ფირუზე უწოდეს მეგობრებმა და ახლობლებმა
და ის მირზა რეზა ხანის სახსოვრად დარჩა".

მეორე კარზე კი შემდეგი ლექსი:

„თქვა საადიმ: უმჯობესია ადამიანმა
კეთილი სახელი დატოვოს, ვიდრე ოქროს სასახლე.
მირზა რეზა ხანმა კი ამქვეყნად
როგორც კეთილი სახელი, ისე ოქროს სასახლეები დატოვა"[368].

---

367 ბორჯომის „ფირუზეს" არქიტექტურისა და მოხატულობის შესახებ იხ.: ი. კოშორიძე, *საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან*, 159-162; ნ. დემურიშვილი, *მუსლიმური ხუროთმოძღვრული ძეგლები საქართველოში*, თბილისი, 2010, 86-88.

368 1985 წელს ჯემშიდ გიუნაშვილის მიერ გამოქვეყნებული ბორჯომის „ფირუზეს" წარწერები არ იყო სრული და ზემოთ ნახსენები ორი ლექსიდან მასში მხოლოდ პირველი მოხვდა. 2012 წელს ძეგლის რესტავრაციის შედეგად წარწერები გაიწმინდა და მეცნიერებს საშუალება მიეცათ, წარწერები სრულად ამოეკითხათ. გრიგოლ ბერაძე გარდა ზემოთ მოყვანილი ლექსებისა და ოსტატის თარიღიანი წარწერისა კარტუშში, შემდეგ წარწერებ-

სასტუმრო „ფირუზეს" ნარწერები. 2011.



ნასერ ად-დინ შაჰისა და მოზაფარ ად-დინ მირზას პორტრეტები სასტუმრო „ფირუზეს" ინტერიერში. 2011.

ბორჯომის ბორცვის წვერზე, საქართველოს სახელგანთქმული დედოფლის თამარის (Tamārā) სასახლის მოპირდაპირე მხარეს ს

ლალი მირზა ალი ხანი იმ დროს თბილისში იყო და რადგან სარკის ინკრუსტაციები ალმასისგან გაკეთებულს ჰგავდა, ამ სახლს ალმასის სასახლე შეარქვა და მისთვის ორი ქრონოგრამა დაწერა. ერთი დუბეითი იყო და ის შესასვლელი კარის თავზე მოთავსებულ მარმარილოს ფილაზე იტალიელმა ქვისმთლელებმა ამოკვეთეს:

„დანეშის სასახლის თარიღის ძიებაში,
ვერაფერს მიაგნო ამ დიდბუნოვანმა,
სანამ სამოთხეს რვა არ მიუმატა,
მაშინ აღიმართა ალმასის სასახლე"[371].

მეორე ლექსი კი ქუჩაზე გამავალი ფანჯრის თავზე იყო ამოტვიფრული:

„რა მშვენიერია, ეს *სეფე*[372], რომელიც მხატვრის კალამმა
არუანგისა და *ევანგელიის* სურათებით მოხატა.
ტირიფისა და ნუშის ხეების ჩრდილში აუზები მიმალულა,
მათზე ქარმა ვარდის ფურცლები მიმოფანტა.
ამ კარ-მიდამოსა და დანეშის დიდებულების აღწერაში
დავშვრი და ძალა გამომელია.
მის დიად ბუნებასთან შედარებით ღრუბელი და ზღვა რა არის?
ღვთივ ბოძებულია მისი დღითი დღე მზარდი სიდიადე.
ეუთხარი: ჰოი, ნებიერო, თარიღი ეძიე.
მითხრა ქარაგმა, რომელსაც ქვემოთ ამოვხსნი:
ცხრას ნუ მიუნერ იმ ქარაგმის მარგალიტს, რომელიც ლალიმ აასხა,
რა მშვენიერია, ზურმუხტისფერ ბუდეში [ჩასმული] ალმასის
სასახლე."

როცა მშენებლობა დასრულდა, გადაწყდა, რომ 1310/1892 წელს მისი უდიდებულესობის დაბადების დღის აღსანიშნავად და მისი უსაზღვრო მოწყალების სამადლობელოდ ახალ სახლში ისეთ ზეიმს გავმართავდი, რომლის ბადალიც ქვეყანაზე არავის ენახა.

ბაღს ორი აუზი ჰქონდა: ერთი, ექვსწახნაგა, ბაღის ცენტრში იყო მოწყობილი, ხოლო მეორე, მარმარილოს პატარა აუზი – შენობის წინ. ეს უკანასკნელი იტალიელმა ოსტატებმა გააკეთეს. *შამპანურის* ჭიქის ფორმის ლარნაკიდან განუწყვეტლივ გადმოჩქეფდა წყალი, რომელიც მარმარილოს აუზში იღვრებოდა და იქიდან ყვავილნარზე გადადიოდა. მსურდა, რომ შადრევნიდან წყლის

163-164; მ. ალექსიძე, „მირზა რეზა ხან არფა' ად-დოულეს ალმასის სასახლე თბილისში", აღმოსავლეთმცოდნეობა, №2, 2013 (იბეჭდება).

371 ქრონოგრამის გასაღები მეორე ბეითშია: ბეითის მეორე ნაწილის moshayad shod asas-e qasr-e almas („აღიმართა ალმასის სასახლე") შემადგენელი ასოების რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი აბჯადის სისტემით 1302-ია. თუ ამას დავუმატებთ ბეითის პირველ ნაწილში ნახსენებ რვას, მივიღებთ 1310/1892, რაც ალმასის სასახლის აშენების წელია.

372 სეფე XIX საუკუნეში სასახლის მნიშვნელობით იხმარებოდა და ნ. ჩუბინაშვილის ცნობით, მოდის სიტყვიდან საუფლო, სამეფო (ნ. ჩუბინაშვილი, *ქართული ლექსიკონი*, თბილისი, 1961, 362).

თბილისი, ირანის ძველი საკონსულო „ალმასის სასახლე" (ახლანდელი ჭონქაძის ქ. 11). 2007.

ნაცვლად კახურ ღვინოს ედინა და აუზი აევსო, რათა სტუმრებს ღვინო პირდაპირ აუზიდან დაელიათ. ამისთვის აუზის ოთხ მხარეს ლარნაკის ფეხის ზემოთ ხის ბრჯენებზე დიდი აკაციის ყვავილები გავაკეთებინე. ერთი უზარმაზარი გოვზა კახური წითელი ღვინო, რომელშიც სამი-ოთხი ათასი ბოთლი ეტეოდა, ვიყიდე და მოვატანინე. ასეთ გოვზებს ზაფხულში რუსი ოფიცრები წყლით ავსებენ და შიგ სხდებიან. მთავრობის სასახლის ფილაკვანით ეს გოვზა ასნიეს და აკაციის ფორმის ბრჯენებზე დააყენეს. გოვზა კაუჩუკის მილით შადრევნის მილს შეუერთეს და როგორც კი ონკანს გახსნიდი, ღვინო ბრჯენების მეშვეობით მაღლა ადიოდა და აუზს ავსებდა.

სადღესასწაულო საღამოსთვის მთავარმართებელს სამხედრო ორკესტრი ვთხოვე. სახელმწიფო *ჯაბახანაში* ფეიერვერკი შევუკეთე და დავადგმევინე ძველი კოშკის კედელთან, რომელიც ბაღს გადმოჰყურებდა. ხელისუფლების წარმომადგენლებიდან და დიდგვაროვნებიდან იმდენი სტუმარი დავპატიჟე, რომ სასტუმრო და სასადილო ოთახებში დატეულიყვნენ. გამახსენდა *მადამ* სტასულევიჩის *პანსიონში* სომეხი გოგონასა და ალიხანოვის კამათი და ალიხანოვს სპეციალური მოსაწვევი გავუგზავნე. ადგილობრივ გაზეთში გამოვაქვეყნე განცხადება: შაპის დაბადების დღესთან დაკავშირებით საკონსულოს ბაღში ფეიერვერკი იმართება და ბაღი სტუმრებისთვის ღიაა. ბაღი ჩინური და იაპონური ფარნებით მოვრთე და მთვარის შუქზე იქაურობა ძალიან ლამაზი იყო.

იმ დროს თბილისში იმყოფებოდა აბდ ალ-ბაყი ყარაბაყი, რომელსაც ძალიან კარგი ხმა ჰქონდა. ის დიდი ხნის განმავლობაში ირანულ მუსიკას ირანში

თბილისი, „ალმასის სასახლის" ჭერი. 2007.

სწავლობდა, მერე კი თბილისში ჩამოაყალიბა *ორკესტრი*, რომელშიც თარზე, ფლეიტაზე, ქემანჩეზე და ორ პატარა დოლზე დამკვრელები შედიოდნენ. იმ საღამოს აბდ ალ-ბაყის მუსიკოსები მოთავსდნენ სასტუმრო ოთახის აივანზე, რომელიც ბაღს გადაჰყურებდა, სამხედრო *ორკესტრი* კი – შიგ ბაღში. ოთხი ოფიციანტი ვერცხლის თასებით ხელში აუზის გარშემო იდგა და სტუმრებს ღვინით უმასპინძლდებოდა. ქართველებსა და სომხებს კახური ღვინო ძალიან უყვართ, ამიტომ ერთი-ორი ჭიქით არ კმაყოფილდებოდნენ.

წარმოიდგინეთ: აუზის მიმდებარე ეზო, ხეების ძირები და ბრჯენები სხვადასხვაფერი ყვავილებით იყო მორთული. ჰაერში ასობით ჩინური და იაპონური ფარანი ეკიდა და აუზსა და მასში წითლად მოლივლივე ღვინოს ანათებდა. ფეიერვერკმა კი ამ ზეიმს კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალება შეჰმატა. სტუმრებს შორის მშვენიერი ნორჩი ქართველი *პრინცესებიც* იყვნენ. თბილისის გუბერნატორმა *პრინცმა* შერვაშიძემ (Shirvāshidze), რომელიც ცნობილი პოეტი იყო და ლექსებს საკუთარ ენაზე წერდა, როცა მთვარის შუქით განათებული აივნიდან აბდ ალ-ბაყისა და მისი მუსიკოსების სიმღერა, ხოლო ბაღიდან სამხედრო ორკესტრის ხმა გაიგონა, როცა ღვინის აუზი, მშვენიერი *პრინცესები* და ფეიერვერკი იხილა, დამიძახა და მითხრა: „ამ საღამოს თქვენ მე მუსლიმად მაქციეთ". ვკითხე: „როგორ?" მიპასუხა: „თქვენი წინასწარმეტყველის სამოთხის აღწერა ლექსებში წაკითხული მქონდა, მაგრამ მისი არსებობა არ მჯეროდა, დღეს საღამოს კი ვირწმუნე, რომ მუჰამადის დაპირებული სამოთხე მართლაც არსებობს და ის აქაურობის მსგავსი იქნება".

თბილისში ჩემი სამსახურის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროდან ტელეგრამა მივიღე. მატყობინებდნენ, რომ ამინ აყდასი თვალების სამკურნალოდ ვენაში მიემგზავრებოდა და მას სეფაჰსალარის გერი აჰმად ხანი, ყაზვინის გუბერნატორი სა'ად ას-სალთანე და ორი ხოჯა ახლდნენ. მთხოვდნენ, რომ მათ ენზელიში დავხვედროდი, ვენაში გამეცილებინა და უკანა გზაზეც რუსეთის საზღვრიდან

რაშთამდე გავყოლოდი. ვენაში დიდი პატივით ვიმგზავრეთ და უკანა გზაზე რაშთში დამშვიდობებისას გადმომცეს შაჰის საჩუქარი: დიდებული ისფაჰანური *ყალამდანი*, რომელიც ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი და ზედ ოქროს მელნით ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ნასერ ად-დინ შაჰი ეხატა.

თბილისში სამსახურის ხუთი წლის განმავლობაში ირანიდან ჩამოსული ყველა დიდგვაროვანი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც მექაში ან ევროპაში მიემგზავრებოდა, ჩემი სტუმარი იყო და „ალმასის სასახლეში" ჩერდებოდა, რადგან იქ ბევრი ოთახი იყო.

თბილისში ჩამოსვლის პირველ წელს *მუსიე* პუსლეტის (Püslet) რჩევა გამახსენდა და წითელი ხისგან უზარმაზარი ოთხგანყოფილებიანი კარადა გავაკეთებინე. მოხუცი კაცის ქანდაკება ჩამოვიტანე და ერთ-ერთ განყოფილებაში ეულად ჩავდე. როცა მეკითხებოდნენ, ეს რა არისო, ვპასუხობდი, რომ მუზეუმი იყო. დამცინოდნენ და გიჟსა და სულელს მეძახდნენ. ერთ თვეში ეს ლაპარაკი შეწყდა, რადგან ჩემთან ჩამოსული ყველა სტუმარი, ირანელი იქნებოდა, რუსი თუ სომეხი, იქ რაღაცას დებდა და თანდათან პირთამდე აივსო. ახლა მშვიდობის გალერეა[373] და ორი დიდი ოთახი იმ კარადაში შეგროვებული სხვადასხვა ქვეყნის ანტიკვარული ნივთებით არის სავსე. ხალხი სპეციალურად ჩამოდის მონაკოში და ჩემი მეგობრებისგან სარეკომენდაციო წერილები ჩამოაქვს, რომ ეს ნივთები დაათვალიეროს.

თბილისში ყოფნის მესამე წელს ალა ალ-მოლქის ტელეგრამა მივიღე. მწერდა, რომ თეირანში მიდიოდა და გზად თბილისში შემოივლიდა. მისი ძმისშვილი ჰაჯი ნასერ ას-სალთანე თბილისში ჩემი სტუმარი იყო და ევროპაში აპირებდა გამგზავრებას. მთხოვა, რომ ვლადიკავკაზამდე გამეცილებინა. *კალიასკაში* ჩავსხედით და ის იყო, გზას უნდა დავდგომოდით, რომ ჩვენკენ მომავალი ჰაჯი მოჰამად ბაყერ რეზაიოვი დავინახეთ. დაველოდეთ და რომ მოგვიახლოვდა, მითხრა: „მე თქვენთან რაღაც საქმე მქონდა, თქვენ კი მიემგზავრებით". ვუპასუხე: „*კალიასკა* ოთხკაციანია, ჩვენ კი მხოლოდ ორნი ვართ. დაბრძანდით და ვლადიკავკაზამდე თქვენი პრობლემები მოგვიყევით". იუარა და თქვა: „მე ვაჭარი ვარ და ათასი საქმე მაქვს, ვლადიკავკაზში ვერ წამოვალ". რეზაიოვი ჰაჯი ნასერ ას-სალთანეს მეგობარი იყო და დროს ერთად ატარებდნენ ხოლმე. ნასერ ას-სალთანემ მითხრა: „ირანის ქვეშევრდომი როგორ ბედავს, რომ გენერალურ კონსულს არ ემორჩილება? საკონსულოს *ფარაშებს* უბრძანეთ, რომ *კალიასკაში* ძალით ჩასვან". მეც ძალიან მინდოდა, რომ რეზაიოვი ჩვენთან ერთად წამოსულიყო, რადგან კარგი მოსაუბრე იყო, ამიტომ *ფარაშებს* ვუბრძანე, რომ *კალიასკაში* ჩაესვათ. მოკლედ, მე *კალიასკის* მარჯვენა მხარეს დავჯექი, ნასერ ას-სალთანე – მარცხნივ, ჰაჯი კი საპატიო ადგილზე წინ დავსვით. ნასერ ას-სალთანე ჩემ გვერდით იჯდა, ხოლო ჩემი ჩემოდანი წინა სკამზე იდო. ფოსტის სადგურ ყაზბეგში (Qäzī Bīg) ცხენები გამოვცვალეთ და ვისადილეთ. *კალიასკაში* რომ ვსხდებოდით, ღმერთმა გადმოგვხედა და დავიჟინე, რომ რეზაიოვი ჩემ წინ დამჯდარიყო, ჩემოდანი კი ნასერ ას-სალთანეს წინ დავდე. გზაში ჰაჯიმ მითხრა: „აქ მთა გადაჭრილია და წვიმის მერე ხშირად მთიდან ქვა-ღორღი

---

373 მონაკოში მირზა რეზა ხანის სახლის „დანეშგაჰის" ერთ-ერთი დარბაზი.

ცვივა. ამ დროს გზა იხერგება და გასაწმენდად მუშები მოდიან ხოლმე". ცოტა რომ გავიარეთ, უცებ მთას ქვის ლოდი მოსწყდა და ჩემოდანს დაეცა. ჩემოდანიც დაიმსხვრა და *კალიასკასაც* წინა მარცხენა ბორბალი გაუტყდა. ჰაჯი მოჰამად ბაყერს ქვამ ქუდი მოგლიჯა და ცოტა თავი დაუზიანა. რამდენიმე წუთი უგონოდ იყო, მერე კი თავზე ხელი მოიკიდა, გაოგნებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა, მაგრამ მომხდარის აზრზე ვერ მოვიდა. ცხადია, *კალიასკიდან* ჩამოვედით, რეზაიოვიც ჩამოვიყვანეთ და იმ სახიფათო ადგილს გავერიდეთ. შემთხვევის შესახებ ფოსტის სადგურში შევატყობინეთ და სხვა *კალიასკა* გამოგვიგზავნეს. წასვლის წინ შემთხვევის ადგილი მოვინახულეთ. ჩემი დაჟინება რომ არა, ის ქვა ჰაჯი მოჰამად ბაყერს გაჭყლეტდა. გონს მოსულმა რეზაიოვმა გატეხილი *კალიასკა* რომ დაინახა, ძალიან შეეშინდა და თქვა: „უკან რომ დავბრუნდებით, ღარიბებს მოწყალებას დავურიგებ". მისი და საკუთარი სინდისის წინაშე ძალიან მრცხვენოდა, ვნანობდი, რომ ვაიძულე, ჩვენთან ერთად წამოსულიყო. ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ არასოდეს არავის ჩემს მეგზურობას აღარ დავაძალებდი.

სამწუხაროდ, თბილისში ჩემი კონსულობის დასასრულს მოლა ჰაჯი ბაბაი-ეყაზი გარდაიცვალა და მისი ვაჟი ერევნიდან ჩამოვიდა. მისი სიძე ჩემთან დავიბარე და თბილისში ჩემი სახლის, სასტუმრო „ფირუზესა" და „დანეშაბადის" მეთვალყურეობა დავავალე. პეტერბურგში ჩემი სამსახურის დროს თბილისში ჩემს საქმეებს ის აგვარებდა. (ეს კაცი აყა მოჰამად ხან საედ მარაყაის მამა იყო და შემდგომში ჩემი ვაჟის ჰასანის მასწავლებელი გახდა).

მირზა მეჰდი ხან მომთაჰენ ად-დოულე შაყაყი და მისი მოგონებები

მირზა მეჰდი ხან მომთაჰენ ად-დოულე შაყაყი.

მირზა მეჰდი ხან შაყაყი, ცნობილი ლაყაბით „მომთაჰენ ად-დოულე", 1843 წელს თეირანში დაიბადა. მამამისი რეზა ყოლი, ცნობილი ისტორიკოსი და წყاროთმცოდნე, შაყაყის[374] ქურთული ტომის ხანების შთამომავალი იყო. მირზა მეჰდიმ დაწყებითი განათლება ახლად გახსნილ დარ ალ-ფონუნის სასწავლებელში მიიღო. 1857 წელს ნასერ ად-დინ შაჰმა ახალგაზრდების ჯგუფი პარიზში სასწავლებლად გააგზავნა და მათ შორის 14 წლის მირზა მეჰდიც იყო. იქ მან ჯერ საშუალო სკოლა, მერე კი პარიზის ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის (L'ecole Normale Superiere de Paris) არქიტექტურის ფაკულტეტი დაამთავრა. 1864 წელს ირანში დაბრუნებულმა მირზა მეჰდიმ მუშაობა დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროში. ის შაჰის პირადი არქიტექტორი იყო და თეირანში სეფაჰის ქუჩაზე ბანკი ააშენა. 1904 წელს მირზა მეჰდი საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით მოსკოვში გაემგზავრა. გზად იგი საგანგებოდ გაჩერდა თბილისში, რადგან თავისი ერთ-ერთი ვაჟი ჰადი ხანი რუსული ენის შესასწავლად შეიყვანა თბილისის სადღეღამისო გიმნაზიაში, სადაც მან ორი წელი დაჰყო. 1910-იან წლებში მირზა მეჰდის ერთი მეორის მიყოლებით სამი ვაჟი დაეღუპა. გადატანილმა ტრაგედიამ იგი დააავადა და ცხოვრების ბოლო წლები ავადმყოფობაში გაატარა.

მირზა მეჰდიმ პარიზში ირანის ელჩის ჰოსეინ ალი ხან გარუსის ნაქეზებით მოგონებების წიგნი დაწერა. თხზულებაში ირანის გეოგრაფია, ისტორია და ნასერ ად-დინ შაჰის დროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებაა აღწერილი. გარდა თავად ავტორის თავგადასავლებისა, მასში ასევე ჩართულია ირანის მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეთა ისტორიები. ერთ-ერთი მათგანი – სტამბოლში ირანის საქმეთა რწმუნებულის მოჰამად ხან ქოლუნის თავგადასავალი საქართველოში მომხდარ ამბებს შეიცავს.

---

[374] შაყაყი – ქურთულ ტომთა დიდი ერთობა, ამჟამად თითქმის მთლიანად აზერბაიჯანიზირებულია. ბინადრობენ ურმიასა და ვანის ტბებს შორის.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Khāterāt-e Momtahen ad-Doule (Zendegī-nāme-ye Mīrzā Mehdī Khān Momtahen ad-Doule Shaqāqī), be kūshesh-e Hoseyn 'Alī Khān Shaqāqī, Tehran, 1979.

Mīrzā Mehdī Khān Momtahen ad-Doule Shaqāqī va Mīrzā Hāshem Khān, *Rejāl-e vezārat-e khāreje dar 'asr-e Nāserī va Mozaffarī*, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1365/1986.

ლიტერატურა

Mohammad Mehdī 'Abdollāhzāde, "Me'mār-e douregozār: negāhi be Khāterāt-e Momtahen ad-Doule", *Golestān-e Honar*, No.15, Tehran, 1388/2009, 53-63.

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 4, Tehran, 1347/1968, 170.

Hoseyn 'Alī Khān Shaqāqī, "Sarāghāz", წიგნში: *Khāterāt-e Momtahen ad-Doule (Zendegī-nāme-ye Mīrzā Mehdī Khān Momtahen ad-Doule Shaqāqī)*, 17-26.

მომთაჰენ ად-დოულეს მოგონებები (მირზა მეჰდი ხან მომთაჰენ ად-დოულე შაყაყის ცხოვრების წიგნი)

* _ *

თავრიზში ფული ვისესხე. თბილისის *თოჯარბაშს* ჰაჯი მეჰდის თხოვნით მივმართე და საათები და სხვა ძვირფასი ნივთები, რომლებიც მასთან დაგირავებული მქონდა, თავრიზში გამომიგზავნა. დამავიწყდა, დამეწერა, რომ თბილისში გატარებული რამდენიმე დღის განმავლობაში ირანელი ტელეგრაფისტები გავიცანი. ისინი მირზა ჯავად ხანის (დღეს მისი აღმატებულება სა'ად ად-დოულე) მეთაურობით თბილისში ტელეგრაფ „მორზეს" (mars) შესასწავლად იყვნენ გაგზავნილი. ერთი მათგანი მირზა ჯავად ხან სა'ად ად-დოულეს ძმა აწ განსვენებული მირზა აბას ხანი იყო, მეორე – მირზა აბდ ალ-ვაჰაბ ხან მაჰალათი, მესამე კი – დაუდ მირზა შაჰროხშაჰი.

საგანგებო ელჩის მისიის წევრი

რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის თბილისში ჩაბრძანებასთან დაკავშირებით, ირანის რომელიმე უფლისწული თბილისში უნდა გამგზავრებულიყო, რათა *ცარისთვის* მშვიდობიანად ჩამოსვლა მიელოცა. ეს მისია აწ განსვენებულ ჰეშმათ ად-დოულე ჰამზა მირზას ერგო. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამ დელეგაციაში მონაწილეობა მე დამავალა, თუმცა ამ ამბავთან დაკავშირებით ბევრი იმედგაცრუებისა და დამცირების გადატანა მომიხდა.

დელეგაციაში შედიოდნენ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჰეშმათ ად-დოულე ჰამზა მირზა, ელჩის მრჩეველი მისი ძმისშვილი აბდოლაჰ მირზა, პირველი თანაშემწე ალი ხან მოშირ ალ-ვეზარა, ჰოსეინ ხან ნეზამ ად-დოულეს ვაჟი, მეორე თანაშემწე მირზა მეჰდი ხან ჰამადანი და მესამე თანაშემწე და თარჯი-

მანი თქვენი მონა-მორჩილი. სახელმწიფო ხაზინიდან ჩემთვის 300 თუმანი მოგზაურობის ხარჯები და შესაფერისი ტანსაცმელი გამოიყო და აწ განსვენებულ მინისტრთან ამ თანამდებობისთვის მზადებას შევუდექი: მინისტრის დახმარებით შედგენილი შაჰისა და სრულუფლებიანი ელჩის სიტყვები, რომლითაც იმპერატორის წინაშე უნდა წარვმდგარიყავით, სპარსულიდან ფრანგულად ვთარგმნე და მათი თანდასწრებით მრავალგზის ზეპირად წავიკითხე.

ღმერთმა დალოცოს ჩემი დიდებული დამრიგებელი, რომელიც განუწყვეტლივ მიმეორებდა: „წარმოიდგინე, რომ მე რუსეთის *ცარი* ვარ, შენ სრულუფლებიან ელჩთან ერთად ჩემთან დარბაზობაზე შემოდიხარ და ელჩის მიერ სპარსულად წარმოთქმულ სიტყვას ფრანგულად თარგმნი". მეც იძულებული ვიყავი, მეფეთა საკადრისი დახვეწილი ენით ელჩის სიტყვა ფრანგულად მეთარგმნა და შეუფერხებლად წამეკითხა. ასე ვვარჯიშობდი და უეჭველია მკითხველი წარმოიდგენს, ელჩის სიტყვის დაზეპირებასა და წარმოთქმაზე რამდენი ვინვალე.

მიუხედავად იმისა, რომ ორი თვე ამ წვრთნებში გავატარე და მინისტრი ჩემით ძალიან კმაყოფილი იყო, აწ განსვენებულმა მირზა ნასროლაჰ ხან დაბირ ალ-მოლქმა მინისტრს მოახსენა: „ეს კაცი ამ მოგზაურობაში არ გამოგვადგება, რადგან ალი ხან მოშირ ალ-ვეზარამ ფრანგული მშვენივრად იცის, წლების განმავლობაში პარიზში ირანის საელჩოში პირველი თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა და ამ საქმეს მირზა მეჰდი ხან შაყაყიზე უკეთ გაართმევს თავს. მართალია მირზა მეჰდის სახელი რუსეთის საელჩოსთვის გადაცემულ ოფიციალურ დოკუმენტში შეტანილია, მაგრამ ჩემი ცოლისძმა მირზა მეჰდი ხან *მოპანდესბაში,* რომელსაც იგივე სახელი ჰქვია, მზად არის ამ მოგზაურობაში საკუთარი ხარჯებით გაემგზავროს, ასე რომ მირზა მეჰდი შაყაყისთვის გამოყოფილი 300 თუმანი თქვენ დაგრჩებათ."

მოკლედ, აწ განსვენებული მინისტრი ამ ცვლილებას დათანხმდა და წერილი მომწერა: საელჩოს მისიას თარჯიმანი აღარ სჭირდება და სხვაგან გაგაგზავნითო.

ამ ამბისგან დამწუხრებული, თქვენი მონა-მორჩილი მინისტრს ვეახლე, მისი გადაწყვეტილება უხეშად გავაპროტესტე და წამოვედი. ამის შემდეგ ერთხანს სამინისტროში აღარ დავდიოდი და ყოველგვარ შემოთავაზებას უარით ვპასუხობდი.

სტამბოლში ირანის საქმეთა რწმუნებულის მოჰამად ხან ძოლუნის თავგადასავალი

[ჰიჯრის 1283 წლის ზუ ლ-ჰიჯა (1867 წლის აპრილი)[375]]

... მე და ჩემმა მეგობრებმა სტამბოლში რამდენიმე დღე დავყავით და ირანში გავემგზავრეთ. გადავწყვიტეთ, ჯერ წავსულიყავით ფოთში, რომელიც რუსეთის

[375] ამ ეპიზოდში აღწერილი ამბების თარიღად ავტორს 1867 წელი აქვს მითითებული, მაგრამ ჩანს, რომ ტექსტი მოგვიანებით, 1878 წლის შემდეგ არის დაწერილი, რადგან ავტორი ახსენებს 1878 წლის მოვლენებს – ბათუმის მიერთებას რუსეთის იმპერიის მიერ და მირზა ფათჰალი ახუნდოვის გარდაცვალებას.

სასაზღვრო ქალაქი და შავ ზღვაზე კავკასიის ერთ-ერთი პორტია. გემი რამდენიმე საათი სინოპში და ორი დღე ტრაბზონში გაჩერდა...

ტრაბზონიდან გზა განვაგრძეთ, ბათუმის ნავსადგურში შევედით და ცოტა ხანი ნაპირზე გადავედით. ადრე ბათუმი ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა, რუსეთ-ოსმალეთის ბოლო ომის შემდეგ კი მოხთარ ფაშას წყალობით რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. მეორე დილით ჩვენმა გემმა ღუზა ფოთის ნავსადგურში ჩაუშვა და იძულებული გავხდით, ღამე იქ გაგვეტარებინა. ამ ქალაქში ჩემს მეგობრებს ვნებები მოეძალათ და ძლიერმა სურვილმა მათ გონება დაუბნელა. *ჰოტელის* მეპატრონეს, რომელიც იტალიელი იყო, სთხოვეს, რომ მათ ავხორცული სურვილების დაკმაყოფილებაში დახმარებოდა და ისიც დაჰპირდა, რომ ამ საქმეს ღამის ორი საათისთვის მოუგვარებდა. ფოთი ძალიან პატარა ქალაქი იყო და შიგ სულ რამდენიმე ხის სახლი იდგა. რუსულ *კომპანიას* (kampānī) ფოთიდან თბილისამდე რკინიგზის ხაზი გაჰყავდა და მშენებლობაზე სამუშაოდ ჩერქეზული ოჯახები იყვნენ ჩამოსული. *ჰოტელის* მეპატრონე ვარაუდობდა, რომ სამუშაოს დამთავრების შემდეგ მუშები სახლებში წავიდოდნენ, ივახშმებდნენ და დაიძინებდნენ, ხოლო მათი ცოლები კაბებს გამოიცვლიდნენ და სასტუმროში მოვიდოდნენ. მართლაც ასე მოხდა. მაგრამ, საუბედუროდ, მეორე დღეს ჩემს ხუთივე თანამგზავრს მწვავე გონორეა დაემართა. ერთი მათგანი ექიმი იყო და თავის თავსა და რამდენიმე კაცს დაბანით უშველა, დანარჩენები კი თეირანში ჩასვლამდე იტანჯებოდნენ.

მეორე დღეს ფოთიდან წამოვედით და მარნისკენ (Mārān) გავემართეთ. გზად მდინარე რიონს (Ryon) მივადექით. (მდინარე რიონი ყვირილასა (Qorī) და ქუთაისს (Kūtāyys) გაივლის და ფოთის ნავსადგურთან შავ ზღვაში ჩაედინება). დაბა მარანში ჩემმა მეგობრებმა ოთხცხენშებმული სატვირთო *ფურგონი* (*კალიასკა*) იქირავეს. ეტლის მეპატრონე თავრიზელი *სეიდი* იყო, რომელსაც ერთი ხელი გამხმარი და პარალიზებული ჰქონდა და *ფურგონს* ცალი ხელით მართავდა. მას თან მეჯინიბეც ახლდა. რაც შეეხება თქვენს მონა-მორჩილს, ჩემი თანამგზავრები ჩემზე გაღიზიანდნენ, რომ ფოთში გრძნობების მოთოკვა შევძელი და, მათგან განსხვავებით, ავად გახდომაში ხუთი მანეთი არ გადავიხადე. ფოთიდან მარნამდე გემით მგზავრობისას ისინი ჩემდამი მტრულ დამოკიდებულებას არ მალავდნენ და იძულებული გავხდი, გემზე გაცნობილი სემინარისტის ალიხანოვისთვის (ʿAlī Khān Of), რომელიც თბილისის *ჩაფარბაშის* ვაჟი იყო და ოდესიდან (Odesa) სახლში ბრუნდებოდა, დახმარება მეთხოვა. ალიხანოვს მარანში მამამისის გამოგზავნილი *კალიასკა* ელოდა და დამთანხმდა, რომ ოც მანეთად ამ *კალიასკით* თბილისში წამიყვანდა.

ჩემმა საწყალმა ავადმყოფმა მეგობრებმა კი შვიდი ღამე გზაში გაატარეს და, როგორც ამბობენ, ერთი ღამე ღორების გომურშიც კი მოუწიათ გაჩერება. თურმე შუაღამისას გომურში ღორები შევიდნენ და ერთი უზარმაზარი ღორი ექიმ მირზა ბოზორგს დააწვა და საცოდავი კინაღამ არ გაჭყლიტა. გამწარებულმა მირზა ბოზორგმა შური იძია, ღამით იმ ღორს თავი მოაჭრა, გომურიდან მდინარე ყვირილას ნაპირზე მიათრია, გაატყავა და ხორცი თან წამოიღო. ეს ბატონები თბილისამდე სულ ამ ღორის ხორცს შეექცეოდნენ, რის გამოც ავადმყოფობა გაუმწვავდათ და საშინელ დღეში ჩაცვივდნენ.

ალიხანოვის *კალიასკა* ძალიან სწრაფად მიდიოდა, ამიტომ თბილისში ჩემს მეგობრებს ექვსი დღით ჩავასწარი. შუადღისას ჩვენი ეტლი ირანის გენერალური კონსულის რეზიდენციასთან გაჩერდა. იმ დროს თბილისში ირანის კონსული მირზა იუსუფ ხან მოსთაშარ ად-დოულე იყო. ადრე ის თავრიზში საფრანგეთის საკონსულოს მდივნად მუშაობდა და საგარეო საქმეთა მინისტრმა აწ განსვენებულმა მირზა სეიდ ხანმა ჯერ თეირანში გაიწვია და მერე ასტრახანის გენერალურ კონსულად დანიშნა. რადგან მოსთაშარ ად-დოულე ძალიან მცოდნე და გამოცდილი მოხელე იყო და ახალ ადგილზეც თავი კარგად გამოიჩინა, ის თბილისის გენერალურ კონსულად გადაიყვანეს. მას შემდეგ, რაც პარიზში ირანის ელჩი ჰასან ალი ხან ამირ ნეზამი საკუთარი სურვილით თანამდებობიდან გადადგა, პარიზში დროებით რწმუნებულად აწ განსვენებული მირზა იუსუფ ხანი გააგზავნეს, ამ უკანასკნელმა კი თავისი ძმა მირზა აყა ხანი თბილისში კონსულის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნა. თქვენი მონა-მორჩილიც სწორედ მასთან შევედი.

ღმერთია მოწმე, ამ კაცმა თბილისში ყოფნისას როგორც მე, ისე ჩემს მეგობრებს არნახული მასპინძლობა გაგვიწია, რაც გარკვეულწილად მისი მამა-ჩემისადმი კეთილგანწყობითა და მეგობრობით იყო განპირობებული. დღისით, ძირითადად, თბილისში გვასეირნებდა და ქალაქს გვათვალიერებინებდა. სადილი შეიხ საფას ანუ *შეიხ ალ-ესლამის* ბაღში გაგვიმართეს. ჩვენმა მასპინძელმა აქაური ვაჭრები შეაგულიანა და მათ ჩვენ საპატივცემულოდ მიღება მოაწყვეს. მართლაც, რომ საოცარი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს.

თბილისში რამდენიმე ცნობილ პიროვნებას შევხვდით. ერთ-ერთი აწ განსვენებული მირზა ფათჰალი ახუნდოვი იყო. ამ დიდებულ, ერუდირებულ კაცთან მეცნიერული მსჯელობითა და საუბრით ძალიან ვისიამოვნეთ. გარდა ახუნდოვისა, ვნახეთ აწ განსვენებული მირზა ქაზემ ბეგ საჰებ-ე თაფსირი, რომელიც მუსლიმი კანონმდებლის, მისი უწმინდესობა შეიხ მორთეზა ანსარის ერთ-ერთი შეგირდი და მიმდევარი იყო. კავკასიის სასამართლოში მუსლიმებს მის მიერ რუსულად ნათარგმნი ისლამური კანონმდებლობით ასამართლებდნენ და თურმე დღემდე ამ კანონებით ხელმძღვანელობენ. ირანელი უფლისწულებიდან განსვენებული ბაჰმან მირზას უფროსი ვაჟი რეზა ყოლი მირზა გავიცანი. ის რუსეთის წინა იმპერატორების მათი უდიდებულესობების ნიკოლოზისა და ალექსანდრეს ადიუტანტი იყო.

განსაკუთრებული თბილისში არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სამგზავრო ფული გაგვითავდა და *თოჯარბაშმა* ირანელმა აყა მეჰდიმ ჩვენი საათი და სხვა ძვირფასი ნივთები გირაოში დაიტოვა და თავრიზში გასამგზავრებელი ფული მოგვცა...

კავკასიაში მოგზაურობიდან ის დამამახსოვრდა, რომ ამ რეგიონის მუსლიმები, მიუხედავად იმისა, რომ 50 წელია, რაც რუსეთში ცხოვრობენ, თავს მაინც ირანელებად მიიჩნევენ, თავიანთ ირანელობას თავგამოდებით იცავენ, მუსლიმურ ადათ-წესებს ასრულებენ და სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობენ.

მოჰამად რეზა თაბათაბაი თაბრიზი
და მისი მოგზაურობის წიგნი

1879 წლის 14 აგვისტოს თავრიზელი შეიხიტების (შიიტური სექტა) ჯგუფი, ცნობილი შიიტი სწავლულის მირზა შაფი სეყათ ალ-ესლამის ხელმძღვანელობით, მექას მოსალოცად გაემგზავრა. ჯგუფში შედიოდნენ მირზა შაფის ვაჟი მირზა მუსა, მისი მონაფეები და მსახურები, სულ 13 კაცი. მოგზაურობა ცხრა თვეს და ცხრა დღეს გაგრძელდა. მირზა შაფის ერთ-ერთმა მონაფემ მოჰამად რეზა თაბათაბაი თაბრიზიმ, რომელიც მას ამ მოგზაურობაში ახლდა, მოგზაურობის დეტალური აღწერილობა – „პილიგრიმთა საჩუქარი" დაგვიტოვა. თხზულების ერთადერთი ხელნაწერი შაჰის ბიბლიოთეკაში ინახება (№2357).

ცნობები ავტორის შესახებ შემოგვინახა თავად თხზულებამ, რომლის შესავალშიც მოჰამად რეზას მოაქვს როგორც საკუთარი, ისე მირზა შაფის მოკლე ბიოგრაფია. მისი სრული სახელი მოჰამად რეზა ალ-ჰასან ალ-ჰოსეინი თაბათაბაი თაბრიზია და ის თავრიზელი სეიდების ცნობილი გვარის შთამომავალია. მამამისი აბდ ალ-ჯალილ თაბათაბაი თაბრიზი თეირან-თავრიზის გზის უფროსი იყო. მოჰამად რეზამ განათლება მიიღო თავრიზის სახელმწიფო სკოლაში, სადაც სხვა საგნებთან ერთად არითმეტიკა, ინჟინერია, კარტოგრაფია და ფრანგული ენაც შეისწავლა. თხზულებიდან მოჰამად რეზას გაორებული სურათი იკვეთება: ერთი მხრივ, ის თავის თავს აღწერს როგორც უბრალო მოსასხამსა და ჩალმაში გამოწყობილ ასკეტს და, მეორე მხრივ, ბევრს საუბრობს განათლების ახალ სისტემებზე, მსოფლიო კულტურასა და ცივილიზაციაზე.

მოჰამად რეზას „პილიგრიმთა საჩუქარი" ენციკლოპედიური ხასიათის მოგზაურობის წიგნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. თხზულება მდიდარია ისტორიული და გეოგრაფიული დეტალებით, თუმცა ფაქტების გადმოცემისას ავტორი ხშირად სცოდავს და ტენდენციურია.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Hedāyat al-Hojjāj, Safar-nāme-ye Makke, ta'līf: Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Qum, 1386/2007.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame", წიგნში: *Hedāyat al-Hojjāj, Safar-nāme-ye Makke*, 11-44.

Rasūl Ja'farīyān, "Az Tabrīz tā Tabrīz: Gozāresh-e safar-e hajj-e Seyyed Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī dar sāl-e 1296 qamarī", 1286/2007

(http://www.historylib.com/site/SViewDocument.aspx?DocID=877&RT=List).
Sadeqe Bālī Lāshak va Ma'sūme Yārī, "Rāh-e hedāyat", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, No.131, Tehran, 1388/2009, 101-104.

პილიგრიმთა საჩუქარი (მექაში მოგზაურობის წიგნი)

წინა გზა
(1879)

[ქალაქ თბილისის მოკლე აღწერა]

ქრონიკებში წერია, რომ თბილისი ანუშირვან სამართლიანის აგებულია. სხვა წყაროების მიხედვით, წინასწარმეტყველ ნოეს, ალაჰმა განუსვენოს, ვაჟს იაფეტს ცხრა ვაჟიშვილი ჰყავდა და თითოეულს საცხოვრებლად ისეთი მნიშვნელოვანი რეგიონი ერგო, როგორიცაა ხორასანი, საყლაბი[376], თბილისი და ასე შემდეგ. ეს რეგიონები შემდეგ იაფეტის შვილების სახელებით გახდა ცნობილი. ზოგიერთების თქმით კი, სიტყვა „თეფლის" სომხურია და შედგება ორი სიტყვისგან, „თეფ" და „ლის", რაც თბილ წყალს ნიშნავს.

ერთი სიტყვით, თბილისი საქართველოს უმნიშვნელოვანესი *ვილაიეთია*. რადგან ყველა მოგზაურმა, ვინც აქ გაიარა, თავის მოგზაურობის წიგნში მისი მოკლე აღწერა მოგვცა, მეც გადმოგცემთ ჩემს შთაბეჭდილებებს ამ მშვენიერი ქალაქის შესახებ.

თბილისი კავკასიის *ვილაიეთის* გუბერნატორის რეზიდენციაა. ეს *ვილაიეთი* ჩრდილოეთის განედის 46 გრადუსიდან და 4 მინუტიდან 39 გრადუსსა და 30 მინუტამდე და აღმოსავლეთის გრძედის 54 გრადუსიდან 68 მინუტამდეა გადაჭიმული. ჩრდილოეთიდან მას აზოვის ზღვის ნავსადგურები ესაზღვრება, სამხრეთიდან – ასტარას პორტი, რომელიც კასპიის ზღვაზე (Daryā-ye Khazar) მდებარეობს, ხოლო აღმოსავლეთიდან – ფირუს (Fīrū) კუნძული[377]. *ვილაიეთის* საერთო ფართობი 439 187 კვადრატული კილომეტრია. მისი მოსახლეობა 1876 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით 5 387 851 კაცს შეადგენს ანუ თითოეულ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ 12 კაცი მოდის. კავკასიაში სხვადასხვა ჯურის ხალხი ცხოვრობს. ერთი ნაწილი მომთაბარე მუსლიმია. ისინი თურქულად ლაპარაკობენ და მეცხოველეობას მისდევენ. მეორე ჯგუფს ქართველები და მეგრელები შეადგენენ და მათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა. სომხები და ებრაელები ვაჭრობით არიან დაკავებული. ძირითადად, ვაჭრობას მისდევენ აქ მცხოვრები ირანის ქვეშევრდომებიც. მათი უმრავლესო-

---

376 საყლაბი (ტექსტში შეცდომით „საყლათი" წერია) სლავურ ქვეყნებს აღნიშნავს.

377 იგულისხმება კუნძული ფირალაჰი (სიტყვ. „ალაჰის წმინდა ადგილი"), რომელიც კასპიის ზღვაში აფშერონის ნახევარკუნძულის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარეობს. რუსეთის იმპერიაში მას მოკლედ „სვიატოის" („წმინდა") ეძახდნენ და თაბათაბაიც შემოკლებულ ფორმას ხმარობს.

ბა თეირანიდან, თავრიზიდან და რაშთიდან არის ჩამოსული და ჩაით, შაქრითა და აბრეშუმით ვაჭრობს. ოსმალოები მიწათმოქმედებით, სოფლის მეურნეობით, თამბაქოს გაყიდვითა და პურის ცხობით არიან დაკავებული. ბერძნები ქვისმთლელები და მაღაროელები არიან. კავკასიაში ფრანგები, იტალიელები და გერმანელებიც ცხოვრობენ, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ხალხებთან შედარებით ისინი უფრო ცოტანი არიან.

კავკასიის შემოსავლებისა და გასავლების ბალანსი ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1879 წლისთვის ასეთია: შემოსავალი – 7 791 311 მანეთი, გასავალი – 7 490 166 მანეთი.

მოკლედ, კავკასიის საგუბერნიო ცენტრი თბილისი დღეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქალაქია. რეგიონის ახლანდელი მმართველი მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორის უმცროსი ძმა სახელგანთქმული მთავარსარდალი მიხეილია (Mīkhāyyl). ამჟამად ის პეტერბურგში იმყოფება. მისი დიდებული სასახლე დგას ძალიან ლამაზ ბაღში, სადაც სხვადასხვა ჯიშისა და ფერის ყვავილები ხარობს. შარშან, როცა მისი უდიდებულესობა ირანის ძლევამოსილი შაჰინშაჰი ევროპაში მიბრძანდებოდა, მას თბილისში ამ სასახლეში ბრწყინვალე მიღება გაუმართეს.

მდინარე მტკვარი, რომლის ძველი სახელი სარდინია (Sardīn), ოსმალეთის სომხეთში ტავრის (Tāvr) მთის წყაროებიდან იღებს სათავეს. ოსმალეთის მიწაზე მისი სიგრძე 95 *ვერსია*. მერე ის რუსეთში გადადის, ბორჯომის (Bārzhūrm) გავლით თბილისში ჩადის და ქალაქს შუაზე კვეთს. თბილისის გარეთ მტკვარი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიედინება, ქალაქთან ახლოს კი უხვევს და გზას სამხრეთისკენ აგრძელებს. [გზაზე] მას საქართველოს მთებიდან გადმოსული შენაკადები უერთდება და თბილისის მისადგომებთან ძალიან წყალუხვი ხდება. რადგან ქალაქში მდინარის კალაპოტი საკმაოდ ღრმაა, ამიტომ წყალი მეჩხერი მოჩანს, სინამდვილეში კი ის დიდი მდინარეა. შირვანთან მტკვარი მდინარე არაქსს უერთდება და ორივე ერთად კასპიის ზღვაში ჩაედინება.

მთიდან დაახლოებით შვიდი ცხელი წყარო გადმოდის. ქალაქის ძველმა მმართველებმა მათზე გუმბათები ააშენეს და შიგ აბანოები მოაწყვეს. დღესაც ამ აბანოებში წყალი ცხელი წყაროებიდან შედის.

მოკლედ, ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე მტკვარზე ხუთი რკინის ხიდია აშენებული. მეხუთე ხიდი ცნობილი რუსი მთავარსარდლის ვორონცოვის (Varānsof) სახელს ატარებს. ოსმალებთან ომში გამარჯვების აღსანიშნავად მას ბრინჯაოს ძეგლი დაუდგეს. ძეგლის გარშემო ჯაჭვით გადაბმული რვა თურქული ქვემეხი თავდაყირა, პირით მიწისკენ არის განლაგებული. *პრინცი* ვორონცოვი ძველი რუსული წარჩინებული ოჯახიდან იყო და კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობა ეკავა. მან ამ რეგიონს დიდი სამსახური გაუწია და თორმეტწლიანი მმართველობის შემდეგ 1850[378] წელს 74 წლის ასაკში გარდაიცვალა.

თბილისი მდინარე მტკვრის ორსავე მხარეს არის გაშენებული. დასავლეთი ნაპირი შედარებით უფრო კეთილმოწყობილია, ვიდრე აღმოსავლეთი. რადგან ქალაქი ორი მთის ქვაბულშია მოქცეული, ძნელია მისი მთლიანობაში წარმოდ-

[378] შეცდომაა: მ. ვორონცოვი 1856 წელს გარდაიცვალა.

გენა და საერთო პანორამა კარგად მხოლოდ ბოტანიკის მთის (Kūh-e Būtānīk) წვერიდან[379] მოჩანს. ამ მთიდან გაშლილი ხედით თუ ვიმსჯელებთ, ქალაქის ქუჩები სწორია და ქვით არის დაფენილი. ქუჩების ორსავე მხარეს ქვის სკამებია ჩამწკრივებული. საუკეთესო ქუჩა მთავარსარდლის სასახლის წინ მდებარე 45 ნაბიჯი სიგანის *ბულვარია*, რომელზეც საუცხოო სახლები დგას.

ქუჩების უმეტესობა მთელი ღამე გაზის ფარნებით არის განათებული. ქალაქის მოსახლეობა დღე და ღამე *კალიასკებით* და ღია *ფაეტონებით* სეირნობს. მათი ნომრებით თუ ვიმსჯელებთ, ქუჩებსა და ბაზარში შვიდასამდე საქირავებელი *კალიასკა* დადის. გარდა ამისა, ქალაქის დიდგვაროვნებს საკუთარი ეტლებიც ჰყავთ.

ქალაქსა და მის გარეუბანში მტკვრის წყალი არ შედის, ამიტომ ბაღების მოსარწყავად მდინარიდან წყალი ტუმბოებით ამოაქვთ. როგორც ამბობენ, გადაწყვეტილია, რომ ინჟინრები მტკვრის ზედა წელიდან გაიყვანენ კალაპოტს, რომელიც მთის კალთაზე დაეშვება და მთელ ქალაქს წყლით მოამარაგებს. მისი მშენებლობა 150 000 მანეთი ჯდება.

ქალაქის დასავლეთით მთის ფერდობზე მოჩანს გუმბათი, რომელიც შეიხ სანაანის აკლდამის სახელით არის ცნობილი[380]. თუმცა, შესაძლოა, ეს შეიხის დაკრძალვის ადგილი არც იყოს. ქალაქსა და აკლდამას შორის ლამაზ მოვლილ ბაღში ევროპელების სასაფლაოა[381], რომელშიც საფლავები თლილი ქვით არის გაკეთებული. ზოგიერთ ჭირისუფალს თავისი მიცვალებულის, როგორც კაცის, ისე ქალის, მშვენიერი გამოსახულება გაუკეთებია და სახსოვრად საფლავზე დაუდგამს.

სამხედრო ობიექტები, მათ შორის ზარბაზნები, არტილერია, არსენალი, ყაზარმა და სახელმწიფო საპყრობილე მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზეა განლაგებული. საპყრობილე მოთავსებულია ნარიყალას (Nārīn Qal'e) სახელით ცნობილ მიუვალ ციხესიმაგრეში, რომელსაც მარტო ერთი ვიწრო ბილიკი უდგება. ისე, როგორც ევროპაში, თბილისშიც ახალი შენობები ხუთ და ექვს სართულიანია. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შენობა ქრისტიანი[382] არშაკუნის (Āshāqūnī) სასახლეა, რომელშიც ახლა მთავარსარდლის რეზიდენციაა[383]. ამბობენ, რომ მისი აგება 700 000 მანეთი დაჯდა. ოთხი წლის წინანდელი მონაცემებით თბილისში 40 000 კომლი ანუ 110 000 კაცი ცხოვრობს. ესენი არიან ირანელები, რუსები, ქრისტიანები, ქართველები და კიდევ სხვადასხვა რჯულის ხალხი. მუსლიმები

---

379 იგულისხმება სოლოლაკის ქედის ის მონაკვეთი, სადაც ახლა „ქართლის დედის" ქანდაკება დგას. „ბოტანიკის მთას" ავტორი მას ბოტანიკურ ბაღთან სიახლოვის გამო უწოდებს.

380 იხ. შენიშვნა 50.

381 იგულისხმება კათოლიკეთა სასაფლაო, რომელიც მდებარეობდა მთაწმინდის კალთაზე, ახლანდელი ჭონქაძის ქუჩის ზემოთ.

382 აქ და ქვემოთ სიტყვა „ქრისტიანს" ავტორი სომხის სინონიმად ხმარობს.

383 ავტორი ცდება. არშაკუნის სასახლე (ახლანდელი სამხატვრო აკადემიის შენობა გრიბოედოვის ქუჩაზე) მისი მოგზაურობის დროს ეკავა კავკასიის მუსიკალურ საზოგადოებას (იხ. შენიშვნა 225). კავკასიის მთავარსარდლის თანამდებობა 1879-1880 წლებში საერთოდ არ არსებობდა. როგორც ჩანს, ის გულისხმობს მეფისნაცვლის სასახლეს, რომელსაც არშაკუნისთან კავშირი არა აქვს.

და არამუსლიმები აქ შერეულად სახლობენ. მათი გარჩევა ძალიან ძნელია და ირანის ქვეშევრდომს ირანელი ვაჭრის სამოსით თუ იცნობ.

თბილისში ამ *ვილაიეთის* ნებისმიერი საქონელი იშოვება და კარგი ქარვა საკმაოდ იაფი ღირს. ქალაქში ვერსად საგუშაგოს ვერ ნახავ, მაგრამ პოლიციის თანამშრომლებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდები. ღამ-ღამობითაც *სალდათები* ჯგუფ-ჯგუფად პატრულირებენ, თუმცა წინ და უკან სიარულის გარდა, სხვა საქმე არა აქვთ. აქ კაცმა გინდ მთელი ღამე ქუჩა-ქუჩა მარტომ იაროს, მას ხელს არავინ ახლებს, თუ თვითონ არ დააშავა რამე.

[შაჰ აბასის ეკლესია და მეჩეთი თბილისში]

თბილისის მუსლიმთა მეჩეთი ისლამისთვის მებრძოლმა მეფემ აწ განსვენებულმა შაჰ აბასმა, ალაჰმა გაასხივოსნოს მისი ბრწყინვალება, ააშენა. კავკასიის *შეიხ ალ-ესლამს* სახელმწიფო ნიშნავს. ახლა ის სხვა რაიონების მოსამართლეების შესამოწმებლად ბრძანდება წასული და ამიტომ ვერ შევხვდით. რეგიონალური მოსამართლეების დანიშვნასა და განთავისუფლებას ის წყვეტს. *შეიხ ალ-ესლამის* ნებისმიერი ბრძანება სიტყვის შეუბრუნებლად სრულდება. თავისი არყოფნის პერიოდში მან შემცვლელად ახუნდი მოლა ალი ასყარი დატოვა. რამაზანის თვეში ის მთელ დღეებს მეჩეთში ატარებდა და ლოცულობდა. *შეიხ ალ-ესლამს* ქადაგება და რელიგიური რიტუალების ჩატარება არ ეხება. *როუზეხანი* და მქადაგებელი თბილისში ყოველ წელს თავრიზიდან და სხვა ადგილებიდან ჩამოდის. ბოლო რამდენიმე წელია, რაც მისი აღმატებულება სეყათ ალ-ესლამის ერთ-ერთი მოწაფე მისი აღმატებულება ჰაჯი მირზა აბდ ალ-ლათიფ ჰაქიმი ჩამოდის. რადგან მას *ქაფიესა* და *შაფიეს*[384] შეგონებები თავად სეყათ ალ-ესლამისგან აქვს მოსმენილი, ამიტომ ხალხს მისი ქადაგებები დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ის აქ წელსაც ბრძანდებოდა. თბილისში განსვენებული აყა მირ ფათაჰის[385] შთამომავალი აყა მირ ნემათოლაჰი ცხოვრობს.

თბილისში 35 სომხური და რუსული ეკლესიაა. მათგან უმნიშვნელოვანესი სამოთხის მკვიდრ შაჰ აბასის აგებული დიდებული ტაძარია[386], თუმცა ახლა იმის დრო არ არის, რომ მისი ფასადისა და ინტერიერის მორთულობები აღვწერო. ქალაქში გემოვნებით აშენებული ძალიან კარგი აბანოებია, რომელთა ბუნებრივ ცხელ წყალზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ. თითოეულ მათგანში 6-7 ორთქლის ოთახია, სადაც ყველა ჯურის ხალხი დადის, მათ შორის ქართველი და რუსი ქალებიც. თბილისში 62 საჯარო სკოლაა, რომლებშიც ქალაქისა და მისი შემოგარენის მოწაფეები, ზოგიერთ კლასში გოგონებიც, დადიან. როგორც მითხრეს, ერთ-ერთ სკოლაში 800 მოწაფე ოთხ ენას სწავლობს. მართლაც, აქ ამ რეგიონის ყველა ენას მოისმენ. ზოგიერთი დანგრეული ქუჩა რომ შეეკეთებინათ და მუს-

---

384 შიიტური მოძღვრების ფუძემდებლური წიგნები, რომლებშიც შიიტური გადმოცემებია თავმოყრილი.

385 იხ. შენიშვნა 78.

386 იხ. შენიშვნა 183.

ლიმური უბნის ოღროჩოღროები გაესწორებინათ, თბილისი სამყაროს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი იქნებოდა.

თბილისში შვიდი ქვეყნის კონსული ზის: ირანის, ოსმალეთის, ინგლისის, ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის და ბელგიის. ორი წელია, რაც ირანის გენერალურმა კონსულმა თავისი ქვეყნისა და ქვეშევრდომების პრესტიჟისა და ღირსების ასამაღლებლად მიწის ნაკვეთი შეიძინა და ზედ სასაფლაო, დავრდომილთა თავშესაფარი და საავადმყოფო ააშენა. ამ საავადმყოფოში მარტო გაჭირვებულ ხალხს მკურნალობენ. ირანელმა ვაჭრებმა და შეძლებულმა პირებმა [ღარიბების] დასახმარებლად თანხები გაიღეს და საავადმყოფოს პატრონობას უწევენ. ასეთი ქველმოქმედება ყველა კაცის წმინდათაწმინდა მოვალეობაა და ღმერთისა და წინასწარმეტყველების მოსაწონი საქმეა. უცხო ქვეყანაში ასეთი ადამიანების არსებობა მართლაც რომ დიდი ნუგეშია. ამ ხალხის დამსახურებაა, რომ აქ ღარიბები არ მათხოვრობენ და ყველას რაღაც საქმე აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გაჭირვებულია, მდიდრები მათდამი დიდ მოწყალებას იჩენენ და ეხმარებიან.

ახლა სააგარაკო სეზონია და ხალხის უმეტესობა მთაში და ქალაქგარეთ ისვენებს. ამიტომ თეატრები დახურულია და სარემონტო სამუშაოები მიდის. ზაფხულში ერთ-ერთი გასართობი ადგილი საზოგადო პარკია, რომელსაც *ყარდენ პუბლიკ-ს* (Zhārden dīblīk)[387] ეძახიან. ბაღის ორივე ტერასა ხეებით არის სავსე. ულამაზეს ხეივნებში გამჭვირვალე ნაკადულები და შადრევნები მოედინება. აქ სხვადასხვა ჯიშის ხეები და თურქული მიხაკები[388] ერთმანეთში გადახლართულა. ბაღის ერთ მხარეს გემოვნებით აშენებული *გასტინიცა* და ყავახანაა, რომლებშიც დაღლილი მოსეირნეები დასასვენებლად შედიან. საღამოობით ამ ბაღში დიდები და პატარები, კაცები და ქალები იკრიბებიან და შეყვარებულებიც დაუფარავად სეირნობენ. გარდა ამისა, ქალაქში კიდევ რამდენიმე სასეირნო ადგილია, რომელთაგან საუკეთესო რკინიგზის ახლოს გაშენებული ბაღია. ადრე ის მის აღმატებულება აყა მირ ფათაჰს ეკუთვნოდა და ახლა სახელმწიფოს გადაეცა. ბაღი კარგად არის მოვლილი. მას შუაზე პატარა რუ კვეთს. თბილისელები ამ ბაღში კვირაობით დადიან. აქ ისევე, როგორც ნახჭევანსა და ერევანში, ორგან გახსნილია სპეციალური გასართობი ცენტრი, რომელსაც *კლუბს* ეძახიან. ერთი მათგანი ოფიციალურია და მხოლოდ თანამდებობის პირებისთვის არის განკუთვნილი. შიგ დიდგვაროვნებისა და წარჩინებული მოხელეების გარდა, არავის უშვებენ. მეორე საზოგადოა და იქ ნებისმიერ პირს ნებისმიერ ფასად შეუძლია შესვლა.

ერთ საღამოს საკონსულოს პირველ მდივანთან მირზა რეზა ხანთან ერთად პირველ *კლუბში* წავედი. მოსაღამოვდა თუ არა, უამრავი ხალხი შეიკრიბა. ხეივნებში მთვარისსახიანი ბიჭები და მუშკისთმიანი გოგონები სეირნობდნენ და მხიარულობდნენ. ჩვეულებრივ, კვირაში ორჯერ *კლუბში* ცეკვები იმართება. კაცები და ქალები, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ ცეკვის ხელოვნებას, აქ

---

387 „ყარდენ პუბლიკ" (ფრანგ. jardin public) საზოგადო პარკს ნიშნავს. იგულისხმება ალექსანდრეს (დღევანდელი 9 აპრილის) ბაღი.

388 მიხაკის ერთ-ერთი ჯიში – Gol-e buqalamun (Dianthus barbatus).

მოდიან და ერთმანეთთან ცეკვავენ. ცოტა ხანში მუსიკის ხმა გაისმა და ქალბატონები ბალიდან დიდ დარბაზში შევიდნენ. ზოგი ცეკვავდა, ზოგი კი სკამზე იჯდა და მოცეკვავეებს უყურებდა. ნებისმიერ კაცს, ვინც ცეკვა იცის, შეუძლია აქ მოვიდეს და რომელიმე ქალი საცეკვაოდ გამოიწვიოს. ქალბატონები დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში მუსიკის თანხლებით ცეკვავდნენ და არემარე ჰანგებით იყო სავსე.

მხიარულებამ გადათელა ბალახის ხალიჩა,
რადგან ბრძენიც და უვიციც, ყველა ცეკვავდა.

შესვენების შემდეგ ცეკვები განახლდა და შუაღამემდე გასტანა. აქ ასეთი წესია, რომ თუ კაცი რომელსამე ქალს საცეკვაოდ გამოიწვევს და უარს მიიღებს, ის ცეკვის ბოლომდე არავის აღარ უნდა დაელაპარაკოს და ჩუმად უნდა იჯდეს. ასეთი შეკრებები ზამთარ-ზაფხულ კვირაში ორჯერ იმართება.

ამ ქალაქში ერთი ობსერვატორიაა. ამბობენ, რომ მასში დგას საათი, რომლის ქანქარებიც მიწას სწვდება და მოსალოდნელ მიწისძვრას ათი წუთით ადრე იტყობინება.

ტილოს საქსოვ ფაბრიკას თუ არ ჩავთვლით, თბილისში დიდი ქარხანა არ არის. აქაურ სტამბაში ყოველდღიურად ოთხი გაზეთი იბეჭდება რუსულ და ქართულ ენებზე და კვირაში ერთხელ – ორი გაზეთი თურქულ და სომხურ ენებზე.

თბილისი ჩრდილოეთის განედის 41 გრადუსსა და 41 მინუტზე და გრინვიჩის გრძედის 45 გრადუსსა და 15 მინუტზე მდებარეობს და ყიბლადან დასავლეთისკენ 15 გრადუსითა და 40 მინუტით არის გადახრილი.

ასეთია ქალაქ თბილისის მოკლე აღწერა.

1296 წლის რამაზანის თვის 16 (1879 წლის 3 სექტემბერი), ხუთშაბათი:

დღეს ოთხ საათზე გენერალურ კონსულთან, საკონსულოს თანამშრომლებთან და ცნობილ ვაჭრებთან ერთად *კალიასკაში* ჩავსხედით და წავედით რკინიგზის სადგურში, რომელიც განსვენებული აყა მირ ფათაჰის ბაღის სიახლოვეს მდებარეობს. სადგურში მატარებლის ბილეთის ასაღებად საგანგებო ადგილია მოწყობილი. აქ მგზავრი იმისდა მიხედვით, თუ რომელი კლასით უნდა მგზავრობა, შესაბამის თანხას იხდის და ბილეთს იღებს. პირველი კლასის ვაგონი ყველაზე მდიდრული და კომფორტულია. მას ხავერდის ლეიბები აქვს და თბილისიდან ფოთამდე ერთი ბილეთი 16 მანეთი და 46 კაპიკი ღირს. მეორე კლასით მგზავრობა კაცი 12 მანეთი და 36 კაპიკი ჯდება, ხოლო მესამე კლასით, რომელიც ამ ორზე ნაკლებია, – 5 მანეთი და 62 კაპიკი. სატვირთო ვაგონები ცალკეა. იქ მგზავრების ბარგსა და ნივთებს წონიან და ერთ *გირვანქაში* 22 რუსულ *შაპის*[389] იღებენ. მერე ბარგს საცავში ინახავენ და ფოთში ბილეთთან ერთად აბრუნებენ. თბილისიდან ფოთამდე სავაჭრო ტვირთის [გადატანის] ფასი 32 კაპიკია, რაც დაახლოებით 1050 *დინარია*. თუ კაცს მძიმე ბარგი ან ზედმეტი ტვირთი აქვს, უმჯობესია ეს თანხა გადაიხადოს და ორი დღის მერე თავისი

[389] შაპი ირანული ნვრილი ფულის ერთეულია, ამიტომ, სავარაუდოდ, ავტორი „რუსულ შაპში" რუსულ ხურდა ფულს, ანუ კაპიკს გულისხმობს.

ნივთები ფოთში მიიღოს. ასე უფრო მომგებიანია. რუსული წონის ერთეულები *გირვანქა* და *ფუთია*. ერთი *გირვანქა* 88 *მისხალის* ტოლია და 40 *გირვანქა* ერთ *ფუთს* შეესაბამება.

სამგზავრო ვაგონებში ხელჩანთის, ტანსაცმლის, ქოლგის, პურის და სხვათა გარდა, არაფრის შეტანა არ შეიძლება. თუ ამაზე მეტი ბარგი აღმოგაჩნდება, დიდ გადასახადს გადაგახდევინებენ. ხარბი პილიგრიმები ერთ ამდენ ბარგს იღლიების ქვეშ იდებენ და ეს ე.წ. მგზავრობისთვის აუცილებელი ნივთები და პირველადი საჭიროების *ბაგაჟი* თან შეაქვთ. ბევრმა მათგანმა [წესები] არ იცის და უნდა გაფრთხილდეს.

გარდა ამისა, გაჩერებაზე მატარებლიდან ჩასული მგზავრი ყურადღებით უნდა იყოს, რომ გამგზავრების მაუწყებელი ზარი არ გამოეპაროს, თორემ დარჩება და ფეხით მოუწევს ხეტიალი.

გზაზე რამდენიმე კურიოზი შეგვემთხვა. მაგალითად, ერთ-ერთ გაჩერებაზე ყარაბაღელი მოგზაური ვაგონიდან ჩავიდა და საუბრითა და არემარის თვალიერებით ისე გაერთო, რომ მესამე ზარი ვერ გაიგო. ის მიმავალ მატარებელს ქუდს უქნევდა და ყვიროდა, ბიძაჩემო, ცოტა ნელა იარე, რომ ამოვიდეო, მაგრამ მატარებელი ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ წამში თვალს მიეფარა.

და კიდევ, ბილეთი კარგად უნდა შეინახო, თორემ თუ დაგეკარგა, ბილეთისა და ბარგის ფულს თავიდან გადაგახდევინებენ. თბილისიდან ფოთამდე 292 *ვერსია* და გზაზე 22 სადგურია. ზოგიერთ მათგანში სასადილო და ყავახანაა გახსნილი და ყველა სახის საჭმელი და საქონელი იშოვება. სადგურებს შორის ათიდან ოცდაათ *ვერსამდე* მანძილია და მათი სახელებია: თბილისი, ავჭალა (Avchāl), მცხეთა (Fehet), ქსანკა[390] (Qasānqā), კასპი (Qāsbīl), გრაკალი (K(ā)rāgāl), გორი (Ghorī), ქარელი (Qārelī), გომი ('Ūm), მიხაილოვო (Mekhāyylo), სურამი (Sūrām), ბეუათუბანი (BĪ JĪ Tūbān), ბელაგორი (Bele Gūrī), ყვირილა (Qūrī Rahī Le), ქუთაისი (Kūtāys), სამტრედია (Sām Trīdī), ნოვო-სოვაკი (Nove Sovāqī), ჭალადიდი (Chīlādīd) და ფოთი.

ეს რკინიგზა 1863 წელს ინგლისურმა კომპანიამ ააშენა. რუსეთის ხელისუფლებამ ის 23 მანეთად იყიდა[391] და ახლა რუსეთის საკუთრებაა. თბილისიდან ფოთამდე რკინიგზის ხაზი ცალლიანდაგიანია და მატარებელი მასზე დღე-ღამის განმავლობაში ორჯერ, წინ და უკან, მოძრაობს. მისი აშენება მართლაც რომ დიდ წვალებასთან იყო დაკავშირებული, რადგან ამ გზაზე უამრავი მთა, ტყე, ხეობა და სახიფათო ადგილია, განსაკუთრებით, რიონის (Ryūn) სადგურიდან ფოთამდე, სადაც ბევრი ტყე და ჭაობია. ორგან მთა გაჭრილია და ორი-სამი წუთის განმავლობაში გვირაბში მიდიხარ.

მისი აღმატებულება სეყათ ალ-ესლამის გასაცილებლად თბილისიდან დაგვემგზავრნენ ირანის გენერალური კონსული *მოყარაბ ალ-ხაყანი* მირზა მაჰმუდ ხანი და კავკასიის ფოსტის უფროსი მოჰამად ალი ბეგი. თორმეტსაა-

---

390 მეფის რუსეთში ასე ეძახდნენ ქსანს.

391 რა თქმა უნდა ასეთ თანხად რკინიგზა ვერ გაიყიდებოდა, შესაძლოა გამორჩენილია სიტყვა „ათასი", ანუ უნდა იყოს 23 000. შეცდომაა თარიღშიც: თბილისი-ფოთის ხაზის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო და 1872 წელს დასრულდა.

თიანი მგზავრობის შემდეგ ფოთი გამოჩნდა. მდინარე რიონის პირას [მატარებლიდან] გადმოვედით, *კალიასკაში* ჩავსხედით, რკინის ხიდი გადავკვეთეთ და ქალაქში შევედით.

[ქალაქი ფოთი]

ფოთში ჩასვლისთანავე დავბინავდით სპარსული ყავახანის მეზობლად, მუსლიმი მაშპადი მოპამად თაბრიზის სახლში, რომლის შესახებაც ეს აია მეტყველებს: „ვერ ვნახეთ მასში ვერაფერი, გარდა მუსლიმთა სახლისა". სახლის სივიწროვის გამო, ჭამის შემდეგ ბატონ კონსულთან წავედით და ღამე საკონსულოში დავრჩით.

რამაზანის თვის 17 (4 სექტემბერი), პარასკევი:

ბათუმში მიმავალი გემის მოლოდინში დღევანდელი დღე ფოთში გავატარეთ. ქალაქი ფოთი მდინარე რიონის შესართავთან სწორ, განიერ მინდორზეა გაშენებული და ყოველი მხრიდან ბაღებით არის გარშემორტყმული. აქ 400 კომლი ანუ დაახლოებით 2 000 კაცი ცხოვრობს და ისინი, ძირითადად, სომხები, ოსმალოები და რუსები არიან. ქალაქში ოთხი ვიცე-კონსული იმყოფება: ირანის, ოსმალეთის, ინგლისის და საფრანგეთის. ფოთში ორი ეკლესიაა: რუსული და სომხური. მდინარის პირას დიდი სასტუმრო *ჰოტელი*[392] დგას. ამ ნავსადგურში სამხედრო ძალები და შეიარაღება დიდი არ არის და მას მხოლოდ რამდენიმე პატარა საგუშაგო იცავს. მდინარე რიონი სათავეს ქუთაისის მთებში იღებს. ქუთაისი დიდი ქალაქია და ბაშ-აჩოყის[393] (Bäsh Achoq) *ვილაიეთის* გუბერნატორის რეზიდენციაა. ის თბილისსა და ფოთს შორის მდებარეობს. სანამ რკინიგზას გაიყვანდნენ, აქ საქარავნე გზა გადიოდა და აქაურობა ყვაოდა. რკინიგზის გახსნის შემდეგ ფოთმა სატრანზიტო მნიშვნელობა დაკარგა და ძველ დროსთან შედარებით დაკნინდა. მიუხედავად ამისა, ხალხი დიდი გულმოდგინებით შრომობს და ქალაქი დღითი დღე ვითარდება. ამ *ვილაიეთის* სახელი იქიდან მოდის, რომ აქაური კაცები და ქალები თავშიშველები დადიან.

მოკლედ, მდინარე რიონი ფოთთან ორ ნაკადად იყოფა და ზღვას უერთდება. ნავსადგურიდან რკინიგზის სადგურში მისასვლელად მდინარეზე ძალიან კარგი ხიდია აშენებული. ის [აქამდე ნანახ] ყველა, მათ შორის თბილისის ხიდსაც, სჯობს. მისი სიგრძე 345 ნაბიჯია და აშენება 450 000 მანეთი დაჯდა. ხიდზე გადასვლა, გინდ ფეხით და გინდ ტრანსპორტით, ერთი კაპიკი ღირს. სამი რუსული კაპიკი 100 *დინარის* ტოლია.

1296 წლის რამაზანის თვის 18 (1879 წლის 5 სექტემბერი), შაბათი:

დღეს დღისით *აგენტსტვაში* ბილეთები ავიღეთ და ნაშუადღევს პატარა ორთქლის გემით, რომელსაც „რიონი" ერქვა და მდინარე რიონზე მოძრაობდა,

---

392 როგორც ჩანს, ავტორს მისთვის უცხო სიტყვა „ჰოტელი" სასტუმროს სახელი ეგონა.

393 ასე ეძახდნენ ირანელები და თურქები იმერეთის რეგიონს.

ბათუმში წავედით. გასვლიდან ნახევარი საათი მდინარეში მივცურავდით და მერე შავ ზღვაში შევედით. ზღვისა და მდინარის შესართავი კარგად იკვეთებოდა. აქედან ბათუმზე მშვენიერი ხედი იშლებოდა და, განსაკუთრებით, ახლა, საღამოხანს, ზღვის სანაპირო და წყალში არეკლილი ხეები საოცარი სანახავი იყო. გემი სულ ნაპირს მიუყვებოდა და ოთხ საათში ბათუმში ჩავედით. ეს გემი დილა-საღამოს ოთხი საათის ინტერვალით მოძრაობს. გემბანის ბილეთი 80 კაპიკი, კაიუტა და საცხოვრებელი ოთახი ორმანეთნახევარი, ხოლო მძიმე ტვირთის გადატანა 40 კაპიკი ღირს. ბათუმიდან ფოთში ჩასვლას ხმელეთით 16 საათი უნდა და გზა სულ მთებსა და ტყეებში მიდის. საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ამ ორ ქალაქს შორის რკინიგზის ხაზი გაიყვანოს. [მშენებლობისთვის] საჭირო მასალა უკვე მზად არის და გაზაფხულზე დაიწყებენ.

ოსმალეთის მიწაზე მისი აღმატებულება როგორც იქაურების, ისე უცხოელების დიდი პატივისცემით სარგებლობდა. პირველი მიპატიჟება მან მიიღო სტამბოლში ირანის სრულუფლებიანი ელჩისგან მისი აღმატებულება აყა მო'ინ ალ-მოლქისგან, რომელიც სეყათ ალ-ესლამის, ალაჰი ფარავდეს მას, დიდი თაყვანისმცემელია. [სეყათ ალ-ესლამის ჩამოსვლის] ამბის გაგების შემდეგ მან თბილისში მყოფ მის აღმატებულებას წერილობით აცნობა: საელჩოს რწმუნებული მისი უმაღლესობა აყა მირზა ალი თაბრიზი ბათუმის ნავსადგურში ჩავიდა და თქვენ დასახვედრად ყველაფერი მოამზადაო. ამ კაცმა მართლაც რომ ღირსეული მასპინძლობა გაგვიწია, მაგრამ მაინც სტამბოლში ჩასვლამდე ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ.

მირზა ალი ამბობდა: „საუკუნეზე მეტია, რაც თავრიზიდან წამოვედი და სტამბოლში დავსახლდი". თავისი გამჭრიახობისა და მოხერხებულობის გამო, ის ხალხში ოინბაზის სახელით იყო ცნობილი. ბათუმიდან სტამბოლამდე გზის მთელი ხარჯები ელჩის თანაშემწეებმა თავიანთ თავზე აიღეს. დღეს განკითხვის დღის მბრძანებლის[394] მკვლელობისა და, შესაბამისად, გლოვის ღამეა, ამიტომ *როუზეხანმა* მისმა აღმატებულება მირზა ჰოსეინმა იქ მყოფების სმენა მოწამეთა ისტორიების თხრობით დაატკბო. მირზა ჰოსეინი ყარაჯადაღის[395] გამგებლის თანაშემწის მირზა მოჰამად ჯაფარის ვაჟია. ის ყმანვილობიდან სეყათ ალ-ესლამის სამსახურშია და *როუზეხანია*.

ბათუმი განედის 41 გრადუსსა და 40 მინუტზე და გრინვიჩის გრძედის 41 გრადუსსა და 27 მინუტზე მდებარეობს. აქ ჩამოსვლის მეორე დღეს რუსული *კომპანიის* სავაჭრო გემი სტამბოლში მიდიოდა, მაგრამ აყა მირზა ალიმ გამგზავრებაზე უარი თქვა, ცოტა მოვიცადოთ და გერმანული *კომპანიის* გემით წავიდეთო. სხვა რა გზა გვქონდა, ზღვისპირა ამინდის ცვალებადობას შევეგუეთ და აქ კიდევ ოთხი დღე დავრჩით. ბათუმის კლიმატი ჯანმრთელობისთვის მავნეა: ღამე საშინელი ნესტია, დღისით კი ხან ცივა და ხან ცხელა.

---

394 განკითხვის დღის მბრძანებელი (Molla-ye rūz-e jaza) ეპითეტია იმამ ჰუსეინისა, რომელიც 61 წლის 10 მუჰარამს (680 წ. 10 ოქტომბერს) ქერბალაში ომაიანებთან ბრძოლაში მოკლეს.

395 რაიონი აზერბაიჯანში.

[ქალაქ ბათუმის მოკლე აღწერა]

ბათუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პორტია. ადრე ის ოსმალეთის იმპერიას ეკუთვნოდა, ომის შემდეგ დადებული ზავის თანახმად კი რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. ომის დროიდან ქალაქში სანგრები და ბასტიონები შემორჩა. რუსეთის ოკუპაციის მერე ბათუმი ბევრად უფრო კეთილმოწყობილი გახდა. ქალაქის დასავლეთით რუსეთის ხელისუფლებამ ახალი ქუჩები და შენობები, მაღალი სახლები და ფართო ბაღები ააშენა. მალე ბათუმი ლამაზი და სიცოცხლით სავსე საპორტო ქალაქი იქნება.

ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში ოსმალო თურქების სახლები დგას. ომის შემდეგ ეს უბანი ნელ-ნელა დაკნინდა და ახლა განადგურების პირას არის მისული. ზავის პირობების თანახმად, მოსახლეობას უფლება ჰქონდა, სამი წლის განმავლობაში აერჩია, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეობა სურდა. შედეგად, ჩამოსული მოსახლეობის უმრავლესობა აქედან წავიდა და მათი კარ-მიდამო და სახლები დაინგრა და გავერანდა. რუსეთის ხელისუფლება, რომელიც ჩვეულებრივ თავისი ქვეშევრდომებისადმი ძალიან მკაცრია, ბათუმელებისადმი მადლიერების ნიშნად გაცილებით უფრო ლმობიერი იყო და მათ გამორჩეულად კარგად ექცეოდა, რაც *მუჰაჯირობისა* და რელიგიური ფანატიზმის მიზეზი გახდა. [მუსლიმი] მოსახლეობა ამბობდა, რომ რუსეთის დროშის ქვეშ ცხოვრება აღარ სურდა.

ოსმალური პერიოდიდან ქალაქში სამი *ჯამე* დარჩა. რუსების დანიშნული ტკბილხმიანი *მუეძინი* თვეში 25 მანეთ ხელფასს იღებს და *სალათის* დროს მეჩეთში *აზანს* ამბობს. ამ დღეებში მეჩეთში საღამოს *ნამაზის* შემდეგ ქალაქის მოსახლეობის [მუსლიმური] ნაწილი იკრიბება და ყურანს კითხულობს. ერთი მათგანი *ჰაფეზია* და მათ, ვინც შეცდომას უშვებს, [სწორად წაკითხვას] ასწავლის. ბათუმში ერთი რუსული ეკლესია, ერთი თეატრი და სამი აბანოა.



ბათუმის პორტი. 1900-იანი წლების ლია ბარათი.

აქაური და სხვა ქვეყნების პილიგრიმები ერთ სპარსულ ყავახანაში ცხოვრობენ. ბათუმში დაახლოებით 80 ირანის მოქალაქეა. რადგან ქალაქში ირანის წარმომადგენლობა არ არის, ამიტომ ისინი უცხოელების მხრიდან შევიწროებას განიცდიან. ცნობილია, რომ როცა ბათუმში ერთი ვაჭარი გარდაიცვალა, რუსეთის ხელისუფლება მის ქონებას დაეპატრონა. ომამდე ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 10000 კაცს შეადგენდა, ახლა კი 4000-ზე მეტი არ იქნება. ადრე აქ 750 კომლი ცხოვრობდა, მაგრამ ახლა უმრავლესობა წასულია.

ბათუმში ყველა სახის საქონელი იყიდება, მაგრამ საჭმელი და მარცვლეული ძალიან ძვირია. მაგალითად, ერთი ცალი პური, რომლის წონა ორი *სირიც* კი არ იქნება, ხუთი კაპიკი ღირს, ხოლო ერთი *გირვანქა* – 10 *შაჰი*. ერთ ქათამს ერთ მანეთად, გირვანქა ხორცს 14 *შაჰად*, საზამთროსა და ნესვს კი ორმოციდან ას კაპიკამდე ყიდიან.

ბათუმში სამი ქვეყნის ვიცე-კონსული იმყოფება: ოსმალეთის, საფრანგეთის და ინგლისის. რუსული ჯარის გარნიზონი ქალაქგარეთ ბასტიონებშია განთავსებული. ქალაქის ჯარის უფროსია უფლისწული შაჰროხ მირზა, რომელიც მისი უდიდებულესობა აბას მირზას ვაჟის უფლისწულ ბაჰმან მირზას შვილია. მისი განკარგულებით, ქვეითი და ცხენოსანი ჯარის 9000 ჯარისკაცი დილა-საღამოს თოფისა და ქვემეხის სროლაში ვარჯიშობს. კვირაობით ჯარისკაცები ისვენებენ და ქალაქში სეირნობენ.

ზემოხსენებული უფლისწული ბაჰმან მირზას მესამე შვილია. ის განათლებული და გამჭრიახი კაცია და მის სახეზე დიდებულების კვალია აღბეჭდილი. ბაჰმან მირზას შთამომავლების დიდი ნაწილი რუსეთში მსახურობს. შაჰროხ მირზას ძმამ ყარსის ბრძოლაში თავი გამოიჩინა და მრავალი გამარჯვება მოიპოვა. თავად შაჰროხ მირზას კავალერიის მესამე რანგის ჩინი აქვს მიღებული და ქალაქის გარნიზონის უფროსია. მან და მისმა აღმატებულებამ ერთმანეთი მოინახულეს.

სახელმწიფო საბაჟო, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი დაწესებულებაა, ბათუმში ჯერ კიდევ ოსმალეთის სახელმწიფოს დროიდან არსებობს. საბაჟოს თანამშრომლები მოგზაურებს ბარგს გულდასმით უთვალიერებენ. საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი აქ შემდეგნაირად ბაჟდება: ირანული – 108, რუსული – 106, ევროპული – 112, ხოლო თამბაქოსა და თუთუნის ნაწარმი – 175[396].

ამ ნავსადგურში ოთხი სანაოსნო კომპანია მუშაობს: რუსული, ოსმალური, გერმანული და ფრანგული. ამას გარდა, ერთი გემი ოდესის ('Adese / Odesă) გავლით სტამბოლში მიდის. განსაზღვრულ დღეებში ანუ ოთხშაბათობით 9 საათზე გემები ტრაბზონიდან სტამბოლის სრუტისკენ მიემართებიან. რუსული გემი სამშაბათს, ხოლო ოსმალური და გერმანული ოთხშაბათს გადის. ერთი პუნქტიდან მეორემდე მგზავრობის საფასური სახელმწიფოს მიერ არის განსაზღვრული, სპეციალურ დავთარში წერია და ყველასთვის სავალდებულოა. თუმცა, პილიგრიმობის სეზონზე სანაოსნო კომპანიები ოფიციალურ განაწესს არღვევენ და საკუთარი ნება-სურვილით მოქმედებენ. ისინი [ფასების] დავთრებს ურევენ, ფურცლებს ზღვის წყლით ასველებენ და პილიგრიმებს რაც შეიძლება მეტ

---

396 ფულის ერთეულს ავტორი არ უთითებს.

თანხას ართმევენ. მაგრამ თუ მგზავრი ყურადღებით იქნება, გემის *აგენტები* ანუ წარმომადგენლები მას ვეღარ მოატყუებენ. ამ გემებს შორის გერმანული სავაჭრო ხომალდები საუკეთესოა. გემის კაპიტანი და მომსახურე პერსონალი პილიგრიმებს, განსაკუთრებით კი ირანელებს, კარგად ექცევიან. ზემოხსენებული გემებიდან კომპანია „ლოიდის" (Loyyd)[397] გემები ყველას სჯობს. დიდი ხანია, რაც ამ კომპანიის 120 გემი ინდოეთის ოკეანისა და შავი, ხმელთაშუა და თეთრი ზღვების პორტებში დაცურავს და ევროპის ნავსადგურებიდან კალკუტამდე ვაჭრობს. გერმანული გემები ყველაზე დიდი, სწრაფი და უსაფრთხოა. ერთ-ერთი მათგანი, სახელად „ვესტა" (Vestā), დაახლოებით 150 ნაბიჯი სიგრძისაა. პატარძლის სარეცელივით მორთული გემბანი და კაიუტები დიდი ტახტებითა და ძვირფასი ხალიჩებით არის განყობილი. ბათუმის ნავსადგურში ამ გემში ჩავსხედით. ბათუმიდან სტამბოლამდე ერთი კაცის გემბანის ბილეთი 5 მანეთი და 15 კაპიკი ღირდა, ხოლო პირველი კლასის კაიუტის – 3 ოსმალური ლირა, რაც აქაურ ფულზე 150 *ყურუშია*. ბათუმიდან ჯიდაში მიმავალ მგზავრებს ზოგიერთი გემი სთავაზობს პირდაპირ ბილეთს, რომლის ფასი 44 მანეთია. მაგრამ ასეთი მგზავრობა ძალიან საწვალებელია და უმჯობესია, ყველა დიდ პორტში ნაპირზე გადახვიდე, რამდენიმე დღე დაისვენო და მერე ახალ გემზე ახვიდე.

1296 წლის 22 რამაზანი (1879 წლის 9 სექტემბერი), ოთხშაბათი:

დღეს გემი „ვესტა" მიემგზავრება. ნაშუადღევს გემზე ავედით, ბარგიც ავიტანეთ და მზის ჩასვლისთვის გზას გავუდექით. გემი ნაპირის გასწვრივ დასავლეთისკენ მოძრაობდა. მასზე გარდა თავრიზელი პილიგრიმებისა და რამდენიმე ოსმალოსი და ქრისტიანისა, კაცი არ იყო. ამ გემის მომხიბვლელობა იმაშია, რომ ცოტა ნავსადგურში ჩერდება, ბევრი თავაზიანი და მოწესრიგებული მსახური ჰყავს და, რაც მთავარია, ხალხის სიმცირის გამო პილიგრიმებს პრობლემები არ ექმნებათ.

ორი დღის შემდეგ ქალაქ ტრაბზონის სიახლოვეს გავჩერდით...

უკანა გზა
(1297)

[ბათუმისა და ფოთის პორტებში შესვლა]

1297 წლის 11 რაბი ას-სანი (1880 წლის 23 მარტი), სამშაბათი[398]:

გუშინ მთელი დღე გემი ბათუმის ნავსადგურში იდგა. დღეს გამთენიისას ბათუმიდან გავემგზავრეთ და სამი საათის შემდეგ მდინარე რიონის შესართავთან გავჩერდით. ვერც ერთი დიდი გემი ამაზე წინ ვერ მიდის და მდინარეში ვერ

---

397 ავსტრიული ლოიდი (Österreichischer Lloyd) იყო ავსტრო-უნგრეთის იმპერიის მთავარი სანაოსნო კომპანია. დაარსდა 1833 წელს. ასრულებდა რეისებს ხმელთაშუა და შავ ზღვებში და ინდოეთის ოკეანეში.

398 ტექსტში შეცდომით შაბათი წერია.

შედის. მგზავრებისა და მათი ტვირთის ნაპირზე გადასაყვანად იყენებენ პატარა ორთქლის გემებს, რომლებსაც მდინარეში გადაადგილება შეუძლიათ.

ჩვენ წასაყვანად მოვიდა ამავე კომპანიის პატარა გემი, სახელად „მარსილია" (Mārsīlyā), რომელიც საგანგებოდ ამ საქმისთვის არის გამიზნული. მას შემდეგ, რაც „მარსილიაზე" გადავედით და ბარგიც გადაიტანეს, გემი რიონს მაღლა აუყვა და დაახლოებით ერთ საათში ფოთის ნავმისადგომში შევედით.

მდინარის ნაპირზე მესაზღვრეები დაგვხვდნენ. ისინი გემიდან გადმოსულ მგზავრებს პასპორტებს ყურადღებით უთვალიერებდნენ, ბილეთზე ბათუმის პორტის თანამშრომლის ხელმონერას ამოწმებდნენ და, თუ ყველაფერი წესრიგში იყო, ნაპირზე გადასვლის უფლებას აძლევდნენ, თუ არა და აკავებდნენ.

პასპორტის დათვალიერების შემდეგ მგზავრებს შეუძლიათ ნაპირზე გადავიდნენ, მაგრამ იქაური საბაჟოს მოხელეების შემოწმების გარეშე თავიანთ ნივთებს ვერ გაიტანენ. მებაჟეებს ბარგი საბაჟოს შენობაში შეაქვთ, ყურადღებით ათვალიერებენ, დიდ სიმკაცრეს იჩენენ და მგზავრებს უკლებლივ ყველა ნივთში, სასაჩუქრე მაუდისა და აბრეშუმის ქსოვილებშიც კი, გადასახადს ახდევინებენ. გასაოცარია, რომ მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა, ზოგიერთმა პილიგრიმმა მოახერხა და ძვირფასი ქსოვილის რამდენიმე ნაჭერი წინასწარ მუთაქებსა და ბალიშებში დამალა, მაგრამ უპოვეს და წაართვეს. ამიტომ პილიგრიმებმა ასეთ საქმეებს თავი უნდა დაანებონ და რაც გააჩნიათ, ყველაფერი დაუფარავად უნდა აჩვენონ. საერთოდ, კარგი იქნება, თუ უზომო რაოდენობის ნაჭრებსა და ჩაის არ იყიდიან და, თუ მაინცდამაინც რამის ყიდვა უნდათ, უმჯობესია, საჩუქრები სტამბოლში შეიძინონ და საკუთარ *ვილაიეთებში ტრანზიტით* გააგზავნონ.

ფოთში ირანის ვიცე-კონსული *მოსიე* დიგრანი (Dīgrān) სეყათ ალ-ესლამს დიდ გემთან დახვდა და სანამ მისი აღმატებულება მდინარის ნაპირზე გადავიდოდა და დიდებულ სასტუმროში მოეწყობოდა, გვერდიდან არ მოშორებია.

[თბილისისკენ გამგზავრება]

1297 წლის 12 რაბი ას-სანი (24 მარტი), ოთხშაბათი:

დღეს მისი აღმატებულება სეყათ ალ-ესლამი ოთხი თანამგზავრის თანხლებით დილის მატარებელში (kālaske-ye bokhārī) დაბრძანდა და ფოთის ნავსადგურიდან გაემგზავრა, დანარჩენები კი ბარგთან დარჩნენ და საღამოს მატარებელს გამოჰყვნენ.

თავიდან, რამდენიმე სადგურის განმავლობაში, რკინიგზის გარშემო სულ აყვავებული მწვანე მინდვრები მოჩანდა. მათ შორის გამოირჩეოდა მდინარე რიონის ნაპირები, რომელთა სილამაზის აღწერა კალამს არ ძალუძს. ასე ვმგზავრობდით, სანამ სურამის მთას არ მივადექით. ეს მთა ყაფის სახელით ცნობილი ყაზბეგის (Gāzbīg) ქედის[399] განშტოებაა. მისი მწვერვალები ღრუბლებს სწვდება და თოვლით არის დაფარული. ზამთრობით აქ იმდენი თოვლი მოდის, რომ გზა იხერგება. წელს ზამთარშიც დიდთოვლობის გამო ლულისა (Lūlī) და გომის (Ghūm)

[399] იხ. შენიშვნა 40.

სადგურებს შორის მონაკვეთი მთელი ხუთი დღით დაიკეტა და გზის გუშაგების სახლები და ტელეგრაფის ანძები თოვლმა დაფარა. რკინიგზის მუშების მიერ ლიანდაგის განმენდის შემდეგ, მის ორსავე მხარეს იმ სიმაღლე თოვლის ტრანშეა გაჩნდა, რომ შუაში გავლილ მატარებელს სახურავამდე სწვდებოდა.

მზის ჩასვლისთვის სადგური გორი (Ghūrī) გავიარეთ და კლიმატი შეიცვალა. თოვლი წამოვიდა და ისე აცივდა, რომ ვაგონში გაჩერება გაუსაძლისი გახდა, რადგან ცეცხლის დანთება არ შეიძლებოდა. სამი სადგური ასე გათოშილებმა ვიმგზავრეთ, მერე ყინვამ იკლო და კლიმატი უფრო ზომიერი გახდა.

ზოგიერთმა ჩვენმა თანამგზავრმა ჩათვალა, რომ თოვლმა და წვიმამ საბოლოოდ გადაიღო და სიცივე უკან დარჩა და ამ ამბით გახარებულები წყნარი ამინდით ტკბებოდნენ.

რაც უფრო ვუახლოვდებოდით თბილისს, კლიმატი სულ უფრო და უფრო რბილი ხდებოდა. ქალაქში მშრალი და თბილი ამინდი დაგვხვდა. სამი საათის დაღამებული იყო, რკინიგზის სადგურში რომ შევედით. იქ ირანის კონსული *მოყარაბ ალ-ხაყანი* მირზა მაჰმუდ ხანი და საკონსულოს თანამშრომლები დაგვხვდნენ. სადგურში *კალიასკებში* ჩავსხედით და საკონსულოსკენ გავემართეთ. ჩვენი თანამგზავრები, რომლებიც ბათუმში შეყოვნდნენ, მეორე დღეს ჩამოვიდნენ. თბილისში ერთი კვირა დავრჩით.

[თბილისის თეატრი და ცირკი]

ქალაქი თბილისი ზემოთ უკვე აღვწერე, მაგრამ სრული სურათის შესაქმნელად ამჯერად იმ ღირშესანიშნაობებზე შევჩერდები, რომლებიც ამ ჩამოსვლის დროს ვნახეთ.

ერთ-ერთი მათგანი იყო ქალაქში ახლახანს ჩამოსული სამი ავსტრიელი – 17 წლის უზომოდ მაღალი (დაახლოებით 2 *ზარ'ი*[400] სიმაღლის) და მსუქანი ქალი და ერთ მეტრზე გაცილებით უფრო დაბალი გოგო და ბიჭი. ბიჭი 28 წლის იქნებოდა, გოგო კი – ოცდაორის. როცა ამ ბიჭს ეკითხებოდნენ, ცოლად ვის მოიყვანო, პასუხობდა: იძულებული ვარ, ეს გოგო მოვიყვანო, რადგან ჩვენი პატარა ტანის გამო სხვას არავის მოვუნდებითო. მაყურებლებს მისი ლაპარაკი ძალიან ართობდა. ეს სამი ადამიანი სპეციალურ შენობაში იმყოფებოდა და ვისაც მათი ნახვა სურდა, ერთ რუსულ მანეთს იხდიდა და შიგნით შედიოდა.

ამ ქალაქის საუკეთესო თეატრი ცირკია. აქ ყოველ საღამოს საოცარი სანახაობა იმართება და სამხედრო მაღალჩინოსნები და სხვა პირები იკრიბებიან. საცირკო სეზონი ზამთარში იხსნება და მას როგორც ქალაქის, ისე მისი შემოგარენის მოსახლეობა ესწრება. ერთ საღამოს მე და ჩემი ორი-სამი თანამგზავრი გასართობად ცირკში წავედით და *ლოჟაში* დავსხედით. სამი საათის დაღამებული იყო, წარმოდგენა რომ დაიწყო. ფარდა აიწია და სცენაზე თავდაპირველად თორმეტი ლამაზი *მადამი* გამოვიდა. ისინი მუსიკის თანხლებით ხან ერთმანეთთან და ხან კაცებთან ცეკვავდნენ. შემდეგ ფარდა დაეშვა. წარმოდგენებს შორის სცენაზე სამი მასხარა გამოჩნდა. რამდენიმე სასაცილო ოინის მერე ერთმა

[400] დაახლოებით 2 მეტრი და 8 სანტიმეტრი.

მათგანმა დანარჩენ ორს სპილოს ტყავის მსგავსი ნაჭერი გადააფარა, მათ (ანუ წარმოსახვით სპილოს) ზურგზე შეაჯდა და გააჭენა. მერე ისევ მუსიკის ხმა გაისმა და სცენაზე მოჯირითეები გამოჩნდნენ. ერთი ქალი ცხენს ზურგზე შეახტა და ცეკვა დაიწყო. მისი გასვლის შემდეგ შეუკაზმავ ცხენებზე შემდგარი გოგო და ბიჭი გამოვიდნენ. შუა ჯირითში გოგონა ხან თავის ცხენზე დგებოდა და ხან ბიჭს ზურგზე მოექცეოდა. ბოლოს ერთი მხედარი გამოვიდა, ცოტა ხანი ცხენს აჭენებდა, მერე ძირს ჩამოხტა და ცხენს რაღაც უბრძანა. ცხენმაც, თითქოს მისი ნათქვამი გაიგოო, ცეკვა დაიწყო. ყველაზე საინტერესო კი ერთი ჟონგლიორი იყო. ეს კაცი სცენაზე იწვა და თავის სამ ბიჭს, რომელთაგან უფროსი 14 წლის იქნებოდა, მაღლა აწეული ფეხის ტერფებით აბურთავებდა. წარმოდგენაში ჯერ მხოლოდ ორი, მერე კი სამივე ბიჭი მონაწილეობდა. მამის ტერფებიდან ისინი ხან ჰაერში სალტოს აკეთებდნენ, ხანაც ერთმანეთს ზურგზე ადგებოდნენ და ისე ტრიალებდნენ. ეს კაცი თავის მოზრდილ შვილებს ფეხებით ისე თავისუფლად ათამაშებდა, თითქოს კატის კნუტები იყვნენო.

შემდეგ საზოგადოების წინაშე შეუკაზმავ ცხენზე ამხედრებული გოგონა წარდგა, ჰაერში ორმაგი სალტო გააკეთა და ისევ ცხენის ზურგზე დაეშვა. ის ხან ძირს ჩამოხტებოდა და ხან ცხენს მოახტებოდა. მართლაც, რომ ძალიან მოქნილი და მკვირცხლი იყო. ორ ქემანჩეზე დამკვრელს ინსტრუმენტი გულში ჩაეკრა და რაღაც უცნაურად უკრავდა. მათ შემდეგ სცენაზე აკრობატი გამოვიდა. მან ჰაერში გაჭიმულ ბაგირზე იმდენი სალტო გააკეთა, რომ ყველა მათგანი რომ აღვწერო, სიტყვა ძალიან გამიგრძელდება. შუაღამისას კონკიას (Sāndrūnon) ინსცენირება მოაწყვეს და წარმოდგენა დასრულდა.

მოჯირითეებსა და სხვა მსახიობებს შორის საუკეთესო ქუდფარდას (Kūd Fardā) გამოსვლა იყო. წარმოდგენის შემდეგ წავედით ქალაქის არისტოკრატიის საცეკვაო საღამოზე, რომელსაც *ფორუჟდაკს* (forūzhdak) ეძახიან. ისიც ძალიან შთამბეჭდავი იყო.

1297 წლის 19 რაბი ას-სანი (1880 წლის 31 მარტი):

თბილისში რამდენიმე დღე შევფერხდით, რაც ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ სამგზავრო ბარგის გადასაზიდი ოთხთვალები ვერ ვიშოვეთ. მკაცრი ზამთრის, დიდთოვლობისა და ჩალის სიძვირის გამო თბილისიდან საზღვრამდე ოთხთვალას არც ერთი მეურმე აღარ აქირავებდა და ქირის ფასმაც ერთი სამად აიწია.

ზოგიერთმა პილიგრიმმა, რომელიც ყარაბაღის დიდგვაროვნებისა და ხანების წრიდან იყო და მექადან ჩვენთან ერთად მგზავრობდა, სამშობლოში დაბრუნება ერევნის გზით არჩია და მისი აღმატებულება სეყათ ალ-ესლამი თავის *ვილაიეთში* დაპატიჟა. უსაფრთხო და მშვიდობიანი მგზავრობისთვის შესაფერისი დრო შევარჩიეთ და საღამოხანს თბილისიდან გავემგზავრეთ. ირანის კონსულმა *მოყარაბ ალ-ხაყანმა* მირზა მაჰმუდ ხანმა და კავკასიის რეგიონის ფოსტის უფროსმა მოჰამად ალი ბეგმა უახლოეს პუნქტამდე გაგვაცილეს, დაგვემშვიდობნენ და უკან გაბრუნდნენ. დღეს ორი საათის განმავლობაში სამი ფოსტის სადგური გავიარეთ და ალგეთში (Āl Ket) გავჩერდით.

1297 წლის 20 რაბი ას-სანი (1 აპრილი):

დღეს დილაუთენია ალგეთიდან გავემგზავრეთ და სოფელ გამიყიაში (Kamī Qye) ვისადილეთ. მერე სწრაფად განვაგრძეთ გზა და მზის ჩასვლისთვის აღსთაფას (Āgh Estafā) დასახლებაში დავბინავდით. აქაურობა ის იყო მწვანით იმოსებოდა, თუმცა მთის ხეობაში და ფერდობებზე თოვლი ჯერ კიდევ ლაქებად იდო. აღსთაფა თბილისის გუბერნიის ბოლო და განჯის რეგიონის პირველი პუნქტია და ყარაბაღისა და ერევნის გზების გასაყარზე მდებარეობს.

ჰაჯ მეჰდი ყოლი ჰედაიათი (მოხბერ ას-სალთანე) და მისი მოგონებების წიგნი

მეჰდი ყოლი ჰედაიათ მოხბერ ას-სალთანე.

ჰაჯ მეჰდი ყოლი ხანი, ცნობილი მეტსახელებით „ხან-ე ხანან" და „ლალებაში", თახალუსით „ჰედაიათი" და ლაყაბით „მოხბერ ას-სალთანე", დაიბადა თეირანში 1864 წელს. მამამისი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ალი ყოლი ხან მოხბერ ად-დოულე იყო. დაწყებითი განათლება თეირანში მიიღო. 1878 წელს, 14 წლის ასაკში, უფროს ძმასთან მორთეზა ყოლი ხან სანი' ად-დოულესთან ერთად ევროპაში გაემგზავრა და სწავლა ბერლინში განაგრძო. გერმანიაში გატარებული ორი წლის განმავლობაში, გარდა გერმანულისა, მან ინგლისური და ფრანგული ენებიც ისწავლა. 1879 წელს ჰაჯ მეჰდი ყოლი ირანში დაბრუნდა და ჯერ დარ ალ-ფონუნში გერმანულის მასწავლებლად და მერე ფოსტაში დაიწყო მუშაობა. 1898-99 წელს ის ირანის აზერბაიჯანის ფოსტის, ტელეგრაფის და საბაჟოს უფროსად დანიშნეს.

ჰაჯ მეჰდი ყოლი ხანი აქტიურად ჩაერთო ირანის კონსტიტუციურ მოძრაობაში და მონაწილეობა მიიღო მეჯლისის საარჩევნო კანონის მომზადებაში. აქედან იწყება მისი თავბრუდამხვევი პოლიტიკური კარიერა, რაზეც სხვადასხვა წლებში მის მიერ დაკავებული თანამდებობების მშრალი ჩამონათვალიც მიუთითებს: იყო ფინანსთა, განათლების, კულტურის, სოციალური უზრუნველყოფის და იუსტიციის მინისტრი, პირველი მინისტრი (1888/89–1894/95), უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე და მეჯლისის წევრი. პარალელურად სამჯერ იყო აზერბაიჯანის და ერთხელ ფარსის გუბერნატორი.

ჰაჯ მეჰდი ყოლი ხანი ბევრს მოგზაურობდა. გარდა გერმანიაში სწავლის წლებისა, ის ევროპაში კიდევ რამდენჯერმე იყო და მათ შორის მოზაფარ ად-დინ შაჰს ახლდა მეორე მოგზაურობაში. 1903 წელს მან ყოფილ *სადრ ა'ზამთან* მირზა ალი ასყარ ხან ამინ ას-სოლთანთან ერთად იმოგზაურა და ევროპა, ამერიკა, ჩინეთი, იაპონია და ინდოეთი მოიარა. მოგონებების წიგნი „მოგონებები და ხიფათები", რომელიც მან 1912 წელს დაწერა, აგრეთვე მემუარული ხასიათის თხზულება „ცნობები ირანის შესახებ: ყაჯარები და კონსტიტუციონალიზმი" მისი თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრების ქრონიკას წარმოადგენს.

ტექსტები

Khāterāt va Khatarāt, neveshtei az tārīkh-e shesh pādeshāh va gūshei az doure-ye zendegī-ye man, neveshte-ye Hājj Mehdīqolī Hedāyat (Mokhber as-Saltane), Tehran, 1375/1996.

Mokhber as-Saltane Hedāyat, *Gozāresh-e Īrān: Qājārīye va Mashrūtīyat*, moqaddame az Sa'īd Vazīrī, be ehtemām-e Mohammad 'Alī Sūtī, Tehran, 1363/1984.

Mehdīqolī Hedāyat (Mokhber as-Saltane), *Safar-nāme-ye Makke*, be kūshesh-e Seyyed Mohammad Dabīrsīyāqī, Tehran, 1368/1989.

ლიტერატურა

Bāqer 'Āqelī, *Nokhost vazīrān-e Īrān, Az Mashrūte tā Enqelāb-e Eslāmī*, Tehran, 1374/1995, 406-429.

Mohammad Taqī Bahār, *Sabkshenāsī yā Tārīkh-e tatavvor-e nasr-e fārsī*, j. 3, 366-367.

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 3, Tehran, 1347/1968, 184-87.

Mohammad Shahrī Barābādī, "Seyri kūtāh dar safar-nāmehā-ye hajj", 194-196.

Akbar Zavār, "Yāddāsht-e nāsher", წიგნში: *Khāterāt va Khatarāt*, 5-6.

Eqbāl Yaghmā'ī, "Makhbar as-Saltane Hedāyat panjomīn vazīr-e 'olūm", *Āmūzesh va Parvaresh* (*Ta'līm va Tarbiyyat*), No.205-206, Tehran, 1347/1968, 54-67.

Ali Barzegar, "Mehdi Qoli Hedayat: A Conservative of the Late Qajar Era", *Iranian Studies*, Vol. 20, No.1, 1987, 55-76.

მოგონებები და ხიფათები

...ჩანაწერების რვეულს ვათვალიერებ და ორმოცდაათი წლის მოვლენები ჩემ თვალწინ ცოცხლდებიან. ამ დროის განმავლობაში რამდენი ცუდი და კარგი ვნახე, თავს რა არ გადამხდა. რაც კარგი იყო, გონებიდან გამიფრინდა, ცუდი კი არა და არ მავიწყდება...

[1879]

1879 წლის 15 მაისს, რაც ჰიჯრის 1297 წლის 9 ჯუმადა ალ-ახირას შეესაბამება, ბერლინიდან გავემგზავრეთ და გეზი თეირანისკენ ავიღეთ... 16-ში, ორშაბათს ბრესტში (Berest) ჩავედით და ჩვენი ზანდუკები მოვიკითხეთ. გაირკვა, რომ ვარშავის (Varshav) რკინიგზაზე შეფერხების გამო ბარგი ჯერ არ ჩამოსულიყო. სადგურში შესვლისთანავე, ჩემმა ძმამ ბილეთები იყიდა. ბრესტში ძირითადად ებრაელები ცხოვრობენ და ცოტა გერმანული იციან. როგორ ეტყობა, რომ აზიას ვუახლოვდებით, სადღაა ევროპული წესრიგი?! იძულებული გავხდით, ღამე ბრესტში დავრჩენილიყავით. ძალიან ჭუჭყიანი ადგილი იყო. ერთ შენობაში, რომელსაც *ჰოტელს* ეძახდნენ, ოთახი ავიღეთ და იქ მშფოთვარე ღამე გავატარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ძვირფასი თან არაფერი გვქონდა, მაინც ხიფათის მოლოდინში ვიყავით. კარსა და ფანჯრებს საკეტები არ ება და ჭუჭყიანი

გარემოთი და მახინჯი ხალხით ვიყავით გარემოცული. მეორე დღეს ზანდუკები ჩამოვიდა. როგორც გაირკვა, იქაური კალენდრით 15 მაისი იყო. ბრესტიდან თავის დაღწევა და კიევში (Kyef) გამგზავრება უზომოდ გვახარებდა. ჩემს ძმას ვაგონში ქოლგა დარჩა. მართალია, ბილეთზე აღნიშნული იყო, რომ მატარებელში დატოვებულ ნივთებს ხელუხლებლად დაგვიბრუნებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ტყუილი ეწერა, რადგან როცა ქოლგა მოვიკითხეთ, ვერაფერი მივიღეთ...

რკინიგზის ხაზი კავკასიამდეა გაყვანილი. პატარა და შედარებით სუფთა ქალაქი და ყაზბეგის (Kāzbeg) მთის თოვლიანი მწვერვალები გამოჩნდა. ქალაქს შუაში ფართო პროსპექტი მიუყვებოდა. გზის პირას ერთი შენობა იდგა, რომელსაც *ჰოტელს* ეძახდნენ. გარდა ჭუჭყიანი გარემოსი, უვარგისი საჭმლისა და დიდი რაოდენობით ბაღლინჯოსი და კოღოსი, შიგ ვერაფერი ვნახეთ.

ამ ქვეყანაში საპირფარეშოს ორმოები მიღებული არ არის. ეზოში დგას ხის პატარა ფიცრული, რომელშიც კიბეებით უნდა ახვიდე და იქ მდგარ ხის ტაბურეტში მოისაქმო. და ეს ყველას დასანახად უნდა გააკეთო.

ერთი დუქნის თავზე *„ჩელოვ ქაბაბი"* ეწერა. ახლოს მივედით და შესასვლელთან მდგარ კაცს გამოველაპარაკეთ. უხეშად გვიპასუხა: *„ფარსი ბილმირამ"* (სპარსული ვიცი). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენც *„თორქი ბილმირ"* (თურქულის მცოდნე) ვიყავით, ვერაფერი გავაგებინეთ. მირზა მოჰამად ალი ხან ქაში, რომელიც ჩვენი პატრონის ბიძის ფარორ ხანის ნათესავი იყო, კავკასიაში შუაათბილისის გზას განაგებდა. ჩემი ძმა მასთან წავიდა და სთხოვა, რომ გამგზავრებაში დაგვხმარებოდა. გვიცნო და სადილად დაგვპატიჟა. წავედით და ძალიან კარგად გაგვიმასპინძლდა. კავკასია ნახევრადდასავლური ქვეყანაა და აქაურობა სუფთა და ლამაზია. გადავედით ყაზბეგის უღელტეხილზე, რომელიც კავკასიის ქედის მაღალ მთებში მდებარეობს. გზაზე არანაირი საარსებო საშუალება არ იყო, გარდა ჰაერისა. ზოგიერთ დასახლებაში წყალიც კი ძნელად იშოვებოდა. მინდოდა, [ამ გზის] უფროსისთვის მიმეწერა, თუ ბილეთებს ყიდით, იმაზეც უნდა იზრუნოთ, რომ მგზავრს საჭმელ-სასმელი ჰქონდეს-მეთქი.

თბილისი შედარებით დიდი ქალაქია, რომელსაც ლამაზი შემოგარენი აქვს. მდინარე მტკვარი ქალაქს შუაზე კვეთს. *ჰოტელ* „კავკაზში"[401] დავბინავდით, ხელ-პირი დავიბანეთ და საკონსულოში წავედით. კონსული არ დაგვხვდა და უკან დავბრუნდით. ვისადილეთ და საღამოს მოჯთაჰედის ბაღში გავისეირნეთ[402]. ჰაჯი მირზა მას'უდ აყა სწორედ ის *მოჯთაჰედია*, რომელიც რუსებს თავრიზში შემოუძღვა, თურქმენებთან დაზავების შემდეგ კი კავკასიაში გაიქცა და თბილისში დასახლდა. აქ მას მიწა და ბაღი მისცეს, მაგრამ მერე უკან წაართვეს. თბილისის ერთი პროსპექტი მის მიწაზე მდებარეობს. ბაღში საზოგადო ყავახანა იყო. ყურად იღეთ უპირველესი ჭეშმარიტებათაგანი:

> რწმენის ამსოფლიურ სიამეზე გამყიდველები სულელები არიან,
> რწმენას რომ ყიდიან, [სანაცვლოდ] რას ყიდულობენ?

---

401 იხ. შენიშვნა 348.

402 იხ. შენიშვნა 78.

თბილისში ორი დღე მოგვიწია დარჩენა, სანამ ჯულფაში გასამგზავრებელ ტრანსპორტს მოამზადებდნენ. არ მახსოვს, კონსულს შევხვდით თუ არა. ჩემს ჩანაწერებში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი. უცხო ქვეყანაში გაგზავნილი მოხელის უმთავრესი მოვალეობა თავისი ქვეყნის მოგზაურების დახმარება უნდა იყოს და არა მარტო პასპორტების ქექვა და თანამოძმეებისგან ფულის გამოძალვა. ძალიან ვიწრო *კალიასკეში* მოგვცეს. ჩვენი თანამგზავრი მადიჩი (Madīch), მსუქანი და აზიზი კაცი, უზომო რაოდენობის ჩაის სვამდა და მერე მუცელი უბუბუყებდა. თბილისიდან თეირანსა და ბერლინში ტელეგრამები გავგზავნე.

[1899]

1316 წლის 13 ზუ ლ-ჰიჯას (1899 წლის 24 აპრილს) თბილისის მუზეუმის დავთარში ჩავწერე:

ეს ქვეყანა მუზეუმის მსგავსია, ბრძენო,
ეცადე, რომ მუზეუმში კვალი დატოვო.
ბოლოს, როცა მუზეუმიდან წახვალ,
ეს ნაკვალევი სახსოვრად დარჩება.

[1909]

თბილისში ჩასვლა, პარასკევი:

საკონსულოში წავედი, მაგრამ კონსული მომთაჰენ ას-სალთანე არ გამოვიდა. არ ვიცი შეუძლოდ იყო, თუ რა ჭირდა. წავედი საპასპორტო უწყების უფროს არნოლდთან (Arnold), რომელსაც ფოსტიდან ვიცნობდი. ვისადილე, ვიბანავე, ერთი ხელი ტანსაცმელი ვიყიდე და შუაღამისას გავემგზავრე. მომთაჰენ ას-სალთანემ ირანელების ერთი ჯგუფი სრულიად დესპოტურად სამხედრო ციხეში ჩაამწყვდია. ყველაფერი ყირამალა დადგა: კონსტიტუციონალიზმი ტირანიად იქცა. ვერავის გაუგია, რა უნდა და ყველა უაზროდ იქცევა.

მთელი ჩემი ქონება 1000 თუმანი იყო. ოთხასი თანამგზავრებს მივეცი, რომ თეირანში წასულიყვნენ და ექვსასი დამრჩა. ოთხშაბათს მზის ჩასვლისთვის ავსტრიის საზღვარზე უნდა ვიყო. დილით რომ გავიღვიძე, გულმა მიგრძნო, რომ საზღვარზე დამაბრკოლებდნენ. საუზმის დროს ჩემმა თანამგზავრმა მკითხა: „დღეს რაღაც აღელვებული ჩანხართ". ვუპასუხე: „[მიზეზს] საღამოს გეტყვით". [რუსეთის] საზღვრის ახლოს წესისამებრ პასპორტები გამოგვართვეს. საზღვარს რომ მივადექით, ერთი მოხელე ამოვიდა და პასპორტები ჩემ გარდა, ყველა მგზავრს დაუბრუნა. რაღაც სახელი თქვა და კარგად ვერ გავიგე. ახლოს მივედი და ჩემი სახელი ვუთხარი. პასპორტში ჩაიხედა და მომცა. ისე გამიხარდა, თითქოს მთელი ქვეყნის სიმდიდრე მომცესო. მატარებელში გალიიდან გამოშვებული ჩიტივით ავფრინდი. მესამე ზარის დარეკვას გულის ფანცქალით ველოდებოდი. როგორც იქნა, გაისმა სასტვენის ხმა, რომელიც სამოთხის ჩიტის გალობასავით ჩამესმა. მატარებელი დაიძრა და შვებით ამოვისუნთქე. საზღვრის მერე ტანსაცმელი, ენა და წეს-ჩვეულებები შეიცვალა. მადლობა ღმერთს, რუსეთიდან გავაღწიე.

თბილისი, 1327 (1909) წელი:

ბათუმი ძალიან ჰგავს ბეირუთსა და იაფას, ოღონდ იაფასა და ბეირუთში ციტრუსის ხეები იზრდება, აქ კი სხვა ჯიშის ხეებია. აქაურები ძალიან ბევრ ჩაის სვამენ.

თბილისში კონსულთან ტელეგრამა მოვიდა, მოხბერ ას-სალთანეს უთხარით, თეირანში წამოვიდესო. ხელს, თითქოს, დირექტორი აწერდა. ტელეგრამა ისეთი შელახული იყო, რომ შეცდომით სხვა სახელზე გაეგზავნათ. ასეთ ტელეგრამას მთავარსარდალ ასადის ხელმოწერა უნდა ჰქონოდა. ასეა თუ ისე, გეზი თავრიზისკენ ავიღე.

მუსიე არნოლდი, ფარიდ ას-სალთანე ჯერ კიდევ თბილისში იყო. შეხვედრისას მითხრა: „თქვენ ევროპაში პარასკევს გაემგზავრეთ, სამშაბათს კი ქალაქის პოლიციიდან გიკითხეს, ეს კაცი საით წავიდაო. ვუთხარი, რომ ევროპაში იყავით, მაგრამ არ ვიცოდი – სად". დავრწმუნდი, რომ ოთხშაბათს უმიზეზოდ არ ვშფოთავდი. მომთაჰენ ას-სალთანე აშკარად კეთილშობილურად მოიქცა. ღმერთს მამამისის ცოდვების შენდობა შევთხოვე.

ცნობები ირანის შესახებ: ყაჯარები და კონსტიტუციონალიზმი

[სავარაუდოდ, 1919 წელი]

... ერევნიდან გავემგზავრე და გეზი თბილისისკენ ავიღე. აქ მასპინძლობა გამიწია ირანის გენერალურმა კონსულმა მომთაზ ად-დოულემ, რომელიც თავრიზში ყოფნის 30-40 დღის განმავლობაში ჩემი სტუმარი იყო[403]. თბილისში თორმეტი დღე დავრჩი. სათვალის ყიდვა მინდოდა და ექიმ *დოქტორთან* წამიყვანეს. ექიმმა დიაგნოზი დამისვა და ნომერი დამიდგინა. საკონსულოს თანამშრომელს ფარიდ ას-სალთანეს ვთხოვე, რომ ექიმისთვის მკურნალობის საფასური ეკითხა. ექიმმა მითხრა: „საოცარია, ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ არაფერი გვსმენია თქვენი სტუმართმოყვარეობის შესახებ, რომლითაც თავრიზში გაქცეული ქართველები და მუსლიმები შეიფარეთ? ამის შემდეგ ერთი სათვალის ნომრის დადგენაში ფული როგორ უნდა გამოგართვათ?" მადლობა გადავუხადე...

---

[403] ავტორის შენიშვნა: „თავრიზში დაახლოებით ექვსი ათასი კავკასიელი ჩამოვიდა. ისინი შევკრიბე, დავაბინავე ... და გაზაფხულზე უკან დაბრუნდნენ".

ჰოსამ ას-სალთანე და მისი მოგზაურობის წიგნი

სოლთან მორად მირზა ჰოსამ ას-სალთანე.

სოლთან მორად მირზა, ცნობილი ლაყაბით „ჰოსამ ას-სალთანე" (1818–1883) ფათჰალი შაჰის უფროსი ვაჟიშვილის, ტახტის მემკვიდრეუფლისწულის აბას მირზას მეცამეტე ვაჟი იყო. მან მთელი ცხოვრება მოჰამად შაჰისა და ნასერ ად-დინ შაჰის სამსახურში გაატარა და სხვადასხვა წლებში არასბარანის, ხორასნის, ფარსის, იაზდის და ისფაჰანის გუბერნატორი იყო. ის სათავეში ედგა 1856 წლის ჰერათის ლაშქრობას, რომლის შედეგადაც ირანმა ეს დაკარგული რეგიონი უკან დაიბრუნა. ამის გამო მას „ჰერათის გამარჯვებული" შეარქვეს.

1880-1881 წლებში სოლთან მორად მირზამ წმინდა ადგილების მოსალოცად მექაში იმოგზაურა. უკანა გზაზე მან საქართველო გაიარა და ფოთი, ბათუმი და თბილისი მოინახულა. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები ასახულია მის „მექაში მოგზაურობის წიგნში". თხზულების ერთ-ერთი გადამწერის ცნობით, სოლთან მორად მირზა ყოველ საღამოს თავისი ამალის წევრსა და მდივანს მირზა რეზა მონშის კარნახობდა იმ დღის შთაბეჭდილებებს. ასე შეიქმნა წიგნის შავი ვარიანტი, მაგრამ მის მოწესრიგებასა და დაბეჭდვაზე არც სოლთან მორადსა და არც მის მდივანს აღარ უზრუნიათ. წლების შემდეგ ირანის ტელეგრაფის მინისტრის აყა ჰოსეინ ყოლი ხან მოხბერ ად-დოულეს ბრძანებით, ჰოსამ ას-სალთანეს „მექაში მოგზაურობის წიგნი" მისი პირადი ბიბლიოთეკისთვის გადაწერეს. 1905 წელს ალი ალი აბადიმ თხზულება კიდევ ერთხელ გადაწერა. ეს ნუსხა, რომელიც თეირანში მეჯლისის ბიბლიოთეკაში ინახება, 1995 წელს რასულ ჯა'ფარიანმა ჯერ ცალკე წიგნად გამოსცა და მერე შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი".

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Soltān Morād Mīrzā Hosām as-Saltane, *Safar-nāme-ye Makke*, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1374/1995.

Hosām as-Saltane, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 4, 17-332.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 1347/1968, 104-110.

Farībā Ghaffārī, "Hosām as-Saltane, Soltān Morād Mīrzā", *Dāneshnāme-ye Jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Alī Haddād 'Ādel, Vol.13, Tehran, 1388/2009, 219-220.

Rasūl Ja'farīyān, "Dar bāre-ye safar-nāme-ye Hosām as-Saltane", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 4, 9-16.

მექაში მოგზაურობის წიგნი

უკანა გზა
(1881)

[1298 წლის 10 ჯუმადა ალ-ულა (1881 წლის 10 აპრილი), კვირა]

ბათუმის აღწერა

ბათუმი პატარა საპორტო ქალაქია, მაგრამ კარგი ნავსადგომი აქვს. ქალაქიდან მარცხნივ ხუთ *მილში* მოედინება მდინარე ჭოროხი (Chūrūq), რომელიც რუმისა და ბათუმის საზღვარს წარმოადგენს, მარჯვნივ ათ *მილში*, ბათუმსა და ფოთს შორის კი – მდინარე ჩოლოქი (Chūlūk), რომელიც რუსეთისა და ოსმალეთის საზღვარი იყო. ბათუმიდან ფოთამდე 32 *მილია*. ბათუმი მჭიდროდ დასახლებული, მწვანეში ჩაფლული ქალაქია. მის შემოგარენში ბევრი ტყე და აყვავებული მინდორია. ნავსადგომში ორი დიდი ორთქლმავალი და რამდენიმე პატარა გემი ღუზაზე იდგა. ერთი დიდი ორთქლმავალი ნაპირს იყო მიმდგარი და ტვირთავდნენ. უწინ ბათუმი ოსმალეთის საკუთრება იყო, მაგრამ რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მას რუსები დაეპატრონენ და ახლაც რუსების ხელშია. მათ ქალაქის ასაყვავებლად ყველაფერი გააკეთეს. აქაური მუსლიმების ნაწილი ემიგრაციაში წავიდა. რუსებმა მათ ხუთი წლის ვადა მისცეს და სამი წელი უკვე გავიდა. ორი წლის შემდეგ ვინც აქ დარჩება, ის რუსეთის მოქალაქე გახდება და მას ისე მოექცევიან, როგორც ამ ქვეყნის ქვეშევრდომს. სამეფო გემი, რომელმაც ჩვენ ჩამოგვიყვანა, უკანა გზაზე ქვეყნის დატოვების დანარჩენ მსურველებსაც წაიყვანს.

მოკლედ, გადაწყვეტილი იყო, რომ დღეს ბათუმის დასათვალიერებლად უნდა წავსულიყავით და მისი გუბერნატორი გვენახა. მათ ჯარისკაცები და ცხენოსნები დაგვახვედრეს. მაგრამ რადგან მოღრუბლული ამინდი იყო და თან თავს შეუძლოდ ვგრძნობდი, აღარ წავედით.

11, ორშაბათი:

უამინდობისა და ზღვის ღელვის გამო ბათუმის სიახლოვეს გავჩერდით. ცოტა გულმა შემაწუხა, მაგრამ წამლებმა მიშველა. საღამოს ბათუმის გუბერნატორის სანახავად წავედით. ნაპირზე სამხედროები გამწკრივდნენ, *დროშკა* მოიყვანეს და თავად გუბერნატორმა მოგვაკითხა. მას სახლში ვეწვიეთ და სასაუბ-

როდ დავსხედით. შეხვედრას მისი ცოლიც ესწრებოდა. ჩაით, ფორთოხლითა და კოწახურის მურაბით გაგვიმასპინძლდნენ. გუბერნატორს ერთი ბავშვი ჰყავდა და ჩვენთან მოიყვანა. ბავშვს მივუალერსე და უკან დავბრუნდით.

ფოთის ნავსადგომი

დღის ორი საათისთვის ფოთის პორტს მივუახლოვდით. მისი უდიდებულესობისთვის გავამზადეთ *არზა*, რომელშიც გამოვხატეთ ჩვენი კმაყოფილება კაპიტნითა და მეზღვაურებით და გემიდან ნავში გადავსხედით. ნახევარ საათში ფოთის ნავსადგურს მივაღწიეთ და რუსულ გემზე ავედით.

ფოთში ძალიან ცუდი ნავსადგომია. შტორმის დროს დიდ გემებს შიგ შესვლა უჭირთ, ამიტომ მგზავრები ბარგითურთ ნავებით გადაჰყავთ უფრო პატარა გემებზე, რომლებიც მდინარეზე მოძრაობს. ამ დროს მათ ათასგვარი დაბრკოლების გადალახვა უწევთ და ხშირად ხიფათში ვარდებიან. ღამ-ღამობით გემები ფოთის ნავსადგომში და მდინარეში შესვლას უფრთხიან. ჩვენი ჩასვლის დღეს, მადლობა ღმერთს, ზღვა არ ღელავდა და მე და ჩემი ბარგი მშვიდობიანად გადავედით რუსულ გემზე. გემზე რომ ავედით, მზის ჩასვლას ოთხი საათი აკლდა. მირზა ფათჰალი ახუნდოვის ნათესავი მირზა მოსტაფა, რომელიც სპარსულის კარგი მცოდნეა, ხუთი დღის წინ თბილისიდან ფოთში ჩვენ შესახვედრად გამოგზავნეს. ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მირზა მოსტაფა, გემების უფროსი და ფოთში ირანის კონსული – ერევნელი სომეხი, ასევე სეიდ ალი ამელი და ჰაჯი მოჰამად ჰასან ამინ აზ-ზარბი, რომელიც პეტერბურგში მიდიოდა, გემზე დაგვხვდნენ და მშვიდობით ჩამოსვლა მოგვილოცეს. მათ თბილად მივესალმე და გემი დაიძრა. ნახევარი საათი ზღვაში მივდიოდით და მერე მდინარე რიონში (Ryon) შევედით. მდინარისა და ზღვის შესართავი კარგად იკვეთებოდა, რადგან ზღვა ლურჯი იყო, მდინარე კი – მღვრიე. ნავსადგომში პოლკის ჯარისკაცები იყვნენ გამწკრივებული. ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ფოთის გუბერნატორი, პოლიციის უფროსი, პოლკის მეთაური, საბაჟოს ზედამხედველი და *პასპორტების* უფროსი ნაპირზე დიდი პატივითა და ცერემონიებით დაგვხვდნენ. ყველას თავაზიანად მივესალმეთ და პოლკის ჯარისკაცების წინ გავიარეთ. ორი კაცი წინ გამოვიდა და რუსულად პატაკი ჩაგვაბარა: თქვენს სამსახურში გვიგულეთო. ჩვენც შესაფერისი პასუხი გავეცით. ფოთის გუბერნატორს და ყველა ოფიცერს იმპერატორზე გლოვის ნიშნად[404] მკლავსა და ეპოლეტებზე შავი მაქმანი ჰქონდათ შემოვლებული და ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ. ერთი სიტყვით, მე და ჩემი თანამგზავრები სოლეიმან ფაშასა და მისი ოფიცრების თანხლებით *დროშკებში* ჩავსხედით და ირანის საკონსულოსკენ გავემართეთ. იქ ფოთის გუბერნატორი, ოფიცრები და სხვა დამხვდურები ცოტა ხანს ჩვენთან ერთად დასხდნენ და მერე წავიდნენ. სეიდ ალი დარჩა. მას სხვადასხვა თემაზე ვესაუბრეთ. ძალიან მჭევრმეტყველი და სასიამოვნო მოსაუბრე აღმოჩნდა.

---

404 რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II აქ აღწერილ ამბამდე ერთი თვით ადრე, 1881 წლის 1 (13) მარტს მოკლეს ტერორისტებმა.

მდინარე რიონის აღწერა

რიონი დიდი მდინარეა, რომელიც თბილისის გზაზე მდებარე ერთ-ერთ ქალაქ ქუთაისიდან (Kūtāys) ფოთში ჩაედინება. გზად მას ყვირილა (Qūdī Rīle) და სხვა მდინარეები უერთდება. ფოთის სიახლოვეს რიონი ორ განშტოებად იყოფა და ზღვას ერთვის. ამ მდინარის წყალი მღვრიეა და ხშირად დიდდება. ფოთის სიახლოვეს რიონის ნაპირები ტყით არის დაფარული. მდინარის ორსავე მხარეს რაშთისა და მაზანდარანის სახლების მსგავსი სახლებია ჩამწკრივებული. მარჯვენა ნაპირი უფრო მჭიდროდ არის დასახლებული. მარცხენა ნაპირზე 36 *ზარ'ი* სიმაღლის კოშკი დგას. მასზე დამაგრებული შუქურა ღამ-ღამობით მგზავრებს გზას უნათებს. ეს შუქურა ზღვიდან 20 ინგლისური *მილის* სიშორიდან მოჩანს და მოწმენდილ ამინდში მისი დანახვა ბათუმიდანაც შეიძლება. შუქურის გარშემო რამდენიმე ნაგებობა დგას. იქვე ბოძია აღმართული და მასზე ოთხი ქვეყნის სახელმწიფო დროშებია ჩამოკიდებული. ზღვის ჰორიზონტზე გემის გამოჩენისთანავე ბოძზე იმ ქვეყნის დროშა იწევა, რომელსაც ეს გემი ეკუთვნის.

ფოთის პორტი

ფოთი კეთილმოწყობილი საპორტო ქალაქია. მასში ბევრი ქარხანა და ეკლესიაა. ყველა ეკლესია რუსულია და შიგ წინასწარმეტყველ იესოსა და მოციქულების მშვენიერი ნახატები ჰკიდია. ფოთში სხვადასხვა ჯურის ხალხი ცხოვრობს, მათ შორის ჩერქეზები, ლეკები, ქართველები, დაღესტნელები, მუსლიმები, ევროპელები და ბაშ-აჩოყელები. ქალაქში გილანზე უფრო ნესტიანი ჰაავა, ამიტომ მისი ქუჩები თითქმის ყოველთვის ტალახიანია. ფოთს შუაზე კვეთს გრძელი პროსპექტი, რომლის ორივე მხარე გამწვანებული და აყვავილებულია. ნავსადგომის ახლოს ბაღია გაშენებული და შიგ დიდი საათი დგას. სტამბოლიდან ფოთამდე სწორ ხაზზე 580 ინგლისური *მილია*, ნაპირის გასწვრივ კი უფრო შორია. ფოთი ბათუმის ჩრდილოეთით მდებარეობს.

ერთი სიტყვით, საკონსულოში სოლეიმან ფაშასთან, დიდმოხელეებთან და საკონსულოს თანამშრომლებთან ერთად ვივახშმეთ. დაღამებიდან ოთხი საათის გადასული იყო, გარეთ რომ გამოვედით, *დროშკაში* ჩავსხედით და *შემენდეფერისკენ*[405] გავემართეთ. *შემენდეფერსა* და ფოთის პორტს შორის მდინარე რიონი მოედინება. მასზე ძალიან კარგი რკინის ხიდია აშენებული. მისი სიგრძე 345 ნაბიჯია. ხიდის შუაში ორსავე მხარეს ორთავიანი არწივებია დამაგრებული. ამ ხიდის აშენება 450000 მანეთი დაჯდა. ერთი მანეთი 3500 ირანული *დინარის* ტოლია. ხიდზე გადასვლისას როგორც ქვეითები, ისე ცხენოსნები ერთ კაპიკს იხდიან. კაპიკი აქაური შავი ფულია და ასი კაპიკი ერთი მანეთის ტოლია. ერთი სიტყვით, ხიდზე გადავედით და *შემენდეფერში* მივედით. *შემენდეფერი* აღმოსავლეთისკენ მიემართება.

---

[405] „შემენდეფერს" ავტორი როგორც რკინიგზის მაგისტრალის, ისე ამ გზაზე მოძრავი მატარებლების, აგრეთვე რკინიგზის სადგურის აღსანიშნავადაც ხმარობს.

ფოთიდან თბილისამდე 300 *ვერსია*. ერთი *ვერსი* ერაყული *ბაზაზი ზარ'ის* მიხედვით 1032 *ზარ'ისა* და სამი *ჩარექის* ანუ 500 *საჟენის* ტოლია. ერთი *საჟენი* სამ რუსულ *ზარ'ს*, ხოლო ერთი რუსული *ზარ'ი* ნახევარ ერაყულ *ზარ'სა* და სამ *გერეს* უდრის. ფოთი-თბილისის გზაზე ოთხი მდინარეა: რიონი, ყვირილა, რომელიც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, რიონს ერთვის, ძირულა (Sardale), რომელიც ჩრდილოეთის მთებში იღებს სათავეს და ყვირილას უერთდება და ბეჟათუბანი (PĪ JĪ Tūban)[406]. მათზე სხვადასხვა ზომის რკინის ხიდებია აგებული: რიონზე, ყვირილაზე და ძირულაზე – თითო და ბეჟათუბანზე – სამი. გორიდან (Kurī) თბილისამდე გზის მარცხენა მხარეს სამი მდინარე მოედინება, რომლებიც ერთმანეთს უერთდება. მათგან ყველაზი დიდი ქსანკაა (Sangā). ფოთი-თბილისის გზაზე ორი დიდი დასახლებაა: ქუთაისი და გორი. გორი ლამაზი ქალაქია. აქ მთის წვერზე ციხესიმაგრეა აღმართული. ზოგი ამბობს, რომ ეს ციხე ქართველი მეფეების აშენებულია, ზოგიერთების მტკიცებით კი, ნადირ შაჰმა თბილისის აღების შემდეგ გორი საქართველოს კარიბჭედ ცნო და ეს ციხე ააგო. ის ხალხის გულის მოსაგებად გორის ერთ-ერთ ეკლესიაში შევიდა, ილოცა და ათასი თუმნის ძვირფასეულობა შესწირა. და პასუხისმგებლობა ამ სიტყვების სიმართლეზე თავად მთქმელზეა. გორში ექვსმალიანი რკინის ხიდია აგებული. ქალაქის სიახლოვეს, მარცხნივ, მთის კალთაზე მოჩანს ციხე-ქალაქი, რომელსაც უფლისციხეს (Ūp LĪ Sīkhe) ეძახიან. იქ გამოქვაბულის მსგავსად სახლები კლდეშია ნაკვეთი. მდინარე მტკვარი გორს გვერდზე ჩაუვლის. გზა, რომელიც მთის წვერამდე წყლის ასატანად იყო გაყვანილი, ახლა დანგრეულია. გორიდან თბილისამდე სამ ადგილას მთა გაჭრილია და შიგ გვირაბებია გაყვანილი. მეორე გვირაბი პირველზე უფრო გრძელია, მესამე კი – მეორეზე გრძელი. თბილისის გარდა ამ გზაზე 16 სადგურია, რომლებშიც მატარებლები ჩერდებიან. გაჩერებების ხანგრძლივობა სამიდან თხუთმეტ წუთამდეა.

ფოთიდან თბილისამდე სადგურების ქართული სახელწოდებები ასეთია: პირველი, ჭალადიდი (Chīlāvīd) ფოთიდან 14 *ვერსშია*; მეორე, სოვაყი (Sovāqī), რომელსაც ხალხი ნოვო-სენაკს (Novesenāk) ეძახის – 35 *ვერსში*; მესამე, სამტრედია (Sāmterīdī) – 61 *ვერსში*; მეოთხე, ქალაქი ქუთაისი – 90 *ვერსში*; მეხუთე, ყვირილა, რომელიც დიდი სოფელია და შიგ ბაზარიც არის – 117 *ვერსში*; მეექვსე, ბელაგორი (Bele Kūrī) – 139 *ვერსში*; მეშვიდე, ბეჟათუბანი, საიდანაც უღელტეხილი იწყება – 167 *ვერსში*; მერვე, სურამი (Sūrām) – 173 *ვერსში*. სურამი დაბაა და გზის მარცხენა მხარეს მთის კალთაზეა გაშენებული. მთის წვერზე დანგრეული ციხე მოჩანს. ამ დაბაში რკინიგზის ინჟინრები ცხოვრობენ. ბეჟათუბნის უღელტეხილიდან თბილისამდე თბილისის გუბერნიის ტერიტორიაა და სურამიც მას ეკუთვნის. გარშემო სულ მთები და ტყეებია. მეცხრე სადგური, მიხაილოვო (Manhāyylo), რომელშიც რკინიგზის ნაწილების კარგი ქარხანაა აშენებული, ფოთიდან 177 *ვერსშია*; მეათე, ქარელი (Qārelī) – 209 *ვერსში*; მე-

[406] როგორც ჩანს, იგულისხმება მდ. ძირულას მარცხენა შენაკადი მდ. ჩხირიმელა, რომლის ნაპირზეც მდებარეობს სოფელი ბეჟათუბანი.

თერთმეტე, გორი – 217 *ვერსში*; მეთორმეტე, გრაკალი (Krākhālī) – 232 *ვერსში*; მეცამეტე, კასპი (Qaspī) – 244 *ვერსში*; მეთოთხმეტე, ქსანკა (Qasānqe) – 258 *ვერსში*; მეთხუთმეტე, მცხეთა (Mekhet) – 269 *ვერსში*; მეთექვსმეტე, ავჭალა (Avchalī) – 279 *ვერსში*. ბოლო სადგური თბილისია და იქამდე 282 *ვერსია*.

ერთი სიტყვით, ფოთიდან თბილისამდე გზა ამწვანებულ და აყვავილებულ მინდვრებზე გადის. გარშემო სულ ნათესები, ტყეები და ყვავილებია. გზის ორივე მხარე დასახლებულია. ჭეშმარიტად, ულამაზესი გზაა! ახლა კიდევ ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ რკინიგზაზე. გზის გუშაგებს მწვანე, წითელი და შავ-წითელი ალმები უჭირავთ. თუ მწვანე ალამს აღმართავენ, ესე იგი გზა თავისუფალია; წითელი ალამი იმის მიმანიშნებელია, რომ წინ რაღაც დაბრკოლებაა და ნელა უნდა გაიარო; შავ-წითელი ალამი კი უჩვენებს, რომ გზა დაზიანებულია და უნდა გაჩერდე. ღამით ალმების ნაცვლად გამოიყენება ფარნები, რომლებსაც მწვანე, წითელი და შავ-წითელი მინები აქვს. გზას ორივე მხრიდან ტელეგრაფის ბოძები მიუყვება. სურამს რომ გავცდით, შედარებით დათბა. სამეგრელოს მთა (Kūh-e Mekrel), რომელიც ფოთს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ემიჯნება, ზაფხულშიც კი თოვლით არის დაფარული. კავკასია ამ მთის მეორე მხარეს მდებარეობს.

13, ოთხშაბათი:

მოღრუბლული ამინდი იდგა და სასიამოვნოდ გრილოდა. შუადღისას სადგურ მიხაილოვოში (Mīn Īylo) გავჩერდით. ამბობენ, რომ ის რუსეთის იმპერატორის ძმის მიხეილის (Mīnī Īyl) აშენებულია. ძალიან კარგი და სუფთა სადგური იყო და იქ ვისადილეთ. თბილისის სიახლოვეს მდინარე მტკვარი გზას ხან მარცხნიდან მიუყვებოდა და ხან – მარჯვნიდან.

მდინარე მტკვარი

ძველი ხალხი ამ მდინარეს ქაიხოსროს მდინარეს ეძახდა, რადგან, თურმე, ქაიხოსრო[407] ბავშვობაში შიგ ჩავარდა, მაგრამ არ დაიხრჩო. რადგან ბერძნები ქაიხოსროს კუროსს (Sorus) ეძახდნენ, ამ მდინარესაც კუროსი დაარქვეს. ზოგი ამბობს, რომ მტკვარი სათავეს იღებს აზერბაიჯანსა და ალბანეთს[408] (Arrān) შორის მდებარე ტერიტორიაზე, ზოგი ამბობს, რომ – ოსმალეთის სომხეთში ტავრის (Tāvr) მთიანეთის ჩრდილოეთი ქედიდან, სხვები კი ამტკიცებენ, რომ ის იწყება ბაბ ალ-აბვაბის[409] ანუ კავკასიის მთებიდან, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიედინება და ბოლოს კასპიის ზღვას (Daryā-ye Khazar) უერთდება. როგორც გეოგრაფიულ კალენდარში წერია, მდინარე მტკვარი სათავეს ბაბ ალ-აბვაბის მთებში იღებს. საკმაოდ უსარგებლო მდინარეა, რადგან ხეობაში მოედინება და მისი

---

407 ქაიხოსრო /ქაი ხოსროვი – ირანული მითოლოგიის გმირი, ლეგენდარული ქაიანიდების დინასტიის მესამე მეფე.

408 ალბანეთი – ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, რომელიც მოიცავდა დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიას და დაღესტნის სამხრეთ ნაწილს.

409 ბაბ ალ-აბვაბი დერბენდის ისტორიული სახელია არაბულ და სპარსულ წყაროებში.

წყალი ნათესებამდე ვერ აღწევს. მტკვრის ნაპირებზე გაშლილ ტყეებში ბევრი ხოხობია. მდინარე იმდენად ღრმაა, რომ შიგ ცხენით ვერ გაივლი.

მოკლედ, მზის ჩასვლას ორი საათი აკლდა, *შემენდეფერის* ბოლო სადგურში რომ მივედით. იქ ირანის გენერალური კონსული *მოყარაბ ალ-ხაყანი*, თბილისის *გუბერნატორი*, ოფიცრები, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, პოლიციის უფროსი, პოლიციელები და კაზაკები დაგვხვდნენ. ჩვენ შესახვედრად ირანელი ვაჭრები და ხელოსნებიც მოვიდნენ. თბილისის დიდმოხელეებსა და სხვა დამხვდურებს თავაზიანად მივესალმეთ, ჩვენთვის მომზადებულ *დროშკებში* ჩავსხედით და ირანის საკონსულოსკენ გავემართეთ. მე და *გუბერნატორი* მის კუთვნილ *დროშკაში* მოვთავსდით, სხვები კი დანარჩენ *დროშკებში* განაწილდნენ. საკონსულომდე დიდი პატივით მიგვიყვანეს. მას შემდეგ რაც ჩაი დავლიეთ, დიდმოხელეები დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. ჩვენი მსახურები ქალაქში დაბინავდნენ, მე, ემირის შვილები და სოლეიმან ფაშა კი საკონსულოში გავჩერდით. ირანის საკონსულო მაღლობზე დგას და მთელ ქალაქს გადაჰყურებს. ის მომცრო, მაგრამ სუფთა და კარგად მოწყობილი შენობაა. ჩვენი ჩასვლისთვის მისი აღმატებულება მეფისნაცვალი თბილისში არ ბრძანდებოდა, ახალი იმპერატორის მოსანახულებლად იყო წასული, მაგრამ მისი ვაჟი თბილისში იყო.

14, ხუთშაბათი:

დილით ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი მისი აღმატებულება მეფისნაცვლის ვაჟი, რომელიც მამის თანაშემწეა, კანცელარიის უფროს სტაროსელსკისთან (Estärāsīl Eskī) და ორ გენერალთან ერთად გვეწვია. მათ შესაფერისი პატივით დავხვდი. ცოტა ხანი ვისაუბრეთ და წავიდნენ. ნაშუადღევს ოთხ საათზე გენერალური კონსულის თანხლებით მასთან საპასუხო ვიზიტზე წავედი. შენობის შესასვლელთან გუშაგები, კაზაკები და სხვა მოხელეები გველოდნენ და დიდი პატივით შიგნით შეგვიყვანეს. ოთახის კართან თავად მეფისნაცვლის ვაჟი გამოგვეგება. დავსხედით, ცოტა ხანი ვისაუბრეთ და საკონსულოში დავბრუნდით.

როგორც დღევანდელი საუბრიდან შევიტყვეთ, ბაქომდე მიმავალი რკინიგზის ხაზი დასრულებული არ იყო და ამ გზით ვერ წავიდოდით. კასპიის ზღვაზეც შტორმი აღმოჩნდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ენზელის გზაზე უარი გვეთქვა და აზერბაიჯანის გავლით გავმგზავრებულიყავით. მის უდიდებულესობა ნაიებ ას-სალთანეს ტელეგრამა გავუგზავნე და ვთხოვე, მირზა მოჰსენისთვის ებრძანებინა, რომ ცხენები აზერბაიჯანში გაეგზავნა. მის აღმატებულება მთავარსარდალ ალა ად-დოულესაც ტელეგრამით შევატყობინე, რომ ცხენები და მატარებელი ჯულფაში დაეხვედრებინა. მისი უდიდებულესობისგან პასუხი მივიღე, რომ ყველაფერი ჩვენი სურვილისამებრ იქნებოდა.

დაახლოებით ორი თვეა, რაც თბილისში წვიმა არ მოსულა, ჩვენი ჩამოსვლის მერე კი განუწყვეტლივ წვიმს. მისი უდიდებულესობა ბაჰმან მირზას ვაჟი ჰეიდარ ყოლი მირზა, რომელიც თბილისში სამხედრო პოლკის მეთაურია, ჩვენ სანახავად მოვიდა. ძალიან თბილად მივიღეთ. მან რუსული კარგად იცოდა და თავზეც რუსული ქუდი ეხურა.

15, პარასკევი:

გენერალურ კონსულს მირზა მაპმუდ ხანს დაავალეს, რომ პეტერბურგში მიმავალ მის აღმატებულება უმაღლეს მთავარსარდალს ხლებოდა. მან ბოდიში მოგვიხადა და გაემგზავრა, ჩვენი მასპინძლობა კი საკონსულოს თანამშრომლებს გადააბარა. ერთი საათის შემდეგ ემირის ვაჟებთან ერთად აბანოში წავედი და კარგად ვიბანავე. ნაშუადღევს ორ საათზე თარჯიმან მირზა რეზასთან ერთად საპასუხო ვიზიტით ჯერ მეფისნაცვლის თანაშემწესთან და მერე სტაროსელსკისთან წავედით. სტაროსელსკიმ თავისი შვილები – ცხრა და ექვსი წლის ბიჭები წარმოგვიდგინა. ბიჭებს მივუალერსე, ცოტა ხანი ვისაუბრეთ და შემდეგ სახლში დავბრუნდით.

16, შაბათი:

სადილის მერე *ჯაბახანაში* წავედით და თოფები დავათვალიერეთ. იქაურ თოფებს ლულა და მჭიდე ცალ-ცალკე ჰქონდა და ერთჯერადად იტენებოდა. მშვენიერი თოფები იყო. იქვე რამდენიმე დანადგარი ვნახეთ, რომელთაც 25 ცხენისძალის ორთქლის მანქანა ამოძრავებდა. ზოგიერთში თოფის ლულა იყო გარჭობილი, ზოგში კი – ხის ძელი. თოფების დათვალიერების შემდეგ მეორე სართულზე ავედით და თოფის დამამზადებელი დაზგა დავათვალიერეთ. ძალიან მოგვეწონა. მერე ქვევით ჩავედით და მეორე *ჯაბახანაში* წავედით, რომელიც პირველის სიახლოვეს იყო. ერთ ოთახში 65 000 თოფი რიგებად ეწყო, კედელზე კი ძველი სალაშქრო დროშები ეკიდა. მეორე ოთახში ვნახეთ რუსული წარმოების თოფები, რომლებიც მხედრებისთვის იყო განკუთვნილი. ძალიან კარგი თოფები იყო. ოთხი ცალი მე და უფლისწულებს მოგვართვეს. გარეთ რომ გამოვედით, ვნახეთ ხანძრის ჩასაქრობი მანქანა, რომელიც *ჯაბახანას* წინ მოედანზე იდგა. საჩვენებლად, წყალი იქვე მდგარ მაღალ კოშკს მიასხეს. ამის შემდეგ სახლში დავბრუნდით.

17, კვირა:

სამგზავრო მზადებას შევუდექით. მგზავრებისა და მათი ბარგის გადასაყვანად თბილისიდან ჯულფაში *დროგები, ტარანტასები,* ურმები და *ფურგონები* დადის. რადგან ჩვენი სამყოფი ტრანსპორტი ადგილზე არ აღმოჩნდა, გადაწყდა, რომ სამ ჯგუფად დავიყოფოდით და ყოველ მომდევნო დღეს გავემგზავრებოდით. პირველ დღეს *მონშიბაში, ჰაქიმბაში,* თარჯიმანი, სოლეიმან ფაშას მსახური, *ფარაშხალვათი* და *შარბათდარი* გავუშვით, ხვალ ჩვენ გავემგზავრებით, ზეგ კი სოლეიმან მირზას ვაჟი და სხვა მოხელეები წამოვლენ. დღევანდელი დღე საკონსულოში გავატარეთ. მოლრუბლული ამინდი იდგა და მთელი დღე ძლიერად წვიმდა, მაგრამ საღამოსკენ წვიმამ გადაიღო და მშვენიერი ამინდი გამოვიდა.

ხალიფა ოსმან იბნ აფანის[410] ზეობის დროს თბილისი მუსლიმთა ლაშქარმა დაიპყრო. *შაჰ-ე შაჰიდმა* აღა მაჰმად ხანმაც – მსუბუქი იყოს მისთვის სამარის მიწა – 1210 წელს საქართველოს მმართველს ომი გამოუცხადა და დაამარცხა. ის თბილისს სამხრეთი მთიდან შემოესია და ააოხრა. როცა *შაჰ-ე შაჰიდი* თბილისისკენ გამოემართა, საქართველოს მმართველმა მის შესახვედრად ლაშქარი გაგზავნა. *შაჰ-ე შაჰიდის* ჯარი იაღლუჯის (Yāghlūje) გრძელ და ღრმა ხეობაში დაიმალა და ქალაქს მოულოდნელად თავს დაესხა. ამბობენ, რომ გამოთქმა „თბილისის გაღება" სწორედ ამ ლაშქრობას უკავშირდება. მართალია, ერთი ნელი აცდენაა, მაგრამ ისტორიისთვის ერთი ნელი არაფერია.

თბილისი მთის კალთაზეა გაშენებული და სამხრეთი მთიდან ჩრდილოეთ მთამდეა გადაჭიმული. სამხრეთი მთა ძალიან მაღალი და ციცაბოა. მთის წვერზე აღმართულია ძველი ციხესიმაგრის ნაშთები, რომელიც უწინ საქართველოს მეფეების რეზიდენცია იყო. ქვითკირის ძველი ციხისა და გალავნის ნაშთები ქალაქის სამხრეთშიც გვხვდება. სამხრეთი მთის კალთაზე მოჩანს ეკლესია, რომელიც შეიხ სანაანის სახელით არის ცნობილი. ამბობენ, რომ მასში შეიხის საფლავია[411]. ჩრდილოეთი მთაც ძალიან მაღალია და ქალაქს გადმოჰყურებს. მასზე არსენალის, *ჯაბახანასა* და არტილერიის შენობებია აღმართული. ქალაქის სამხრეთი ნაწილი უფრო კეთილმოწყობილია, ვიდრე ჩრდილოეთი. აქ კარგი ბაზრები და შენობებია. ირანის საკონსულოც ამ მხარეს მდებარეობს. მოკლედ, თბილისი ორი – ძველი და ახალი – უბნისგან შედგება და მათ ერთმანეთისგან მდინარე მტკვარი ყოფს. მდინარეზე რკინის ხიდია აგებული. ახალი ქალაქი მდინარის სამხრეთით მდებარეობს და ის ევროპელების უბანია. აქ სწორი, ფართო და ლამაზი ქუჩებია, რომელთა სიგანე 60 ნაბიჯს აღწევს. ახალ უბანში მეფისნაცვლის სასახლე, შვიდი ქარვასლა, ორი მეჩეთი, საავადმყოფო და სხვა დაწესებულებებია აშენებული. ძველი ქალაქი მდინარის ჩრდილოეთით მდებარეობს. იქ ვიწრო და ჭუჭყიანი ქუჩებია. ამ უბანში თოთხმეტი ეკლესიაა, აქედან ექვსი ქართულია, დანარჩენი კი – სომხური. თბილისში დიდი ბაღია, რომელიც ადრე აწ განსვენებულ მირ ფათაჰს ეკუთვნოდა[412]. თბილისის ბაზრებში სხვადასხვა ჯურის ხალხს შეხვდები. მათში ბევრი ირანელია, რომლებიც, ძირითადად, ვაჭრობას ეწევიან. თბილისის მოსახლეობა ერთი მონაცემით 50, მეორით – 65, მესამით კი – 101 ათასია. ესენი არიან ქართველები, რუსები, კათოლიკეები, დაღესტნელები, გერმანელები, სომხები და მუსლიმები. თბილისსა და მის შემოგარენში 10 000-იანი ჯარი დგას. აქ ცუდი კლიმატია, ზაფხულში და შემოდგომაზე ძალიან ცხელა, ამიტომ ხშირია ქოლერის შემთხვევები. ქალაქის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია სამხრეთი მთის კალთაზე გადმომდინარე ცხელი წყაროები, რომლებზეც აბანოებია აშენებული. ეს წყალი სხეულს არბილებს და მას გოგირდის სუნი არა აქვს. ქართულად თბილისი ცხელი წყლის ადგილს ნიშნავს. ქალაქი-

---

410 ოსმან იბნ აფანი – მესამე ხალიფა (644-656).

411 იხ. შენიშვნა 50.

412 იხ. შენიშვნა 78.

დან ყაფის მთის მწვერვალი მოჩანს[413]. ძალიან მაღალი მთაა და მუდამ თოვლით არის დაფარული. რუსებმა ამ მთაში ოთხთვალების სასიარულო გზა გაიყვანეს და ახლა მასზე *კალიასკებით* დადიან. ქალაქი ვლადიკავკაზი (Dolāl Qafqāz) ამ მთის გადაღმაა. თბილისიდან პეტერბურგამდე 2380 ათასი *ზარ'ია*, შავ ზღვამდე, რომელიც მის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს – 1000 *ზარ'ი*, კასპიის ზღვამდე კი – 240 000 *ზარ'ი*. თბილისში ორი რკინის ხიდია. პირველი ხიდი ერთ-მალიანია. მის ახლოს მტკვარი ორ განშტოებად იყოფა და მათ შორის წარმოქმ-ნილ კუნძულზე დუქნებია აშენებული. მეორე ხიდი ექვსმალიანია და ის ააგო უწინდელმა მეფისნაცვალმა, რომელიც კავკასიას თორმეტი წელი მართავდა. ხიდის თავში დგას მისი ბრინჯაოს ქანდაკება დურბინდით ხელში. ქანდაკების გარშემო რვა ოსმალური ქვემეხი პირით მიწისკენ არის განლაგებული. ამ მე-ფისნაცვალმა, რომელსაც *პრინცი* ვორონცოვი (Perens Varānsof) ერქვა, თბილისი ააყვავა და ხალხი მისით ძალიან კმაყოფილი იყო.

18, ორშაბათი:

მე, ემირის ვაჟები, მისი აღმატებულება ჰაჯი მოლა ბაყერ ვაეზი, *ნაზერი, აბდარი, ყაჰვეჩი*, მზარეული და სხვები გავემგზავრეთ. თბილისიდან ჯულფამ-დე გზა მდინარე არაქსს მიუყვება. ამ გზის სიგრძე 441,3 *ვერსია* და მასზე 28 ფოსტის სადგურია. სადგურებს შორის მანძილი ათიდან ოცდაოთხ *ვერსამდეა*. ცხენის ქირაობა ერთი *ვერსი* სამი კაპიკი ღირს. თითო სადგურში ათიდან ოცამდე ცხენი და 6-7 ოთხთვალა და *დროშკა* დგას. თბილისიდან ერევნამდე სწორი გზატკეცილია გაყვანილი და ოთხთვალებისა და *დროგების* სასიარულოდ მდი-ნარეებზე დიდი და პატარა ხიდებია აგებული. ყოველ ფოსტის სადგურში ორი ოთახია, რომლებიც მაგიდით, სკამით და სარკით არის გაწყობილი. იმდენად კარგი და ლამაზი გზაა, რომ ხოტბა ზედმეტია. არემარე ამწვანებული და აყ-ვავებულია და გარშემო მდინარეები მოედინება. განსაკუთრებით აღსანიშნავია დილიჯანის გზაზე მდებარე ულამაზესი ხეობა, რომელიც მთებშია ჩაფლული. მაგრამ წვიმის დროს გზა იმდენად ფუჭდება და ტალახდება, რომ გავლა ჭირს.

თბილისის გზის ფოსტის სადგურები

თბილისის გუბერნიაში ხუთი ფოსტის სადგურია და მათგან პირველი თბილისშია. თბილისიდან ათნახევარ *ვერსში* მდინარე მტკვრის პირას მდე-ბარეობს სოფელი სოღანლული (Sūqānlo) და მეორე ფოსტის სადგური ამ სოფელ-შია აშენებული. სოღანლულის მარჯვენა მხარეს ერთი მთაა, რომელიც სამხრეთი-დან ჩრდილოეთისკენ არის გადაჭიმული და თბილისამდე გრძელდება. ამ მთის უმეტესი ნაწილი გადაჭრილი და გასწორებულია. მის კონუსისებრ მწვერვალზე აშენებულია ეკლესია, რომელსაც თელეთს (Telet) ეძახიან. თბილისის მოსახლეო-ბა წელიწადში ერთხელ იქ სალოცავად დადის. ეკლესიის გარშემო სამი ოჯახი ცხოვრობს და ისინი ამ ეკლესიას ემსახურებიან. ამ მთასა და ხეობაში ბევრი დასახლება და ბაღია. ფოსტის სადგურიდან ეკლესია არ მოჩანს, რადგან მთა

[413] იხ. შენიშვნა 40.

ეფარება. სოღანლუღიდან 12 *ვერსში* მესამე – იაღლუჯის ფოსტის სადგურია. აქ წყალი არ არის და ის ერთი *ვერსით* დაშორებული მტკვრიდან მოაქვთ. იაღლუჯის გარშემო ბევრი დასახლებაა, მაგრამ ხეები არ არის. იაღლუჯის ქედი რამდენიმე *ვერსზეა* გადაჭიმული და მის შუაში საგუშაგო დგას. წყალი არც ამ საგუშაგოზეა და ის 7 *ვერსის* სიშორიდან მოაქვთ. აქ რამდენიმე ჭა გათხარეს, მაგრამ ყველაში მლაშე წყალი აღმოჩნდა. მთასთან ახლოს ერთი გრძელი და ღრმა ხევია, რომელსაც *შაჰ გიზლანანს* ეძახიან. ამ ხევში *შაჰ-ე შაჰიდი* აღა მაჰმად ხანი – მსუბუქი იყოს მისთვის სამარის მიწა – თბილისზე თავდასხმის წინ იმალებოდა. ამბობენ, რომ ეს საგუშაგო სწორედ იმიტომ აშენდა, რომ ამ მხრიდან მტერი აღარ შემოსულიყო. იაღლუჯის ქედიდან სადგურამდე 10 *ზარ'ი* სიგანის გზა გადის. მდინარე მტკვარი ამ ქედს გარს უვლის. იაღლუჯიდან 22 *ვერსში* მეოთხე – ალგეთის (Al Ket) ფოსტის სადგურია. წყალი არც აქ არის და ის მდინარიდან მოაქვთ. მუსლიმებისთვის უწყლობა ძალიან მძიმეა. ფოსტის სადგურს მდინარე ჩამოუდის, რომელზეც ქვის ერთმალიანი ხიდია აშენებული. ალგეთიდან 20 *ვერსში* სოფელი სალაჰლოა (Salāhlo) და მეხუთე ფოსტის სადგური იქ დგას. სალაჰლო დიდი სოფელია და შიგ 800 კომლი ცხოვრობს. მდინარე მტკვარი ფოსტის სადგურს გვერდზე ჩაუვლის. სალაჰლოს მინდორი ტყით არის დაფარული და მას ყარაიაზს (Qarāyāzī) ეძახიან. ამ ტყეში სხვადასხვა ჯიშის ცხოველები არიან, მათ შორის ირემი, დათვი, კანჯარი და სხვა. ის სახელმწიფოს მიერ ნაკრძალად არის გამოცხადებული. ყარაიაზის ტყე იაღლუჯიდან იწყება და მინგეჩაურის (Mīnke Chūr) საგუშაგოსთან თავდება. მდინარე მტკვარი სულ გზას მიუყვება, ხან 2000 და ხან კი 200 ნაბიჯის დაშორებით. სალაჰლომდე 10 *ვერსი* რჩებოდა, როცა სოფელი შიხილო (Sekhlo) გამოჩნდა. სოფლიდან 7 *ვერსში* მდინარე ხრამის (Kharām) პირას ამ სოფლის მცხოვრებთა სასაფლაოა. სანაყ-ქერფის (Sanaq Kerpī) მივადექით. სანაყ-ქერფი თურქულად გატეხილ ხიდს ნიშნავს[414]. ძველ ხიდს ერთი მალა გაუტყდა და მის ნაცვლად მეორე, ქვისა და აგურის სამმალიანი ხიდი ააშენეს, თუმცა მისი აშენების დრო უცნობია. მდინარის გარშემო ტყეა გაშლილი. გატეხილ ხიდთან გზა ხის ძელით იყო ჩახერგილი და ძელის აწევაში თითო მგზავრმა 9 კაპიკი გადავიხადეთ. ხიდის მეორე ნაპირიდან ბორჩალოს (Bazghalo) რაიონი იწყება.

[414] იხ. შენიშვნა 147.

მირზა აბდ ალ-ჰოსეინ ხან აფშარ ორუმი და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა აბდ ალ-ჰოსეინ ხან აფშარ ორუმი ურმიას აფშართა წარჩინებული გვარის წარმომადგენელი იყო. მის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ირანულ სამხედრო წყაროებში ის მოიხსენიება, როგორც ირანის არმიის სართიფი და მირ-ფანჯი (ბრიგადის გენერალი) და მარაღას პოლკის მეთაური. მცირე ინფორმაციას მირზა აბდ ალ-ჰოსეინის შესახებ იძლევა მისი მოგზაურობის წიგნი, რომელიც 1882 წელს მისი მექაში მომლოცველობის ამბავს მოგვითხრობს. თხზულებიდან ვიგებთ, რომ მამამისს ალი ნაყი ხანი ერქვა და მას *აჯუდანბაშის* (ადიუტანტების უფროსი) თანამდებობა ეკავა. თავად მას ჰყავდა სამი ვაჟი – მოჰამად ხანი, სადეყ ხანი და აყა მუჩული, რომლებიც ასევე სამხედროები იყვნენ. მირზა აბდ ალ-ჰოსეინი ახ-სენებს დარ ალ-ფონუნის სასწავლებელსაც, რომელშიც ის 1851 წლიდან დირექტო-რის თანაშემწედ (სხვა ვერსიით, ინსპექტორად) მუშაობდა.

მირზა აბდ ალ-ჰოსეინის თხზულება ენციკლოპედიურ მოგზაურობათა წიგნებს განეკუთვნება. თხრობა მასში ქრონოლოგიურ პრინციპზეა აგებული და მშრალი დეტალური აღწერებით გამოირჩევა. თხზულების ერთადერთი ნუსხა, რომელიც თეირანის უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ინახება (№ 10648), რასულ ჯა'ფარიანმა ჯერ ცალკე წიგნად გამოსცა და მერე შეიტანა რვატომეულში „ყაჯარ-თა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი".

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Mīrzā 'Abd al-Hoseyn Khān Afshār Orūmī, *Safar-nāme-y Makke-ye mo'azzame*, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1386/2007.

Mīrzā 'Abd al-Hoseyn Khān Afshār Orūmī, "Safar-nāme-y Makke-ye mo'azzame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 4, 437-688.

"Safar-nāme-ye Makke-ye mo'azzame: Mīrzā 'Abd al-Hoseyn Khān Afshār Orūmī (1299 h.q.-1882m.)", წიგნში: Farāmorz Mo'tamad Dezfūlī, *Tārīkh-e andīshe-ye jadīd-e īrānī (Safar-nāmehā-ye īrānīān be Farang)*, daftar-e avval, Tehran, 1390/2011, 631-654.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Dar bāre-ye mo'alef va īn safar-nāme", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 4, 437-455.

'Alī Bābā'ī Nivlū'ī, *Nāmāvarān-e Orūmīye*, Tehran, 1389/2010.

N. Kondo, "Qizilbash Afterwards: The Afshars in Urmiya from the Seventeenth to the Nineteenth Century", *Iranian Studies*, Vol.32, No.4, 1999, 537-556.

დიდებულ მეჟაში მოგზაურობის წიგნი
(1882)

[1299 წლის] 16 რამაზანი (1882 წლის 1 აგვისტო), სამშაბათი:

დილით რომ გავიღვიძეთ, ოთხთვალა და ცხენი გამზადებული დაგვხვდა. ჩავსხედით და გავემგზავრეთ. ფოსტის სადგურ *კრასნი მოსტთან* (Qarāstī Mūlat) ოთხთვალა და ცხენი გამოვცვალეთ და გზა განვაგრძეთ. მარჯვენა მხარეს მდინარე მტკვარი გამოჩნდა. ცოტა რომ გავიარეთ, მივადექით ერთ მდინარეს, რომელიც მტკვარს უერთდებოდა. მდინარეზე ძალიან კარგი აგურის ხიდი იყო აშენებული. ხიდზე რომ გადავედით, გზა ისევ ხის ჯებირით დაგვხვდა ჩახერგილი. ჯებირთან მდგარმა რუსმა ფული მოგვთხოვა. *პოდოროჟნა*[415] გავუწოდე. წაიკითხა და თავაზიანად უკან დაგვიბრუნა. მერე ჯებირი მაღლა ასწია და გაგვატარა.

ცოტა ხანში მივედით ფოსტის სადგურ ალგეთში (Al Ket). ეს სიტყვა თურქულად „აიღე და წადის" ნიშნავს. ტრანსპორტი გამოვცვალეთ და გზა განვაგრძეთ. დღეს ჩვენი გზა სულ მთებში მიდიოდა. ძალიან ცხელოდა და ჰაერში მტვრისა და მიწის კორიანტელი იდგა. იაღლუჯის (Yāghlūje) ფოსტის სადგურში ცხენები და ეტლი შევცვალეთ და გავემგზავრეთ. მივედით ფოსტის სადგურ სოღანლულში (Suqān Lo), საიდანაც თბილისის მისადგომებამდე 7 *ვერსი* ანუ ერთი ირანული *ფარსახია*. სადგურის მარჯვნივ მდინარე მტკვარი მოედინება, მარცხნივ კი ერთი მთაა, რომელზეც თბილისისკენ მიმავალი გზა გადის. ეტლიდან გადმოვედით, ოთახში შევედით, ვისადილეთ და ცოტა დავისვენეთ. როცა გავიღვიძე, დღიურის წერას შევუდექი.

თბილისი

მზის ჩასვლას ოთხი საათი აკლდა, ოთხთვალაში რომ ჩავსხედით და გავემგზავრეთ. მთის ხეობას გავუყევით და თბილისისკენ გავემართეთ. ქალაქის მისადგომებთან გზაზე ერთი რუსი კაცი გამოვიდა და *პოდოროჟნა* მოგვთხოვა. კარგად დაათვალიერა და თავაზიანად უკან დაგვიბრუნა. ქალაქში შევედით.

თბილისი ორი მთის ქვაბულში მდებარეობს. მდინარე მტკვარი ქალაქს შუაზე კვეთს. მისი ორივე ნაპირი დასახლებულია. ეს ხეობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიემართება, მტკვარი კი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიდის. ცოტა გავიარეთ და ბაზარში შევედით. აქეთ-იქით სულ დუქნები იყო. ირანისგან განსხვავებით, სადაც მედუქნეები დღისით საქონელს გარეთ ფენენ, ხოლო საღამოს აგროვებენ და შიგნით შეაქვთ, აქ ყველაფერი ოთახებში აწყვია. მივდიოდი და თან დუქნებს ვათვალიერებდი.

ამასობაში ჩვენს ოთხთვალა *თექარს*[416] ერთი მხარე მიწაზე ჩამოუვარდა. ხალხმა გაიცინა. მეურმე ჩამოვიდა, დუქნიდან ჩაქუჩი გამოიტანა და ლურსმნით

---

[415] იხ. შენიშვნა 42.

[416] თექარი – ოთხთვალის სახეობა, ხის მორებისგან შეკრული ურემი, რომელიც ბაქოს რაიონში იყო გავრცელებული.

მაგრად მიაჭედა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარეთ, ისევ ჩამოვარდა. ხალხმა ისევ გაიცინა. ღმერთმა დამიფარა, რომ ოფიციალური ტანსაცმელი არ მეცვა, თორემ ძალიან შევრცხვებოდი. მე და ჯაფარ ბეგი ოთხთვალიდან გადმოვედით და გზა ფეხით განვაგრძეთ. წინ მივდიოდით და თავს ისე ვაჩვენებდით, თითქოს ეს გატეხილი ეტლი ჩვენი არ იყო. ცოტა ხანში სასტუმროს მივადექით. შიგნით შევედით და ოთახის ფასი ვიკითხეთ. გვიპასუხეს: „დღეში 2 მანეთი ღირს". ვუთხარი: „ოთახი *ბალახანაში* მოგვეცით". ვხედავ, რაღაც მოიმიზეზეს და უარი გვითხრეს. სასტუმროდან გამოვედით, საქირავებელი *კალიასკა* გავაჩერეთ და მეეტლეს ვუთხარით, რომ სასტუმრო „ლონდონში"[417] წავეყვანეთ.

სასტუმრო „ლონდონი"

კალიასკაში ჩავსხედით და სასტუმრო „ლონდონში" წავედით. მთელ ქალაქში ყველაზე ცნობილი, კარგი და ძვირი სასტუმროა. კარებში შვეიცარი გამოგვეგებება. ვუთხარი: „ოთახი მინდა ვიქირავო". რადგან სამგზავრო ტანსაცმელი მეცვა, გამაფრთხილა: „ეს ძალიან ძვირი სასტუმროა და დღეში ორ მანეთზე ნაკლებად ოთახი არა გვაქვს". ვუთხარი: „სამ-ოთხ მანეთიანი ნომერი მინდა". გაკვირვებით შემომხედა და წინ გამიძღვა. კიბე ავიარეთ და ოთახის კარი გამიღო. კარგი ოთახი იყო, მაგრამ ხედი არ მომეწონა. ვუთხარი: „ამაზე უკეთესი ნომერი მინდა". შვეიცარმა მიპასუხა: „ამაზე უკეთესი დღეში სამმანეთნახევარი ღირს". ვუთხარი: „თანახმა ვარ". წამიყვანა ერთ ოთახში, რომლის ფანჯრები პატარა ბაღზე გადადიოდა. ფანჯრებიდან მოჩანდა ბაზარი და მტკვარზე გადებული ხიდი, რომელზეც ხალხი სეირნობდა. მომეწონა. ოთახს ნაძერწი ჭერი და ჩინებული შეღებილი *დარ-აკოშკა*[418] ჰქონდა. საწოლზე მშვენიერი ფერადი გადასაფარებელი ეფინა. ოთახში ძალიან კარგი ზამბარებიანი დივანი, ორი ზამბარებიანი და ოთხი ჩვეულებრივი სკამი, ერთი საწერი და ერთი სასადილო მაგიდა იდგა. კედელზე ერთი *ზარ'ი* სიგრძის და ნახევარი *ზარ'ი* სიგანის ქვის სარკე ეკიდა. შეღებილ ხის სკივრზე, რომელსაც ხუთი თარო ჰქონდა, ორი თაბაშირის შანდალი და ყავის სინი იდო. სინზე ბროლის გრაფინი და ჭიქები ეწყო. უჯრებიან მაგიდაზე ფაიფურის დოქი, ძალიან დიდი ტოლჩა და პირსახოცი იყო მოთავსებული. მაგიდის ზემოთ პრიალა თეთრი ქვა იყო დამაგრებული. ოთახის ერთ კუთხეში ძალიან კარგი რკინის ტახტი იდგა. ტახტზე სქელი ლეიბი და თეთრი ზეწარი ეფარა. ზეწარზე აბრეშუმის მჭიდროდ ნაქსოვი გადასაფარებელი და ორი ბუმბულის ბალიში იდო.

ეს ყველაფერი ისეთი სუფთა და ქათქათა იყო, გეგონებოდათ, დღეს შეკერესო. ტახტის წინ იატაკზე კარგი ქურთული ხალიჩა ეფინა. კედელზე მიმაგრებული იყო კაუჭებიანი ფიცარი, რომელზეც ძილის დროს ტანსაცმელს კიდებენ. დღეში

---

417 სასტუმრო „ლონდონი" (Hôtel de Londres) ფუნქციონირებდა 1875-1914 წლებში მადათოვის ქუჩის №21-ში (ახლანდელი ათონელის №31) ზუბალაშვილების სახლში (დ. ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები*, 41-52).

418 ავტორი ხელოვნურ სპარსულ-რუსულ კომპოზიტს „daraqoshqa" ხმარობს (dar – სპ. კარი, окошко – რუს. ფანჯარა), რომლის ქართულ-რუსული ვარიანტი „კარ-აკოშკა" დასავლეთ საქართველოში დღემდე იხმარება.



თბილისი, სასტუმრო „ლონდონი". დ. ერმაკოვის ფოტოსურათი, 1890-იანი წლები.

ერთხელ ნომერში სპეციალური მსახური და ორი დამლაგებელი შემოდიოდა. მათ ოთახიდან ყველაფერი გაჰქონდათ, იქაურობას გვიდნენ და სველი პირსახოცით სარკესავით აპრიალებდნენ. მერე გარეთ გატანილ ნივთებს სათითაოდ წმენდნენ და ისევ შიგნით შემოჰქონდათ. ოთახის კართან ზარი ეკიდა. ზარის გვერდით მიმაგრებული იყო თოკი, რომლის მეორე ბოლო მსახურის ოთახის ზარს უერთდებოდა. თუ, მაგალითად, მსახური დაგჭირდებოდა, თოკს ჩამოსწევდი, მსახურის ოთახში ზარი დარეკავდა და ისიც მაშინვე შენთან გაჩნდებოდა. ნომერში შესვლის მსურველმა უნდა ჩამოსწიოს კართან დაკიდებული ზარის თოკი, რომლის მეორე ბოლო მსახურის ოთახში გადის. ოთახში ზარი დარეკავს თუ არა, მექანიკურად ზარი რეკავს მსახურთანაც, რომელიც ოთახის მცხოვრებს ეახლება, მომსვლელის ვინაობას მოახსენებს და მისი შეშვების ნებართვას აიღებს. მოკლედ, ზარის დარეკვის გარეშე ნომერში ვერავინ შევა.

10 000 თუმანი ნაღდი ფული ღია საფულით ოთახში რომ დატოვო და კარი არ დაკეტო, ათი საათის მერეც რომ დაბრუნდე, საფულე ხელუხლებელი დაგხვდება. გინდ ნომერში იყო და გინდ არა, შენი ნებართვის გარეშე არავის აქვს უფლება, რომ ოთახში შევიდეს. ოთახის წინ მსახურებისთვის ღია დერეფანი გადის. სასტუმრო „ლონდონში" ზოგიერთი ნომრის ფასი დღეში 20 მანეთსაც კი აღწევს.

ჯაფარ ბეგსა და ნაჯაფ ყოლი ბეგს ცალკე ოთახი ავუღე, რომელიც დღეში 2 მანეთი ღირდა. ქვედა სართულზე ერთი ძალიან დიდი დარბაზია სადილისა და ვახშმის საჭმელად. მასში რამდენიმე მაგიდა და სკამი დგას. სადილისა და ვახშმის დროს ყველა მაგიდა დაკავებულია. მაგიდაზე წიგნი დევს, რომელშიც იმ კერძებისა და სასმელების სახელები წერია, რომელიც სასტუმროში აქვთ.

ვისაც რა უნდა, ოფიციანტს უკვეთავს. ძალიან სუფთად და გემრიელად ამზადებენ. მაგიდაზე გაქათქათებული ხელსახოცები, კარგი დანა-ჩანგალი, კოვზები და თეფშები აწყვია. დილა-საღამოს, თუ მოისურვებ, ჩაისა და ნამცხვარს მოგიტანენ. ერთ დღეს დარბაზში სადილად ორი კაცი და ერთი ქალი შემოვიდნენ. ძალიან დიდხანს დარჩნენ. ოფიციანტს ვკითხე: „ამდენი ხანი რას აკეთებენ?" მიპასუხა: „ამ სამმა დღეს 45 მანეთის სადილი შეჭამა". ეს ირანულ ფულზე 15 თუმანი და 7500 *დინარია*. მოკლედ, რაც არ უნდა მოისურვო, მაშინვე მოგართმევენ.

ერთ საღამოს თეატრში წავედი და ვახშამი მოვითხოვე. მომიტანეს ორი ცალი გაყვითლებული კიტრი, რომელიც არ იჭმეოდა და 700 *დინარი* გამომართვეს. თბილისში მანეთს 5 *აბაზს* ეძახიან.

თბილისის აბანოები

17 *რამაზანი* (2 *აგვისტო*), *ოთხშაბათი*:

დილით გავიღვიძეთ და სასტუმროდან გამოვედით. *დროშკა* მოიყვანეს. ჩავსხედით და აბანოში წავედით. თბილისის ყველა აბანო, რომლებშიც ბუნებრივი ცხელი წყალი მოდის, მდინარის სამხრეთ ნაპირზეა განლაგებული. ჩრდილოეთ ნაპირზე მხოლოდ ერთი აბანოა და ის მექანიკურად თბება. რუსეთის *ვილაიეთის* აბანოები ირანული აბანოებისგან განსხვავებულია. შესასვლელიდან გადიხარ გრძელ დერეფანში, რომელსაც ორსავე მხარეს კარები მიუყვება. ყველა კარის თავზე აბანოს ფასი წერია – ერთი საათი რამდენი ღირს. ერთ-ერთი კარით გასახდელში შედიხარ. კარს კეტავენ და სხვა იქ ვეღარავინ შემოვა. გასახდელში ქვის სკამი დგას. სკამზე ლეიბი აფენია და ზედ ბალიშები ყრია. ლეიბზე ჯდები, ტანსაცმელს იხდი და ორთქლის აბანოში შედიხარ. ორთქლის აბანო დიდი ოთახია, რომელშიც რამდენიმე აუზია აშენებული. აუზების სიგანე 1 *ზარ'ი*, ხოლო სიგრძე 2 *ზარ'ია*. აუზთან ახლოს კედლიდან ცივი და ცხელი წყლის მილები გამოდის. პირველ რიგში აუზის წყალსაშვებს ხსნი და წყალი მდინარეში იღვრება. მერე სარქველს კეტავ, ონკანს უშვებ, აუზს ცხელი წყლით ავსებ და შიგ წვები. აუზი კაცს მკერდამდე სწვდება. ბანაობის მერე აუზიდან ამოდიხარ. ონკანის დაკეტვა არ შეიძლება. სანამ აბანოში ხარ, წყალი გამუდმებით იღვრება აუზში, კედელში დატანებულ ქვის შვერილზე გადადის და მტკვარში ჩაედინება. როგორც ცივი, ისე ცხელი წყალი ძალიან სუფთაა და ცუდი სუნი არა აქვს. აუზის გვერდით რამდენიმე ტახტი დგას. რომელიმეზე წვები. თუ დალაქი გჭირდება, მას დამატებით უნდა გადაუხადო, აბანოს ფასში არ შედის. მერე გარეთ გამოდიხარ, ლეიბზე ჯდები, ტანსაცმელს იცვამ და იქვე ჩამოკიდებულ ზარს რეკავ. აბანოს მეპატრონე შემოდის და საათს ამოწმებს: ერთი საათი ერთი მანეთი ღირს. მე თვითონ არ ვყოფილვარ, მაგრამ მსმენია, რომ ამ აბანოში არის საზოგადო დარბაზიც, სადაც ნებისმიერს შეუძლია შესვლა და კაცი 700 *დინარი* ჯდება.

აბანოდან გამოვედით, *დროშკა* ვიქირავეთ და სასტუმრო „ლონდონში" დავბრუნდით. ნახევარ საათში *დროშკაში* ჩავჯექი და ირანის გენერალური კონსულის მირზა მაჰმუდ ხანის სანახავად წავედი. კონსულის სახლთან ეტლიდან გადმოვედი

და კარზე დავრეკე. ერთი კაცი გამოვიდა და კარი გამიღო. ვუთხარი: „კონსულს აუდიენციის ნებართვა სთხოვე". ცოტა ხანში დაბრუნდა და სახლში შემიპატიჟა. *კიბეებით ბალახანაში* ავედი, ერთი დიდი ოთახი გავიარე და შევედი დარბაზში, სადაც კონსული იჯდა. ადგილიდან წამოდგა და შემეგება. წესისამებრ, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და სკამებზე დავსხედით. კონსულთან ჩემი თანამოქალაქეები დამხვდნენ: აყა მირზა მეჰდი, აწ განსვენებული მთავარსარდლის მირზა თაყი ხანის კარისკაცის ჰაჯი მირზა ჰაშემის ვაჟი, რომელიც ოჯახთან ერთად თავრიზიდან მექაში მიდიოდა და რადგან მირზა მაჰმუდ ხანის ძმის ახლობელი იყო, მისი აღმატებულების სახლში ცხოვრობდა; აგრეთვე მისი უდიდებულესობა *ვალიაჰდის*, კურთხეულ იყოს, ვაჟის *ლალებაში* მირზა, რომელიც მის აღმატებულებასთან ერთად ჩამოსულიყო. ცოტა ხანი ვისაუბრეთ. გენერალურ კონსულს მოვახსენე: „საზღვარგარეთ პირველად ვარ და რუსების ადათ-წესები არ ვიცი. სანამ აქ ვარ, როგორც თქვენ მირჩევთ, ისე მოვიქცევი, რომ ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი ქვეყანა არ შევარცხვინო". ერთი რუსულის მცოდნე ირანის ქვეშევრდომი სომეხი, სახელად იადგარი (Yādgār) მომიჩინეს და დაავალეს, რომ დღე და ღამე ჩემ გვერდით ყოფილიყო. როცა სადმე წასვლას დავაპირებდი, იადგარს ნებართვისთვის გენერალურ კონსულთან ვაგზავნიდი. თუ მიზანშეწონილად ჩათვლიდა, მივდიოდი და თუ არა – არა.

ყავა დავლიეთ და ყალიონი მოვწიეთ. გამოსამშვიდობებლად წამოვდექი, მაგრამ კონსულის დაჟინებული თხოვნით სადილად დავრჩი. ევროპული წესით გამიმასპინძლდნენ. სადილისა და ყავის შემდეგ მასპინძელს დავემშვიდობე, გარეთ გამოვედი, *დროშკაში* ჩავჯექი და სახლში დავბრუნდი. ნაშუადღევს ცოტა ხანი სასტუმროს წინ ბაღში ფეხით გავისეირნე.

მოჯთაჰედის ბაღი

სეირნობის მერე სახლში დავბრუნდი. მზის ჩასვლას ორი საათი აკლდა, როცა *დროშკაში* ჩავჯექი და მოჯთაჰედის ბაღში[419] წავედი. ეს ბაღი განსვენებული აყა მირზა იუსუფის ვაჟის აყა მირ ფათაჰის აშენებულია. აყა მირზა განსვენებული *ნაიებ ას-სალთანეს* დროს თავრიზში ცხოვრობდა და როგორც დიდგვაროვნების, ისე უბრალო ხალხის დიდი მფარველი იყო. მამის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი მისმა ვაჟმა, სწორედ ამ აყა მირ ფათაჰმა დაიკავა. რადგან შვილი მამასავით განათლებული და ჭკვიანი არ იყო, ხალხში ისეთი პატივისცემით არ სარგებლობდა. რუსეთთან ომში ირანის ჯარის დამარცხების შემდეგ აყა მირ ფათაჰმა იფიქრა, რომ თუ რუსის ლაშქარს თავრიზში შეიყვანდა და ქალაქს ჩააბარებდა, რუსეთის ხელისუფლებისთვის გაწეული ამ სამსახურის გამო ხალხი მის გარშემო შემოიკრიბებოდა. მან უბრალო ხალხი წააქეზა, რომ სახელმწიფო დროშებითა და ალმებით ხელში თავრიზის მისადგომებთან მისულიყვნენ და რუსულ პოლკებს თავრიზში შეუძღვა. ეს ამბავი დაწვრილებით ქრონიკებში წერია. ირან-რუსეთის ზავის მერე ის იძულებული გახდა, რომ თავრიზი რუსებთან ერთად დაეტოვებინა და თბილისში წასულიყო. ქალაქის დასავლეთით მან ააშენა

---

[419] იხ. შენიშვნა 78.

თბილისი, მოჯთაპედის (ახლანდელი მუშტაიდის) ბაღი. 1890-იანი წლების ფოტოსურათი.

ბაღი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მიითვისა. ახლა ის მოჯთაპედის სახელით არის ცნობილი და თბილისელების სასეირნო ადგილია.

მოკლედ, ბაღში სეირნობის მერე სახლში დავბრუნდი. მზის ჩასვლას ერთი საათი აკლდა, როცა სასტუმროში გენერალური კონსული მეწვია. ჩაი დავლიეთ და დიდხანს ვისაუბრეთ. მერე *დროშკაში* ჩავსხედით და წავედით ქალაქგარეთ ერთ ადგილას, სადაც კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული რუსული ჯარი იდგა. საგანგებოდ ამ შეხვედრისთვის მე ნახევრადოფიციალური ტანსაცმელი ჩავიცვი. ჯარისკაცები სამხედრო წესით მოგვესალმნენ. გზაში გენერალურ კონსულს შამახას გამგებლის უმოქმედობისა და ირანის ქვეშევრდომის ჩაქოლვის ამბავი ვუამბე.

თეატრი

მოკლედ, საღამომდე ვისეირნეთ და მზის ჩასვლისთვის სახლში დავბრუნდით. ცოტა დავისვენე. ერთი საათის დაღამებული იყო, როცა ტანსაცმელი გამოვიცვალე, ზემოთ ნახსენებ იადგართან ერთად ეტლში ჩავჯექი და წავედი თეატრში, რომელსაც ფრანგულად „თეათრს“ ეძახიან. სამმანეთიანი ბილეთები ავიღეთ და შიგნით შევედით. თეატრი იდგა ბაღში, რომელიც ქალებითა და კაცებით იყო სავსე. ზოგიერთები მაგიდებს უსხდნენ და *ყომარს* თამაშობდნენ, სხვები ალკოჰოლურ სასმელებს სვამდნენ. ნაწილი სკამებზე იჯდა და საუბრობდა,

ნაწილი კი ხეივნებში სეირნობდა და ბაასობდა. ჩვენც სრულიად თავისუფლად სხვებთან ერთად დავიწყეთ სეირნობა.

ორი საათის შემდეგ ზარი დაირეკა და თეატრში შევედით. აქ ბილეთები დანომრილია და დასაჯდომ სკამებსაც შესაბამისი ნომრები აქვს. ყველა თავის ბილეთში აღნიშნულ ადგილზე ჯდება. ბაღში და თეატრში სიჩუმე ჩამოვარდა. მე პირველ რიგში მეშვიდე სკამზე დავჯექი ანუ ზუსტად იმ ოთახის წინ, სადაც წარმოდგენა იმართებოდა. მუსიკოსები დასხდნენ და დაკვრა დაიწყეს. რამდენიმე წამში ფარდა აიწია და სპექტაკლი დაიწყო. ერთი საათი გაგრძელდა და მერე ფარდა დაუშვეს. თხუთმეტ წუთში მეორე მოქმედება დაიწყო. სულ ხუთი მოქმედება იყო. სპექტაკლის შემდეგ ბაღში გავედით და ვახშამი შევუკვეთეთ. საჭმელი მოგვიტანეს. ვახშმის შემდეგ *დროშკაში* ჩავსხედით, სახლში დავბრუნდით და დავიძინეთ.

18 რამაზანი (3 აგვისტო), ხუთშაბათი:

დილით გავიღვიძე და სასტუმრო „ლონდონის" წინ ბაღში ფეხით გავისეირნე. მთელი ბაღი შემოვიარე და სახლში დავბრუნდი. ვისაუზმე, ცოტა დავისვენე და *დროშკით* თბილისის დასათვალიერებლად წავედი. ყაზარმას ჩავუარე და შევედი ქართველების უბანში, რომელიც ძალიან გაპარტახებული და ღარიბული იყო. გავიფიქრე: „ქართველები უნდა წყევლიდნენ საქართველოს ძველ მმართველებს ერეკლე ხანს (Araglī Khān) და გიორგი ხანს (Gorgīn Khān), რომ მათი მიზეზით ეს ქვეყანა უცხოებს ჩაუვარდა ხელში და ქართველები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში, თაობიდან თაობამდე თბილისის ბატონ-პატრონები იყვნენ, ახლა ასეთ საცოდავ დღეში ჩაცვივდნენ".

მოკლედ, ბაზარში დიდხანს ვისეირნე და სახლში დავბრუნდი. საღამო ხანს გენერალურმა კონსულმა მირზა მაჰმუდ ხანმა, თარჯიმნის პირველმა თანაშემწემ მირზა რეზა ხანმა, თავრიზის *ყადიმ* მირზა მეჰდიმ და მირზა *ლალებაშიმ დროშკით* გამომიარეს და მოჯთაჰედის ბაღში წამიყვანეს. ცოტა ხანი ვისეირნეთ და მზის ჩასვლისთვის სახლში დავბრუნდით.

თბილისის დიდგვაროვანთა წვეულებაზე დასწრება

გზაში გენერალურმა კონსულმა მითხრა, რომ ამ საღამოს წამიყვანდა ერთ ბაღში, სადაც მთელი თბილისის დიდგვაროვნები იკრიბებოდნენ და ცეკვები იმართებოდა. ჯერ ყველანი კონსულის სახლში მივედით და ცოტა დავისვენეთ. ერთი საათის დაღამებული იყო, როცა გენერალური კონსული, მირზა რეზა ხანი, მირზა *ლალებაში* და თქვენი მონა-მორჩილი ეტლში ჩავსხედით და დათქმულ ადგილას წავედით. კარიდან შევედით დიდ ოთახში, სადაც რამდენიმე რუსი კაცი იჯდა. ვისაც ხმალი, ხელჯოხი ან პალტო გვქონდა, გამოგვართვეს, დიდი დავთარი გახსნეს და მას მერე, რაც მირზა რეზა ხანმა შიგ ჩაწერა, რომ მე და მირზა *ლალებაშის* თავდებად გვიდგებოდა, შესვლის ნებართვა მოგვცეს. უზარმაზარი ბაღი სავსე იყო მაღალი წოდებისა და თანამდებობის მამაკაცებითა და ქალებით. გავიფიქრე, თბილისელ დიდგვაროვანთაგან ალბათ კაცი არ დარჩა, აქ რომ არ იყოს-მეთქი. საზოგადოების ნაწილი მაგიდებთან *ყომარს* თამაშობდა, სხვები

ალკოჰოლურ სასმელებს სვამდნენ, ზოგიერთები კი ხეივნებში სეირნობდნენ და საუბრობდნენ.

დაახლოებით ერთი საათი ხეივნებში ვისეირნეთ და ზარი დაირეკა. საცეკვაო დარბაზში შევედით და დავსხედით. ქალებისა და კაცების უმეტესობა საცეკვაოდ მოემზადა. მუსიკის ხმა გაისმა და ცეკვები დაიწყო. ძალიან რთული ცეკვა იყო. ბევრი ვარჯიში უნდა, რომ ისწავლო, თორემ ყველა ვერ შეძლებს. ქალები და კაცები წყვილ-წყვილად ერთმანეთს ეცეკვებოდნენ. ერთი საათის მერე დაიღალნენ და ცეკვები დამთავრდა.

დასასვენებლად ბაღში გავედით, სკამზე ჩამოვჯექით, თამბაქო მოვწიეთ და უკან შევბრუნდით. ცეკვები განახლდა. ამჯერად ქალები და კაცები ხელჩაკიდებულები ცეკვავდნენ. მოედანზე ერთი კაცი იდგა, რომელიც ყოველი ახალი ცეკვის დაწყებას აცხადებდა. ძალიან კარგი სანახაობა იყო და დიდხანს გასტანა. განაწესით ცეკვები შუაღამემდე გრძელდება, მერე კი დარბაზი იცლება. შუაღამის მერე იქ არავინ აღარ უნდა იყოს. ასეთია ხელისუფლების განკარგულება. საზოგადოება წასასვლელად მოემზადა. პირველ დარბაზში გამოვედით. ვისაც ხმალი, ხელჯოხი ან პალტო ჩაბარებული ჰქონდა, მოწიწებით დაუბრუნეს. გარეთ გამოვედით და *დროშკით* სახლში დავბრუნდით. მე სასტუმროსთან ჩამომსვეს და თვითონ გზა განაგრძეს. შვეიცარმა დაკეტილი კარი გამიღო. ოთახში ავედი და დავიძინე.

19 რამაზანი (4 აგვისტო), პარასკევი:

დილით ავდექი, ვილოცე და ჩაი დავლიე. შუადღეს ორი საათი აკლდა, როცა გენერალურ კონსულს გავუარე და გუშინდელი შეთანხმებისამებრ თარჯიმან მირზა რეზა ხანთან ერთად წავედით მეფისნაცვლის [სასახლის] ბაღში, რომელშიც, წესით, არავის უშვებენ. კონსულის სახლიდან იქამდე ფეხით მივედით. შესასვლელთან რუსი ოფიცერი დაგვხვდა, კარი გაგვიღო და შეგვიშვა. მაინცდამაინც კარგი ბაღი არ იყო, ყოველ შემთხვევაში ირანის ბაღებს ვერ შეედრებოდა. იმ ოფიცერმა მოიკითხა კაზაკების ინსტრუქტორი პოლკოვნიკი, რომელიც ირანში სამხედროებს წვრთნიდა[420]. რაც ვიცოდი, ვუამბე. მერე ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ჩვენს სახლში წამოვედით. საღამოს ცოტა ხანი ბაზარში გავიარე და დურბინდი და სათვალე ვიყიდე. ბაზრიდან სასტუმროში დავბრუნდი, ვივახშმე და დავიძინე.

20 რამაზანი (5 აგვისტო), შაბათი:

სახლში დავრჩი და სადილამდე გაზეთებს ვკითხულობდი. სადილის დრო რომ მოვიდა, სხვა *გასტინიცაში* წავედი და იქ ვისადილე. სასტუმროს რუსულად *გასტინიცას*, ფრანგულად *ჰოტელს*, ხოლო ინგლისურად *ლოკანტას*[421] ეძახიან.

---

420 იხ. შენიშვნა 250.

421 ინგლისურ ენაში ასეთი სიტყვა არ არის. ავტორს ალბათ მხედველობაში ჰქონდა იტალიური locanda – პატარა სასტუმრო, ტრაქტირი.

საღამოს *დროშკაში* ჩავსხედით და მოჯთაჰედის ბაღში წავედით. იქიდან სახლში დავბრუნდი, ვივახშმე და დავიძინე.

თბილისში 80 000 კაცი ცხოვრობს. ქალაქში 400 საქირავებელი და 100 კერძო ოთხთვალა დადის. კერძო ეტლები დიდგვაროვნებსა და ოფიცრებს ეკუთვნის. ისინი ეტლზე თვითონ სხედან და მას არ აქირავებენ. სხვათა შორის, ირანელებს ვკითხე, თუ როგორ ექცეოდა გენერალური კონსული მირზა მაჰმუდ ხანი ირანის ქვეშევრდომებს. ძალიან აქებ მისი უანგარობა და გულუხვობა და მითხრეს, რომ როგორც ირანის, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე ძალიან ზრუნავს, მაგრამ განსაკუთრებით ირანელებს მფარველობს. ამბობდნენ, თავისი ქვეყნის კეთილდღეობა მთელი სამყაროს სიმდიდრედ ულირსო. მართლაც, გენერალური კონსული ძალიან განათლებული და ღირსეული ადამიანია. მისი თანაშემწე და თარჯიმანი მირზა რეზა ხანიც განათლებული და ყოველმხრივ შემკული ახალგაზრდაა და ირანელები მასაც, განსაკუთრებით მის გულუხვობას, ძალიან აქებენ. მან ისეთი ანბანი გამოიგონა, რომ თუ დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობა იმით ისარგებლებს, დიდ ხეირს ნახავს. მაგალითად, დასავლელი ბავშვი 5-6 წლის ასაკში მიდის სკოლაში და 10 წლამდე წვალობს, რომ ასოების ცნობა ისწავლოს, მაგრამ ამის მერეც ცოტა თუ ახერხებს სწორად წერას. ასეთი ბავშვი მხოლოდ 15 წლის ასაკში იწყებს იმაზე ფიქრს, თუ რომელი მეცნიერება ისწავლოს და რა გზას დაადგეს. მაგრამ თუ ბავშვი მირზა რეზა ხანის ანბანით ისარგებლებს, ის ასოებს 6 თვეში დაიმახსოვრებს, სწორად წერასაც ისწავლის და 6 თვის მერე ადვილად დაეუფლება ნებისმიერ სასურველ მეცნიერებას. [ამ ანბანის გარეშე კი] ღმერთია მოწმე, ენის სწავლა ძალიან საწვალებელია და დიდმა ადამიანმაც რომ მოისურვოს სწრაფად ათვისება, ვერ შეძლებს.

ფოთის ნავსადგური

21 რამაზანი (6 აგვისტო), კვირა:

დილით გავიღვიძე, ჩაი დავლიე და დილა სახლში გავატარე. პირველი საათისთვის კი *დროშკაში* ჩავჯექი და აბანოში წავედი. აბანოდან რომ დავბრუნდი, ვისადილე და ფოთში გასამგზავრებლად მოვემზადე. ნაშუადღევს პირველ საათზე *დროშკაში* ჩავსხედით და რკინიგზის სადგურში წავედით. ცოტა დრო გვქონდა და მატარებლები დავათვალიერეთ. 4 საათზე სადგურში ირანის გენერალური კონსული, მისი თარჯიმანი მირზა რეზა ხანი, თავრიზის *ყადი* მირზა მეჰდი და მირზა *ლალებაში* მოვიდნენ. გენერალურმა კონსულმა ჩვენთვის აიღო პირველი კლასის ბილეთები, რომელიც 17 მანეთი ღირდა, რაც ირანულ ფულზე დაახლოებით 6 თუმანია, ხოლო ჩვენი მსახურებისთვის – მესამე კლასის ბილეთები, რომლის ფასიც 6 მანეთი ანუ 2 თუმანზე ცოტა მეტი იყო. მზის ჩასვლას ორსაათნახევარი აკლდა, *შემენდეფერის* მატარებელში რომ ჩავსხედით და ფოთში გავემგზავრეთ. ფოთამდე დაახლოებით 300 *ვერსია*, რაც 50 ირანული *ფარსახის* ტოლია.

შემენდეფერის სისტემა რაც არ უნდა დეტალურად აღვწერო, სანამ კაცი საკუთარი თვალით არ ნახავს, მასზე სრულ წარმოდგენას ვერ შეიქმნის. მართლაც, რომ ნამდვილი მოგზაურობა იყო. მატარებელი ქალაქებსა და სოფლებში

15 წუთიდან ნახევარ საათამდე ჩერდებოდა. სადგურზე ჩამსვლელები ჩადიოდნენ და ახალი მგზავრები ამოდიოდნენ.

თბილისიდან ფოთამდე 16 საათი ვიმგზავრეთ. ამ ქალაქებიდან მატარებელი დღეში ორჯერ, დაწესებულ დროზე გადის. გზაში მატარებლები განსაზღვრულ წერტილში ერთმანეთს ხვდებიან. თუ მათი გზები ამ ადგილის გარდა სხვაგანაც გადაიკვეთება, შეჯახება მოხდება, მატარებლები დაიმტვრევა და მგზავრები დაიღუპებიან. რადგან რკინიგზის ხაზი ერთია, აუცილებლად დაწესებულ ვადებში უნდა იმოძრაონ და რაც არ უნდა ცოტა მგზავრი შეგროვდეს, მატარებელი დათქმულ დროს მაინც უნდა გავიდეს. მოკლედ, მე ის ღამე მატარებელში გავატარე და კარგად დავისვენე.

22 რამაზანი (7 აგვისტო), ორშაბათი:

მზე ოთხი საათის ამოსული იყო, ფოთში რომ შევედით. სადგურზე ირანის ვიცე-კონსული მირზა *მუსიე* დიგრან ოვანესოვი (Mīrzā-ye Mūsyo Dīkrān Vānsof) დაგვხვდა. მატარებლიდან ჩამოვედით, *დროშკაში* ჩავსხედით და სასტუმრო „კავკაზში“ წავედით. ძალიან ცუდი სასტუმრო აღმოჩნდა. გარშემო საშინელი უსუფთაობა იყო და ხალხიც ძალიან უხეში მეჩვენა. ცოტა დავისვენე, ვისადილე და დავიძინე. გაღვიძების მერე *ნამაზი* შევასრულე. ცოტა ხანში მოვიდა კონსულის თანაშემწე *მუსიე* დიგრანი, რომელიც წარმოშობით სომეხი იყო. ნავმისადგომის სანახავად წავედით. ფოთი ძალიან ცუდი ადგილია. აქ მავნე კლიმატი და ჭაობიანი ნიადაგია. ცოტა ხანი გემებსა და ნავებს ვათვალიერებდით და მერე სასტუმროში დავბრუნდით. *მუსიე* დიგრანის თქმით, ფოთში ირანის ოთხი-ხუთი მოქალაქე ცხოვრობს და ისინი მშენებლები არიან. ფოთში კონსულის თანაშემწის შემოსავალი ირანის მოქალაქეების მიერ პასპორტში გადახდილი 5000 [დინარით] განისაზღვრება. ჩემი და მსახურების პასპორტები მივეცი. მან ვიზა ჩაგვირტყა, რაშიც თითოეულს 5000 გამოგვართვა. ღამით ვივახშმეთ და დავიძინეთ.

ბათუმი

23 რამაზანი (8 აგვისტო), სამშაბათი:

დილით ავდექი, ვილოცე, ჩაი დავლიე და ბათუმში წასასვლელად მოვემზადე. დღეს რუსული ორთქლის გემი გადის. კაცი გავაგზავნე, რომელმაც ჩემთვის პირველი კლასის, ხოლო ჯაფარ ბეგისა და ნაჯაფ ყოლი ბეგისთვის გემბანის ბილეთები აიღო. მას შემდეგ, რაც ბილეთები მოიტანეს, *დროშკით* ნაპირზე წავედით, ნავში ჩავსხედით და გემზე ავედით.

გემზე ძირითადად რუსი კაცები და ქალები იყვნენ. დღის 4 საათზე გემი დაიძრა და ცოტა ხანში გავედით ზღვაში, რომელსაც შავ ზღვას (Daryā-e Qaradangīz) ეძახიან. ზღვა ოდნავ ღელავდა და ზოგიერთი მგზავრი ცუდად გახდა, მაგრამ მე ვერაფერი ვიგრძენი. 4 საათში შევედით ბათუმში, რომელიც რუსებმა ბოლო ომის მერე რუმს წაართვეს. მართლაც, რომ საუცხოო ნავსადგურია და დიდი გემებიც კი ზედ ნაპირთან მიდიან. ნავი ვიქირავეთ, ნაპირზე გადავედით და სასტუმროში წავედით. ძალიან კარგი და კეთილმოწყობილი სასტუმრო იყო.

დაღამებამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, როცა ჩვენ სანახავად ირანის კონსულის თანაშემწე აზერბაიჯანელი ფათჰალი ბეგი მოვიდა. ცოტაოდენი ვისაუბრეთ. ძალიან წესიერი კაცია და არასოდეს ისეთს არაფერს გააკეთებს, რომ თავისი ქვეყანა შეარცხვინოს – განსხვავებით ფოთის კონსულისგან, რომელიც მარტო საკუთარ შემოსავალზე ფიქრობს. ვკითხე: „ბათუმში რამდენი ირანელი ცხოვრობს?" მიპასუხა: „300 კაცამდე იქნება". ვკითხე: „თქვენს ბრძანებებს თუ ემორჩილებიან?" მიპასუხა: „სხვა რა გზა აქვთ?! თუ რომელიმე მათგანი რამეს დაუშავებს, ბორკილებს დაადებენ და თბილისში წაიყვანენ". გარეგნობაზეც ეტყობოდა, რომ ნიჭიერი და უანგარო კაცი იყო. აქედან ჩანს, რომ ნიჭიერება და სიხარბე ვერ თანაარსებობენ, რადგან ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებია.

ერთი სიტყვით, *დროშკა* ვიქირავეთ და სასეირნოდ წავედით. ბათუმს სამხრეთიდან მთები და ტყეები აკრავს, ხოლო ჩრდილოეთიდან – ზღვა, რომელსაც შავ ზღვას ეძახიან. ჩინებული ნავმისადგომი აქვს. რუსები ამ ქალაქის კეთილმოწყობაზე ძალიან ზრუნავენ. დღე და ღამე ფოთი-ბათუმის რკინიგზის ხაზს აშენებენ, არემონტებენ ბაზრებს, ქარვასლებს, სასტუმროებს და თეატრებს, აგებენ კარგ სახლებს და ზღვის პირას ფართო პროსპექტი გაჰყავთ. ბათუმიდან ორ *ვერსში* მთაში არტილერიის შენობა დგას, ხოლო ოთხი *ვერსის* მოშორებით – არსენალის შენობა, სადაც დაახლოებით 500 ცალი ქვემეხი ინახება. ბათუმიდან ორივე ამ პუნქტამდე რკინიგზის ხაზი მიდის.

დიდი ზარბაზნები ციხესიმაგრეებისა და ბასტიონებისთვის გამოიყენება და ისინი ბათუმში ჩამოაქვთ. ექვსი ცალი უკვე ჩამოტანილია და რკინიგზის სადგურში დგას, მაგრამ ჯერ არსენალის შენობაში არ მიუტანიათ. თითოეული მათგანი თეირანის ქვემეხ „მარვარიდზე"[422] უფრო დიდია და უკანა მხრიდან იტენება. ბათუმიდან ცოტა მოშორებით ერთი წყაროა, რომლიდანაც ქალაქში სასმელი წყალი მოაქვთ. იქიდან 2 *ვერსში* მეორე წყაროც გადმოდის. რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს, რომ ამ წყაროებიდან ბათუმამდე წყალი მილებით გაიყვანოს. ამბობენ, რომ ეს სამუშაოები 500 000 მანეთი ჯდება. ჯერჯერობით კი ხალხი დილა-საღამოს ამ წყაროებზე დადის, ტოლჩებს წყლით ავსებს, შიგ ნედლ ფოთლებსა და ტოტებს აფენს, ზურგზე იკიდებს და ბათუმის ქუჩებსა და ბაზარში ყვირილით დაატარებს: „ჰეი სირინ სუ ჰეი ნურ", ანუ „ცივი წყალი და ყინული".

ბათუმში ზამთრობით ბევრი თოვლია, რომელიც მთის ტაფობებში რჩება. ზაფხულობით ამ თოვლს აგროვებენ და ქალაქში ყიდიან. ბათუმში შეიძლება გემში ჩაჯდე და მსოფლიო ისე შემოიარო, რომ ნაპირზე ფეხი არ დაადგა. ამდენად, ამ ქალაქს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ამ მოკლე ჩანაწერებში მისი დეტალური აღწერა შეუძლებელია. სასტუმროში დავბრუნდი, ვივახშმე და დავიძინე.

---

[422] „მარვარიდი" (სიტყვ. „მარგალიტი") ეწოდება თეირანის ციტადელში მდგარ უზარმაზარ ქვემეხს. გადმოცემით, ქალები სურის ოთხშაბათს (ნოურუზის წინ ბოლო ოთხშაბათი) მის ქვეშ გადიოდნენ, რათა ბედი გახსნოდათ.

24 რამაზანი (9 აგვისტო), ოთხშაბათი:

დილით გავიღვიძე, ქვევით ჩავედი და ზღვის პირას გავისეირნე. სახლში რომ დავბრუნდი, სამი აქაური აზერბაიჯანელი მეწვია. ცოტა ხანი ვისაუბრეთ და წავიდნენ. ვისადილეთ. სადილის შემდეგ კონსულის თანაშემწემ ფათჰალი ბეგმა გამოიარა. ის და ნაჯაფ ყოლი ბეგი გემის ბილეთების ასაღებად წავიდნენ. ნახევარ საათში დაბრუნდნენ და ბილეთები მოიტანეს. ჩემთვის აიღეს პირველი კლასის ბილეთი, რომელშიც კვებაც შედიოდა და 60 მანეთი ანუ 21 თუმანი ღირდა, ხოლო ჯაფარ ბეგისა და ნაჯაფ ყოლი ბეგისთვის – მეორე კლასის ბილეთები, რომელთა ფასიც 30 მანეთი ანუ ათნახევარი თუმანი იყო. მზის ჩასვლას სამი საათი აკლდა, როცა ფათჰალი ბეგთან ერთად სასტუმროდან გამოვედით, *ფაეტონი* (*დროშკის* რუსული სახელია) ვიქირავეთ და სანაპიროზე წავედით. იქ ნავში ჩავსხედით და გემ „ნემსე"-ზე (Lemse) ავედით. „ნემსე" უზარმაზარი გემია და ორჯერ უფრო დიდია რუსულ გემ „მიხაილაზე" (Makhīlā), რომლითაც ენზელიდან ჩამოვედით. ცოტა ხანი გემზე გავისეირნე, იქაურობა დავათვალიერე და მერე ჩემს კაიუტაში შევედი. კაიუტა პატარა ადგილია – 2,5 *ზარ'ი* 2 *ზარ'ზე*. იქ ერთ კუთხეში სკამი, მეორეში კი ორსართულიანი საწოლი იდგა. ორივე სართულზე თითო ლეიბი ეგო, რომელზეც თეთრი ზეწარი, ერთი თხელი გადასაფარებელი, ერთი სქელი საბანი და ორი ბუმბულის ბალიში ეწყო. ყველაფერი ძალიან სუფთა იყო. ზედა საწოლთან პატარა მრგვალი ფანჯარა ზღვაზე გადიოდა. კედელზე შანდალი ეკიდა. სკამის წინ იდგა მაგიდა, რომელზეც ხელ-პირის დასაბანად ფაიფურის დიდი დოქი და გახვრეტილძირიანი ტოლჩა იდო. ტოლჩაში მოხვედრილი წყალი მაგიდის ქვეშ მდგარ თუნუქის ყუთში იღვრებოდა. მსახურებს ყუთი ყოველდღე გაჰქონდათ, წყალს აქცევდნენ და ცარიელი შემოჰქონდათ.

მაგიდის ზემოთ კედელზე შვიდი *გერე* სიგრძის და ხუთი *გერე* სიგანის სარკე ეკიდა. დოქის გვერდით პირსახოცი იდო. თაროზე წყლის დასალევად ბროლის დოქი და ორი ჭიქა ეწყო. მსახური ყოველდღე დოქს სასმელი წყლით ავსებდა.

იქვე კედელზე შანდალი ეკიდა. მსახური შანდალს ყოველდღე ასუფთავებდა და შიგ ამაგრებდა სტეარინის სანთელს, რომელსაც საღამოობით ანთებდა ხოლმე. კარ-ფანჯარა, საწოლი, ტახტი და ფოჩებიანი თავთის ფარდა – ყველაფერი ნითელი იყო. კაიუტის კარები საკეტით იკეტებოდა და პატრონის გარდა შიგ ვერავინ შედიოდა. კაიუტა ორკაციანი იყო, მაგრამ გემზე მგზავრების სიმცირის გამო მე მარტო ვცხოვრობდი. ძალიან ლამაზი და სუფთა ადგილი იყო.

მზის ჩასვლას ერთი საათი აკლდა, როცა გემი დაიძრა. გემბანზე წვიმისა და მზისგან დასაცავად გაშლილი იყო ტენტი, რომლის ქვეშაც სკამები ეწყო. ერთ სკამზე დავჯექი და იქაურობის თვალიერებით გავერთე. ორი საათის დაღამებული იყო, კაიუტაში რომ შევედი და ზედა საწოლზე მშვიდად დავიძინე. გემი ძალიან სწრაფად მიდიოდა.

მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანი
და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანი.

მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანი (1847-1912), ცნობილი თახალუსით „გოლბონი", ნასერ ად-დინ შაჰის კარის მოხელე და თავისი დროის ცნობილი მწერალი იყო. მამამისი მირზა მოჰამად მეჰდი ფარაჰანიც პოეტი და სახელმწიფო მოხელე იყო. მოჰამად ჰოსეინმა განათლება თეირანში მიიღო და 22 წლის ასაკში მუშაობა დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრ მირზა სეიდ ხან მო'თამენ ალ-მოლქის თანაშემწედ. ფარაჰანი ბევრს მოგზაურობდა. იგი ახლდა ნასერ ად-დინ შაჰს ხორასანში, ორჯერ იყო ინდოეთში დიპლომატიური მისიით და ორჯერ მოილოცა მექა. ნასერ ად-დინ შაჰის ბრძანებით, მან მეორე მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა „მექაში მოგზაურობის წიგნში", რომლისთვისაც მიენიჭა მალექ ალ-ქოთაბის (კალიგრაფების მეფე) ტიტული, რომელსაც მამამისიც ფლობდა. მისი მრავალრიცხოვანი თხზულებებიდან შემორჩა მხოლოდ ორი – „ჰალათი" („სულიერი განწყობილებები") და „ადაბ ას-სორური" („მხიარულების წესები"). დანარჩენი – „დივანი" (ლექსების კრებული), „მონშაათი" (წერილები) და ტრაქტატი სახელმწიფოს მართვის საკითხებზე – დღემდე დაკარგულად ითვლება.

მსოფლმხედველობრივად ფარაჰანი თავისი დროის სპარსული ბიუროკრატიული ელიტის ტიპიური წარმომადგენელი იყო. მკვეთრი ანტიკლერიკალიზმი მასში ინდივიდუალურ ღვთისმოსავობასთან იყო შერწყმული. „ჰალათის" ბოლო ნაწილი მწვავე სატირაა შიიტურ სამღვდელოებაზე. მეორე მხრივ, „მოგზაურობის წიგნში" ის შიიზმისადმი გულწრფელ მოწიწებასა და პატივისცემას ამჟღავნებს. მას მიაჩნია, რომ შიიტები და სუნიტები უნდა იყვნენ ტოლერანტულები ერთმანეთის მიმართ, მაგრამ – შეუწყნარებლები არამუსლიმებისადმი. მის მოგზაურობის წიგნში აშკარად ჩანს უნდობლობა არამუსლიმებისადმი, თუმცა ეს უნდობლობა არ გადადის აგრესიაში ან სიძულვილში. კერძოდ, ქართველებისადმი ფარაჰანი საკმაოდ კეთილგანწყობილია და საქართველოს მცხოვრებთაგან თუ ვინმეს აკრიტიკებს, ეს პირველ რიგში სწორედ აქაური სპარსელები არიან.

მექაში ფარაჰანი 1885 წელს რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიების გავლით ჩავიდა. გზად მან გაიარა სამხრეთ კავკასია, კერძოდ, საქართველო და აზერბაიჯანი, გემით გადაცურა შავი, ეგეოსის, ხმელთაშუა და წითელი ზღვები. მისი „მექაში მოგზაურობის წიგნი" როგორც ინფორმაციულად, ისე მხატვრული ღირსებებით

ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ჟანრის თხზულებებს შორის. ის საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებაც, რომელიც მან როგორც წინა, ისე უკანა გზაზე მოინახულა. თხზულების ხელნაწერი, რომელიც მისი ავტორის კალიგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია, თეირანში მეჯლისის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება. ის ორჯერ დაიბეჭდა: 1964 წელს ჰაფეზ ფარმაიანის მიერ და 1983 წელს მას'უდ გოლზარის მიერ. 2010 წელს რასულ ჯა'ფარიანმა ის შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი".

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანი

Mīrzā Mohammad Hoseyn Farāhānī (Golbon), *Safar-nāme*, be kūshesh-e Hāfez Farmān Farmāyān, Tehran, 1342/1964.

Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī, be kūshesh-e Mas'ūd Golzārī, Tehran, 1362/1983.

Mohammad Hoseyn Farāhānī, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 7-292.

Safar-nāme-ye zīyārat-e Khāne-ye Khodā-ye Hājj Mīrzā Mohammad Hoseyn Farāhānī (1302h.q.- 1885m.), წიგნში: Farāmorz Mo'tamad Dezfūlī, *Tārīkh-e andīshe-ye jadīd-e īrānī (Safar-nāmehā-ye īrānīān be Farang)*, 655-680.

A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-86: The Safarnameh of Mirza Mohammad Hoseyn Farahani, Edited, Translated and Annotated by Hafez Farmayan and Elton L. Daniel, University of Texas Press, Austin, Texas, 1990.

ლიტერატურა

მ. ალექსიძე, „ფარაჰანის „მოგზაურობის წიგნი" საქართველოს შესახებ", *აკაკი შანიძე 120*, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2007, 102.

Mas'ūd Golzārī, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī*, 3-9.

Rasūl Ja'farīyān, "Gozāresh-e safar-nāme", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 7-15.

Rasūl Ja'fariyān, "Gozāresh-e safar-e Mīrzā Mohammad Hoseyn Farāhānī be hajj dar sāl-e 1302 q. be zamīme-ye resāle-ye ū Dar Mazammat-e Jomhūriyyat", 1389/2010.

Hoseyn Mahbūbī Ardakānī, "Safar-nāme-ye Mīrzā Hoseyn Farāhānī", *Rahnemā-ye Ketāb*, Vol. 7, No.2, Tehran, 1343/1965, 351-359.

Khalīlollāh Yazdānī, "Hajj va safar-nāme", წიგნში: Khalīlollāh Yazdānī, *Hajj dar adab-e fārsī*, Qum, 1379/2000, 132-136.

G. Beradze, "The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage: Iranians in Tbilisi and Batumi (Late Nineteenth Century)", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*, Abstracts, Tbilisi, 2002, 16-17.

H. Farmayan and E. L. Daniel, "Introduction", წიგნში: *A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-86...*, XIII-XXXII.

A. Pistor-Hatam, "Iran and the Reform Movement in the Ottoman Empire: Persian Travellers, Exiles and Newsmen under the Impact of the Tanzimat", *Proceedings of the Second European Conference of Iranian Studies*, ed. by B.G. Fragner et al., Rome, 1995, 566-567.

M. Wolfe, "Mohammad Hoseyn Farahani", *One Thousand Roads to Mecca, Ten Centuries of Travelers Writing about the Muslim Pilgrimage*, ed. by M. Wolfe, New York: Grove Press, 1997, 276-78.

О. Меликов, "Персидская мемуарная литература XIX века как источник по истории Ирана", *Иран и Турция: Вопросы истории*, Баку, 1986, 40-45.

И. Топурия, "Сведения о городах Закавказья в Сафар-наме Мирза Хусейна Фарахани", *Тезисы докладов Республиканской конференции аспирантов и молодых научных сотрудников Актуальные проблемы филологии и истории стран Ближнего и Среднего Востока*, Тбилиси, 1987, 46.

მექაში მოგზაურობის წიგნი (1885-86)

წინა გზა

ბაქოდან ბათუმამდე

[1302 წლის] შავალის თვის 16-ში (1885 წლის 29 ივლისს) ოთხშაბათს დილით ბაქოში (Bādkūbe) შევედით, 17-ში ხუთშაბათს შუადღისას კი *კალიასკაში* ჩავსხედით და რკინიგზის სადგურში წავედით.

რკინიგზა



მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანის პილიგრიმობის მარშრუტის რუკა ჯ. ფარმაიანისა და ე. ლ. დანიელის მიხედვით.

ბაქოს ბათუმთან რკინიგზის ხაზი აკავშირებს. მას „შემენდეფერს" ეძახიან. „შემენ" ფრანგულად გზას ნიშნავს, „ფერ" – რკინას, ხოლო „დე" მაკავშირებელი წინდებულია. ყოველდღე ბაქოდან თბილისსა და ბათუმში ორთქლმავალი დადის. ბაქოს სადგური ქალაქიდან ნახევარ *ფარსახზეა*. ამ ორსართულიან დიდებულ შენობაში დარაჯები და მუშები ტრიალებენ. სადგურში რამდენიმე აპარატი დგას: ერთი ბილეთის ასაღებად არის განკუთვნილი და მასში ჯერ ფულს აგდებ და მერე ბილეთს იღებ, მეორე კი – ბარგის გადასატანად და დასარიგებლად. თითოეულ მგზავრს შეუძლია თან ერთი

ფუთი ანუ ხუთნახევარი თავრიზული *მანი* ბარგი ჰქონდეს. მას უფლება აქვს უფასოდ გაიტანოს *სამოვარი*, ნარგილე, ზარდახშა და წყლის ჭურჭელი. თუ ბარგის წონა აჭარბებს ერთ *ფუთს*, ან რაოდენობა – ამ ნივთების ჩამონათვალს, მან დამატებითი თანხა უნდა გადაიხადოს: ბაქოდან ბათუმამდე ყოველ თავრიზულ *მანში* ირანულ ფულზე დაახლოებით 85 [დინარი]. ეს ბარგი და ნივთები ცალკე, სამგზავრო ვაგონით გადააქვთ. მას შემდეგ, რაც ბარგს შეაგროვებენ, ჩააბარებენ და დამატებით თანხას გადაიხდიან, მგზავრებს აძლევენ ქვითარს, რაც ბარგის [ჩაბარების] მოწმობაა. მგზავრობის ბოლომდე ისინი ბარგს აღარ ნახულობენ, სანამ დანიშნულების ადგილზე ქვითარს არ წარადგენენ და თავიანთ ნივთებს უკლებლივ და დაუზიანებლად უკან არ მიიღებენ. სადგურში ასევე არის ბარგის გასაგზავნი პუნქტი, მატარებლის მუშების, ხელოსნებისა და მათი ზედამხედველებისთვის განკუთვნილი ადგილი და სასადილო.

სადგურები გზაზე

ბაქოდან ბათუმამდე 36 სადგურია, აქედან ბაქოდან განჯამდე – 17, განჯიდან თბილისამდე – 3, თბილისიდან ბათუმამდე კი – 16. სადგურები ერთმანეთისგან 21-30 *ვერსით* არის დაშორებული და წყლიან და დასახლებულ ადგილებზეა აშენებული.

1 *ვერსი* 500 *საჟენის*, ხოლო ერთი *საჟენი* 3 რუსული *ზარ'ის* ანუ 2 ერაყული *ბაზაზი ზარ'ისა* და ერთი *გერეს* ტოლია. ამგვარად, 1 *ვერსი*, რომელიც 500 *საჟენია*, 1500 რუსული *ზარ'ი* გამოდის, რაც 1033 ერაყულ *ზარ'ს* შეესაბამება. თუმცა, სავაჭრო ოპერაციებში 1500 რუსულ *ზარ'ი* 1050 ერაყულ *ზარ'ად* ითვლება. *ჩათვარი ვერსის* მეოთხედი ანუ 375 რუსული *ზარ'ია*. ამგვარად, 6 *ვერსი* 6180 ერაყული *ზარ'ის* ეკვივალენტია. 6000-ჯერ ეს რიცხვი 1 *ფარსახის* ტოლია, ანუ 180 *ზარ'ი ფარსახზე* მეტია.

სადგურები ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ყველა მათგანი მდებარეობს ცენტრალურ პუნქტში, სადაც ბევრი გამვლელ-გამომვლელი, გასაჩერებელი ოთახი, შენობა და მუშაა. ერთი სადგურიდან მეორემდე გზის ხანგრძლივობა დაახლოებით 22-23-დან 35 წუთამდეა. სადგურში მატარებელი 2 წუთიდან ნახევარ საათამდე ჩერდება, დიდ ქალაქებში კი – უფრო დიდხანს, მაგალითად, თბილისში ერთ საათზე მეტ ხანს დგას. თუ გზა დაზიანებულია, მატარებელი მოძრაობას ანელებს ან ჩერდება. საფოსტო მატარებელი ორშაბათობით და პარასკეობით დადის, ჩვეულებრივ მატარებელზე ჩქარა მოძრაობს და სადგურებში უფრო ცოტა ხნით ჩერდება. გაჩერების დროს ზარი სამჯერ ირეკება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მგზავრებს შეუძლიათ მატარებლიდან ჩამოვიდნენ და დაისვენონ. მესამე ზარზე მატარებელი დაუყოვნებლივ იძვრება. გზა მონაკვეთებად არის დაყოფილი და ყოველი *ვერსის* დაშორებით ლიანდაგის გვერდით აყენია სანიშნეები, რომლებზეც რუსულად აწერია. სადგურებზე მატარებლების ასაწყობად და შესაკეთებლად მუშები და ხელოსნები მუშაობენ. დიდ ქალაქებში უფრო მეტი მუშა, ხელოსანი და ჯარისკაცია და მათი უფროსის ჩინიც უფრო მაღალია.

სადგურებს შორის ოთხადგილიანი საგუშაგოებია, რომელთაგან თითოეული ერთი ოჯახისთვის არის განკუთვნილი. მთელ გზაზე ერთი *ვერსის* დაშორებით თითო გუშაგი დგას. თუ ის მწვანე ალამს აღმართავს, ამით მიანიშნებს, რომ გზის ეს მონაკვეთი თავისუფალია და მატარებელს შეუძლია სწრაფად იაროს. წითელი ალამი ნიშნავს, რომ გზა დაზიანებულია და მატარებელმა სვლა უნდა შეანელოს და ფრთხილად იყოს. მაღლა აწეული წითელი და შავი ალამი კი მემანქანეს ამცნობს, რომ გზა დანგრეულია და სანამ არ გააკეთებენ, მან მატარებელი უნდა გააჩეროს. ღამ-ღამობით ალმების ნაცვლად ზემოთ აღწერილი წესით წითელ და მწვანე ფარნებს ანთებენ.

მთელ გზაზე რკინიგზის ხაზის გასწვრივ ტელეგრაფის ხაზია გაჭიმული. მსურველს შეუძლია, ერთი სადგურიდან მეორეში ტელეგრამა გააგზავნოს და გზის ამა თუ იმ მონაკვეთის დაზიანების შესახებ შეატყობინოს.

მგზავრობის ღირებულება

ერთი სადგურიდან მეორემდე მესამე კლასით მგზავრობის ფასი ნახევარი ქაღალდის მანეთია. ამ კლასით, ძირითადად, უბრალო ხალხი მოგზაურობს. გარდა ამისა, ყველა სადგურში „ბილეთის თანხა" – ნახევარი კაპიკი შავი ფულიც იკრიბება. ამგვარად, ბაქოდან ბათუმამდე (36 სადგური) მესამე კლასით მგზავრობა 18 მანეთი და 18 კაპიკი ღირს. აქედან 18 მანეთი მატარებლის ბილეთის ფასია (თითოეულ სადგურზე ნახევარი მანეთი), ხოლო 18 კაპიკი – ბილეთის ქაღალდის ფასი. 18 მანეთი და 18 კაპიკი ირანულ ფულზე დაახლოებით 5 *თუმანი* და 8500 *დინარია*. მეორე კლასით მგზავრობა ამ თანხის ორმაგი ღირს, ანუ 36 მანეთი და 36 კაპიკი, რაც დაახლოებით 11 *თუმანი* და 7 ირანული *ყერანია*. პირველი კლასით მგზავრობის ფასი კი სამმაგი, ანუ 54 მანეთი და 72 კაპიკია, რაც დაახლოებით 17 *თუმანი* და 6 ირანული *ყერანია*. ეს სამი კლასი კომფორტით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, გარდა იმისა, რომ რადგან მესამე კლასის ვაგონი მატარებლის ძრავასთან უფრო ახლოს არის, ის მეტად ირყევა. პირველი კლასის ვაგონში კი, რომელიც ძრავისგან ყველაზე მეტად არის დაშორებული, ვიბრაცია ნაკლებია. პირველი კლასის ვაგონში ხავერდის კედლები და ახალი, სუფთა ავეჯი და გამანათებელი მოწყობილობებია. მეორე კლასის ვაგონში კედლებზე მაუდის ან ტიკის ქსოვილია გადაკრული და ავეჯიც არც ისე სუფთაა. მესამე კლასის ვაგონის კედლები კი ხისაა და მასში ავეჯი საერთოდ არ დგას.

მდგომარეობა მატარებელში

მატარებლის მომსახურე პერსონალი, ძირითადად, რუსებია, რომლებიც დაუდევარ მგზავრებს ნივთებს გასაოცარი სისწრაფით პარავენ. მგზავრმა რომც იჩივლოს, მაინც ვერაფერს გახდება, რადგან სადგურებზე უამრავი ხალხი ირევა, ზოგი ადის და ზოგი ჩადის და ხელს ვერავის დაადებ. ამიტომ ისინი მაქსიმალურად ყურადღებით უნდა იყვნენ და თავიანთ ბარგს უნდა მოუფრთხილდნენ.

მატარებელში კაცები და ქალები, მუსლიმები და ურწმუნოები ერთმანეთში არიან არეული და ამას ვერსად გაექცევი. აქ ყველა თანასწორია და ვისაც ბილეთი აქვს, შეუძლია ნებისმიერი კლასის ვაგონში ნებისმიერ ადგილზე დაჯდეს.

სადგურებზე საჭმელი და სასმელი იყიდება. დიდ ქალაქებში მეტი საჭმელია, მაგრამ ყველაფერი ძალიან ძვირია. ზოგიერთ სადგურზე საჭმელი და ხილი შორიახლო სოფლებიდან მოაქვთ და უფრო იაფად ყიდიან.

წყლის პრობლემა გზაზე

სადგურებზე დასალევი წყალი მუსლიმებისა და ურწმუნოებისათვის ერთია. ყველგან კასრები და რკინის ან ხის ჭურჭელი დგას, შიგ დევს ჭიქა ან პატარა ფიალა, რომლითაც მუსლიმები და ურწმუნოები წყალს იღებენ, მაგრამ იქიდან ერთ *ქორ*[423] წყალს ვერ ამოიღებ. ამიტომ მგზავრს ძალიანაც რომ უნდოდეს, რომ გემზე ან მატარებელში [რელიგიური] გულმოდგინება გამოიჩინოს, ეს მას გაუჭირდება, რადგან წყალი [რიტუალურად] სუფთა არასოდეს არის.

მთავარი ის არის, რომ მცირე რაოდენობით წყალი მასში ჭუჭყის მოხვედრისთანავე უსუფთაო არ ხდება. ანუ გინდ წყალი *ქორზე* ნაკლები იყოს და კასრში, დოქში, ჭიქაში ან სხვაგან მოხვდეს, ის მაშინათვე არ დაბინძურდება და მხოლოდ ფერს, სუნს და გემოს შეიცვლის. ეს პრობლემა ძველია და [ასეთი წყლის დალევა] მძიმე ცოდვად შეიძლება არ ჩაითვალოს.

შიიტი სწავლულების აზრი წყალზე

ამ საკითხზე როგორც ძველი, ისე ახალი დროის სწავლულები მსჯელობენ. პირველთა შორის არიან განსვენებული ომანი[424], განსვენებული სეიდ მორთეზა[425] და ჰასან იბნ აბი აყილი[426], რომლებიც არ მიიჩნევდნენ, რომ წყლის მცირე რაოდენობა ჭუჭყთან შეხებისას სისუფთავეს კარგავს. თანამედროვეთა შორის არიან განსვენებული სეიდ აბდ ალ-ქერიმი[427], ავტორი თხზულებისა „ქეთაბ-ე დორ" („მარგალიტის წიგნი"), განსვენებული მოლა მოჰსენი[428] და შეიხ იუსუფ ბაჰრანი[429], რომელთაც ამ საკითხისადმი იგივე დამოკიდებულება ჰქონდათ. მათ გარდა, რამდენიმე ახალი დროის სწავლულიც აღიარებს ასეთი წყლის რიტუალურ სისუფთავეს. 25 ავტორიტეტულ ჰადისში აღნიშნულია, რომ მცირე რაოდენობის წყალი ჭუჭყთან შეხებისას არ ბინძურდება, საწინააღმდეგოს კი 26 ჰადისი ამტკიცებს. განსვენებულმა შეიხ მოჰამად ჰასანმა[430] თავის წიგნში „ჯავაჰერ ალ-ქალამ" („სიტყვების ძვირფასი ქვები") შეკრიბა ყველა ჰადისი, რომელიც [რიტუალური] სისუფთავისა და უსუფთაობის პრობლემას ეხებოდა.

---

423 ქორი წყლის მინიმალური რაოდენობაა (არანაკლებ 350 ლიტრისა), რომელში მოხვედრის მერეც, შიიტების რწმენით, საგანი რელიგიურად სუფთა ხდება.

424 ომანი იგივე აბუ მოჰამად ჰასან იბნ აბი აყილი (?-940) – შიიტი სწავლული.

425 სეიდ მორთეზა ალი იბნ ჰოსეინი (ალამ ალ-ხოდა) (355/966-436/1044) – შიიტი სწავლული.

426 ჰასან იბნ აბი აყილი ზემოთ ნახსენები ომანის სრული სახელია. როგორც ჩანს, ფარაჰანიმ ეს ორი სახელი ერთმანეთს ვერ დაუკავშირა და სხვადასხვა ადამიანებად ჩათვალა.

427 სეიდ აბდ ალ-ქერიმ ჯაზაერი (?-1800/01) – შიიტი სწავლული.

428 მოლა მოჰსენ ფაიზი იგივე მოჰამად იბნ მორთეზა იბნ შაჰ მაჰმუდ ქაშანი (?-1680) – შიიტი სწავლული.

429 შეიხ იუსუფ იბნ აჰმად იბნ ებრაჰიმ ბაჰრანი (?-1772/73) – შიიტი სწავლული.

430 შეიხ მოჰამად ჰასან ნაჯაფი (1788-1850) – შიიტი სწავლული.

[რიტუალური] სისუფთავის დამცველ ჰადისებს ფარისეველობად ვერ შეავფასებთ, რადგან სუნიტებს უსუფთაობა მიაჩნდათ სწორად და არა სისუფთავე. იმის გათვალისწინებით, რომ ბევრი იმამი თავის ჰადისებში, ასევე ძველი და ახალი დროის სწავლულები ამტკიცებდნენ, რომ მცირე რაოდენობის წყალი ჭუჭყთან შეხებისას სუფთა რჩება, ამდენად ეს საკითხი როგორც უწინ, ისე ახლა მხოლოდ თვალსაზრისს ნარმოადგენს და არა რელიგიურ ნორმას, რომლის იგნორირებაც ურწმუნობა იქნებოდა. რადგან ორივე მხარე დიდი რაოდენობით ჰადისებს იმოწმებს, ამდენად ორივენი მართლები არიან და ორივე მოსაზრება დასაშვებია.

ვინაიდან ეს საკითხი ყველა დროში აქტუალური იყო, ამიტომ ხალხმა მას ყურადღება უნდა მიაქციოს და იმამებმაც თავი არ უნდა აარიდონ ამ მნიშვნელოვან პრობლემას, რომელსაც კაცი ყოველ წამს ეჯახება. დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი საფუძვლიან ახსნა-განმარტებას და კომენტარებს საჭიროებს, მაგრამ ამ უბრალო წიგნში მასზე მეტს ველარ შევჩერდები. ჩემი მიზანი მხოლოდ იმის ჩვენება იყო, რომ თუ მავანი დაუჯერებს სწავლულებს, რომლებიც ასეთი წყლის რიტუალურ სისუფთავეს ამტკიცებენ, ის დამშვიდდება და ორთქლმავალსა და გემზე რიტუალური განბანვის ჩატარება გაუიოლდება.

შიიტი სწავლულების აზრი რიტუალურ სისუფთავეზე

მეორე საკითხი, რომელიც ასევე გაუადვილებს მუსლიმებს გემზე და მატარებელში ყოფნას, წიგნის ხალხის[431] [რიტუალური] სისუფთავის აღიარებაა, რასაც ბევრი სახელოვანი შიიტი სწავლული იზიარებდა. მაგალითად, განსვენებულ შეიხ მოფიდს[432] ურწმუნოებთან შეხების გამო წყალი უსუფთაოდ და შარიათით მიუღებლად არ მიაჩნდა. განსვენებული შეიხ თუსი[433] და ომანიც თავიანთ გამონათქვამებსა და წიგნებში ამასვე წერენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი მხოლოდ ერთ-ერთი თვალსაზრისია და ყურანში არ გვხვდება აიები, რომლებიც არამუსლიმების უსუფთაობაზე პირდაპირ მიუთითებდა, წმინდა იმამები და სწავლულები მაინც დაუინებით ამტკიცებდნენ წიგნის ხალხის [რიტუალურ] უსუფთაობას და ამ აზრს ბევრი თანამედროვე სწავლულიც ეთანხმება. ამიტომ ამ საკითხმა რელიგიური დატვირთვა მიიღო და მისდამი ნეგატიური დამოკიდებულება მუსლიმისთვის ღირსების საქმედ იქცა. მიუხედავად ყველაფრისა, ეს საკითხი დღემდე ღიად რჩება და თუ მავანი გაიზიარებს ჰაი მეჩეთის[434] სწავლებას არამუსლიმების [რიტუალური] სისუფთავის შესახებ, მათთან ურთიერთობა და, შესაბამისად, უცხო ქვეყნებში ყოფნა გაუადვილდება. გამიგია, რომ ერთი

---

431 „წიგნის ხალხს" მუსლიმები ებრაელებს და ქრისტიანებს ეძახიან. შიიტ ავტორიტეტთა უმეტესობა თვლის, რომ მათთან ფიზიკური შეხებაც კი მუსლიმის რელიგიურ სისუფთავეს აზიანებს.

432 შეიხ მოფიდი, აბუ აბდოლაჰ მოჰამად იბნ მოჰამად იბნ ნუმან ალ-ბაღდადი (948-1023) – შიიტი სწავლული.

433 შეიხ თუსი, აბუ ჯაფარ მოჰამად იბნ ჰასან იბნ ალი თუსი (955-1067) – შიიტი სწავლული, შეიხ მოფიდის მოწაფე.

434 ვერ ხერხდება იდენტიფიცირება.

თანამედროვე დიდი იმამი წიგნის ხალხს წმინდად თვლიდა, თუმცა სხვა იმამები მას არ ეთანხმებოდნენ.

ბაქოდან გამგზავრება

ამგვარად, შავალის თვის ჩვიდმეტში (30 ივლისს), ხუთშაბათს, მზის ჩასვლამდე ექვსი საათით ადრე მატარებელში ჩავსხედით და გავემგზავრეთ. ტერიტორიას ბაქოდან ხაიგის (Khaygī) სადგურამდე „სასაფლაოს რაიონს" (Mahāl-e Qabrestān) ეძახიან, რადგან ხრიოკი, მტვრიანი, უწყლო და საშინლად ცხელი ადგილია.

აყჯაყაბილის სადგური

აქედან აყჯაყაბილის[435] (Āq Jaqābīl) სადგურამდე, რომელიც სალიანის რაიონს ეკუთვნის, გაშლილი სივრცეა. მარჯვნივ, ძირითადად, ხრიოკი მთები, მარცხნივ კი მტვრიანი, უწყლო და გადახრუკული მინდვრებია და ძალიან ცხელა. დაბა სალიანამდე გზა ამ სადგურიდან მიდის და იქამდე 24 *ფარსახია*, რომელსაც საფოსტო ცხენები 12 საათში გადიან.

ქიურდამირის სადგური

აყჯაყაბილის სადგური გავიარეთ და შირვანის რაიონის სადგურ ქიურდამირისკენ (Kordamīr) გავემართეთ. გზას ორივე მხრიდან სოფლები მიუყვებოდა. ამინდი გაუმჯობესდა და შედარებით აგრილდა. ამ სადგურიდან ქალაქ შირვანამდე[436] 20 *ფარსახია* და საფოსტო ცხენები ამ გზას 10 საათში გადიან. ცოტაც რომ გავიარეთ, მარჯვენა მხარეს მთები და მწვანეში ჩაფლული, წყლებით მდიდარი სოფლები გამოჩნდა. სადგურ გოი-ჩაის (Gūy Chāy)[437] მივუახლოვდით. სადგურიდან ქალაქ გოი-ჩაამდე ხუთი *ვერსია* და მასზე ცხენებითა და ვირებით დადიან. შემდეგი სადგური შამქორია (Shamkūr), საიდანაც განჯის რაიონი იწყება. შამქორის სადგურიდან ქალაქ განჯამდე ორი *ვერსი* სიგრძის საფეხმავლო გზა მიდის. აქედან თბილისამდე სამი სადგურია. განჯას რომ გავცდით, ამინდი მკვეთრად შეიცვალა, აცივდა და შორიახლოს თოვლით დაფარული მთები, სოფლები, წყლები და ხეები გამოჩნდა. გზაზე შვიდი თუ რვა მდინარე შემოგვხვდა. მათზე მატარებლების სასიარულოდ რკინის ხიდები იყო აგებული. შავალის თვის 18-ში (31 ივლისს), პარასკევს დილის ხუთ საათზე თბილისში შევედით. ამგვარად, ბაქოდან თბილისამდე 17 საათის გზაა. მატარებელი თბილისში ერთი საათი გაჩერდა, ახალი მგზავრებითა და ბარგით შეივსო და ბათუმისკენ გაემგზავრა.

---

435 დღევანდელი ჰაჯიგაბული (აზერბ. Hacıqabul), საბჭოთა პერიოდში – კაზი-მაჰომედი.

436 ასეთი ქალაქი ფარაჰანის მოგზაურობის დროს არ არსებობდა. შესაძლოა იგულისხმება ქალაქი (იმხანად დაბა) და რკინიგზის სადგური ევლახი.

437 ფარაჰანის ამ ქალაქის აზერბაიჯანული სახელი სწორად მოაქვს. რუსები მას გეოქჩაის ეძახდნენ.

თბილისი მეხუთე [კლიმატური] რეგიონის[438] ნაწილი და საქართველოს დედაქალაქია. გადმოცემით, ის ანუშირვანის აგებულია. ომაიანი მმართველების ბრძანებით, ესპაყ იბნ ესმაილმა, აქ ციხე და გალავანი ააგო. ქალაქში სახლები ფიჭვის ხით იყო გადახურული. როცა მუთავაქილმა ბუღა ესპაყთან საომრად გააგზავნა, ესპაყმა მას წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც ბუღამ ცეცხლის მტყორცნელებს უბრძანა, ქალაქი ცეცხლისთვის მიეცათ. ქალაქის დიდი ნაწილი დაიწვა და უამრავი ხალხი დაიღუპა[439]. ზოგი კი თვლის, რომ თბილისი რუმელი ალექსანდრეს[440] აგებულია, რაზეც ნიზამის[441] „ესქანდერ-ნამეშიც" არის მინიშნება:

„ასე უთხრა ვაუს მოხუცმა *დეჰყანმა*,
რომ თბილისი მან [ესქანდერმა] ააშენა".

საქართველო ყოველთვის დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და მას საკუთარი მეფეები და მთავრები ჰყავდა. ზოგჯერ ისინი ირანის მმართველების ვასალები ხდებოდნენ და როცა მათ არ ემორჩილებოდნენ, ძლევამოსილი შაჰი ქვეყანას თავს ესხმოდა და სჯიდა. ასე, 988 (1580) წელს ემირ თემურ გურაქანის ლაშქარი თბილისს თავს დაესხა[442], ააოხრა და ეკლესიები დაანგრია. ასევე, ღვთისმოშიშმა აღა მაჰმად შაჰ ყაჯარმაც 1210 (1795) წელს ერეკლე ხან გორჯის (Arakli Khān Gorjī) მმართველობის დროს ქალაქი ძალით აიღო, ქართველების ტაძრები დაანგრია, ხელფეხშეკრული მღვდლები მტკვარში გადაყარა და ბევრი ხალხი ამოხოცა.

ადრე ქალაქი და მისი ციხესიმაგრე სამხრეთი მთის კალთაზე იყო შეფენილი და ნარიყალად (Nārīn Qal'e) წოდებული ციხე ამ მთის წვერზე იდგა. ამ მთიდან ბევრი წყარო გადმოდის და ზოგიერთ მათგანში ცხელი წყალია. სულთნებმა მათზე აბანოსთვის გუმბათები ააშენეს.

---

438 ძველი წარმოდგენებით, სამყარო შვიდ კლიმატურ რეგიონად იყოფოდა: პირველი – ინდოეთი, მეორე – არაბეთი და აბისინია (ეთიოპია), მესამე – ეგვიპტე და სირია, მეოთხე – ირანი, მეხუთე – რუმი და სლავური ქვეყნები (Saqlab), მეექვსე – თურქეთი და გოგი, მეშვიდე – ჩინეთი და ინდოჩინეთი.

439 აქ მოთხრობილია ბუღა თურქის თბილისზე შემოსევის ამბავი. ხალიფა მუთავაქილმა (847-861) თავისი სარდალი ბუღა თურქი 853 წელს თბილისის ამირას ისპაკის (ქართულ წყაროებში – საპაკი, ფარაპანისთან – ესპაყ იბნ ესმაილი) წინააღმდეგ საომრად გაგზავნა. ბუღას ლაშქარმა თბილისი აიღო და გადაწვა. ფარაპანი ერთ უზუსტობას უშვებს – ისპაკის ამირობის დროს სახალიფოს უკვე არა ომაიანები, არამედ აბასიანები მართავდნენ.

440 ე. ი. ალექსანდრე მაკედონელის.

441 დიდი აზერბაიჯანელი სპარსულენოვანი პოეტი, სპარსული ლიტერატურის კლასიკოსი.

442 სინამდვილეში თემურ ლენგი თბილისს 1386 წელს შემოესია, რაც ჰიჯრით 788 და არა 988 წელია. თემურის წოდება „გურაქანი" მომდინარეობს თურქულ-მონღოლური güregen-იდან, რაც ნიშნავს „ყაენის სიძეს" და უნდა მიანიშნებდეს თემურის ნათესაურ კავშირზე (ცოლის მხრიდან) ჩინგიზ ყაენთან (*A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-86...*, 77, note 87).

ახლანდელი თბილისი ხეობის გასწვრივ არის გადაჭიმული და მაინცდამაინც ფართო არ არის. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას მთები აკრავს. სამხრეთი მთა უფრო მაღალი და პირქუშია. ძველად აქ ნარიყალა და საქართველოს მეფეთა რეზიდენცია იყო და კოშკისა და გალავნის ნაშთები ჯერ კიდევ მოჩანს. დღესაც დასახლებული უბნებისა და ბაზრების უმრავლესობა სამხრეთით არის განლაგებული. ჩრდილოეთი მხარე კი ევროპელების უბანია და მასში უფრო სუფთა და ფართო ქუჩები და შენობებია. მეფისნაცვლის სასახლე, არსენალის შენობა, ხუროთა სახელოსნოები და საავადმყოფოები ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობს. სახლები, ძირითადად, მთის წვერზე და კალთებზეა შეფენილი.

მტკვარი

მდინარე მტკვარი თბილისს შუაზე კვეთს. მის ორსავე მხარეს რამდენიმე დიდი შენობაა, რომლებშიც მდინარის წყალი [საქაჩი] მანქანებით შედის. ადრე მტკვარზე ხის ხიდი იყო გადებული, რომელიც *პრინც* ვორონცოვის (Darān Sof) დროს რკინის ხიდით შეცვალეს. ხიდის გვერდით ვორონცოვის ბრინჯაოს ქანდაკება დგას. ქანდაკების გარშემო შვიდი გადაბრუნებული ქვემეხია განლაგებული. აქ მდინარე ორ განშტოებად იყოფა. პირველზე [ხიდის] ერთი მალია გადაყვანილი, მეორეზე კი – ექვსი. ამ განშტოებებს შორის [კუნძულზე] სახლები და დუქნებია აშენებული.

მტკვრის სათავისა და კალაპოტის შესახებ ძველ წიგნებში წერია, რომ ის საქართველოს მთების წყაროებიდან იღებს სათავეს, გაივლის ხაზართა ქვეყანას (Balād-e Kharazān), აფხაზეთის (Ijāz)[443] *ვილაიეთს*, თბილისს, ჰერეთს (Hīre), შამქორის რაიონს და დაბა სალიანს ჩაუვლის. გზად მას პატარა მდინარეები უერთდებიან. ბოლოს, სოფელ ბარდაასთან (Barda'e) მტკვარი მდინარე არაქსს (Aras) უერთდება და კასპიის ზღვაში (Bahr-e khazar) ჩაედინება.

მო'თამად ად-დოულე ფარჰად მირზას თვალსაზრისი

მისმა აღმატებულება მო'თამად ად-დოულე ფარჰად მირზამ თბილისის გუბერნატორის ორლოვსკის წიგნზე[444] დაყრდნობით თავის „მოგზაურობის წიგნში" გააკეთა ჩანაწერი, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: [მტკვარი] სათავეს იღებს ოსმალური სომხეთის ტერიტორიაზე, მუთელჯანის (Mūtel Jān) სახელით ცნობილი მაღალი მთის წყაროებიდან, რომელთაგან ყველაზე დიდი მარჯან-სუ (Marjān Sū) და ბუნჯუყ-ბუნღარია (Būnjūq Būnghār). მას შემდეგ, რაც ოსმალეთის მიწაზე 90 *ვერსს* გაივლის, ის რუსეთის ტერიტორიაზე გადადის და

---

443 „Khazar" და „Kharaz", ისე როგორც „Abkhaz" და „Ijaz" სპარსულად გრაფიკულად ერთნაირად გამოისახება და განსხვავება მხოლოდ დიაკრიტიკულ ნიშნებშია. არასწორი წაკითხვა ამ ნიშნების აღრევამ გამოიწვია.

444 კ. ი. ორლოვსკი თბილისის გუბერნატორი იყო 1860-1876 წლებში. ფარჰად მირზას შენიშვნით, მან ისარგებლა ორლოვსკის წიგნის სპარსული თარგმანით, რომელიც მისთვის მირზა ფათჰალი ახუნდოვმა გააკეთა.

აწყურის (Askhūr), ბორჯომისა (Bārzhūm) და ქართლის (Kārtīl) ხეობებს ჩაუვლის. ბორჯომის მამული მეფისნაცვლის სააგარაკო ადგილია. ოსმალეთის საზღვრიდან ბორჯომამდე მტკვარი 95 *ვერსს* გადის, ბორჯომიდან თბილისამდე – 200 *ვერსს* და მერე განჯის გავლით სალიანში ჩაედინება. სათავიდან სალიანამდე მტკვრის შენაკადებია: ახალქალაქის (Ākhāl Galak) რაიონში – ახალქალაქისწყალი (Ākhāl Galā Chāy), ახალციხეში (Akhesghe) – ფოცხოვისწყალი (Boskhūf Chāy), აწყურსა და ქართლს შორის – ლიახვი (Lekhvā), ლეხურა (Lekhūr), ქსანი (K(a)sān) და არაგვი (Arghavā), თბილისის შემოგარენში – თრიალეთი (Teryālet), სუმასი (Sūmāsī)[445], ალგეთი (Alget) და ხრამი (H(a)rām), განჯის რაიონში – გერანჩაი (Kūrān), ყანეყი (Qāneq)[446], თერთერი (Ternez)[447] და ხაჩინჩაი (Qāchīn). და, ბოლოს, ბაქოს რაიონში სოფელ ჯავადთან (Javād) მდინარე არაქსიც მტკვარს უერთდება და ორივე ერთად კასპიის ზღვაში ჩაედინება.

ძველი ავტორები მტკვრის განსაკუთრებული თვისებების შესახებ წერდნენ, რომ მის წყალს გამაჯანსაღებელი ძალა აქვს და მასში მოხვედრილი ადამიანები და ცხოველები დიდხანს ცოცხლობენ. ამბობენ, რომ ერთხელ მტკვრიდან ამოიყვანეს წყალწაღებული, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავდა. გონზე მოსულმა გარშემომყოფებს უამბო, რომ 6 დღის წინ აღმა 5 დღის სავალზე წყალში ჩავარდა, მაგრამ გადარჩა. მსმენელებმა მას თანაუგრძნეს და საჭმელი მოუტანეს. ამასობაში კედელი, რომლის ქვეშაც ეს კაცი იჯდა, ჩამოინგრა და ის კედლის ქვეშ დაიღუპა. და პასუხისმგებლობა ამ ამბის სიმართლეზე თავად მთქმელზეა.

თბილისის მისადგომებთან მტკვარზე კაშხალია აგებული, რომელიც ყარაიაზის (Qare Yāzī) სახელით არის ცნობილი. მისი საშუალებით მტკვრის წყალი ქალაქის მიმდებარე ნათესებსა და სოფლებს მიეწოდება. ქალაქის შემოგარენში არის მეორე კაშხალიც, რომლის წყალი თბილისის სამხრეთით მდებარე სახლებზე და ბაღებზე გადის. ამიტომ ქალაქის ეს მხარე აყვავებულია და აქ კარგი სახლები, ბაღები და თეატრებია აშენებული. ამ უბანს მოჯთაჰედის ქუჩას ეძახიან, რადგან აყა მირ ფათაჰ თავრიზელს[448] აქ დიდი სახლი და ბაღი ჰქონდა. მერე რუსეთის ხელისუფლებამ მას ქონება ჩამოართვა, ერთი ნაწილი დაყო და ისე გაყიდა, მეორე ნაწილზე კი სახელმწიფო ბაღი გააშენა. ქალაქის ზოგიერთ უბანში ბაღებისა და ბოსტნების მოსარწყავად მტკვარზე წყალსაქაჩებია დაყენებული. მათზე თიხის ქოთნებია დამაგრებული და ცხენების, ვირებისა და ძროხების საშუალებით იქიდან დიდი რაოდენობით წყალი ამოაქვთ. ნათესების მოსარწყავად წყალს ამ მეთოდით იღებენ ბაღდადში ტიგროსისა და ევფრატის ნაპირებზე და ასევე ქერმანსა და ფარსშიც.

---

445 ფარჰად მირზასთან – სუმასათი. ასეთი დასახელების მდინარე არ არსებობს. შესაძლოა იგულისხმება სკორეთი (ვერე) ან სარცხენისი (ლოჭინი).

446 ყანეყი (Qaneq) მდინარე ალაზნის თურქული სახელწოდებაა.

447 სპარსულში „თერთერი" და „თერნეზი" გრაფიკულად ერთნაირად გამოისახება და არასწორი წაკითხვა აქაც დიაკრიტიკული ნიშნების აღრევამ გამოიწვია.

448 იხ. შენიშვნა 78.

წყალი და კლიმატი

ერთი სიტყვით, თბილისის წყალი სასარგებლო და გემრიელია. აქაური კლიმატი ცვალებადია და უფრო სიცივისკენ იხრება. ახლაც კი, შუა ზაფხულში, როცა კიტრი და ყოლო უკვე მოწეულია, ძალიან ცივა. ქალაქსა და მის შემოგარენში დიდი რაოდენობით ხე, ყვავილნარი და ბაღია და სახლების უმეტესობაშიც ბევრი ხე და ყვავილია.

თბილისის მოსავალი

თბილისში დიდი რაოდენობით ქლიავი, მსხალი, ყურძენი, თხილი, ფსტა, კომში, ვაშლი, ატამი, ლეღვი, ყოლო, კიტრი და საზამთრო მოდის. ისინი იაფი, მაგრამ უხარისხოა. თბილისისა და მისი შემოგარენის ძირითადი მოსავალი თამბაქო, სიმინდი და ხორბალია.

ხალხის საკვები

ხალხის ძირითადი საკვები პური, სიმინდი და ხორცია. ქართული ხორბალი ირანული ხორბალივით გემრიელი არ არის. ბრინჯი რაშთიდან შემოაქვთ, მაგრამ ძალიან ძვირია და იშვიათად ხმარობენ. მეტწილად ღორის ხორცს ჭამენ და რძეს სვამენ. შორეულ სოფლებში ცხვრის ფარის მსგავსი შინაური ღორის კოლტები ჰყავთ, რომლისგანაც დიდ მოგებას იღებენ.

მოსახლეობა და რელიგია

თბილისის მოსახლეობა 30000 კომლამდეა, რაც დაახლოებით 120000 კაცია. ქალაქში 4500-მდე დუქანი და შვიდი-რვა სავაჭრო ქარვასლაა. აქაური ხალხი ძალიან ლამაზია. ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი ადგილობრივი ქართველები და სომხებია, მეორე – რუსები და უცხოელი ქრისტიანები, მესამე კი – მუსლიმები (ნახევარი შიიტები და ნახევარი სუნიტები). მუსლიმები აქ ქრისტიანების მსგავსად ცხოვრობენ, მათ არ გაურბიან, ქრისტიანების საკვებს და მათ მიერ დაკლულ საქონელს ჭამენ და ყველა სახის დამათრობელ სასმელს სვამენ.

ეკლესიები

ამ ქალაქში დაახლოებით 100 ეკლესიაა, რომელთაგან სამი-ოთხი გამორჩეულად სათაყვანებელი და დიდია. ყოველ წელს განსაზღვრულ დღეებში, როცა ქრისტიანული დღესასწაულებია, აქ მთელი მოსახლეობა იკრიბება, კარვებს შლის და მხიარულობს. ამ ეკლესიებს შორის ხიზრის სახელობის ეკლესიაც[449]

---

[449] ხიზრი (ალ-ხადირი) ისლამამდელი მითოლოგიური პერსონაჟია, რომელიც ინტეგრირდა მუსლიმურ წარმოდგენათა სისტემაში. კომენტატორთა უმეტესობა მას ყურანში ნახსენებ „უსახელო მონად" (18:59-81) მიიჩნევს. ხალხურ წარმოდგენებში იგი ხშირად იდენტიფიცირდება ძველი აღთქმის სხვადასხვა პერსონაჟებთან, განსაკუთრებით ელია წინასწარმეტყველთან და წმ. გიორგისთან და მათ რეინკარნაციადაც განიხილება (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. F.W. Halsuck, *Christianity and Islam under the Sultans*, Oxford, 1929,

არის, რომელიც მოსახლეობის რწმენით, წინასწარმეტყველ ხიზრის, ალაპმა განუსვენოს, სამყოფელია.

ქალაქის ცენტრში, სამხრეთი მთის წვერზე ერთი ეკლესია დგას. ამბობენ, რომ აქ შეიხ სანაანის საფლავია[450]. ქართველებს შეიხ სანაანის ძალიან სწამთ და მათთვის ეს თაყვანისცემის ადგილია. წელიწადში ერთხელ თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა აქ ჯგუფ-ჯგუფად სწორედ შეიხ სანაანის საფლავის მოსალოცად მოდის[451].

მეჩეთები

თბილისში ოცამდე დიდი და პატარა მეჩეთია. ერთი დიდი მეჩეთი სუნიტებს ეკუთვნის, მეორე კი – შიიტებს. ამბობენ, რომ ეს უკანასკნელი შაჰ აბას პირველმა ააგო და დააწესა ვაკუფურ ქონებად[452], რომლის წლიური შემოსავალი 10 000 მანეთია. რუსეთის ხელისუფლება სუნიტ და შიიტ სწავლულთა რეკომენდაციით თითოეული მიმდინარეობისთვის ნიშნავს ერთ *შეიხ ალ-ესლამს*, რომლის გადაწყვეტილებასაც ამ მიმდინარეობის ყველა წარმომადგენელი ემორჩილება. *შეიხ ალ-ესლამი*, თავის მხრივ, კავკასიის ყველა ქალაქში მოსამართლედ თავის ერთგულ მოლას აგზავნის. *შეიხ ალ-ესლამს* ბევრი მიმდევარი და მსახური ჰყავს, მათ შორის *ფარაში*, *ფარაშბაში*, გადასახადების ამკრები, მამასახლისი და სხვა. მის ხელშია სხვადასხვა სახის შემოწირულობებიც, რომლის შემოსავალი რელიგიურ საჭიროებებსა და გაჭირვებულ ხალხს ხმარდება. შეთანხმების მიხედვით, *შეიხ ალ-ესლამი* კავკასიური წარმოშობის რუსეთის მოქალაქე უნდა იყოს.

უცხო ქვეყნების ქვეშევრდომები თბილისში

თბილისსა და მის შემოგარენში ირანის ოთხი ათასამდე მოქალაქე ცხოვრობს. აქედან 100 ვაჭარია, დანარჩენი კი ხელოსნები და გლეხები არიან, თუმცა დიდად ავტორიტეტულ ვაჭარს აქ ვერ ნახავ. ირანის, ოსმალეთისა და ინგლისის

---

vol. I, 320, 324; A. Augustinovich, *El Khader and the Prophet Elijah*, Jerusalem, 1972). აქედან გამომდინარე, საფიქრელია, რომ ფარაპანი „ხიზრის სახელობის ეკლესიაში" გულისხმობს წმ. გიორგის ერთ-ერთ ეკლესიას. 1885 წელს, როცა მოგზაური თბილისში ჩამოვიდა, ქალაქში წმ. გიორგის სახელობის რამდენიმე ეკლესია იყო: ქართული – კალოუბნისა და კარისა, სომხური – კლდისუბნისა, ციხის დიდი საყდარი და ძორაბაში. ძნელი სათქმელია, რომელ მათგანს გულისხმობს ფარაპანი (თბილისელი მუსლიმების მიერ წმ. გიორგის თაყვანისცემის შესახებ იხ. მ. ალექსიძე, „ისლამი და კონფესიათშორისი ურთიერთობანი XIX საუკუნის თბილისში", წიგნში: მ. ალექსიძე,*სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 2009, 115-117).

450 იხ. შენიშვნა 50. ფარაპანის „მოგზაურობის წიგნის" ინგლისური თარგმანის ავტორებმა ეს ადგილი შეცდომით გაიგეს და მის მიერ ნახსენები „შეიხ სანაანის ეკლესია" მსგავსი ჟღერადობის გამო სიონის კათედრალს დაუკავშირეს (*A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-86*, 82).

451 ავტორი გულისხმობს მამადავითობის დღესასწაულს, რომელიც აღდგომის შემდეგ მეშვიდე ხუთშაბათს, ამაღლების სწორზე იმართებოდა.

452 აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში – განუსხვისები უძრავი ან მოძრავი ქონება (უპირატესად მიწა), რომელიც რელიგიურ დაწესებულებას (მეჩეთი, მედრესე და სხვა) გადაეცემოდა.

მთავრობებს თბილისში კონსულები და გენერალური კონსულები ჰყავთ[453]. ირანის კონსული გახლავთ განსვენებული მირზა ებრაჰიმ ხანის ვაჟი მირზა მოჰამად ალი ხან მო'ინ ალ-ვეზარა, რომელიც ძალიან გაწონასწორებული და მშვიდი კაცია. ის წლების განმავლობაში ბომბეიში ცხოვრობდა, ამიტომ ჰინდი და ინგლისური ენები კარგად იცის, სასიამოვნო მოსაუბრე და კარგი კალიგრაფია. ირანის მთავრობა მას უხდის 6000 მანეთს, რაც 2000 ირანული *თუმნის* ეკვივალენტია. გარდა ამისა, მას სხვა შემოსავლებიც აქვს. მაგალითად, როცა წელს ირანის ქვეშევრდომი *თოჯარბაში* მოჰამად ხანი გარდაიცვალა, მისი სოფლიდან 3000 *თუმანი* კონსულმა აიღო. ირანის მოქალაქეთა სასამართლო მის ხელშია და კავკასიის რეგიონის მოხელეები მის საქმეებში არ ერევიან. სატრანზიტო ვიზას აქ იშვიათად იღებენ, მაგრამ თავისი ქვეშევრდომების საცხოვრებელ ვიზებს კონსული თავად გასცემს. ირანის საკონსულო ძალიან ლამაზი შენობაა. ის ამაღლებულ ადგილზე დგას და მთელ ქალაქს გადაჰყურებს.

ვაჭრობა

ამ ქალაქის ვაჭრობას ჯერ-ჯერობით რუსეთი და მოსკოვი აკონტროლებს, რადგან საქონელი, ძირითადად, იქიდან შემოდის. ადრე სატრანზიტო გზა ღია იყო და ევროპის ქვეყნებიდან ირანის *ვილაიეთებსა* და რუმში ტვირთი თბილისის გავლით მიდიოდა. ახლა ეს გზა დაკეტილია და ვაჭრების მოგებამაც იკლო. თუმცა თბილისში არის სხვა სახის ვაჭრობაც, მაგალითად, აბრეშუმი და სხვა საქონელი რაშთიდან და ხორასანიდან შემოაქვთ. ადგილობრივები მეტწილად აწარმოებენ თამბაქოს, რომლის სხვადასხვა სახეობა მოჰყავთ და საზღვარგარეთ აგზავნიან. ქალაქის შემოგარენში ბევრი ცხვარია, რომელთა ბეწვისაგან კარგ შალს ამზადებენ. შალის წარმოება თბილისში ფართოდ არის გავრცელებული და დიდ მოგებას იძლევა.

თბილისი, ირანული ხალიჩების დუქანი.
1890-იანი წლების ფოტოსურათი.

[453] დიდი ბრიტანეთის საკონსულო თბილისში ფუნქციონირებდა 1876-1881 წლებში. ავტორის თბილისში ყოფნის დროს ის უკვე დახურული იყო.

თბილისში ორი-სამი აბრეშუმის საფეიქრო და საქსოვი საწარმო და პატარა სამჭედლოა, რომელშიც დანებსა და მაკრატლებს ამზადებენ.

საავადმყოფო

ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში სახელმწიფო საავადმყოფო დგას. ამ დიდ, სუფთა და კეთილმოწყობილ შენობაში 300 ავადმყოფი ეტევა. მუსლიმები და ქრისტიანები, როგორც კაცები, ისე ქალები, აქ ერთად მკურნალობენ და მათ ქალი და კაცი მოსამსახურეები მზრუნველად უვლიან.

მუზეუმი

მეფისნაცვლის სასახლისა და ბაღის გვერდით ერთი შენობაა, რომელსაც მუზეუმს ეძახიან. მუზეუმის დარბაზებში სხვადასხვა სახის ექსპონატებია გამოფენილი:

პირველ დარბაზში – ძველი და ახალი ქვეყნების ნივთები.

მეორეში – ცოცხალი ფრინველები და ცხოველების ფიტულები, მათ შორის სხვადასხვა ჯიშის ჩიტები, ღამურები, დელფინი, აქლემი, ვირი, ორბი და სხვა.

მესამეში – დიდი და პატარა მკვდარი ცხოველები, მათ შორის ვეფხვი, ლეოპარდი, ინდური კამეჩი, ტახი და სხვა, რომელთაც ცხიმს უსვამენ და ისე ინახავენ, რომ ცოცხალისგან ვერ განასხვავებ.

მეოთხეში – მინერალური ქვები, ხის ჯოხები, ლამაზფოთლებიანი ხეები და ყვავილები.

ყველა, ვინც მუზეუმის დასათვალიერებლად მოდის, ფულს იხდის და ისე შედის.



თბილისი, კავკასიის მუზეუმი. დ. ერმაკოვის ფოტოსურათი, 1890-იანი წლები.

ცხელი წყლის წყაროები

ქალაქის სამხრეთი მთიდან გადმოდის შვიდი ცხელი წყარო, რომელთა ძირშიც გოგირდის შემაწუხებელი სუნი დგას. მათზე აბანოებია აშენებული და შიგ ცხელი წყალი ამ წყაროებიდან შედის. გოგირდის სუნის გასანეიტრალებლად აბანოში წყლის ფილტრაციის სისტემა აყენია. ეს ბუნებრივი ცხელი წყალი თმას არბილებს, მაგრამ ხშირად ჯანმრთელობას ვნებს და სხვადასხვა დაავადებებს იწვევს.

თეატრები

ქალაქში ორი თეატრია, რომელთაგან ერთს ქართულს, ხოლო მეორეს რუსულს ეძახიან. სულ ახლახანს კიდევ ერთი „ქალაქის თეატრი" გაიხსნა. სამი წელია, რაც მას აშენებენ და აწყობენ, მაგრამ ბოლომდე დასრულებული ჯერ კიდევ არ არის. ის ძალიან დიდი და შთამბეჭდავი იქნება.

გასართობი ადგილები

ქალაქის ერთ-ერთი გასართობი ადგილი ბულვარი და მისი მიმდებარე ბაღია[454], სადაც უბრალო ხალხი სეირნობს. ბაღს რკინის მოაჯირი არტყია და მის ორსავე მხარეს რკინის სკამებია ჩამწკრივებული. ბაღის შუაგულში დიდი აუზია, რომელშიც წყალი მდინარე მტკვრიდან შედის და მჩქეფარე შადრევნებად იფრქვევა. ბაღს სამი ტერასა აქვს. ბოლო ტერასაზე დგას პატარა შენობა, რომელშიც სიგარეტებს, ჩაისა და ყავას ამზადებენ.

კიდევ ერთი გასართობი ადგილი *კლუბის* (Qlüb) შენობაა. მისი ერთი დარბაზი სამხედროების შეკრების ადგილია, მეორე – ვაჭრების, მესამე კი – ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების. კლუბში საღამოობით იკრიბებიან. აქ მუსიკა გაუჩერებლად უკრავს და ლამაზი მომღერალი ქალები მღერიან და ცეკვავენ. ამ დაწესებულების ნებისმიერი წევრი რასაც უნდა, იმას აკეთებს: ზოგი უსმენს, ზოგი გაზეთსა და წიგნს კითხულობს, ზოგიერთები კი მშვიდად საუბრობენ და თავიანთ საქმეებზე მსჯელობენ. თითოეულ დარბაზში გულმოდგინე მსახურები მსურველებს გარკვეულ საფასურად საჭმელსა და სასმელს უმზადებენ. კლუბის ყველა წევრს ხელში წლიური [აბონემენტი] და ბილეთი უჭირავს. დიდგვაროვნების (ძირითადად, სამხედროების) წლიური გადასახადი 20 მანეთია, ვაჭრების – 16 მანეთი, ხოლო ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების – 12 მანეთი. კვირაში ერთხელ კლუბის ნებისმიერ წევრს შეუძლია აქ თავისი მანდილოსანი მოიყვანოს. ქალები და კაცები აქ ერთად ჭამენ, სვამენ, სეირნობენ და მხიარულობენ. ქალი, რომელიც კლუბის წევრს ახლავს, უსაქციელო და ფუქსავატი არ უნდა იყოს. თითოეულ დარბაზში მუდმივი კლიენტების განსაზღვრული რაოდენობაა. გარდა ამისა, არიან დროებითი, ჩაუწერელი წევრებიც. ისინი მუდმივ წევრებზე მეტ გადასახადს იხდიან მანამდე, სანამ რომელიმე მუდმივი წევრი

---

[454] იგულისხმება ალექსანდრეს (ახლანდელი 9 აპრილის) ბაღი.

არ მოკვდება ან კლუბს არ დატოვებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიხდიან ჩვეულებრივ გადასახადს.

თუ ვინმეს უნდა, რომ კლუბის დროებითი წევრი გახდეს, ძველმა, მუდმივმა წევრმა მისი პატიოსნებისა და წესიერების გარანტია უნდა მისცეს. ამის შემდეგ სპეციალურ ჟურნალში ფიქსირდება, რომ მავანი ამა და ამ დროს ამა და ამ დარბაზის წევრი გახდა. ის იღებს ბილეთს და თავდებთან ერთად შედის კლუბში. არისტოკრატებმა ღამეში სამი მანეთი უნდა გადაიხადონ, ვაჭრებმა – ორი, ხოლო ხელოსნებმა და წვრილმა ვაჭრებმა – ერთი მანეთი. როცა დროებით წევრს თან ქალი ახლავს, ის დაწესებული თანხის ორმაგს იხდის.

წელიწადში სამი საღამო კლუბი ყველასთვის ღიაა და ნებისმიერ მსურველს ყოველგვარი გარანტიის გარეშე შეუძლია აქ დროის გასატარებლად მივიდეს. ამ სამ ღამეში შეგროვებული თანხა, კლუბის დანახარჯების გამოკლებით, ღარიბ-ღატაკებს ურიგდება.

ეს შენობა და კლუბი მასონთა ლოჟის პრინციპზეა მოწყობილი და მის ხარჯებსა და შემოსავალს ამხანაგობა განაგებს. რამდენიმე კაცი სახელმწიფოს ნებართვით *კომპანიას* (Kampānī) ქმნის. ისინი ქირაობენ შენობას და იძენენ საჭირო ინვენტარს. ამხანაგობის ხარჯები და მოგება მკაცრად განისაზღვრება და ჟურნალებში აღინუსხება. მოგებას კომპანიონები ხარჯების აღწერის შემდეგ ინაწილებენ. კლუბის მომსახურე პერსონალი როგორც ქალები, ისე კაცები არიან და ისინი თვიურ ხელფასს იღებენ.

თბილისის გაზეთები

ამ ქალაქში სამი სტამბაა, რომლებიც თურქულენოვან გაზეთებს ბეჭდავს. ერთს „კავკასიის სინათლე" (Zyā'-e Qafqāz)[455] ჰქვია, მეორეს – „თარჯიმანი ბახჩისარაიში" (Tarjomān dar bāghche Sarāy)[456] და მესამეს –„ქაშქული"[457] (Kashkūl)[458]. არც ერთი მათგანი საინტერესო არ არის. სამივე თურქულია.

---

455 ყოველკვირეული თურქულენოვანი გაზეთი „ზია'ი-ე ყაფყასიე" („კავკასიის სინათლე") თბილისში 1880 წლიდან გამოდიოდა და მისი მთავარი რედაქტორი ჯალალ ეფენდი ონსი ზადე იყო. გაზეთი, ძირითადად, პოლიტიკურ და სოციალურ თემებს აშუქებდა (*Fehrestegān-e Qafqāz*, gerdāvarī va tanzīm: Tūraj Atabākī, Solmāz Rūstamovā-Toūhīdī, Grīgol Berādze, Jorj Sānīkīdze, Tehran, 2006, 685).

456 ამ დასახელების გაზეთი თბილისში არ გამოდიოდა. სავარაუდოდ, იგულისხმება ორენოვანი (თურქულ-რუსული) ყოველკვირეული გაზეთი „თარჯომან" („თარჯიმანი"), რომელიც ბახჩისარაიში იბეჭდებოდა (*Fehrestegān-e Qafqāz*, 655).

457 ქაშქული არის დერვიშთა სამათხოვრო თასი, რომელიც ძირითადად ხისგან ან ქოქოსის კაკლისგან კეთდებოდა. ტექსტის ინგლისური გამოცემის ავტორებმა „ქაშქული" თარგმნეს როგორც „ალბომი" (*A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-86*, 87).

458 „ქაშქული" იყო სამენოვანი (სპარსულ-თურქულ-არაბული) გაზეთი, რომელიც თბილისში 1883 წლიდან იბეჭდებოდა. გაზეთის მთავარი რედაქტორი ჯალალ ეფენდი ონსი ზადე იყო. გაზეთი ძირითადად, პოლიტიკურ, სოციალურ და ლიტერატურულ თემებზე წერდა (Fehrestegān-e Qafqāz, 513).

კაზაკები

ამ რეგიონში რამდენიმე ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობს, რომელთაგან ერთ-ერთი კაზაკებია. მათ ბავშვობიდან ჯირითობასა და მშვილდოსნობაში წვრთნიან, ამიტომ ძალიან ძლიერები და ვაჟკაცურები არიან. ძირითადად, სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობენ, თუმცა, იშვიათად, სოფლის მეურნეობასაც მისდევენ. კაზაკები სახელმწიფოს გადასახადს არ უხდიან და მათი ბეგარა ცხენოსანთა რაზმში სამსახურით შემოიფარგლება. კაზაკებს თავიანთი ცხენები და იარაღი აქვთ, სამხედრო აღჭურვილობასა და თოფის წამალს კი ხელისუფლება აძლევს. ექსპედიციების დროს მათ საგზალსაც ურიგებენ. კაზაკი კაცებისა და ქალების ტანსაცმელი თურქების ჩაცმულობას ჰგავს.

ჩეჩნები

შემდეგი ჯგუფი ჩეჩნებია. ისინი მაღლები, ვაჟკაცურები, გრძელთმიანები და ყვითელსახიანები არიან. მონღოლთა ამ შთამომავლებმა საცხოვრებლად ეს რეგიონი აირჩიეს და აქ დასახლდნენ. აღმსარებლობით ისინი შაფიიტები[459] არიან. მათი სამოსი თურქებისას ჰგავს. ჩეჩნები არასოდეს სამხედროები და სახელმწიფო მოხელეები არ ხდებიან. როგორც კაზაკები, ისე ჩეჩნები ცეკვასა და სიმღერაში არიან დახელოვნებული.

ჩერქეზები

ეს ხალხი თეთრსახიანი და შავთმიანია. ისინი სუნიტები არიან. ჩაცმულობით თურქებს ჰგვანან. უცნაური წეს-ჩვეულებები აქვთ და დიდი რელიგიურობით არ გამოირჩევიან.

ლეზგები

ლეზგებიც მაღალი და ვაჟკაცური იერის მქონე ხალხია. მათ უმრავლესობას დიდი ძალაუფლება, სიმდიდრე და მამულები აქვს. ადრე ლეზგებს ქართველები მონებად და მხევლებად ჰყავდათ. როგორც ქალების, ისე კაცების სამოსი *ქამარჩინია* და ძველ ირანულ სამოსს ჰგავს.

ქართველები

ქართველები ქრისტიანობის ერთ-ერთ მიმართულებას განეკუთვნებიან. მათი სამოსი ევროპული და ძველი ირანული ტანსაცმლის ნაზავს წარმოადგენს. ისინი ძალიან ლამაზები არიან და წითელი ლოყები და შავი თმა აქვთ. დროს, ძირითადად, სიამოვნებასა და უზრუნველ ცხოვრებაში ატარებენ.

---

[459] აშ-შაფიის მიერ შექმნილი საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის მიმდევრები, რომელთა მთავარი პრინციპი ყურანისა და სუნას ერთიანობაა.

სომხები

სომხები ქართველებისგან განსხვავებული მიმართულების ქრისტიანები არიან. მათი უმრავლესობა დაბალი, შეუხედავი და უსუფთაოა. ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევს, ნაწილი კი – ხელოსანი და წვრილი ვაჭარია. სომხები ძალიან მორწმუნეები არიან და რელიგიურ კანონებს მკაცრად იცავენ. ისინი წელიწადში რამდენჯერმე მარხულობენ და მარხვის დღეებში არც მუშაობენ და არც ერთობიან. მათი დიდი მარხვა შვიდ კვირას გრძელდება. თუმცა ახლა სომხებს შორისაც გაჩნდნენ ურწმუნოები, რომლებიც ამ წეს-ჩვეულებებს არ იცავენ. უცნაურია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართველებიცა და სომხებიც ქრისტიანები არიან, ისინი ერთმანეთზე არ ქორწინდებიან.

მალაკნები

მალაკნები, ძირითადად, სუსტი აღნაგობის, ქერა და წითელლოყება ხალხია. ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმართულების მიმდევრები არიან, მაგრამ მღვდელი არა ჰყავთ. ტრადიციულად, ისინი თემის უხუცესთა და ბრძენთაგან სამ-ოთხ სასულიერო პირს და მამასახლისს ირჩევენ და ყველა საქმეს მათი მითითებით აკეთებენ. მალაკნები ეკლესიებში იესოსა და მარიამის ხატებს არ კიდებენ და ყველა მიმართულებით ლოცულობენ. მათში აკრძალულია ღორის ხორცი, არაყი, ღვინო, თამბაქო, თუთუნი, სიგარეტი, ყველი, ხახვი და უფარფლო თევზი. მალაკნების მარხვა სამ-ოთხ დღე-ღამეს გრძელდება. თავიანთ მიცვალებულებს ისინი განბანვის რიტუალს უტარებენ, სუდარაში ახვევენ და ლოცვებს უკითხავენ. ზოგიერთ მათგანს წინდაცვეთა დასაშვებად მიაჩნია და ისლამის კანონებს იცავს.

თურქები

ამ ჯგუფის ერთი ნაწილი მონღოლური წარმომავლობისაა, მეორე კი – აზერბაიჯანის *ვილაიეთში* მცხოვრები ხალხის შთამომავალია. თურქები მსუქანი, ჩაფსკვნილი და წითელლოყება ხალხია. მათი ტანსაცმელი ირანელების სამოსს ჰგავს. მრწამსით ისინი შიიტები არიან.

ჯარის აღწერა

თბილისი კავკასიის დედაქალაქი და მთავარმართებლის რეზიდენციაა, ამიტომ აქ ათ-თორმეტ ათასიანი რუსული არმიის გარნიზონი დგას, რომ საჭიროების შემთხვევაში კავკასიის ნებისმიერ წერტილში წავიდეს. რუსი ჯარისკაცი, როგორც დიდგვაროვანი, ისე მდაბიო, ოცდაერთი წლის ასაკში ჯარში მიდის და ხუთი წლის განმავლობაში ყაზარმაში წვრთნებს გადის. მერე ის ხუთ წელს ლაშქრობაში ატარებს და იქიდან 32 წლის ასაკში ბრუნდება. ამით მისი სამხედრო სამსახური თავდება. კავკასიისა და ყარაბაღის მოსახლეობა ამ მოვალეობისგან თავისუფალია, თუმცა ამბობენ, რომ წელს მათი განთავისუფლების ბოლო წელია.

სახელმწიფო ჯაშუშები

რუსეთის სახელმწიფოს სანაქებო წეს-ჩვეულებათაგან ერთ-ერთი გამორჩეული არის ქალაქებსა და რეგიონებში ფარული ჯაშუშების დანიშვნა.

ცოტაა ისეთი უბანი, ქუჩა, სასტუმრო ან ყავახანა, რომელშიც ინფორმატორი არ იმალებოდეს. როგორც წესი, ყველაზე უმნიშვნელო პუნქტშიც კი ხელისუფლებას საკუთარი ჯაშუში ჰყავს და ამიტომ ის სახელმწიფოს ნებისმიერი წერტილის შესახებ ფლობს ინფორმაციას.

დიდი სულთნებიც ქვეყნის მართვაში ამ წესს აქტიურად იყენებდნენ. მაგალითად, არდაშირ ბაბაკანმა[460] მის სამეფოში რაც კი ხდებოდა, მეორე დილით უკვე იცოდა. მას ჯაშუშები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ ჰყავდა.

ბოზორჯმიჰრის[461] სიტყვებით, მონარქს თორმეტი დასაყრდენი აქვს: პირველი, ხორციელი სურვილების მოთოკვა და ვნებისა და ავხორცობისგან თავის შეკავება; მეორე, სიმართლის თქმა და აღთქმისა და პირობის ერთგულება; მესამე, ბრძენ ხალხთან თათბირი; მეოთხე, ბრძენთა და წარჩინებულ პირთა პატივისცემა მათი გონებისა და წვდომის უნარის შესაბამისად; მეხუთე, გადასახადთა ამკრეფებისა და მოსამართლეების შემოწმება, პატიოსნების დაჯილდოება და უწესოთა დასჯა; მეექვსე, პატიმრების საქმეთა კონტროლი, დამნაშავეების დასჯა და უდანაშაულოების განთავისუფლება; მეშვიდე, მიმოსვლის გზების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მერვე, ომისთვის მაღალხარისხოვანი იარაღის შეგროვება; მეცხრე, ქვეშევრდომების განსჯისას კეთილგონიერების გამოჩენა; მეათე, წინაპრების, ახლობლებისა და ნათესავების პატივისცემა; მეთერთმეტე, ვეზირების, მრჩევლების, სახელმწიფო მოხელეებისა და სამხედროების დამსახურების მიხედვით უზრუნველყოფა; მეთორმეტე, ჯაშუშების დანიშვნა ყველა *ვილაიეთში*, რათა მოვლენებმა სწრაფად და ფარულად მიაღწიონ მმართველამდე.

ბაჰმან იბნ ესფანდიარიც[462] ყველას, ვისაც სადმე აგზავნიდა, თან საიდუმლო ინფორმატორს აყოლებდა. თუ ის კარგად შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, მეფე მას დიდ პრივილეგიებს ანიჭებდა და თუ არა – აგდებდა.

თბილისიდან გამგზავრება

შავალის თვის თვრამეტში (31 ივლისს), ხუთშაბათს დილით თბილისში შევედით, ცხრამეტში (1 აგვისტოს), პარასკევს კი ორთქლმავალში ჩავსხედით და ბათუმისკენ გავემგზავრეთ. თბილისიდან ბათუმამდე თექვსმეტი სადგურია.

ქალაქის შემოგარენი გავიარეთ, მთები უკან ჩამოვიტოვეთ და ჩვენ წინ ფართო ვაკე გადაიშალა. შორი-ახლოს მთის კალთებზე შეფენილი სოფლები ტყიან ხეობებში იკარგებოდა. გარშემო უამრავი გამჭვირვალე ნაკადული და მდინარე

---

460 არდაშირ ბაბაკანი ანუ არდაშირ ბაბაკის ძე – ირანის მეფე (IIIს.), სასანიანთა დინასტიის დამაარსებელი.

461 ბოზორჯმიჰრი – ხოსროვ ანუშირვანის (VIს.) ნახევრადლეგენდარული ვეზირი, რომელიც თავისი სიბრძნითა და სამართლიანობით იყო ცნობილი.

462 ბაჰმან იბნ ესფანდიარი (ძვ.წ. 465-424) – აქემენიდების დინასტიის ნახევრადლეგენდარული მეფე.

მოედინებოდა. აქა-იქ მოურწყველი ნათესები ხეებით გარშემორტყმულ პატარა ბაღებს ჰგავდა. ზოგიერთი მაღალი მთა თოვლით იყო დაფარული. ხეობებს შორის რამდენიმე ქვის კარგი სახლი იდგა, რომლებშიც ქართველები და სომხები ცხოვრობდნენ. მინდვრებზე და ველებზე ცხვრის, ძროხის, კამეჩის, ღორისა და ცხენის ჯოგები ბალახობდნენ. მატარებლებისთვის მდინარეებზე რკინის ხიდები, ხოლო მთებში გვირაბებია აშენებული. გზაზე სულ სამი გვირაბი შეგვხვდა: პირველი, რომელიც ბეჟათუბნის (Bī Jī Tūban) სადგურის ახლოს მდებარეობს, მატარებელმა ორმოც წამში გაიარა, მეორე – 25 წამში, ხოლო მესამე – 20 წამში.

ერთი სიტყვით, ეს გზა ძალიან ლამაზია და ძირითადად მთებზე, ტყეებზე, მდინარეებსა და ამწვანებულ მინდვრებზე გადის. ბათუმამდე ორი სადგური იყო დარჩენილი, ზღვა რომ გამოჩნდა. მატარებელი ზღვას ხან შორდებოდა და ხან უახლოვდებოდა.

შავალის თვის ოცში (2 აგვისტოსს), შაბათს, დაღამებამდე სამი საათით ადრე ბათუმში შევედით. თბილისიდან ბათუმამდე, სადგურებზე გაჩერებების ჩათვლით, დაახლოებით 15 საათის გზაა. ამგვარად, კაცს ბაქოდან ბათუმში ჩასასვლელად 33 საათი სჭირდება: ბაქოდან თბილისამდე – 17 საათი, მერე მატარებელი ერთი საათი თბილისის სადგურში ჩერდება და თბილისიდან ბათუმამდეც – 15 საათი. მგზავრობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კეთილმოწყობილი ან დაზიანებულია გზა.

ბათუმი

ბათუმი პორტია, რომელიც ზღვის პირას, ტყით დაფარულ მთის კალთებზეა გაშენებული. მის მარჯვენა მხარეს მდინარე ჩოლოქი (Chūlūg) მოედინება, მარცხნივ კი – ჭოროხი (Chūrūq), მაგრამ არც ერთი ქალაქს ახლოს არ ჩაუვლის. ადრე აქაურობა ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და რუსეთის სამეფოს მნიშვნელოვან ნავსადგურს ფოთი წარმოადგენდა, მაგრამ ოსმალეთისა და რუსეთის ბოლო ომის მერე ეს პორტიც რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ბათუმი სატრანზიტო ქალაქად იქცა და ფოთიდან ტვირთის გადაზიდვა შემცირდა. ბათუმსა და ფოთს შორის ზღვით დაახლოებით 6 *ფარსახია*. ბათუმი ოდითგანვე საქართველოს ნაწილი და პორტი იყო. უეჭველია, ეს სწორედ ის თუმის (Tūm) ციხესიმაგრეა, რომელიც ემირ თემურმა საქართველოში აიღო.

ახლა ბათუმში დაახლოებით 2000 სახლია და მისი მოსახლეობა რვა-ცხრა ათას კაცს შეადგენს. ქალაქში სუფთა და კეთილმოწყობილი ქუჩები, ბაზრები და დუქნები ააშენეს, ძველი სახლები და დუქნები კი ქუჩების გაყვანისას დაანგრიეს. ქალაქში ძალიან დიდი რკინიგზის სადგური და ხუთი-ექვსი სასტუმრო და *ჰოტელია*. ზღვის პირას გაშენებული სახელმწიფო პარკი სახალხო სასეირნო ადგილია. გორაკზე მდგარი ძველი ციხესიმაგრე, რომელიც ადრე ოსმალეთის საკუთრება იყო, გაამაგრეს და თითო კოშკზე თითო ქვემეხი დააყენეს. ქვემეხის ლაფეტი ლიანდაგზე მატარებელივით მოძრაობს, რაც არტილერისტს საშუალებას აძლევს, ძალიან დიდი ზარბაზანი მისთვის სასურველ ადგილზე წაიღოს.

რუსები ბათუმის ასაყვავებლად ძალ-ღონეს არ იშურებენ. მაგალითად, იმისთვის, რომ ბევრი იაფი პროდუქცია იყოს, დაადგინეს, რომ ბათუმში შემო-



ბათუმის პორტი. 1900-იანი წლების ფოტოსურათი.

ტანილი საქონელი არ განაბაჟონ, რუსეთში შემოტანილ საქონელზე კი მაქსიმალურად მაღალი საბაჟო გადასახადი დააწესეს (დეტალები ჩემი მოგზაურობის ანგარიშში იქნება აღწერილი). რაც შეეხება ექსპორტს, როგორც საკუთარი ქვეყნიდან, ისე საზღვარგარეთიდან, მას არ განაბაჟებენ. მათი მიზანია, რომ საზღვარგარეთიდან საქონელი განბაჟებული შემოვიდეს, საკუთარი კი განუბაჟებლად გავიდეს.

ბათუმის პორტს დიდი საბაჟო აქვს. ირანის ქვეშევრდომების უმრავლესობა, მათ შორის მომლოცველები და მოგზაურები, სტამბოლსა და ეგვიპტეში ამ პორტის გავლით მიდიან. ვინც ბაქოში ირანული *ყერანები* მანეთსა და იმპერიალზე გადაცვალა, აქ ამ ფულს თურქულ ლირაზე ცვლის და კაცის მოხერხებულობა სწორედ ამ საქმეში ჩანს.

რუსეთში მბრუნავი ფული

ახლა რუსეთში მბრუნავი ფული მინდა აღვწერო. შავ ფულს აქ კაპიკს ეძახიან. მისი რამდენიმე სახეობა იჭრება: ორკაპიკიანი, სამკაპიკიანი და ხუთკაპიკიანი[463]. ეს უკანასკნელი 1 *შაჰი* მანეთის ტოლია, 15 კაპიკი – სამი *შაჰი* მანეთის, ხოლო 20 კაპიკი – 1 *აბასი* მანეთის[464]. აქვთ კიდევ ვერცხლის ფული *ჩათვარი*[465], რომელიც 5 კაპიკს, ანუ 1 *შაჰი* მანეთს შეესაბამება. *ჩათვარებს* 1 *აბასი* მანე-

[463] რუსული пятак.

[464] რუსული двугривенный.

[465] რუსული четвертак.

თამდე ჭრიან: 1 *ჩათვარი* 5 კაპიკის (1 *შაჰი* მანეთი), 2 *ჩათვარი* 10 კაპიკის (2 *შაჰი* მანეთი), 3 *ჩათვარი* 15 კაპიკის (3 *შაჰი* მანეთი), ხოლო 4 *ჩათვარი* – 20 კაპიკის (1 *აბასი* მანეთი) ეკვივალენტურია. ირანში კარგად ნაცნობი *ჩათვარი* 1 *აბასი* მანეთის ტოლია, ხუთი ასეთი *ჩათვარი* კი ერთ მანეთს უდრის. მათ ასევე აქვთ ვერცხლის ფული ხუთი *შაჰისთვის*, 6 *შაჰისთვის* და ასე 10 *შაჰიმდე* და ასევე 15 *შაჰი* – მანეთისთვის. აქ ვერცხლის მანეთსაც ჭრიან. ვერცხლის მანეთის ფასი 140 კაპიკია, თუმცა ეს ციფრი დროდადრო იცვლება. ქაღალდის მანეთის ფასი 100 კაპიკია და მას იგივე სახელი ჰქვია. ვერცხლის მანეთი ძალიან იშვიათია, თეთრი ფული კი, რომელიც მანეთზე ნაკლებია, ბევრია, მაგრამ ის, ძირითადად, სპილენძისა და მელქიორისგან მზადდება და ვერცხლისაზე უფრო მძიმეა. მიმოქცევაში მყოფი ძირითადი ფულის ერთეული ქაღალდის მანეთია და მას ასევე ჰქვია. ის ერთმანეთიანიდან ათასმანეთიანამდეა და მანეთები ერთმანეთისგან ქაღალდის ფერითა და მათზე აღნიშნული ციფრებით განსხვავდება.

რუსეთში 1 ირანული *თუმანი* 3 მანეთის ტოლია, 1 *აბასი* მანეთი 4 მანეთამდეა, თითოეული მანეთის ფასი კი 3 ან სამნახევარი ირანული *ყერანია*.

ოქროს ფულს იმპერიალი ჰქვია და მისი ფასი 8-8,5 ქაღალდის მანეთს შორის მერყეობს, რაც 24-25 *ყერანის* ტოლია. მათ აქვთ კიდევ ერთი ფულის ერთეული, რომელსაც დუკატს ეძახიან. ერთი დუკატი 3 ქაღალდის მანეთს შეესაბამება. თურქული ლირა აქ 8 მანეთიდან და 3 *აბასი* მანეთიდან 9 მანეთამდე და 2 *აბასი* მანეთამდეა, რაც 26-28 ირანულ *ყერანს* უდრის.

ბათუმის პორტის საქონელი

ბათუმს ვაჭრობისთვის საკუთარი საქონელი არა აქვს და ის რუსეთიდან და მოსკოვიდან შემოაქვთ. ზოგჯერ რაშთის აბრეშუმი, შალი, ქეჩა და ნავთობი სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში ბათუმის გავლით მიაქვთ. დიდვაჭარი ბათუმში არ არის.

უცხოეთის ქვეშევრდომები

რუმის სახელმწიფოს[466] ბათუმში თავისი კონსულის თანაშემწე ჰყავს. ის იმ მემამულეების იურიდიულ საქმეებს აგვარებს, რომლებიც ადრე რუმის ქვეშევრდომები იყვნენ და ახლა მოქალაქეობა დაიბრუნეს. ბათუმში ინგლისის დაახლოებით 20 მოქალაქე ცხოვრობს და აქ ინგლისის კონსულის თანაშემწეც ზის.

ირანის მთავრობა ბათუმში ხანდახან ერთ სომეხს, სახელად თექრანს აგზავნის. ადრე ის ვაჭარი იყო, მაგრამ მერე გაკოტრდა. ძალიან მატყუარა და უზნეო კაცი ჩანს.

მექაში პილიგრიმობის პერიოდში ბათუმში თბილისის კონსულის დროებითი წარმომადგენელი ჩამოდის. ახლა ამ მოვალეობას ჰაჯი აყა ბეგი ასრულებს. ქალაქში ოცამდე ირანის ქვეშევრდომია. მათ შორის არიან ყავახანის მეპატრონეები, დალალები, მშენებლები და სხვა. ღმერთმა დაგიფაროთ ამ ყავახანის მეპატრონეებისა და დალალებისგან.

---

[466] იგულისხმება ოსმალეთის იმპერია.

ერიდე მალაიერის[467] *დუშაბს,*
რომლისგანაც ჯალაიერსაც[468] კი პირზე ნერწყვი მოადგა.

თავიდან ისინი მხურვალედ ეგებებიან აქ ჩამოსულ პილიგრიმებს, მათ სამშობლოსა და რელიგიაზე ლაპარაკით გულს უჩუყებენ, მერე კი საწყლებს ყოველმხრივ ძარცვავენ. მაგალითად, მათი დაჟინებული მოთხოვნით ირანის, რუმის და ინგლისის ვიცე-კონსულები და ბათუმის ხელისუფლება პილიგრიმებს პასპორტებს დასამოწმებლად ართმევენ და ორი-სამი დღე აღარ უბრუნებენ. მოგზაური, რომელსაც აგვიანდება, იძულებულია დალალს მიმართოს და ნებისმიერ ფასად დაიბრუნოს პასპორტი, რომელზეც რამდენიმე გაურკვეველი წარწერაა გაკეთებული და რომლის ბათუმში დამოწმება სულაც არ იყო საჭირო. გარდა ამისა, ირანელი დალალები და ყავახანის მეპატრონეები მოჩვენებითი გულწრფელობით ურჩევენ პილიგრიმებს, დასაბეგრი საქონელი ჯიბეებში, ქუდებში, ლეიბებსა და მუთაქებში დამალონ, ამასობაში კი მებაჟეებს ურიგდებიან და ატყობინებენ, რომ მავანმა საქონელი საბაჟოს დაუმალა. მებაჟეები მოტყუებულ პილიგრიმს საქონელს ართმევენ, აპატიმრებენ და საბაჟო გადასახადთან ერთად ჯარიმასაც ახდევინებენ. ამ საქმეში დალალებთან ერთად სომეხი თექრანიც არის გარეული და მასაც აქვს თავისი წილი.

სანავიგაციო კომპანიები

ორთქლზე მომუშავე გემების კომპანიებს ბათუმში განსაზღვრული განრიგი აქვთ. ყველა ქვეყანა ფოსტას ნაციონალური სანავიგაციო კომპანიების გემების საშუალებით აგზავნის. მათ შორისაა, ავსტრიული „ლოიდი" (Lüt)[469], ფრანგული „პაკე" (Pāke)[470], „მესაჟერი" (Mesāzherī)[471], „ფარანსე" (Faranse) და აგრეთვე ერთი რუსული კომპანია. თითოეული კვირაში ერთხელ თითო გემს აგზავნის. ხანდახან ნავსადგურში ინგლისური გემიც შემოდის, მაგრამ ის სანავიგაციო კომპანიას არ ეკუთვნის და ამიტომ განრიგი არა აქვს.

ბათუმის ნავსადგური

ბათუმს კარგი ნავსადგური აქვს. ზღვის სანაპიროზე აშენებულია მშვენიერი ქვის ჯებირი და ხის ნავმისადგომი, რომელშიც დიდი გემებიც კი შედიან. მისი ერთი მხარე ნაპირს ებჯინება და ნავში მჯდომებს თავისუფლად შეუძლიათ

---

467 მალაიერი ვილაიეთია შამადანსა და ბორუჯერდს შორის.

468 ჯალაიერი ირანელი სუფი პოეტია (?-925/1519).

469 იხ. შენიშვნა 397.

470 პაკეს სანაოსნო კომპანია (Compagnie de navigation Paquet, CNP) დააარსა 1859 წელს ფრანგმა გემთმფლობელმა ნიკოლა პაკემ (1831-1909). 1873 წელს კომპანიამ შავ ზღვაზე გახსნა სარეისო ხაზები, რომლებითაც ბათუმი, ფოთი და სევასტოპოლი კონსტანტინოპოლთან და მარსელთან დააკავშირა.

471 მესაჟერი მარიტიმი („საზღვაო გადაზიდვები", Messageries Maritimes) იყო წამყვანი ფრანგული სანაოსნო კომპანია. დაარსდა 1851 წელს. ასრულებდა რეისებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მისი გემები დაცურავდნენ ბათუმსა და მარსელს შორის.

გემზე ასვლა. რაც შეეხება ნავსადგურის ხარჯებს, ამ ყურეში შემოსული ყველა გემი გადასახადებს დადგენილი წესით იხდის...

უკანა გზა

ბათუმი

როცა გემი ნავსადგურს მიუახლოვდა, კაპიტანმა მგზავრებს ქვეყანაში შესვლის ნებართვა მოსთხოვა. გემბანზე ჯერ ბათუმის *კარანტინის* რუსი ექიმი ამოვიდა, სტამბოლში რუსეთის საელჩოს ექიმის მიერ გაცემული ჯანმრთელობის ცნობები შეამოწმა, მგზავრების მდგომარეობა გამოიკითხა და მერე ნაპირზე გადასვლის უფლება მისცა. თუ ვინმე ავად არის ან სტამბოლის ექიმის მიერ გაცემული ცნობა არა აქვს, მას ხუთი დღე იძულებით *კარანტინში* ტოვებენ. ექიმის ნებართვის შემდეგ საპასპორტო განყოფილების გულმოდგინე მოხელეებმა პასპორტები მოითხოვეს და ვისაც არ ჰქონდა, უკან დააბრუნეს, დანარჩენებს კი წერილობითი საშვები მისცეს. მეორე დღეს მგზავრები საპასპორტო განყოფილებაში მივიდნენ, საშვები წარადგინეს და დამოწმებული პასპორტები აიღეს. ამ პროცედურაში მათ ერთი მანეთი გადაიხადეს.

რაბი ალ-ავალის თვის 4-ში (11 დეკემბერს), პარასკევს დილით ბათუმში შევედით, შაბათს იქ დავრჩით, კვირას კი რკინიგზის სადგურში წავედით და ორთქლმავალში ჩავსხედით. ბათუმის საბაჟო რკინიგზის სადგურის შენობაში მდებარეობს და ვეცდები ის დეტალურად აღვწერო.

საბაჟოს აღწერა

რუსეთში შემოტანილ ყველა სახის საქონელს პირველსავე პუნქტში უზარმაზარ ბაჟს ადებენ, გასატანს კი არ განაბაჟებენ. ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობს ბათუმის აყვავებას, ამიტომ ამცირებს ექსპორტს და ზრდის იმპორტს, რომელიც არ იბეგრება. მაგრამ თუ ვინმეს უნდა, რომ საზღვარგარეთიდან საქონელი შემოიტანოს, მებაჟეები დიდ სიმკაცრეს იჩენენ და მას განსაკუთრებულ ბაჟს ახდევინებენ. მაგალითად, ერთ თავრიზულ *მან* ხურმაში, რომელიც ერთი *ყერანი* ღირს, ან ხუთ *ზარ'* მაუდის ნაჭერში ლამის მათი ფასის ეკვივალენტ საბაჟო გადასახადს ახდევინებენ. შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი ბაჟდება: კაცს საგზლად ორი *მანი* ბრინჯი ან ორი *მანი* ორცხობილაც რომ ჰქონდეს, იმაშიც კი ბაჟს გამოართმევენ. ამიტომ, რადგან მოგზაურებმა იციან, რომ საკუთარ ლეღვს, ფინიკს, ხახვს ან სხვა საჭმელსა თუ სასმელს ვერც გაიტანენ და ვერც გაყიდიან, მათ უბრალოდ ყრიან. ჩვენ თვითონ რამდენიმე ყუთი იზმირის ლეღვი და შვიდი-რვა *მანი* მედინას ხურმა საბაჟო გადასახადის შიშით ირანელ დალალებს მუქთად მივეცით.

აქ ტანსაცმელიც კი იბეგრება, თუ ძალიან ჭუჭყიანი და გაცვეთილი არ არის. ერთი წყვილი ახალი, ჩაუცმელი წინდა რომ გქონდეს, იმის გადასახადსაც გამოგართმევენ. უკლებლივ ყველა ნივთი ასე ბაჟდება, ჩიტის გალიაც კი.

ერთ მანეთამდე ღირებულების საქონელი არ იბეგრება, ერთ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელზე კი ნორმა არ არსებობს და ყველაფერი ერთნაირად ბაჟდება.

[მებაჟეები] ბარგში, ფუთებში, ბოხჩებში, ყუთებსა და ჩანთებში იქექებიან, დასაჯდომ ბალიშებს, საბნებს და მუთაქებს არღვევენ და ხალხს ჯიბეებსა და იღლიებსაც კი უთვალიერებენ. თუ ვინმეს ჯიბეში ან იღლიაში ორ დანას ან ორ კრიალოსანს აღმოუჩენენ, მას ბაჟს გადაახდევინებენ.

საბაჟოს შენობის შიგნით რკინის მესერი აყენია, რომ, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ რამე არ მოიპაროს. საქონლის პატრონები მესერის ერთ მხარეს დგანან და მებაჟეებს მათი ბარგი მეორე მხარეს გადააქვთ, რათა პატრონების გარეშე გაჩხრიკონ და ყურადღებით დაათვალიერონ.

საბაჟოს მოხელეები და ჯარისკაცები, რომლებიც აქაურობას დარაჯობენ და იცავენ, ძირითადად ქურდები და თაღლითები არიან. ისინი ხალხმრავალ ადგილებში ჭყლეტითა და ალიაქოთით სარგებლობენ და საქონელს გასაოცარი ოსტატობით იპარავენ. მაგალითად, როცა ერთმა ირანელმა ჩანთიდან მანეთი ამოიღო, ჯარისკაცმა შეამჩნია, ჩანთა სწრაფად დააგდებინა და წაართვა. მათი მიზანია, რომ მოგზაურმა რაც შეიძლება მეტი საქონელი დაკარგოს, დანარჩენი კი გაუფუჭდეს. მგზავრი, რომელსაც მატარებელზე აგვიანდება, იძულებულია, დაკარგულ საქონელზე თვალი დახუჭოს, რადგან რომც დარჩეს და მართლმსაჯულებას მიმართოს, მის ჩივილს ყურს არავინ დაუგდებს და ვერაფერს გახდება.

ამ მძიმე ვითარების გამო, მოგზაურები ბათუმის საბაჟოზე ბევრ გაჭირვებას იტანენ. ეს ყველაზე ცუდი ქალაქია პილიგრიმებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც უკან ბრუნდება. როცა მათ საბაჟოზე არსებული ვითარება გაიგეს, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ვისაც ტრაბზონში მეგობარი ან ნაცნობი ჰყავდა, თავისი საქონელი, ნაცვამი ტანსაცმელიც კი, მათ გაუგზავნა, რათა ირანში ტრაბზონიდან გადაეგზავნათ. სხვებმა კი პატარა საგნები, მაგალითად, დანა, ფესი, კრიალოსანი დასაჯდომ ბალიშში, მუთაქაში, ჩალმაში, ჯიბეში და იღლიაში დამალეს. ზოგიერთი მათგანი დაიჭირეს, ჯარიმა გადაახდევინეს და საქონელიც წაართვეს.

ვისაც ახალი და სუფთა ტანსაცმელი ჰქონდა, იმის შიშით, რომ საბაჟო გადასახადი არ გადაეხადა, ზემოდან სხვა ტანსაცმელი გადაიცვა. პილიგრიმს, რომელსაც წინა დღეს ნაბდის ქუდი ეხურა და დაგლეჯილი კაბა ეცვა, დღეს თავზე წყვილი ეგვიპტური შალის მოსახვევი ჰქონდა შემოხვეული, ჯუბა, ყაბა და მაუდის ჟილეტი ეცვა, იღლიაში საათი ედო, სათვალე ეკეთა და ხელში ქარვის კრიალოსანი ეჭირა.

ირანელი თაღლითები

ირანელი პილიგრიმებისთვის ბათუმის საბაჟო მოხელეებზე უფრო დიდი უბედურება ის ნაძირალა მაწანწალა ირანელი დალალები არიან, რომლებიც დიდი ხანია აქ ცხოვრობენ. ისინი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი, თითოეულს რამდენიმე ხელქვეითი ჰყავს და, ძირითადად, პილიგრიმების ძარცვითა და შეგვიწროებით არიან დაკავებული. მათი ლიდერები არიან თექრან არმანი, წარმომავლობით ირანელი, რომელიც ხანდახან ბათუმის ვიცე-კონსულის მოვალეობას ასრულებს, ირანელი ჰაჯი ყოლამი, საბაჟოს ჯარისკაცი, მოჰამად ალი ქერბალაი, მაშჰადი რეზა და მაშჰადი ალი იაზდი.

ჯერ ერთი, ისინი მოგზაურებსა და პილიგრიმებს იძულებით ართმევენ პასპორტის ფულს, რომელიც, წესით, აქ არ უნდა გადაიხადონ და თითო პასპორტში ორ თუმანს თხოულობენ.

მეორეც, ირანელი დალალები ყველა გასაქირავებელ ბინაში თავიანთ წილს იღებენ. თუ, ვთქვათ, ბინის ქირა 5000 *დინარია* (ნახევარი თუმანი), ისინი ძალით, თხოვნითა და ლანძღვა-გინებით აიძულებენ მოგზაურებს ორი *თუმანი* მისცენ.

გარდა ამისა, თუ მოგზაურს რამის შეძენა სურს, ისინი გამყიდველებსა და ვაჭრებს უთანხმდებიან და ყველაფერს ორმაგ ფასს ადებენ, ხოლო თუ რამის გაყიდვა სურს, საქონელს ისე უფუჭებენ, რომ მის გაყიდვას ნახევარ ფასშიც კი ვერ ახერხებს.

და ბოლოს, თუ, ვთქვათ, საწყალი მოგზაურის დალალი ან გამყოლი თექრანის დაჯგუფებიდან არის, ჰაჯი ყოლამის ბანდა ცდილობს, მას საქონელი მოჰპაროს და დიდი ზარალი მიაყენოს. გარდა ამისა, თუ საბაჟოზე რამე იკარგება, დანაშაულს მას აბრალებენ, აპატიმრებენ და ჯარიმას ახდევინებენ.

საწყალი ირანელი მოგზაური თავგზააბნეულია და არ იცის, რა ქნას, სად წავიდეს, რომელ დაჯგუფებას დაუკავშირდეს, როგორ თქვას უარი თავის საქონელსა და საჭმელ-სასმელზე, როგორ გაუძლოს ამხელა საბაჟო გადასახადს, როგორ დაემალოს ამ რუს ქურდებსა და ირანელ თაღლითებს, ვის მიენდოს, როგორ გადარჩეს.

მართლაც, რომ უცნაური სიტუაცია იყო. „დღეს მამა შვილს ვერ ცნობს", „დღეს ძმა ძმას აღარ ენდობა", „საშინელი სამსჯავროს დღე დადგა". მოგზაურები საშინლად დაბნეულები და შეშინებულები იყვნენ. თქვენს მონა-მორჩილს განსაბაჟებელი არაფერი მქონდა, ამიტომ მშვიდად ვათვალიერებდი იქაურობას.

ჰექაიათი

შეიხ შიბლიზე[472] ყვებიან, რომ ერთხელ ქარავანთან ერთად მოგზაურობდა და თავს ყაჩაღები დაესხნენ. გამწარებული ხალხი დაკარგულ საქონელს მისტიროდა და მოთქვამდა. უცებ შეამჩნიეს, რომ შეიხი კუთხეში მიმჯდარა და იცინის. როცა სიცილის მიზეზი ჰკითხეს, უპასუხა: „ამ ხალხს ყველაფერი, რაც ჰქონდა, ყაჩაღებმა წაართვეს და ამიტომ გოდებენ. მე კი წასართმევი არაფერი მქონდა, ამიტომ მშვიდად ვარ და ვიცინი. „უქონელი უდარდელია".

ქვეყნად განდიდებულია ის, ვისაც ტვირთი არა აქვს,
ის კი, ვინც დატვირთულია, დაკნინებულია.

---

[472] აბუ ბექრ შიბლი (861-945) – ცნობილი ბაღდადელი სწავლული და სუფი შეიხი, რომლის მშობლები ხორასნიდან იყვნენ გადმოსახლებული ერაყში. შეიხ შიბლი ფრიად პოპულარული იყო XIX საუკუნის ირანში. სხვათა შორის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლურ კოლექციაში დაცულია შეიხ შიბლის პორტრეტი, შესრულებული უცნობი ირანელი მხატვრის მიერ (საინვ. № სხმ/აღ2285).

რაბი ალ-ავალის თვის 4 რიცხვში (11 დეკემბერს), ანუ ჯადის[473] ორში, პარასკევს დილით ბათუმში შევედით და ექვსში, კვირას დილით ათასი დაბრკოლებითა და გაჭირვებით მატარებელში ჩავსხედით და ბათუმიდან გავემგზავრეთ.

ბათუმში მშრალი ამინდი იდგა და არ ციოდა, მაგრამ ექვსი სადგურის გავლის შემდეგ შორიახლო მთებში თოვლი გამოჩნდა, თუმცა სიცივე არც აქ იგრძნობოდა. ექვსი საათის დაღამებული იყო, თბილისში რომ შევედით. მატარებელი თბილისის სადგურში ერთი საათი გაჩერდა, ახალი მგზავრებით შეივსო და გზა განაგრძო. თბილისს რომ გავცდით, ძალიან აცივდა, მაგრამ მატარებლის კუპეებში ორთქლის ღუმელები ენთო და თბილოდა. 7, ორშაბათი გზაში გავატარეთ. ჩვეულებრივ, მატარებელი ბაქოში მზის ჩასვლისთვის ჩადის ხოლმე, ანუ თბილისიდან ბაქომდე 17 საათს უნდება, მაგრამ ამჯერად ძლიერი სიცივის, დაზიანებული გზებისა და შემხვედრი მატარებლების გამო 21 საათი დაგვჭირდა და სამი საათის დაღამებული იყო, ბაქოში რომ შევედით.

---

[473] ჯადი (სიტყვ. „თხის რქა") ირანული მზის კალენდრის მეათე თვის დეის (დეკემბერ-იანვარი) ძველი სახელია.

მირზა აბდ ალ-მაჯიდ მაჰმუდ სეყეზი მაჯდი
და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა აბდ ალ-მაჯიდ მაჰმუდ იბნ აბდ ალ-ქერიმ სეყეზი (1852-1926), ცნობილი თახალუსით „მაჯდი" და ლაყაბით „მალექ ალ-ქალამი" (სიტყვის მეფე), თავისი დროის ცნობილი მწერალი, პოეტი და სუფი მისტიკოსი იყო. როგორც თვითონ წერს, მას ას ათასზე მეტი ბეითი ჰქონდა დაწერილი. ის წარმოშობით ქურთი და აღმსარებლობით სუნიტი იყო, თუმცა აღიარებდა 12 იმამს. აბდ ალ-მაჯიდ მაჰმუდი დაიბადა სეყეზში და განათლებაც იქვე მიიღო. თავდაპირველად მუშაობა დაიწყო ქალაქ სენენდეჯის გუბერნატორის მდივნად, ხოლო 1891 წლიდან – ქურთისტანის ვილაიეთის კანცელარიის უფროსად.

1888 წელს მან ცოლისა და სამი წლის ვაჟის თანხლებით მექასა და ათაბათში იმოგზაურა და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა მოგზაურობის წიგნში. თხზულების ხელნაწერი ინახება თეირანში მეჯლისის ბიბლიოთეკაში (№5124). რასულ ჯა'ფარიანმა ის შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი" და ჩვენ ამ გამოცემით ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Mīrzā 'Abd al-Majīd Mahmūd ibn 'Abd al-Kerīm Seqezī Majdī, "Safar-nāme-ye Makke va 'Atabāt", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 539-642.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 539-544.

მექასა და ათაბათში მოგზაურობის წიგნი
(1888)

თბილისში

1305 წლის 27 რამაზანი (1888 წლის 7 ივნისი), პარასკევი:

ქალაქ თბილისში შევედით. რადგან ქაღალდის ფული გვქონდა და იქ ოსმალურ ლირებზე უნდა გადაგვეცვალა, ამიტომ მე და ჰაჯი სარჰანგი ქალაქის განაპირას *ვაგზლის* (vakanral) ახლოს დავბინავდით, დანარჩენმა პილიგრიმებმა კი მატარებლით (kālaske-ye bokhār) გზა ბათუმამდე განაგრძეს.

თბილისში ორი დღე დავრჩით და ქალაქი და მისი შემოგარენი კარგად დავათვალიერეთ. თბილისი სიდიდით თავრიზის ხელაა, მაგრამ შენობებით, ფართო და სუფთა ქუჩებით, ქარხნებით, წყლით და კლიმატით მას ათასჯერ სჯობს. ქალაქი მთის კალთებზეა შეფენილი. მისი დიდებული შენობები ევროპულ ყაიდაზე თლილი ქვით, რკინით და ხით არის აგებული. სახლების სახურავები, კარები და კედლები სხვადასხვაფრად არის შეღებილი. აქაურ ბაზრებში ყველა სახის საქონელი იშოვება.

მდინარე მტკვარი, რომელიც ზღვასავით მოღელავს, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიედინება და ქალაქს შუაზე კვეთს. მისი წყალი ძალიან გემრიელია და ორთქლის მანქანით მთელ ქალაქს მიეწოდება.

ქალაქის ერთი ბოლოდან მეორემდე მტკვარზე ძალიან კარგი ქვის, რკინის და ხის ხიდებია აშენებული. ერთ-ერთი ხიდის გვერდით დგას უზარმაზარი თუჯის ქანდაკება, რომელიც იერითა და ტანსაცმლით ჩერქეზს ჰგავს[474].

რადგან ქალაქი მთის კალთებზეა შეფენილი, ამიტომ მისი შენობები ერთმანეთს გადაჰყურებს. ისინი ძალიან ლამაზი და სუფთაა. ქალაქის დასავლეთით მთის წვერზე მკვიდრად ნაშენი მაღალი ციხესიმაგრე დგას. ის ძალიან ძველია და მისი ამშენებელი უცნობია. მთაზე ავედი და ციხესიმაგრე, მისი ბურჯები და გალავანი დავათვალიერე. მათმა სიმტკიცემ გამაოცა, თუმცა ბურჯებიცა და გალავანიც აქა-იქ ჩამოშლილი იყო. იქვე ორი ევროპელი ბიჭი იჯდა და მთასა და ციხეს ხატავდა. ორივე ნახატი ორიგინალს ძალიან ჰგავდა. ბიჭები შევაქე და ძალიან გაუხარდათ.

მთაზე ორი საათი გავატარე და დავათვალიერე შენობები, რომლებიც იქიდან კარგად ჩანდა. თბილისში ბევრი ბაღი იყო. ქალაქს ტყეებით დაფარული მთები და მწვანეში ჩაფლული აყვავებული მინდვრები აკრავდა.

ქალაქის სამხრეთ-დასავლეთი მთის შუაში ლამაზი ეკლესიაა აშენებული. გვითხრეს, რომ ის შეიხ სანაანის სახელობის იყო, რადგან, თურმე, შეიხს ამ ქალაქში ქრისტიანი ქალი შეუყვარდა[475].

სიყვარული ადამიანური გრძნობაა, თუნდაც შენ ის არ გამოგეცადოს,
ჭამა და ძილი კი ცხოველთა საქმეა.

ჰაჯი სარჰანგთან ერთად წავედი და ეკლესია დავათვალიერე. იქიდან მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანდა.

28 რამაზანი (8 ივნისი), შაბათი:

დღის ორ საათზე მატარებელში ჩავსხედით და თბილისიდან გავემგზავრეთ. მწვანეში ჩაფლული მთა-ბარი ულამაზესი ბაღებითა და ნაირფერი ყვავილებით ედემის ბაღს ჰგავდა. ორ-სამ ადგილას მდინარე მტკვარზე აშენებულ რკინის გრძელ და მყარ ხიდზე გადავედით.

---

474 იგულისხმება მეფისნაცვალ მ. ვორონცოვის ქანდაკება, რომელიც მიხეილის ხიდის თავში იდგა.

475 იხ. შენიშვნა 50.

ოთხი საათის განმავლობაში მივდიოდით ღრმა ხეობაში, რომელიც ასტარას უღელტეხილზე ოცჯერ უფრო გრძელია. ბოლოს გავედით ფართო მინდორზე, რომელიც ტყით, მცენარეებითა და რეჰანით იყო დაფარული. მზე ჩავიდა და რადგან მთვარე ღრუბლებს ეფარებოდა, ჩამობნელდა. წინ მაღალი მიუვალი მთები გამოჩნდა. მიუხედავად ღამის სიბნელისა, ერთი წუთითაც არ დავწოლილვარ და ფანჯრიდან გზას ვათვალიერებდი. წყვდიადს ციცინათელები და სოფლებისა და სადგურების ჩირაღდნები ანათებდა. მათი ციალი და საამური ნიავი ძალიან მესიამოვნა. დილის ექვს საათზე ბათუმში ჩავედით. თბილისიდან ბათუმამდე მატარებელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიდის. გზაზე 18 სადგურია და ჩვენ ეს მანძილი 14 საათში გავიარეთ.

ბათუმში ჩასვლისთანავე მოვინახულეთ ჩვენზე ადრე ჩამოსული მომლოცველები. ქალაქში ორი დღე დავრჩით.

ბათუმი

ბათუმი რუსეთის საზღვარზე მდებარეობს და შავი ზღვის (Daryā-ye Syāh) ერთ-ერთი პორტია. შავ ზღვას არაბები ასვადის ზღვას (Bahr-e Asvad) ეძახიან, თურქები კი – ყარადანგიზს (Qarādangīz). ბათუმი ამ ზღვის ნაპირზეა გაშენებული და მასში დაახლოებით 2000 ოჯახი ცხოვრობს. ქალაქის შემოგარენი ტყეებით, მცენარეებითა და ყვავილებით არის დაფარული.

29 რამაზანი (9 ივნისი), კვირა:

დღეს ნაშუადღევს მესიზმრა, რომ ჩემი ძმის მირზა მოჰამად ამინის წერილი მივიღე და წავიკითხე. მწერდა, წინასწარმეტყველ მუჰამედს – ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება – ჩემ მაგივრად ესა და ეს შესთხოვეო. იმედი მაქვს, რომ როცა წმინდა საფლავის მიწას ვემთხვევი, მის თხოვნას შევასრულებ.

1305 წლის 1 შავალი (1888 წლის 10 ივნისი), ორშაბათი:

დღეს ფეთრის დღესასწაულია[476]. ბათუმის მეჩეთში, რომელიც ძალიან კარგი შენობაა, ვილოცეთ და იქაურ მუსლიმებს ბრწყინვალე დღესასწაული მივულოცეთ. მზის ჩასვლას სამი საათი აკლდა, როცა შავი ზღვის სანაპიროზე გავედით და ერთ-ერთ რუსულ სავაჭრო გემში ჩავსხედით.

გემზე უამრავი მომლოცველი და სხვა მგზავრი იყო. მზის ჩასვლისთვის გზას გავუდექით და ორ საათში ბათუმის ჩირაღდნები თვალს მიეფარა. ბათუმიდან სტამბოლამდე გემი დასავლეთისკენ მიდიოდა. დასავლეთით და ჩრდილოეთით ნაპირი არ ჩანდა, სამხრეთით კი თბილისისა და ბათუმის შემოგარენის მსგავსად ტყეები და მწვანეში ჩაფლული აყვავებული მინდვრები იშლებოდა.

---

[476] ფეთრის დღესასწაული რამაზანის მარხვის დასრულების ზეიმია.

მოჰამად მა'სუმ ნაიებ ას-სადრ შირაზი და მისი მოგზაურობის წიგნი

მოჰამად მა'სუმ შირაზი, ცნობილი ლაყაბებით „ალი შაჰი" და „ნაიებ ას-სადრი" თავისი დროის გამოჩენილი სწავლული და სუფი იყო. ის დაიბადა შირაზში 1854 წელს და დაწყებითი განათლება იქვე მიიღო. ბაბუამისი შეძლებული ვაჭარი იყო, ხოლო მამა ზეინ ალ-აბედინი (რაჰმათ ალი შაჰი) – სუფიზმის მიმდევარი. მოჰამად მა'სუმი მამის კვალს გაჰყვა, სუფიზმის შესასწავლად ჯერ ათაბათში, შემდეგ კი ისფაჰანსა და თეირანში გაემგზავრა და სუფიური წვრთნა ცნობილ შეიხებთან გაიარა. თეირანში ყოფნისას მან ნასერ ად-დინ შაჰისგან მიიღო ნაიებ ას-სადრის ლაყაბი. მოჰამად მა'სუმი ბევრს მოგზაურობდა: 1880-85 წლებში მოიარა ინდოეთი, 1886 წელს გაემგზავრა გონაბადში, სადაც მოლა სოლთან ალი გონაბადის დაუკავშირდა. ირანში კონსტიტუციური მოძრაობის დაწყების შემდეგ ის კონსტიტუციონალისტი გახდა და აქტიურად მონაწილეობდა შაჰისა და მეჯლისის დაპირისპირებაში. შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში გორგანისა და გონაბადის ვაკუფური ქონების მართვის უწყებას ხელმძღვანელობდა. გარდაიცვალა მოჰამად მა'სუმი 1926 წელს მეშჰედში.

მოჰამად მა'სუმი რამდენიმე წიგნის ავტორია. მათგან უმნიშვნელოვანესია სუფიური ტრაქტატი „თარაიეყ ალ-ჰაყაიეყ" („ჭეშმარიტების გზები"), რომელიც სუფიზმის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულებაა ნათელხილვის მდგომარეობის (ჰალის) შესახებ. მოჰამად მა'სუმს ეკუთვნის ასევე „მექაში მოგზაურობის წიგნი", რომელსაც თავად „თოჰფათ ალ-ჰარამეინ ვა სა'ადათ ად-დარეინ"-ს („ორი წმინდა ქალაქის ძღვენი და ორი სამყაროს ნეტარება") ეძახდა. წიგნში ასახულია 1888 წელს მისი მოგზაურობა მექასა და მედინაში. სხვა მოგზაურობის წიგნებისგან განსხვავებით, მოჰამად მა'სუმის თხზულებაში ბევრი ადგილი ეთმობა მსჯელობას სხვადასხვა განყენებულ თემაზე. წიგნი იწყება ვრცელი შესავლით, რომელიც მთელი თხზულების მეხუთედს შეადგენს. შესავალში ავტორი ძირითადად მსჯელობს რელიგიურ-ფილოსოფიურ საკითხებზე, ასევე ჰაჯის არსსა და მომლოცველის ქცევის ნორმებზე, თუმცა არც ყოფით საკითხებს ივიწყებს და იმ სიძნელეებს ეხება, რომლებსაც მოგზაურები გზაში ხვდებიან. თხზულება პირველად დაიბეჭდა 1889 წელს ბომბეიში მირზა მოჰამად შირაზი მალექ ალ-ქოთაბის ძალისხმევითა და თავად ავტორის მეთვალყურეობით. თარგმნისას ჩვენ ვისარგებლეთ იმ გამოცემით, რომელიც 2010 წელს რასულ ჯა'ფარიანმა შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი". გავითვალისწინეთ, აგრეთვე, ჰარუნ ვაჰუმანის 2009 წლის პუბლიკაციაც.

ტექსტები

Mohammad Ma'sūm Nāyeb as-Sadr Shīrāzī, "Safar-nāme-ye Makke, Tohfat al-harameyn va sa'ādat ad-dāreyn", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 293-538.

Nāyeb as-Sadr Shīrāzī, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Safar-nāmehā-ye khattī-ye fārsī*, j.2, tashīh va pazhūhesh-e Hārūn Vahūman, Tehran, 1388/2009, 17-262.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame-ye safar-nāme", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 293-307.

Hārūn Vahūman, "Darvīsh-e jahāngard", წიგნში: *Safar-nāmehā-ye khattī-ye fārsī*, j.2, 19-25.

Khalīlolāh Yazdānī, "Hajj va safar-nāme", 137-143.

მეჩაში მოგზაურობის წიგნი
(1888)

თბილისი

[1305 წლის 18 შავალი (1888 წლის 28 ივნისი), პარასკევი:

გათენებას სამი საათი აკლდა, როცა მატარებლის მოახლოების მაუწყებელი ზარის ხმა გაისმა. ბაქოდან ბათუმამდე პირველი კლასის ბილეთი 18 მანეთი და 18 კაპიკი ღირს. ოთხი-ხუთი თავრიზული *მანი* ბარგის გადატანა უფასოა, მეტ წონაში კი დამატებით გადასახადს იხდი. ბაქოსა და რუსეთის სხვა რეგიონებში *იმპერიალი* და ქაღალდის მანეთი იხმარება. ერთი მანეთი 3000 ირანული *დინარის* ტოლია. ყველანი ჩვენს ადგილებზე დავსხედით და მატარებელი დაიძრა. ძირითადად, მთებსა და ტყეებში მივდიოდით. მთელ გზაზე ორი ან მეტი *ფარსახის* დაშორებით სადგურები და სასტუმროები იყო აშენებული.

ერთ ადგილას ჩაის დასალევად მატარებლიდან ჩავედი და მუსლიმურ ყავახანაში შევედი. იქ დამწუხრებული ჰაჯი ესქანდერ ხანი ვნახე. წუხილის მიზეზი ვკითხე და მიპასუხა: „165 მანეთი მომპარეს და ვიცი, ქურდი ვინც არის". მაგრამ რადგან მატარებლის გასვლის დრო იყო, ვერაფერს გახდა. ერთმა ისფაჰანელმა მღვდელმა[477], რომელიც ჩვენთან ერთად მგზავრობდა, თქვა: „ყოველთვის და, განსაკუთრებით, *ჰაჯის* პერიოდში ბევრი უნამუსოა, ვინც ჯიბის ქურდობას ეწევა. ამ გზაზე ასეთი ჯიბგირი ბევრია. ისინი ხალხის დაყაჩაღებაში ძალიან დახელოვნებულები არიან. ფრთხილად უნდა იყოთ, რადგან

გინდ ეხვეწო და გინდ იყვირო,
ქურდი უკან არაფერს დაგიბრუნებს".

---

477 ალბათ იგულისხმება სომეხი მღვდელი. ისფაჰანში არაერთი სომხური ეკლესიაა.

19 შაავალი (29 ივნისი), შაბათი:

მშვენიერი ამინდი იდგა და არემარე ძალიან ლამაზი იყო. გარშემო მინდვრები, ნათესები, ტყეები და მდინარეები მოჩანდა. დილის ათ საათზე თბილისის სადგურში შევედით. მატარებელი თბილისში 45 წუთი ჩერდება და მერე ბათუმისკენ აგრძელებს გზას. ბარგი სასტუმროში დავტოვე, ცხენებშებმულ *კალიასკაში* ჩავჯექი და ქალაქის დასათვალიერებლად წავედი.

თბილისი საუცხოო ქალაქია. ის მთის ძირში მდებარეობს და კავკასიის დედაქალაქს წარმოადგენს. მის გუბერნატორსა და დიდმოხელეებს რუსეთის იმპერატორი ნიშნავს. კავკასიის მმართველს მეფისნაცვალს ეძახიან. მისი დიდებული სასახლე თბილისის ახალ უბანში მდებარეობს.

ძველად თბილისი პატარა ქალაქი იყო. ამბობენ, რომ მთა, რომელიც აქედან მოჩანს, ყაფის მთაა[478]. აქ ბევრი მშვენიერი ბაღია. მდინარე ქალაქის შუაში მოედინება და მასზე ხიდია აშენებული. თბილისში ბევრი კარგი ბაზარი და შეძლებული ვაჭარია. მისი აბანოები ძალიან სუფთაა და საცეცხლეს არ საჭიროებს. მინერალური წყალი ქალაქიდან ერთ *ფარსახში* იღებს სათავეს. ის ძალიან ცხელია. მიწიდან ამოსვლისას ცეცხლივით არის, მაგრამ სანამ აბანომდე მიაღწევს, გრილდება. ის განუწყვეტლივ მოედინება. მასზე აშენებულ აბანოებში შესვლა ფასიანია და ფასი საათობრივად განისაზღვრება.

თბილისში დიდებული შენობები და ეკლესიებია. აქ სხვადასხვა ჯურის ხალხი ცხოვრობს და უთვალავი სამხედროა. ქალაქში ზომიერი კლიმატი და ლამაზი ბუნებაა. ყველა კუთხიდან მაცდუნებელი ლამაზმანები ისე იმზირებიან, თითქოს ჩინგიზ ხანის სისხლისმსმელი მეომრები არიანო.

მთვარისსახიანის სილამაზე
ისე ჩანს, თითქოს ციური მთვარეაო.
ბრძენნი ამ ლამაზმანს რომ უყურებენ, ამბობენ:
ნუთუ მზე ქოლგას ეფარება?!

საითაც არ გაიხედავ, ყველგან სამოთხის *ჰურიები* და კეკლუცი ქრისტიანი ქართველი ქალები არიან. მათ მახეს ამქვეყნად ყველაზე მოხერხებული კაციც კი ვერ დაუძვრება.

შეიხ სანაანისა და ქრისტიანი გოგონას ამბავი სწორედ ამ ქვეყანაში მოხდა[479]. ეს ისეთი ქვეყანაა, რომ ცასაც კი დააკარგვინებს რწმენას.

შეიხ სანაანი – ღმერთმა გაანათლოს – თავისი დროის უდიდესი მისტიკოსი და წმინდანი იყო. როგორც შეიხ ათარი[480] „ფრინველთა საუბარში" ბრძანებს, "შეიხ სანაანი თავისი დროის *ფირი*[481] იყო".

---

478 იხ. შენიშვნა 40.

479 იხ. შენიშვნა 50.

480 ფარიდ ად-დინ ათარი (1141-1229) დიდი სპარსელი სუფი პოეტი იყო. მის კალამს ეკუთვნის პოემა „მანთიყ ათ-თაირ" („ფრინველთა საუბარი"), რომელშიც ერთი თავი შეიხ სანაანის ისტორიას ეთმობა.

481 ფირი სუფიურ მოძღვრებაში შეიხს, სულიერ მოძღვარს ნიშნავს.

როცა ქრისტიან გოგონას შეიხის მეოხებით გულში ჭეშმარიტი გზის სხივი აენთო, შეიხი მოწაფეებთან ერთად იემენიდან თბილისში ჩამობრძანდა. საბოლოოდ, გოგონამ მისი გულისთვის ქრისტიანობა უარყო და ისლამი მიიღო და მაშინვე გამოჩნდა, რომ შეიხის ცრუ მოწაფეები, რომლებიც არავინ იცის, საიდან მოდიოდნენ და სად მიდიოდნენ, შორს იყვნენ ღვთაებრივი ნათლისგან.

საკუთარ თავში შეყვარებულები ადამიანს უყურებენ,
წმინდანები კი – ღვთის ქმნილებას.

ვაჭრების *ოფისს* ჩავუარე. ერთი იაზდელი სოვდაგარი, რომელსაც ადრე ვიცნობდი, მაგრამ დიდი ხანი იყო, რაც ერთმანეთის შესახებ არაფერი გვსმენოდა, ჩემ დანახვაზე ადგილიდან წამოხტა, ხელზე მემთხვია და თავის ადგილზე დამსვა. ძველი ამბები გაიხსენა და მომავლის გეგმები გამომკითხა. ვუთხარი: „წარსულსა და მომავალს რას მეკითხები, დატკბი ამ წამით.

რაც იყო, ჩაიარა და არავინ იცის, რა იქნება შენ მერე,
ადექი და ისარგებლე მომენტით ორ არყოფნას შორის".

ცოტა ხანი ქალაქში ერთად გავისეირნეთ და ბოლოს მის სახლს მივადექით. თავისთან შემიპატიჟა. ჩემმა უარმა არ გაჭრა და ღამე მასთან დავრჩი. გამიმხილა, რომ ერთი საროსტანიანი ტიტისლაწვიანი ქალი შეპყვარებოდა.

ზევით ახვეული ხუჭუჭი დალალები
იბნევა ორტაეპედში და თეთრ ლექსში.

საცოდავი ძლიერ იტანჯებოდა და მოთმინება ჰქონდა გადაწურული. სიყვარულის თაობაზე ერთი რჩევა მივეცი:

„ეი, გულო, მაცდუნებელი ლამაზმანების სიყვარული მოიცილე,
რადგან ერთ დღესაც კეკლუცობით სიცოცხლეს გამოგასალმებენ".

მითხრა: „ძვირფასო მეგობარო, რა ვქნა, თავს ვერ ვერევი. მანუგეშე, რადგან ნუგეში გაჭირვების ჟამს საუკეთესო მეგობარია, რომელსაც ყველა ვერ ჰპოვებს".

მას, ვისი აღსასრულის დღეც სატრფოს მიერ არის განსაზღვრული,
სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს.

20 შავალი (30 ივნისი), კვირა:

დილით ავდექი, ვილოცე, ჩაი დავლიე, ჩემს ღამეულ მეგობარს დავემშვიდობე და რკინიგზის სადგურში წავედი. მატარებელი ჩამოდგა თუ არა, ჩავჯექი და თბილისიდან გავემგზავრე.

მატარებელში ათასი ჯურის ხალხი ირეოდა. რამდენიც არ ვათვალიერე, მათში სპარსულენოვანი ვერავინ ვიპოვე, თუ არ ჩავთვლით ერთ თურქს, რომელიც სპარსულადაც ლაპარაკობდა. სავარძელში ვიჯექი და მოუთმენლად აქეთ-იქით ვიყურებოდი, რომ უცებ ცეცხლთაყვანისმცემელთა კერპივით ლამაზმა ქალმა ჩამიარა. ვთქვი:

თუ ასეთი მშვენიერი ხარ, კიდევ ერთხელ გაიარე,
მაშინ განდეგილიც კი მოხეტიალე დერვიშად გადაიქცევა.

რაც კი უბედურების ისრებია, ყველა ჩემს გულს დაესო. დაჯდა და ათასგვარი საცდური მახე დამიგო. ის იყო, ვთქვი, არ შევხედავ, რომ ხიფათში არ ჩავვარდე-მეთქი, რომ მოულოდნელად გამომელაპარაკა და სადაურობა მკითხა. ვუთხარი, რომ შირაზიდან ვიყავი. მკითხა, საით მივდიოდი. ვუპასუხე: ჰეჯაზშიმეთქი. ამ საუბარში ვიყავით, როცა ზარის ხმა გაისმა და მატარებელი ერთ სადგურში გაჩერდა. ჩემი ადგილიდან ავდექი და წინ გადავჯექი. მეგონა, რომ მის ანკეესს მოვსწყდი, მაგრამ უცებ ზურგს უკან მისი ხმა შემომესმა: „ალექსანდრიასა და ეგვიპტეში მეც მაქვს საქმე". ვუთხარი: „ცბიერო ლამაზო, ასეთ ლაპარაკს თავი დაანებე. შენ – ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი, მე – ქააბა და ალაჰი. ჩვენი ერთად ყოფნა დაუშვებელია". ჩემი სიტყვები გაუკვირდა, გაიცინა და ტკბილი ვნებიანი ხმით წაიღიღინა ეს ბეითები, რომლისგანაც გული დამედაგა:

„წმინდანისა და უწმინდურის სამყოფელი ჯერ არ გამოჩენილა,
იმქვეყნიური სიამე უნდა განჭვრიტო და არა ამქვეყნიური.
თუ ჭეშმარიტების მარცვალს სიამოვნების სამოსი სჯობს,
შენც ლურჯი სამოსი ჩაიცვი და თავს ნუ გადაიპარსავ.
ჰაყიყათის[482] მძებნელის მიზანი გარეგნული ფორმა არ არის,
ღმერთს ემსახურე და სუფი იყავი".

შებინდებისას *ყარადანგიზი* (Qarādangīz) ანუ შავი ზღვა (Daryā-ye Syāh) გამოჩნდა. გზაზე რამდენიმე ადგილას მთა გაეხვრიტათ და შიგ გავიარეთ. მთელ გზაზე ორი *ფარსანგის* დაშორებით სასტუმროები და სადგურები იყო განლაგებული და სახლები და ნათესები ერთმანეთს ებმოდა. მატარებელი ისე ჩქარა მიდიოდა, რომ გზის გასწვრივ ჩამწკრივებულ ტელეგრაფის ბოძებს ვერ დაითვლიდი.

ბათუმი

ორშაბათს ოთხი საათის გათენებული იყო, ბათუმში რომ შევედით. გავჩერდი ირანელი ჰაჯი ყოლამის ყავახანაში, რომელიც გზის პირას იდგა. იქ დამხვდა პილიგრიმთა ჯგუფი, რომელიც ორი დღის წინ ჩამოსულიყო. მათი უმრავლესობა ხორასნიდან და ბუხარიდან იყო.

ყავახანის მეპატრონემ ჩაი და ნარგილე მომიტანა. ცოტა სული მოვითქვი და ვკითხე: „სწავლულთაგან ვინმე ხომ არ ჩამოსულა?" ჰაჯი ყოლამმა მიპასუხა: „ორი დღის წინ მისი აღმატებულება ჰაჯი მოლა სოლთან ალი გონაბადი და მისი აღმატებულება ახთარ ას-სალთანეს მამა აქთააყან მირზა ჩამობრძანდნენ და გემს ელოდებიან". ამ კარგმა ამბავმა უზომოდ გამახარა.

---

482 ჰაყიყათ (სიტყვ. „ჭეშმარიტება") სუფიზმში სულის თვითსრულყოფის გზის ბოლო საფეხურია.

21 შავალი (1 ივლისი), ორშაბათი:

გამთენიისას გავიღვიძე და ყავახანიდან გარეთ გავედი. აბანოში მინდოდა წასვლა, მაგრამ გზა არ ვიცოდი. ყავახანის მეპატრონეს ეძინა, პოლიციელებსა და *სალდათებს* კი ჩემი ენა არ ესმოდათ.

ერთ დუქანს მივადექი. ორ თავრიზელ კაცს ცეცხლი გაეჩაღებინა და ზედ *სამოვარი* დაედგა. ერთმა შემომხედა და მიხვდა, რომ უცხოელი ვიყავი. სალამი დამასწრო და მითხრა: „მიკვირს, საღ-სალამათს რომ გხედავთ. ასეთ უდროო დროს გარეთ გამოსვლა როგორ გაბედეთ, განსაკუთრებით, ახლა, როცა ქალაქი პილიგრიმებით არის სავსე. აქ ყველა კუთხეში ავაზაკები სიკვდილივით არიან ჩასაფრებული და საწყალ მოგზაურებს საფულესა და თავს აკარგვინებენ". ვუთხარი: „აბანოში მივდიოდი, რომ *ნამაზი* დროზე შემესრულებინა და ღმერთი არ გამერისხებინა, ასეთ გაუგებრობაში კი აღმოვჩნდი". ამ კაცმა გულისხმიერება გამოიჩინა, ჩირაღდანი აიღო და ხიზრივით[483] წინ გამიძღვა. აბანოში რომ მივედით, მეაბანოე საგანგებოდ გააფრთხილა, რომ დაბანის მერე დუქნის კარამდე მივეცილებინე.

ჭეშმარიტად, ღვთის წყალობა იყო,
არავინ მინახავს, რომ სიმართლის გზაზე დაკარგულიყოს.

ერთი საათის შემდეგ ყავახანაში დავბრუნდი. ვიგრძენი, რომ იქ გაჩერება აღარ შემეძლო, რადგან უამრავი ხალხისა და საშინელი ჭუჭყისგან თავს საძაგლად ვგრძნობდი. გაკვირვებული ვფიქრობდი, აქთააყან მირზამ აქ ორი დღე როგორ გაძლო-მეთქი. გადავწყვიტე, სხვა ბინა მომეძებნა. ამასობაში ბათუმში ირანის კონსულის *მოყარაბ ალ-ხაყან* მირზა ალი აქბარ ხანის მსახური მოვიდა და მითხრა, რომ კონსული მეძებდა. ცოტა ხანი ვიმუსაიფეთ და გაირკვა, რომ საცოდავმა პილიგრიმებმა თურმე პასპორტში ხუთი მანეთი უნდა გადაიხადონ. არ ესმით, რომ ამგვარ ქმედებას ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ მბრძანებელთა მიმართ გულისწყრომის, ქვეყნის სირცხვილისა და ხალხის წყევლის გარდა, არაფერი მოაქვს. ეს სიახლე, რომ ირან-რუსეთის საზღვარზე პასპორტი უნდა აიღო, [ირანის] ხელისუფლებისა და მისი მოხელეების ბრალია. ისინი უცხო ქვეყნების პორტებში თავიანთ ქვეშევრდომებს ფულს ახდევინებენ და, ამას გარდა, ყავახანის და სხვა გასაჩერებელი ადგილების მეპატრონეებს ირანელების მიერ გადახდილი ბინის ქირის ნახევარსაც ართმევენ. ამრიგად, იმის მაგივრად, რომ ხალხს ეხმარებოდნენ, მათ დაუზოგავად ძარცვავენ.

ამასობაში ამბავი მოვიდა, რომ დღეს ღამე კონსტანტინოპოლის გემი გადიოდა. ბათუმიდან სტამბოლამდე ყველაზე იაფი ბილეთი კაცი 9 მანეთი და 3 *შაჰი* მანეთი ღირდა, კაიუტის ბილეთი კი – 21 მანეთი. ამას დაუმატეთ ყავახანის ოთახის ფული – ღამეში 1 ირანული *აბასი*, რომელიც ყავახანის მეპატრონესა და კონსულის თანაშემწეს მივეცით.

საღამოს საკონსულოს თარჯიმანმა *ფაეტონი* (fāytūn) მოგვართვა და მე მის აღმატებულებებთან ჰაჯი მოლა სოლთან ალი გონაბადისთან და აქთააყან მირ-

---

483 ხიზრი/ალ-ხადირი – მუსლიმური გადმოცემების პერსონაჟი, რომელიც მოგზაურებისა და ზღვაოსნების მფარველად ითვლება. იხ. შენიშვნა 449.

ზასთან ერთად კონსულს ვეწვიე. ვახშმის მერე კონსულმა ღამე თავისთან დაგვტოვა, რათა ჩვენი პატივისცემით დილანდელი გამომძალველობა გადაეფარა, მაგრამ გაფუჭებულ საქმეს ძნელად თუ ეშველება. „თევზი თავიდან ყროლდება და არა კუდიდან".

22 შავალი (2 ივლისი), სამშაბათი

გამთენიისას დილის ლოცვა შევასრულე და ჩაი დავლიე. გემი 12 საათზე გადიოდა და ბატონები ბარგის შესაკრებად ყავახანაში წავიდნენ. თქვენმა მონამორჩილმა კი ქალაქში გავისეირნე.

ბათუმი უწინ ოსმალეთს ეკუთვნოდა და პატარა და დანგრეული ქალაქი იყო, რუსეთ-ოსმალეთის ომისა და დაზავების მერე კი რუსეთს გადაეცა. რუსები მის კეთილმოსაწყობად ძალ-ღონეს არ იშურებენ და მალე რუსეთის ერთ-ერთი დიდი ქალაქი გახდება. ბათუმში სხვადასხვა ქვეყნის კონსულები სხედან. აქ ბევრი ბასტიონი და ციხესიმაგრეა. ქალაქში ერთ-ორ მეჩეთზე მეტი არ არის. თუ გუბერნატორის ნება იქნება, ირანის ქვეშევრდომები აქ თავიანთთვის მეჩეთს ააშენებენ.

ბათუმში დიდებული ეკლესიები, კარგი სახლები, მაღალი შენობები, ცირკი და ფართო პროსპექტებია. აქ ბევრი თავრიზელი მედუქნე და ვაჭარი ცხოვრობს. ქალაქის მოსახლეობა, ძირითადად, ქართველებია. ეს ხალხი ადამიანურობითა და თავაზიანობით დაჯილდოებული არ არის.

დაღამებას ორი საათი აკლდა, როცა გემმა ბათუმის ნავსადგომში ღუზა ჩაუშვა. ერთი საათის დაღამებული იყო, გემი მდინარე ყაზათას (Qazāte) რომ მიადგა. ეს მდინარე, რომლის ნამდვილი სახელი ჭოროხია (Chorokh), ოსმალეთის საზღვარს წარმოადგენს და შავ ზღვას უერთდება. ცოტა ხანში გზა განვაგრძეთ. გემზე სხვადასხვა ქვეყნის ხუთასამდე მომლოცველი იყო, მათ შორის თეირანიდან, ქაშანიდან, ხორასნიდან და კავკასიიდან.

ზეინ ალ-აბედინ მარაყაი და მისი რომანი

ზეინ ალ-აბედინ მარაყაი დაიბადა 1838 წელს ირანის აზერბაიჯანის სოფელ მარაღაში შეძლებული ვაჭრის ოჯახში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, მან მამის საქმე გააგრძელა და თავადაც ვაჭრობა დაიწყო. ზეინ ალ-აბედინი ბევრს მოგზაურობდა. მან თითქმის 20 წელი იცხოვრა რუსეთის იმპერიაში: ჯერ ქუთაისში და მერე ხანგრძლივად იალტაში. გარდაიცვალა მარაყაი 1910 წელს სტამბოლში. სიცოცხლის ბოლოს მან განვლილი ცხოვრების შთაბეჭდილებები ასახა სამოგზაურო რომანში „ებრაჰიმ ბეგის მოგზაურობის დღიური", რომლის პირველი ნაწილები სტამბოლში გამომავალ ირანულ გაზეთ „ახთარში" („ვარსკვლავი") დაიბეჭდა. რომანმა დიდი როლი შეასრულა XX საუკუნის ახალი ირანული პროზის ჩამოყალიბებაში. მასში აღწერილია ირანელი ხალხის მძიმე მდგომარეობა როგორც ირანში, ისე მის საზღვრებს გარეთ და მძაფრად არის გაკრიტიკებული ირანის ხელისუფლება. ზეინ ალ-აბედინის რომანი ფაქტობრივად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა: მისი გმირი – ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ვაჭარი ებრაჰიმ ბეგი თავის მოძღვარ იუსუფ ამუსთან (ძია იუსუფი) ერთად, კაიროდან ირანში მიემგზავრება და გზად ალექსანდრიას, სტამბოლსა და თბილისს გაივლის. როგორც თემატურად, ისე სტილისტურად რომანი სამოგზაურო ჟანრის ტიპიური ნიმუშია და რადგან ავტორის უშუალო შთაბეჭდილებებს ასახავს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ კრებულში შეგვეტანა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანები

Zeyn al-'Ābedīn Marāgha'ī, *Siyāhat-nāme-ye Ebrāhīm Bīg yā balā-ye ta'assob-e ū*, Cairo, n.d.[484]

Zeyn al-'Ābedīn Marāgha'ī, *Siyāhat-nāme-ye Ebrāhīm Bīg yā balā-ye ta'assob-e ū*, be kūshesh-e Mohammad 'Alī Sepānlū, Tehran, 1364/1985.

The Travel Diary of Ebrahim Beg by Zayn ol-'Ābedīn Marāghe'ī, Translated from the Persian by James D. Clark, Costa Mesa, California, 2006.

Зайн ал-Абидин Мараги, *Дневник путешествия Ибрагим-Бека или его злоключения по причине фанатической любви к родине*, Перевод с персидского Г. Михалевич, Москва-Ленинград, 1963.

[484] წიგნზე გამოცემის თარიღი არ არის მითითებული. გამოცემა განხორციელებულია კაიროში 1893-1900 წლებს შორის. ამ იშვიათი გამოცემის ერთი ეგზემპლარი დაცულია საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (Or 232).

ლიტერატურა

კ. ფაღავა, მხატვრული პროზის განვითარების ისტორიიდან, *თსუ შრომები*, ტ. 73, თბილისი, 1959, 75-95.

კ. ფაღავა, კრიტიკული რეალიზმის ისტორიის შესწავლისათვის სპარსულ ლიტერატურაში, *თსუ შრომები*, ტ. 108, თბილისი, 1964, 219-239.

Hasan Mīr 'Ābedīnī, *Sad sāl-e dāstān-nevīsī-ye Īrān*, j. 1-2, Tehran, 1377/1998, 22-23.

Mohammad Hoqūqī, *Morūri bar tārīkh-e adab va adabīyāt-e emrūz-e Īrān*, j. 1, Tehran, 1377/1998, 16-17.

Iraj Pārsīnezhād, "Zeyn al-'Ābedīn Marāgha'ī, Montaqed-e adabī", *Iran Nameh*, Vol.9, No.3, 1991, 427-439.

A'zam Mazāherī, "Seyri dar sīyāhat-nāme-ye Ebrāhīm Bīg", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, Vol.5, No.12(60), Tehran, 1381/2002, 24-29.

Rahīm Ra'īs Nīyā, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", 196-197.

'Alī Taslīmī, *Gozārehāi dar adabīyāt-e mo'āser-e Īrān, Dāstān*, Tehran, 1383/2004, 20-21.

Д. Комиссаров, "Персидская художественная проза XIX-XX столетий", *История персидской литературы XIX-XX веков*, Москва, 1999, 256-260.

А. Шойтов, "Зайн ал-Абидин Марагаи и его роман", წიგნში: Зайн ал-Абидин Мараги, *Дневник путешествия Ибрагим-Бека или его злоключения по причине фанатической любви к родине*, Перевод с персидского Г. Михалевич, Москва-Ленинград, 1963, 231-254..

ებრაჰიმ ბეგის მოგზაურობის წიგნი

ბათუმი

რუსეთის საბაჟოს თანამშრომლები გემზე ამოვიდნენ, ბარგი დაათვალიერეს და ბილეთები დაამოწმეს. გემიდან ჩავედით. ნავსადგურში ირანელები დავინახე, მაგრამ რას ჰგავდნენ! ძველი, დაძონძილი ტანსაცმელი ეცვათ და გამხდარი და გაყვითლებული სახეები ჰქონდათ. მათი მდგომარეობის შემხედვარეს გაოცება და სიბრალული დამეუფლა. ისინი გარს გვეხვეოდნენ და ყვიროდნენ: „ბატონო, კარგი ყავახანა და ღამის გასათენებელი გვაქვს". ის იყო ჩვენი ბარგი უნდა აეღოთ, რომ ერთმა მათგანმა გვანიშნა, არ გაჰყვეთო. მან იუსუფ ამუ გვერდზე გაიყვანა და ყურში ჩუმად უთხრა: „ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ ხალხის ყავახანაში წახვიდეთ, რადგან ყველანი არამზადები, ქურდები და მატყუარები არიან. გიჯობთ, გაჩერდეთ სასტუმრო „იმპერიალში" (Imperyāl), რომელიც აქვე ახლოს არის. მართალია, იქ ღამის გათენება ერთ-ორ მანეთზე მეტი დაგიჯდებათ, მაგრამ სამაგიეროდ კარგად დაისვენებთ". იუსუფ ამუმ მებარგულს უთხრა, რომ *ოტელ* „იმპერიალში" წავეყვანეთ. იქ ორ მანეთად ერთი ოთახი ვიქირავეთ და დავიძინეთ.

დილით გარეთ გამოვედით და ერთ ჩვენს თანამემამულეს შევხვდით. მას ვკითხეთ:

„თბილისის მატარებელი როდის გადის?"

გვითხრა: „ერთი ახლა გადის და მეორე – საღამოს".

რადგან დილის მატარებელზე ველარ ვასწრებდით, გადავწყვიტეთ, შემთხვევით გვესარგებლა და საღამომდე ქალაქი დაგვეთვალიერებინა. ჩვენს თანამემამულეს სახელი და სადაურობა ვკითხეთ. გვიპასუხა:

„ალი მქვია და ლენქორანიდან ვარ. თქვენ საიდან ჩამობრძანდით?"

ვუპასუხე: „ეგვიპტიდან".

თქვა: „ეგვიპტეში ბევრჯერ ვარ ნამყოფი". და იქ მცხოვრები რამდენიმე კაცი მოიკითხა.

ვუთხარი: „საოცარია, ამ ქვეყანაში საითაც არ გაიხედავ, ირანელს დაინახავ, მაგრამ ყველა უმუშევარი, ჩამომხმარი და გაუბედურებულია. ჩანს, რომ არაფერი აბადიათ".

მიპასუხა: „მართალი ბრძანდებით, აქ ბევრი ჩვენი თანამემამულე ცხოვრობს. დღეს კვირაა და დასვენების დღეა და ამიტომაც არიან ნავსადგურში. ხვალ ბევრი მათგანი სამუშაოდ წავა".

ვკითხე: „რა საქმიანობას ეწევიან?"

მიპასუხა: „ძირითადად შავი მუშები და მტვირთავები არიან, ორმოცი-ორმოცდაათიოდე კაცი ხილის გამყიდველი, მზარეული და ხელზე მოვაჭრეა, დანარჩენები კი მაწანწალობენ და საარსებო პურიც კი არა აქვთ".

ვკითხე: „სულ რამდენი კაცია?"



ირანელი მეაგურეები თბილისში. დ. ერმაკოვის ფოტოსურათი, 1880-იანი წლები.

მიპასუხა: „ოთხი-ხუთი ათასი იქნება“.

გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, ამ პატარა ქალაქში ოთხი-ხუთი ათასი ირანელი რა ამბავია! თან ყველანი რა გაუბედურებულები არიან“.

მითხრა: „ბატონო, აბა რა გგონიათ, კავკასიის ყველა ქალაქი, დაბა თუ პატარა სოფელი სავსეა ირანელებით. სხვა ადგილებთან შედარებით აქ კიდევ ცოტანი არიან“.

ვკითხე: „ირანის ხელისუფლება რატომ აძლევს სამშობლოს დატოვების უფლებას?“

მიპასუხა: „ღმერთმა შეინწყალოს მამათქვენი! როგორც ამბობენ, „განკითხვის დღის ამბავი კარგად გაიგონე და ხელი ცეცხლს მოაშორეო“. რა ქნან ამ საწყლებმა, როცა ირანში არც სიმშვიდეა, არც სამუშაო და არც პური. ზოგი ხელისუფლების, ზოგი კი *ბეგლარბეგების*, *დარუღების* და *ქედხოდების* ძალადობას გამოექცა. ეს არაკაცები როგორც კი იყნოსავენ, რომ ვიღაცას ხუთი *შაჰი* გაუჩნდა, ათას მიზეზს იპოვიან, რომ მას ეს ფული წაართვან. ერთს დააბრალებენ, „შენი ძმა ჯარიდან გაიქცაო“, მეორეს – „შენმა ბიძაშვილმა ცოტა ხნის წინ ღვინო დალიაო“ ან „შენი ნათესავი *ყომარს* თამაშობსო“. მეზობლის არარსებული დანაშაულისთვის მეზობელს ციხეში სვამენ და ჯარიმას ახდევინებენ. და თუ ვერანაირ შარს ვერ მოსდებენ, ათასგვარ უბედურებას თვითონ მოუგონებენ. ამიტომაც არის, რომ ირანელები თავიანთი ქვეყნიდან გარბიან და რუმს[485], ინდოეთსა და რუსეთს აფარებენ თავს. მაგრამ აქაც ელჩები, კონსულები და სხვა მძორიჭამიები მათ მოსვენებას არ აძლევენ. ამ ფეხშიშველა საცოდავ ირანელებს რომ უყურებ, ყოველდღე დილიდან საღამომდე თაკარა მზის ქვეშ როგორ მუშაობენ და თიხას ზელენ, მათდამი სიბრალული ურჯულოსაც კი გაუჩნდებოდა. ეს ელჩები, კონსულები და სხვა მოხელეები კი მათ უმოწყალოდ ყვლეფენ და თითოეულს ყოველწლიურად პასპორტის გადასახადის საბაბით ოთხ მანეთს ახდევინებენ. გამიგია, რომ ირანელებს ყველაზე მეტად სტამბოლსა და რუმის სხვა ქალაქებში ავიწროებენ. საელჩოების მთელ ხარჯებს საკონსულოები ფარავს და კონსულების ერთადერთი მოვალეობა ეს არის. ვთქვათ, თუ რომელიმე მუშა მოკვდება და მას რამე დარჩება, პირველები მის ცხედართან საკონსულოს თანამშრომლები გაჩნდებიან და თავს გარდაცვლილის სამოქალაქო და სულიერ მემკვიდრეებად გამოაცხადებენ. მაგრამ თუ მიცვალებულს არაფერი აბადია, სამი დღე ისე გავა, რომ მას საკონსულოდან არავინ მიაკითხავს და მის დამარხვაზე არავინ იზრუნებს. ბოლოს, თავად უბედური მუშები იძულებული ხდებიან, რომ ფული შეაგროვონ და მიცვალებული დაასაფლავონ. ახლაც ბათუმის ციხეში 40-50 ირანელი უდანაშაულოდ არის ჩამწყვდეული და კონსული ამის თაობაზე არავის ელაპარაკება. თუმცა, რომც დაელაპარაკოს, რუსები მას არაფრად ჩააგდებენ. ამბობენ, რომ მათ მხოლოდ ქრთამის გადახდის მერე გაათავისუფლებენ. მოხელეებმა კარგად იციან, რომ მათი და მათი უფროსების საარსებო სახსრები ამ ერთ მუჭა ღარიბ ირანელებზეა დამოკიდებული. ის, ვინც თავის თანამემამულეებზე უნდა ზრუნავდეს, თავად ყვლეფს მათ და უცხოებს რა უნდა მოჰკითხო?“

---

[485] აქ და ქვემოთ – იგულისხმება ოსმალეთის იმპერია.

ვუთხარი: „როგორც ჩანს, ირანის ხელისუფლებამ თავისი მოხელეების ქმედებების შესახებ არაფერი იცის. ირანელებმა არზა უნდა მოამზადონ და მათ უჩივლონ".

მიპასუხა: „ღმერთმანი, ირანის პირველმა პირებმა ეს ამბავი ჩემზე უკეთ იციან. მაგრამ იმ დროს, როცა საზღვარგარეთ გაგზავნილ თავიანთ მოხელეებს ხელფასს არ უხდიან და, პირიქით, მათგან გამუდმებით რაღაც თანხებს ითხოვენ, იძულებული არიან, რომ მათ საქციელზე თვალი დახუჭონ. რუმსა და რუსეთში მყოფი კონსულები თავიანთ უფროსობას წელიწადში ორ-სამ ათასს უგზავნიან და მერე საკუთარი ზარალის ასანაზღაურებლად საცოდავ თანამემამულეებს ხუთ-ექვსჯერ მეტ თანხას ძალით ართმევენ".

ამგვარად, ეს იყო პირველი უსიამოვნება, რომელსაც ბათუმში შეეეჯახეგული შემეკუმშა და უნებურად ოხვრა და კვნესა აღმომხდა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე პორტში სეირნობაში გავატარე, გული ვერაფრით გადავაყოლეამასობაში მოსაღამოვდა და მატარებლის გასვლის დრო მოვიდა. თბილისამდე პირველი კლასის ბილეთები ავიღეთ, თითოში 14 მანეთი გადავიხადეთ, ერთი მანეთი ალის ვაჩუქეთ, დავემშვიდობეთ და გზას გავუდექით.

იმ ღამეს ნახევარი გზა გავიარეთ. დილით შევნიშნე, რომ რამდენიმე ადგილას მთა გაებურღათ და მატარებელი მიწის ქვეშ გვირაბში მიდიოდა. გავიფიქრე: „ადამიანი რა ყოვლისშემძლე არსებაა, რომ, ერთი მხრივ, უზარმაზარ მთებში 10 *ფარსანგი* სიგრძის გვირაბს თხრის და, მეორე მხრივ, შიგ გაჰყავს რკინიგზის ხაზი, რომელსაც მატარებელი რამდენიმე წუთში გაივლის და ქალაქებს ერთმანეთთან დააკავშირებს". გაოგნებული ვიყავი. როცა გონს მოვედი, ჩემთვის ვთქვი: „ადამიანის ნება მთებს აპობს".

ვაგონში ერთი სომეხი დაგვემგზავრა. მას ვუთხარი: „გეომეტრიის მეცნიერებას რა სასწაულების მოხდენა შეუძლია! ამ უზარმაზარი მთების გაბურღვისა და შიგ მატარებლის ლიანდაგის გაყვანისათვის უდიდესი ოსტატობა და აურაცხელი თანხები იქნებოდა საჭირო".

მიპასუხა: „დიახ, ოსტატობაც დიდი იყო და ფულიც ბევრი დაიხარჯა. მაგრამ უკვე შარშანწინ სახელმწიფომ ამ რკინიგზიდან 16 მილიონი მანეთი მოგება ნახა. გარდა ამისა, ადრე ეს ადგილები უნაყოფო და დაუსახლებელი იყო და აქ მხოლოდ დევები თუ დაძრწოდნენ, ახლა კი ბაქოს შავი ნავთობის წყალობით საზღვარგარეთიდან ამ ქვეყანაში ყოველწლიურად მილიონობით მანეთი მოედინება. ამიტომ, როგორც ხედავთ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აყვავებული ქალაქები და სოფლებია. ასეთი სასარგებლო წიაღისეული და მადნეული ირანშიც ბევრია, მაგრამ იქაური ხელისუფლების დაუდევრობისა და ხალხის სიზარმაცის გამო თქვენი მიწის წიაღში დაფარული ეს აურაცხელი განძი გამოუყენებელი რჩება. ამიტომაც არის, რომ გაჭირვებული და გაუბედურებული ირანელები უცხო ქვეყნებში გარბიან და ყველანაირ დამამცირებელ სამუშაოს კიდებენ ხელს: თიხას ზელენ, ტვირთს ზიდავენ და შავ მუშებად მუშაობენ, ბევრი მათგანი კი საბოლოოოდ მათხოვრობას იწყებს".

ამ წყეული კაცის ღვარძლიანი სიტყვები გულში ლახვარივით მესობოდა, მაგრამ რა მექნა, ვერ შეეკამათებოდი. იძულებული გავხდი, ავმდგარიყავი და გადავმჯდარიყავი ვაგონის ბოლოში, სადაც ერთ კუთხეში დარდისაგან გათანგულს ჩამეძინა.

ძილში ჩამესმა იუსუფ ამუს სიტყვები, შეხედე, თბილისი გამოჩნდაო და გამეღვიძა. ავდექი და ცოტა ხანში მატარებელიც გაჩერდა. ვაგონიდან გადმოვედით. მებარგულმა ჩვენი ნივთები აიღო და *კალიასკაში* ჩააწყო. ვუთხარი, რომ სასტუმრო „ლონდონში"[486] წავეყვანეთ, რადგან ჩვენმა ბათუმელმა თანამემამულე ალიმ სწორედ ეს სასტუმრო გვირჩია. სასტუმროში მივედით და ავიღეთ ოთახი, რომელიც ღამე ოთხი მანეთი ღირდა. ხელ-პირის დაბანის მერე იუსუფ ამუს ვუთხარი: „წამო, ქალაქში წავიდეთ, იქნებ ირანული სამზარეულო ვნახოთ და რამე შევჭამოთ". წავედით ერთ უბანში, რომელსაც შეითან-ბაზარს (Sheytāne bāzār) ეძახდნენ. იქ რამდენიმე სასადილო ვნახეთ, მაგრამ ყველა ჭუჭყიანი და აყროლებული იყო და სპილენძის გამჭვარტლული ჭურჭელი ჰქონდა. ბოლოს მივადექით ერთ დუქანს, რომელშიც *ჩელოვით* ვაჭრობდნენ. რას ვიზამდით, შევედით და *ჩელოუ ქაბაბი* მოვითხოვეთ. ჭამა ხელით მოგვიწია და სისუფთავესა და კარგ გემოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ჭამის მერე ქალაქში გავისეირნეთ. დავრწმუნდი, რომ აქაური ირანელები ჩვენ ბათუმელ თანამოძმეებზე უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ისინი ან მშენებლობაზე მუშაობდნენ, ან თიხას ზელდნენ, ან ქუჩაში ქვაფენილს აგებდნენ. როცა დავინახე, ჩემი თანამემამულეები რა უბედურ დღეში იყვნენ და ყოველდღიურად რა გაუსაძლის შრომას ეწეოდნენ, გულზე ცეცხლი მომედო. როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ყველაზე მძიმე და დამამცირებელი სამუშაო უბედურ ირანელებს ერგოთ. გადასასვლელზე ერთ მათგანს გამოველაპარაკეთ და ვკითხეთ: „აქ ირანელი ვაჭრები თუ არიან?"

გვიპასუხა: „როგორ არა, ხალათოვისა (Khalatof) და ბარანბეკოვის (Bāron Begof) ქარვასლებში ბევრი ირანელი ვაჭარია".

ამ ქარვასლების ადგილმდებარეობა გავიგეთ და იქით გავეშურეთ. ერთ-ერთში შევედით და ყურადღებით მიმოვიხედეთ. დავინახე, რომ *მალაზიებში* ირანელები ისხდნენ და მათ გარშემო ყანაოზის ქსოვილი, ჰამადანისა და ბორუჯერდის ჩითი, იაზდის ნარმა და ნაინის ტილო თოფებად ეწყო. უცებ ერთმა ირანელმა სახელით მომმართა: „ებრაჰიმ ბეგ, ებრაჰიმ ბეგ!" გავჩერდი. ჩემთან მოირბინა და მომესალმა. მეც სალმით ვუპასუხე. მითხრა: „ვხედავ, რომ ვერ მცნობთ".

ვუთხარი: „მეცნობით, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს, ერთმანეთი სად გავიცანით".

მითხრა: „რამდენიმე წლის წინ, როცა დიდებული მექადან უკან ვბრუნდებოდი, კაიროში მირზა მოჰამად რაფი მეშქის სავაჭრო სახლში შეგხვდით, საღამოს კი ორივენი მასთან სტუმრად ვიყავით".

ვუპასუხე: „მართალია, გამახსენდა".

თავის დუქანში შემიპატიჟა. საუბრის დროს ვუთხარი: „როგორც ჩანს, აქ ბევრი ჩვენი თანამემამულეა. საითაც არ გაიხედავ, ყველგან ირანელს დაინახავ. გული მიკვდება, როცა ვხედავ, მათი უმრავლესობა რა მძიმე დღეშია".

მითხრა: „დიახ, ბევრნი არიან".

---

[486] იხ. შენიშვნა 417.

ვკითხე: „მაინც რამდენი?"

მიპასუხა: „როგორც ამბობენ, კავკასიის რეგიონში 60 000 ირანელი ცხოვრობს".

ვკითხე: „თავიანთი ქვეყნიდან უცხო ქვეყნებში რატომ გარბიან და იქ ასეთ დამცირებას რატომ იტანენ?"

მიპასუხა: „მიზეზი ბევრია – ირანში შემოსავლების სიმცირე და ხალხის უმუშევრობა, უფროსების მიერ ხელქვეითების ჩაგვრა, გლეხების უპატრონობა. ერთი თუმნის გულისთვის, რომელსაც პასპორტის გაცემაში იღებენ, ირანელი მოხელეები ამ ხალხს ულაპარაკოდ უშვებენ უცხო ქვეყნებში და არავის აინტერესებს, სად მიდიან და იქ რას გააკეთებენ. საზღვრის მიმდებარე ქალაქებსა და სოფლებში საფლავის ქვებზე კაცის სახელს ვეღარ ნახავ, სულ ქალების სახელებია, თითქოს ქალთა ქალაქიაო".

ვკითხე: „ნუთუ ყველა შავი მუშაა და მათ შორის ერთი ვაჭარიც კი არ არის?"

მიპასუხა: „ნეტავ, მუშები იყვნენ, თორემ, ძირითადად, ქურდები და ჯიბგირები არიან და ისეთ საქმეებს სჩადიან, რომ მათ მაგივრად ჩვენ გვრცხვენია".

ვკითხე: „კონსული რას აკეთებს და რას ამბობს?"

მიპასუხა: „ღმერთმა შეიწყალოს მამათქვენი! კონსულის ერთადერთი საფიქრალი პასპორტის საფასური ოთხი მანეთის, ქრთამებისა და ჯარიმების აღებაა. გარდა ამისა, თუ, ვთქვათ, ირანელი მოკვდება, მის ქონებასაც კონსული დაეპატრონება".

ვუთხარი: „60000 კაცის პასპორტის ოთხი მანეთი საკმაოდ დიდი თანხაა და მას ირანის ხელისუფლება იღებს?"

მიპასუხა: „ხელისუფლებამ ამ ფულის შესახებ არაფერი იცის და იქიდან სახელმწიფო ხაზინაში ნახევარი *შაჰიც* კი არ შედის, თუ არ ჩავთვლით კონსულის „საჩუქარს", რომელსაც ის ამ თანამდებობაზე მუშაობის დაწყების პირველ დღეს სახელმწიფოს უხდის. ამბობენ, რომ ამ ფულსაც მინისტრები და ელჩები იჯიბავენ და სახელმწიფოს წილად მხოლოდ საკუთარი მოხელეების ცოდვები და დანაშაულები რჩება. კონსულები ამ პასპორტებს სადაც უნდათ იქ ბეჭდავენ და მერე საბუთებით ვაჭრობენ. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ პასპორტი ირანელს კი არ ერგება, არამედ – უცხო ქვეყნის რომელიმე ქურდს, ყალთაბანდსა და გაიძვერას, რომელიც მასში ცოტა მეტს გადაიხდის. ასეთი ხალხი მერე მიდის და ირანელის სახელით ათასგვარ დანაშაულსა და თაღლითობას სჩადის და როცა მათ იჭერენ, დიდი გამოძიება არ სჭირდება იმის გარკვევას, რომ პასპორტი ნაყალბევია. წარმოიდგინეთ, ეს ფაქტები უცხოების თვალში სახელმწიფოს პრესტიჟს როგორ ზიანს აყენებს და რა გასაკვირია, თუ ასეთ კონსულებს ანგარიშს არ უწევენ".

საუბარი ძალიან უსიამოვნო კალაპოტში გადავიდა და ვიგრძენი, რომ ამდენი დარდისამშლელი და უსიამოვნო ლაპარაკისგან გული ამოვარდნაზე მქონდა. იძულებული გავხდი, საუბარი სხვა თემაზე გადამეტანა და ვაჭრობასა და კომერციაზე ჩამოვუგდე სიტყვა. ვკითხე: „თქვენი ვაჭრობა როგორ მიდის და ირანიდან რა საქონელი ჩამოგაქვთ?"

მიპასუხა: „ჰამადანიდან და ბორუჯერდიდან ჩითი მოგვაქვს, გილანიდან და თავრიზიდან კი – ყანაოზი, მაგრამ წინა წლებთან შედარებით ვაჭრობა

ჩამკვდარია. წლების განმავლობაში ამ ქვეყანაში ათასობით ფუთა საქონელი ჩამოგვქონდა და ვვაჭრობდით, ახლა კი იმის მეასედიც აღარ იყიდება. უფრო მეტიც, ამ საქმეში თაღლითობამაც იჩინა თავი და ზოგიერთები საღებავებსა და ნართებს იპარავენ და ათასგვარი მაქინაციებით ყალბ საღებავებს ამზადებენ. ამიტომაც არის, რომ მუშტარი დავკარგეთ. ცოტა ხანში საქმე მთლიანად დაიხურება და ჩვენ ისღა დაგვრჩება, რომ მოსკოვის აბრეშუმი გასაყიდად ირანში ჩავიტანოთ. ამ მოკლე პერიოდში, რაც ვაჭრობას ვენევი, ბევრი რუსი გავიცანი და ვნახე, რომ მათ მცირე დროში და მცირე თანხებით საფეიქრო მრეწველობა ფეხზე დააყენეს და დღეს თავისი შრომისმოყვარეობის წყალობით მილიონერები არიან. და პირიქით, ბევრი ირანელი ვიცი, რომელიც აქ დიდძალი თანხებით ჩამოვიდა და 10-20 წლის წვალების შემდეგ გაკოტრდა. მიზეზი კი ის არის, რომ საზოგადოებრივ და სახალხო სარგებელზე არავინ ფიქრობს. სამამულო საქონელს საკუთარი ორდღიანი მოგებისა და წარმავალი კეთილდღეობის გულისთვის ვაფუჭებთ და იმაზე არ ვფიქრობთ, რომ „მრუდე საპალნე დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწევს". მალე ჩვენი ნაყალბევი საქონელი აღარავის მოუნდება, საქმე დაიხურება და ზარალს ისევ ირანელი ხალხი ნახავს. როგორც გითხარით, თბილისში ირანული საქონელი თითქმის აღარ დარჩა და ამის გამო ირანელებში ერთ კაცსაც ველარ ნახავ, 10000 თუმანი მაინც რომ ჰქონდეს. „თაყის ქუდები მთლიანად ნაყის თავზე გადავიდა". ყველაფერი ხელისუფლების დაუდევრობისა და მოხელეების მექრთამეობის ბრალია და ამ ორ ბოროტებას, რომელმაც ჩვენი დიადი ქვეყანა განადგურების პირას მიიყვანა, ვერანაირი ძალა ვერ შველის".

ისევ ვიგრძენი, რომ ამდენი უსიამოვნო ლაპარაკის მოსმენა ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა და ვკითხე: „ბაქოს მატარებელი როდის გადის?"

მიპასუხა: „საღამოს, მაგრამ ძალიან არ მინდა თქვენი გაშვება".

ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი: „თქვენი წყალობა ნუ მომაკლდება, უნდა წავიდე".

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ჩვენ სასტუმროში დავბრუნდით.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისი დიდი და საინტერესო ქალაქია, ამ საუბრებმა ისეთ ცუდ ხასიათზე დამაყენა, რომ ველარაფერს ვხედავდი. ცოტა ხანი დავიძინე და მატარებლის გასვლისთვის გავიღვიძე. სასტუმროს ანგარიში გადავიხადე, ბილეთები ავიღე და გზას გავუდექით.

ჰაჯი სელიმ ხან თაქაბი და მისი მოგზაურობის წიგნი

ჰაჯი სელიმ ხან თაქაბი მარაღას შაჰრესთანის მთიანი ოლქის თაქაბის ხანთა შთამომავალი იყო. სელიმ ხანის შესახებ ცნობები თითქმის არ მოიპოვება. უცნობია მისი დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი. დადგენილია მხოლოდ, რომ ის გარდაიცვალა 1908 წლამდე – ამ წელს გადაწერილ მის წიგნს აქვს წარწერა: „განსვენებულ ჰაჯ სელიმ ხანის ჰაჯის წიგნი".

სელიმ ხანის ბიოგრაფიის შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს მისივე თხზულება, რომელშიც ასახულია მოგზაურობა მექაში 1893 წელს. თხზულებიდან ვიგებთ, რომ სამოგზაუროდ ის თავის 11 ნათესავთან ერთად გაემგზავრა. იგი ახსენებს თავის ბიძებს სულთან ბეგსა და ჰაჯ განჯალი ბეგს, ასევე ძმას ჰაჯ აბდ არ-რაჰმან ბეგს. გამგზავრების ნებართვის სათხოვნელად ის ეახლა ტახტის მემკვიდრე-უფლისწულს მოზაფარ ად-დინ მირზას და მისგან მგზავრობის ნებართვასთან ერთად ხანის ტიტული და სართიფის წოდება მიიღო. სელიმ ხანის ლიტერატურულ ნიჭზეც თავად მისი წიგნი მეტყველებს. იგი პოეტიც იყო – თხზულება სავსეა ავტორისეული ლექსებით.

სელიმ ხანის „ჰაჯის წიგნის" ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც მისი ძმის ჰაჯ აბდ არ-რაჰმან ბეგის ბრძანებით 1908 წელს გადაიწერა, ინახება აიათოლა გოლფაიეგანის პირად ბიბლიოთეკაში (№41326). რასულ ჯა'ფარიანმა ის შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი" და ჩვენ ამ გამოცემით ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Safar-nāme-ye Makke-ye Hājjī Selīm Khān, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Qum, 1388/2009.

Hājjī Selīm Khān Takābī, "Hajj-nāme", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 6, 7-138.

ლიტერატურა

Rasūl Ja'fariyān, "Safar-nāme-ye Selīm Khān Takābī va mājarā-ye vabā-ye Makke dar sāl-e 1310 q.", *Mīqāt-e Hajj*, Vol.17, No. 68, Tehran, 1388/2009.

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 6, 7-19.

Rasūl Ja'farīyān, "Bā Safar-nāme-ye hajj-e Hājjī Selīm Khān Takābī āshnā shavīm" (http://hajj.ir/hadjwebin/news/wfShowOpinion.aspx?id=47874).

ჰაჯის წიგნი
(1893)

მატარებლით მგზავრობა თბილისამდე

1310 წლის 13 რამაზანი (1893 წლის 31 მარტი), შაბათი:

დილით [რკინიგზის] დაწესებულებაში წავედი და ბათუმამდე თერთმეტი ბილეთი ვიყიდე. იქამდე თერთმეტი სადგურია და ერთი ბილეთი ექვსნახევარი მანეთი ღირს. ღვთის შეწევნით, *შემენდეფერის* ვაგონებში დიდებულად მოვთავსდით და მატარებელი დაიძრა. ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ წუთში ოც ტელეგრაფის ბოძს გადიოდა, ამიტომ არემარის დათვალიერებას ვერ ვასწრებდით. მოკლედ, ხუთ საათში ხუთი სადგური გავიარეთ და ქალაქ თბილისის *ვაგ ზალში* შევედით. მინდოდა, რომ ჩავსულიყავი, ქალაქში რამდენიმე დღე დავრჩენილიყავი და დამეთვალიერებინა, მაგრამ ჩემმა თანამგზავრებმა არ ისურვეს. ამიტომ ქალაქი მხოლოდ *შემენდეფერის* ფანჯრიდან ვნახე. თბილისი დიდი, კეთილმოწყობილი და აყვავებული ქალაქია. მასში დიდებული სახლები და შენობებია. მდინარე მტკვარი, რომელიც ქალაქს შუაზე კვეთს, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიედინება, მდინარე არაქსს უერთდება და ორივე ერთად კასპიის ზღვაში (Daryā-ye Khazar) ჩაედინება.

ნახევარი საათის მერე *შემენდეფერი* დაიძრა. ისე სწრაფად მიდიოდა, რომ თბილისი თითქოს საცერში ჩაიცალაო, თვალის დახამხამებაში თვალს მიეფარა. გზაზე რამდენიმე *ვაგ ზალი* გავიარეთ და მატარებელი თითოეულში თხუთმეტი წუთი გაჩერდა. დაღამდა და მიუხედავად იმისა, რომ მთვარე და თოვლი იქაურობას ანათებდა, ტყისა და მაღალი, პირქუში მთების მეტს ვერაფერს ვხედავდით. სამ ადგილას მთაში გვირაბი იყო გაყვანილი და მატარებელმა შიგ გაიარა. ძალიან საშიში იყო. ერთ გვირაბში 17 წამი დავყავით.

ქალაქი ბათუმი

გამთენიისას შევედით ქალაქ ბათუმში, რომელიც შავი ზღვის (Daryā-ye Qarādangez/Qarādangīz) პირას მდებარეობს. დაახლოებით 18 საათი ვიმგზავრეთ და 11 პუნქტი გავიარეთ. ბათუმი რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ რუსეთს გადაეცა. რუსებმა ის მთლიანად დაანგრიეს და ახალი ულამაზესი ქალაქი ააშენეს. მისი სახლები, ქარხნები, დუქნები და სხვა შენობები ქვით არის აგებული. ბათუმი რვა-რვა ურთიერთმართებული პროსპექტისგან შედგება. ქუჩების ნაწილი ქვისაა, ნაწილი კი – სარუჯის[487]. ბასტიონის თავზე რამდენიმე ქვემეხი დგას და პირი ზღვისკენ აქვს მიმართული. სახელმწიფო ბაღი, რომელიც ძალიან გრძელი და კეთილმოწყობილია, ინჟინრებისა და მუშების მიერ არის აშენებული. ბათუმის დაპყრობიდან ოცი წლის განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებამ ქალაქის აღდგენაზე იმდენი ფული დახარჯა, რომ მალე დიდებული ქალაქი გახდება.

---

[487] სარუჯი – სამშენებლო მასალა, კირის ხსნარი.

ბათუმში ირანის კონსული ალი აქბარ ხანი ვინახულეთ და პასპორტები მივეცით. პირობა ჩამოგვართვა, რომ ორ ღამეს გავატარებდით ყავახანაში, რომლის მეპატრონეები ქურთისტანელი გაიძვერები და ყალთაბანდები აღმოჩნდნენ.

15 რამაზანი (2 აპრილი), ორშაბათი:

დილით *კომპანიაში* წავედით. თქვენმა მონა-მორჩილმა, ჰაჯ განჯალი ბეგმა და ჰაჯ აბდ არ-რაპმან ბეგმა სტამბოლამდე კაიუტის ბილეთები ავიღეთ და თითომ 20 მანეთი გადავიხადეთ, დანარჩენებმა კი 9 მანეთად გემბანის ბილეთები აიღეს. ყველანი გემზე ავედით და დავბინავდით. ჰაჯ მირ ფათაპმა, მისი უდიდებულესობის *ყაჰვეჩიბაშიმ* ჰაჯი ლოთფალი ხანმა და სხვა თანამგზავრებმაც ბილეთები აიღეს და გემზე ამოვიდნენ. ჩვენ გასაცილებლად ირანის კონსული მობრძანდა. დაახლოებით ერთი საათი ვისაუბრეთ, მერე დაგვემშვიდობა და წავიდა.

საღამოს ნამაზის შემდეგ გემი დაიძრა. 16-ში სამშაბათს დილით ტრაბზონში ჩავედით.

მაჯდ ას-სალთანე და მისი მოგზაურობის წიგნი

ჯემშიდ ხან აფშარ ორუმი მაჯდ ას-სალთანე. ალი აშრაფის აკვარელი, 1905, საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

გენერალი ჯემშიდ ხან აფშარ ორუმი, ცნობილი ლაყაბით „მაჯდ ას-სალთანე", XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ირანის საკმაოდ ცნობილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე იყო. ის ურმიას აფშარ წარჩინებულ და მდიდარ საგვარეულოს განეკუთვნებოდა. მამამისი არდაშირ ხან აფშარ ორუმი ასევე სამხედრო იყო და სართიფის (ბრიგადის გენერალი) თანამდებობა ჰქონდა. მაჯდ ას-სალთანეს დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი შემორჩენილი არ არის. ცნობილია, რომ მან ცხოვრების დიდი ნაწილი სამხრეთ აზერბაიჯანში გაატარა: იყო ხოი-სალმასისა და ურმიას ჯარების სარდალი, ურმიას ვიცე-გუბერნატორი და ხოის ჰაქიმი. მოგვიანებით იგი აქტიურად ჩაება ირანის აზერბაიჯანში მოქმედ სეპარატისტულ (პროთურქულ-ანტიირანულ) მოძრაობაში და ამ მოძრაობის რადიკალური ნაციონალისტური ფრთის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 1915 წელს, სამხრეთ აზერბაიჯანში რუსეთის ჯარის შესვლის შემდეგ, მაჯდ ას-სალთანე ოჯახთან ერთად საცხოვრებლად სტამბოლში გადავიდა და იქ სამი წელი დაჰყო. სტამბოლში მან სამშობლოდან გაქცეულ სხვა აზერბაიჯანელ პატრიოტებთან ერთად ჩამოაყალიბა შეიარაღებული რაზმი, რომელიც 1918 წელს აქტიურად იბრძოდა თავრიზისა და, საერთოდ, ირანის აზერბაიჯანის „ურჯულო იმპერიალისტებისგან" (რუსები, ინგლისელები) გასათავისუფლებლად, მონაწილეობდა ოსმალეთის მიერ ირანის აზერბაიჯანის ოკუპაციაში. ამ დამსახურებისათვის მაჯდ ას-სალთანემ ოსმალეთის ხელისუფლებისგან ირანის აზერბაიჯანის ვალის თანამდებობა მიიღო. იმავე პერიოდში მისი თაოსნობით თავრიზში დაფუძნდა თურქულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „აზერაბადაგან", აგრეთვე მუსლიმური საზოგადოება „ანჯომან-ე ესლამ". 1918 წლის ოქტომბრის ბოლოს ოსმალური არმიის მიერ აზერბაიჯანის დატოვების შემდეგ, იგი ოჯახით თურქეთში გაიქცა და საბოლოოდ სტამბოლში დასახლდა. მოგვიანებით მაჯდ ას-სალთანე ირანში დაბრუნდა და სიცოცხლის ბოლო წლები თეირანში გაატარა.

მაჯდ ას-სალთანე თბილისში პირველად 1894 წელს სამკურნალოდ ჩამოვიდა და, როგორც თავად წერს, აქ 50 დღე დაჰყო. მეორე სტუმრობა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა – ის თბილისს 1903 წელს ეწვია, რათა შვილებისთვის ევროპული განათლება მიეცა[488]. იგი სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებებას და თბილისში მშვიდად ცხოვრებას აპირებდა, მაგრამ 1906 წელს ირანში გამოიძახეს და ხოი-სალმასისა და ურმიას ჯარების სარდლად დანიშნეს. მაჯდ ას-სალთანე თბილისში ჩამოვიდა და გარკვეული ხნის მანძილზე ცხოვრობდა 1910-იანი წლების პირველ ნახევარში[489].

გარდა სამხედრო და სახელმწიფო სამსახურისა, მაჯდ ას-სალთანე ლიტერატურით, ისტორიით, პუბლიცისტიკით, ისლამური ხელნაწერების, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების შეგროვებით იყო გატაცებული. ურმიაში მის მამულში დაცულ ამ კოლექციას თანამედროვეები „მუზეუმს" ეძახდნენ. მის კალამს ეკუთვნის მემუარული თხზულება „მოგზაურობა", რომელშიც თბილისში მისი 1894 წლის ვიზიტია აღწერილი და ასევე ისტორიული თხზულება „ოსმალეთის აგრესიის ისტორია". თბილისში ცხოვრების პერიოდში მან აქ გამოსცა თავისი რამდენიმე პოეტური და ლიტერატურულ-ესეისტური კრებული მცირე წიგნაკების სახით („ეშყ-ე არღავანი", „დელჰა-იე ჩუბინ", „თოუყ-ე ლა'ნათ", „მაშალლაჰ ხანუმ"). 1915 წელს რუსებმა თავრიზისა და ურმიას დაკავების შემდეგ მოახდინეს მაჯდ ას-სალთანეს ქონების კონფისკაცია და მისი კოლექცია გაგზავნეს თბილისში, სადაც მეფის ადმინისტრაციამ ის საგანგებო ოფიციალური აქტით გადასცა კავკასიის მუზეუმს. ამავე მუზეუმს და ამ მუზეუმის ბიბლიოთეკას გადაეცა მაჯდ ას-სალთანეს კოლექციის ის ნაწილიც, რომელსაც გენერალი თბილისში ნაქირავებ სახლში (სემიონოვის ქ. №4-ში) ინახავდა[490]. კოლექციის სხვადასხვა ნაწილები ამჟამად დაცულია თბილისში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ფონდში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ეროვნულ მუზეუმში ინახება მაჯდ ას-სალთანეს პორტრეტიც (საინვ. №ხხმ/აღ137), რომელიც 1905 წელს ირანელი მხატვრის 'ალი აშრაფის მიერ არის შესრულებული.

---

488 აღსანიშნავია, რომ თბილისში გატარებულმა წლებმა და აქ მიღებულმა განათლებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მაჯდ ას-სალთანეს შვილების როგორც ინტელექტუალური მოღვაწეების ფორმირებაში. მისი ვაჟიშვილი დოქტორი ჯალალ აფშარი (?-1974), რომელმაც საშუალო სკოლა თბილისში, ხოლო უმაღლესი სასწავლებელი მოსკოვში დაამთავრა, გახლდათ ფრიად ავტორიტეტული ირანელი მეცნიერი. იგი იყო ქარაჯის აგრარული ფაკულტეტის პროფესორი და მის მიერვე დაარსებული კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მინიჭებული ჰქონდა თეირანის უნივერსიტეტის წარჩინებული პროფესორის წოდება. ხოლო უფროსი ქალიშვილი მასთურე აფშარი (?-1946) იყო ირანში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლის ენერგიული აქტივისტი და ირანის „პატრიოტი ქალების საზოგადოების" (ჯამ'იათ-ე ნესვან-ე ვათანხაჰ) აღიარებული ლიდერი.

489 საინტერესოა აღინიშნოს, რომ თბილისში მყოფი მაჯდ ას-სალთანე არაერთგზის ფიგურირებს ექვთიმე თაყაიშვილისა და ოლივერ უორდროპის მიმოწერაში, კერძოდ კი მათ წერილებში, რომლებიც 1911-1912 წლებითაა დათარიღებული (იხ.: ე. კელენჯერიძე, „უორდროპისეული ქართული ხელნაწერების აღწერილობა ე.თაყაიშვილისა", *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, III, თბილისი, 1961, 208, 211, 213, 218; გ. შარაძე, *ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე. უორდროპები და საქართველო*, თბილისი, 1984, 362-365).

490 როგორც იმდროინდელი საარქივო მასალებიდან ირკვევა, მაჯდ ას-სალთანეს ქონების ნაწილი მეფისნაცვლის ბრძანებით გატანილ იქნა და გაიყიდა აუქციონზე (იხ.: გ. ჩხაიძე, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932)*, თბილისი, 2003, 143).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაჯდ ას-სალთანეს „მოგზაურობის" სპარსული ტექსტის ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც უსათაუროა, ინახება თბილისში, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის K კოლექციაში (საინვ. №PK173/214)[491]. ამ ხელნაწერის მიხედვით „მოგზაურობის" თბილისის ეპიზოდი თარგმნა და 1971 წელს სპარსულ ტექსტთან ერთად გამოსცა ირანისტმა მაია მამაცაშვილმა და მას პირობითად „ქალაქ თბილისის აღწერა" უწოდა. ახალი თარგმანის შესრულებისას ჩვენ ამ გამოცემის სპარსული ტექსტით ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი და თარგმანი

მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1971, 53-113.

ლიტერატურა

გ. ბერაძე, „გენერალ მაჯდ ას-სალტანეს პორტრეტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში", 2012 (წერილი გამოქვეყნებული არ არის და ავტორის ნებართვით ხელნაწერით ვისარგებლეთ).

დ. კაციტაძე, „მაჯდ-ალ-სალტანე", *თბილისი. ენციკლოპედია*, თბილისი, 2002, 61.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K კოლექცია), შეადგინეს ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, გიორგი წერეთლის წინასიტყვაობით, თბილისი, 1969, 167, № PK 174/214.

მ. მამაცაშვილი, „აღმოსავლური ხელნაწერებისა და ქართულ-აღმოსავლური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში", *მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, XIV, თბილისი, 1987, 41.

ელ. ფუთურიძე, „მაჯდ-ოს-სალტანე და მისი შრომები", წიგნში: მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1971, 7-11.

გ. წერეთელი, „წინასიტყვაობა", *კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (Kკოლექცია)*, შეადგინეს ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, გ. წერეთლის წინასიტყვაობით, თბილისი, 1969, VIII.

---

491 ამ ხელნაწერს დართული აქვს 7 ფოტოსურათი, რომელთაგან ერთზე გადაღებულია თვით ავტორი მაჯდ ას-სალთანე 26 წლის ასაკში (იგი სამხედრო უნიფორმაშია გამოწყობილი). სხვა ფოტოებზე წარმოდგენილია თბილისის ხედები (პარკის შესასვლელი ქალაქის ცენტრში, მამადავითის ეკლესია მთაწმინდაზე...) და სხვა. ხელნაწერში მითითებულია გადამწერი კალიგრაფის სახელი – მირზა სეიფოლაჰი და გადაწერის დასრულების თარიღი – მთვარის ჰიჯრის 1312 წლის 13 ზუ ლ-ჰიჯა ანუ 1895 წლის 7 ივნისი. ამ თარიღიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ხელნაწერს დართული აქვს მაჯდ ას-სალთანეს ფოტო 26 წლის ასაკში (ეს ფოტო გადაღებული უნდა იყოს 1895 წლის პირველ ნახევარში), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მაჯდ ას-სალთანე უნდა დაბადებულიყო 1868 ან 1869 წელს.

Mehrān Bāhārlī, "Majd as-Saltane Afshār Orūmī az nokhostīn nomāyandegān-e jonbesh-e khodāgāhī-ye tork" (http://non-valqalam.blogsky.com/1390/11/08/post-68/).

Mehrān Bāhārlī, "Jamshīd Khān Majd as-Saltane Afshār Orūmī, Valī-ye Āzerbāyjān-e jonūbī-ye nīmemostaqel – tahtolhemāye-ye Emperātūrī-ye 'Osmānī (8 zhuan-e 1918 – avval-e oktobr-e 1918)" (http://azadistan-xiyabani.blogspot.com/2011/12/httpsozumuz.html).

Mehrān Bāhārlī, "Majd as-Saltane va Āzerābādegān dar maqāle-ye "Al-loghat at-torkīye fī Īrān"-e Kasravī" (http://azadistan-xiyabani.blogspot.com/2011/12/httpsozumuz_8210.html)

Fehrest-e tafsīlī-ye nosakh-e khattī-ye fārsī-ye Anstītū-ye Kekelīdze-ye Teflīs, tahīye va tanzīm: Seyfollāh Modabber Chahārborjī, j.1, Tehran, 1383/2004, 346-347.

Ahmad Kasravī, *Tārīkh-e mashrūte-ye Īrān*, Tehran, 1376/1997, 353, 400, 425, 440, 477.

Majīd Khalīlī-Zāde, "Rejāl-e nezāmī-ye Orūmīye dar 'asr-e Qājār", 1390/2011 (<http://azurmia.blogfa.com/post-10.aspx >).

Ahmad Monzavī, *Fehrestvāre-ye ketābhā-ye fārsī*, j.1, Tehran, 1374/1995, 117.

'Alī Bābā'ī Nīvlū'ī, *Nāmāvarān-e Orūmīye*, Tehran, 1389/2010.

Rahmatollāh Khān Mo'tamad al-Vezāra, *Orūmīye dar mohārebe-ye 'ālamsūz*, be kūshesh-e Kāve Bayyāt, Tehran, 1379/2006.

Rahīm Ra'īs Nīyā, "Naqsh-e Tabrīz dar moqābel-e qoshūnhā-ye Rūs va 'Osmānī dar Jang-e jahānī-ye avval", 1391/2012 (http://www.rezahamraz.com/fa/index.php?option=com_content&task=view&id=575&Itemid=49).

N. Kondo, "Qizilbash Afterwards: The Afshars in Urmiya from the Seventeenth to the Nineteenth Century", *Iranian Studies*, Vol.32, No.4, 1999, 547, 556.

N. Ter-Oganov, "Two Iranian Authors, Majd os-Saltaneh and Yahya Dowlatabadi, on Tbilisi", *ტიპოლოგიური ძიებანი*, IV, თბილისი, 2000, 399-408.

N. Ter-Oganov, "Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Majd os-Saltaneh et Yahya Dowlatabadi", *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, Paris, 2009, 261-274.

М. Мамацашвили, "Обзор персидских рукописей Института рукописей АН Грузинской ССР им. К.С. Кекелидзе", *Актуальные проблемы иранской филологии*, Тбилиси, 1987, 604-605.

О. Меликов, "Использование традиционной литературной формы "хабнаме" для выражения новых общественно-политических и исторических взглядов в Иране (конец XIX – начало XX в.)", *Средневековый Восток*, Сборник статей, посвященный памяти академика З.М. Буниятова, Баку, 2000, 117, 182-183.

მოგზაურობის წიგნი
(1894)

1312 წლის ჯუმადა ას-სანის 4-ში (1894 წლის 3 დეკემბერს) ჰაერის გამოსაცვლელად და გასასეირნებლად კავკასიის კურთხეულ ქვეყანაში გავემგზავრე...

* _ *

თქვენი მონა-მორჩილი ჯუმადა ალ-ახირას 16-ში (15 დეკემბერს), პარასკევს თბილისში ჩავედი და დავბინავდი სასტუმრო „როსიაში" (Rāsyā)[492], რომელიც დიდ *ბულვარზე*[493] მდებარეობს. ჩემს ავადმყოფობასთან დაკავშირებით თბილისის ყველაზე ცნობილ ექიმს ოსმანოვს (Osmānof) ვეწვიე და მას პიატიგორსკში (Patī Gorskī) წასვლაზე მოვეთათბირე. ექიმმა გამგზავრება არ მირჩია და დამპირდა, რომ ერთ თვეში თავად მომარჩენდა. თბილისში 50 დღე გავატარე და, ღვთის მადლით, 40 დღეში სრულიად განვიკურნე. მეორე დღეს ქალაქში გავისეირნე და ყველაფერი კარგად დავათვალიერე. სამი დღე სასტუმრო „როსიაში" ვცხოვრობდი, მერე კი გადავედი სასტუმრო „ვერსალში" (Versāyal)[494], რომელიც ვორონცოვის[495] (Varānsov) ძეგლის პირდაპირ მდებარეობს. რაც ამ 50 დღეში ვნახე, ყველაფერს მოგახსენებთ.

კავკასიის რეგიონი რუსეთის აზიური ნაწილის შემადგენლობაში შედის. ის კასპიისა (Bahr-e Khazar) და შავ (Bahr-e Asvad) ზღვებს შორის მდებარეობს. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება რუსეთის ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთიდან – კასპიის ზღვა, სამხრეთიდან – ირანი, რომლისგანაც მას მდინარე არაქსი (Aras) ჰყოფს, დასავლეთიდან კი – ანატოლია[496] და შავი ზღვა (Bahr-e Syāh). ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიის მაღალი მთებით არის შემოჯარული. გეოგრაფიული *ატლასების* მიხედვით მათი სიმაღლე 5600 *ზარ'ამდეა*. მთის მწვერვალები მარადიული თოვლითა და ყინულით არის დაფარული. ჩრდილოეთ ნაწილში ყოველთვის ცივა, სამხრეთით კი ვაკეა და ჰავაც ზომიერია. აქ ხარობს ის მცენარეები და ხეები, რომლებიც ზომიერ კლიმატში იზრდება. ცნობილი არარატის ('Arārāt) მთა, სადაც ნოეს კიდობანი ჩამოდგა, ირანის საზღვართან მდებარეობს.

---

492 სასტუმრო „როსია" ფუნქციონირებდა 1884-1907 წლებში ახლანდელი რუსთაველის პროსპექტის №23 შენობაში (დ. ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები*, 59-60).

493 ავტორის სქოლიო: „ბულვარი ფრანგული სიტყვაა და დიდ ქუჩას, პროსპექტს ნიშნავს".

494 სასტუმრო „ვერსალი" ფუნქციონირებდა ელისაბედის (ახლანდელი წინამძღვრიშვილის) ქუჩის №14 შენობაში. დაიხურა პირველი მსოფლიო ომის დროს (დ. ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები*, 83-84).

495 ავტორის სქოლიო: „ვორონცოვი სახელია ცნობილი რუსი სარდლის, რომელიც კავკასიის საზღვრების დასაცავად ოსმალეთს ებრძოდა და მრავალი გამარჯვება მოიპოვა. მის სახსოვრად თბილისში ეს ძეგლი აღმართეს".

496 ავტორის სქოლიო: „ანატოლიას ოსმალეთის აზიურ ნაწილს ეძახიან. ანატოლია ბერძნულ ენაზე აღმოსავლეთს ნიშნავს. რადგან ეს ქვეყანა საბერძნეთის აღმოსავლეთით მდებარეობს, ამიტომ ეწოდა ეს სახელი და დღესაც ამ ბერძნული სახელით არის ცნობილი. მას მცირე აზიასაც ეძახიან".

ახლა მას აღრი-დაღს[497] (Akrī Dāgh) ეძახიან. ამ მხარის ყველაზე დიდი მდინარე მტკვარია (Qūr), რომელიც მდინარე არაქსთან შეერთების შემდეგ კასპიის ზღვაში ჩაედინება. რეგიონის მოსახლეობა რუსეთის მოსახლეობის აღწერის დავთრების მიხედვით შვიდი მილიონია. დღეს ეს რეგიონი რამდენიმე გუბერნიად არის დაყოფილი. პირველი საქართველოს გუბერნიაა, რომლის დედაქალაქიც თბილისია. ამ ქალაქში დაახლოებით 250000 კაცი ცხოვრობს. თბილისი მთელი კავკასიის დედაქალაქს წარმოადგენს. ბაქო-ბათუმის რკინიგზის მაგისტრალი ამ ქალაქზე გადის.

მეორე იმერეთის (Īmeretī) გუბერნიაა, რომლის დედაქალაქიც ქუთაისია (Kūtāys). ფოთის (Putī) ნავსადგური ამ გუბერნიის შემადგენლობაში შედის.

მესამე აფხაზეთის (Ayāze) გუბერნიაა, რომლის დედაქალაქი სოხუმ-ყალა (Soxūm Qal'e) შავი ზღვის ნაპირზე მდებარეობს.

მეოთხე შირვანია, რომლის დედაქალაქიც ბაქოა. შაქი და შამახა ამ გუბერნიის ცნობილი ქალაქებია.

მეხუთე რუსეთის სომხეთია, რომლის დედაქალაქიც ერევანია. განჯა, ნახჭევანი, აღსთაფა და გიუმრი ამ გუბერნიის ცნობილი ქალაქებია.

გარდა ამ გუბერნიებისა, რუსეთ-ოსმალეთის ბოლო ომის შემდეგ ბერლინის კონგრესის დადგენილებით ოსმალეთის აზიური ნაწილის ერთი ფართო ტერიტორია რუსეთს გადაეცა. მისი ცნობილი ქალაქებია ბათუმი, არტაანი და ყარსი. დღეს ეს ტერიტორია კავკასიის შემადგენლობაში შედის.

კავკასიის მოსახლეობა ძალიან ჭრელია. მისი უმნიშვნელოვანესი ჯგუფი ქართველებია, რომლებიც ლამაზი სახითა და კოხტა აღნაგობით საქვეყნოდ არიან ცნობილი. მეორე ჯგუფია სომხები, რომლებიც ვაჭრობას მისდევენ. ლეკები, რომლებიც ძალიან ვაჟკაცური ხალხია, ამ რეგიონში მრავლად არიან. გარდა ამისა, აქ ცხოვრობენ თათრები, თურქები, სპარსელები, აფხაზები, ჩერქეზები და ჩეჩნები. ქალაქი თბილისი, რომელიც მნიშვნელობით ევროპული რუსეთის ქალაქებს ჩამოუვარდება, აზიური რუსეთის უპირველეს ქალაქსა და მთელი კავკასიის ცენტრს წარმოადგენს. თავდაპირველად ის ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქი იყო და მოსახლეობას, ძირითადად, ქართველები შეადგენდნენ. მოგვიანებით, სეფიანთა მმართველობის პერიოდში, ქალაქში მუსლიმები და შიიტები დასახლდნენ, საქართველოს რუსეთთან მიერთების შემდეგ კი აქ რუსებიც მომრავლდნენ. ამჟამად სომხები, რუსები და გერმანელები ადგილობრივ მოსახლეობას ჭარბობენ. ევროპელების გარდა აქ სხვა ჯურის ხალხსაც შეხვდები: პოლონელებს, კაზაკებს, ჩერქეზებს და მალაკნებს.

თბილისიდან პეტერბურგამდე 2580 რუსული *ვერსია*. ამ გზაზე რამდენიმე ცნობილი ქალაქი და დაბაა: ვლადიკავკაზი, გეორგიევსკი, ალექსანდროვსკი და სტავროპოლი. ამის შემდეგ გზა ჩრდილო-დასავლეთით ნოვოჩერკასკისკენ, იქიდან კი ჩრდილოეთით ტულასკენ მიემართება. მერე მოდის რუსეთის ძველი დედაქალაქი მოსკოვი. მოსკოვიდან პეტერბურგისკენ ჩრდილო-დასავლეთით უნდა ნახვიდე და იქამდე რამდენიმე გზა მიდის.

---

[497] აღრი-დაღი ან ბუიუქ-აღრი-დაღი (Ağrı Dağı) არარატის მთის თურქული სახელია.

• – •

ქალაქი თბილისი მდინარე მტკვრის ნაპირებზეა გაშენებული და მდინარე მას შუაზე კვეთს. თბილისი მოგრძო ფორმისაა და ერთი ბოლოდან მეორემდე დაახლოებით ერთი *ფარსახი* იქნება. ქალაქში რამდენიმე ბულვარია და მათ შორის არის ერთი დიდი *ბულვარი*, რომელზეც სახელმწიფო დაწესებულებების უმეტესობა, სამხედრო მუზეუმი, ქალაქის მუზეუმი, დიდი სასტუმროები, დიდებული ეკლესიები, თეატრი, ცირკი, სამხედრო გვარდიის შენობა[498], სპეციალური მაღაზიები და *კლუბი* (qlūb) მდებარეობს. შენობების დიდი ნაწილი და მაღაზიები ელექტროლამპიონებით არის განათებული. ბულვარის მთელ სიგრძეზე ტრამვაის რელსებია გაყვანილი. დიდი თეატრის მშენებლობა რამდენიმე წლის წინ დაიწყეს და თუმცა დასრულებული არ არის, მაინც დიდებული სანახავია. ამ შენობის სქემა რუსმა ინჟინრებმა პარიზის ეროვნული თეატრიდან გადმოიღეს. მშენებლობის ხარჯები ქალაქის მმართველობამ გაიღო და მისი შემოსავალიც – დაახლოებით 4 ირანული *ხარვარი* – მასვე ეკუთვნის. ბულვარზე არწრუნის (Arsrūnī) სახელობის[499] პატარა თეატრიც დგას. რამდენიმე წლის წინ ის ხანძრის შედეგად დაიწვა, მაგრამ წელს მშვენივრად აღადგინეს და ელექტროლამპიონებით გააჩირაღდნეს. ამ თეატრში წარმოდგენები, ძირითადად, ქართულ ენაზე იმართება[500]. თეატრის გვერდით ქარვასლის მსგავსი დიდი მაღაზიები, ბანკი და მუსიკალური საკრავებისა და პიანინოების მაღაზიაა განლაგებული. იქვე მდებარეობს მოსამსახურეთა მაღაზია, რომელიც თბილისის მოსახლეობას ბინაზე მომსახურებას უწევს: თუ რომელიმე ქალს ან ქალიშვილს მოსამსახურე დასჭირდება, ის ამ დაწესებულებას მიაკითხავს, დაქირავების ხელშეკრულებას დაუდებს, თავის მისამართსა და მომსახურების საფასურს დაუტოვებს და ისინი საჭიროების მიხედვით მას მოსამსახურეს – მზარეულს, ოფიციანტს და სხვა – გაუგზავნიან.

მუზეუმის უკან მშვენიერი პატარა ბაღია გაშენებული და ის სახალხო სასეირნო ადგილია. ბაღში ორი ეკლესია დგას: ერთი ძველი და ერთიც ახალი[501]. ახალი ეკლესია რამდენიმე წლის წინ აწ განსვენებულმა იმპერატორმა ააშენა და მისი აშენება ერთ შემთხვევას უკავშირდება. იმპერატორის კავკასიაში მოგ-

---

498 სამხედრო გვარდიის შენობაში იგულისხმება კადეტთა კორპუსი.

499 ავტორის სქოლიო: „არწრუნი თბილისში მცხოვრები ცნობილი სომეხი მეცნიერი იყო. მან განათლება ევროპაში მიიღო, მრავალი მაღალი თანამდებობა ეკავა, იყო გაზეთ „მშაკის" დამაარსებელი და რედაქტორი და ბევრი ევროპული სამეცნიერო საზოგადოების წევრი. თბილისის ქარვასლა და თეატრი მისი აშენებულია".

500 ლაპარაკია ქართულ სათავადაზნაურო (სხვანაირად – საბანკო) თეატრზე, რომელიც 1879 წლიდან სპექტაკლებს მართავდა თბილისელი პუბლიცისტისა და სახლთმფლობელის გრიგორ არწრუნის (1845-1892) კუთვნილი ყოფილი ქარვასლის შენობაში. ის იდგა მაშინდელ სასახლის ქუჩაზე, ახლანდელი გრიბოედოვის სახ. თეატრის ადგილას. 1886 წელს ეს შენობა სათავადაზნაურო ბანკმა შეიძინა, მაგრამ თეატრს ამის მერეც კარგა ხანს „არწრუნის თეატრს" ეძახდნენ (იხ.: ი. დოლიძე, *სათეატრო არქიტექტურა თბილისში*, თბილისი, 2005, 98-100).

501 იგულისხმება ალექსანდრეს ბაღი, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია („ძველი") და წმ. ალექსანდრე ნეველის სამლოცველო („ახალი", აღარ არსებობს, იდგა ბაღის ქვედა ნაწილში).

თბილისი, ალექსანდრე ნეველის სახელობის სამლოცველო ალექსანდრეს (ახლანდელი 9 აპრილის) ბაღში. 1900-იანი წლების ღია ბარათი.

ზაურობის დროს, ნიჰილისტების[502] საზოგადოების წევრებმა რკინიგზის ლიანდაგი აჰყარეს. მატარებელი რომ დაიძრა, *ლოკომოტივი* რელსებიდან გადავიდა და ვაგონები ძლიერ დაზიანდა. ავარიას რამდენიმე შავი მუშა და იმპერატორის თანამგზავრი ემსხვერპლა, თავად იმპერატორი და მისი ოჯახის წევრები კი გადარჩნენ. იმპერატორმა მადლობის ნიშნად ყველა ქალაქში ეკლესიები ააგო და თბილისის ბაღში მდგარი ეკლესიაც ამ ფაქტის აღსანიშნავად აშენდა.

ბაღში გერმანელი ქალიშვილებისთვის ტირია გახსნილი. აქ თავშესაქცევად და გასართობად მოდიან და ნიშანში ისვრიან. სასროლი ნიშნები ისეა განლაგებული, რომ თითოეულის უკან ტკბილეულისგან გაკეთებული სხვადასხვა ფორმის საგანია მოთავსებული. ხუთი სასროლი ვაზნა ერთი ირანული *შაჰი* ღირს და ერთ გასროლას ერთი ვაზნა სჭირდება. ბაღი მთელი ღამე გაჩირაღდნებულია და იქ ნებისმიერ დროს შეგიძლია გაისეირნო. ხეების ჩრდილში უამრავი სკამია განლაგებული და ზედ მოსეირნეები დასასვენებლად სხდებიან.

---

502 ავტორის სქოლიო: „ნიჰილისტი ეწოდება რუს თავისუფლებისათვის მებრძოლთა ჯგუფს, რომელმაც ახლანდელი იმპერატორის პაპა ყუმბარით მოკლა. ამ ჯგუფის წევრები რუსეთში დღესაც არიან და ისინი სოციალისტებისა და ანარქისტების რიგებში შევიდნენ. სოციალისტები და ანარქისტებიც თავისუფლებისთვის მებრძოლები არიან, მაგრამ მათი ბრძოლის მიზნები და მეთოდები მკვეთრად განსხვავდება ნიჰილისტების მიზნებისა და მეთოდებისგან".

* _ *

კავკასიის ნაციონალური მუზეუმი ქალაქის ცენტრში დიდ ბულვარზე მდებარეობს. მართალია, კავკასიის მუზეუმი ჰქვია, მაგრამ მასში ირანისა და სხვა ქვეყნების სიძველეებიც მრავლად არის. მუზეუმი სამსართულიანი შენობაა. პირველ სართულზე განლაგებულია სხვადასხვა სახის მინერალური ქვები, როგორიცაა ოქრო, ვერცხლი და სხვა ძვირფასი ლითონები, ასევე *გრანიტი*[503], პორფირი, მარმარილო და სხვა. მათ შორის არის ქვის ორი ფილა, რომლებიც მთვარის *ვულკანებიდან*[504] ჩამოვარდა. აქვეა გამოფენილი წყლისა და ხმელეთის ცხოველებისა და ფრინველების საოცარი ოსტატობით გაკეთებული ფიტულები, რომლებიც ცოცხალისგან არ განსხვავდება. ცხოველებიდან მხოლოდ *კროკოდილი*[505] და *ჰიპოპოტამი*[506] აკლია, ფრინველებიდან კი – სამოთხის ჩიტი. აქ გამოფენილია ჩონჩხი უძველესი ცხოველისა, რომელიც ადამიანის გაჩენამდე არსებობდა. ჩონჩხი სიდიდით სამი აქლემის ხელა იქნება. როგორც ჩანს, სპილოსა და მარტორქის მსგავსი ცხოველი იყო. კედელზე სამყაროს ყველა რასის წარმომადგენლის ძალიან კარგი ნახატები კიდია: აფრიკელი ზანგებისა და ყვითელკანიანების, ამერიკელი და ავსტრალიელი[507] წითელკანიანების, მონღოლების და სხვა.

მეორე სართულზე გამოფენილია სხვადასხვა ხალხთა ქანდაკებები, მათი ტანსაცმელი და სახლის მოწყობილობა. ორი-სამი ექსპონატის რაობა ჩემთვის გაუგებარი დარჩა. აქ მრავლად არის საბრძოლო იარაღი და მუსიკალური ინსტრუმენტები, რომელთა უმრავლესობა ირანულს ჰგავს. მუზეუმში ბევრი ძველი

---

503 ავტორის სქოლიო: „გრანიტი პირველადი ქვაა, რომელსაც ირანში პორფირს ეძახიან".

504 ავტორის სქოლიო: „ვულკანი ცეცხლისმფრქეველ მთას ჰქვია".

505 ავტორის სქოლიო: „კროკოდილი წყლის ცხოველია, რომელსაც ზოგიერთ ენაზე ნიანგსაც ეძახიან. ისინი ბევრია მდინარეებში ნილოსში, ინდოეთის განგში და სამხრეთ ამერიკის ამაზონში. ამ მდინარეებში სხვა გარეული ცხოველებიც მრავლად არის".

506 ავტორის სქოლიო: „ჰიპოპოტამი დიდი ცხოველია, რომელსაც არაბები წყლის ცხენს ეძახიან, თუმცა ცხენს სრულიად არ ჰგავს. ისინი ბევრია ნილოსში და, აგრეთვე, აფრიკის მდინარეებსა და ტბებში".

507 ავტორის სქოლიო: „ავსტრალია ოკეანიის ერთ-ერთი ცნობილი კუნძულის სახელია. თავიდან ის ველურების ხელში იყო, ახლა კი ინგლისი დაეპატრონა. ავსტრალია აზიის სამხრეთით მდებარეობს. მისი ტერიტორია 7 750 000 კვადრატული კილომეტრია, რაც მთელი ევროპის დაახლოებით სამი მეოთხედია. ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1012 წელს ანუ ჰიჯრით 422 წელს ის ერთმა მოგზაურმა სახელად ტასმანმა გემით მგზავრობის დროს აღმოაჩინა და ევროპელებს მისი გზა აჩვენა. აქაური ძირითადი ნაწარმი ყავა, შაქრის ლერწამი და ბამბაა, მაგნეულიდან კი გვხვდება ოქრო, ვერცხლი, სპილენძი და რკინა. ავსტრალიელ ველურთაგან უმეტესობა გადაშენდა, გადარჩენილებმა კი მიუვალ მთებს შეაფარეს თავი. ინგლისმა ავსტრალია ექვს რეგიონად დაყო. მისი ძირითადი ქალაქი სიდნეია და მასში 250000 კაცი ცხოვრობს, სიდიდით მეორე ქალაქი მელბურნია, რომელიც ცნობილი პორტი და სავაჭრო ცენტრია და მისი მოსახლეობა 300000 კაცს შეადგენს".

ავტორის მიერ მოტანილი თარიღი, რა თქმა უნდა, მცდარია – აბელ ტასმანმა ავსტრალიაში 1642 წელს იმოგზაურა.

ირანული მოჭიქული ჭურჭელია. ორი-სამი მათგანი *რაფლე მოთალიყის*[508] უძველესი ტექნიკით არის შესრულებული და ძალიან ლამაზია. აქ იმდენი ოქროსა და ვერცხლის მონეტაა, რომ ყველაფრის დათვალიერება შეუძლებელია.

მესამე სართულზე გამოფენილია ფერწერული ტილოები, მათ შორის განსვენებულ მეფეთა, მეფისნაცვალთა და საქართველოს მმართველთა პორტრეტები. იქვე კიდია ორლულიანი თოფი ლეკების შეიხისა[509], რომელიც წლების განმავლობაში რუსეთს ებრძოდა. ვნახე ღვინის ქვის ჭურები, რომლებსაც ზარათუშტრას ეპოქამდელ ირანში მიცვალებულთა სამარხებად იყენებდნენ. მათზე თარიღი ძველი ირანული ლურსმული დამწერლობით არის ამოტვიფრული. შენობის მარჯვენა მხარეს მრავლად არის ჩინური, ძველი ირანული, ევროპული და რუმის[510] ჭურჭელი. ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, მუზეუმში კიდევ ბევრი ექსპონატია, მაგრამ ყველა მათგანი რომ დავასახელო, ამისთვის მუზეუმის დავთარი უნდა ვთარგმნო და დავურთო. ამიტომ, ამჯერად მოკლე აღწერით დავკმაყოფილდები.

თბილისის სახელმწიფო სამხედრო მუზეუმი

სამხედრო მუზეუმი ქალაქის ცენტრში, საზოგადოებრივი ბაღის ბოლოს დიდ ბულვარზე მდებარეობს[511]. ის ერთსართულიანი შენობაა და მის გარშემო გარკვეულ რიგზე განლაგებულია ჯაჭვით გადაბმული ქვემეხები და ყუმბარები, რომლებიც რუსეთის ჯარმა მტერს წაართვა. თითოეული ქვემეხის თავზე მოოქრული სახელმწიფო გერბი – არწივია დამაგრებული. ქვემეხების უმეტესობას ოსმალეთის გერბი აქვს. მუზეუმში რუსეთის ომების ამსახველი სურათები კიდია და მათ ქვეშ მცირე განმარტებებია მიწერილი. თქვენი მონა-მორჩილი ამჯერად ამ მოკლე აღწერით შემოვიფარგლები.

ერთმანეთზე გადაბმული ორი გოგონა და ჯუჯა ცოლ-ქმარი

თბილისში რამდენიმე დღის ჩამოსული ვიყავი, რომ ჯუჯა ცოლ-ქმარი და ერთმანეთზე გადაბმული ორი გოგონა ჩამოვიდნენ[512]. მე ისინი დეტალურად დავათვალიერე. კაცი სამ *ჩარაქს* აღემატებოდა, ცოლი კი მასზე დაახლოებით ორი თითით მაღალი ჩანდა. ავსტრიელები იყვნენ და ქალი ოცი წლის, კაცი კი 38 წლის იყო. ქალი მდაბიო წარმომავლობის იყო, კაცი კი ავსტრიელ დიდგვაროვანთა წრეს განეკუთვნებოდა. როგორც ამბობდნენ, მიუხედავად პატარა ტანისა, ორივე ძალიან ჭკვიანი, გონიერი და ფულის მოყვარული იყო. ერთხელ ბავშ-

---

508 ავტორის სქოლიო: „რაფლე მოთალიყი მოჭიქვის უძველესი ტექნიკაა, რომელიც ჭურჭლის ოქროთი მოვარაყებას და შეფერადებას ნიშნავს. ახლა ეს ტექნიკა დაკარგულია და ევროპელი ხელოსნები მის აღდგენას ვერ ახერხებენ".

509 იგულისხმება იმამ შამილი (1797-1871), რუსეთთან მებრძოლი მთიელების მეთაური.

510 ანუ ოსმალური.

511 სამხედრო-ისტორიულ მუზეუმს ეკავა ახლანდელი ეროვნული („ცისფერი") გალერეის შენობა.

512 აღსანიშნავია, რომ ხელნაწერს ახლავს ამ გოგონების ორი ფოტოსურათი, რომლებიც თბილისელი ფოტოგრაფების გადაღებულია.

ვიც შესძენიათ, მაგრამ რამდენიმე დღეში მომკვდარა. მათ პატარა *კალიასკა* და მცირე ზომის ცხენები მისცეს და სასეირნოდ ამ ეტლით დადიოდნენ. ძალიან თავშესაქცევი სანახაობა იყო. ეს ორი გოგონა ინდოეთში შეიძინეს და აქ ჩამოიყვანეს. ბავშვები დაიბადნენ თუ არა, მამას მათი მოკვლა განუზრახავს, მაგრამ ხელისუფლებამ გაიგო და ხელი შეუშალა. ცოტა ხნის შემდეგ ისინი მაღალ ფასად ამ დაწესებულებას მიჰყიდეს. გოგონები ერთმანეთზე გვერდებით არიან გადაბმული. მათ ერთი კუჭი აქვთ, ამიტომ თუ ერთი შეჭამს, მეორეც ნაყრდება. გარეგნულად ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ერთი მეორისგან ვერ განასხვავებ. სიარულისას ერთმანეთს კისერზე აჭდობენ ხელებს. სურვილებიც ერთნაირი აქვთ და რასაც ერთი მოისურვებს, მეორესაც ის უნდა. ორივეს ერთდროულად შივდება და ერთადვე ნაყრდებიან, კარგ ხასიათზეც ერთად დგებიან და – ცუდზეც, ძილი და ღვიძილიც ერთდროულად აქვთ. უთანხმოება მხოლოდ მაშინ მოსდით, თუ ერთს სათამაშოს მისცემენ და მეორეს – არა. ეს ხდება მათი წუხილისა და დარდის მიზეზი. შვიდ წელზე მეტის არ იქნებიან, მაგრამ მიუხედავად მცირე ასაკისა, შესანიშნავად იციან ფრანგული, ინგლისური და გერმანული ენები. მათი მშობლები დღესაც ინდოეთში ცხოვრობენ.

* – *

თბილისში ორი წლის წინ სატელეფონო სამმართველო დაარსდა, რამაც ქალაქის მოსახლეობას შორის კომუნიკაცია გააადვილა. სამმართველო დიდი შენობის მესამე სართულზე მდებარეობს და მასში ქალაქის მთელი ტელეფონის ხაზებია თავმოყრილი. სახელმწიფო დაწესებულებებში და სხვა მნიშვნელოვან პუნქტებში, მაღაზიებში, სასტუმროებსა და აბანოებში ტელეფონის ხაზებია გაყვანილი და მომხმარებელს, რომელიც წელიწადში 75 მანეთს იხდის, შეუძლია თავის სახლში დადგმული აპარატის მეშვეობით სახლიდან გაუსვლელად მოაგვაროს საქმეები. თუ, ვთქვათ, კაცს უნდა, გადაუდებელი საქმის თაობაზე სახელმწიფო დაწესებულებას შეატყობინოს, ან ტელეგრაფსა და ბაზარს დაუკავშირდეს, ყველა ამ საქმეს ის ტელეფონის საშუალებით სწრაფად მოაგვარებს. ახლა თბილისში სახლების უმეტესობას ტელეფონი აქვს, ხოლო ის, ვინც ამ დაწესებულებას არ არის მიერთებული, ქუჩის სატელეფონო ხაზით სარგებლობს. თბილისის ტელეფონის სამმართველო დღითიდღე იზრდება და ვითარდება.

ქალაქის ყველა ცნობილი ქუჩა დაქსელილია ტრამვაის ლიანდაგებით. გარდა ამისა, აქ 3000 საქირავებელი *დროშკა*, საგვარეულო *დროშკები* და *კალიასკები* და ტვირთის გადასაზიდი ლამაზი ოთხთვალებიც დადის. საყოველთაოდ მიღებული სამგზავრო ტრანსპორტია *ველოსიპედი*[513] და ქუჩებში ხალხის უმეტესობა ველოსიპედით გადაადგილდება. თბილისში *კალიასკებისა* და *დროშკების* დამამ-

---

[513] ავტორის სქოლიო: „ველოსიპედი რკინის ურიკის სახეობაა, რომელიც ბოლო ხანებში გამოიგონეს. ის ფეხით სამოძრავებელია და ძალიან სწრაფად დადის. მას შეიძლება თვითმავალი ბორბალი ეწოდოს".

ზადებელი ფაბრიკაა[514], რომლის ნაწარმსაც როგორც საკუთრივ ამ ქალაქში, ისე ირანში ყიდიან.

ქალაქის თვითმმართველობამ ღარიბი მოხუცებულებისთვის ააშენა ძალიან კარგი თავშესაფარი, რომელშიც სამოც წელს გადაცილებული უილაჯო მოხუცები ცხოვრობენ. მათ ლამაზი ტანსაცმელი აცვიათ, ყოველ დღე სადილსა და ვახშამს მიირთმევენ და თავიანთი ცხოვრების დარჩენილ დღეებს მშვიდად ატარებენ.

* _ *

თბილისში რუსული ჯარის ოცი ათასამდე ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცი და არტილერისტია თავმოყრილი. ისინი ქალაქის გარეთ მთის კალთაზე მდგარ სპეციალურ შენობაში ცხოვრობენ. ოფიცრებიც იმავე შენობაში არიან დაბინავებული. იქვეა ყაზარმები და ცეცხლსასროლი და სხვა საომარი იარაღის დამამზადებელი ქარხანა. ჯარისკაცთა უმრავლესობას ქვეითები შეადგენენ. ჯარში პირველხარისხოვანი დისციპლინა, სამხედრო მომზადება და კვებაა. საბრძოლო საჭურველი მთლიანად ახალწარმოებული თოფებისგან შედგება. ისინი რუსეთის ხელისუფლებამ საფრანგეთში შეიძინა.

ოფიცრები ამ ქვეყანაში დიდი პატივით სარგებლობენ. ყოველ მათგანს აქვს წიგნაკი, რომელიც მას სხვებისგან გამოარჩევს. უნტერ-ოფიცრებს ხმლები უკეთიათ, დანარჩენი ოფიცრები – ტელეგრაფის, ფოსტის და საბაჟოს თანამშრომლები – კი ხმალს არ ატარებენ. მათ გაწეული სამსახურის სამადლობელად არც სამხედრო პატივს მიაგებენ. ოფიცრებს აქვთ საკუთარი განაწესი, რომლის შესახებაც თქვენი მონა-მორჩილი მოგახსენებთ. თუ ოფიცერს ვინმე დაჯაბნის ან დაარტყამს, ის დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. მიუხედავად იმისა, რომ შეურაცხყოფის მიმყენებელსაც სასტიკად დასჯიან, ოფიცერი ჩინს ველარ დაიბრუნებს. ამიტომ უნდა გაფრთხილდეს, რომ არავინ დაჯაბნოს, გინდ ამისთვის მოწინააღმდეგის მოკვლა მოუწიოს. გარდა ამისა, თუ ოფიცრები იჩხუბებენ, მათ, სამხედრო განაწესის მიხედვით, ერთმანეთი *დუელში* უნდა გამოიწვიონ. ოფიცერს წვიმასა და მზიან ამინდში ქოლგის ტარების უფლება არა აქვს და უნიფორმისა და ხმლის გარეშე სახლიდან ვერ გავა. სათადარიგო ოფიცრებსაც ასეთი შეზღუდვები აქვთ. ქვეითი ჯარისკაცების ყოველ პოლკს თავისი პოლკის უფროსი და მეთაური ჰყავს. მესამე რანგის ბრიგადის გენერალს სამი, თითო ათასი კაცისგან შემდგარი, პოლკი ემორჩილება. ოფიცრის ჩინების ჩამონათვალს ქვემოთ მოგახსენებთ: უნტერ-ოფიცერი, უმცროსი ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი, მაიორი, პოდპოლკოვნიკი, პოლკოვნიკი, გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი და გენერალ-ადიუტანტი.

ყველა რუსი, სახელმწიფო კანონის შესაბამისად, 21 წლის ასაკში იძულებულია ჯარში წავიდეს და იქ სამი წელი იმსახუროს. ამის შემდეგ ის ცხრა წელი რეზერვისა და სათადარიგო ნაწილების რიგებში ირიცხება. ომის დროს თადარიგის ოფიცრები საომარ მოქმედებებში იღებენ მონაწილეობას. რუსეთის

---

[514] ავტორის სქოლიო: „ფაბრიკა იგივე ქარხანა, მრეწველობის სახლია“.

ჯარში ოთხი *ქარვარი* ჯარისკაცია. საზღვაო ფლოტში საომარ მზადყოფნაშია 338 სამხედრო გემი, რომელთაგან 27 დაჯავშნულია. ფლოტში 30 000 მეზღვაური მსახურობს. რუსულ კავალერიაში ბევრია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი, მაგრამ თბილისში მხოლოდ კაზაკი ცხენოსნები არიან, სხვა ნაწილები აქ არ დგას.

ჯარის საპატიო ნაწილს შეადგენს *ყანდარმერია,* რომლის დანიშნულება კანონის დაცვაა და ამდენად ის სახელმწიფოს დასაყრდენს წარმოადგენს. მათი ბრძანებების დარღვევას ვერავინ ბედავს. შემდეგი ნაწილი არტილერიაა, რომელიც შეიცავს არტილერისტთა ქვეით და ცხენოსან რაზმებს და დიდ ზარბაზნებს. ქვეითთა რაზმში შედიან ინჟინრები და მეწინავე ჯარისკაცები, მათ შორის *შასერები*[515]. ცხენოსანთა რაზმში შედიან *დრაგუნები*[516], კაზაკები და *კირასირები*[517]. შემდეგი ნაწილია *პოლიცია*[518], რომელიც ქუჩის მომწესრიგებლებისა და სახელმწიფო დაცვის მოსამსახურეებისგან შედგება.

ჯარის მთელი საჭურველი – თოფები, ზარბაზნები და სხვა – განახლებულია და ახლადწარმოებული იარაღისგან შედგება. ქვეითი ჯარისკაცების ზამთრის სამოსია ქურთუკი და შავი მაუდის შარვალი. ქურთუკის მანჟეტებსა და ბუზმენტებს თეთრს ატარებენ. ზემოდან პალტო აცვიათ და ზედ საველე ჩანთა აქვთ შემორტყმული. ჩვეულებრივ, ჯარისკაცებს ზამთარში სპეციალური *ბაშლიკები* ახურავთ. ოფიცრებს პალტოზე ხმლები და რევოლვერები უკეთიათ. სომხეთიდან ჩამოყვანილ *სალდათებს* ჩვეულებრივი იარაღის გარდა წელზე ყამაც არტყიათ.

* – *

ცირკი სანახაობათა ადგილია, სადაც *გიმნასტები* (zhemnästek), გაწვრთნილი ცხოველები და სხვები საოცარ წარმოდგენებს მართავენ. რამდენიმე საღამო ცირკში გავატარე და მას მოკლედ აღვწერ.

ცირკის შენობა მთლიანად ხისაა და მას შემოვლებული აქვს დახურული გალერეა, საიდანაც შენობაში შედიხარ. თეატრს თავზე ადგას ხის გუმბათი. შენობის ცენტრში მიწის პატარა მრგვალი მოედანია, რომლის გარშემოც სამი-ოთხი *ზარ'ი* სიმაღლის დასაჯდომი იარუსებია განლაგებული. ერთ მხარეს მუსიკოსებისთვის ხის *ბალკონია* მოწყობილი. მოედანს ნახევარი *ზარ'ი* სიმაღლის კედელი არტყია. კედლის უკან პირველი და მეორე იარუსების ორი წყვილი

---

515 ავტორის სქოლიო: „შასერებს მსუბუქად შეიარაღებულ მეწინავე ჯარისკაცებს ეძახიან. შასერი მეწინავეთა ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს".
შასერი (სპარსულ ტექსტშია „შასური" – shasur) მოდის ფრანგული სიტყვიდან chasseur, რაც მსროლელს ნიშნავს.

516 ავტორის სქოლიო: „დრაგუნი მსუბუქად შეიარაღებული მხედარია. ლექსიკონში მას გველეშაპის მნიშვნელობა აქვს. ცივილიზებული ქვეყნების უმეტესობას ამ სახის ცხენოსნები ჰყავს".

517 ავტორის სქოლიო: „კირასირი მძიმედ შეიარაღებული ჯავშნოსანი მხედარია".
კირასირი (სპარსულ ტექსტშია „ქურვასური" – kurvasur) მოდის ფრანგული სიტყვიდან cuirassier და აბჯროსანს ნიშნავს.

518 ავტორის სქოლიო: „პოლიციელი ჯარისკაცია, რომელიც ქალაქის საზოგადოებრივ წესრიგს იცავს".

სკამი დგას, მათ მაღლა კი *ლოჟის*[519] ნომრებია განლაგებული. თითოეულ *ლოჟაში* ოთხი სკამი დგას და ისინი, ვინც ცირკში ოჯახებთან ერთად მოდიან, აქ სხდებიან. *ლოჟებს* სამი *ზარ'ი* სიგრძის გასასვლელი მიუყვება. გასასვლელის თავზე კიდევ სამი დასაჯდომი იარუსია, რომლებიც ძალიან იაფია. ამ იარუსების უკან კი ყველაზე იაფი ადგილებია, რომლის ბილეთის შეძენაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. აქ მაყურებელი ფეხზე უნდა იდგეს, რომ რამე დაინახოს. ამ იარუსში მაყურებლებს პირდაპირ ქუჩიდან შეუძლიათ შემოვიდნენ. მთელი ცირკი გაზის ჩირაღდნებით არის განათებული. გარეთა გალერეაში ჩაის დასალევად და საჭმელად სასაუზმეა მოწყობილი.

თავდაპირველად დამსწრეთა წინაშე სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ძალიან ლამაზი გოგონა გამოვიდა და მაყურებელს თავის დაკვრით მიესალმა. გოგონა თოკივით გაჭიმულ სიმზე ჭოკის გარეშე დადიოდა და ზედ საოცარ ილეთებს ასრულებდა. ერთი ილეთი ასეთი იყო: ქუდის წვერზე ლამაზი ლითონის ბურთი დაიდო, მთელი ძალით ათი *ზარ'ის* სიმაღლეზე აისროლა და ძირს ჩამოვარდნილი ბურთი ისევ ქუდის წვერზე გააჩერა. ამის შემდეგ მოედანზე უცნაურ ტანსაცმელში ჩაცმული სასაცილო მასხარები გამოვიდნენ. ერთი მათგანი ხალხის გასამხიარულებლად მუსიკოსებისათვის განკუთვნილი 5-6 *ზარ'ის* სიმაღლის *ბალკონიდან* გადმოხტა. მეორემ ათამდე მოსამსახურე გოგონა, რომლებიც ასევე მსახიობები იყვნენ, გაამწკრივა და მათ თავზე სალტო-მორტალე ისე მოხერხებულად გააკეთა, რომ არც ერთს არ შეეხებია. შემდეგ გვიჩვენეს მესაათის დუქანი, რომელშიც შესაკეთებელი კედლის საათები ეკიდა. მესაათემ ელვის სისწრაფით საათს გასაღები მოარგო და რამდენჯერმე გადაატრიალა. მისდა გასაოცრად, საათის ზამბარა იმის ნაცვლად რომ გახსნილიყო, ჩაჭედილი აღმოჩნდა. მესაათემ ყველაფერი ეშმაკებს გადააბრალა, რომლებმაც მისადმი დიდი ხნის მტრობის გამო ის ამ განსაცდელში ჩააგდეს. ერთ-ერთ მასხარას გაწვრთნილი ღორი ჰყავდა და რასაც უბრძანებდა, ის ყველაფერს ასრულებდა. მასხარამ გამოაცხადა: მე და ეს ღორი ძმები ვართ და ის შავი იმიტომ არის, რომ ღამე გაჩნდა, მე კი – დღისითო. მერე ცხენების უფროსი მშვენიერ წაბლა ცხენს მოახტა და სცენაზე გამოვიდა. ცხენი მუსიკის ხმაზე ათასნაირად ცეკვავდა, წინა ფეხებს მაღლა სწევდა და მარტო უკანა ფეხებზე მოძრაობდა. ასეთი ლამაზი ცხენი არასოდეს მენახა. ამ კაცის ვაჟი თეთრ ცხენზე შეჯდა და ზედ გასაოცარი ილეთები გააკეთა: გაჭენებულ ცხენს ზურგზე შეაფრინდა და ჩექმებით ზემოდან დაადგა. მერე ფეხები სათლში ჩააწყო, რალაცით მიიბა და გაჭენებულ ცხენს ისე შეახტა.

ამის შემდეგ სცენაზე გამოვიდა ორი ცხენოსანი გოგონა, ერთი 12 და მეორე 16 წლისა. ისინი გაჭენებული ცხენებიდან ერთმანეთს მხრებზე ახტებოდნენ და რგოლებში ძვრებოდნენ. გოგონების მერე მოედანზე გამოჩნდა ორი ახალგაზრდა, რომლებიც ენით აუწერელ რალაცეებს აკეთებდნენ. ერთი ჩინურ თეფშებს ათი *ზარ'ის* სიმაღლეზე ისროდა და ძირს დაშვებულ თეფშებს თითის ფრჩხილზე აჩერებდა. მეორე დიდ დანებს ერთდროულად ჰაერში ისროდა და ატრიალებდა, ასევე ბოთლებს მაღლა აგდებდა და თითის წვერზე აჩერებდა. გოგონებისა და

---

519 ავტორის სქოლიო: „ლოჟას თეატრის სპეციალურ ოთახებს ეძახიან“.

ბიჭების გამოსვლის მერე დაახლოებით ნახევარი საათი ულამაზესი ცეკვები აჩვენეს. თორმეტის ნახევარზე წარმოდგენა დასრულდა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

მოჯთაჰედის[520] ცნობილ უბანში ერთ დიდ შენობაში სასოფლო-სამეურნეო მანქანებია თავმოყრილი და იყიდება[521]. მათ უმეტესობას აქვე აკეთებენ. აქაურებმა გამოიგონეს *გუთნის* სხვადასხვა სახეობა მინდვრების მოსახნავად, მოსარწყავად და სხვა, რომლებსაც რამდენიმე წყვილი ხარის ნაცვლად ორი ცხენი ამუშავებს და მცირე დროში მთელ საქმეს მშვენიერად აკეთებს. სათესი მანქანის მეშვეობით ერთ ცხენს შეუძლია ერთი *თანაბი* მიწა ერთ საათში დათესოს. იქ ასევე ვნახე ბრინჯის გასარჩევი სხვადასხვაგვარი მანქანები, რომლებიც ორთქლის ძალით მუშაობს და ცხენისა და წყლის საშუალებით მოძრაობს. ეს მანქანა დღეში რამდენიმე *ხარვარ* ჩენჩოიან ბრინჯს ისე კარგად ასუფთავებს, რომ ერთი მარცვალიც არ ზიანდება. ვნახე ბამბის სართავი მანქანა, რომელიც წყლისა და ცხენის მეშვეობით დღეში ორასამდე *მან* ბამბას ჩეჩავს და გამოჰყავს. მოკლედ, ეს მანქანა უამრავ საქმეს აკეთებს და დიდი ძალისხმევის გარეშე დღეში 30 *ფუთ* ბამბას ამზადებს. ნამჯის სალეწ მანქანას შეუძლია ორ დღეში უამრავი მოსავალი კარგად გალეწოს, სათიბი მანქანა კი ორი ცხენის მეშვეობით საათში რამდენიმე *თანაბ* მიწას თიბავს. იმდენი სახეობის მანქანაა, რომ მათ აღსაწერად ეს პატარა ფურცელი არ მეყოფა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მანქანებსა და თანამედროვე ირანის სასოფლო-სამეურნეო მანქანებს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მაუზერის შაშხანასა და კაჟიან და პატრუქიან თოფებს შორის. ამ მანქანებიდან ზოგიერთის ფასს მოკლედ მოგახსენებთ: სახნავი მანქანა 30-დან 60 თუმნამდე ღირს, ბრინჯის საფქვავი მანქანა – 70-დან 100 თუმნამდე, ამ მანქანის მამოძრავებელი ცხენის ძალაზე მომუშავე დანადგარი კი – 150 თუმანი, ნამჯის სალეწი მანქანა – 70-დან 100 თუმნამდე, ბამბის მანქანა – 110 თუმანი, ნამჯის სალეწი და ბრინჯის საფქვავი მანქანების მსგავსი დიდი დანადგარებისთვის საჭირო ორთქლის მანქანა კი – 800-დან 1000 თუმნამდე. როგორც ჩანს, ირანში ამ ტიპის მანქანები არც ისე გვჭირდება, ცხენის ძალითაც იოლად გავდიეართ.

---

520 ავტორის სქოლიო: „მოჯთაჰედი აყა მირ ფათაჰი განსვენებული აყა მირ იუსუფ თაბრიზის ვაჟი იყო. ირან-რუსეთის ომის დროს მან თავრიზი რუსეთს ჩააბარა. დაზაეების შემდეგ ამ საქციელით შერცხვენილი მოჯთაჰედი რუსეთში გაიქცა და თბილისში დასახლდა. აქ მან გააშენა ბაღი, რომელსაც დღეს მის სახელი ჰქვია. ბულვარი, რომელიც ვორონცოვის ძეგლთან იწყება და ამ ბაღამდე გრძელდება, ასევე მის სახელს ატარებს. ეს თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უბანია".

აქ ავტორს შეცდომა გაეპარა – „ბულვარს" ვორონცოვის ძეგლიდან მოჯთაჰედის ბაღამდე ანუ მიხეილის (ახლანდელი აღმაშენებლის) პროსპექტს მოჯთაჰედის სახელი არასოდეს რქმევია.

521 იგულისხმება თბილისის მებაღეობის სკოლა, რომელსაც ეკავა ახლანდელი ეროვნული სტადიონის ტერიტორია. იმ პერიოდში იქ სასოფლო-სამეურნეო გამოფენები იმართებოდა.

თბილისის აბანოებს ბადალი არა ჰყავს, თუ არ ჩავთვლით საზაფხულო აბანოებს. მათში ბუნებრივი ცხელი წყალი მოდის. აქ რამდენიმე ტიპის აბანოა: საერთო, ცენტრალური და კერძო. კერძო აბანო დაახლოებით ათიოდეა.

თბილისის ყველაზე დიდი და ლამაზი აბანო ქართველი დიდებულის ორბელიანის (Ürbelyān) აგებულია და მის სახელს ატარებს. ის მდინარე მტკვრის პირას მდებარეობს და მოჭიქული ფილებისგან გაკეთებული ულამაზესი ფასადი აქვს. შიგნით რომ შეხვალ, რამდენიმე კიბე ქვევით ჩასასვლელია. კიბეები შავ-თეთრი მარმარილოსია და ორივე მხრიდან კაკლის ხის შეღებილი მოაჯირები მიუყვება. საფეხურებზე ძვირფასი ხალიჩები აგია. კიბის ბოლოს გრძელი ვიწრო დერეფანი იწყება. დერეფანიც მაღალი ხარისხის ფილებით არის მოპირკეთებული, თეთრი მარმარილოს იატაკი აქვს და შიგ დასაჯდომად უამრავი ლამაზი ტახტი დგას. იქაურობა გაწყობილია მრავალგვარი ყვავილებითა დ ბროლის აუზებით, რომლებშიც სხვადასხვა ფერის თევზები ცურავენ. დერეფნიდან აბანოს ნომრებში შედიხარ. ამ აბანოში დაახლოებით 30 ნომერია და თითოეული ნომერი გასახდელისგან და ორთქლის აბანოსგან შედგება. გასახდელში ოთხი ტახტი, სარკე და მარმარილოს მაგიდა დგას. ტახტებზე სპეციალური დიდი ბალიშები აწყვია. თავად გასახდელიც მოჭიქული ფილებითა და მარმარილოთია მოპირკეთებული და ქუჩაში გამავალი დიდი *აკოშკა* (aqoshqe) აქვს. გასახდელიდან ევროპული კარით საბანაო დარბაზში შედიხარ. მასში ორი მარმარილოს აუზია. ბუნებრივი ცხელი წყალი დიდი ონკანებიდან განუწყვეტლივ მოედინება, აუზში იღვრება და მეორე მხრიდან გაედინება. დარბაზში [მობანავეთა] დასაწოლად მარმარილოს ორი ტახტი დგას. კედლებზე რამდენიმე ონკანი და პატარა ჩამკეტია დაყენებული. ზოგიერთი ონკანიდან, როგორც სარწყავიდან, ნელთბილი წყალი მოწანწკარებს, ზოგიდან – ლამის ადუღებული ცხელი წყალი გადმოდის, სხვებიდან კი წყალი შადრევანივით გადმოჩქეფს. აბანოს კედლებზე დიდი სარკეებია დამაგრებული და ქუჩაში გამავალი დიდი *აკოშკებია* გაჭრილი. გასახდელის კედელზე მომსახურე პერსონალის გამოსაძახებლად ელექტროზარია მიმაგრებული. ორბელიანის აბანოს ნომრები საათში *ფანჯეზარიდან* ორ თუმნამდე ღირს.

ჯანმრთელობის დაცვა და მკურნალობა თბილისში

ამ ქალაქში, ისე როგორც სხვა ცივილიზებულ ქალაქებში, სამი სახის ექიმია: სამხედრო ექიმები, ჯანმრთელობის დაცვის [დაწესებულების] თანამშრომლები და სახალხო ექიმები. ამ სამივე სახის ექიმები არიან სოფლებშიც. თუ კაცს ავადმყოფის მკურნალობა სურს, უნდა ჰქონდეს სამედიცინო სასწავლებლის მიერ დამოწმებული *დიპლომი* (dīblūm). *დიპლომის* გარეშე ექიმობის უფლება არავის აქვს.

სამხედრო ექიმები მხოლოდ ჯარისკაცებს მკურნალობენ და მათ გარდა არავის ემსახურებიან. სამხედრო კანონის შესაბამისად, ისინიც ოფიცრები არიან და დამსახურების მიხედვით სხვადასხვა ჩინებსაც იღებენ. ქალაქის ჯანმრთელობის დაცვას მთავრობა განაგებს. მას სათავეში უდგას ერთი ექიმი, რომელსაც თანაშემწეები ჰყავს. ისინი ჯანმრთელობის დაცვის საქმეს უძღვებიან და გულმოდგინედ ებრძვიან ქუჩებსა და სახლებში სიბინძურეს, რომელიც ავადმყოფო-

ბების გაჩენის ძირითადი მიზეზია: ყასბებმა ხორცი მეორე დღისთვის არ უნდა შეინახონ, ბაყლებმა მოსახლეობას ძველი ხილი არ უნდა მიჰყიდონ და ექიმის ნებართვისა და ბეჭდის გარეშე ღორისა და ძროხის ხორცის ბაზარში გაყიდვა აკრძალულია. ვინც ამ ბრძანებებს დაარღვევს, სასტიკად დაისჯება.

ქალაქში ორი ტიპის აფთიაქია: რეცეპტზე მომუშავე და საჯარო. პირველში ექიმის რეცეპტის გარეშე ან უცნობი ექიმის რეცეპტით ერთ აბ წამალსაც კი არ ყიდიან. ეს მაღაზიები სხვა მაღაზიებზე უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილია. მათში განსწავლული და ზრდილობიანი ხალხი მუშაობს: ერთი რეცეპტს იწერს, მეორე წამლის ფულს იღებს, მესამე წამალს ფუთავს და მეოთხე გაყიდულ წამალს რეგისტრაციაში ატარებს. მათი უმეტესობა ქალებია. ამ მაღაზიებში წამლების გარდა ძალიან კარგი სუნამოები და სპეციალური საპნებიც იყიდება.

თბილისში რამდენიმე სამოქალაქო, სამხედრო და სხვა ტიპის საავადმყოფოა. ამ ლამაზ, შელესილ, სხვადასხვა აპარატურით გაწყობილ შენობებში ერთი წვრილმანიც კი არ არის დაუდევრად გაკეთებული.

ქალაქში არის ფიზიკის[522] და ქიმიის[523] ხელსაწყოების მაღაზიები, სადაც სხვადასხვა სახის ელექტრომანქანა, *კომპასი,*[524] *თერმომეტრი,*[525] *ბარომეტრი,* მიკროსკოპი, ასევე იუველირების, ინჟინრებისა და კარტოგრაფების იარაღები იყიდება. ვნახეთ რამდენიმე ცალი ელექტრონათურების დანადგარი, რომელიც 200 რუსული მანეთი ღირდა, რაც ირანულ ფულზე 110 თუმანია. ეს მანქანები, რომელთაგანაც თითოეულს 24 ნათურის ანთება შეუძლია, ორთქლის, ცხენის ან წყლის ძალით მუშაობს. წყლიან ადგილებში ცხენისა და ორთქლის საჭიროება აღარ არის. მართლაც სრულყოფილი მანქანები იყო. დანარჩენი მანქანებიც – საკერავი, სასარაჯე და სახარაზო – ელექტრონზე მუშაობდა. თუ ვინმე მოისურვებს, შეუძლია ყველაფერი სათითაოდ აღწეროს, მე კი ზემოთ ჩამოთვლილი ნივთების ამ მოკლე აღწერილობით შემოვიფარგლები.

სასტუმროები

ამ ქალაქში ასამდე სხვადასხვა სახელწოდების *ჰოტელია*[526]. მათგან საუკეთესო *ჰოტელი* „ლონდონია"[527] (London), რომელიც მდინარე მტკვრის პირას, ზემოხსენებული ბაღის პირდაპირ მდებარეობს. ამ სასტუმროს დიდებულ შენობაში უამრავი ოთახია. მას საკუთარი ლამაზი ეზო აქვს. „ლონდონის" უფროსი და მოსამსახურეები ძალიან თავაზიანები არიან და თითოეული ორ-სამ ენაზე

---

522 ავტორის სქოლიო: „ფიზიკა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა, რომელიც ფიზიკურ სხეულთა ძალებს სწავლობს. ის ძველმა სწავლულებმა აღმოაჩინეს. თანამედროვე მეცნიერებმა მის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს და ახლა ფიზიკა ყველაზე გამოყენებითი მეცნიერებაა".

523 ავტორის სქოლიო: „ქიმია წამლების შემადგენლობისა და მისი ანალიზის მეცნიერებაა."

524 ავტორის სქოლიო: „კომპასი პოლუსებისა და ყიბლას მაჩვენებელია".

525 ავტორის სქოლიო: „თერმომეტრი სიცხისა და სიცივის საზომია და ირანში მას „მიზანოლპარარეს" ეძახიან."

526 ავტორის სქოლიო: „ჰოტელი ფრანგულ ენაზე სასტუმროს ნიშნავს".

527 იხ. შენიშვნა 417.



თბილისი, სასტუმრო „კავკაზი". 1880-იანი წლების ფოტოსურათი.

ლაპარაკობს. სხვა *ჰოტელებთან* შედარებით, აქ ბინისა და საჭმლის ფასები უფრო მაღალია.

მეორე სასტუმროს „კავკაზი"[528] (Qafqāz) ჰქვია და ის დიდ *ბულვარზე* მდებარეობს. „კავკაზი" ამ ქალაქში აშენებული პირველი სასტუმროა და ნამდვილად ყველა სასტუმროს სჯობს. მართალია, „ლონდონი" საუკეთესოდ ითვლება, მაგრამ „კავკაზს" მდებარეობის მხრივ ბადალი არა ჰყავს. მისი *აკოშკები* და *ბალკონები ბულვარს* გადაჰყურებს. ერთი დიდი დარბაზი სასადილოსთვის არის განკუთვნილი. აქ გაზეთები ყველა ენაზე შეგიძლია წაიკითხო. ამ *სალონში*[529] მშვენიერი პიანინო და სხვა ავეჯი დგას და რამდენიმე ადგილას ელექტროჭაღი კიდია. დიდი ელექტროლამპიონი ეზოშიც აყენია. ამ *ჰოტელის* უფროსი და მოსამსახურეები ყველანი ევროპელები არიან.

სასტუმრო „გრანდ-ოტელი"[530] (Qrānd hotel) „ლონდონის" პირდაპირ მდებარეობს.

---

528 იხ. შენიშვნა 348.

529 ავტორის სქოლიო: „სალონი არის დიდი დარბაზი სტუმრებისა და სხვა პირების შესაკრებად".

530 სასტუმრო „გრანდ-ოტელი" ფუნქციონირებდა 1881-1917 წლებში დღევანდელი ათონელის ქ. №29-ში (დ. ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები*, 52-54).

ძალიან ლამაზი შენობაა ირანის საკონსულო და იქიდან შესანიშნავი ხედი იშლება. მისმა უდიდებულესობა შაჰმა, დიდება მის სახელს, ევროპაში მესამე მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მირზა რეზა ხან მო'ინ ალ-ვეზარა ქალაქ თბილისისა და კავკასიის გენერალურ კონსულად დანიშნა. არც ერთ ქალაქში ირანის საკონსულო ისეთი პრივილეგიებით არ სარგებლობს, როგორც ქალაქ თბილისში. ის სხვა ქვეყნების საკონსულოებს ყოველმხრივ სჯობს. შენობის, სიმდიდრისა და თავისი ქვეშევრდომების მომსახურების მხრივ საუკეთესოდ ითვლება. თავად კონსულიც ამ ქალაქის მოსახლეობის დიდი პატივისცემით სარგებლობს, რადგან განათლებული და გამოცდილი კაცია. მისი საკონსულო ირანელების თავშესაფარი და მათი სიამაყის საგანია.

[თბილისში მცხოვრებ] ირანის მოქალაქეთა პირველი ფენაა ვაჭრები, მერე მოდის ხელოსნები, მუშები და დღიურად მომუშავეები. ამათ გარდა არიან მაწანწალები და ბოროტმოქმედები, რომლებიც მდიდრებს ქურდავენ და აყაჩაღებენ. მათი არსებობა [ხალხში] უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევს. მათი მომრავლების ძირითადი მიზეზი აქაური კანონების სიმსუბუქე და რუსეთის ხელისუფლების გულგრილობაა, რადგან ამ სახელმწიფოს ყველაზე დიდი სასჯელი მუდმივი პატიმრობა და ციმბირია (Sebīr), ამ ხალხს კი არც ციხის და არც ციმბირის არ ეშინია. ციხე თავაზიან და ზრდილ ხალხს თუ გამოასწორებს, ასეთი ბოროტმოქმედები კი მანამ არ მოისვენებენ, სანამ მათ ჯოხით,



თბილისი, „გრანდ-ოტელი". 1890-იანი წლების ფოტოსურათი.

ფალაქათი[531] და წამების სხვა იარაღით არ დასჯიან. საქმე იქამდე მივიდა, რომ [სხვადასხვა ქვეყნის] ბოროტმოქმედები სასტიკი სასჯელის შიშით თავიანთი სამშობლოდან აქ გამორბიან, უშიშრად ყაჩაღობენ და თავიანთ ქვეყანას სახელს უტეხენ.

კლუბი

კლუბი წარჩინებული საზოგადოების თავშეყრის ადგილია. თბილისში ორი სახის კლუბია: ერთი ოფიცრებისა და რუსი და ქართველი ვაჭრებისთვის არის განკუთვნილი, მეორე – სომეხი ვაჭრებისთვის[532]. კლუბი წარმოადგენს დიდ შენობას, რომელიც რამდენიმე დიდი დარბაზისგან შედგება. ერთში სასადილოა მოწყობილი, დანარჩენებში კი *ბალები*[533], ცეკვები და თეატრალური წარმოდგენები იმართება. ერთ ადგილას აწყვია გაზეთები ყველა ენაზე, მეორეგან გამოფენილია ახალწარმოებული ნივთები, მათ შორის სამეცნიერო ხელსაწყოები, საომარი იარაღები და სავაჭრო საქონელი. აქვე არის ძველი და ახალი მხატვრების სურათები, ქარხნების [ნაწარმის] ნიმუშების წიგნაკი[534] და ლატარეის ბილეთები. მეორე კლუბში *ყომარის* სხვადასხვა სახეობას თამაშობენ. პატივცემული ქალბატონები დროის უმეტეს ნაწილს კლუბში ატარებენ, მაწანწალებისთვის კი მისი კარი დახურულია.

ბალ-მასკარადი

ბალი ცეკვას ნიშნავს, *მასკა* კი ნიღაბია, რომელსაც ქალბატონები ამგვარ შეკრებებზე იერის შესაცვლელად იკეთებენ. ბალ-მასკარადი (Bāl Māskī) საცეკვაო თავყრილობაა, რომელზეც გადაცმული ქალბატონები სახეზე *მასკას* იფარებენ. ის იმართება დიდ ბულვარზე აღმართულ შენობაში, რომელიც ერთმანეთში გამავალი სამი დიდი დარბაზისგან შედგება. ისინი ძველი დარბაზების ყაიდაზეა აშენებული. იქაურ ფანჯრებზე ლარნაკში მოთავსებული მინდვრის ყვავილებია გამოსახული. თავად დარბაზები ძველი ირანული წესისამებრ სარკეებით არის განყობილი. პირველ დარბაზში სასადილო და *ბუფეტია* (būfet), შუა დარბაზი ცეკვებისთვის არის განკუთვნილი, ხოლო მესამე – სასეირნოდ და სასაუბროდ. შუა დარბაზში მუსიკოსებისთვის ლამაზი *ბალკონია* მოწყობილი. ეს მუსიკალური ანსამბლი სახელმწიფოს ეკუთვნის. ნახევარ საათში ერთხელ მისი ხელმძღვანელი ცეკვების [დაწყების] მაუწყებელ ზარს რეკავს, მუსიკოსები საცეკვაო მელოდიებს უკრავენ და ქალ-ვაჟის წყვილები ხელიხელჩაკიდებულები ცეკვავენ.

---

531 ფალაქა – ფიზიკური დასჯის იარაღი: გრძელი ჯოხი შუაში თოკის მარყუჟით, რომლითაც დამნაშავეს ფეხებით კიდებენ, მაღლა სწევენ და ფეხის გულებზე ჯოხს ურტყამენ.

532 იგულისხმება თბილისის არტისტული წრე („კრუჟოკი") და თბილისის საკრებულო სახლი. სინამდვილეში თბილისში 1890-იან წლებში ბევრად მეტი კლუბი იყო (იხ., მაგალითად: *Тифлис и его окрестности*, Приложение к справочной книге старожила «Кавказ» - №2, Тифлис, 1890, 63-64; *Путеводитель по Тифлису*, Издание К. Н. Бегичева, Тифлис, 1896, 123-125).

533 ავტორის სქოლიო: „ბალი ერთობლივი ცეკვებია".

534 როგორც ჩანს, ავტორი სარეკლამო ბროშურას გულისხმობს.

მასკა იმისთვის სჭირდებათ, რომ ამ მეჯლისზე მოსული ქალბატონი ვერავინ იცნოს. ცეკვის დროს მიღებულია მსუბუქი ფლირტი. ბალ-მასკარადზე უწესო და უზრდელ ხალხს არ უშვებენ.

ჰოტელი „ვერსალი"[535]

ეს სასტუმრო მოჯთაჰედის [ბაღის] ზედა ქუჩის დასაწყისში, ძველი ხიდისა და ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ მდებარეობს. ამ უზარმაზარი სასტუმროს მშენებლობა ორი წლის წინ დაიწყო. ის სამსართულიანია და დიდი *სალონისა* და ოცდაათი ნომრისგან შედგება. მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე და მეჩვიდმეტე ნომრები დაკეტილი იყო, პირველსა და მეორე ნომრებში რამდენიმე ქართველი *კნიაზი* ცხოვრობდა, მეათესა და მეთერთმეტეში – ყარსის ციხესიმაგრის მოხელე რუსი გენერალი, რომელიც დროებით თბილისში იმყოფებოდა, დანარჩენ ნომრებში კი მოგზაურები და ნაკლებად ცნობილი ხალხი იყო გაჩერებული. ამ *ჰოტელის სალონში* ხშირად *ბალები* იმართებოდა. სასტუმროს მეპატრონე ირანული წარმოშობის სომეხი მონირიანი (Monīryān) იყო. ის სტუმრების მოსაზიდად ყველაფერს აკეთებდა.

ჩემ გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე მოულოდნელად სამზარეულოდან ცეცხლი მეორე სართულის ჭერს მოედო და ის წამიერად აბრიალდა. *ჰოტელის* მცხოვრებლები გარეთ გამოცვივდნენ და მომოიფანტნენ. შენობის წინ მოსეირეები შეიკრიბნენ და საოცარი ალიაქოთი და შფოთი ატეხეს. ამასობაში ტელეფონით ქალაქის პოლიციის უფროსს შეატყობინეს. ხუთ წუთში სახანძრო რაზმის უაღრესად გამოცდილი ჯარისკაცები მოვიდნენ და ცეცხლი ათ წუთში ჩააქრეს. ამ რაზმში დაახლოებით ასი მეხანძრე იყო. მათ წინ მიუძღოდა ორი ცხენოსანი და ორი მესაყვირე, რომლებიც საყვირზე უკრავდნენ. ყველა *კალიასკა*, დროშკა და *ტრამვაი* გაჩერდა, ისინი გაატარეს და მერე გზა განაგრძეს. მეხანძრეების იარაღი ტუმბო, წყლის დანადგარი და მისადგმელი კიბე იყო. კიბე იმისთვის მოიტანეს, რომ თუ მისასვლელი გზა და საფეხურები ცეცხლში იქნებოდა გახვეული, მოსახლეობას კიბის საშუალებით გამოიყვანდნენ. მეხანძრეებს ბრინჯაოს ჩაჩქანი, ჯუბა, შარვალი, ჩექმები და ქეჩის ხელთათმანები ეცვათ, გვერდზე ნაჯახი ეკიდათ და ხელში რკინის ჯოხი ეჭირათ. ხანძრის ჩაქრობისას ისეთი მოხერხებულობა და სიმკვირცხლე გამოიჩინეს, რომ კალმით აღწერა შეუძლებელია. დაახლოებით ათი ოთახი მთლიანად დაზიანდა. სტუმრების უმეტესობა გაიფანტა და იმ ღამეს სასტუმროში მხოლოდ მე და ორი-სამი კაცი დავრჩით. პოლიციის ოფიცრებმა *ჰოტელის* მეპატრონეს განუსაზღვრეს დაახლოებით ორი ათასი თუმნის ზარალი, რომელიც *ასურანსის*[536] (Asūrāns) *კომპანიამ* აიღო

---

[535] ავტორის სქოლიო: „ვერსალი ჰქვია პარიზის ერთ შენობას, რომელიც საფრანგეთის იმპერატორმა ლუი მეთხუთმეტემ ააშენა. დღეს ამ შენობაში მუზეუმია გახსნილი. სწორედ მასთანაა დაკავშირებული ამ სასტუმროს სახელი". იხ, შენიშვნა 494.

[536] ავტორის სქოლიო: „ასურანსი სააქციონერო კომპანიაა. ამ ტიპის კომპანიები ირანის გარდა თითქმის ყველა ქვეყანაშია გავრცელებული. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, თავისი სახლი, ქონება ან სავაჭრო საქონელი ასურანსის კომპანიაში ჩადოს და მათი დაზიანების შემთხვევაში კომპანია მას ზარალს აუნაზღაურებს".

თავის თავზე. მიუხედავად ამისა, სასტუმროს მცხოვრებლების გაქცევის გამო მისმა მეპატრონემ დიდი ზარალი ნახა.

·ბათუმი-ბაქოს რკინიგზის ხაზი

თავდაპირველად ეს რკინიგზის ხაზი ფოთის (Būtī) ნავსადგურიდან იწყებოდა, ქუთაისს გაივლიდა და თბილისში ჩადიოდა. რუსეთის მიერ ბათუმის მიერთების შემდეგ ის ბათუმამდე გააგრძელეს და ქალაქ ბაქოსაც დაუკავშირეს. ამ დროიდან ეს გზა ნავთობის გადასაზიდად უაღრესად მოსახერხებელი გახდა. ის კასპიის ზღვის (Daryā-e Hājjī Tarkhān) მეშვეობით თურქესტანის რკინიგზას[537] უერთდება და რაშთიდან ირანის საქონელი ამ გზით მოძრაობს. რამდენიმე ხანია, რაც ბათუმი-ბაქოს მაგისტრალი *კომპანიას*[538] აღარ ეკუთვნის და რუსეთის მფლობელობაში გადავიდა, რის შედეგადაც მგზავრობის გადასახადი ძლიერ გაიაფდა. წელს რუსეთის ხელისუფლება გაიყვანს ახალ გზას, რომელიც ყარსის გავლით ირანს დაუკავშირდება. ამ გზის მშენებლობა წელიწადნახევარში დასრულდება და მერე ირანელ მოგზაურებს მგზავრობა ძალიან გაუადვილდებათ: ერევან-აღსთაფას გზის ფოსტის სადგურებსა და ზამთრობით დილიჯან-ერევნის გზის თოვლსა და ქარბუქს გადაურჩებიან. რუსეთისთვის ამ გზის მშენებლობის ძირითადი მიზანი არა სარგებლის მიღება, არამედ ლაშქრის გადაადგილების გაიოლება იყო. ამ გზაზე მატარებელი საათში 7 *ფარსახს* გადის. მასში სამი კლასის ვაგონებია[539] და თითო ვაგონში ორმოცამდე კაცი ეტევა. პირველი კლასის ვაგონი პატივისცემის ნიშნად მთელი ვაგონების უკან არის მიბმული, რადგან *ლოკომოტივის*[540] გზიდან გადასვლისას უკანა ვაგონები უფრო დაცულია. მერე მოდის მეორე და მესამე კლასის ვაგონები. პირველ კლასში ლეიბები და საზურგეები ხავერდისაა და დანარჩენი მოწყობილობაც უნაკლოა. მეორე კლასში მაუდის ტახტებია, მესამეში კი – ხის.

ყოველდღიურად ერთი მატარებელი ბათუმიდან გადის და ერთი – ბაქოდან. შუა გზაზე ისინი ერთმანეთს ხვდებიან. მოგზაურები თუ საფოსტო მატარებლით ისარგებლებენ, შეუფერხებლად იმგზავრებენ. საბარგო მატარებლები ამ გზაზე განუწყვეტლივ მოძრაობენ, მაგრამ ისინი უფრო ნელა და შეფერხებებით და-

---

იმ დროს ირანში სადაზღვევო კომპანია არ არსებობდა და, შესაბამისად, არ იყო მისი აღმნიშვნელი ტერმინიც, ამიტომ ავტორი ფრანგულ სიტყვას „ასურანს" (assurance) ხმარობს.

537 იგულისხმება იმიერკასპიის სამხედრო რკინიგზა (Закаспийская военная железная дорога), რომელიც შუა აზიის ქალაქებს კასპიის ზღვის ნავსადგურ კრასნოვოდსკთან აკავშირებდა.

538 იგულისხმება ამიერკავკასიის რკინიგზის სააქციონერო საზოგადოება, რომელიც დააფუძნეს ინგლისელმა მრეწველებმა პერკინსმა და პაუერმა 1865 წელს.

539 რადგან იმ დროს ირანში რკინიგზა სიახლე იყო, ამიტომ ავტორისთვის უცხოა რკინიგზის ტერმინოლოგია და ის ან საკუთარ დასახელებებს იგონებს, ან უცხოურ, ძირითადად, ფრანგულ ტერმინებს ხმარობს: ვაგონს საცხოვრებელ ოთახს (otaq-e neshīman) და კალიასკას ეძახის, კუპეს – ნომერს (nomre) და მატარებელს – ვაგონს (vaqon).

540 ავტორის სქოლიო: „ლოკომოტივს ეძახიან მანქანას, რომელიც ორთქლის ძალით მოძრაობს".

დიან. ნავთობის გადასაზიდად სპეციალური რკინის ავზებია, რომლებიც ბორ-ბლებზე მოძრაობს. ეს მატარებლები სხვა მატარებლებთან შედარებით უფრო მძიმეა. ერთი *ლოკომოტივი* ორმოცდაათამდე მასზე მიბმულ ვაგონს ამოძრავებს და სხვა [სატვირთო] მატარებლებიც ორმოცდაათი ვაგონისგან შედგება. ჩვეუ-ლებრივ [სამგზავრო] მატარებელში თორმეტამდე ვაგონია და ერთი ვაგონი სპე-ციალურად პატიმრების გადასაყვანად არის განკუთვნილი. ის მატარებლის თავ-შია მოქცეული, შავად არის შეღებილი, რკინის ფანჯრები აქვს და ორივე მხარეს დარაჯები დგანან. მატარებლის ბოლოს სახელმწიფო ფოსტის ვაგონია ჩაბმული.

ამ [რკინიგზის] ხაზზე დასაწყისიდან ბოლომდე შემდეგი ქალაქები მდე-ბარეობს: ფოთის ნავსადგური, ქუთაისი, ბათუმის ნავსადგური, თბილისი, აღ-სთაფა, განჯა და ბაქო...

საქართველოს ისტორია

თბილისი ქართულ ენაზე თბილ წყალს ნიშნავს და ეს სახელი აქ არსებული მინერალური აბანოების გამო ეწოდა. როგორც უწინ მოგახსენეთ, ის უძველესი დროიდან საქართველოს მეფეთა სატახტო ქალაქი იყო და ქრისტეს დაბადებამდე 356 წელს დაარსდა. ქრისტეს დაბადებამდე 65 წელს ის რუმელებმა[541] დაიპყრეს. არაბთა დაპყრობითი ომების დროს საქართველოს, ისე როგორც აზიის დანარ-ჩენ ქვეყნებს, არაბები დაეპატრონენ. ამის შემდეგ, ჩინგიზ ხანის მეფობის დროს ის მონღოლებმა დაიპყრეს. მერე ქართველებმა თანდათანობით დაიბრუნეს და-მოუკიდებლობა, მაგრამ ცოტა ხანში ის ირანმა და რუმმა[542] დაიკავეს და ერთ-მანეთში გაინაწილეს. ქრისტიანული წელთაღრიცხვით 1783 წელს, რაც ჰიჯრის 1200 წელს შეესაბამება, ემირმა ერეკლემ (Heräklüs) ხელშეკრულების[543] თანახ-მად საქართველო ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობაში გადასცა. როცა *შაჰ-ე შაჰიდმა*[544] ეს ამბავი შეიტყო, თავისი ჯარით საქართველოსკენ გამოეშურა და თბილისის მთელი მოსახლეობა ამოხოცა. რუსული ჯარი გზის სიშორის გამო მათ დასახმარებლად დაგვიანებით ჩამოვიდა და დაახლოებით 15 000 ირანელი კაცი და ქალი ტყვედ აიყვანა. ამ ომის შემდეგ გიორგი (Zhorzh) მეცამეტემ თა-ვისი სამეფო რუსეთს ჩააბარა.

მონღოლთა შემოსევებამდე თბილისი აყვავებული ქალაქი იყო და აქ თითქ-მის ყველა მნიშვნელოვანი ხელობა იყო განვითარებული. ქალაქი ხეობაშია გაშენებული და დასავლეთიდან მას მდინარე ჩამოუდის. უძველესი დროიდან შემორჩენილია დანგრეული ციხე, რომელიც მთის კალთაზე მდებარეობს. ქა-ლაქის თავში ეკლესიაა აღმართული. მთის კალთაზე ცნობილი შეიხ სანაანის საფლავია, რომელიც როგორც მუსლიმებისთვის, ისე ქრისტიანებისთვის სალო-

---

541 „რუმელები" აქ რომაელებს გულისხმობს. ავტორს მხედველობაში აქვს პომპეუსის ლაშქრობა ქართლში ძვ. წ. 65 წელს. წყაროებში, რომლებიც ამ ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობენ, თბილისი, ცხადია, ნახსენები არ არის.

542 აქ იგულისხმება ოსმალეთი.

543 იგულისხმება 1783 წელს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის დადე-ბული გეორგიევსკის ტრაქტატი.

544 იგულისხმება აღა მაჰმად ხანი.

ცავი ადგილია და მას პატივსა და თაყვანს სცემენ. ქალაქში ერთი მეჩეთია, რომელიც აწ განსვენებული შაჰ აბასის აგებულია. შენობის საფუძველი მდინარის ქვებით ამოიყვანეს. თავდაპირველად მდინარეზე ერთი ხიდი იყო გადებული, ახლა კი მასზე ოთხი რკინის ხიდია აშენებული.

რუსეთის მხრიდან პირველი აღმშენებლობითი სამუშაოები თბილისში გენერალმა ერმოლოვმა (Bermālof) განახორციელა. რუსეთის ხელისუფლებამ ზემოხსენებული გენერალი საქართველოს მმართველად დანიშნა. თბილისს საფუძველი ქრისტიანული წელთაღრიცხვის ...[545] წელს ჩაეყარა. 1184-1212 წლებში[546] ის სახელგანთქმულ და კეთილმოწყობილ ქალაქად იქცა. მის აღმშენებლობამდე საქართველოს მეფეთა რეზიდენცია ქალაქი ქუთაისი იყო. თბილისში ტროპიკული კლიმატია, მაგრამ ტროპიკული ქვეყნების ხილი არ ხარობს. თუმცა აქ, თბილი ქვეყნების მსგავსად, ზაფხულობით ძალიან ცხელა, ზამთარი კი კარგი და სასიამოვნოა. ზამთრობით მოსახლეობა დროს მხიარულებასა და გართობაში ატარებს. ქართველები განთქმული მეომრები და ვაჟკაცები არიან და თათრებთან და ირანელებთან ომებში არნახული სიმამაცე და გამბედაობა გამოიჩინეს. რუსეთ-ოსმალეთის ომში ქართველმა მხედრებმა მრავალი გამარჯვება მოიპოვეს და მათი უმეტესობა ომში მოხალისედ წავიდა. დღესაც ქართველი *კნიაზები* და დიდებულები შეიარაღებულები დადიან და მუდამ განცხრომასა და დროსტარებაში არიან. ისინი დაუფიქრებლად ფლანგავენ და ანიავებენ ქონებას და არაფრის შიში არა აქვთ. რამდენადაც ქართველი მფლანგველია, სომეხი იმაზე ათჯერ მეტად მომხვეჭელია. ქართველების მთავარი საუნჯე მათი ისტორია და ენაა. ისინი აარსებენ ქართულენოვან გაზეთებს. ქართველებზე დიდ გავლენას ახდენს სომხური ყოფა და წარმოდგენები, ასევე რუსული ნეს-ჩვეულებები, თუმცა ისინი არც თავიანთ ტრადიციებს ივიწყებენ: ისევ ძველებური ტანსაცმელი აცვიათ და ქალებიც ტრადიციულ კაბებს ატარებენ. ამიტომ სადაც არ უნდა იყვნენ, ქართველს ყველა გამოარჩევს. კაცმა ერთ ქართველს რომ გადაულოს ფოტოსურათი, ამით მთელ ქართველობაზე შეიქმნის ნარმოდგენას. ისფაჰანში ორი სოფელია, რომელშიც სულ ქართველები ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ენა სრულიად დავიწყებული აქვთ, კვლავ იმაზე ოცნებობენ, რომ საგანგებო მოხელეები მათ მდგომარეობას გამოიკვლევენ. იქაურ სახელმწიფო დაწესებულებებში ბევრი ქართველი მუშაობს და გუბერნატორი, რომელიც შესანიშნავი ადამიანია, ქართველთა ტომისაა. ჯარშიც ბევრი ცნობილი ქართველი გენერალია.

ახლა თბილისში სხვადასხვა ტომის ხალხი ქართველებზე მეტია. ნმინდა ქართული ქალაქი ქუთაისია და მასში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ. ის ძალიან ლამაზია. უწინ, როცა ქართველთა სამეფო არსებობდა, ფოთი, ბათუმი, არტაანი და ყარსი ამ სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

---

545 მრავალწერტილი ავტორისეულია.

546 ავტორს აქ მოაქვს თამარ მეფის მეფობის წლები.

ნათლისღება სათაყვანებელი დღესასწაულია ქრისტიანობის თითქმის ყველა შტოსთვის და, განსაკუთრებით, *ორთოდოქსული* (ortodoqs) ქრისტიანობისთვის, რომელიც რუსეთის ოფიციალური რელიგიაა. ქვეყნის ყველა ქალაქში ამ დღესასწაულთან დაკავშირებული რიტუალები დიდი ზარ-ზეიმით ტარდება და თქვენმა მონა-მორჩილმა თბილისში ყოფნისას ის კარგად დავათვალიერე. დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე ნათლისღების ადგილი მორთეს, მდინარის პირას ძალიან ლამაზი ხის ოთახი ააგეს, ოთახიდან ხიდამდე დროშებით მორთული ხეივანი გააკეთეს და ხიდის თავში სახელმწიფო და საეკლესიო დროშებით გაწყობილი ხის ჭიშკარი აღმართეს. დათქმულ დღეს იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ქუჩებში ვერ გაივლიდი. ჩემი სახლიდან დღესასწაულის ადგილი არ ჩანდა. ქალაქის პოლიციის უფროსმა *ბალკონების* უმეტესობაზე მოსეირეების დაჯდომა აკრძალა, რადგან ბევრი ხალხისგან *ბალკონი* შეიძლებოდა ჩამტყდარიყო და ხალხი დაშავებულიყო. დაჯდომა დაშვებული იყო მხოლოდ განსაკუთრებულ *ბალკონებზე*, რომლებიც ინჟინრების მიერ იყო შემოწმებული და მათი სიმტკიცე ეჭვს არ იწვევდა. თქვენმა მონა-მორჩილმა [მსახური] გავაგზავნე, რომ ჩემთვის მოეძებნა და ერთი საათით ექირავებინა ადგილი, საიდანაც დღესასწაული გამოჩნდებოდა. საბოლოოდ, ერთმა წარჩინებულმა ოჯახმა უაღრესად დიდი პატივი მცა და თავისი *ბალკონი* დამითმო. სახლიდან გამოვედი და დიდი გაჭირვებით დათქმული ადგილისკენ გავემართე. მდინარის ნაპირი, ხიდი, მიმდებარე ქუჩები, შენობები და სახურავები ხალხით იყო სავსე. წარჩინებულმა ადამიანებმა და ქალებმა, რომლებმაც დასაჯდომი ადგილი ვერ იშოვეს, თავიანთი *დროშკები* დღესასწაულის ადგილის მოსაზღვრე ქუჩაზე გააჩერეს და ზეიმს *დროშკებიდან* უყურებდნენ.

ამასობაში სამხედროების საყვირისა და მუსიკის ხმა გაისმა. დაახლოებით თხუთმეტი პოლკი დროშებითა და სხვა აღჭურვილობით ყაზარმებიდან გამოვიდა და დაიძრა ეკლესიისკენ, საიდანაც ჯვარი უნდა გამოეტანათ. ნაშუადღევს ჯვარი მდინარისკენ წაიღეს. პროცესიას მიუძღოდნენ კაზაკი ცხენოსნები და *ყანდარმების* რაზმი, მათ მიჰყვებოდნენ კავკასიის მთავარსარდალი და სხვა ოფიცრები, შემდეგ მიდიოდნენ საეკლესიო ტანსაცმელში ჩაცმული სასულიერო პირები, რომელთაც საეკლესიო დროშები მიჰქონდათ და ეგზარქოსი[547] ჯვრით ხელში. დროშების წინ საეკლესიო ტანსაცმელში გამოწყობილი ასამდე ბავშვი მიდიოდა. პროცესიას *სალდათების* რაზმი ასრულებდა. ამ *სალდათების* გარდა, რამდენიმე პოლკი ხეივნის ორსავე მხარეს გამწკრივებულიყო. ეგზარქოსმა ჯვარი მტკვარში ამოავლო და ნაკურთხი წყალი ჯერ ოფიცრებს და შემდეგ *სალდათებს* სახეზე შეასხურა. რამდენიმე კაცმა, მიუხედავად სიცივისა და მდინარეში მოცურავე დიდი ყინულებისა, ტანსაცმელი გაიხადა და მდინარეში შევი-

---

547 ტექსტშია „დიდი ხალიფა" (Khalīfe-ye bozorg). ხალიფა აღმოსავლეთში მუსლიმური თემის მეთაურს ეწოდება. ამ შემთხვევაში ავტორი, რომლისთვისაც ქრისტიანული სასულიერო იერარქია უცხო იყო, ხალიფას ზოგადად სასულიერო ლიდერის მნიშვნელობით ხმარობს და ეგზარქოსს გულისხმობს.

და. მაწანწალები, რომლებიც მდინარის გაღმა შეკრებილიყვნენ, განუწყვეტლივ თავზე და ტანზე წყალს ისხამდნენ, მაგრამ წარჩინებულ მოქალაქეთაგან ამას არავინ აკეთებდა. მიუხედავად ამდენი ხალხის თავყრილობისა, ყაყანი არ იდგა. შემდეგ გაისმა თოფებისა და ქვემეხების გრიალი. ამ პოლკების უმრავლესობა ექვემდებარებოდა უნინდელი იმპერატორის ბიძას *ველიკი კნიაზს* (Vīlk knyaz), რომელიც კავკასიის მეფისნაცვალი იყო. ნათლისღების დღესასწაული სომხებს სხვა დროს აქვთ და მას რუსული რელიგიური წესებისგან განსხვავებულად აღნიშნავენ, ამიტომ დღესასწაულზე იმყოფებოდნენ მხოლოდ ქართველები ამ ზეიმისთვის საჭირო ატრიბუტებით.

თბილისის თეატრი

რადგან თბილისის დიდი თეატრი ჯერ დასრულებული არ არის, თეატრალური წარმოდგენები იმართება მდინარის პირდაპირ, ქალაქის ბაღის სიახლოვეს მდებარე შენობაში, რომელიც რამდენიმე წლის წინ ააშენეს[548]. მასში დასაჯდომი ადგილები ორ-სამ იარუსად არის მოწყობილი. ზედა იარუსზე *ლოჟებია* განლაგებული, ხოლო ქვედაზე სკამები რიგებად არის ჩამწკრივებული. სკამები რაც უფრო ახლოს არის სცენასთან, მით უფრო ძვირია. *ლოჟები* ათიდან ოც რუსულ მანეთამდე ღირს. თეატრში უბრალო ადამიანები არ დადიან, ისევე, როგორც წარჩინებული საზოგადოება ნაკლებად ეტანება ცირკს. წარმოდგენის ადგილი ირანული დარბაზების *შაჰნეშინების* ყაიდაზეა მოწყობილი და იატაკიდან ორი *ზარ'ის* სიმაღლეზეა აშენებული. თეატრის ლოჟები ოთხკაციან პატარა ოთახებად არის დაყოფილი. ყველა ლოჟას საკუთარი კარი აქვს და მის წინ აღმართულია პატარა მოაჯირი, რომელიც თეატრის შიდა სივრცეს გადაჰყურებს. თეატრის ჭაღები გაზით ნათდება. წარმოდგენა დაიწყეს მუსიკოსებმა, რომლებსაც ძალიან დიდი, ორი *ზარ'ი* სიგრძის *ქემანჩეები*[549] ჰქონდათ და მასზე უკრავდნენ. მეორე ჯგუფი *ყრანათს, ბასუნს* და სხვა ლამაზ მელოდიებს უკრავდა. მუსიკოსების გამოსვლის შემდეგ სცენაზე დაეშვა ულამაზესი ფარდა, რომელზეც პეიზაჟი იყო დახატული. წარმოდგენის დასაწყისში ფარდა მაღლა იწევა და სცენა ჩნდება. ერთ-ერთი სპექტაკლი, რომელიც იქ ვნახე, ასეთი შინაარსის იყო: ესპანეთის ხელმწიფის სარდალმა აფრიკაში გამარჯვება მოიპოვა და ზღვით სახლში ბრუნდებოდა. თავდაპირველად ფარდა რომ აიწია, გამოჩნდა ზღვის ნაპირი და ნავსადგური. ზღვა ძლიერად ღელავდა და მასში გაფანტულ კუნძულებზე ხეები ყვაოდა. მოღრუბლული ამინდი იდგა და ღრუბლებიდან მზე ამოდიოდა. ამასობაში ზღვაში გემი გამოჩნდა და ნელ-ნელა ნაპირს მიუახლოვდა. გემიდან ის სარდალი და მისი მეომრები გადმოვიდნენ. ესპანეთის მეფემ სარდალს გაწეული სამსახურისთვის ჯილდოდ თავისი ქალიშვილი უბოძა.

---

548 „დიდ თეატრში" ავტორი გულისხმობს სახაზინო თეატრის (ამჟამად ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის) შენობას, რომელიც 1894 წელს, როდესაც იგი თბილისში იმყოფებოდა, ჯერ არ იყო დამთავრებული. წარმოდგენები იმართებოდა ე. წ. დროებითი სახაზინო თეატრის შენობაში საინჟინროს (ახლანდელი ს. ვირსალაძის) ქუჩაზე (იხ.: ი. დოლიძე, *სათეატრო არქიტექტურა თბილისში*, 92-93.

549 ქემანჩე – ვიოლინოს ტიპის სამ ან ოთხსიმიანი საკრავი.

მეორე მოქმედებაში ნაჩვენები იყო ქორწილი და მდიდრულ ოთახებში შეკრებილი ხალხის ლხინი. პატარძალი გამოიყვანეს და სარდალს ჩააბარეს. მესამე მოქმედებაში ერთი ვერაგი იტალიელი დაუკავშირდა მეფის ასულის მსახურს, მისი დახმარებით დედოფალს ცხვირსახოცი მოჰპარა, მის ქმარს მიუტანა და დედოფალს ცილი დასწამა. ეჭვიანმა სარდალმა ცოლი მოკლა და შემდეგ, როცა დედოფლის უდანაშაულობას მიხვდა, თავადაც თავი მოიკლა[550]. მსახიობები ისე შთამბეჭდავად თამაშობდნენ, რომ ნამდვილი ამბავი გეგონებოდა. ქალი, რომელიც დედოფალს განასახიერებდა, პარიზელი მსახიობი იყო. სილამაზესა და მომხიბვლელობაში ბადალი არ ჰყავდა. დანარჩენი *აქტრისებიც* ძალიან კოხტები და სანდომიანები იყვნენ. თორმეტ საათზე წარმოდგენა დასრულდა. თეატრში ძირითადად ფრანგულად და რუსულად საუბრობდნენ.

ქალების წეს-ჩვეულებები

ევროპაში ქალები თავისუფლები არიან და დიდი პატივისცემით სარგებლობენ. განსაკუთრებით ეს ითქმის რუსეთზე, სადაც ქალი გამორჩეულ პატივშია. თბილისში ქალს ვერ იპოვით, უსწავლელი და გაუნათლებელი რომ იყოს. ქალიშვილები სპეციალურ სკოლებში სწავლობენ და მისი დამთავრების შემდეგ მდივნები, ბუღალტრები, მუსიკოსები და სხვა პროფესიის ადამიანები გამოდიან. ქალების უმეტესობა სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობს: მაღაზიის დირექტორად, ბუღალტრად, მოლარედ, მოსამსახურედ და სხვა. ქალები სახელმწიფო დაწესებულებებშიც მსახურობენ და, ძირითადად, ტელეგრაფისტები, მდივნები და რკინიგზის სალაროებში ბილეთების გამყიდველები არიან. ისინი კაცების მსგავსად მოსამართლეებადაც მუშაობენ და ამ პროფესიის სპეციალურ ტანსაცმელს ატარებენ. ოფიცერი ქალების უმეტესობა შორეული ქალაქების გარნიზონებსა და ჯარში მსახურობს და მათ თან ქმრებიც მიჰყვებიან.

ღარიბი და უქონელი ქალიშვილები ძნელად თხოვდებიან. ქალს ათიათასი თუმნიდან მილიონამდე ქონება უნდა ჰქონდეს, რომ ქმარი იშოვოს, წინაალმდეგ შემთხვევაში, გინდ ძალიან ლამაზი იყოს, გათხოვება მაინც გაუჭირდება. ამის გამო ლამაზი ქალების უმეტესობა უხამს ცხოვრებას ირჩევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლამაზ ქალს თუ ფული არა აქვს, ის უეჭველად გარყვნილების გზას უნდა დაადგეს. ისინი კი, ვისაც არც ქონება აქვთ და არც სილამაზე, ამ ქვეყანას განუდგებიან და მონაზვნები ხდებიან. თუმცა ბევრი პატიოსანი ქალიც ვნახე, რომელიც მიუხედავად სილამაზისა და კარგი აღნაგობისა, ნამუსზე ხელს არ იღებს, მოჯამაგირედ მუშაობს და ცხოვრებას ტანჯვაში ატარებს.

რაც შეეხება ტანსაცმელს, ქალების უმრავლესობა გრძელ, სადა კაბებს ატარებს და ოქრომკედიან და სირმებიან კაბებს, რომლებსაც ირანში ხმარობენ, არ იცვამს. ქალები ახალი ყაიდის ტანსაცმლის შესაქმნელად ბევრს წვალობენ და *მოდიდან*[551] (mud) გასულ ტანსაცმელს არ ატარებენ. ოქრომკედიანი და სირმებიანი კაბები აქ მხოლოდ მოცეკვავეებს და თეატრის მსახიობებს აცვიათ.

---

550 ავტორი „ოტელოს" თავისებურ ინტერპრეტაციას იძლევა.

551 ავტორის სქოლიო: „მოდას [ტანსაცმლის] თარგს ეძახიან".

ქუჩებში, *დროშკებსა* და მეჯლისებზე ქალებს კაცებთან შედარებით ყველგან უპირატესობა აქვთ. როცა *ტრამვაი* სავსეა და დასაჯდომი ადგილი არ არის, თავაზიანი მამაკაცები დგებიან, ქალებს ადგილს უთმობენ და თავად მთელი გზა ფეხზე დგანან. ტრანსპორტში ასვლისა და ჩასვლისას კაცები ქალებს გინდ არ იცნობდნენ, ხელს აშველებენ და მათზე ზრუნავენ. თეატრებსა და სხვა თავშეყრის ადგილებში ქმრები თავიანთ ცოლებს თავაზიანად პალტოს აცმევენ და თუ ქალს ქმარი არ ახლავს, მას ნათესავი ან ნაცნობი ემსახურება. სეირნობის დროს თუ *ბალებზე* ქალები სრული თავისუფლებით სარგებლობენ.

ქორწილი თბილისში, ისე როგორც სხვა ცივილიზებულ ქალაქებში, სადად და წესების დაცვით ტარდება. ქორწილების უმეტესობა ერთ ღამეში სრულდება. ძველი წეს-ჩვეულებები და თავსმოხვეული უაზრო ცერემონიები ამ ქვეყანაში უკუაგდეს და დაივიწყეს. ქორწილებისა და წვეულებების უმრავლესობა მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს. დაქირავებული მუსიკოსები საათში რვა მანეთს იღებენ. ნებისმიერ კაცს შეუძლია ეს თანხა გადაიხადოს და მუსიკოსები სასურველ ადგილზე მოიწვიოს.

აქაური ქალები ჩინებული დიასახლისები და ბავშვების აღმზრდელები არიან. ბავშვის აღზრდას, დიასახლისობას და სხვა ქალურ საქმეებს ისინი სხვა სასწავლო დისციპლინების მსგავსად ქალთა სკოლებში სწავლობენ.

უცნობი ავტორის ტექსტი ჰაჯი ხოდავერდი ხანის მექაში მოგზაურობის შესახებ

უცნობი ავტორის ეს სპარსულენოვანი ტექსტი მოგვითხრობს ჰაჯი ხოდავერდი ხანის მოგზაურობაზე ფირუზაბადიდან მექაში 1897-1898 წლებში. თხზულების მთავარი მოქმედი პირი ანუ ჰაჯი ხოდავერდი ხანი (ტექსტში იგი ზოგჯერ „ჰაჯი"-ს მითითების გარეშე მხოლოდ სახელით მოიხსენიება), რომლის მამას მალექ ნიარ ხანი ერქვა, იყო „ხამნაბათის" სახელით ცნობილი ერთ-ერთი თურქული მოდგმის ტომის მეთაური. ხსენებული ტომი ადრე სახლობდა შუა აზიაში, ტაშკენტის მიდამოებში, მაგრამ რუსეთის მიერ ტაშკენტის დაპყრობის (1865წ.) შემდეგ ამ ტომის წინამძღოლი შაჰნავაზ ხანი, რომელიც ჰაჯი ხოდავერდი ხანის ბაბუა იყო, არ დაემორჩილა დამპყრობლებს, ოჯახთან ერთად გაეცალა შუა აზიას და დასახლდა იმდროინდელი ინდოეთის მუსლიმურ ნაწილში, სინდის პროვინციაში მდებარე ფირუზაბადში. 1897 წელს ჰაჯი ხოდავერდი ხანმა გადაწყვიტა ჰაჯის შესრულება და ფირუზაბადიდან მექაში გაემგზავრა. თავდაპირველად იგი კასპიის ზღვის გავლით ჩავიდა ბაქოში, შემდეგ მატარებლით განაგრძო გზა, მცირე ხნით გაჩერდა ჯერ თბილისში და შემდეგ ბათუმში, საიდანაც გემით გადავიდა სტამბოლში; ოსმალეთის სატახტო ქალაქიდან იგი ეგვიპტის გავლით გაემართა ჰიჯაზისაკენ, მოინახულა და მოილოცა მუსლიმთა წმინდა ადგილები მექასა და მედინაში, რის შემდეგაც ირანის ტერიტორიის გავლით დაბრუნდა ფირუზაბადში. თხზულების ბოლო მონაკვეთში აღწერილია ჰაჯი ხოდავერდი ხანის გარდაცვალების ამბავი და მის შვილებთან დაკავშირებული ისტორიები.

თხზულებაში ერთმანეთში შერწყმულია დოკუმენტური და მხატვრული პროზის ელემენტები. მოგზაურობასთან დაკავშირებული რეალური თუ გამოგონილი კურიოზები და ფათერაკებით აღსავსე ეპიზოდები გადმოცემულია მხატვრული თხრობისთვის დამახასიათებელი სტილით. გარდა ამისა, ავტორი არ მალავს თავის ირონიულ დამოკიდებულებას თხზულების პერსონაჟების მიმართ და გვთავაზობს საკმაოდ გამოკვეთილ სატირულ-იუმორისტულ პასაჟებს. ამ თვალსაზრისით, ეს ტექსტი იმდროინდელი ირანული სატირული პროზის ნიმუშადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ თხზულების დღეისათვის ცნობილი ერთადერთი ხელნაწერი უკანასკნელ ხანებამდე ინახებოდა თბილისში კერძო პირის კოლექციაში. ხელნაწერის ამჟამინდელი მფლობელის ვინაობა და ადგილმდებარეობა ჩვენთვის უცნობია. ვიცით მხოლოდ, რომ ამ ხელნაწერის სრული ტექსტის ქსეროასლი, გადაღებული 2003 წლის იანვარში, დაცულია გრიგოლ ბერაძის პირად ბიბლიოთეკაში. წინამდებარე კრებულზე მუშაობისას ჩვენ სწორედ ამ ქსეროასლით ვისარგებლეთ.

ტექსტის თვალსაზრისით ხელნაწერი სრულია და მოიცავს კალიგრაფიული ნასთალიყით გადაწერილ 114 ფურცელს, თუმცა მასში, სამწუხაროდ, არ არის მითითებული არც ავტორის ვინაობა და არც თხზულების სათაური. ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთებში ჩართულია ცალკე ფურცლებზე შესრულებული ფერადი მინიატურები

(სულ 4 მინიატურა). ტექსტის ბოლოს აღნიშნულია, რომ ხელნაწერი გადაწერილია გენერალ მაჯდ ას-სალთანეს დაკვეთითა და განკარგულებით სეიფოლაჰის მიერ[552], რომელმაც ტექსტის გადაწერა დაასრულა მთვარის ჰიჯრის 1316 წლის 4 ზუ ლ-ჰიჯას ანუ 1899 წლის 15 აპრილს[553].

ვრცელი ინფორმაცია XIX საუკუნის მიწურულის ამ საინტერესო სპარსული ხელნაწერი თხზულებისა და მასში ჩართული მინიატურების შესახებ (სათანადო საილუსტრაციო მასალით) გააკეთა გრიგოლ ბერაძემ 2003 წლის 27 ივნისს INTAS-ის საერთაშორისო კონფერენციაზე „La Tiflis dell'Ottochento: Storia e Cultura", რომელიც ჩატარდა ვენეციის უნივერსიტეტში (Universitá Ca Foscari di Venezia). თავის გამოსვლაში გ. ბერაძემ დამსწრე საზოგადოებას ამცნო ის ფაქტიც, რომ პირველი ქართველი მკვლევარი, რომელიც დაინტერესდა ამ ხელნაწერით და შეუდგა მის კვლევას, იყო ვლადიმერ ფუთურიძე (1893-1966), რაზეც მეტყველებს მის გამოუქვეყნებელ ნაშრომთა სიაში მითითებული შემდეგი დასახელება: „უცნობი ავტორის მოგზაურობის შესახებ აზიასა და ევროპაში (ჰაჯი ხოდავერდ-ხანის მოგზაურობა თურქესტანიდან მექაში)"[554]. რა ხასიათისა და მოცულობის იყო ეს გამოუქვეყნებელი ნაშრომი (სტატია, მოხსენების ტექსტი თუ მოხსენების თეზისები) ჩვენთვის უცნობია. სამწუხაროდ, მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა, ხსენებული დასახელების ტექსტის მოძიება ვ. ფუთურიძის პირად არქივში დღემდე ვერ მოხერხდა.

ბიბლიოგრაფია

ლიტერატურა

Beradze, G., "An Illustrated Persian Manuscript of the Late Nineteenth Century: Hajji Khodaverdi Khan Firuzabadi's Pilgrimage to Mecca", 2003 (მოხსენება, წაკითხული 2003 წლის 27 ივნისს საერთაშორისო კონფერენციაზე ვენეციაში; მოხსენების ტექსტი გამოქვეყნებული არ არის და ავტორის ნებართვით ხელნაწერით ვისარგებლეთ).

552 ტექსტში მითითებულია, რომ ეს „სეიფოლაჰი" იყო ამირ ალ-ომარა აყა ალიხან სართიფის შვილი. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მაჯდ ას-სალთანეს მოგზაურობის წიგნი, რომლის ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა, გადაწერილია 1895 წელს ვინმე „მირზა სეიფოლაჰის" მიერ. საფიქრებელია, რომ ეს ორი „სეიფოლაჰი" ერთი და იგივე პიროვნება იყო, რომელსაც მაჯდ ას-სალთანე სხვადასხვა ტექსტების გადაწერას ანდობდა.

553 ამ მინაწერიდან ჩანს, რომ ეს ხელნაწერი გენერალ მაჯდ ას-სალთანეს ეკუთვნოდა და აღმოსავლურ ხელნაწერთა მისეულ კოლექციაში შედიოდა, მაგრამ მოგვიანებით (ალბათ, 1915 წლის კონფისკაციის შემდეგ) ის რაღაც მანქანებით „ჩამოშორდა" ხსენებულ კოლექციას და კერძო მფლობელის ხელში გადავიდა.

554 ამის შესახებ იხ.: ა. ჭეიშვილი, „ვლადიმერ ფუთურიძის გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაშრომთა სია", *აღმოსავლური ფილოლოგია*, II, თბილისი, 1972, 33, №47.

ხოდავერდი ხან ფირუზაბადის მოგზაურობა მექაში (1897-98)

ხამნაბათის ტომის უფროსი ჰაჯი ხოდავერდი ხანი, რომელიც დიდებულ მექაში მიემგზავრება, თურქესტანის რკინიგზით[555] კასპიის ზღვამდე მივიდა და იქიდან ჯერ ბაქოს პორტში, მერე კი მატარებლით ქალაქ თბილისში ჩავიდა და შეითან-ბაზრის უბანში დაბინავდა. მისი აღმატებულება თბილისში ორი დღე დარჩება და მერე ბათუმისკენ გაემართება...

ბაბოლელი *იმამ ჯომ'ე*[556], რომელიც ასევე მექაში მიდიოდა, ამ ქალაქში მის აღმატებულება [ხოდავერდი] ხანს გაეცნო და დაუახლოვდა. შეთანხმდნენ, რომ ის გზას ხანთან ერთად განაგრძობდა, ხოლო მოგზაურობის დასრულების მერე შეეძლო, თუკი მოისურვებდა, სამუდამოდ მის აღმატებულება ხანთან ფირუზაბადში დასახლებულიყო და მთელი თავისი ოჯახიც საცხოვრებლად [ბაბოლიდან] ფირუზაბადში გადაეყვანა.

ერთ დღეს ხოდავერდი ხანი თბილისის მუზეუმის დასათვალიერებლად წაბრძანდა და ამ დაწესებულებით უაღრესად გაკვირვებული და აღტაცებული დარჩა. უკანა გზაზე თავის მსახურთუხუცესთან ქარამ ალი ხანთან საუბრისას იგი გაუჩერებლად აქებდა მუზეუმს და ლაპარაკში ისე გაერთო, რომ საფეხმავლო გზიდან გადავიდა ბულვარზე, რომელიც *დროშკების* და *ტრამვაის* (teramvā) სასიარულო გზაა. გამყოლმა, რომელიც მას თან ახლდა, მოახსენა: „თქვენო აღმატებულებავ, ჩვეულებრივი გზით იარეთ, რადგან ეს გზა ოთხთვალებისა და საპალნე ცხოველებისთვის არის განკუთვნილი და ფეხით მოსიარულეთათვის აკრძალულია. ძალიან საშიშია, რომ *ტრამვაი* ან სხვა ტრანსპორტი არ დაგეჯახოთ. მოწყალება მოიღეთ და გადაბრძანდით ხალხის სასიარულო გზაზე, რომელიც პროსპექტს ორივე მხრიდან მიუყვება". ხანმა უთხრა: „სხვის საქმეში ცხვირს ნუ ყოფ! ამიერიდან მხოლოდ ჩემს კითხვებზე უპასუხე და დაუკითხავად ნუღარაფერს მეტყვი".

ტრამვაის ინციდენტი

ამასობაში *ტრამვაი* გამოჩნდა. გამყოლმა ხანი გააფრთხილა, გზიდან ჩამოეცალეთ, თორემ ბორბლებქვეშ მოჰყვებითო, მაგრამ ხანი აღშფოთებული შეეპასუხა: „მემანქანე ბრმა ხომ არ არის, რომ გზაზე მდგარი ადამიანი ვერ დაინახოს. ცოტა გვერდზე გაიაროს". გამყოლმა მოახსენა: „*ტრამვაის* ბორბლები რკინის რელსებზე მოძრაობს და გზიდან ვერ გადაუხვევს". სიტყვა დამთავრებული

---

555 იგულისხმება იმიერკასპიის სამხედრო რკინიგზა (Закаспийская военная железная дорога), რომელიც შუა აზიის ქალაქებს კასპიის ზღვის ნავსადგურ კრასნოვოდსკთან აკავშირებდა.

556 ტექსტში ამ პირის სახელი მითითებული არ არის, იგი მოიხსენიება როგორც „ემამ ჯომ'ე-იე ბაბოლი" ანუ ბაბოლელი იმამ ჯომ'ე. იმამ ჯომ'ე ნიშნავს პარასკევის იმამს, პარასკევის მეჩეთის იმამს; ბაბოლი არის პატარა ქალაქი ირანში, მაზანდარანის პროვინციაში, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაშასადამე, ეს პიროვნება იყო მუსლიმი (შიიტი) სასულიერო პირი, ქ. ბაბოლის პარასკევის მეჩეთის იმამი.

არ ჰქონდა, რომ *ტრამვაი* მოადგა. ხანი შეეცადა, მორიდებოდა, მაგრამ ვაგონის კუთხე მკერდში მოხვდა და მიწაზე დაეცა. მართალია, მთავარ ხიფათს – ბორბლებს გადაურჩა, მაგრამ მიწაზე დარტყმისგან თავი გაუტყდა და ქუდიც ბორბლებქვეშ ნაფლეთებად ექცა. *ტრამვაიმ* ისე ჩაიარა, სვლა არ შეუნელებია. განრისხებულმა თავშიშველა და თავგატეხილმა ხანმა ხმამაღლა ლანძღვა-გინება დაიწყო, ქარამ ალი ხანს მიუბრუნდა და ტრამვაის მძღოლის მისამართით სულ „ქუფაქ ოღლი"[557] იძახა. ამ აურზაურზე მოვიდა რამდენიმე პოლიციელი, რომლებსაც მისი აღმატებულება მთვრალი ეგონათ. მათ ხანს უხეშად მოჰკიდეს ხელი და მთვრალებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ადგილას დაუპირეს წაყვანა. საწყალმა გამყოლმა პოლიციელებს საქმის ვითარება გააცნო და აუხსნა, რომ ეს კაცი დიდგვაროვანი ხანი იყო. მან დიდი წვალებით დაიხსნა ხანი ქალაქის პოლიციის რწმუნებულთა კლანჭებიდან და სახლში წაიყვანა.

ტრამვაის ზემოხსენებული ინციდენტით თავზარდაცემული მისი აღმატებულება ხანი სრულიად გამოიცვალა: უფრო ფრთხილი და დაკვირვებული გახდა და ყველაფრის ეშინოდა. სულ იმას ფიქრობდა, ღმერთმა ნუ ქნას, ისევ გაუგებრობაში მოვყვე და სამართალდამცავებმა დამადანაშაულონ და გამასამართლონო.

ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ მისი აღმატებულება [ხოდავერდი] ხანი თბილისიდან გაემგზავრა, ბათუმის პორტში ჩავიდა და შავი ზღვის გავლით სტამბოლისკენ გაემართა.

---

[557] „ქუფაქ ოღლი" თურქული სალანძღავი სიტყვაა და „ძაღლისშვილს" ნიშნავს.

მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულე და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულე.

მირზა ალი ასყარ ხანი, ცნობილი ლაყაბებით „ამინ ალ-მოლქი" და „ამინ ად-დოულე", ნასერ ად-დინ შაჰისა და მოზაფარ ად-დინ შაჰის დაახლოებული პირი და დიდმოხელე იყო. მირზა ალი ასყარი დაიბადა 1843 წელს აზერბაიჯანის გუბერნიის ადმინისტრაციის უფროსის ოჯახში. მან კარგი განათლება მიიღო, არაბული ენა ბაღდადში შეისწავლა და თავისუფლად ფლობდა ფრანგულსაც. ნასერ ად-დინ შაჰის მმართველობის სხვადასხვა წლებში მას ეკავა სახელმწიფო ფოსტის უფროსისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი თანაშემწის თანამდებობები, მოზაფარ ად-დინ შაჰის მეფობის პირველ წლებში კი – სადრ ა'ზამის (პირველი მინისტრის) თანამდებობა. 1898 წელს სამეფო კარის ინტრიგებისა და, განსაკუთრებით, კარის მინისტრ ამინ ას-სოლთანთან დაპირისპირების გამო მოზაფარ ად-დინ შაჰმა ის თანამდებობიდან გადააყენა. მირზა ალი ასყარი სამეფო კარს განერიდა და ჯერ ლაშთენეშაში, შემდეგ კი მექაში გაემგზავრა. წინამდებარე ნაწყვეტი ამ მოგზაურობის ჩანაწერებიდან არის ამოღებული.

მირზა ალი ასყარ ხანის „მექაში მოგზაურობის წიგნი", ამ ჟანრის სხვა თხზულებებისგან განსხვავებით, უფრო ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, ვიდრე ენციკლოპედიური. ავტორი მეტწილად საკუთარ თავგადასავლებსა და ემოციებს გადმოგვცემს და ნანახი ქვეყნების ღირშესანიშნაობებზე ნაკლებად საუბრობს, რაც, როგორც ჩანს, მოგზაურობაში გადატანილმა მძიმე ავადმყოფობამაც განაპირობა. თხზულების თბილისის მონაკვეთი დიდწილად მისი ავტორის ავადმყოფობის ისტორიას წარმოადგენს. მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მირზა ალი ასყარი რაშთში ცხოვრობდა და იქვე გარდაიცვალა 1904 წელს.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Khāterāt-e sīyāsī-ye Mīrzā 'Alī Khān Amīn ad-Doule, be kūshesh-e Häfez Farmān Farmāyān, Tehran, 1341/1962.

Safar-nāme-ye Amīn ad-Doule Hājj Mīrzā 'Alī Khān Sadr-e A'zam, be kūshesh-e Eslām Kāzemīye, Tehran, 1354/1975.

Mīrzā 'Alī Asghar Khān Amīn ad-Doule, "Safar-nāme-ye Makke", *წიგნში: Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 6, 285-668.

ლიტერატურა

'Alī Amīnī, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Amīn ad-Doule Hājj Mīrzā 'Alī Khān Sadr-e A'zam*, 1-3.

Mohammad Taqī Bahār, *Sabkshenāsī yā Tārīkh-e tatavvor-e nasr-e fārsī*, j. 3, Tehran, 1370/1991, 380-385.

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 1347/1968, 354-366.

Rasūl Ja'farīyān, "Dar bāre-ye Amīn ad-Doule va safar-nāme-ye ū", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 6, 285-303.

Khalīlollāh Yazdānī, "Hajj va safar-nāme", 143-148.

H. Farman Farmayan, "Portrait of a Nineteenth-Century Iranian Statesman: the Life and Times of Grand Vizier Amin al-Dawlah, 1844-1904", *International Journal of Middle East Studies*, Vol.15, No. 3, 1983, 337-351.

B.G. Fragner, *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, 76-120.

მექაში მოგზაურობის წიგნი
(1899)

წინა გზა

[1316 წლის 10 ზუ ლ-კადა (1899 წლის 22 მარტი), ოთხშაბათი:

დღეს ზუ ლ-კადას თვის 10 რიცხვი და ოთხშაბათი დღეა. მატარებელში[558] ვსხედვართ და არ ვიცით, წინ რა გველოდება. ხმები ჯიდაში გავრცელებულ შავ ჭირზე და დროის უკმარისობა, რომლის გამოც, შესაძლოა, დიდებულ მექას ვერ ჩავუსწროთ, ჩვენი ეჭვებისა და წუხილის მიზეზია. მე და ჩემი თანამგზავრები მაჯდ ალ-მოლქი და მო'ინ ალ-მოლქი ამ საკითხზე ვთათბირობთ. ისინი ამბობენ: „თუ ჯიდაში მართლა შავი ჭირია, დიდი სისულელე იქნება, თუ სიკვდილს საკუთარი ფეხით ვეახლებით".

მე ვპასუხობ: „თეირანის შავი ჭირისგან შორს ვართ, ხოლო რაც შეეხება ეპიდემიას ღმერთისკენ მიმავალ გზაზე, მისი არ უნდა გვეშინოდეს. თუ სიკვდილი ამ წელს გვიწერია, მით უკეთესი, რადგან საზღაურს, დაპირებისამებრ, თავად ალაჰი მოგვიზღავს".

---

558 ავტორი მატარებელს ხან „რკინიგზის კალიასკას" (kālaske-ye rāh-e āhan) და ხან მატარებელს (tren) ეძახის.

მეუბნებიან: „ღვთის შემეცნება შავი ჭირისგან ვერ დაგვიფარავს. თუ ხმები დადასტურდება, ჯიდაში გამგზავრების ნებას არ მოგცემთ. უმჯობესია, სხვა გზით წავიდეთ“.

ვუთხარი: „ეს ამბავი სტამბოლში გაირკვევა და თუ ხმები ეპიდემიის შესახებ დადასტურდა, ევროპის გზით ნუღარ წავალთ. დამასკოსა და ალეპოს გავლით წყლით ან ხმელეთით არაბულ ერაყში ჩავიდეთ და იქ თეირანში დარჩენილებს დაველოდოთ“.

მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულე. რაყამ აბუ'ლ-ჰასან ნაყაშბაშის აკვარელი.

ამ კამათში ვიყავით, რომ მატარებელი ერთ სადგურში შევიდა. ხუთწუთიანი გაჩერება გამოაცხადეს. გარეთ გამოვედით, ვისაუზმეთ და ჩაი დავლიეთ. დღეს ნანახი მიწების უმეტესობა, ისევე როგორც ირანის ზოგიერთი *იყთა*, უწინ გამომშრალი და ხრიოკი იყო. შემდეგ გავერანებულმა მიწებმა თავიდან იხარა და ახლა მზად არის ასათვისებლად. ეს დამსახურებაა რკინიგზის მმართველების, მართლმსაჯულების და იმ კანონის, რომლის მიხედვითაც ხალხი საკუთარი [მიწების] ბატონ-პატრონია და მეფის კარის მოხელეები მათ უფლებებს ვერ ზღუდავენ.

სადილის დროს ერთ დასახლებულ პუნქტში გავჩერდით. აქ იყიდებოდა ყურძნის კალათები, რომლებიც თითქოს შაქის რაიონიდან იყო ჩამოტანილი. მთელ გზაზე კარგ ვაშლებსაც ყიდდნენ. საღამოს აღსთაფაში (Āq Estafā) მივედით და დასაბანად და ჩაის დასალევად მატარებლიდან ჩავედით. მზის ჩასვლას 45 წუთი აკლდა, თბილისის სადგურში რომ შევედით. რადგან ბათუმამდე პირდაპირი ბილეთი გვქონდა აღებული, მატარებლიდან აღარ გადმოვედით. ბაქოში ყველა გავაფრთხილე, რომ ჩვენი ჩასვლის შესახებ თბილისში არავისთვის შეეტყობინებინათ, ამიტომ დარწმუნებული ვიყავი, რომ აქაურობას ჩუმად და შეუმჩნევლად გავივლიდით. მაგრამ სადგურში შესვლისთანავე დავინახე მოდირ ალ-მოლქი, *თოჯარბაში* და ირანის საკონსულოს თანამშრომლები, რომლებიც ჩვენ გველოდებოდნენ. მატარებლიდან ჩავედი და ბოდიში მოვუხადე, თქვენი შეწუხება ნამდვილად არ გვინდოდა-მეთქი. შეთანხმებულები ვიყავით, რომ მათთვის ჩვენი ჩამოსვლის ამბავი არ უნდა შეეტყობინებინათ, მაგრამ, როგორც გაირკვა, გამოვემგზავრეთ თუ არა, მირზა ალი ასყარ ხანმა მათ ტელეგრამა გაუგზავნა. დაჟინებით გვთხოვდნენ, რომ ამაღამ თბილისში დავრჩენილიყავით და ხვალ დილის მატარებელს გავყოლოდით. ვუთხარი: „ძალიან ცოტა დრო

გვაქვს და გვაგვიანდება, მაგრამ თუ ცოცხალი გადავრჩით, ამ სურვილს უკანა გზაზე აგისრულებთ".

წინა ჩამოსვლის მერე თბილისი ბევრად უფრო კეთილმოწყობილი მეჩვენა. რკინიგზის გასასვლელთან უამრავი სახლი აეშენებინათ. მოდირ ალ-მოლქმა მითხრა: „გამგზავრების ნებართვა ავიღე და *ვილაიეთის* საქმეების მოსაგვარებლად ხვალ გილანში მივდივარ". მირზა ბარსოყი ვნახეთ. საერთოდ არ გამოცვლილიყო. მითხრა: „უწინდელზე მეტად ვწუხვარ, რომ სამინისტრომ თქვენი სამსახურის სანაცვლოდ იმ მცირე გასამრჯელოზეც კი უარი გითხრათ". *თოჯარბაში* ძალიან თავაზიანად შეგვხვდა და შემოგვთავაზა, ბათუმში მის სახლში გავჩერებულიყავით. მაჯდ ალ-მოლქს უთხრა: „თუ მოგზაურობის დროს ფული დაგჭირდებათ, შემატყობინეთ და მაშინვე გამოგიგზავნით".

[თბილისის სადგურში] ნახევარი საათი გავჩერდით და ჩაი დავლიეთ. ამასობაში მატარებლის გასვლის დრო მოვიდა. ავდექით და ბატონებს დავემშვიდობეთ. *თოჯარბაშის* მსახურმა მოიტანა ერთი შეკვრა, რომელშიც დიდი გემოვნებით, ფაქიზად შეფუთული ორი ყუთი ტკბილეულობა და ერთი კალათა ფორთოხალი ეწყო და ვაგონში დაგვიტოვა. თბილისის საკონდიტრო წარმოება ტკბილეულობის ხარისხითა და პრიალა მოხატული ყუთით პარიზისას ჰგავს.

საღამომდე ვიმგზავრეთ და მზის ჩასვლისთვის ერთ დასახლებულ პუნქტში სავახშმოდ გავჩერდით. ჭამის შემდეგ ისევ მატარებელში ავედით და დასასვენებლად და დასაძინებლად მოვემზადეთ. ცივი და ნესტიანი ამინდი იდგა. თანდათანობით ბუნება შეიცვალა და ხეებმა და ტყეებმა იმატა.

11 ზუ ლ-კადა (23 მარტი), ხუთშაბათი:

ზუ ლ-კადას თვის თერთმეტი რიცხვი, ხუთშაბათი დილაა და ჩვენ ტყეში მივდივართ. ამინდი შეიცვალა და ცრის. ერთ სადგურში ვაგონში ჩაი ამოიტანეს და ქვემოთ აღარ ჩავედით. ისე, როგორც გილანში, აქაც ხეები ახალი აყვავილებულია და კვირტები აბია. გზაზე შეგვხვდა მარადმწვანე ხეები, რომლებიც ჩვენს ტყეებში არ იზრდება.

ნელ-ნელა შავი ზღვის სანაპირო გამოჩნდა. ამ მხარეში ისეთი სუფთა ჰაერია, გული გწყდება, მატარებელი ჩქარა რომ მიდის. გავიარეთ ტყეში ახლადაშენებული სახლები, რომლებიც მოვლილი ბაღებითა და ნათესებით იყო გარშემორტყმული. მათში რამდენიმე დიდი და ლამაზი სახლი ერია, რომლებიც ალბათ სოფლის მამასახლისს ეკუთვნოდა. უფრო წინ, ბორცვზე იდგა ძალიან დიდი და მდიდრული სახლი, რომელიც, ეტყობოდა, რომ ახალი აგებული იყო. სახლს ყოველი მხრიდან ბაღები და ყვავილნარები ერტყა. სიმეტრიული და მოწესრიგებული ბილიკები და ისლითა და ნამჯით შეფუთული პატარა ხეები იმაზე მიუთითებდა, რომ მშენებლობა ახალი დასრულებული იყო. ვინატრე, ნეტავ ასეთი სახლისა და ბაღის აშენება შემეძლოს-მეთქი. „დარდი რომ არ არსებობდეს, განთიადის ბულბული ვიქნებოდი". აყა შო'ა ას-სალთანეს მოწესრიგებული სამეფო კარი, ნასრ ას-სალთანეს სამართლიანი მმართველობა, ამინ ას-სოლთანის მიუკერძოებელი მბრძანებლობა და მოზაფარიდების ხელისუფლების სიმშვიდე და უსაფრთხოება მართლაც რომ ბაღის, სახლის, სიცოცხლისა და დასვენების სურვილს გაგიჩენს.

ირიჟრაჟა. ჩვენ წინ ქალაქი ბათუმი გამოჩნდა. 15 წუთის შემდეგ შევედით სადგურში, სადაც ბათუმში ირანის კონსული და ორი ირანელი ვაჭარი დაგვხვდნენ. მატარებლიდან ჩავედით და მათ თავაზიანად მივესალმეთ. კონსული მირზა აბდ ალ-ქერიმ ხანი არფა' ად-დოულეს ნათესავი აღმოჩნდა, ერთ-ერთი ვაჭარი ჰაჯი მოლა ალი კი – თბილისის *თოჯარბაშის* ნათესავი და დაახლოებული პირი. მან გვითხრა: „ჩემი სახლი თქვენს განკარგულებაშია".

ვუპასუხე: „ჩემი და *თოჯარბაშის* მეგობრობა უეჭველია უფლებას მაძლევს, რომ თქვენთან, როგორც საკუთარ სახლში, ისე ვიგრძნო თავი, მაგრამ მოგზაურობის ინტერესებიდან გამომდინარე უმჯობესია, თუ სასტუმროში გავჩერდებით".

მათ მოიყვანეს ქალაქის *დროშკები*, რომლებიც მაინცდამაინც მოსაწონი არ იყო. ჩავსხედით და ქალაქის საუკეთესო სასტუმრო „იმპერიალში" (Emperyāl) წავედით. მას შემდეგ, რაც დავბინავდით და ჩაი დავლიეთ, კონსულმა თავისთან სადილად დაგვპატიჟა და გვითხრა:

– როგორც კი თქვენი ჩამობრძანების ამბავი შევიტყვე, მაშინვე გადავწყვიტე, რომ თქვენ პატივსაცემად სადილი გამემართა. ხვალ სადილად კი ჰაჯი მოლა ალისთან ხართ მიწვეული. გემი საღამოს გადის, ასე რომ ყველაფერს მოასწრებთ.

იძულებული ვიყავით, ორივე მიპატიჟება მიგვეღო. კონსული წავიდა, რადგან სადილის დრო ახლოვდებოდა და საკონსულოში უნდა წავსულიყავით.

ავდექით, ხელ-პირი დავიბანეთ და ტანსაცმელი გამოვიცვალეთ. ჰაჯი მირზა ფათჰალი გაფრთხილებული მყავდა, რომ ბევრი ბარგი არ წამოეღო, ამიტომ მხოლოდ ორი ხელი ტანსაცმელი ჩამიდო, რომლებიც ამ სიტუაციისთვის შეუფერებელი აღმოჩნდა. ნაშუადღევს კონსული მოვიდა და გვითხრა, რომ *დროშკა* მზად იყო. საკონსულოში წავედით.

რუსეთის მფლობელობაში გადასვლის მერე ბათუმი უფრო აყვავდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელმწიფო მოხელეები შეთანხმდნენ, რომ ფოთი სავაჭრო, ხოლო ბათუმი სამხედრო ნავსადგური იქნებოდა, ხალხმა მისი კეთილმოწყობის სურვილი დაკარგა და ეს მხარე თანდათან დაკნინდა. მაგრამ ახლა ისევ დღითი დღე ვითარდება, თუმცა მეჩეთები და სხვა ისლამური შენობები განადგურების პირას არის მისული. [აქაური] მუსლიმები არაისლამური სახელმწიფოს მიერ მათი მიწების დაპყრობას ძალიან განიცდიან.

საკონსულოში მივედით. ამ პატარა და სუფთა სახლში მაგიდა, სკამები და სხვა ინვენტარიც სუფთა და მოხდენილი იყო. დარბაზში რამდენიმე პეიზაჟი და ფოტოსურათი ეკიდა. ფოტოებზე მეტწილად არფა' ად-დოულე და მისი ოჯახის წევრები იყვნენ გამოსახული. ოთახის მოწყობილობა მირზა აბდ ალ-ქერიმის გემოვნებაზე მეტყველებდა.

საკონსულოს გზაზე ქუჩებში ბევრი მარადმწვანე ხე ვნახეთ, მათ შორის ევკალიპტის ერთი ნაირსახეობა, მაგნოლია და ნაძვი. ისევ ის სურვილი განმიახლდა, ტყეში გავლისას რომ დამეუფლა და კონსულს ვუთხარი: „თუ შეიძლება, რომ ამ ხეებიდან რომელიმე გილანში გავაგზავნო?"

მიპასუხა: „აქვე ახლოს ერთ კაცს [ნერგების] დუქანი აქვს. უკანა გზაზე გავიაროთ და რასაც მოისურვებთ, მოგართმევთ".

ბათუმის სანაპირო ქუჩა. 1900-იანი წლების ღია ბარათი.

ცოტა ხანში შემოვიდნენ და მოგვახსენეს, რომ სადილი მზად იყო. მეორე ოთახში გავედით. როგორც ჩანს, საკონსულო მარტო ამ ორი ოთახისგან შედგებოდა. სუფთა და უბრალო მაგიდაზე უამრავი საჭმელი ეწყო და ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო. სადილის შემდეგ ცოტა ხანი დარბაზში დავსხედით. ჩაი მოგვართვეს. ჩაის მერე კონსულთან ერთად გარეთ გავედით და ქუჩაში ფეხით გავისეირნეთ. ქალაქში ბევრი კარგი დუქანი იყო, სადაც ნებისმიერი საქონელი იშოვებოდა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ერთ დუქანში შევედით. იქ ვნახეთ სასმენი მილი სმენადაქვეითებულთათვის და აპარატი, რომელიც ჰაჯ სეიდ რაზიმ დამაბარა. ვიყიდე და გამიხარდა, რომ დანაბარები შევუსრულე.

იქიდან ყვავილების დუქანში წავედით. ავსტრიელი თუ ბულგარელი კაცი გამოგვეგება. დუქანში ლარნაკები და ყვავილების შეფუთული და შეუფუთავი თაიგულები იყიდებოდა. მედუქნემ ფრანგული არ იცოდა და კონსულმა ჩვენი სურვილი რუსულად უთხრა. გვითხრა: „ახლა სანამყენე კალმებისა და ფესვების გაგზავნის დრო არ არის და მოგვიანებით, სეზონზე შესაძლებელი იქნება. სამაგიეროდ ყველა ჯიშის ხის თესლი გვაქვს". რამდენიმე შეკვრა გამოიტანა და გვიჩვენა. შეგვპირდა, რომ ხვალისთვის თესლებს და მათი დარგვისა და მოვლის მითითებებს შეფუთავდა და მოგვართმევდა. მადლობა გადავუხადეთ და გარეთ გამოვედით. კონსულმა მითხრა: „თუ ინებებთ, ქალაქის საზოგადო პარკში წავიდეთ. თუ მთავარი მებაღე იქ იქნება, შეგიძლიათ ხეების ფესვებიანი ნერგები შეუკვეთოთ". *დროშკაში* ჩავსხედით და ბაღში წავედით.

ბაღი მდინარის პირას იყო გაშენებული, ამიტომ ცუდი ნიადაგი ჰქონდა და ზღვიდან მონაბერი ქარი ხეებს გამუდმებით არხევდა. მიუხედავად ამისა, იქაურობა ძალიან მოწესრიგებული და თვალწარმტაცი იყო. ბაღს ულამაზესი ფართო

და ვიწრო ხეივნები და სუროშემოვლებული კედლები ჰქონდა. სუროს ტოტები და ფოთლები თანაზომიერად გაეკრიჭათ. სხვადასხვა ჯიშის მწვანე ხეები სიმეტრიულად იყო დარგული. გაზონები და ყვავილნარები, რომელთა ყვავილობის სეზონი ახლა არ იყო, ლამაზად იყო მოწყობილი. ხეივნებში ხალხის დასაჯდომად და დასასვენებლად ხისა და ქვის სკამები იდგა. ბაღის ერთ მხარეს ლამაზ ჩარდახში კარგი ყავახანა აეშენებინათ. ერთი სიტყვით, გუბერნიისა და ქალაქის მმართველობა თავისი მოსახლეობის გართობასა და დასვენებაზე ყოველნაირად ზრუნავს. ბაღში სეირნობით ძალიან ვისიამოვნე, მაგრამ მთავარი მებაღე არ დაგვხვდა და ხეებისა და ნერგების შეკვეთა ვერ მოვახერხეთ.

სახლში ანუ *ჰოტელ* „იმპერიალში" დავბრუნდით. კონსულთან ერთად დასასვენებლად დავსხედით და ჩაი დავლიეთ. გემი, რომელმაც სტამბოლში უნდა წაგვიყვანოს, ავსტრიული *კომპანიისაა* (kampānī). ამბობენ, რომ კარგი გემია. ხვალ საღამოს გადის. ბილეთები ავიღეთ და ბარგი გემზე გავაგზავნეთ. ცოტა ხანი წერილებს ვწერდი. თეირანში გასაგზავნი მოკლე ბარათი გავამზადე და ასევე წერილი მივწერე ჰაჯ სეიდ რაზის. სასმენი აპარატი პატარა ყუთში ჩავდე, რათა მისთვის ფოსტით გადაეგზავნათ. [კონსულს] ხეების თესლებისა და მათი დარგვის წესების გაგზავნა შევახსენე.

ღამით შედარებით ადრე დავიძინე, რადგან წუხელ მატარებელში მოუსვენრად მეძინა. ბათუმი ბაქოსავით ხმაურიანი ქალაქი არ არის და ღამით *კალიასკებისა* და ურმების მოძრაობის ხმა იმდენად არ ისმის.

12 ზუ ლ-კადა (24 მარტი), პარასკევი:

დილით შევასრულე რელიგიური მოვალეობები, გარდა პარასკევის *ღუსლისა*[559], რომლის ჩატარება შეუძლებელი იყო. მერე ჩაი დავლიე და თეირანში გასაგზავნი ერთი-ორი წერილი დავწერე. უფლისწულ მო'ეზ ად-დოულეს დაჟინებით ვურჩიე, რომ თეირანთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა, საცხოვრებლად საზღვარგარეთ წასულიყო და დარჩენილი ცხოვრება მშვიდად გაეტარებინა. მივწერე: „სასწრაფოდ ვალები გადაიხადე და ოჯახებით წავიდეთ მსოფლიოს ისეთ კუთხეში, სადაც თეირანისა და თეირანელების სახელი არ გაუგიათ".

კონსული და ვაჭარი ჰაჯი მოლა ალი მოვიდნენ და შემახსენეს, რომ დღეს სადილად ჰაჯის სახლში ვიყავით დაპატიჟებული.

ნაშუადღევს *დროშკა* მოიყვანეს და ჰაჯისთან წავედით. უღრუბლო, მოწმენდილი ამინდი იდგა და თბილოდა. სახლის კიბეებთან შეგვეგება ჰაჯის ვაჟი, რომელიც 10-11 წლის იქნებოდა და გარეგნულად ჩემი ქვეყნის ვაჭრის შვილებს ჰგავდა. მას თავაზიანად მივესალმე და მაღლა ავედით. შევედით მართკუთხა ოთახში, რომლის ფანჯრები ქუჩაზე გადიოდა და ერთ მხარეს პატარა *ბალკონი* ჰქონდა. ოთახსა და *ბალკონში* ნარინჯის, პალმის და სხვა ყვავილების ქოთნები

---

[559] ღუსლი – რიტუალური განბანვის გზით სრული განწმენდის აქტი. სავალდებულოა ქორწილის, დღესასწაულების, მარხვის, პარასკევის ლოცვის და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების წინ.

იდგა. ვკითხე: „რა მიზეზია, რომ ბათუმში მიუხედავად ხელსაყრელი კლიმატისა, ციტრუსებს არ რგავენ?" ჰაჯიმ ვერ ამიხსნა.

სკამებზე ქერმანული ზოლებიანი ფარდაგები ეფინა. ბათუმში ოთახების უმეტესობა თეთრად იყო შებათქაშებული და კედლებს ოდნავ ხაოიანი და ხორკლიანი ზედაპირი ჰქონდა, რაც ძალიან ლამაზი სანახავი იყო. განსაკუთრებით მომეწონა ის ადგილები, სადაც რბილი ფერებიც იყო გამოყენებული.

ჰაჯის ოთახის ჭერში კარნიზზე ჰაერის გამწოვი და გასანიავებელი დანადგარი იყო მიმაგრებული და ძალიან ხმაურობდა. მისგან ჩამოშვებული თოკით გამორთეს. ჩაი და ერთი თეფში *ნუღლი* და რაჰათლუკუმი მოიტანეს. მათი ცერემონიები და წეს-ჩვეულებები უფრო ჩემი ქვეყნისასა ჰგავდა, ვიდრე ამ მხარისას.

ერთი საათის შემდეგ უკანა ოთახის ფარდა ასწიეს და გამოაცხადეს, რომ სადილი მზად იყო. ოთახში გაშლილ მაგიდასთან ყველანი ჩვენ-ჩვენს ადგილებზე დავსხედით. ჰაჯის ოთახებში ვნახეთ ოსპისა და ხორბლის ჯეჯილი, რომელიც *ნოურუზისთვის* მოემზადებინათ. წესის მიხედვით, მას დღესასწაულის მეცამეტე დღეს ქუჩაში აგდებენ. პირველი კერძი ლიმნის წვენი იყო, რომელიც ძალიან მჟავე გამოდგა. დანარჩენი საჭმელი, ძირითადად, ჩვენებური ქაბაბი, ტოლმა და *ჩელოვ ხორეში* იყო. ჰაჯის მშვენიერი მიღებისთვის დიდი მადლობა გადავუხადე და ვუთხარი: „ისეთი კარგი დრო გავატარეთ, თითქოს საკუთარ სახლში ვყოფილიყავით. გთხოვთ, ჩემი მადლიერება *თოჯარბაშის* მისწეროთ". სადილის შემდეგ ყავა, ყალიონი და თუთუნი მოგვართვეს. რადგან გემზე გვაგვიანდებოდა, *ჰოტელში* დავბრუნდით.

სასტუმროს ანგარიში გადავიხადე და მომსახურე პერსონალიც წესისამებრ დავასაჩუქრე. გზაზე ყვავილების დუქანში შევიარე და შეპირებული თესლები მოვითხოვე. რაღაც უაზრო პასუხი გამცეს: მთელი თესლები დათესილია და ჯერ მზად არ არისო. სახლში მისვლისთანავე ჰაჯ სეიდ რაზის წერილის კონვერტს მივაწერე, რომ თესლებს ველარ ვუგზავნიდი. კონვერტებსა და [გასაგზავნი] ნივთების ყუთებს კონსულმა მკაფიო ხელით რაღაც წააწერა და ფოსტაში ნაიღეს.

გამგზავრება

ავდექით და ნავსადგურში წავედით. ნავი მოვიდა და გემამდე მიგვიყვანა. კონსულმა და ჰაჯი მოლა ალიმ გაგვაცილეს. გემზე ავედით. ძალიან დიდი და სუფთა გემი იყო და „ურანოსი" (Ūrānūs) ერქვა. კაპიტანი, რომელიც ასაკოვანი კაცი იყო, მოვიდა და ჩვენი ადგილები გვიჩვენა. ბარგი ჩვენს ოთახებში დავალაგეთ. გემზე ბევრი მგზავრი არ იყო. გამგზავრების დრო მოახლოვდა. კონსული და ჰაჯი მოლა ალი მოვიდნენ, დაგვემშვიდობნენ და უკან გაბრუნდნენ. კონსულს ერთი ცალი ქაშმირის შალი ვაჩუქე.

გზას გავუდექით. ზღვა სრულიად წყნარი იყო. საღამოხანს სავახშმოდ დაგვიძახეს. მიუხედავად იმისა, რომ მადა არ გვქონდა, წავედით. საჭმელიც კარგი იყო და მომსახურებაც. ეკიპაჟის წევრები და მოსამსახურეები იტალიურად ლაპარაკობდნენ. მაგიდასთან ვესაუბრეთ კაპიტანს, რომელმაც ცოტა-ოდენი ფრანგული იცოდა. ვახშმის მერე ცოტა ხანი იმავე *სალონში* დავსხედით და მერე დასაძინებლად წავედით. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა...

უკანა გზა

[ბათუმი]

[1317 (1899) წლის 25 რაბი ალ-ავალი (3 აგვისტო), ხუთშაბათი:

რაბი ალ-ავალის თვის ოცდახუთში ხუთშაბათს გამთენიისას ბათუმის ნავსადგურში შევედით. ირიყრაჟა. გემბანზე საბაჟოს სანიტარული სამსახურის მოხელეები და მუშები ამოვიდნენ. პეტერბურგში ირანის ელჩ არფა' ად-დოულესადმი გაგზავნილი ჩემი ტელეგრამის პასუხიდან დანამდვილებით ვიცოდი, რომ აქაურ საბაჟოში ჩვენი ბარგის დაუბრკოლებლად გატარების მითითება იყო ჩამოსული. მაგრამ დიდი მოწიწებით მოგვახსენეს, რომ არანაირი ბრძანება ნანახი არ ჰქონდათ.

ერთი კაცი გავაგზავნე, რომ კონსულ მირზა აბდ ალ-ქერიმ ხანისთვის შეეტყობინებინა. ცოტა ხანში კონსული *დროშკით* ნაპირთან მოვიდა და გემზე ამოვიდა. ერთმანეთის ნახვა ძალიან გაგვიხარდა. მე ბარგზე მოვუყევი და პეტერბურგის საელჩოდან მიღებული წერილი ვაჩვენე. წავიდა და საბაჟოს თანამშრომლებს დაელაპარაკა. სხვა გზა რომ ვერ იპოვეს, იმაზე შეთანხმდნენ, რომ ჩვენი ბარგისთვის *თაჰჯირი*[560] გაეკეთებინათ. ბარგიდან პირველადი საჭიროების ნივთები ამოვიღეთ და პეტერბურგში კიდევ ერთი ტელეგრამა გავაგზავნეთ, რომ ბარგის დაუბრკოლებლად გატარების ხელმეორე ბრძანება გამოეგზავნათ. გემიდან ჩავედით და წავედით *ჰოტელ* „იმპერიალში", რომელშიც ადრეც ვცხოვრობდით.

უკანა გზაზე, მას შემდეგ, რაც დიდი ქალაქები ვნახე, ბათუმი და *ჰოტელი* „იმპერიალი" საკმაოდ უბადრუკი მეჩვენა.

თვალებს ძლივს ვახელდი. ერთი პოეტის ცნობილი ყასიდის სიტყვებით რომ ვთქვა, „რა სჭირს შენს თვალებს, ასე ცრემლად რომ იღვრებიან". ავადმყოფმა თვალებმა ისევ მიმტყუნეს. შავი დაბინდული სათვალე გავიკეთე. *ჰოტელის* მსახური, რომელიც რამდენიმე თვის წინ გავიცანი, დიდი პატივით შემხვდა და მომიტანა რუსული ჩაი, რომელსაც სინამდვილეში ჩაისთან საერთო არაფერი ჰქონდა. ოთახში ძალიან ცხელოდა, ამიტომ დავსხედით ოთახის წინ *ბალკონზე,* რომელიც ქუჩას გადაჰყურებდა.

დღეს ბათუმში ზეიმია. ქუჩები ნაირფერი დროშებით არის მორთული და დუქნები დაკეტილია. სადილის დროს სასადილოში წავედით და საჭმელი შევუკვეთეთ. ჩემი მზარეული ჰაჯ მირზა ყოლამ ჰოსეინი ისევ შეუდგა საქმეს, მაგრამ ამჯერად იმ უხეირო და დამტვრეული არაბულის ნაცვლად, რომელზეც ეგვიპტელ მზარეულს ჰაჯ ჰასანს ელაპარაკებოდა, რუსულად ამეტყველდა და როცა ოფიციანტებს მისი არ ესმოდათ, ბრაზობდა.

ერთი საცოდავი ინგლისელი მოგზაური, მაღალი და ლამაზი ახალგაზრდა კაცი, ოფიციანტებთან დალაპარაკებას რუსულ-ინგლისური ლექსიკონის საშუალებით ცდილობდა. ძალიან სასაცილო ხმებს გამოსცემდა და მართლა საოცარი

---

560 ისლამურ სამართალში თაჰჯირი გულისხმობს რისამე შემოღობვას, რაც საკუთრების უფლების გამოცხადების აქტია.

სანახავი იყო. მიუხედავად ბევრი წვალებისა, მსახურებს ვერაფერი გააგებინა. დასახმარებლად მირზა ყოლამ ჰოსეინი გავუგზავნე. გამოელაპარაკა, გაიგო, რა უნდოდა და მისი სურვილი ოფიციანტებს გადასცა.

საღამოს, მიუხედავად თვალების ტკივილისა, ჰაჯ მოლა ბაშისთან და მო'ინ ალ-მოლქთან ერთად ცოტა ხანი ბაღში გავისეირნე. მეეტლემ, რომელმაც ცოტა თურქული იცოდა, ბულვარში წაყვანა შემოგვთავაზა. მისი თქმით, დღეს იქ ხალხი იკრიბებოდა. ქუჩებსა და ზღვის სანაპიროზე ერთი საათი გვატარა. ძალიან დავიღალეთ. რადგან დაპირებულ ადგილამდე ჯერ კიდევ შორს იყო, ვთხოვე, *ჰოტელში* დაბრუნებულიყო. მიუხედავად ნესტისა, არ ცხელოდა და სასიამოვნო ამინდი იდგა.

დაღამებიდან საათნახევრის შემდეგ რკინიგზის სადგურზე გავედით და მატარებელში ჩავსხედით. ირანელმა *სეიდებმა*, *ყარიბებმა* და მათხოვრებმა ძალიან შეგვაწუხეს.

[თბილისი]

26 რაბი ალ-ავალი (4 აგვისტო), პარასკევი:

რაბი ალ-ავალის თვის 26, პარასკევი დილა გათენდა და ქალაქ თბილისის შემოგარენი გამოჩნდა. გადავწყვიტე, აქ რამდენიმე დღე დავრჩენილიყავი, რომ თვალებისთვის მემკურნალა და საბოლოოდ გამოვჯანმრთელებულიყავი. ორი საათის გათენებული იყო, თბილისში რომ შევედით. სადგურზე მობაშერ ად-დოულე, მირზა აბას ხანის ძმა ჰოსეინ ხანი, ვაჭრები და საკონსულოს თანამშრომლები დაგვხვდნენ. მობაშერ ად-დოულეს დანახვა ძალიან გამიხარდა. ვთხოვე, ქალაქის საუკეთესო *ჰოტელში* წავეყვანეთ, რომ რამდენიმე დღე კომფორტულად გაგვეტარებინა.

ჰაჯ სეიდ ჯალილის ვაჟი ჰასან აყა და აყა ალი აქბარი რაშთიდან ჩამოსულიყვნენ. *დროშკით* დიდხანს ვიარეთ და მივედით სასტუმრო „ორიანტში"[561] (Aryāntāl), რომელიც ერთ განიერ პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ მდებარეობს. შიგნით შევედით. დიდებული სასტუმრო იყო და მშვენიერი, კეთილმოწყობილი ოთახები ჰქონდა. ნომერში შევედით და სასტუმრო ოთახში დავსხედით. მეგობრებთან შეხვედრით ძალიან გახარებული ვიყავი და მათ დიდი მადლობა გადავუხადე.

მობაშერ ად-დოულე თბილისში რამდენიმე დღის წინ ჩამოსულიყო და ჩვენ გველოდებოდა. მან თეირანიდან ჩამოტანილი წერილები გადმომცა.

„წერილს ბეჭედი მოვხსენი,
თითქოს ვარდისწყლის ფლაკონის სახურავი იყო"[562].

---

561 სასტუმრო „ორიანტი" (Hôtel d'Orient) ფუნქციონირებდა 1895 წლიდან დღევანდელი რუსთაველის პროსპექტის №9-ში. საბჭოთა წლებში მასში სასტუმრო „ინტურისტი", ხოლო 1977 წლიდან მხატვრის სახლი გაიხსნა. 1991 წელს სამოქალაქო ომის დროს შენობა მთლიანად განადგურდა (დ. ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები*, 60-64).

562 დიდი ირანელი პოეტის საადის ლექსის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტია. ორიგინალშია: „თითქოს ვარდისწყლის ფლაკონის სახურავიაო".



თბილისი, სასტუმრო „ორიანტი". დ. ერმაკოვის ფოტოსურათი, 1900-იანი წლები.

მატყობინებდნენ, რომ მუხანათობა, ძალადობა და ანარქია თეირანში ჩემს ქონებას არ შეეხო. მოჰთარამ ად-დოულემ იყოჩაღა და ჩემი რეპუტაციისა და ღირსების დასაცავად როგორც მემკვიდრეობით მიღებული, ისე ნაჩუქარი ქონება, მათ შორის საბაყლო ბაზარი *მაგაზინებითა* და ფრანგული საქონლით, მის უდიდებულესობა დედოფალს მიჰყიდა და ჩემი ვალები, რომლებიც სიკეთის კეთებითა და ერთგული ქვეშევრდომობით დავაგროვე, გადაიხადა. ასე რომ, რა დამრჩა: საზაფხულო და ზამთრის მამულები – გავერანებული, ხელფასი – გადავადებული და დაკარგული, ძალადობა და განუკითხაობა – უსაზღვრო.

წერილების კითხვისგან და, განსაკუთრებით, იმ განსაცდელის წარმოდგენისგან, რომელიც მოჰთარამ ად-დოულეს ბედის უკუღმართობით შეხვდა, მწარედ ავტირდი. გარშემომყოფებს კი თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ცრემლების მიზეზი თვალების ტკივილი იყო.

ყველაზე მეტად გამაკვირვა რუსეთის საელჩოს მიერ ჩემი მიწების ხელყოფამ, რაც, თურმე, თავად საელჩოს განკარგულება იყო. მთელ ამ კორესპონდენციაში მხოლოდ მო'ინ ალ-მოლქის ვაჟის ჰოსეინის ტელეგრამამ გამახარა. მისმა გზავნილმა ჩემზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა: მანუგეშა და ნეტარება მომგვარა. მაგრამ გამიკვირდა, რომ, არსებული ვითარების გათვალისწინებით, თეირანის დატოვებასა და ემიგრაციაზე არაფერს მწერდა. უფლისწულმა მო'ეზ ად-დოულემ დეტალურად ამიწერა, ვალი რა განრიგითა და თანმიმდევრობით დაიფარა და შემატყობინა, რომ რადგან მე წმინდა საფლავების მოსალოცად ვიყავი წასული, ამიტომ 5000 თუმანი ჰაჯ აბდ ალ-ჰადის გადაუგზავნეს.

ერთი სიტყვით, ის დღე დარდსა და წუხილში გავატარე. წამლებმა, რომლებსაც კუჭის აშლილობის წინააღმდეგ ვიღებდი, შარდსადინარი და შარდის

ბუშტი გამილიზიანა და მოშარდვის მერე ქავილს ვგრძნობდი. თან თვალებიც სამკურნალო მქონდა.

მირზა თაყი ხანი, რომელიც დიდი ხანია კავკასიაში ცხოვრობს და ახლა ირანის საკონსულოში მუშაობს, ჩემთან მოვიდა. მას ვუთხარი:

– მინდა ექიმი მოვიწვიო, მაგრამ ის მკურნალობის ნებართვას მომთხოვს.

მიპასუხა:

– გამოვიძახებ და ხვალ დილით მოვა.

ამ სეზონზე თბილისში ძალიან ცხელა და მოსახლეობის უმეტესობა აგარაკებზე და მინერალურ წყლებზეა წასული. გადავწყვიტე, თუ ექიმი ნებას დამრთავდა, ჩემი თანამგზავრები თეირანში გამეშვა, თავად კი ცოტა ხნით კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ წავსულიყავი.

ღამით თვალები საშინლად ამტკივდა და მთელი ღამე ვერ მოვისვენე.

27 რაბი ალ-ავალი (5 აგვისტო), შაბათი:

დილით ადრე ავდექი, *ნამაზი* შევასრულე და დიდი წვალებით ყურანი წავიკითხე. ჩაითა და პურით ვისაუზმე. ჩემი თანამგზავრები და ნაცნობები მოვიდნენ. ზოგიერთ მათგანს ირანში გამგზავრება ვუბრძანე, რამდენიმე კაცს კი დარჩენის ნება მივეცი. მაჯდ ალ-მოლქი, ჰაჯ მოლა ბაში, ჰაჯ მირზა ფათჰალი, ჰაჯ მირზა ყოლამ ჰოსეინი და ერთი თეირანელი ბიჭი, რომელიც ტრაბზონში დაგვემგზავრა, გავუშვი, მაგრამ ჯერჯერობით თავიანთ ბარგს ელოდებიან, რომელიც ბათუმიდან უნდა ჩამოვიდეს. ჰაჯ მეჰდი ყოლი მირზა ბათუმში დარჩა და საბაჟოდან ბარგის გამოტანას ელოდება.

ერთ საათში მირზა თაყი ხანმა ექიმი მოიყვანა. ახალგაზრდა კაცი იყო და რუსულის გარდა არც ერთი ენა არ იცოდა, მაგრამ მირზა თაყი ხანი მის პროფესიონალიზმზე ძალიან მაღალი აზრის იყო. თარჯიმნის დახმარებით ჩემი მდგომარეობა გავაცანი. მითხრა: „ორგანული არაფერი გჭირთ და გირჩევთ, თვალის ექიმს მიმართოთ. რაც შეეხება შარდის ბუშტთან დაკავშირებულ პრობლემებს, შარდი გამომიგზავნეთ, ანალიზს ჩავუტარებ, მიზეზს დავადგენ და წამალს დაგინიშნავთ“.

წავიდა თუ არა, სასწრაფოდ თვალის ექიმი მოვიკითხე. მირზა აბას ხანის ძმამ ჰოსეინ ხანმა, რომელიც დიდი ხანია აქ თვალის ანთებას მკურნალობს და მტკივან თვალებს დიდი შავი სათვალით იფარავს, ძალიან მიქო ექიმი ტარსაიძე[563] (Tarsā'īch), რომელიც თბილისში ერთადერთი თვალის ექიმია და, თურმე, სასწაულებს ახდენს. ცოტა ხანში მოვიდნენ ექიმი ტარსაიძე და კიდევ ერთი კაცი, რომელსაც სამედიცინო იარაღების ჩანთა და წამლების ყუთი ეჭირა. ექიმმა ფრანგული კარგად იცოდა. მან თვალები გამისინჯა, ავადმყოფობის ხანგრძლივობა და ნიშნები გამომკითხა და მითხრა: „თქვენი თვალების დაავადება ორგანული არ არის, ფიზიოლოგიურია“. წამალი ჩამაწვეთა და დამპირდა: „ანთება რომ მოგირჩებათ, თქვენს სათვალეს შევამოწმებ. ხანდახან ისე ხდება,

---

563 ლაპარაკია ცნობილ ქართველ ექიმზე გიორგი ტარსაიძეზე (1857-1904), რომელიც ამინ ად-დოულეს თბილისში ყოფნის დროს აქ თვალის სნეულებათა საავადმყოფოს ხელმძღვანელობდა.

რომ თვალის ნომერსა და სათვალეს შორის შეუსაბამობაა, რაც თვალის ანთებას იწვევს". გამომშვიდობებისას მითხრა: „სახლში და კლინიკაში უფრო მეტი აპარატურა მაქვს. წამალი სპეციალური ხელსაწყოთი უნდა ჩაგაწვეთოთ. თუ დღეს ნაშუადღევს მობრძანდებით, საქმეს გამიიოლებთ". ვუპასუხე: „საწინააღმდეგო არაფერი მაქვს".

დათქმულ დროს ექიმთან წავედი. თვალებში ლაპისის ხსნარი ჩამაწვეთა და ძალიან ამეწვა.

დღეს უკეთ ვარ. გუშინ დილით მოსულმა ექიმმა შარდის ანალიზი გამიკეთა, მაგრამ ვერავითარი დარღვევა ვერ აღმოაჩინა და დარწმუნებით მითხრა, რომ ორგანული არაფერი მჭირდა.

საღამოხანს ცოტა ფეხით გავისეირნე. ჰაჯ მეჰდი ყოლი მირზამ პეტერბურგიდან ხელმეორედ გამოგზავნილი ტელეგრამის ძალით როგორც იქნა ბათუმის საბაჟოდან ბარგი გამოიტანა და მატარებლით პირდაპირ ბაქოში გააგზავნა, თვითონ კი თბილისში ჩამოვიდა. საღამოს სასადილოში არ წავედი და დიეტური საჭმლით დავკმაყოფილდი.

28 რაბი ალ-ავალი (6 აგვისტო), კვირა:

ღამით ამინდი ცოტა გაფუჭდა, ხანმოკლე წვიმა წამოვიდა და აგრილდა. დილით კავკასიის მთებში მოთოვა და მთის მწვერვალები თეთრად გადაიპენტა. ექიმ ტარსაიძეს ქალაქიდან საქმეებზე მოუწია წასვლა, ამიტომ ჩემთან მისი ასისტენტი მოვიდა და თვალები ლაპისის ხსნარით გამიწმინდა. სინითლემ, ცრემლდენამ და ტკივილმა მიმატა და გარეთ ვერ გავედი.

მაჯდ ალ-მოლქი, ჰაჯ მოლა ბაში და მსახურები გამგზავრების სამზადისში იყვნენ. ტარსაიძის ასისტენტს ბანაობის ნებართვა ვთხოვე. მითხრა: „თუ ორთქლს მოერიდებით და გრილი წყლით დაიბანთ, არ გავნებთ".

მობაშერ ად-დოულემ ძალიან მიქო *დული*, რომელიც ჰასან აყას სახლში გასინჯა. ვიფიქრე, იქნებ ჩემს კუჭს მოუხდეს-მეთქი. მომიტანეს და ვახშმად ორი ჭიქა მივირთვი. თბილისში მართლაც რომ მშვენიერი რძის პროდუქტებია. იმ ღამეს მშვიდად დავიძინე.

29 რაბი ალ-ავალი (7 აგვისტო), ორშაბათი:

ოცდაცხრაში, ორშაბათს ცივმა ქარმა დაუბერა და ამინდი მკვეთრად შეიცვალა. დილით აბანოში წავედი და მეგზურად და თარჯიმნად მირზა ბარსოყი წავიყვანე. აბანოს ნომერში ციოდა და ორთქლიც არ იყო. მე წინდახედულება გამოვიჩინე და თავრიზელ დალაქს, რომელიც მემსახურებოდა, ვთხოვე, რომ ცივი წყლის ონკანი დაეკეტა. ნაჩქარევად ვიბანავე და გარეთ გამოვედი. ჩემთვის მომზადებული თხელი თეთრეული, შარვალი და ტილოს ჟილეტი ჩავიცვი და *ჰოტელში* დავბრუნდი. ვფიქრობდი, ახლა კი უეჭველად გავცივდები-მეთქი.

ტარსაიძის შეგირდმა თვალებში წამალი ჩამაწვეთა. წინა დღეებთან შედარებით თავს უკეთ ვგრძნობდი, ამიტომ *ჰოტელის* სასადილოში ჩავედი და მაჯდ ალ-მოლქთან, მო'ინ ალ-მოლქთან და მობაშერ ად-დოულესთან ერთად ვისადილე, მაგრამ დიეტა არ დამირღვევია.

საღამოს გარეთ გავედით და რადგან *დროშკა* და საქირავებელი ეტლი ვერ ვიპოვეთ, ფეხით გავისეირნეთ. ამინდი შეიცვალა. ცოტა ხანი *ჰოტელის* ახლოს საზოგადო ბაღში დავსხედით და წვიმის გადაღებამდე დრო ფუჭად რომ არ დაგვეკარგა, *ლიმონათი* მოვითხოვეთ. მცირე დასვენების შემდეგ *ჰოტელში* დავბრუნდით და საღამო მხიარულად გავატარეთ.

ჰასან აყამ *ჩელოუ ქაბაბი* გამომიგზავნა, რომელიც *დულთან* ერთად შევჭამე.

30 რაბი ალ-ავალი (8 აგვისტო), სამშაბათი:

რაბი ალ-ავალის თვის ოცდაათში სამშაბათს ვიგრძენი, რომ ვციოდებოდი. თვალები ისევ მტკიოდა. ტარსაიძე მოვიდა და ლაპისის ხსნარით გამიწმინდა. თავს შეუძლოდ ვგრძნობდი და შარდვა მიჭირდა.

ვთხოვე, ექიმი, რომელმაც სამი დღის წინ მინახულა, ისევ მოეყვანათ, მაგრამ აგარაკზე აღმოჩნდა წასული. მირზა ბარსოყ ხანმა მოიყვანა სხვა ექიმი, რომელიც ნახჭევანელი სომეხი იყო. ფრანგულად და თურქულად ლაპარაკობდა, ამიტომ თარჯიმანი აღარ დამჭირდა. გამსინჯა, ჩემი [ავადმყოფობის] ისტორია მოისმინა და მითხრა: „შარდის ანალიზი უნდა გაიკეთოთ. თუ თირკმლები გაწუხებთ, გამოჩნდება და წამალს შეგირჩევთ". ვუთხარი: „ეს ყველაფერი ორი დღის წინ უკვე გავიკეთე, მაგრამ არაფერი მეშველა". თქვა: „დროს ნუ დაკარგავთ. სანამ ანალიზს მე თვითონ არ შევამოწმებ, [სხვის] დიაგნოზს ვერ დავუჯერებ. ხვალ დილით შარდი გამომიგზავნეთ, გულდასმით გამოვიკვლევ და დაავადებას დავადგენ".

შევჩივლე, რომ მუხლებში სიმძიმესა და ტკივილს ვგრძნობდი. მითხრა, გაციების ბრალიაო.

დღეს მის აღმატებულება ჰაჯ მოლა ბაშის დავემშვიდობე და მგზავრობის განრიგი და მატარებლისა და გემის ფული მივეცი. ლირების დასტა, რომელიც დიდებულ მექაში მომცეს, მას ისევ ისე დალუქული გადავეცი. განშორებისას თვითონაც იტირა და მეც გული ამიჩუყა.

ძნელია შეჩვეულ ადამიანებთან განშორება.

ის თეირანელი ახალგაზრდა, რომელიც ტრაბზონში დაგვემგზავრა, ჰაჯ მოლა ბაშის გავაყოლე. თან მას გზაში მოემსახურება და თან თეირანში ჩავა და გულის წადილს აისრულებს: დასა და დედას ნახავს.

საღამოს ცუდად ვიყავი და ოთახიდან ფეხი არ გამიდგამს. მარტომ ვივახშმე და ადრე დავიძინე. მიუხედავად მოღრუბლულობისა, ცხელოდა და ჩრდილოეთით გამავალი ფანჯარა ღია დავტოვე. ერთი საათი მწარე ფიქრებში გავატარე და მერე დამეძინა.

ცოტა ხანში ოთახში რაღაც არეულობა ვიგრძენი და თვალი გავახილე. დავინახე, რომ საწოლის თავთან პატარა მაგიდაზე მდგარი სანთელი ქარისგან ძლიერად ჩამოღვენთილიყო და ჩამქრალიყო. ქარმა საწოლის მოპირდაპირე ფანჯრის ფარდა გადასწია და წვიმის წვეთები თავზე და სახეზე მეცემოდა. ღამის პერანგის ამარა წამოვდექი, რომ ფანჯარა დამეკეტა. დამავიწყდა, რომ ფანჯარას შუაში რაზა ჰქონდა და იმით იკეტებოდა. ხუთი-ექვსი წუთი ვიწვალე, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე. ამასობაში წვიმამ მთელი ტანსაცმელი დამისველა. ბო-

ლოს მივხვდი, რომ რაზა უნდა გადამეწია. ფანჯარა ჩავკეტე და შვებით ამოვისუნთქე. საწოლში სველი პერანგით ჩავწექი და დილამდე ვერ მოვისვენე.

1 რაბი ას-სანი (9 აგვისტო), ოთხშაბათი:

დღეს რაბი ას-სანის თვის პირველი რიცხვი და ოთხშაბათი დღეა. გამთენიისას დილის რელიგიური ვალდებულებების შესასრულებლად ლოგინიდან წამოვდექი. ორივე მუხლი ისე მტკიოდა, რომ ძლივს დავდიოდი. თავდაპირველად ექიმის მოთხოვნა შევასრულე და ხელმეორე გამოკვლევისთვის შარდი გავამზადე. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ შარდის ბუშტი წესრიგში არ მქონდა და მკურნალობა და წამლები აუცილებელი იყო. ხელ-პირი დავიბანე და ნამაზი შევასრულე, მაგრამ დაჯდომა ისე მიჭირდა, თითქოს ფეხები მოტეხილი ან ნაიარევი მქონდა.

დღეს მაჯდ ალ-მოლქი მიემგზავრება და მას მსახურებიც მიჰყვებიან. *ნამაზის* შემდეგ ჰაჯ ფათჰალი მოვიდა და მესაუბრა მოგზაურობის ხარჯებზე, უსახსრობაზე და იმაზე, რომ მგზავრობის გასაგრძელებლად ფული აღარ ჰქონდა. ძალიან გავლიზიანდი და, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, უხეშად დაველაპარაკე.

სრულიად დაუძლურებული ავდექი და მისაღებ ოთახში გავედი. მაჯდ ალ-მოლქი, მო'ინ ალ-მოლქი და მობაშერ ად-დოულე მოვიდნენ. მაჯდ ალ-მოლქს დავემშვიდობე და დავპირდი, რომ მათ ბაქოში ან გილანში შევუერთდებოდი. გადაწყვეტილი მქონდა, თუ თვალები მომირჩებოდა, თბილისში აღარ გავჩერებულიყავი. მითუმეტეს, რომ ექიმი დაჟინებით მირჩევდა, პიატიგორსკის (Patī Gors) ან ბორჯომის (Barzhom) მინერალური წყლების დასალევად წავსულიყავი და რამდენიმე კვირა იქ მემკურნალა. ყოველ შემთხვევაში, თბილისის დატოვება ძალიან მინდოდა და ვცდილობდი, რაც შეიძლება სწრაფად გავმგზავრებულიყავი, მაგრამ მუხლები ისე მტკიოდა, რომ ძლივს ვმოძრაობდი.

ჩემი თანამგზავრები სადილად წავიდნენ, მე კი, ჩვეულებისამებრ, ცოტა საჭმელი ოთახში მომიტანეს. შევჭამე, თუმცა ძალიან ცუდად ვიყავი.

ნაშუადღევს მეორე ექიმი, სახელად ნავასარდიანი (Nāvāsārdīyān)[564] მოვიდა, შარდის ანალიზის პასუხი მოიტანა და მითხრა: „შიგ მავნე მიკრობები არ აღმოჩნდა, ამიტომ ავადმყოფობის მიზეზი არც თირკმლები და არც შარდის ბუშტი არ არის". ვუთხარი: „მუხლები მტკივა და შარდვა მიჭირს". მიპასუხა: „ორივე გაციების ბრალია და იოლი სამკურნალოა".

რეცეპტი დამიწერა. მომიტანეს წამალი, რომელიც ღამე საწოლში მუხლებზე წავისვი. სიმხურვალე ვიგრძენი.

ის დღე და ღამე ავადმყოფობაში გავატარე. თვალის ექიმმაც მინახულა, წამალი ჩამაწვეთა და რადგან თავს უკეთ ვგრძნობდი, სამგზავროდ წამლების სია ჩამომიწერა და შემპირდა, რომ სათვალესაც შემიმოწმებდა. კავკასიის მინერალურ წყლებზე ჩემი გამგზავრების წინააღმდეგი არც ექიმი ნავასარდიანი იყო და გადავწყვიტე, რომ ბორჯომში წავსულიყავი.

---

564 იგულისხმება ცნობილი თბილისელი ექიმი ბაგრატ ნავასარდიანი (1852-1934). 1888 წელს მან თბილისში პირველი კერძო კლინიკა გახსნა.

ისაა ალაჰი, მაღალიმც არს იგი. დიდი ხანია, რაც არაფერი დამიწერია და ის, რომ ახლა წერას ვაგრძელებ, ჭეშმარიტად, ჩემს ამქვეყნად დაბრუნებაზე და მეორე სიცოცხლის დაწყებაზე მიანიშნებს. [ეს ჩანაწერებიც] წინა დღიურივით უინტერესო, უსარგებლო და არაფრისმთქმელი იქნება, მაგრამ ღვთის შეწევნითა და თხრობის სიმოკლის წყალობით არც არავის ავნებს.

[16 რაბი ას-სანი (24 აგვისტო), ხუთშაბათი:

ხუთშაბათ საღამოს მაჯდ ალ-მოლქი მშვიდობიანად გაემგზავრა. რამდენი არ ვეცადე, თავი მეიძულებინა, რომ რამდენიმე სიტყვა დამეწერა და მისთვის და მსახურებისთვის თეირანში გამეტანებინა, ვერ შევძელი. იმ დღემ დარდსა და ავადმყოფობაში გაიარა. ექიმის დანიშნული აყროლებული წამლის წასმის შემდეგ ფეხის ტკივილმა ცოტა მიკლო, მაგრამ ზოგადად ცუდად ვიყავი და სახლიდან ვერ გავდიოდი. ნაშუადღევს უარესად გავხდი. თირკმლების ტკივილმა, ამ ჩემმა ძველმა მეგობარმა, თავი შემახსენა. მო'ინ ალ-მოლქმა ექიმი ნავასარდიანი გამოიძახა. ექიმს გულის, ზურგის და წელის არეში ტკივილზე მოვუყევი და ვუთხარი, რომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც წელიწადში რამდენჯერმე ეს სენი მიტევდა. მითხრა: „თუ დავუჯერებთ შარდის ანალიზს, თბილისის ყველაზე ცნობილი ექიმის მოსაზრებას და თავად ჩემს დაკვირვებას, თირკმლებში არაფერი გჭირთ. მაგრამ რადგან დიაგნოზს ვერ ვსვამთ, მითხარით, უწინ რას აკეთებდით და რა გშველოდათ და ისევ ის მკურნალობა ვცადოთ".

ვუპასუხე: „ზურგისა და წელის გახურება ტკივილს მიმსუბუქებდა. სისხლის დეზინფექციისთვის წურბელებს მასხამდნენ და ლითიუმი, ქაფური და მორფიც მიხდებოდა".

მითხრა: „არაფერი მესმის. თუ თქვენი წამალი იცოდით, რატომ თავიდანვე არ იხმარეთ?"

მო'ინ ალ-მოლქმა შემდგომი კამათი უსარგებლოდ ჩათვალა და წურბელების მოსატანად კაცი გაგზავნა. წელზე დამასხეს, მაგრამ არა თუ არ მიშველა, ნახევარ საათში კიდევ უფრო აუტანელი ტკივილები დამეწყო. მაჯისცემა შემინელდა და სიკვდილის მოახლოება ვიგრძენი.

ექიმმა მითხრა: „მიზეზი შარდის შეკავებაა და ერთადერთი გამოსავალი კათეტერის ჩადგმაა".

ამ სიტყვებმა ტკივილზე მეტად შემაშინა. ვუთხარი: „კათეტერს ისევ ტანჯვით სიკვდილი მირჩევნია".

ერთი სიტყვით, ტკივილებისგან გონება დავკარგე. უგრძნობ მდგომარეობაში ექიმმა კათეტერი დამიყენა და უამრავი შარდი გამომიღო. თითქოს ცეცხლზე წყალი დაასხესო, ტკივილმა გამიარა და თვალი გავახილე. ექიმმა მითხრა: „დაავადება შარდის ბუშტშია და არა თირკმლებში, ხვალ სხვა ექიმებსაც მოვიწვევ, რათა ავადმყოფობის მიზეზი დავადგინოთ და მკურნალობა დაგინიშნოთ".

მეორე დღეს ექიმები შეიკრიბნენ, კონსილიუმი გამართეს და ექიმ ნავასარდიანის დიაგნოზი დაადასტურეს. მათ შორის იყო ერთი სამხედრო ექიმი, რომელმაც ეჭვი გამოთქვა, შარდის ბუშტში კენჭი ხომ არ არისო? ლითონის

მილი ყურადღებით დაათვალიერა და თქვა: „ჩემი აზრით, დამატებითი ფაქტორი სიმსივნეც უნდა იყოს". მოკლედ, ექიმებმა მთელი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მოიხმეს და ერთხმად დაასკვნეს, რომ პროსტატის კიბო მჭირდა.

ტკივილმა იმატა და დაავადება სათაკილო [აღმოჩნდა].

მე, ვინც მთელი ცხოვრება ხალხს სხეულს ვუმალავდი, ექიმების წინაშე უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. ყოველი მხრიდან გამომიკვლიეს და რაც უფრო მეტ წამლებს მაძლევდნენ და მბანდნენ, მით მეტად ვიტანჯებოდი და სისუსტე და უძლურებაც მემატებოდა.

მო'ინ ალ-მოლქმა ჩემი საწოლი გაატანინა თავის ოთახში, რომელიც უფრო ფართო იყო და რადგან აღმოსავლეთით იყურებოდა, შუადღის მზე არ ხვდებოდა. ორმოცი დღე ამ ოთახში საწოლზე მიჯაჭვულმა გავატარე. რამდენჯერმე ავადმყოფობა გამიმწვავდა და ექიმების მოყვანა და კონსილიუმი დამჭირდა. მაგიდაზე დალაგებული წამლების შუშებისგან ჩემი ოთახი უცნაურად გამოიყურებოდა. მადა სულ დავკარგე და ძილი რა იყო, არც კი მახსოვდა. საადის ცნობილი სიტყვებით რომ ვთქვა, ადრე ჩემი ენა „ხელოვნების საგანძურის გასაღები იყო", ახლა კი იმედი დავკარგე, რომ ოდესმე ისევ დამირბილდებოდა და ლაპარაკს შევძლებდი. მე, საწყალს, მო'ინ ალ-მოლქი მივლიდა და მზრუნველობასა და ყურადღებას არ მაკლებდა.

უძილო ღამეების განმავლობაში ჩემს საწოლთან ჰაჯ მეჰდი ყოლი მირზა და ჰაჯ მირზა შაფი მორიგეობდნენ და მართობდნენ. ამ ორმა ახალგაზრდამ ჩემი გულისთვის იმდენი წვალება გამოიარა, რომ სანამ ცოცხალი ვარ, არ დავივიწყებ.

რამდენიმე დღე კრიტიკულ მდგომარეობაში ვიყავი. ჩემმა მკურნალმა ექიმმა იმედი დაკარგა და სასოწარკვეთილმა მო'ინ ალ-მოლქი და მობაშერ ად-დოულე გამოიძახა. მო'ინ ალ-მოლქი საშინლად ღელავდა, მთელი ღამე საათში ერთხელ მაკითხავდა და რამდენიმე ღამე ჩემს საწოლთან გაატარა. სააქაოსთან ჩემი დამაკავშირებელი ჯაჭვი რაც უფრო სუსტდებოდა, თავს მით უფრო მსუბუქად და კარგად ვგრძნობდი, თითქოს უზარმაზარი ტვირთი მეხსნებაო. საკუთარ სხეულს გაორებულად აღვიქვამდი: თან ჩემი დაავადებული სხეულის მომვლელი თავად ვიყავი და თან საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, თუ შემცვლელს ვიპოვიდი. როცა ცოტა გონზე მოვდიოდი, ტკივილი მიახლდებოდა და ვკვნესოდი.

გრძელი ღამეების დროს საშინლად მტანჯავდა უძილობა, ჰაჯ მეჰდი ყოლი მირზას და ჰაჯ მირზა შაფის თავგანწირული სამსახური და სირცხვილი ჩემი გაჭიანურებული ავადმყოფობის გამო, რომელიც ყველას აყოვნებდა და აწუხებდა. გამომშრალი ენით, რომელსაც ძლივს ვამოძრავებდი, ყოვლისშემწყნარებელ ღმერთს ცოდვების პატიებასა და შენდობას ვთხოვდი. სიკვდილის არ მეშინოდა, მაგრამ არ მინდოდა, რომ თბილისში შეიხ სანაანის მეზობლად დავმარხულიყავი[565].

ექიმების ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა და მკურნალობამ არ მიშველა. ჩემს ექიმებსა და მომვლელებში უიმედობამ დაისადგურა. მიუხედავად იმისა,

---

[565] თბილისელი მუსლიმების ინფორმაციით, შეიხ სანაანი მამადავითის ეკლესიის ეზოში იყო დაკრძალული. იხ. შენიშვნა 50.

რომ მე საწყალი უკვე აგონიაში ვიყავი, ექიმი თავს არ მანებებდა. დაუძლურებული და გატანჯული ვემუდარებოდი, ტყუილად ნუ მაწვალებთ-მეთქი, მაგრამ ყურს არ მიგდებდა, სანამ მაღალი ღმერთის ნებითა და წყალობით გამოჯანმრთელების თამასუქი ზეციური სამკურნალოდან არ მივიღე. პირველ რიგში დიდი ხნის დავიწყებული ძილი დამიბრუნდა. მომენტალურად დავმშვიდდი და ისე მომშივდა, რომ ერთი ყლუპი ცივი რძეც კი დავლიე. ექიმმა ნავასარდიანმა მითხრა:

– მამაჩემს ირანელების ძალიან სჯეროდა და სპარსული ენაც უყვარდა. ბავშვობაში სპარსულს მასწავლიდა და ჰაფეზისა[566] და საადის[567] წიგნებს მაკითხებდა. შეიხის „გოლესთანს"[568] კარგად ვიცნობ და ახლა გამახსენდა მისი პროლოგის ეს სიტყვები, რომლებიც თქვენს მდგომარეობას ზუსტად ესადაგება: „მადლობა ღმერთს, დიდებულსა და ყოვლისშემძლეს". მართლაც, მხოლოდ მაღალ ღმერთს შესწევდა ძალა, რომ თქვენი სიკვდილის ჟამი გადაეწია.

მაგრამ ეს შვება ჯერ კიდევ სიცოცხლეს არ ნიშნავდა, რადგან იმდენად ძალაგამოცლილი და დასუსტებული ვიყავი, რომ საწოლშიც კი ვერ ვტრიალდებოდი. ვერაფერს ვჭამდი, ვინაიდან არც მადა მქონდა და არც მონელების ძალა. მოკლედ, მხოლოდ ჩემი ბებერი და დაშლილი ძვლები ცოცხლობდნენ. დიდი წვალებით შევეცადე, რომ წიგნი ან დღიური წამეკითხა, მაგრამ არც ხელი მიმუშავებდა და არც თვალი. როცა მარტო ვრჩებოდი, სევდა მერეოდა, მაგრამ არც ვინმეს მოსვლა მსიამოვნებდა, რადგან ლაპარაკის თავი არ მქონდა. ხანდახან მობაშერ ად-დოულე დიდებული შეიხის – ღმერთმა გაანათლოს – *ქოლიათიდან*[569] და მოულანას – ღმერთმა აკურთხოს მისი სამარე – *მესნევიდან*[570] ადგილებს მიკითხავდა, სანამ ორივე არ ვიღლებოდით.

ამასობაში თეირანიდან ტელეგრამით გვაცნობეს, რომ უზენაესი განკარგულებით ჩამოვიდოდა ექიმი მოჰამად ჰასან ხან ბაქმაზ 'ემად ალ-ათაბა, რომელიც ჩემი ავადმყოფობის კურსში იყო. ექიმ ნავასარდიანს ეტყობოდა, რომ მის ჩამოსვლაზე დამყარებულ იმედებს გულის სიღრმეში ეჭვით უყურებდა. ამას გარდა, ერთი ექიმი გამომიგზავნა მირზა აბას ხანის ძმამ ჰოსეინ ხანმაც, რომელმაც მო'ინ ალ-მოლქსა და მობაშერ ად-დოულეს უთხრა: „ეს კაცი სწავლული, პოეტი და ექიმია, ბევრი ქვეყანა უნახავს და ძალიან გამოცდილი და ჭკვიანი გახლავთ. ამ მოწყენილობის ჟამს თქვენთვისაც საინტერესო მოსაუბრე იქნება და ავადმყოფსაც უმკურნალებს". ასე გავიცანი მირზა ალი თაბრიზი, რომლის *ლაყაბი* შამს ალ-ათაბა, ხოლო *თახალუსი* ლალი იყო.

ეს კაცი მირზა რეზა ხან არფა' ად-დოულეს სტოკჰოლმში ახლდა და პარიზი, ვენა და ევროპის სხვა ქალაქები ნანახი ჰქონდა. დაახლოებით 50 წლის იქნებოდა და საკმაოდ შეუხედავი იყო: საშუალო ტანის, ამოზნექილმხრებიანი, წვერ-

---

566 დიდი ირანელი პოეტი ჰაფეზი შირაზელი (1326-1389).

567 დიდი ირანელი პოეტი საადი შირაზელი (1184-1294).

568 საადის ლექსნარევი პროზით დაწერილი თხზულება „გოლესთანი".

569 იგულისხმება საადის ქოლიათი ანუ თხზულებათა სრული კრებული.

570 იგულისხმება დიდი ირანელი პოეტის ჯალალ ად-დინ რუმის (1207-1273) პოემა „მესნევიე მა'ნავი".

გაპარსული, უკბილო და ბეცი, რის გამოც სათვალეს ატარებდა. როგორც ჩანს, მკერდი და სასუნთქი ორგანოები დაავადებული ჰქონდა, რადგან განუწყვეტლივ ახველებდა.

ექიმი წარმომიდგინეს. პულსი გამისინჯა და გუნება-განწყობილება გამომკითხა. „იმას, რაც აშკარაა, ახსნა არ სჭირდება". ექიმ ნავასარდიანს, რომელმაც აზერბაიჯანული თურქული კარგად იცოდა, ჩემი დაავადებისა და მკურნალობის შესახებ გამოჰკითხა. საწოლთან დამიჯდა და თან მსინჯავდა და თან თავის მოგზაურობის ამბებსა და თავგადასავლებს მიყვებოდა. მიუხედავად ჩემი მდგომარეობისა, ვცდილობდი, მის განსწავლულობასა და ერუდიციას ჩავწვდომოდი, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი აღმოვაჩინე. ამბობდნენ, კარგი პოეტია და *თახალუსიც* თავისი პოეზიის შესაფერისი აქვსო[571].

მო'ინ ალ-მოლქმა ექიმი ჩვენსავე *ჰოტელში* ცალკე ოთახში დააბინავა. მისი შუქის, ჩაის, ყავის, ვახშმისა და სადილის გადასახადი ჩემს ყოველდღიურ ხარჯებს დაემატა. დღეში რამდენჯერმე მაკითხავდა, მაგრამ ხედავდა, რომ მასთან საუბრის თავი არ მქონდა და დიდხანს არ რჩებოდა. მათ შორის, ვინც ავადმყოფობის დროს ჩემდამი ყურადღებას იჩენდა, *პრინცი* ბებუთოვიც (Behbedof) გახლდათ, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ თავადაც შეუძლოდ იყო, ყოველდღე ჩემს ამბავს ტელეფონით კითხულობდა. ჩემი ჭირისუფალი იყო აზამათ ად-დოულეს დის ნაცნობი მარიამ ხანუმიც, რომელსაც უწინ თბილისის საკონსულოში შევხვდი და ოჯახებით დავახლოვდით. ის *ჰოტელში* ყოველ დღე მოდიოდა და ჩემს ამბავს კითხულობდა. ამ ორი ადამიანის გულმოწყალება და სიკეთე არასოდეს დამავიწყდება. კავკასიის ცნობილი ექიმებიდან ჩემ სანახავად დადიოდნენ: Dr. Houdence, Dr. Barisky, Dr. Malini, Dr. Tchoudowski, Dr. Goudeline[572].

მალინი, რომელიც კავკასიის მთავარმართებლის პირადი ექიმი და ამ ქვეყნის ჯანდაცვის უწყების ინსპექტორი იყო, იმხანად პეტერბურგში ბრძანდებოდა და მხოლოდ ავადმყოფობის ბოლოს ჩამომისწრო. თითოეულის ჰონორარს საყოველთაოდ მიღებული წესისამებრ ვიხდიდი. საშინელი ციებ-ცხელება მქონდა. ექიმებმა თითიდან სისხლის ანალიზი გამიკეთეს და დაასკვნეს, რომ ციება ანუ მათი გამოთქმით *მალარია* არ მჭირდა. მათი ვარაუდით, შიდა ორგანოებში, უფრო ზუსტად კი პროსტატის არეში, ჩირქგროვა მქონდა და სიცხესა და კანკალს ეს იწვევდა.

ერთი სიტყვით, ისე გავხდი და დავუძლურდი, რომ სიცოცხლის იმედი დავკარგე. დღე და ღამე ერთ საწოლში და ერთ მდგომარეობაში გაუნძრევლად ყოფნა იმდენად მტანჯველი იყო, რომ ღმერთი ამ ხვედრს ურჯულოსაც კი არ არგუნებდა.

17 რაბი ას-სანი (25 აგვისტო), პარასკევი:

რაბი ას-სანის თვის 17-ში პარასკევს თეირანიდან აყა მოჰამად ხან მო'ინ დივანი ჩამოვიდა და ჩემს მომვლელთა და მნახველთა მრავალრიცხოვან ლაშქარს შეემატა. ექიმი ნავასარდიანი ისევ მოდიოდა, სპეციალურად შეძენილი

---

571 „ლალი" ნიშნავს ლალისფერს, ბადახშისფერს.

572 ავტორს ყველა ამ ექიმის გვარი ლათინური ტრანსკრიფციით მოაქვს.

ხელსაწყოებით ბეჭზე გაჩენილ წყლულებს მაცილებდა, ჩირქს მიღებდა, კათეტერით შარდის ბუშტს მისუფთავებდა და ეს ყოველდღიური პროცედურა ჩემთვის განკითხვის დღის კოშმარივით იყო. ორჯერ ციებ-ცხელების საშინელი შეტევა დამემართა და უცებ ისე დავსუსტდი, რომ სულს ძლივსღა ვითქვამდი. ხანდახან უკეთესობას ვგრძნობდი, მაგრამ არა თუ სიარულის, საწოლში გადაბრუნების ძალაც კი არ მქონდა.

1 ჯუმადა ალ-ულა (7 სექტემბერი), პარასკევი:

დილით 'ემად ალ-ათაბა და მირზა ქაზემ ხან ასაფ დივანი მოვიდნენ. ექიმი ნავასარდიანი დამემშვიდობა და მითხრა: „რადგან საკუთარი ექიმი ჩამოგვიდათ, ჩემი სამსახური აღარ დაგჭირდებათ. ამის შემდეგ მხოლოდ სანახავად და მოსაკითხად მოვალ". 'ემად ალ-ათაბამ წამლის დოზა გამიზარდა, რასაც ნავასარდიანი ვერ ბედავდა და დაჟინებით მოითხოვა, რომ ავეყენებინეთ. მიუხედავად იმისა, რომ სკამზე დაჯდომაც კი ვერ შევძელი და ისევ საწოლში ჩავწექი, ცოტა უკეთესობა ვიგრძენი და სიცოცხლის ნიშნები დამეტყო.

4 ჯუმადა ალ-ულა (10 სექტემბერი), ორშაბათი:

აყა მოჰამად ხანი თეირანში დაბრუნდა. დიდი წვალებით წერილი დავწერე და გავატანე. ამბობდნენ, რომ უკეთ ვიყავი, თუმცა ჩემგან ცარიელი ძვალი და ტყავი, უსულო სხეულიღა დარჩენილიყო.

6 ჯუმადა ალ-ულა (12 სექტემბერი), ოთხშაბათი:

მო'ინ ალ-მოლქმა მირზა ქაზემ ხანიც გაუშვა. ექიმი მირზა ალი ლალიც თეირანში აპირებდა გამგზავრებას და გამოსამშვიდობებლად მოვიდა. მისი წასვლის შემდეგ მობაშერ ად-დოულემ მითხრა: „რადგან ექიმი ლალი პოეტია და თურქებთან დიდი სულიერი სიახლოვე აქვს, მას მო'ინ ალ-მოლქის ხელით სახსოვრად იაფფასიანი საათი ან ბეჭედი გაუგზავნეთ".

ვუპასუხე: „მას შემდეგ, რაც ჰეჯაზისა და იასრიბის არაბებმა გამძარცვეს, არაფერი დამრჩა, ახლა კი სულიც აღარ მიდგია. რასაც საჭიროდ ჩათვლით, ბაზარში იყიდეთ და მიეცით".

მეორე დღეს ვკითხე: „რა ქენით?"

მობაშერ ად-დოვლემ მიპასუხა: „ის არც სასიამოვნო მოსაუბრე იყო და არც კარგი ექიმი. ჰოსეინ ხანის შვილიშვილმა ეს რა არარაობას გადაგვკიდა. მისი *ჰოტელის* ხარჯები ჩვენ დავფარეთ. დღეს გამგზავრებისას კი, როცა კბილის ტექნიკოსისგან თავისი პროტეზი წამოიღო, თავაზიანად ვთხოვე, რომ კბილების ფასი 50 მანეთი მაინც გადაეხადა, რაზეც საკმაოდ არათავაზიანი უარი მითხრა. ღმერთმა ქნას, მიხვდეს, რომ დაუმსახურებელი გასამრჯელოს აღება ცოდვაა".

ვუთხარი: „მიუხედავად ყველაფრისა, კარგი იქნებოდა, კმაყოფილი გაგვეშვა".

მითხრა: „ახლა უკვე გზაშია და ბაქოში მიდის. სხვა დროს თუ შევხვდები, გასამრჯელოს ხელში მივცემ".

რამდენიმე დღე თავს უკეთ ვგრძნობდი, მაგრამ საწოლიდან წამოდგომის ძალა მაინც არ მქონდა. 'ემად ალ-ათაბამ იძულებით ამაყენა და გამიყვანა ჩემი ანუ მო'ინ ალ-მოლქის ოთახის მიმდებარე ოთახში, რომელიც ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით პროსპექტზე გადიოდა. იქ სკამზე დამსვეს და გარშემო ბალიშები შემომიწყვეს, რომ ცოტა ხანი მაინც ვმჯდარიყავი. ჰაერი ჩავისუნთქე და პროსპექტისა და იქ მოსიარულე ხალხის ყურებით გავერთე. მაგრამ დიდხანს ვერ გავჩერდი, რადგან ძალა სულ გამოცლილი მქონდა. გარდა ამისა, ქუჩაში მოსიარულე კაცების, ქალების და ბავშვების დანახვამ ჩემზე უცნაურად იმოქმედა. გავაცნობიერე, რომ უწინ, სანამ ჯან-ღონით სავსე ვიყავი, მეც მათსავით დავდიოდი და დავრბოდი, ახლა კი რა დღეში ჩავვარდი. იმედიც კი აღარ მქონდა, რომ ოდესმე მეც ადამიანურად გავივლიდი. თავად უსიცოცხლო, სხვისი სიცოცხლის ყურებამ გამაღიზიანა. სასოწარკვეთილი და არაქათგამოცლილი წამოვდექი და ისევ საწოლს დავუბრუნდი.

ერთსაც დავამატებ: მთელი ორმოცი დღე, სანამ ავად ვიყავი და საწოლში ვიწექი, სულ ერთსა და იმავე პეიზაჟს ვხედავდი და ერთი და იგივე ხმები მესმოდა. დღისით ვუყურებდი თბილისის აღმოსავლეთით მდებარე ხრიოკ მთასა და ბორცვს, ქალაქის გარეუბანში მთის ძირას აშენებულ ყაზარმას და არსენალს და მატარებელს, რომელსაც ბაქოდან ბათუმში ნავთობი გადაჰქონდა, ჩემ ყურამდე კი აღწევდა ეკლესიის ზარების რეკვა და ქვაფენილზე გაჭირვებით მოძრავი *კალიასკებისა* და ურმების თვლების ხმა. ღამ-ღამობით კი ჩემი *ჰოტელის* მეზობლად მდგარი ხუროსა და მეავეჯის სახლიდან ხეში ლურსმნის ჩაჭედებისა და ქსოვილის გადაკვრის მჭახე ხმები გამოდიოდა, რომლებიც გვიან ღამემდე არ წყდებოდა. მეორე მხრიდან ჩემი მეზობლები იყვნენ სხვადასხვა ასაკის ქართველები, რომლებიც მთელი ღამე ლაპარაკობდნენ. სახლის პატრონის ცოლს ხანუმს ეძახდნენ, პატარა ბავშვს კი გიორგი (Gorgīn) ერქვა და მთელი დღე ძაღლს ეჩხუბებოდა. კვირა საღამოობით ხანუმი ფლეიტაზე უკრავდა და ეს ჰანგები ირანულ მელოდიებს მაგონებდა. უნდა ითქვას, რომ ამ ხედისა და ხმების ერთფეროვნებამ საშინლად დამღალა.

მისი უდიდებულესობა ბუხარის ემირი, რომელიც კავკასიის მინერალურ წყლებზე სამკურნალოდ ბრძანდებოდა, ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა და ჩემს უწინდელ ოთახში დასახლდა. ისიც შეუძლოდ გახდა, თითქოს ადგილის ბრალიაო. ჩემთან კაცი გამოგზავნა და ძალიან თბილად მომიკითხა. რამდენიმე დღეში ბუხარაში გაემგზავრა. რუსების მოპყრობა ემირისადმი ძალიან საინტერესო სანახავი იყო. თითქოს უბორკილო პატიმარიაო, სამხედროებითა და პოლიციელებით გარშემორტყმული ტყვესავით დადიოდა და მნახველებში სიბრალულსა და თანაგრძნობას იწვევდა.

საბოლოოდ, 'ემად ალ-ათაბას დაჟინებული მოთხოვნით ცოტა მოძრაობა დავიწყე. მართალია, ლოგინიდან ვდგებოდი, მაგრამ ჯერ ოთახიდან გასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ერთხელ საღამოხანს სკამზე დამსვეს და მსახურებმა გარეთ გამიყვანეს. ჯოხის, ექიმისა და მობაშერ ად-დოულეს დახმარებით ქუჩაში რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ დიდხანს დგომა ვერ შევძელი და უკან დავბრუნდი. მსახურებმა ისევ სკამზე დამსვეს და დიდი გაჭირვებით საწოლ ოთახში ამიყვანეს.

მო'ინ ალ-მოლქი განუწყვეტლივ ჩამჩიჩინებდა, რომ ფოტოგრაფი მომეწვია და სურათი გადამეღო. ეტყობა უნდოდა, სანამ ცოცხალი ვიყავი, ჩემგან მოსაგონარი დარჩენოდა. მას მერე, რაც ქუჩაში გამიყვანეს, მას ეს სურვილი გაუმყარდა და იძულებული გავხდი, დავპირებოდი, რომ სურათს გადავიღებდი. 'ემად ალ-ათაბამ მითხრა: „რამდენიმე დღეში თბილისიდან უნდა გაემგზავროთ, ამიტომ აუცილებელია, შიგადაშიგ *დროშკით* ისეირნოთ, რომ მგზავრობას შეეჩვიოთ".

საღამოხანს, როცა მზე თვალს მიეფარა და შედარებით აგრილდა, ტანსაცმელი ჩამაცვეს და ქვევით ჩამიყვანეს. ჩემთვის მომზადებულ *დროშკაში* ბალიშები და კომფორტის სხვა ნივთები დაეწყოთ, რომ თავი მოხერხებულად მეგრძნო. 'ემადის თანხლებით *დროშკაში* ჩავჯექი და ძალიან ნელა დავიძარით. როცა *დროშკის* თვლები ქვებზე და ხრეშზე გადადიოდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს თავში ჯოხს მირტყამდნენ და ძვლები მემსხვრეოდა. სამასი ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, რომ რაღაც უცნაურად გავხდი, თითქოს გული მიმდიოდა. 'ემადს ვუთხარი, რომ ცუდად ვიყავი და *ჰოტელში* დავბრუნდით. შესასვლელთან ისევ სკამზე დამსვეს და ძალიან ფრთხილად ჩემს საწოლ ოთახში ამიყვანეს.

12 ჯუმადა ალ-ულა (18 სექტემბერი), სამშაბათი:

დილით მო'ინ ალ-მოლქმა ტანსაცმელი ჩამაცვა და წამიყვანა ერმაკოვის[573] (Eryäkof) ფოტოატელიეში, რომელიც *ჰოტელის* ახლოს იყო. ამ კაცს ჯერ კიდევ თეირანიდან ვიცნობდი. რამდენიმე სურათი გადავიღე, ზოგი მარტომ და ზოგიც თანამგზავრებთან ერთად და არაქათგამოცლილი სახლში საკუთარი ფეხით დავბრუნდი. ჩემი გამძლეობით გამხნევებულმა 'ემად ალ-ათაბამ ისევ *დროშკით* სასეირნოდ დამპატიჟა.

13 ჯუმადა ალ-ულა (19 სექტემბერი), ოთხშაბათი:

მზის ჩასვლას ერთი საათი აკლდა, როცა *დროშკებით* სასეირნოდ წავედით. 'ემადი ჩემთან ერთად დაჯდა, მო'ინ ალ-მოლქი და მობაშერ ად-დოულე მეორე *დროშკაში* ჩასხდნენ, ჰაჯ მეჰდი ყოლი მირზა და ჰაჯ მირზა შაფი კი – მესამეში. მოჯთაჰედის ბაღში წავედით. სახლში ისე დავბრუნდით, დაღლა არ მიგრძვნია. ეს გასეირნება თბილისიდან ჩემი გამგზავრების წინ ერთგვარი გამოცდა იყო.

14 ჯუმადა ალ-ულა (20 სექტემბერი), ხუთშაბათი:

გამგზავრება გადავწყვიტეთ. ემადის აზრით, მე გაუჩერებლად მგზავრობას ვერ შევძლებდი და სასურველი იყო, თბილისიდან ბაქომდე რამდენჯერმე შემესვენა. პირველი სადგური აღსთაფა იყო, მაგრამ მითხრეს, რომ იქ ძალიან ცუდი – ცხელი და ნესტიანი – კლიმატი იყო და შესაფერის გასაჩერებელსაც ვერ ვიპოვიდით. რკინიგზის უფროსმა და დირექტორმა კომფორტულად მოწყობილი ჩინებული ვაგონი მოგვცა, რომ გაჩერებებზეც ამ ვაგონში გვეცხოვრა. დავემშვიდობე *ჰოტელს,* რომელიც ფაქტობრივად ჩემი *ჰოსპიტალი* იყო და მსახურე-

[573] იგულისხმება ცნობილი ფოტოგრაფი დიმიტრი ერმაკოვი (1845-1916).

ბი და მომსახურე პერსონალი კარგად დავასაჩუქრე. ნაცნობ-მეგობრებმა რკინიგზის სადგურზე გამაცილეს, მირზა ბარსოყ ხანს, რომელიც ასე გავაწვალე, გამოვემშვიდობე. სადგურში ცოტა წავიხემსეთ და გზას გავუდექით.

ორთქლმავლის საწოლზე დავწექი და ღმერთს მადლობა შევსწირე, რომ თბილისის ტყვეობას თავი დავაღწიე. ამინდი შეიცვალა. 'ემად ალ-ათაბა, მო'ინ ალ-მოლქი და მობაშერ ად-დოულე რიგრიგობით შემოდიოდნენ და ჩემს ამბავს კითხულობდნენ. გზაში 'ემადმა შემომიტანა ერთი მტევანი ყურძენი, რომელიც ძალიან ტკბილი, ნაზი და გემრიელი იყო. რამდენიმე მარცვალი შევჭამე.

საღამოს განჯაში ჩავედით.

მოზაფარ ად-დინ შაჰი და მისი მოგზაურობის წიგნი

მოზაფარ ად-დინ შაჰი.
1900-იანი წლების ფოტოსურათი.

მოზაფარ ად-დინ შაჰი (1853-1907) ნასერ ად-დინ შაჰის მეორე ვაჟი იყო. ცხრა წლის ასაკში ის ტახტის მემკვიდრე-უფლისწულად გამოაცხადეს და აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე მან 35 წელი გაატარა, სანამ 1896 წელს ნასერ ად-დინ შაჰის მკვლელობის მერე არ გამეფდა. მოზაფარ ად-დინ შაჰის ხანმოკლე, ათწლიანმა მეფობამ (1896-1907) ძირითადად სახალხო მღელვარებებისა და რევოლუციური მოძრაობის ფონზე ჩაიარა. მიუხედავად ამისა, იგი ბევრს მოგზაურობდა და ევროპაში, მამამისის დარად, სამჯერ (1900, 1902, 1905) იყო.

პირველად მოზაფარ ად-დინ შაჰი ევროპაში 1900 წელს გაემგზავრა და მოინახულა რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია-უნგრეთი, ბელგია, ჰოლანდია და თურქეთი. შაჰის მიზანს, მისივე სიტყვებით, ერთი მხრივ, ევროპული სახელმწიფოების მეთაურებთან შეხვედრა და ურთიერთობის დამყარება, მეორე მხრივ კი, ევროპული ცივილიზაციისა და უახლესი მიღწევების გაცნობა წარმოადგენდა. ამ მოგზაურობის ჩანაწერები ეკუთვნის შაჰის თანამგზავრსა და კარისკაცს მირზა მეჰდი ხან ქაშანის.

მირზა მეჰდი ხან ქაშანი (1865-1918), ცნობილი ლაყაბებით „აჯუდან-ე მახსუსი" („პირადი ადიუტანტი") და „ვაზირ-ე ჰომაიუნი" („სამეფო მინისტრი"), მოზაფარ ად-დინ შაჰის დაახლოებული პირი და კარის მოხელე იყო. სხვადასხვა წლებში მას ეკავა ფოსტის უფროსის (1899), ფოსტის მინისტრის (1901), ზენჯანის გუბერნატორისა (1903-1906) და ვაჭრობის მინისტრის (1907) თანამდებობები. მირზა მეჰდი მოზაფარ ად-დინ შაჰს ევროპაში პირველ მოგზაურობაში ახლდა და, როგორც ჩანს, მის მოვალეობას შაჰის მოგზაურობის აღწერა წარმოადგენდა.

მოზაფარ ად-დინ შაჰის მოგზაურობის წიგნი შაჰის სიცოცხლეშივე ორჯერ დაიბეჭდა: პირველად თეირანში, მის მიერ ევროპიდან ჩამოტანილ სტამბაში, ხოლო მეორედ 1903 წელს ბომბეიში. მათი შეჯერებით ალი დეჰბაშიმ 1982 წელს გამოსცა „მოზაფარ ად-დინ შაჰის ევროპაში მოგზაურობის წიგნი", რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ.

ტექსტები

Safar-nāme-ye Mobārake-ye Mozaffar ad-Dīn Shāh be Farang, be tahrīr-e Mīrzā Mehdī Khān Kāshānī, tashīh-e 'Ali Mohammad Mojīr ad-Doule, naqqāshī va 'akshā Mīrzā Ebrāhīm Khān 'Akkāsbāshī, be kūshesh-e 'Alī Dehbāshī, Tehran, 1361/1982.

Dovvomīn safar-nāme-ye Mozaffar ad-Dīn Shāh be Farang, be tahrīr-e Fakh al-Molk, 'akshā az Mīrzā Ebrāhīm Khān 'Akkāsbāshī, Tehran, 1362/1983.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 4, Tehran, 1347/1968, 172-175.

'Alī Dehbāshī, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Mobārake-ye Mozaffar ad-Dīn Shāh be Farang*, 3-16.

G. M. Wickens, "Shah Muzaffar al-Din's European tour, A D 1900", წიგნში: *Qajar Iran: Political, Social and Cultural Change, 1800-1925*, ed. by E. Bosworth and C. Hillenbrand, Edinburgh, 1983, 34-47.

მოზაფარ ად-დინ შაჰის ევროპაში მოგზაურობის წიგნი (1900)

[1318 (1900) წლის 27 მუჰარამი (27 მაისი), კვირა:

დღეს დილიჯანიდან (Delizhāns) აღსთაფაში (Aqstafā) მივემგზავრებით. გუშინ ხანგრძლივი მგზავრობით ძალიან დავიღალეთ[574], მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩემი ოთახი ქუჩაზე გადიოდა და *კალიასკების* ხმებისგან დიდხანს ვერ დავიძინეთ. იძულებული გავხდით, ავმდგარიყავით და გადავსულიყავით უკანა ოთახში, სადაც ხმაური ვერ აღწევდა. საწოლი გამიშალეს და დავიძინეთ. დილის შვიდ საათზე გავიღვიძეთ. ორი საათის გათენებული იყო. ავდექით, ჩავიცვით და მეორე ოთახში გავედით. ერევნის გუბერნატორი, უაღრესად კეთილშობილი და თავაზიანი კაცი, რომელმაც კეთილი ინება და ჯულფადან აქამდე გამოგვაცილა, თავისი მოხელეების თანხლებით გვეახლა და ერევანში დაბრუნების ნებართვა გვთხოვა. ალმასისთვლიანი ბეჭედი ვუბოძეთ. დაგვემშვიდობა და წავიდა. შემდეგ ჩვენი მასპინძლის, ამ სახლის პატრონის ქალიშვილი მოიყვანეს. ძალიან საყვარელი პატარა გოგონა იყო. მასაც ერთი ბეჭედი ვაჩუქეთ. მერე ადმირალი არსენიევი (Arsenyef) მოვიდა და მოგვახსენა, რომ იმ დღეს მისი უდიდებულესობა იმპერატორის გამეფების[575] აღსანიშნავი ზეიმი იყო. მის

---

[574] შაჰი თავის თავს ხან მხოლობით, ხან კი მრავლობით რიცხვში მოიხსენიებს და სტილი რომ დაცული იყოს, თარგმანშიც შესაბამისად ხან მხოლობითი იქნება და ხან მრავლობითი.

[575] იმპერატორი ნიკოლოზ II ტახტზე ავიდა 1894 წლის ოქტომბერში, მაგრამ მისი კორონაცია შედგა მოგვიანებით, 1896 წლის 12 (26) მაისს.



მოზაფარ ად-დინ შაჰი ირანელ და რუს დიდებულებთან ერთად.
სხედან: მოზაფარ ად-დინ შაჰი და დიდი თავადი მიხეილი;
დგანან: რუსი გენერლები, მირზა რეზა ხანი, ამინ ას-სოლთანი, ნაჯებ ად-დოულე.

უდიდებულესობას მოსალოცი ტელეგრამა გავუგზავნეთ. ცოტა ხანში *კალიასკაში* ჩავსხედით და გზას გავუდექით. პირველ სადგურამდე ჩემს *კალიასკაში* მისი აღმატებულება *სადრ ა'ზამი* და კარის მინისტრი ჩასხდნენ. გზა გუშინდელივით ძალიან ლამაზი იყო: მთები ტყეებს დაეფარა და არემარე ამწვანებული და აყვავებული იყო. გზა მიუყვებოდა მთას, ხეობას და მდინარეს, რომელიც სათავეს აქაური წყაროებიდან იღებს და მდინარე მტკვარში ჩაედინება. მეორე სადგურში მივედით. კარის მინისტრი და სამეფო მინისტრი შუადღემდე ჩვენს *კალიასკაში* დარჩნენ. სადილი მოამზადეს და სუფრა ძვირფასი ქსოვილებითა და ხალიჩებით მორთულ ლამაზ კარავში გაგვიშალეს. ჩვენს თანმხლებ პირებს მეორე, დიდ კარავში გაუმასპინძლდნენ. სადილის მერე დავიძინეთ, მაგრამ მალევე ჭექა-ქუხილმა გაგვაღვიძა და ძილი გაგვიტყდა. *კალიასკა* მოამზადეს და ჩავსხედით. კიდევ ორი სადგური გავიარეთ, ცხენები გამოვცვალეთ და აღსთაფაში შევედით. ბოლო საფოსტო ცხენები ძალიან კარგი გამოდგა. ღამე იმ მატარებელში დავიძინეთ, რომლითაც თბილისში უნდა წავსულიყავით. აღსთაფას შესასვლელთან ამ მხარის გუბერნატორი გარნიზონის სამხედროების, ჯარისკაცებისა და მუსიკოსების თანხლებით დაგვხვდა. მისალმების ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ სამეფო მინისტრმა განსვენებული მირზა მოჰამად ალი ხან ქაშანის ვაჟი ასად ხანი წარმოგვიდგინა. ძალიან გონიერი და კარგი ახალგაზრდა იყო და რუსული განათლება ჰქონდა მიღებული. თბილისის კონსული ნაზემ ალ-მოლქი საკონსულოს თანამშრომლებთან ერთად გვეახლა. საღამოს ვივახშმეთ და დავიძინეთ.

28 მუჰარამი (28 მაისი), ორშაბათი:

დღეს თბილისში მივემგზავრებით. დილით ადრე ვაგონში გაგვეღვიძა. შვიდ საათზე მატარებელი დაიძრა და გზას გავუდექით. რადგან მატარებლით მგზავრობას მიუჩვეველი ვიყავით, თავიდან საშინლად შეგვცივდა და თავი ცუდად ვიგრძენით. კარის მინისტრი ვიხმეთ და საუბარი გავუბით. ვაგონში აღსთაფადან თბილისამდე სადგურების ქართული და სპარსული განრიგები იდო. თბილისის წინა სადგურთან მდინარე მტკვარზე აშენებულ რკინის ხიდზე გადავედით. არემარე მწვანეში იყო ჩაფლული. აღსთაფადან გამოსვლისთანავე ჩვენ წინ მტკვრის ფართო ხეობა გადაიშალა. რკინიგზის ხაზი ხეობას აღმართში მიუყვებოდა. თბილისთან ხეობა ძალიან დავიწროვდა. ქალაქის შენობები და სახლები მდინარის ნაპირთან იწყება და მთის წვერამდე გრძელდება. მთის კალთაზე შეიხ სანაანის აკლდამა მოჩანს[576]. ისე, როგორც სხვა ირანელი იმამების საფლავებზე, მასზეც აღმართულია გუმბათი, რომელიც თეთრად ელვარებს. მინდორი მწვანედ ბიბინებდა და იქაურობა ძალიან ლამაზი იყო. მინდორში და ნათესების პირას აქა-იქ ხეები მოჩანდა. ეს ის ადგილებია, განსვენებულმა *შაჰ-ე შაჰიდმა* აღა მაჰმად ხანმა თბილისზე ლაშქრობის დროს რომ გაიარა. ამაზე სიტყვა ჩამოვარდა და სამეფო მინისტრს განსვენებული აღა მაჰმად ხანის თავდასხმებისა და გამარჯვებების ამბები ვუამბეთ. ამასობაში თბილისის რკინიგზის სადგურში შევედით. კავკასიის მთავარმართებელი *პრინცი* გოლიცინი (Kāledsin) იმხანად გუბერნიაში არ იყო, პეტერბურგში ბრძანდებოდა. ჩვენ მისი თანაშემწე გენერალი ფერზენი (Ferze), სამხედრო მაღალჩინოსნები, თბილისის გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი, პოლიციის უფროსი და სხვა ოფიციალური პირები დაგვხვდნენ და მატარებელში ამოვიდნენ. მათ მისი აღმატებულება *სადრ ა'ზამი* და ადმირალი არსენიევი შეეგებნენ და თავაზიანად მიესალმნენ. მატარებლიდან ჩავედით. საპატიო ყარაულის ჯარისკაცებმა ჩვენ წინ საზეიმო მარშით გაიარეს. ამის შემდეგ რკინიგზის სადგურიდან გავედით. ქუჩის პირას ჩვენთვის და ჩვენი თანამგზავრებისთვის უამრავი *კალიასკა* იდგა. ჩავსხედით და გზას გავუდექით. ჩვენს კორტეჟს წინ კაზაკ ცხენოსანთა რაზმი მიუძღოდა, უკან კი ოფიციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი სამხედროები მოგვყვებოდნენ. მისი აღმატებულება *სადრ ა'ზამი*, ადმირალი არსენიევი და გენერალი ფერზენი ჩვენს *კალიასკაში* ჩასხდნენ. თბილისი ძალიან დიდი და ლამაზი ქალაქია. როგორც აღვნიშნეთ, ის ხეობაში მდებარეობს. მტკვრის ნაპირებზე და მთის კალთებზე მშვენიერი შენობები და სახლებია შეფენილი. ქალაქის ცენტრში მდინარე მტკვარზე აგებულ დიდებულ რკინის ხიდზე გადავედით. მთელი მოსახლეობა ჩვენ შესახვედრად ქუჩაში გამოსულიყო და „*ურას*" ძახილით მხიარულად გვეგებებოდა. მტკვარზე გადებული ხიდი ძალიან ლამაზია და იქიდან მთელი ქალაქი მოჩანს. თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავს. თბილისის შენობები, ძირითადად, სამსართულიანია და ისინი ახალი აგებულია. ირანელების უბანში სახლების კედლები და კარები საუცხოო ირანული ხალიჩებითა და ლომისა და მზის გერბიანი სახელმწიფო დროშებით იყო მორთული. უამრავი ქუჩა გავიარეთ. ქუჩების ორივე მხა-

---

576 იხ. შენიშვნა 50.

რე ხალხით იყო სავსე. მათ წინ პოლიციელები იდგნენ და წესრიგს იცავდნენ. თბილისში ევროპელები, ირანელები, ქართველები, სომხები, რუსები და კიდეე ბევრი ეროვნების ხალხი ცხოვრობს. ირანისა და რუსეთის დროშებით მორთული ტრიუმფალური თაღი გავიარეთ და მთავარმართებლის სასახლის წინ ეტლებიდან გადმოვედით. სასახლის შესასვლელთან არა მარტო თბილისის, არამედ მთელი კავკასიის საპატიო მოხელეები შეკრებილიყვნენ. დიდი პატივითა და ცერემონიებით მიგვიღეს. ჯარისკაცები სამხედრო წესით მოგვესალმნენ და ცაში საჰაერო ბუშტები გაუშვეს. შენობაში შევედით. ჩვენ წინაშე ქალაქ თბილისის წარჩინებული პირები და უცხო ქვეყნების კონსულები წარდგნენ და გაგვეცნენ. აქაურ მუსლიმთა *შეიხ ალ-ესლამი* და *ყადი* აბდ ალ-ესლამი[577] გვეახლა. ტანმაღალი და მჭევრმეტყველი კაცი იყო და [სპარსულ] ენას თავისუფლად ფლობდა. სპარსულად დანერილი მიმართვა[578] მოგვართვა.

29 მუჰარამი (29 მაისი), სამშაბათი:

დღევანდელი დღე თბილისში გავატარეთ. დილით ორბელიანის (‘Orbelyānī) აბანოში წავედით. გზაზე ბევრი დუქანი შეგვხვდა. ირანელებს ისინი ჩვენ პატივსაცემად ძვირფასი ქსოვილებითა და ირანული ხალიჩებით მოერთოთ. თბილისის ძველი ქუჩები გავიარეთ. კარის მინისტრი ჩვენს *კალიასკაში* იჯდა. მთელ გზაზე ქალები და კაცები „*ურას*“ ძახილით გვხვდებოდნენ. ჩვენც ყველას თავაზიანად ვესალმებოდით. აბანოში მივედით. გავიხადეთ და შიგნით შევედით. ძალიან კარგი აბანო იყო. ორი აუზი ჰქონდა: ცივი და ცხელი. ცხელში მინერალური წყალი მოდიოდა. აბანოს მერე კარის მინისტრის რჩევით გაციების თავიდან ასაცილებლად სახლში დავრჩით. ნაშუადღევს შენობის *ბალკონზე* გავედით, ცაში მფრინავ საჰაერო ბუშტებს შევხედეთ და უკან შევბრუნდით. საღამოს თეატრში წავედით. წარმოდგენა ოთხმოქმედებიანი იყო. სახლში გვიან ღამით დავბრუნდით და დავიძინეთ.

1 საფარი (31 მაისი), ოთხშაბათი:[579]

დღესაც თბილისში დავრჩით. დილით გავიღვიძეთ, *ნამაზი* შევასრულეთ, ჩაი დავლიეთ და ცოტა ხანი სასახლის ბაღში გავისეირნეთ. ჰაჯი მოჰამადის ძმა ვაჭარი ბაყერი[580] დავიბარეთ და განკარგულება გავეცით, მისთვის იმ ნივთების ჩამონათვალი მიეცათ, რომლებიც ჩვენთვის უნდა შეეძინა და თეირანში გაეგზავნა. მერე მისი აღმატებულება *სადრ ა’ზამი* და კარის მინისტრი ვიხმეთ და ბაღში წავედით. გზაში ქალაქი კარგად დავათვალიერეთ. მეტწილად ძველი ქუჩებით ვიარეთ და მივედით ერთ ბაღში, რომელიც მთის წვერზე მდებარეობს. როგორც მითხრეს, უწინ აქ ციხესიმაგრე იყო და დაახლოებით ათი წლის წინ

---

577 კავკასიის იმუამინდელი შეიხ ალ-ესლამი იყო აბდ ალ-ესლამ ახუნდზადე.

578 მიმართვის ორი, ძველი და ახალი ვარიანტი, რომლებიც აღმოსავლური *ხუტბების* ტრადიციებზეა შექმნილი, სპარსულ ტექსტს თან ახლავს.

579 შეცდომაა და ხუთშაბათი უნდა იყოს.

580 იგულისხმება თბილისელი ირანელი ვაჭარი ჰაჯი მოჰამად ბაყერ რეზაიოვი.

მის ადგილას ბაღი გააშენეს[581]. ბაღში ბევრი აუზი, მჩქეფარე შადრევანი და სხვადასხვა ჯიშის ხე იყო. რადგან ამ ხეების უმეტესობა ირანში არ იზრდება, ვინატრე, ნეტავ შემეძლოს, მათი სახელები *მუსიე* სიმონს (Sīmūn) ვუთხრა, რომ აქ ჩამოვიდეს, იყიდოს, თეირანში ჩაიტანოს და იქ დათესოს-მეთქი. უკანა გზაზე მთიდან ფეხით ჩამოვედით და ირანის საკონსულოში წავედით. ეს შენობა არფა' ად-დოულემ შეიძინა და ახლა მასში ირანის გენერალური კონსულის ნაზემ ალ-მოლქის რეზიდენციაა. ფოტოგრაფი თან გვახლდა და რამდენიმე სურათი გადაგვიღო. თბილისში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე მუსლიმი და სომეხი ვაჭრები უკლებლივ ყველა საკონსულოში შეკრებილიყო. საკონსულოდან სახლში დავბრუნდით. სადილის დროს მუსიკოსების დასი მოვიდა. მისი ნევრები თბილისელი *იეთიმები*[582] იყვნენ. მუსიკოსებს წითელი ფერის უცნაური ტანსაცმელი ეცვათ. ყარაბაღელი მუტრიბები სულ დაგვავიწყდა. *აქასბაშიმ* სურათები გადაიღო და ჩვენც რამდენიმე ფოტო გადავიღეთ.

სადილის შემდეგ ცოტა ხანი დავიძინეთ და საღამოს თბილისის გუბერნატორის სახლში წავედით. იქ ორი ცალი უზარმაზარი თეთრი დათვის ფიტული ვნახეთ. თითოეული 3 *ზარ'ზე* უფრო მაღალი და ერთი-ერთნახევარი *ზარ'ი* სიგანის იქნებოდა. იქვე იყო ორი პატარა დათვიც, რომლებსაც ხელში კოვზი ეჭირათ და ასევე სხვადასხვა ჯიშის ცხოველები და ფრინველები. ყველა მათგანი ბალზამირებული (გახრწნისა და გაფუჭების თავიდან ასაცილებლად ცხოველების ეთერზეთებით დამუშავება) იყო. ორი უზარმაზარი ვეფხვიც ჰყავდათ. ერთი საათის შემდეგ ადმირალი მოვიდა და მოგვახსენა, რომ რკინიგზის სადგურში გვაგვიანდებოდა. სადგურიდან ორთქლმავლით *დრაგუნების* წვრთნების სანახავად უნდა წავსულიყავით. იქამდე ორი *ფარსახი* სიგრძის გზა იყო. მის აღმატებულება *სადრ ა'ზამთან, მეჰმანდარ* ადმირალთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად *კალიასკებში* ჩავსხედით და სადგურში წავედით. რკინიგზის სადგური ძალიან ლამაზად მოერთოთ. *კალიასკებიდან* გადმოვედით და ვაგონში ავედით. მატარებელი დაიძრა. 45 წუთში წვრთნების ადგილზე მივედით. იქ დაგვახვედრეს *კალიასკა*, რომელშიც ორი რუსული ჯიშის შავი ცხენი იყო შებმული. მის აღმატებულება *სადრ ა'ზამთან*, კარის მინისტრთან და ადმირალ არსენიევთან ერთად *კალიასკაში* ჩავსხედით და გავემგზავრეთ. ცხენოსნები მწკრივში იდგნენ და [წვრთნებისთვის] მზად იყვნენ. მეთაური წინ გამოვიდა და პატაკი ჩაგვაბარა. ჩვენც მივესალმეთ. ერთხმად „*ურა*" შემოსძახეს. მისალმების ცერემონიის შემდეგ ჩვენთვის გაშლილ პატარა ლამაზ კარავში შევედით და ჩაი დავლიეთ. *მეჰმანდარმა* ადმირალმა წარმოგვიდგინა თბილისის ადრინდელი მთავარმართებლის განსვენებულ გენერალ შერემეტიევის (Sheremetīf) ცოლი, ასაკოვანი, დარბაისელი ქალბატონი და *პრინცესა* მელიქოვა (Prenses Melnīkof), რომლის ქმარიც

---

581 მოზაფარ ად-დინ შაჰს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს ბოტანიკური ბაღის ზედა, ნარიყალას მიმდებარე ნაწილი, რომელიც 1890-იან წლებში მიუერთეს ბაღს.

582 როგორც ჩანს, აღმოსავლეთში იეთიმს, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა („ობოლი"), სახალხო მუსიკოსის, საზანდარის მნიშვნელობითაც ხმარობდნენ. შესაძლოა, ამიტომ არის, რომ ბევრი სახალხო პოეტი ფსევდონიმად იეთიმს იღებდა.

უწინ აგრეთვე კავკასიის მთავარმართებელი იყო[583]. ჩვენ ორივეს ოფიციალური ეტიკეტის დაცვით დიდი პატივით შეეხვდით.

წვრთნების სანახავად უამრავი ქალი და კაცი მოსულიყო. *დრაგუნებმა* ძალიან კარგად ივარჯიშეს. მანევრების შემდეგ მთავარმართებლის თანაშემწეს გენერალ ფერზენს ირანული ორდენი საკუთარი ხელით ჩამოვკიდეთ, მერე *კალიასკაში* ჩავსხედით და წამოვედით. *დრაგუნები* ორად გაიყვნენ, ჩვენი *კალიასკა* შუაში მოიქცეს და სადგურამდე სიმღერებით გაგვაცილეს. მატარებელში ავედით და მზის ჩასვლისთვის თბილისში დავბრუნდით. სადგურში მის აღმატებულება *სადრ ა'ზამთან*, ადმირალთან და კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწესთან ერთად *კალიასკით* სახლში წავედით. ქალაქის ქუჩებსა და პროსპექტებზე ჩირაღდნები ენთო. განსაკუთრებით ლამაზად ხიდის მოპირდაპირე მხარე იყო განათებული. ქუჩაში ხალხი ბუზებივით გვეხვეოდა და რაღაცას გვთხოვდა. ჩვენც შეძლებისდაგვარად ყველას თავაზიანად ვპასუხობდით. ერთი საათის დაღამებული იყო, სახლში რომ დავბრუნდით. ვახშმის მერე ადმირალი მოვიდა და მოგვახსენა, რომ ჩინელი მეფოკუსეები მოსულიყვნენ და სურდათ, თავიანთი ოსტატობა ჩვენთვის ეჩვენებინათ. ვუბრძანეთ, რომ შემოეყვანათ. ოთხი-ხუთი კაცი შემოვიდა და ფოკუსების ჩვენება დაიწყო. ყველა მათგანი შავგვრემანი და გამხდარი იყო და ჩინელებისთვის დამახასიათებელი ზევით აწეული თვალები, ფართო ცხვირი და გამოწეული ყვრიმალები ჰქონდა. ერთმა ხელჯოხი აიღო, დაიქნია და იქიდან გამოვარდა ქაღალდის ლენტი, რომელიც ჯერ ძალიან პატარა იყო და ბოლოს ხუთ *ზარ'ამდე* გაიზარდა. ოინბაზმა ამ ლენტით ხან წრე შეკრა, ხან გველივით გაშალა და კიდევ უამრავი ფიგურა გააკეთა. მერე მეორე კაცი გამოვიდა, პატარა ჩინური ლამბაქი წვრილი ჯოხის წვერზე დადო და დაატრიალა. მიუხედავად იმისა, რომ ის თან ყირაზე გადადიოდა და სალტოებს აკეთებდა, ლამბაქი არ ჩამოუვარდა და ისევ ისე ატრიალებდა. მართლაც, რომ საოცარი სანახაობა იყო. შემდეგმა გამომსვლელმა სხვა ოინი გვიჩვენა: აიღო წყლის კასრის ფორმის ორი მორი, რომელთაც დიდი და პატარა ხვრელები ჰქონდა. ჩვენი თანდასწრებით მოსასხამი აიქნია და მორებს გადააფარა. მერე ხელი შეყო და ხვრელიდან ვარდებიანი ლარნაკები, წყლით სავსე პატარა ჩინური სურა და კიდევ ბევრი ნივთი გამოიღო. რადგან იმ დღეს ძალიან დატვირთული განრიგი გვქონდა (დილით ბაღში ვიყავით, საღამოს – წვრთნებზე) და ხვალ დილასაც ადრე ვიყავით ასადგომი, ამ გამოსვლის შემდეგ დასაძინებლად წავედით. როგორც გავიგე, მისი აღმატებულება *სადრ ა'ზამი*, კარის მინისტრი და სხვები წარმოდგენის ბოლომდე დარჩნენ და კარგადაც გაერთნენ. არსენალის უფროსი მთავარსარდალი მირზა ქერიმ ხანი გილანიდან ბაქოს გავლით თბილისში ჩამოვიდა და შემოგვიერთდა.

2 საფარი (1 ივნისი), ხუთშაბათი:

დღეს თბილისიდან გავემგზავრეთ. გუშინდელივით რკინიგზის სადგურში მივედით და ვაგონებში ჩავსხედით. სადგურში ირანის კონსული, საკონსულოს

---

583 გენერალ-ადიუტანტი ლევან მელიქოვი (მელიქიშვილი) 1880-1881 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხაილის თანაშემწე იყო. 1881 წელს მეფისნაცვლის პეტერბურგში ყოფნისას მელიქოვი რამდენიმე თვე მის მოვალეობას ასრულებდა.

თანამშრომლები, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენერალი ფერზენი და თბილისის სამხედრო მაღალჩინოსნები მოვიდნენ, დაგვემშვიდობნენ და მატარებელიც დაიძრა. რკინიგზის ორივე მხარე მწვანეში იყო ჩაფლული და ირგვლივ უამრავი ხე, ყვავილი და რეჰანი ხარობდა. ისეთი სილამაზე იყო, რომ კალმით ვერ გადმოსცემ. მდინარის ნაპირს მივუყვებოდით. მთის კალთები ლამაზი ყვითელი ყვავილებით იყო დაფარული. ეს ის ყვავილია, *მუსიე* სიმონმა ბევრ სხვა ჯიშთან ერთად პარიზიდან თეირანში რომ ჩამოიტანა. დღეს დაახლოებით ასი *ვერსი* გავიარეთ, აქედან 30 – მატარებლით, დანარჩენი კი – საფოსტო *კალიასკებით.* კარის მინისტრი და ემირ ბაჰადორ ჯანგი ჩვენთან ერთად ისხდნენ და ვსაუბრობდით. ტყეები და ლამაზი მწვანე მინდვრები გავიარეთ. გზა ძალიან კარგად გაეკეთებინათ და ლარივით სწორი იყო. მთელ გზაზე მდინარის პირას დიდი და პატარა სახლები იდგა. სოფელ დუშეთში (Dushit) ვისადილეთ და მამასახლისის ცოლს ალმასისთვლიანი ბეჭედი ვაჩუქეთ. ერთი საათის დაღამებული იყო, სოფელ მლეთაში (Melit) რომ შევედით. მლეთაში ძალიან კარგი სადგური იყო და იმ ღამეს იქ დავრჩით. კარის მინისტრს ვუბრძანეთ, ის ნივთები, რომლებიც თბილისში შევიძინეთ ან ძღვნად მოგვართვეს, სპეციალურ დავთარში აღენუსხა და ხაზინადარ მოვასაყ ალ-მოლქისთვის მიეცა. სამეფო მინისტრს სიცხე ჰქონდა და შეუძლოდ იყო, ამიტომ ნასერ ხაყანს ვუბრძანეთ, ბოლო ორი დღის ამბები შავად ჩაეწერა და მისთვის გადაეცა, რომ მოგვიანებით რვეულში შეეტანა. დღეს საღამოს სეიდ ჰოსეინმა ძალიან კარგი *როუზე* წაიკითხა. *როუზეს* მერე ვივახშმეთ და დავიძინეთ. მორიგეები მოვასაყ ალ-მოლქი და ნასერ ხაყანი იყვნენ.

3 საფარი (2 ივნისი), პარასკევი:

დღეს ყაზბეგში (Kāzbek/Qāzī Bīg) ჩავედით. ეს სადგური ვლადიკავკაზის (Velād-e Qafqāz) გზაზე მდებარეობს. კარის მინისტრი და ემირ ბაჰადორ ჯანგი ჩვენთან ერთად ისხდნენ და ვსაუბრობდით. გზა უფსკრულს მიუყვებოდა და რომ არ დაგვენახა, კარის მინისტრი საუბრით გვართობდა, ემირი კი ხან ისტორიებს ყვებოდა და ხან ლექსებს გვიკითხავდა. ასე მასლაათითა და ლექსების კითხვით ვიმგზავრეთ. დღეს ვლადიკავკაზში უნდა ჩავსულიყავით, მაგრამ რადგან გუშინ 104 *ვერსი* გავიარეთ და ძალიან დავიღალეთ, ყაზბეგში გავჩერდით. სადგურში საკმარისი ადგილები არ აღმოჩნდა, ამიტომ მხლებლების დიდი ნაწილი წინ გავუშვით, ჩვენ კი რამდენიმე კაცთან ერთად ღამე ყაზბეგში დავრჩით, ჩვეულებრივზე ადრე ვივახშმეთ და დავიძინეთ.

ზაპირ ად-დოულე და მისი მოგზაურობის წიგნი

ალი ხან დავალუ ზაპირ ად-დოულე.

ალი ხან დავალუ ყაჯარი (1864-1923), ცნობილი ლაყაბით „ზაპირ ად-დოულე", ყაჯართა ტომის დიდგვაროვანი წარმომადგენელი იყო. 16 წლის ასაკში მან ცოლად მოიყვანა ნასერ ად-დინ შაპის ქალიშვილი ფორუყ ად-დოულე მალაქე-იე ირანი. ალი ხანი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო: კარგად იცოდა ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია, წერდა ლექსებს და უკრავდა სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე. მან მთელი ცხოვრება ნასერ ად-დინ შაპისა და მოზაფარ ად-დინ შაპის სამსახურში გაატარა: სამეფო კარის იშიქაყასიბაში (მთავარი ცერემონმაისტერი) და ჰამადანისა და ქერმანშაჰრის გუბერნატორი იყო. 22 წლის ასაკში იგი ცნობილი სუფი შეიხისა და სწავლულის საფი ალიშაჰის მოწაფე და საძმოს წევრი გახდა, შეიხის გარდაცვალების შემდეგ კი, საფი ალიშაჰის ანდერძით, მის შემცვლელად დაინიშნა. გადმოცემებით ის იმდენად თავგამოდებული დერვიში იყო, რომ თავის ცოლსა და ქალიშვილებსაც კი დერვიშის სამოსით ატარებდა. ამასთან ერთად ზაპირ ად-დოულე კონსტიტუციური მმართველობის იდეას უჭერდა მხარს. „დემოკრატი დერვიში" – ასე მოიხსენიებს მას გერმანელი მეცნიერი ბერტ ფრაგნერი. ზაპირ ად-დოულემ რამდენიმე წელი ევროპაში გაატარა და იქ მასონთა ლოჟის წევრი გახდა. სამშობლოში დაბრუნებულმა გადაწყვიტა, მსგავსი საზოგადოება ირანშიც შეექმნა. მოზაფარ ად-დინ შაპის ნებართვით, მან თეირანში ფირდოუსის ქუჩაზე მდებარე თავის სახლში დააარსა „ანჯომან-ე ოხოვათ" („ძმათა საზოგადოება"), რომელიც იმ დროის ირანის ას ცნობილ მოაზროვნესა და რეფორმატორს აერთიანებდა. ცნობილია, რომ საძმოს ყველა წევრს ჰქონდა საკუთარი სკამი, რომელზეც მისი სახელი ეწერა. საზოგადოების სახელით ის გამოსცემდა ჟურნალს „მაჯმუ'ე-იე ახლაყ" („ზნეობის ალმანახი"). რადგან ძმათა კავშირი ზოგადად შაპის ხელისუფლების წინააღმდეგი იყო, მოჰამად ალი შაპის მმართველობის პერიოდში ზაპირ ად-დოულეს სახლი ფირდოუსის ქუჩაზე დაარბიეს, გაძარცვეს და გადაწვეს.

ზაჰირ ად-დოულე ბევრს მოგზაურობდა. საქართველოში ის სულ ცოტა სამჯერ მაინც არის ნამყოფი, ყოველ შემთხვევაში, სამი ვიზიტის დამადასტურებელი წერილობითი მასალა არსებობს. პირველად ჩამოვიდა 1900 წელს, როგორც ევროპაში მიმავალი მოზაფარ ად-დინ შაჰის ამალის წევრი და თბილისში ათ დღეზე მეტ ხანს დაჰყო. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები ასახულია მის „მოგზაურობის წიგნში". მეორე და მესამე ვიზიტების შესახებ ინფორმაციას იძლევა მისი პოემა „ვარედათ" („ქრონიკები"), რომელიც გალექსილი მოგონებების კრებულს წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Khāterāt va asnād-e Zahīr ad-Doule, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1351/1972.

Safar-nāme-ye Zahīr ad-Doule hamrāh-e Mozaffar ad-Dīn Shāh be Farangestān, be kūshesh-e Mohammad Esmā'īl Rezvānī, Tehran, 1371/1992.

"Safar-nāme-ye Zahīr ad-Doule hamrāh-e Mozaffar ad-Dīn Shāh be Farangestān", წიგნში: Farāmorz Mo'tamad Dezfūlī, *Tārīkh-e andīshe-ye jadīd-e īrānī (Safar-nāmehā-ye īrānīān be Farang)*, daftar-e avval, Tehran, 1390/2011, 927-983.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 1347/1968, 368.

Mohammad Esmā'īl Rezvānī, "Moqaddame", წიგნში: *Safar-nāme-ye Zahīr ad-Doule hamrāh-e Mozaffar ad-Dīn Shāh be Farangestān*, 6-46.

B. G. Fragner, "Ein Demokratischer Derwisch Zahir ad-Daula in Hamadan (1324/1906)", წიგნში: B. G. Fragner, *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, 121-179.

ზაჰირ ად-დოულეს მოგზაურობის წიგნი (1900)

თბილისში ჩასვლა – [1318 (1900) წლის 6 მუჰარამი (6 მაისი), კვირა:

დილაუთენია გავიღვიძე და ვაგონის ფანჯრიდან გარეთ გავიხედე. გუშინდელი საღამოსგან განსხვავებით, ირგვლივ ყველაფერი მწვანეში იყო ჩაფლული და რაც უფრო წინ მივდიოდით, არემარე უფრო მწვანე და ლამაზი, ჰაერი კი სუფთა ხდებოდა. გზის ორსავე მხარეს, განსაკუთრებით მდინარე მტკვრის გასწვრივ, უამრავი სოფელი და დასახლება მოჩანდა. ქალაქის მისადგომებთან ქარხნებმა და რკინიგზის ხაზებმა იმატა.

თბილისი ფართო ხეობაში მდებარეობს. ქალაქამდე ერთი *ფარსანგი* იყო დარჩენილი, სახლები რომ გამოჩნდა. პირველი, რაც მოგზაურის თვალს ახარებს, წმინდა შეიხ სანაანის – ალაპმა აკურთხოს მისი სამარე – საფლავზე აგებული თეთრი შენობაა, რომელიც აყვავებული მთის კალთაზე დგას და მთელ თბილისს



თბილისი, მამადავითის ეკლესია. დ. ერმაკოვის ფოტოსურათი, 1890-იანი წლები.

გადაჰყურებს[584]. ჩვენს ბიბი შაჰრ ბანუს[585] ჰგავს, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ აქედან მდინარე, ნაირფერი სახურავები და ქალაქის სუფთა ქუჩებსა და ხიდზე მოძრავი *დროშკები* მოჩანს, იქიდან კი – ბიბის მთის გამომშრალი კლდოვანი კალთები, ქალაქ რეის[586] ნანგრევები და ხანდახან ამინ აბადის[587] ახლოს გავლილი *ჩარვადარები*. იქ სამარხის დარაჯის – ერთი საწყალი *სეიდისა* და მისი ცოლის გარდა არავინ არის და გარშემო სოფლებიდან კვირაში ორ-სამჯერ თუ ამოვლენ მომლოცველი ქალები, აქ კი ყოველ საღამოს მთელი ქვეყნის *რინდები*[588] იკრიბებიან სალოცავად და სასეირნოდ. იქაურობა დანგრეული და გაპარტახებულია, აქ კი ყველაფერი ყვავის.

---

584 იხ. შენიშვნა 50.

585 შიიტური ტრადიციით, შაჰრ ბანუ იყო სპარსეთის მეფე იეზდიგერდ III-ის ქალიშვილი, რომელიც ცოლად შეირთო მესამე იმამმა ჰუსეინმა. შაჰრ ბანუს აკლდამა მდებარეობდა ძველ ქალაქ რეიში, თეირანის სამხრეთით.

586 რეი მონღოლების შემოსევების დროს დაინგრა. სეფიანთა მმართველობის ხანაში მის მიდამოებში ქალაქი თეირანი აშენდა.

587 სოფელი თეირანის ახლოს.

588 რინდი მოქეიფე, თავაშვებულ კაცს ნიშნავს. აღმოსავლეთში ასე ეძახდნენ თავისუფლებისმოყვარე ადამიანებს, რომლებიც არ ეპუებოდნენ შარიათით დაწესებულ ნორმებს, დადიოდნენ სამიკიტნოებში და დროს ღვინის სმაში, ლექსების კითხვასა და სუფიურ საუბრებში ატარებდნენ. ამ შემთხვევაში ავტორი მოქეიფეებს გულისხმობს.

რკინიგზა ქალაქს გვერდზე მიუყვება. ერთ დიდ სადგურში შევედით. ბაქოს სადგურის ღირშესანიშნაობებზე ხომ მოგახსენეთ და აქაურობა ათჯერ უკეთესია. სადგურში ირანის გენერალური კონსული მისი აღმატებულება მირზა ნაზემ ალ-მოლქი დაგვხვდა. მისალმების ცერემონიალის მერე ნაქირავებ *დროშკაში* ჩავსხედით და *ჰოტელ* „ორიანტში"[589] (Orsān) წავედით.

წვიმა მოდიოდა და ძალიან კარგი ჰაერი იყო. იმ დღეს რუსეთის *იმპერატრიცას* დღეობა იყო[590] და ამასთან დაკავშირებით დუქნებზე, სახლებსა და სასტუმროებზე სახელმწიფო დროშები გამოეფინათ. *ჰოტელში* მივედით და *დროშკიდან* გადმოვედით. „ორიანტი" სამსართულიანი შენობაა და მასში 150-ზე მეტი კეთილმოწყობილი ოთახია. მომსახურე პერსონალი განურჩევლად ყველა მოსულს ერთნაირად ხვდება და მე, უცხო ქვეყნის საწყალ მოგზაურს, ისე შემეგებნენ, თითქოს რუსეთის იმპერატორი ვყოფილიყავი. მე და მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი ერთ ნომერში დავსახლდით. ის ერთი მისაღები და ორი საძინებელი ოთახისგან შედგებოდა. აყა ჰოსეინ ფაშა ხანმა და *გრაფმა* (gheraf) დიდი, ფარდით ორად გაყოფილი ოთახი აიღეს. ოთახის ერთ ნაწილში ორი საწოლი იდგა, მეორეში კი სტუმრების მისაღები იყო მოწყობილი. (არ გეგონოთ, რომ ეს იყო თეთრი, დალაქავებული, ხუთი ათასჯერ გარეცხილი და ფანჯარაზე კანაფის ძაფით დაკიდებული ფარდა. არა, ძალიან კარგი ფარდა იყო). ამ *ჰოტელის* ყველა ოთახში სამი-ოთხი დიდი თუ პატარა სურათი ეკიდა. ჩვენს სასტუმრო ოთახში ჩამოკიდებულ სურათზე ებრაჰიმისა და ისმაილის მსხვერპლშეწირვის ამბავი[591] იყო გამოსახული. ძალიან, ძალიან კარგი სურათი იყო. მხატვარს ის სამოცი წლის წინ დაეხატა. სამწუხაროდ, გამგზავრების დრო იყო და აქ დაბრუნების იმედი არ მქონდა, თორემ ნებისმიერ ფასად ვიყიდიდი. *ჰოტელის* პირდაპირ დიდებული ეკლესია და სამლოცველოა[592], რომელიც იმპერატორმა ოსმალეთზე გამარჯვების აღსანიშნავად ააგო, ამიტომ შესასვლელ კარებთან და კიბეებზე ოსმალური ზარბაზნებია დამაგრებული.

დღეს, რადგან *იმპერატრიცას* დღეობაა და თან კვირა დღეა, გაუჩერებლად რეკავენ დიდი და პატარა ზარები. მათი ხმის გაგონება ძალიან მესიამოვნა. აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან და გრაფთან ერთად სასადილოში ჩავედი. ძალიან გემრიელად ვისადილეთ და თან დიდი ხნის უნახავი საყვარელი ადამიანები გავიხსენეთ. სადილის მერე სამივენი *დროშკაში* ჩავსხედით და წავედით აბანოში, რომელშიც ბუნებრივი მინერალური ცხელი წყალი მოდის. ამ საუცხოო აბანოში ენით აუწერელი სისუფთავეა. ეს სწორედ იმ აბანოს წყალია, რომელზეც სწავლულები

---

589 იხ. შენიშვნა 561.

590 იგულისხმება იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მეუღლე ალექსანდრა. მისი დღეობა აღინიშნებოდა წმ. მოწამე ალექსანდრას ხსენების დღეს, 23 აპრილს, რაც ახალი სტილით 6 მაისს შეესაბამება.

591 ბიბლიის მიხედვით, აბრაამმა (ებრაჰიმმა) მსხვერპლად ისააკი შესწირა, მაგრამ ყურანის ბევრი კომენტატორი და თანამედროვე მუსლიმური ტრადიცია ამტკიცებს, რომ „თვინიერ ყრმაში" (37:99) არა ისააკი, არამედ ისმაილი იგულისხმება.

592 იგულისხმება წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარი, რომელიც იდგა ახლანდელი პარლამენტის შენობის წინა კორპუსის ადგილას. აიგო 1871-1889 წლებში, დაანგრიეს საბჭოთა პერიოდში.

ამბობენ, მისგან ერთი პეშვის დალევა შარიათით ნებადართულიაო. აბანო იმ ძველი ციხესიმაგრის ძირში მდებარეობს, რომელიც აღა მაჰმად ხან ყაჯარმა დაანგრია. ასეთი აბანო აქამდე არასოდეს მენახა. ერთ დერეფანში რამდენიმე პატარა აბანოს ნომერია განლაგებული. თითოეულში ერთი ან ორი აუზია ჩაშენებული. მათი სიგანე ერთი, სიგრძე ერთნახევარი, ხოლო სიღრმე ერთი *ზარ'ია*. ისინი ხუთი თეთრი ქვისგან არის გაკეთებული: ერთი ქვა ძირს არის დაგებული, დანარჩენი ოთხით კი კედლებია ამოყვანილი. ცხელი წყლის ონკანიდან წყალი განუწყვეტლივ იღვრება აუზში, რომელიც მუდმივად სავსეა. აუზში კიდევ ერთი, ცივი წყლის ონკანიც აყენია და თუ კაცს წყლის გაციება მოუნდება, ამ ონკანს მოუშვებს.

მზის ჩასვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, აბანოდან რომ გამოვედით და სახლში წავედით. საღამოს თეატრში *ლოჟა* (განსაკუთრებული ოთახი) ავიღე და *მუსიე* რენისთან (Reni), აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან, გრაფთან და ირანის საკონსულოს რამდენიმე თანამშრომელთან ერთად წავედი. ძალიან, ძალიან ლამაზი თეატრი იყო. როგორც გავარკვიე, მისი აშენება ერთი მილიონი მანეთი ანუ ხუთასი ათასი თუმანი დაჯდა. შუაღამე ხდებოდა, როდესაც სახლში დავბრუნდით და დავიძინეთ.

თბილისში – 7 მუჰარამი (7 მაისი), ორშაბათი:

დილით აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან და გრაფთან ერთად ქალაქში წავედი და თეირანში გასაგზავნი საათი და კიდევ სხვა ნივთები ვიყიდე. მერე ვესტუმრეთ ნაზემ ალ-მოლქს, რომელიც საკონსულოში *როუზეს* მართავდა. ირანის კონსულის, ამ ჭეშმარიტი მუსლიმის, *როუზე* ძალიან მომეწონა. შეკრებას, ძირითადად, ირანის ქვეშევრდომები და ვაჭრები ესწრებოდნენ. თვითონ ნაზემ ალ-მოლქი ძალიან კარგი კაცია. მას ადრეც ვიცნობდი. როგორც ამბობენ, ის თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტია და რაც უფრო წინ მიდის, მით მეტად ცდილობს, რომ მის ხალხს აქ პატივისცემით ექცეოდნენ. მაგრამ აქაური ირანელები იმდენად უნამუსოები არიან, რომ ძნელია, მათ ხელი დააფარო. ამ მოგზაურობაში ისეთი რაღაცეები ვნახე, რომ დაწერაც კი მრცხვენია. ღმერთმა დასწყევლოს სიხარბე და უზნეობა, რომელიც სამყაროს შექმნის დღიდან ყველა სახელმწიფოს და ხალხის განადგურებისა და დალუპვის მიზეზია.

სადილის მერე განჯის გუბერნატორი მოვიდა. ეს რუსი დიდი გაიძვერა ვინმეა. საღამოს ფოტოაპარატურის დუქანში წავედი, მერე სახლში დავბრუნდი, დავჯექი საძინებელი ოთახის აივნის კართან, რომელიც ქუჩაზე გადიოდა და არემარის თვალიერებით გავერთე. ქუჩაში მოსიარულე ხალხი ძალიან უცნაური სანახავი იყო. კაცები, ქალები, სამხედრო და სამოქალაქო სკოლების მოწაფეები, ოფიცრები და მრავალრიცხოვანი *დროშკები* ისე ჩქარა მოძრაობდნენ, თითქოს სასწრაფო და გადაუდებელი საქმე აქვთო. ერთმანეთს არ უყურებდნენ, ხელს არ კრავდნენ, არც *ხაბარდას* ყვიროდნენ და სიჩუმეს *დროშკების* ხმა თუ არღვევდა.

მე და აყა ჰოსეინ ფაშა ხანმა ჩვენს ოთახებში განმარტოებით ვივახშმეთ და დავიძინეთ. გრაფი დღეს საღამოს დიდი თხოვნის შემდეგ *კონცერტზე* (მუსიკალური თავშეყრა) გაუშვეს, სადაც ერთი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელგანთქმული პიანისტი მსმენელთა ყურთასმენას ატკბობდა.

თბილისში – 8 მუჰარამი (8 მაისი), სამშაბათი:

დილით ალბომების დუქანში წავედი, ოთხი ცალი ვიყიდე და შიგ თეირანიდან ჩამოტანილი ფოტოები ჩავაწყვე. იქიდან გავიარე მუსიკალური საკრავების დუქანში, სადაც ევროპული ინსტრუმენტები იყიდებოდა. საოცარი მაღაზია იყო. მერე ფოტოაპარატურის დუქანში ზაპირ ას-სოლთანისთვის ფოტოაპარატი შევიძინე და სახლში დავბრუნდი. ნაშუადღევს აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან და გრაფთან ერთად ვისადილე და ცოტა ხანი საძინებელ ოთახში დავისვენე. გრაფი მის აღმატებულება ნასერ ალ-მოლქთან ერთად *დროშკით* მთაზე სასეირნოდ წავიდა. მზის ჩასვლამდე ერთი საათი იყო დარჩენილი, როცა მე და აყა ჰოსეინ ფაშა ხანმა ქუჩაში ფეხით გავიარეთ. რა ქუჩა და რა სეირნობა?! სადალაქოში შევედით და თავი მოვიწესრიგეთ. ძალიან სუფთა დუქანი იყო. დაღამებისას ჩვენი სასტუმროს გვერდით მდებარე სათვალეების დუქანში ორი-სამი სათვალე ვიყიდე. სახლში დაბრუნების შემდეგ ჩვენს ოთახებში ვივახშმეთ, გრაფი კი სავახშმოდ სასადილოში ჩავიდა.

თბილისში – 9 მუჰარამი (9 მაისი), ოთხშაბათი:

დილაუთენია ჩემთან საძინებელში მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი მოვიდა და დიდხანს ვისაუბრეთ. მერე აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან და გრაფთან ერთად ფეხით ტკბილეულობის დუქანში წავედი და ცოტაოდენი ტკბილეულობა ვიყიდე. სეირნობის შემდეგ მისი აღმატებულება სახლში დაბრუნდა, მე და გრაფმა კი კიდევ რამდენიმე დუქანში შევიარეთ, ფეხსაცმელები და პერანგები ვიყიდეთ და სავიზიტო ბარათები შევუკვეთეთ. ნაშუადღევს პირველ საათზე *ჰოტელში* დავბრუნდით და ვისადილეთ. სადილის მერე თეირანში გასაგზავნი წერილების წერას შევუდექი. საღამოს გრაფი და მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი აბანოში წავიდნენ. აყა ჰოსეინ ფაშა ხანი სტუმრად იყო ირანის საკონსულოს თარჯიმანთან სომეხ მირზა იაროსახ ხანთან, რომელსაც იმ დროიდან იცნობდა, როცა მამამისი, აწ განსვენებული ალი ხან მო'ინ ალ-ვეზარა თბილისში გენერალური კონსული იყო. აყა ჰოსეინ ფაშა ხანი თბილისში დაიბადა და მირზა იაროსახ ხანის ცოლი მისი გამზრდელი ძიძა გახლდათ.

მე და საკონსულოს თანამშრომელმა მირზა ქერიმ ხანმა ცოტა ხანი ფეხით გავისეირნეთ, მერე *დროშკა* ვიქირავეთ და მოჯთაპედის ბაღში[593] წავედით. ეს მთელ თბილისში ყველაზე ცნობილი ბაღი და სასეირნო ადგილია. აქაურობა ძალიან ლამაზია. თბილისელები – ქალები, კაცები და ბავშვები – საღამოობით ამ ბაღში ჯგუფ-ჯგუფად სეირნობენ. მშვენიერი მუსიკა უკრავდა და ჩვენ ცოტა ხანი მუსიკის მოსასმენად დავსხედით. ორკესტრის დირიჟორმა რომ დაგვინახა, ბრძანა, ირანული მელოდია დაეკრათ. ასეთი კარგი დაკვრა ირანშიც კი არ მომესმინა. სანამ დაიწყებდნენ, ყველამ მე შემომხედა. მეც სხვების დასანახად თავი მოვიწონე[594] და დირიჟორს რამდენიმე ირანული ოქროს ფული ვაჩუქე. ძალიან გაუხარდა, რადგან აქ ირანული ფული იშვიათობაა. ვილაცეები მოვიდნენ,

---

593 იხ. შენიშვნა 78.

594 ავტორი ხმარობს ირანულ გამოთქმას „mashtigari kardan", რაც ძვირფასი ტანსაცმლის ტარებით ან საქვეყნოდ ფულის ხარჯვით საკუთარი სიმდიდრის დემონსტრირებას ნიშნავს.



თბილისი, მოჯთაპედის (ახლანდელი მუშტაიდის) ბაღის რესტორანი.
1900-იანი წლების ღია ბარათი.

ფული გამოართვეს და თვალიერება დაუწყეს. მზის ჩასვლისთვის სახლში დავ-ბრუნდი და წერილების წერა განვაგრძე. მერე ვივახშმე და დავიძინე.

თბილისში – 10 მუჰარამი (10 მაისი), ხუთშაბათი:

აშურას დღესთან დაკავშირებით დილით მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი, აყა ჰოსეინ ფაშა ხანი და მე საკონსულოში ნაზემ ალ-მოლქის *როუზეს* დავესწარით. ირანელებისა და კავკასიელი მუსლიმების ორი-სამი ჯგუფი შეკრებილიყო და რაღაც უჩვეულოდ გლოვობდა. თეირანში ასეთი არაფერი მენახა. მწარედ ავტირდი. ნაშუადღევს მუსლიმებისთვის თანაგრძნობის გამოსახატავად მეჩეთში წავედით. ეს მეჩეთი შაჰ აბას სეფიანის აგებულია. ის მდინარე მტკვრის პირას, ხიდთან ახლოს დგას. პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი შენობაა. თეირანის მეჩეთებს სულ არ გავს. მისი ინტერიერი მთლიანად მოოქროვილი და მოხატულია და სარკეებით არის გაწყობილი. ძალიან მომეწონა, რომ კარებზე, ჭერზე და კედლებზე ალაჰის სახელები და პატარა ჰადისები ეწერა, მაგალითად „სიწმინდე რწმენისაგან" და მისთანანი. უეჭველია, რომ იმ მუსლიმს, რომელიც მეჩეთში ათჯერ მოვა და ამ ბრწყინვალე ჰადისებს წაიკითხავს, მეთერთმეტეჯერ ღმერთისა და წინასწარმეტყველის შერცხვება, მეჩეთში ფეხსაცმელს აღარ შეიტანს, თავისი სულიერი ძმის გვერდით არ დააწყობს, ბაყაყივით წამდაუწუმ ძირს არ დააფურთხებს და სხვა ღვთისმოსავებს მეორედ აქ მოსვლის სურვილს არ გაუქრობს. თბილისის მეჩეთი ოსმალურ მეჩეთებს ჰგავს, ანუ წინ ღია სივრცე არა აქვს, ქუჩიდან პირდაპირ დიდ გადახურულ კარიბჭეში შედიხარ და იქიდან გასასვლელით ხვდები მეჩეთის ცენტრში, რომელსაც გუმბათი ხურავს.

მისი ბრწყინვალება თბილისის *შეიხ ალ-ესლამი* ვნახე. მაღალია და გრძელი თეთრი წვერი და ლამაზი ულვაშები აქვს. აქაური მუსლიმები მისით ძალიან კმაყოფილები არიან. ცოტა სპარსული იცის. კარგი მუსლიმი და ძალიან ღირსეული კაცია. როგორც ირანის, ისე რუსეთის მთავრობებისგან ორდენები და სხვა ჯილდოები აქვს მიღებული. მთელ კავკასიაში, რომლის ერთ ნაწილს თბილისიც წარმოადგენს, *შეიხ ალ-ესლამი* რუსეთისა და ირანის მთავრობების შეთანხმებითა და ბრძანებით ინიშნება და ერთპიროვნულად აკონტროლებს *ფიკჰის* საქმეებს. აქ ისე არ არის, როგორც თეირანში ან ირანის სხვა მხარეებში, სადაც ნებისმიერი თავზეხელაღებული ჯერ ოთხი წელი *მედრესეს* შეაფარებს თავს, მერე კი ხელისუფლების ნებართვისა და თანხმობის გარეშე რასაც უნდა, იმას აკეთებს და მხოლოდ შემოსავალზე და იმ სახელმწიფო საქმეების კონტროლზე ფიქრობს, რომელიც მას სულ არ ეხება.

ერთი-ორი *როუზეხანის* გამოსვლის შემდეგ *შეიხ ალ-ესლამმა* კათედრაზე მდგარ *სეიდს* თურქულად უთხრა: „ამ ბატონებს და მომლოცველებს მუსლიმი ღარიბ-ღატაკებისთვის შესაწირავი გამოართვი". *სეიდმა* ხალხს მოწყალების გაღებისკენ მოუწოდა. ვინც აძლევდა, *სეიდი* მის სახელს კათედრიდან ხმამაღლა აცხადებდა, მავანმა ესა და ეს თანხა გაიღო და ლოცავდა. ვისაც შეეძლო, თითქმის ყველამ მისცა. ვაჭრის სამოსში გამოწყობილი კაცი ფულს აგროვებდა და *შეიხ ალ-ესლამს* ფეხებთან უდებდა. ეს აქცია ძალიან მომეწონა. დაახლოებით 400-500 მანეთი შეგროვდა. ერთი *როუზეხანი მინბარიდან* გადმოიხარა და *შეიხ ალ-ესლამს* ჩუმად უთხრა: „მეჩეთში ერთი კაცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ ქუჩაში მთვრალი მოდიოდა და ილანძღებოდა. ნება მიბოძეთ, ხმამაღ-



თბილისი, მეტეხის ხიდი და შიიტური მეჩეთი. 1900-იანი წლების ლია ბარათი.

ლა გამოვაცხადო, რომ ყველა მუსლიმმა გაიგოს". *შეიხ ალ-ესლამი* გაბრაზდა და უბრძანა: „სხვის საქმეში ნუ ეჩრები, *როუზე* თქვი და ქვევით ჩადი. ღმერთმა თავისი მონების საქმე შენზე უკეთ იცის". მისი ასეთი ყოვლისმიმტევებლობა ძალიან მომეწონა და ჩუმად დავლოცე. ნაშუადღევს ოთხ საათზე, მიუხედავად იმისა, რომ შეკრება დამთავრებული არ იყო, ავდექით და სახლში წავედით.

მზის ჩასვლის შემდეგ მე და გრაფმა ცოტა ხანი *ჰოტელის* წინ ფეხით გავისეირნეთ. მუსლიმ ქალთა ჯგუფმა ჩაგვიარა. მათ უამრავი მოსეირე მისდევდა. *დროშკა* ვიქირავეთ და შეუმჩნევლად უკან გავყევით. მერე სახლში დავბრუნდით, შუაღამისას ვივახშმეთ და დავიძინეთ.

თბილისში – 11 მუჰარამი (11 მაისი), პარასკევი:

დილით მე და მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი მირზა ასადოლაჰ ხანთან სასტუმრო „ლონდონში" წავედით. მირზა ასადოლაჰ ხანი ნესა ხანუმ ყაფარის ვაჟია. ეს ქალი კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და მდიდარი ადამიანია. მას ეკუთვნის კავკასიის გზები, რომელთა მოწესრიგებულობა და გამძლეობა მთელ რუსეთშია განთქმული. ღმერთმანი, სამწუხაროა, რომ ამ ქალის ლეჩაქი არ ხურავს სეიდ ასადოლაჰ ბაყეროვს, რომელიც ჩემ მიერ ადრე აღწერილ რაშთი-თეირანის გზას განაგებს.

მირზა ასადოლაჰ ხანმა სადილად დაგვპატიჟა. ის 18 წლის ზრდილი და წესიერი ახალგაზრდაა. სადილის მერე სახლში დავბრუნდით. ძალიან დაღლილი ვიყავი და დავიძინე. საღამოს ნაზემ ალ-მოლქი და საკონსულოს სხვა თანამშრომლები მესტუმრნენ. მათთან ერთად ბათუმში ირანის კონსული მირზა აჰმად ხანიც მოვიდა. რადგან აყა ჰოსეინ ფაშა ხანი და გრაფი *კონცერტზე* იყვნენ წასულები, მის აღმატებულება ნასერ ალ-მოლქთან და მირზა ასადოლაჰ ხანთან ერთად ვივახშმე. გვიან ღამით, როცა აყა ჰოსეინ ფაშა ხანი და გრაფი დაბრუნდნენ, დაახლოებით ნახევარი საათი მთვარის შუქზე *ჰოტელის* წინ გავისეირნეთ და თეირანში ჩვენი ქუჩა გავიხსენეთ.

თბილისში – 12 მუჰარამი (12 მაისი), შაბათი:

დილით მე და აყა ჰოსეინ ფაშა ხანი სადალაქოში წავედით და თავი მოვიწესრიგეთ. სადილის შემდეგ ძალიან მოწყენილი ვიყავი და ორ საათზე მეტ ხანს მეძინა. მზის ჩასვლამდე ერთი საათით ადრე გავიღვიძე. ტანსაცმელი ჩავიცვი და სასწრაფოდ წავედი აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან, რომელიც სასადილო დარბაზში მირზა ასადოლაჰ ხანთან, ბათუმის კონსულ მირზა აჰმად ხანთან, საკონსულოს თანამშრომელ მირზა დაუდ ხანთან და კიდევ რამდენიმე ირანელთან ერთად ჩაის სვამდა და საუბრობდა. მირზა აჰმად ხანმა მოწყენილობა შემატყო და ყველანი სასეირნოდ დაგვპატიჟა. წავედით ჯერ მოჯთაჰედის ბაღში და მერე ბაღ „ფანტაზიაში"[595] (Fantazyā), რომელიც ქალაქგარეთ, პატარა მდინარის პირას

[595] „ფანტაზია" იყო ბაღი-რესტორანი დაახლოებით ახლანდელი ზოოპარკის ტერიტორიაზე, მდ. ვერეს პირას. 1890-1900-იან წლებში აქ ხშირად იკრიბებოდა სანადიმოდ ქართველი თავადაზნაურობა.

არის გაშენებული და სახალხო სასეირნო ადგილია. ბაღში ერთმანეთის ახლოს ხის ფანჩატურები დგას და იქიდან ბაღის ცენტრში მდებარე დიდ სასტუმრომდე ზარია გაყვანილი. ზარით შეგიძლია გამოიძახო ოფიციანტი, რომელიც როგორც *ჰოტელში*, ისე მოგემსახურება და დასასვენებლად და დროს გასატარებლად რასაც მოისურვებ, ყველაფერს მოგიტანს. ბაღში სასეირნოდ ძალიან ლამაზი პატარა ხეივნებია გაყვანილი. აქა-იქ მუსიკის ხმა ისმოდა. მირზა აჰმად ხანის დაჟინებული თხოვნით ერთ ძალიან, ძალიან ლამაზ აივანზე დავსხედით. ჩვენ პირდაპირ პატარა მწვანე მთების უკან ღრუბლებიდან მთვარე იყურებოდა. მირზა აჰმად ხანმა კავკასიელ *მუტრიბთა* ანსამბლი მოაყვანინა, რომ კავკასიის სახალხო დამკვრელები გვენახა. მოვიდნენ და დაუკრეს. მათი მუსიკა ან მარ-თლა ძალიან შთამბეჭდავი იყო, ან რადგან დიდი ხანია მუსიკოსების დაკვრა არ მომესმინა, იმიტომ იმოქმედა ასე. ერთი ბრმა კაცი ქემანჩეზე უკრავდა, დანარ-ჩენები კი – დაირაზე, თარზე და დოლზე. მათი ქემანჩე ირანულ ქემანჩეს ჰგავს, ოღონდ უფრო უბრალო და პატარაა. თარი და დაირაც დაახლოებით ჩვენნაირი აქვთ, ოღონდ მათი თარი ათსიმიანია: აქედან ხუთი სიმი, ისე როგორც ჩვეუ-ლებრივ თარზე, ძირითადია და მელოდიის ასაწყობად არის, დანარჩენი ხუთი კი ბოლო აკორდებზე მელოდიის შესანარჩუნებლად გამოიყენება. მათი დოლი დაფდაფის ფუნქციასაც ასრულებს: ორ რეზონატორს შორის პატარა ზარია დამაგრებული, რომელზეც მუსიკოსი დროდადრო ჩამოჰკრავს ხოლმე. დოლზე დასარტყამი ჯოხი საწერ კალამზე სქელი არ იქნება და ძალიან კარგი ხმა აქვს. კიდევ ერთი კაცი მოიყვანეს, რომელიც ანსამბლის წევრი არ იყო, მაგრამ *გარ-მონზე* (hārmonī) ისე კარგად უკრავდა, შორიდან პიანინო გეგონებოდათ. იმდენად შეწყობილად უკრავდნენ, თითქოს კარგი *ორკესტრიაო* (orkest). წვიმა წამოვიდა და ჰაერი კიდევ უფრო სასიამოვნო გახდა. ამინდით მოხიბლულები მირზა აჰმად ხანის დაჟინებულ თხოვნას დავყევით და საავახშმოდ დავრჩით. სახლში გამთენი-ის სამი საათისთვის დავბრუნდით. ბალიშზე ქინძისთავით დამაგრებული გრაფის წერილი დამხვდა. მთხოვდა, როგორც კი მოვიდოდი, გამეღვიძებინა, რადგან რაღაც გადაუდებელი საქმე ჰქონდა. აყა ჰოსეინ ფაშა ხანის ოთახში შევედი და გრაფი გავაღვიძე. გაირკვა, რომ ირანში თურქეთის სრულუფლებიან ელჩს, მის აღმატებულება შამს ად-დინ ბეგს, რომელიც სტამბოლში მიდიოდა, გზად თბილისზე უნდა გაევლო. ამიტომ ბაქოდან ნაზემ ალ-მოლქს ტელეგრამა გაუგ-ზავნა და სთხოვა, ეს ამბავი ჩემთვის ეცნობებინა, რომ ხვალ დილით რკინიგზის სადგურზე დავხვედროდი და ნახევარი საათით მაინც მენახა. იმ ფაქტმა, რომ მის აღმატებულება ელჩს, ნამდვილ ღვთისმოსავ მუსლიმსა და კარგ ამხანაგს, ვნახავდი, მშვენიერ ხასიათზე დამაყენა და ბედნიერმა დავიძინე.

თბილისში – 13 მუჰარამი (13 მაისი), კვირა:

დილით ნაზემ ალ-მოლქმა გამაღვიძა. ტანსაცმელი ჩავიცვი, *დროშკაში* ჩავსხედით და რკინიგზის სადგურში წავედით. ნახევარ საათში მატარებელი ჩამოდგა და იქიდან მისი აღმატებულება ელჩი და მისი მესამე მოადგილე ზია' ად-დინ ბეგი გადმოვიდნენ. ერთმანეთის ნახვა ძალიან გაგვიხარდა. დაახლოე-ბით ნახევარი საათი ვისხედით და ვსაუბრობდით. აყა ჰოსეინ ფაშა ხანი და გრაფიც მოვიდნენ. ბილეთები ავიღეთ, ელჩთან ერთად ვაგონში ავედით და

შემდეგ სადგურამდე, რომელიც თბილისიდან 3 *ფარსანგით* არის დაშორებული, გავაცილეთ. მერე ისევ თბილისში მიმავალ მატარებელზე გადავჯექით და უკან დავბრუნდით. გზაზე ნაზემ ალ-მოლქის დაჟინებული თხოვნით ფოტოატელიეში შევედით და სურათი გადავიღეთ. მერე საკონსულოში წავედით, რადგან მის აღმატებულება *შეიხ ალ-ესლამს* ჩვენი ნახვა სურდა, მაგრამ *ჰოტელში* მოსვლა არ უნდოდა და ამიტომ შეხვედრა საკონსულოში დაგვითქვა. ჩვენ რომ მივედით, *შეიხ ალ-ესლამი* უკვე იქ დაგვხვდა. ერთმანეთის ნახვა ძალიან გაგვიხარდა და სალაპარაკოდ დავსხედით. ძალიან საინტერესო მოსაუბრეები აღმოჩნდნენ, განსაკუთრებით *შეიხ ალ-ესლამი*, რომელმაც თქვა: „მუსლიმ ღვთისმეტყველებს (განსაკუთრებით თეირანის, რადგან დედაქალაქია) იმ დროის ნახევარი მაინც, რასაც რიტუალურ განბანვაზე ხარჯავენ, *აიებისა* და ჰადისების აზრის გაგებასა და *ჯიჰადის* წესების გარკვევაში რომ გამოიყენებინათ, ჩვენი ქვეყანა და ხალხი არასოდეს დამცირებული, დაპყრობილი და დამორჩილებული არ იქნებოდა". ასევე თქვა: „ჩემი ღრმა რწმენით, მათ, ვისაც *მოჯთაჰედობა* სურთ, თავიდან ევროპის სკოლებსა და სასწავლებლებში უნდა მიიღონ განათლება და ჯერ საერო სამართალი და სხვა საჭირო მეცნიერებები უნდა ისწავლონ, მერე კი ჩალმა დაიხურონ და *ფიკჰის* კანონების შესწავლას შეუდგნენ". მისმა საუბარმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჭეშმარიტად, დიდებული სიტყვებია! ნეტავ, მართლა ასე იქნებოდეს!

საკონსულოში ვისადილეთ და საღამოს სახლში დავბრუნდით. მის აღმატებულება ნასერ ალ-მოლქთან და გრაფთან ერთად ვივახშმე. დასაძინებლად ადრე დავწექით. მე იმიტომ, რომ ძალიან დაღლილი ვიყავი, ნასერ ალ-მოლქი კი მეორე დილით ადრე ბორჯომში (Borzhom) აპირებდა წასვლას. ბორჯომი ცნობილი სააგარაკო ადგილია და იქამდე მატარებლით ოთხი-ხუთი საათის გზაა. იქ რამდენიმე მინერალური წყაროა, რომლის წყალიც მთელ მსოფლიოში გააქვთ. დაახლოებით ერთი საათის დაძინებული ვიყავი, როცა ჩემი საძინებლის კარზე ძლიერად დააბრახუნეს. მირზა ასადოლაჰ ხანი იყო. ლოგინიდან ძალით ამაყენა, ტანსაცმელი ჩამაცვა და წამიყვანა ერთ ოთახში, სადაც გრაფი პიანინოზე უკრავდა. მის გარშემო რუსი არისტოკრატები და კავკასიელი მდიდრები იყვნენ შეკრებილი. მირზა ასადოლაჰ ხანმა მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქიც გააღვიძა და მოიყვანა. ერთი საათის დროსტარების შემდეგ ისევ ძილი მომერია. ამასობაში დაბრუნდა ჰოსეინ ფაშა ხანი, რომელიც იმ საღამოს ბაღ „ფანტაზიაში" იყო დაპატიჟებული. ძალიან კმაყოფილი ჩანდა და იქაურ მთვარეს და სილამაზეს აქებდა. დაიჟინა: მშვენიერი ამინდია, კარებთან *დროშკა* გველოდება, წავიდეთ, ერთი საათი იმ ბაღში გავისეირნოთო. უარი ვუთხარი და ვურჩიე, დასაძინებლად წასულიყო.

თბილისში – 14 მუჰარამი (14 მაისი), ორშაბათი:

დილით რომ გავიღვიძე, მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი უკვე წასული დამხვდა. შუადღისთვის მე და გრაფი მუსიკალური საკრავების დუქანში წავედით და მერე *ჰოტელში* ვისადილეთ. სადილის შემდეგ მოვიდა ერთი დერვიში, რომელსაც ირანში ხშირად ვხვდებოდი და ამასწინათაც ვნახე საკონსულოში, სადაც *როუზეზე ხუტბა* წაიკითხა. გუშინ გზაში ვთხოვე, რომ ნარგილე შეეძინა

და ჩვენთან *ჰოტელში* მოეტანა. მე, მირზა აჰმად ხანი, დაუდ ხანი და მირზა ასადოლაჰ ხანი აყა ჰოსეინ ფაშა ხანის ოთახში შევიკრიბეთ, ნარგილე მოვწიეთ და ირანი გავიხსენეთ. მერე ცოტა ხანი ქუჩაში ფეხით გავიარეთ, საფოსტო ბარათები ვიყიდეთ და სახლში დავბრუნდით.

დღეს სადილის შემდეგ გრაფი პიანინოზე დასაკრავად რუსებთან წავიდა და ჯერ არ მინახავს. დაღამებისას აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან და მირზა იაროსახ ხანთან ერთად ქუჩაში გავისეირნე და დიდი ტყავის ჩემოდანი ვიყიდე. ტანსაცმლის გამოცვლის თავი არ მქონდა, ამიტომ მე და აყა ჰოსეინ ფაშა ხანმა ჩემს საძინებელში ვივახშმეთ. დღეს საღამოს მირზა ასადოლაჰ ხანმა გრაფი კონცერტზე დაპატიჟა და ჯერ არ დაბრუნებულა.

თბილისში – 15 მუჰარამი (15 მაისი), სამშაბათი:

დილით *ჰოტელის* ქვედა სართულზე განლაგებული დუქნებიდან ორდენის ჩასადები პატარა ტყავის ჩანთები ამოიტანეს და ვიყიდე. გრაფთან ერთად სასტუმროში ვისადილე. სადილის შემდეგ დიდხანს მეძინა. საღამოს ნაზემ ალ-მოლქმა და ბათუმის კონსულმა მირზა აჰმად ხანმა გამომიარეს და მის აღმატებულება *შეიხ ალ-ესლამთან* წავედით. მისი სახლი მუსლიმების ქუჩაზე იყო. ის ნესა ხანუმს ეკუთვნოდა და აქირავებდა. *შეიხ ალ-ესლამს* სახლში დაბალი კრაველის ქუდი ეხურა, რომელიც კაზაკების ქუდს ჰგავდა. ჩვენი მისვლა ძალიან გაუხარდა. მისი ბრწყინვალება აყა-იე ჰაჯის[596] – ღმერთმა აკურთხოს მისი საფლავი – კომენტარები მთხოვა. დავპირდი, რომ თეირანიდან გამოვუგზავნიდი. ოთახში რუსულ ტანსაცმელსა და ქუდში გამოწყობილი 17-18 წლის ახალგაზრდა შემოვიდა და მოგვესალმა. ის მასპინძლის ვაჟი აღმოჩნდა. *მედრესეში* სწავლობდა, მაგრამ სპარსული სულ არ იცოდა. მოგვიანებით თბილისში მცხოვრები ოსმალების *ყადი*, რამდენიმე მუსლიმი ვაჭარი და *შეიხ ალ-ესლამის* თანამშრომლები მოვიდნენ. მზის ჩასვლას ნახევარი საათი აკლდა, სასტუმროში რომ დავბრუნდით. ნაზემ ალ-მოლქმა *ჰოტელის* კარამდე მიგვაცილა და სახლში წავიდა. მე და მირზა ასადოლაჰ ხანმა წიგნების სამკაზმაო დუქანში გავიარეთ და ალბომი ვიყიდეთ. ვახშმის შემდეგ მე და ჰოსეინ ფაშა ხანმა მთვარის შუქზე ქუჩაში გავისეირნეთ. გრაფი ისევ იმ რუსებთან იყო სტუმრად. შუაღამე გადასული იყო, ბაღ „ფანტაზიაში" რომ წავიდნენ. მისი დაბრუნება არ გამიგია.

თბილისში – 16 მუჰარამი (16 მაისი), ოთხშაბათი:

დილით ჩემთან საკონსულოს რამდენიმე თანამშრომელი მოვიდა. აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან და გრაფთან ერთად *ჰოტელში* ვისადილე და ნაშუადღევს ცოტა დავიძინე. საღამოს მე, გრაფი და მირზა დაუდ ხანი წავედით მოჯთაჰედის ბაღში, სადაც შვიდი თვიდან სამოცდაათ წლამდე ასაკის დაახლოებით ორი-სამი ათასი კაცი ირეოდა. მართლაც, რომ არაჩვეულებრივი სანახაობა იყო: ზოგი

---

[596] იგულისხმება საფი ალიშაჰი ანუ ჰაჯი მირზა მოჰამად ჰასან ესფაჰანი (1251-1316), რომელიც ცნობილი სუფი შეიხი იყო. საფი ალიშაჰი ავტორია მრავალი წიგნისა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი მის ლექსად დაწერილ ყურანის კომენტარებს უკავია.

სეირნობდა, ზოგი იჯდა, ზოგი კი ჩაისა და რაც მის გულს გაუხარდებოდა, იმას მიირთმევდა. სიჩუმეს მხოლოდ ფეხების ხმა და მოთამაშე ბავშვების სიცილი არღვევდა. თან განა რიკ-ტაფელას თამაშობდნენ, რომ ვინმესთვის ან თავი გაეტეხათ, ან თვალი ამოეთხარათ. ერთი საათის დაღამებული იყო, ჩვენ კი ისევ ბაღში ვისხედით და მუსიკას ვუსმენდით. უკანა გზაზე სიგარეტის საყიდლად *ჰოტელის* ახლოს დუქანში შევედით და სიგარეტის მოსახვევი მანქანა დავათვალიერეთ. ჩარხთან ერთი ბავშვი იჯდა და დღეში 50 000 სიგარეტს ახვევდა. გზაში რომ არ ვყოფილიყავი და დიდი ხარჯი რომ არ მქონოდა, ამ დანადგარს ჩვენი საძმოს ყავახანისთვის ვიყიდიდი. დაახლოებით ორი საათის დაღამებული იყო, როცა მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი ბორჯომიდან დაბრუნდა. იქაური ჰაერითა და სილამაზით უზომოდ აღტაცებული იყო და გული სწყდებოდა, რომ მე წასვლაზე უარი ვთქვი.

თბილისში – 17 მუჰარამი (17 მაისი), ხუთშაბათი:

დილით გრაფი მოვიდა და წამიყვანა თავის ოთახში, რომელიც *ჰოტელის* უკანა ეზოს გადაჰყურებდა. იქ ერთ არდებილელ თურქ კაცუნას მოეტანა ყუთი და ტომარა, რომელშიც გველი ჰყავდა. გველი თამაშობდა და უსტვენდა. *ჰოტელის* სტუმრები კარებთან იდგნენ და მათ უყურებდნენ. ძალიან სასაცილო კაცუნა იყო. რაღაცას მღეროდა და თავისი წარმოდგენით ასე შვიდი-რვა მანეთი შეაგროვა.

დღისით მის აღმატებულება ნასერ ალ-მოლქთან და გრაფთან ერთად ცხელი წყლის აბანოში წავედი. კარგად ვიბანავეთ და სახლში დავბრუნდით. მე, საწყალს, ეს აბანო აშკარად არ მომიხდა: ორჯერ ვიყავი და ფეხები და წელი ამტკივდა და ცუდად გავხდი. სადილის შემდეგ აყა ჰოსეინ ფაშა ხანის ოთახში კარგად გამოვიძინე. მზის ჩასვლისთვის გავიღვიძე და მიუხედავად იმისა, რომ შეუძლოდ ვიყავი, ცოტა ხანი ქუჩაში გავისეირნეთ. მერე *ჰოტელის* სასადილოში შევედით და სხვა საღამოებთან შედარებით უფრო ადრე ვივახშმეთ. უკვე დანაყრებული ვიყავით, როცა მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი მოვიდა და ნაზემ ალ-მოლქის გამოგზავნილი დიდი ქვაბი კარგი ირანული ფლავი მოგვიტანა. ისევ დავსხედით და ვახშამი განვაგრძეთ, მერე კი დასაძინებლად წავედით.

თბილისში – 18 მუჰარამი (18 მაისი), პარასკევი:

დილით აყა ჰოსეინ ფაშა ხანთან და გრაფთან ერთად ნესა ხანუმის ვაჟთან მირზა ასადოლაჰ ხანთან წავედი. ერთ საათში უკან დავბრუნდით და სასადილოში ვისადილეთ. აყა ჰოსეინ ფაშა ხანის ოთახში ვისვენებდით, როცა საშინლად აღელვებული ნასერ ალ-მოლქი შემოვიდა. ხელში სამეფო კარის მინისტრის მისი აღმატებულება ჰაქიმ ალ-მოლქის ტელეგრამა ეჭირა. შაჰის ბრძანებით ის საზღვარზე უნდა წასულიყო და გაეკონტროლებინა, რომ სამეფო კორტეჟის ჩამობრძანებასთან დაკავშირებით რუსებს გზაზე საფოსტო სადგურებში დაახლოებით 5000 საფოსტო ცხენი და ეტლი მოემზადებინათ. ძალიან შეწუხებული იყო, რადგან ჯერჯერობით არც ცხენები ჩანდა და არც ეტლი. *ჰოტელის* ტელე-

ფონით საკონსულოს დაუკავშირდა და სასწრაფოდ ნაზემ ალ-მოლქი გამოიძახა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ნაზემ ალ-მოლქი და საკონსულოს ერთი თანამშრომელი რუსების ფოსტის უფროსთან წავიდნენ, რომ იქნებ როგორმე დაეყოლიებინათ. ცოტა ხანში უარით დაბრუნდნენ. მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი საშინლად აღშფოთდა. ამასობაში თავად ფოსტის უფროსის თანაშემწე მოვიდა და ბოდიში მოგვიხადა. მისმა აღმატებულებამ მას თხოვნა გაუმეორა და უთხრა: „ვიცი, რომ რუსეთში გამოგზავნილი მითითების თანახმად, მე ბაქოდან სამეფო ამალა, ცხენი და *კალიასკა* მეკუთვნის. ჩემი ფადიშაჰის ბრძანება რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა შევასრულო და ცხენი და ეტლი რომც ვერ ვიშოვო, დანიშნულების ადგილზე ფეხით ჩავალ. რადგან თქვენი სტუმარი ვარ, უმორჩილესად გთხოვთ, ჩემს გამგზავრებასთან დაკავშირებით რაიმე ილონოთ". ფოსტის უფროსის თანაშემწე ცოტა ხანი ჩაფიქრდა, ოთახში გაიარ-გამოიარა და თქვა: „შემიძლია, ბრძანება გავცე, რომ თითოეულ ფოსტის სადგურზე ოთხი ცხენი დაგახვედრონ, მაგრამ მათი ქირის ფული თქვენ უნდა გადაიხადოთ და ეტლიც თვითონ უნდა შეიძინოთ". მიუხედავად იმისა, რომ მან თხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა, მისმა აღმატებულება ნასერ ალ-მოლქმა დიდი მადლობა გადაუხადა და გასამგზავრებლად მზადება დაიწყო. რადგან კავკასიის მთელი გზები თავისი ტრანსპორტით მირზა ასადოლაჰ ხანს ეკუთვნოდა, ნასერ ალ-მოლქმა მისი იქ ყოფნით ისარგებლა და *კალიასკა* სთხოვა. როგორც აღმოჩნდა, თბილისიდან სასაზღვრო სადგურ აღსთაფამდე (Aq Estefā) და უკან 90 *ვერსი* იყო, მას კი ცხენები არ ჰყავდა, მაგრამ მზად იყო, ცარიელი ეტლი მოეცა. შეთანხმდნენ, რომ ეტლს თბილისის რკინიგზის სადგურიდან საბარგო მატარებლით გაგზავნიდნენ და აღსთაფაში, სადაც გზა იყოფა, ცხენებს შეაბამდნენ.

რადგან თბილისში ყოფნისგან საკმაოდ გაბეზრებული ვიყავი და თან ძალიან მინდოდა, რომ მისი უდიდებულესობა შაჰისთვის თაყვანი მეცა და მისი უმაღლესობა სადრ ა'ზამი და სხვა კოლეგები მენახა, მის აღმატებულება ნასერ ალ-მოლქს მასთან ერთად გამგზავრების ნებართვა ვთხოვე. დიდი სიამოვნებით დამთანხმდა. [ჩემი გადაწყვეტილება] გრაფს შევატყობინე. ტანსაცმლის ჩანთა და სხვა ნივთები, რომლებიც თან მიგვქონდა, შეკრა და დიდ სკივრში ჩააწყო. გასაღები საკონსულოს თანამშრომელს, ერთ ძალიან კარგ ახალგაზრდა კაცს მირზა ქერიმ ხანს მივეცი და ვუთხარი, რომ შევატყობინებდი, სად უნდა გამოეგზავნა. საღამოს 9 საათზე მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი, ნაზემ ალ-მოლქი, საკონსულოს თანამშრომლები, აყა ჰოსეინ ფაშა ხანი, გრაფი, ასადოლაჰ ხანი და ფოსტის უფროსის თანაშემწე, რომელიც ჩვენ გასაცილებლად მოვიდა, *ჰოტელ „ორიანტიდან"* გამოვედით და რკინიგზის სადგურში წავედით. *კალიასკა*, რომლითაც აღსთაფადან უნდა გვემგზავრა, საბარგო მატარებელზე დადეს. ბილეთები ვიყიდეთ და თანამგზავრებს დავემშვიდობეთ. მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი, მისი მსახური სოჰრაბ ბეგი, ნესა ხანუმის თანაშემწე ებრაჰიმ ბეგი (რადგან სამგზავრო ეტლი მათი საკუთრება იყო, ჩვენთან ერთად წამოვიდა) და თქვენი მონა-მორჩილი მატარებელში ჩავსხედით. ათის ნახევარზე *ლოკომოტივმა* დაიკივლა და მატარებელი დაიძრა...

თბილისში ჩასვლა – 28 მუჰარამი (28 მაისი), ორშაბათი:

სამეფო ამალის თანხლებით თბილისში შევედით. რკინიგზის სადგურზე [მატარებლიდან] გადმოვედით და სპეციალურად შაჰის კორტეჟისთვის მომზადებული საუცხოო *დროშკებით* სახლისკენ წავედით. მართლაც, რომ მეფური პატივით მიგვიღეს. სადგურიდან კავკასიის მთავარმართებლის სასახლემდე, რომელიც მისი უდიდებულესობის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი, გზის ორსავე მხარეს სამხედროები და სკოლის მოწაფეები იდგნენ. ქალაქის მოსახლეობა უკანა რიგებში და სახლების აივნებზე გამოფენილიყო და რაღაცას ყვიროდა. „*ურას*" ძახილმა საშინლად გამაღიზიანა. როგორც გრაფმა მითხრა, *ნევროზი* მქონდა. ორ-სამ ადგილას აღმართულ ტრიუმფალურ თაღზე მისი უდიდებულესობა შაჰის პატივსაცემად ლომისა და მზის გერბიანი დროშები ეკიდა. მთავარმართებლის შენობასთან მისი უდიდებულესობა ეტლიდან გადმოვიდა და დიდი ზარ-ზეიმით კიბეზე ავედით. ერთ დარბაზში *მეჰმანდარმა* ადმირალმა დაახლოებით 100 კაცი წარმოგვიდგინა. მისმა ბრწყინვალება *შეიხ ალ-ესლამმა* მშვენიერი სპარსულით ჩინებული მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა, რომელსაც მისმა უდიდებულესობამ ფეხზე დამდგარმა მოუსმინა. ამის მერე დასასვენებლად და სადილისთვის მოსამზადებლად შედარებით პატარა ოთახში გადავედით. მისი უმაღლესობა *სადრ ა'ზამისა* და რამდენიმე მსახურის, მათ შორის, *აბდარის* და *ყაჰვეჩის* გარდა, ყველანი *ჰოტელ* „ორიანტში" დაგვაბინავეს. *ჰოტელის* გზაზე მე და გრაფი სამხედრო მინისტრს მთავარსარდალ მირზა ქერიმ ხან ფირუზქუჰის შევხვდით, რომელიც ბაქოდან ახალი ჩამოსული იყო. ვერ გეტყვით, ისე გამიხარდა მისი დანახვა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ მასთან ერთად ჩემი საძმოს წევრი *სართიფი* ჰაშემ ხანიც ჩამოსულიყო. ისინი მის უმაღლესობა *სადრ ა'ზამთან* წავიდნენ, ჩვენ კი *ჰოტელში* მივედით, ხელ-პირი დავიბანეთ და სადილისთვის მოვემზადეთ. სადილი მთავარმართებლის სასახლეში ერთ ძალიან დიდ და ლამაზ ოთახში გაეწყოთ. ოთახი ირანულ ყაიდაზე ნაძერწობებით და სარკეებით იყო მორთული. კარ-ფანჯრებში ძველი ირანული წესისამებრ პატარა ფერადი მინები ჩაესვათ. მაგიდები გაშლილი დაგვხვდა. ვისადილეთ და *ჰოტელში* დავბრუნდით.

ერთი საათის შემდეგ ჩემთან სტუმრად მოსულ მის აღმატებულება მოვასაყ ად-დოულესთან ერთად ცხელი წყლის აბანოში წავედი. ცოტა ხანში მისი უმაღლესობა *სადრ ა'ზამი* და მისი აღმატებულება კარის მინისტრი მხლებლებთან ერთად მოვიდნენ. ერთ და ორკაციანი ნომრები ავიღეთ. აბანოდან სალამოხანს გამოვედით და მის უდიდებულესობა შაჰს ვეახლეთ. სასახლის აივანზე ორი-სამი პოლკი გამწკრივებულიყო. ძალიან კარგი სანახაობა იყო. დღეს მთელმა თბილისმა ამ ქუჩაზე მოიყარა თავი. შენობის წინ უამრავი ხალხი ირეოდა. ერთ ოთახში კაზაკები მღეროდნენ და ცეკვავდნენ. მეორე ოთახში 50 კაცი რუსულ ხალხურ საკრავზე უკრავდა. მათი ინსტრუმენტი ზომით პატარა ირანულ *სეთარსა* და დიდ ვიოლონჩელოს შორის იყო. ორი ჩვეულებრივი და ერთი თეთრი სიმი ჰქონდა. თითით უკრავდნენ. მის უდიდებულესობას ძალიან მოეწონა. მოსაღამოვდა. რადგან ვახშამი არ მინდოდა, მის უმაღლესობას დავეთხოვე და *ჰოტელში* დავბრუნდი. მისმა აღმატებულება მთავარსარდალმა თეირანიდან ჩემთვის გამოგზავნილი ქაღალდები გადმომცა. 43 კონვერტი იყო და ფურცლების უმრავლესობაზე

ორივე მხრიდან ეწერა. ტანსაცმელი გავიხადე. აყა ჰოსეინ ფაშა ხანი, რომელიც დანიშნულების ადგილზე ჯერ არ გამგზავრებულიყო და ისევ ამ *ჰოტელში* და იმავე ოთახში ცხოვრობდა და საკონსულოს თანამშრომელი მირზა დაუდ ხანი, რომელიც წინა ჩამოსვლის დროს გავიცანი, საუბარში იყვნენ გართული. მე წერილების კითხვას შევუდექი. ღამის პირველი საათისთვის მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი მიღებიდან დაბრუნდა, ვახშმის ამბები დაწვრილებით მოგვიყვა და წავიდა. აყა ჰოსეინ ფაშა ხანი დაძინებამდე ჩემთან იყო.

თბილისში – 29 მუჰარამი (29 მაისი), სამშაბათი:

დილით მისი უდიდებულესობა შაჰი აბანოში წაბრძანდა. სადილად მთავარმართებლის სასახლეში წავედით და ისევ იმ ოთახში ვისადილეთ. ნასადილევს მისმა უმაღლესობა *სადრ ა'ზამმა* გვითხრა, რომ ამ საღამოს მისი უდიდებულესობა თეატრში იყო დაპატიჟებული და ჩვენ ვახშამზე და თეატრში ოფიციალური ტანსაცმლით უნდა გამოვცხადებულიყავით. სახლში დაბრუნების შემდეგ ჩემთან ოთახში მისი აღმატებულება მთავარსარდალი შემოვიდა და ერთმანეთს ტანსაცმლის შერჩევაში დავეხმარეთ. ამასობაში მოვიდა ქეთაბჩი ხანის ვაჟი, რომელიც თეირანიდან პარიზში მიემგზავრებოდა. მზის ჩასვლისთვის საპარადე ფორმაში გამოვეწყვე. სირმაშემოვლებული ტანსაცმელი პირველად მეცვა. სარკეში ჩავიხედე და გამეცინა. გული დამწყდა, რომ ჩემი თეირანელი მეგობრები აქ არ იყვნენ, რომ ყველას ერთად გაგვეცინა. მის აღმატებულება მოვასაყ ად-დოულესთან ერთად მთავარმართებლის სასახლეში წავედი. სტუმრებსაც და მასპინძლებსაც, ყველას ოფიციალური ტანსაცმელი ეცვა. ვახშმის მერე მისი უდიდებულესობის ამალასთან ერთად *დროშკებში* ჩავსხედით და თეატრში წავედით. ჩვენთვის განკუთვნილ მდიდრულ *ლოჟებში* დავსხედით. სპექტაკლი ეხებოდა ასი წლის წინანდელ რუსეთ-ოსმალეთის ომს, რომელშიც რუსებმა გაიმარჯვეს. ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი სანახაობა იყო. სპექტაკლის შემდეგ ისევ *დროშკებში* ჩავსხედით. მე და მისი აღმატებულება ნასერ ალ-მოლქი *ჰოტელში* ერთად დავბრუნდით. თეატრიდან რომ გამოვდიოდით, მირზა დაუდ ხანს ვთხოვე, სასტუმროში მოსულიყო და ბარგის ჩალაგებაში დამხმარებოდა (ზოგიერთები და, მათ შორის, თქვენი მონა-მორჩილი ხვალ დილით მივემგზავრებით, რადგან სასტუმროებში ადგილების რაოდენობა შეზღუდულია, ხოლო მისმა უდიდებულესობა შაჰმა ზეგამდე ინება დარჩენა). მე, აყა ჰოსეინ ფაშა ხანმა და გრაფმა ცოტა ხანი ვისაუბრეთ და მერე დავიძინეთ.

თბილისიდან მლეთასკენ – 1318 წლის 1 საფარი (1900 წლის 31 მაისი), ოთხშაბათი:

დილით ჩვეულებრივზე ცოტა ადრე გავიღვიძე და ტანსაცმელი ჩავიცვი. აყა ჰოსეინ ფაშა ხანს, მირზა ასადოლაჰ ხანს და საკონსულოს თანამშრომლებს დავემშვიდობე და გრაფთან ერთად *დროშკაში* ჩავჯექი. დანარჩენები ჩვენს ერთ-ერთ *მეჰმანდარ* პოლკოვნიკ ბილიკთან (Belīkar) და ადმირალთან ერთად *დროშკებში* და *კალიასკებში* ჩასხდნენ. თბილისის ქუჩები გავიარეთ და გზას გავუდექით. ძალიან კარგი ამინდი იდგა. პირველი სადგურიდან, სადაც ცხენები

გამოვცვალეთ, აღმართი დაიწყო. მწვანეში ჩაფლული გზა დაბალ ტყეში მიდიოდა. რაც უფრო წინ მივიწევდით, მიდამო უფრო ლამაზი და ჰაერი უფრო სასიამოვნო ხდებოდა. ეს გზა, ცხენები, *კალიასკა* და მათი მართვის უფლება აწ განსვენებული მირზა მოჰამად ალი ხან ყაფარის ცოლს, ცნობილ ნესა ხანუმს ეკუთვნის. თითო *კალიასკაში* ოთხ-ოთხი ცხენია შებმული და ყველა მათგანი რუსულია. თეირანში ასეთი ცხენები წყვილი 700-800 თუმანი ღირს. ნაკლები ფასი არც აქ აქვს და ამაზე უკეთესები გაცილებით უფრო ძვირიც ღირს. ეს გზა მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების შესაბამისად არის აშენებული. როგორც პოლკოვნიკმა გვითხრა, ყოველ 100 *ზარ'ზე* მხოლოდ 3 *ზარ'ი* აღმართ-დაღმართი თუ იქნება. ცხენები ძალიან სწრაფად მიაჭენებდნენ. სადამდეც თვალი სწვდებოდა, ყველგან მდინარეები, მინდვრები, ტყით დაფარული მთები და მთის კალთებზე შეფენილი ლამაზი სოფლები მოჩანდა. აქაურობა ისეთი მშვენიერი იყო, რომ კაცი ინატრებდა, ნეტავ შემეძლოს, წელიწადში სამი თვით მაინც თეირანიდან აქ დასასვენებლად ჩამოვიდეო. ნაშუადღევს პირველ საათზე ერთ სადგურში გავჩერდით და ძალიან ნოყიერად ვისადილეთ. სადილის შემდეგ სანი' ად-დოულეს თხოვნით ფოტოები გადავიღეთ. მერე ისევ ეტლებში ჩავსხედით და გზა განვაგრძეთ. აქაურ მდინარეებზე, სოფლებზე, გზაზე და ჩანჩქერებზე რა მოგახსენოთ?! მათი ხელთუქმნელი სილამაზე მართლაც რომ ენით აუწერელია. ღმერთმა ყველას მისცეს აქაურობის ნახვის ბედნიერება. გზაში მის აღმატებულება მთავარსარდალს ვთხოვე, რომ გრაფი მათ *კალიასკაში* გადასულიყო, ჰაშემ ხანი კი ერთი საათით ჩემს *დროშკაში* ჩამჯდარიყო. ასეც მოვიქეცით. ლამაზად ცრიდა. იქაურობით ვტკბებოდით და შორს დარჩენილ ჩვენს საყვარელ ადამიანებსა და ძმებს[597] ვიხსენებდით. მზის ჩასვლას ერთი საათი აკლდა, როცა მივედით სადგურ მლეთაში (Melat), სადაც ღამე უნდა გაგვეტარებინა. ძალიან კარგი ადგილი იყო. მლეთა მთებში მივარდნილი სადგური არ გეგონოთ. აქაურობა ისეა მოწყობილი, რომ ირანის შაჰინშაჰი და ოცამდე მინისტრი თავისუფლად შეძლებენ ღამის გათენებას. ჩვენ კი თეირანში ერთი სასტუმროც კი არა გვაქვს, სადაც *შარჟდაფერი*[598], რომელსაც ჯერ ბინა არ უქირავებია, ერთ-ორ ღამეს გაატარებდა. მოთმინება იქონიე, ღმერთმა ქნას, აშენდება! კეთილმოწყობილ სასადილოში ჩაი დავლიეთ და პოლკოვნიკმა ჩემი ოთახის სანახავად წამიყვანა. ცოტა დავისვენეთ. ერთი საათის შემდეგ სასადილოში კარგად ვივახშმეთ და დავიძინეთ.

მლეთადან ვლადიკავკაზისკენ – 2 საფარი (1 ივნისი), ხუთშაბათი:

დილით ჩაის შემდეგ ყველანი *კალიასკებსა* და *დროშკებში* ჩავსხედით და ვლადიკავკაზისკენ გავემართეთ. რაც უფრო წინ მივიწევდით, გზა სულ უფრო ლამაზი და სასიამოვნო ხდებოდა. ერთ ადგილას, საიდანაც მთისკენ მიმავალი გზა მოჩანს, ქვის აუზი იყო აშენებული. აუზიდან ბოთლის სისქის შხეფები დაახ-

---

597 იგულისხმება საძმოს წევრები.

598 ფრ. chargé d'affaires – დიპლომატიური წარმომადგენლობის დროებითი ხელმძღვანელი, რწმუნებული.

ლოებით ხუთი-ექვსი *ზარ'ის* მანძილზე იფრქვეოდა. ამ მოულოდნელი სანახაობისგან ენით აუწერელი სიამოვნება მივიღე. ვინატრე, ნეტავ შემეძლოს, რომ მთელ ჩემს მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად, რომლებიც ამ მოგზაურობაში ასე მაკლია, ამ აუზის პირას დავჯდე, ჩაი დავლიო და ნარგილე მოვწიო-მეთქი (ნეტავ, იმ სიხშირით, რაც მე მათ ვიხსენებ, ერთ კაცს მაინც თუ ვაგონდები თეირანში?!). თანდათან ავედით გზის უმაღლეს წერტილში, რომელიც ზღვის დონიდან დაახლოებით 9000 *ფუტზეა*. გზაზე თოვლი იდო და ძალიან ციოდა. მიუხედავად იმისა, რომ ქეჩის ჩექმები გვეცვა, გრაფის პლედში ვიყავით გახვეული და ფეხებზე *დროშკის* ტყავი გვეფარა, მაინც ვკანკალებდით. აქ ისეთი სიცივეა, რომ თოვლი მთელი წელი არ დნება. ნელ-ნელა დაღმართზე დავეშვით. სადილად სადგურ ყაზბეგში (Kāzbek) გავჩერდით. სადგურში მშვენიერი სასტუმროა, საიდანაც ყაზბეგის მთა მოჩანს. მას მეორენაირად ყაფის მთასაც[599] ეძახიან. სასტუმროს წინ ძალიან ლამაზი ქვის პატარა *საყახანეა*[600], რომელიც *იმპერატრიცას* სახელზეა აშენებული. ამბობენ, რომ *საყახანე* აქ ადრეც იყო და ერთხელ, როცა მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზის კორტეჟმა აქ გაიარა, *იმპერატრიცამ* წყალი დალია და ბრძანა, რომ შენობა მის სახელზე მოერთოთ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარა ნაგებობაა, ეს სამუშაოები 10000 მანეთი ანუ 5000 თუმანი დაჯდა. არ ვიცი გავცივდი თუ რა დამემართა, მაგრამ თავს შეუძლოდ ვგრძნობდი. სადილზე უარი ვთქვი და სანამ ჩემი მეგობრები სადილობდნენ, ერთ-ერთ ოთახში ავედი და დაახლოებით ერთი საათი დავიძინე. როცა გამგზავრების დრო მოვიდა, გრაფმა გამაღვიძა და გზა განვაგრძეთ.

---

599 იხ. შენიშვნა 40.

600 პატარა წყლის საცავი, საიდანაც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია წყლის დალევა.

ნასერ ას-სალთანე და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა ნასროლაჰ თაბათაბაი დიბა ნასერ ას-სალთანე (დგას).

მირზა ნასროლაჰ თაბათაბაი დიბა, ცნობილი ლაყაბით „ნასერ ას-სალთანე", მოზაფარ ად-დინ შაჰის დაახლოებული პირი და წარჩინებული მოხელე იყო. მირზა ნასროლაჰი დაიბადა თავრიზში 1864 წელს თავისი დროის ცნობილი სწავლულისა და მწერლის მირზა რაფიყ ად-დინ ნეზამ ალ-ოლამას ოჯახში. მის ორსავე ბიძას საგარეო საქმეთა სამინისტროში დიდი თანამდებობა ეკავა: მირზა მოჰამად ხან ალა ალ-მოლქი სტამბოლში ირანის სრულუფლებიანი ელჩი იყო, ხოლო მირზა ასადოლაჰ ხან ნაზემ ად-დოულე – გენერალური კონსული პეტერბურგში, თბილისსა და სტამბოლში.

ნასერ ას-სალთანემ დაწყებითი განათლება თავრიზში მიიღო, შემდეგ თეირანში გაემგზავრა და სწავლა იქ დაასრულა. ოჯახის ახლობლის მირზა აბდ არ-რაჰიმ ხან ყაიემ მაყამის დახმარებით ის მოზაფარ ად-დინ შაჰის კარზე მოხვდა: ჯერ იყო შაჰის პირადი მდივანი, მერე კი სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრი. 1900 წელს პირველ მინისტრთან ამინ ას-სოლთანთან დაპირისპირების გამო, ნასერ ას-სალთანემ სამეფო კარი მიატოვა და მექას მოსალოცად გაემგზავრა. მოგვიანებით ის ჯერ ქერმანშაჰრის, მერე კი ჰამადანის გუბერნატორი გახდა. გარდაიცვალა ნასერ ას-სალთანე 1934 წელს და დაკრძალულია ყუმში საგვარეულო აკლდამაში.

ნასერ ას-სალთანეს „მოგზაურობის წიგნი" 1900-1901 წლებში მის მექაში მოგზაურობას ასახავს. თხზულების ერთადერთი ხელნაწერი, რომელიც დოქტორ ჰაშემიანის პირად ბიბლიოთეკაში ინახება, 2011 ნელს რასულ ჯა'ფარიანმა გამოსცა და ჩვენ ამ გამოცემით ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Nāser as-Saltane Mīrzā Nasrollāh Tabātabā'ī Dībā, *Safar-nāme-ye Nāserī*, tahqīq va tashīh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1390/2011.

ლიტერატურა

Rasūl Ja'fariyān, "*Safar-nāme-ye Makke va Farang*: morūri bar safar-nāme-ye Nāser as-Saltane dar sāl-e 1317 q.", *Mīqāt-e Hajj*, Vol.19, No.73, Tehran, 1389/2010.

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame", წიგნში: Nāser as-Saltane Mīrzā Nasrollāh Tabātabā'I Dībā, *Safar-nāme-ye Nāserī*, 7-52.

ნასერის მოგზაურობის წიგნი
(1900)

[თბილისელები ირანელებისადმი კეთილგანწყობილები არიან]

[1317 წლის 1 შავალი (1900 წლის 2 თებერვალი)

მეორე დღეს 5 საათზე მატარებლით თბილისისკენ გავემგზავრეთ. თეირანიდან ბაქომდე ჩრდილოეთით ვიარეთ, ბაქოში კი აღმოსავლეთისკენ გადავუხვიეთ. ღამე ვიმგზავრეთ...[601] ჯერ მეღვიძა და მერე დავიძინე. დილით თბილისში ჩავედით. ეს გზა რვა წლის წინ კარგად დავათვალიერე: ძალიან ლამაზი ადგილებია და ბევრი მდინარე და ტყეა. მდინარე მტკვარზე რკინის ხიდია აგებული და მატარებელი ზედ გადადის. აღსთაფა *სტანციაა* (მატარებლის გასაჩერებელი ადგილი), სადაც აზერბაიჯანიდან სომხეთის გზით მიმავალი მგზავრი *შემენდეფერში* ჯდება.

თბილისში შევედით. ბაქოდან თბილისამდე 18 საათის გზაა და მატარებელი საათში 5 ირანულ *ფარსახს* გადის. აქ მეორედ ვიმყოფები. წინა ჩამოსვლაზე 18 დღე დავრჩი, ამ ჯერზე კი მხოლოდ 10 საათი გავჩერდი. მსოფლიოს საუკეთესო ადგილებს შორის ერთ-ერთი თბილისია. ქალაქი ორივე მხრიდან მთებით არის გარშემორტყმული და მდინარე მტკვარი მას შუაზე კვეთს. თბილისი ისეა გაშენებული, რომ ვორონცოვის (Varānsof) ხიდიდან, რომელზეც ვორონცოვის ქანდაკება დგას, მთელ ქალაქს დაინახავ. გაჩირაღდნებული ქალაქი დიდებული სანახავია. აქ კარგი პროსპექტებია, რომელთა შორის საუკეთესოა მთავარსარდლის პროსპექტი[602]. მასზე მაღაზიები და დიდი სახლები დგას. თბილისში ძალიან კარგი კლიმატია. მოსახლეობა თეთრკანიანია და სილამაზით არის განთქმული. აქ სხვადასხვა ჯურის ხალხი ცხოვრობს. მეტწილად ქართველები და რუსები არიან. ქართველები ძალიან გულთბილი ხალხია და ირანელებისადმი კეთილგანწყობილები არიან. სულ თბილისში 160 000 კაცი ცხოვრობს.

[რეზაიოვების ოჯახი]

ვფიქრობდი, პირდაპირ ბათუმში გავმგზავრებულიყავი, მაგრამ *სტანციაში* რეზაიოვები (Rezāyof) მოვიდნენ. ოჯახის მეთაური ჰაჯი მოჰამად ბაყერ თოჯარბაში მო'ავენ ათ-თოჯარია. ჭეშმარიტად, გამორჩეული ადამიანია და კავკასია-

---

601 ხელნაწერში რამდენიმე სიტყვა არ იკითხება.

602 იგულისხმება გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) პროსპექტი. მთავარმართებელი ევგენი გოლოვინი (1837-1842) იმავდროულად კავკასიის კორპუსის სარდალი იყო.



თბილისი, მეფისნაცვლის სასახლის ბაღი. დ. ერმაკოვის ფოტოსურათი, 1880-იანი წლები.

ში, თურქესტანსა და ირანში დიდი ვაჭრობა აქვს. ახლა ხორასანშია და ძალიან გული დამწყდა, რომ ვერ ვნახე. მისმა ძმებმა თავიანთ სახლში წამიყვანეს. იქიდან აბანოში წავედი. ვისაც სურს, რომ აბანოთი ისიამოვნოს, თბილისის აბანო უნდა მოინახულოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მისი ცხელი მინერალური წყალი ყოველთვის სუფთა და ახალია; მეორეც, ძალიან ლამაზი აბანოა და მშვენიერი ნომრები აქვს.

აბანოს მერე ვნახე ოთხი ქართველი, რომლებიც უწინ გავიცანი. ბულვარზე გავისეირნე. საუცხოო იყო. ქალაქში ორი სასეირნო ადგილია: ერთი ეს ბულვარი და მეორე მოჯთაჰედის ბაღი[603]. მთავარსარდლის ბაღიც[604] ერთ-ერთი აქაური ღირშესანიშნაობაა.

მზის ჩასვლისთვის *სტანციაში* მივედი. გზის მეპატრონე *ნაჩალნიკმა* გულისხმიერება გამოიჩინა და განსაკუთრებული კუპე მომცა. ბაქოდან თბილისამდე პირველი კლასის ბილეთი 18 მანეთი ღირს, მეორე კლასის – ერთი მესამედით ნაკლები, ხოლო მესამე კლასის – ორი მესამედით ნაკლები. *კონდუქტორი* (გზის მოსამსახურე) საკუთარ მსახურზე უკეთ გემსახურება. მგზავრობის ბოლოს ყველა მგზავრი სურვილისამებრ მას გასამრჯელოს აძლევს.

---

603 იხ. შენიშვნა 78.

604 იგულისხმება მეფისნაცვლის (ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის) სასახლის ბაღი.

[ბათუმი – ნავთობის ავზების დასამზადებელი ადგილი]

შავალის ორში (2 თებერვალს), გამთენიისას უცებ ღამესავით ჩამობნელდა. ჯერ შემეშინდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ გვირაბში მივდიოდით (მთა გახვრეტილია და შიგ გზაა გაყვანილი). დაახლოებით ხუთ წუთში გვირაბიდან გამოვედით. გარშემო ფიჭვისა და ჭადრის ტყეები და აყვავებული იები მოჩანდა. 12 საათში ბათუმში ჩავედით.

შავი ზღვა (Daryā-ye Asvad) ქალაქის დასავლეთით მდებარეობს. ბათუმში 28 000 კაცი ცხოვრობს. *ჰოტელ* „იმპერიალში" (Emperyāl) დავბინავდი. ერთი ოთახი 7 მანეთი ღირდა. ბათუმში მუსლიმები, რუსები და სომხები ცხოვრობენ. ვისაც შევხვდი, ყველა უზრდელი და უხეში იყო. ზღვის ნაპირს ძველი ბულვარი მიუყვება. ქალაქის ღირშესანიშნაობა ნავთობის ავზების დამამზადებელი ფაბრიკაა. ამ ავზებით ნავთობი საზღვარგარეთ გააქვთ. ნავთობი *შემენდეფერისა* და ნავთობსადენების მეშვეობით ბაქოდან ბათუმში ჩამოაქვთ და აქ იმდენი გროვდება, რომ დილიდან ღამემდე ვერ დაითვლი.

[ავზების წარმოება და შიგ ნავთობის ჩასხმა ავტომატიზირებულია]

ნავთობსადენი მილის მეშვეობით მანქანას უერთდება და მანქანის ძალით ნავთობი *შემენდეფერის* ცისტერნებიდან ქალაქის სათავსებში გადააქვთ. ეს მანქანა დღეში 50 000 რკინის ავზს ამზადებს. მანქანის ძალით ნავთობი რკინის ბიდონებში ილვრება, ილუქება და მიდის ბოლო ოთახში, სადაც ხის ყუთებია მოთავსებული. მეორე მანქანა ავზებს ამ ხის ყუთებში აწყობს, ლურსმნავს და მიაქვს რკინიგზაზე. ყველა დანადგართან თითო კაცი დგას და მანქანის მუ-



ბათუმი, ნავთობის დასახლება. 1900-იანი წლების ღია ბარათი.

შაობას აკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ სათავსი ნავთობით არის სავსე, იქაურობა ძალიან სუფთაა. ერთი მხრიდან შევედი, მთელი ეს ჩარხები გავიარე და მეორე მხრიდან გამოვედი, მაგრამ ტანსაცმელზე ერთი ბეწო მტვერიც კი არ მედო. არც ნავთობის სუნი იგრძნობა და ნავთობს მხოლოდ მაშინ ხედავ, როცა წვრილი მილიდან ავზში იღვრება.

[ბათუმში მათხოვარს ვერ ნახავ]

ავზების ფაბრიკაში 5000 კაცი მუშაობს და ამ საქმით პურის ფულს შოულობს. ამ ფაბრიკის დამსახურებაა, რომ ქალაქში ერთ მათხოვარსაც კი ვერ ნახავ.

ბათუმში რუსებს ჩაი მოჰყავთ. ამბობენ, რომ წლევანდელი მოსავალი 200 ფუთია. ჩაი ირანის ტყეებშიც ბევრია, მაგრამ ირანელებს ჯერ კიდევ სძინავთ. აქ აბრეშუმიც მოჰყავთ.

[ცხოველების ცირკი ბათუმში]

ის იყო გემზე უნდა ავსულიყავი, რომ ხალხის თავყრილობა შევნიშნე. მიზეზი ვიკითხე და მითხრეს, რომ ცხოველების წარმოდგენა იმართებოდა. ბილეთი ავიღე და შევედი. სხვადასხვა ჯიშის ცხოველები შეეკრიბათ, მათ შორის ლომი, ვეფხვი, ჯიქი, ლეოპარდი, დათვი, მაიმუნი, პონი, კანჯარი, ხარი, აქლემი და ასევე ყველა სახის ფრინველი. ერთი ცხოველი იყო, თავიდან წელამდე კანჯარს ჰგავდა, წელს ქვემოთ კი – ჯიქს. მეორე ცხოველს კი თავი და კუდი კანჯარს მიუგავდა, ხოლო ტანი – ლომს.

ყველაზე საინტერესო და სასაცილო სპილოს წარმოდგენა იყო: სპილო შევიდა სასტუმროში, სადაც მას ძაღლი დახვდა. ძაღლმა კალათში საჭმელი ჩააწყო და სპილოს მიართვა. ჭამის მერე სპილომ წასვლა დააპირა, მაგრამ ძაღლმა თავი გააქნია, გააჩერა და ფული მოსთხოვა. სპილო მეორე მხარეს წავიდა, მაგრამ ძაღლმა ისევ გზა გადაუჭრა. სპილოც გაჯიქდა და ფულის მიცემა არ ისურვა. მაშინ ძაღლმა ყეფა დაიწყო. უცებ სხვადასხვა ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი შვიდი ძაღლი ცეკვა-ცეკვითა და ათასნაირი ფოკუსებით სცენაზე გამოვიდა. საბოლოოდ, სპილომ ხორთუმიდან ფული ამოიღო და ძაღლს მისცა. წასვლა დააპირა, მაგრამ ისევ არ გაუშვეს. როგორც გაირკვა, მას თავისი საქციელის გამო ჯარიმა უნდა გადაეხადა და ეს ჯარიმა ცეკვა იყო. ძაღლები სკამებზე დასხდნენ და სპილომ მათ წინაშე ცეკვა დაიწყო. ამხელა სპილო პატარა მრგვალ მაგიდაზე ავიდა და ზედ დატრიალდა.

ნეტავ, ზოგიერთ ადამიანს მისცა ამ ძაღლების ჭკუა, რათა მიხვდეს, რომ თვით უძლიერესსაც არა აქვს უფლება, რომ სხვა შეავიწროვოს და კანონი არად ჩააგდოს.

მოკლედ, ფარდა დაუშვეს და წარმოდგენა დამთავრდა. მერე გამოიტანეს გალია, რომელშიც უზარმაზარი ლომი, დათვი და მგელი ისხდნენ. ერთი კაცი გალიაში შევიდა, ლომს ჩაეხუტა, თავი პირში ჩაუდო, მერე ზედ შეაჯდა, დიდი წვალებით ააყენა და გალიიდან გამოიყვანა. რადგან გემზე მაგვიანდებოდა, წარმოდგენის დასრულებას ველარ დაველოდე და გარეთ გამოვედი.

უცნობი ავტორი და მისი მოგზაურობის წიგნი

„მექასა და ათაბათში მოგზაურობის წიგნის“ ავტორი უცნობია. მის შესახებ მცირე ინფორმაციას თავად თხზულება იძლევა. სავარაუდოდ, ის წარმოშობით ყუმიდან უნდა ყოფილიყო, რადგან წერს, რომ წინაპრების საფლავების მოსანახულებლად ყუმში გამგზავრებულა. თხზულებაში ის ახსენებს თავის ნათესავებს: ძმას აყა მოლა სეიდ მაჰმუდს, ვაჟებს სეიდ აბუ'ლ-ჰასანს და სეიდ მაჰმუდს, ასევე ბიძაშვილს ჰაჯი აჰმად აყას, რომელიც ვაჭართა უფროსი (ომდათ ათ-თოჯარი) ყოფილა.

წიგნი 1899-1900 წლებში მომლოცველთა ჯგუფის მექასა და ათაბათში მოგზაურობას ასახავს. ჯგუფს სათავეში ედგა ჰაჯი სეიდ მოჰამად თაჯარ-ე თეჰრანი. ის თავისი დროის ცნობილი ვაჭარი და ირანის პირველ მეჯლისში ვაჭართა ფენის დელეგატი იყო. თხზულების ავტორი ამ მოგზაურობაში მის ამალაში შედიოდა და, როგორც ჩანს, მის მოვალეობას მოგზაურობის ჩანაწერების გაკეთება წარმოადგენდა. მოგზაურობა 1899 წლის ნოემბერში დაიწყო და ათ თვეს გასტანა. მომლოცველებმა საქართველო უკანა გზაზე, 1900 წლის აგვისტოში გაიარეს.

თხზულების ერთადერთი ხელნაწერი ინახება აიათოლა მარაშის კერძო ბიბლიოთეკაში (№ 9008). რასულ ჯა'ფარიანმა ის უცვლელად შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი“, რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Mo'allef-e nāshenāxte, "Safar-nāme-ye 'Atabāt va Hajj", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 6, 681-821.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 6, 681-687.

მექასა და ათაბათში მოგზაურობის წიგნი
(1900)

უკანა გზა

1318 წლის 26 რაბი ას-სანი (1900 წლის 23 აგვისტო), ხუთშაბათი:

...მადლობა ღმერთს, ზღვა ცოტა დამშვიდდა და გემი ბათუმის პორტს მიუახლოვდა. ბათუმი ახლადაშენებული კეთილმოწყობილი ქალაქია, საიდანაც *შემენდეფერის* რკინიგზის ხაზი იწყება. გემზე რუსი ექიმი და ორი მოხელე ამოვიდ-

ნენ და მგზავრები სათითაოდ გასინჯეს, რომ, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმე ავად არ ყოფილიყო. მერე რუსეთის კონსულის ხელმოწერილი პასპორტები დაათვალიერეს და წავიდნენ. ამის შემდეგ საბაჟოს თანამშრომლები ამოვიდნენ და ხალხის ბარგი, მათ შორის, პირადი ნივთებიც, გაჩხრიკეს და საბაჟო გადასახადი შეაგროვეს. მერე მგზავრები პასპორტის მიხედვით გადაამოწმეს და გემიდან ჩაუშვეს. მადლობა ღმერთს, რომ საშინელ განსაცდელს თავი დავაღწიეთ და ნაპირზე მშვიდობიანად გადავედით. ნავსადგომთან *დროშკაში* ჩავსხედით, ერთი კავკასიელი მუსლიმის სახლში წავედით და იქ ვისადილეთ. იმავე დღეს მზის ჩასვლისთვის სადგურში თბილისის ბილეთები ავიღეთ და ორი საათის დაღამებული იყო, როცა *შემენდეფერში* ჩავსხედით და თბილისისკენ გავემართეთ.

27-ში პარასკევს დღის ორ საათზე თბილისში შევედით. მგზავრობას ათი საათი მოვანდომეთ, აქედან ცხრა საათი მატარებელი ისარივით მიჰქროდა, ერთი საათი კი სადგურებში იდგა, სანამ ხალხი ჩადიოდა და ამოდიოდა. ბათუმიდან თბილისამდე ათი სადგურია და მატარებელი ამ გზის გავლას ცხრა, სულ ბევრი ათი საათი უნდება. ერთ ადგილას მთა გახვრეტილი იყო და *შემენდეფერი* 15-16 წამი გვირაბში მიდიოდა. რუსული მატარებლები ნავთობზე მუშაობს. ნავთობი ქვანახშირზე უფრო იაფია და ძვირი არ ჯდება. გვირაბში გავლისას ნავთობის კვამლისგან ჰაერი ისე დამძიმდა და დაბინძურდა, რომ კინაღამ ყვირილი დავიწყეთ.

ერთი სიტყვით, თბილისში ჩავედით. თბილისი დიდი, მჩქეფარე ქალაქია და, ევროპული ქალაქების დარად, ფართო პროსპექტები, დიდებული შენობები და მაღაზიები აქვს. ერთი პროსპექტის გავლას ერთი საათი მოვანდომეთ და ბოლოს მივედით სასტუმროში, სადაც ირანელები და მუსლიმები ჩერდებიან ხოლმე. თბილისში 20000 მუსლიმი ცხოვრობს. ღამე ამ სასტუმროში გავატარეთ. ვახშამი ჩვენი მიცემული პროდუქტებით მოგვიმზადეს. მადლობა ღმერთს, მშვენივრად მოვეწყეთ.

დილით თქვენი მონა-მორჩილი აბანოში წავედი. გაირკვა, რომ ამ ქალაქში ღვთაებრივი აბანოებია, რომლებიც ცხელი წყაროს წყლით მარაგდება და წყალს გაცხელება აღარ სჭირდება. ამბობენ, რომ ეს წყალი სხვადასხვა დაავადებებს შველის, ამიტომ ირანელმა მბრძანებლებმა მასზე ააშენეს აბანო, რომელიც მუსლიმებისთვის არის განკუთვნილი. ამ წყაროს წყალი სხვა ადგილებშიც არის გაყვანილი და მასზე სომხებისა და რუსების აბანოებია აშენებული. მოკლედ, აბანოში რომ მივედი, იქ აყა ჰაჯი სეიდ მოჰამადი დამხვდა. ცხელი წყალი ონკანიდან აუზში იღვრებოდა და იმდენად სასიამოვნო და სუფთა იყო, რომ ნეტარებას მიეცემოდი. აბანოს მოსამსახურეები თურქები და აზერბაიჯანელები იყვნენ და ძალიან კარგად გემსახურებოდნენ. გადასახადიც ძალიან დაბალი იყო – კაცი დაახლოებით 3000 ჩვენს ფულზე.

აბანოდან რომ გამოვედი, ქალაქის ფართო და სუფთა ქუჩებში გავისეირნე. თბილისს ყოველი მხრიდან მთები აკრავს. ქუჩების ორსავე მხარეს ლამაზი ბაღები და ყვავილნარებია გაშენებული. აქ იმდენი *კალიასკა*, საზოგადო *დროშკა* და *ტრამვაი* დადის, რომ ერთი საათი რომ გაჩერდე, ალბათ ასი *კალიასკა* და *დროშკა* ჩაგივლის. დუქნები და ბაზრები ექვს საათამდე ღიაა. ქალაქი მთელი ღამე გაზის ლამპიონებით არის განათებული და ხალხი დილამდე სეირნობს. ქუჩებში

ყველა ჯიშის ხილი იყიდება, განსაკუთრებით ბევრია საზამთრო, წითელი ატამი და ყურძენი.

27 რაბი ას-სანი (24 აგვისტო), შაბათი:

შემენდეფერის სადგურში მივედით, ბილეთები ავიღეთ და ნაშუადღევს ოთხ საათზე ბაქოში გავემგზავრეთ...

დუსთალი მო'აიარ ალ-მამალექი

დუსთალი მო'აიარ ალ-მამალექი დაიბადა 1875 წელს თეირანში. მამამისი დუსთმოჰამად ხან მო'აიარ ალ-მამალექი ნასერ ად-დინ შაჰის კარის დიდმოხელე იყო, ხოლო დედა – ნასერ ად-დინ შაჰის ქალიშვილი ესმათ ად-დოულე. დუსთალის ბავშვობამ სამეფო კარზე გაიარა. როგორც თვითონ იხსენებს, შაჰს ის ყველა სხვა შვილიშვილზე მეტად უყვარდა. მას ცოლად ჰყავდა პირველი მინისტრის მირზა ალი ასყარ ხან ამინ ას-სოლთანის ქალიშვილი. დარ ალ-ფონუნის სასწავლებლის დასრულების შემდეგ, დუსთალიმ ცოლი და მცირეწლოვანი შვილი თეირანში დატოვა და მხატვრობის შესასწავლად გაემგზავრა პარიზში, სადაც რამდენიმე წელი დაჰყო.

ხანდაზმულ ასაკში მო'აიარ ალ-მამალექმა მწერლობას მიჰყო ხელი. ჰაბიბ იაღმაის დაკვეთით მან დაწერა ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „ნასერის ეპოქის სახელმწიფო მოღვაწეები", რომელიც თავდაპირველად ჟურნალ „იაღმაში" დაიბეჭდა, მოგვიანებით კი ცალკე წიგნადაც გამოიცა. 75 წლის ასაკში დუსთალი მო'აიარ ალ-მამალექმა დაწერა მოგონებების წიგნი, რომელსაც „რამდენიმე ფურცელში მოქცეული 75 წლის ცხოვრება" უწოდა. მოგონებებში ის ახსენებს საქართველოსაც, რომელიც 1900 წელს პარიზში მგზავრობის დროს გაიარა. აღსანიშნავია, რომ პარიზში ის შეხვდა ევროპაში სამოგზაუროდ ჩასულ მოზაფარ ად-დინ შაჰს და მასთან ერთად ევროპის ბევრი ქვეყანა მოიარა. ამდენად, მისი მოგონებების პარიზული მონაკვეთი და შაჰის თანამგზავრების ზაჰირ ად-დოულესა და მირზა მეჰდი ხან ქაშანის მოგზაურობის წიგნები ერთმანეთს ავსებს და მოზაფარ ად-დინ შაჰის მოგზაურობის მრავალმხრივ სურათს იძლევა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Dūst'alī Mo'ayar al-Mamālek, "Hashtād o panj sāl-e zendegī dar chand safhe", *Yaghmā*, No.132, Tehran, 1338/1959, 181-190.

ლიტერატურა

Mehnām Najafī, "Jāygāh-e Dūst'alī Khān Mo'ayar al-Mamālek dar doure-ye Qājārīye", *Golestān-e Honar*, No.13, Tehran, 1387/2008, 97-104.

რამდენიმე ფურცელში მოქცეული 75 წლის ცხოვრება
[1900]

მეორე დღეს ბაქოში ჩავედით. ჰაჯ ამინ აზ-ზარბმა 300 000 თუმნად ნავთობი იყიდა, დაგვემშვიდობა და გაემგზავრა მოსკოვში, სადაც მას საკუთარი სახლი და სხვა უძრავი ქონება ჰქონდა და რუსი ცოლი ელოდა.

ღამით რკინიგზის სადგურში წავედით და თბილისისკენ გავემართეთ. იქ პირველ რიგში მოვინახულეთ შეიხ სანაანის საფლავი[605], რომელიც მთის წვერზე მდებარეობს. შემდეგ მუზეუმი და ქალაქის სხვა ღირშესანიშნაობები დავათვალიერეთ. გაგონილი მქონდა, რომ კავკასიის უღელტეხილი ძალიან შთამბეჭდავი სანახაობა იყო და გადავწყვიტე, ამ გზით წავსულიყავით. ჩემი გადაწყვეტილება *მოსთოუფი ალ-მამალექს* გავუზიარე და სიხარულით დამთანხმდა. თბილისში ერთი ღამე გავატარეთ და კავკასიის უღელტეხილისკენ წავედით. ასეთი დიდებული, ხელთუქმნელი ბუნება და თვალწარმტაცი გზა სხვაგან არსად მინახავს. კალამს არ ძალუძს მისი აღწერა, ამიტომ ყაანის[606] ლექსით დავკმაყოფილდები:

„ხან თვალუწვდენელ უფსკრულში ეშვები,
ხან შემოქმედის სამყოფელზე მაღლა ადიხარ".

---

605 იხ. შენიშვნა 50.

606 ყაანი თახალუსია ცნობილი ირანელი პოეტის მირზა ჰაბიბოლაჰ შირაზის (1807-1853).

აბუ'ლ ყასემ ქასმაი და მისი მოგონებები

აბუ'ლ-ყასემ ქასმაი დაიბადა 1875 წელს თავრიზში. ბაბუამისი მოჰამად სადეყ მო'ინ ათ-თოჯარ ქასმაი თავრიზის დიდვაჭარი იყო.

აბუ'ლ-ყასემის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ძალიან მცირე ცნობები მოგვეპოვება. ინფორმაციის ძირითადად წყაროს წარმოადგენს მისი ავტობიოგრაფიული თხზულება და ასევე ცნობილი ირანელი მეცნიერის და ქასმაის თხზულების გამომცემლის ირაჯ აფშარის მოგონებები, რომელიც მან წიგნს დაურთო. ირაჯ აფშარი ერთხანს აბუ'ლ-ყასემის მეზობელი და მისი ვაჟის ალი ქასმაის მეგობარი იყო. 1978 წელს ალიმ და მისმა ძმამ აბდ ალ-მაჯიდმა მას დასაბეჭდად მიუტანეს მამის მოგონებების წიგნის პირი, რომლის ხელნაწერი თვითონ დაიტოვეს. ამჟამად ეს პირი თეირანში ისლამის დიდი ენციკლოპედიის ცენტრის ბიბლიოთეკაში ინახება.

აბუ'ლ-ყასემის მოგონებების წიგნიდან ჩანს, რომ მისმა ავტორმა ახალგაზრდობაში ბევრი გაჭირვება გადიტანა. როგორც ჩანს, მამა ადრე გარდაეცვალა. ცამეტ წლამდე ის ყაზვინში მამის ძმებთან ცხოვრობდა, შემდეგ – დედის ნათესავებთან ნახჭევანში, ბოლოს კი თეირანში დასახლდა. იგი მუშაობდა თავრიზის სავაჭრო სახლის მდივნად, გაზეთ „შარყ ო ბარყის" მდივნად, ერთხანს ვაჭრობდა ანტიკვარიატით და ბოლოს იყო თამბაქოს კონცესიის თანამშრომელი. გარდაიცვალა აბუ'ლ-ყასემი 1913 წელს ოცდათვრამეტი წლის ასაკში.

აბუ'ლ-ყასემ ქასმაის „მოგონებებში" საქართველო, ძირითადად, ავტორის ნათესავთან (მამის დეიდაშვილი და ცოლის ბიძაშვილი) მირზა ჰოსეინ ხან ქასმაისთან კავშირში მოიხსენიება. მირზა ჰოსეინი ცნობილი ირანელი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, კალიგრაფი და ორატორი იყო. ირანში სასულიერო განათლების მიღების შემდეგ, ის რუსეთსა და პარიზში გაემგზავრა და იქ მხატვრობა შეისწავლა. მირზა ჰოსეინი შვიდ ენაზე – სპარსულად, არაბულად, თურქულად, რუსულად, ფრანგულად, ქართულად და სომხურად ლაპარაკობდა. ის აქტიურად მონაწილეობდა ირანის კონსტიტუციურ რევოლუციაში და მოჰამად ალი შაჰზე თავდასხმისა და შაჰის ვეზირის აყა ბალა ხანის მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო. 1908 წელს მირზა ჰოსეინი თბილისში ცხოვრობდა, იარაღს ამზადებინებდა და რაშთში აგზავნიდა. აბუ'ლ-ყასემის „მოგონებების" ქვემოთმოტანილი ეპიზოდი მირზა ჰოსეინისა და მისი თბილისელი თანამზრახველების – ვალიკოსა და დათიკოს მიერ ტერორისტული აქტის მომზადებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ მოვლენებს ასახავს.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Abū'l-Qāsem Kasmā'ī, "Khāterāti dar bāre-ye Mashrūtīyat va qayām-e Jangal", *Āyandeh*, Vol.17, No.9-12, Tehran, 1370/1992, 724-736.

Khāterāt-e Abū'l-Qāsem Kasmā'ī, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1385/2006.

ლიტერატურა

Īraj Afshār, "Yāddāsht", წიგნში: *Khāterāt-e Abu'l-Qāsem Kasmā'ī*, 5-8.

მოგონებები

თავი 42

ნახჭევანი – დედის მეორედ მონახულება
[1900]

...დედას, ძმას და დეიდაშვილს დავემშვიდობე და თბილისის გავლით სტამბოლში გავემგზავრე. თბილისი დიდი, კეთილმოწყობილი ქალაქია, რომელსაც შუაზე მდინარე ჩამოუდის. მას კარგი კლიმატი და ლამაზი შემოგარენი აქვს. თბილისიდან ბათუმში წავედი.

მატარებლით ვიმგზავრე და გზაში უამრავი ოფიცერი ვნახე. ბათუმი, რომელიც შავი ზღვის პირას მდებარეობს, კარგი ნავსადგური და ლამაზი ქალაქია. კლიმატით გილანს ჰგავს. ავსტრიული გემის მოლოდინში სამი დღე სასტუმროში გავჩერდი. მერე ორ ოქროს ლირად სტამბოლამდე მეორე კლასის ბილეთი ავიღე, გემში ჩავჯექი და სტამბოლში გავემგზავრე...

თავი 79

აწ განსვენებული ქასმაის[607] მონაწილეობა გილანის რევოლუციაში
[1908]

მას შემდეგ, რაც მოჰამად ალი შაჰმა ნასერ ად-დინ შაჰის დროინდელი ტირანი მოხელე აყა ბალა ხანი გილანის გუბერნატორად დანიშნა, ის სამხედრო რაზმთან ერთად რაშთში ჩავიდა და მეფის რუსეთის სისხლისმსმელ კონსულს ნეკრასოვს (Neqrāsof) დაუკავშირდა. მათ რაშთის ბევრი რევოლუციონერი და თავისუფლებისთვის მებრძოლი დაიჭირეს, ნაწილი ჩამოახრჩვეს, ნაწილი კი გადაასახლეს. აწ განსვენებულმა ქასმაიმ ტანსაცმელი გადაიცვა, რაშთიდან გაიქცა და გემით ბაქოში ჩავიდა. მიუხედავად ნეკრასოვის განკარგულებისა მისი დაჭერის შესახებ, ვერავინ იცნო და ბაქოდან თბილისში მშვიდობიანად გადავიდა.

თბილისში ქასმაი ქართველ რევოლუციონერებს დაუკავშირდა და შეუთანხმდა, რომ რამდენიმე ქართველი ყუმბარის ოსტატი მას რაშთში გაჰყვებოდა და იქ დაიმალებოდნენ. დათქმულ დღესა და საათს ისინი აჯანყდებოდნენ, მოჰამად ალი შაჰის დასაყრდენს აყა ბალა ხანსა და ნეკრასოვს დახოცავდნენ და გილანს გაანთავისუფლებდნენ. ქასმაი კავკასიის სოციალისტების *კომიტეტს* მოელაპარაკა, რომ გარკვეული თანხის საფასურად მისთვის იარაღი – მაუზერები, პატრონები და ყუმბარები მიეყიდათ, რათა რაშთში გაეგზავნა.

---

[607] მირზა ჰოსეინ ხან ქასმაი იყო აბუ'ლ-ყასემ ქასმაის მამის დეიდაშვილი და ცოლის ბიძაშვილი.

ქასმაი მეფის რუსეთში ნიკოლოზის ტირანული მმართველობის პერიოდში რამდენიმე ქართველს დაუკავშირდა და რაშთში ჩაიყვანა. ესენი იყვნენ ვალიკო (Vālīko), დათიკო (Dādīko) და კიდევ რამდენიმე კაცი, რომელთა სახელები დავიწყებას მიეცა[608]. არ ვიცი, რა მოიმოქმედა და როგორ მოახერხა, რომ მიუხედავად მეფის რუსეთის მოხელეების თვალთვალისა, რაშთის კონსულის ნეკრასოვის განკარგულებებისა და საკუთარი ძმის – მისი მოწინააღმდეგე აყა მოჰამად აყა ქასმაის[609] დაბეზღებისა, ის არ დაიჭირეს. ეს ამბავი იმ მოვლენების შემსწრეებს უკეთ ეცოდინებათ. ამ კაცს როგორი ჭკუა და სახელი ჰქონდა, რომ რუსეთის მოქალაქე ქართველი ყუმბარის ოსტატები კავკასიის გუბერნიის ცენტრ თბილისიდან გილანში ჩაიყვანა. ჭეშმარიტად, ქასმაის იმდროინდელ ისტორიულ პროცესებში გამორჩეული ადგილი ეკავა.

---

608 ირანელ რევოლუციონერთა დასახმარებლად მოხალისე ქართველების თავრიზში მოღვაწეობის საკითხს საკმაოდ ვრცლად ეხება ირანელი რეფორმატორი და ისტორიკოსი აჰმად ქასრავი თავის ნაშრომში „კონსტიტუციური მოძრაობის ისტორია ირანში". მისი ცნობით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტმა ირანში გააგზავნა ასამდე ქართველი..., რომლებიც რევოლუციური ბრძოლის ხერხებსა და მეთოდებს ჩინებულად ფლობდნენ. ამას გარდა ამ მოხალისე ქართველებს თან ჰქონდათ ხელყუმბარების დამამზადებელი ლაბორატორია, რომელსაც ამ ბრძოლებში ფართოდ იყენებდნენ. ქასრავი ასახელებს ასლან და გიგო გურჯებს, გიორგის და აგრეთვე ვინმე ჩიტოს, რომლის დაკრძალვაც თავრიზში ინტერნაციონალურ დემონსტრაციად იქცა. ქასრავიმ ამ ამბავს მიუძღვნა თავისი წიგნის ერთი ქვეთავი სათაურით „ბატონი ჩიტოს დაკრძალვა" (ამის შესახებ იხ.: გ. ჭიპაშვილი, „აჰმად ქასრავი ირანის 1905-1911 წლების რევოლუციაში ქართველი ინტერნაციონალისტების მონაწილეობის შესახებ", *ახლოაღმოსავლური კრებული*, თბილისი, 1983, 217; საზოგადოდ, 1905-1911 წლების ირანის კონსტიტუციურ რევოლუციაში ქართველი პროფესიონალი რევოლუციონერებისა და სხვა ინტერნაციონალისტი მოხალისეების აქტიური მონაწილეობის შესახებ დაწვრილებით იხ.: ა. კელენჯერიძე, *გურჯები: ქართველები ირანის 1905-1911 წლების რევოლუციაში*, თბილისი, 1975; გ. ჭიპაშვილი, „აჰმად ქასრავი ირანის 1905-1911 წლების რევოლუციაში ქართველი ინტერნაციონალისტების მონაწილეობის შესახებ", *ახლოაღმოსავლური კრებული*, თბილისი, 1983, 212-221; გ. ჭიპაშვილი, *სერგო გამდლიშვილი („სერგო გურჯი") და მისი ირანული დღიურები*, თბილისი, 1983; Г. Чипашвили, "Из истории интернациональной деятельности закавказских революционеров в Иране", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1981, №4, 16-29; Sa'īd Mūlīyānī, *Jāygāh-e gorjīhā dar tārīkh va farhang va tamaddon-e Īrān*, Isfahan, 1379/2000, 222-225; I. Gocheleishvili, "Georgian Connections of the Iranian Constituional Revolution of 1905-1911", *Central Eurasian Studies Review*, Vol.5, No.1, 2006, 10-14; I. Gocheleishvili, "Georgian Sources on the Iranian Constituional Revolution (1905-1911): Sergo Gamdlishvili's Memoirs of the Gilan Resistance", *Iranian Studies*, Vol.40, No.1, 2007, 59-85; I. Gocheleishvili, "Introducing Georgian Sources for the Historiography of the Iranian Constitutional Revolution (1905-1911)", *Iran's Revolution : Popular Politics, Cultural Transformations and Transnational Connections*, ed. by H.E. Chehabi and V. Martin, I.B.Tauris: London, 2010, 45-68; E. Siegel, "Georgian Historiography on the Iranian Constituional Revolution, I-II"; E. Siegel, "Georgian Research on the Role of Georgians in the Iranian Constituional Revolution").

609 აყა მოჰამად აყა ქასმაი რაშთში რუსეთის საკონსულოში მუშაობდა და მაღალი თანამდებობა ეკავა.

მოკლედ, ქასმაიმ ზემოხსენებული ქართველები რაშთში ჩაიყვანა, მაგრამ სად დააბინავა, არავინ იცის. აწ განსვენებული სარდარ მაჰია, ჰაჯი ვექილი და აყა მირზა ქერიმ ხან გილანი მისი თანამოაზრეები და თანამზრახველები იყვნენ. როგორც ქასმაიმ თქვენს მონა-მორჩილს მიამბო, ქართველებს 60-70 თავრიზელი და გილანელი თავისუფლებისთვის მებრძოლი მალავდა და პურითა და ხორცით კვებავდა, სანამ აჯანყებისა და აყა ბალა ხანის მკვლელობის დღე არ დადგა.

აყა ბალა ხანი იმ დღეს მოდირ ალ-მოლქ გილანის სახლში გამართულ წვეულებაზე იმყოფებოდა. გაზაფხული იწურებოდა და სტუმრები – გილანის *ვილაიეთის* წარჩინებული საზოგადოება ბაღში შეკრებილიყო. სადილის შემდეგ მოდირ ალ-მოლქი და აყა ბალა ხანი ნარდისა და *ყომარის* სათამაშოდ სახლში შევიდნენ, მსახურები კი ისევ ეზოში ტრიალებდნენ. მოულოდნელად ქასმაი, სარდარ მაჰია, ვალიკო, დათიკო და სხვა *მოჯაჰედები* ოთახში შეცვივდნენ. ქასმაის ნიშანზე ვალიკომ და დათიკომ აყა ბალა ხანი თითო თოფის გასროლით ადგილზევე მოკლეს, მისი გასისხლიანებული გვამი ეზოში გაათრიეს და იქ დააგდეს, რომ ყველას ენახა. ბაღში ატეხილ სროლას აყა ბალა ხანის რამდენიმე მსახურიც ემსხვერპლა.

ქასმაი ქართველებისა და *მოჯაჰედების* თანხლებით ბაღიდან სასწრაფოდ პოლიციაში წავიდა, შენობაში შეიჭრა და იქაურ ჯარისკაცებს თავს დაესხა. რადგან პოლიციელებს მანამდე ყუმბარა ნანახი არ ჰქონდათ, როგორც კი ქართველებმა ყუმბარები ისროლეს და რამდენიმე მათგანი დახოცეს, დანარჩენები ისე შეშინდნენ, რომ წინააღმდეგობის გაუწევლად გაიქცნენ. მოკლედ, საღამომდე მთელი სახელმწიფო დაწესებულებები და ქალაქი რაშთი ქასმაისა და მისი თანამებრძოლების ხელში გადავიდა...

...ერთ დღეს ქართველები ვალიკო და დათიკო სამხედრო კომისარიატში მივიდნენ, მაუზერები ჩამოიხსნეს, მაგიდაზე დააწყვეს და განაცხადეს: „ჩვენ თბილისიდან იმიტომ კი არ ჩამოვედით, რომ ირანელები გაგვეძარცვა. ჩვენ თავისუფლებისთვის მებრძოლები ვართ და ქურდობა საძრახის საქმედ მიგვაჩნია. ყაზვინში სომეხმა ეფრემმა შეიხ ალ-ესლამი მოკლა და მისი ძვირფასეულობა გაიტაცა. ჩვენ არ გვინდა, რომ ასეთ საქმეებთან კავშირი გვქონდეს და ამიტომ თბილისში ვბრუნდებით". რამდენიც არ გააფრთხილეს, თბილისში ჩახვალთ თუ არა, რუსები დაგიჭერენ და მოგკლავენო, მათ დარჩენაზე უარი განაცხადეს: ქურდების წრეში ყოფნას ისევ სიკვდილი გვირჩევნიაო. როგორც გავიგე, ბათუმში ჩასვლისთანავე ეს პატიოსანი ადამიანები დაიჭირეს და ციხეში ჩაამწყვდიეს...

თავი 110

მესამე მოგზაურობა კავკასიის ნახჭევანში და საყვარელი დედის მონახულება

ოთხი დღე-ღამის მერე გემი ბათუმში ჩავიდა. ნაპირზე გადავედით. ერთი თავრიზელი ვაჭარი მაგონდება, რომელიც სტამბოლიდან თავრიზში მიდიოდა. გემი ბათუმს რომ მიუახლოვდა, გამოგვიცხადა: „სტამბოლში ოთხი ძვირფასი ბრილიანტის ბეჭედი ვიყიდე და თან მიმაქვს. რადგან ბრილიანტის ბეჭედში

დიდ საბაჟო გადასახადს ახდევინებენ, ვფიქრობ, განუბაჟებლად გავიტანო და ბათუმიდან კონტრაბანდით გავაგზავნო. მირჩიეთ, მებაჟეებს თავი როგორ დავაღწიო". ბეჭდები გვიჩვენა და საკმაოდ მსხვილი ბრილიანტები იყო. ამბობდა, თითოში 200 ოქროს ლირა გადავიხადეო. მე ვუთხარი: „თქვენც და ნებისმიერ მგზავრსაც უფლება აქვს, ერთი ბეჭედი თითზე ეკეთოს და ის არ განაბაჟოს. ჩვენ ოთხნი ვართ. ერთი ბეჭედი თქვენ გაიკეთეთ და დანარჩენი სამი ჩვენ მოგვეცით. როგორც კი სასტუმროში მივალთ, ბეჭდებს დაგიბრუნებთ". უარი გვითხრა, მე თვითონ რამეს მოვიფიქრებო.

რადგან ჩვენ განსაბაჟებელი არაფერი გვქონდა, გემიდან შეუფერხებლად ჩავედით და სასტუმროში დავბინავდით. ცოტა ხანში ჩაფიქრებული და დანაღვლიანებული ვაჭარი მოვიდა. ვკითხე: „რა ქენით?" მიპასუხა: „დავიქეცი, რომ თქვენს რჩევას არ დავუჯერე. ჩემოდანში ერთი შანდალი მქონდა, ხუფი მოვხსენი, ბეჭდები შიგ ჩავდე, ხუფი ისევ დავახურე და შანდალი ხელში დავიჭირე. გემის კიბეებით ქვევით ჩავედი და საბაჟო კონტროლს მივუახლოვდი. მებაჟემ შანდალი რომ დაინახა, მკითხა: „ეს რა არის?" ვუთხარი: „შანდალია". მითხრა: „ჩემოდანში რატომ არ ჩადე?" ვუპასუხე: „ხელით ტარება ვარჩიე". გაიცინა და თქვა: „ღამე ხომ არ არის, რომ ანთებული შანდალი ხელში გეჭიროს. მომეცი, ვნახო". სხვა რა გზა მქონდა, შანდალი გავუწოდე. ხუფი მოხსნა, შანდალი დაიქნია და ბეჭდები ხელზე გადმოეყარა. ბეჭდებიანად საბაჟოში წამიყვანეს. მებაჟემ ბეჭდები საბაჟოს უფროსს მაგიდაზე დაუდო და საქმის ვითარება მოახსენა. უფროსმა მითხრა: ბეჭდებს ჩამოგართმევთ და ჯარიმა 400 ლირაც უნდა გადაიხადოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაგაპატიმრებთო. რამდენი არ ვეხვეწე, არაფერმა გაჭრა. საბოლოოდ, 200 ლირა გადავიხადე და წამოვედი. ნეტავ, თქვენი რჩევისთვის დამეჯერებინა. საკუთარმა სიჯიუტემ 200 ლირით მაზარალა. ამ მოგზაურობაში რაც წვალება გამოვიარე, ყველაფერი წყალში ჩამეყარა".

ბათუმში ნახჭევანის მატარებლის ბილეთი ავიღე და დედის სანახავად გავემგზავრე...

რაის აზ-ზაქერინი და მისი მოგზაურობის წიგნი

წინამდებარე თხზულების ავტორის სახელი უცნობია და მისი მხოლოდ ლაყაბი – რაის აზ-ზაქერინი შემორჩა. ლაყაბი მიუთითებს, რომ მისი პატრონი სასულიერო პირი, მქადაგებელი და ზაქერების (იმამთა ცხოვრებისა და მარტვილობის ამბების მთხრობელი) უფროსი იყო. თავად თხზულება ავტორის შესახებ ძალიან მწირ ცნობებს გვაწვდის. მექას მოსალოცად ის 1901 წლის შემოდგომაზე თავის მშობლიურ ქალაქ მეშჰედიდან გაემგზავრა და აშხაბადის, ბაქოს, თბილისის, ბათუმის და სტამბოლის გავლით მექაში ჩავიდა.

რაის აზ-ზაქერინის „მექაში მოგზაურობის წიგნის" პირველი გამოცემა ეკუთვნის ჰოჯათ ალ-ესლამ სეიდ მაჰმუდ მარაშის. ეს გამოცემა უცვლელად შევიდა რასულ ჯა'ფარიანის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი", რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Ra'īs az-Zākerīn, "Safar-nāme-ye hajj", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 303-349.

ლიტერატურა

Seyyed Mahmūd Mar'ashī, "Dar bāre-ye mohtavī-ye īn safar-nāme", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 303-308.

მექაში მოგზაურობის წიგნი
(1901-1902)

თბილისი

[1319 წლის 6 შაბანი (1901 წლის 18 ნოემბერი), ორშაბათი:

მატარებელში (māshīn) აწ განსვენებულ მოშირ ას-სალთანეს გულის ჯიბიდან 700 მანეთი მოჰპარეს. თბილისის სიახლოვეს გზა დანგრეული იყო. მატარებლის პირველი ვაგონი (khāne) გზიდან გადავიდა და ისე ამოტრიალდა, რომ ძირი ზევით მოექცა და სახურავი – ქვევით. დაახლოებით სამი საათი გაგვაჩერეს, სანამ გზას გააკეთებდნენ და გაგვატარებდნენ.

საღამოს თბილისში შევედით. მატარებლიდან არ გადმოვსულვართ, მაგრამ დავინახეთ, რომ დიდი, კეთილმოწყობილი ქალაქი იყო და კარგი კლიმატი ჰქონდა. ბათუმს გაცილებით სჯობდა. თბილისს რომ გავცდით, ორგან მთაში გაჭრილ გაჩირაღდნებულ გვირაბში გავიარეთ. პირველ გვირაბში დაახლოებით ათი წამი მივდიოდით, მეორეში კი – ოთხი-ხუთი წამი. შვიდში, სამშაბათს, დილის ექვს საათზე ბათუმში ჩავედით.

ბათუმი

სადგურში მაშჰადი ყოლამ ყაჰვეჩი შაბესთარი დაგვხვდა, სასწრაფოდ ჩვენი ბარგი აიღო და წაგვიყვანა ყავახანაში, რომელშიც ჰასანმა და ჰაჯი მირზა მოჰამადმა გუშინდელი ღამე გაატარეს. ცოტა პური ვჭამეთ და ჩაი დავლიეთ. დილამდე გაუჩერებლად წვიმდა და ვერ დავიძინეთ. მაშჰადი ჰასანი, სახელად ბანაი, ყავახანაში შემოვიდა, ყველას მიესალმა და მე ხელი ჩამომართვა. ვკითხე: „მეგობარო, საიდან მიცნობ?" მითხრა: „მეშჰედში, ჰაჯი მოჰამად ჰოსეინ ყარაბაყის „ჰოსეინიეში" მინბარიდან თქვენი ქადაგება ბევრჯერ მომისმენია". მისმა მეხსიერებამ გამაოცა, რადგან მიუხედავად შეცვლილი ჩალმისა, მიცნო.

ბაქოდან ბათუმამდე მატარებლით მგზავრობა სამი თუმანი ღირდა. თუ ამას დავუმატებთ ბაქოს ხარჯებს ჩასვლიდან გამგზავრებამდე და აბანოს ფულს, სულ შვიდი თუმანი გამოვა.

7 შაბანი (9 ნოემბერი), სამშაბათი:

ნაშუადღევს სამ საათზე ყოლამ ყაჰვეჩისთან ერთად აყა აჰმად აყა ამინ ათ-თოჯარის სახლში წავედით. იქ დაგვხვდნენ აწ განსვენებული ახუნდი მოლა მოჰამად ალი ყალიჩის მამა შეიხ აბდ ალ-ალი, მირზა ზეინ ალ-აბედინ თაბრიზი და მირზა აყა მოჰამად აყა. ერთად ვისადილეთ და მერე ჩვენ ყავახანაში დავბრუნდით. რვაში, ოთხშაბათს კი აყა მოჰამად აყას ვესტუმრეთ.

8 შაბანი (20 ნოემბერი), ოთხშაბათი:

ყოლამ ყაჰვეჩიმ პასპორტი გამომართვა და დასამოწმებლად რუსეთის კონსულთან წაიღო. გვითხრეს, რომ გემი ხვალ გადიოდა. მას სტამბოლამდე ბილეთის ფული ცხრა მანეთი, რაც ჩვენს ფულზე ექვსი თუმანია, და პასპორტის დამოწმების ფული 8000 [დინარი] მივეცი.

ოთხშაბათი საღამო ისევ მისი აღმატებულება ამინ ათ-თოჯარის სახლში გავატარეთ. დილით ავდექით და ზღვის ნაპირზე გაშენებულ ბაღში გავისეირნეთ. ეს ბაღი აქაურების სასეირნო ადგილია. ქალაქის მთელ გაყოლებაზე ზღვის პირას საროს ხეები და ნაირფერი ყვავილები იყო დარგული. ფართო პროსპექტებზე ხალხის დასაჯდომად და დასასვენებლად ხის სკამები იდგა. მერე წავედით ამინ ათ-თოჯართან, სადაც ირანის კონსული დაგვხვდა. ჩემი ბავშვობისდროინდელი ნაცნობი აღმოჩნდა: ბოჯნურდელი[610] აყა მირზა რაჰიმ ჯაჯარმის ვაჟი

[610] ბოჯნურდი – ქალაქი ხორასანში.

აყა მირზა აყა, რომელიც ახლა ბათუმის კონსულია. ერთად ვისადილეთ. ჩვენ სანახავად აქაური ვაჭარი ჰაჯი ალი ხოი მოვიდა და სხვადასხვა საკითხზე ვისაუბრეთ.

საღამოს მის აღმატებულება მირზა ზეინ ალ-აბედინთან ერთად წავედი ბათუმში მცხოვრებ ირანელთან, რომელიც თავის სახლში *როუზეს* შეკრებას მართავდა. *როუზეს* თავრიზელი *როუზეხანის* ჰაჯი მირზა მეჰდის ძმისშვილი ღრმად პატივცემული მონთაჯები აზ-ზაქერინი უძღვებოდა. მისი გამოსვლის შემდეგ თქვენმა მონა-მორჩილმა ვიქადაგე და მეგობრები დავლოცე.

10 შაბანი (22 ნოემბერი), პარასკევი:

პარასკევს დილით ღრმად პატივცემული მონთაჯების მიპატიჟება მივიღეთ და მასთან წავედით. მერე *ფაეტონში* ჩავსხედით და აყა ამინ ათ-თოჯარს ვესტუმრეთ. ჩვენი იქ ყოფნისას რუსეთის კანცელარიის მდივანი მოვიდა. სპარსულად მშვენივრად ლაპარაკობდა. მითხრა: „ათი დღე ბათუმში დარჩენა მოგიწევთ, რადგან რუმიდან[611] ტელეგრამა მივიღეთ, რომ იქ *კარანტინია* და გემს არ შეუშვებენ. არა უშავს, რამაზანამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა".

პარასკევ საღამოს მირზა ზეინ ალ-აბედინთან ერთად ისევ *როუზეს* შეკრებაზე წავედი.

11 შაბანი (23 ნოემბერი), შაბათი:

დილით ღრმად პატივცემულ მონთაჯებს – თაბიბ-ე განჯევის[612] – ვესტუმრეთ. ცოტა ხანი საუბრის შემდეგ ერთი ჭიქა ბურნუთი მოგვიტანეს. საღამოს ისევ მონთაჯებთან შევიკრიბეთ. ლიმონით, ფორთოხლითა და სხვა საჭმელებით გაგვიმასპინძლდნენ.

მზის ჩასვლას ერთი საათი აკლდა, როცა ზღვის სანაპიროზე გემების სანახავად წავედით. ერთი საათი სახელმწიფო ბაღში გავისეირნეთ და მერე აყა მოჰამად აყას ვესტუმრეთ. შებინდებიდან დილის ექვს საათამდე მაგიდას ვუსხედით და გზააბნეულ ბაბიდებზე[613] ვსაუბრობდით. აყა მოჰამად აყას ბაბის აკრძალული წიგნებიდან რამდენიმე სახლში ჰქონდა. ღრმად პატივცემულმა მონთაჯებმა, რომელიც მრავალმხრივ განათლებული კაცი იყო, ისინი დაათვალიერა. ყველა მათგანი სისულელე იყო და შიგ ერთი აზრიანი სიტყვაც კი არ ეწერა. ამინ ათ-თოჯარმა თქვა: „მუსლიმ სწავლულთაგან ერთიც კი არ გამოჩნდა, რომ ეს წიგნები გააკრიტიკოს, რათა ხალხი სწორ გზას არ ასცდეს!" მე ვუთხარი: „კარგია, რომ ჩვენი სწავლულები მათ არაფრად აგდებენ. თუ ეს ბატონები მაგ ულმერთოების მოსარჯულებლად მათ საწინააღმდეგო რამეებს დაწერენ, ისინი იტყვიან: თუ ჩვენ არაფერს წარმოვადგენთ, ეს ბატონები ჩვენთან რატომ ურთიერთობენ და რას გვიცხავენო". საუბრის მერე დავიძინეთ და დიდხანს გვეძინა.

---

611 იგულისხმება სტამბოლი.

612 „თაბიბ-ე განჯევი" განჯელ ექიმს ნიშნავს.

613 ბაბიდები იყვნენ მიმდევრები სეიდ ალი მოჰამად შირაზის, მეტსახელად ბაბის (1821-1850) მიერ ჩამოყალიბებული რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობისა, რომელიც ბაბიზმის სახელით არის ცნობილი.

13 შაბანი (25 ნოემბერი), ორშაბათი:

ოსმალეთში *კარანტინის* მიზეზი შემდეგი იყო. რუსეთში და, მათ შორის, ბათუმსა და სხვა ადგილებში ოსმალეთის ბევრი მოქალაქე ცხოვრობს და რუსეთის ხელისუფლებამ მათი ჯარში წაყვანა მოიწადინა. ეს ხალხი, დაახლოებით ორი მილიონი კაცი, ყველა სუნიტი, შეკავშირდა და რუსებს ასე უპასუხა: „თქვენ გინდათ, რომ გემსახუროთ, ჩვენ კი უმალ ოსმალეთში დავბრუნდებით, ვიდრე თქვენ გემსახურებით, რადგან ჩვენს ქვეყნებს შორის ომი რომ დაიწყოს, ჩვენ, როგორც თქვენი ქვეყნის *სალდათები,* იძულებული ვიქნებით, დაგემორჩილოთ და ერთმორწმუნეების წინააღმდეგ ვიბრძოლოთ". ეს ხალხი ოსმალეთისკენ დაიძრა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ გემებს მათი წაყვანა აუკრძალა და ოსმალეთს შეატყობინა, რუსეთში ქოლერის ეპიდემიაა. საპასუხოდ, ოსმალეთში *კარანტინი* გამოცხადდა.

ორშაბათ საღამოს მუსლიმური გაერთიანების წარმომადგენელი მისი ბრწყინვალება აბდ ალ-მოჰამად ესფაჰანი მობრძანდა. ამინ ათ-თოჯარის სახლში შუაღამემდე ვისხედით და ვსაუბრობდით. მან „ებრაჰიმ ბეგის მოგზაურობის წიგნიდან"[614] საოცარი ისტორიები მოგვიყვა და ძალიან ვისიამოვნეთ. ორი საათის დაღამებული იყო, როცა მისი აღმატებულება მირზა ზეინ ალ-აბედინი აბანოდან დაბრუნდა და გემ „ფირ-ე ოხოვათის" ჩამოსვლისა და *კარანტინის* გაუქმების სასიხარულო ამბავი გვამცნო.

14 შაბანი (26 ნოემბერი), სამშაბათი:

დილით ღრმად პატივცემულ მონთაჯებს გავუარეთ და აბანოში წასვლა გადავწყვიტეთ. მისი აღმატებულება ჰაჯი აბდ ალ-მოჰამადი მოვიდა და სახელმწიფოსა და ხალხზე ვისაუბრეთ. ის განათლებული, მრავლისმნახველი კაცი იყო და ბევრი ენა იცოდა. რადგან უკვე 15 შაბანი თენდებოდა, წვერი შევიღებეთ და დავიძინეთ. მესიზმრა, რომ მეშჰედში ვიყავი და აყა შეიხ მეჰდი ქაბირიც იქ იმყოფებოდა. მიბრძანა: „თქვენ ხომ გაემგზავრეთ, რატომ დაბრუნდით?" მოვახსენე: „შეიხო, თქვენთან გამომშვიდობება ვერ მოვახერხე და იმიტომ დავბრუნდი, ახლა ისევ გავემგზავრები".

15 შაბანი (27 ნოემბერი), ოთხშაბათი:

დილით ჩაის დალევის შემდეგ მის აღმატებულება ამინ ათ-თოჯართან ერთად ბაღში გავისეირნე. მისი უწმინდესობა მეთორმეტე იმამის – ალაჰიმც აკურთხებს მას და მიესალმება – დაბადების დღე იყო და რუსებიც რაღაცას ზეიმობდნენ. ალაჰმა ადიდოს ის ბაღი და იქ შეკრებილი საზოგადოება. ძვირფას კაბებსა და სამკაულებში გამოწყობილი რუსი, სომეხი და ქართველი ქალები რა ლამაზები იყვნენ! ისინი ბაღში ჯგუფ-ჯგუფად სეირნობდნენ. ბაღის შუაში მდგარ შენობაში ორმოცდაათ კაცამდე იჯდა და საოცრად უკრავდა. ცოტა ხანი გავისეირნეთ, მერე ამინ ათ-თოჯარის სახლში დავბრუნდით და ვისადილეთ.

---

[614] იგულისხმება ირანელი მწერლის ზეინ ალ-აბედინ მარაყაის (1838-1910) თხზულება „ებრაჰიმ ბეგის მოგზაურობის წიგნი".

მისი აღმატებულება ჰაჯი აბდ ალ-მოჰამადი რუმის[615] სულთანზე გვესაუბრა. თქვა: ბრძენი კაცია და სტამბოლში მცხოვრები ირანელები მას დიდ პატივს სცემენო. მერე ღრმად პატივცემულ მონთაჯებთან წავედი და შეუძლოდ დამხვდა. ღმერთმა ყველა დაიფაროს უცხო ქვეყანაში ავადმყოფობისგან. ძალიან შემეცოდა.

16 შაბანი (28 ნოემბერი), ხუთშაბათი:

დილით ყავახანაში მივედი და ვნახე, რომ სტამბოლში მიმავალი ხალხით იყო სავსე. ბათუმში დაახლოებით სამი ათას კაცს მოეყარა თავი.

საღამოს მაშჰადი ალისთან წავედით, *როუზეს* დავესწარით და უკან დავბრუნდით. ძალიან განვიცდიდი, რომ გემი არ ჩანდა და ბათუმში ამდენ ხანს მომიწია დარჩენა.

სტამბოლში გამგზავრება

17 შაბანი (29 ნოემბერი), პარასკევი:

დილით სახლიდან გამოვედი. გავიგე, რომ აყა მირზა აბდოლაჰ რაშთი ოსმალურ სარეისო გემ „ფირ-ე ოხოვათზე" ასულიყო. ყავახანაში წავედი და მაშჰადი ყოლამი ოსმალურ გემზე ბილეთების ასაღებად გავაგზავნე. წავიდა, აიღო და მომიტანა. სასწრაფოდ ბარგი შევკარი და მაშჰადი ყოლამს თუმანი ანუ 2000 [დინარი] მივეცი. გემზე რომ ავედი, მის აღმატებულება აყა მირზა აბდოლაჰს ვეახლე. ერთმორწმუნე და ერთ ენაზე მოლაპარკე კაცის დანახვა ძალიან გამიხარდა. გემის მგზავრთაგან დანარჩენი ყველა ოსმალო, უზბეკი და ბუხარელი იყო. ღმერთს თუ კაცის დატანჯვა უნდა, უზბეკთან ურთიერთობა უნდა მიუსაჯოს!

ღამე უზბეკების გარემოცვაში როგორღაც გავატარე. უზბეკებს ამ გემზე გამორჩეულად სწყალობდნენ, რადგან მისი აღმატებულება აყა მამით უზბეკი იყო. ერთი სეიდი დამიმეგობრდა. ღამით ქარიშხალი ამოვარდა და უზარმაზარმა ტალღამ გემს გადაუარა. გაწუწულ ძაღლებს დავემსგავსეთ და ბარგიც მთლიანად დაგვისველდა. მის აღმატებულება ზეინ ალ-აბედინთან წავედით. მას ერთი სომეხი მსახური ჰყავდა, სახელად იოტკა (Yotkā). მას ვკითხეთ: „კაიუტას ვერ ვიშოვით?" გვითხრა: „კაპიტანს დაელაპარაკეთ". კაპიტანი მოვნახეთ, ოთხი მანეთი ანუ 4000 [დინარი] დავუმატეთ და კაიუტა მოგვცა. კაიუტაში რომ შევედი, შვებით ამოვისუნთქე: ადგილი კარგი და მეგობარიც კარგი – ერთმორწმუნე, ერთ ენაზე მოლაპარაკე, ბევრისმნახველი მოგზაური, დიდგვაროვანთა წრეში მიღებული, მჭევრმეტყველი, წარმოსადეგი, სასიამოვნო მოსაუბრე, მრავალმხრივ განათლებული და უაღრესად ღვთისმოსავი. გაირკვა, რომ მისი აღმატებულება აყა ამინ ად-დოულე რაშთის ნათესავი იყო. სტამბოლამდე ერთი ღამე მასთან ურთიერთობით ვისიამოვნე. ღმერთმა, წარმატებით ატაროს.

---

[615] იგულისხმება ოსმალეთის იმპერია.

ჰაჯი აბდოლაჰ ამირ ნეზამ ყარაგოზლუ და მისი მოგზაურობის წიგნი

აბდოლაჰ ხან ყარაგოზლუ, ცნობილი ლაყაბებით „საედ ას-სალთანე", „სარდარ აქრამი" და „ამირ ნეზამი", ყარაგოზლუს ხანების წარმომადგენელი და ყაჯართა კარის წარჩინებული მოხელე იყო. 1891 წელს ჰამადანის მოჯთაჰედის წაქეზებით ყარაგოზლუს ხანებმა ხელისუფლების საწინააღმდეგო სახალხო მღელვარებაში მიიღეს მონაწილეობა. სამ მათგანს, და მათ შორის აბდოლაჰ ხანსაც, ამირ თუმანის (ბრიგადის გენერალი) თანამდებობა ჩამოართვეს და პატიმრობა მიუსაჯეს. ერთხანს იგი სახელმწიფო საქმეებს ჩამოსცილდა. 1910 წელს პირველი მინისტრის აბუ'ლ-ყასემ ნასერ ალ-მოლქის დახმარებით მან ფინანსთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა და 1915 წელს ფინანსთა მინისტრი გახდა.

აბდოლაჰ ხანი ბევრს მოგზაურობდა და თავის შთაბეჭდილებებს მოგზაურობათა წიგნებში აღწერდა. ჩვენამდე ხუთი ასეთი წიგნია შემორჩენილი: „ხუზისტანის წიგნაკი", „სარახსის ანგარიში", „მერვის წიგნაკი", „ნადერის აული" და „დიდებულ მექაში მოგზაურობის წიგნი". მათგან უმნიშვნელოვანესი მექაში მოგზაურობის ჩანაწერებია, რომელიც 1902 წლის მოვლენებს აღწერს. ამ მოგზაურობაში აბდოლაჰ ხანის თანამგზავრი ცნობილი შიიტი სწავლული და ფაკიჰი, თეირანის მოჯთაჰედი შეიხ ფაზლოლაჰ ნური იყო. მისი პატივისცემით ირანელ პილიგრიმებს ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ცერემონიებით ხვდებოდნენ და სტამბოლში ისინი ოსმალეთის სულთანმაც კი მიიღო.

2003 წელს აბდოლაჰ ხან ყარაგოზლუს თხზულებები ენაიათოლაჰ მაჯიდიმ ერთ წიგნად „მაჯმუ'ე-იე ასარ" („თხზულებათა კრებული") გამოსცა. ამ კრებულის ერთ-ერთი თხზულება „დიდებულ მექაში მოგზაურობის წიგნი" უცვლელად შევიდა რასულ ჯა'ფარიანის რვატომეულში "ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი", რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Hājjī 'Abdollāh Qarāgozlū, *Majmū'e-ye āsār*, be kūshesh-e 'Enāyatollāh Majīdī, Tehran, 1382/2003, 205-342.

Hājjī 'Abdollāh Amīr Nezām Qarāgozlū, "Safar-nāme-ye Makke-ye mo'azzame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 151-301.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 1347/1968, 296-97.

'Enāyatollāh Majīdī, "Dar bāre-ye īn safar-nāme", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 151-158.

დიდებულ მეჭაში მოგზაურობის წიგნი
(1902)

თბილისი

1319 წლის 19 შავალი (1902 წლის 29 იანვარი), ხუთშაბათი:

დილით მატარებელში გავიღვიძეთ და ჩაი დავლიეთ. ნაშუადღევს სამის ნახევარზე თბილისში შევედით. ბაქოსა და თბილისის დროებს შორის ნახევარი საათი განსხვავებაა: რადგან ბაქო უფრო აღმოსავლეთით არის, ამიტომ მზე იქ ნახევარი საათით უფრო ადრე ამოდის და ჩადის. ბაქოსა და რაშთს შორისაც 25 წუთი სხვაობაა.

ირანის გენერალური კონსული ნაზემ ალ-მოლქი რკინიგზის სადგურში დაგვხვდა. მატარებლიდან ჩამოვედით და შევედით სადგურის დარბაზში, რომელიც ლამაზად მოერთოთ და შიგ ბუხარი დაენთოთ. მერე ყველანი *კალიასკაში* ჩავსხედით და წავედით საკონსულოში, სადაც სადილი დაგვახვედრეს. ნაშუადღევს სამ საათზე ვისადილეთ და ცოტა ხანი ქალაქში გავისეირნეთ. უკან რომ დავბრუნდით, *ნამაზი* შევასრულეთ და სასაუბროდ დავსხედით. ირანიდან ჩამოსული *მუსიე* არნოლდი (Müsye Kārnol) კავკასიაში პასპორტებს განკარგავდა და სამუშაო ოთახი საკონსულოში ჰქონდა. ნაზემ ალ-მოლქს პასპორტები არ ეხებოდა და *მუსიე* არნოლდი მას საკონსულოს ხარჯებისა და ხელფასებისთვის წელიწადში 15000 მანეთს აძლევდა. სხვა კონსულებიც ხელფასს პასპორტების ფულიდან იღებდნენ, მაგალითად, ბაქოს კონსულს *მუსიე* არნოლდი წელიწადში 12000 მანეთს უხდიდა.

საღამოს შვიდ საათზე რკინიგზის სადგურში წავედით და მატარებლის მოლოდინში დარბაზში შევედით. რვის ნახევარზე ბაქოს მატარებელი ჩამოდგა და მისი აღმატებულება შეიხ ფაზლოლაჰი და სხვები ჩამოვიდნენ. რადგან მატარებელი თბილისში ერთი საათი ჩერდებოდა, ყველანი დარბაზში დავსხედით. ბილეთი ავიღე და ავედი მატარებელში, რომელიც თბილისიდან ბათუმში მიდიოდა. ორი პილიგრიმი, რომლებიც ბაქოდან პირველი კლასის ვაგონით მგზავრობდნენ, თბილისში უადგილოდ დარჩნენ, რადგან მათი ადგილი სხვამ დაიკავა. იძულებული გავხდი, ერთი მათგანი ჩემს კუპეში შემეყვანა.

ბათუმი

20 შავალი (30 იანვარი), პარასკევი:

პარასკევს დილით ბათუმში ჩავედით. თბილისიდან ბათუმამდე თორმეტნახევარი საათის გზაა. სადგურში ირანის კონსული მირზა აყა ხანი დაგვხვდა. მის აღმატებულება შეიხს ერთი სახლი უქირავეს, მე კი დავბინავდი *ჰოტელ* „ევროპაში", რომელსაც რუსულად *„ევროპა გასტინიცას"* ეძახიან. ეს *ჰოტელი* ორსართულიანია და ბაქოსა და თბილისის სასტუმროებზე უფრო იაფია. ორი ოთახი ვიქირავე და ორნახევარი მანეთი გადავიხადე.

ბათუმი უწინ ოსმალეთის პორტი იყო, მაგრამ რუსეთთან ომის შემდეგ გადაწყდა, რომ საერთო ევროპული ნავსადგური იქნებოდა. მერე მას რუსე-

თი დაეპატრონა და ახლა რუსული ნავსადგურია. ქალაქში ევროპული ტიპის გრძელი პროსპექტები, დუქნები და სახლებია. ზღვის ნაპირს მიუყვება გრძელი პროსპექტი, რომელიც სამხრეთ საფრანგეთის სანაპიროს ჰგავს, თუმცა ისეთი სუფთა არ არის. ქალაქში, მეტწილად, ქრისტიანები ცხოვრობენ, მაგრამ ირანელი და ოსმალო მუსლიმიც ბევრია. აქაური აბანო ოსმალურ ყაიდაზეა აგებული.

ბათუმის კონსულისა და მისი ხელქვეითების ძირითადი საქმიანობა ირანელების ძარცვაა, განსაკუთრებით პილიგრიმობის სეზონზე, რადგან საწყალმა ირანელმა მოგზაურებმა არც აქაური გზები იციან და არც ენა. რამდენიმე კაცმა შემოგვჩივლა, რომ კონსულმა მათ პასპორტები წაართვა და მერე ახლის აღება აიძულა. მისი აღმატებულება შეიხის თანდასწრებით ამ კონსულს ჭკუა ვასწავლეთ. ერთი ხორასანელი კაცი მომკვდარიყო და კონსულმა მისი კუთვნილი 160 თუმანი მიითვისა. გარდაცვლილის ძმა, რომელიც ქელათელი[616] იყო, შეიხს მოთქმა-გოდებით ეახლა და შესჩივლა: კონსულმა ჩემი და ჩემი ძმის მთელი დანაზოგი წაიღო, ჩემი ძმა მიწაში წევს და მე რა წყალში გადავვარდე, არ ვიცი. კაცი გავაგზავნეთ და კონსული ვიხმეთ. როცა მოვიდა, საქმის ვითარება გამოვკითხეთ და აღიარა, ფული ავიღეო. ჩვენს დაჟინებულ მოთხოვნაზე, ამ საწყლისთვის ფული დაებრუნებინა, თავიდან უარი განაცხადა და თავი რაღაც არადამაჯერებელი მიზეზებით იმართლა. ბოლოს, როცა დაინახა, რომ ამ ამბავს ასე არ დავტოვებდით, სიტუაციის გამოსწორებას შეეცადა და თქვა: ამ ფულს დავაბრუნებ და მისი აღმატებულება შეიხის სამსახურში ჩამეთვალოსო. მაგრამ შევატყვეთ, რომ ფულის დაბრუნებამ საშინლად გაამწარა. ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ერთი ზენჯანელი კაცი მოვიდა და შემოგვჩივლა: ჩვენი ამხანაგი ავად არის, ჯერ არ მომკვდარა, მაგრამ კონსულის ხელქვეითი უკვე მისი ქონების წასაღებად მოვიდაო. იმ საღამოს მისი აღმატებულება შეიხი კონსულთან ვახშამზე იყო დაპატიჟებული. მიუხედავად იმისა, რომ კონსულის თაღლითური საქმიანობა აშკარა იყო, მისი აღმატებულება დავიყოლიე და წავედით. იქ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ კაცის მიზანი საწყალი ხალხის ძარცვა და წვალება იყო. მსახური ბილეთების ასაღებად გაგზავნა და ამ სამსახურისთვის პილიგრიმებს პირველი კლასის ბილეთებში სამი მანეთი გამოართვა, მეორეში – ორი, ხოლო მესამეში – ერთი.

ის დღე ბათუმში გავატარეთ. ქალაქში ევროპული ბაზარი და დუქნებია. გემზე ავედი და ჩემი თანამგზავრებისთვის კუპე მოვამზადებინე. მერე მე და შამს ალ-ოლამა წავედით შეიხ ჰაჯი მოჰამად ალი ხამსეისთან, რომელიც შეუძლოდ იყო. ჩვენმა თანამგზავრმა ექიმმა ავადმყოფი გასინჯა და თქვა, ორ საათში მოკვდებაო. სახლის მეპატრონე შეწუხდა: ეს კაცი აქ რომ გარდაიცვალოს, მთელ პილიგრიმებს *კარანტინში* წაიყვანენო. გადავწყვიტეთ, მომაკვდავი საავადმყოფოში წაგვეყვანა და იქ დაგვეტოვებინა.

ბათუმიდან სტამბოლისკენ რამდენიმე კომპანიის გემი დადის. ერთი ფრანგული სამგზავრო გემი „მესაჟერია"[617], რომელიც თვეში სამჯერ გადის: პირველ

---

616 ქელათი ქალაქია ხორასანში.

617 იხ. შენიშვნა 471.

კვირას გასული გემი შეუჩერებლად მოძრაობს და სტამბოლში ორ დღეში ჩადის, მეორე კვირას გასული კი ორგან ჩერდება და ამ გზას სამ დღეში ფარავს.

ზღვის ერთი მილი 1853 მეტრის ტოლია. ბათუმიდან სტამბოლამდე 627 მილია: ბათუმიდან ტრაბზონამდე – 92, ტრაბზონიდან გირესუნამდე – 65, გირესუნიდან სამსუნამდე – 98, სამსუნიდან ინებოლუმდე – 140 და ინებოლუდან სტამბოლამდე – 232. ეს გემები საათში 13 მილს გადიან.

მეორე ფრანგული კომპანია „პაკეა"[618] და მასაც ორი კარგი გემი ჰყავს. დანარჩენი გემები ავსტრიულ და გერმანულ კომპანიებს ეკუთვნის. „პაკეს" გემები ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით გადიან და შავი ზღვის (Daryā-ye Asvad) ჩრდილოეთი პორტიდან სევასტოპოლიდან (Sevastāpol) სტამბოლისკენ მიდიან. „მესაჟერის" გემები შაბათობით და კვირაობით გადიან, სხვები – ორშაბათობით, დანარჩენ გემებს კი განსაზღვრული გრაფიკი არა აქვს. რადგან „მესაჟერის" გემი ათ დღეში გადიოდა, „პაკესი" კი – 13 დღეში, გადავწყვიტეთ, ავსტრიული კომპანია „ლოიდის"[619] (Loyd) გემ „ვენუსს" (Venūs) გავყოლოდით, რომელიც ექვს დღეში გადიოდა. ამ გემის ბილეთები ავიღეთ: პირველი კლასი 30 მანეთი ღირდა, მეორე – 21 და მესამე – 9.

კონსულის ხელქვეითებმა ბილეთების ფული შეკრიბეს და, რადგან წინასწარ ვიღებდით, უფრო იაფი დაგვიჯდა. ეს გემი რამდენიმე ნავსადგურში ჩერდება და საქონელს ტვირთავს და გასცემს. ბათუმიდან ტრაბზონში გემი 7 საათში ჩადის, ტრაბზონიდან გირესუნში – 6 საათში, გირესუნიდან სამსუნში – 11 საათში და სამსუნიდან ინებოლუში – 15 საათში.

21 შავალი (31 იანვარი), შაბათი:

დილით ავდექით და სამგზავრო სამზადისს შევუდექით. ჰაჯი მოჰამად ბაყერ რეზაიოვ თაბრიზის თანაშემწე ჰაჯი მოლა ალი თაბრიზი, რომელიც ბათუმში ცხოვრობდა, ჩვენ სანახავად მოვიდა. ცუდი კაცი არ იყო. რაც მანეთები მქონდა, ლირებზე გადამიცვალა. ერთი ოსმალური ლირა რვა მანეთისა და 61 კაპიკის ტოლია, რაც ოთხ თუმანს და 9001 ირანულ *აბასის* უდრის. სასტუმროში ვისადილეთ. სადილის შემდეგ მისი აღმატებულება შეიხი მობრძანდა. ხალხი განუწყვეტლივ გვაკითხავდა და ირანის კონსულის ხელქვეითებზე შემოგვჩიოდა. გვითხრეს, რომ ნავის ქირაობა ნაპირიდან გემამდე, რაც დაახლოებით 50 ნაბიჯია, კაცი ათი კაპიკი ღირს, მაგრამ საკონსულოს თანამშრომლები მენავეებს შეუთანხმდნენ და აიძულეს, რომ კაცისგან ერთი-ორი მანეთი აიღონ და მერე ამ ფულს იყოფენ. მის აღმატებულებასთან ერთად სანაპიროზე წავედი. კონსულის თანაშემწე მოვიდა და შევლაპარაკდით. ამასობაში კონსულიც მობრძანდა. მე წყობიდან გამოვედი და მასაც ვეჩხუბე. საბოლოოდ, პილიგრიმები ათასი წვალებით გემზე ავიდნენ. ხალხი ბევრი იყო, ადგილი კი – ცოტა. გარდა უცხოელებისა და თურქეთის პორტებში მიმავალი მგზავრებისა, გემზე 432 პილიგრიმი იმყოფებოდა. ისეთი ჭყლეტა იყო, რომ ვერ გაივლიდი. ხალხი გემის ტრიუმსა და

---

618 იხ. შენიშვნა 470.

619 იხ. შენიშვნა 397.

საკუჭნაოშიც კი დააბინავეს. მოკლედ, გემის გასვლის წინ კონსული მოვიდა და ბოდიში მოგვიხადა. მისი აღმატებულების დაკინებული თხოვნით, მას თავაზიანად დაველაპარაკე და ვურჩიე, ამიერიდან თავის თანამემამულეებს უკეთ მოქცეოდა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ და წავიდა. სალამოს რვის ნახევარზე გემი დაიძრა.

ბათუმს კარგი მდებარეობა აქვს: ერთი მხრიდან მთები აკრავს და მეორე მხრიდან – ზღვა. სანაპიროზე მშვენიერი შენობები დგას. ლამპიონებით განათებული ქალაქი ძალიან ლამაზია. ბათუმში თბილისზე უფრო ცივი კლიმატია და მთები თოვლით არის დაფარული.

ღამე გემზე დავიძინეთ. ბათუმიდან ტრაბზონამდე 7 საათის გზაა და სამის ნახევრისთვის ჩავედით. მაგრამ ღამე პორტში შესვლის უფლება არ მოგვცეს და ნავსადგომში მხოლოდ გამთენიისას შევედით.

მირზა მაჰმუდ ხან მოდირ ად-დოულე და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა მაჰმუდ ხან მოდირ ად-დოულე მოზაფარ ად-დინ შაჰის დაახლოებული პირი და დიდმოხელე იყო. სხვადასხვა წლებში ეკავა მეშჰედში იმამ რეზას აკლდამის ვაკუფური ქონების ზედამხედველის (1896-1900), ვაკფის საქმეთა მინისტრის (1900-1902) და სამხედრო მინისტრის (1902-03) თანამდებობები. მისი ძმა მირზა აჰმად ხან მოშირ ას-სალთანეც შაჰის კარზე დიდი პატივით სარგებლობდა და შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრი იყო.

1903-04 წლებში მირზა მაჰმუდ ხანმა ცოლ-შვილთან ერთად მექაში იმოგზაურა და გზად საქართველო, კერძოდ კი ბათუმი გაიარა. სხვა მოგზაურობის წიგნებთან შედარებით, მისი ჩანაწერები – ყოველ შემთხვევაში საქართველოსთან დაკავშირებული ეპიზოდი – ინფორმაციულად ღარიბია.

მოდირ ად-დოულეს მოგზაურობის წიგნის ერთადერთი ხელნაწერი ინახება სამეფო ბიბლიოთეკაში (№3899). 2010 წელს რასულ ჯა'ფარიანმა თხზულება შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი", რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Rasūl Ja'farīyān, "Tafsīl-e safar-e Makke-ye mo'azzame (Zādhā Allāh Sharafā)", *Mīqāt-e Hajj*, Vol.16, No. 6, Tehran, 1386/2007-08.

Do safar-nāme-ye hajj: safar-nāme-ye hajj-e Abū'l-Qāsem Marjānī A'yīn Kalā'ī (1331 q.) va Tafsīl-e safar-e Makke-ye mo'azzame-ye Mīrzā Mohammad Khān Modīr ad-Doule (1321 q.), be kūshesh-e Rasūl Ja'fariyān, Tehran, 1387/2008.

Mīrzā Mahmūd Khān Modīr ad-Doule, "Tafsīl-e safar-e Makke-ye mo'azzame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 345-383.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Dar bāre-ye īn safar-nāme", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 345-49.

დიდებულ მეჟაში მოგზაურობის აღწერა
(1903-1904)

წინა გზა

1321 წლის 6 რამაზანი (1903 წლის 26 ნოემბერი), ხუთშაბათი:

...ბაქოში ბათუმის ბილეთები ავიღეთ და მის უწმინდესობას დავემშვიდობეთ. მე, ჰორმათ ას-სალთანე და აფხამ ას-სალთანე რკინიგზის პირველი კლასით ვმგზავრობდით, მსახურები – მეორე კლასით, ჰაჯი ბაშირ ხანი, ჰაჯი თაყი და მზარეული ჰაჯი ებრაჰიმი კი – მესამე კლასით. მზის ჩასვლამდე ორი საათი იყო დარჩენილი, ბათუმში რომ შევედით. ბაქოდან ბათუმამდე 30 საათის გზაა. ბათუმში ირანის კონსული მისი აღმატებულება აყა მირზა ხანი დაგვხვედა. რადგან ცოლთან ერთად ვიყავი, სასტუმროში არ წავედი და მაშჰადი ალი აქბარის სახლში დავბინავდი.

მისი აღმატებულება მაჯდ ად-დოულე სასტუმროში გაჩერდა და ხუთშაბათ საღამოს გვესტუმრა. ხუთშაბათს დილით ბათუმის კონსული მოვიდა, პასპორტები გამოგვართვა და დასამოწმებლად რუსეთისა და ოსმალეთის კონსულებს წაუღო. პასპორტის დამოწმებაში მას 12 მანეთი გადავუხადე.

ბათუმში ბევრი ჩაის ბუჩქია. ეს ქალაქი ბაქოზე ნაკლებად კეთილმოწყობილია. აბანოში წავედი და ძალიან სუფთა იყო. მეაბანოეს ოთხი მანეთი მივეცი, მეეტლეს, რომელმაც იქ მიმიყვანა – ერთი მანეთი. კონსულმა ვახშმად დაგვპატიჟა. ბოდიში მოვუხადე და არ წავედი, მისი აღმატებულება მაჯდ ად-დოულე კი წავიდა. ოთხი საათის დაღამებული იყო, როცა კონსულის სახლიდან ვახშამი მოგვიტანეს და შევჭამეთ. კონსული ხორასანელი კაცი იყო და ბათუმში მსახურობდა.

მისი აღმატებულება მაჯდ ად-დოულე ბათუმში ორი დღე დარჩა, მერე სავაჭრო გემზე დაჯდა და ტრაბზონისა და სამსუნის გავლით შვიდ დღეში სტამბოლში ჩავიდა. მან ბათუმის კონსულს საჩუქრად გაუგზავნა შირვანული შალი, რომელიც 30 თუმანი ღირდა.

ბათუმიდან გამგზავრება

12 რამაზანი (2 დეკემბერი), ოთხშაბათი:

ბათუმში ერთი კვირა დავრჩით და 12-ში ოთხშაბათს ფრანგულ გემში ჩავსხედით. კონსული ჩვენ გასაცილებლად გემზე ამოვიდა. მზის ჩასვლისთვის დაგვემშვიდობა და ბათუმში დაბრუნდა. გემი დაიძრა. ერთ ღამეში ტრაბზონში ჩავედით...

უკანა გზა

1322 წლის 23 მუჰარამი (1904 წლის 9 აპრილი):

გემმა მთელი ღამე იარა და დღის სამ საათზე ბათუმში შევიდა. ერთი საათის მერე გემზე ბათუმის კონსული მობრძანდა, პასპორტები გამოგვართვა, რუსე-

თის მოხელეს დაამოწმებინა და ხელი მოაწერინა. რუსული საბაჟოს უფროსი გემზე ამოვიდა და თავაზიანად მოგვესალმა. ჩვენი ბარგი გაუხსნელად წაიღეს ბათუმში ჩვენთვის განსაზღვრულ ბინაში. ნავებში ჩავსხედით. ბათუმის კონსულის დაჟინებული თხოვნით მე, ჰორმათ ას-სალთანე, მისი მსახურები და ჰაჯი ბაშირ ხანი საკონსულოში წავედით და ღამე იქ გავათენეთ.

24 მუჰარამი (10 აპრილი), ორშაბათი:

დღის ორ საათზე კონსულთან ერთად რკინიგზის სადგურში წავედი, 25 ლირა გადავიხადე და მატარებლის ბილეთები ავიღე. სამ საათზე კონსულს დავემშვიდობე და მატარებელი დაიძრა.

მირზა დაუდ ვაზირ-ე ვაზაიეფი

მირზა დაუდ ჰოსეინი დაიბადა 1861 წელს მეშჰედში და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ ქალაქში გაატარა. ის ხორასნის გუბერნატორის ასაფ ად-დოულეს დაახლოებული პირი იყო და მეშჰედში იმამ რეზას აკლდამის ვაკუფური ქონების ზედამხედველისა და ვაკფის საქმეთა მინისტრის (ვაზირ-ე ვაზაიეფი) თანამდებობები ეკავა. სამოხელეო საქმიანობასთან ერთად ის სასულიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა და ახუნდი იყო. შემორჩენილია მისი არაბულენოვანი ლექსები, რომლებიც მეთორმეტე იმამის ხოტბას წარმოადგენს. მის მოგზაურობის წიგნშიც ვრცელი ეპიზოდი ჰაჯის რიტუალების აღწერას ეთმობა.

1904 წელს მირზა დაუდი თავის ორ ცოლთან და სხვა მომლოცველებთან ერთად მექაში გაემგზავრა. ამ მგზავრობის შთაბეჭდილებები აღწერილია მის „მექაში მოგზაურობის წიგნში". ეს სათაური პირობითია და წიგნის პირველ გამომცემელს სეიდ ალი ყაზი ასქარს ეკუთვნის. თავად თხზულება უსათაუროა და ავტორი წიგნში მას „მოგზაურობის დღიურის" სახელით მოიხსენიებს. თხზულების ერთადერთი ხელნაწერი ინახება მეშჰედში იმამ რეზას აკლდამის ბიბლიოთეკაში (№ 4542). ყაზი ასქარის გამოცემა უცვლელად შევიდა რასულ ჯა'ფარიანის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი", რომლითაც ჩვენ ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Mīrzā Dā'ūd Vazīr-e Vazāyef, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 441-665.

ლიტერატურა

Seyyed 'Alī Qāzī Askar, "Moqaddame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 441-451.

მექაში მოგზაურობის წიგნი
(1904-1905)

ბაქოს რკინიგზა

[1322 წლის 21 შავალი (1904 წლის 29 დეკემბერი), ხუთშაბათი:

ბაქოდან ბათუმამდე მატარებელი (rāh-e āhān) დადის. მისი კუპეები (otāq) ახლადაშენებულ ქალაქ აშხაბადის (Eshq Ābād) [მატარებლის] კუპეებზე უფრო ჭუჭყიანი და პატარაა და შალნარევი მაუდის ლეიბები აქვს. ერთ კუპეში სამნი ვისხედით და ვიწროდ ვიყავით. თბილისში 16 საათში ჩავედით. ბაქოდან თბილი-

სის კონსულს ტელეგრამით შევატყობინე, რომ 12 საათისთვის ვიქნებოდით, მაგრამ თერთმეტის ნახევარზე ჩავედით. მინდოდა, რომ კონსული სადგურში დამხვედროდა, რადგან მამამისმა მისმა აღმატებულება როქნ ად-დოულემ მასთან ხელჯოხი გამომატანა, მაგრამ არავინ დამხვდა. მატარებელი სადგურში ნახევარ საათს ჩერდებოდა. თუ მე და ჩემს ცოლებს თბილისში დარჩენა მოგვიწევდა, ხვალ გამგზავრება გაგვიჭირდებოდა, არა და ცოლების მარტო გაშვებაც არ მინდოდა.

თბილისი ძალიან დიდი და ლამაზი ქალაქია. ის ხეობაში მდებარეობს და მდინარე მას შუაზე კვეთს. უწინ თბილისი ირანის ნაწილი იყო და ეს ქრონიკებში წერია. შაჰ აბასსა და სხვა სეფიან მეფეებს აქ დიდი ბრძოლები გადახდათ. თბილისის აბანოებში მინერალური წყაროს წყალი მოდის. ნეტავ, მოთუხთუხე წყალში რა ხეირია? იქ წასვლა ვერ მოვახერხე.

თერთმეტ საათზე მატარებელი დაიძრა. გზა მდინარის ხეობას მიუყვებოდა. ყველგან გზისპირა სოფლებში კარგი *სტოპები*[620] (estop) – აგარაკის ტიპის ლამაზი სახლები იყო აშენებული. მატარებელში ვისადილეთ და ჩაი დავლიეთ. მატარებელი ისე ცუდად მიდიოდა, რომ დღიურში პატარა ჩანაწერის გაკეთებასაც კი ძლივს ვახერხებდი. თბილისის მთის ხეობები ძალიან ლამაზია. წელს აქ ცოტა ნალექი მოვიდა და ამიტომ მთებში ცოტა თოვლი იდო. ზოგან გზის პირას წყარო გადმოდიოდა და მასზე ლამაზი ნაგებობები იყო აშენებული. საშინლად მწყუროდა, რადგან უკვე ერთი დღე-ღამე იყო, რაც გზაში ვიყავი, მაგრამ რუსების ხელიდან წყლის აღება ჩვენს რწმენას ეწინააღმდეგება. ძალიან მომინდა, ძირს ჩავსულიყავი, ამ წყაროს წყალი დამელია, პირი დამებანა და რიტუალური განბანვა ჩამეტარებინა, მაგრამ მატარებელი ისე სწრაფად მიქროდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. „წყალს ნუ ეძებ, წყურვილი აიტანე".

[რიტუალური] სისუფთავის დაცვა რუსეთში შეუძლებელია. მართალია, ნამაზის შესრულება მატარებელში შეიძლება, მაგრამ ლოცვისწინა განბანვა მიწით უნდა ჩაატარო. განსაკუთრებით ქალებისთვის არის ძნელი. მიუხედავად იმისა, რომ პირველი კლასის ვაგონში ვიჯექი და მატარებლის მოსამსახურეები ნაწილობრივ რეზაიოვის (Rezāyof) შუამდგომლობით და ნაწილობრივ გასამრჯელოს ხათრით კარგად მემსახურებოდნენ, ამ ბეითს ვიმეორებდი:

ორი დღეა, პურსა და წყალს ვნატრობ,
ერთ ღამის პერანგს ვნატრობ.

ბაქოში ცუდი წყალი იყო და არ დავლიეთ. გზაში მატარებლის მოსამსახურემ ერთი თუნგი უგემრიელესი ცივი წყალი ამოიტანა. [რიტუალური] სისუფთავე და უსუფთაობა არად ჩავაგდე და მთელი თუნგი გამოვცალე!!! ძალიან კარგი წყალი იყო. თბილისში ჩვენი ვაგონის თანამგზავრები ჩავიდნენ და მათ ნაცვლად რუსი ქალები და კაცები ამოვიდნენ. რამდენიმე კუპე განთავისუფლდა. უფროსმა მოსამსახურე გოგონამ ჩვენსა და მომიჯნავე კუპეს შორის კარი გახსნა და ორივე კუპე ჩვენ დაგვითმო. ცოტა გავფართოვდით და ამ ქალიშვილს ერთი მანეთი გასამრჯელო მივეცი. შებინდებისას ნათურები აანთეს.

---

620 სავარაუდოდ, მოგზაური რუსულ სიტყვას стоп (გაჩერება) ხმარობს რკინიგზის სადგურის აღსანიშნავად.

გზაში რამდენიმე ადგილას მთა გახვრეტილი იყო და მატარებელი შიგ გადიოდა. პირველ გვირაბში დაახლოებით თხუთმეტი წუთი მივდიოდით – ორჯერ *აიათ ალ-ქურსი*[621], ერთხელ ალაჰის ხოტბა და ათჯერ განჩინების სურა[622] წავიკითხე. მერე განათდა, მაგრამ ათ წუთში შევედით მეორე გვირაბში, რომელიც ოთხ-ხუთ წუთში გავიარეთ. ოცი წუთის შემდეგ მესამე გვირაბში შევედით და იქ სამი-ოთხი წუთი მივდიოდით. მატარებელი გვირაბებში ძალიან სწრაფად მოძრაობდა და საშინლად გრუხუნებდა. ათ-თორმეტჯერ მდინარეებზე აშენებულ ხიდებზე გადავედით და მატარებელმა ისინიც ხმაურით გაიარა.

მთის ხეობები ძალიან ლამაზი იყო და იქ უამრავი ხე ხარობდა. ერთ ადგილას დავინახეთ, რომ ერთი ზომისა და სისქის ქვებს სახლის ფასადისთვის თლიდნენ, მეორეგან კი ერთი სისქის პატარა ლამაზ შეშის ნაფოტებს ერთმანეთზე აწყობდნენ. მთელ გზაზე ერთი *ფარსახის* ინტერვალით საგუშაგოები იდგა. ქალაქები და სოფლები ერთმანეთს ცვლიდა. *სტოპებში* მსახურების უფროსი ძირს ჩადიოდა და ტელეგრაფის ჯიხურში შედიოდა. იქ ზარი ეკიდა და ერთი კაცი ამ ზარს სამჯერ რეკდა. ჯიხურიდან გამოსულ მსახურების უფროსს პირში *სვისტოკი* ედო. პირველ დასტვენაზე მატარებლიდან ჩასული მგზავრები სასწრაფოდ უკან ადიოდნენ და თავიანთ კუპეებში სხდებოდნენ, მეორე დასტვენაზე კი მატარებელი იძვროდა. თავიდან ის ნელა მიდიოდა, მაგრამ თანდათანობით სიჩქარეს უმატებდა და ნახევარ საათში მთელი ძალით მიქროდა. მერე ისევ სვლას ანელებდა და ათი წუთი ნელა მიდიოდა. მოკლედ, კარგად გაწვრთნილი ცხენივით მორჩილი იყო.

ბათუმი

ღამის თერთმეტ საათზე შევედით ბათუმში, რომელიც შავი ზღვის პირას (Daryā-ye Asvad) მდებარე დიდი ნავსადგურია და რუსეთის იმპერატორის მიერ არის დაპყრობილი. ქალაქი ელექტრო და ნავთის ლამპიონებით იყო განათებული. ფართო და ლამაზი პროსპექტები და ქუჩები მწვანე, აყვავებული ხეებით იყო სავსე. ბათუმთან შედარებით, ბაქო უფრო დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქია და იქაურ დუქნებშიც მეტი საქონელია. ბათუმში ბევრი დიდი ეკლესიაა. სადგურის ახლოს სასტუმროში ორი ოთახი ვიქირავე. დიდი არაფერი იყო, მაგრამ ბაქოს სასტუმროს მაინც სჯობდა. არაბმა ჰაჯი ყასემმა, რომელიც ბაქოში დაგვემგზავრა, ახლადაშენებული ქალაქი[623] ჩვენზე სამი დღით ადრე ოც-ოცდაათ ნიშაბურელ და მეშჰედელ მომლოცველთან ერთად დატოვა. მათ სავაჭრო გემით იმგზავრეს და ზღვაში სამი დღე შეფერხდნენ. ძალიან გაწვალდნენ და თუმცა ოთხი დღეა, ბათუმში არიან, ჯერ გონს ვერ მოსულან.

22 შავალი (30 დეკემბერი), პარასკევი:

ეს დღე ბათუმში დავრჩი, აბანოში წავედი და ერთნახევარ მანეთად ძალიან კარგი ნომერი ავიღე.

---

621 აიათ ალ-ქურსი (ტახტის აია) ყურანის მეორე სურის („ძროხა") 256-ე აიაა.

622 განჩინების სურა ყურანის 97-ე სურაა.

623 აქაც და შემდგომაც მოგზაური ახლადაშენებულ ქალაქში აშხაბადს გულისხმობს.

23 შავალი (31 დეკემბერი), შაბათი:

დღევანდელი დღეც ბათუმში გავატარე. საღამოს ჩემთან ჰაჯი მირზა მუსა ურმიეი და ხორასნის კანცელარიის მრჩევლის მირზა აბუ'ლ-ჰასანის ვაჟი ფაზ-ლოლაჰ ხანი მოვიდნენ. ორივე ძალიან ჭკვიანი კაცია და იაზდელი ვაჭრის შეიხ აჰმადის თანაშემწეა. თავაზიანად მომიკითხეს და ბოდიში მომიხადეს: „მისმა აღ-მატებულება შეიხმა თქვენი ჩამობრძანების ამბავი ეს-ეს არის შეიტყო, მაგრამ ახლა მასთან კონსულია და დღეს ვერ გინახულებთ. თუ ღმერთის ნება იქნება, ხვალ დილით გეწვევათ". ჩაით გავუმასპინძლდი და წავიდნენ.

დილით ორსაათნახევრის გათენებული იყო, როცა მისი აღმატებულება შეიხ აჰმადი და ჰაჯი მირზა მუსა მოვიდნენ. შეიხ აჰმადი ვითომ იაზდელია, მაგრამ ევროპელივით გამოიყურება: წვერი გაუპარსავს და ჰალსტუხი უკეთია. თუმცა ბუნებით ძალიან კარგი კაცია. ერთი საათი დარჩა და ჩაი და ტკბილეულობა მი-ირთვა. ბოდიში მომიხადა, თქვენი ჩამოსვლის ამბავი გვიან გავიგეო. სასტუმრო დამიწუნა და დაჟინებით მთხოვა, რომ საცხოვრებლად მასთან გადავსულიყა-ვით. დავთანხმდი. თავად სახლში წავიდა და ჰაჯი მირზა მუსა დაგვიტოვა.

შეიხ აჰმადის სახლი

თხუთმეტი წუთის მერე ორი *ფაეტონი* ვიქირავეთ. ერთში მე და ჰაჯი მირზა მუსა ჩავსხედით, მეორეში – ქალები და აყა შეიხ აჰმადთან წავედით. მას ბინა ნაქირავები ჰქონდა და წელიწადში 900 მანეთს იხდიდა. სულ ახლახანს მან 27 000 მანეთად ახალი ბინა შეიძინა და ორ-სამ თვეში გადავა. მისი ძმა შეიხ აბდ ალ-ბაყი სამარყანდში ცხოვრობს. ძმები ჩაით ვაჭრობენ და მას ბითუმად ყიდიან. შეიხ აჰმადს ძალიან კარგად მოწყობილი ბინა ჰქონდა. შვიდი ოთახიდან ერთი კაბინეტი იყო, მეორე – სტუმრების მისაღები, დანარჩენი ხუთი კი – სასადი-ლო და საძინებლები. ოთახებში კარგი დივანები, მაგიდები და სკამები იდგა. შეიხს ახალგაზრდა ლამაზი რუსი და-ძმა ემსახურებოდა და თითოეული თვეში თორმეტ მანეთ ხელფასს იღებდა. ძალიან მკვირცხლები და ყოჩაღები იყვნენ. მთელი დღე შეიხის სახლში გავატარეთ და საღამოს ვივახშმეთ. რადგან შეიხ აჰმადს ცოლ-შვილი არ ჰყავდა, ქალებმა მის სახლში დარჩენა არ მოისურვეს. მასპინძელი ძლივს დავიყოლიე, რომ ისინი უკან სასტუმროში გაეშვა. მას შემ-დეგ რაც ქალები წავიდნენ, მე და შეიხმა ბაზარში გავისეირნეთ.

ბათუმი ძალიან ლამაზი ქალაქია და მასში კარგი პროსპექტებია, თუმცა ბაქო უფრო კეთილმოწყობილია. 25 წლის წინ რუსეთის ხელისუფლებამ ეს ნავსადგური ოსმალეთს ბრძოლით წაართვა. მას შემდეგ ქალაქში კარგი შენო-ბები და სახლები აშენდა. რუსებმა ბათუმის მცხოვრებთათვის სახელმწიფო ბან-კი დააარსეს. მაგალითად, თუ ვინმეს უნდა, რომ სახლი აიშენოს და ამისთვის 30 000 მანეთი სჭირდება, ბანკი მას ოცი წლით 20 000 მანეთს ასესხებს, მაგრამ ყოველი თუმნიდან ერთ ირანულ *შაჰის* ანუ სასესხო ექვს პროცენტს აიღებს, რაც წელიწადში 1000 მანეთი გამოდის. ოცი წლის შემდეგ, როცა თანხა დაი-ფარება, სახლი პატრონის მფლობელობაში გადავა.

ქალაქში სამი-ოთხი დიდი ეკლესიაა. გარედან დავათვალიერე და შიგ არ შევსულვარ. 50 მანეთად კარგი საპონი ვიყიდე, ყუთში ჩავადებინე, მისამართი

დავაწერე და აყა შეიხს მივეცი, რომ მეშჰედში ჩემი შვილისთვის მირზა ალი ნაყისთვის გაეგზავნა. გაგზავნის ფასი 15 მანეთი გადავიხადე. ძალიან კარგი ნივთია და ღმერთმა ქნას, მშვიდობით ჩააღწიოს. 20 მანეთად საბანიც შევიძინე. კარგი იქნება, თუ კაცს ამ მოგზაურობაში სულ ცოტა 100 000 თუმანი ექნება, რომ რასაც მოისურვებს, იყიდოს.

ფრანგული [კომპანიის] გემი

საღამოს აყა შეიხ აჰმადის სახლში დავბრუნდით და ჩაი დავლიეთ. ტელეფონით ნავსადგურს დავუკავშირდით და გაირკვა, რომ სტამბოლში მიმავალი ფრანგული გემი, რომელსაც ორი დღე ველოდით, არ ჩამოვიდა, რადგან სტამბოლის ახლოს ხუთი დღით *კარანტინში* გააჩერეს. მაგრამ რუსული გემი, რომელიც სტამბოლში ოდესის ('Odese) გავლით მიდიოდა, დღეს ღამის ორ საათზე მიემგზავრება. ვუთხარი, რომ ოთხი 33 მანეთიანი ბილეთი აეღოთ, თავად კი სასტუმროში წავედი და ქალებს ბარგი შევაკვრევინე. შვიდი საათისთვის შეიხ აჰმადი და ჰაჯი მირზა მუსა მოვიდნენ. ბარგი ურემში ჩავდეთ, ჩვენ *ფაეტონებში* ჩავსხედით და ნავსადგურში წავედით.

სასტუმროს მეპატრონე და დალალი მაშჰადი ალი აქბარი ქურდი, თაღლითი და გაიძვერა კაცი იყო. ის საწყალ მომლოცველებს გემის ბილეთის აღებისას ატყუებდა და ძარცვავდა. ისეთი აურზაური იდგა, რომ განკითხვის დღე გეგონებოდა. სასწრაფოდ გემზე ავედით. დიდი გემი იყო, დაახლოებით 150 ნაბიჯი ანუ 100 *ზარ'ი* სიგრძის და 12 *ზარ'ი* სიგანის. გემზე კარგი ოთახები იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა: მიუხედავად იმისა, რომ ოთხნი ვიყავით, ერთი ოთახი არ მოგვცეს და ქალები ცალკე მოათავსეს და კაცები – ცალკე. გემი ნავსადგურში ოთხი საათი გაჩერდა და ღამის ორ საათზე, როცა მე მეძინა, დაიძრა.

შავი ზღვა

ბათუმი შავი ზღვის პორტია. შავ ზღვას ასევე *ბაჰრ-ე ასვადს* და *ყარადანგიზს* ეძახიან. უწინ ბათუმი ოსმალეთს ეკუთვნოდა, მაგრამ 1295 (1878) წელს ოსმალეთის სულთნის აბდ ალ-ჰამიდ ხანის და რუსეთის იმპერატორის დაზავების შედეგად რუსების ხელში გადავიდა. ხმელეთით ის კავკასიას ესაზღვრება. ბათუმიდან თბილისამდე მატარებლით თორმეტი საათია.

ბათუმელები ძალიან ცუდი ხალხია. რკინიგზასთან ერთ მტვირთავს გადავეყარეთ. სხვა მუშები არ გაგვაკარა, თავად კი ისეთი გამხდარი იყო, რომ ბარგის ზიდვის ძალა არ ჰქონდა. ფუთები დაუვარდა და რაც შიგნით ნივთები იდო, დაიმტვრა. მიუხედავად ამისა, ას ნაბიჯზე ბარგის გადატანაში სამი მანეთი მომთხოვა, მაგრამ ერთი მანეთი ძლივს მივეცი. ორნახევარი მანეთი ურმის ქირა გადავიხადე, ერთი მანეთი – *ფაეტონების*, სასტუმროს ფული ათი მანეთი მაშჰადი ალი აქბარს მივეცი და ორი მანეთი მის მსახურებს გავუნაწილე. ძალიან გაუხარდა, დაგვლოცა და წავიდა. ღმერთმა დასწყევლოს მამამისი! „თან ქურდის თანამზრახველია და თან ვაჭრების მეგობარი"[624]. ბათუმში ასეთი თაღლითი

[624] სპარსული ანდაზაა, იტყვიან ადამიანზე, რომელიც თან გემეგობრება და თან გქურდავს.

ბევრია. ათ-თხუთმეტ კაცმა ბილეთი აიღო და მომლოცველების გასაძარცვად გემზე ამოვიდა. იმავე ღამეს ერთ ხორასნელს 270 მანეთი მოჰპარეს, მეორეს – ათი მანეთი. პირველივე პორტში ქურდი ძირს ჩავიდა და მიიმალა. ჩასვლის წინ მან ერთ მგზავრს გემის ბილეთი მოჰპარა, მისმა თანამზრახველმა კი ის ბილეთი მგზავრს თავიდან მიჰყიდა და თან დააყვედრა: ძალიან მინდოდა სტამბოლში წასვლა და ახლა შენი გულისთვის ამ ნავსადგურში უნდა დავრჩეო. მოკლედ, საწყალი მომლოცველები დიდ გაჭირვებაში არიან და მათ სულსა და ქონებას ათასობით ხიფათი ემუქრება.

როგორც გავიგე, ღამით გემზე ერთი მომლოცველი სეირნობდა და როცა გემბანი დაცარიელდა, ორმა-სამმა კაცმა მისი ზღვაში გადაგდება მოინადინა. რუსეთ-იაპონიის ომის გამო იმ დროს რუსეთში განსაკუთრებით დიდი განუკითხაობა იყო.

თავად ბათუმშიც ქურდები სახლების კარზე აკაკუნებდნენ და როცა სახლის პატრონი კარს აღებდა, მას მუცელზე რევოლვერს ადებდნენ, ფულს ართმევდნენ და გარბოდნენ. გუშინწინ ღამე ასე ერთი ვაჭარი გაქურდეს, გუშინ ღამე კი – ექიმი. რამდენიმე დღის წინ დაადგინეს, რომ თუ კაცს ბანკიდან ფულის გამოტანა უნდა, მან ეს ფული *სალდათების* მეთვალყურეობით *ფაეტონით* უნდა წაიღოს. მიუხედავად ამისა, ორი დღის წინ ასეთი შემთხვევა მოხდა: ერთმა კაცმა ბანკიდან ფული გამოიტანა და ორი *სალდათის* თანხლებით სახლში მიჰქონდა, როცა *ფაეტონს* სამი ქურდი დაესხა თავს. ორმა ქურდმა *სალდათები* გააკავა, მესამემ კი საწყალ კაცს მთელი ფული წაართვა. მოსახლეობა დარწმუნებულია, რომ პოლიცია ქურდებთან კავშირშია. აქ ისეთივე სიტუაციაა, როგორც ბაქოში: ომში უამრავი *სალდათი* მიჰყავთ და გაწამებული ხალხი ყოველდღე გუბერნატორსა და იმპერატორს მუქარის წერილებს სწერს. რამდენიმე დღის წინ სოფლელი ჯარისკაცები ომში გასაგზავნად ქალაქში ჩაიყვანეს, მაგრამ მათ პროტესტი განაცხადეს და წასვლაზე უარი თქვეს. საბოლოოდ, ისინი თოფის ძალით გემზე აიყვანეს და ომში გაუშვეს.

ბათუმი შავი ზღვის ნაპირზე მდებარეობს. უწინ ის ოსმალეთს ეკუთვნოდა. 1295 (1878) წელს ოსმალეთის ახლანდელ სულთანს აბდ ალ-ჰამიდ ხანსა და რუსეთის იმპერატორს შორის გაიმართა დიდი ომი, რომელიც ზავით დასრულდა. საზავო ხელშეკრულებით ამ პორტს რუსეთი დაეპატრონა. შავ ზღვას სპარსულად ბაჰრ-ე ასვადს ეძახიან, თურქულად კი – ყარადანგიზს, ყარზამის (Bahr-e Qarzam), თილასის (Bahr-e Tīlas)[625], მათუქსინის (Bahr-e Mātūksīn) და ტრაბზონის ზღვას (Daryā-ye Terābūzān). კონსტანტინეს სრუტით (Khalīj-e Qostantīne) ის რუმის ზღვას (Daryā-ye Rūm) უერთდება და თეთრ ზღვას (Bahr-e Abyaz) ერწყმის[626]. შავი ზღვა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ არის გადაჭიმული და აღმოსავლეთის გრძედის 28-ე გრადუსზე იწყება და 42 გრადუსამდე გრძელდება. მასში არც ერთი კუნძული არ არის.

---

[625] როგორც ჩანს, ავტორი გულისხმობს სიტყვა „ზღვის" ბერძნულ შესატყვისს talassa.

[626] ავტორი აქ ხმარობს აღმოსავლეთში გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს: კონსტანტინეს სრუტე – ბოსფორის სრუტე, რუმის ზღვა – მარმარილოს ზღვა, თეთრი ზღვა – ეგეოსის ზღვა.

სეიდ ჰასან თაყი ზადე და მისი მოგონებები

სეიდ ჰასან თაყი ზადე.

სეიდ ჰასან თაყი ზადე (1878-1970) ყაჯართა მმართველობის ბოლოსა და ფეპლევიანთა დინასტიის პერიოდის ირანის გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი იყო. ირანის პოლიტიკურ ისტორიაში ის შევიდა, როგორც თავგამოდებული კონსტიტუციონალისტი და ირანის „ევროპული მომავლის" მომხრე.

ჰასან თაყი ზადე დაიბადა 1878 წელს თავრიზში სასულიერო პირის ოჯახში. მან ტრადიციული სასულიერო განათლება მიიღო, თუმცა ჩუმად დადიოდა თავრიზში კათოლიკე მისიონერთა მიერ დაარსებულ ამერიკულ მემორიალურ სკოლაში და იქ ინგლისურს სწავლობდა. თავრიზში ის აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა: დააარსა საგანმანათლებლო სკოლა და ბიბლიოთეკა, ასწავლიდა ფიზიკას, გამოსცემდა ჟურნალს „განჯინე-იე ფონუნ" („მეცნიერებათა საგანძური").

1906 წელს ჰასან თაყი ზადე საცხოვრებლად თეირანში გადავიდა და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1909 წელს მისი თაოსნობით დააარსდა ირანის პირველი თანამედროვე პოლიტიკური პარტია „ფერყე-იე დემოკრათ-ე ირან" („ირანის დემოკრატიული პარტია"). თაყი ზადეს პოლიტიკური კარიერა დაახლოებით 70 წელს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში ის იყო ირანის მეჯლისის I, II, V, VI და XV მოწვევის დეპუტატი, ხორასნის გენერალ-გუბერნატორი (1928), გზებისა და ტრანსპორტის მინისტრი (1930), ფინანსთა მინისტრი (1930-1933), ირანის დესპანი საფრანგეთში (1933-1934), დესპანი (1929) და ელჩი (1941-1947) ინგლისში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ირანის სენატის („მაჯლეს-ე სენა") ფორმირებაში და 1949-1967 წლებში მისი თავმჯდომარე იყო.

ჰასან თაყი ზადემ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა: 1904-1905 წლებში მოინახულა კავკასია, თურქეთი, ეგვიპტე, სირია და ლიბანი, სახელმწიფო მისიით არაერთხელ იმოგზაურა ევროპაში (1911-1912, 1915-1922, 1934-1935), ამერიკასა (1913-1914, 1926) და რუსეთში (1922-1923). 1916 წელს ბერლინში მან სხვა ირანელ ინტელექტუალებთან ერთად ჩამოაყალიბა საზოგადოება „ქომითე-იე ირან" („ირანის კომიტეტი") და დააარსა გაზეთი „ქაავე", რომელიც 1916-1922 წლებში ვრცელდებოდა როგორც ევროპაში, ისე ირანში. 1941 წელს ის იყო თავმჯდომარე ირანის დელეგაციისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომელიც 1945 წელს რუსეთის მიერ თავრიზის ოკუპაციის გამო პროტესტის ნიშნად დატოვა.

გარდა პოლიტიკური ცხოვრებისა, თაყი ზადე აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი კითხულობდა ლექციებს ლონდონისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში. აქვს ნაშრომები კლასიკურ სპარსულ ლიტერატურაზე, ირანის ძველ

კალენდარზე, ზოროასტრიზმსა და მანიქეიზმზე. 1954 წელს მონაწილეობა მიიღო ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესში კემბრიჯში. 1957 წელს შემდეგ კონგრესზე მიუნხენში იყო ირანის საბჭოს თავმჯდომარე. იმავე წელს გაემგზავრა ამერიკაში და ერთხანს კოლუმბიის უნივერსიტეტში ასწავლიდა. 1966 წელს, 88 წლის ასაკში, თავმჯდომარეობდა ირანისტთა პირველ საერთაშორისო კონგრესს თეირანში.

თავისი ცხოვრება თაყი ზადემ აღწერა მოგონებების წიგნში, რომელსაც „ზენდეგი-ე თუფანი" („ბობოქარი ცხოვრება") უწოდა. წიგნში იგი საინტერესო ცნობებს გვაწვდის XX საუკუნის დასაწყისის თბილისისა და ბათუმის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Seyyed Hasan Taqī Zāde, "Az yāddāshthā-ye Taqī Zāde", *Yaghmā*, No.1 (283), Tehran, 1351/1972, 1-7.

Seyyed Hasan Taqī Zāde, "Khāterāt-e tavaqqof-e Estānbūl va morāje'at be Tabrīz", *Āyande*, Vol. 9, No. 5, Tehran, 1352/1983, 356-362.

Zendegī-ye tūfānī, Khāterāt-e Seyyed Hasan Taqī Zāde, zīr-e nazar-e Īraj Afshār, Tehran, 1372/1993.

ლიტერატურა

Īraj Afshār, "Khāterāt-e Taqī Zāde", წიგნში: *Zendegī-ye tūfānī, Khāterāt-e Seyyed Hasan Taqī Zāde*, 5-36.

'Abd al-Hoseyn Āzerang, "Taqīzādeh, Seyyed Hasan", *Dāneshnāme-ye Jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Alī Haddād 'Ādel, Vol.7, Tehran, 1382/2003, 883-891.

'Askar Bahrāmī, "Taqīzādeh, Seyyed Hasan", *Dā'erat al-Mo'āref-e Bozorg-e Eslāmī*, ed. by Kāzem Mūsavī Bojnūrdī, j.16, Tehran, 1387/2008, 68-77.

Rahīm Ra'īs Nīyā, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", 202.

H. Katouzian, "Sayyed Hasan Taqizadeh: Three Lives in One Lifetime", *Iran Nameh*, Vol.21, No.1-2, 1382/2003, 7-48.

S.H. Jousseſi, *"Seyyed Hasan Taqizadeh: a Political Biography in the Context of Iranian Modernization"*, Master thesis (University of Utrecht, The Netherlands, August 1998) (http://www.let.uu.nl/~Sepehr.Jousseſi/personal/Political-Biography-of-Taqizadeh.htm).

ბოგოქარი ცხოვრება
სეიდ ჰასან თაყი ზადეს მოგონებები

მოგზაურობა სირიასა და ეგვიპტეში
(1904-1905)

თბილისი
(1905)

სეიდ ჰასან თაყი ზადე.

თბილისი საქართველოს და კავკასიის დედაქალაქი იყო და რუსი მეფისნაცვალი იქ იმყოფებოდა. აზერბაიჯანელები სტამბოლში თბილისის გავლით დადიოდნენ.

თბილისში რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩავედით. ეს ქალაქი ჩემთვის ევროპის პირველი ჭიშკარი იყო და იქ, ევროპის დარად, ყველაფერი ევროპული და რუსული იყო. თბილისში დაახლოებით ერთი თვე დავრჩი და ბევრი სასარგებლო რამ ვისწავლე. ძირითადად, კავკასიის განათლებულ და პროგრესულ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა. თბილისში ბევრი ირანელი იყო და მათ რუსული საქონელი თბილისის გავლით ირანში დაჰქონდათ.

მოჰამად აყა შაჰტახტინსკი

ჩემთვის ყველაზე სასარგებლო იყო მოჰამად აყა შაჰტახტინსკის[627] (Shāh Takhtīnskī) გაცნობა. ეს სახელგანთქმული კაცი ყოველდღიური თურქული გაზეთის „შარყ-ე რუს" („რუსული აღმოსავლეთი")[628] დამაარსებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ აღმოსავლეთში (ირანსა და კავკასიაში, სტამბოლის გამოკლებით) ეს იყო პირველი ევროპული ტიპის ყოველდღიური გაზეთი, თუ არ ჩავთვლით გაზეთს „თარჯომან-ე ჰაყიყათ" („ჭეშმარიტების თარჯიმნები")[629], რომელიც ძველად გამოდიოდა. მოჰამად აყა ისეთი განათლე-

---

627 მოჰამად აყა შაჰტახტინსკი (1846-1931) იყო გამოჩენილი აზერბაიჯანელი განმანათლებელი, პუბლიცისტი და აღმოსავლეთმცოდნე.

628 თურქულენოვანი გაზეთი „შარყ-ე რუს" („რუსული აღმოსავლეთი") მოჰამად აყა შაჰტახტინსკიმ თბილისში 1903 წელს დააარსა. გაზეთი ჯერ კვირაში სამჯერ და მერე ყოველდღე გამოდიოდა და პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურის საკითხებს აშუქებდა (*Fehrestegān-e Qafqāz*, 646).

629 ყოველკვირეული თურქულენოვანი გაზეთი „თარჯომან-ე ჰაყიყათ" („ჭეშმარიტების თარჯიმნები") სტამბოლში იბეჭდებოდა და მისი ძირითადი თემები პოლიტიკური და სოციალური საკითხები იყო. გაზეთის რედაქტორები აჰმად აყაიევი და მოჰამად სალაჰ ად-დინი იყვნენ (*Fehrestegān-e Qafqāz*, 655-656).

ბული და პროგრესული კაცი გახლდათ, რომლის ბადალიც, ჩემი აზრით, მთელ ისლამურ სამყაროში არ მოიძებნებოდა: არც ოსმალეთში, არც ირანში, არც ინდოეთში და არც სხვა მუსლიმურ ქვეყნებში.

მან განათლება ჯერ რუსეთში, მერე კი საფრანგეთსა და გერმანიაში მიიღო და ახალ ეპოქაზე ოცნებობდა. შეიძლება ითქვას, რომ ბუნებით ჭეშმარიტი ევროპელი იყო და მის მსგავს ადამიანს მე აღმოსავლეთში არ შევხვედრივარ. მას ორი ძმა ჰყავდა. უფროსი მოჰამად აყა იყო, შუათანა – ჯაჰანგირ აყა და უმცროსი – ბახშალი აყა. ბახშალი აყა რუსული ჯულფას საბაჟოზე მსახურობდა. ის ნამდვილი პატრიოტი და ნოვატორი გახლდათ და დიდხანს იცოცხლა. ჯაჰანგირ აყა თბილისში სომხებმა მოკლეს.

მათი მამა შეძლებული კაცი იყო. მოჰამად აყასაც ბევრი ფული ჰქონდა და მთელ ფულს ტიპოგრაფიასა და გაზეთის გამოშვებაში ხარჯავდა. იმ დროს თბილისში არაბული დამწერლობის მქონე სტამბა არ არსებობდა და მოჰამად აყას რეფორმათაგან ერთ-ერთი იყო ახალი არაბული და თურქული დამწერლობის გამოგონება, რომელსაც მან „მოჰამად აყას დამწერლობა" უწოდა. ის თავის გაზეთში ყოველდღე თითო სვეტს ამ დამწერლობით ბეჭდავდა და ასევე გამოაქვეყნა სტატია ჩადრის გაუქმების შესახებ ... მოჰამად აყა უაღრესად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე კაცი გახლდათ და მე მას ყოველთვის უპირველეს სწავლულად ვთვლიდი.

თბილისი ძალიან მაინტერესებდა, რადგან ჩემთვის ის ევროპული მმართველობის ქალაქს წარმოადგენდა. ღამღამობით მთელი ქუჩები განათებული იყო. თეატრში ვიყავი და მუზეუმიც ვნახე. დიდებული მუზეუმი იყო და შესასვლელში დაღესტნელი შეიხ შამილის ქანდაკება იდგა.

„შარყ-ე რუს"-ის თანამშრომლები

გაზეთში „შარყ-ე რუს" შაჰტახტინსკის სამი თანამშრომელი ჰყავდა. სამივე ძალიან განათლებული იყო და გაზეთი მათი ძალისხმევით გამოდიოდა. ერთ-ერთი მათგანი – ნახჭევანელი მირზა ჯალილ მოჰამად ყოლიზადე უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდა გახლდათ. მეორე ომარ ფაეყ ნე'მათზადე ბათუმისა და ოსმალეთის მახლობლად მდებარე ახალციხიდან (Akheskā) იყო. მესამე რაშიდ ბეგ ისმაილოვიც ძალიან წიგნიერი კაცი იყო. მირზა ჯალილი და ომარ ფაეყი რაშიდ ბეგს ცუდად ექცეოდნენ და ახლოს არ იკარებდნენ და მოჰამად აყასთანაც ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი ამბობდნენ: რაშიდ ბეგი რუსების თავგადაკლული თაყვანისმცემელია და არც მოჰამად აყაა თავისი ქვეყნის პატრიოტი.

„მოლა ნასრედინის" რედაქტორი

მირზა ჯალილი ძალიან ხუმარა კაცი იყო და თავისი სამშობლო უსაზღვროდ უყვარდა. ერთი წლის შემდეგ ის „შარყ-ე რუს"-იდან წავიდა და საკუთარი ჟურნალი „მოლა ნასრედინი"[630] დააარსა. აღმოსავლეთში ნიჭიერებით მის ფრჩხი-

[630] ჟურნალი „მოლა ნასრედინი" ცნობილმა აზერბაიჯანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა ჯალილ მოჰამად ყოლიზადემ (1866-1932) 1906 წელს თბილისში დააარსა და ის აქ 1914

ჟურნალ „მოლა ნასრედინის“ გარეკანი.

ლადაც არავინ ღირდა და მხოლოდ მოლიერს შეიძლება შევადაროთ. მისი თხოვნით, ირანიდან უამრავი იუმორისტული წიგნი, მათ შორის ქოლსუმ-ნანე[631] გამოვუგზავნე. მე და მირზა ჯალილი დავმეგობრდით და ძალიან თბილად მექცეოდა. ომარ ფაეყიც კარგი კაცი იყო. თავად მოჰამად აყაც, მიუხედავად თავისი სიფიცხისა, ცუდი კაცი არ იყო. მე ყველასთან ვმეგობრობდი.

ბათუმი და სტამბოლი

თბილისიდან ბათუმში წავედი. ბათუმი რუსეთ-ოსმალეთის ბოლო ომის მერე ყარსის ხელშეკრულებით რუსეთს გადაეცა[632]. ეს ლამაზი, მწვანეში ჩაფლული, აყვავებული ქალაქი ზღვის პირას მდებარეობს. ბათუმში ირანის კონსული მირზა ალი მოჰამად ხანი ძალიან თავაზიანად შემხვდა. ნლების შემდეგ, მეორე მოწვევის მეჯლისში ის „ვეზირ-ზადეს“ სახელით მონაწილეობდა და მინისტრის თანამდებობაც ეკავა. როგორც მერე გავიგე, ბათუმში ჩემი ყოფნის დროს მისი თანაშემწე აყა მოჰამად საედი გახლდათ.

ბათუმში გემის მოლოდინში გავჩერდი. ბათუმსა და სტამბოლს შორის ფრანგული, ავსტრიული და იტალიური გემები დადიოდნენ, ოდესასა და სტამბოლს შორის კი – რუსული გემები. ირანელი მოგზაურები მეტწილად ავსტრიულ გემ „ლოიდს“ ამჯობინებდნენ.

მგზავრობა ექვსი-შვიდი დღე გაგრძელდა, რადგან გემი ყველა ნავსადგურში ჩერდებოდა და მზის ჩასვლამდე იდგა.

წლამდე გამოდიოდა. გაზეთის გამოცემა 1917 წელს განახლდა, მაგრამ მალევე ცენზურის გამო დაიხურა. 1921 წელს გაზეთმა არსებობა თავრიზში, ხოლო 1922-1931 წლებში ბაქოში გააგრძელა.

631 „ქოლსუმ-ნანე“ ანუ „ბებია ქოლსუმის ამბები“ სპარსული იუმორისტული წიგნია, რომლის ავტორია ირანელი ღვთისმეტყველი აყა ჰოსეინ ხანსარი (1607-1688).

632 „რუსეთ-ოსმალეთის ბოლო ომში“ იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი. ყარსის ხელშეკრულება დაიდო 1921 წლის 13 ოქტომბერს სამხრეთ კავკასიის ახლადგასაბჭოებულ რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის, საბჭოთა რუსეთის აქტიური მონაწილეობით.

თეირანში დაბრუნება და პირველი მეჯლისის დეპუტატობა (1906-08)

თბილისი

თბილისში ბევრი რევოლუციონერი მეგობარი მყავდა, მათ შორის გაზეთ „მოლა ნასრედინის" დამაარსებელი და რედაქტორი ჯალილ მოჰამად ყოლიზადე. მასთან შეხვედრის მერე ბაქოში გავემგზავრე.

ბაქოში ირანელებს რევოლუციური *კომიტეტი* „სახალხო სოციალისტები" ანუ „სოციალ-დემოკრატები" ჰქონდათ და მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული კავკასიის მუსლიმ რევოლუციონერებთან, რომლებიც იმ დროს მიმდინარე პირველ რუსულ რევოლუციაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

[თბილისი] (1909)

თბილისში დავბინავდი ერთ დიდ *ჰოტელში*, რომელსაც „ევროპა"[633] ერქვა. აწ განსვენებული დეჰხოდა[634] და მო'აზედ ას-სალთანე (ფირ ნია) ბაქოდან თბილისში ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ, მაგრამ რადგან მე დარჩენას ვაპირებდი, დამემშვიდობნენ და ევროპაში (პარიზში) გაემგზავრნენ.

თბილისში რუსი მოხელეები მითვალთვალებდნენ და ვინც კი ჩემ სანახავად მოდიოდა, დასაკითხად პოლიციაში მიჰყავდათ. ერთ დღეს, როცა *ჰოტელის* ოთახიდან გამოვედი, დავინახე ჩემი ოთახის წინ ჩამომჯდარი გრძელწვერა რუსი პოლიციის ოფიცერი, რომელიც ჩემთან მომსვლელებს აკვირდებოდა. შევუტიე, აქ რას ზიხარ-მეთქი და მიპასუხა, საქმე მაქვსო. ძალიან გავბრაზდი და წავედი ავსტრიის კონსულთან, რომელიც ჩემდამი კეთილგანწყობილი იყო. მას შევჩივლე, რომ რუსი მოხელეები მაწუხებდნენ. მითხრა: „განა თქვენი კონსული არ გეხმარებათ?" ავუხსენი, რომ სამშობლოდან განდევნილი ვიყავი და ამიტომ ირანის კონსული ჩემს საქმეში არ ჩაერეოდა. საკონსულოდან აბანოში წავედი და *ჰოტელში* საღამოს დავბრუნდი. რუსი პოლიციელი აღარსად ჩანდა. როგორც მითხრეს, ავსტრიის კონსული ირანის კონსულთან წასულა და უთქვამს, ირანიდან ერთი პატივცემული კაცია ჩამოსული და რატომ არ ეხმარებითო. მერე ქალაქის გუბერნატორთან წასულა და ჩემთვის უშუამდგომლია, რის შემდეგაც თავი დამანებეს.

ამასობაში, აწ განსვენებული ალი ხან თაბრიზი (შემდგომში თარბიათი) თავრიზიდან გაიქცა და კავკასიაში ჩამოვიდა. ჩვენ ერთნაირ მდგომარეობაში ვიყავით, ამ ცხოვრების თანამეწილეები, თუმცა არაფერი გვებადა. მას ძმები მირზა მოჰამად ალი ხანი და მირზა რეზა ხან თარბიათი ახლდნენ. გადავწყვიტეთ, რომ მე, მირზა მოჰამად ალი ხანი და ჩემი თანამგზავრი ჰოსეინ აყა ფარვიზი

---

633 სასტუმრო „ევროპა" (Hôtel d'Europe) (უწინდელი „იტალია") ფუნქციონირებდა 1864-1890 წლებში ერივანსკის მოედანზე (დ. ხოშტარია, *თბილისი. ძველი სასტუმროები*, 31-35).

634 იგულისხმება ცნობილი ლექსიკოგრაფი ალი აქბარ დეჰხოდა (1879-1959), სპარსული ენის ფუნდამენტური განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელი.

ევროპაში გავემგზავრებოდით. მირზა მოჰამად ალი ხანის მცირეოდენი სახსრებით და ბაქოში ირანელი ვაჭრის მიერ ჩემთვის მოცემული ფულით ბანკში შევიძინეთ ფასიანი ქაღალდი, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გადიოდა. ცოტაოდენი ფული ფარვიზსაც ჰქონდა, მაგრამ არ დაგვიმატა.

თბილისში ვენის ბილეთები ავიღეთ, მატარებელში ჩავსხედით და ევროპისკენ გავემგზავრეთ. ერთი დღის მგზავრობის შემდეგ დილით რომ გავიღვიძეთ, აღმოვაჩინეთ, რომ პატარა ჩემოდანი, რომელშიც მნიშვნელოვანი დოკუმენტები და თამასუქი გვედო, დაკარგულიყო. რამდენიც არ ვეძებეთ, კვალს ვერ მივაგენით. როგორც გაირკვა, სადგურებში, სადაც მატარებელი ჩერდება, ქურდები გრძელი ორთითებით ფანჯრებიდან ნივთებს იპარავენ და ჩვენი ჩემოდანიც ასე მოიპარეს. გამწარებულები მატარებლიდან ჩავედით ერთ პუნქტში, რომელსაც ბესლანი (Beslān) ერქვა. გაოგნებულები ვიყავით და არ ვიცოდით, რა გვექნა. პოლიციასაც მივაკითხეთ და ჟანდარმერიასაც, მაგრამ უშედეგოდ. ამასობაში ერთმა კაცმა გვითხრა, რომ ქალაქ ვლადიკავკაზის (Velādī Qafqāz) ახლოს ვიმყოფებოდით. რადგან ამ ქალაქში ჩვენი თავრიზელი მეგობარი ალი ზადე (ჰაჯი მოჰამად სადეყი) ცხოვრობდა, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ გზიდან გადაგვეხვია და ჯერ ვლადიკავკაზში წავსულიყავით.

[სტამბოლიდან თავრიზში დაბრუნება]

ოდესიდან ვლადიკავკაზში წავედი და ალი ზადე მოვინახულე. მინდოდა, გავმგზავრებულიყავი თბილისი-ვლადიკავკაზის გზით, რომელიც მთებზე გადის და ძალიან ლამაზია. საუბედუროდ, ზამთარში ეს გზა ძნელად სავალი აღმოჩნდა, ამიტომ გადავწყვიტე, ბაქოსა და თბილისის გავლით ჯულფაში ჩავსულიყავი, თუმცა ეს გზა საშიში იყო და შეიძლებოდა, ვეცანით.

ძირითადად რუსების მეშინოდა, რომ მიცნობდნენ და დამაკავებდნენ. ჩემი ძმა, რომელიც თბილისიდან ირანში მიდიოდა, რკინიგზის სადგურში მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ ჩემი სახელი ჰქონდა და დიდი ხნით ციხეში ჩასვეს. საღამოს ბაქო გავიარე და შუაღამისას თბილისში ჩავედი. სანამ ერევნისა და ჯულფის მატარებელში ჩავჯდებოდი, იძულებული ვიყავი, რამდენიმე საათი თბილისში გამეტარებინა. თბილისის სადგურში მალულად დავჯექი და მიუხედავად იმისა, რომ გრძელი წვერი მქონდა, სახეზე გაზეთი ავიფარე. რამდენიმე ირანელმა ჩამიარა და მათი ლაპარაკი გავიგონე.

საბოლოოდ, გავემგზავრე და ჩავედი ალექსანდროპოლში, რომელსაც ირანელები გამრის ეძახიან...

შარაფ ად-დოულე და მისი მოგონებების წიგნი

მირზა ებრაჰიმ ხან ბაყმიშეი შარაფ ად-დოულე.

მირზა ებრაჰიმ ხან ბაყმიშეი, ცნობილი ლაყაბებით „შარაფ ად-დოულე" და „ქალანთარი" აზერბაიჯანის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. ის დაიბადა სავარაუდოდ 1855 წელს თავრიზის ძველ უბანში ბაყმიშეში, ქალანთარის ჰაჯი მირზა მეჰდი ბაყმიშეის ოჯახში. მირზა ებრაჰიმმა დაწყებითი განათლება თავრიზში მიიღო და შემდეგ ახლადგახსნილ დარ ალ-ფონუნის სასწავლებელში ფინანსები შეისწავლა. 25 წლისამ სახელმწიფო სამსახური დაიწყო და აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორის ვალიაჰდ მირზა მოზაფარ ად-დინის კარზე მოსთოუფის (ანგარიშმწარმოებლის) თანამდებობა დაიკავა. 1888 წელს მირზა მეჰდი თავრიზის ბეგლარბეგი, ხოლო მირზა ებრაჰიმი ქალანთარი და ქალაქის მომარაგების უფროსი გახდა. 1893 წელს მან თავრიზის ჩრდილოეთით მდებარე ბაღში თბილისელ ინჟინერს ააშენებინა სახლი, რომელიც წლების განმავლობაში თავრიზის ერთ-ერთ ღირშესანიშნაობად ითვლებოდა. 1895 წელს ხორბლის შესყიდვასთან დაკავშირებული გაუგებრობისა და ხაზინისთვის მიყენებული ზარალის გამო მირზა ებრაჰიმი იძულებული გახდა თანამდებობა დაეტოვებინა და გარკვეული ხნით ათაბათის წმინდა ადგილების მოსალოცად წასულიყო. გადმოცემით, მირზა ებრაჰიმის უდანაშაულობა მალევე გამომჟღავნდა და პირველმა მინისტრმა ამინ ად-დოულემ მას ბოდიში მოუხადა, შერიგების ნიშნად ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი აჩუქა და თავრიზის ქალანთარის თანამდებობა დაუბრუნა. კონსტიტუციური მონარქიის გამოცხადების შემდეგ, თავრიზელმა დიდგვაროვნებმა შარაფ ად-დოულე მეჯლისში თავიანთ წარმომადგენლად დაასახელეს და ის საცხოვრებლად თეირანში გადავიდა. მეჯლისის დაშლის შემდეგ შარაფ ად-დოულემ თეირანში სამსახური ვეღარ იშოვა და ფაქტობრივად სრულიად უსახსროდ დარჩა. იგი თავრიზში დაბრუნდა, 1909 წელს რუსული ჯარის მიერ თავრიზის დაკავების შედეგად გავერანებული თავისი სახლ-კარი აღადგინა და სიცოცხლის ბოლო წლები ბაყმიშეში გაატარა. 1916 წელს მან ბაყმიშეში დააარსა სკოლა „შარაფიე", რომელიც დღეს „ხაიამის სკოლის" სახელით არის ცნობილი, ხოლო 1927 წელს თავის ვაჟთან მოპანდეს ქალანთარისთან ერთად ბაყმიშეს გაჭირვებული ბავშვებისა და ახალგაზრდების დასახმარებლად ააშენა ხალიჩების საქსოვი ქარხანა. გარდაიცვალა შარაფ ად-დოულე 1932 წელს.

შარაფ ად-დოულე თბილისში რამდენჯერმე იმყოფებოდა. 1901 წელს მან თავისი მცირენლოვანი ვაჟები თბილისში „რუსული ენისა და ევროპული ცხოვრების წესის შესასწავლად" გაგზავნა და თბილისში მცხოვრები რუსი სამხედროს მაკსიმოვის პანსიონში მიაბარა. 1903 წელს ის აქ შვილების სანახავად ჩამოვიდა, ხოლო 1907 წელს მეჯლისის დეპუტატების დელეგაციას ჩამოჰყვა. ბოლო ვიზიტი აღწერილია მის მოგონებების წიგნში, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Rūz-nāme-ye khāterāt-e Sharaf ad-Doule Mīrzā Ebrāhīm Khān Kalāntarī Bāghmīshe'ī, be kūshesh-e Yahyā Zokā', Tehran, 1377/1998.

ლიტერატურა

Yahyā Zokā', "Sargozasht-nāme-ye Sharaf ad-Doule", წიგნში: *Rūz-nāme-ye khāterāt-e Sharaf ad-Doule Mīrzā Ebrāhīm Khān Kalāntarī Bāghmīshe'ī*, be kūshesh-e Yahyā Zokā', Tehran, 1377/1998, 15-60.

შარაფ ად-დოულეს მოგონებების დღიური (1907)

თბილისში შესვლა

[1324 წლის 28 ზუ ლ-კადა (1907 წლის 13 იანვარი)

28-ში, ერთი საათი მგზავრობის შემდეგ, თბილისის *ვაგზალში* (vāqzāl) შევედით. თბილისის კონსული მოფახამ ას-სოლთანი ირანელ წარჩინებულებთან და ვაჭრებთან ერთად სადგურში დაგვხვდა. კონსულმა და სხვა თანამემამულეებმა თავისთან დაგვპატიჟეს. არავის რომ არ სწყენოდა, გადავწყვიტეთ, დავბინავებულიყავით ერთ შენობაში, რომელიც ირანელებმა დეპუტატების მისაღებად მოამზადეს. კალიასკაში ჩავსხედით და იმ შენობაში წავედით. თბილისში მცხოვრებმა ირანელებმა და არაირანელებმა დიდი პატივისცემითა და ცერემონიებით მიგვიღეს. დეპუტატების მასპინძლობის მთელი ხარჯები აქაურმა ირანელებმა გაინაწილეს.

1 ზუ ლ-ჰიჯა (16 იანვარი), ოთხშაბათი:

ზუ ლ-ჰიჯას პირველში, ოთხშაბათ საღამოს უკან დარჩენილი ჩვენი თანამგზავრები ჩამოვიდნენ. კონსული, აქაური ირანელები და თქვენი მონა-მორჩილები მათ დასახვედრად ისევ *ვაგზალში* წავედით.

საღამოს თბილისში მცხოვრები წარჩინებული ირანელები, ასევე მისი აღმატებულება ყადი, მისი აღმატებულება სეიდ ბაყერი, ხალეყ ეფენდი და ჟურნალ

„მოლა ნასრედინის“ რედაქტორი მირზა ჯალილი[635] გვეწვივნენ. მისმა აღმატებულება სეიდ ბაყერმა და კომიტეტის წევრებმა მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვეს. მისმა აღმატებულებებმა მოსთაშარ ად-დოულემ, მირზა ფაზლალი აყამ და ჰაჯი მირზა ებრაჰიმ აყამ მათ საპასუხო სიტყვით მიმართეს და ყურადღებისა და პატივისცემისთვის დიდი მადლობა გადაუხადეს. საზოგადოების თხოვნით, მისმა აღმატებულება ჰაჯი მირზა აყამ ჩვეული მჭევრმეტყველებით სიტყვა წარმოთქვა და კავკასიელების გულები მოაჯადოვა. მსმენელებმა ტაში დაუკრეს და ყოველი მხრიდან აღტაცებული შეძახილები გაისმა. საქველმოქმედო საზოგადოების[636] წევრები, რომლებმაც გვინახულეს და პატივი გვცეს, იყვნენ:

მოჯაჰედები: ჰაჯი მირზა ჰასან აყა თაბრიზი, აყა მირ ჰოსეინ როუზეხან-ე დილმაყანი, აყა სეიდ ნასროლაჰ თაყი ზადე ხოი, მოლა ჰაჯი ბაბა ალიევ თაჯარ-ე დილმაყანი, ქერბალაი მოჰამად ჯაფარ ჰასანოვ ხოი, ოსთად აბდოლაჰ მარანდი, მაშჰადი ჰოსეინ ალიევ ხამენეი, მირზა იაჰია ხან ასყაროვ თაბრიზი და ჰაჯი სეიდ ბაყერ აყა ვაეზ ნახჯევანი, ასევე ჰაჯი მოჰამად აყას მონაფე ჰაჯი ალი ასყარი.

გუშინ საღამოს სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების წევრებმა თავიანთი რიგებიდან რამდენიმე კაცი შეარჩიეს და დეპუტატებთან შესახვედრად გამოგზავნეს. მათ ხმამაღლა წაიკითხეს მისასალმებელი სიტყვა, რომელშიც ირანს კეთილდღეობა უსურვეს და კონსტიტუციური მოძრაობის წმინდა საქმეში ირანელი ხალხისადმი თავიანთი თანადგომა გამოხატეს. მისმა აღმატებულება მოსთაშარ ად-დოულემ ჩვეული მჭევრმეტყველებითა და ენამზეობით მათ თანადგომისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

გუშინ ოსთად აბდოლაჰ მარანდიმ სასეირნოდ წამიყვანა. სეირნობის მერე *ლანტერნ მაჟიკის*[637] (Lāntern Māzhīk) სანახავად გავეშურეთ. თეატრის დირექტორმა როცა დაინახა, რომ ირანელები ვიყავით, როგორც ჩანს, უდარდელობის ძილიდან ჩვენ გამოსაფხიზლებლად ირანთან დაკავშირებული ფირები ჩადო. პირველ ფირზე გამოჩნდა ერთმანეთის გვერდით მჯდარი ორი ირანელი ქალი, რომელთაგან ერთს მეორის თმებიდან ტილები ამოჰყავდა და ფრჩხილით კლავდა. შემდეგ ფირზე ირანელმა დალაქმა საშინლად ჭუჭყიანი დანა ამოიღო და მეორე ირანელს თავი და ნიკაპი გაუპარსა. თეატრიდან გარეთ გამოვედით და ცხრა მანეთად სამი პერანგი შევიძინეთ.

თბილისში ჩემი ჩამოსვლა შევატყობინე მაკსიმოვს (Maqsimof), რომელსაც პოლკოვნიკის თუ მაიორის სამხედრო ჩინი ჰქონდა. უნინ თქვენი მონა-მორჩი-

---

635 იხ. შენიშვნა 630.

636 ირანელების საქველმოქმედო საზოგადოება „ეთეფაყ-ე ირანიან“ („ირანელთა კავშირი“) 1905 წელს დაარსდა რუსეთში ირანის ელჩის მირზა ჰასან ხან მოშირ ად-დოულესა და თბილისში ირანის გენერალური კონსულის მოფახამ ას-სოლთანის თაოსნობით (Nezām-alī Dahnavī, *Īrānīyān-e mohājer dar Qafqāz*, 141-197; Mohammad Hoseyn Khosropanāh, *Kārnāme va rūzgār-e īrānīyān-e mohājer dar Qafqāz-e 1900-1920*, 52-59).

637 *ლანტერნ მაჟიკი* (Lanterne magique) საპროექციო აპარატ „ჯადოსნური ფარნის“ ფრანგული სახელია (ლათ. Laterna magica). ეს აპარატი ფართოდ იყო გავრცელებული XVII–XIX საუკუნეებში და კინემატოგრაფიის წინამორბედს წარმოადგენდა.

მირზა ებრაჰიმ ხან ბაყმიშეი შარაფ ად-დოულეს ვაჟები ჰედაიათ ხანი და ენაიათ ხანი თბილისში მაკსიმოვების ოჯახში.

ლის ვაჟები ჰედაიათ ხანი და ენაიათ ხანი დაახლოებით ერთი წელი მის სახლში ცხოვრობდნენ და პოლკოვნიკი მათ ამეცადინებდა. მაკსიმოვი ჩემ სანახავად მოვიდა და შემდეგ მირზა იაჰია ხანთან ერთად მასთან საპასუხო ვიზიტით წავედი. ვიზიტის ბოლოს მაკსიმოვის ვაჟს ათი მანეთი, ხოლო მის მსახურ *სალდათს* სამი მანეთი ვაჩუქე.

თბილისელმა ირანელებმა საზოგადოებისთვის ააგეს შენობა, სადაც თავიანთი საქმის განვითარებისა და აყვავებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებენ. შემთხვევით, საზოგადოების გახსნა ჩვენს თბილისში ჩასვლას დაემთხვა. საზოგადოების წევრების მიპატიჟებით, გახსნას დავესწარით. ცერემონიაზე თბილისში მცხოვრები მთელი ირანელი პატრიოტები და წარჩინებულები და კავკასიელი დიდგვაროვნები შეიკრიბნენ. ჩვენ გასამასპინძლებლად მაგიდაზე ტკბილეულობა, ხილი და სხვა სანოვაგე ეწყო. მას შემდეგ, რაც ტკბილეულობა მივირთვით და ჩაი დავლიეთ, სიტყვით გამოსვლები დაიწყო. მისმა აღმატებულება ჰაჯი სეიდ ბაყერ აყამ ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. ამის შემდეგ საზოგადოება დაიშალა. მისმა აღმატებულება კონსულმა სადილად დაგვპატიჟა და საკონსულოში წავედით. სომეხი დიდგვაროვნები კონსულის სანახავად მოსულიყვნენ და მათ შორის ჩემი ძველი ნაცნობი მალექ აზარიანციც იყო. იქ შეთანხმება განვაახლეთ და საღამოს თეატრში წავედი. მისი აღმატებულება ეჰსან ად-დოულე, რომელიც ჩვენი გამგზავრებიდან რამდენიმე დღეში თავრიზიდან ოჯახთან ერთად გამოემგზავრა, თბილისში ჩამოვიდა და შეგვხვდა. თეირანიდან კავკასიის

გავლით მგზავრობა, ჭეშმარიტად, ალაჰის წყალობა და იღბალი იყო. კავკასიის მცხოვრებლებს ეგონათ, რომ ირანში იმდენად განათლებული ადამიანები არ მოიძებნებოდნენ, რომ მეჯლისის დეპუტატის მოვალეობა შეესრულებინათ. აზერბაიჯანელმა დეპუტატებმა მათ დაუმტკიცეს, რომ ცდებოდნენ და თავიანთი კანონთმცოდნეობითა და პატრიოტიზმით მთელ კავკასიაში გაითქვეს სახელი. ჩვენმა ორმხრივმა შეხვედრებმა და სასიამოვნო საუბრებმა ირანელებისა და კავკასიელების შეკავშირებას და ძველი ურთიერთობების განახლებას შეუწყო ხელი.

საღამოს თბილისიდან გასამგზავრებლად რკინიგზის *ვაგზალში* წავედით. აქაური ირანელები და კავკასიელები ჩვენ გასაცილებლად მოვიდნენ. მათ შორის მოჰამად აყა შაჰტახტინსკი[638], ჰაჯი სეიდ ბაყერი და ხალეყ ეფენდი იყვნენ.

მატარებლის გასვლამდე კონსულის ბრძანებით მოსაცდელი ოთახი გაგვიღეს და ყველანი იქ დავსხედით. გამგზავრების დრო რომ მოვიდა, მასპინძლებს დავემშვიდობეთ, მატარებელში ავედით და ჩვენი ადგილები დავიკავეთ. საქველმოქმედო საზოგადოების წევრებმა ჩვენდამი პატივისცემის ნიშნად მაშჰადი მოჰამად ჯაფარ აყას დაავალეს, რომ ბაქომდე გავეცილებინეთ. მიუხედავად იმისა, რომ უარზე ვიყავით, არ დაგვთანხმდნენ და ჩვენ შორის მეგობრული და ძმური კავშირის განმტკიცებისათვის არაფერი დაიშურეს. თბილისში ყოფნის პერიოდში ჩვენს ყველა სურვილს ასრულებდნენ და ჩვენი მასპინძლობის მთელი ხარჯები დაფარეს. აყა მოჰამად ჯაფარი გზაში ჩვენზე უზომოდ ზრუნავდა. ამ მოგზაურობაში ხალხის ყურადღების ცენტრში ვიყავით და ძალიან ვცდილობდით, რომ უწესოდ არ მოვქცეულიყავით. მთელი რუსული და თურქული გაზეთები ჩვენზე აღტაცებით წერდნენ.

თბილისში ერთი ახალგაზრდა, სახელად აყა მოჰამად ჯაფარ სალმასი, ჩვენთან ხშირად დადიოდა. მის შესახებ საქველმოქმედო საზოგადოების წევრებს ვკითხე. მითხრეს, რომ ის ხარკოვის სკოლაში სწავლობდა, ხუთი კლასი დაეხურა, მაგრამ ახლა უსახსრობის გამო სწავლას ველარ აგრძელებდა. ძალიან შევწუხდი და მიუხედავად იმისა, რომ თავადაც მიჭირდა, მას 200 მანეთი ვასესხე. ეს თანხა საზოგადოების ერთ-ერთ წევრს დავუტოვე და ვთხოვე, რომ გაეგზავნილებინა და მოჰამად აყასთვის სწავლის გასაგრძელებლად თვიურად გაეგზავნა. ირანში რომ ჩავალ, თუ შევძლებ, სალმასის მცხოვრებლებს ვთხოვ, რომ ამ ახალგაზრდას ყოველ წელს რაღაც თანხა გაუგზავნონ, რათა მან სკოლა დაამთავროს. ირანში რომ ჩავედი, ვითარება მის ბრწყინვალება ჰაჯი ემამ ჯომ'ე ხოის მოვახსენე და ვთხოვე, ეს ამბავი სალმასელებისთვის შეეტყობინებინა. დამთანხმდა, მაგრამ არ ვიცი, სალმასში ვინმემ ეს საქმე ითავა თუ არა, რადგან ამის თაობაზე შეტყობინება არ მიგვიღია.

---

638 იხ. შენიშვნა 627.

ჰაჯ მოჰამად თაყი ჯურაბჩი და მისი მოგზაურობის წიგნი

ჰაჯ მოჰამად თაყი ჯურაბჩი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის თავრიზელი ვაჭარი იყო. მის შესახებ თითქმის არანაირი ცნობები არ მოგვეპოვება. ინფორმაციის ერთადერთ წყაროს მისი „მოგონებები" წარმოადგენს, საიდანაც ვიგებთ, რომ ჰაჯ მოჰამად თაყი კონსტიტუციონალისტი იყო. ის ბევრს საუბრობს თავრიზის კონსტიტუციურ მოძრაობაზე, ამ მოძრაობის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებზე. „მოგონებები" მისი ცხოვრების ექვსწლიან პერიოდს – 1906-1912 წლებს მოიცავს. მასში ორი პატარა „მოგზაურობის წიგნი" შედის: ერთი ათაბათში მოგზაურობას ასახავს და მეორე – მექაში. „მექაში მოგზაურობის წიგნი" შეიცავს მოკლე ცნობას საქართველოს შესახებ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Hājj Mohammad Taqī Jūrābchī, *Safar-nāme-ye Makke*, be kūshesh-e Āqā ʻAlī Qeysarī, Tehran, 1386/2007.

ლიტერატურა

Abū Jaʻfar Esfahānī, "Safar-nāme-ye Makke-ye Hājj Mohammad Taqī Jūrābchī", *Mīqāt-e Hajj*, Vol.19, No.74, Tehran, 1389/2011.

მექაში მოგზაურობის წიგნი

თავრიზში დაბრუნება
(1907)

[1325 (1907) წლის] რაბი ალ-ავალის 17-ში (6 მარტს) გერმანული [კომპანიის] გემის ბილეთები ავიღეთ. ზღვა წყნარი იყო და 44 საათში ბათუმში ჩავედით. *კარანტინში* წაგვიყვანეს და იქ ორი-სამი საათი გაგვაჩერეს. *კარანტინის* მოსამსახურეებს თავაზიანად დავემშვიდობეთ და წავედით საბაჟოში, სადაც პასპორტები დაგვიმოწმეს. საბაჟოდან მაშჰადი ალის ყავახანაში გავეშურეთ და ღამე იქ გავატარეთ. დილით ბილეთები ავიღეთ და ულუხანაში გავემგზავრეთ.

იაჰია დოულათაბადი და მისი მოგონებების წიგნი

ჰაჯ მირზა იაჰია
დოულათაბადი.

ჰაჯ მირზა იაჰია დოულათაბადი XIX საუკუნის დამლევისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ირანელი განმანათლებელი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი იყო. იგი დაიბადა 1862 წელს ისფაჰანის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ დოულათაბადში. მამამისი ჰაჯი მირზა ჰადი დოულათაბადი ბაბიზმის რელიგიური სექტის ერთ-ერთი განშტოების – აზალიტების მიმდევარი იყო. 1878 წელს იაჰია მამასთან ერთად ერაყში გაემგზავრა და იქ სასულიერო განათლება მიიღო. ამის შემდეგ ის ერთხანს ისფაჰანში ცხოვრობდა, 1891 წელს კი საცხოვრებლად თეირანში გადავიდა.

იაჰია თავგამოდებული კონსტიტუციონალისტი იყო და თავისი პუბლიცისტური თხზულებებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1905-1911 წლების ირანის რევოლუციაში. კონსტიტუციური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ მან აქტიური კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა დაიწყო და არაერთ მედრესესა და საზოგადოებას ჩაუყარა საფუძველი. 1908 წელს ირანში კონტრრევოლუციური გადატრიალება მოხდა და მეჯლისმა ფუნქციონირება შეწყვიტა. იაჰია იძულებული გახდა სტამბოლში წასულიყო და მას შემდეგ ცხოვრების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ გაატარა. სტამბოლში ის დაუკავშირდა ირანელ ემიგრანტთა საზოგადოება „საადათს“ („ბედნიერება“) და გამოჩენილ ირანელ სწავლულთან დეჰხოდასთან ერთად დააარსა სპარსულენოვანი გაზეთი „სორუში“ („მაცნე“). 1909 წელს კონსტიტუციონალისტთა გამარჯვების შემდეგ ის ირანში დაბრუნდა და მეჯლისის მეორე მოწვევის დეპუტატი გახდა (სხვა ვერსიით, ის დეპუტატად დაასახელეს, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო უარი თქვა). პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ და ირანში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ იაჰია აიძულა ისევ სტამბოლში გადახვეწილიყო. აქ მან დაწერა რომანი „შაჰნაზი“, რომელიც თურქული რომანის აშკარა გავლენას განიცდის. 1918 წელს ის ირანში დაბრუნდა და 1924 წელს მეჯლისის V მოწვევის დეპუტატი გახდა. გარდაიცვალა იაჰია 1939 წელს თეირანში.

იაჰია დოულათაბადის ბობოქარი და საინტერესო ცხოვრება აღწერილია მის მოგონებების წიგნში „იაჰიას ცხოვრება“, რომლის ერთი თავი საქართველოს ეთმობა. საქართველოში ის 1908 წელს სტამბოლში პირველი ემიგრაციის წინ ჩამოვიდა და, მიუხედავად ხანმოკლე ვიზიტისა, XX საუკუნის დასაწყისის თბილისის საინტერესო სურათი დაგვიხატა.

ტექსტი

Yahyā Doulatābādī, *Hayāt-e Yaḥyā*, moqaddame, tashīh va ta'līqāt: Mojtebā Borzābādī Farāhānī, j. 3, Tehran, 1387/2008, 849-855.

ლიტერატურა

6. ტერ-ოგანოვი, „იაჰია დოულათაბადი თბილისისა და თბილისელების შესახებ", *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VIII, თბილისი, 1993, 280-285.

Abbas Amanat, "Dawlatābādī, Sayyed Yahyā", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1994 (http://www.iranicaonline.org/articles/dawlatabadi-sayyed-yahya).

Yahyā Āryānpūr, *Az Sabā tā Nīmā*, j. 2, Tehran, 1351/1972, 271-274.

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 4, Tehran, 1347/1968, 437-438.

Ahmad Nīkūhemmat, "Hājj Mīrzā Yahyā Dawlatābādī", *Vahīd*, No. 134, Tehran, 1353/1974, 927-931.

Hoseyn Sa'ādat Nūrī, "Hājj Mīrzā Yahyā Dawlatābādī", *Armaghān*, No. 7, Tehran, 1346/1967, 336-345.

V. Kubichkova, "Die neupersische Literatur des 20. Jahrhunderts", წიგნში: *Iranische Literaturgeschichte*, von J. Rypka, unter Mitarbeit von O. Klima, V. Kubichkova, J. Bechka, J. Cejpek, I. Hrbek, Leipzig, 1959, 355.

N. Ter-Oganov, "Two Iranian Authors, Majd os-Saltaneh and Yahya Dowlatabadi, on Tbilisi", *ტიპოლოგიური ძიებანი*, ტ. IV, თბილისი, 2000, 399-408.

N. Ter-Oganov, "Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Majd os-Saltaneh et Yahya Dowlatabadi", *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, Paris, 2009, 261-274.

К. Чайкин, *Краткий очерк новейшей персидской литературы*, Москва, 1928, 105-107.

იაჰიას ცხოვრება

თავი მეორე

თბილისი და ოდესა
(1908)

ქალაქი თბილისი ქართველების დედაქალაქი და კავკასიის რეგიონის ცენტრია. მისი ღირშესანიშნაობებია მშვენიერი ადგილმდებარეობა, ბუნება, შენობები და მდინარე მტკვარი, რომელიც ქალაქს შუაზე კვეთს. რუსეთის ხელისუფლების დროს თბილისში დღევანდელი ევროპის დარად ფართო პროსპექტები, დიდებული სახლები და დუქნები აშენდა და აქაურ მცხოვრებთათვის ის მართლაც ტკბობის ქალაქად[639] იქცა. თბილისში ბევრი ადგილობრივი და ჩამოსული

[639] ირანელები თბილისს „Dar as-sorur"-ს („სიხარულის ქალაქი", „სამოთხე") ეძახდნენ და ია-

მუსლიმი ცხოვრობს და ირანელი *მოჯაჰედების* ორგანიზაციის[640] ცენტრიც აქ არის. თბილისელი ქართველები და სომხები თავისუფლებისმოყვარე ხალხია და ირანელ თავისუფლებისათვის მებრძოლებს ყოველმხრივ ეხმარებიან. ახლახანს ერთმა შეიარაღებულმა ჯგუფმა ყველა ღონე იხმარა და *მოჯაჰედების* დასახმარებლად აზერბაიჯანში ჩავიდა.

თბილისში გაზეთი „მოლა ნასრედინი" იბეჭდება. აქაური *მოჯაჰედები* მღელვარე და ბობოქარ ცხოვრებას ეწევიან, დანარჩენი ირანელები კი ირანში მცხოვრები თავიანთი თანამოძმეების მსგავსად მშვიდად და უდარდელად ცხოვრობენ და იმ წეს-ჩვეულებებსაც კი იცავენ, რომლებიც ირანში უკვე დაივიწყეს.

რამდენიმე წლის წინ ირანში განმანათლებლობა გავრცელდა და საზღვარგარეთ მყოფმა ირანელებმა ამ მხრივ თავი ისახელეს. კავკასიაში მოღვაწე ირანელებმა რუსეთში ირანის იმდროინდელი ელჩის მირზა ჰასან ხან მოშირ ად-დოულეს ხელშეწყობით თბილისში საქველმოქმედო საზოგადოება ჩამოაყალიბეს[641]. მათ *მედრესეს* დასაარსებლად მშვენიერი წესდება შეიმუშავეს და ხელმოსაწერად რუსეთის ხელისუფლებას წარუდგინეს, რის შედეგადაც *მედრესე*, სახელად „ეთეფაყი" („კავშირი") გაიხსნა[642]. თეირანში ნაციონალური საბჭოს მეჯლისის დახურვის შემდეგ ეს საზოგადოებაც დასუსტდა და აღარ მუშაობს.

თბილისში რომ ჩამოვედი, არ ვიცოდი, რომ ირანელებს აქ საკუთარი ცენტრი ჰქონდათ, ამიტომ ერთ-ერთ ცნობილ სასტუმროში დავბინავდი და ერთი ღამე იქ გავატარე. მოჰამად თაყი სადეყოვს, რომელიც *მოჯაჰედების* საზოგადოების წევრი და ძალიან გულისხმიერი ახალგაზრდა იყო, ჩემი ჩამოსვლის შესახებ შევატყობინე. თანდათან ეს ამბავი სხვა ირანელებმაც გაიგეს და მეორე დღეს სასტუმრო „აზერბაიჯანში" გადამიყვანეს. შარიფ ალ-ოლამა ესფაჰანი თაბრიზის შვილიშვილი მირზა მოჰსენ მო'თამად ათ-თოჯარი, მისი ძმები და შარიფ ზადეს ვაჟი მირზა მოჰამადი იმ პერიოდში თბილისში იყვნენ და იმავე სასტუმროში ცხოვრობდნენ, სადაც მე გავჩერდი. ამ ხალხთან დიდი ხნის ოჯახური ურთიერთობა მაკავშირებდა და მათი დანახვა ძალიან გამიხარდა. ჩვენ არა მარტო ერთ ენაზე ვლაპარაკობთ, არამედ დარდიც საერთო გვაქვს: მათაც ჩემსავით არ შეუძლიათ სამშობლოში ცხოვრება.

ორი მიზეზის გამო თბილისში ორი დღით უფრო მეტ ხანს დავრჩი, ვიდრე ვვარაუდობდი. პირველი მიზეზი ის იყო, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ბატონებთან საუბრისას გადავწყვიტეთ, ერთად წავსულიყავით სტამბოლში და იქ დაგვეარსებინა საზოგადოება, რომელშიც სამშობლოდან გაქცეული და საზღვარგარეთ მცხოვრები ირანელები გაერთიანდებოდნენ. მომავალში ჩვენს ქვეყანასთანაც დავამყარებდით კავშირს და ირანის კეთილდღეობისთვის ძალ-ღონეს არ და-

---

ჰიას ეპითეტიც „Shahr-e ta'ayosh" („ტკბობის ქალაქი") ამ სახელის გამოძახილი უნდა იყოს (G. Beradze, "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition," *Journal of Persianate Studies*, Vol. 1, No. 2, Brill: Leiden & Boston, 2008, 206-217).

640 მოჯაჰედების ორგანიზაცია ირანში 1905 წელს შეიქმნა. მისი მიზანი ქვეყანაში კონსტიტუციური რევოლუციის განხორციელება იყო.

641 იხ. შენიშვნა 636.

642 სინამდვილეში მედრესეს „ეთეფაყ-ე ირანიან" („ირანელთა კავშირი") ერქვა. იხ. შენიშვნა 67.

ვიშურებდით. *მოჯაჰედების* ბირთვი სამშობლოდან გაძევებული და სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტული ხალხისგან შედგება. ისინი თავიანთ საქმეს ვერ აკეთებენ და ამის გამო საშინლად დათრგუნულები არიან. ჩემი აზრით, სტამბოლი ამ ორგანიზაციისთვის საუკეთესო ადგილია, რადგან იქ ჩასვლა ყველას შეუძლია, გინდ ევროპაში ცხოვრობდეს და გინდ სხვა ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ზოგიერთი ქალაქი ამ საქმისთვის უფრო მიმზიდველად გამოიყურება და იქ სრული თავისუფლებაა, ვფიქრობ, სტამბოლს რამდენიმე უპირატესობა აქვს: უპირველეს ყოვლისა, ის, ერთი მხრივ, გეოგრაფიული და, მეორე მხრივ, რელიგიური ცენტრია. მეორე ფაქტორი ისაა, რომ „ახალგაზრდა თურქებსა" და ირანელ *მოჯაჰედებს* შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და საზოგადოების სტამბოლში დაარსება ამ ურთიერთობებს უფრო განამტკიცებს და შედეგსაც უფრო სწრაფად მივაღწევთ. მესამე ფაქტორი კი ის არის, რომ რადგან ოსმალეთში კონსტიტუციური წყობაა, ამიტომ მთელი მსოფლიოს მუსლიმებს და, მათ შორის, ირანელებსაც გული სტამბოლისკენ მიუწევთ, რაც ირანელ თვითმპყრობელებს ძალიან აღიზიანებს. ირანელი დიქტატორები ფიქრობენ, რომ თუ ნაციონალისტები და რეფორმატორები დასახულ მიზანს ვერ მიაღწევენ, ძალებს ვერ გააერთიანებენ და თავიანთი უფლებების დასაცავად მტარვალებს ერთიანი ძალებით არ შეუტევენ, ისინი იძულებული გახდებიან, დამატებითი ძალები საზღვარგარეთ ეძებონ და დახმარებისთვის ოსმალეთის დედაქალაქს მიმართონ. ჭკვიანი ხალხის თვალში ეს აზრი აბსურდულია, რადგან მათ იციან, რომ ირანის პოლიტიკის ოსმალეთის პოლიტიკისადმი დაქვემდებარება ირანის დამოუკიდებლობის დაკარგვის უმოკლესი გზაა. მაგრამ სანამ ეს გონივრული და არა გრძნობისმიერი აზრი ირანის თვითმპყრობელურ ხელისუფლებას თავში მოუვა, სტამბოლში ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბება მიზნის მისაღწევად უეჭველად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება და ჩვენი ოცნებებიც აღსრულდება. გარდა ამისა, ირანის დღევანდელი პოლიტიკა იმ ხელშეკრულების ზეწოლას განიცდის, რომელიც ინგლისმა და რუსეთმა 1907 წელს გერმანიის შიშით დადეს[643]. იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი უწინდებურად გერმანელების გავლენის ქვეშ მოექცევა, შესაძლოა, საქმეში სხვა ფაქტორებიც გაჩნდეს და ეს ერთობა დაიშალოს. თუმცა ეს პოლიტიკური თამაშები ოსმალეთის კონსტიტუციურ წყობას სულ არ ეხება, ან ნაკლებად ეხება. ყველა შემთხვევაში, სტამბოლში მოხდება ეს თუ რომელიმე სხვა ქალაქში, ირანელებისა და ემიგრანტების დაქსაქსული ძალების გაერთიანება კარგი საქმეა და იმის მოსაფიქრებლად, თუ სად და როდის განხორციელდეს ეს წამოწყება, თბილისში კიდევ ორი დღე დავრჩით.

თბილისში შეფერხების კიდევ ერთი მიზეზი გახლდათ საქველმოქმედო საზოგადოება „ეთეფაყის" და კავკასიაში გენერალური კონსულის მომთაჰენ ასსალთანეს თხოვნა, რომ „ეთეფაყის" სკოლა და საზოგადოება დამეთვალიერებინა და თუ რაიმე ნაკლს ვნახავდი, მის აღმოფხვრაში შეძლებისდაგვარად დავხმარებოდი. საზოგადოება „ეთეფაყს" მშვენიერი წესდება აღმოაჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ირანში მოქმედი ნაციონალური საზოგადოებების მსგავსად აქაც

---

643 იგულისხმება 1907 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც ინგლისმა და რუსეთმა ირანში გავლენის სფეროები გადაინაწილეს.

ჩანაფიქრი ქაღალდზე დარჩა და სიტყვიდან საქმეზე გადასვლა ვერ მოახერხეს. საზოგადოების წევრებს დიდხანს ვესაუბრე და ვუთხარი:

„ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში ირანში კავკასიელი მუსლიმების იმედი აქვთ, კავკასიაში – თბილისის, თბილისში კი ამ მიმართულებით მხოლოდ ერთი საზოგადოება ფუნქციონირებს და იქაც ისეთი ვითარებაა, რომ ჯერ თავიანთი საშინაო საქმეები ვერ მოუგვარებიათ და საგარეო საქმეებისთვის როდისღა მოიცლიან“.

თან ვუსაყვედურე, თან გავამხნევე და საბოლოოდ გადაწყდა, რომ წესდების შესრულებას შეეცდებოდნენ, „ეთეფაყის“ სკოლის დირექტორად ვინმე ღირსეულ სწავლულს დანიშნავდნენ და საქველმოქმედო საზოგადოებისა და სკოლის აყვავებას ხელს შეუწყობდნენ.

მოჯაჰედების საზოგადოების წევრები შეძლებისდაგვარად ცდილობენ, რომ სომხურ და თურქულ ნაციონალურ საზოგადოებებთან ითანამშრომლონ. მიუხედავად იმისა, რომ თავად ისინი მაინცდამაინც განათლებულები არ არიან, მათ მოკავშირეებში ბევრი განსწავლული და საქმის მცოდნე ადამიანია. გარდა ამისა, მათ მთელი მსოფლიოს ნაციონალურ საზოგადოებებთან აქვთ კავშირი და, ამდენად, იმედი შეიძლება ვიქონიოთ, რომ საქმის გაკეთებას შეძლებენ. გენერალური კონსული მომთაჰენ ას-სალთანე *მოჯაჰედებისადმი* სრულიად ლოიალურია. ქალაქში ჩემი ორდღიანი ვიზიტის განმავლობაში ის ძალიან მეგობრულად მექცეოდა და მისდამი ჩემს თავშეკავებულ დამოკიდებულებას მშვიდად ხვდებოდა. თბილისში ქართველები რუსეთის ხელისუფლებას მოსვენებას არ აძლევენ და დღე არ გავა, რომ რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავე არ დააკავონ, განსაკუთრებით ახალგაზრდები და სკოლის მოწაფეები, როგორც ქალები, ისე კაცები.

ქალაქის სატუსაღოები სავსეა პოლიტიკური პატიმრებით. ყოველდღე ხელბორკილიანი პატიმრები ჯგუფ-ჯგუფად მიჰყავთ დაკითხვაზე და თუ რომელიმე გაქცევას შეეცდება, ან მას ვინმე გამოესარჩლება, ორივეს კლავენ. სიკვდილმისჯილი პატიმრები ქალაქგარეთ გაჰყავთ და მათ 1500 ტყვიას ესვრიან. მიუხედავად ხელისუფლების ასეთი სისასტიკისა, დამნაშავეები ტყვეობას მაინც არ ეპუებიან და ისეთი ციხეებიდანაც კი ახერხებენ გაპარვას, საიდანაც გაქცევა ძალიან ძნელია. როცა პოლიტიკური პატიმრები მოსაკლავად მიჰყავთ, ისინი ისე მხიარულად გამოიყურებიან, თითქოს ქორწილში მიდიანო. ეშაფოტზე მიმავალ პირმთვარე ქალიშვილებს ხალხი ტალახის სროლით აცილებს, მაგრამ ისინი სიკვდილს მაინც ბედნიერები ხვდებიან, რადგან სიცოცხლეს სამშობლოს სწირავენ.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისი ძალიან საინტერესო ქალაქია, პოლიტიკური დამნაშავეების მძიმე მდგომარეობის გამო საშინლად დავითრგუნე. მითუმეტეს, რომ ხშირად საღამოობით ჩემს სახლთან სტვენის ხმა ისმოდა, რაც სატუსაღოდან პატიმრის გაქცევის მაუწყებელი იყო. სტვენის ხმაზე მედუქნეები იმის შიშით, რომ გაქცეულს მათთვის დახმარება არ ეთხოვა და არეულობაში არ მოყოლილიყვნენ, სასწრაფოდ დუქნებს ხურავდნენ და სანამ ქუჩაში პატიმრის ბორკილების ჟღარუნის ხმა ისმოდა, არ აღებდნენ.

ციხის შენობა ბორცვის თავზე დგას და მისი ფანჯრები ქალაქს და მდინარე მტკვარს გადაჰყურებს. ციხეს შეიარაღებული გუშაგები იცავენ და თუ შორი-

დან ვინმე სატუსაღოს ფანჯრისკენ ხელს გაიშვერს, იმის შიშით, რომ გაქცევის ნიშანს არ აძლევდეს, მაშინვე თოფს მიუშვერენ. ვაი მას, ვინც დამნაშავეს გაქცევაში დაეხმარება.

ამ ქალაქში სეფიანი შაჰების, განსაკუთრებით შაჰ აბასის აგებული უამრავი შენობაა. ერთ დიდ სავაჭრო სახლში ბევრი ნივთი ირანელი მმართველების ნაქონია, მათ შორის ლომისა და მზის გამოსახულებიანი დროშები, რომლებიც მათ ომების დროს ჩაიგდეს ხელში. სამარადისოდ დაწყევლილ იყვნენ ირანელი მოღალატეები!

თბილისელები ირანელებისადმი ძალიან კეთილგანწყობილები არიან და მათ თანაუგრძნობენ. კაცი სანამ საკუთარი თვალით არ ნახავს კავკასიის დედაქალაქს, დანარჩენ დიდ ქალაქებს, დასახლებებს, ნათესებს, მდინარეებსა და ამწვანებულ მინდვრებს, ვერ მიხვდება, ირანის სახელმწიფო მოღვაწეებისა და ხალხის სისულელისა და უვიცობის გამო ჩვენი ძვირფასი სამშობლოს სხეულს რა მნიშვნელოვანი ნაწილი მოსწყდა და კასპიის ზღვის (Daryā-ye Khazar) გადაღმა რა მდიდარი ქვეყანა დავკარგეთ. ნეტავ, შევძლოთ და რაც დაგვრჩა, ის შევინარჩუნოთ.

მე ირანის მიერ კავკასიის დაკარგვას ვდარდობდი, მაგრამ ჩემ წინ გაშლილი აყვავებული მიწები ღიმილით მეუბნებოდნენ: ირანის შემადგენლობაში რომ დავრჩენილიყავით, განა ასეთ კეთილდღეობას მივაღწევდით? უეჭველია, წლების განმავლობაში ისევ ისე გავერანებულები, ვირებისა და საფორანე ცხენების წიხლებქვეშ გათელილები და გაქელილები ვიქნებოდით. ახლა კი რკინიგზის ხაზები ვენებისა და არტერიების მსგავსად ჩვენი სხეულის სხვადასხვა ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებენ და ჩვენს ძარღვებს სიცოცხლეს შთაბერავენ. თქვენ კი ისღა დაგრჩენიათ, რომ უბედურება გვისურვოთ.

ერთი სიტყვით, გადავწყვიტეთ, რომ თბილისიდან ბათუმში, ბათუმიდან კი სტამბოლში წავსულიყავით, მაგრამ ქოლერის შემთხვევებისა და *კარანტინის* გამო ბათუმში გემები არ დადიოდნენ. ამიტომ იძულებული გავხდით ოდესაში (Odesā) წავსულიყავით და იქიდან სინოპის (Sīnob) გავლით სტამბოლში გავმგზავრებულიყავით.

მოჰამად მოსადეყი და მისი მოგონებების წიგნი

მოჰამად მოსადეყ ას-სალთანე.

მოჰამად მოსადეყი XX საუკუნის ირანის ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე იყო.

მოსადეყი დაიბადა 1882 წელს აჰმადაბადში. მამამისი მირზა ჰედაიათ აშთიანი ირანის ფინანსთა მინისტრი იყო, ხოლო დედა ნაჯმ ას-სალთანე – ყაჯართა სამეფო დინასტიის წარმომადგენელი: ფათჰალი შაჰის შვილიშვილი და ნასერ ად-დინ შაჰის ბიძაშვილი. დაწყებითი განათლება მოსადეყმა თეირანში მიიღო და 1909 წელს სწავლის გასაგრძელებლად ევროპაში გაემგზავრა. მან ჯერ პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა სასწავლებელი, მერე კი ნეშატელის უნივერსიტეტი დაამთავრა და სამართლის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. 1914 წელს ის სამშობლოში დაბრუნდა და აქტიურად ჩაერთო ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1919 წელს მან ირანსა და ინგლისს შორის დადებული ხელშეკრულების წინააღმდეგ გაილაშქრა და ისევ შვეიცარიაში გაემგზავრა. 1920 წელს ირანის პირველი მინისტრის მოშირ ად-დოულეს მოწვევით მოსადეყი თეირანში დაბრუნდა და მის კაბინეტში დაიწყო მუშაობა: 1920 წელს – იუსტიციის მინისტრად, 1921 წელს – ფინანსთა მინისტრად, ხოლო 1923 წელს – საგარეო საქმეთა მინისტრად. პარალელურად მას ეკავა ჯერ ფარსის და მერე აზერბაიჯანის გუბერნატორის თანამდებობები. მოსადეყი V, VI, XIV და XVI მოწვევის მეჯლისში თეირანის დელეგატი იყო. იგი აქტიურად უჭერდა მხარს ირანის მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას. 1949 წელს მოსადეყის მეთაურობით ჩამოყალიბდა ნაციონალისტური ორგანიზაცია „ეროვნული ფრონტი", რომელმაც დიდი როლი ითამაშა ირანის ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციისათვის ბრძოლაში. 1951 წელს მოსადეყი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა და ეს თანამდებობა 1953 წლამდე ეკავა (1952 წლის ივლისის გამოკლებით). 1953 წლის სახელმწიფო გადატრიალების დროს მოსადეყი დაიჭირეს და სამი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის სავაქის (შაჰის საიდუმლო პოლიციის) თანამშრომელთა მეთვალყურეობით აჰმადაბადში ცხოვრობდა. გარდაიცვალა მოსადეყი 1967 წლის 5 მარტს თეირანის საავადმყოფოში.

თავისი მღელვარე და საინტერესო ცხოვრება მოსადეყმა აღწერა მოგონებების წიგნში, რომელიც ორი სხვადასხვა სათაურით გამოიცა: „მოსადეყის ციხის ჩანაწერები მისი ცხოვრების შესახებ" (თეირანი, 1980) და „დოქტორ მოჰამად მოსადეყის მოგონებები და დარდები" (თეირანი, 1986). გამოცემებს შორის გარკვეული სხვაობაა, ამიტომ საქართველოსთან დაკავშირებული ეპიზოდების თარგმნისას ჩვენ

ორივე გამოცემით ვისარგებლეთ – იმისდა მიხედვით, ესა თუ ის ეპიზოდი რომელ გამოცემაში იყო უფრო სრულად წარმოდგენილი.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები და თარგმანი

Taqrīrāt-e Mosaddeq dar zendān dar bāre-ye zendegī-ye khīsh, yāddāsht shode be ehtemām-e sarhang Jalīl Bozorgmehr, tanzīm shode be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1359/1980.

Khāterāt va ta'alommāt-e Doctor Mohammad Mosaddeq be qalam-e Doctor Mohammad Mosaddeq, bā moqaddame-ye Doctor Gholāmhoseyn Mosaddeq, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1365/1986.

Musaddiq's Memoirs, translated by H. Amin and H. Katouzian, edited and introduced by H. Katouzian, London, 1988 (ამ თარგმანის ცალკეული მონაკვეთები გამოქვეყნდა აგრეთვე სპარსულენოვან ჟურნალ „ჰაფეზის" 2006-2008 წლების ნომრების ინგლისურენოვან ნაწილში; იხ.: *Hafez*, №№ 25-36, 1385/2006-2007; №№ 40-48, 1386/2007-2008; №№ 49-50, 1387/2008).

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j.3, Tehran, 1347/1968, 272-298.

'Abd ar-Razzāq Esfahānī, "Negāhi dīgar be sīmā-ye Mosaddeq (Taqrīrāt-e Mosaddeq dar zendān)", *Āresh*, No. 4 (24), Tehran, 1360/1981, 122-126.

Jalāl Matīnī, "Doctor Mosaddeq, Enqelāb-e mashrūte va tahsīlāt-e 'ālīye dar Orūpā", *Iranshenasi*, Vol.11, No.4, Rockville, Maryland, 1378/2000, 29-31 (English Summary), 711-741 (Persian Text).

F. Diba, *Mohammad Mossadegh: A Political Biography*, London, 1986.

H. Katouzian, *Mossaddiq and the Struggle for Power in Iran*, London, 1991.

"Dr. Mohammad Mossadegh Biography Prime Minister of Iran, 1951-1953", *The Mossadegh Project* (http://www.mohammadmossadegh.com/biography/).

„Dr. Mohammad Mosaddeq Symbol of Iranian Nationalism and Struggle Against Imperialism", *Iran Chamber Society* (http://www.iranchamber.com/history/mmosaddeq/mohammad_mosaddeq.php).

დოქტორ მოჰამად მოსადეყის მოგონებები და დარდები

თავი 8

ჩემი მოგზაურობა ევროპაში სწავლის გასაგრძელებლად

[1909 წლის თებერვალი]

თბილისში ირანის გენერალურმა კონსულმა [მომთაჰენ ას-სალთანემ] თხოვნით მიმართა ჰაჯ დაბირ ალ-ვეზარას, რომ მე მისი სახელით მოვლაპარაკებოდი საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსურ განყოფილებას, რათა კავკასიის საპასპორტო უწყებას მისი ხელფასის ჩეკი გაეცა. სწორედ იმ დღეებში ევროპაში გასამგზავრებლად ვემზადებოდი, ამიტომ გადავწყვიტე, რომ გზად თბილისში გამევლო და ჩეკი კონსულისთვის პირადად გადამეცა. ამ მოგზაურობაში ჩემი ძმის აბუ'ლ-ჰასან დიბას თანხლებით მივდიოდი.

თბილისში რომ ჩავედი, ტანსაცმლის ყიდვა გადავწყვიტე, მაგრამ რადგან იქაური ფული არ მქონდა, თბილისში მცხოვრებ ირანელ ვაჭარს რეზაიოვს (Rezāyof) მივაკითხე. მე მას გირაოში ალმასის ბეჭედი დავუტოვე და სამასი *რუბლი* გამოვართვი. შევთანხმდით, რომ ის ბეჭედს გაყიდდა, თავის წილს აიღებდა და დანარჩენ ფულს პარიზში ჩემს მისამართზე გამოაგზავნიდა.

საკონსულოში სადილით გაგვიმასპინძლდნენ. სუფრას რამდენიმე სტუმარი უჯდა და გენერალურმა კონსულმა ყველა გამაცნო. მათში ერია ერთი კაცი, სახელად სადიყოვი (Sādeqof), რომელიც კავკასიის ცნობილი *მოჯაჰედი* იყო. კონსულმა გამოაცხადა, რომ მე ვიყავი ირანის გენერალ-გუბერნატორის დისწული და ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი. ასეთი რეკომენდაცია კავკასიაში, რომელიც *მოჯაჰედების* ცენტრად ითვლებოდა, ძალიან არ მესიამოვნა. ვცდილობდი მივმხვდარიყავი, რა მიზანს ისახავდა კონსულის ეს განცხადება, რომელიც ჩემი სიცოცხლისთვის საკმაოდ სახიფათო იყო, მაგრამ უშედეგოდ.

შუადღისას ჩემს *მეჰმანდარ* კონსულთან და საკონსულოს სხვა თანამშრომლებთან ერთად ქალაქში გავისეირნე და საჭირო ტანსაცმელი და სხვა ნივთები შევიძინე. შებინდებისას, როცა სახლში ვბრუნდებოდით, საკონსულოს სიახლოვეს ჩემთან ვიღაც კაცი მოვიდა და წერილი გამომიწოდა. ეს რომ დაინახა, გენერალურმა კონსულმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. უცნობის წასვლის შემდეგ კონსული დამეწია და მკითხა, რამ შეგაშინათო, რადგან ადგილიდან ვერ ვიძროდი. ეს იყო მუქარის წერილი, რომლის ავტორებიც მწერდნენ, რომ ვინაიდან ბიძაჩემი ტირანი შაჰის დაახლოებული პირი იყო, ამიტომ მე თბილისიდან გამგზავრებამდე მათთვის 180 000 *რუბლი* უნდა გადამეხადა. ჩემ დასაშინებლად წერილის ბოლოს რევოლვერი და კუბო იყო მიხატული.

როცა გავაცნობიერე, რაც მოხდა, გენერალურ კონსულს მის მიერ სადილზე გაკეთებული განცხადების გამო ვუსაყვედურე. თბილისში გაჩერებას ერთ საათსაც კი აღარ ვაპირებდი. კავკასიელი *მოჯაჰედების* ცენტრი ბაქო იყო და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ თბილისელ *მოჯაჰედებს* მათთან კავშირი ექნებოდათ. ამიტომ თუ ადრე ევროპაში წასვლას ბაქოს გავლით მატარებლით ვაპირებდი, გეგმები შევცვალე და გადავწყვიტე, თბილისიდან ბათუმში ჩავსულიყავი და იქიდან გემით გავმგზავრებულიყავი. გენერალურ კონსულს ვთხოვე, დაბრკოლებების

თავიდან ასაცილებლად სადგურამდე ჩვენთვის მეგზური გამოეყოლებინა და, თუ შესაძლებელი იყო, ბათუმშიც ვინმესთან დავეკავშირებინე. ჩემი თხოვნის პასუხად გენერალურმა კონსულმა სურვილი გამოთქვა, რომ სადგურში თავად გავეცილებინეთ და შეგვპირდა, რომ ბათუმის კონსულს ტელეგრამას გაუგზავნიდა, რათა ის სადგურში დაგვხვედროდა. მე ვუთხარი, რომ მის გაცილებასა და ბათუმის კონსულის დახვედრას ჩვენთვის, შესაძლოა, პრობლემები შეექმნა, ამიტომ სადგურში ბილეთების საყიდლად თავისი მოხელე გააგზავნა და ბათუმში ჩვენ შესახებ ერთ ვაჭარს მისწერა. თბილისიდან გავემგზავრეთ და დილის ათი საათისთვის ბათუმში ჩავედით.

ბათუმში ძლიერად წვიმდა. სადგურიდან რომ გამოვედით, ვიღაც ქოლგიანი კაცი მოგვიახლოვდა და ვინაობა გვკითხა. ის ბათუმში ირანის კონსულად გაგვეცნო და გვითხრა, რომ თბილისის გენერალური კონსულისგან მითითება ჰქონდა მიღებული, რომ ჩვენთვის მასპინძლობა გაეწია და გამგზავრებაშიც დაგვხმარებოდა. მან სასტუმროში დაგვაბინავა, შეგვპირდა, მალე გნახავთო და წავიდა.

ის ღამე სასტუმროში გავატარეთ. მეორე დილით გადავწყვიტეთ, ბათუმელი *მეჰმანდარი* აღარ შეგვეწუხებინა და ის ვაჭარი მოგვეძებნა, რომელსაც თბილისის კონსულმა ჩვენ შესახებ მისწერა. ვაჭარი სახლში არ დაგვხვდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა ჩვენი ჩამოსვლის ამბავი შეიტყო, სასტუმროში მოგვაკითხა. ამ ირანელმა ემიგრანტმა, რომელიც იაზდიდან იყო, თავის სახლში ჩაიზე დაგვპატიჟა. როცა მივედი, ირანის კონსულიც იქ დამხვდა. ცოტა ხანში შემოსასვლელი კარის ზარის ხმა გაისმა. ვაჭარი გავიდა და შემოიტანა კონვერტი, რომელიც მოსადეყ ალ-მოლქის სახელზე იყო. მართალია, მე მოსადეყ ას-სალთანე გახლდით, მაგრამ რადგან მსგავსი სახელის იქ სხვა არავინ იყო, გადავწყვიტე, კონვერტი გამეხსნა და თუ ჩემი არ აღმოჩნდებოდა, მერე ნამდვილი მფლობელისთვის გამეგზავნა. წერილი გავხსენი და წავიკითხე:

„თბილისში გწერდით, რომ 180 000 *რუბლი* გადაგეხადათ, მაგრამ თქვენ ქალაქიდან გაიქეცით. ახლა სანამ აქედან წახვალთ, 360 000 *რუბლი* უნდა გადაიხადოთ. იცოდეთ, ყველანი ერთი ცის ქვეშ დავდივართ და სადაც არ უნდა წახვიდეთ, მაინც მოგწვდებით“. წერილის ბოლოს ამჯერად მარტო რევოლვერი იყო დახატული.

უკვე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ შანტაჟში ირანის კონსულიც იყო გარეული, ამიტომ მას პროტესტი გამოვუცხადე და დავემუქრე, რომ თეირანში ვუჩივლებდი. მოვითხოვე, კონვერტის მომტანები მოეყვანათ, რომ, იქნებ, წერილის ავტორის ვინაობა გამეგო. თავიდან მასპინძელიც და კონსულიც უარზე იყვნენ, მაგრამ საბოლოოდ ჩემმა დაჟინებულმა მოთხოვნამ გაჭრა და დამთანხმდნენ. ორი დამფრთხალი გონჯი კაცი შემოიყვანეს. ერთი მივამსგავსე კაზაკ ოფიცერს, რომელიც ირანში გავიცანი. იმ კაცს შაიქანი ერქვა და ირანის ჩრდილოეთიდან იყო. თავი ხელში ავიყვანე და ამ კაცებს რაც შემეძლო, რბილად დაველაპარაკე, რამაც მასპინძელსა და კონსულს აფიქრებინა, რომ მომხდარისგან მაინცდამაინც აღელვებული არ ვიყავი. როცა მათ საქმის ვითარება გაიგეს, შეეცადნენ, სიტუაცია გამოესწორებინათ და შემომთავაზეს, რომ ჩემ მაგივრად წავიდოდნენ და *მოჯაჰედებს* მოელაპარაკებოდნენ. სხვა რა გზა მქონდა, დავთანხმდი. ცოტა

ხანში დაბრუნდნენ და მოიტანეს 50 *რუბლის* მიღების ხელწერილი, რომ თითქოს ეს თანხა რომელიღაც, გაურკვეველ ადგილას მყოფი სკოლის შემოწირულობა იყო. ერთი სული მქონდა, სანამ ბათუმიდან წავიდოდი.

გერმანული [კომპანიის] სამგზავრო გემი, რომელიც 15 დღეში ერთხელ ბარსელონასა და ბათუმს შორის დადიოდა, ახალი ჩამოსული იყო. კონსულისა და იაზდელი ვაჭრის თანხლებით სასტუმროში წავედი, ბარგი ავიღე და გემში ჩავჯექი. რამდენადაც უსიამოვნოდ ჩაიარა ბათუმსა და თბილისში ყოფნამ, იმდენად ვისიამოვნე გემზე გატარებული 14 დღით. გემი სხვადასხვა პორტებში ჩერდებოდა და ჩვენ ნაპირზე გადავდიოდით. სტამბოლში პარასკევს ჩავედით...

მოსადეყის ციხის ჩანაწერები მისი ცხოვრების შესახებ

თავი 9

შვეიცარიიდან კავკასიამდე და უკან შვეიცარიაში (1919)[644]

...ჩვენი გემი ბათუმის პორტში შევიდა. თბილისში ირანის გენერალურ კონსულს ნაბავი მოაზაზ ად-დოულეს ტელეგრამა გავუგზავნე და ირანში უსაფრთხოდ მგზავრობის შესაძლებლობები გამოვკითხე. მიპასუხა, რომ ამ საკითხზე თბილისში მომელაპარაკებოდა. თბილისში რომ ჩავედი, მოაზაზ ად-დოულეს ვესტუმრე. იმხანად ირანში მიმავალი სამი გზა არსებობდა: ერთი – ბაქოს, მეორე – ვლადიკავკაზისა და პეტროვსკის, საიდანაც გემით მაზანდარანის პორტებში ჩადიოდი, ხოლო მესამე – აზერბაიჯანისა. კონსულმა ბაქოს გზა მირჩია და გამაცნო ერთი ადგილობრივი კაცი (მისი სახელი დამავიწყდა), რომელიც ირანის საზღვრამდე გამაცილებდა. მან მითხრა: „ამ კაცმა საკონსულოს წინ ერთი თანამშრომელი მოკლა, მაგრამ ის ერთადერთია, ვისაც თქვენი ირანში ჩაყვანა შეუძლია". რადგან გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, გადავწყვიტე, ამ მკვლელობაზე თვალი დამეხუჭა. გავიფიქრე: „ვინც გინდა იყოს, მთავარია, ირანში ჩამიყვანოს".

საკონსულოდან ამ კაცის თანხლებით *ჰოტელში* წავედი. მითხრა: „ერთ ადგილას უნდა წარგადგინოთ, რათა მგზავრობისთვის საჭირო რეკომენდაციები მოგვცენ". დავთანხმდი და წამიყვანა ერთ სახლში, რომელიც ირანულ ქარვასლას ჰგავდა. ქარვასლის ეზოს ცენტრში ბაგასთან ცხენები იყო დაბმული.

---

644 შვეიცარიიდან კავკასიაში მგზავრობის თარიღი სხვადასხვა გამოცემებში განსხვავებულია. „მოსადეყის ციხის ჩანაწერებში..." 1332 წლის ესფანდის ბოლო ანუ 1914 წლის მარტია დასახელებული, ხოლო „დოქტორ მოჰამად მოსადეყის მოგონებებში..." – 1919 წლის აგვისტო. ვფიქრობ, ეს ორივე თარიღი მცდარია, ვინაიდან თავის ჩანაწერებში მოსადეყი ახსენებს აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრის ფათჰალი ხან ხოისკის მკვლელობას, რაც 1920 წლის 19 ივნისს მოხდა. შესაბამისად, ავტორის კავკასიაში მგზავრობის სწორი თარიღი 1920 წლის ზაფხული უნდა იყოს.

ჩვენ მეორე სართულზე ავედით, მიხვეულ-მოხვეული დერეფანი გავიარეთ და შევედით ოთახში, რომელშიც ორი-სამი კაცი იჯდა[645].

ერთმა კაცმა მკითხა: „ეჰსანოლაჰ ხანს[646] იცნობთ?" ეს სახელი თეირანში გაგონილი მქონდა, მაგრამ არ ვიცნობდი. გავიფიქრე: თუ ვეტყვი, რომ არ ვიცნობ, ვაითუ პრობლემები შემექმნას-მეთქი. ამიტომ ვუპასუხე, რომ ვიცნობდი. მითხრეს: „თქვენი გამყოლი ყოჩაღი კაცია და მიზნამდე უეჭველად მიგიყვანთ".

იქიდან *ჰოტელში* დავბრუნდით. ჩემმა მეგზურმა მითხრა: „თქვენ თუ ამ სახით იმოგზაურებთ, პრობლემები შეგექმნებათ. გარეგნობა უნდა გამოიცვალოთ, რომ *ბურჟუას* (būrzhūā) კი არა, მუშას ჰგავდეთ". ვკითხე: „ამისთვის რა უნდა გავაკეთო?" მიპასუხა: „უპირველეს ყოვლისა, ხელები გაიმურეთ, რომ შავი ფრჩხილები გქონდეთ. გარდა ამისა, თქვენი ბარგი და ნივთები აქ უნდა დატოვოთ, თორემ არავინ დაიჯერებს, რომ ასეთი ბარგის პატრონი მუშაა".

მისმა სიტყვებმა ცუდი ეჭვები აღმიძრა. გავიფიქრე: ამ კაცს ბოროტი განზრახვა და ანგარება ხომ ალაპარაკებს-მეთქი. კიდევ ერთი პრობლემა ჩემი ვაუების ავადმყოფობა იყო: ამ მოგზაურობაში ერთს მალარია დაემართა, მეორეს კი სიცხე ჰქონდა და, ჩემი ვარაუდით, პარატიფი სჭირდა. მესამე პრობლემა კი ის იყო, რომ მდინარე მტკვარზე (Kūrā) გადებული ხიდი ომის დროს აეფეთქებინათ, ამიტომ მგზავრებს მატარებლიდან ჩასვლა, რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა, მდინარის ნავებით გადაცურვა და მეორე ნაპირზე ბაქოს მატარებელში ჩასასხდომად ისევ კილომეტრების ფეხით გავლა უწევდათ.

ამ პრობლემების გამო ბაქოს გზაზე უარი ვთქვი და რამდენიმე დღე თბილისში დავრჩი, რათა ჩემი ვაუებისთვის მემკურნალა. იმედი მქონდა, რომ კავკასიაში ვითარება გაუმჯობესდებოდა, მაგრამ დრო გადიოდა და უსაფრთხოების მხრივ უკეთესობა არ ჩანდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთ საღამოს თეატრიდან თუ კინოდან სახლში მიმავალ აზერბაიჯანის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ხან ხოისკის (Khān Khoyskī), რომელიც ბოლშევიკების მიერ ბაქოს დაკავების შემდეგ თბილისში დასახლდა, ქუჩაში ესროლეს და მოკლეს[647]. ამასობაში ხმა დაირხა, რომ ბათუმი დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ამბობდნენ, იქაურმა აჭარელმა (Ajār) ხალხმა ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და დამოუკიდებელ სახელმწიფოს ქმნისო. თუ ეს მოხდებოდა, მაშინ ევროპის გზაც დაიკეტებოდა.

შექმნილ ვითარებაზე ირანის გენერალურ კონსულს მოაზაზ ად-დოულეს მოვეთათბირე. გადავწყვიტეთ, რომ ავტომობილს მიქირავებდა, რომელიც ვლადიკავკაზის გავლით პეტროვსკიში წაგვიყვანდა, იქიდან კი გემით მაშჰადსარში ჩავიდოდით. მართლაც, ავტომობილი მიქირავა, მაგრამ გამგზავრების წინა საღამოს ხმა დაირხა, რომ ბოლშევიკებს დერბენდიც დაეკავებინათ. ამგვარად, მეორე გზაც ჩაიკეტა და ირანში ზღვით მგზავრობა შეუძლებელი გახდა.

---

645 „დოქტორ მოჰამად მოსადეყის მოგონებებში..." ეს კაცები „საიდუმლო ორგანიზაციის" (Anjoman-e serr) წევრებად მოიხსენიებიან.

646 ეჰსანოლაჰ ხანი ცნობილი ირანელი მოჯაჰედი, „შურისძიების კომიტეტის" წევრი იყო.

647 ფათჰალი ხან ხოისკი ერივანსკის მოედანზე მოკლეს „დაშნაკცუტუნის" პარტიის წევრმა სომეხმა ტერორისტებმა. მათი მხრივ ეს განიხილებოდა, როგორც შურისძიება სომეხთა ხოცვა-ულეტის გამო ბაქოში 1918 წელს.

ჩვენ მესამე გზაღა გვრჩებოდა: ერევნისა და ნახჭევანის გავლით ჯერ თავრიზში ჩასვლა და იქიდან თეირანში გადასვლა. მაგრამ ეს გზაც სიძნელეებით იყო აღსავსე, ამიტომ მასზეც უარი ვთქვით.

საბოლოოდ, გადავწყვიტე, რომ სანამ ბათუმს აჭარლები დაეპატრონებოდნენ და გზა დაიკეტებოდა, ზღვით უკან შვეიცარიაში დავბრუნებულიყავი და ვითარების შეცვლას იქ დავლოდებოდი.

მოაზაზ ად-დოულეს დიპლომატიური პასპორტი გამოვართვი და ბათუმის გავლით შვეიცარიაში გავემგზავრე.

ჰაჯი მირ აყა ნაყიბ ალ-აშრაფ აჰარი
და მისი მოგზაურობის წიგნი

ჰაჯი მირ აყა ნაყიბ ალ-აშრაფ აჰარი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ირანელი სწავლული და კალიგრაფი იყო. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. წარმოშობით ის აჰარის შაჰრესთანიდან იყო და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი აჰარსა და თავრიზში გაატარა. უცნობია მისი დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1927 წლის შემდეგ გარდაიცვალა აჰარში, დროებით იქ დაკრძალეს და მერე ნაჯაფში საგვარეულო სასაფლაოზე გადაასვენეს.

მირ აყა თავისი დროის საუკეთესო კალიგრაფად ითვლებოდა. მისი კალიგრაფიული ხელოვნების 3 ნიმუში, რომლებიც 1893, 1900 და 1920 წლებით თარიღდება, შეიხ შეჰაბ ად-დინ აჰარის მავზოლეუმშია დაცული.

1910-1911 წლებში მირ აყამ თავის ვაჟთან მირ აბდ ალ-ჰოსეინ სეიდ აჰარისთან ერთად მექა მოილოცა და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა მცირე ზომის თხზულებაში „მექაში მოგზაურობის წიგნი". ამ წიგნის ხელნაწერი, რომელიც თავად ავტორს ეკუთვნის და მის კალიგრაფიულ ოსტატობას მოწმობს, ოსთად სეიდ რეზა ალი მოჰამადის ბიბლიოთეკაში ინახება. ის 2011 წელს გამოსცა რასულ ჯა'ფარიანმა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Hājjī Mīr Āqā Naqīb al-Ashrāf Aharī, "Safar-nāme-ye Makke (1328-1329 qamarī)", *Payām-e Bahārestān*, Vol.2, No.12, Tehran, 1390/2011, 1568-76.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Dar bāre-ye mo'alef va safar-nāme", *Payām-e Bahārestān*, Vol.2, No.12, Tehran, 1390/2011, 1567-68.

მექაში მოგზაურობის წიგნი
(1910-1911)

[ირანიდან ბათუმამდე]
(1910)

1328 წლის შავალის 18-ში (1910 წლის 23 ოქტომბერს), კვირას დილით [ჯულფას] რკინიგზის სადგურში მივედით. თითოეულმა 12 მანეთი გადავიხადეთ, ბი-

ლეთები ავიღეთ და მატარებელში ჩავსხედით. ერთი დღე-ღამე მგზავრობის შემდეგ თბილისში ჩავედით და მაშპადი ჰოსეინ თაბრიზის ყავახანაში წავედით. მირ აბდ ალ-ჰოსეინი შეუძლოდ გახდა. მზის ჩასვლას ოთხი საათი აკლდა, მატარებელში რომ ჩავსხედით. თქვენმა მონა-მორჩილმა ცოტა დავიძინე. გამთენიისას ბათუმში ჩავედით და მაშპადი შარიფის სახლში გავჩერდით.

[სტამბოლში გამგზავრება]

საგზალი – ბრინჯი, შაქარი და წყალი მოვიმარაგეთ და რუსეთის კონსულს პასპორტები დავამოწმებინეთ. თითოეულმა 15 მანეთი გადავიხადეთ და გერმანული [კომპანიის] გემის ბილეთები ავიღეთ. სამშაბათს ღამის ორ საათზე გემზე ავედით. ხუთშაბათამდე გემი ზღვაში მიცურავდა. კაპიტანი ვარაუდობდა, რომ მზის ჩასვლისთვის სტამბოლში ვიქნებოდით, მაგრამ მოულოდნელმა გარემოებამ ხელი შეგვიშალა: ერთი პილიგრიმი გარდაიცვალა და გემი გააჩერეს. ტელეგრამა გაგზავნეს და მიცვალებული ნაპირზე გადაასვენეს. იქაურმა ექიმმა გასინჯა, მაგრამ ვერ გაარკვია, იმ საწყალს რა დაემართა.

ხუთშაბათ საღამოს გემი დაიძრა. მზის ჩასვლისთვის იმ გემიდან მეორე გემზე გადაგვიყვანეს. გემზე ექიმი ამოვიდა და უკან დაბრუნება მოითხოვა. ძალიან შეგვეშინდა.

ღამის სამ საათზე რამდენიმე კაცი ნაპირზე გაიყვანეს, ტანსაცმელი გახადეს, პერანგები ჩააცვეს, მათი ტანსაცმელი კი ორთქლსა და კვამლში გაატარეს. ამის შემდეგ ყველანი გემზე დაბრუნდნენ და დავიძარით. პარასკევს საღამოს შვიდ საათზე სტამბოლის ნავსადგურში შევედით.

აბუ'ლ-ყასემ მარჯანი აინ ქალაი
და მისი მოგზაურობის წიგნი

აბუ'ლ-ყასემ მარჯანი აინ ქალაი თეირანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე თალაყანის ოლქიდან იყო. მარჯანი და აინ ქალაი ამ ოლქის სოფლებია. აბუ'ლ-ყასემის შესახებ ერთადერთ წყაროს მისი „მექაში მოგზაურობის წიგნი" წარმოადგენს. თხზულებიდან ირკვევა, რომ მისი ავტორი სასულიერო პირი და როუზეხანი იყო. მექაში აბუ'ლ-ყასემი 1913 წლის შემოდგომაზე შვიდ თანამგზავრთან ერთად გაემგზავრა. გზად მან გაიარა ბაქო და თბილისი, შავი ზღვით სტამბოლში ჩავიდა და იქიდან ხმელთაშუა ზღვით ბეირუთში გადავიდა. დამასკოს, მედინასა და მექას წმინდა ადგილების მოლოცვის შემდეგ აბუ'ლ-ყასემი იმავე წლის ზამთარში ჯიდას გზით სამშობლოში დაბრუნდა. ამ მგზავრობის დღიურის წერა აბუ'ლ-ყასემმა 1914 წლის ზაფხულში დაასრულა. თხზულება უსათაუროა და მისი გამომცემელი რასულ ჯა'ფარიანი მას ორი სახელით მოიხსენიებს: „მექაში მოგზაურობის წიგნი" და „რვა კაცი ჰაჯის გზაზე". თხზულება ინფორმაციულად მდიდარია და თან საინტერესო საკითხავია.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Do safar-nāme-ye hajj: safar-nāme-ye hajj-e Abū'l-Qāsem Marjānī Ā'yīn Kalā'ī (1331 q.) va tafsīl-e safar-e Makke-ye mo'azzame-ye Mīrzā Mohammad Khān Modīr ad-Doule (1321 q.), be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1387/2008.

Abū'l-Qāsem Marjānī Ā'yīn Kalā'ī, "Safar-nāme-ye hajj", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 739-802.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 741-743.

მექაში მოგზაურობის წიგნი
(1913)

თბილისი

[1331 წლის] 14 შავალს (1913 წლის 16 სექტემბერს) სამშაბათს თბილისის სადგურში[648] შევედით. თბილისი სიდიდით, სისუფთავით, სილამაზით და

[648] მოგზაური სადგურის აღსანიშნავად ხმარობს სიტყვას „სასტუმრო" (mehmānkhāne). ამ შეცდომას ბევრი ირანელი მოგზაური უშვებს, რაც, სავარაუდოდ, იმით არის განპირობებული, რომ იმ დროს საფოსტო სადგურები ხშირად სასტუმროს ფუნქციასაც ითავსებდა.

კეთილმოწყობით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის უპირველესი ქალაქია და ბაქო მასთან შედარებით პატარა დაბაა. თბილისის შესაქებად იკმარებდა მისი მდინარეც, რომელიც ძალიან დიდია და ქალაქს შუაზე კვეთს. მის ნაპირებზე დიდებული სახლებია აშენებული. მდინარის განშტოებები წყალს ქალაქის ყველა წერტილს აწვდის. თბილისის სიგანე დაახლოებით ერთი *ფარსახია*, სიგრძე კი – სამი *ფარსახი*. აქ კარგი, ზომიერი კლიმატია. მატარებელი სადგურში ნახევარი საათი გაჩერდა და ყველაფერი კარგად დავათვალიერეთ. განსაკუთრებით, ფერიის მსგავსი ქალები და ახლადშელერებული ყმაწვილი კაცები.

თბილისს რომ გავცდით, ისეთი მწვანე მინდვრები, ლამაზი ხეივნები, ხილის ბაღები, ნათესები და ბაღჩები გამოჩნდა, რომ მათი აღწერა ადამიანს არ ძალუძს. მარცვლეულის მკის დრო იყო და მოსავალს იღებდნენ. გავიარეთ მცხეთა (Mīkhā), რომელიც პატარა, მაგრამ ლამაზი და აყვავებული ქალაქია. მზის ჩასვლისთვის მატარებელი უეცრად მთის ქვეშ შევიდა. ჯერ დაბნელდა, მაგრამ მაშინათვე მატარებლის ელექტრონათურები აინთო და მინისქვეშეთი დღესავით განათდა. მთის ქვეშ დაახლოებით 12 *ფარსახი* ვიარეთ. მთელი გზა ასტრონომიული საათნახევარი გაგრძელდა. რკინიგზა მიუყვებოდა მდინარეს, რომელიც სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ მიედინება. იქაურობა ძალიან ჰგავდა გილანისა და მაზანდარანის ტყეებს. სიმართლეს მოგახსენებთ: რკინიგზის გაყვანა მთის დანგრეულ და მიხვეულ-მოხვეულ ხეობებში ადამიანის შესაძლებლობებს სცილდება და ნამდვილი სასწაულია. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ სახელმწიფო თავისი ქვეშევრდომების ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნავს და ასეთი გზები გაჰყავს. ამ დროს კი, ირანის საწყალი მოქალაქეები ისეთ დღეში არიან, რომ მათი მდგომარეობის შემყურემ სისხლის ცრემლებით რომ იტირო, ესეც ცოტაა.

ერთი სიტყვით, 15 შავალს (17 სექტემბერს), ოთხშაბათს დილის ხუთ საათზე ქალაქში[649] შევედით. მატარებელში საცხოვრებლად, ლოცვისთვის, რიტუალური სისუფთავის დაცვისა და ჭამა-სმისთვის საშინელი პირობები იყო, ამიტომ სადეყ აყას სასტუმროში დავბინავდით თუ არა, ცოტა ჩაი დავლიეთ და მკვდრებივით დაგვეძინა. დილით ქალაქში გავისეირნეთ და მისი ღირშესანიშნაობები დავათვალიერეთ. რამდენადაც ეს ქალაქი გარეგნულად ლამაზი და სუფთაა, იმდენად მისი მოსახლეობა უღმერთო, გარყვნილი და იმ ძაღლებივით და ღორებივით ბილწი და უსუფთაოა, რომლებიც შინაური ცხვრებივით სახლში ჰყავთ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ამქვეყნად ყველაზე უსუფთაო ხალხია. ქალაქში ფართო, 25 ნაბიჯი სიგანის პროსპექტებია. მათზე 23 ნაბიჯის ინტერვალით ელექტროლამპიონებია ჩამწკრივებული. ეს ქუჩები ძალიან სუფთა და მოწესრიგებულია და ნაგავს ვერსად ნახავ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხელოვნური ბაღები და ბაღჩები, რომლებიც ედემის ბაღს ჰგავს.

ქალაქისა და მთის ჩრდილოეთით, ზღვის ნაპირას ერთი მინდორია, სადაც მთელი დღის განმავლობაში ადგილობრივი და უცხოელი ქალები და კაცები ბანაობენ და ტანსაცმელს რეცხავენ. ეს ქალაქი სიიაფის მხრივ მოგზაურებისთვის ძალიან მიმზიდველია. პროსპექტებზე ეკლესიებია აღმართული და მათში

---

[649] მოგზაური ბათუმშია, მაგრამ ქალაქის სახელს მხოლოდ ბოლოში ასახელებს.

უამრავი ღვთის ქალიშვილია[650]. მათი სილამაზე ხალხს ატყვევებს და ანადგურებს. ამ ქალიშვილების ნახვა ნებისმიერ კაცს ნებისმიერ დროს დაუბრკოლებლად შეუძლია. ქალაქში, ძირითადად, ქრისტიანები ცხოვრობენ, თუმცა ცოტა სუნიტსა და ერთ-ორ შიიტსაც შეხვდები. აქ უამრავი თურქია. ირანელი დალალები, ეს გაურჯულოებული მუსლიმები, ქალაქში მომლოცველების გამოჩენისთანავე მათ იჭერენ და ათასგვარი პირფერობითა და ხვეწნა-მუდარით თავიანთ სახლებში მიჰყავთ. ისინი მოგზაურებს ღამეში ას *დინარზე* ანუ ერთ რუსულ *აბასიზე* ანუ ერთ ირანულ *ყერანზე* უთანხმდებიან, მაგრამ გამგზავრებისას თითოეულს ორ *აბასის* ანუ ორ *ყერანს* ართმევენ.

მართალია, ამ ქალაქისა და მის მცხოვრებთა უსუფთაობას თავი დავაღწიეთ, მაგრამ გემზე უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ჯერ ერთი, მზის ჩასვლამდე გემის შესასვლელთან გაგვაჩერეს და ასვლის ნებას არ გვაძლევდნენ, სანამ საღამოს დიდი შეხლა-შემოხლის მერე გემზე არ აგვიშვეს. მერე კლასების მიხედვით ადგილების დასაკავებლად მგზავრებს შორის ბრძოლა გაიმართა. ბოლოს შესასვლელი კარი იერიშით აიღეს და ხალხი ღამის ფეხქვეშ გათელეს. ასეთი დავიდარაბა დიდხანს გაგრძელდა და ერთი საათის დაღამებული იყო, როცა კარი დახურეს და ჩარაზეს. ალაჰია მოწმე, იმ ღამეს ჭუჭყიან გემზე მომლოცველები ისე უმოწყალოდ გაჩხრიკეს, რომ ღმერთმა ასეთი წვალება როგორც მუსლიმს, ისე ურწმუნოს აშოროს. ჯერ მთელი ხალხი ნახშირიან მიწაზე დაყარეს და ისინი თავიდან ფეხებამდე კუპრივით გაშავდნენ. დილით ვისაც კი შეხედავდი, ჯოჯოხეთიდან გამოქცეულს ჰგავდა. მეორეც, მუსლიმებმა და ურჯულოებმა, ქალებმა და კაცებმა ის ღამე სრულ სიბნელეში ისეთ ჭყლეტაში გაატარეს, რომ ფეხის გაშლასა და დაწოლაზე ლაპარაკი აღარ იყო. ამ წყვდიადში, მტვერსა და სივიწროვეში ხალხი ვერც ლოცვას ახერხებდა, ვერც ჭამა-სმას და ვერც საპირფარეშოში წასვლას. მესამეც, გემზე ასვლისთანავე პასპორტები ყველას უხეშად წაგვართვეს და დაიტოვეს. დილის ხუთი საათისთვის გამოაცხადეს, რომ პასპორტებს გვიბრუნებდნენ. წყეული კაპიტანი ზედა ბაქანზე იჯდა და ხელში დასტა-დასტად პასპორტები ეჭირა. ის მგზავრების სახელსა და მამის სახელს კითხულობდა და შესაბამის პასპორტს სიბნელეში უმისამართოდ ისროდა. საწყალი მომლოცველები იძულებული იყვნენ იმ ჭყლეტაში პასპორტები ეძებნათ და ბევრმა მათგანმა ვეღარც იპოვა. გარდა ამისა, გემის მოსამსახურეები ორ საათში ერთხელ ბილეთების შემოწმების საბაბით ხალხს ათასგვარად ავიწროვებდნენ და აწვალებდნენ და ასეთი ქცევა თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ. მოკლედ, მგზავრები ისეთ ტანჯვასა და წვალებაში იყვნენ, რომ ღამის სიკვდილს ნატრობდნენ. ამიტომ თქვენმა მონა-მორჩილმა გემის ზედა ბაქანზე ერთი პატარა კუთხე ვიშოვე და ერთ-ორ მეგობართან ერთად იქ დავბინავდი. დილით გემი ერთ ღამაზ ნავსადგურში ფაზარში (Azarī) გაჩერდა.

---

[650] მოგზაური მონაზონის აღსანიშნავად „ალაჰის ქალიშვილს" ხმარობს.

აბდ ალ-ჰოსეინ ოურანგ შეიხ ალ-მოლქი და მისი მოგონებები

მირზა აბდ ალ-ჰოსეინ ხანი, ცნობილი ლაყაბით „შეიხ ალ-მოლქი" და თახალუსით „ოურანგი", დაიბადა 1888 წელს თეირანში სასულიერო პირის ოჯახში. ის მამის კვალს გაჰყვა და დაწყებითი სასულიერო განათლება თეირანში მიიღო, შემდეგ ქერბალასა და ნაჯაფში გაემგზავრა და სწავლა იქ დაასრულა. აბდ ალ-ჰოსეინი ირანში კონსტიტუციური რევოლუციის დასაწყისში დაბრუნდა, მთავარსარდალ ასად ბახთიარის დაუახლოვდა და კონსტიტუციური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი გახდა. მან თეირანის სასულიერო და პოლიტიკურ წრეებში სახელი გაითქვა, როგორც ბრწყინვალე ორატორმა. არაჩვეულებრივი მეხსიერების წყალობით, ის თავის გამოსვლებში უხვად ურთავდა სპარსული და არაბული პოეზიის ნიმუშებს და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში აბდ ალ-ჰოსეინი ოსმალეთში გაემგზავრა და ერთხანს სტამბოლში ცხოვრობდა. ირანში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რეზა შაჰის (1925-1944) დაახლოებული პირი გახდა, მასთან ერთად მოგზაურობდა და მოცალეობის ჟამს ლექსებს უკითხავდა და ისტორიულ ამბებს უყვებოდა. ის მეჯლისის III და VII-XIX მოწვევების დეპუტატი იყო. გარდაიცვალა თეირანში 1973 წელს, 85 წლის ასაკში.

მირზა აბდ ალ-ჰოსეინის კალამს ეკუთვნის ლექსების დღემდე გამოუქვეყნებელი კრებული და მემუარული თხზულება „წარსულის მოგონებები", რომელიც მან 65 წლის ასაკში დაწერა. მასში ავტორი ახსენებს საქართველოსაც, რომელიც, სავარაუდოდ, 1915-1916 წლებში სტამბოლის გზაზე მოინახულა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

'Abd al-Hoseyn Ourang (Sheykh al-Molk), *Khāterāt-e gozashte, Khāterāt-e Vahīd*, No.13, Tehran, 1351/1972, 70-75; No.16, Tehran, 1351/1972-73, 46-50; No.19, Tehran, 1352/1973, 92-101.

ლიტერატურა

Mirza 'Abd al-Hosayn Ourang (http://mashooghe-parast.blogfa.com/post/14).

წარსულის მოგონებები
(1915)

* _ *

...მის უდიდებულესობა შაჰს დავეთხოვე და ბაქოს გავლით თბილისში გავემგზავრე. თბილისში ირანის გენერალური კონსული მოდირ ალ-მოლქ სარდარ-ე ჰომაიუნი მოვინახულე. რამდენიმე ხნის შემდეგ ბათუმში წავედი და იქიდან ფრანგული კომპანიის გემით სტამბოლში გავემგზავრე ... თბილისსა და ბათუმში წინდაუხედაობა გამოვიჩინე და ჩვეულებრივზე მეტი ფული დავხარჯე, ამიტომ სტამბოლში იძულებული გავხდი, რომ ფულის მოთხოვნით რაშთში ტელეგრამა გამეგზავნა...

* _ *

...სტამბოლიდან გერმანული [კომპანიის] გემით ბათუმში გავემგზავრე... ბათუმიდან კი მატარებლით თბილისში წავედი. თბილისში ირანის გენერალური კონსული მოდირ ალ-მოლქ სარდარ-ე ჰომაიუნი ჩემი ჩამოსვლის შესახებ წინასწარ გაფრთხილებული მყავდა, მაგრამ საკონსულოში რომ მივედი, არ დამხვდა. როგორც გაირკვა, კოჯრის (Kojor) აგარაკზე წასულიყო და თავისი მოხელე დაეტოვებინა, რათა მას კოჯორში ჩავეყვანე. თბილისში ორი დღე დავრჩი და გავემგზავრე კოჯორში, სადაც ორი-სამი კვირა მოდირ ალ-მოლქთან ერთად დავისვენე. შემდეგ ირანში დავბრუნდი...

აჰმად ქასრავი და მისი მოგონებების წიგნი

აჰმად ქასრავი.

აჰმად ქასრავი თაბრიზი XX საუკუნის ცნობილი ირანელი თეოლოგი, ლინგვისტი, ისტორიკოსი და რეფორმატორი იყო. ის დაიბადა 1890 წელს თავრიზში. მამამისი სასულიერო პირი იყო და შვილიც სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, მაგრამ ირანელი კონსტიტუციონალისტების გავლენით ქასრავის გული აუცრუვდა სასულიერო კარიერაზე და ის თავრიზის ამერიკულ მემორიალურ სასწავლებელში გადავიდა. ქასრავი კონსტიტუციონალური მოძრაობის მომხრე იყო და ირანის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ თავის იდეებსა და მოსაზრებებს აქვეყნებდა თავის გაზეთში „ფარჩამ" („ალამი") და ჟურნალში „ფეიმან" („თანხმობა").

ქასრავის პირველი ნაშრომები თეოლოგიური ხასიათის იყო და შიიზმის კრიტიკას წარმოადგენდა. ის მკაცრად ილაშქრებდა შიიზმის ძირითადი დოქტრინებისა და წესჩვეულებების წინააღმდეგ. მისი აზრით, ისლამი ხალხისთვის ბედნიერების გზის მანათობელი ჩირაღდანი იყო, მაგრამ შიიტების ხელში ცბიერების, ტყუილისა და უბედურების წყაროდ იქცა. თუ მისი პირველი წიგნი „აჰმადის შარიათი" შიიზმის რეფორმას ისახავს მიზნად, მომდევნო წიგნი „შიიზმის პრაქტიკა" აშკარა ანტიკლერიკალური განწყობით გამოირჩევა. გარდა თეოლოგიისა, ქასრავი ენათმეცნიერებითა და ისტორიითაც ინტერესდებოდა. თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აზარი ანუ აზერბაიჯანის ძველი ენა" ის ამტკიცებდა, რომ ძველი აზარი ენა ფალაური ენის განშტოებაა. ამ ნაშრომისთვის ქასრავი ლონდონის სამეფო აზიური საზოგადოებისა და ამერიკის აკადემიის წევრად აირჩიეს. ქასრავის ისტორიული ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ირანის კონსტიტუციური რევოლუციის ისტორია", „აზერბაიჯანის 18 წლის ისტორია", „ხუზისტანის 500 წლის ისტორია", „მივიწყებული მეფეები" და სხვა.

გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა, ქასრავის დაწერილი აქვს აუტობიოგრაფიული თხზულება „ჩემი წუთისოფელი", რომელშიც თბილისიც არის ნახსენები. ქასრავი თბილისში 1916 წელს სამუშაოს საძებნელად ჩამოვიდა და თვენახევარი დარჩა. ის თბილისელ რევოლუციონერებს დაუკავშირდა და აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში.

1946 წელს 55 წლის ქასრავი ისლამისტური დაჯგუფების „იმამის ძმების" წევრებმა თეირანში ხანჯლით მოკლეს.

ტექსტები და თარგმანი

Ahmad Kasravī, *Zendegānī-ye man. Doure-ye nokhost-e zendegī-ye shādravān Kasravī (az kūdakī tā sī sālegī)*, Tehran, 1356/1977.

Ahmad Kasravī, *Tārīkh-e mashrūte-ye Īrān*, Tehran, 1376/1997 (მეთვრამეტე გამოც.).

Ahmad Kasravi, *History of the Iranian Constitutional Revolution*, Translated by E. Siegel, Costa Mesa, California, 2006.

ლიტერატურა

გ. ჭიპაშვილი, „აჰმად ქასრავი ირანის 1905-1911 წლების რევოლუციაში ქართველი ინტერნაციონალისტების მონაწილეობის შესახებ", *აღმოსავლური კრებული*, თბილისი, 1983, 212-221.

Mohammad Mo'īn, *Farhang-e fārsī*, j. 6, Tehran, 1375/1996, 1577.

M. Amini, "Kasravi, Ahmad, vii. A Bibliographical Survey", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 2012 (http://www.iranicaonline.org/articles/kasravi-ahmad-vii).

M.A. Jazayery, "Kasrawī Tabrīzī, Seyyid Ahmad", *Encyclopaedia of Eslam*, Second edition, Vol.4, Brill: Leiden, 1997, 732-733.

A.R. Manafzadeh, "Kasravi, Ahmad, i. Life and Work", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 2012 (http://www.iranicaonline.org/articles/kasravi-ahmad-i).

ჩემი ნუთისოფელი

თავი 23

როგორ გავემგზავრე კავკასიაში (1916)

...სანამ სკოლაში დავდიოდი, გაკვეთილებითა და მოწაფეებთან ურთიერთობით ვიყავი გართული, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი და გადავწყვიტე, სამოგზაუროდ წავსულიყავი. სწორედ იმ წელს რუსებმა კავკასია-თავრიზის გზის მშენებლობა დაასრულეს, ამიტომ ვიფიქრე, რომ კავკასიაში გავმგზავრებულიყავი, რომელიმე ქალაქში სამუშაო მეპოვნა და თუ ფეხს მოვიკიდებდი, ოჯახიც თან წამეყვანა. ჩემს გადაწყვეტილებას ისიც ამყარებდა, რომ ავადმყოფობისა და ცხვირიდან სისხლდენის მერე ძალიან დასუსტებული ვიყავი და ექიმები მოგზაურობას მირჩევდნენ.

ჩემი გეგმები დედას გავუმხილე და რადგან სამგზავრო ფული არ მქონდა, ან განსვენებულ ჰაჯი აბასს გამოვართვი. იმ ერთ წელიწადში სკოლაში აღებული ფულით ვალების უმეტესობა გავისტუმრე, მაგრამ ამჯერად სხვა გზა არ მქონდა და ისევ ვისესხე. რამდენადაც მახსოვს, 1295 წლის 11 თირი ანუ 1334 წლის 1 რამაზანი (1916 წლის 2 ივლისი) იყო, როცა რკინიგზის სადგურში ჩემს ძმებსა და სხვა ახლობლებს დავემშვიდობე და მატარებელში ჩავჯექი.

მატარებელში ორი ნაცნობი აღმოვაჩინე: *მოჯთაჰედის* ვაჟი მირზა მოსტაფა, რომელიც რევმატიზმის სამკურნალოდ ბაქოს მინერალურ წყლებზე მიდიოდა და აყა მირზა ალი ჰეიათი. ისინი რამდენიმე მოლას თანხლებით მეშჰედში მიემგზავრებოდნენ. მათ მოვერიდე და კუპეში მარტო დავჯექი. ერთი რუსი ოფიცერი მომიჯდა. ერთმანეთი ასე თუ ისე გავიცანით, მაგრამ საუბარი ვერ მოვახერხეთ, რადგან ის სპარსულად და თურქულად არ ლაპარაკობდა, მე კი რუსულად მხოლოდ რამდენიმე წინადადება ვიცოდი. მკითხა: „ფრანგული იცი?" ვუპასუხე: „არა". მერე მე ეკითხე: „ინგლისური იცი?" მიპასუხა: „არა". ორივეს გაგვეცინა.

მატარებელი ნელა მიდიოდა და ჯულფამდე 6 საათი ერთად უნდა გაგვეტარებინა. გადავწყვიტე, ეს დრო რუსულის სასწავლად გამომეყენებინა, რომ თან უქმად არ ვყოფილიყავი და თან ხეირი მენახა. რვეული და ფანქარი ამოვიღე, რაღაც საგნებზე ვუთითებდი და ვეკითხებოდი: *„ეტა ჩტო?"* რასაც მპასუხობდა, რვეულში ვიწერდი. ამგვარად, სანამ ჯულფაში ჩავიდოდით, ასამდე სიტყვა ვისწავლე და რამდენიმე წინადადებაც დავიზეპირე.

საღამოს ჯულფაში ჩავედით და ღამე იქ გავატარე. მეორე დღეს ალექსანდროპოლში (Aleksāndrāpol) მიმავალ მატარებელში ჩავჯექი. მატარებელში უამრავი ხალხი იყო და სხვადასხვა ენებზე – თურქულად, სომხურად, ქართულად და რუსულად ლაპარაკობდა. რუსული სიტყვები რომ მესმოდა, მიხაროდა და ვიმახსოვრებდი. მოკლედ, სწავლა იქაც განვაგრძე. ერთი ამერიკელი ცოლ-ქმარი გავიცანი. *მისიონერები* იყვნენ და დიდი ხანი იყო, რაც პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ამიტომ რუსულად კარგად ლაპარაკობდნენ. გაირკვა, რომ თეირანში *„კონფერენციაზე"* იყვნენ და ახლა უკან ბრუნდებოდნენ. როცა გაიგეს, რომ ამერიკული სკოლის მასწავლებელი ვიყავი, ჩემდამი პატივისცემით განიმსჭვალნენ. ვუთხარი: „რუსულ ენასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა მაქვს და გთხოვთ, მიპასუხოთ". დამთანხმდნენ და საღამომდე მათგან ბევრი რამე ვისწავლე.

შუაღამისას ალექსანდროპოლში ჩავედით. ცოტა ხანში ჩამოდგა ხუზისტანის მატარებელი, რომელშიც უნდა ჩავმსხდარიყავით. მაგრამ მატარებელი *სალდათებით* იყო სავსე და ყველანი ვერ ავედით. მე რამდენიმე კაცთან ერთად სადგურში დავრჩი. ერთი თავრიზელი ვაჭარი მატარებელში ავიდა, მაგრამ თავისი რვა წლის ბიჭი ვეღარ აიყვანა. მარტო დარჩენილი ბიჭი ტიროდა და მამას ეძახდა. მასთან მივედი და დავამშვიდე: მამაშენთან წაგიყვან-მეთქი. ჩვენ გარშემო მოლები და სხვა მგზავრები შემოიკრიბნენ. მათ გამოველაპარაკე. მითხრეს, რომ გამთენიისას სხვა მატარებელი მოვიდოდა და მასზე ავიდოდით. მართლაც, დილით მატარებელი ჩამოდგა და ყველანი ჩავსხედით. მატარებელი ნელა მიდიოდა და მე მთებისა და ხეობების თვალიერებით ვტკბებოდი. რადგან ვაჭრის შვილს არც ბილეთი და არც პასპორტი არ ჰქონდა, იძულებული ვიყავი ყველა სადგურში ჩავსულიყავი და რუსი მოხელეებისთვის მის შესახებ ახსნა-განმარტება მიმეცა. ამან საშუალება მომცა, რომ ცოტა რუსულში მევარჯიშა. ხანდახან სიტყვებს შეცდომით ვამბობდი, რაც მსმენელების სიცილსა და ხუმრობას იწვევდა.

მეორე საღამოს თბილისში ჩავედით. იქ თვითმასწავლებელი (*სამოუჩიტელი*) ვიყიდე და რუსულის სწავლა განვაგრძე. თბილისში ორი დღე დავრჩი და მერე

ბაქოში გავემგზავრე. ბაქოში ბევრი ნაცნობი მყავდა, მაგრამ სამუშაო ვერ ვიშოვე. გემში ჩავჯექი და აშხაბადში (Eshq Ābād) წავედი. მინდოდა, სარახსში ჩავსულიყავი, მაგრამ მითხრეს, რომ პატარა ქალაქი იყო. გადავწყვიტე, მეშჰედში წავსულიყავი და სამუშაო იქ მომეძებნა. აყა მირზა ალის შევუამხანაგდი და მეშჰედში გავემგზავრეთ. ოთხი დღე ვირებით მთებსა და ტყეებში ვიარეთ. მეშჰედში ერთი თვე დავრჩი და მერე ბაქოში დავბრუნდი. იქაც რამდენიმე დღე სამსახურის ძებნაში გავატარე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე და იმედგაცრუებული თბილისში დავბრუნდი.

თავი 24

როგორ ვიცხოვრე თბილისში

თბილისში ამ ჯერზე გამიმართლა. ისმაილ ჰაყის, რომელიც თავისუფლებისთვის მებრძოლი იყო, წიგნის მაღაზია ჰქონდა. მე რამდენჯერმე მის მაღაზიაში წიგნის საყიდლად შევედი და გამოველაპარაკე. ლაპარაკიდან შემატყო, რომ მის იდეებს ვიზიარებდი, დამიმეგობრდა და ცოტა ხანში იქაური რევოლუციონერები გამაცნო. კავკასიაში მეფის რუსეთის სისასტიკემ თავისუფლებისთვის მებრძოლი მუსლიმები, ქართველები და რუსები შეაკავშირა. იმ დროს თბილისში აჭარელი ხანების ჯგუფი ცხოვრობდა. მათი სამშობლო ოსმალეთის საზღვართან ახლოს იყო, ამიტომ მათ დახმარებისთვის ოსმალეთს მიმართეს და რუსების წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყეს, მაგრამ ყველანი დაიჭირეს და თბილისის ციხეში ჩაამწყვდიეს. ნაწილი ჯერ კიდევ ციხეში იჯდა, ნაწილი კი გამოუშვეს. ეს ხალხი ძალიან დამიმეგობრდა და მათ გამო თბილისში დავრჩი. თბილისი და თბილისელები ძალიან მომეწონა და მათგან ბევრი სიკეთე და სითბო ვნახე. ერთ რუსულ თუ ირანულ სასწავლებელში მასწავლებლობა დავიწყე და ჩემი მეგობრების განმანთავისუფლებელ მოძრაობაშიც ჩავერთე. თუმცა თავს არც მეცნიერებას ვანებებდი და რუსულის სწავლასაც განვაგრძობდი. დღეში რამდენიმე საათს ბოტანიკურ ბაღში (Zhārden botānik) ვატარებდი. ამ დიდ და წარმტაც ბაღში ვსეირნობდი და თან მცენარეებსა და ხეებს ვაკვირდებოდი. საღამოობით რევოლუციონერების შეკრებებზე დავდიოდი და სასტუმროში მხოლოდ სავახშმოდ და დასაძინებლად ვბრუნდებოდი. ამასობაში ძალიან გავკაჟდი და ვინც მხედავდა, სიხარულს ვერ მალავდა.

თბილისური თავგადასავლებიდან ერთ შემთხვევას აღვწერ. ერთ დღეს, როცა ისმაილ ჰაყის მაღაზიაში ვიჯექი, ფარფლებიან ქუდში გამოწყობილი სუფთად ჩაცმული ახალგაზრდა შემოვიდა. ისმაილმა ის ასე წარმომიდგინა: „ეს ბატონი ომარ ფაიეყის (მწერალ მოლა ნასრედინის ნამდვილი სახელი) დისშვილია. სტამბოლში *ფიკჰი* შეისწავლა და *ყადია*. თქვენსავით ყურანი ზეპირად იცის...". ასე გავიცანით ერთმანეთი და რადგან ჩემი სასტუმრო ახლოს იყო, დავპატიჟე. სამ საათზე მეტ ხანს ვისხედით და ისლამზე, ისტორიასა და მუსლიმების უბედურებაზე ვლაპარაკობდით. ყველა საკითხში თანამოაზრეები აღმოვჩნდით. გამომშვიდობებისას მოჰამად ეფენდიმ გაოცებით მითხრა: „სეიდ ეფენდი, მე კი

მეგონა, რომ ირანელები რაფიდიტები[651] იყავით". მე ვუთხარი: „მეც გაგონილი მქონდა, რომ თქვენ სუნიტები იყავით. მაგრამ შიიზმი და სუნიზმი ჩემთვის და თქვენთვის არ არის. ეს იმ ხალხისთვის არის, ვისაც საკუთარი აზრი არა აქვს". ამ სიტყვებით ერთმანეთს დავშორდით.

სამწუხაროდ, შაჰრივარი[652] დამთავრდა და სკოლებიც დაიხურა. მე ისევ უმუშევარი დავრჩი და ჩემს მდგომარეობას ძალიან განვიცდიდი. რამდენიმე ვაჭარმა შემომთავაზა, რომ ჩემს ხარჯებს თავის თავზე აიღებდა, მაგრამ ვუპასუხე, რომ მუქთახორობა ჩემთვის მიუღებელი იყო და ასეთ ყოფას ვერასოდეს დავთანხმდებოდი.

მეჰრის[653] ნახევარიც გავიდა. იმ დღეებში თავრიზიდან ამერიკული სკოლის დირექტორის *მისტერ* ჩესტის წერილი მივიღე. მწერდა: „რადგან შარშანდელმა მოწაფეებმა თქვენი გაკვეთილების წყალობით საგრძნობლად წინ წაიწიეს, ამიტომ გავითვალისწინეთ მათი ინტერესები და თქვენს ადგილზე არავინ დავნიშნეთ. სკოლა სამსახურს გთავაზობთ და ხელფასს ერთი მეოთხედით გაგიზრდით. სასწრაფოდ ჩამოდით ან ტელეგრამით თქვენი გეგმები შეგვატყობინეთ".

ამ წერილმა თავრიზი გამახსენა. თან თბილისს ვერ ვსწყდებოდი და თან თავრიზს ვერ ვივიწყებდი. ორი დღე ასეთ გაორებულ მდგომარეობაში გავატარე, მაგრამ მესამე დღეს დედაჩემის ტელეგრამა მივიღე და ჩემს ყოყმანსაც ბოლო მოეღო. დედა მწერდა: თუ მალე არ ჩამოხვალ, ვეღარასდროს მნახავო. ტელეგრამა რომ გავხსენი და დედაჩემის სახელი რომ დავინახე, ისე დავსუსტდი, რომ ტელეგრამა ხელიდან გამივარდა. ავიღე, მაგრამ რამდენიმე ხანს წაკითხვა ვერ მოვახერხე. ამ წერილმა და ტელეგრამამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ თავრიზში დაბრუნება გადავწყვიტე.

მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ უფულოდ ვიყავი. თბილისში რომ ჩამოვედი, ცოტაოდენი ფული მქონდა, მაგრამ სულ დავხარჯე. მივხვდი, რომ მშიერ-მწყურვალი ვრჩებოდი და მირზა ჯაფარ აყა ხამენეის, რომელიც იმჟამად კავკასიაში იმყოფებოდა, წერილი მივსწერე და 20 მანეთი ვთხოვე. მას შემდეგ ერთ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ პასუხი არ ჩანდა და მეც იმედი გადამეწურა. ვფიქრობდი, რა მექნა და ფული ვისგან მესესხა. ასობით ვაჭარს ვიცნობდი, მაგრამ მათგან ფულის სესხება არ მინდოდა. ამ ფიქრებში გართული კიბეებზე ჩავდიოდი, რომ უცებ ვილაც კაცი შემომხვდა და სახელი მკითხა. ვუპასუხე და გახარებულმა შესძახა: „ორი კვირაა, გეძებთ. მთელი სასტუმროები შემოვიარე. კავკასიიდან თქვენს სახელზე 100 მანეთი მოვიდა...". თქმა არ უნდა, ამ სიტყვებმა ჩემზე როგორ იმოქმედა.

---

651 რაფიდიტები შიიტთა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეტსახელია. მეორე თვალსაზრისით, რაფიდიტები ის შიიტები არიან, რომლებიც უარყოფენ პირველ სამ ხალიფას და ალის პირველ ხალიფად თვლიან. შემდგომში რაფიდიტებად უმთავრესად ინოდებოდნენ იმამიტები, რომლებიც, გარდა აბუ ბექრისა და ომარისა, უარყოფდნენ ომაიანთა და აბასიანთა მმართველობის კანონიერებასაც.

652 ირანული მზის კალენდრის მეექვსე თვე, შეესაბამება 23 აგვისტო - 22 სექტემბერს.

653 ირანული მზის კალენდრის მეშვიდე თვე, შეესაბამება 23 სექტემბერ - 22 ოქტომბერს.

100 მანეთი გამოვართვი, სასტუმროში დავბრუნდი და პირველ რიგში სასტუმროში 45 დღის ცხოვრებისა და კვების ფული გადავიხადე. მერე სადგურში წავედი და ბილეთი ვიყიდე. სადგურიდან ისმაილ ჰაყის მაღაზიაში შევიარე და რამდენიმე წიგნი შევიძინე.

იმავე საღამოს თბილისიდან გავემგზავრე. მატარებელი აზერბაიჯანში გაგზავნილი *სალდათებით* იყო სავსე. ორ დღეში თავრიზში ჩავედი...

აბდ ალ-ჰოსეინ შეიბანი ვაჰიდ ალ-მოლქი და მისი მოგონებების წიგნი

აბდ ალ-ჰოსეინ შეიბანი, ცნობილი ლაყაბით „ვაჰიდ ალ-მოლქი", XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ირანელი სწავლული და საზოგადო მოღვაწე იყო. იგი დაიბადა ქაშანში 1875 წელს და დაწყებითი განათლებაც იქვე მიიღო, მერე კი თეირანში დარ ალ-ფონუნის სასწავლებელი დაამთავრა. სწავლის დასრულების შემდეგ მან ექვსი წელი გაატარა ინდოეთში, სადაც ინგლისურ ენას დაეუფლა. 1898 წელს აბდ ალ-ჰოსეინი ინგლისში გაემგზავრა და ლონდონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში ისტორია და სამართალი შეისწავლა. კემბრიჯის უნივერსიტეტში იგი პროფესორ ედვარდ ბრაუნის თანამემნედ მუშაობდა და თან სპარსულ ენას ასწავლიდა. 1906 წელს აბდ ალ-ჰოსეინი ირანში დაბრუნდა და დარ ალ-ფონუნის სასწავლებელში ინგლისური ენისა და სამართლის სწავლება დაიწყო, თან გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტად მუშაობდა. იგი აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა: იყო დემოკრატიული პარტიისა და საგანმანათლებლო საბჭოს წევრი, მეჯლისის II, III და IV მოწვევის დეპუტატი, 1916 წელს



ირან-გერმანიის საზოგადოების წევრები. მარცხნიდან მესამე დგას ვაჰიდ ალ-მოლქ შეიბანი, ბერლინი, 1918.

ჩამოაყალიბა ნაციონალური თავდაცვის კომიტეტი და სამშობლოს დამცველთა საზოგადოება. 1917 წელს აბდ ალ-ჰოსეინი გერმანიაში გაემგზავრა და ბერლინში დაარსებული ირან-გერმანიის საზოგადოების წევრი გახდა. 1919 წელს ის ირანში დაბრუნდა და სხვადასხვა წლებში იყო განათლების, სოციალური უზრუნველყოფის და ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი. გარდაიცვალა აბდ ალ-ჰოსეინ შეიბანი 1963 წელს თეირანში.

აბდ ალ-ჰოსეინის „ემიგრაციის მოგონებები" მოიცავს 1914-1918 წლებში ჰოლანდიაში, გერმანიასა და ინგლისში მოგზაურობის ამბებს. თხზულება დაწერილია ავტორის სიბერეში, მის მიერ მოგზაურობის დროს გაკეთებული ჩანაწერების მიხედვით. 1999 წელს ირაჯ აფშარმა აბდ ალ-ჰოსეინის შვილიშვილის ქათაიუნ შეიბანის დახმარებით ის ცალკე წიგნად გამოსცა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

'Abd al-Hoseyn Sheybānī Vahīd al-Molk, *Khāterāt-e mohājerat, Az doulat-e movaqqat-e Kermānshāh tā komīte-ye melīyūn-e Berlīn*, be kūshesh-e Īraj Afshār va Kāve Bayāt, Tehran, 1378/1999.

ლიტერატურა

Īraj Afshār, "Yāddāsht", წიგნში: 'Abd al-Hoseyn Sheybānī Vahīd al-Molk, *Khāterāt-e Mohājerat ...*, 5-10.

Abū'l-Hasan 'Alavī, *Rejāl-e 'asr-e mashrūtīyat*, be kūshesh-e Habīb Yaghmā'ī va Īraj Afshār, Tehran, 1363/1984, 127-128.

'Alī Bahrāmīyān, "Khāterāt-e mohājerat", *Tārīkh-e Ravābet-e Khārejī*, Vol.1, No.1, Tehran, 1378/1999, 173-177.

Kāve Bayāt, "Vahīd al-Molk va mohājerat", წიგნში: 'Abd al-Hoseyn Sheybānī Vahīd al-Molk, *Khāterāt-e Mohājerat...*, 11-13.

ემიგრაციის მოგონებები

ქართველი მაჩაბელი

[1917 წლის 10 აგვისტო, სტოკჰოლმი]

დილით აზათოლაჰ ხანთან ერთად ქართველი მაჩაბელის[654] (Māchīlī Gorjī) სანახავად წავედი. მაჩაბელმა, რომელიც ყველას ქართველ უფლისწულად ეც-

[654] იგულისხმება დიპლომატი, მეწარმე და საზოგადო მოღვაწე გიორგი მაჩაბელი (1885-1935). იგი იყო „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" ერთ-ერთი დამფუძნებელი, მჭიდრო კავშირი ჰქონდა გერმანიის სამხედრო და პოლიტიკურ წრეებთან. 1919-1921 წლებში მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოში

ნობოდა, საბოლოოდ ცოლად შეირთო იტალიური წარმოშობის ცნობილი გერმანელი *არტისტკა*[655], რომელსაც მას შემდეგ *პრინცესად* მოიხსენიებენ. მაჩაბელი დიდი ხანია, რაც რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაშია ჩართული და, როგორც ცნობილია, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაახლოებული პირია. ცოტა ხნის წინ წყალქვეშა ნავით შავი ზღვის სანაპიროს მიადგა და ხმელეთზე გადავიდა. გარკვეული ხანი რუსეთში დივერსიულ საქმიანობას ეწეოდა და მერე შორეულ აღმოსავლეთსა და ამერიკაში გაიქცა და ამერიკაში გერმანიის საელჩოს შეაფარა თავი. ამ საელჩოს დახმარებით იგი გერმანიაში დაბრუნდა. მაჩაბელი კავკასიის ამჟამინდელ მდგომარეობას დადებითად აფასებს და ამბობს: „ახლა ქართველები საქმეში აქტიურად ჩაებნენ და იმედია, მალე უკრაინელებთან ერთად მიზანს მიაღწევენ. ორი დღეა, მოლდავეთში ახალი მღელვარება დაიწყო და რუსები და რუმინელები უკან იხევენ".

იტალიაში. საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ გაემგზავრა აშშ-ში, სადაც 1924 წელს დააარსა ცნობილი პარფიუმერული კომპანია Prince Matchabelli. 1932 წლიდან სიკვდილამდე იყო შეერთებული შტატების ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარე. დაკრძალულია ნიუ-იორკში (ო. ჯანელიძე, „საქართველოს განთავისუფლების ქართულ-გერმანული პროექტი პირველი მსოფლიო ომის წლებში და გიორგი მაჩაბელი", *ქართული ემიგრაცია*, კრებული II, თბილისი, 2011, 4-23; ი. ასათიანი, „გიორგი მაჩაბელი - პარფიუმერული წარმოების პიონერი ამერიკის შეერთებულ შტატებში", *იქვე*, 78-87).

[655] გიორგი მაჩაბელმა 1916 წელს ცოლად შეირთო თეატრისა და კინოს მსახიობი ნორინა ჯილი (1880-1957), ცნობილი სასცენო ფსევდონიმით მარია კარმი. 1933 წელს ისინი განქორწინდნენ.

რეზა ალი დივანბეგი

რეზა ალი დივანბეგი.

რეზა ალი დივანბეგი ქურთისთანი დაიბადა 1892 ან 1893 წელს ქურთისტანელი დიდგვაროვნის და წარჩინებული მოხელის მირზა ჰოსეინ დივანბეგის ოჯახში. დიპლომატიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მან საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიწყო მუშაობა. იყო მეჯლისის V, VI და VII მოწვევის დეპუტატი. 1916 წელს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰთაშემ ას-სალთანე ესფანდიარიმ რეზა ალი კავკასიაში გააგზავნა. მოგზაურობა მას ძალიან რთულ პერიოდში მოუწია. უკანა გზაზე ის საქართველოსაც ეწვია და გარკვეული ხანი თბილისში დაჰყო. მისი მემუარული თხზულება „მოგზაურობა პირველი მსოფლიო ომის დროს" ამ მოგზაურობის ჩანაწერებს წარმოადგენს. როგორც ტექსტიდან ჩანს, ავტორს ის გაცილებით უფრო გვიან, სავარაუდოდ 1940-იან წლებში გადაუმუშავებია – მასში გვხვდება ეპიზოდები, რომლებიც ომისშემდგომ პერიოდს ეხება. სხვა ირანელი მოგზაურებისგან განსხვავებით, რეზა ალი დივანბეგი ზუსტ თარიღებს არ ასახელებს და მოგზაურობის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენაში, ძირითადად, წიგნში აღწერილი ცნობილი ისტორიული მოვლენები გვეხმარება. თბილისში ის იმყოფებოდა 1918 წლის აგვისტოში ან სექტემბრის პირველ ნახევარში, რადგან აზერბაიჯანის ხელისუფლების ორგანოდ ასახელებს „კასპიის ზღვის მმართველობას", რაც უნდა გულისხმობდეს ცენტროკასპიის დიქტატურას, რომელიც აზერბაიჯანს მართავდა 1918 წლის პირველი აგვისტოდან 15 სექტემბრამდე. რეზა ალი დივანბეგი დაკვირვებული და მიუკერძოებელი მთხრობელია. მისი მოგზაურობის წიგნი თუმცა ინფორმაციული თვალსაზრისით არსებით სიახლეს არ შეიცავს, მაგრამ ძალიან საინტერესოა, როგორც თვითმხილველის უშუალო შთაბეჭდილებები. ის ცოცხლად გვიჩვენებს თბილისის ცხოვრებას საქართველოს ახალი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ პერიოდში.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Safar-e mohājerat dar nokhostīn jang-e jahānī, negāresh-e Rezā ʻAlī Dīvān Bīgī, Tehran, 1972.

Khāterāt-e Dīvān Bīgī (Az sālhā-ye 1275 tā 1317 qamarī), be kūshesh-e Īraj Afshār va Rasūl Daryāgasht, Tehran, 1382/2003.

ლიტერატურა

Īraj Afshār, "Moqaddame", წიგნში: *Khāterāt-e Dīvān Bīgī (Az sālhā-ye 1275 tā 1317 qamarī)*, 3-11.

B.G. Fragner, *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, 73.

მოგზაურობა პირველი მსოფლიო ომის დროს (1916-1918)

სახიფათო გარემო (1918)

იმ დროს კავკასიის სხვადასხვა რეგიონში ასეთი პოლიტიკური და სოციალური ვითარება იყო:

რუსეთში რევოლუციის დაწყებისა და ბოლშევიკებსა და გერმანიას შორის ზავის დადების შემდეგ ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხი აჯანყდა. მათმა წარმომადგენლებმა თბილისში სახალხო საბჭო და ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა ჩამოაყალიბეს. მიუხედავად ბრესტ-ლიტოვსკის (Brest Lī Tovsk) ხელშეკრულებისა ყარსის *ვილაიეთის* გადაცემის შესახებ, მისი წევრები თურქეთში არ წავიდნენ. მათ უნდოდათ, კავკასიის საზღვრები ოსმალეთის აგრესიისგან დაეცვათ, მაგრამ ამ სამი ხალხის წინამძღოლების უთანხმოებისა და აზერბაიჯანელებისა და სომხების დაპირისპირების შედეგად ეს კავშირი მალევე დაიშალა და თითოეულმა დამოუკიდებელი მმართველობა გამოაცხადა.

ქართველები გერმანელებს დაუკავშირდნენ და გერმანიის მთავრობამ თბილისში სამხედრო რაზმი ჩააყენა, რითიც საქართველოში შედარებით წესრიგი დამყარდა.

აზერბაიჯანელმა რევოლუციონერებმა მას შემდეგ, რაც ბაქო დაკარგეს, ქალაქი განჯა ე. წ. კავკასიის აზერბაიჯანის ცენტრად გამოაცხადეს და ოსმალეთის მთავრობას დახმარება სთხოვეს. თურქული რაზმი ნური ფაშას მეთაურობით მათ დასახმარებლად თავრიზი-ჯულფას გზიდან შემოვიდა.

ამასობაში, სომხების წინამძღოლმა, რომელიც დამოუკიდებლად იბრძოდა, დაშნაკების თავგანწირვის მიუხედავად ძალაუფლება დაკარგა. ოსმალებმა სომხეთის დასავლეთი ნაწილი მიიერთეს და მოწინააღმდეგეს მოსთხოვეს, აღმოსავლეთი სომხეთიც აზერბაიჯანისათვის გადაეცა.

ქალაქი ბაქო ნავთობის დიდი მარაგის გამო როგორც კავკასიის, ისე სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა და გამუდმებით ხელიდან ხელში გადადიოდა. მოსკოველ რევოლუციონერებს არ უნდოდათ, რომ ბაქო ხელიდან გაეშვათ, ამიტომ ათასგვარი მაქინაციებით იქ კომუნისტური მმართველობა დაამყარეს. რამდენიმე ათასი შეიარაღებული სომეხი,

რომელიც მეფის რუსეთის ჯარში მსახურობდა და სომხეთში ვერ მიდიოდა, შეაგულიანეს, რომ ბაქოში წასულიყვნენ და იქ გამაგრებულიყვნენ, სათავეში კი ერთ-ერთი სომეხი ლიდერი სტეფანე შაუმიანი (Estepān Shaūmīyān) ჩაუყენეს.

ამ კაცმა, რომელიც ლენინის (Lenīn) ძმადნაფიცი იყო, ბაქოს ბოლშევიკური მთავრობა ჩამოაყალიბა, შაქი და შირვანი დაიმორჩილა და ოცდაათ ათასზე მეტი მუსლიმი მოსახლეობა გაწყვიტა. ამ ნაბიჯით შაუმიანსა და მის მიმდევრებს უნდოდათ, რომ რეგიონში სომეხი მოსახლეობის პოზიციები გაემაგრებინათ.

ამასობაში გერმანელებმა ბაქოს ხელში ჩასაგდებად მოსკოველ ლიდერებთან ფარული შეთანხმება დადეს, რომ შაუმიანის დასახმარებლად ასტრახანის მხრიდან ძალებს გაგზავნიდნენ, რათა ის ოსმალეთის თავდასხმისგან დაეცვათ, თუნდაც ამ საქციელით თურქეთის მოკავშირეებს დაპირისპირებოდნენ.

მაგრამ სწორედ ამ დროს ბაქოს რევოლუციონერებმა (*მენშევიკებმა*) ანუ სოციალისტებმა სისხლისმსმელ *ბოლშევიკებთან* [ბრძოლაში] უპირატესობას მიაღწიეს, გადატრიალება მოაწყვეს და ენზელის პორტში მდგარ ინგლისელ ჯარისკაცებს დახმარება სთხოვეს, რათა მათ გერმანელებისა და ოსმალების ბაქოში შესვლა არ დაეშვათ. ამჯერად შაუმიანსა და მის მეგობრებს მოუწიათ ბაქოდან გაქცევა და ქალაქში ე. წ. „კასპიის ზღვის მმართველობა“ დამყარდა, რომელსაც ინგლისი მფარველობდა.

მე სწორედ ამ არეულობის დროს ჩავედი თბილისში და *ჰოტელ* „ორიანტში“[656] (Ūryān) გავჩერდი. გარეგნულად ძალიან კარგი სასტუმრო იყო. 24 საათის უჭმელი ვიყავი, ამიტომ მსახურს ვკითხე, რესტორანი ჰქონდათ თუ არა და პირველ სართულზე მიმასწავლა.

ხელ-პირი დავიბანე და ქვევით ჩავედი. დიდი და კეთილმოწყობილი რესტორანი სრულიად ცარიელი იყო. მაგიდას მივუჯექი და დაველოდე, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია. ერთ კუთხეში ხის პატარა ჯიხურში შავებში ჩაცმული ქალი რვეულსა და საბუღალტრო წიგნაკს ჩაჰკირკიტებდა. მივუბრუნდი და რუსულად ორი სიტყვა ვუთხარი: „სადილი არა გაქვთ (*აბედ ნეტ*)?“ გაკვირვებულმა მიპასუხა: „ნაშუადღევს 4 საათზე იქნება“.

გაირკვა, რომ აქ ასეთი წესი იყო. როცა დაინახა, რომ ახალი მოსული ვიყავი და აქაური წესები არ ვიცოდი, დამპირდა, რომ შესაძლოა მანამდეც მოემზადებინათ. ერბო-კვერცხი (*ომლეტი*) მოვითხოვე. ოფიციანტს დაუძახა და შეუკვეთა. *ომლეტის* მომზადება ოთხ საათამდე გაგრძელდა. ამასობაში საშინლად მომწყურდა და *გარსონს* ვთხოვე, რომ ერთი ჭიქა წყალი მაინც მოეტანა. მან ისეთი გაბრაზებით შემომხედა, რომ მადა დამეკარგა. მიზეზს ვერ მივხვდი.

მერე იმ უგემურ საჭმელში 10000 ქართული მანეთი მომთხოვეს. მე ამდენი ფული არ მქონდა. ბუღალტერი ქალის მითითებით 2000 მეფის (tzārī) მანეთი გადავიხადე, რაც იმ დროს ირანულ ფულზე დაახლოებით 20 თუმანი იყო (მეფის რუსეთის უგარანტიო ბანკნოტის ფასი და კრედიტუნარიანობა გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ახალი რესპუბლიკების ახლადგამოშვებული ბანკნოტების ფასი).

---

[656] იხ. შენიშვნა 561.

ისე, როგორც სხვაგან არის მიღებული, ოფიციანტს გასამრჯელოდ 100 მანეთი ქაღალდის ფული მივეცი. გაბრაზდა და მაგიდაზე დააგდო. ვიფიქრე, ეცოტავა-მეთქი და კიდევ ერთი ასმანეთიანი დავუმატე. კინაღამ თავში ჩამარტყა.

ისევ ის ბუღალტერი ქალი დამეხმარა და ამიხსნა, რომ რადგან თბილისში სოციალისტური მმართველობა იყო, ოფიციანტისთვის ძველებურად *გარსონის* დაძახება აღარ შეიძლებოდა, ამხანაგი *(თავარეშ)* უნდა გეწოდებინა. თანაც, თურმე, ოფიციანტის გასამრჯელო ანგარიშში შედიოდა და მისთვის ზედმეტი თანხის მიცემა შეურაცხმყოფელი იყო...

აქ მინდა სხვა საკითხს შევეხო: პირველ მსოფლიო ომამდე კავკასიაში და, განსაკუთრებით, ბაქოში 200-300 ათასზე მეტი (მათი რაოდენობა სეზონურად იცვლებოდა) ირანის ქვეშევრდომი, ძირითადად, აზერბაიჯანის და გილანის მცხოვრები იყო. ისინი ვაჭრობასა და ხელოსნობას ეწეოდნენ. კავკასიელები მათ და, საერთოდ, ირანის მთელ მოსახლეობას როგორც თანამემამულეებს, ისე ექცეოდნენ.

ირანელი მუშები ძველმოდურები და შრომისმოყვარეები იყვნენ და კარგ გასამრჯელოს იღებდნენ, განსაკუთრებით ისინი, ვინც ბაქოს ნავთობის საბადოებზე მუშაობდა. ქალაქებსა და დაბებში ირანელი ხელოსანიც ძალიან ფასობდა და ისინიც კარგად ცხოვრობდნენ. მათ უმრავლესობას ორზე მეტი საამქრო ჰქონდა და შეძლებულად ითვლებოდა. ამიტომ ირანის ხელისუფლებამ თავის ქვეშევრდომებზე ზედამხედველობის განსახორციელებლად კავკასიის ზოგიერთ ქალაქში საკონსულო გახსნა. თბილისის მთავარ კონსულს, რომელსაც გენერალურ კონსულს ეძახდნენ, ყველა მათგანი ემორჩილებოდა.

კონსულებს კარგი შემოსავალი ჰქონდათ. ისინი ირანის ქვეშევრდომებისგან *პასპორტის* (ასე ეძახიან ამ რეგიონში *თეზქერეს*), ვიზის, მარკების და ა.შ. გაცემაში უზარმაზარ გადასახადს იღებდნენ. ადმინისტრაციული დანახარჯებისა და ხელფასების თანხის გამოკლებით მთელი ფული თეირანში საგარეო საქმეთა სამინისტროში იგზავნებოდა.

ამგვარად, იმ დროს თბილისში ირანის გენერალურ კონსულს განსაკუთრებული ძალაუფლება და ავტორიტეტი ჰქონდა. ამიტომ უცხო ქვეყანაში მოხვედრილმა გადავწყვიტე, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცნობდი, პირველ რიგში ის მომენახულებინა, რათა მისგან ახალი ამბები გამეგო. *ჰოტელის* შვეიცარმა *დროშკა* მოიყვანა და მეეტლეს ირანის საკონსულოს მისამართი უთხრა.

გავიარეთ ხალხით სავსე ქუჩები, სადაც შიგადაშიგ *ელექტროტრამვაიც* დადიოდა და მეეტლემ ერთი მაღალი შენობის წინ ჩამომსვა. ჩემი ყურადღება მიიპყრო ახოვანმა, მხარბეჭიანმა, გრძელწვერა შვეიცარმა, რომელსაც ძველი რუსული ტრადიციით კაზაკის ტანსაცმელი ეცვა. ვუთხარი:

– გენერალური კონსულის ნახვა მინდა.

– არ ბრძანდება.

– მისი მოადგილე?

– აჰმად ხან ამინ დარბარზე ამბობ? კანცელარიაშია.

ამ კაცს ვიცნობდი. ჩემზე წინ სწავლობდა დიპლომატიურ სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე საგარეო საქმეთა სამინისტრომ თბილისის საკონსულოს თანამშრომლად დანიშნა. მასთან და მის კოლეგა ყოლამ რეზა ნურზადთან შეხ-

ვედრამ ძალიან გამახარა, მაგრამ მათ ჩემი დანახვა გაუკვირდათ, რადგან არ იცოდნენ ამ შუა რევოლუციაში თბილისში საიდან და რისთვის ჩამოვედი.

მათი თქმით, იმ დროს თბილისში ირანის გენერალური კონსული ალი მოჰამად ხან შარიფ ად-დოულე იყო, რომელიც მიუხედავად თეირანთან გაწყვეტილი ურთიერთობებისა, ირანის მოქალაქეებზე ზრუნვას ამ არეულობაშიც ახერხებდა. საქართველოს წინა მეფისნაცვლის ჩინოვნიკებიც კი, რომელთა სიცოცხლეს და ქონებას მღელვარების დროს საფრთხე ემუქრებოდა, თავს ირანის საკონსულოს აფარებდნენ. მისი ნებართვით, რამდენიმე გავლენიან პირს თავისი სახლის კარზე ირანის დროშა ეკიდა, რათა რევოლუციონერების თავდასხმის საფრთხე აერიდებინა.

ამის გამო შარიფ ად-დოულე თბილისში ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ მას საქართველოს სახელმწიფო მოხელეებიც კი ანგარიშს უწევდნენ.

მაგრამ საკონსულოს ერთი თანამშრომელი, სახელად აბდ ალ-ჰოსეინ ხანი, რომელიც სამუშაო სტაჟის გარეშე, საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით საპასპორტო ხაზინის უფროსად იყო დანიშნული, თავისი მდგომარეობით სარგებლობდა. მან ცოლად მოიყვანა ერევნელი არისტოკრატი ქალიშვილი, ქორწილის ხარჯები სახელმწიფო ქონებიდან დაფარა, ქალაქში თავისთვის მდიდრული ბინა შეიძინა, ქალაქგარეთ კი კავკასიის წინა მეფისნაცვლის დიდი მთავარი ნიკოლოზის (Nīkolā) სააგარაკო სასახლე გასართობ ადგილად მოაწყო. აბდ ალ-ჰოსეინ ხანმა ქართველი განდევნილი ბატონიშვილები თავის გარშემო შემოიკრიბა და ყოველლამე გრანდიოზულ ქეიფებსა და *ყომარის* თამაშს მართავდა, რაც ხშირად აყალმაყალსა და თოფის სროლაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ეს აღვირახსნილი *ხაზინადარი* თეირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მფარველობით სარგებლობდა, სახელმწიფო ფულს თავად განკარგავდა და საკონსულოში რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. მისი უკანონო ქმედებები საქართველოს სოციალისტური მთავრობის კომისრების პროტესტს იწვევდა და ირანის კონსულის რეპუტაციას ზიანს აყენებდა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, უწესრიგობისა და რევოლუციის კვალი დღედაღამ თბილისის ყველა კუთხეში ჩანდა. სახალხო ანუ წითელი გვარდიის ჯარისკაცები, რომლებიც რესპუბლიკის მთავრობის კანონების დამცველები და შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ, ხშირად თვითონ არღვევდნენ კანონს და საოცარ საქმეებს ჩადიოდნენ, ანუ წესრიგს არც ცნობდნენ და არც იცავდნენ.

მაგალითად, ერთხელ სატელეფონო პუნქტის კომისარმა საკონსულოს უფროსს შეატყობინა, რომ სახალხო გვარდიის ჯარისკაცებისა და რევოლუციის მოწინააღმდეგე ახალგაზრდების შეჯახებას ერთი ირანელი სტუდენტი ემსხვერპლა და სთხოვა, ვინმე გაეგზავნათ, რომ მისთვის გვამი გადაეცათ.

აჰმად ამინ დარბარი შემთხვევის ადგილზე წავიდა და დაბრუნებულმა რაც ნახა, გვიამბო: „ხალხით სავსე ქუჩაში მოკლულები მაჩვენეს და მითხრეს, რომ ჩემი თანამემამულე მეპოვნა. მოკლულების საშინელი იერის, გახრწნის სუნისა და სისხლის ნიაღვრისგან კანკალი დამაწყებინა. კომისრის მოხელეები გვამებს ატრიალებდნენ. უცებ თვალი მოვკარი ბერლინში ჩვენი საელჩოს ატაშეს. ვიყვირე, ეს ახალგაზრდა ირანის საელჩოს თანამშრომელია-მეთქი. ამ არამზადებმა კი მხრები გულგრილად აიჩეჩეს".

როგორც გაირკვა, იმ უბედური ახალგაზრდისა და მისი მეგობრების დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ ღამით მთვრალებმა საპატრულო რაზმის თანამშრომლებს ჩაუარეს და გაეხუმრნენ. წითელი გვარდიის ჯარისკაცებმა მათ სროლა დაუწყეს (რუსულენოვანი რევოლუციონერების გამოთქმით, *სამასუდი* მოუწყვეს) ანუ თვითონ გაასამართლეს და დასაჯეს.

მოკლული ირანელი (მისი სახელი დამავიწყდა) ადრე თბილისში სწავლობდა, ახლა კი აქ გავლით იყო და ბერლინში გამგზავრებას ელოდა...

თბილისის საზოგადოების დასახასიათებლად კიდევ რამდენიმე ინციდენტს აღვწერ:

ერთხელ, რამდენიმე საათი თბილისელი მუსლიმების უბანში (შეითან-ბაზარში) გავისეირნე და იქიდან ქალაქის ცენტრალურ მოედანზე გავედი. მინდოდა, *ელექტროტრამვაიში* ავსულიყავი. გაჩერებაზე უამრავი ხალხი შეკრებილიყო და *ტრამვაის* ელოდა. მათში ერთი წითელი გვარდიის ჯარისკაციც ერია. როცა ვაგონი ჩამოდგა, ყველანი კარებს მიცვივდნენ, რომ შიგნით შესულიყვნენ. ამ ჩოჩქოლში ჩემ თვალწინ ერთ მოხუც კაცს თავში მძიმე კომბალი მოხვდა. საწყალმა დაიყვირა და თავ-პირგასისხლიანებული მიწაზე დაეცა! ხალხი აქეთ-იქით მიმოიფანტა.

თურმე, ეს უძლური მოხუცი ტრამვაიში ასვლის დროს შემთხვევით იმ პოლიციელს დაეჯახა, რის გამოც ამ უკანასკნელმა იარაღის კონდახი ისე ჩასცხო თავში, რომ წააქცია!

მეორე შემთხვევა: ერთ დღეს ერთმა კაცმა, დაუდ ხან გორჯიმ (Dā'ūd Khān Gorjī), რომელიც ქართველი ბატონიშვილების (*ენიაზეტის*) ნათესავი იყო და



თბილისი, გოლოვინის პროსპექტი. 1900-იანი წლების ფოტოსურათი.

ირანსა და ირანელებს დიდ პატივს სცემდა, შარიფ ად-დოულე, ამინ დარბარი და მე მიხეილის (Mīkhāyylovskī) ქუჩაზე თავის სახლში სადილად დაგვპატიჟა. მან თავისი ორი ლამაზი ქალიშვილიდან ერთი ოფიცერზე გაათხოვა და ახლა უფროსი ქალიშვილის საქორწილო ზეიმის საბაბით უნდოდა უმცროსი ჩემთვის გაეცნო.

სტუმრად წავედით საკონსულოს უფროსის მანქანით, რომელზეც ირანის დროშა იყო აღმართული. ახალმა სიძემ და ქალბატონებმა არა მარტო ჩვენ მიგვიღეს ღირსეულად, არამედ უნიფორმაში გამოწყობილ მძღოლსაც ერთ-ერთ ოთახში საჭმელ-სასმელი მიართვეს და გაუმასპინძლდნენ.

იმ დიდებულ ოჯახში რამდენიმე საათი სასიამოვნო საუბარში გავატარეთ და წასასვლელად მოვემზადეთ. ოჯახის პატრონმა და მისმა სიძემ ქუჩამდე გამოგვაცილეს. დავინახეთ, რომ ჩვენს მანქანასთან სახალხო გვარდიის სამი მთვრალი თანამშრომელი იდგა და მანქანაში ჩაჯდომას ლამობდა. ვკითხეთ, რა უნდოდათ. გვითხრეს: „მანქანას და *შოფერს* სამი-ოთხი საათი ქუჩაში რატომ ალოდინებთ?"

თურმე, გადასასვლელზე ტრანსპორტის გაჩერება აკრძალული არ იყო, მაგრამ მათ მძღოლი შეეცოდათ, რომელიც რამდენიმე საათი ქუჩაში დავაყენეთ.

შარიფ ად-დოულემ რუსულად უთხრა: „ეს მანქანა ირანის საკონსულოს უფროსს ეკუთვნის, ხოლო რაც შეეხება მძღოლს, ამ სახლში ისიც იყო დაპატიჟებული".

შარიანმა გვარდიელებმა უპასუხეს: „მიუხედავად ამისა, სოციალისტურ სახელმწიფოში კაპიტალისტური ქცევა და ქედმაღლობა დაუშვებელია. წავიდეთ და ამ გაუგებრობის მიზეზი *კომისრის* თანაშემწეს აუხსენით".

დაუდ ხანმა მათ უთხრა: „გენერალური კონსულის დაკავება არ შეიძლება". (შარიფ ად-დოულეს ქუდზე ყოველთვის ლომის და მზის გერბი ეკეთა) მაგრამ მისი ნათქვამი არაფრად ჩააგდეს.

შარიფ ად-დოულე გაბრაზდა და მძღოლს უბრძანა, მანქანა დაექოქა და წასულიყო. გვარდიელებმა იარაღი მოგვიშვირეს!

ბატონი სიძე, რომელსაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში კაპიტნის ჩინი ჰქონდა, შუაში ჩადგა. მუშტის დარტყმით მოიშორეს, მანქანას შეახტნენ და ძალით წაგვიყვანეს *კომისარიატში.*

როცა იქაურმა უფროსებმა ინციდენტის შესახებ შეიტყვეს, აბეზარი გვარდიელები უფრო მნიშვნელოვან დავალებაზე გააგზავნეს, რომ ჩვენთვის თავი დაენებებინათ. აშკარად, მათი კომისრებსაც ეშინოდათ...

ამასობაში, მიუხედავად სოციალისტური წყობილებისა, მდიდარი ბურჟუების დროსტარებისთვის თბილისში უამრავი კლუბი და გასართობი დაწესებულება მუშაობს.

ერთ საღამოს აპმად ამინ დარბარმა მითხრა: „მინდა, სადილად დაგპატიჟოთ ერთ რესტორანში, რომლის ბადალიც თბილისში არ არის". მან შარიფ ად-დოულე, ნურზადი და მე წაგვიყვანა ოპერის შენობის უკან ერთ ლამაზ ბაღში, სადაც ხეების ჩრდილში ჩამწკრივებულ მაგიდებთან ბურჟუაზია შეკრებილიყო და ქეიფობდა.

ფერადი ნათურებით განათებულ ბაღში გულშიჩამწვდომი სასიამოვნო მუსიკა ჟღერდა. გრძელ კაბებში გამოწყობილი ლამაზი მოკრძალებული ქალები

სტუმრებს მხიარულად ემსახურებოდნენ, თუმცა აშკარად ეტყობოდათ, რომ ეს მათი პროფესია არ იყო.

იმ რესტორნის მეპატრონეები მეფის რუსეთის არისტოკრატების, მინისტრების და გენერლების ოჯახებიდან გამოსული ქალები იყვნენ. მათ რევოლუციის დროს ყველაფერი დაკარგეს, მოსკოვსა და პეტერბურგში ცხოვრება ვეღარ შეძლეს და თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად დიდი გაჭირვებით ჩამოაღწიეს თბილისში, სადაც ეს კაფე-რესტორანი გახსნეს, რომ როგორმე თავი ერჩინათ.

მოულოდნელად, დავინახე გერმანიის ელჩი გრაფი ფონ შულენბურგი[657] (Geräf Fon Shülenbürg), რომელიც საქართველოს რესპუბლიკის დაარსების შემდეგ აქ ერთ სამხედრო რაზმთან ერთად ჩამოსულიყო. აჰმად ხანმა მითხრა, რომ ის ამ გაჭირვებულ ემიგრანტ ქალებს მფარველობდა.

გრაფი შულენბურგი ომის დამთავრების შემდეგ თეირანში გერმანიის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა და რამდენიმე წელი ირანში გაატარა. იქ ის დაუახლოვდა ერთ ცნობილ რუს მხატვარს მაკს (Mäk)[658], რომელიც რუსეთიდან იყო გამოქცეული. მაკმა ბოლშევიკურ რევოლუციაში ყველაფერი, თავისი ერთადერთი ლამაზი ცოლიც კი დაკარგა და რუსეთის ჩრდილოეთიდან ხორასანის გავლით ფეხით ჩავიდა თეირანში, სადაც რაღაც პერიოდი ცხოვრობდა.

ერთ დღეს გრაფმა შულენბურგმა წარსული გაიხსენა და მე და მაკს გვიამბო: „როცა კომუნისტებმა თბილისი აიღეს, ის უბედური ქალები, რომლებიც კაფე-რესტორანში მუშაობდნენ, ისევ გაიქცნენ და სადღაც გაუჩინარდნენ...“

შარიფ ად-დოულე თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი გახლდათ და საქმეშიც წესიერებითა და ენერგიულობით გამოირჩეოდა. გარდა ამისა, ის ძალიან თავაზიანი კაცი იყო და ყველას ალერსიანად ექცეოდა. მას ადრე არ ვიცნობდი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველაფერს აკეთებდა, რომ კარგი დრო გამეტარებინა. შემომთავაზა, რომ ომის დამთავრებამდე და ირანის გზის გახსნამდე თბილისში დავრჩენილიყავი, მაგრამ მე ჩემს ოჯახზე ვღელავდი. ხმები მომდიოდა, რომ ირანს მოუსავლიანობა, შიმშილი, სიძვირე და გრიპის ვირუსი დაატყდა თავს და ხალხი საშინელ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. ამიტომ ყველანაირად ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ჩქარა გავმგზავრებულიყავი თეირანში.

---

657 ვერნერ ფონ დერ შულენბურგი (1875-1944) იყო გერმანელი დიპლომატი, გერმანიის ელჩი ირანსა და რუსეთში.

658 მაკი არის რუსი ფერმწერისა და კარიკატურისტის პაველ ივანოვის (1891-1967) ფსევდონიმი. 1920-30 წლებში ის ირანში ცხოვრობდა და შაჰის კარის მხატვარი იყო. მას ეკუთვნის რეზა შაჰის დიდი პორტრეტი, რომელიც გოლესთანის სასახლეში ეკიდა.

აჰმად ხან მალექ სასანი და მისი მოგონებები

ხან მალექ სასანი.

ირანელი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი და მკვლევარი აჰმად ხან მალექ სასანი დაიბადა 1881 წელს თეირანში მირზა მოჰამად ჰოსეინ ფარაჰანის ოჯახში. პირველადი განათლება მან თავის მშობლიურ ქალაქში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო შვეიცარიაში, საიდანაც 1912 წელს დაბრუნდა და მიწვეულ იქნა ირანის შაჰის აჰმად შაჰ ყაჯარის (1909-1925) კარზე ერთ-ერთ მასწავლებლად. სწორედ ამ დროს ებოძა მას ლაყაბი „მრჰთაშამ ას-სოლთანი". 1918 წლიდან იწყება აჰმად ხან მალექ სასანის დიპლომატიური კარიერა: თითქმის ათი წლის მანძილზე იგი ასრულებდა სხვადასხვა დიპლომატიურ მისიებს თურქეთში, საფრანგეთში, შვეიცარიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში. ყაჯართა დინასტიის დაცემის შემდეგ იგი გადადგა, მაგრამ მალე კვლავ მიწვეულ იქნა სახელმწიფო სამსახურში რეზა შაჰ ფეჰლევის (1925-1941) მიერ, რომლის ზეობის წლებშიც იგი რამდენიმე მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. 1934 წელს აჰმად ხან მალექ სასანი ჩამოშორდა სახელმწიფო სამსახურს და მთლიანად გადაერთო ლიტერატურულ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე. მის კალამს ეკუთვნის ლექსები და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებები (წერდა თახალუსით „სასანი"), საინტერესო მონოგრაფიები ყაჯართა პერიოდის ირანის ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, აგრეთვე მემუარული შინაარსის თხზულებები. გარდაიცვალა იგი 1967 წელს საფრანგეთში, საიდანაც მისი ცხედარი გადმოასვენეს და დაკრძალეს თეირანში. ქვემოთ წარმოდგენილია ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე მცირე ფრაგმენტის თარგმანი აჰმად ხან მალექ სასანის წიგნიდან „იადბუდჰა-იე სეფარათ-ე ესთანბულ" (პირველად გამოქვეყნდა 1966 წელს; ჩვენ ვსარგებლობთ 2007 წლის გამოცემით), რომელშიც თავმოყრილია მისი მოგონებები სტამბოლში ირანის საელჩოში მოღვაწეობის დროს განვითარებული მოვლენების შესახებ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Ahmad Khān Malek Sāsānī, *Yādbūdhā-ye sefārat-e Estānbūl*, Tehran, 1386/2007.

სტამბოლში ელჩობის მოგონებები
(1919)

1298 წლის ორდიბეჰეშთის თვეში (1919 წლის აპრილში) ვოსუყ ად-დოულემ სხვადასხვა მიზეზთა გამო სამეფო კარიდან დამითხოვა და სამუშაოდ სტამბოლში გამაგზავნა. ჩემი დანიშვნის ბრძანებას ხელი ტახტის მემკვიდრე-უფლისწულმა მოჰამად ჰასან მირზამ მოაწერა, რადგან აწ განსვენებული აჰმად შაჰი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ხელშეკრულებებს ხელს არასოდეს აწერდა. ცოტა ხანში გილანის გზა ჯანგალიელებმა[659] დაიკავეს. კავკასია ინგლისელებს ჰყავდათ ოკუპირებული, მაგრამ სტამბოლში ჩასასვლელი სხვა გზა არ არსებობდა. ინგლისის საელჩომ კავკასიის ვიზა მომცა, მაგრამ მენჯილის გზა ფაჰლავის პორტამდე[660] ჩაკეტილი იყო.

გავიკითხე და აღმოჩნდა, რომ ჩემი ძველი მეგობარი მირზა ქუჩექ ხანი[661] მანქანით ყაზვინში მიდიოდა. მას დავემგზავრე და ყაზვინში ფოსტის უფროსის სახლში დავბინავდი...

ორი-სამი დღის შემდეგ მირზას მსახური ჩამოვიდა და თავისი ბატონისგან მოკითხვა და გამგზავრების ნებართვა გადმომცა. გზას გავუდექი. ინგლისის საელჩოს სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი სტოქსი, რომელთანაც თეირანში ცხენბურთს ვთამაშობდი, ბაქოსა და მთელი კავკასიის გამგებელი გამხდარიყო. რამდენიმე დღე თბილისში დავრჩი და ირანის ქვეშევრდომები მოვინახულე. ბათუმში ინგლისის სამხედრო უწყებამ 1919 წლის 30 ივნისს (1298 წლის 8 თირს) სამგზავრო პასპორტი დამიმოწმა, რათა შევსულიყავი სტამბოლში, სადაც ანტანტის ჯარები იდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ შავი ზღვა ჯერ კიდევ განნაღმული არ იყო და ყოველ წამს აფეთქება გვემუქრებოდა, უნგრული გემით „კირალი" გავემგზავრეთ და 1299 წლის 17 თირს სტამბოლში ჩავედით.

* _ *

[1919 წლის 20 აგვისტოს აჰმად შაჰი სტამბოლის გავლით ევროპაში გაემგზავრა. აჰმად ხან მალექ სასანის მოგონებებში შაჰის სტამბოლში ჩასვლა დაწვრილებით არის აღწერილი და დართული აქვს ამ მოგზაურობის ამსახველი ფოტოებიც. აქედან ორი ფოტო თბილისშია გადაღებული, რაზეც მათზე ავტორისეული მინაწერები მიუთითებს – მ.ა.]

---

659 ჯანგალიელები (სპ. სიტყვიდან jangal – ტყე) იყვნენ წევრები ირანის ანტიმონარქისტული ორგანიზაციისა, რომელიც ძირითადად გილანის ტყეებში მოქმედებდა.

660 ფაჰლავი ენზელის ძველი სახელი იყო.

661 მირზა ქუჩექ ხანი (1881-1921) ჯანგალიელთა ორგანიზაციის დამაარსებელი და მეთაური იყო.



„1919 წელს ცნობილი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ აწ განსვენებული აჰმად შაჰი კავკასიისა და სტამბოლის გზით ლონდონში გაემგზავრა. როდესაც [მისი უდიდებულესობა] ბაქოდან ბათუმისკენ მიემართებოდა, კავკასია ჯერ კიდევ ინგლისელებს ჰქონდათ დაპყრობილი, ამიტომ თბილისის რკინიგზის სადგურში ირანის ფადიშაჰს შოტლანდიური გვარდია შეეგება".

„აჰმად შაჰის ევროპაში მოგზაურობის დროს კავკასია ინგლისის ჯარს ჰქონდა დაპყრობილი. [ფოტოზე ასახულია] შაჰი თბილისის რკინიგზის სადგურში. ფოტოზე ჩანან ნოსრათ ას-სალთანე, ნოსრათ ად-დოულე, შეჰაბ ად-დოულე, მოჰამად ჰოსეინ მირზა და ინგლისელი პოლკოვნიკი ვიგჰამი (Vīghām)".

ზია' ად-დინ სადეყ თაბათაბაი და მისი მოგონებები

ზია' ად-დინ სადეყ თაბათაბაი დაიბადა 1911 წელს სახელმწიფო მოხელის აყა სეიდ მოჰამად სადეყ თაბათაბაის ოჯახში. აყა სეიდ მოჰამადი ირანის მეჯლისის I, II და III მოწვევის დეპუტატი, მეჯლისის გაზეთის რედაქტორი და ზომიერთა პარტიის თავმჯდომარე იყო. ზია' ად-დინ სადეყი დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ საფრანგეთში გაემგზავრა და უმაღლესი სასწავლებელი ქიმიისა და ფარმაცევტიკის განხრით დაასრულა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ის სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობდა.

ზია' ად-დინ სადეყის მოგონებების წიგნი 1924-1929 წლებს მოიცავს, როცა მამასთან, იმჟამად თურქეთში ირანის სრულუფლებიან ელჩთან ერთად სტამბოლში გაემგზავრა და გზად საქართველოც გაიარა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Doctor Zīyā' ad-Dīn Tabātabā'ī, "Khāterāti az safar-e Torkīye", *Vahīd*, No.234-235, Tehran, 1357/1978, 66-68.

ლიტერატურა

Mehdī Bāmdād, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 2, Tehran, 326.

თურქეთში მოგზაურობის მოგონებები (1924)

თქვენი მონა-მორჩილის მოგონებები ეხება 1924-1929 წლებში თურქეთში მოგზაურობას.

1924 წელს მე, დედაჩემი, ჩემი ორი და, რამდენიმე თვის დისშვილი, მოსამსახურეები, საელჩოს გენერალური კონსული დოქთორ სეიდ ალ-მოლქ მარზბანი მსახურებითურთ სტამბოლში გავყევით მამაჩემს აყა სეიდ მოჰამად სადეყ თაბათაბაის, რომელიც პრემიერ-მინისტრმა თურქეთში სრულუფლებიან ელჩად დანიშნა. იმ დროს მე ცამეტი წლის ვიყავი...

ბაქოში სამი დღე დავყავით და მატარებლით თბილისისკენ გავემგზავრეთ. როგორც მახსოვს, გზაში ერთი ღამე გავატარეთ. თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომლები დაგვხვდნენ და საკონსულოში წაგვიყვანეს. გვითხრეს,

რომ თბილისსა და ბათუმს შორის *მენშევიკებისა* (menshevik) და *ბოლშევიკების* (bolshevik) ბრძოლა მიდიოდა და მის დასრულებას უნდა დაელოდებოდით. თბილისში დაახლოებით რვა დღე დავრჩით. ღამღამობით *ბოლშევიკებს მენშევიკი* ტყვეები სატვირთო მანქანებით მოჰყავდათ და დაუყოვნებლივ ხვრეტდნენ. მოკლედ, რვა დღის მერე ისევ მატარებელში ჩავსხედით და გავემგზავრეთ. რამდენიმე საათში მატარებელი ერთ სადგურში გაჩერდა. რუსმა ოფიცერმა, რომელიც თან გვახლდა და სპარსული კარგად იცოდა, გვითხრა, რომ შემდეგ სადგურში ბრძოლა მიდიოდა და მის დასრულებამდე უნდა მოგვეცადა. რვასაათიანი შეფერხების შემდეგ გზა გაიხსნა და მატარებელი დაიძრა.

მოკლედ, მეორე დღეს ჩავედით ბათუმში, რომელიც შავი ზღვის პორტია. იქაც ირანის საკონსულოს თანამშრომლები დაგვხვდნენ და საკონსულოში წაგვიყვანეს. ბათუმში რამდენიმე დღე დავრჩით, სანამ სტამბოლში მიმავალი იტალიური [კომპანიის] გემი მოვიდოდა. ერთ დღეს გვითხრეს, რომ ზღვის პირას ძალიან ლამაზი ბულვარი იყო, რომელსაც ასწლოვანი მაგნოლიის ხეები ამშვენებდა. ყველანი სასეირნოდ წავედით. ცოტა ხანი ფეხით ვიარეთ და მივედით ულამაზეს ბულვარში, რომლის ორსავე მხარეს თეთრყვავილებიანი მაგნოლიის ხეები ჩამწკრივებულიყო.

ამასობაში ზღვის ნაპირისკენ გავიხედე და გასაოცარი სანახაობა დავინახე: ხუთასამდე კაცი და ქალი ტანსაცმლის გარეშე ზღვაში ბანაობდა. ჩვენი ქალები და ასაკოვანი კაცები სირცხვილით იქიდან გაიქცნენ და ბულვარს მოშორდნენ, მე კი ამ სანახაობას გაოგნებული ვუყურებდი. დავინახე, რომ ერთი ძალიან სოლიდური ქალბატონი ჩემგან ოთხ-ხუთ მეტრში გაჩერდა, სრულიად გაშიშვლდა და ზღვაში შევიდა. უამრავ ქალსა და კაცს ცხელ ქვიშაზე შიშველს ეძინა და მხოლოდ სახეს იფარავდა ცხირსახოცით, რათა მცხუნვარე მზისგან არ შეწუხებულიყო.

სახლში რომ დავბრუნდით, კონსულმა გვითხრა, რომ შიშველი ბანაობა აქ საძრახისად არ ითვლება. თურმე, აქაურების აზრით, სხეულის სხვადასხვა ნაწილი სახისა და ხელებისგან არაფრით განსხვავდება, რომ მუდმივად დაფარული გქონდეს და მზეს მოარიდო.

რამდენიმე დღის შემდეგ იტალიურ გემში ჩავსხედით და სტამბოლში გავემგზავრეთ.

ალი ჯავაჰერ ქალამი და მისი მოგონებები

ალი ჯავაჰერ ქალამი.

ალი ჯავაჰერ ქალამი XX საუკუნის ცნობილი ირანელი მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი იყო. ის დაიბადა თეირანში 1896 წელს. თეირანის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ალი ჯავაჰერი დიდხანს სახელმწიფო სამსახურში, მათ შორის განათლების სამინისტროშიც მუშაობდა. მან კარგად იცოდა არაბული, ინგლისური და რუსული ენები, ამიტომ ხშირად აგზავნიდნენ სხვადასხვა ქვეყანაში. შემდეგ მან ჟურნალისტობა დაიწყო და გაზეთ „ეთელა'ათის" („ცნობები") მთავარი რედაქტორი გახდა. ალი ჯავაჰერი ბევრს თარგმნიდა ინგლისურიდან და არაბულიდან. მისი თარგმანებიდან აღსანიშნავია ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმა" და ჯორჯი ზიდანის „ისლამური ცივილიზაციის ისტორია". ის გარდაიცვალა თეირანში 1976 წელს.

ალი ჯავაჰერ ქალამის „მოგონებები" გამოსცა მისმა შვილმა ფარიდ ჯავაჰერ ქალამმა, რომელიც მამის მსგავსად მწერალი და მთარგმნელი იყო. ქვემოთ მოტანილი ეპიზოდი ეხება ალი ჯავაჰერ ქალამის პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოში.

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

'Alī Javāher Kalām, "Dar madrase-ye Sheytān-Bāzār", *Yaghmā*, No.18, Tehran, 1328/1949, 367-368.

Khāterāt-e 'Alī Javāher Kalām, be kūshesh-e Farīd Javāher Kalām, Tehran, 1382/2003.

ლიტერატურა

Farīd Javāher Kalām, "Moqaddame", წიგნში: *Khāterāt-e 'Alī Javāher Kalām*, be kūshesh-e Farīd Javāher Kalām, Tehran, 1382/2003.

ალი ჯავაჰერ ქალამის მოგონებები

შეითან-ბაზრის სკოლაში
(1935)

14 წლის წინ განათლების სამინისტრომ (იმ დროს კულტურის სამინისტროს ნაცვლად განათლების სამინისტრო იყო) თბილისში გამაგზავნა, რათა ირანელების სკოლას ჩავდგომოდი სათავეში. იმან, ვინც კავკასიაში ნამყოფია, კარგად იცის, რომ მუსლიმების საცხოვრებელ უბანს ადგილობრივების ენაზე „შეითან-ბაზარი" ერქვა. ამ სახელის დარქმევის მიზეზი გაურკვეველია[662], მაგრამ ასეა თუ ისე, ჩემს სკოლასაც, რომელიც ამ უბანში მდებარეობდა, შეითან-ბაზრის სკოლას ეძახდნენ[663]. ეს სკოლა, ისე როგორც სხვა მსგავსი სკოლები, საზღვარგარეთ მცხოვრებმა შეძლებულმა ირანელებმა დააარსეს, მაგრამ რუსეთში რეჟიმის შეცვლისა და ქვეყნიდან მდიდარი ადამიანების განდევნის შემდეგ, სკოლების საქმე ცუდად წავიდა და ირანის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ მათ მმართველობაში ჩარეულიყო.

პირველი სირთულე, რომელსაც შეითან-ბაზრის სკოლის მოწაფეებთან შეხვედრისას წავაწყდი, სპარსული ენის უცოდინრობა იყო. სპარსული წიგნები მათთვის იგივე იყო, რაც უცხოენოვანი წიგნები. გარდა ამისა, რადგან კავკასიელი თურქები ლათინურ ანბანს ხმარობდნენ, ჩვენ შორის უკანასკნელი დამაკავშირებელი ძაფიც გაწყვეტილიყო. წარმოიდგინეთ, თბილისში მცხოვრები შვიდი წლის ირანელი ბავშვი, რომელიც შეითან-ბაზრის სკოლაში დადის, სპარსულად ერთი სიტყვაც კი არ იცის და რეგიონის განაწესის შესაბამისად, ლათინური დამწერლობის მქონე თურქული ანბანით სარგებლობს. მეორე სირთულე კი ის იყო, რომ მასწავლებლები არ გვყავდა. რადგან თეირანს საკმარისი რაოდენობის მასწავლებლების გამოგზავნა არ შეეძლო, ამიტომ იძულებული ვიყავით, გვესარგებლა ადგილობრივი მასწავლებლებით, რომლებმაც სპარსული ნაკლებად იცოდნენ. ისინი საცდელ გაკვეთილს ჩემსა და ერთი-ორი თეირანელი მასწავლებლის წინაშე ატარებდნენ და კლასში მერე შედიოდნენ. მახსოვს, ერთმა მასწავლებელმა ბერძნული სამყურას თურქული შესატყვისი მკითხა. რადგან არ ვიცოდი, მოსწავლეებს სურნელოვანი ბალახის ერთ-ერთ სახეობად გავაცანით. შემდეგი სირთულე კი ის იყო, რომ შეითან-ბაზრის სკოლის კურსდამთავრებულები დიდად არაფრისთვის ვარგოდნენ: არც ირანში წასვლა და იქ სპარსული ენის სრულყოფა შეეძლოთ და არც ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, რადგან რუსული ენა არ იცოდნენ. ირანის საელჩო, საკონსულო და წარმომადგენლობა ამ საკითხებზე ბევრს ბჭობდა, სანამ საბოლოოდ სკოლა არ დაიკეტა და მე ირანში დაბრუნება მომიწია.

თბილისში ირანელების დაწყებითი სკოლა ვალდებული იყო, რომ მოწაფეებისთვის ოთხი ენა ესწავლებინა:

---

662 „შეითან-ბაზარი" სპარსულად ეშმაკის ბაზარს ნიშნავს.

663 ამ სკოლის ნამდვილი სახელი „ეთეფაყ-ე ირანიან" („ირანელთა კავშირი") იყო, მაგრამ რადგან შეითან-ბაზრის უბანში მდებარეობდა, „შეითან-ბაზრის სკოლასაც" ეძახდნენ. იხ. შენიშვნა 67.

პირველი თურქული, რომელიც აქაური ირანელების სასაუბრო ენა იყო. ერთმა აშთიანელმა კაცმა და მისმა შვილებმა, რომლებიც შეითან-ბაზარში ცხოვრობდნენ, სპარსულად ერთი სიტყვაც არ იცოდნენ და თურქულად ლაპარაკობდნენ.

მეორე ქართული, რადგან თბილისი საქართველოს დედაქალაქია და ხალხმა ამ ქვეყნის სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს.

მესამე რუსული, რომელიც საბჭოთა კავშირში მეცნიერების, ლიტერატურისა და პოლიტიკის ენა იყო და რუსული ენის ცოდნის გარეშე იქ ვერ იცხოვრებდი.

მეოთხე სპარსული.

დამიჯერეთ, რომ ჩვენი ბავშვები და მოწაფეები ოთხსავე ენას კარგად სწავლობდნენ და წარმოუდგენელი სიყვარულითა და გატაცებით მეცადინეობდნენ. თუმცა ამავე დროს, სხვა ბავშვებთან შედარებით, ისინი ბევრად უფრო ურჩები და დაუმორჩილებლები იყვნენ, რაც, დიდწილად, მათი ოჯახური გარემოთი და ცხოვრების წესით იყო განპირობებული. რაც შეეხება შეითან-ბაზარს, ის ძალიან ჰგავდა თეირანის სამხრეთ განაპირა უბნებს.

ერთი სიტყვით, ამ წინააღმდეგობებთან ჩემი ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა: სამი წლის შემდეგ შეითან-ბაზრის სკოლა დაიხურა და მე ჯერ ირანში, შემდეგ კი სტამბოლში გავემგზავრე.

აბდოლაჰ მოსთოუფი და მისი თხზულება

აბდოლაჰ მოსთოუფი.

აბდოლაჰ მოსთოუფი გვიანი ყაჯარული პერიოდის სამეფო კარის დიდმოხელე იყო. იგი დაიბადა 1877 წელს თეირანში სახელმწიფო მოხელის მირზა ნასროლაჰ მოსთოუფის ოჯახში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ, სწავლა განაგრძო საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებულ პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში. სკოლის დასრულებისთანავე აბდოლაჰ მოსთოუფიმ სამსახური დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში ჯერ გადამწერად და მერე მდივნად. 1904 წელს იგი პეტერბურგში ირანის საელჩოში გაიგზავნა და საელჩოს მდივნის თანამდებობა დაიკავა. საელჩოში მუშაობის პერიოდში მან რამდენჯერმე იმოგზაურა ევროპაში და ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია მოინახულა. პეტერბურგში აბდოლაჰ მოსთოუფიმ ხუთი წელი დაჰყო და 1909 წელს თეირანში დაბრუნების შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის დეპარტამენტის უფროსის თანაშემწედ დაინიშნა. 1911 წელს აბდოლაჰ მოსთოუფიმ ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობა დაიკავა. 1921 წლიდან იყო თეირანის მომარაგების უფროსი და უფროსი რევიზორი, 1927 წლიდან – იუსტიციის სამინისტროს სავაჭრო პალატის უფროსი, ფარსის, ხუზისტანის, ქერმანის, ისფაჰანის და დასავლეთ და აღმოსავლეთ აზერბაიჯანის იუსტიციის დეპარტამენტის უფროსი და ბოლოს აღმოსავლეთ და დასავლეთ აზერბაიჯანის ოსთანდარი (ოსთანის მმართველი, გენერალ-გუბერნატორი). პარალელურად იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა: პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლაში და დარ ალ-ფონუნში დაწყებით კლასებში ირანისა და არაბეთის ისტორიას, ხოლო მაღალ კლასებში ირანის კონსტიტუციას ასწავლიდა. გარდაიცვალა აბდოლაჰ მოსთოუფი 1950 წელს თეირანში.

„ჩემი ცხოვრების აღწერა ანუ ყაჯართა პერიოდის სოციალური და ადმინისტრაციული ისტორია" აბდოლაჰ მოსთოუფიმ 1947 წელს დაასრულა. თხზულება უფრო ისტორიული ხასიათისაა, ვიდრე მემუარული. საკუთარი თავის შესახებ ავტორი ცოტას საუბრობს და ძირითადად, ყაჯართა (ნასერ ად-დინ შაჰის, მოზაფარ ად-დინ შაჰის, მოჰამად ალი შაჰისა და აჰმად შაჰის) სამეფო კარის ადმინისტრაციული მონყობისა და შიდა და საგარეო პოლიტიკის შესახებ წერს. იგი ასევე ვრცლად აღწერს რუსეთის სამეფო კარს, ხალხის წეს-ჩვეულებებს და პეტერბურგის ღირშესანიშნაობებს. საქართველოზე ავტორი ცოტას წერს, თუმცა მისი ზოგიერთი ცნობა საინტერესოა.

ტექსტი და თარგმანი

'Abdollāh Mostoufī, *Sharh-e zendegānī-ye man yā tārīkh-e ejtemā'ī va edārī-ye doure-ye Qājārīye*, 3 jeld, Tehran, 1384/2005.

'Abd Allāh Mustawfī, *The Administrative and Social History of the Qajar Period: The Story of My Life*, translated by Nayer Mostofi-Glenn, 3 vols, Costa Mesa, California, 1997.

ლიტერატურა

Bāqer 'Āqelī, "'Abdollāh Mostoufī", წიგნში: *Sharh-e hāl-e rejāl-e siyāsī va nezāmī-ye mo'āser-e Īrān*, j. 3, Tehran, 1380/2001, 1418.

Maryam Ranjkesh, "Qājārān be revāyat-e Mostoufī", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, No.118, Tehran, 1386/2008, 82-85.

И. С. Стори, *Персидская литература. Био-библиографический обзор*, 451.

ჩემი ცხოვრების აღწერა
ანუ
ყაჯართა პერიოდის სოციალური და ადმინისტრაციული ისტორია

საელჩოების გახსნა ევროპის ქვეყნებში

მიუხედავად იმისა, რომ ირანის მეზობელ ქვეყნებს თეირანში საკუთარი საელჩოები ჰქონდათ, ირანს ერთხანს განსხვავებული პოზიცია ეკავა და ამ ქვეყნებში დროებით ელჩებს აგზავნიდა. მაგრამ 1855 წელს ირანის ხელისუფლებამ თბილისში, ასტრახანში, ბაღდადსა და ბომბეიში გენერალური კონსულები და კონსულები, ხოლო პარიზში, ლონდონში, პეტერბურგსა და სტამბოლში სრულუფლებიანი ელჩები დანიშნა.

ირანის გენერალური საკონსულოები კავკასიასა და ასტრახანში

კავკასიაში ირანის ქვეშევრდომები მრავლად იყვნენ. ყოველ წელს ათასობით [ირანელი] აზერბაიჯანელი სამუშაოდ რუსეთში მიდიოდა. მათი ნაწილი სეზონური მუშა იყო და გაზაფხულიდან შემოდგომამდე მუშაობდა. მათგან საკონსულოებს, ვიზის გადასახადის გარდა, სხვა შემოსავალი არ ჰქონდათ. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რუსეთში ორი, სამი და მეტი წელი რჩებოდნენ. ერთ წელიწადში მათ სამგზავრო პასპორტს ვადა გასდიოდა და ისინი იძულებული იყვნენ, საცხოვრებელი პასპორტი აეღოთ. პასპორტის ფასი მუშებისთვის ორი თუმანი, ხოლო ვაჭრებისთვის სამი თუმანი იყო და ეს თანხა საკონსულოების ძირითად შემოსავალს წარმოადგენდა. მოზაფარ ად-დინ შაჰის გამეფების შემდეგ, კავკასიაში სამუშაოს მძებნელთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა, რაც უცხოეთში მგზავრობის გაიოლებითა და ბაქოში ნავთობის ჭაბურღილის

ამოქმედებით იყო გამოწვეული. ბაქოს ნავთობის ქარხნებში, ისე როგორც კავკასიის სხვა ქალაქების ქარხნებში, ძირითადად, ირანელები მუშაობდნენ. ამის გამო ეგვიპტისა და კალკუტის სპარსულენოვანი გაზეთები ირანის ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ და ებრაჰიმ ბეგის წიგნშიც მწერალი[664] ამ ფაქტისადმი თავის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს. თუმცა უნდა ითქვას, რომ ირანელი მუშების კავკასიაში გამგზავრება სრულიად ბუნებრივი პროცესი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ [ირანის] აზერბაიჯანელები და იქაური ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობდა, ამდენად კრიტიკა ხშირ შემთხვევაში გადამეტებული იყო. იმ დროს, როცა ირანში მოსახლეობის რაოდენობა სამუშაო ადგილების რაოდენობას გაცილებით სჭარბობდა, სამუშაოს საშოვნელად დროებით სხვა ქვეყანაში გამგზავრება არა თუ საზიანო, მომგებიანი და სარფიანი იყო. ამ მუშების წასვლა-წამოსვლითა და მათი შემოსავლებით ირანის ხაზინაში წელიწადში ხუთი-ექვსი მილიონი ოქროს ფული შედიოდა. ჟურნალისტების ხელისუფლებისადმი საყვედური – სამუშაო ადგილებს რატომ არ ქმნით, რომ ჩვენი მუშები სხვა ქვეყნებისთვის არ მუშაობდნენო – სამართლიანი და ლოგიკური იყო, მაგრამ იმ დროს ირანში ამ ვითარების შეცვლის შესაძლებლობა არ არსებობდა.

გარდა სეზონური მუშებისა, კავკასიაში მრავლად იყვნენ ირანელები, რომლებიც აქ დიდი ხნის წინ დასახლდნენ და პატარა დუქნებს ამუშავებდნენ. კავკასიაში ბევრი ირანული სავაჭრო სახლი იყო, რომელთა მეპატრონეები მუსლიმები ან სომხები იყვნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თუმანიანცების (Tūmānyāns) სავაჭრო სახლი, რომელსაც ფილიალები ბაქოში, თბილისსა და მოსკოვში ჰქონდა.

ამ სავაჭრო სახლების მფლობელებისა და წვრილი ვაჭრების ადგილობრივ ადმინისტრაციულ დაწესებულებებთან ურთიერთობის დასარეგულირებლად, ასევე მუშებისთვის პასპორტების გასაცემად ირანის ხელისუფლებამ თბილისში გენერალური კონსული, საპორტო ქალაქებში ბაქოსა და ბათუმში კონსულები, ხოლო ერევანში, განჯასა და ვლადიკავკაზში კონსულის თანაშემწეები გააგზავნა. ასტრახანშიც გენერალური კონსული დაინიშნა, რომელიც ნიჟნი ნოვგოროდის (Nīzhnī Novgorod) ბაზრობაზე მიმავალი ვაჭრების საქმეებს განაგებდა. მას რეზიდენცია ასტრახანში ჰქონდა და ნიჟნი ნოვგოროდში მხოლოდ ბაზრობის სეზონზე (გაზაფხულზე) ჩადიოდა. ასტრახანის რეგიონის საპასპორტო საქმეებსაც ეს კონსული მეურვეობდა.

რუსული ბიუროკრატია პასპორტებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და პასპორტის გარეშე რუსეთში არავის უშვებდა. ირანის ხელისუფლება იძულებული იყო, თავისი ქვეშევრდომებისთვის მიეცა სამგზავრო პასპორტი, რომლის მოქმედების ვადა ერთი წელი იყო. ამ ვადის გასვლის შემდეგ ირანელები საცხოვრებელ პასპორტებს იღებდნენ.

---

[664] იგულისხმება ცნობილი ირანელი მწერლის ზეინ ალ-აბედინ მარაყაის (1838-1910) რომანი „ებრაჰიმ ბეგის მოგზაურობის დღიური".

სავარაუდოდ, 100 დინარიანი სპილენძის მონეტა მოჰამად შაჰის დროს მოიჭრა, რადგან შირაზში 100 დინარიანს დღესაც მომდის (მოჰამადის) ეძახიან. ხოლო 200 დინარიანი (ათასის ერთი მეხუთედი დინარი) შაჰ აბასის დროს შემოიღეს და იგი აბასის სახელით არის ცნობილი. საოცარია, რომ რუსების მიერ გაკომუნისტებამდე თბილისში და მთელ კავკასიაში ოცკაპიკიან ვერცხლის მონეტას, რომელიც მანეთის ერთი მეხუთედი იყო, ადგილობრივებმა აბასი იმიტომ შეარქვეს, რომ ძირითადი ფულის ერთეულის მეხუთედს წარმოადგენდა. ეს არის ტრადიციის ძალა, რომ მიუხედავად განსხვავებული სახელმწიფოებისა და მონეტების სინჯისა და ღირებულებისა, სახელი ხალხში გავრცელდა და ძველი დროიდან დღემდე შემოინახა. უეჭველია, რომ ხალხური გამონათქვამები ერთ-ერთი უტყუარი ისტორიული წყაროა.

დანართი 1

საქართველო
ყაჯართა პერიოდის შუა აზიელ ავტორთა
სპარსულენოვან თხზულებებში

რაჰმათოლაჰ ბოხარაი და მისი მოგზაურობის წიგნი

რაჰმათოლაჰ ბენ მოლა აშურ ბოხარაი (1817-1895), ცნობილი ლაყაბით „ყარი" (ყურანის მკითხველი) და თახალუსით „ვაზეჰი", ტაჯიკი პოეტი და სწავლული იყო. ის დაიბადა ბუხარაში და განათლებაც იქვე მიიღო. თანამედროვეთა ცნობით, რაჰმათოლაჰი დახელოვნებული იყო ლიტერატურის, ისტორიის, თეოლოგიის და მედიცინის მეცნიერებებში. გადმოცემით, მან დაწერა 24 წიგნი, რომელთაგან აღსანიშნავია ლიტერატურული ანთოლოგია „თოჰფათ ალ-აჰბაბ" (1871), კულინარიული ტრაქტატი „ქან-ე ლაზათ ვა ხან-ე ნე'მათ" (1881), ტრაქტატი ქალთა წეს-ჩვეულებებზე „აყაიედ ან-ნესა", ლექსების კრებული ტაჯიკურ, უზბეკურ და არაბულ ენებზე, მესნევი „ბარფ ო იახ" და სამოგზაურო ჟანრის თხზულება, რომელშიც 1886 წელს მისი მექაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებია ასახული. ჩვენამდე მხოლოდ ამ უკანასკნელმა თხზულებამ და აქა-იქ ანთოლოგიებში გაფანტულმა ლექსებმა მოაღწია, დანარჩენი დღემდე დაკარგულად ითვლება.

რაჰმათოლაჰ ბოხარაის მოგზაურობის წიგნი ორი სახელით არის ცნობილი: „სავანეჰ ალ-მასალექ ვა ფარასეხ ალ-მამალექ" („ქვეყნების ფარსახები და გზების თავგადასავლები") და „ყარაიებ ალ-ხაბარ ფი აჯაიებ ას-საფარ" („საოცარ მოგზაურობათა საკვირველი ამბები"). რაჰმათოლაჰმა თავისი წიგნი მიუძღვნა ბუხარის გუბერნატორს აბდ ალ-აჰმადს, რომელსაც არაერთხელ ახსენებს და ხოტბას ასხამს. თხზულების ოთხი ხელნაწერია შემორჩენილი. უძველესი 1887 წლით თარიღდება და, სავარაუდოდ, თავად ავტორის მიერ არის გადაწერილი. ის ტაშკენტში უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდში ინახება. დანარჩენი სამი უფრო ახალია და ისინი დუშანბეში ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდშია დაცული. პირველად ეს თხზულება გამოიცა 1988 წელს დუშანბეში ასყარ ჯანფედას რედაქციით. 2010 წელს რასულ ჯა'ფარიანმა 1887 წლის ხელნაწერის ტექსტი შეიტანა თავის რვატომეულში „ყაჯართა პერიოდის მექაში მოგზაურობის 50 წიგნი".

ბიბლიოგრაფია

ტექსტები

Rahmatollāh Bokhārā'ī Vāzeh, *Savāneh al-masālek va farāsekh al-mamālek*, be kūshesh-e Asghar Jānfedā, Dushanbe, 1988.

Rahmatollāh ebn Mollā 'Ashūr Bokhārā'ī, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 4, 895-1037.

ლიტერატურა

Rasūl Ja'farīyān, "Moqaddame", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 4, 895-908.

Fehrest-e nosakh-e khattī-ye fārsī-ye ganjīne-ye Anstītū-ye sharqshenāsī-ye Abū Rayhān Bīrūnī – Tāshkend, bakhsh-e avval az jeld-e avval, tārīkh, zīr-e nazar-e 'Osām ad-Dīn Orenbāyef, Seyyed 'Alī Moujānī, Shāh Nīyāz Mūsāyef, Tehran, 1376/1997, 87.

Mahammad Hasan Ganjī, "Savāneh al-masālek va farāsekh al-mamālek: Dar mo'arefī-ye yek safar-nāme-ye Tājīkī", *Arj-nāme-ye Īraj*, be kūshesh-e Mohsen Bāqerzāde, j. 2, Tehran, 1377/1998, 425-444.

Ahmad Monzavī, *Fehrestvāre-ye ketābhā-ye fārsī*, j.1, Tehran, 1374/1995, 134.

J. Bechka,"[Rev.] Rahmatollah Vazeh, Savaneh ol-masalex va Farasex ol-mamalek", *Archiv Orientalni*, Vol. 60, Praha, 1992, 95.

Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, т. I, под редакцией и при участии А. Семенова, Ташкент, 1952, 172, №399-400.

მეძაში მოგზაურობის წიგნი
(1886)

ბაქოში ორი დღე სეირნობასა და ქალაქის თვალიერებაში გავატარეთ. მესამე დღეს თვრამეტ მანეთად ბილეთები ვიყიდეთ და მატარებლით (arābe-ye āhen) რომელსაც *ჯალიზს*, *რეილს*, *მაშინას* და *ვაგონს* ეძახიან[665], ბათუმში გავემგზავრეთ. ცამეტსაათიანი მგზავრობის შემდეგ ჩავედით თბილისში, რომელიც მთის ძირში მდებარეობს. ითვლება, რომ თბილისი სიდიდით, კეთილმოწყობითა და გონიერი ხალხით ბაქოს ხუთჯერ სჯობს. ქალაქს შუაზე მდინარე კვეთს. უწინ თბილისი ირანის ერთ-ერთი ქალაქი იყო და მერე ქრისტიანებმა დაიპყრეს.

თბილისში სანაქებო მინდვრები, ბაღები და შენობებია. მოსახლეობა შიიტები, რუმელები[666], სომხები და ქართველები არიან. ძველად თბილისი ქართველებს ეკუთვნოდა. ეს ხალხი ქრისტიანია და სილამაზით არის ცნობილი. ამიტომ ქართველ ქალიშვილებს მაღალ ფასად ყიდულობდნენ და *ვილაიეთში* მიჰყავდათ. ბაქოსა და თბილისს შორის თორმეტი სოფელია. ბაქოში მატარებელში ჩავსხედით და ოთხ საათში საქართველოში შევედით. ქართველები ალალი ხალხია. მათ საძოვრებზე ღორები ცხვრების მსგავსად ჯგუფ-ჯგუფად ბალახობენ. გზის მარცხენა მხარეს შირვანის ციხე, შაქი, შამახა, განჯა, ბელაქანი, ერევანი და ნახჭევანია, მარჯვნივ კი – მაზანდარანის რაიონი[667], რომელიც რაშთით,

---

665 რადგან სპარსულში მატარებლის შესატყვისი ტერმინი არ არსებობდა, მოგზაური თავად ქმნის ტერმინს „რკინის ურემი" (arābe-ye āhen) და პარალელურად მოაქვს სხვადასხვა ენაზე მისი ასე თუ ისე შესაბამისი ტერმინები: ზოგადევროპული „ვაგონი", ინგლისური „რეილი" (შემოკლებული railway), რუსული „მაშინა" და, სავარაუდოდ, ასევე რუსულიდან მომდინარე „ჯალიზი" (შემოკლებული железная дорога?). შემდგომ ის სულ „მაშინას" ხმარობს.

666 იგულისხმებიან თურქები.

667 მაზანდარანი მხარეა ჩრდილოეთ ირანში, ბაქო-თბილისის რკინიგზიდან დიდად მოშორებით. გაუგებარია, რატომ ახსენებს მას აქ ავტორი.

გილანითა და შუშთარით ბოლოვდება. თბილისში მატარებელში ჩავსხედით და თორმეტ საათში ბათუმში ჩავედით.

ბათუმი

ბათუმი მდებარეობს შავი ზღვის (Daryā-ye Rūm) პირას, რომელსაც ყარადანგიზს (Qara Dangīz) ეძახიან. ძალიან დიდი და კეთილმოწყობილი ქალაქია, მაგრამ ცუდი კლიმატი აქვს. მოსახლეობა შიიტი და სუნიტი მუსლიმები, ქართველები, სომხები და რუსები არიან. ბათუმი უწინ რუმის სასულთნოს[668] ეკუთვნოდა, მაგრამ მერე რუსებმა დაიპყრეს.

[668] იგულისხმება ოსმალეთის იმპერია.

ბუხარის ემირი სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანი და მისი მოგზაურობის დღიური

ბუხარის ემირი სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანი.

ბუხარის ემირი სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანი მანგითების (მანღითების) უზბეკური დინასტიის მეცხრე მმართველი იყო. ის დაიბადა 1859 წელს ქერმინეში ბუხარის ემირის სეიდ მოზაფარ ად-დინ ბაჰადორ ხანის ოჯახში. მისი დედა შამშათი, რომელიც სპარსელი ტყვე იყო, მოზაფარ ად-დინს გამორჩეულად უყვარდა. აბდ ალ-აჰადი ქერმინეში იზრდებოდა და დროს ძირითადად ჯირითობასა და ლექსების თხზვაში ატარებდა. იგი მთელ ბუხარაში საუკეთესო მხედრად ითვლებოდა. მამის შემდეგ უფროსი ვაჟი აბდ ალ-მალიქი უნდა გამეფებულიყო, მაგრამ მამასთან პოლიტიკური უთანხმოების გამო (რუსული ორიენტაციის მოზაფარ ად-დინისგან განსხვავებით, ის ინგლისელებს დაუკავშირდა, მათი დახმარებით აჯანყება მოაწყო, დამარცხდა და ინდოეთში გაიქცა), 1885 წელს მოზაფარ ად-დინის გარდაცვალების შემდეგ ბუხარის მმართველი აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანი გახდა. საგარეო პოლიტიკაში იგი მამის კვალს გაჰყვა და რუსეთთან ისედაც მჭიდრო ურთიერთობა კიდევ უფრო გააქტიურა: მისი მმართველობის პერიოდში გაცხოველდა ვაჭრობა და გაიზარდა მიმოსვლა ბუხარასა და პეტერბურგს შორის. თავად ემირი თითქმის ყოველ ზაფხულს ისვენებდა კავკასიაში მინერალურ წყლებზე ან იალტაში, სადაც თავისთვის სასახლე აიშენა. მისი თაოსნობით 1910 წელს პეტერბურგში საფუძველი ჩაეყარა ახალი დიდი მეჩეთის მშენებლობას, რომელიც იმხანად ევროპაში უდიდეს მეჩეთად ითვლებოდა. აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანს მიღებული ჰქონდა რუსული სამხედრო წოდებები: ორენბურგის კაზაკთა მეხუთე პოლკის მეთაურის, კავალერიის გენერლის (1900), გენერალ-ადიუტანტის (1902), ასევე სხვადასხვა რუსული ჯილდოები, საპატიო დიპლომები და სხვა.

აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანი რეფორმატორი მმართველი იყო. მან გააუქმა ციხეჯურღმულები და წამება, შეზღუდა სიკვდილით დასჯა, მოახდინა ჯარის რეორგანიზაცია, ააშენა გზები, რკინიგზა, აგრეთვე საავადმყოფოები და სხვა საზოგადო დაწესებულებები. როგორც ჩანს, მისი პოლიტიკა ბუხარის სასულიერო წრეებში უკ-

მაყოფილებას იწვევდა და საქმე დაპირისპირებამდეც კი მივიდა, რის გამოც ემირმა 1894 წელს დატოვა ბუხარა, საცხოვრებლად ქერმინეში გადავიდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ დარჩა. გარდაიცვალა ბაჰადორ ხანი 1910 წელს.

1892 წლის მიწურულს ბუხარის ემირი უფროსი ვაჟისა და ტახტის მემკვიდრის სეიდ ალიმ ჯან თურას, მინისტრების და სხვა წარჩინებული მოხელეების თანხლებით ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა რუსეთში. იგი რამდენჯერმე შეხვდა რუსეთის იმპერატორს და მისგან წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი მიიღო. მან თავისი ვაჟი პეტერბურგში კადეტთა კორპუსში სასწავლებლად დატოვა და სამშობლოში დაბრუნდა. დღიური, რომელიც ამ მოგზაურობის დეტალურ ანგარიშს წარმოადგენს, 1894 წელს ყაზანში სპარსულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა. ჩვენ გთავაზობთ ამ დღიურის საქართველოს ეპიზოდის თარგმანს, რომელიც მის მიერ თბილისში გატარებული დღეების შთაბეჭდილებებს გადმოსცემს[669].

ბიბლიოგრაფია

ტექსტი და თარგმანი

Tahrīr-e rūz-nāme-ye safar-e kheyrīyat asar, Qazan, 1312/1894.

Точный перевод дневника Его Светлости Эмира Бухарского, Представляетъ И. Гаспринский изъ Бахчисарая, Казанъ, 1894.

ლიტერატურა

Fehrest-e nosakh-e khattī-ye Fārsī-ye ganjīne-ye Anstītū-ye sharqshenāsī-ye Abū Rayhān Bīrūnī – Tāshkend, bakhsh-e avval az jeld-e avval, tārīkh, 65.

G. Beradze, "The Georgian Artist Gigo Gabashvili and His Journey to Central Asia", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, IV, თბილისი, 2005, 91-92, 96-97.

O. Yastrebova, "The Bukharian Emir 'Abd al-Ahad's Voyage from Bukhara to St. Petersburg", *Looking at the Coloniser: Cross-Cultural Perceptions in Central Asia and the Caucasus, Bengal and Related Areas*, ed. by Beate Eschment , Hans Harder, Ergon Verlag, Würzburg, 2004, 63-73.

„Почетный гражданин Ялты и поклонник Крыма эмир бухарский", *Первая Крымская*, № 253, 2008 (http://1k.com.ua/253/details/22/1).

---

[669] ბუხარის ემირის ხსენებული ვიზიტი თბილისში საკმაოდ დაწვრილებით არის გაშუქებული იმდროინდელი ადგილობრივი პრესის ფურცლებზე. იხ., მაგალითად: *ივერია*, №272, 274, 275, ტფილისი, 1892; *ივერია*, №30-32, 34, 36, 37, 39, ტფილისი, 1893; *კვალი*, №7, ტფილისი, 1893; *Кавказ*, №338-342, Тифлис, 1892; *Кавказ*, №40-42, 44-47, Тифлис, 1893; *Тифлисский листок*, №291-296, Тифлис, 1892; *Тифлисский листок*, №33, 35, 36, 38-40, Тифлис, 1893; *Новое обозрение*, №3093-3096, 3098, Тифлис, 1892; *Новое обозрение*, №3139-3141, 3143-3147, Тифлис, 1893. ჟურნალი „კვალი" თავის ინფორმაციაში ბუხარის ემირის ვიზიტის შესახებ თბილისში, რომელსაც მისი ფოტოსურათიდან შესრულებული პორტრეტული გამოსახულებაც ერთვის, შემდეგნაირად ახასიათებს ბუხარელ საპატიო სტუმარს: „სეიდ-აბდულ-ახატი შესახედავად ძალიან ლამაზი კაცია, კარგი ტანადი და მოსული. ტფილისის ქალაქში ყოფნის დროს იმან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა თავის ჭკუიანი ყოფა-ქცევით და დარბაისლობით" (იხ. „კვალი", №7, 14 თებერვალი, ტფილისი, 1893, 2).

А. Рожинцев, "Жизнь и кончина эмира Бухары Сейид Абдул Ахад Бахадур хана", 2008 (http://wap.monarchija.borda.ru/?1-4-0-00000442-000-0-0-1206368626).

А. Рожинцев, „Андреевский кавалер – Эмир Бухары Сайид Абдул Ахад Бахадур Хан. 150-летию со дня рождения посвящается", *Единое Отечество*, 2009 (http://www.otechestvo.org.ua/main/20093/3019.htm).

А. Семенов, *Каталог рукописей отдела исторического отдела Бухарской Центральной Библиотеки*, Ташкент, 1925, 19, №82.

Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, т. IX, под редакцией и при участии А. Урунбаева и Л. Епифановой, Ташкент, 1971, 32-33, №6026-6027.

Ч. Стори, *Персидская литература. Био-библиографический обзор*, часть II, перевел с английского, переработал и дополнил Ю. Брегель, Москва, 1972, 1041.

Х. Тураев, "Рузнама-и сафар-и Фитирбурх" как источник для изучения русско-бухарских отношений конца XIX века", *Общественные науки в Узбекистане*, № 3, Ташкент, 1989, 53-55.

მისი ბრწყინვალეობა ბუხარის ემირის მოგზაურობის წიგნი (1893)

წინა გზა

[1310 წლის] ჯუმადა ას-სანის 13-ში (1893 წლის 2 იანვარს) შაბათს თერთმეტის ნახევარზე შევედით ქალაქ თბილისის *სტანციაში* (estanse), სადაც უამრავი ხალხი დაგვხვდა. წაგვიყვანეს *ვაგზალში* (vagzālī), მისი უდიდებულესობა იმპერატორის მოსასვენებელ დარბაზში, რომლის ჭერი და კედლები ბრწყინვალედ იყო მორთული. იქ გვეახლნენ ორი გუბერნატორი და ექვსი ადგილობრივი დიდმოხელე. იმ დიდებული შენობიდან გამოვედით, *კარეტაში* (karīte) ჩავსხედით და თბილისის გენერალ-გუბერნატორის[670] შერემეტიევის (Shīrmatof) კანცელარიის უფროსის და 50 ცხენოსანის თანხლებით ქალაქში გავისეირნეთ. თბილისი ულამაზესი ქალაქია. მასში დიდებული შენობები და სუფთა ბაზრებია. მისი სილამაზის შესახებ ყოველი მხრიდან გვესმოდა, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა („ნაამბობი როგორ შეედრება ნანახს"). მოკლედ, სეირნობითა და ქალაქის თვალიერებით დავტკბით და მივედით გუბერნატორის სასახლეში, რომელიც ჩვენთვის იყო მომზადებული. ეს ლამაზი შენობა მშვენიერი ადგილმდებარეობითაც გამოირჩეოდა. აქ გენერალ-პოლკოვნიკი კაშენიკოვი (Kashenīkof) გვეახლა, მშვიდობით ჩამობრძანება მოგვილოცა და წავიდა. ბუხარიდან სასიხარულო ტელეგრამა მივიღეთ, რომ ქვეყანაში სიმშვიდე იყო. ორი საათისთვის თბილისის გენერალ-გუბერნატორს გენერალ-ადიუტანტ შერემეტიევს ვესტუმრეთ და ალმასებით მოოჭვილი ოქროს ორდენი ვუბოძეთ. იქიდან *ვიზიტით* (vīzīd) თბილისის გუბერნატორთან[671] წავედით.

---

[670] აქაც და შემდგომაც ავტორი მთავარმართებელს გენერალ-გუბერნატორს უწოდებს. 1890-1896 წლებში მთავარმართებელი იყო გრაფი ს. შერემეტიევი.

[671] თბილისის გუბერნატორი 1888-1897 წლებში იყო თავადი გიორგი შერვაშიძე.

სახლში[672] დაბრუნებულებს გენერალ-გუბერნატორი შერემეტიევი გვეწვია და *პადარკა* (pādārke) – ოქროსა და ვერცხლის ნივთებით სავსე ორი ყუთი მოგვართვა. ცოტა ხანი ვისაუბრეთ და წაბრძანდა.

ამ თვის 14, კვირა (3 იანვარი) თბილისში გავატარეთ და კარგად დავისვენეთ. თერთმეტ საათზე ჩვენი ამალის წევრების – ჰაჯი აბუ'ლ-ფეიზ ხოჯა სოდურის, მოლა ესმათოლაჰ ხოჯა ჰაქიმის, მირზა აჰმად მოშრეფის, მოჰამად თუყსაბეს, მოლა შარაფ *მირახორ ბოყჩე-ბარდარის*, თორდი *ყარაულბეგი ფარაშბაშის* და ყასემ *დილმაჩის* თანხლებით ბარგი ვლადიკავკაზის (Velād Kafkāz) გზით გავაგზავნეთ. პირველ საათზე თბილისის გუბერნატორი გვეწვია და *გიმნაზიის* (gīmnāzye) ანუ სკოლის დასათვალიერებლად წაგვიყვანა. იქ ორი გენერალი, სკოლის რამდენიმე მასწავლებელი და რვაასამდე მოსწავლე შეგვეგება. მოწაფეებმა სხვადასხვა საგანში თავიანთი მიღწევები წარმოგვიდგინეს: ზოგმა სამხედრო საქმეში, ზოგმა წერასა და კითხვაში, ზოგმა კი მუსიკალურ ხელოვნებაში. ამის შემდეგ მეორე შენობაში გადავედით და სკამებზე დავსხედით. ჩვენ წინაშე გამოვიდა სკოლის მოწაფე, წარმოშობით ირანელი, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა სპარსულად წარმოთქვა. მისმა სიტყვამ ჩვენზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სკოლის მოწაფეებს დავემშვიდობეთ და წავედით ერთ შენობაში, სადაც რკინის დიდ გალიებში სხვადასხვა ცხოველები ისხდნენ. გენერალი, რომელიც იქაურობის მცველი იყო, შეგვეგება და თავაზიანად მოგვესალმა. ამის შემდეგ სამსართულიანი შენობის მეორე სართულზე ავედით და ვნახეთ სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების ფიტულები, რომლებიც ისე ოსტატურად იყო გაკეთებული, რომ ცოცხალი გეგონებოდა. ამ შენობაში, რომელსაც რუსულად *მუზეი* (mūzye) ჰქვია, შეკრებილია რუსეთის *ვილაიეთებისა* და სხვა ქვეყნების ძველი და ახალი იშვიათი ნივთები. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სახლში დავბრუნდით.

საღამოს *ნამაზის* შემდეგ გენერალ-გუბერნატორ შერემეტიევის მსახურებმა ჩვენი თვალთა სინათლის სეიდ მირ ალემ თურასთვის[673] ჰალვა მოიტანეს. რვა საათზე თბილისის გუბერნატორი გვეწვია და *თეატრში* (tyātīr) დაგვპატიჟა. *კალიასკაში* ჩავსხედით და გავემგზავრეთ. წარმოდგენა ოთხი მოქმედებისგან შედგებოდა და თერთმეტ საათზე დამთავრდა. გუბერნატორმა სახლამდე მიგვაცილა და წავიდა. ღამით დავიძინეთ და კარგად დავისვენეთ.

15-ში ორშაბათს (4 იანვარს) თერთმეტ საათზე გენერალ-გუბერნატორმა შერემეტიევმა გვინახულა, თავაზიანად მოგვიკითხა, ცოტა ხანი გვესაუბრა და წავიდა. პირველ საათზე თბილისის *ნაჩალნიკმა კომენდანტმა* (Nachālnīk komendān) ერთი გენერლის თანხლებით გამოგვიარა და სკოლების დასათვალიერებლად წაგვიყვანა. ამ სკოლებში მოწაფეები ცალ-ცალკე ოთახებში ისხდნენ და სხვადასხვა მეცნიერებებსა და ენებს სწავლობდნენ. მათ მივესალმეთ, თავაზიანი

---

672 აქ და შემდგომ ავტორი თავისი საცხოვრებელ სახლს ხან „ყუშ-ხანეს" (სპარს. „ბაზიერების სახლი"), ხან „არამგაჰს" (სპარს. „მოსასვენებელი ადგილი") უწოდებს.

673 სეიდ მირ ალემ თურა ბუხარის ემირის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე იყო.

პასუხი მოვისმინეთ და ისევ მუზეუმის დასათვალიერებლად წავედით. ოთხის ნახევარზე მუზეუმიდან გამოვედით, გენერალს დავემშვიდობეთ და სახლში დავბრუნდით. საღამოს *ნამაზის* შემდეგ ბუხარიდან თარჯიმანი მირ სალეჰ ბაი ჩამოვიდა. ვილოცეთ და რვა საათზე ზემოთ ნახსენები *კომენდანტის* თანხლებით თეატრში წავედით. წარმოდგენა ისევ ოთხმოქმედებიანი იყო. თეატრში უამრავი ქალი და კაცი შეკრებილიყო. რადგან მეორე დღეს მივემგზავრებოდით, გენერალ-გუბერნატორ შერემეტიევს გამოვემშვიდობეთ და თერთმეტ საათზე სახლში დავბრუნდით. 32 რუს მოხელეს დამსახურების მიხედვით სხვადასხვა ხარისხის ოქროსა და ვერცხლის ორდენები დავურიგეთ და დავიძინეთ.

16-ში, სამშაბათს (5 იანვარს) ათ საათზე თბილისის გუბერნატორი, *კომენდანტი* და ქალაქის *გალავა* (galāve) გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ. მათ დავემშვიდობეთ, *კარეტაში* ჩავსხედით და ვლადიკავკაზის გზას დავადექით. თითოეულ ეტლში ოთხი ცხენი იყო შებმული. ორმა ოფიცერმა და 40 კაციანმა ცხენოსანმა ბადრაგმა პირველ *სტანციამდე* მიგვაცილა, დაგვემშვიდობა და უკან გაბრუნდა. სადგურში ცხენები გამოვცვალეთ და ათი ცხენოსანი მცველის თანხლებით შემდეგი პუნქტისკენ გავემართეთ. ამის შემდეგ ყოველ *სტანციაზე* ვჩერდებოდით, ცოტა ხანი ვისვენებდით, ჩაის ვსვამდით, ბადრაგს ვცვლიდით და ახალი მცველების თანხლებით გზას ვაგრძელებდით.

17-ში ოთხშაბათს *სტანცია* მლეთაში (Melīt) მივედით. ტელეგრაფის სახლი მოვინახულეთ, მისი ღირშესანიშნაობები დავათვალიერეთ, იქაურობის უფროსს მესამე ხარისხის ვერცხლის ორდენი ვუბოძეთ და ვლადიკავკასისკენ გავემგზავრეთ...

უკანა გზა

მადლობა ღმერთს, შაბანის თვის 6-ში (23 თებერვალს), ოთხშაბათს ოთხ საათზე ბათუმში მშვიდობიანად ჩავედით. გუბერნატორის თანაშემწე *კნიაზ* ერისტოვი (Abrūstof), ქალაქის *გალავა*, *კომენდანტი* და შვიდი ოფიცერი ჩვენ მისასალმებლად *პარახოდზე* (parākhūt) ამოვიდნენ. ზემოთ ნახსენებ დიდმოხელეებთან და *დილმაჩ* ესფანდიართან ერთად ნაპირზე გადავედით, *კალიასკაში* ჩავსხედით და, წესისამებრ, რამდენიმეკაციანი ცხენოსანი ბადრაგის თანხლებით *ვაგზალში* წავედით. იქ დაახლოებით სამი საათი დავისვენეთ, გუბერნატორის თანაშემწეს პირველი ხარისხის ოქროს ორდენი ვუბოძეთ, ხოლო ოფიცერს, რომელმაც ორი თოფი გვაჩუქა, – მეორე ხარისხის ვერცხლის ორდენი. ამის შემდეგ ვაგონებში ჩავსხედით და ცხრის ნახევარზე თბილისისკენ გავემართეთ. ღამე ვაგონში გავატარეთ.

ამა თვის 7-ში (24 თებერვალს), ხუთშაბათს ოთხ საათზე *სტანცია* მიხაილოვოში (Makhālof) ჩავედით და დაახლოებით ერთი საათი გავჩერდით. რვა საათზე ქარელში (Karelī) შევედით, ხუთი წუთი შევისვენეთ და გზა განვაგრძეთ. ცხრის ნახევარზე *სტანცია* გორში (Kūrī) ჩავედით და ათი წუთი გავჩერდით. ცხრა საათზე ათი წუთი ქსანში (Kīsī) დავისვენეთ და გავემგზავრეთ. თერთმეტ საათზე

მცხეთაში (Mekhet) შევედით. იქ დაგვხვდა ბუხარიდან გამოგზავნილი მირ ყარა *არზეჩი*, რომელმაც გუბერნატორების, *ყადიებისა* და სხვა მოხელეების წერილებით სავსე დიდებული სკივრი ჩამოგვიტანა. მას ახლდნენ სოვდაგარი ჰაიათ ხანი, მოლა აბდ არ-რასულის ვაჟი და სოვდაგარ მირზა ჯანის ვაჟი. ეს სამი კაცი სავაჭროდ მოსკოვში მიდიოდა. თორმეტ საათზე ჩავედით ქალაქ თბილისში, სადაც *ვიცე-გუბერნატორი* (vītse gabūrnātor)[674], ქალაქის *გალავა, პოლიცმაისტერი* და ოთხი ოფიცერი გველოდნენ. ვაგონიდან ჩავედით, *კალიასკაში* ჩავსხედით და 30 კაციანი ცხენოსანი ბადრაგის თანხლებით წავედით შენობაში, რომელშიც წინა ჩამოსვლის დროს ვცხოვრობდით. იქ გუბერნატორი, *კომენდანტი* და პოლკოვნიკი შატილოვი (Shatīlof) შესაბამისი პატივითა და ცერემონიებით დაგვხვდნენ. ბუხარიდან წერილი და ტელეგრამა გველოდა. აბასთუმანში ('Abās Tūmān) უფლისწულ გიორგი ალექსანდროვიჩს (Keorkī Aleksāndrovīch)[675] ტელეგრამა გავუგზავნეთ და მისგან მივიღეთ პასუხი, რომელშიც მისი უდიდებულესობა ჩვენდამი სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდა და მწუხარებას გამოთქვამდა, რომ ვერ შევხვდით. ჩვენც გულდაწყვეტილები ვიყავით, რომ იღბალმა, რომელიც მთელი გზა თან გვსდევდა, ამჯერად გვიღალატა და მისი უდიდებულესობის ხილვის ბედნიერებას აგვაცილა. იმავე დღეს ბუხარაში ჩვენს თანაშემწეებს ტელეგრამით შევატყობინეთ, რომ ჩვენი ზღვაზე მოგზაურობის მშვიდობიანად დასრულების აღსანიშნავად, [სასულიერო] სკოლის ახალგაზრდა ღვთისმეტყველებისთვის მათი კუთვნილი წლიური ხელფასი წინასწარ მიეცათ.

ამა თვის რვაში (25 თებერვალს), პარასკევს ბუხარიდან ტელეგრამა მივიღეთ. მირ ყარა *არზეჩი* დაგვეთხოვა და უკან გაბრუნდა. კაპიტანი ბელოვი (Belāf), რომელიც ბუხარაში ჩვენს მსახურებს ახლდა, გვეახლა და მოლა ჯან მირზა ბეი *ფარვანეჩის* წერილი ჩამოგვიტანა. გენერალმა რეზა ყოლი ბეგმა და ქალაქის *გალავამ* გვინახულეს და ცოტა ხანი საუბრის შემდეგ წავიდნენ. ორი საათისთვის პოლკოვნიკ პუტიატას (Pūt Yāt), თარჯიმან ზამან ბეგისა და ამალის ორი წევრის თანხლებით *კალიასკაში* ჩავსხედით და *ვიზიტებზე* წავედით. გენერალ-გუბერნატორი შერემეტიევი, თბილისის გუბერნატორი და გენერალი რეზა ყოლი მირზა ვინახულეთ, [სადარბაზო] *კარტოჩკები* (qartīshke) დავუტოვეთ და სახლში დავბრუნდით. კაპიტან ბელოვს გამგზავრების ნება დავრთეთ და პეტერბურგში ჩვენი თვალის სინათლე ვალიაჰდ სეიდ მირ ალემ თურასთან წერილი გავატანეთ. საღამოს რვა საათზე ნეზამ ალ-მოლქ ოსთანყოლ ბეი *ფარვანეჩისთან, დილმაჩ* ესფანდიართან და *დოხტურ* პისარენკოსთან (Dokhtūr Pīsārīnke) ერთად აბანოში წავედით. შესანიშნავი აბანო იყო, დარდის გამქარვებელი და მაცოცხლებელი. ჩვენ მიერ აქამდე ნანახ ყველა აბანოს გაცილებით სჯობდა. ამბობენ, რომ მისი წყალი მთის ძირში მდებარე გოგირდის საბადოებიდან მოედინება, სხეულისთვის ძალიან სასარგებლოა და სხვადასხვა ავადმყოფობას შველის. დაახლოებით ორი საათი აბანოში განცხრომით გავატარეთ და გავხალისდით.

---

674 თბილისის ვიცე-გუბერნატორი 1892-1896 წლებში იყო ვლადიმერ ტიზენგაუზენი.

675 იგულისხმება იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ძმა გიორგი (1871-1899), რომელიც ტუბერკულოზით იყო დაავადებული და 1890-იან წლებში ძირითადად აბასთუმანში ცხოვრობდა.

გამახსენდა ერთი მოხუცი *ფირის* მიერ აბანოში ნათქვამი ბეითები, რომელთა ჭეშმარიტებაში ახლა დავრწმუნდი:

ასე ჰკითხა ერთ დღეს ახალგაზრდამ მოხუცს:
რით აიხსნება, რომ აბანოში შესვლისთანავე
კაცს დარდი ავიწყდება და სიხარული ეუფლება?
უპასუხა მოხუცმა: საიდუმლო იმაშია, რომ მიწიერ სამყაროს
აბანოში არაფერი გახსენებს ტაშტისა და პირსახოცის გარდა.

მოკლედ, ორსაათიანი ნეტარების შემდეგ აბანოდან სახლში წავედით და დავისვენეთ.

ამა თვის ცხრაში (26 თებერვალს), შაბათს თბილისის გუბერნატორი და ქალაქის *გალავა* დასამშვიდობებლად გვეწვივნენ, მშვიდობიანი მგზავრობა გვისურვეს და წავიდნენ. ორი საათისთვის პოლკოვნიკ პუტიატასა და *დილმაჩ* ზამან ბეგის თანხლებით *კალიასკაში* ჩავსხედით და გენერალ-გუბერნატორ შერემეტიევის თანაშემწესთან გენერალ ტატიშჩევთან (Tantashof) წავედით. სახლში არ დაგვხვდა, ამიტომ [სადარბაზო] *კარტოჩკა* დავუტოვეთ და ქალაქში გავისეირნეთ. ერთი საათის შემდეგ დავბრუნდით სახლში, სადაც პეტერბურგიდან მიღებული ტელეგრამა გველოდა. ჩვენი თვალთა სინათლე გვატყობინებდა, რომ ჯანმრთელად იყო, რამაც დიდი სიხარული მოგვგვარა. ამის შემდეგ მივიღეთ ვაჭრები მოყიმ ბაი, ნასრ ად-დინი და ჯურა ბეგი, რომლებიც სავაჭროდ მოსკოვში იყვნენ და ახლა ვლადიკავკაზის გზით უკან ბრუნდებოდნენ.

ამა თვის 10-ში (27 თებერვალს), კვირას აზიმ ბაი *მირახორ ბოყჩე-ბარდარი* და ლათიფ ხოჯა *სოვდაგარი* პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ და *ვალიაჰდის* ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ამბავი ჩამოგვიტანეს, რამაც დიდად გაგვახარა. ორ საათზე მისასალმებლად მობრძანდნენ ქალაქ ბათუმის გუბერნატორი კოშილოვი (Kashīlof), თბილისის *ვიცე-გუბერნატორი*, რომელმაც ბუხარის სახელმწიფო მედლის ბოძებისთვის მადლობა გადაგვიხადა, აგრეთვე ორი გენერალი, რომლებიც [კადეტთა] სკოლის *დირექტორები* (derīktor) იყვნენ. სამ საათზე პოლკოვნიკ პუტიატასთან და *დილმაჩ* ზამან ბეგთან ერთად აბრეშუმის სახვევი სადგურის[676] სანახავად წავედით. იქიდან ბათუმის გუბერნატორის სახლში მივედით, *კარტოჩკა* დავტოვეთ და სახლში დავბრუნდით. საღამოს რვა საათზე ამალის წევრებისა და ყველა *მეჰმანდარის* თანხლებით გავემართეთ თეატრში და წარმოდგენას[677] დავესწარით. თერთმეტ საათზე სახლში მივედით და დავიძინეთ.

---

[676] იგულისხმება კავკასიის სააბრეშუმო სადგური მუზეუმით და ბიბლიოთეკით, რომელიც 1887 წელს მუშტაიდის ბაღის ბოლოში რუსი სწავლულის ნიკოლოზ შავროვის (1858-1914) მიერ დაარსდა. დღეს ეს შენობა ეკუთვნის საქართველოს აბრეშუმის მუზეუმს, რომელიც 1998 წლიდან შეტანილია ევროპის ტექსტილისა და მუდმივი გამოფენების ნუსხაში (ი. ჭოტორლიშვილი, *აბრეშუმის მუზეუმი*, თბილისი, 2005).

[677] იმდროინდელი ქართული პრესის ცნობით, სათავადაზნაურო ბანკის თეატრში ბუხარის ემირის პატივსაცემად გაიმართა მუსიკალურ-სალიტერატურო საღამო ცნობილი მსახიობის მ. საფაროვა-აბაშიძის მონაწილეობით. წარმოდგენილი იყო „სასტიკი ომი" და რ. ერისთავის ვოდევილი „ბიძიასთან გამოხუმრება". საღამო დასრულდა დივერტისმენტითა და ლეკურით (*ივერია*, №32, 14 თებერვალი, ტფილისი, 1893).



კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საჭიე შენობა. 1900-იანი წლების ფოტოსურათი.

ამა თვის 11-ში (28 თებერვალს), ორშაბათს თბილისის გუბერნატორი გვეწვია, სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტის თანახმად მოგვესალმა და წავიდა. თბილისში ცხოველთა დაცვის საზოგადოებაა[678], რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი მისი უდიდებულესობა იმპერატორის ბიძა მიხაილ ნიკოლაევიჩია (Mīkhāyīl Nīkūlāyevīch). ამ საზოგადოების თავმჯდომარე და წევრები ჩემთან მობრძანდნენ, საზოგადოების საპატიო მრჩევლის წოდება[679] მომანიჭეს, ჩემი ხელქვეითებისთვის ერთი ორდენი და ორი მედალი გადმომცეს და წავიდნენ. შემდეგ აბრეშუმის სახვევი სადგურის *ნაჩალნიკი* გვეწვია და საჩუქრები მოგვართვა. თორმეტის ნახევარზე გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი მობრძანდა და

---

678 იგულისხმება „პირუტყვთა მფარველი საზოგადოება".

679 გაზეთ „ივერიის" ცნობით, ბუხარის ემირს „პირუტყვთა მფარველი საზოგადოების" არა საპატიო კონსულტანტის, არამედ საპატიო პრეზიდენტის ტიტული მიენიჭა (*ივერია*, №34, 17 თებერვალი, ტფილისი, 1893, 2). თუმცა სხვა პუბლიკაციებში, მათ შორის თვით „პირუტყვთა მფარველი საზოგადოების" ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ თბილისური საქველმოქმედო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტად არჩეული იყო ირანის შაჰი ნასერ ად-დინ შაჰ ყაჯარი, ხოლო ბუხარის ემირი სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანი 1893 წელს აირჩიეს საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად (იხ.: *Отчет о деятельности под августейшим покровительством Его Императорского Высочества Государя Великого Князя Михаила Николаевича Тифлисского Общества покровительства животным за 1892 по 1893 гг.*, Тифлис, 1894, 9; Путеводитель по Тифлису, Тифлис, 1896, 106-107).

ცოტა ხანი საუბრის შემდეგ სახლში დაბრუნდა. ამის მერე პოლკოვნიკ პუტი-ატასა და თარჯიმან ზამან ბეგის თანხლებით *კალიასკაში* ჩავსხედით და თბილი-სის მთებში გავისეირნეთ. იქიდან ქალაქის ქუჩებზე, შენობებსა და ბაზრებზე მშვენიერი ხედი იშლებოდა. უკანა გზაზე ჩავუარეთ სახანძრო რაზმის ყაზარმას. ჩვენმა თანმხლებმა ქალაქის პოლიცმაისტერმა სასტვენით განგაშის ნიშანი მის-ცა. მყისვე ჯარისკაცები გარეთ გამოცვივდნენ, ხანძრის ჩასაქრობად საჭირო ცხენები და ურმები გამოიყვანეს და ხუთ წუთში მოემზადნენ. ურმებზე წყლით სავსე კასრები იდო, საიდანაც წყალი გადმოდიოდა და ყოველ მხარეს იფრქ-ვეოდა. ამ საოცარი დანადგარით ხანძარი ძალიან ადვილად შეიძლება ჩააქრო. ყაზარმის დათვალიერების შემდეგ სახლში დავბრუნდით და დავისვენეთ. ათის ნახევარზე ჩემი ამალის ათი მოხელისა და *მეჰმანდარების* თანხლებით გენე-რალ შერემეტიევის სახლში ჩვენ პატივსაცემად გამართულ საღამოზე წავედით. იქ შეკრებილი ოფიცრები და მათი ცოლები დიდი პატივით შეგვეგებნენ. ჩვენც მივესალმეთ და ეტიკეტის შესაბამისად თავაზიანად მოვიკითხეთ. გენერალმა თბილად მიგვიღო და მეგობრულად გაგვესაუბრა. სკამებზე დავსხედით. მუტრი-ბებისა და მოცეკვავეების დასი გამოვიდა და სპარსული მელოდიები დაუკრა. მორთულ-მოკაზმულმა ლამაზმა ქალებმა და ქალიშვილებმა ცეკვა დაიწყეს. ისი-ნი მოხდენილად დაგოგმანებდნენ, ფეხებს აბაკუნებდნენ და ხელებს შლიდნენ. მართლაც, წარმტაცი სანახაობა იყო. კონცერტის მერე ავდექით და სასადილო ოთახში გავედით. მაგიდაზე სხვადასხვა სახის საჭმელ-სასმელი იდო. თანახმად ბრძენი ემირის ალიშერ ნავოის[680] მიერ თავის *ხამსეში* სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტთან დაკავშირებით ნათქვამი ბეითისა – „სურვილით მოდიან და ნებართ-ვით მიდიანო", ვახშმის შემდეგ თერთმეტი საათისთვის მასპინძელს დავეთ-ხოვეთ, გარეთ გამოვედით და *დილმაჩ* ესფანდიარის, *დოხტურ* პისარენკოსა და ამალის სამი დიდებულის თანხლებით მირზოევის (Mīrzāyof) აბანოში წავედით. აბანოს მსახურებმა ჩვენ საპატივცემულოდ მუსიკოსები მოიყვანეს. თორმეტ საათამდე სასიამოვნო მელოდიებით ვტკბებოდით და განცხრომას ვეძლეოდით. აბანოს შემდეგ სახლში დავბრუნდით და დილამდე მშვიდად და უშფოთველად გვეძინა. განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, თბილისში სეირნობის დროს ყოველთვის ათკაციანი ცხენოსანი *კანვოი* (kanvāy) დაგვყვებოდა და ღამღამო-ბით ოთხი ჯარისკაცი ანთებული ჩირაღდნებით გვაცილებდა, რისთვისაც ჩვენი მასპინძლების დიდად მადლობელი და კმაყოფილი ვიყავით.

ამა თვის 12-ში (1 მარტს), სამშაბათს ცხრა საათზე გენერალი უფლისწული რეზა ყოლი მირზა ყაჯარი გვეწვია. საუბრისას მან ჩვენდამი დიდი პატივის-ცემა გამოხატა და წავიდა. მერე ქალაქ თბილისის *დოხტურების* უფროსი *ტაინი საველნიკი* შელიაკოვი (tāynī sāvetnīk Shekhle Kūf) მობრძანდა. მისი წასვლის შემდეგ, ფოტოგრაფი მოვიდა და *ვაენნი* (vaynnī) ფორმაში სურათი გადაგვი-ღო. ერთი კავკასიელი გენერალი[681] გვეწვია და საჩუქრად ხმალი მოგვართვა.

---

680 ალიშერ ნავოი (1441-1501) — დიდი უზბეკი პოეტი, ლირიკული ლექსების, პოემათა ხუ-თეულის „ხამსესი", ფილოლოგიური და ისტორიული ტრაქტატების ავტორი.

681 იგულისხმება თბილისის გუბერნატორი თავადი გიორგი შერვაშიძე.

თბილისის გუბერნატორმა[682] *კნიაზ* ტატიშჩევმაც გვინახულა. [ცხოველთა დაცვის] საზოგადოების მრჩევლის ტიტულის ბოძებისთვის *ველიკი კნიაზ* (velīkī knāz) მიხაილ ნიკოლაევიჩს სამადლობელო ტელეგრამა გავუგზავნეთ და პასუხი მივიღეთ. თბილისის ოც წარჩინებულ მოხელეს სხვადასხვა ხარისხის ორდენები დავურიგეთ. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი შეიცვალა, მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა, ამალის ათი წევრისა და *მეჰმანდარების* თანხლებით წავედით თეატრში, სადაც წარმოდგენა სპარსულ ენაზე იმართებოდა. თბილისის გუბერნატორი და ირანის კონსული გენერალი რეზა ყოლი მირზა მოვიდნენ და საუბარი გაგვიბეს. წარმოდგენა ორ საათს გაგრძელდა. თეატრის შემდეგ *დილმაჩ* ესფანდიართან, *დოხტურ* პისარენკოსთან და ამალის სამ დიდებულთან ერთად მირზოევის *ბანიში* (bānī) წავედი. აბანოს მსახურებს ჩირაღდნები დაენთოთ და ისევ მუსიკოსები მოეყვანათ. დიდი პატივი გვცეს. აბანოს მერე სახლში დავბრუნდით და დავისვენეთ.

ამა თვის 13-ში (2 მარტს), ოთხშაბათს ზემოთ ნახსენებ მოლა ჯან მირზა ბეი ფარვანეჩის ტელეგრამა გავუგზავნეთ და ვუბრძანეთ, რომ სარდალი მოჰამად იუსუფ ბეი დივანბეგი, ჩაჰარჯოუს *ჰაქიმი* ჰეიდარ ყოლი ბეი დადხაჰი, ყასემ ხოჯა ოურაყ უდაიჩი, სასახლის მდივანი მირზა ესლამ ყოლი და მირზა აბდოლაჰ თუყსაბე დაგვხვედროდნენ უზუნ-ადაში[683]. იმავე დღეს მირზოევის აბანოს ორ მსახურს საჩუქრები ვუბოძეთ, ხოლო გენერალ-მაიორ რეზა ყოლი მირზას ორ ვაუს, რომლებიც სამხედრო სამსახურში იყვნენ და პოლკოვნიკის ჩინი ჰქონდათ – მეორე ხარისხის ოქროს ორდენები. შემდეგ ჩვენი ბარგი მსახურების თანხლებით *ვაგზალში* გავაგზავნეთ. თორმეტ საათზე დასამშვიდობებლად გვეწვივნენ თბილისის კომენდანტი გენერალი და გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი. მათთან ერთად *კალიასკაში* ჩავსხედით და სასიამოვნო და მეგობრული საუბრით სადგურისკენ გავემართეთ. იქ დაგვხვდნენ თბილისის გუბერნატორი შერვაშიძე, ვიცე-გუბერნატორი, ქალაქის *გალავა*, ჟანდარმერიის გენერალი იანკოვსკი (Nīkof Eskī), გენერალ-მაიორი რეზა ყოლი მირზა და ოთხი დიდმოხელე. ცოტა ხანი საუბრის შემდეგ გენერალ-ადიუტანტი შერემეტიევი დაგვემშვიდობა და წავიდა. მის ერთ ადიუტანტს მეორე ხარისხის ოქროს ორდენი ვუბოძეთ. ბუხარიდან სასიხარულო ტელეგრამა მივიღეთ და პეტერბურგში ჩვენს თვალთა სინათლეს ტელეგრამა გავუგზავნეთ. შემდეგ გამცილებლებს დავემშვიდობეთ, თანამგზავრებთან ერთად ვაგონში ავედით და ჩვენს ადგილებზე დავსხედით...

---

682 ავტორს ერევა: ტატიშჩევი თბილისის გუბერნატორი კი არა, კავკასიიის მთავარმართებელ ს. შერემეტიევის თანაშემნე იყო.

683 უზუნ-ადა იყო ნავსადგური კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ამავე სახელწოდების ყურეში. წყლის დონის დაკლებისა და გამეჩეჩების გამო XX საუკუნეში ფუნქციონირება შეწყვიტა.

აჰმად მახდუმ დანეში

აჰმად იბნ მირ-ნასირი, ცნობილი ლაყაბით დანეში, ტაჯიკი განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მწერალი და ენციკლოპედისტი იყო. იგი დაიბადა 1827 წელს ბუხარის საემიროს სოფელ სუგუთში, მოლა მირ-ნასირის ოჯახში. დანეში ბავშვობიდანვე პოეზიითა და მხატვრობით იყო გატაცებული და თავის ლექსებს საკუთარი მინიატურებითვე ამკობდა. მალე მირ-ნასირი საცხოვრებლად გადავიდა ბუხარაში, სადაც დანეშმა დაწყებითი განათლება მიიღო. ბუხარაში მან ლექსებთან ერთად პროზაული თხზულებების წერაც დაიწყო და სახელი გაითქვა, როგორც შესანიშნავმა მწერალმა, კალიგრაფმა და მინიატურისტმა. 1850 წელს დანეშმა ემირ ნასროლაჰის (1827-1860) კარზე დაიწყო სამსახური. 1857-1874 წლებში მან ემირის საელჩო მისიის მდივნის რანგში სამჯერ იმოგზაურა პეტერბურგში. რუსულმა კულტურამ, განსაკუთრებით კი სამეცნიერო და ტექნიკურმა მიღწევებმა მასზე წარუშლელი გავლენა მოახდინა. მოგზაურობის შთაბეჭდილებები აისახა მის თხზულებაში „მოგზაურობა ბუხარიდან პეტერბურგში". 1874 წელს დანეშმა დაწერა ტრაქტატი, რომელშიც სახელმწიფო მოწყობის საკუთარი რეფორმა ჩამოაყალიბა და ემირს წარუდგინა. ტრაქტატში გამოთქმული თამამი იდეებით შეშინებულმა ემირმა მისი ავტორი სამეფო კარს ჩამოაცილა და საემიროს შორეული რაიონის გუზარის ყადის თანამდებობაზე დანიშნა. გადასახლებაში დანეში ბევრს მუშაობდა. აქ მან დაწერა თავისი უმნიშვნელოვანესი თხზულება „იშვიათი შემთხვევები" და სახელი გაითქვა, როგორც საემიროს მმართველობისა და ისლამის დოგმების თამამმა კრიტიკოსმა. მისი პოპულარობა იმდენად დიდი იყო, რომ ემირმა სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანმა ტახტზე ასვლისთანავე დანეში ბუხარაში გამოიძახა და ერთ-ერთი მედრესეს ბიბლიოთეკარად დანიშნა. გარდაიცვალა დანეში 1897 წელს ბუხარაში და იქვე დაკრძალეს. საბჭოთა მმართველობის წლებში სასაფლაო განადგურდა და დანეშის საფლავიც დაიკარგა.

„რესალე ანუ მანგითების დინასტიის მოკლე ისტორია" დანეშის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულებაა. ტრაქტატის სათაური პირობითია – როგორც მისი აღმომჩენი რუსი მეცნიერი ე. ბერტელსი წერს, სავარაუდოდ, მას უბრალოდ „რესალე" („ტრაქტატი") ერქვა და გრძელი სათაური ავტორის სიკვდილის შემდეგ დაერქვა. თხზულება წარმოადგენს მანგითების მმართველობის მკაცრ და დაუნდობელ სატირას. დანეში ბევრი ისტორიული მოვლენის თვითმხილველია, ამიტომ იგი გვევლინება არა უბრალო შემფასებლად, არამედ ისტორიკოსად, რომელიც აქტიურად ერევა საემიროს პოლიტიკურ ცხოვრებაში და სახელმწიფოს მოწყობის საკუთარ მოდელს გვთავაზობს. ქვემოთ მოგვყავს მცირე ფრაგმენტი აჰმად დანეშის ზემოხსენებული ტრაქტატიდან, რომელიც ბუხარის ემირის თბილისში ვიზიტს შეეხება.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი და თარგმანები

Ahmad Makhdūm Dānesh, *Resāle yā mokhtasari az tārīkh-e soltanat-e khānedān-e Manghetīye*, be sa'ī va ehtemām va tashīh-e 'Abd al-Ghanī Mīrzāyof, Stalinabad, 1960.

Ахмад Дониш, *Путешествие из Бухары в Петербург*, Душанбе, 1960.

Трактат Ахмада Дониша "История Мангитской династии", перевод, предисловие и примечания И. А. Наджафовой, Душанбе, 1967.

ლიტერატურა

Tūraj Atābakī, "Safar-e Ahmad Dānesh be Sant Petersbūrg", *Arj-nāme-ye Īraj*, j.1, be kūshesh-e Mohsen Bāqerzāde, Tehran, 1377/1998, 423-430.

T. Atabaki, "A Study in the History of Bukharan Modernism: the Journey of Ahmad Donish to St.Petersburg", *Konferenzakten ESCAS IV (Bamberg, 8-10 October 1991), Bamberger Zentralasiensstudien*, ed. by I. Baldauf & H. Friederich, Berlin, 1994, 263-269.

J. Bechka, "Soviet studies on Ahmad Donish", *Archiv Orientalni*, Vol.31, No.3, Praha, 1963, 483-487.

V. Fourniau, "Dāneš Ahmad Makdūm", *Encyclopaedia Iranica*, ed.by Ehsan Yarshater, 1993 (http://www.iranicaonline.org/articles/danes-donis-ahmad-makdum-b).

Y. Rypka, J. Bechka, "Abriss der tadschikischen Literatur", *Iranische Literaturgeschichte*, von Yan Rypka, unter Mitarbeit von O. Klima, V. Kubichkova, Y. Bechka, Y. Cejpek, I. Hrbek, Leipzig, 1959, 409-410.

В. Дубовицкий, "Ахмад Дониш: бухарский посланец в Россию", *Бизнес & Политика, Информационный ресурс Таджикистана*, 29.03.2012. (http://gazeta-bip.net/history/3718-ahmad-donish-buharskij-poslanec-v-rossiju)

З. Раджабов, *Выдающийся просветитель таджикского народа Ахмад Дониш*, Душанбе, 1961.

З. Раджабов, *Просветитель Ахмад Дониш*, Душанбе, 1964.

Ч. С. Стори, *Персидская литература. Био-библиографический обзор*, часть II, перевел с английского, переработал и дополнил Ю. Брегель, Москва, 1972, 1168-1171.

Р. Хади-заде, *Ахмад Дониш и таджикская просветительская литература*, Москва, 1968.

რესალე ანუ მანგითეგის დინასტიის მოკლე ისტორია

ემირ აბდ ალ-აჰადის მმართველობის წესები და სხვადასხვა მოვლენები

(1894)

...მეორე ეკონომიკურად საზარალო მოგზაურობა, რომელიც ბუხარის ემირმა თავისი მმართველობის პერიოდში განახორციელა, თბილისში მოგზაურობა

იყო[684]. თბილისი აყვავებული ქალაქია კავკასიის სამხრეთითა და სომხეთის ჩრდილოეთით. უწინ ის თურქეთის საკუთრება იყო, ახლა კი რუსეთს შეუერთდა. როგორც ხალხი ამბობს, ამ მოგზაურობას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ერთი ის, რომ თბილისის მმართველი საქორწილო წვეულებას მართავდა და მასზე სხვადასხვა ქვეყნის ხელმწიფეები, მათ შორის ბუხარის ემირი, იყვნენ დაპატიჟებული. ემირის მოწვევით თბილისის ხელისუფალს უნდოდა უცხო ქვეყნების მეფეებისთვის ბუხარის რუსეთისადმი დაქვემდებარება ეჩვენებინა. მეორე მიზეზი, შიიტების თქმით, ის იყო, რომ რადგან ბუხარის ემირი, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრები და არტილერიის უფროსი შიიტები იყვნენ, ისინი ყაჯართა ხელმწიფეს ნასერ ად-დინ შაჰს შეხვდებოდნენ და მასთან დადებდნენ ძმური კავშირის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბუხარა ირანს შეუერთდებოდა. გარდა ამისა, დადიოდა ხმები, რომ ბუხარის ემირს ფარული წყლული ჰქონდა და რუსმა ექიმებმა ურჩიეს, ებანავა თბილისის შემოგარენში მდებარე „გამაჯანსაღებელ წყაროში", რომელიც ყოველგვარი წყლულებისა და სხვა ავადმყოფობებისგან კურნავდა.

ბუხარის ემირი, წინა მოგზაურობების მსგავსად, ამჯერადაც არავის მოთათბირებია, თანამგზავრებად მისთვის სასურველი პირები შეარჩია და მატარებლით (arābe-ye āteshī) თბილისისკენ გაემგზავრა. მოგზაურობა ხუთ თვეს გაგრძელდა და ისევ უამრავი ფული გაიფლანგა. სტამბოლის *გაზეთებში* (gazīt) კი დაიბეჭდა, რომ ემირმა ქრისტიანობა მიიღო და ის კავკასიაში მოსანათლად წაიყვანეს. ამ გაზეთებს რუსეთში სადაც ნახულობდნენ, მალავდნენ. ემირის ეს მოგზაურობა მისი გამეფებიდან მეცხრე წელს მოხდა.

---

684 აჰმად დანეშის ეს ინფორმაცია ეხება ბუხარის ემირის სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანის მეორე მოგზაურობას ბუხარიდან სანკტ-პეტერბურგში 1894 წელს, რომლის დროსაც იგი კიდევ ერთხელ (მესამედ) ეწვია თბილისს (იხ.: G. Beradze, "The Georgian Artist Gigo Gabashvili and His Jorney to Central Asia", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, IV, თბილისი, 2005, 91, 96-97).

მირზა სერაჯ ად-დინ ჰაჯი მირზა აბდ არ-რაუფი და მისი მოგზაურობის წიგნი

მირზა სერაჯ ად-დინი დაიბადა ბუხარაში და დაწყებითი განათლება ბუხარის მედრესეში მიიღო. სკოლის დამთავრების შემდეგ მან საგვარეულო საქმე გააგრძელა და საზარაფო დუქანში დაიწყო მუშაობა. მუშაობის პარალელურად ხან საკუთარი ძალებით და ხან კერძო მასწავლებლების დახმარებით ისწავლა არაბული, თურქული, რუსული და ფრანგული ენები. ცოტა ხანში სერაჯ ად-დინმა ვაჭრობას მიჰყო ხელი და ამ საქმეში დიდ წარმატებას მიაღწია. მას ბამბა და აბრეშუმი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის იტალიაში, საფრანგეთში, რუსეთსა და ინდოეთში გაჰქონდა.

მირზა სერაჯ ად-დინი ბევრს მოგზაურობდა. პირველად 1902 წლის აპრილში გაემგზავრა ევროპაში და ექვსი თვის განმავლობაში ბელგრადი, ბუდაპეშტი, ვენა, ბერლინი, პარიზი, ლონდონი, მარსელი და რუსეთის იმპერიის ქალაქები (მათ შორის თბილისი და ბათუმი) მოიარა. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებები მან გადმოსცა თხზულებაში „თოჰაფ-ე აჰლ-ე ბოხარა" („ბუხარის მცხოვრების ძღვენი"). მეორე მოგზაურობა, რომელიც იმავე წლის ნოემბერში წამოიწყო, მისთვის უიღბლო აღმოჩნდა. მას ავღანეთში უნებართვოდ შესვლა დააბრალეს, დაიჭირეს და 9 თვით ციხეში ჩასვეს. განთავისუფლების შემდეგ სერაჯ ად-დინი ბუხარაში დაბრუნდა. 1903 წელს იგი მესამედ გაემგზავრა სამოგზაუროდ და ამჯერად თურქმენეთი, აზერბაიჯანი, ირანი და ინდოეთი მოინახულა. ამის შემდეგ სერაჯ ად-დინმა ვაჭრობას თავი დაანება და ექიმობას მიჰყო ხელი. როგორც მისი ჩანაწერებიდან ვიგებთ, ექიმობის შესწავლა მან თბილისში, კრასნოდარსა და საბზევარში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში) დაიწყო და თეირანში დაასრულა. ერთხანს ის თეირანის საავადმყოფოში მუშაობდა და ექიმ საბერის სახელით იყო ცნობილი. მისი მოგონებებიდან ჩანს, რომ ის აქტიურად იყო ჩართული ირანის კონსტიტუციურ რევოლუციაში.

მირზა სერაჯ ად-დინის მოგზაურობის წიგნი პირველად 1907 წელს დაიბეჭდა ბუხარაში. 1990 წელს მოჰამად ასადიანმა ტექსტი ხელახლა გამოსცა თეირანში. თარგმნისას ჩვენ ამ გამოცემით ვისარგებლეთ.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Mīrzā Serāj ad-Dīn Hājjī Mīrzā 'Abd ar-Ra'ūf, *Tohaf-e ahl-e Bokhārā*, bā moqaddamei az Doctor Mohammad Asadīyān, Tehrān, 1369/1990.

ლიტერატურა

Bahrām Amīr Ahmadīyān, "Teflīs", *Dāneshnāme-ye Jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Alī Haddād 'Ādel, j.7, Tehran, 1382/2003, 734.

Bahrām Amīr Ahmadīyān, *Gorjestān dar gozar-e tārīkh*, Tehran, 1383/2004, 343.
Mohammad Asadīyān, "Dar bāre-ye safar-nāme-ye Tohaf-e ahl-e Bokhārā", წიგნში: Mīrzā Serāj ad-Din Hājjī Mīrzā 'Abd ar-Ra'ūf, *Tohaf-e ahl-e Bokhārā*, 5-23.
Fehrest-e nosakh-e khattī-ye fārsī-ye ganjīne-ye Anstītū-ye sharqshenāsī-ye Abū Rayhān Bīrūnī – Tāshkend, bakhsh-e avval az jeld-e avval, tārīkh, zīr-e nazar-e 'Osām ad-Dīn Orenbāyef, Seyyed 'Alī Moujānī, Shāh Nīyāz Mūsāyef, Tehran, 1376/1997, 41.
Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, т. I, под редакцией и при участии А. Семенова, Ташкент, 1952, 173, №402.

ბუხარის მცხოვრების ძღვენი
(1902)

თქვენი მონა-მორჩილი ბაქოში სამი ღამე დავრჩი. ნავთობის სახლის მანქანით მთელი ქალაქი შემოვიარე და თბილისისკენ გავემართე. ბაქოდან თბილისამდე 24 საათზე ნაკლები სავალია და გზაზე ბევრი დასახლებაა.

თბილისი მწვანეში ჩაფლული აყვავებული ქალაქია. აქ კარგი კლიმატი და ლამაზი ბაღებია. ის კავკასიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქად ითვლება. მოსახლეობა, ძირითადად, ქართველები და სომხებია, მაგრამ არიან მუსლიმებიც. თბილისი საქართველოს დედაქალაქია. წლების განმავლობაში ის ირანის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ ყაჯარების ბატონობის დასაწყისში რუსეთის ხელში გადავიდა. ქალაქს სამი მხრიდან ძალიან მაღალი მთები აკრავს. მთებიდან უამრავი წყარო გადმოდის. ქალაქის შუაგულში დიდი მდინარე მოედინება. მასზე აშენებულია რკინის ხიდი, რომელზე გადასვლაც ცხენოსნებისთვის ხუთი კაპიკი ღირს.

თბილისში მთელ რუსეთში საუკეთესო ბაღებია. მათ შორის არის მოჯთაჰედის ბაღიც[685], რომელსაც ბადალი არა ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ბევრი კარგი და წარმტაცი ბაღია, რომელთა კეთილმოწყობაზეც მილიონები იხარჯება, არც ერთი ასეთი მომხიბლავი და დახვეწილი არ არის. მზე და მთვარე ბევრგან ანათებს, მაგრამ ყველგან განსხვავებულ კვალს ტოვებს.

წვიმას, რომლის დახვეწილ ბუნებასაც ზადი არა აქვს,
ბაღში ტიტა ამოჰყავს და მლაშობში – კომბოსტო.

თბილისში ბევრი გემრიელი წყარო გადმოდის. აქ უამრავი ცხელი თუ ცივი მინერალური წყალია და ყველა მათგანს განსაკუთრებული თვისებები აქვს. ზოგიერთი დასალევად, ზოგი კი დასაბანად გამოიყენება. მთის ძირში, მინერალური წყაროს გვერდით ნაირფერი მარმარილოს ქვებისგან აშენებულია საუცხოო აბანო, რომელიც ძალიან სუფთა და კეთილმოწყობილია. მასში ბუნებრივი ცხელი წყალი მოდის. რუსმა ექიმებმა დაადგინეს, რომ ამ წყალს ბევრი სასარგებლო თვისება აქვს და თუ მასში ავადმყოფი იბანავებს, გამოჯანმრთელდება.

---

685 იხ. შენიშვნა 78.

აქაურ მთებში ბევრი წყაროა, რომელთა უმრავლესობასაც სამკურნალო თვისებები აქვს. მათი წყალი თან ძალიან გემრიელია და თან კუჭ-ნაწლავის, თირკმლების, შარდის ბუშტისა და ღვიძლისთვის არის სასარგებლო. ზოგიერთი კი თუმცა დასალევად არ ვარგა, მაგრამ ნიკრისის ქარსა და კანის დაავადებებს შველის.

[საქართველოში] ბევრი კარგი საზაფხულო სააგარაკო ადგილია, რომლებშიც დიდებული სახელმწიფო დაწესებულებები, სახლები, ყაზარმები და საავადმყოფოებია აშენებული. ცხელ სეზონზე ქალაქის მოსახლეობისა და ოფიცრების დიდი ნაწილი ასეთ ადგილებში გადადის საცხოვრებლად. იქ ბევრი სასტუმრო და პარკია, სადაც ღამღამობით კონცერტები, ცეკვები და ზეიმები იმართება.

ერთ-ერთი ასეთი სააგარაკო ადგილი ბორჯომია (Bārzhūm), რომელიც მთებში მდებარეობს. იქ კარგი მინერალური წყალი მოდის. საგანგებოდ თბილისიდან ბორჯომამდე რკინიგზის ხაზია გაყვანილი. იქამდე გზა სულ აღმართში მიდის და მანქანები ძლივს დადიან. ბორჯომში ყველა სახის შენობას ნახავ – *ჰოტელს*, საცხოვრებელ სახლებს, დუქნებსა და ბაღებს. ძალიან კარგი ადგილია და იქ დასვენების მსურველი ბევრია.

თბილისში რამდენიმე დღე დავრჩი. დღე და ღამე ვსეირნობდი და თითქმის ყველა ღირშესანიშნაობა დავათვალიერე. ძალიან კარგი მუზეუმი აქვთ, რომელშიც ძველებური ნივთები ინახება. კედლებზე კავკასიური და დაღესტნური საომარი ტანსაცმელი და ტყავის ჩანთები კიდია. სურათების უმეტესობა მინაშია ჩასმული. მეომრების მუყაოს ქანდაკებებს ეროვნული ტანსაცმელი აცვიათ და ხელშუბები უჭირავთ.

თბილისში სხვადასხვა ჯიშის ბევრი კარგი ღვინოა, რომლებსაც ექიმები ავადმყოფებს სამკურნალოდ უნიშნავენ. აქ უამრავი ხილი ხარობს და ზაფხულობით ნებისმიერი ჯიშის ხილს იშოვი.

ამ ქალაქის მცხოვრებნი, როგორც კაცები, ისე ქალები, ძალიან ლამაზები არიან. მათ თეთრი პირისახე, შავი თვალები და ნაზი კანი აქვთ. კავკასიელები გენეტურად თეთრკანიანებად ითვლებიან.

თბილისში მუსიკალურ საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა. აქ მშვენიერი მომღერლები და მუსიკოსები არიან, რომლებიც საუცხოოდ უკრავენ თარზე. თბილისელები მხიარულებისა და გართობის მოყვარული ხალხია.

ამ ქალაქში ყველა პირობაა შექმნილი, რომ მოგზაურმა კარგი დრო გაატაროს. აქ ნებისმიერი საქონელი ძალიან იაფად იშოვება. თბილისში ასორმოცდაათ ათასზე მეტი მოსახლე ცხოვრობს და ისინი, ძირითადად, მუსლიმები, ქართველები, სომხები და რუსები არიან. ქალაქში ბევრი სამხედრო და ირანის მოქალაქეა. ირანელების უმეტესობა აზერბაიჯანიდან არის და ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევს.

ბათუმი

თქვენი მონა-მორჩილი სამი-ოთხი დღე თბილისში დავრჩი და მერე ბათუმში გავემგზავრე. იქამდე ძალიან კარგი გზა მიდის. ის, ძირითადად, მთებზე გადის და მასზე ბევრი დასახლებაა. რუსეთის ხელისუფლებამ ამ გზის ასაშენებლად

დიდი ფული დახარჯა: მთები გაბურღა და შიგ გაიყვანა გვირაბები, რომლებშიც მანქანები და მატარებლები დადიან. ქება-დიდება აქაურ ინჟინრებს! მათი ცოდნა რომ არა, ცარიელი ფულით ვერაფერს გახდებოდნენ.

მთელი ღამე გზაში გავატარეთ და დილით ბათუმში ჩავედით. ბათუმი შავი ზღვის (Bahr-e Asvad) ნაპირზე მდებარეობს და ძალიან კარგი ნავსადგური აქვს. სპარსეთ-რუსეთის ომის დროს მას დაეპატრონა ოსმალეთი, რომელმაც ქალაქის კეთილმოწყობაზე იზრუნა და აქ ციხესიმაგრეები ააშენა. ქალაქში საუკეთესო სამხედრო გემები, ზარბაზნები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღია თავმოყრილი. ბათუმში ყოველდღე შემოდიან რუსული და ევროპული სავაჭრო გემები, რომლებსაც ტვირთი გადააქვთ. აქედან მთელ ევროპაში, ინდოეთში, ჩინეთსა და ამერიკაში შეგიძლია გამგზავრება.

ბათუმი ადმინისტრაციული ცენტრი და შავი ზღვის გასაღებია. აქ კარგი შენობები, მათ შორის მისი აღმატებულების დიდებული სახლი, *ჰოტელები* და წარმტაცი ბაღებია. ბევრი სახლი ზღვას გადაჰყურებს და იქიდან საუცხოო ხედი იშლება. ბათუმში სხვადასხვა ქვეყნის საკონსულოები, ლამაზი სავაჭრო დახლები და ბაზარია. ქალაქის გარშემო ბევრი დასახლებაა. ბათუმს მაღალი მთები აკრავს. აქ დიდი საბაჟო დგას და იქიდან ქალაქს დიდი შემოსავალი აქვს. ბევრი სახლი ზღვის პირას არის აშენებული. მესაზღვრეები და სხვა მომსახურე პერსონალი ძალიან თავაზიანები არიან და ყოველთვის მზად არიან სამსახურისთვის.

დანართი 2

საქართველო
ყაჯართა პერიოდის სპარსულ პოეზიაში

ანდალიბ ქაშანი და მისი ქრონოგრამა

სეიდ მოჰამად თაყი ქაშანი, ცნობილი თახალუსით „ანდალიბი" („ბულბული"), დაიბადა 1835 წელს ქაშანში, ვაჭრის ოჯახში. პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ცნობებს გვანვდის 1896 წელს სტამბოლში დაბეჭდილი მისი დივანის (პოეტური კრებული) წინასიტყვაობა, რომელიც თავად მას ეკუთვნის: წინასიტყვაობიდან ვიგებთ, რომ პოეზია მას ბავშვობიდანვე იტაცებდა, თუმცა იძულებული იყო მამის კვალს გაჰყოლოდა და ვაჭრობა დაეწყო. 1850-იან წლებში მოჰამად თაყი სავაჭროდ თეირანში გაემგზავრა და იქ ორი წელი დაჰყო. თეირანში ის პოეტების წრეში მოხვდა და რამდენიმე მათგანს, მათ შორის, ბაჰარ შირვანის დაუმეგობრდა. პოეტებთან ურთიერთობამ მოჰამად თაყის ბავშვობისდროინდელი გატაცება გაუცხოველა: მან ლექსების ნერა დაიწყო და ლიტერატურულ ფსევდონიმად „ანდალიბი" აირჩია. თეირანიდან პოეტი კავკასიაში გაემგზავრა და ჯერ ხუთი წელი შირვანში, მერე კი 30 წელი დაღესტანში გაატარა. ამ ხნის განმავლობაში ის სავაჭროდ ხშირად დადიოდა თბილისსა და კავკასიის სხვა ქალაქებში. 1887 წელს მოჰამად თაყი ირანში დაბრუნდა და მშობლიურ ქაშანში დასახლდა.

საქართველოსთან ანდალიბს, როგორც ჩანს, არა მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობა აკავშირებდა. ცნობილია, რომ ის მეგობრობდა თბილისში მცხოვრებ მირზა აბდ არ-რაჰიმ თალებოვთან, რაზეც თალებოვის მისდამი მიწერილი წერილები მეტყველებს. დოკუმენტის თანახმად, რომელიც ირანელმა მკვლევარმა ირაჯ აფშარმა მისი შვილიშვილის, ცნობილი ჟურნალისტისა და მთარგმნელის ქავე დეჰგანის სახლში ნახა, მოჰამად თაყი თბილისის ხელისუფლებას 1869 და 1878 წლებში ორჯერ დაუჯილდოვებია ოქროს მედლებით. თბილისში მიიღო განათლება მისმა უფროსმა ვაჟმა სეიდ მოჰამადმა, რომელიც სწავლის დასრულების შემდეგ წლების მანძილზე თბილისში ცხოვრობდა და მუსლიმურ სკოლაში ასწავლიდა.

ქვემოთ მოტანილი ქრონოგრამა 1878/79 წელს არის დაწერილი და თბილისში ირანის კონსულის მირზა მაჰმუდ ხან ალა ალ-მოლქის ძალისხმევით საავადმყოფოს აშენებას ეძღვნება.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Dīvān-e 'Andalīb Kāshānī, Istanbul, 1313/1895-96.

ლიტერატურა

Īraj Afshār, "Tāzehā va pārehā-ye īrānshenāsī (62)", *Bukhārā*, No.70, Tehran, 1388/2009, 75-114.

Rahīm Ra'īs Nīyā, "'Andalīb Kāshānī", *Chīstā*, No.258-259, Tehran, 1388/2009, 10-16.

ქრონოგრამა საავადმყოფოსი, რომელიც თბილისში ირანის კონსულმა მირზა მაჰმუდ ხანმა ააგო

ეი, გულო, მოდი, ამიერიდან მხიარულები და ბედნიერები ვიყოთ,
სიხარულის ღვინოს დავეწაფოთ და დარდი დავივიწყოთ.

წავიდა ის დრო, როცა უცხოობაში ყოფნისგან დადარდიანებულს
თვალთაგან ცრემლის ღვარი მდიოდა.

უწინ თბილისში ყოველ კუთხეში ნახავდი
გაჭირვებულ, დაუძლურებულ და მტირალ უცხოელს.

სამართლიანი შაჰის ბრძანებით კეთილშობილი მაჰმუდ ხანი[686],
საბედნიეროდ, თბილისში კონსულად დაინიშნა.

ბუნებით – დიდსულოვანი და ვაჟკაცი,
ზნით – კეთილშობილი და გულუხვი.

როცა დაინახა ირანის ქვეშევრდომები
შეწუხებულნი და დაბნეულნი, როგორც ქსელი მისაქსელის გარეშე,

ერთ დღეს დიდებულები და წარჩინებულები შეკრიბა
და მათ ქველმოქმედებისკენ მოუწოდა.

უბრძანა: ირანის ღირსეულო მოქალაქენო და დიდებულნო,
ღვთის გულისათვის, დიდსულოვნება გამოიჩინეთ.

ქალაქ თბილისში საავადმყოფო უნდა ავაშენოთ,
რათა გაჭირვებულ ავადმყოფებს ვუშველოთ.

დიდებულებმა კმაყოფილებითა და სიხარულით უთხრეს:
ამ ბრძანებამ ყველა გაგვაბედნიერა.

შეკრებილთა ნება საქმით დაგვირგვინდა:
მათი სურვილისამებრ დიდებული შენობა აღიმართა.

საწოლები, მოსამსახურეები, ექთნები და წამლები –
მათი მცდელობით ყველაფერი გაჩნდა.

---

686 იგულისხმება მირზა მაჰმუდ ხან ალა ალ-მოლქი (1842/43-1925/26), რომელიც 1877-1882 წლებში თბილისში ირანის გენერალური კონსული იყო.

საავადმყოფოს ხელმძღვანელად ლოყმანივით[687] ბრძენი ექიმი დანიშნეს,
მისი ხმა ავადმყოფთათვის დაუდის სიმღერაზე[688] უფრო სასიამოვნო იყო.

ავადმყოფთა გასართობად ყველა ოთახში
მსახური ალოეს ხის სასაკმეველებს ანთებდა.

მადლობა ღმერთს, რომ სამართლიანი ხანის წყალობით
საავადმყოფო აშენდა და ხალხმა ნაღველი დაივიწყა.

სიკვდილის ხელი მათ ვეღარ მისწვდება,
ხმალი ვერაფერს გიზამს, თუ თავზე ჩაფხუტს დაიხურავ.

ამ მშენებლობის თარიღი ანდალიბ ქაშანიმ
რვეულში ჩაწერა ლექსად, რომელიც მანსურის მარგალიტზე[689] უკეთესია.

ამ თარიღის მისანიშნებლად სიხარულით წარმოთქვა:
საავადმყოფო აშენდა მაჰმუდის ძალისხმევით[690].

---

[687] ლოყმანი (ლოკმანი) ნახევრადლეგენდარული არაბი ბრძენი და მეიგავე იყო, რომლის სახელიც სპარსულ პოეზიაში სიბრძნის სიმბოლოდ იქცა.

[688] მუსლიმური გადმოცემებით, წინასწარმეტყველ დაუდს (შეესაბამება ბიბლიურ დავით მეფეს) ჯადოსნური ხმა ჰქონდა და როცა მღეროდა, ჩიტები მასთან ერთად გალობდნენ.

[689] სავარაუდოდ, იგულისხმება ცნობილი ირანელი სუფი პოეტი მანსურ ჰალაჯი (858-922), ხოლო მარგალიტი (ასხმული მარგალიტი) სპარსულ პოეზიაში ლექსის სიმბოლოა.

[690] ქრონოგრამის გასალები ამ ბოლო სტრიქონშია და აბჯადის სისტემის მიხედვით 1296 (1878-79) წელია.

აბუ ნასრ ფათჰალი ხან შეიბანი ძაშანი და მისი ყასიდა

ფათჰოლაჰ ხან შეიბანი.

აბუ ნასრ ფათჰალი ხან შეიბანი დაიბადა 1826 წელს ქაშანში, დიდგვაროვანთა ოჯახში. ბაბუამისი ემირ მოჰამად ჰოსეინ ხანი აღა მაჰმად ხანის მმართველობის დროს ნათანზის, ქაშანისა და ყუმის გუბერნატორი იყო, ხოლო მამა მოჰამად ქაზემ ხანი მოჰამად შაჰის კარზე მსახურობდა და ქაშანისა და ჰამადანის გუბერნიებს მეურვეობდა. ამდენად, ფათჰალი ხანი ბავშვობიდანვე მოჰამად შაჰისა და ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის ნასერ ად-დინ მირზას კარზე ტრიალებდა და მისი პირველი ლექსები სწორედ შაჰისა და უფლისწულების სადიდებელი ყასიდები იყო.

1848 წელს ნასერ ად-დინ შაჰის გამეფების შემდეგ, მოშურნეებისა და ავისმსურველების ინტრიგების შედეგად, შეიბანიმ სამეფო კარი დატოვა და ჰამადანში გადასახლდა. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, დაბრუნებულიყო სამეფო კარზე, შეიბანი ვერაფერს გახდა და მისი შაჰისადმი მიძღვნილი ყასიდები უპასუხოდ დარჩა. 1856 წელს მან მონაწილეობა მიიღო უფლისწულ სოლთან მორად მირზა ჰოსამ ას-სალთანეს ჰერათის ლაშქრობაში და გამარჯვების აღსანიშნავად უფლისწულს „ფათჰ-ნამე" („გამარჯვების წიგნი") მიუძღვნა. ჰოსამ ას-სალთანეს წიგნი მოეწონა და შეიბანი თავის მდივნად დანიშნა. მის თითქოს წარმატებულ კარიერას ისევ სამეფო კარის ინტრიგებმა შეუშალა ხელი: შეიბანის ინგლისელებთან მეგობრობასა და ჯაშუშობაში დასდეს ბრალი. გულაცრუებული შეიბანი უდაბნოში დასახლდა და ააშენა დასახლება „ეშყ-აბადი" („სიყვარულის დასახლება"), სადაც 24 წელი განმარტოებით გაატარა. აქ ის აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა და წერდა როგორც ლექსებს, ისე პროზაულ თხზულებებს. მისი ლექსები და, მათ შორის, ყასიდებიც პესიმისტური განწყობით გამოირჩევა, რაც სრულიად უცხოა ყასიდის ჟანრისათვის. ამ პერიოდსვე განეკუთვნება მისი ავტობიოგრაფიული პროზაული თხზულება „დორჯ-ე დორარ" („მარგალიტების ზარდახშა"), რომელიც ლიტერატურული ფსევდონიმით „აშოფთე-იე ბიაბანი" („უდაბნოელი მიჯნური") დაწერა. 1882 წელს უფლისწულ ჰოსამ ას-სალთანეს გაახსენდა თავისი ძველი კარისკაცი და შეიბანის ქალაქ მეშჰედის საქმეთა მმართველობა შესთავაზა. შეიბანი დათანხმდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ „ეშყ-აბადში" დაბრუნდა. თუმცა მისი იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა: ყაჩაღები თავს დაესხნენ „ეშყ-აბადს" და ის მიწასთან გაასწორეს. სამართლის საძებნელად შეიბანი თეირანში ჩავიდა და პირველი მინისტრის მირზა ალი ასყარ ხან ამინ ას-სალთანის დახმარებით

სამეფო კარს დაუბრუნდა. ამ დროს დაიწერა მისი სამი უმნიშვნელოვანესი თხზულება: „ფათჰ ო ზაფარ“ („დაპყრობა და გამარჯვება“), „განჯ-ე გოუჰარ“ („ძვირფასეულობის საგანძური“) და „ქამრანიე“ („ბედნიერება“), რომელთაგან პირველი ტახტის მემკვიდრე-უფლისწულს მოზაფარ ად-დინ მირზას მიუძღვნა, მეორე და მესამე კი – უფლისწულებს ზელ ას-სოლთანსა და ქამრან მირზას. თეირანში მან სახლი აიშენა, სადაც თავისთვის აკლდამა მოაწყო. გარდაიცვალა შეიბანი 1891 წელს და ის თავისივე აგებულ აკლდამაში დაკრძალეს.

შეიბანის ლექსების კრებული „მონთახაბ-ე შეიბანი“ („შეიბანის რჩეული ლექსები“) დაიბეჭდა 1890 წელს სტამბოლში, თბილისში ირანის გენერალური კონსულის მირზა რეზა ხან მო'ინ ალ-ვეზარას ძალისხმევით. თბილისისადმი მიძღვნილი ყასიდა, რომლის თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ, ავტორისეულ წინასიტყვაობაში შედის. როგორც ჩანს, ის პოეტმა სახელდახელოდ თბილისში გასაგზავნად და მირზა რეზა ხანის საამებლად დაწერა, რადგან მასში, თბილისის გარდა, ამ უკანასკნელის მშობლიური ქალაქი თავრიზიც არის ხოტბაშესხმული.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Montakhab az majmū'e-ye bayānāt-e Sheybānī, bar hasb-e eshāre-ye ...Mīrzā Rezā Khān Mo'īn al-Vezāra, Istanbul, 1308/1890, 3-4.

ლიტერატურა

მ. ალექსიძე, *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 2009, 22-23.

Yahyā Aryānpūr, *Az Sabā tā Nīmā*, j. 1, Tehran, 1351/1972, 133-144.

Doctor Ghanī, "Fathollāh Khān Sheybānī", *Āyandeh*, Vol.3, No. 1 (25), Tehran, 1323/1944, 30-37.

Jalīl Tajlīl va Zahrā Asadī, "Ahvāl va āsār-e Fathollāh Khān Sheybānī", *Faslnāme-ye takhassosī-ye zabān va adabīyāt-e fārsī*, Vol.7, No. 29, Tehran, 1390/2011.

M. Alexidze, „Le cheikh Sana'an et Tiflis/Tbilissi", ნიგნში: *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 80-81.

M. Alexidze, *Georgia and the Muslim East in the Nineteenth Century: Studies in the History of Culture, Religion and Life*, Tbilisi, 2011, 39-41.

G. Beradze, "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition", *Journal of Persianate Studies*, Vol. 1, No. 2, Leiden & Boston, 2008, 210.

Y. Rypka, "Geschichte der neupersischen Literatur bis zum Beginn des 20. Jahrhunderts", ნიგნში: *Iranische Literaturgeschichte*, von Yan Rypka, unter Mitarbeit von O. Klima, V. Kubichkova, Y. Bechka, Y. Cejpek, I. Hrbek, Leipzig, 1959, 333-334.

N. Ter-Oganov, "Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Madjd os-Saltaneh et Yahya Dowlatabadi", *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, Paris, 2009, 266.

Е. Э. Бертельс, *Очерк истории персидской литературы*, Ленинград, 1928, 99-102.

Р. Левковская, В. Никитина, "Литература Ирана", *Литература Востока в новое время*, Москва, 1975, 214-219.
Ю. Марр, К. Чайкин, *Письма о персидской литературе*, Составление сборника, редакция текста, предисловие и примечания С. Марр и А. Гвахария, Тбилиси, 1976, 50-53.

ყასიდა

ამქვეყნად სიბრძნე თავრიზიდან და სილამაზე საქართველოდან მოდის,
რა მშვენიერია ქალაქი, რომელსაც სიბრძნეც აქვს და სილამაზეც.

როგორ ვიფიქრებდი, რომ ერთ ადგილას შეიყრებოდა
თავრიზელების სიბრძნე და ქართველების სილამაზე.

ქართველების სილამაზე მარიამიდან მოდის,
თავრიზელების სიბრძნეს შამს ად-დინის[691] ნიშანი აზის.

სადაც ასეთი ღვთიური ელვარების მქონე სიბრძნე და სილამაზეა,
სამოთხეც იქ არის, იცოდე.

მაშ, სამოთხე დღეს მხოლოდ თბილისში ყოფილა,
აქ სილამაზეს მახე დაუგია და სიბრძნეს დაუსადგურებია.

ეი, დილის ნიავო, თუ რეიდან[692] საქართველოში წახვალ,
შეიბანის ეს გზავნილი სამოთხეში ჩაიტანე:

შენი გულწარმტაცების ტყვეობაშია ქრისტიანიც და მუსლიმიც,
შენი სიბრძნის ღრუბლიდან ყველა გულს მარგალიტები აწვიმს.

შენი თბილისი პარიზივით და პეკინივით სახელგანთქმულია
სილამაზით, სიბრძნით და უსაზღვრო ძლიერებით.

შენს იმპერატორზე უფრო ძლევამოსილი ვინ არის?
შენი ყაფის მთაზე[693] უფრო მაღალი მცველი რომელია?

შენი სიბრძნის მზეზე უფრო მეტად რა ელვარებს?
მისი სხივები წმინდანისა და უწმინდურის თვალის სინათლეა.

---

691 იგულისხმება შამს ად-დინ თაბრიზი (1186–1248) – ცნობილი ირანელი მისტიკოსი, დიდი ირანელი პოეტის ჯალალ ად-დინ მოულანა რუმის სულიერი მეგობარი.

692 რეი ძველი ქალაქია თეირანიდან ათიოდე კმ-ით სამხრეთით.

693 იხ. შენიშვნა 40.

არც ერთ ეპოქაში ასეთი ბრწყინვალება და წყალობა არ გქონია,
როგორც ამ ძლევამოსილი შაჰინშაჰის საუკუნეში.

უსაზღვრო სილამაზე გქონდა, მაგრამ არ გქონდა სიბრძნე,
ახლა სიბრძნეც გაქვს და სილამაზეც.

რადგან ღმერთმა სილამაზე და სიბრძნე გიწყალობა,
ამ წყალობისთვის მადლობა თქვი და დააფასე.

მოხუცმა შეიბანიმ შეიხ სანაანის დრო გაიხსენა და ისურვა,
რომ ლამაზმანებმა იგი ღორების კოლტის მწყემსად[694] აქციონ.

დაე, ქვეყნად ლამაზმანების ღორების მწყემსვისთვის
ის ნელ-ნელა ცაზე ავიდეს.

თუ გულს სამუდამოდ მიაჯაჭვებს ქრისტიანის ზილფს,
ეს საქციელი მას ცაზე ასვლაში დაეხმარება,

იმისათვის, რომ ცაზე იესოს მიუახლოვდე,
აქ ქრისტიანის ფერხთით თავი უნდა დახარო.

გავუგზავნიდი თბილისელ ქრისტიანებს ამ სიტყვებს,
რომ არ მეშინოდეს აზერბაიჯანელი თურქებისა.

რადგან იტყვიან ჩემზე, რომ მოხუცი ისლამის გზას განუდგა,
ქრისტიანის სიყვარული აქვსო გულში მალულად.

მარიამივით ლამაზსახიანმა ქრისტიანმა გოგონამ
იგი თავისი ღორების კოლტის მწყემსად აქციაო.

ეი, შენ, უთხარი თავრიზელებს, რომლებმაც არ იციან,
რომ ქრისტიანმა გოგონამ წამართვა სული და გონება:

დღისით ღორებს ვმწყემსავ, ღამღამობით კი მის კარს
ვდარაჯობ, თვალთაგან გულის სისხლის მფრქვეველი.

ჯვარსაც ვეთაყვანები და ეკლესიაშიც დავდივარ
ხან მუსლიმთაგან დაფარულად და ხან აშკარად.

---

[694] ლეგენდის მიხედვით, ქრისტიან გოგოზე გამიჯნურებულ შეიხ სანაანს მიჯნურმა გამოსაცდელად მუსლიმისთვის მიუღებელი სამი რამ მოსთხოვა: დერვიშის სამოსის გახდა, ღვინის დალევა და ღორების კოლტის მწყემსვა. იხ. შენიშვნა 50.

მუსლიმი *ფაკიჰებიდან* არავინ დამეხმარა,
რათა ღორების მწყემსვის გასამრჯელოდ მისგან ერთი კოცნა მიმეღო.

ახლა მას გასამრჯელოს გარეშე ვემსახურები,
იქნებ როცა გამომცდის, თავის მიჯნურად ჩამთვალოს.

მიჯნურის გამოცდა იმ სატრფოს შვენის, რომელიც
თან ჩუქნის და თან ართმევს სულს მიჯნურს.

მე ქრისტიან სატრფოს სული უშიშრად მივეცი,
რადგან ის იესოს მსგავსად უანგაროდ აღადგენს მკვდრეთით.

ჩემი რელიგია იმ მთვარისსახიანის რელიგიაა და გამწარებული ვცდილობ,
რომ მისი გამძვინვარებული სპილოს ფეხქვეშ დამელეწოს ძვლები.

რადგან ბოლოს, განკითხვის დღეს ამ სიყვარულისთვის
იესო მიშუამდგომლებს მუჰამედის ტახტის წინაშე.

ზაჰირ ად-დოულეს „ბორჟომიეს“ ციკლის ლექსები

ზაჰირ ად-დოულეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ამჯერად მხოლოდ მის „ბორჟომიეს“ (პოეტი ამ ტოპონიმს რუსულ ყაიდაზე მოიხსენიებს) ციკლის ლექსებზე შევჩერდებით.

„ბორჟომიეს“ ციკლის ლექსები შედის ზაჰირ ად-დოულეს პოემაში „ვარედათ“ („ქრონიკები“), რომელიც გალექსილი მოგონებების კრებულს წარმოადგენს. პოემა შედგება შინაარსობრივად დამოუკიდებელი მონაკვეთებისგან, რომელთაგან თითოეული კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტთან არის დაკავშირებული. პოემას ხსნის ბორჯომში დაწერილი ლექსები – მესნევი (108 ბეითი) და ყითა (9 ბეითი). მონაკვეთებს, ისევე, როგორც მათში შემავალ ლექსებს, სახელები არა აქვს. გვიანდელ გამოცემებში მათ პირობითი სახელები ჰქვია: მესნევის – „1322 წლის 12 ჯუმადა ალ-ულა რუსეთის ბორჯომში“, ხოლო ყითას – „1327 წლის ჯუმადა ას-სანი რუსეთის ბორჯომში“, ანუ პირველი 1904 წლის 3 აგვისტოს, მეორე კი 1909 წლის ივნისივლისშია დაწერილი. ცნობილია, რომ 1909 წელს ეს ლექსები „ბორჟომიეს“ სახელით თეირანში ცალკე წიგნად გამოიცა და მასში მესნევისა და ყითას გარდა, ორი რობაიც შედიოდა. სამწუხაროდ, ჩვენ ეს გამოცემა ვერ მოვიპოვეთ, ხოლო ჩვენს ხელთ არსებული თხზულება "ხათერათ ვა ასნად-ე ზაჰირ ად-დოულე“ („ზაჰირ ად-დოულეს მოგონებები და დოკუმენტები“), რომელშიც ეს პოემაც შედის, მხოლოდ მესნევითა და ყითათი შემოიფარგლება.

„ბორჟომიეს“ მესნევი კონკრეტულ ფაქტზე – 1904 წელს ბორჯომის პარკში ზაჰირ ად-დოულესა და ირანელი მოხეტიალე დერვიშის შეხვედრაზე მოგვითხრობს. მესნევი მონაზარეს ფორმით არის დაწერილი და მასში გადმოცემულია ავტორისა და ფაკირის გაბაასება ამქვეყნად გამეფებულ სოციალურ უთანასწორობაზე და ღმერთის უსამართლობაზე. ლექსში ბორჯომი, კონკრეტულად კი ბორჯომის პარკი წარმოადგენს კონტრასტულ ფონს ცხოვრებაზე ხელჩაქნეული დერვიშის მდგომარეობის წარმოსაჩენად. ქვემოთ მოვიყვანთ მესნევის მხოლოდ იმ ნაწილის თარგმანს, რომელშიც ბორჯომია ნახსენები. რაც შეეხება ყითას, ის სუფიური ლექსის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს, რაზეც ის ფაქტიც მიუთითებს, რომ ავტორმა თახალუსად გამოიყენა თავისი მოძღვრისა და შეიხის საფი ალიშაჰის სახელი, რაც სუფიურ პოეზიაში კარგად ნაცნობი ხერხია.

ზაჰირ ად-დოულეს „ბორჟომიეს“ ციკლის ლექსები არც მაღალი მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა და არც ორიგინალურობით. ყაჯარული პერიოდის ურიცხვ პოეტურ ქმნილებათა შორის მათ მოკრძალებული ადგილი უკავია. მწირია ისინი ინფორმაციული თვალსაზრისითაც და, გარდა ზოგადი აღტაცებული განწყობისა, არაფერ კონკრეტულს ბორჯომის შესახებ არ გვამცნობს. თუმცა ეს ლექსები საყურადღებოა, როგორც მრავალფეროვანი სპარსულ-ქართული კონტაქტების კიდევ ერთი უჩვეულო გამოვლინება. როგორც ჩანს, ეს არის მხატვრულ ლიტერატურაში პირველი მოხსენიება ბორჯომის ახლადგაშენებული ბაღისა.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

Khāterāt va asnād-e Zahīr ad-Doule, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1351/1972, 473-477.

ᲫᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ

ᲛᲔᲡᲜᲔᲕᲘ

(1322 წლის 21 ჯუმადა ალ-ულა (1904 წლის 3 აგვისტო) რუსეთის ბორჯომში)

ბორჯომში ვნახე ირანელი *ფაკირი*
ცხოვრებისგან დაღლილი და ნაღვლიანი.

მდინარის პირას ჩანჩქერის ძირში
ხალხისგან მოშორებით იჯდა.

მას დარდიანად თავი ჩაექინდრა,
როცა დამინახა, თავი ასწია.

წამოდგა, მომესალმა და სიყვარულით მომიკითხა,
ერთი საათი მასთან საუბარში გავატარე.

ვკითხე: რა გაწუხებს, რომ ასეთ ადგილას
ყველასგან განმარტოებით დამჯდარხარ?

რა საფიქრალი გაქვს, რომ თვით რუსეთის ბორჯომშიც კი
ამ ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიე?

გული რატომ ჩაგიხვევია ლამაზმანის ნაწნავივით?
აფორიაქებული ხარ და თვალები ავადმყოფს მიგიგავს.

ასე დარდიანად რაზე ჩაფიქრებულხარ?
აშლილხარ, როგორც სატრფოს თმები.

თმის კულულივით მოუსვენრად რატომ ხარ?
იგრიხები, როგორც თავგაჩეჩქვილი გველი.

ყალანდარი იყავი და დიდსა და მცირეზე ნუ ფიქრობ,
ეს ფიქრები მოიშორე, იყავი დერვიში.

შეხედე ამ სამოთხის მსგავს *პარკს* (pärk),
მასში ჰურიების დარი მხიარული ლამაზმანები დადიან.

შეხედე მათ ტკბილ მომღიმარ ბაგეებს,
რომლებიც დარდიანებს სევდას უქარვებენ.

შეხედე, სამოთხის მსგავსად ყველგან ნაკადულები მოჩუხჩუხებს,
შემოქმედმა ისინი დარდის საზღაურად გვინყალობა.

შეხედე სისხლივით წითელ ლალის ბაგეებს,
რომლებიც ახლადგაფურჩქნული ნამიანი კოკრების დარია.

შეხედე, დღის სინათლე დაუბნელებია
ლამაზმანების მერცხლის ფრთასავით შავ ზილფებს.

შეხედე, ყოველ მხარეს მხიარული სიცილით დარბიან
მოლაპარაკე მზეები და მთვარეები.

აქ ერთმანეთში არეულან ბებრები და ახალგაზრდები,
აქ ემირი და გლახაკი თანასწორია.

აქ არავინ არავის ავიწროვებს და ჩაგრავს,
აქ ყველა სულით და გულით მხიარულობს.

მართალს გეუბნები, დერვიშო,
ყური დამიგდე და დარდები მოიშორე.

აქ სამოთხეა და დარდის ადგილი არ არის,
აქ არავინ ერევა ერთმანეთის საქმეში.

გინდ საიქიო და სააქაო
ორივე ერთად დაკარგო,

. თუ დერვიში ხარ, არ უნდა იდარდო.
ყოველი მონაპოვარი წარმავალია, უბრალო რამეზე ნუ ინაღვლებ.

სამყარო და ყველაფერი, რაც მასშია, არარაობაა,
ერთი მუჭა არარაობისთვის რას დარდობ?...

ყითა

(1327 წლის ჯუმადა ას-სანი (1909 წლის ივნის-ივლისი) ბორჯომის რუსეთში)

გულო, თუ გამიჯნურებული ხარ,
შენი სატრფო სად არის?

დარდის, სევდისა და წუხილის ზღვაში
თუ თმენის გემი ხარ, შენი ღუზა სად არის?

შენ ამბობდი, სამყარო ჩემი ფრთის ქვეშ არისო,
სად წავიდა შენი სიდიადე და ბრწყინვალება?

ჰოი, ლოთების მერიქიფევ, სადა ხარ?
შენი ღვინო, ნულლი[695] და თასი სად არის?

წყურვილით სული დამენვა,
ჩვენი მერიქიფე და მისი ქოუსარის[696] წყალი სად არის?

შენმა მონამ თავი დაკარგა,
მეფეთ მეფეო, შენი თავი და გვირგვინი სად არის?

სევდის ლაშქარმა გული დაიპყრო,
შენი ლაშქარი და მთავარსარდალი სად არის?

ღამესავით დაბნელდა ჩემი წუთისოფელი,
შენი მზის შუქი სად არის?

საფა ლაპარაკობდა, წელი გავიდა და ერთ დღეს
ვეღარ ჰკითხე: შენი მსახური სად წავიდა, სად არის?

---

695 ნულლი აღმოსავლური ტკბილეულობაა, რომელიც დაშაქრული თხილის, ფსტისა და ნუშის ნარევს წარმოადგენს.

696 ქოუსარი მუსლიმური აღმოსავლეთის მითოლოგიაში სამოთხის წყაროს ჰქვია.

მირზა სადეყ ყარაბაყი

XIX საუკუნეში მოღვაწე ყარაბაღელი მირზა სადეყის (მირზა სადეყ იბნ იმან ხან ყარაბაყი) დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. წყაროთა მონაცემებით, იგი გატაცებული იყო პოეზიით, შესანიშნავად ერკვეოდა კლასიკურ სპარსულ პოეზიაში, ზეპირად იცოდა ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ვრცელი მონაკვეთები და თვითონაც თხზავდა ლექსებს სპარსულ ენაზე. მისი რამდენიმე ლექსი ციტირებულია მოჰამად მოშთარის *თაზქერეში* „რიაზ ალ-'აშეყინ“ („მიჯნურთა ბაღები“), რომელიც გამოიცა 1910 წელს სტამბოლში. ამ ლექსთაგან ერთ-ერთი ეძღვნება „თბილისელ ლამაზმანებს“, ხოლო მეორე – ეკლესიას. ეს ლექსები შესულია აზიზ დოულათაბადის მიერ შედგენილ და 1991 წელს თეირანში გამოქვეყნებულ ანთოლოგიაში „კავკასიის სპარსულენოვანი პოეტები“.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

'Azīz Doulatābādī, *Sarāyandegān-e she'r-e fārsī dar Qafqāz*, Tehran, 1370/1991, 185.

ლიტერატურა

'Azīz Doulatābādī, *Sarāyandegān-e she'r-e fārsī dar Qafqāz*, Tehran, 1370/1991, 185.
Bahrām Amīr Ahmadīyān, *Gorjestān dar gozar-e tārīkh*, Tehran, 1383/2004, 353.

[თბილისისადმი მიძღვნილი ლექსები

[თბილისელი ლამაზმანების აღწერა]

გამთენიისას, მანათობელი მზის ამოსვლამდე,
როცა ვარსკვლავები იძინებენ,

ყოველი მხრიდან მზის დარი პირმთვარეები
გამოდიან ჯემშიდის ჯამით[697] ხელში.

---

[697] ჯემშიდის ჯამი – მეფე ჯემშიდის ლეგენდარული ჯამი, რომელშიც, გადმოცემით, მთელი სამყარო ჩანდა. ჯემშიდის ჯამი სპარსულ პოეზიაში ღვინის ჯამის მეტაფორას წარმოადგენს, ხოლო სუფიურ პოეზიაში – განდობილის გულის მეტაფორას.

რა მშვენიერები არიან მთვარისსახიანები,
რა წარმტაცები არიან ჰურიისსახიანი გოგონები.

მხრებზე დალალები დაუყრიათ,
უმეტესობას მიჯნურებზე გლოვის ნიშნად შავები აცვია.

კისერზე ხელები შემოუჭდიათ,
ვარდის ტოტების მსგავსად ხელები ერთმანეთში გადაუხლართავთ.

დილის ბინდბუნდში მკერდი
ბროლივით უელავთ.

ქუდი თავზე კეკლუცად დახრილად ახურავთ,
მზისა და მთვარის მსგავსად ჩნდებიან...[698]

[ეკლესიის აღწერა]

მისი მიწა უზენაესი სამოთხიდან ხომ არ არის,
მასში მუდამ ჰურიები რომ ჩნდებიან.

მისი კარის თაყვანსაცემად
ყოველ დილით მიწაზე მზე ჩამოდის.

ნუ იტყვი, რომ მეჩეთი თავისი არსით მისგან განსხვავდება,
რადგან ორივეს მიწა ერთი წარმომავლობის არის.

გინდ მეჩეთი იყოს, გინდ კერპთაყვანისმცემელთა ტაძარი და
გინდ ეკლესია,
თუ ყველა [მლოცველი] ღმერთისკენ მიისწრაფვის.

მართლმორწმუნეებიცა და კერპთაყვანისმცემლებიც,
ყველანი ერთი სატრფოს სიყვარულის ფიალიდან ვთვრებით.

---

698 როგორც ჩანს, ლექსი გაცილებით ვრცელი იყო და აზიზ დოულათაბადის მისი მხოლოდ ნაწყვეტი მოაქვს.

ვაფა დაღესთანი

მეჰდიყოლ ხან დაღესთანი, ცნობილი თახალუსით „ვაფა" („ერთგულება"), დაღესტანში მცხოვრები ერთ-ერთი წარჩინებული ოჯახიდან იყო. მამამისი ხასა დაღესთანი წყაროებში *კნიაზად* მოიხსენიება. მისი საგვარეულო თავის გენეალოგიას ჩინგიზ ხანს უკავშირებდა და თავს მის შთამომავლებად აცხადებდა. ვაფა დაღესთანი ფრიად განსწავლული პიროვნება იყო, განსაკუთრებით კარგად ერკვეოდა ლოგიკაში, ისტორიასა და ლიტერატურაში. მას საგანგებოდ ჰქონდა შესწავლილი პოეტიკისა და ლექსთწყობის საკითხები, თვითონაც გატაცებული იყო პოეზიით და თხზავდა ლექსებს უმთავრესად სპარსულ ენაზე. გარდაიცვალა იგი 1900 წლის 21 სექტემბერს. იმდროინდელ *თაზქერეებში* ციტირებულია ვაფა დაღესთანის სამასამდე ბეითი (სპარსული ყაზალები, რობაიები და სხვა). ამ ლექსების ნაწილი შესულია აზიზ დოულათაბადის მიერ მომზადებულ და 1991 წელს თეირანში გამოქვეყნებულ ანთოლოგიაში „კავკასიის სპარსულენოვანი პოეტები". მათ შორის ორი პატარა ლირიკული ლექსი (ჯამში 6 ბეითი) ეხება თბილისს.

ბიბლიოგრაფია

ტექსტი

'Azīz Doulatābādī, *Sarāyandegān-e she'r-e fārsī dar Qafqāz*, Tehran, 1370/1991, 338-339.

ლიტერატურა

'Azīz Doulatābādī, *Sarāyandegān-e she'r-e fārsī dar Qafqāz*, Tehran, 1370/1991, 337-341.

Bahrām Amīr Ahmadīyān, *Gorjestān dar gozar-e tārīkh*, Tehran, 1383/2004, 352-353.

Bahrām Ma'sūmī, "Teflis", *Dāneshnāme-ye adab-e Fārsī*, Vol. 5, be ehtemām-e Hasan Anūshe, Tehran, 1382/2003, 167.

[თბილისისადმი მიძღვნილი ლექსები]

* _ *

ქალაქი თბილისი ჩემი სატრფოს სამშობლოა,
მისი მიწა ჩემი სნეული გულის ჭრილობის მალამოა.

მისი მიწა თითქოს ხოთანის[699] მუშკით სავსე თასია,
მისი ჩინჩხვარი ჩემთვის ვარდნარია.

---

[699] ხოთანი ქალაქია დასავლეთ ჩინეთში. ის შესანიშნავი მუშკითა და ქსოვილებით იყო ცნობილი.

ამ ქალაქში ბევრი ტიტისლაწვიანი და საროსტანიანი ლამაზმანია,
მაგრამ მათში ყველაზე საყვარელი ჩემი სატრფოა.

• _ •

ნეტავ, მონადირემ ჩემი ნაღველი გაიხსენოს,
შემიცოდოს და გალიიდან გამანთავისუფლოს.

მთელი ჩემი ბედნიერება მის ბედნიერებასა და სიხარულშია,
რა მოხდება, თუ შემეხმიანება და გულს გამიხარებს.

თუ ვაფა თბილისში სწავლებას მოისურვებს,
მაჯნუნს[700] სიყვარულს ასწავლის და [სიყვარულის] ოსტატად აქცევს.

---

700 არაბულ-ირანული (და, საზოგადოდ, ახლოალმოსავლური) ეპოსის გმირი, რომელიც შმაგი მიჯნურის სიმბოლოს წარმოადგენს.

ლექსიკონები

უცხო ტერმინთა ლექსიკონი[701]

აბგუშთი – ხორცის სუპი ბარდითა და ლობიოთი.

აზანი – ლოცვისკენ მოწოდება, რომელსაც მუეძინი მინარეთიდან ნარმოთქვამს.

არზა – თხოვნა, პეტიცია.

აშურა – სამგლოვიარო დღე შიიტთა მესამე იმამის, ალის ვაჟის, ჰუსეინის მოსახსენიებლად, რომელიც ძმასთან – აბასთან და 70 თანამებრძოლთან ერთად ჰიჯრის 61 წლის 10 მუჰარამს / 680 წლის 10 ოქტომბერს დაიღუპა ქერბალასთან (ერაყი), ომაიანებთან ბრძოლაში.

ახუნდი – მუსლიმი სასულიერო პირი.

ბალახანა – ოთახი ზედა სართულზე, ანტრესოლი.

დოლაბი – კედლის კარადა, საკუჭნაო. „კედელში დატანებული თახჩა ან თარო; პაწია განჯინა ან საკუჭნაო, საჭურჭლე" (ი. გრიშაშვილი, *ქალაქური ლექსიკონი*, თბილისი, 1997, 86).

დული – ადღვებილი წყალნარევი მაწვნის გამაგრილებელი სასმელი.

დუშაბი – მოხარშული ყურძნის წვენი.

ენდერუნი – ირანულ სახლში ქალთა ოთახები.

ვილაიეთი – ქვეყანა, მხარე, პროვინცია.

ზარაფხანა – საზარაფო, ფულის მოსაჭრელი და შესანახი ადგილი.

ზურხანა – არენა, სადაც მუსიკის თანხლებით ტრადიციული ირანული სპორტული თამაშები იმართება.

თახალუსი – ლიტერატურული ფსევდონიმი, რომელსაც, ჩვეულებრივ, პოეტი ლექსის ბოლო ბეითში – მაყთაში ახსენებდა.

თახჩა – კედლის ნიშა, რომელიც თაროს ფუნქციას ასრულებს.

თოღრა – მეფის სიგელის თავში მონოგრამატულად. დაწერილი მეფის სახელი.

იყთა (არაბ. იკტა') – ნაწყალობევი მიწა.

ლაყაბი – 1. მეტსახელი, შერქმეული სახელი; 2. ტიტული, წოდება.

მავაში – საქონლის გადასახადი.

მინბარი – კიბეებიანი კათედრა საკრებულო მეჩეთში, საიდანაც იმამი ქადაგებებს კითხულობს და პარასკეობით სრულდება ხუტბა.

მიჰრაბი – ნიშა მეჩეთის კედელში, რომელიც მექას მიმართულებას (ყიბლას) მიუთითებს.

---

701 ეს სიტყვები ტექსტში იტალიკით არის გამოყოფილი.

მოქარაიე – ირანული ოთხთვალა, რომელშიც სასაპალნე ცხენებია შებმული.
მოჯაჰედი – რწმენისთვის მებრძოლი.
მოჯთაჰედი – შიიტი კანონმცოდნე, მაღალი რანგის სასულიერო პირი.
მუჰაჯირობა – ისლამის სხვადასხვა მიმართულებისა და სექტის წარმომადგენლების მიერ, რწმენის შენარჩუნების მიზნით, საკუთარი სურვილით თუ იძულებით, სამშობლოს დატოვება და სხვა ქვეყანაში გადასახლება.
ნაბათი – კრისტალიზებული შაქარი.
ნოურუზი – ირანული ახალი წელი, რომელიც გაზაფხულის ბუნიობას, 21 მარტს ემთხვევა.
როუზე – შიიტი იმამების მოწამეობრივი სიკვდილის ისტორიების საჯარო თხრობა.
როუზეხანი – შიიტი იმამების მოწამეობრივი სიკვდილის ისტორიების საჯაროდ მთხრობელი.
საბზა – ქიშმიშის სახეობა ღია ფერისა.
ფაკიჰი – მუსლიმი სამართალმცოდნე-ღვთისმეტყველი, მუსლიმური სამართლის ფიკჰის მცოდნე.
ფეშქეში – საჩუქარი, ძღვენი, რომელსაც მაღალი თანამდებობის პირებს მიართმევენ.
ფიკჰი – მუსლიმური კანონმდებლობა.
ფირმანი – ბრძანება, განკარგულება.
ქამარჩინი – ძველი ირანული სურთუკი.
ქოლიათი – თხზულებათა სრული კრებული.
ყაბა – აღმოსავლელი მამაკაცის ფართო, გრძელსახელოებიანი პერანგი.
ყალამდანი – საკალმე, პენალი.
ყალამქარი – ხელით დაჩითული ნაჭერი, ძირითადად, ტილო, ჩითი ან აბრეშუმი. „ლამაზი უზორებით დაჩითული აბრეშ. მატერია, რომელსაც უფრო საბნის პირისთვის ხმარობენ“ (ი. გრიშაშვილი, დასახ ნაშრომი, გვ. 237).
შაჰნეშინი (სპ. შაჰის დასაჯდომი) – საპატიო დასაჯდომი, ამაღლებული ადგილი, სადაც შაჰი და მისი დაახლოებული პირები სხდებოდნენ.
შერბეთი – ხილის წვენის გამაგრილებელი სასმელი.
ჩარვადარი – ეტლი, რომელშიც საპალნე ცხოველებია შებმული.
ჩაყჩური – აღმოსავლელი ქალის ფართო შარვალი, რომელიც ქვევით ვიწროვდება.
ჩელოვი – მოხარშული ბრინჯის კერძი.
ჩელოუ ქაბაბი – მწვადი მოხარშული ბრინჯის გარნირით.
ჩელოუ ხორეში – ტომატში მოთუშული წვრილად დაჭრილი ხორცი და ბოსტნეული ბრინჯის გარნირით.
ჯაბახანა – საჯაბადრო, არსენალი, ადგილი სადაც იარაღსა და თოფის წამალს ინახავენ.
ჯიჰადი – მუსლიმურ ქვეყნებში ომი სარწმუნოებისთვის, „საღვთო ომი“.
ჯუჯე ქაბაბი – ქათმის მწვადი.
ჰეჯაბი – აღმოსავლელი ქალის თავსაბურავი, ჩადრი.

აბდარი – მსახური, რომელსაც წყლის მიწოდება და ჩაის მომზადება ევალება.
ალ-ა'ზამი – პირველი მინისტრის საპატიო ტიტული.
ალამდარი – მედროშე.
ამირ ალ-ომარა – პირველი მინისტრის საპატიო ტიტული.
ამირ თუმანი – დივიზიის უფროსი ირანის არმიაში, დივიზიის გენერალი.
აქასბაში – მთავარი ფოტოგრაფი.
ბაში – ადმინისტრაციული ან სამხედრო უწყების ხელმძღვანელი.
ბეგლარბეგი – ირანის პროვინციების ადმინისტრაციული და პოლიციური ჩინი.
დარუღა – პოლიციის უფროსი, იგივე პოლიცმაისტერი.
დეჰბაში – ათისთავი.
დილმაჯი / დილმაჩი (გერმ. Dolmetscher, რუს. толмач) – თარჯიმანი.
ვაზირ მოხთარი – სრულუფლებიანი ელჩი.
ვალიაჰდი – ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის ტიტული.
ზინდარბაში – მთავარი მეჯინიბე.
თაბათაბაი – წინასწარმეტყველ მუჰამედის შთამომავალი ორივე მშობლის ხაზით.
თარაშბაში – უფროსი დალაქი.
თოჯარბაში – ვაჭრების უფროსი, ვაჭართუხუცესი.
იმამ ჯომ'ე – პარასკევის იმამი, პარასკევის მეჩეთის იმამი.
იშიქაყასი – სასახლის ცერემონმაისტერი, ადრინდელი მანდატური.
იშიქაყასიბაში – სასახლის მთავარი ცერემონმაისტერი, ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელი, ადრინდელი მანდატურთუხუცესი.
მაშჰადი ან მაშდი – ტიტული პირის, ვინც მეშჰედში იმამ რეზას საფლავი მოილოცა.
მეჰმანდარი – მესტუმრე, ოფიციალური პირი, რომელსაც სახელმწიფოს ოფიციალური სტუმრების მიღება და მასპინძლობა ევალება.
მეჰმანდარბაში – მეჰმანდარების უფროსი, მესტუმრეთუხუცესი.
მინბაში – ათასისთავი.
მირახორი – მთავარი მეჯინიბე.
მირზა – მწერალი, მდივანი. სახელწოდებაში სახელის წინ აღნიშნავს მწერალს, მასწავლებელს, მოხელეს და მისთ., სახელის შემდეგ – ბატონიშვილს, უფლისწულს.
მირფანჯი – ბრიგადის გენერალი ირანის არმიაში.
მონაჯემბაში – მთავარი ასტროლოგი.
მონში – მდივანი, საქმეთა მწარმოებელი.
მონშიბაში – მთავარი საქმეთა მწარმოებელი, კანცელარიის უფროსი.
მოსთოუფი – ანგარიშმწარმოებელი, საფინანსო უწყების გამგე, საფინანსო კონტროლიორი.
მოყარაბ ალ-ხაყანი – შაჰის დაახლოებული პირის ტიტული.
მოყარაბ ალ-ჰაზრათი – შაჰის დაახლოებული პირის ტიტული.
მუეძინი – პირი, რომელიც მეჩეთის მინარეთიდან მორწმუნეებს ლოცვის დროს ამცნობს და სალოცავად მოუწოდებს.
მუფთი – მეფის რუსეთში, კერძოდ, ამიერკავკასიაში სუნიტური სასულიერო წოდების მეთაური.
ნაზერი – საქმეთა მმართველი, ზედამხედველი.
ნაიებ ას-სალთანე – ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის ტიტული.

როუზეხანი – მთხრობელი, რომელიც სპეციალურ თავყრილობაზე (როუზე ხანიზე) საჯაროდ ყვება შიიტი იმამების მოწამეობრივი სიკვდილის ისტორიებს.
რუზნამეხანი – პირი, რომელიც შაჰს გაზეთებს (ძირითადად, უცხოენოვანს) უკითხავს.
სადრ ა'ზამი – დიდი ვეზირი, პირველი მინისტრი.
სართიფი – ირანის არმიის ბრიგადის გენერალი.
საჰიბი / საიბი – ბატონი, მბრძანებელი.
სეიდი – წინასწარმეტყველ მუჰამედის შთამომავალის ტიტული.
ფარაში – წარჩინებული პირის დაცვის ჯარისკაცი.
ფარაშბაში – ფარაშების უფროსი ანუ დაცვის უფროსი.
ფარაშხალვათი – მესაწოლე, კამერდინერი.
ქალანთარი – ქალაქის თავი, ქალაქის პოლიციის უფროსი.
ქეთაბხანი – პირი, რომელიც შაჰს წიგნებს უკითხავს.
ქაშიქჩი – დაცვის უფროსი.
ყადი – მუსლიმი მოსამართლე.
ყაიემ მაყამი – მეფის ნაცვლის ან თანაშემწის ტიტული.
ყალაბეგი – იგივე კომენდანტი, ციხე-ქალაქის ან ციხის უფროსი.
ყალთაგირი – შიკრიკი.
ყაჰვეჩი – მსახური, რომელსაც ყავის დამზადება ევალება.
ყაჰვეჩიბაში – ყავის დამამზადებელ მსახურთა უფროსი.
შარბათდარი – მსახური, რომელსაც შარბათის დამზადება ევალება.
შეიხ ალ-ესლამი – მაღალი რანგის მუსლიმი სასულიერო პირი; ამიერკავკასიაში შიიტ მუსლიმთა წინამძღოლი.
ჩაიჩი – მსახური, რომელსაც ჩაის დამზადება ევალება.
ჩალვადარი – იგივე ფორეიტორი ანუ მხედარი, რომელიც ერთ უზანგში შებმულ ცხენებს მიუძღვება და პირველ ცხენზე ზის.
ჩაფარბაში – ფოსტის სადგურების (ჩაფარ-ხანეების) უფროსი.
ჰაფეზი – ყურანის ზეპირად მცოდნე და კომენტატორი.
ჰაქიმბაში – მთავარი ექიმი.
ჰაქიმი – ოლქის მმართველი, გუბერნატორი.

აღმოსავლური

აშრაფი – ირანული ოქროს მონეტა = 1 თუმანი.
გაზი – სიგრძის ერთეული ≈ 104სმ.
გერე – სიგრძის ერთეული = 6,5სმ
ზარ'ი – სიგრძის ერთეული ≈ 104სმ.
თანაბი – სიგრძის ერთეული = 7-8 მეტრი.
მანი – მასის ერთეული, ირანის სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია: თავრიზული მანი ≈ 3კგ., შაჰის მანი ≈ 6კგ., რეის მანი ≈ 12კგ.
სანგი – მასის ერთეული, გამდინარე წყლის რაოდენობა, დაახლოებით 14 ლიტრი წამში, რაც წისქვილის ერთი დოლაბის ამუშავებას სჭირდება.
სირი – მასის ერთეული ≈ 75გ.
ფანჯეზარი (სპ. ხუთი ათასი) – ხუთყერანიანი ვერცხლის მონეტისა და ათყერანიანი ოქროს მონეტის სახელი.
ფარა – ოსმალური ნვრილი ფულის ერთეული, რომელიც დასავლეთ საქართველოშიც იყო გავრცელებული.
ფარსანგი/ფარსახი – სიგრძის ერთეული = 6კმ.
ყადი – სიგრძის ერთეული, დაახლოებით შუა ტანის ადამიანის სიმაღლის (იხმარება, ძირითადად, სიღრმის გასაზომად).
ყერანი – ირანული მონეტა = 1 რიალი.
ყურუში – ოსმალური ფულის ერთეული, რომელსაც ბათუმში რუსეთთან შეერთების მერეც აქტიურად ხმარობდნენ = 40 ფარა.
შაჰი – ირანული ვერცხლის ფული = 50 დინარი = 1/20 ყერანი.
ჩარაქი – სიგრძის ერთეული = 1/4 ზარ'ი.
ხარვარი – მასის ერთეული = 300კგ.

რუსულ-ევროპული

არშინი – სიგრძის ერთეული = 71,1სმ.
დუკა = 3 ვერცხლის მანეთი (რუბლი).
ვერსი – სიგრძის ერთეული = 1066,8მ.
ვერშოკი – სიგრძის ერთეული =4,45სმ.
გირვანქა – მასის ერთეული ≈ 409,5გ.
გრანი – მასის ერთეული = 62,2 მლგ.
ზოლოტნიკი – მასის ერთეული =4,26გ.
იმპერიალი – ოქროს მონეტა = 10 ვერცხლის მანეთი (რუბლი).
მისხალი – მასის ერთეული =4,6გ.
რუბლი – ვერცხლის მანეთიანი.
საჟენი – სიგრძის ერთეული = 213,4სმ.
ფუთი – მასის ერთეული =16,38კგ.
ფუტი – სიგრძის ერთეული = 0,305მ.
ჩათვარი – სიგრძის ერთეული = 1/4 ვერსი.

ბიბლიოგრაფია

სპარსული ტექსტები

Afshār Orūmī, Mīrzā 'Abd al-Hoseyn Khān, *Safar-nāme-ye Makke-ye mo'azzame*, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1386/2007.

Aharī, Hājjī Mīr Āqā Naqīb al-Ashrāf, "Safar-nāme-ye Makke (1328-1329 qamarī)", *Payām-e Bahārestān*, Vol.2, No.12, Tehran, 1390/2011, 1568-1576.

Amīn ad-Doule, Mīrzā 'Alī Asghar Khān, "Safar-nāme-ye Makke", ნიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, j. 6, Tehran, 1389/2010, 285-668.

Bahman Mīrzā, *Shokr-nāme-ye Shāhanshāhī: Tārīkh-e shast-sāle-ye Qafqāz*, moqaddame, tashīh va yāddāshthā-ye Hoseyn Ahmadī, Tehran, 1384/2005.

Bokhārā'ī, Rahmatollāh Vāzeh, *Savāneh al-masālek va farāsekh al-mamālek*, be kūshesh-e Asghar Jānfedā, Dushanbe, 1988.

Bokhārā'ī, Rahmatollāh ebn Mollā 'Āshūr, "Safar-nāme-ye Makke", ნიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 4, 895-1037.

Do safar-nāme-ye hajj: Safar-nāme-ye hajj-e Abū'l-Qāsem Marjānī Ā'yīn Kalā'ī (1331 q.) va Tafsīl-e safar-e Makke-ye mo'azzame-ye Mīrzā Mohammad Khān Modīr ad-Doule (1321 q.), be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1387/2008.

Doulatābādī, Yahyā, *Hayāt-e Yahyā*, moqaddame, tashīh va ta'līqāt: Mojtebā Borzābādī Farāhānī, j. 3, Tehran, 1387/2008.

Dovvomīn safar-nāme-ye Mozaffar ad-Dīn Shāh be Farang, be tahrīr-e Fakh al-Molk, 'akshā az Mīrzā Ebrāhīm Khān 'Akkāsbāshī, Tehran, 1362/1983.

Farāhānī (Golbon), Mīrzā Mohammad Hoseyn, *Safar-nāme*, be kūshesh-e Hāfez Farmān Farmāyān, Tehran, 1342/1964.

Hedāyat (Mokhber as-Saltane), Hājj Mehdīqolī, *Gozāresh-e Īrān: Qājārīye va Mashrūtīyat*, moqaddame az Sa'īd Vazīrī, be ehtemām-e Mohammad 'Alī Sūtī, Tehran, 1363/1984.

Hedāyat (Mokhber as-Saltane), Hājj Mehdīqolī, *Khāterāt va khatarāt*, Tehran, 1375/1996.

Hedāyat (Mokhber as-Saltane), Mehdīqolī, *Safar-nāme-ye Makke*, be kūshesh-e Seyyed Mohammad Dabīrsīyāqī, Tehran, 1368/1989.

Hedāyat al-Hojjāj, Safar-nāme-ye Makke, ta'līf: Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Qom, 1386/2007.

Īrān-e dīrūz, Khāterāt-e Perens Arfa', Tehran, 1345/1966 (აგრეთვე: 1354/1975).

Javāher Kalām, 'Alī, "Dar madrase-ye Sheytān-Bāzār", *Yaghmā*, No. 18, Tehran, 1328/1949, 367-368.

Jūrābchī, Hājj Mohammad Taqī, *Safar-nāme-ye Makke*, be kūshesh-e Āqā 'Alī Qeysarī, Tehran, 1386/2007.

Kāshānī 'Andalīb, Mīr Taqī, *Dīvān-e 'Andalīb-e Kāshānī*, Istanbul, 1313/1895-96.

Kasmā'ī, Abū'l-Qāsem, "Khāterāti dar bāre-ye Mashrūtīyat va qayām-e Jangal", *Āyandeh*, Vol.17, No. 9-12, Tehran, 1370/1992, 724-736.

Kasmā'ī, Abū'l-Qāsem, *Khāterāt-e Abū'l-Qāsem Kasmā'ī*, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1385/2006.

Kasravī, Ahmad, *Zendegānī-ye man. Doure-ye nokhost-e zendegī-ye shādravān Kasravī (az kūdakī tā sī sālegī)*, Tehran, 1356/1977.

Khān Malek Sāsānī, Ahmad, *Yādbūdhā-ye sefārat-e Estānbūl*, Tehran, 1386/2007 (პირველად გამოიცა 1966 წელს).

Khāterāt-e 'Alī Javāher Kalām, be kūshesh-e Farīd Javāher Kalām, Tehran, 1382/2003.

Khāterāt-e Hājj Sayyāh yā doure-ye khūf va vahshat, be kūshesh-e Hamīd Sayyāh, be tashīh-e Seyfollāh Golkār, Tehran, 1346/1967.

Khāterāt-e Momtahen ad-Doule (Zendegī-nāme-ye Mīrzā Mehdī Khān Momtahen ad-Doule Shaqāqī), be kūshesh-e Hoseyn 'Alī Khān Shaqāqī, Tehran, 1353/1974.

Khāterāt-e Perens Arfa', be kūshesh-e 'Alī Dehbāshī, Tehran, 1378/1999.

Khāterāt-e sīyāsī-ye Mīrzā 'Alī Khān Amīn ad-Doule, be kūshesh-e Hāfez Farmān Farmāyān, Tehran, 1341/1962.

Khāterāt va asnād-e Zahīr ad-Doule, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1351/1972.

Khāterāt va ta'alommāt-e Doctor Mohammad Mosaddeq be qalam-e Doctor Mohammad Mosaddeq, bā moqaddame-ye Doctor Gholāmhoseyn Mosaddeq, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1365/1986.

Lesān al-Molk, Mohammad Taqī Sepehr, *Nāsekh at-tavārīkh (Tārīkh-e Qājārīye)*, be ehtemām-e Jamshīd Kīyānfar, 2 j., Tehran, 1377/1998.

Majd as-Saltane, "Vasf-e shahr-e Teflīs", წიგნში: მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1971, 53-113.

Majmū'e-ye safar-nāmehā-ye Mīrzā Sāleh Shīrāzī, be tashīh-e Gholāmhoseyn Mīrzā Sāleh, Tehran, 1364/1986.

Makhdūm Dānesh, Ahmad, *Resāle yā mokhtasari az tārīkh-e soltanat-e khānedān-e Manghetīye*, be sa'ī va ehtemām va tashīh-e 'Abd al-Ghanī Mīrzāyof, Stalinabad, 1960.

Marāgha'ī, Zeyn al-'Ābedīn, *Sīyāhat-nāme-ye Ebrāhīm Bīg yā balā-ye ta'assob-e ū*, Cairo, n.d.

Marāgha'ī, Zeyn al-'Ābedīn, *Sīyāhat-nāme-ye Ebrāhīm Bīg yā balā-ye ta'assob-e ū*, be kūshesh-e Bāqer Mo'menī, j. 1, Tehran, 2537=1357/1978.

Marjānī Ā'yīn Kalā'ī, Abū'l-Qāsem, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 739-802.

Masīr-e Tālebī yā safar-nāme-ye Mīrzā Abū Tāleb Khān, be kūshesh-e Hoseyn Khadīv-e Jām, Tehran, 1352/1973-74.

Mīrzā Dā'ūd Vazīr-e Vazāyef, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājāri*, j. 7, 441-666.

Mīrzā Dā'ūd Vazīr-e Vazāyef, "Tafsīl-e safar-e Makke-ye mo'azzame (Zādhā Allāh Sharafā)", be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, *Mīqāt-e Hajj*, Vol.16, No. 6, Tehran,1386/2007-2008.

Mīrzā Serāj ad-Dīn Hājjī Mīrzā 'Abd ar-Ra'ūf, *Tohaf-e ahl-e Bokhārā*, ba moqaddamei az Mohammad Asadīyān, Tehran, 1369/1990.

Mo'allef-e nāshenāxte, "Safar-nāme-ye 'Atabāt va Hajj", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 6, 681-821.

Mo'ayar al-Mamālek, Dūst'alī, "Hashtād o panj sāl-e zendegī dar chand safhe", *Yaghmā*, No. 132, Tehran, 1338/ 1959, 181-190.

Modīr ad-Doule, Mīrzā Mahmūd Khān, "Tafsīl-e safar-e Makke-ye mo'azzame", Ѳnqѳѳn: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 345-383.

Montakhab az majmū'e-ye bayānāt-e Sheybānī, bar hasb-e eshāre-ye ...Mīrzā Rezā Khān Mo'īn al-Vezāra, Istanbul, 1308/1890.

Mosāferat-e Teflīs: Gozāresh-e safar-e hey'at-e sīyāsī-ye Īrān be darbār-e emperātūr-e Rūsīye, neveshte-ye Mīrzā Mohammad Taqī Tabīb Kāshānī, be kūshesh-e Gīorgī Sānīkīdze, Seyyed Hoseyn Razavī Borqe'ī, Tehran, 1389/2010.

Mostoufī, 'Abdollāh, *Sharh-e zendegānī-ye man yā tārīkh-e ejtemā'ī va edārī-ye doure-ye Qājārīye*, 3 jeld, Tehran, 1384/2005.

Mo'tamad Dezfūlī, Farāmorz, *Tārīkh-e andīshe-ye jadīd-e īrānī (Safar-nāmehā-ye īrānīyān be Farang)*, daftar-e avval, Tehran, 1390/2011.

Nāyeb as-Sadr Shīrāzī, Mohammad Ma'sūm, "Safar-nāme-ye Makke, Tohfat al-harameyn va sa'ādat ad-dāreyn", Ѳnqѳѳn: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 293-538.

Ourang (Sheykh al-Molk), 'Abd al-Hoseyn, "Khāterāt-e gozashte", *Khāterāt-e Vahīd*, No. 13, Tehran, 1351/1972, 70-75; No. 16, Tehran, 1351/1972-73, 46-50; No. 19, Tehran, 1352/1973, 92-101.

Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, 8 jeld, Tehran, 1389/2010.

Qāchāq Karam, *Khāterāti az davāzdah sāl-e toghyān va yāghīgarī dar Qafqāz*, be kūshesh-e Sīrūs Sa'dūndyān, ba moqaddame-ye Rahīm Ra'īs Nīyā, Tehran, 1380/2001.

Qarāgozlū, Hājjī 'Abdollāh, *Majmū'e-ye āsār*, be kūshesh-e 'Enāyatollāh Majīdī, Tehran, 1382/2003.

Qarāgozlū, Hājjī 'Abdollāh, "Safar-nāme-ye Makke-ye mo'azzame", Ѳnqѳѳn: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 151-302.

Ra'īs az-Zākerīn, "Safar-nāme-ye hajj", Ѳnqѳѳn: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 303-344.

Rūz-nāme-ye khāterāt-e E'temād as-Saltane, vazīr-e entebā'āt dar avākher-e doure-ye Nāserī, marbūt be sālhā-ye 1292 tā 1313 hejrī qamarī, ba moqaddame va fahāres az Īraj Afshār, Tehran, 1345/1966.

Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e avval-e Farangestān, be kūshesh-e Fāteme Qāzīhā, Tehran, 1377/1998.

Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e dovvom-e Farangestān, be kūshesh-e Fāteme Qāzīhā, Tehran, 1379/2000.

Rūz-nāme-ye khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e sevvom-e Farangestān, be kūshesh-e Mohammad Esma'īl Rezvānī va Fāteme Qāzīhā, 3 jeld, Tehran, 1373/1994- 1378/1999.

Rūz-nāme-ye khāterāt-e Sharaf ad-Doule Mīrzā Ebrāhīm Khān Kalāntarī Bāghmīshe'ī, be kūshesh-e Yahyā Zokā', Tehran, 1377/1998.

Safar-e mohājerat dar nokhostīn jang-e jahānī, negāresh: Rezā 'Alī Dīvān Bīgī, Tehran, 1351/1972.

Safar-nāme-ye Amīn ad-doule Hājj Mīrzā 'Alī Khān Sadr-e A'zam, ba moqaddame-ye 'Alī Amīnī, be kūshesh-e Eslām Kāzemīye, Tus, 1354/1975.

Safar-nāme-ye Farhād Mīrzā, tashīh va tahshīye-ye Gholāmrezā Tabātabā'ī, Tehran, 1366/1987.

Safar-nāme-ye Farhād Mīrzā Mo'tamad ad-Doule, be ehtemām-e Esmā'īl Navvāb Safā, Tehran, 1366/1987.

Safar-nāme-ye hajj-e Mansūr, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1388/2009.

Safar-nāme-ye Hājj Sayyāh be Farang, be ehtemām-e 'Alī Dehbāshī, Tehran, 1363/1984.

Safar-nāme-ye Hājjī Pīrzāde Nā'īnī, bā moqaddame va fahāres az Īraj Afshār, 2 jeld, Tehran, 1963/64.

Safar-nāme-ye hakīm Nezārī Qohestānī, be tashīh va moqābele-ye Chengīz Gholām'Alī Bāybūrdī, be ehtemām-e doctor Mahmūd Rafī'ī, Tehran, 1391/2012.

Safar-nāme-ye Khosrov Mīrzā be Peterzbūrgh, be qalam-e Mīrzā Mostafā Afshār (Bahā' al-Molk), be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 1349/1970.

Safar-nāme-ye Makke-ye Hājjī Selīm Khān, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Qum, 1388/2009.

Safar-nāme-ye Mīrzā Abu'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī be Rūsīye, be qalam-e Mīrzā Mohammad Hādī 'Alavī Shīrāzī, be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 1357/1978.

Safar-nāme-ye Mīrzā Khānlar Khān E'tesām al-Molk nāyeb-e avval-e vezārat-e omūr-e khāreje, be kūshesh-e Manūchehr Mahmūdī, Tehran, 1351/1972.

Safar-nāme-ye Mīrzā Mohammad Hoseyn Hoseynī Farāhānī, be kūshesh-e Mas'ūd Golzārī, Tehran, 1362/1983.

Safar-nāme-ye Mobārake-ye Mozaffar ad-Dīn Shāh be Farang, be tahrīr-e Mīrzā Mehdī Khān Kāshānī, tashīh-e 'Alī Mohammad Mojīr ad-Doule, be kūshesh-e 'Alī Dehbāshī, Tehran, 1361/1982.

Safar-nāme-ye Nāser Khosrov, be kūshesh-e Mohammad Dabīrsīyāqī, Tehran, 1375/1996.

Safar-nāme-ye Sanī' ad-Doule (Mohammad Hasan Khān E'temād as-Saltane) az Teflīs be Tehrān, be kūshesh-e Mohammad Golbon, Tehran, 2536=1356/1977.

Safar-nāme-ye Seyf ma'rūf be Safar-nāme-ye Makke, neveshte-ye Seyf ad-Doule Soltān Mohammad, be tashīh va tahshīye-ye 'Alī Akbar Khodāparast, Tehran, 1364/1985.

Safar-nāme-ye Seyf al-Molk be Rūsīye (Sharh-e sefārat-e Mīrzā 'Abbāsqolī Khān Nūrī Seyf al-Molk be Rūsīye), be qalam-e Mīrzā Habībollāh Afshār Qazvīnī, be ehtemām-e Mohammad Golbon, Tehran, 1380/2001.

Safar-nāme-ye Zahīr ad-Doule, hamrāh-e Mozaffar ad-Dīn Shāh be Farangestān, be kūshesh-e Mohammad Esmā'īl Rezvānī, Tehran, 1371/1992.

Safar-nāmehā-ye khattī-ye fārsī, 4 jeld, tashīh va pazhūhesh-e Hārūn Vahūman, Tehran, 1388/2009-1389/2010.

Seqezī Majdī, Mīrzā 'Abd al-Majīd Mahmūd ibn'Abd al-Kerīm, "Safar-nāme-ye Makke va 'Atabāt", ϭoϩϭϩn: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 5, 539-642.

Sheybānī Vahīd al-Molk, 'Abd al-Hoseyn, *Khāterāt-e mohājerat, Az doulat-e movaqqat-e Kermānshāh tā komīte-ye melīyūn-e Berlīn*, be kūshesh-e Īraj Afshār va Kāve Bayāt, Tehran, 1378/1999.

Shīrāzī, Mīrzā Sāleh, *Safar-nāme*, ba motāle'e va hamkārī va moqaddame-ye Esmā'īl Rā'yīn, Tehran, 1347/1968.

Shīrāzī Īlchī, Mīrzā Abū'l-Hasan Khān, *Heyrat-nāme: Safar-nāme-ye Abū'l-Hasan Khān Shīrāzī Īlchī be Landan*, be kūshesh-e Hasan Morselvand, Tehran, 1364/1986.

Shūshtarī, Mīr 'Abd al-Latīf Khān, *Tohfat al-'Ālam va Zeyl al-Tohfah*, be kūshesh-e Samad Movahhed, Tehran, 1363/1984.

Soltān Morād Mīrzā Hosām as-Saltane, *Safar-nāme-ye Makke*, be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1374/1995.

Soltān Morād Mīrzā Hosām as-Saltane, "Safar-nāme-ye Makke", ϭoϩϭϩn: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 4, 7-332.

Tabātabā'ī, Doctor Zīyā' ad-Dīn, "Khāterāti az safar-e Torkīye", *Vahīd*, No. 234-235, Tehran, 1357/1978, 66-68.

Tabātabā'ī Dībā, Nāser as-Saltane Mīrzā Nasrollāh, *Safar-nāme-ye Nāserī*, tahqīq va tashīh-e Rasūl Ja'farīyān, Tehran, 1390/2011.

Tahrīr-e rūz-nāme-ye safar-e kheyrīyat asar, Qazan, 1312/1894.

Takābī, Hājjī Selīm Khān, "Hajj-nāme", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 6, 7-138.

Taqī Zāde, Seyyed Hasan, "Az yāddāshthā-ye Taqī Zāde", *Yaghmā*, No. 1 (283), Tehran, 1351/1972, 1-7.

Taqī Zāde, Seyyed Hasan, "Khāterāt-e tavaqqof-e Estānbūl va morāje'at be Tabrīz", *Āyandeh*, Vol.9, No. 5, Tehran, 1352/1983, 356-362.

Taqrīrāt-e Mosaddeq dar zendān dar bāre-ye zendegī-ye khīsh, yāddāsht shode be ehtemām-e sarhang Jalīl Bozorgmehr, tanzīm shode be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1359/1980.

Mīrzā Dā'ūd Vazīr-e Vazāyef, "Safar-nāme-ye Makke", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye Hajj-e Qājāri*, j. 7, 441-666.

Mīrzā Dā'ūd Vazīr-e Vazāyef, "Tafsīl-e safar-e Makke-ye mo'azzame (Zādhā Allāh Sharafā)", be kūshesh-e Rasūl Ja'farīyān, *Mīqāt-e Hajj*, Vol.16, No. 6, Tehran,1386/2007-2008.

Ya'qūb Mīrzā Tabrīzī, "Hajj-e Mansūr", წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 2, 229-542.

Zendegī -ye tūfānī, Khāterāt-e Seyyed Hasan Taqī Zāde, zīr-e nazar-e Īraj Afshār, Tehran, 1372/1993.

სპარსული ტექსტების თარგმანები

მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1971.

„მოჰამმად ჰასან-ხან ე'თემად ალ-სალთანეს მოგზაურობა თბილისიდან თეირანამდე", წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 225-259.

საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით, წიგნი პირველი, კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2012.

'Abd Allāh Mustawfī, *The Administrative and Social History of the Qajar Period: The Story of My Life*, Translated by Nayer Mostofi-Glenn, 3 vols, Costa Mesa, California, 1997.

A Diary Kept by His Majesty The Shah of Persia during His Journey to Europe in 1978, from the Persian, by Especial Permission of His Majesty, by Albert Houtum Schindler and Baron Louis De Norman, London, 1879.

An Iranian in Nineteenth Century Europe: The Travel Diaries of Haj Sayyah, 1859-1877, Translated by Mehrbanoo Nasser Deyhim, Foreword by Peter Avery, Bethesda, Maryland, 1998.

A Persian at the Court of King George 1809-10: The Journal of Mirza Abul Hassan Khan, Translated and Edited by M. M. Cloake, Introduction by D. Wright, London, 1988.

A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-1886: The Safarnameh of Mirza Mohammad Hoseyn Farahani, Edited, Translated, and Annotated by Hafez Farmayan and E. L. Daniel, University of Texas Press, Austin, Texas, 1990.

Journal de voyage en Europe (1873) du Shāh de Perse Nāser ed-Dīn Shāh Qājār, Traduit du persan, présenté et annoté par Bernardette Salesse, Sindbad/Actes Sud, Arles, 1999/2000.

Memoires de Mirza-Riza-Khan, Daniche, Aide de camp general de Sa Majeste Imperiale Le Schah de Perse, Tiflis, 1893.

Muntakhabi Daniche de Mirza-Riza-Khan, Traduit par L. de Djervis, Tiflis, 1892.

Musaddiq's Memoirs, Translated by Hassan Amin and Homa Katouzian, Edited and Introduced by Homa Katouzian, London, 1988 (ამ თარგმანის ცალკეული მონაკვეთები გამოქვეყნდა აგრეთვე სპარსულენოვან ჟურნალ „ჰაფეზ"-ის 2006-2008 წლების ნომრების ინგლისურენოვან ნაწილში; იხ.: *Hafez*, № № 25-36, Tehran, 1385/2006-2007; № № 40-48, Tehran, 1386/2007-2008; №№ 49-50, Tehran, 1387/2008).

One Thousand Roads to Mecca, Ten Centuries of Travelers Writing about the Muslim Pilgrimage, Edited and Introduced by Michael Wolfe, New York, 1997.

Perles d'Orient, par le Prince Arfa-ud-Dovleh, Mirza Riza Khan Danich, ambassador de Perse à Constantinople, Constantinople, 1904 (აგრეთვე: Paris, 1905).

Poesie et Art Persans à Monaco (1910-1919), Monte Carlo, 1919.

The Diary of H.M. the Shah of Persia during His Tour through Europe in A.D.1873, A verbatim translation by J.W. Redhouse, London, 1874.

The Travel Diary of Ebrahim Beg by Zayn ol-'Ābedīn Marāghe'ī, Translated from Persian by James D. Clark, Costa Mesa, California, 2006.

Ахмад Дониш, *Путешествие из Бухары в Петербург*, Душанбе, 1960.

Зайн ал-Абидин Мараги, *Дневник путешествия Ибрагим-бека или его злоключения по причине фанатической любви к родине*, пер. Г. П. Михалевич, Москва-Ленинград, 1963.

Мемуары Мирза-Риза-Хана Даниш, Генерал-Адъютанта Его Величества Шаха Персидского, Тифлис, 1894.

Пребывание Шаха Наср-Эддина въ России во время первого путешествия Его Величества по Европе в 1873 году, перевод с персидского горного инженера Э. Кориандер, Санкт-Петербург, 1889.

Точный перевод дневника Его Светлости Эмира Бухарского, Представляетъ И. Гасприньский изъ Бахчисарая, Казань, 1894.

Трактат Ахмада Дониша "История Мангитской династии", перевод, предисловие и примечания И. А. Наджафовой, Душанбе, 1967.

ლიტერატურა

ალექსიძე, მ., „აღმოსავლეთი და დასავლეთი დავით ბატონიშვილის „ახალ შიხში", *XVIII-XIX საუკუნეთა ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები*, თბილისი, 2001, 67-89.

ალექსიძე, მ., „ფარაჯანის „მოგზაურობის წიგნი" საქართველოს შესახებ", *აკაკი შანიძე 120*, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2007, 102.

ალექსიძე, მ., „ჰაჯ საიაჰი საქართველოში", *პერსპექტივა – XXI*, № 10, თბილისი, 2008, 6-13.

ალექსიძე, მ., *სპარსელები და სპარსული კულტურა XIX საუკუნის საქართველოში*, თბილისი, 2009.

ალექსიძე, მ., „სპარსული დუქნები XIX საუკუნის თბილისში", *დავით კაციტაძე 80*, თბილისი, 2009, 51-60.

ალექსიძე მ., „საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ მემუარულ ლიტერატურაში", წიგნში: *საქართველო XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა თვალით*, წიგნი პირველი, კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მ. ალექსიძემ, თბილისი, 2012, 9-35.

ალექსიძე, მ., „ქალი და მორალის საკითხები XIX საუკუნის ირანელ მოგზაურთა წიგნებში", *კოტე ფალავა 90*, საიუბილეო კრებული მიძღვნილი კოტე ფალავას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, თბილისი, 2012, 117-121.

ალექსიძე, მ., „მირზა რეზა ხან არფა' ად-დოულეს ალმასის სასახლე თბილისში", *აღმოსავლეთმცოდნეობა*, №2, თბილისი, 2013.

ბაინდურაშვილი, ხ., „ისლამი და მუსლიმები XIX საუკუნის თბილისში (სტაგნაციის პერიოდი)", *ნოდარ შენგელია 75*, საიუბილეო კრებული მიძღვნილი ნოდარ შენგელიას დაბადებიდან 75 წლისთავისადმი, თბილისი, 2008, 48-53.

ბერაძე, გ., „ირან-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს. სპარსელი პოეტის ლექსები საქართველოზე)", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1979, №2, 160-173.

ბერაძე, გ., „თბილისი – ბუხარა – სამარყანდი: რამდენიმე ეპიზოდი 1890-იანი წლების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებიდან", *აკადემიკოსი გიორგი წერეთელი 100*, აკადემიკოს გიორგი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2004, 17-18.

ბერაძე, გ., „ბორჯომის ფირუზე (სპარსული და არაბული წარწერები)", 2012 (ჯერ გამოქვეყნებული არ არის და ავტორის ნებართვით ხელნაწერით ვისარგებლეთ).

ბერაძე, გ., „გენერალ მაჯდ ას-სალტანეს პორტრეტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში", 2012 (ჯერ გამოქვეყნებული არ არის და ავტორის ნებართვით ხელნაწერით ვისარგებლეთ).

გაბაშვილი, ვ., „საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI-XII სს.)", *XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბილისი, 1968, 69-71.

გერსამია, თ., *ძველი თბილისი*, თბილისი, 1981 (ტექსტი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

გოცირიძე, გ., *მუსლიმური დღესასწაული „მუჰარამი" თბილისში*, თბილისი, 1988.

გოცირიძე, გ., „აბანოები ძველ თბილისში", *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, XXVI, თბილისი, 2004, 53-59.

გოცირიძე, გ., *აღმოსავლური დღესასწაულები საქართველოში*, თბილისი, 2012.

დემურიშვილი, ნ., *მუსლიმური ხუროთმოძღვრული ძეგლები საქართველოში*, თბილისი, 2010.

თბილისი – Tbilisi, წიგნი მოამზადეს და გამოსცეს მ. ბულიამ და მ. ჯანჯალიამ, ანოტაციები: მ. აბრამიშვილი, ი. გაგოშიძე (არქეოლოგია), მ. მანია (საერო არქიტექტურა), დ. ხოშტარია (საკულტო არქიტექტურა), თბილისი, 2006 (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე).

თოდუა, მ., „მოჰამმად ჰასან-ხან ე'თემად ალ-სალთანეს „მოგზაურობა თბილისიდან თეირანამდე", წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 225-259.

თოდუა, მ., „საფი ხალხალის „თბილისის ქება", წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 195-220.

თოდუა, მ., „სპარსული წყარო საქართველოში თორქმანთა შემოსევის შესახებ“, წიგნში: მ. თოდუა, *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, II, თბილისი, 1975, 173-194.
ივერია, №272, 274-275, ტფილისი, 1892; №30-32, 34, 36-37, 39, ტფილისი, 1893.
ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, შემდგენლები: კ. კუცია, მ. მეტრეველი, გ. სანიკიძე, მ. სვანიძე, გ. ჯაფარიძე, შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გ. ჯაფარიძისა, რედაქტორი გ. ბერაძე, თბილისი, 1999.
„ისლამი თბილისში“, *კალამი*, №7, თბილისი, 2011, 28-31.
კაციტაძე, დ., „მაჯდ ას-სალტანე“, *თბილისი. ენციკლოპედია*, თბილისი, 2002, 61.
კელენჯერიძე, ა., *გურჯები: ქართველები ირანის 1905-1911 წლების რევოლუციაში*, თბილისი, 1975.
კელენჯერიძე, ე., „უორდროპისეული ქართული ხელნაწერების აღწერილობა ე. თაყაიშვილისა“, *ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე*, III, თბილისი, 1961, 207-221.
კვალი, №7, ტფილისი, 1893.
კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (Kკოლექცია), შეადგინეს ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, გიორგი წერეთლის წინასიტყვაობით, თბილისი, 1969.
კოშორიძე, ი., *საქართველო-ირანის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება, XVI-XIX საუკუნეები*, თბილისი, 2011.
კოშორიძე ი., დგებუაძე მ., ბერაძე გ., „ახალი მხატვრული ტენდენციები და პორტრეტის პრობლემა XIX საუკუნის ირანულ მინიატურულ ხელოვნებაში“, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე*, IV (49-B), თბილისი, 2013, 432-461.
მამაცაშვილი, მ., „აღმოსავლური ხელნაწერებისა და ქართულ-აღმოსავლური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში“, *მრავალთავი. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, XIV, თბილისი, 1987, 37-47.
მანია, მ., *ევროპელი არქიტექტორები თბილისში*, თბილისი, 2006 (ტექსტი ქართულ და ინგლისურ ენებზე).
ნაჭყუბია, ი., *ნარკვევები საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისი)*, თბილისი, 2002.
ნახუცრიშვილი, ნ., „ზაინოლაბედინ შირვანის ცნობები საქართველოს შესახებ“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ მზია ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები*, თბილისი, 2000, 53-54.
ნახუცრიშვილი, ნ., „XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო ირანელი მოგზაური ჰაჯ საიაჰის ჩანაწერებში“, *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, XVII, თბილისი, 2003, 250-255.
ჟორჟოლიანი, გ., „ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან“, *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*, II, თბილისი, 1979, 52-66.
რუხაძე, ლ., „რიზკ ალ-ლაჰ ჰასუნის კასიდა „მოგზაურობა კავკასიაში“, *სემიტოლოგიური ძიებანი*, I, თბილისი, 1983, 80-85.
სანიკიძე, გ., *ისლამი და მუსლიმები თანამედროვე საქართველოში*, თბილისი, 1999.
სანიკიძე, გ., „ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობები XIX საუკუნეში“, წიგნში: გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.–XXI ს.-ის დასაწყისი)*, თბილისი, 2011, 127-145.

ტერ-ოგანოვი, ნ., „იაპია დოულათაბადი თბილისისა და თბილისელების შესახებ", *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VIII, თბილისი, 1993, 280-285.

ფაღავა, კ., „მხატვრული პროზის განვითარების ისტორიიდან", *თსუ შრომები*, ტ. 73, თბილისი, 1959, 75-95.

ფაღავა, კ., „კრიტიკული რეალიზმის ისტორიის შესწავლისათვის სპარსულ ლიტერატურაში", *თსუ შრომები*, ტ. 108, თბილისი, 1964, 219-239.

ფუთურიძე, ვლ., „მაჯდ-ოს-სალტანე და მისი შრომები", წიგნში: მაჯდ-ოს-სალტანე, *ქალაქ თბილისის აღწერა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაცაშვილმა, თბილისი, 1971, 7-11.

ღვინიაშვილი, ე., „თბილისის ძველი მუსლიმური სასაფლაოს არაბულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლები", *პერსპექტივა-XXI*, №10, თბილისი, 2008, 48-66.

შარაძე, გ., *ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე: უორდროპები და საქართველო*, თბილისი, 1984.

ჩხაიძე, გ., *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932)*, თბილისი, 2003.

ცინცაძე, მ., „საქართველო და ქართველები X-XI საუკუნეების სპარსულ წყაროებში", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1984, №4, 84-94.

წერეთელი, გ., „წინასიტყვაობა", *კ.კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K კოლექცია)*, თბილისი, 1969, V-VIII.

წერეთელი გ., „შაპურის წარწერის kpy TWR'", *აღმოსავლური ფილოლოგია*, III, თბილისი, 1973, 47-56.

ჭეიშვილი, ა., „ვლადიმერ ფუთურიძის გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ნაშრომთა სია", *აღმოსავლური ფილოლოგია*, II, თბილისი, 1972, 27-34.

ჭიპაშვილი, გ., *თავრიზის 1908-1909 წლების აჯანყება და ქართული პრესა*, თბილისი, 1979.

ჭიპაშვილი, გ., „აჰმად ქასრავი ირანის 1905-1911 წლების რევოლუციაში ქართველი ინტერნაციონალისტების მონაწილეობის შესახებ", *ახლოაღმოსავლური კრებული*, თბილისი, 1983, 212-221.

ჭიპაშვილი, გ., *სერგო გამდლიშვილი („სერგო გურჯი") და მისი ირანული დღიურები*, თბილისი, 1983.

ხოშტარია, დ., *თბილისი. ძველი სასტუმროები*, თბილისი, 2011.

ჯაფარიძე, გ., *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIXსს.)*, თბილისი, 1973.

Afshar, I., „Persian Travelogues: A Description and Bibliography", *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, ed. by E. L. Daniel, Costa Mesa, CA, 2002, 145-162.

Alasania, G., "Tbilisi According to Foreign Sources", *Caucasus Journal of Social Sciences*. Vol.1, Issue 1, Tbilisi, 2008, 200-243.

Alavi, Bozorg, *Geschichte und Entwicklung der modernen persischen Literatur*, Berlin, 1964.

Alexidze, M., "Iranian Inhabitants and their Culture in 19th-Century Tbilisi", *Round table "Tbilisi in the 19th-Century: History and Culture"*, Programme and Abstracts, Tbilisi, 2002, 6-7.

Alexidze, M., "Iranians in Nineteenth-Century Tbilisi: Fazel-Khan Garrusi", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*,Abstracts, Tbilisi, 2002, 6-7.

Alexidze, M., "Fazel Khan Garrusi and Tbilisi", *Iran and the Caucasus*, Vol. 7, No. 1-2, Brill: Leiden & Boston, 2003, 125-132.

Alexidze, M., „Persians in Georgia (1801-1921)", *Journal of Persianate Studies*, Vol.1, No. 2, Brill: Leiden & Boston, 2008, 254-260.

Alexidze, M., „Le cheikh Sana'an et Tiflis/Tbilissi", ნიგნში: *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 73-85.

Alexidze, M., *Georgia and the Muslim East in the Nineteenth Century: Studies in the History of Culture, Religion and Life*, Tbilisi, 2011.

Alexidze, M., "Georgia in the Persian Travelogues of the Qajar Period", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, VII, თბილისი, 2012, 169-172.

Algar, H., "An Introduction to the History of Freemasonry in Iran", *Middle Eastern Studies*, Vol. 6, No. 3, 1970, 276-296.

Amanat, A., "Dawlatābādī, Sayyed Yahyā", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1994 (http://www.iranicaonline.org/articles/dawlatabadi-sayyed-yahya).

Amanat, A., *The Pivot of the Universe: Nasir al-Din Shah and the Iranian Monarchy, 1831-1896*, University of California Press, Berkeley and Los Angeles, 1997 (revised edition: I.B. Tauris, 2008).

Amanat, A., "E'temād-as-Saltana,. Mohammad-Hasan Khan", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, Vol. VIII, 1998, 662-666.

Amini, M., "Kasravi, Ahmad, vii. A Bibliographical Survey", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 2012 (http://www.iranicaonline.org/articles/kasravi-ahmad-vii).

Arakelova, V., "Transformation of Morals and Manners in Tbilisi during the Nineteenth Century", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*, Abstracts, Tbilisi, 2002, 8-10.

Arfa, Hassan, *Under Five Shahs*, Edinburgh, 1964 (აგრეთვე: New York, 1965).

Asatrian, G., Margarian, H., "The Muslim Community of Tiflis (8th - 19th centuries)", *Iran and the Caucasus*, Vol. 8, No. 1, Brill: Leiden & Boston, 2004, 29-52.

Atabaki, T., "A Study in the History of Bukharan Modernism: the Journey of Ahmad Donish to St.Petersburg", *Konferenzakten ESCAS IV (Bamberg, 8-10 October 1991), Bamberger Zentralasiensstudien*, ed. by I. Baldauf & H. Friederich, Berlin, 1994, 263-269.

Augustinovich, A., *El Khader and the Prophet Elijah*, Jerusalem, 1972

Avery, P., "Foreword", ნიგნში: *An Iranian in Nineteenth Century Europe: The Travel Diaries of Haj Sayyah*, 11-14.

Barzegar, A., "Mehdi Qoli Hedayat: A Conservative of the Late Qajar Era", *Iranian Studies*, Vol. 20, No. 1, 1987, 55-76.

Bechka, J., "Soviet studies on Ahmad Donish", *Archiv Orientalni*, Vol.31, No.3, Praha, 1963, 483-487.

Bechka, J., "[Rev.] Rahmatollah Vazeh, Savaneh ol-masalek va farasex ol-mamalek", *Archiv Orientalni*, Vol. 60, Praha, 1992, 95.

Beradze, G., "The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage: Iranians in Tbilisi and Batumi (Late Nineteenth Century)", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*, Abstracts, Tbilisi, 2002, 14-17.

Beradze, G., "An Illustrated Persian Manuscript of the Late Nineteenth Century: Hajji Khodaverdi Khan Firuzabadi's Pilgrimage to Mecca", 2003 (მოხსენება, წაკითხული 2003 წლის 27 ივნისს საერთაშორისო კონფერენციაზე ვენეციაში; მოხსენების ტექსტი გამოქვეყნებული არ არის და ავტორის ნებართვით ხელნაწერით ვისარგებლეთ).

Beradze, G., "The Georgian Artist Gigo Gabashvili and His Journey to Central Asia", *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, IV, თბილისი, 2005, 89-104.

Beradze, G., "Among the Chosen Cities: Tbilisi in the Shi'i Tradition", *Journal of Persianate Studies*, Vol. 1, No. 2, Brill: Leiden & Boston, 2008, 206-217.

Beradze, G., "Diplomacy and Poetry: Khosrow Mirza's Commemorative Inscription Revisited", *India in the Persianate World, ASPS Fifth Biennial Convention (Hyderabad, India, 4-8 January 2012)*, Program and Abstracts, New York & New Delhi, 2011, 41-42.

Beradze, G., Natchkebia, I., "Une question de Tbilissi dans les négotiations de Mirza Abul Hassan Khan (1809-1810)", *International Conference "Tbilisi in the Nineteenth Century"*, Abstracts, Tbilisi, 2002, 18-19.

Bookwalter, John W., *Siberia and Central Asia*, Springfild, Ohio, 1899.

Bournoutian George A., *From Tabriz to St. Petersburg: Iran's Mission of Apology to Russia in 1829*, Mazda Publishers: Costa Mesa, 2014.

Boroujerdi, M., "The West" in the Eyes of the Iranian Intellectuals of the Interwar Years (1919-1939)", *Comparative Studies of South Asia, Africa and the Middle East*, Vol. 26, No. 3, 2006, 391-401.

Browne, E.G., *A Literary History of Persia*, Vol.4, Cambridge, 1953 (მეოთხე გამოცემა).

Cole, J.R.I., "Invisible Occidentalism: Eighteenth-Century Indo-Persian Constructions of the West", *Iranian Studies*, Vol. 25, 2 vols, No. 3-4, 1992, 3-16.

Curzon, J.N., *Persia and the Persian Question*, 2 vols, London, 1892.

Daniel, E. L., "The Hajj and Qajar Travel Literature", *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, ed. by E.L. Daniel, Costa Mesa, CA, 2002, 215-237.

Diba, F., *Mohammad Mossadegh: A Political Biography*, London, 1986.

Diba, F., "Tabriz in Monaco: More on Prince Arfa's Villa", *The Iranian*, 12 December 2003 (http://www.iranian.com/History/2003/December/Danesh/index.html).

Diba, F., "Arfa: Gained in Translation", *Qajar Studies*, Journal of the International Qajar Studies Association, Vol.7, Rotterdam/Gronsveld/Santa Barbara/Tehran, 2007, 127-151.

„Dr. Mohammad Mosaddeq Symbol of Iranian Nationalism and Struggle Against Imperialism", *Iran Chamber Society* (http://www.iranchamber.com/history/mmosaddeq/mohammad_mosaddeq.php).

"Dr. Mohammad Mossadegh Biography Prime Minister of Iran, 1951-1953", *The Mossadegh Project* (http://www.mohammadmossadegh.com/biography/).

Ekhtyar, M., "An Encounter with the Russian Czar: The Image of Peter the Great in Early Qajar Historical Writings", *Iranian Studies*, Vol. 29, No.1/2, 1996, 57-70.

Eskandari-Qajar, M. M., "Villa Danesh. Mystery solved: Prince Arfa's house in Monte Carlo", *The Iranian*, 21 november 2003 (http://www.iranian.com/EskandariQajar/2003/November/Arfa/).

Eskandari-Qajar, M. M., "The Story of the Fair Circassian and Mirza Abol Hassan Khan Shirazi Envoy Extraordinary and Minister Plenipotentiary of Fath Ali Shah Qajar to the

Court of St. James", *Qajar Studies*, Journal of the International Qajar Studies Association, Vol. VII, Rotterdam/Gronsveld/Santa Barbara/Tehran, 2007, 60-77.

Eslami, K., "Farhād Mīrzā Mo'tamad-al-Dawla", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1999 (http://www.iranicaonline.org/articles/farhad-mirza-motamad-al-dawla).

Farman Farmayan, H., "The Forces of Modernization in Nineteenth Century Iran: A Historical Survey", *Beginnings of Modernization in the Middle East: The Nineteenth Century*, ed. by W. R. Polk and R. L. Chambers, The University of Chicago Press, Chicago & London, 1968, 119-151.

Farman Farmayan, H., "Observations on Sources for the Study of Nineteenth- and Twentieth-century Iranian History", *International Journal of Middle East Studies*, Vol.5, No.1, 1974, 32-49.

Farman Farmayan, H., "Portrait of a Nineteenth-Century Iranian Statesman: the Life and Times of Grand Vizier Amin al-Dawlah, 1844-1904", *International Journal of Middle East Studies*, Vol. 15, No. 3, 1983, 337-351.

Farman Farmayan H., E. L. Daniel, "Introduction", *A Shi'ite Pilgrimage to Mecca 1885-1886: The Safarnameh of Mirza Mohammad Hosayn Farahani*, Edited, Translated, and Annotated by Hafez Farmayan and E. L. Daniel, University of Texas Press, Austin, Texas, 1990, XIII-XXXII.

Ferdowsi, A., "Eating Corpse: The Deplorable Asylum of Haji Sayyah at the U.S. Legation in Tehran", *Annals of Japan Association for Middle East Studies*, No.11 (1996), 251-286.

Ferdowsi, 'A., "Hājj Sayyāh", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 2002 (http://www.iranicaonline.com/articles/hajj-sayyah).

Ferdowsi, A., "Emblematic Identity and Management of Self-presentation: the Case of Hajj Sayyah", *Востоковедение и африканистика в диалоге цивилизаций. XXV Международная конференция "Источниковедение и историография стран Азии и Африки"*, Тезисы докладов, Санкт-Петербург, 2009, 99.

Fisher, M.H., "From India to England and Back: Early Indian Travel Narratives for Indian Readers", *Huntington Library Quarterly*, Vol. 70, No. 1, University of California Press, 2007, 153-173.

Fourniau, V., "Dāneš Ahmad Makdūm", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1993 (http://www.iranicaonline.org/articles/danes-donis-ahmad-makdum-b).

Fragner, B.G., *Persische Memoirenliteratur als Quelle zur neueren Geschichte Irans*, Wiesbaden, 1979.

Ghanoonparvar, M. R., *In a Persian Mirror: Images of the West and Westerners in Iranian Fiction*, University of Texas Press, Austin, Texas, 1993.

Gocheleishvili, I., "Georgian Connections of the Iranian Constituional Revolution of 1905-1911", *Central Eurasian Studies Review*, Vol.5, No.1, 2006, 10-14.

Gocheleishvili, I., "Georgian Sources on the Iranian Constituional Revolution (1905-1911): Sergo Gamdlishvili's Memoirs of the Gilan Resistance", *Iranian Studies*, Vol.40, No.1, 2007, 59-85.

Gocheleishvili, I., "Introducing Georgian Sources for the Historiography of the Iranian Constitutional Revolution (1905-1911)", *Iran's Revolution : Popular Politics, Cultural Transformations and Transnational Connections*, ed. by H.E. Chehabi and V. Martin, I.B.Tauris: London, 2010, 45-68.

Hakimian, H., "Wage Labor and Migration: Persian Workers in Southern Russia, 1880-1914", *International Journal of Middle East Studies*, Vol. 17, No. 4, 1985, 443-462.

Halsuck, F.W., *Christianity and Islam under the Sultans*, Oxford, 1929

Hanaway, W. L., "Persian Travel Narrativs: Notes Toward the Definition of a Nineteenth-Century Genre", *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, 249-268.

Hodgetts, E.A. Brayley, *Round about Armenia: The Record of a Journey across the Balkans through Turkey, the Caucasus and Persia in 1895*, London, 1896.

Holgate, S., "Hajj Sayyah – First Persian to Become an American", *Pars Times*, 2003 (http://www.parstimes.com/news/archive/2003/washfile020.html).

Jamal, N.E., *Surviving the Mongols: Nizārī Quhistānī and the Continuity of Ismailī Tradition in Persia*, London & New York, 2002.

Javadi, H., "Abu'l Hasan Khān Īlčī, Persian diplomat, b.1190/1776 in Šīrāz", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1983.

Jazayery, M.A., "Kasrawī Tabrīzī, Seyyid Ahmad", *Encyclopaedia of Islam*, Second edition, Vol.4, Brill: Leiden, 1997, 732-733.

Joussefi, S. H., *"Seyyed Hasan Taqizadeh: a Political Biography in the Context of Iranian Modernization"*, Master thesis (University of Utrecht, The Netherlands, August 1998) (http://www.let.uu.nl/~Sepehr.Joussefi/personal/Political-Biography-of-Taqizadeh.htm).

Kamshad, H., *Modern Persian Prose Literature*, Cambridge, 1966.

Kasravi, Ahmad, *History of the Iranian Constituional Revolution*, Translated by E. Siegel, Costa Mesa, California, 2006.

Katouzian, H., *Mossaddiq and the Struggle for Power in Iran*, London, 1991.

Katouzian, H., "Sayyed Hasan Taqizadeh: Three Lives in One Lifetime", *Iran Nameh*, Vol. XXI, Issue 1-2, 1382/2003, 7-48.

Kia, Mehrdad, "Inside the Court of Naser od-Din Shah Qajar, 1881-1896: the Life and Diary of Mohammad Hasan Khan E'temad os-Saltaneh", *Middle Eastern Studies*, Vol. 37, No. 1, 2001, 101-141.

Kondo, N., "Qizilbash Afterwards: The Afshars in Urmiya from the Seventeenth to the Nineteenth Century", *Iranian Studies*, Vol.32, No.4, 1999, 537-556.

Koshoridze, I., "L'art "oriental" en Géorgie: Architecture et peintures á l'huile (Époque des Qadjars)", ნიგნში: *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de Florence Hellot-Bellier et Irène Natchkebia, Paris, 2009, 145-154.

Koshoridze, I., "Visual Images of Persian-Georgian Cultural Relations in the Turn of Eighteenth and Nineteenth Centuries", *Qajar Art – Provenance, Sources and Influences* (International Seminar, June 5-12, 2005, Tbilisi, Georgia), Report, Tbilisi, 2005, 45-48.

Krüger, E., "Die Reisetagebücher Nasir ad-Dins – ein autobiographisches Zeugnis?", *Die Welt des Islams*, 14, Leiden, 1973, 171-191.

Kubichkova, V., "Die neupersische Literatur des 20. Jahrhunderts", ნიგნში: *Iranische Literaturgeschichte*, von J. Rypka, unter Mitarbeit von O. Klima, V. Kubichkova, J. Bechka, J. Cejpek, I. Hrbek, Leipzig, 1959, 341-398.

Lazard, H. E., Riòddá Khāan, D., *Son altesse le prince Arfa-ud-Dovleh Mirza Riza Khan Danisch et l'opinion publique*, Arlon, Goetz, 1904.

Lefévre-Pontalis, C., *De Tiflis à Persepolis*, Paris, 1894.

Machalski, F., *La Littérature de L'Iran Contemporain*, I, La poesie persane de l'époque du "reveil des Iraniens" jusqu'au coup d'etat de Reza Khan (environ 1880-1921), Wroclaw/ Warszawa/Krakow, 1965.

Makdisi, G., "The Diary in Islamic Historiography: Some Notes", *History and Theory*, Vol. 25, No.2 (May, 1986), 173-185.

Manafzadeh, A. R., "Kasravi, Ahmad, i. Life and Work", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 2012 (http://www.iranicaonline.org/articles/kasravi-ahmad-i).

Matthee, R., "Europe, Persian Image of", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1998 (http://www.iranicaonline.org/articles/europe-persian-image-of).

McKenzie Johnston, H.B., "Hajji Baba and Mirza Abul Hasan Khan – a conundrum, *Iran, Journal of the British Institute of Persian Studies*, Vol.33, London, 1995, 93-96.

Melville, F.I., "Khosrow Mirza's mission to St Petersburg in 1829 (on the material of the diary of its secretary Mirza Afshar)", *Iranian-Russian Encounters: Empires and Revolutions since 1800*, ed. by S. Cronin, New York, 2013, 68-93.

Memoirs of Jeremiah Curtin, Edited with Notes and Introduction by J. Schafer, Madison, 1940.

Meredith-Owens, G.M., *Handlist of Persian Manuscripts 1895-1966*, London, 1968.

Merzbacher, G., *Aus den Hochregionen des Kaukasus, Leipzig*, 1901.

Miransari, A., "Qajar Travel Narratives and the Institution of European Plays in Iran 1213-1323/1799-1906", *IQSA Ten Year Anniversary 2010 Conference*, Abstracts, Oxford, UK, 2010 (http://www.qajarstudies.org/abstractoxford2010.html#Miransari).

Morrison, G., Baldick, J., Šafī'ī Kadkanī, M.R., *History of Persian Literature: From the Beginning of the Islamic Period to the Present Day*, ed. by G. Morrison, Brill: Leiden & Köln, 1981.

Natchkebia, I., "The Issue of Georgia in Napoléon's Policy in Persia (1804-1809)", *LICCO-SEC*, Vol.20, Annual Report (2011), Osaka University, Japan, 2012, 94-117.

Nolle-Karimi, Ch., "Travelogues in the Persophone World (Late 18th - Early 20th Centuries): Project Description" (http://www.oeaw.ac.at/iran/german/project travelogues.html#anfang).

O'Quinn, D., "Tears in Tehran/Laughter in London: James Morier, Mirza Abul Hassan Khan, and the Geopolitics of Emotion", *Eighteenth-Century Fiction*, Vol.25, Issue 1, Toronto, 2012, 85-114.

Pistor-Hatam, A., "Iran and the Reform Movement in the Ottoman Empire: Persian Travellers, Exiles and Newsmen under the Impact of the Tanzimat", *Proceedings of the Second European Conference of Iranian Studies*, ed. by B.G. Fragner et al., Rome, 1995, 561-578.

Rastegar, K., *Literary Modernity between the Middle East and Europe: Textual Transactions in Nineteenth-Century Arabic, English and Persian Literatures*, London & New York, 2007.

Ringer, M. M., "The Quest for the Secret of Strength in Iranian Nineteenth-Century Travel Literature: Rethinking Tradition in the *Safarnameh*", *Iran and the Surrounding World: Interactions in Culture and Cultural Politics*, ed. by N. R. Keddie and R. Matthee, University of Washington Press, Seattle & London, 2002, 146-161.

Rypka, J., "Geschichte der neupersischen Literatur bis zum Beginn des 20. Jahrhunderts", ნიგნში: *Iranische Literaturgeschichte*, von J. Rypka, unter Mitarbeit von O. Klima, V. Kubichkova, J. Bechka, J. Cejpek, I. Hrbek, Leipzig, 1959, 69-337.

Rypka, J., Bechka, J., "Abriss der tadschikischen Literatur", ნიგნში: *Iranische Literaturgeschichte*, 401-460.

Sa'idi Sirjani, A.A., "Dāneš(1)", *Encyclopaedia Iranica*, ed. by Ehsan Yarshater, 1993.

Sanikidze, G., "An Historical Survey of Georgian-Iranian Relations in the Nineteenth Century", *Journal of Persianate Studies*, Vol. 1 , No. 2, Brill: Leiden & Boston, 2008, 148-173.

Sen, A., "The Persian Prince in London": Autoethnography and Positionality in Travels of Mirza Abu Taleb Khan", *Asiatic*, Vol. 2, No. 1, Published by the International Islamic University Malaysia, 2008, 58-68.

Sherry, D., "Mosque and State in the Caucasus, 1828-1841", *Caucasus and Central Asia Newsletter*, Issue 4, Summer 2003, University of California, Berkeley, CA, 2003, 3-8.

Sidorko, C. P., "Nineteenth century German travelogues as sources on the history of Daghestan and Chechnya", *Central Asian Survey*, No. 21(3), 2002, 283-299.

Siegel, E., "Georgian Historiography on the Iranian Constituional Revolution, I-II" (http://iran.qlineorientalist.com/Article/GeorgianOnIranConstRevo/GeorgianOnIranConstRevo.html).

Siegel, E., "Georgian Research on the Role of Georgians in the Iranian Constituional Revolution" (http://iran.qlineorientalist.com/Article/GeorgianOnIranConstRev/ GeorgianOnIranConstRev.html).

Sohrabi, N., "Behind Hajji Baba of Isfahan: The Case of Mirza Abul Hasan Khan Ilchi Shirazi", *Untold Histories of the Middle East: Recovering Voices from the 19th and 20th Centuries*, ed. by Amy Singer et al., London, 2010, 159-177.

Sohrabi, N., *Taken for Wonder: Nineteenth-Century Travel Accounts from Iran to Europe*, Oxford University Press, Oxford & New York, 2012.

Soudavar Farman Farmaian, F., "Georgia and Iran: Three Millennia of Cultural Relations. An Overview", *Journal of Persianate Studies*, Vol. 2, No. 1, Brill: Leiden & Boston, 2009, 1-43.

Tavakoli-Targhi, M., *Refashioning Iran: Orientalism, Occidentalism and Nationalist Historiography*, London & New York, 2001.

Ter-Oganov, N., "Two Iranian Authors, Majd os-Saltaneh and Yahya Dowlatabadi, on Tbilisi", *ტიპოლოგიური ძიებანი*, IV, თბილისი, 2000, 399-408.

Ter-Oganov, N., "Évocation de Tiflis par deux auteurs iraniens: Majd os-Saltaneh et Yahya Dowlatabadi", *La Géorgie entre Perse et Europe*, Sous la direction de F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, Paris, 2009, 261-274.

Vanzan, A., "Mirza Abu'l-Hasan Khan Shirazi Ilchi's *Safar-nama ba Rusiya*: The Persians Amongst the Russians", *Society and Culture in Qajar Iran: Studies in Honor of Hafez Farmayan*, ed. by E. L. Daniel, Costa Mesa, CA, 2002, 347-357.

Wickens, G. M., "Shah Muzaffar al-Din's European tour, A D 1900", *Qajar Iran: Political, Social and Cultural Change, 1800-1925*, ed. by E. Bosworth and C. Hillenbrand, Edinburgh, 1983, 34-47.

Wolfe, M., "Mohammad Hoseyn Farahani", *One Thousand Roads to Mecca, Ten Centuries of Travelers Writing about the Muslim Pilgrimage*, ed. by Michael Wolfe, New York: Grove Press, 1997, 276-78.

Wright, D., *The Persians Amongst the English: Episodes in Anglo-Persian History*, London, 1985.

Wright, D., "Introduction", *A Persian at the Court of King George, 1809-10: The Journal of Mirza Abul Hassan Khan*, 13-22.

Yastrebova, O., "The Bukharian Emir 'Abd al-Ahad's Voyage from Bukhara to St. Petersburg", *Looking at the Coloniser: Cross-Cultural Perceptions in Central Asia and the Caucasus, Bengal, and Related Areas*, Ergon Verlag, Würzburg, 2004, 63-73.

Аванесов, А., "„Шукр-наме-йе Шахинщахи" Бахмана Мирзы", *ქართული წყაროთმცოდნეობა*, III, თბილისი, 1971, 316-322.

Анчабадзе, Ю., Волкова Н., *Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке*, Москва, 1990.

Байбурди, Ч., *Жизнь и творчество Низари*, Москва, 1966.

Байбурди, Ч., Борщевский, Ю., "Искупительное посольство Хосров-Мирзы в Россию в 1829 г. и его дневник *Рузнама-и сафар-и Питирбург* ", *Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока,* Краткие сообщения и автоаннотации, Москва, 1970, 39-41.

Балаценко, Ю., "Пребывание в Москве посольства Хосров-Мирзы в 1829 г. (по материалам дневника Мирзы Афшара "Рузнаме-йе сафар-е Петерзбург" и русским источникам)", *Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока,* Доклады и сообщения, часть 1, Москва, 1989.

Балаценко, Ю., "Хосров-Мирза на Кавказе", *Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока,* доклады и сообщения, часть 1, Москва, 1991, 88-101.

Белова, Н., "Об отходничестве из северо-западного Ирана в конце XIX-начале XX века", *Вопросы истории*, Москва, 1956, №10, 112-121.

Белова, Н., Никитина, В., "Иран", *Зарождение идеологии национально-освободительного движения (XIX-начало XX в.). Очерки по истории общественной мысли народов Востока*, Москва, 1973, 101-146.

Берже, Ад., "Хосров-Мирза (1813-1875)", *Русская Старина*, т. XXV, Санкт-Петербург, 1879, 333-352, 401-414.

Бертельс, Е., *Очерк истории персидской литературы*, Ленинград, 1928.

Боглачев, С., "Персидский принц Хосров-Мирза в Петербурге", *Невский Архив*, выпуск 6, Санкт-Петербург, 2003, 370-399.

Боглачев, С., "Извинительная миссия в Петербурге", ნიგნში: С. Боглачев, *Персидские трагедии*, Пятигорск, 2007 (http://blge.ru/texts/boglachev.htm#000).

Брагинский, И., Комиссаров, Д., *Персидская литература. Краткий очерк*, Москва, 1963.

Гиунашвили, Дж., "О персидских надписях Боржомской Фирюзы", *Источниковедческие разыскания*, 1982, Тбилиси, 1985, 244-248.

Джаншиев, Г., *Перл Кавказа (Боржом-Абастуман). Впечатления и мысли туриста*, Москва, 1900.

Дорри, Дж., *Персидская сатирическая проза: традиция и новаторство*, Москва, 1977.

Дубовицкий, В., "Ахмад Дониш: бухарский посланец в Россию", *Бизнес & Политика, Информационный ресурс Таджикистана,* 29.03.2012 (http://gazeta-bip.net/history/3718-ahmad-donish-buharskij-poslanec-v-rossiju).

Евангулов, Г., "Тифлисские очерки", *Республика*, №8, Тифлис, 1917.

Жуковский, В., "Мухаммед-Хасан-Хан (И'тимад-ал-Салтанэ)", *Записки Восточного отделения Императорского Русского Археологического общества,* т. X, 1897, 187-191.

Ильницкая, О., "Появление и развитие движения за реформирование письменности тюрко-мусульманских народов (втор. пол. XIX – нач. XX)", *Ученые записки Таврическо-*

го национального университета им. В.И. Вернадского, Серия "Исторические науки", т. 23(62), №1, 2010, 68-75.

Кавказ, №338-342, Тифлис, 1892; №40-42, 44-47, Тифлис, 1893.

Квезерели-Копадзе, Н., *Гатехили Хиди (Красный мост), Исторический и технический очерк*, Тбилиси, 1956.

Комиссаров, Д., "Персидская художественная проза XIX-XX столетий", *История персидской литературы XIX-XX веков*, Москва, 1999, 226-285.

Левковская, Р., Никитина В., "Литература Ирана", *Литература Востока в новое время*, Москва, 1975, 165-262.

Мамацашвили, М., "Обзор персидских рукописей Института рукописей АН Грузинской ССР им. К.С. Кекелидзе", *Актуальные проблемы иранской филологии*, Тбилиси, 1987, 600-606.

Маркелов, Н., "Персидский принц Хозрев-Мирза в России", *Московский журнал*, № 3, Москва, 2001 (http://www.russk.ru/st.php?idar=800462).

Марр, Ю., Чайкин, К., *Письма о персидской литературе*, Составление сборника, редакция текста, предисловие и примечания С. Марр и А. Гвахария, Тбилиси, 1976.

Меликов, О., "Персидская мемуарная литература XIX века как источник по истории Ирана", *Иран и Турция: Вопросы истории*, Баку, 1986, 5-60.

Меликов, О., "Использование традиционной литературной формы "Хабнаме" для выражения новых общественно-политических и исторических взглядов в Иране (конец XIX – начало XX в.)", *Средневековый Восток*, Сборник статей, посвященный памяти академика З.М. Буниятова, Баку, 2000, 158-183.

Новое обозрение, №3093-3096, 3098, Тифлис, 1892; №3139-3141, 3143-3147, Тифлис, 1893.

Отчет о деятельности под августейшим покровительством Его Императорского Высочества Государя Великого Князя Михаила Николаевича Тифлисского Общества покровительства животным за 1892 по 1893 гг., Тифлис, 1894.

Потто, В., "Хосров-Мирза", წიგნში: В. Потто, *Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях*, том 3, выпуск 4, Санкт-Петербург, 1887, 633-652.

„Почетный гражданин Ялты и поклонник Крыма эмир бухарский", *Первая Крымская*, № 253, 2008 (http://1k.com.ua/253/details/22/1).

Путеводитель по Тифлису, Издание К. Н. Бегичева, Тифлис, 1896.

Радде, Г., *Краткий путеводитель Кавказского музеума*, Тифлис, 1881 (მესამე გამოც.).

Радде, Г., *Краткий путеводитель по Кавказскому музею*, Тифлис, 1887.

Раджабов, З., *Выдающийся просветитель таджикского народа Ахмад Дониш*, Душанбе, 1961.

Раджабов, З., *Просветитель Ахмад Дониш*, Душанбе, 1964.

Рожинцев, А., "Жизнь и кончина эмира Бухары Сейид Абдул Ахад Бахадур хана", 2008 (http://wap.monarchija.borda.ru/?1-4-0-00000442-000-0-0-1206368626).

Рожинцев, А., „Андреевский кавалер – Эмир Бухары Сайид Абдул Ахад Бахадур Хан. 150-летию со дня рождения посвящается", *Единое Отечество*, 2009 (http://www.otechestvo.org.ua/main/20093/3019.htm).

Розанов, М., "Персидское посольство в России 1829 года", *Русский Архив*, книга I, Москва, 1889, 209-260.

Семенов, А., *Каталог рукописей отдела исторического отдела Бухарской Центральной Библиотеки*, Ташкент, 1925.

Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, т. I, под редакцией и при участии А. Семенова, Ташкент, 1952.

Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, т. IX, под редакцией и при участии А. Урунбаева, Л. Епифановой, Ташкент, 1971.

Стори, Ч., *Персидская литература. Био-библиографический обзор*, часть II, перевел с английского, переработал и дополнил Ю. Брегель, Москва, 1972.

Тифлис и его окрестности, Приложение к справочной книге старожила «Кавказ», №2, Тифлис, 1890.

Тифлисский листок, №291-296, Тифлис, 1892; №33, 35-36, 38-40, Тифлис, 1893.

Топурия, И., "Сведения о городах Закавказья в Сафар-наме Мирза Хусейна Фарахани", *Тезисы докладов Республиканской конференции аспирантов и молодых научных сотрудников "Актуальные проблемы филологии и истории стран Ближнего и Среднего Востока"*, Тбилиси, 1987, 46.

Тураев, Х., "Рузнама-и сафар-и Фитирбурх" как источник для изучения русско-бухарских отношений конца XIX века", *Общественные науки в Узбекистане*, № 3, Ташкент, 1989, 53-55.

Хади-заде, Р., *Ахмад Дониш и таджикская просветительская литература*, Москва, 1968.

Хинц, В., *Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему*; Давидович, Е., *Материалы по метрологии средневековой Средней Азии*, Москва, 1970.

Хоштариа, Э., *Очерки социально-экономической истории Грузии*, Тбилиси, 1974.

Чайкин, К., *Краткий очерк новейшей персидской литературы*, Москва, 1928.

Чипашвили, Г., "Из истории интернациональной деятельности закавказских революционеров в Иране", *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1981, №4, 16-29.

Шойтов, А., "Зайн ал-Абидин Марагаи и его роман", ნიგნში: Зайн ал-Абидин Марагаи, *Дневник путешествия Ибрагим-Бека или его злоключения по причине фанатической любви к родине*, пер. Г. Михалевич, Москва, 1963, 5-12.

Шукуров, К., *Отходничество в Закавказье из Южного Азербайджана (вторая треть XIXв.-1905г.)*, Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук, Баку, 1984.

Щеглова, О., *Иранская литографированная книга (Из истории книжного дела в Иране в XIX – первом десятилетии XX в.)*, Москва, 1979.

Эфендиев, Э., "Азербайджанская печать в Тбилиси в XIX – начале XX века", *თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები*, ტ. 13, თბილისი, 1959, 351-363.

'Abbāsī, Javād, "Hājj Sayyāh Mahallātī – dour-e donyā dar hījdah sāl", *Bukhārā*, Vol.14, No. 83, Tehran, 1390/2011, 647-657.

'Abdollāhzāde, Mohammad Mehdī, "Me'mār-e douregozār: Negāhi be Khāterāt-e Momtahen ad-Doule", *Golestān-e Honar*, No.15, Tehran, 1388/2009, 53-63.

'Ābedīnī, Hasan Mīr, *Sad sāl-e dāstān-nevīsī-ye Īrān*, j. 1-2, Tehran, 1377/1998.

"Abū Nasr Fathollāh Khān Sheybānī", *Āyandeh*, Vol.2, No. 2 (10), Tehran, 1306/1927, 748-755.

Afshār, Īraj, "Sanī' ad-Doule va Rūznāme-ye Khāterat", *Rāhnemā-ye Ketāb*, Vol.9, No.3, Tehran, 1345/1960, 268-275.

Afshār, Īraj, "Safar-nāme-nevīsī-ye Nāser ad-Dīn Shāh: negāhi dīgar", *Āyandeh*, No. 1-3, Tehran, 1364/1985, 39-48.

Afshār, Īraj, "Khāterāt-e Taqī Zāde", *Zendegī-ye tūfānī, Khāterāt-e Seyyed Hasan Taqī Zāde*, zīr-e nazar-e Īraj Afshār, Tehran, 1372/1993, 5-36.

Afshār, Īraj, "Safar-nāmehā-ye fārsī tā rūzgār-e esteqrār-e Mashrūtīyat", *Jashn-nāme-ye ostād Zabīhollāh Safā*, be kūshesh-e Seyyed Mohammad Tarābī, Tehran, 1377/1998, 45-82.

Afshār, Īraj, "Tāzehā va pārehā-ye īrānshenāsī (62)", *Bukhārā*, No. 70, Tehran, 1388/2009, 75-114.

Afshār, Īraj, "Yād-nāme-ye Pīr Niyā: Shesh Moshīr ad-Doule, 1", *Bukhārā*, No. 75, Tehran, 1389/2010, 541-554.

'Alavī, Abū'l-Hasan, *Rejāl-e 'asr-e mashrūtīyat*, be kūshesh-e Habīb Yaghmā'ī va Īraj Afshār, Tehran, 1363/1984.

'Alī Sūfī, 'Alī-Rezā va Dahnavī, Nezām-'Alī, "Madrase-ye Ettefāq-e īrānīyān dar Teflīs", *Motāle'āt-e Tārīkh-e Farhangī*, No.9, Tehran, 1390/2011, 171-191.

Amīnī, 'Alī, "Moqaddame", *Safar-nāme-ye Amīn ad-Doule Hājj Mīrzā 'Alī Khān Sadr-e A'zam*, be kūshesh-e Eslām Kāzemīye, Tehran, 1354/1975, 1-3.

Amīr Ahmadīyān, Bahrām, "Teflīs", *Dāneshnāme-ye Jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Alī Haddād 'Ādel, j.7, Tehran, 1382/2003, 731-736.

Amīr Ahmadīyān, Bahrām, *Gorjestān dar gozar-e tārīkh*, Tehran, 1383/2004.

'Āqelī, Bāqer, *Nokhost vazīrān-e Īrān az Mashrūte tā Enqelāb-e Eslāmī*, Tehran, 1374/1995.

'Āqelī, Bāqer, "'Abdollāh Mostoufī", ნიგნში: *Sharh-e hāl-e rejāl-e sīyāsī va nezāmī-ye mo'āser-e Īrān*, j. 3, Tehran, 1380/2001, 1418.

Āryānpūr, Yahyā, *Az Sabā tā Nīmā*, Tehran, 1351/1972.

As'adī, Mortezā, "Safar-nāme-ye Hājj Sayyāh", *Nashr-e Dānesh*, No. 25, Tehran, 1363/1984, 51-53.

Asadīyān, Mohammad, "Safar-nāme-ye Mīrzā Sāleh Shīrāzī", *Rāhnemā-ye Ketāb*, Vol.13, No.8-10, Tehran, 1349/1970, 608-617.

Ashraf, Ahmad, "Tārīkh, khātere, afsāne", *Īrān Nāmeh*, Vol.14, No.4, 1375/1996, 525-538.

Ashraf, Ahmad, "Sābeqe-ye khāterenegārī dar Īrān", *Īrān Nāmeh*, Vol.15, No.1, 1375/1997, 5-26.

Atābakī, Tūraj, "Safar-e Ahmad Dānesh be Sant Petersbūrg", *Arj-nāme-ye Īraj*, be kūshesh-e Mohsen Bāqerzāde, j.1, Tehran, 1377/1998, 423-430.

Āzerang, 'Abd al-Hoseyn, "Hājj Sayyāh: nevīsande-ye safar-nāme va khāterāt va az degarandīshān va mashrūtekhāhk-e 'asr-e Qājār", *Bukhārā*, Vol.6, No. 1 (31), Tehran, 1382/2003, 48-62.

Āzerang,'Abd al-Hoseyn, "Taqīzādeh, Seyyed Hasan", *Dāneshnāme-ye Jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Alī Haddād 'Ādel, j.7, Tehran, 1382/2003, 883-891.

Āzerang,'Abd al-Hoseyn, "Hājj Sayyāh", *Dāneshnāme-ye Jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Alī Haddād 'Ādel, j.12, Tehran, 1387/2008, 293-297.

Bābā'ī Nivlū'ī, 'Alī, *Nāmāvarān-e Orūmīye*, Tehran, 1389/2010.

Bahār, Mohammad Taqī, *Sabkshenāsī yā Tārīkh-e tatavvor-e nasr-e fārsī*, j. 3, Tehran, 1370/1991 (მეექვსე გამოც.).

Bāhārlī, Mehrān, "Jamshīd Khān Majd as-Saltane Afshār Orūmī, Vālī-ye Āzerbāyjān-e jonūbī-ye nīmemostaqel – tahtolhemāye-ye Emperātūrī-ye 'Osmānī (8 zhuan-e 1918 – avval-e oktobr-e 1918)" (http://azadistanxiyabani.blogspot.com/2011/12/httpsozumuz.html).

Bāhārlī, Mehrān, "Majd as-Saltane Afshār Orūmī az nokhostīn nomāyandegān-e jonbesh-e khodāgāhī-ye tork" (http://non-valqalam.blogsky.com/1390/11/08/post-68/).

Bāhārlī, Mehrān, "Majd as-Saltane va Āzerābādegān dar maqāle-ye "Al-loghat al-torkīye fī Īrān"-e Kasravī" (http://azadistanxiyabani.blogspot.com/2011/12/httpsozumuz_8210.html).

Bahrāmī, 'Askar, "Taqīzādeh, Seyyed Hasan", *Dā'erat al-mo'āref-e Bozorg-e Eslāmī*, ed. by Kāzem Mūsavī Bojnūrdī, j,16, Tehran, 1387/2008, 68-77.

Bahrāmīyān, 'Alī, "Khāterāt-e mohājerat", *Tārīkh-e Ravābet-e Khārejī*, Vol.1, No.1, Tehran, 1378/1999, 173-177.

Bālī Lāshak, Sadeqe va Yārī, Ma'sūme, "Rāh-e hedāyat", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, No.131, Tehran, 1388/2009, 101-104.

Bāmdād, Mehdī, *Sharh-e hāl-e rejāl-e Īrān dar qarn-e 12 va 13 va 14 hejrī*, j. 1-5, Tehran, 1347/1968.

Bāstānī Pārīzī, Mohammad Ebrāhīm, "Az Marv tā Monāco", *Rāhnemā-ye Ketāb*, Zamīme-ye shomārehā-ye 10, 11 va 12 jeld-e pānzdahom, Tehran, 1351/1972, 1-52.

Bayāt, Kāve, "Madrase-ye Ettefāq-e īrānīyān", *Ta'sīrāt-e motaqābel-e tārīkhī va farhangī-ye Īrān va Gorjestān (Majmū'e-ye maqālāt)*, Tehran, 1380/2001, 63-74.

Bayāt, Kāve, *Tūfān bar farāz-e Qafqāz. Negāhi be monāsebāt-e mantaqe-ye Īrān va jomhūrīhā-ye Āzerbāyjān, Armanestān va Gorjestān dar doure-ye nokhost-e esteqlāl-e 1917-1921*, Tehran, 1380/2001.

Bayāt, Mahmūd, "Jāygāh-e khāterenegārī dar fehrest-e asnād-e ravābet-e khārejī", *Tārīkh-e Ravābet-e Khārejī*, No. 24-25, Tehran, 1384/2005-2006, 69-88.

Berādze, G., "Dīplomāsī va she'r: Safahātī az tārīkh-e ravābet-e motaqābel-e Īrān va Gorjestān dar avākher-e qarn-e 16", *Ta'sīrāt-e motaqābel-e tārīkhī va farhangī-ye Īrān va Gorjestān (Majmū'e-ye maqālāt)*, Tehran, 1380/2001, 139-150.

Bīnesh, Taqī, "Sīyāhat-nāme-ye Hājj Sayyāh", *Rāhnemā-ye Ketāb*, Vol. 12, No.3-4, Tehran, 1348/1969, 38-45.

Borūmand, Safūrā, "Englīs be revāyat-e mosaferīn-e īrānī (se dahe-ye avval-e sadde-ye 19/ nīme-ye avval-e sadde-ye 13 qamarī)", *Tārīkh-e Ravābet-e Khārejī*, No. 22, Tehran, 1384/2005, 65-100.

Dahnavī, Nezām 'Alī, *Īrānīyān-e mohājer dar Qafqāz. Fa'ālīyathā-ye farhangī dar sālhā-ye 1900-1931*, Tehran, 1383/2004.

Dehbāshī, 'Alī, "Gozāresh-e Konferāns-e safar-nāmehā-ye fārsī dar qarn-e nūzdahom", *Kelk*, No.53, Tehran, 1373/1994, 68-76.

Doctor Ghanī, "Fathollāh Khān Sheybānī", *Āyandeh*, Vol.3, No. 1 (25), Tehran, 1323/1944, 30-37.

Doulatābādī, 'Azīz, *Sarāyandegān-e she'r-e fārsī dar Qafqāz*, Tehran, 1370/1991.

Ebrāhīmī, Āmene, "Farār az vaz'-e moujūd (negāhi be Safar-nāme-ye Farang-e Hājj Sayyāh)", *Bukhārā*, No. 76, Tehran, 1389/2010, 609-612.

Elāhī, Amīr Sa'īd , "Ketābshenāsī-ye tousīfī-ye safarāt-nāmehā-ye fārsī", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, No. 77-78, Tehran,1382-1383/ 2004, 12-23.

Esfahānī, 'Abd ar-Razzāq, "Negāhi dīgar be sīmā-ye Mosaddeq (Taqrīrāt-e Mosaddeq dar zendān)", *Āresh*, No. 4 (24), Tehran, 1360/1981, 122-126.

Esfahānī, Abū Ja'far, "Safar-nāme-ye Makke, Hājj Mohammad Taqī Jūrābchī", *Mīqāt-e Hajj*, Vol.19, No. 74, Tehran, 1389/2011.

Ettehādyeh (Nezām Māfī), Mansoure, "Khāterāt-e rejāl-e Qājārī: morūri bar omūr-e darbār va ravābet-e darbārīyān (A Survey of Notable Qajar Memoirs)", *Īrān Nāmeh*, Vol.14, No. 4, 1375/1996, 539-558.

Ettehādyeh (Nezām Māfī), Mansoure, "Taammoli dar avvalīn khāterāt va safar-nāmehā-ye Nāserī", *Mehr-nāme*, No. 4, 1389/2010 (http://www.mehrnameh.ir/article/804/).

Fallāh Rastegār, Gītī, "Mīrzā Sāleh Shīrāzī dar safar-nāme", *Faslnāme-ye Dāneshkade-ye Adabīyāt va 'Olūm-e Ensānī, Dāneshgāh-e Ferdowsī-ye Mashhad*, No.30, Mashhad, 1351/1972, 236-257.

Fāzelī, Mahmūd, "Khātere va safar-nāme-nevīsī dar mīyān-e īrānīyān", *Tārīkh-e Shafāhī*, No. 74, 24 Khordad 1391/13 June 2012 (http://www.oral-history-mag.ir/print.php?page= article&id=431).

Fehrest-e nosakh-e khattī-ye fārsī-ye ganjīne-ye Anstītū-ye sharqshenāsī-ye Abū Rayhān Bīrūnī – Tāshkend, bakhsh-e avval az jeld-e avval, tārīkh, zīr-e nazar-e 'Osām ad-Dīn Orenbāyef, Seyyed 'Alī Moujānī, Shāh Nīyāz Mūsāyef, Tehran, 1376/1997.

Fehrest-e tafsīlī-ye nosakh-e khattī-ye fārsī-ye Anstītū-ye Kekelīdze-ye Tefīs, tahīye va tanzīm: Seyfollāh Modabber Chahārborjī, j.1, Tehran, 1383/2004.

Fehrestegān-e Qafqāz, gerdāvarī va tanzīm: Tūraj Atābakī, Solmāz Rūstamovā-Touhīdī, Grīgol Berādze, Jorj Sānīkīdze, Tehran, 1384/2006.

Ferdowsī, 'Alī, "Hajj Sayyāh va ezterār-e ta'alloq: hekāyati dar tabarshenāsī-ye sharm va shahrvandī", *Īran Nameh*, Vol.19, No. 3, 1380/2001, 16-17, 293-336.

Ferdowsī, 'Alī, "Goftogū bā Hāj Sayyāh: Āmrīkā – shegeftī-ye jahān", *Bukhārā*, Vol.12, No. 75, Tehran, 1389/2010, 354-369.

Ganjī, Mohammad Hasan, "Savāneh al-masālek va farāsekh al-mamālek: Dar mo'arefī-ye yek safar-nāme-ye tājīkī", *Arj-nāme-ye Īraj*, be kūshesh-e Mohsen Bāqerzāde, j. 2, Tehran, 2008, 425-444.

Ghaffārī, Farībā, "Hosām as-Saltane, Soltān Morād Mīrzā", *Dāneshnāme-ye Jahān-e Eslām*, ed. by Gholām-'Alī Haddād 'Ādel, Vol.13, Tehran, 1388/2009, 219-220.

Ghaffārī -Jāhed, Maryam, "Safar-nāme-ye hajj-e Mansūr", 1390/2011 (http://www.jahed.blogsky.com/1390/01/07/post-36/).

Hāfez Qor'ānī, Mehīn-Dokht, *Ketābshenāsī-ye tārīkh-e Īrān*, Tehran, 1375/1997.

Hājj Bābā'ī, Mohammad Rezā, *Khāterāt va safar-nāmenevīsī dar 'asr-e Qājār*, Tehran, 1385/2006.

Hassanī, 'Atāollāh va Pāshāzādeh, Gholām'alī, "Rūykard-e Mostashār ad-Doule be nezām-e mashrūte-ye gharb", *Tārīkh-e Īrān*, No. 62/5, Tehran, 1388/2009, 47-71.

Hoqūqī, Mohammad, *Morūri bar tārīkh-e adab va adabīyāt-e emrūz-e Īrān*, j. 1, Tehran, 1377/1998.

Ja'farīyān, Rasūl, "Hajjgozarī-ye īranīyān dar doure-ye Qājār", *Mīqāt-e Hajj*, Vol.8, No. 32, Tehran, 1379/2000, 54-79 [= ნიგნი: Rasūl Ja'farīyān, *Maqālāt-e tārīkhī*, j. 8, Qum, 1387/2008, 1-53; ნიგნი: *Panjāh safar-nāme-y hajj-e Qājārī*, j.1, 9-132].

Ja'farīyān, Rasūl, "Az Tabrīz ta Tabrīz: Gozāresh-e safar-e hajj-e Seyyed Mohammad Rezā Tabātabā'ī Tabrīzī dar sāl-e 1296 qamarī", 1286/2007 (http://www.historylib.com/site/SViewDocument.aspx?DocID=877&RT=List).

Ja'farīyān, Rasūl, "Bā Safar-nāme-ye hajj-e Hājjī Selīm Khān Takābī āshnā shavīm" (http://hajj.ir/hadjwebin/news/wfShowOpinion.aspx?id=47874)

Ja'farīyān, Rasūl,"Tafsīl-e Safar-e Makke-ye mo'azzame (Zādhā Allāh Sharafā)", *Mīqāt-e Hajj*, Vol.16, No. 62, Tehran, 1386/2007-2008.

Ja'farīyān, Rasūl, "Dar bāre-ye Safar-nāme-ye hajj-e Mansūr (az sāl-e 1285 q.)", *Mīqāt-e Hajj*, Vol.17, No. 66, Tehran, 1387/2008-2009.

Ja'farīyān, Rasūl, "Safar-nāme-ye Selīm Khān Takābī va mājarā-ye vabā-ye Makke dar sāl-e 1310 q.", *Mīqāt-e Hajj*, Vol.17, No. 68, Tehran, 1388/2009.

Ja'farīyān, Rasūl, "Gozāresh-e safar-e Mīrzā Mohammad Hoseyn Farāhānī be hajj dar sāl-e 1302 q. be zamīme-ye resāle-ye ū Dar Mazammat-e Jomhūriyyat", 1389/2010.

Ja'farīyān, Rasūl, "*Safar-nāme-ye Makke va Farang: morūri bar safar-nāme-ye Nāser as-Saltane dar sāl-e 1317 q.*", *Mīqāt-e Hajj*, Vol.19, No. 73, Tehran, 1389/2010.

Ja'farīyān, Rasūl "Dar bāre-ye mo'allef va safar-nāme" [Hājjī Mīṛ Āqā Naqīb al-Ashrāf Aharī], *Payām-e Bahārestān*, Vol.2, No.12, Tehran, 1390/2011, 1567-68.

Jāme Bozorg, Behzād, "Nokhostīn daryāfthā-ye safar-nāme-nevīsān-e īrānī az nehād-e pārlamān (bā ta'kīd bar safar-nāmehā-ye īrānī-ye doure-ye Fath'alī Shāh Qājār)", *Payām-e Bahārestān*, Vol. 2, No. 10, Tehran, 1389/2011, 153-159.

Javādī, Hasan, "Khāterāt-e Āzerīhā", *Īrān Nāmeh*, Vol. 15, No.1, Tehran, 1375/1997.

Javāher Kalām, 'Alī, "Mazār-e Sheykh Sana'ān dar Teflīs", *Armaghān*, Vol. 39, No. 11-12, Tehran, 1349/1971, 761-764.

Javānbakht, Mehrdād, *Az negāh-e īrānī: kankāshi dar safar-nāmehā-ye īrānīyān az Qājār tā zamān-e hāzer*, Isfahan, 1381/2002.

Kamālī, Maryam, "Safar-nāme-ye Rūsīye", *Payām-e Bahārestān*, Vol. 2, No. 11, Tehran, 1390/2011, 117-130.

Karājī, Rūhangīz, *Dīdārhā-ye dūr: pazhūheshi dar adabīyāt-e safar-nāme'ī hamrāh bā ketābshenāsī-ye safar-nāmehā-ye fārsī*, Tehran, 1382/2003.

Karīmīyān, 'Alī, "Mīrza Saleh Shīrazī va Kāghaz-e akhbar", *Ganjīne-ye Asnād*, No. 29-30, Tehran, 1377/1998, 5-8.

Kasravī, Ahmad, *Tārīkh-e mashrūte-ye Īrān*, Tehran, 1376/1997 (მეთვრამეტე გამოც.).

"Ketābshenāsī-ye khāterāt-e īrānī", *Īrān Nāmeh*, Vol.14, No. 4, 1375/1996, 639-668.

Khalīl Zāde, Majīd, "Rejāl-e nezāmī-ye Orūmīye dar 'asr-e Qājār", 1390/2011 (http://azurmia.blogfa.com/post-10.aspx).

Khosropanāh, Mohammad Hoseyn, "Kārnāme va rūzgār-e īrānīyān-e mohājer dar Qafqāz-e 1900-1920", *Negāh-e Nou*, No. 43, 31-73.

Mahbūbī Ardakānī, Hoseyn, "Safar-nāme-ye Mīrzā Hoseyn Farāhānī", *Rahnemā-ye Ketāb*, Vol.7, No.2, Tehran, 1343/1965, 351-359.

Mahbūbī Ardakānī, Hoseyn, *Tārīkh-e mo'assesāt-e tamaddonī-ye jadīd-e Īrān*, 3 jeld, Tehran, 1376/1997-1378/1999.

Majīdī, 'Enāyatollāh, "Dar bāre-ye īn safar-nāme" [Hājjī 'Abdollāh Qarāgozlū], წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 151-158.

Mar'ashī, Seyyed Mahmūd, "Dar bāre-ye mohtavā-ye īn safar-nāme" [Ra'īs az-Zākerīn], წიგნში: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 303-308.

Ma'sūmī, Bahrām, "Teflīs", *Dāneshnāme-ye adab-e fārsī*, Vol. 5: Adab-e fārsī dar Qafqāz, ed. by Hasan Anūshe, Tehran, 1382/2003, 156-167.

Matīnī, Jalāl, "Doctor Mosaddeq, Enqelāb-e Mashrūte, va tahsīlāt-e 'ālīye dar Orūpā", *Iranshenasi*, Vol.11, No. 4, Rockville, Maryland, 1378/2000, 29-31 (English Summary), 711-741 (Persian Text).

Mazāherī, A'zam, "Seyri dar Sīyāhat-nāme-ye Ebrāhīm Bīg", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, Vol.5, No.12(60), Tehran, 1381/2002, 24-29.

Mesrat, Hoseyn, "Ahamīyat-e safar-nāmehā-ye fārsī", *Āyyīne-ye Mīrās*, No.7, Tehran, 1386/2007, 3-42.

Mesrat, Hoseyn, "Gozīde-ye ketābshenāsī-ye negaresh bar safar-nāmehā", *Āyyīne-ye Mīrās*, Vol.5, No.1-2 (36-37), Tehran, 1386/2007, 443-450.

„Mīrzā Taqī Khān Ansārī Kāshānī", *Nojūm*, Vol. 21, No. 8 (217), Tehran, 1391/2012, 26-27.

Mīrzā'ī, Hoseyn, "Nomāyesh-e dīgarī: jāygāh-e gharb dar safar-nāmehā-ye doure-ye Mashrūtīyat", *Faslnāme-ye Tahqīqāt-e Farhangī*, Vol.3, No. 9, Tehran, 1389/2010, 77-105.

Mo'ayar al-Mamālek, Dūst-'Alī, "Rejāl-e 'asr-e Nāserī", *Yaghmā*, No.92, Tehran,1334/1955, 554-56; No.94, Tehran,1335/1956, 77-79; No.95, Tehran,1335/1956, 133-35.

Mo'ezzī, Fāteme, "Perens Arfa' ad-Doule", Mo'assese-ye motāle'āt-e tārīkh-e mo'āser-e Īrān (http://iichs.org/index.asp?id=495&doc_cat=7).

Momtahen ad-Doule Shaqāqī, Mīrzā Mehdī Khān va Mīrzā Hāshem Khān, *Rejāl-e vezārat-e khāreje dar 'asr-e Nāserī va Mozaffarī*, be kūshesh-e Īraj Afshār, Tehran, 1365/1986.

Monzavī, Ahmad, *Fehrest-e noskhehā-ye khattī-ye fārsī*, j. 6, Tehran, 1353/1974.

Monzavī, Ahmad, *Fehrestvāre-ye ketābhā-ye fārsī*, j.1, Tehran, 1374/1995.

Morselvand, Hasan, "Īrāngardī va jahāngardī dar āyyīne-ye safar-nāmehā va asnād", *Ganjīne-ye Asnād*, No. 13-14, Tehran, 1373/1994 , 6-36.

Mo'tamad al-Vezāra, Rahmatollāh Khān, *Orūmīye dar mohārebe-ye 'ālamsūz*, be kūshesh-e Kāve Bayyāt, Tehran, 1379/2006.

Mo'tamad Dezfūlī, Farāmarz, "Safar-nāmehā va āghāzandīshe va 'asr-e jadīd-e īrānī", ᵇᵒᵍᵇᵒᵈᵒ: Faramārz Mo'tamad Dezfūlī, *Tārīkh-e andīshe-ye jadīd-e īrānī (safar-nāmehā-ye īrānīyān be Farang)*, daftar-e avval, Tehran, 1390/2011, 1-35.

Mūlīyānī, Sa'īd, *Jāygāh-e gorjīhā dar tārīkh va farhang va tamaddon-e Īrān*, Isfahan, 1379/2000.

Najafī, Mehnām, "Jāygāh-e Dūst'alī Khān Mo'ayar al-Mamālek dar doure-ye Qājārīye", *Golestān-e Honar*, No.13, Tehran, 1387/2008, 97-104.

"Nāser ad-Dīn Shāh dar Teflīs", *Anjoman-e Tārīkh*, No.1, Tehran, 1349/1970, 15-18.

Nāteq, Homā, "Mīrzā Sāleh Shīrāzī va janghā-ye Īrān va Rūs", *Rāhnemā-ye Ketāb*, Vol.17, No.1-3, Tehran, 1353/1974, 20-29.

Navvāb Safā, Esmā'īl, *Sharh-e hāl-e Farhād Mīrzā Mo'tamad ad-Doule*, Tehran, 1366/1987.

Nīkūhemmat, Ahmad, "Hājj Mīrzā Yahyā Doulatābādī", *Vahīd*, No. 134, Tehran, 1353/1974, 927-931.

Panāhī, Fereshte, *Zan-e īrāni dar safar-nāmehā*, Tehran, 1381/2002.

Pārsīnezhād, Īraj, "Zayn al-'Ābedīn Marāgha'ī, montaqed-e adabī", *Irān Nāmeh*, Vol.9, No. 3, 1991, 427-439.

Pūrgīv, Farīde va 'Abdollāhī, Manīzhe, "Jost-o-jū-ye jān va jahān: negāhi be safar-nāmehā-ye fārsī", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, No. 88-89, Tehran, 1383/2004, 22-33.

Qāsemī, Akbar va Ne'matī, Ra'nā, "Rāhīyān-e hajj", *Zamāne*, No. 72, Tehran, 1387/2008, 55-58.

Qāzī 'Askar, Seyyed 'Alī, "Moqaddame" [Mīrzā Dā'ūd Vazīr-e Vazāyef], ßnßßn: *Panjāh safar-nāme-ye hajj-e Qājārī*, j. 7, 441-451.

Qāzīhā, Fāteme, "Zan az negāh-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-nāmehā-ye Farangestān", *Hoqūq-e Zanān*, No. 2, Tehran, 1377/1998, 47-53.

Rabī'ī, Manīzhe, *Sargozasht-e Nāser ad-Dīn Shāh*, Tehran, 1384/2005.

Ra'īs Nīyā, Rahīm, "Teflīs dar āyyīne-ye safar-nāmehā-ye īrānīyān", *Tā'sīrāt-e motaqābel-e tārīkhī va farhangī-ye Īrān va Gorjestān (Majmū'e-ye maqālāt)*, Tehran, 1380/2001, 189-202.

Ra'īs Nīyā, Rahīm, "'Andalīb Kāshānī", *Chīstā*, No. 258-259, Tehran, 1388/2009, 10-16.

Ra'īs Nīyā, Rahīm, "Naqsh-e Tabrīz dar moqābel-e qoshūnhā-ye Rūs va 'Osmānī dar Jang-e jahānī-ye avval", 1391/2012 (http://www.rezahamraz.com/fa/index.php?option=com_content&task=view&id=575&Itemid=49).

Ranjkesh, Maryam, "Qājārān be revāyat-e Mostoufī", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, No. 118, Tehran, 1386/2008, 82-85.

Rāsekh, Karāmatollāh, "Andīshe-ye eslāhāt dar Īrān-e qarn-e nūzdahom va en'ekās-e ān dar safar-nāmehā-ye īrānīyān", *Faslnāme-ye 'Olūm-e Sīyāsī*, Dāneshgāh-e Eslāmī-ye Āshtīyān, No.1, Ashtiyan, 1388/2009, 161-184.

Sa'ādat Nūrī, Hoseyn, "Hājj Mīrzā Yahyā Doulatābādī", *Armaghān*, No. 7, Tehran, 1346/1967, 336-345.

Sa'ādat Nūrī, Manūchehr, "Pazhūheshi pīrāmūn-e safar-nāme va safar-nāme-nevīsān-e nāmdār-e Īrān", 1391/2012 (http://asre-nou.net/php/view.php?objhr=24930).

Safarī, Mohammad 'Alī, *Mashrūtesāzān*, Tehran, 1370/1991.

Safarī, Soheylā, "Ārshīv dar safar-nāmehā-ye īrānī-ye doure-ye Qājār (az ebtedā-ye Qājār tā Mashrūte)", *Ganjīne-ye Asnād*, Vol. 19, No. 1 (73), Tehran, 1388/2009, 9-14.

Sarvat, Mansūr, " Safar-nāme-ye Hājj Sayyāh be Farang", *Nāme-ye Anjoman*, No. 15, Tehran, 1383/2004, 45-70.

Sāsānpūr, Shahrzād, "Rūsīye-ye tezārī az dīdgāh-e safar-nāmenevīsān-e īrānī", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, No. 159, Tehran, 1390/2011, 32-36.

Shahrestānī, Seyyed Mohammad 'Alī, "Safar-nāme-ye Mīrzā Sāleh Shīrāzī", *Ganjīne-ye Asnād*, No. 33-34, Tehran, 1378/1999, 51-59.

Shahrī Barābādī, Mohammad, "Seyri kūtāh dar safar-nāmehā-ye hajj", *Mashkūt*, No.25, Mashhad, 1368/1989-90, 182-202.

Shahrī Barābādī, Mohammad, "Gasht va gozārī dar safar-nāmehā-ye sīyāsī", *Mashkūt*, No.26, Mashhad, 1369/1990, 119-140.

Shahrī Barābādī, Mohammad, "Safar-nāmehā-ye Farang-raftegān", *Mashkūt*, No. 31, Mashhad, 1370/1991, 66-84.

Soltānī, Mohammad 'Alī, "Tashīh-e safar-nāme yā tablīgh-e sehyūnīsm", *Āyyīne-ye Pazhūhesh*, Vol. 21, No. 3 (123), Tehran, 1389/2010, 27-41.

Soltānī Moqaddam, Sa'īd, "Khānedān-e Arfa'" (http://www.pajoohe.com/fa/index.php?Page=definition&UID=39787).

Sūfī Nīyārakī Najafī,Taqī, "Safar-nāmehā: nokhostīn bāztābhā dar movājehe bā qarb-e jadīd", *Āmūze*, No. 2, Tehran, 1382/2003, 157-182.

Sūfī Nīyārakī Najafī,Taqī, "Gozāresh-e Farang: negāhi be avvalīn safar-nāmehā-ye neveshte shode dar Īrān", *Zamāne*, No. 24, Tehran, 1383/2004, 65-72.

Tāher Ahmadī, Mahmūd, "Rūznāme-ye Khāterāt-e Nāser ad-Dīn Shāh dar safar-e Farangestān", *Ketāb-e Māh: Tārīkh va Joghrāfīyā*, No. 88-89, Tehran, 1383/2004, 50-55.

Tajlīl, Jalīl va Asadī, Zahrā, "Ahvāl va āsār-e Fathollāh Khān Sheybānī", *Faslnāme-ye takhassosī-ye zabān va adabīyāt-e fārsī*, Vol.7, No. 29, Tehran, 1390/2011.

Taslīmī, 'Alī, *Gozārehā'i dar adabīyāt-e mo'āser-e Īrān*, *Dāstān*, Tehrān, 1383/2004.

Vahīdnīyā, S., "Arfa' ad-Doule va khāne-ye Esfahān dar Orūpā", *Nashrīye-ye Dāneshkade-ye adabīyāt-e Esfahān*, Vol. I, No. 1, Isfahan, 1343/1964, 158-178.

Vahūman, Hārūn, "Darvīsh-e jahāngard", *Safar-nāmehā-ye khattī-ye fārsī*, j.2, tashīh va pazhūhesh-e Hārūn Vahūman, Tehran, 1388/2009, 19-25.

Yaghmā'ī, Eqbāl, "Makhbar as-Saltane Hedāyat panjomīn vazīr-e 'olūm", *Āmūzesh va Parvaresh* (*Ta'līm va Tarbiyyat*), No. 205-206, Tehran, 1347/1968, 54-67.

Yāvarī, Negīn, "Abū'l-Hasan Khān Īlchī Shīrāzī", *Dā'erat al-Mo'āref-e Bozorg-e Eslāmī*, ed. by Kāzem Mūsavī Bojnūrdī, j.5, Tehran, 1372/1993 (http://www.cgie.org.ir/shavad.asp?id=123&avaid=2086).

Yazdānī, Khalīlollāh, "Hajj va safar-nāme", ნიგნები: Khalīlollāh Yazdānī, *Hajj dar adab-e fārsī*, Qum, 1379/2000, 121-174.

Zokā', Yahyā, "Sargozasht-nāme-ye Sharaf ad-Doule", *Rūz-nāme-ye khāterāt-e Sharaf ad-Doule Mīrzā Ebrāhīm Khān Kalāntarī Bāghmīshe'ī nomāyande-ye doure-ye yekom-e Majles-e Shourā-ye Mellī-ye Īrān*, be kūshesh-e Yahyā Zokā', Tehran, 1377/1998, 15-60.

საძიებლები

პირთა ანოტირებული საძიებელი

აბას მირზა (1879-1833) – ფათჰალი შაჰის უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე-უფლისწული, აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორი – 17, 18, 20, 36, 88, 93, 199, 256, 357, 368.

აბას ყოლი ხანი – 102, 103, 306.

აბდ ალ-აზიმ ბეგი – თბილისში ირანის გენერალური კონსულის თანაშემწე (1856) – 107.

აბდ ალ-ბაყი ყარაბაყი – თბილისელი მუტრიბი – 337.

აბდ ალ-ესლამ ახუნდზადე – თბილისელი მოლა, მადამ სტასულევიჩის პანსიონში სპარსულისა და არაბულის მასწავლებელი, შემდგომში კავკასიის შეიხ ალ-ესლამი და ყადი – 309, 500.

აბდ ალ-მოჰამად ესფაჰანი – ბათუმში მუსლიმთა საზოგადოების წარმომადგენელი – 540.

აბდ ალ-ჯალილ თაბათაბაი თაბრიზი – თავრიზელი სეიდი, თეირანი-თავრიზის გზის ჩაფარბაში – 346.

აბდ ალ-ჰამიდ II (1842-1918) – ოსმალეთის 34-ე სულთანი (1876-1909) – 554, 555.

აბდ ალ-ჰოსეინ ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, საპასპორტო ხაზინის უფროსი (1918) – 602.

აბდ არ-რასული – ბუხარელი სასულიერო პირი, მოლა – 628.

აბდ არ-რაჰმან აყა – სალაჰლოელი წარჩინებული – 258.

აბდ ას-სამად მირზა ('ეზ ად-დოულე) (1845-1929/30) – ნასერ ად-დინ შაჰის ძმა, ყაზვინის, ბორუჯერდის, ჰამადანის, მალაიერის გუბერნატორი – 326.

აბდოლაჰ მირზა – ჰეშმათ ად-დოულეს ძმისწული, სართიფი – 199, 201, 342.

აბედინ ბეგ მაზანდარანი – 73.

აბუ'ლ-ყასემ ხან ყარაგოზლუ ჰამადანი (ნასერ ალ-მოლქი, მოშირ ჰოზური) (1865/66-1927/28) – მოზაფარ ად-დინ შაჰისა და მოჰამად ალი შაჰის დიდმოხელე, 1887 წლიდან ჰამადანის გენერალ-გუბერნატორი, 1896 წლიდან ფინანსთა მინისტრი, 1907 წელს სადრ ა'ზამი, 1909 წლიდან აჰმად შაჰის რეგენტი – 53, 236, 256, 542.

აბუ'ლ-ყასემი – საჰიბი ილჩის ჩალვადარი – 74.

აბუ'ლ-ჰასან დიბა (სეყათ ალ-მოლქი) – მოსადეყ ას-სალთანეს ძმა – 577.

აგალაროვი ჰასან ბეგი – თბილისელი წარჩინებული მუსლიმი – 293, 306.

აგაროვი – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, თბილისი-ვლადიკავკაზის გზის ზედამხედველი (1829) – 100.

ადიბი, ადიბ ალ-მოლქი – იხ. მოჰამად ბაყერ ხანი – 47, 209, 239, 254.
ავექ ხანი – მოჯთაჰედის ბაღის მეპატრონე აყა მირ ფათაჰის მერე – 266.
აზათოლაჰ ხანი – ირანელი ემიგრანტი სტოკჰოლმში (1917) – 596.
აზამათ ად-დოულე – 491.
აზიზ ას-სოლთანი – იხ. ყოლამ ალი ხანი – 227-230, 234-237, 241, 242, 253.
აზიზ ხანი – ნასერ ად-დინ შაჰის ჰარამხანის მსახური – 237, 253.
აზიმ ბაი მირახორ ბოყჩე-ბარდარი – ბუხარის ემირის წარჩინებული მოხელე და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 629.
აზოდ ალ-მოლქი – იხ. ალი რეზა ხან ყავანლო ილხანი – 212, 217, 219, 220, 247, 249.
ათარი ფარიდ ად-დინი (1141-1229) – დიდი ირანელი პოეტი – 425.
აიუბ აყა – კაზაკი ოფიცერი – 220.
ალა ად-დოულე – იხ. მირზა აჰმად ხანი – 219, 374.
ალა ალ-მოლქი – იხ. მირზა მაჰმუდ ხან დიბა – 309, 312-326, 339, 522, 642, 643.
ალა ას-სალთანე – იხ. მირზა მოჰამად ალი ხანი – 324-326, 330.
ალაჰიარ ბეგი – თბილისელი წარჩინებული მუსლიმი – 306.
ალექსანდრე II – რუსეთის იმპერატორი 1855-1881 წლებში – 201, 342.
ალექსანდრე III (1845-1894) – რუსეთის იმპერატორი 1881-94 წლებში – 203.
ალექსანდრე მირზა (1770-1844) – მეფე ერეკლეს ვაჟი – 259.
ალექსანდრე რუმელი (ალექსანდრე მაკედონელი, ალექსანდრე დიდი) (ძვ.წ. 356-323) – ძველი სამყაროს უდიდესი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, მაკედონიის მეფე 336 წლიდან – 400.
ალექსი – დანეშაბადის მებაღე – 335.
ალი – ალა ალ-მოლქის ფარაში – 309.
ალი აქბარ ხანი – ბათუმში ირანის კონსული – 238, 428, 440.
ალი ბახშ მირზა – იაყუბ მირზა თაბრიზის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 188.
ალი ბეგი – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს ჩალვადარი – 56.
ალი ბეგი – სტამბოლში ირანის კონსულის ჰაჯი მირზა ჰოსეინ ხანის თარჯიმანი – 277.
ალი ბეგი – თბილისელი მენარდეების უფროსი – 329.
ალი ზადე (ჰაჯი მოჰამად სადეყი) – ვლადიკავკაზელი ირანელი – 562.
ალი მოჰამად ხან შარიფ ად-დოულე – თბილისში ირანის გენერალური კონსული (1918) – 602, 604, 605.
ალინაყი – ნასერ ად-დინ შაჰის იუველირი – 231.
ალი რეზა ხან ყავანლო ილხანი ('აზოდ ალ-მოლქი) (1823/24-1910) – ნასერ ად-დინ შაჰის ბიძაშვილი, მაზანდარანის გენერალ-გუბერნატორი, იუსტიციის მინისტრი, ხაზინის უფროსი – 247, 249.
ალი ქერბალაი – მეეტლე – 182, 183.
ალი ყოლი ხანი (მოხბერ ად-დოულე, ამირ აშ-შო'არა, ჰედაიათი) (1829/30-1897/98) – ირანელი სახელმწიფო მოღვაწე, დარ ალ-ფონუნის დირექტორი, ტელეგრაფის, ბუნებრივი წიაღისეულის და ვაჭრობის მინისტრი, მოგონებათა წიგნის „მოგონებები და ხიფათები" ავტორი – 217, 228, 232, 238, 249, 250, 252, 368.
ალიშერ ნავოი (1441-1501) – დიდი თურქი პოეტი – 631.
ალი ხან თაბრიზი თარბიათი – 561.
ალი ხანი – ნეზამ ად-დოულეს ვაჟი, სართიფი – 201.

ალი ხან მოშირ ალ-ვეზარა – თბილისში ირანის გენერალური კონსული (1900) – 179-181, 195, 342, 343.
ალიხანოვი – თბილისის ჩაფარბაშის შვილი – 308, 337, 344, 345.
ალმასხან (ვახტანგ) ბატონიშვილი (1762-1814) – ერეკლე მეფის ვაჟი, მთიულეთისა და არაგვის ერისთავი – 84, 92.
ამინ ად-დოულე – იხ. ჰაჯ მირზა ალი ხანი – 22, 38, 52, 227-233, 242, 252-254, 287, 473-475, 541, 563.
ამინ ალ-ვეზარა – ირანის საბაჟოს საპასპორტოს უფროსი – 311, 312.
ამინ ალ-მოლქი – იხ. მირზა ისმაილ ხანი – 222.
ამინ ას-სალთანე – იხ. მოჰამად ალი ხანი – 220, 222, 232.
ამინ ას-სოლთანი – იხ. მირზა ალი ასყარ ხანი – 212, 217, 220, 229-242, 252- 254, 328, 363, 473, 476, 498, 522, 530.
ამინ აყდასი – ნასერ ად-დინ შაჰის ცოლი – 338.
ამინ ხალვათი – იხ. ყოლამ ჰოსეინ ხან ყაფარი – 47, 209, 230, 232, 237-239.
ამინ ჰოზური – იხ. აყა ალი აშთიანი – 238, 242.
ამირ ნეზამი / მირზა მოჰამად ხან ამირ ნეზამ ზანგანე (?-1841) – ფათჰალი შაჰისა და მოჰამად შაჰის კარისკაცი, აზერბაიჯანის მთავარსარდალი და ვალი – 98.
ანდრონიკოვი რ. ი. – 1870-79 წლებში თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი – 292-294.
ანუშირვანი /ანუშირვან სამართლიანი – სასანიანთა დინასტიის მეფე ხოსრო I (488-531) – 26, 289, 347, 400.
არგუტინსკი-დოლგორუკი – თბილისის თავი (1893) – 233, 266.
არდაშირ ბაბაკანი, არდაშირ ბაბაკის ძე – ირანის მეფე (IIIს.), სასანიანთა დინასტიის დამაარსებელი – 411.
არდაშირ დერაზდასთი – იხ. ბაჰმან იბნ ესფანდიარი – 266.
არნოლდი / მუსიე არნოლდი (ფარიდ ას-სალთანე) – თბილისში ირანის საკონსულოს საპასპორტო საქმეთა უფროსი (1909) – 366, 367, 543.
არსენ ბეგ არმანი – ბორჩალოსა და დემირჩი-ჰასანლოს თემის უფროსი (1814) – 58, 59.
არსენიევი – რუსი მოხელე, ადმირალი, მოზაფარ ად-დინ შაჰის მეჰმანდარი თბილისში – 497, 499, 501.
არფა' ად-დოულე – იხ. მირზა რეზა ხანი – 299-301, 332, 335, 336.
არფა' ამჯადი – ირანის სადრ ა'ზამი – 105, 107.
არშაკუნი – თბილისელი სომეხი მოიჯარე-შემსყიდველი, სახლების მეპატრონე – 201, 349.
ასად ხანი – კავკასიის ფოსტის უფროსის მირზა მოჰამად ალი ხან ქაშანის ვაჟი – 498.
ასთუდახი – რუსი ოფიცერი – 237.
ასპატანი – თბილისში მცხოვრები სალმასელი სომეხი – 332.
აფხაზოვი / აფხაზი ი. ნ. (1784-1831) – გენერალი, 1810 წლიდან კავკასიის გრენადერთა პოლკის მეთაური, 1829 წლიდან მუსლიმური პროვინციების (ყარაბაღის, ნუხის და შირვანის) მმართველი – 59, 60.
აფხამ ას-სალთანე – მირზა მაჰმუდ ხან მოდირ ად-დოულეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 548.

აქბარ ხანი (ნაიებ ნაზერი, სეიფ ას-სოლთანი, სარდარ ნასერი) – მაჯდ ად-დოულეს ბიძა, ნასერ ად-დინ შაჰის ნაიებ ნაზერი – 236-238.
აქთააყან მირზა – ახთარ ას-სალთანეს მამა – 427, 428.
აღა მაჰმად ხანი (1742-1797) – ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი, ირანის გამგებელი 1794 წლიდან და შაჰი 1796 წლიდან – 240, 259, 286, 376, 378, 499, 508, 645.
აყა ალი აქბარი – 482.
აყა ალი აშთიანი (ამინ ჰოზური) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, თეირანის მუნიციპალიტეტის უფროსი, სახელმწიფო ბაღების უფროსი, ქაშანისა და სავეს გუბერნატორი – 238, 242.
აყა ამინ ად-დოულე რაშთი – რაის აზ-ზაქერინის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 541.
აყა ახუნდ მოლა აბუ თალებ თაბრიზი – როუზეხანი – 241.
აყა აჰმად აყა ამინ ათ-თოჯარი – ბათუმში მცხოვრები ირანელი ვაჭარი – 538.
აყა ბაბა ბეგი – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს შიკრიკი – 76, 77, 81.
აყა ბალა ხანი (მო'ინ ნეზამი, ვაქილ ად-დოულე) – ნასერ ად-დინ შაჰის, მოზაფარ ად-დინ შაჰისა და მოჰამად ალი შაჰის დროის დიდმოხელე, ბრიგადის გენერალი, ირანის არმიის მთავარსარდალი, არსენალის უფროსი და სამხედრო მინისტრი, 1908 წლიდან გილანის გუბერნატორი – 532, 533, 535.
აყა ბაყერ აბდარი – ამინ ას-სოლთანის მსახური – 247.
აყა ბეგ დერბენდი – მთავარმართებელ ნ. რტიშჩევის თარჯიმანი – 60, 64-75, 84, 85.
აყა გალუსტი – 126, 127.
აყადაი – იგივე მარდაქი, აყა მარდაქი (ე'თემად ჰაზრათი) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი მესამე მოგზაურობის დროს – 236.
აყა ვაჯიჰი – იგივე ვაჯიჰოლაჰ მირზა (სეიფ ალ-მოლქი, ამირ ხან სარდარი, სარდარ მო'აზამი, სეფაჰსალარ ა'ზამი) (1854/55-1904/05) – ფათჰალი შაჰის შვილიშვილი და ნასერ ად-დინ შაჰის ცოლის ძმის შვილი, 1878 წლიდან ჯარის ხაზინადარი, 1897-98 წლიდან სამხედრო მინისტრი – 212, 217.
აყა ებრაჰიმი – მირზა ალი ასყარ ხანის მამა, ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი II მოგზაურობაში – 314.
აყა მეჰდი – თბილისის თოჯარბაში – 345.
აყა მირ ალი აქბარ თაბრიზი – როუზეხანი – 241.
აყა მირ ასადოლაჰ თაბრიზი – როუზეხანი – 241.
აყა მირ ბაყერ ქუჰქამარი – როუზეხანი – 241.
აყა მირზა აბდოლაჰ რაშთი – ირანელი პილიგრიმი – 541.
აყა მირზა ალი თაბრიზი – სტამბოლში ირანის საელჩოს თანამშრომელი (1879) – 355.
აყა მირზა ალი ჰეიათი – აჰმად ქასრავის თანამგზავრი კავკასიაში მოგზაურობის დროს – 591.
აყა მირზა იუსუფი – თავრიზის მოჯთაჰედი, აყა მირ ფათაჰის მამა – 384.
აყა მირზა მეჰდი – ჰაჯი მირზა ჰაშემის ვაჟი – 384.
აყა მირზა მოჰამად ხანი (მალიჯაქ პირველი, ამინ ხაყანი) (1858/59-?) – ნასერ ად-დინ შაჰის ცოლისძმა და კარისკაცი – 233.
აყა მირზა ქერიმ ხან გილანი – „მოჯაჰედების" ორგანიზაციის წევრი – 535.
აყა მირზა ჯაფარი – ლონდონში ირანის მისიის (1863) წევრი – 154.

აყა მირ იუსუფ რაშთი – როუზეხანი – 241.
აყა მირ ნემათოლაჰი – თბილისში მცხოვრები ირანელი, აყა მირ ფათაჰის ვაჟი – 302, 350.
აყა მირ ჰოსეინ როუზეხან-ე დილმაყანი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
აყა მირ ფათაჰი – თავრიზის მოჯთაჰედი და კავკასიის მუსლიმური პროვინციების სასულიერო წინამძღოლი, ემიგრანტი საქართველოში, მოჯთაჰედის (მუშტაიდის) ბაღის ამშენებელი – 45, 115, 116, 179, 218, 266, 302, 350-352, 384, 402, 455.
აყა მო'ინ ალ-მოლქი – სტამბოლში ირანის ელჩი (1879) – 355.
აყა მოჰამად აყა ქასმაი – მირზა ჰოსეინ ხან ქასმაის ძმა, რაშთში რუსეთის საკონსულოს თანამშრომელი – 534.
აყა მოჰამად საედი – ბათუმში ირანის კონსულის მირზა ალი მოჰამად ხანის თანაშემწე (1905) – 560.
აყა მოჰამად ხან საედ მარაყაი – მოლა ჰაჯი ბაბა-იე ყაზის ვაჟი – 340.
აყა სეიდ ასადოლაჰი (?-1873) – 1842 წლიდან ისფაჰანის მოჯთაჰედი – 219.
აყა სეიდ აჰმად ზანუზი – როუზეხანი – 241.
აყა სეიდ ნასროლაჰ თაყიზადე ხოი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
აყა შეიხ აჰმადი – თბილისელი მუსლიმი – 132.
აყა შეიხ მეჰდი ქაბირი – მეშჰედელი შეიხი, რაის აზ-ზაქერინის სულიერი წინამძღოლი – 540.
აყა შეიხ მოჰამად ჰოსეინ თაბრიზი – როუზეხანი – 241.
აყა ჰაჯი – იგივე საფი ალიშაჰი – 528.
აყა ჰოსეინ ფაშა ხანი – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს – 507-519.
აშლამიდოვი – ლაგოდეხის კომენდანტი – 298.
აშრაფ ფაშა – ნასერ ად-დინ შაჰის მეჰმანდარი I მოგზაურობის დროს – 212.
ახთარ ას-სალთანე – 427.
ახუნდი მოლა ალი ასყარი – კავკასიის შეიხ ალ-ესლამის თანაშემწე (1879) – 350.
ახუნდი მოლა აჰმადი – კავკასიის შეიხ ალ-ესლამი (1876) – 132.
ახუნდი ჰაჯი მოლა რეზა – 120.
ახუნდოვი / ახუნდზადე მირზა ფათჰალი (1812-1878) – აზერბაიჯანელი მწერალი-განმანათლებელი, დრამატურგი, 1834 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის აღმოსავლური ენების თარჯიმანი და თბილისის სამაზრო სასწავლებლის თურქული და სპარსული ენების მასწავლებელი – 129-132, 249, 260, 264-271, 283-287, 290-295, 302-307, 320, 345, 370.
აჰმადი – თბილისელი მოლა – 132.
აჰმად შაჰი – ყაჯართა დინასტიის უკანასკნელი მეფე (1909-1925) – 607, 608, 614.
აჰმად ხან ამინ დარბარი – თბილისში ირანის კონსულის თანაშემწე (1918) – 601.
აჰმად ხანი (ჯუჯე, მოშირ ჰოზური) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი – 239.
აჰმად ხანი – სადრ ა'ზამ მოშირ ად-დოულეს გერი – 338.

ბაგრატიონ-მუხრანსკი (მუხრანბატონი) გ. კ. (1821-1877) – მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, სენატორი (1864), სტატს-ინსპექტორი (1872) – 260, 264-267, 270, 273, 284, 294, 295.

ბარისკი – თბილისელი ექიმი – 38, 491.
ბასანავიჩი – რუსი ოფიცერი, გენერალი – 55, 76, 78, 80, 83-85.
ბაჰმან იბნ ესფანდიარი (ძვ.წ. 465-424) – აქემენიდების დინასტიის ნახევრადლეგენდარული მეფე – 411.
ბაჰმან მირზა (1810-1883/84) – ირანელი უფლისწული, აბას მირზას ვაჟი, მოჰამად შაჰის ძმა, აზერბაიჯანის გენერალ-გუბერნატორი, 1848 წლიდან ემიგრანტი რუსეთში – 28, 47, 218, 219, 228, 252, 284, 286, 289, 305, 345, 357, 374.
ბებუთოვი გ. ო. (1791-1858) – ინფანტერიის გენერალი, 1849 წლიდან კავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი, 1856 წლიდან მეფისნაცვლის თანაშემწე – 95, 104-109, 113-116.
ბეგ აყა – თბილისელი წარჩინებული მუსლიმი – 306.
ბეგლაროვი ლუარსაბ – შაჰ მირ ხანის ვაჟი, დიდი თავადი მიხეილის თარჯიმანი – 213, 227, 260, 263, 265, 267, 271, 276, 283, 294, 295, 312.
ბეგლაროვი პაველი – შაჰ მირ ხანის ვაჟი – 265, 312.
ბეზაკი – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, ბარონ როზენის მოხელე, სოფიო ორბელიანის ქმარი – 212.
ბელოვი – ბუხარის ემირის ხელქვეითი, კაპიტანი – 628.
ბენტესკი – რუსი ოფიცერი, გენერალ-მაიორი – 265.
ბერჟე ადოლფ (1848-1886) – კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე – 319.
ბექრ აყა – სალაჰლოელი წარჩინებული – 258.
ბეჰჯათ ეფენდი – თბილისში ოსმალეთის კონსული (1875) – 271, 284.
ბილიკი – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, თბილისის პოლიცმაისტერი (1875) – 274, 283, 295, 519.
ბოზორჯმიჰრი – ხოსროვ ანუშირვანის (VIს.) ნახევრადლეგენდარული ვეზირი, რომელიც თავისი სიბრძნითა და სამართლიანობით იყო ცნობილი – 41, 411.
ბოლდუინი – თბილისელი გერმანელი, ცეკვის მასწავლებელი – 324.
ბრუსილოვი ა. ნ. (?-1859) – რუსი ოფიცერი, გენერალი, 1840 წლიდან იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის სამხედრო ნაწილის მეთაური, 1842 წლიდან შავი ზღვის სასაზღვრო ხაზის IV განყოფილების უფროსი, 1847 წლიდან კავკასიის კორპუსის საველე აუდიტორიატის თავმჯდომარე – 104, 106, 112.
ბუღა თურქი – თურქი მხედართმთავარი, რომელმაც 852 წელს კავკასია დალაშქრა – 400.

გაგარინი კ. დ. – რუსი მოხელე, სენატორი, თბილისის გუბერნატორი 1878-1883 წლებში, 1884 წლიდან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – 221.
გიორგი XIII (1746-1800) – ერეკლე II-ს ძე, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798-1800) – 386.
გიორგი მიხაილოვიჩი – დიდი თავადი მიხეილის ვაჟი – 223.
გოლიცინი გ. ს. (1838-1907) – რუსი მოხელე, სენატორი, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი, 1896-1905 წლებში კავკასიის მთავარმართებელი – 286, 499.
გონჩაროვი ს. ს. – რუსი მოხელე, 1884 წლიდან თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე – 232.

გრიგორი – ფოთის კონსულ დიგრან არმანის ძმა – 281.
გუდელინი – თბილისელი ექიმი – 491.

დათიკო – ქართველი რევოლუციონერი – 532, 534, 535.
დარიოსი – ძველი სპარსეთის მეფე დარიოს I (522-486) – 26, 85.
დაუდ მირზა შაჰრუხშაჰი – თბილისში „მორზეს" ტელეგრაფის შესასწავლად ჩამოსულ ირანელთა ჯგუფის წევრი – 342.
დაუდ ხან გორჯი – ქართველი თავადი, რეზა ალი დივანბეგის მასპინძელი – 603.
დერეზილინი – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, კავკასიის ხაზის კაზაკთა რაზმის მეთაური (1829) – 95.
დეჰხოდა მირზა ალი აქბარ ხან ყაზვინი (187-1956) – ირანელი მწერალი, მეცნიერი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე – 561, 569.
დიგრან არმანი / დიგრან ოვანესოვი – ფოთში ირანის კონსული – 276.
დიდი თავადი მიხეილი (1832-1909) – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის შვილი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1862-81 წლებში – 150, 200, 202, 213, 223, 307, 498.
დისტარი – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, ვლადიკავკაზის კომენდანტი (1856) – 111.
დომონტოვიჩი ა. ი. (1846-1908) – რუსი გენერალი, სპარსული კაზაკთა ბრიგადის პირველი მეთაური (1879-1882) – 233.
დონდუკოვ-კორსაკოვი ა. მ. – კავკასიის მთავარმართებელი 1882-96 წლებში – 229, 252.

ებრაჰიმ ბეგი – კავკასიის გზების უფროსის ნესა ხანუმ ყაფარის თანაშემწე – 517.
ებრაჰიმ ბეგი – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს კარისკაცი – 69.
ებრაჰიმ ბეგი – ბათუმის ნაზერი – 278.
ებრაჰიმ მირზა – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი III მოგზაურობის დროს – 230, 233, 238, 253, 255.
'ეზ ად-დოულე – იხ. აბდ ას-სამად მირზა – 326.
ე'თემად ას-სალთანე – იხ. მოჰამად ჰასან ხანი – 232, 244, 246, 252, 322.
ეიუბ აყა – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, კაზაკ ცხენოსანთა რაზმის მეთაური – 258.
'ემად ად-დოულე – ებრაჰიმ მირზას მამა – 233.
ემირ ბაჰადორ ჯანგი – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს – 503.
ემირ თემურ გურაქანი / თემურლენგი (1336-1405) – შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი (1370-1405) – 83, 400, 412.
ენაიათ ხანი – შარაფ ად-დოულეს ვაჟი – 566.
ერეკლე ხანი – მეფე ერეკლე II (1720-1798), 1744-1762 წლებში კახეთის, 1762-1798 წლებში ქართლ-კახეთის მეფე – 63, 91, 92, 99, 259, 319, 386, 400, 463.
ერისტოვი / ერისთავი გ. დ. – გენერალ-მაიორი, ბათუმის გუბერნატორის თანაშემწე (1893) – 627.
ერმაკოვი დ. (1845-1916) – ცნობილი თბილისელი ფოტოგრაფი – 494.
ერმოლოვი ე. პ. (1777-1861) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მთავარმართებელი 1816-1827 წლებში – 464.
ეს'რაფილ ბეგი / ესრაფილბეგოვი – თბილისელი წარჩინებული მუსლიმი – 124, 132.
ესფანდიარი – ბუხარის ემირის თარჯიმანი – 627, 628, 631, 632.

ესქანდერ ბეგი – ირანელი დიდმოხელე, მთავარსარდალი – 74, 75.
ესქანდერ ხანი – მალქომ ხანის ძმა – 322.
ესჰაყ იბნ ესმაილი – თბილისის ამირა (830-853) – 400.
ეფრემი – „მოჯაჰედების" ორგანიზაციის წევრი – 535.
ეჰსან ად-დოულე – აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწე, ირანის პირველი მეჯლისის დეპუტატი – 566.
ეჰსანოლაჰ ხანი – ირანელი მოჯაჰედი, „შურისძიების კომიტეტის" წევრი – 580.

ვაზირ მოხთარი – იხ. მირზა მაჰმუდ ხანი – 237, 239, 280.
ვალიკო – ქართველი რევოლუციონერი – 532, 534, 535.
ვანდერნენი – რუსი ოფიცერი, იმპერატორის ადიუტანტი – 233.
ვასილიევი ნ. ა. – რუსი ოფიცერი, ვიცე-ადმირალი, ასტრახანის გუბერნატორი 1854-57 წლებში – 106, 108.
ვასილი სემიონოვიჩი – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, თბილისი-ვლადიკავკაზის გზის ზედამხედველი (1856) – 111.
ველირი – დიდი თავადი მიხეილის მოხელე, გენერალ-მაიორი – 293.
ვიგჰამი – ინგლისელი სამხედრო, პოლკოვნიკი – 608.
ვორონცოვი მ. ს. (1782-1856) – გენერალ-ფელდმარშალი, 1844-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალი – 116, 176, 270, 271, 348, 377, 401, 445, 461, 523.
ვოსუყ ად-დოულე მირზა ჰასან ხანი (1875-1940) – ირანის დიდმოხელე, 1916-1921 წლებში პირველი მინისტრი – 607.

ზამან ბეგი – ბუხარის ემირის თარჯიმანი – 628, 629, 631.
ზარეცკი – რუსი ოფიცერი, გენერალ-მაიორი, ვლადიკავკაზის გარნიზონის უფროსი – 111.
ზაქა ალ-მოლქი – მოჰამად ჰოსეინ ხანის ვაჟი – 322.
ზაჰირ ას-სოლთანი – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს – 509.
ზიად ბეგ განჯე – ბაჰმან მირზას სიძე – 228, 252.
ზია' ად-დინ ბეგი – სტამბოლში ირანის საელჩოს თანამშრომელი, ელჩის შამს ად-დინ ბეგის მესამე თანაშემწე (1900) – 513.
ზიხანი – გენერალ ბასანავიჩის ძმა – 55.

თარივერდი – თბილისის შეიხ ალ-ესლამი (1814) – 63, 74.
თაყი ბეგი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, ალა ას-სალთანეს რუსულის თარჯიმანი – 329.
თაჰმასბ მირზა (მო'აიიედ ად-დოულე) (?-1880) – ყაჯარი უფლისწული, ქაშანის, ჰამადანის, ჰერათის, ქერმანის, ფარსის და აზერბაიჯანის გუბერნატორი – 172.
თექრანი – ბათუმში ირანის კონსული – 32, 414, 415, 417, 418.
თემურ ფაშა ხანი – მაქუელი ხანი, ბათუმში ირანის კონსული – 228, 238, 239, 242.
თორდი ყარაულბეგი ფარაშბაში – ბუხარის ემირის მსახურთუხუცესი და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 626.

იადგარი – თბილისში მცხოვრები ირანელი, თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 384, 385.

იანკოვსკი – რუსი ოფიცერი, ჟანდარმერიის გენერალი – 632.
იაფეტი – წინასწარმეტყველ ნოეს ვაჟი – 347.
იაყუბი – თბილისში მცხოვრები იზმირელი სომეხი – 131.
იაჰია ხანი (მო'თამად ალ-მოლქი, მოშირ ად-დოულე, ჯენაბ აშრაფი) (1831/32-1891/92) – ნასერ ად-დინ შაჰის ქალიშვილის ქმარი, 1858-59 წლებში შაჰის პირადი ადიუტანტი და თარჯიმანი, 1870 წლიდან ქაშიქჩი (დაცვის უფროსი), 1880 წლიდან მშენებლობის მინისტრი, 1886 წლიდან საგარეო საქმეთა მინისტრი – 212, 217, 220, 332.
იბნ მაყალე – X საუკუნის არაბი სწავლული, არაბული დამწერლობის რამდენიმე სახეობის გამომგონებელი – 268.
იგნატოვი – რუსი ოფიცერი, გენერალი – 279, 291.
იოანესიანი – კავკასიის ექიმთა საზოგადოების თავმჯდომარე და თბილისში ირანის საკონსულოს ექიმი – 108, 204.
იოსები – აბედინ ბეგ მაზანდარანის მსახური – 73.
იოსიფ ანდრეიჩი – 55.
იოტკა – მირზა ზეინ ალ-აბედინ თაბრიზის მსახური – 541.
ისმაილ აყა – სალაჰლოელი წარჩინებული – 258.
ისმაილ ბეგი – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს კარისკაცი – 56.
ისმაილ ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, მირზა რეზა ხანის II თანაშემნე – 328, 330.
ისმაილ ჰაყი – თბილისელი მუსლიმი, წიგნის მაღაზიის მეპატრონე – 592, 594.

კარაბაშოვი – მადამ სტასულევიჩის პანსიონის რუსული ენის მასწავლებელი – 309-311, 319.
კარნავიჩი იოსიფ ოგანოვიჩი – თბილისის საავადმყოფოს მთავარი ექიმი (1875) – 273.
კელერი – რუსი ოფიცერი, იმპერატორ ალექსანდრე მესამის ადიუტანტი – 233.
კობ'ონი – განჯის გუბერნატორის თანაშემწე, ქალაქ ყაზახის თავი – 228.
კოლენკო – რუსი ოფიცერი, იმპერატორის ადიუტანტი – 233.
კოლიუბაკინი მ. პ. – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, 1849-58 წლებში თბილისის ვიცე-გუბერნატორი – 104, 109, 112, 115.
კონსტანტინე – რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის ძმა – 72.
კაშენიკოვი – რუსი ოფიცერი, გენერალ-პოლკოვნიკი, კავკასის მთავარმართებელ ს. შერემეტიევის მოხელე – 625.
კოშილოვი – ბათუმის გუბერნატორი (1893) – 629.
კობანოვი ს. ვ. (1787-1857) – რუსი ოფიცერი, გენერალი, 1839-41 წლებში თბილისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორი, 1841 წლიდან კავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს წევრი – 104, 106, 108, 110, 113.

ლაბდილი – ყარაქილისას გამგებელი (1814) – 55-58.
ლათიფ ხოჯა – ბუხარის ემირის წარჩინებული მოხელე და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 629.
ლელი კ. ფ. – რუსი დიპლომატი, გენერალი, 1843 წლიდან მთავარმართებლის დიპლომატიური კანცელარიის უფროსი, 1859 წლიდან მეფისნაცვლის თანაშემწე – 104-106, 109, 112-115.

ლენინი ვ. ი. (1870-1924) – რუსი ბოლშევიკების ლიდერი – 600.
ლიბაუ ანდრეს – მეფისნაცვალ მიხეილის პირადი ექიმი და მიხეილის საავადმყოფოს მშენებლობის მეთვალყურე – 38, 273.
ლიდნაია ყაფლან ოღლი – რუსული ჯარის სარდალი – 55, 70, 83.
ლისლი – რუსი ოფიცერი, გენერალი – 152.

მაგალოვი (მაღალაშვილი ლ. ა.) – ქართველი თავადი, 1891-94 წლებში თბილისის თავადაზნაურობის წინამძღოლი – 232.
მადამ სტასულევიჩი – თბილისში ფრანგული პანსიონის დირექტორი – 37, 306, 337.
მადამ შერემეტიევა – ს.ა. შერემეტიევის ცოლი – 231.
მადიჩი – მოხბერ ად-დოულეს თანამგზავრი – 366.
მადმუაზელ ლუიზა – ჯავად აყას ფრანგი აღმზრდელი – 317.
მადმუაზელ ტაუბე – რუსეთის იმპერატრიცას ფრეილინა – 324.
მაკი – ფსევდონიმი რუსი მხატვრის პაველ ივანოვის, რომელიც 1920-1930 წლებში ირანში ცხოვრობდა და შაჰის კარის მხატვარი იყო – 605.
მაკსიმოვი – თბილისში მცხოვრები რუსი ოფიცერი, კერძო პანსიონის მფლობელი – 564-566.
მალექ აზარიანცი ალექსანდრე – თბილისელი კომერსანტი – 566.
მალინი – თბილისელი ექიმი, მთავარმართებელ ა. დონდუკოვ-კორსაკოვის პირადი ექიმი – 491.
მალქომ ხანი (ნაზემ ალ-მოლქი, ნაზემ ად-დოულე, *პრინცი*, ნეზამ ად-დოულე) (1833/34-?) – პოლიტიკური მოღვაწე, კონსტიტუციური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, 1872-1888 წლებში ირანის სრულუფლებიანი ელჩი ლონდონში, ავსტრიასა და გერმანიაში – 322.
მანდარკინი – მთავარმართებელ ნ. რტიშჩევის მოხელე, გენერალ-მაიორი – 64.
მანსური – იაყუბ მირზა თაბრიზის თახალუსი – 173-198.
მანსურ მირზა – ბაჰმან მირზას შვილის ხან ბაბა ხანის ვაჟი – 286, 326, 327.
მანსურ მირზა – სოლთან მორად მირზას ვაჟი – 327.
მარიამი – მირზა მა'სუმ ხანის მსახური – 310.
მარიამ ხანუმი – თბილისელი მუსლიმი – 491.
მარია სტიუარტი (1542-1587) – ინგლისის დედოფალი – 316.
მაშჰადი ალი აქბარ იაზდი – ბათუმში მცხოვრები ირანელი, ყავახანის მეპატრონე და დალალი – 554.
მაშჰადი ალი იაზდი – ბათუმში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 417.
მაშჰადი აჰმადი – თბილისელი მუსლიმი, მექუდე – 306.
მაშჰადი მოჰამად თაბრიზი – ფოთში მცხოვრები ირანელი – 354.
მაშჰადი მოჰამად ჯაფარ აყა თაჯარ-ე სალმასი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 567.
მაშჰადი რეზა – ბათუმში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 417.
მაშჰადი ქერიმ ხოი – დერვიში – 241.
მაშჰადი ყოლამ ყაჰვეჩი შაბესთარი – ბათუმში მცხოვრები ირანელი, ყავახანის მეპატრონე – 538, 541.
მაშჰადი შარიფი – ბათუმში მცხოვრები ირანელი, ყავახანის მეპატრონე – 583.
მაშჰადი ჯაბარი – თბილისის თოჯარბაშის მსახური – 124.
მაშჰადი ჰასან ბანაი – 538.

მაშჰადი ჰოსეინ ალიევ ხამენეი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
მაშჰადი ჰოსეინ თაბრიზი – თბილისში მცხოვრები ირანელი, ყავახანის მეპატრონე – 583.
მაჩაბელი – ქართველი ემიგრანტი სტოკჰოლმში, რუსეთის კონტრრევოლუციური მოძრაობის აქტივისტი – 596, 597.
მაჯდ ად-დოულე – იხ. მეჰდი ყოლი ხანი – 227, 232, 233, 239, 548.
მაჯდ ალ-მოლქი – მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 474, 476, 484-488.
მაჰმუდი – ბათუმის ყადი (1875) – 278.
მაჰმუდ მირზა – ბაჰმან მირზას ვაჟი, რუსი ოფიცერი – 284.
მელიქოვი (მელიქიშვილი) ლ. ი. – გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე (1880), მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი (1881) – 502.
მეჰდი ბეგი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, ალა ას-სალთანეს თანაშემწე – 174, 326.
მეჰდი ბეგი (ბანა-იე თაბრიზი) – თბილისში მცხოვრები ირანელი მშენებელი, სახლების მეპატრონე – 174.
მეჰდი ყოლი ხანი (მაჯდ ად-დოულე) (1811-1898/99) – ნასერ ად-დინ შაჰის ბიძაშვილი და სიძე, შაჰის მირახორი და სუფრაჯი – 47, 217.
მეჰდი ხან ნაჯაბი (მოფახერ ად-დოულე) – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს კარისკაცი, ფრანგული ენის მასწავლებელი, ექიმი – 326.
მეჰდი ხან ქაში (ვაზირ-ე ჰომაიუნი, ყაიემ მაყამი) (1865-1918) – ნასერ ად-დინ შაჰის პირადი ადიუტანტი, მოზაფარ ად-დინ შაჰის მეფობის დროს ფოსტის მინისტრი, ვაჭრობის მინისტრი, ქურდისტანის გუბერნატორი – 496, 530.
მირ აბდ ალ-ჰოსეინი – მირ აყა ნაყიბ ალ-აშრაფ აჰარის ვაჟი და თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 583.
მირზა – ვალიაჰდ აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს ვაჟის ლალებაში – 384, 386, 388.
მირზა აბას ხანი – მირზა ჯავად ხან სა'ად ად-დოულეს ძმა, თბილისში „მორზეს" ტელეგრაფის შესასწავლად ჩამოსულ ირანელთა ჯგუფის წევრი – 342, 482, 484, 490.
მირზა აბდ ალ-ვაჰაბ ხან მაჰალათი – თბილისში „მორზეს" ტელეგრაფის შესასწავლად ჩამოსულ ირანელთა ჯგუფის წევრი – 342.
მირზა აბდ ალ-ქერიმ ხანი – ბათუმში ირანის კონსული – 477, 481.
მირზა აბდოლაჰ თუყსაბე – ბუხარის ემირის დიდმოხელე და თანამგზავრი – 632.
მირზა აბუ'ლ-ყასემი – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი ევროპაში მესამე მოგზაურობის დროს – 236.
მირზა აბუ'ლ-ჰასანი – ხორასნის კანცელარიის მრჩეველი – 553.
მირზა ალი ასყარი – თბილისის კონსულის მირზა ასადოლაჰ ხანის მამა, ნასერ ად-დინ შაჰის მოსთოუფი – 262.
მირზა ალი ასყარ ხანი (ამინ ას-სოლთანი, ამინ ალ-მოლქი, ათაბაგ ა'ზამი) (1858-1907) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, 1883-88 წლებში კარის მინისტრი, 1889 წლიდან სადრ ა'ზამი – 314,475.
მირზა ალი აქბარ სალმასი – როუზეხანი – 241.
მირზა ალი აქბარ ხანი – ბათუმში ირანის კონსული (1888) – 428.

მირზა ალი თაბრიზი (შამს ალ-ათაბა, ლალი) – ირანელი ექიმი, თბილისში ირანის საკონსულოს ექიმი, პოეტი – 490, 492.
მირზა ალი მოჰამად ხან თარბიათი – 561.
მირზა ალი მოჰამად ხანი – ბათუმში ირანის კონსული (1905), ირანის მეჯლისის II მოწვევის დეპუტატი – 560.
მირზა ალი ნაყი (ჰაქიმ ალ-მამალექი) (?-1903) – ნასერ ად-დინ შაჰის პირადი ექიმი და მსახურთუხუცესი, მეჯლისის წევრი, ბორუჯერდის, ბახთიარის და ერაყის გუბერნატორი – 554.
მირზა ალი ნაყი – მირზა დაუდ ვაზირ-ე ვაზაიეფის ვაჟი – 554.
მირზა ალი ხანი (შამს ალ-ჰოქამა) (1845-1907) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი ევროპაში პირველი მოგზაურობის დროს, მოზაფარ ად-დინ შაჰის პირადი ექიმი – 217,336.
მირზა ასადოლაჰ ხანი (ვაქილ ალ-მოლქი, ნაზემ ად-დოულე) – ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე, ირანის კონსული თბილისში (1875-78), ელჩი პეტერბურგში (1883/84-1886/87), სტამბოლში (1890/91-1892/93) – 260, 262, 264, 266, 276, 283, 284, 286, 287, 290-295.
მირზა ასადოლაჰ ხანი – კავკასიის გზების უფროსის ნესა ხანუმ ყაფარის ვაჟი – 512, 514-517, 519.
მირზა აფზალ ხანი (ვაქილ ალ-მოლქი) – ალა ალ-მოლქის ძმა, ვალიაჰდის კანცელარიის უფროსი – 311.
მირზა აყა მოჰამად აყა – ბათუმში მცხოვრები ირანელი – 538.
მირზა აყა ხანი – აყა მირზა რაჰიმ ჯაჯარმის ვაჟი, თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, ბათუმში ირანის კონსული (1902-1904) – 345, 543, 548.
მირზა აჰმად მოშრეფი – ბუხარის ემირის წარჩინებული მოხელე და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 626.
მირზა აჰმად ხანი (ალა ად-დოულე) (?-1911) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, შაჰის პირადი რაზმის მეთაური, ხუზისტანის, გორგანის, მაზანდარანის, ქერმანშაჰრის და თეირანის გუბერნატორი – 311, 312.
მირზა აჰმად ხანი – ასტრახანის გენერალური კონსული – 309.
მირზა აჰმად ხანი – ბათუმში ირანის კონსული (1900) – 512, 513, 515.
მირზა აჰმად ხან მონშიბაში (მოშირ ას-სალთანე) – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარის წარჩინებული მოხელე, შაჰის პირადი მდივანი და შემდეგ კანცელარიის უფროსი, 1907 წლიდან პირველი მინისტრი – 375.
მირზა ბაბა (ჰაქიმბაში) (?-1836/37) – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს ვაჟი, აბას მირზას კარის მთავარი ექიმი – 98, 101.
მირზა ბაბა ხანი – ბაქოს გენერალური კონსული (1889) – 328.
მირზა ბარსოყი – თბილისში ირანის საკონსულოს თარჯიმანი – 132, 476, 485, 486, 495.
მირზა ბოზორგი – ირანელი ექიმი – 344.
მირზა დაუდ ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 512, 515, 519.
მირზა ებრაჰიმი – მთავარმართებელ ნ. რტიშჩევის მდივანი – 73, 74, 79, 81.
მირზა ესლამ ყოლი – ბუხარის ემირის კანცელარიის მოხელე – 632.
მირზა ზეინ ალ-აბედინ თაბრიზი – თავრიზელი პილიგრიმი, რაის აზ-ზაქერინის თანამგზავრი – 538-540.

მირზა თაყი ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, რუსული ენის თარჯიმანი – 309, 310, 330, 484.
მირზა თაყი ხან ფარაჰანი (ამირ ნეზამი, ამირ ქაბირი, ათაბაქ ა'ზამი) – მოჰამად შაჰისა და ნასერ ად-დინ შაჰის დიდმოხელე, 1835/36 წლიდან აზერბაიჯანის მთავარსარდლის მირზა მოჰამად ხან ამირ ნეზამის მოსთუფი, 1839/40 წლიდან აზერბაიჯანის მთავარსარდალი, 1848 წლიდან ნასერ ად-დინ შაჰის სადრ ა'ზამი – 201, 384.
მირზა იაროსახ ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თარჯიმანი – 509, 515.
მირზა იაჰია ხან ასყაროვ თაბრიზი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565, 566.
მირზა ისქანდერი – გ. ბებუთოვის სპარსული ენის თარჯიმანი (1856) – 104.
მირზა ისმაილ ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, მირზა რეზა ხანის მონშიბაში – 328.
მირზა ისმაილ ხანი (ამინ ალ-მოლქი) (1867-1899) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, ფინანსთა, კარის და შინაგან საქმეთა მინისტრი, საბაჟოს უფროსი – 328.
მირზა იუსუფ ხან თაბრიზი (მოსთაშარ ად-დოულე) – ირანელი მოხელე, 1853/54-1862/63 წლებში ასტრახანის კონსული, 1862/63-1866/67 წლებში გენერალური კონსული თბილისში, 1867/68-1869/70 წლებში პარიზში ირანის საელჩოს დროებითი რწმუნებული – 345.
მირზა მას'უდი – ჰაჯ მირზა მას'უდ ანსარი იშლიყი გარმრუდი (1790-1849) – ფათჰალი შაჰისა და მოჰამად შაჰის მოხელე, 1835/36 წლიდან საგარეო საქმეთა მინისტრი – 98.
მირზა მა'სუმ ხანი – ალა ალ-მოლქის თარჯიმანი – 310.
მირზა მაჰმუდ ხანი (ალა ალ-მოლქი) (1842/43-1925/26) – საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე, ასტრახანის (1842/43-1877), თბილისის (1878-1882/83), პეტერბურგის (1882/83-1885/86) კონსული, 1886/87-1895/96 წლებში რუსეთის სრულუფლებიანი ელჩი, 1907/08 და 1916 წლებში იუსტიციის მინისტრი – 232, 239, 252, 253, 309, 311, 312, 318-320, 353, 360, 361, 375, 383-388, 643.
მირზა მაჰმუდ ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, მირზა რეზა ხანის მონში – 328, 330.
მირზა მეჰდი – ირანელი ოფიცერი, პოლკოვნიკი, ინჟინერი – 201.
მირზა მეჰდი – თავრიზის ყადი – 386, 388.
მირზა მეჰდი ხან მოჰანდესბაში – 343.
მირზა მეჰდი ხან ქაშანი (აჯუდან-ე მახსუსი, ვაზირ-ე ჰომაიუნი) (1865-1918) – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარის დიდმოხელე, ფოსტის უფროსი (1899), ფოსტის მინისტრი (1901), ვაჭრობის მინისტრი (1907), სამეფო მინისტრი, მოზაფარ ად-დინ შაჰის თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს და ამ მოგზაურობის ამსახველი ჩანაწერების ავტორი – 201.
მირზა მოსტაფა – მირზა ფათჰალი ახუნდოვის ცოლისძმა – 265, 266, 304, 370.
მირზა მოსტაფა – თავრიზის მოჯთაჰედის ვაჟი, აჰმად ქასრავის თანამგზავრი კავკასიაში მოგზაურობის დროს – 591.
მირზა მოსტაფა აფშარი (ბაბა ალ-მოლქი) – მირზა მას'უდ ანსარის მდივანი, 1864-65 წლიდან იუსტიციის მინისტრი, „ხოსროვ მირზას პეტერბურგში მოგზაურობის წიგნის" ავტორი – 93.
მირზა მოჰამად ალი ბეგი – 287, 294, 295.

მირზა მოჰამად ალი ხანი (მო'ავენ ალ-მოლქი, ყავამ ად-დოულე) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, თეირანის, იაზდის საბაჟოების მოსთოუფი – 237.
მირზა მოჰამად ალი ხანი (ალა ას-სალთანე, მო'ინ ალ-ვეზარა) (?-1897/98) – ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე, გენერალური კონსული ბომბეიში (1859/60-1870/71), ბაღდადში (1878/79), თბილისში (1883-89), კონსტიტუციური მონარქიის წლებში საგარეო საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობის, კულტურის მინისტრი, 1895/96-1897/98 წლებში სადრ ა'ზამი – 243, 405.
მირზა მოჰამად ალი ხან ქაშანი (ქაში) – კავკასიის გზების უფროსი – 222, 250, 311, 332, 365, 498.
მირზა მოჰამად ამინი – მირზა აბდ ალ-მაჯიდ მაჰმუდ სეყეზი მაჯდის ძმა – 422.
მირზა მოჰამად ბეგი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, ალა ას-სალთანეს თანაშემწე – 329, 330.
მირზა მოჰამად თაყი – მირზა ფათჰალი ახუნდოვის მამა – 269.
მირზა მოჰამად თაყი (თაბიბ ქაშანი) – ჰეშმათ ად-დოულეს ჰაქიმბაში –
მირზა მოჰამად თაყი ხანი (ეჰთესაბ ალ-მოლქი) (?-1888/89) – აჰმად შაჰის კარისკაცი, იშიქაყასიბაში, ირანის ელჩი შვეიცარიაში – 239.
მირზა მოჰამადი – შარიფ ზადეს ვაჟი, თბილისში მცხოვრები ირანელი ემიგრანტი (1908) – 571.
მირზა მოჰამად ხანი (ამინ ხაყანი, მალიჯაქ პირველი) (1858/59-?) – ნასერ ად-დინ შაჰის ცოლისძმა, პირადი მსახური და მესაწოლე – 236, 253.
მირზა მოჰამად ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 315, 318, 319, 330, 331.
მირზა მოჰამად ჯაფარი – ყარაჯადაღის გამგებლის თანაშემწე (1879) – 355.
მირზა მოჰსენ მო'თამად ათ-თოჯარი – შარიფ ალ-ოლამა ესფაჰანი თაბრიზის ვაჟი, თბილისში მცხოვრები ირანელი ემიგრანტი – 374, 571.
მირზა მუსა – მირზა შაფი სეყათ ალ-ესლამის ვაჟი – 346.
მირზა ნაზემ ალ-მოლქი – თბილისში ირანის გენერალური კონსული (1900) – 507.
მირზა ნასროლაჰ ხან დაბირ ალ-მოლქი – 343.
მირზა ნეზამი – მირზა ნეზამ ად-დინ ხანი (მოჰანდეს ალ-მამალექი) (1844-1914/15) – ნასერ ად-დინ შაჰისა და მოზაფარ ად-დინ შაჰის კარისკაცი, წიაღისეულის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის და ვაჭრობის მინისტრი – 237.
მირზა პეტერს ხანი – ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს თარჯიმანი (1871) – 201.
მირზა რაფი – მირზა ალი ასყარის მამა და მირზა ასადოლაჰ ხანის ბაბუა, თავრიზელი სწავლული – 262.
მირზა რეზა ხან თარბიათი – 561.
მირზა რეზა ხანი (დანეში, *პრინცი*, არფა' ად-დოულე, მო'ინ ალ-ვეზარა) (1853-1898/99) – ნასერ ად-დინ შაჰის ადიუტანტი, პირველი სართიფი, 1878-82 წლებში თბილისში ირანის საკონსულოს თარჯიმანი და კონსულის თანაშემწე, 1889-94 წლებში თბილისის, 1894-1901 წლებში პეტერბურგის, 1901-10 წლებში სტამბოლის კონსული, იუსტიციის მინისტრი – 237, 252, 303, 316, 322, 333, 335, 351, 375, 386-388, 459, 490.
მირზა სადეყ დერბენდი – აყა ბეგ დერბენდის მამა – 65.
მირზა სალეჰ შირაზი (?-1839) —ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ირანში პირველი სტამბის დამაარსებელი და პირველი გაზეთის გამომცემელი, მოჰამად შაჰის

თარჯიმანი და საგარეო საქმეთა მრჩეველი, თეირანის მინისტრი, „მოგზაურობის წიგნის“ ავტორი – 88, 98.
მირზა სამად ხან ჰეიდარი – ამინ ას-სოლთანის მსახური – 328.
მირზა სეიდ ხან ანსარი (მო'თამან ალ-მოლქი) (1815-1884) – ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი – 345.
მირზა ფაზლალი აყა – აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწე, ირანის პირველი მეჯლისის დეპუტატი თავრიზიდან – 565.
მირზა ფაზლოლაჰ ხანი (მონშიბაში, დაბირ ას-სალთანე, ვაქილ ალ-მოლქი) – ვალიაჰდ მოზაფარ ად-დინ მირზას მონშიბაში – 322.
მირზა ფათჰალი – იხ. ახუნდოვი – 130, 132, 249, 260, 264-271, 283-287, 290-294, 302-307, 320, 345, 370.
მირზა ფარაჯ ბეგი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი (1889) – 329-331.
მირზა ფაროხი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 316, 318.
მირზა ქაზემ ბეგი (საჰებ-ე თაფსირი) – თბილისელი მუსლიმი, მუსლიმური სამართლის კანონების რუსულად მთარგმნელი – 345.
მირზა ქაზემ ხან ასაფ დივანი – 492.
მირზა ქერიმ ხან ფირუზქუჰი – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარის დიდმოხელე, არსენალის უფროსი, მთავარსარდალი, სამხედრო მინისტრი – 502, 509, 518.
მირზა ქერიმ ხანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი (1900) – 517.
მირზა ქუჩექ ხანი (1881-1921) – ჯანგალიელთა ორგანიზაციის დამაარსებელი და მეთაური – 607.
მირზა შაფი სეყათ ალ-ესლამი (1218/1803-04-?) – ცნობილი შიიტი სწავლული, პილიგრიმთა ჯგუფის მეთაური (1879) – 346.
მირზა შოქრ ალაჰი – ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე – 328.
მირზა ჯავად ხანი (სა'ად ად-დოულე) – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, ალა ას-სალთანეს მრჩეველი – 326, 342.
მირზა ჯალილ მოჰამად ყოლიზადე – აზერბაიჯანელი მწერალი და პუბლიცისტი, გაზეთ „შარყ-ე რუსის“ თანამშრომელი და გაზეთ „მოლა ნასრედინის“ დამაარსებელი და რედაქტორი – 559, 560, 565.
მირზა ჯანი – ბუხარელი დიდვაჭარი – 628.
მირზა ჯაფარ აყა ხამენეი – 593.
მირზა ჯაფარი —პეტერბურგში ირანის „მოსანანიებელი მისიის“ წევრი – 154.
მირზა ჰასან ხან მოშირ ად-დოულე – ირანის ელჩი რუსეთში – 571.
მირზა ჰოსეინი – ფოთში ირანის კონსული – 191, 192, 195.
მირზა ჰოსეინი – მირზა შაფი სეყათ ალ-ესლამის მოწაფე, როუზეხანი – 355.
მირზა ჰოსეინ ხანი (მოშირ ად-დოულე, სეფაჰსალარ ა'ზამი) (1827/28-?) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, ირანის გენერალური კონსული ბომბეიში (1849/50-1852/53), ინდოეთში (1852/53-1854/55), თბილისში (1854/55-1857/58), სტამბოლში (1858/59-1870/71), 1871 წლიდან სადრ ა'ზამი, 1873/74 სამხედრო და 1874/75 საგარეო საქმეთა მინისტრი – 104, 106, 107, 109, 112, 191, 192, 195, 312, 314.
მირზა ჰოსეინ ხან ქასმაი – ირანელი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, კალიგრაფი და ორატორი, „მოჯაჰედების“ ორგანიზაციის წევრი – 532, 533.
მირზოევი ივანე (?-1880) – ცნობილი თბილისელი კომერსანტი, სახლების მფლობელი, სასტუმრო „კავკაზის“ მეპატრონე – 200.

მირ სალეჰ ბაი – ბუხარის ემირის თარჯიმანი და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 627.
მირსკი – სვიატოპოლკ-მირსკი დ.ი. (1825-?) – ინფანტერიის გენერალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1868 წლიდან კავკასიის მთავარსარდლის თანაშემწე – 222-225, 247-249, 263-265, 270, 284, 285, 290.
მირ ყარა არზეჩი – ბუხარის ემირის კურიერი – 268.
მირ ყოლამ ხოი – როუზეხანი – 241.
მიხაილ მიხაილოვიჩი – დიდი თავადი მიხეილის შვილი – 223.
მო'აზედ ას-სალთანე (ფირ ნია) – 561.
მობაშერ ად-დოულე – 482, 485, 487, 489, 490, 492-495.
მოდირ ალ-მოლქ გილანი – გილანის დიდგვაროვანი – 535.
მოდირ ალ-მოლქ სარდარ-ე ჰომაიუნი – თბილისში ირანის გენერალური კონსული (1915-16) – 475, 476, 588.
მო'ეზ ად-დოულე ბაჰრამ მირზა (?-1882) – ირანის უფლისწული, აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს მეორე ვაჟი, სხვადასხვა წლებში მაზანდარანის, ხუზისტანისა და ლურისტანის გუბერნატორი, 1878-1882 წლებში იუსტიციის მინისტრი – 479.
მოვასაყ ად-დოულე – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს – 518, 519.
მოვასაყ ალ-მოლქი – მოზაფარ ად-დინ შაჰის ხაზინადარი და თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს – 503.
მოზაფარ ად-დინ მირზა – ნასერ ად-დინ შაჰის ვაჟი, ტახტის მემკვიდრე-უფლისწული – 299, 322, 334.
მო'თამად ად-დოულე – იხ. ფარჰად მირზა – 266, 401.
მო'ინ ალ-ვეზარა – იხ. მირზა მოჰამად ალი ხანი – 238, 241, 242, 255, 405, 459, 509, 646.
მო'ინ ალ-მოლქი (მოჰსენ ხან ამინ ად-დოულე მონში ჰოზური) (1876-1911) – მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულეს ვაჟი, მოზაფარ ად-დინ შაჰის კარის მოხელე, ხაზინის უფროსი – 474, 482, 483, 485, 487-494.
მოლა ესმათოლაჰ ხოჯა ჰაქიმი – ბუხარის ემირის წარჩინებული მოხელე და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 626.
მოლა მაჰმუდ თაბრიზი – როუზეხანი – 241.
მოლა მოჰსენ ფაიზი – იგივე მოჰამად იბნ მორთეზა იბნ შაჰ მაჰმუდ ქაშანი (გარდ. 1680) – შიიტი სწავლული – 397.
მოლა რეზა – თბილისის ყადის ჰაჯი მოლა ბაბას მსახური – 302.
მოლა შარაფ მირახორ ბოყჩე-ბარდარი – ბუხარის ემირის წარჩინებული მოხელე – 626.
მოლა ჯან მირზა ბეი ფარვანეჩი – ბუხარის ემირის კანცელარიის თანამშრომელი – 628, 632.
მოლა ჰაჯი ბაბა ალიევ თაჯარ-ე დილმაყანი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
მოლა ჰაჯი ბაბა-იე ყაზი – 340.
მოლა ჰოსეინ მარაყაი – როუზეხანი – 241.
მოლიერი – 560.
მომთაჰენ ას-სალთანე – თბილისში ირანის გენერალური კონსული (1909) – 366, 367, 573, 577.

მონთაჯებ აზ-ზაქერინი (თაბიბ-ე განჯეევი) – ბათუმში მცხოვრები ირანელი ექიმი – 539.
მორადოვი – ლაგოდეხის გარნიზონის ოფიცერი (1875) – 298.
მორთეზა ყოლი ხანი – ბათუმის კონსულის თემურ ფაშა ხანის ვაჟი – 242.
მორთეზა ყოლი ხანი (სანი' ად-დოულე) – ჰაჯ მეჰდი ყოლი ხან ჰედაიათის ძმა – 363.
მორთეზა ხანი (შეჰაბ ად-დოულე) – ირანის არმიის მთავარსარდლის მირზა მოჰამად ხანის ძმა, შაჰის დაქირავებული რაზმის მეთაური – 153.
მოსთაშარ ად-დოულე – იხ. მირზა იუსუფ ხან თაბრიზი – 329, 345, 565.
მოსთოუფი ალ-მამალექი, მირზა ჰასან აშთიანი (1875-1932) – ირანელი დიდმოხელე, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრი – 531.
მოსნანოვი – დიდი თავადი მიხეილის ადიუტანტი – 291.
მოსტაფა ფაშა (?-1580) – ოსმალეთის მთავარსარდალი – 90.
მოსტაფა ხან თალიში – 1786-1814 წლებში თალიშის სახანოს ემირი, რომელმაც სახანო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეიყვანა – 70, 75.
მოულანა, ჯალალ ად-დინ რუმი (1207-1273) – დიდი ირანელი პოეტი – 490, 647.
მოფახამ ას-სოლთანი – თბილისში ირანის გენერალური კონსული (1906) – 564, 565.
მოყიმ ბაი – ბუხარელი ვაჭარი – 629.
მოშირ ად-დოულე – იხ. იაჰია ხანი – 242.
მოშირ ას-სალთანე – იხ. მირზა აჰმად ხან მონშიბაში – 537, 547.
მოხბერ ად-დოულე – იხ. ალი ყოლი ხანი – 217, 228, 232, 238, 252.
მოხბერ ას-სალთანე – იხ. ჰაჯ მეჰდი ყოლი ჰედაიათი – 363, 367.
მოხთარ ფაშა – 344.
მოჯაჰედ ჰაჯი სეიდ ბაყერ აყა ვაეზ ნახჯევანი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
მოჰამად ალი ბეგი – კავკასიის ფოსტის უფროსი – 64, 287, 294, 353, 361.
მოჰამად ალი ქერბალაი – ბათუმში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 417.
მოჰამად ალი შაჰი (1872-1924) – ირანის შაჰი 1907-1909 წლებში – 504, 533, 614.
მოჰამად ალი ხანი (ამინ ას-სალთანე) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, ზინდარბაში, მთავარი მეგარდერობე, მეჭურჭლეთუხუცესი და ბოლოს ფინანსთა მინისტრი – 212, 237.
მოჰამად ალი ხან ქაში – მოჰამად ებრაჰიმ ხანის ბიძა – 254.
მოჰამად აყა – თბილისელი დიდვაჭარი, თოჯარბაში – 302, 329.
მოჰამად ბაყერ ხანი (ადიბ ალ-მოლქი, ე'თემად ას-სალთანე) (1857/58-?) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, 1886/87 წლიდან შაჰის მეწიგნე, 1895/96 წლიდან პოლიგრაფიის მინისტრი – 47, 209.
მოჰამად ბეგ განჯევი – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს კარისკაცი, რუსული ენის თარჯიმანი – 77, 81.
მოჰამად ებრაჰიმ ხანი – მირზა მოჰამად თაყი ხანის ძმისშვილი – 239, 243, 254.
მოჰამად ეფენდი – ბათუმის მზვერავთა VI ბატალიონის ათასისთავი – 278.
მოჰამად ეფენდი – ომარ ფაიეყ ნე'მათზადეს დისშვილი – 592.
მოჰამად თაყი – საჰიბი ილჩის ფარაში – 74.
მოჰამად თაყი სადეყოვი – თბილისის „მოჯაჰედების საზოგადოების" წევრი – 571.
მოჰამად თუყსაბე – ბუხარის ემირის წარჩინებული მოხელე და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 626, 632.

მოჰამად იუსუფ ბეი დივანბეგი – ბუხარის ემირის დიდმოხელე, სარდალი – 632.
მოჰამად ყასემ ბეგი – ნასერ ად-დინ შაჰის ჩალვადარი მესამე მოგზაურობის დროს – 247.
მოჰამად ყასემ ხანი – სართიფი, სეიფ ალ-მოლქის მისიის წევრი და მისი მრჩეველი – 106.
მოჰამად შაჰი – ირანის შაჰი 1834-1848 წლებში – 272, 617.
მოჰამად ხანი – თბილისის თოჯარბაში – 405.
მოჰამად ხან ქოლუნი – სტამბოლში ირანის საქმეთა რწმუნებული – 341, 343.
მოჰამად ჯაფარ სალმასი – შარაფ ად-დოულეს ნაცნობი – 567.
მოჰამად ჰასანი – ირანელი მხატვარი – 242.
მოჰამად ჰასან მირზა – აჰმად შაჰის ვაჟი, ტახტის მემკვიდრე-უფლისწული – 607.
მოჰამად ჰასან ხან ბაქმაზი ('ემად ალ-ათაბა) – ირანელი ექიმი – 490.
მოჰამად ჰასან ხანი (სანი' ად-დოულე, ე'თემად ას-სალთანე) (1840/41-1895/96) ნასერ ად-დინ შაჰის კარის დიდმოხელე, პარიზში ირანის სამხედრო წარმომადგენელი, შაჰის პირადი თარჯიმანი, თარჯიმანთა ბიუროს უფროსი, იუსტიციის მინისტრი, პოლიგრაფიის მინისტრი, ირანის სახალხო მეჯლისის წევრი – 75, 322.
მოჰამად ჰასან ხანი – ნუხას (შაქის) გუბერნატორი – 285.
მოჰამად ჰოსეინ ხანი – უფლისწულ ხოსროვ მირზას იშიქაყასიბაში – 96, 98.
მოჰამად ჰოსეინ ხანი – გაზეთ „ირანის" რედაქტორი (1878) – 322.
მოჰთარამ ად-დოულე (?-1917/1918) – მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულეს ცოლი – 483.
მუთავაქილი – აბასიდი ხალიფა (847-861) – 400.
მუსიე არნოლდი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი, კავკასიის საპასპორტო განყოფილების უფროსი – 367, 543.
მუსიე რენი – მოზაფარ ად-დინ შაჰის თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს – 508.
მუსიე რიშარი – 283.
მუსიე სიმონი – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარის მებაღე – 501, 503.
მუჩულ ხანი – იხ. ყოლამ ჰოსეინ ხანი – 227.
მოხბერ ად-დოულე – 217.
მუხრანსკი/ ბაგრატიონ-მუხრანსკი გ. კ. – გენერალ-მაიორი, სენატორი, მეფისნაცვლის საბჭოს წევრი და სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი – 104, 106, 112.

ნაბავი მოაზაზ ად-დოულე – თბილისში ირანის გენერალური კონსული (1919) – 579.
ნადიმ ეფენდი – ბათუმელი მოხელე – 278.
ნადირ შაჰი – ირანის შაჰი 1736-1747 წლებში – 91, 372.
ნავასარდიანი – თბილისელი ექიმი – 487-492.
ნაზემ ალ-მოლქი, მირზა მოჰამად ჰოსეინ მოსთოუფი თაფრეში – ირანის გენერალური კონსული თბილისში (1900-1902) – 498, 507-517, 543.
ნარიმან ხანი (ყავამ ას-სალთანე) – სართიფი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ფრანგული ენის თარჯიმანი, 1873/74-1879 წლებში ირანის კონსული ეგვიპტეში, 1879-1881 წლებში ირანის ელჩი ავსტრიაში – 102, 109.
ნასერ ად-დინ შაჰი (1831-1896) – ირანის შაჰი 1848-1896 წლებში – 219, 221, 227, 231, 246, 309, 313, 326, 327, 332, 334, 339, 614, 635.

ნასერ ალ-მოლქი – იხ. აბუ'ლ-ყასემ ხან ყარაგოზლუ ჰამადანი – 217, 225, 230, 232, 507, 509, 512, 514, 516, 517, 519.
ნასერ ას-სალთანე, მირზა ნასროლაჰ თაბათაბაი დიბა (1864-1934) – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარის წარჩინებული მოხელე, სოფლის მეურნეობისა და ფინანსთა მინისტრი – 339, 522, 523.
ნასერ ხაყანი – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარის კარისკაცი და თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს – 503.
ნასრ ად-დინი – ბუხარელი ვაჭარი – 629.
ნასრ ას-სალთანე – იხ. მოჰამად ვალი ხან სეფაჰსალარ ა'ზამი – 476.
ნაპოლეონი (1769-1821) – დიდი ფრანგი მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, საფრანგეთის იმპერატორი 1804-1815 წლებში – 58.
ნაჯაფ ყოლი ბეგი – მირზა აბდ ალ-ჰოსეინ აფშარ ორუმის მსახური და თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 382, 389, 391.
ნეზამ ად-დოულე ჰოსეინ ხანი (ადიუტანტბაში, საჰებ ეხთიარი) (?-1866/67) – ფათჰალი შაჰის, მოჰამად შაჰის და ნასერ ად-დინ შაჰის დიდმოხელე, ირანის ელჩი ლონდონში, პარიზში და ვენაში, ფარსის გუბერნატორი – 75, 201, 342.
ნეზამ ალ-მოლქ ოსთანყოლ ბეი ფარვანეჩი – ბუხარის ემირის კანცელარიის მოხელე – 628.
ნეკრასოვი – რუსეთის კონსული რაშთში – 533, 534.
ნესა ხანუმ ყაფარი – მირზა მოჰამად ალი ხან ყაფარის ცოლი, კავკასიის გზების უფროსი (1900) – 512, 515-517, 520.
ნიზამი (1141-1209) – დიდი აზერბაიჯანელი პოეტი – 400.
ნიკოლაი ა. პ. (1821-1899) – ბარონი, ალ. ჭავჭავაძის ქალიშვილის სოფიოს ქმარი, მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი – 214, 247-250, 286.
ნიკოლასი – სტამბოლში მცხოვრები ბერძენი დალალი – 303.
ნოე – ბიბლიური ტრადიციით ადამის X შთამომავალი, წინასწარმეტყველი – 195, 347, 445.
ნოსრათ ად-დოულე – აჰმად შაჰის კარის დიდმოხელე, მისი თანამგზავრი 1919 წელს ევროპაში მოგზაურობის დროს – 608.
ნოსრათ ას-სალთანე – აჰმად შაჰის კარის დიდმოხელე, მისი თანამგზავრი 1919 წელს ევროპაში მოგზაურობის დროს – 608.
ნური ფაშა კილიგილი (1889-1949) – თურქი მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის ისლამური არმიის მეთაური – 599.

ოლგა ფიოდოროვნა – დიდი თავადი მიხეილის ცოლი – 216.
ომანი, აბუ მოჰამად ჰასან იბნ აბი აყილი (?-940) – შიიტი სწავლული – 397, 398.
ომარ ფაიეყ ნე'მათზადე – გაზეთ „შარყ-ე რუსის" თანამშრომელი, მწერალი, წერდა ფსევდონიმით მოლა ნასრედინი – 592.
ორბელიანი გრიგოლ (1804-1883) – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ინფანტერიის გენერალ-ლეიტენანტი, 1859 წლიდან მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარე, 1860-66 წლებში თბილისის გენერალ-გუბერნატორი, სენატორი – 224, 233, 264, 266, 294, 456.
ორბელიანოვი – იხ. ორბელიანი გრიგოლ – 214.
ორლოვსკი კ. ი. (1810-1876) – თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი 1860-1876 წლებში – 263-266, 271-275, 283-285, 401.

ოსთად აბდოლაჰ მარანდი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
ოსმან იბნ აფანი – მესამე მართლმორწმუნე ხალიფა, მეფობდა ჰიჯრის 644-656 წლებში – 376.
ოსმანოვი – თბილისელი ექიმი – 445.

პალივანიჩი – მთავარმართებელ ნ. რტიშჩევის მინისტრი – 64, 65, 67, 78, 81, 82.
პალიმავიჩი – რუსი ოფიცერი, კაპიტანი – 59.
პასკევიჩი, პასკევიჩ-ერივანსკი ი. თ. (1782-1856) – გრაფი, გენერალ-ფელდმარშალი, 1826 წლიდან ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, 1827-31 წლებში კავკასიის მთავარმართებელი – 95-99.
პეტროვსკი ალექსანდრ ივანოვიჩი – მლეთის გარნიზონის მეთაური – 226.
პისარენკო – ბუხარის ემირის სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანის ექიმი – 628, 631, 632.
პოპოვი – რუსი ოფიცერი, გენერალი, იმპერატორ ალექსანდრე მესამის ადიუტანტი – 231, 232, 236, 237, 239, 241, 242.
პრინცესა მელიქოვა – კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწის ლ.ი. მელიქოვის ცოლი – 501.
პუსლეტი – 339.
პუტიატა – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი – 628, 631, 632.

რაევსკი ნ. ნ. (?-1843) – რუსი ოფიცერი, გენერალ-მაიორი, 1826 წლიდან ამიერკავკასიის დრაგუნთა რაზმის მეთაური, 1837 წლიდან შავი ზღვის სანაპირო ხაზის I განყოფილების და 1839 წლიდან მთელი ხაზის უფროსი – 96.
რაუფ ეფენდი – თბილისში ოსმალეთის კონსულ ბეჰჯათ ეფენდის პირველი თანაშემწე (1875) – 271.
რაშიდ ბეგ ისმაილოვი – გაზეთ „შარყ-ე რუსის" თანამშრომელი – 559.
რეზა – ე'თემად ას-სალთანეს მსახური – 247.
რეზაიოვი მოჰამად ბაყერი (მო'ავენ ათ-თოჯარი) – თბილისის თოჯარბაში, წარმოშობით თავრიზელი – 302, 303, 329, 339, 340, 500, 523, 545, 551, 577.
რეზა ყოლი მირზა – ბაჰმან მირზას ვაჟი, რუსი ოფიცერი, იმპერატორის ადიუტანტი – 345.
რენნენკამპფი პ.ი. – რუსი ოფიცერი, გენერალი, 1828 წლიდან რუსეთ-ირანის საზღვრის დამდგენი კომისიის საგანგებო კომისარი – 98-100.
როქნ ად-დოულე – თბილისში ირანის გენერალური კონსულის ნაზემ ალ-მოლქის მამა – 551.
რტიშჩევი ნ. თ. (1754-1835) – გენერალი, 1812-16 წლებში კავკასიის მთავარმართებელი – 83, 91.
საადათ აყა-იე ებრაჰიმ ალამდარი – როუზეხანი – 241.
სა'ად ას-სალთანე – ყაზვინის გუბერნატორი – 338.
საადი (1184-1294) – დიდი ირანელი პოეტი – 232, 268, 333, 482, 489, 490.
საგინოვ გორჯი (საგინაშვილი ალ.) – ანანურის გარნიზონის უფროსი – 110, 111.
სადეყ აყა – ბათუმში მცხოვრები ირანელი, სასტუმროს მეპატრონე – 585.
სადიყ ას-სალთანე – იხ. ყოლამ ჰოსეინ ხანი – 232, 233, 253.
სადიყოვი – თბილისელი მოჯაჰედი – 577.

სადრ ად-დოულე – ყაჯარი უფლისწული, იაყუბ მირზა თაბრიზის ძმა – 172.
საკენი (ოსტენ-საკენი დ.ე.) – ბარონი, რუსი ოფიცერი, მთავარმართებელ პასკევიჩის თანაშემწე (1829), 1829 წლიდან ახალციხის საფაშოს უფროსი – 95.
სანი' ად-დოულე – იხ. მოჰამად ჰასან ხანი – 244, 246, 322, 520.
სარდარ მაჰია – „მოჯაჰედების" ორგანიზაციის წევრი – 535.
სარხაი ხან ლეზგი – ლეკეთის ხანი – 74.
საფი ალიშაჰი, ჰაჯი მირზა მოჰამად ჰასან ესფაჰანი (1251-1316) – სუფი შეიხი – 504, 515, 650.
საჰიბი ილჩი მირზა აბუ'ლ-ჰასან ხანი (1776-1846) – ირანელი დიდმოხელე, 1809-1810 წლებში ირანის ელჩი ინგლისში, 1823-1834 და 1838-1846 წლებში ირანის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი – 55-87.
სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანი (1859-1910) – მანტიგების უზბეკური დინასტიის მეცხრე მმართველი, ბუხარის ემირი 1885-1910 წლებში – 623, 624, 630, 633, 635.
სეიდ აბდ ალ-ქერიმი, აბდ ალ-ქერიმ ჯაზაერი (?-1800/01) – შიიტი სწავლული – 397.
სეიდ ალი ამელი – ჰოსამ ას-სალთანეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 370.
სეიდ ალ-მოლქ მარზბანი – ირანის გენერალური კონსული სტამბოლში 1924-1929 წლებში – 609.
სეიდ ასადოლაჰ ბაყეროვი – რაშთი-თეირანის გზის უფროსი (1900) – 512.
სეიდ ბაყერი – თბილისელი მუსლიმი – 564, 565.
სეიდ მირ ალემ თურა – ბუხარის ემირის სეიდ აბდ ალ-აჰად ბაჰადორ ხანის უფროსი ვაჟი და ტახტის მემკვიდრე – 626, 628.
სეიდ მორთეზა ალი იბნ ჰოსეინი (ალამ ალ-ხოდა) (966-1044) – შიიტი სწავლული – 397.
სეიდ მოჰამად სადეყ თაბათაბაი – ირანის სახელმწიფო მოხელე, სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში 1924-1929 წლებში, მეჯლისის I, II და III მოწვევის დეპუტატი – 609.
სეიდ ფაშა – 280.
სეიდ ჰოსეინ თაბრიზი – როუზეხანი, მოზაფარ ად-დინ შაჰის თანამგზავრი ევროპაში I მოგზაურობის დროს – 241.
სეყათ ალ-ესლამი – იხ. მირზა შაფი – 346, 350, 353, 355, 359, 361.
სიმონიჩი ი. ო. (1794-1851) – ფრანგი სამხედრო, 1812 წლიდან რუსეთის არმიის ოფიცერი, 1819 წლიდან ქართველ გრენადერთა პოლკის ბატალიონის მეთაური, 1832-38 წლებში რუსეთის ელჩი ირანში – 110.
სიმონოვიჩი ფ. ფ. – თბილისის გუბერნატორი 1813-15 წლებში – 83.
სიპიაგინი – რუსი ოფიცერი, გენერალ-ლეიტენანტი – 232.
სოლეიმან ფაშა – ირანის კონსული ფოთში (1881) – 370, 371, 374, 375.
სოლეიმან ხანი – ასტარაბადის გუბერნატორი – 288.
სოლთან აბდ ალ-ჰამიდი – 554, 555.
სოლთან მორად მირზა (ჰოსამ ას-სალთანე) (1818-1883) აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს ვაჟი, არასბარანის, ხორასნის, ფარსის, იაზდის და ისფაჰანის გუბერნატორი – 326, 368.
სოჰრაბ ბეგი – ნასერ ალ-მოლქის მსახური – 517.

სტაროსელსკი დ. ს. (1832-1884) – რუსი ოფიცერი, გენერალ-ლეიტენანტი, სენატორი, 1872-1876 წლებში ბაქოს გუბერნატორი, 1877-1883 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი – 222, 285, 327, 374, 375.
სტერანსკი – გემ „ბუგის" კაპიტანი – 277.
სტოქსი – ინგლისელი ოფიცერი, პოლკოვნიკი, ირანში ინგლისის საელჩოს სამხედრო ატაშე – 607.
სტრეკალოვი ს. ს. – გენერალი, 1829 წლიდან თბილისის პოლიციის უფროსი – 96.

ტარსაიძე გიორგი (1857-1904) – თვალის ექიმი, თბილისში თვალის სნეულებათა საავადმყოფოს ხელმძღვანელი – 484-486.
ტატიშჩევი ნ.ა. – კავკასიის მთავარმართებელ შერემეტიევის თანაშემწე, ინფანტერიის გენერალი – 629, 632.
ტაუბე – ბარონი, რუსეთის გენერალური პროკურორი – 324, 325.
ტიზენგაუზენი ვ. – თბილისის ვიცე-გუბერნატორი (1893) – 628.
ტოლსტოი – მეფისნაცვლის მთავარი ცერემონმაისტერი (1875) – 284.
ტრიტერი – რუსი ოფიცერი, გენერალ-მაიორი, მლეთის გარნიზონის მეთაური (1889) – 234.
ტროცკი ვ. ნ. (1835-1901) – რუსი გენერალი, 1883-1889 წლებში კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი – 231, 232.
ტულუზანი – ფრანგი ექიმი, ნასერ ად-დინ შაჰის პირადი ექიმი – 217, 232, 253, 313.

ფაზელ დერბენდი – ჰაჯ საიიაჰის თანამგზავრი – 136.
ფაზლოლაჰ ხანი – ბათუმში მცხოვრები ირანელი ვაჭარი, ბათუმელი დიდვაჭრის შეიხ აჰმადის თანაშემწე – 553.
ფათჰალი ბეგი – ირანის კონსული ბათუმში (1882) – 390, 391.
ფათჰალი ხან დერბენდი – დერბენდის მმართველი – 65.
ფარიდ ას-სალთანე – იხ. მუსიე არნოლდი – 367.
ფაროხ ხანი – 365.
ფარსადანი – 58.
ფარჰადი – სპარსული ეპოსის ლეგენდარული გმირი – 180, 184.
ფარჰად მირზა (მო'თამად ად-დოულე) (1818/19-1887/88) – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს ვაჟი, თალაყანის, ლურისტანის, ქურდისტანის, ჰამადანის გუბერნატორი, „მექაში მოგზაურობის წიგნის" ავტორი – 256, 266, 294, 401.
ფაშა ხან შოჯა' ალ-მოლქი – ირანელი ოფიცერი, სართიფი – 150.
ფერზენი ვ.ნ. – რუსი ოფიცერი, გენერალ-მაიორი, კავკასიის მთავარმართებელ გოლიცინის თანაშემწე – 233, 499, 502, 503.
ფილანოვი – ბ. მ. შელკოვნიკოვის თანაშემწე – 295, 298.
ფრანკენი – რუსი ოფიცერი, გენერალი – 201.
ფულად ბეგი – აბას მირზა ნაიებ ას-სალთანეს კარისკაცი – 61.
ფურიე – ფრანგი ექიმი, ნასერ ად-დინ შაჰის პირადი ექიმი – 254, 255.

ქაიხოსრო, ქაი ხოსროვი – ლეგენდარული ქაიანიდების დინასტიის მესამე მეფე – 373.
ქარამ ალი ხანი – ხოდავერდი ხანის მსახურთუხუცესი – 471, 472.

ქეთაბჩი ხანი – მოზაფარ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი ევროპაში პირველი მოგზაურობის დროს – 519.
ქემალ ფაშა – ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე, განათლების მინისტრი (1878), შემდგომში სადრ ა'ზამი – 322.
ქერბალაი ალი ხანი – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი და თანამგზავრი მესამე მოგზაურობის დროს – 236.
ქერბალაი მოჰამად ჯაფარ ჰასანოვ ხოი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
ქერბალაი ხოსროვი – ალა ად-დოულეს მსახური – 247.
ქერიმ ხან ზენდი მოჰამადი (1704-1779) – ზენდების დინასტიის დამაარსებელი – 259.
ქუჩექ აყა – თბილისელი წარჩინებული მუსლიმი – 306.

ყაანი, მირზა ჰაბიბოლაჰ შირაზი (1807-1853) – ცნობილი ირანელი პოეტი – 531.
ყავამ ად-დოულე – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი – 328.
ყაზბეგი / ყაზბეგ გორჯი – 110, 111.
ყასემ დილმაჩი – ბუხარის ემირის თარჯიმანი და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 626.
ყასემ ხოჯა ოურაყ უდაიჩი – ბუხარის ემირის დიდმოხელე – 632.
ყაშადინხა – 129-131, 133, 136.
ყაჩაღი ქარამი (1858/59-1901/02) – კავკასიაში მოთარეშე ირანელი ყაჩაღი – 228.
ყაჯარ აყა – ფარჰად მირზას თანამგზავრი – 275, 279.
ყიზილ აიაყი – 65.
ყოლამ რეზა ნურზადი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 601, 604.

შაბესთარი შეიხ სა'ად ად-დინ მოჰამადი – XIV ს. ცნობილი სწავლული და თეოლოგი, ფილოსოფიური მესნევის „საიდუმლოებათა ვარდნარის" ავტორი – 269.
შაიქანი – კაზაკი ოფიცერი – 578.
შამილი (1797-1871) – კავკასიის მთის ხალხების დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მეთაური (1834-1859) – 289, 450, 559.
შამს ად-დინ ბეგი – ირანის სრულუფლებიანი ელჩი თურქეთში (1900) – 513.
შამს ალ-ოლამა – ჰაჯი აბდოლაჰ ამირ ნეზამ ყარაგოზლუს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 544.
შარიფ ალ-ოლამა ესფაჰანი თაბრიზი – 571.
შარიფ ზადე – 571.
შატილოვი ვ.ა. – რუსი ოფიცერი, პოლკოვნიკი, 1883 წლიდან კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის უფროსი – 233, 628.
შაუმიანი სტეფანე (1878-1918) – რუსი რევოლუციონერი – 600.
შაჰ აბასი – სეფიანთა დინასტიის V მეფე (1587-1629) – 83, 91, 120, 157, 264, 265, 350, 404, 464, 510, 551, 571, 617.
შაჰ ბაჯი – თაჰმასბ მირზა მო'აიედ ად-დოულეს და – 183.
შაჰ-ე შაჰიდი – იგივე ალა მაჰმად ხანი – 259, 286, 376, 378, 463, 499.
შაჰ მირ ხანი – 213.
შაჰროხ მირზა – ირანელი უფლისწული, ბაჰმან მირზას ვაჟი, რუსი ოფიცერი, ბათუმის გარნიზონის უფროსი – 357.

შაჰტახტინსკი ბახშალი აყა – მოჰამად აყა შაჰტახტინსკის ძმა, რუსული ჯულფას საბაჟოს მოხელე – 559.
შაჰტახტინსკი მოჰამად აყა (1846-?) – აზერბაიჯანელი პუბლიცისტი, განმანათლებელი, აღმოსავლეთმცოდნე, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, თბილისში გამომავალი თურქულენოვანი გაზეთის "შარყ-ე რუს" დამაარსებელი და რედაქტორი – 558, 559, 567.
შაჰტახტინსკი ჯაჰანგირ აყა – მოჰამად აყა შაჰტახტინსკის ძმა – 559.
შეიხ აბდ ალ-ალი – ახუნდი მოლა მოჰამად ალი ყალიჩის ვაჟი – 538.
შეიხ აბდ ალ-ბაყი – სამარყანდელი ვაჭარი, შეიხ აჰმადის ძმა – 553.
შეიხ ალი ხანი – დერბენდის მმართველი – 65.
შეიხ აჰმადი – ბათუმში მცხოვრები იაზდელი დიდვაჭარი – 553, 554.
შეიხ თუსი, აბუ ჯაფარ მოჰამად იბნ ჰასან იბნ ალი თუსი (955-1067) – შიიტი სწავლული, შეიხ მოფიდის მოწაფე – 398.
შეიხ იუსუფ იბნ აჰმად იბნ ებრაჰიმ ბაჰრანი (?-1772/73) – შიიტი სწავლული – 397.
შეიხ მორთეზა ანსარი (ამირ-ე შუშთარი) – შიიტი კანონმცოდნე და მოჯთაჰედი – 345.
შეიხ მოფიდი, აბუ აბდოლაჰ მოჰამად იბნ მოჰამად იბნ ნუმან ალ-ბაღდადი (948-1023) – შიიტი სწავლული – 398.
შეიხ მოჰამად ჰასან ნაჯაფი (1788-1850) – შიიტი სწავლული – 397.
შეიხ სანაანი – ლეგენდარული შეიხი – 63, 240, 323, 349, 376, 404, 421, 425, 463, 489, 499, 505, 531, 648.
შეიხ საფა – თბილისის შეიხ ალ-ესლამი (1863) – 345.
შეიხ ფაზლოლაჰ ნური (?-1909) – შიიტი სწავლული და ფაკიჰი, თეირანის მოჯთაჰედი – 542, 543.
შეიხ შიბლი აბუ ბექრი (861-945) – ცნობილი ბაღდადელი სუფი – 418.
შეიხ ჰაჯი მოჰამად ალი ხამსეი – ჰაჯი აბდოლაჰ ამირ ნეზამ ყარაგოზლუს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 544.
შელიაკოვი – თბილისის მთავარი სამედიცინო ინსპექტორი (1893) – 631.
შელკოვნიკოვი ბ.მ. (ბეპბუდ ბეგი) (1837-1878) – რუსი ოფიცერი, გენერალი, ზაქათალისა და ერზერუმის გუბერნატორი – 295, 298.
შელკუნოვი – თეირანში რუსეთის საელჩოს თარჯიმანი – 229, 230, 232, 252, 253.
შერემეტიევი ს. ა. (1836-1896) – რუსი მოხელე, გენერალ-ლეიტენანტი, 1884 წლიდან კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე, 1890-96 წლებში კავკასიის მთავარმართებელი – 231, 238-242, 330, 501, 625-632.
შერვაშიძე გ. დ. – თბილისის გუბერნატორი 1888-97 წლებში – 228, 338, 625, 631, 632.
შეჰაბ ად-დოულე – აჰმად შაჰის კარის დიდმოხელე, მისი თანამგზავრი 1919 წელს ევროპაში მოგზაურობის დროს – 608.
შეჰაბ ბეგი – ბათუმის გარნიზონის კომენდანტი – 278, 280.
შოჯა' – ფაშა ხან შოჯა' ალ-მოლქი – ირანის არმიის სართიფი, ლონდონში ირანის მისიის (1863) ხელმძღვანელი – 151-153.
შულენბურგი ვერნერ ფონ დერ (1875-1944) – გერმანელი დიპლომატი, გერმანიის ელჩი ირანსა და საბჭოთა კავშირში – 605.
შჩერბინინი მ. პ. – რუსი ოფიცერი, გენერალი, 1851 წლიდან კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსი, 1856 წლიდან სენატორი – 104, 106, 112.

ჩესტი – თავრიზის ამერიკული სკოლის დირექტორი – 593.
ჩინგიზ ხანი (1155-1227) – ერთიანი მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი, მხედართმთავარი – 400, 425, 463.
ჩუდოვსკი – თბილისელი ექიმი – 491.

ხოდავერდი ხან ფირუზაბადი – ხამნაბათის თურქული ტომის უფროსი – 471, 472.
ხალათოვი – ქარვასლის მეპატრონე – 120, 141, 158, 160.
ხალეყ ეფენდი – თბილისელი მუსლიმი – 564, 567.
ხან ბაბა ხანი – ბაპმან მირზას ვაჟი, რუსი ოფიცერი – 305.
ხან ყაჯარ აყა – ფარჰად მირზას თანამგზავრი – 275.
ხაყან-ე მაყფური – იგივე ფათჰალი შაჰი (1766-1834) – 260, 267.
ხაყან-ე შაჰიდი – იგივე აღა მაჰმად ხანი – 259.
ხიზრი, ალ-ხადირი – ისლამამდელი მითოლოგიური პერსონაჟი, რომელიც ინტეგრირდა მუსლიმურ წარმოდგენათა სისტემაში – 403, 404, 428.
ხოისკი ფათჰალი ხან ისკანდერ ოღლი (1875-1920) – აზერბაიჯანელი პოლიტიკური მოღვაწე, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი – 579, 580.
ხოჯა აზიზ ხანი – ნასერ ად-დინ შაჰის ჰარამხანის მსახური – 237, 253.

ჯავად აყა – ალა ალ-მოლქის ვაჟი – 315-318, 320.
ჯავად ხანი – განჯის გამგებელი (1814) – 66.
ჯალაიერი (?-1519) – ირანელი სუფი პოეტი – 415.
ჯალაიოვი – მაიორი, კაიშაურის გამგებელი – 100.
ჯალილ ყაჯარი – 66.
ჯანაბი – ჯავად აყას მასწავლებელი – 316, 317.
ჯაფარ აყა – სალაჰლოელი წარჩინებული – 258.
ჯაფარ ბეგი – მირზა აბდ ალ-ჰოსეინ აფშარ ორუმის მსახური და თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 381, 382, 389, 391.
ჯაფარ ყოლი ხან დენბელი (?-1814) – აყა მოჰამად ხან ყაჯარის მთავარსარდალი, მონაწილეობდა მის კავკასიის ლაშქრობებში; რუსეთ-ირანის პირველი ომის მერე რუსებს მიემხრო და მათ მიერ შაქის გამგებლად დაინიშნა – 66.
ჯაფარ ხანი – ჰოსეინ ხან სარდარ-ე ერევანის იშიქაყასი – 56.
ჯაჰანგირ ხანი (1833/34-1891/92) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, მრეწველობის მინისტრი, არტილერიის უფროსი, ამირთუმანი – 228, 232, 252.
ჯუდიჩი – რუსეთის კონსული – 277.
ჯურა ბეგი – ბუხარელი ვაჭარი – 629.
ჯუჯე – იგივე აპმად ხანი – 227, 236.

ჰაბიბოლაჰ ხანი – ჰაჯი მოჰამად ფაშა ხან მაქოის ვაჟი – 242.
ჰაიათ ხანი – ბუხარელი დიდვაჭარი – 628.
ჰაირი ეფენდი – ბათუმელი მუსლიმი, გაზეთის რედაქტორი – 278.
ჰალიმ ეფენდი – ბათუმელი მუსლიმი – 278.
ჰამბარცუნი – თბილისის „ნერსესის“ სომხური სკოლის დირექტორი – 128-133, 136, 141, 142.
ჰამდი ფაშა – ბათუმის გამგებელი – 277-280.

ჰამზა მირზა ჰეშმათ ად-დოულე – ყაჯარი უფლისწული, თბილისში ირანის საელჩო მისიის (1871) ხელმძღვანელი – 200-204, 208, 218.
ჰასან ალი ხან ამირ ნეზამი – პარიზში ირანის ელჩი (1863) – 345.
ჰასან ალი ხანი – არდებილის გუბერნატორი, გენერალი – 295.
ჰასან აყა – სალაჰლოელი წარჩინებული – 258.
ჰასან აყა – თბილისში მცხოვრები ირანელი (1889) – 485, 486.
ჰასან ეფენდი – ფოთში ოსმალეთის კონსული – 182.
ჰასან იბნ აბი აყილი (იგივე ომანი) – შიიტი თეოლოგი – 397.
ჰასანი – ამინ ას-სოლთანის მსახური – 247.
ჰასანი – ბათუმის მუფთი (1875) – 278.
ჰასანი – მირზა რეზა ხანის ვაჟი – 300, 340.
ჰასან სოლთანი – თბილისში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 329, 330.
ჰაფეზი შამს ად-დინ მოჰამადი (1325-1390) – დიდი ირანელი პოეტი – 232, 490.
ჰაქიმ ალ-მამალექი – იხ. მირზა ალი ნაყი – 212, 213, 217.
ჰაშემ ხანი – ირანელი სამხედრო, სართიფი – 518, 520.
ჰაჯ აბდ არ-რაჰმან ბეგი – ჰაჯი სელიმ ხან თაქაბის ძმა და თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 438, 440.
ჰაჯ აბდ ალ-ჰადი – 483.
ჰაჯ ამინ აზ-ზარბი (1872-1933) – ცნობილი ირანელი ვაჭარი და სახელმწიფო მოხელე – 531.
ჰაჯ განჯალი ბეგი – ჰაჯი სელიმ ხან თაქაბის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 438, 440.
ჰაჯ დაბირ ალ-ვეზარა – ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის უფროსი (1909) – 577.
ჰაჯი აბას თაბრიზი – დერვიში – 241.
ჰაჯი აბუ'ლ-ფეიზ ხოჯა სოდური – ბუხარის ემირის წარჩინებული მოხელე და თანამგზავრი რუსეთში მოგზაურობის დროს – 626.
ჰაჯი ალი ასყარი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
ჰაჯი ალი ხოი – ბათუმში მცხოვრები ირანელი ვაჭარი – 539.
ჰაჯი აყა – მირზა რეზა ხანის თანამგზავრი სტამბოლში – 302.
ჰაჯი აყა ბეგი – ბათუმში ირანის საკონსულოს თანამშრომელი – 414.
ჰაჯი ბაშირ ხანი – მირზა მაჰმუდ ხან მოდირ ად-დოულეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 548, 549.
ჰაჯი ებრაჰიმი – მირზა მაჰმუდ ხან მოდირ ად-დოულეს მზარეული და თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 548.
ჰაჯი ემირზადე (მოჰამად თაჰერ მირზა) – ყაჯარი უფლისწული, თაჰმასბ მირზა მო'აიედ ად-დოულეს ვაჟი – 174, 175, 179, 181, 187, 190.
ჰაჯი ესქანდერ ხანი – ნაიებ ას-სადრ შირაზის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 424.
ჰაჯი ვექილი – „მოჯაჰედების" ორგანიზაციის წევრი – 535.
ჰაჯი თაყი – მირზა მაჰმუდ ხან მოდირ ად-დოულეს მსახური და თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 548.
ჰაჯი ლალა – ნასერ ად-დინ შაჰის ენდერუნის ხოჯა – 227.

ჰაჯი ლოთფალი ხანი – ტახტის მემკვიდრე-უფლისწულის მოზაფარ ალ-დინ მირზას ყაჰვეჩიბაში, ჰაჯი სელიმ ხან თაქაბის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 440.
ჰაჯი მეჰდი თაბრიზი – თბილისის თოჯარბაში – 120.
ჰაჯი მირზა აბდ ალ-ლათიფ ჰაქიმი – მირზა შაფი სეყათ ალ-ესლამის მოწაფე, როუზეხანი – 350.
ჰაჯი მირზა ებრაჰიმ აყა – აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწე, ირანის პირველი მეჯლისის დეპუტატი თავრიზიდან – 565.
ჰაჯი მირზა მას'უდ აყა – იხ. აყა მირ ფათაპი – 365.
ჰაჯი მირზა მეჰდი – თავრიზელი როუზეხანი – 539.
ჰაჯი მირზა მოჰამადი – რაის აზ-ზაქერინის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 538.
ჰაჯი მირზა მოჰსენი – სეიფ ალ-მოლქის მისიის თარჯიმანი – 109.
ჰაჯი მირზა მუსა ურმიე – ბათუმში მცხოვრები ირანელი ვაჭარი, ბათუმელი დიდვაჭრის შეიხ აჰმადის თანაშემწე – 553, 554.
ჰაჯი მირზა ფათჰალი – მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 477.
ჰაჯი მირზა ჰასან აყა თაბრიზი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565.
ჰაჯი მირზა ჰასან ხანი – ტრაბზონში ირანის გენერალური კონსული – 277.
ჰაჯი მირზა ჰაშემი – ირანის მთავარსარდლის მირზა თაყი ხანის მოხელე – 384.
ჰაჯი მოლა ალი თაბრიზი – ბათუმში მცხოვრები ირანელი ვაჭარი, თბილისის თოჯარბაშის ჰაჯი მოჰამად ბაყერ რეზაიოვის თანაშემწე – 545.
ჰაჯი მოლა ბაბა – თბილისის ყადი (1876) – 302.
ჰაჯი მოლა ბაყერ ვაეზი – ნასერ ად-დინ შაჰის დროის ცნობილი მქადაგებელი, უფლისწულ ჰოსამ ას-სალთანეს მოძღვარი და თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 377.
ჰაჯი მოლა რეზა – თავრიზელი ახუნდი – 120.
ჰაჯი მოლა სოლთან ალი გონაბადი – სუფი შეიხი – 427, 428.
ჰაჯი მოჰამად თაყი – თავრიზელი ვაჭარი – 195, 303.
ჰაჯი მოჰამად ებრაჰიმ რეზაიოვი – თბილისელი დიდვაჭარი – 302, 329.
ჰაჯი მოჰამად ფაშა ხან მაქოი – მაქოელი ხანი, ჰაბიბოლაჰ ხანის მამა – 242.
ჰაჯი მოჰამად ჰასან ესფაჰანი (ამინ აზ-ზარბი) (1837-1899) – ნასერ ად-დინ შაჰის დროის ცნობილი ვაჭარი, სახელმწიფო ზარაფხანის უფროსი, ირანულ-ინგლისური საფეიქრო კომპანიის „ყუზის" ერთ-ერთი დამაარსებელი, რის გამოც „ჰაჯი ყუზის" და „ჰაჯი ქომფანის" ეძახდნენ – 370.
ჰაჯი მოჰსენი – იაყუბ მირზა თაბრიზის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 195.
ჰაჯი ნაჯაფ ყოლი ურმიე – დერვიში – 241.
ჰაჯი რაჰიმ აყა ერევანი – თბილისელი დიდვაჭარი – 302.
ჰაჯი რეზა აყა – თავრიზელი ვაჭარი – 303.
ჰაჯი სარჰანგი, ჰაჯი ნაჯაფ ყოლი ხან სარჰანგი – მირზა აბდ ალ-მაჯიდ მაჰმუდ სეყეზი მაჯდის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 420, 421.
ჰაჯი სეიდ ბაყერ აყა ვაეზ ნახჯევანი – თბილისში ირანელთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრი – 565-567.

ჰაჯი სეიდ მოჰამად თაჯარ-ე თეჰრანი – ცნობილი ირანელი ვაჭარი, ირანის პირველ მეჯლისში ვაჭართა ფენის წარმომადგენელი – 527, 528.
ჰაჯი სეიდ ჰოსეინ სალმასი – როუზეხანი – 241.
ჰაჯ ისმაილ ეფენდი – სოფელ შიხილოს მამასახლისი – 258.
ჰაჯი ფათჰალი – თბილისელი დიდვაჭარი – 302.
ჰაჯი ყასემი – არაბი პილიგრიმი, მირზა დაუდ ვაზირ-ე ვაზაიეფის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 552.
ჰაჯი ყოლამი – ბათუმელი ირანელი, საბაჟოს ჯარისკაცი, ყავახანის მეპატრონე – 417, 418, 427.
ჰაჯი ჰასანი – ფარჰად მირზას თანამგზავრი, ასტარელი ვაჭარი – 280, 281.
ჰაჯი ჰეიდარი – ნასერ ად-დინ შაჰის პირადი დალაქი, თარაშბაში – 217.
ჰაჯი ჰოსეინ ალი ხანი (სადრ ას-სალთანე) – ნასერ ად-დინ შაჰის კარისკაცი, 1883/84 წლიდან ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი თანაშემწე, 1885/86 წლიდან ირანის გენერალური კონსული ბომბეში, 1887/88-1888/89 წლებში ირანის კონსული ვაშინგტონში – 254.
ჰაჯი ჰოსეინ ალი ხანი – ნასერ ად-დინ შაჰის მთავარი მეეტლე – 237, 238.
ჰაჯი ჰოსეინ ეფენდი – ბათუმის კონტროლის რაზმის ათასისთავი – 278.
ჰაჯ მეჰდი ყოლი მირზა – მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 484, 485, 489, 494.
ჰაჯ მირზა ყოლამ ჰოსეინი – მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულეს მზარეული და თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 481, 484.
ჰაჯ მირზა შაფი – მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 489, 494.
ჰაჯ მირ ფათაჰი – ჰაჯი სელიმ ხან თაქაბის თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 440.
ჰაჯ მოლა ბაში – მირზა ალი ასყარ ხან ამინ ად-დოულეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 482, 484-486.
ჰაჯ სეიდ რაზი – 478-480.
ჰაჯ სეიდ ჯალილი – ჰასან აყას მამა – 482.
ჰაჯ ჰასანი – ამინ ად-დოულეს მზარეული – 481.
ჰედაიათ ხანი – შარაფ ად-დოულეს ვაჟი – 566.
ჰეიდარ ყოლი ბეი დადხაჰი – ბუხარის ემირის დიდმოხელე, ჩაჰარჯუის ჰაქიმი – 632.
ჰეიდარ ყოლი მირზა – ბაჰმან მირზას ვაჟი, რუსეთის არმიის ოფიცერი – 347.
ჰიგინინგი – ბარონი, ფოთის პოლიცმაისტერი (1875) – 280, 281.
ჰინბათი – ნასერ ად-დინ შაჰის პირადი დანტისტი – 232.
ჰორმათ ას-სალთანე – მირზა მაჰმუდ ხან მოდირ ად-დოულეს თანამგზავრი მექაში მოგზაურობის დროს – 548, 549.
ჰოსამ ას-სალთანე – იხ. სოლთან მორად მირზა – 326, 328, 368.
ჰოსეინ ალი ხანი – 237, 238.
ჰოსეინ აყა ფარვიზი – სეიდ ჰასან თაყი ზადეს თანამგზავრი სტამბოლში მოგზაურობის დროს – 561.
ჰოსეინი – ხოსროვ მირზას მეჯინიბე – 100, 101.
ჰოსეინი – მო'ინ ალ-მოლქის ვაჟი – 483.
ჰოსეინ ხანი – მირზა აბას ხანის ძმა – 482.
ჰოსეინ ხან სარდარ-ე ერევანი (1742/43-1829/30) – ერევნის ბეგლარბეგი – 56.

აბასთუმანი – 139-141, 147, 628.
აბჰარი – 159.
აგარა – 166, 167.
ავჭალა – 283, 353, 373.
აზერბაიჯანი – 66, 79, 129, 151, 152, 159, 217, 249, 259, 289, 373, 374, 410, 523, 571, 579, 580, 594, 599, 601, 638.
აზოვის ზღვა – 347.
ალაზანი – 272, 297.
ალბანეთი – 373.
ალგეთი – 59, 60, 220-222, 257-259, 263, 361, 362, 378, 380.
ალგეთი (მდ.) – 258, 272, 402.
ალეპო – 475.
ალექსანდროვსკი – 446.
ალექსანდროპოლი (იგივე ქ. გიუმრი) – 290, 562, 591.
ამერიკა – 254, 296, 597, 639.
ანაკლია – 149.
ანანური – 84, 92, 99, 110-112, 225, 226, 233.
ანატოლია – 445.
არაბეთი – 137, 258, 304.
არაბი – 263.
არაგვი (მდ.) – 85, 99, 226, 272, 402.
არარატის მთა – 290, 445, 446.
არაქსი (მდ.) – 173, 221, 228, 271, 272, 311, 312, 402, 445.
არდაჰანი – 271, 272.
არდებილი – 180, 206, 295, 326, 516.
არტაანი – 446, 464.
ასტრახანი – 80, 83, 106, 108, 215, 310, 345, 600, 615, 616.
ასტრახანის ზღვა (იგივე კასპიის ზღვა) – 90, 180.
აფხაზეთი – 319, 401, 446.
აღასანყარი – 103.
აღდაში – 263.
აღიზბიუქი (იგივე პირლებული) – 59.
აღრიდაღის მთა (იგივე არარატი) – 290.
აღსთაფა – 221, 227-229, 242, 243, 252, 257, 263, 329, 362, 446, 462, 463, 475, 494, 497-499, 517, 523.
აღსთაფა (მდ.) – 220, 227.
აღსუ – 263.
აშხაბადი – 550, 552, 592.
აწყური – 272, 402.
ახალქალაქი – 138, 165, 181, 182, 272, 402.
ახალქალაქისწყალი – 272, 402.
ახალციხე – 91, 95, 97, 100, 138, 139, 272, 402, 559.
ახქერფი – 58.
აჯიდარე – 262, 263.

ბაბ ალ-აბვაბი (ისტ. დერბენდი) – 373.
ბაბოლი – 471.
ბადენი – 215.
ბათუმი – 137, 155, 171, 191, 193, 195-198, 234-237, 242, 277-281, 344, 354-360, 367-371, 389, 390, 394-396, 399, 411-420, 422, 424, 425, 427-431, 434, 435, 439, 440, 446, 462-464, 469-472, 475-481, 484, 485, 493, 512, 515, 523, 525-528, 533-541, 543-550, 552-555, 557-560, 568, 574, 577-579, 581585, 588, 607, 608, 610, 616, 621, 626, 627, 629, 638, 639.
ბამბაკი (მდ.) – 55.
ბარსელონა – 579.
ბაქო – 207, 217, 220-222, 225, 245, 248, 252, 262, 271, 272, 283, 285, 287, 289, 293-295, 327, 328, 333, 374, 394-396, 399, 402, 412, 413, 419, 424, 434, 437, 446, 462, 463, 469, 471, 475, 479, 485, 487, 492-494, 502, 507, 513, 517, 518, 523-525, 529, 531, 533, 538, 543, 548, 550-555, 560-562, 567, 577-580, 585, 588, 591, 592, 599-601, 607-609, 615, 616, 621, 637.

ბაღდადი – 192.
ბაშ-აჩოყი (იგივე იმერეთი) – 169-171, 213, 214, 354, 371.
ბეით ალ-მოყადასი (იგივე იერუსალიმი) – 271.
ბელაგორი – 282, 283, 353, 372.
ბენდერგეზი – 202.
ბეუათუბანი – 283, 353, 372.
ბეუათუბანი (მდ.) – 282, 372.
ბერლინი – 218.
ბესლანი – 562.
ბეჰისთუნის მთა – 196.
ბომბეი – 405, 615.
ბორჩალო – 58, 59.
ბორჯომი – 272, 300, 325, 333, 335, 348, 402, 487, 514, 516, 638, 650-653.
ბოტანიკის მთა – 349.
ბრესტი – 364, 365, 599.
ბუზაბდალი – 57.
ბუნჯუყ-ბუნღარი (წყარო) – 271, 401.

განჯა – 65, 66, 162, 163, 200, 221, 222, 228, 243, 249, 263, 265, 271-273, 283, 288, 327, 362, 395, 399, 402, 446, 463, 495, 508, 599, 616, 621.
გარისდაგორი (მთა) – 100.
გატეხილი ხიდი (იგივე წითელი ხიდი) – 103, 173, 264.
გეორგიევსკი – 446, 463.
გერმანია – 215, 292, 335, 597, 599.
გილანი – 67, 91, 154, 212, 239, 253, 264, 276, 371, 436, 476, 477, 487, 502, 533-535, 585, 601, 607, 622.
გირესუნი – 281, 545.
გიუმრი – 290, 446.
გოგჩა (ტბა) – 151.
გოქ-ჩაი (იგივე გოგჩა) – 263.
გორი – 133, 134, 141, 154, 165, 166, 274, 283, 353, 360, 372, 373.
გრაკალი – 283, 353, 373.

დამასკო – 475.
დარბაზი – 56, 57.
დარიალი – 99-101.
დარ ალ-ხელაფე (იგივე თეირანი) – 106-108, 205.
დაღესტანი – 90, 91, 111, 207.
დემირჩი-ჰასანლო – 58, 59.
დერბენდი – 65, 136, 289, 373, 580.
დილიჯანი – 104, 183, 185, 221, 227, 243, 255, 310, 311, 377, 462, 497.
დილიჯანი (მდ.) – 221.
დილმაყანი – 302.
დიმი – 185, 186.
დოლაბი – 218.
დრანდა – 144.
დუშეთი – 84, 91, 92, 99, 109, 112, 225, 233, 237, 503.

ევროპა – 57, 154, 218, 221, 222, 227, 233, 239, 242, 253, 286, 294, 296, 309, 317, 339, 348, 349, 358, 367, 405, 453, 459, 467, 470, 475, 490, 497, 514, 561, 562, 570, 572, 577, 580, 607, 608, 615, 639.
ელბრუსი (მთა) – 85, 86, 289.
ენგური – 149.
ენზელი – 212, 217, 328, 338, 374, 391, 600, 607.
ერბათი – 262.
ერევანი – 55-57, 61, 65, 74, 83, 126, 127, 151, 152, 261, 272, 305, 313, 327, 351, 446, 462, 497, 616, 621.

ვაზიანი – 296.
ვანის ტბა – 341.
ვლადიკავკაზი – 100, 110, 111, 215, 238, 239, 243, 254, 289, 311, 330, 339, 377, 446, 503, 520, 562, 579, 580, 616, 626, 627, 629.

ზანგა (მდ.) – 57.
ზარდაბი – 272.
ზაქათალა – 295, 298.
ზენჯანი – 154, 544.
ზესტაფონი – 168.

ზუგდიდი – 147, 148.
ზურარეხი – 221, 257, 258, 263.

თავრიზი – 56, 67, 69, 71, 74, 76, 81, 95, 98, 174, 179, 182, 194, 195, 221, 259, 262, 269, 302, 303, 318-320, 326, 330, 342, 345, 348, 350, 355, 365, 367, 384, 386, 388, 421, 436, 441, 535, 561, 562, 566, 568, 590, 593, 594, 599, 647, 648.
თავშიშველა (ტყე) – 58.
თარამი – 159.
თარას-ჩაი – 221, 228.
თარას-ჩაი (მდ.) —221.
თბილისი – 60-64, 69-82, 90-92, 96-100, 104-106, 109, 111, 112, 115, 116, 120, 136, 141, 142, 151-154, 157-160, 163, 167, 169, 173, 174, 179, 180, 186, 200, 213-215, 218-232, 234-248, 251-255, 258-267, 270-276, 278, 280-284, 286, 289, 291-309, 311, 314-317, 319-322, 324-332, 335, 345, 347-355, 359-362, 365-368, 370-377, 380-390, 394, 395, 399-412, 419-422, 425-426, 431-439, 444-453, 455-473, 475-477, 482-491, 493-495, 498-503, 505-519, 523, 524, 528, 531-535, 537-538, 543, 546, 550-554, 557-562, 564-567, 570-574, 577-580, 584, 585, 588, 591-594, 599-605.
თბილისის ქვეყანა (იგივე თბილისის გუბერნია) – 55, 104, 112.
თეთრი ზღვა 358, 555.
თეირანი – 70, 74, 174, 188, 162, 206, 207, 219, 221, 223, 225, 235, 238, 239, 241, 243, 245, 249, 252, 254, 265, 267, 286, 288, 316, 320-324, 327, 328, 330, 339, 344, 345, 348, 364, 366, 367, 390, 429, 441, 474, 475, 479, 482-484, 486, 488, 490-492, 494, 500-503, 508-512, 514, 515, 518-523, 561, 566, 571, 578, 580, 581, 591, 601, 602, 605, 607, 612, 613, 615.
თელეთი – 260, 377.
თერგი (მდ.) – 85, 236, 240.
თილასის ზღვა (იგივე შავი ზღვა) – 555.
თრიალეთი (მდ.) – 272, 402.
თურიან-ჩაი (მდ.) – 263.
თურქეთი – 171, 271, 322, 414, 441, 513, 545, 599, 600, 609, 635.
თურქესტანი – 305, 462, 470, 471, 524.

იაზდი – 435, 578.
იასრიბი – 492.
იაფა – 271, 367.
იაღლუჯი – 222, 257, 259, 360, 363, 376, 378, 380.
იერუსალიმი – 271.
იზმირი – 131, 416.
ინგლისი – 60, 206, 212.
ინებოლუ – 281, 545.
ინდოეთის ოკეანე – 358.
ირანი – 59, 60, 64-76, 81, 91, 98, 104, 107-110, 113, 129, 148, 207, 215, 217, 222, 232, 236, 241, 242, 245, 250-252, 254, 259, 260, 262, 264, 270, 273, 276, 277, 280, 284, 285, 287-291, 304, 305, 311, 320-326, 328, 330, 332, 337, 339, 342, 343, 345, 347, 348, 350-355, 357, 359, 360-361, 367, 370, 374, 376, 380, 381, 384-390, 400, 404, 405, 413-417, 428, 429, 433-437, 440, 445, 449, 450, 452, 455, 459, 462, 463, 467, 475, 477, 481, 484, 500-502, 507-514, 520, 524, 526, 538, 543, 545, 551, 558-562, 565, 567, 571-574, 577-582, 585, 588, 601-615, 632, 635, 637, 638, 642.
ისფაჰანი – 215, 219, 285, 286, 339, 424, 464.

კავკაზსკაია ლინია (იგივე კავკასიის ხაზი) – 87, 95.
კავკასია – 202, 207, 208, 212-214, 220, 222-227, 231, 238, 246-248, 252-254, 260, 261, 266, 268, 270, 272, 276,

285-292, 302-309, 312, 314, 321, 324, 325, 330, 331, 344-348, 350, 353, 361, 365, 373, 377, 404-406, 410, 425, 429, 433, 436, 444-449, 459, 465, 466, 484-487, 491, 493, 499, 500-503, 511-513, 517, 518, 531, 533-535, 543, 554, 558, 561, 566, 567, 571-574, 577-580, 590, 592, 593, 597, 599, 601, 602, 607, 608, 612, 615-617, 630, 635, 637.
კავკასიონი – 234.
კაიშაური – 84, 86, 92, 100
კალთა – 86.
კარლსრუე – 215.
კასპი – 283, 353, 373.
კასპიის ზღვა – 90, 106, 180, 228, 229, 239, 271, 272, 347, 348, 373, 374, 377, 401, 402, 439, 445, 446, 462, 471.
კახეთი – 85, 297, 325.
კიევი – 365.
კობი – 85, 86, 92, 100, 101, 111.
კოდა – 103, 104, 116.
კოდორი (მდ.) – 146.
კოლონია – 295, 296.
კონსტანტინეს სრუტე (იგივე ბოსფორის სრუტე) – 55.
კოჯორი – 588.
კრასნი მოსტი (იგივე წითელი ხიდი) – 380.

ლაგოდეხი —298.
ლაგოდეხსკაია (იგივე ლაგოდეხი) – 298.
ლანათნამე – 262.
ლა-მანში – 264.
ლარსი – 86, 100, 101, 110.
ლეკეთი – 110.
ლეხურა – 272, 402.
ლიახვი – 272, 402.
ლორი – 57-59.
ლორი (მდ.) – 57.
ლული – 359.

მაზანდარანი – 212, 214, 217, 221, 234, 286, 288, 371, 579, 585, 621.
მათუქსინის ზღვა (იგივე შავი ზღვა) – 555.
მარაზა – 262.
მარანი – 136, 148, 154, 155, 170, 171, 180, 185, 187, 188, 193, 195, 344.
მარაღა – 302.
მარანდი – 302, 311.
მაქუ – 228, 238, 311.
მაშჰადსარი (იგივე ბაბოლსარი) – 580.
მენჯილი – 607.
მერვი – 153.
მექა – 136, 154, 157, 188, 189, 195, 197, 231, 233, 253, 285, 291, 293, 294, 302, 326, 339, 347, 361, 369, 380, 384, 394, 414, 420, 424, 435, 469-471, 474, 481, 522, 527, 537, 543, 548, 550, 568, 582, 584, 621.
მეშჰედი – 206, 328, 538, 540. 554, 591, 592.
მინგეჩაური – 257, 263, 378.
მიხაილოვკა – 298.
მიხაილოვო – 275, 283, 353, 372, 373, 627.
მიხეილის პროსპექტი – 327.
მლეთა – 224, 226, 233, 234, 236, 237, 253, 254, 503, 519, 520, 627.
მოზდოკი – 83, 85, 87.
მოლითი – 167.
მოსკოვი – 215, 270, 326, 405, 414, 437, 446, 531, 599, 600, 605, 616, 628, 629.
მოქრი – 108.
მტკვარი – 62, 74, 81, 83, 90, 91, 98, 99, 109, 116, 153, 154, 157, 158, 163-166, 173-175, 180, 181, 214, 215, 220, 222, 225, 226, 229, 230, 234, 235, 257-260, 267, 270-276, 308, 348, 349, 365, 372-378, 380, 381, 383, 400-402, 421, 439, 446, 447, 456, 457, 465, 498, 499, 505, 510, 523, 570, 573, 580.

მუთელჯანი (მთა) – 271, 401.
მულანი – 290.
მულანლო – 103, 104, 296, 297.
მულანლოსკაია (იგივე მულანლო) – 296, 297.
მუხრანი – 265.
მუხროვანი (ციხე) – 296.
მცხეთა – 83, 109, 163, 164, 180, 181, 225, 233, 234, 237, 283, 353, 373, 628.

ნარიყალა – 349, 400, 401.
ნაყი-ქერფი – 262.
ნაჭარმაგევი – 265.
ნახჭევანი – 182, 221, 298, 351, 446, 486, 533, 535, 536, 559, 581, 621.
ნევა (მდ.) – 116.
ნოვო-სენაკი – 281, 372.
ნოვო-სოვაყი (იგივე ნოვო-სენაკი) – 281, 283, 353.
ნოვოჩერკასკი – 446.
ნუკრიანი – 296.
ნუკრიანსკაია (იგივე ნუკრიანი) – 296.
ნუხა (იგივე შაქი) – 285, 288, 289, 293.

ოდესა – 132, 136, 149, 218, 277, 279, 344, 357, 570, 574.
ოზურგეთი – 148, 149.
ორდუბადი – 312.
ორუნაყი – 269.
ორხევი – 296.
ოსმალეთი – 90, 95, 128, 139, 143, 148, 149, 230, 238, 271, 272, 277, 280, 284, 285, 290, 291, 305, 321, 322, 344, 348, 351, 355-357, 369, 373, 392, 401, 402, 404, 412, 429, 439, 446, 450, 464, 469, 507, 519, 540, 543, 548, 553-555, 559, 560, 572, 592, 599, 600, 639.
ოჩამჩირე – 146, 147.

პარიზი – 68, 232, 237, 254, 264, 315, 316, 335, 345, 447, 467, 476, 490, 503, 519, 561, 577, 615, 647.
პეტერბურგი – 63-65, 69, 72-76, 81, 82, 91, 95-99, 164, 223, 234, 260, 261, 270, 273, 284, 289-291, 314, 315, 319, 324, 325, 328, 335, 340, 348, 370, 375, 377, 446, 481, 485, 491, 499, 591, 605, 615, 628, 629, 632.
პეტროვსკი – 208, 217, 579, 580.
პიატიგორსკი – 445, 487.
პირღებული – 59.
პიტერი (იგივე პეტერბურგი) – 163, 213, 234, 235.
პრუსია – 292.

რასიათი (მთა) – 298.
რაშთი – 215, 296, 252, 339, 348, 371, 403, 405, 414, 462, 482, 512, 533-535, 543, 588, 621.
რედუტ-ყალა – 149.
რეზაიე – 76, 81, 82, 96.
რიონი (მდ.) – 134, 136, 148, 154, 170, 212, 276, 278, 279, 281, 282, 344, 353, 354, 358, 359, 370-372.
რომი – 130.
რუმი – 96, 98, 192.
რუმის ზღვა (იგივე ხმელთაშუა ზღვა) – 555.
რუსეთი – 57, 60, 61, 69, 75, 76, 81, 98, 113, 151, 155, 161, 162, 165, 167, 182, 192, 207, 219, 228, 234-237, 246, 251, 252, 259, 260, 264, 265, 270, 272, 277-280, 287-292, 303, 311-313, 319, 321, 323, 324, 326, 327, 335, 338, 342-345, 348, 353-357, 366, 369, 373, 383-385, 390, 392, 401-405, 411-416, 422, 424, 425, 428, 429, 431-434, 439, 445-448, 450, 452, 462-467, 477, 483, 500, 507, 511, 512, 517, 519, 521, 528, 532-534, 538-540, 543, 548, 551-560, 570-573, 583, 585, 592, 597-600, 605, 612, 615, 616, 635-639, 651, 653.
რუსული ფოსტა (იგივე სამანლო) – 182.

საბზევარი – 636.

სალაპლო – 257, 258, 263, 378.
სალიანი – 270, 272, 305, 313, 399, 401, 402.
სალმასი – 239, 302, 324, 332, 567.
სამანლო – 181.
სამეგრელო – 149, 319.
სამეგრელოს მთა (კავკასიონის დასავლეთი კალთები) – 373.
სამსუნი – 281, 545, 548.
სამტრედია – 283, 353, 372.
სამუყი – 272.
სანაყი (იგივე მდ. ხრამი) – 173.
სანაყ-ქერფი (იგივე გატეხილი ხიდი, ახლანდელი წითელი ხიდი) – 173, 258, 378.
სარაი – 262.
სარახსი – 592.
სარდინი (იგივე მდ. მტკვარი) – 348.
სართიჭალა – 296, 297.
სართიჩალსკაია (იგივე სართიჭალა) – 296.
საყლაბი (სლავური ქვეყნები) – 347.
საფრანგეთი – 68, 230, 238, 264, 291, 294, 345, 351, 354, 357, 452, 544, 559.
საქართველო – 60, 86, 90, 111, 147, 151, 154, 155, 159, 165-170, 215, 259, 262, 265, 272, 274, 319, 335, 347, 348, 355, 372, 376, 381, 386, 400, 401, 412, 446, 450, 463, 464, 599, 602-605, 613, 637, 638, 647.
სევასტოპოლი – 204, 264, 545.
სენთ ნიკალა (წმ. ნიკოლოზის ფორტი) – 149.
სიმონეთი – 168.
სინოპი – 344, 574.
სიღნაღი – 297, 298.
სოვაყი (იგივე ნოვო-სოვაყი და ნოვო-სენაკი) – 372.
სომხეთი – 90, 242, 271, 348, 373, 401, 446, 453, 523, 599, 600, 635.
სოღანლუღი – 104, 173, 174, 222, 260, 263, 377, 378, 380.
სოხუმ-ყალა – 142-144, 446.
სტავროპოლი – 446.
სტამბოლი – 91, 131, 133, 136, 148, 154, 164, 180, 185, 191, 193, 238, 239, 254, 274, 277, 278, 280, 281, 285-288, 291, 302, 303, 306, 320, 322, 328, 343, 355, 357-359, 371, 413-416, 422, 428, 433, 440, 475, 479, 513, 533, 535, 538, 541, 544, 545, 548, 554, 555, 558, 560, 562, 571-574, 579, 583, 588, 592, 607-610, 613, 615, 635.
სტამბოლის სრუტე (იგივე ბოსფორის სრუტე) – 357.
სუმასათი (მდ.) – 272.
სურამი – 182-184, 274, 275, 283, 353, 359, 372, 373.

ტავრის მთიანეთი – 271, 348.
ტრაბზონი – 138, 171, 180, 193, 198, 177, 344, 357, 358, 417, 440, 484, 486, 545, 546, 548, 555.
ტრაბზონის ზღვა (იგივე შავი ზღვა) – 171.
ტულა – 214, 446.

უზუნ-ადა – 632.
უზუნთალა – 221, 228.
ულუხანა – 568.
ურმია – 129, 206, 295, 302, 379, 441, 442, 553.
უფლისციხე – 274, 373.

ფაზარი – 586.
ფარაჰაბადი – 214.
ფარაჰანი – 215.
ფასანაური – 84, 85, 92, 110, 225, 233.
ფახნისი – 165.
ფაპლავი (იგივე ენზელი) – 607.
ფირუ (იგივე ფირალაჰის კუნძული) – 347.
ფირუზაბადი – 471.
ფოთი – 132, 133, 136, 148, 149, 155, 170, 171, 181, 189, 191-195, 211-213, 216, 225, 252, 265, 274-278, 280-283,

289, 292, 302, 303, 343, 344, 352-355, 358, 359, 369-373, 388-390, 412, 446, 462-464, 477.
ფქვილის მოედანი (პურის მოედანი) – 314.

ქაბა – 145, 427.
ქაბული – 85.
ქავალი – 167, 168.
ქაიხოსროს მდინარე (იგივე მტკვარი) – 373.
ქამიყია – 173.
ქარავანსარა – 221.
ქარელი – 283, 353, 372, 627.
ქართლი – 84, 85, 402.
ქაშმირი – 69, 108, 109, 116.
ქელათი – 544.
ქერმანი – 109, 110.
ქვეშეთი – 110.
ქეივარი (მდ.) – 271.
ქსანი – 272, 402.
ქსანკა (იგივე ქსანი) – 274, 283, 353, 372, 373.
ქუთაისი – 133, 134, 141, 148, 154, 168-170, 186-188, 213, 274-276, 281-283, 325, 326, 344, 353, 354, 371, 372, 446, 462-464.
ქურანი (მდ.) – 272.
ქუროქ-ჩაი (მდ.) – 263.
ქუშანგი – 60, 82.

ღართისკარი – 83, 84, 92, 98, 99, 112.

ყავარი (იგივე მდ. იორი) – 296, 297.
ყაზათა (იგივე მდ. ჭოროხი) – 429.
ყაზახი – 228.
ყაზბეგი – 86, 92, 100, 101, 110, 217, 236, 339, 359, 365, 503, 521.
ყაზბეგი (მთა) – 215.
ყაინი – 215.
ყანოყი (იგივე მდ. ალაზანი) – 272.
ყარა (იგივე ყარაქილისა) – 55.
ყარაბაღი – 162, 218, 232, 251, 265, 270, 272, 292, 304, 305, 311, 337, 353, 361, 362, 410, 501.
ყარადანგიზი (იგივე შავი ზღვა) – 155, 169, 422, 554, 555, 622.
ყარაიაზი – 257, 378, 402.
ყარაიერი – 257, 263.
ყარამარიამი – 263.
ყარაქილისა – 55, 56, 59.
ყარაყალხანი (იგივე არაგვის ხეობა) – 84, 85.
ყარაყალხანი (იგივე მდ. არაგვი) – 83, 85.
ყარაყოლი-ჩაი (მდ.) – 263.
ყარა-ჩაი (იგივე მდ. არაგვი) – 99.
ყარაჯადაღი – 328, 355.
ყარზამის ზღვა (იგივე შავი ზღვა) – 555.
ყარსი – 106.
ყაფის მთა (იგივე ყაზბეგი) – 215, 217, 226, 236, 254, 359, 377, 425, 521, 647.
ყვირილა – 275, 276, 282, 283, 344, 353, 372.
ყვირილა (მდ.) – 276, 282, 344, 371, 372.
ყირბელი – 170.
ყირიმი – 204.

შავი ზღვა – 85, 149, 170, 180, 185, 194, 196, 224, 272, 422, 427, 439, 445, 446, 472, 476, 525, 533, 545, 552, 554, 555, 597, 607, 610, 622, 639.
შამახა (იგივე შირვანი) – 385, 446, 621.
შამახათი (ტყე) – 298.
შამქორი – 263, 399, 401.
შატი (იგივე მდ. შატ-ელ-არაბი) – 192.
შაქი – 66.
შაჰ გიზლანანი (ხეობა) – 259, 378.
შეითან-ბაზარი (თბილისის მუსლიმური უბანი) – 435, 471, 603, 612, 613.
შერადილი – 263.
შვეიცარია – 579, 581.
შირაზი – 215, 427, 617.
შირვანი – 66, 90, 97, 235, 304, 348, 399, 446, 600, 621.
შიხილო – 258, 378.
შიშე – 289.

ჩაბაყლო – 151.
ჩალუსი (მდ.) – 228.
ჩამან-ე გოლესთანი (იგივე გულისთანი) – 64, 67, 70, 73.
ჩანახჩი – 58.
ჩერქეზეთი – 90
ჩოლოქი (მდ.) – 278, 369, 412.
ჩუფან-ქარა – 56, 71.

ციმბირი – 66, 258, 459.

ძეგამი – 263.
ძირულა – 282, 372.

წილკანი – 225, 233, 237.

ჭალა – 167.
ჭალადიდი – 283, 353, 372.
ჭოროხი – 278, 369, 412, 429.

ხათა (იგივე ხეთების სამეფო) – 285.
ხალხალი – 159.
ხამენე – 269.
ხამსე – 159.
ხარაგაული – 183, 185, 192.
ხარკოვი – 567.
ხაჩინი (მდ.) – 272.
ხერთვისი – 272.
ხმელთაშუა ზღვა – 358.
ხობი – 148.
ხოი – 228, 302.
ხორასანი – 73, 148.
ხრამი (მდ.) – 173, 221, 258, 272, 378, 402.
ხუზისტანი – 591.

ჯაბალსა – 305.
ჯაბალყა – 305.
ჯანგი – 262.
ჯაჯრუდი – 251.
ჯაჯრუდი (მდ.) – 274.
ჯგერდა – 146.
ჯეჰანაბადი – 259.
ჯიდა – 291, 358, 474, 475.
ჯულფა – 235, 309-313, 320, 330, 366, 374-377, 497, 559, 562, 582, 591.

ჰამადანი – 70.
ჰამამლო – 55, 56.
ჰამანი – 271.
ჰებრონი – 271.
ჰერათი – 73.
ჰეჯაზი – 427, 492.

აბანოები – 62, 63, 91, 117, 141, 158, 160, 174, 175, 224, 230, 262, 284, 314, 348, 350, 356, 376, 383, 400, 407, 425, 456, 500, 507, 508, 524, 528, 628, 629, 631, 632, 637.

ბაღები
- ალექსანდრეს ბაღი – 230, 351, 407, 447, 448.
- ბათუმის საზოგადო პარკი – 439, 478, 479, 538, 540.
- ბაღი ფანტაზია – 512-514.
- ბორჯომის პარკი – 650, 651.
- ბოტანიკის ბაღი – 581.
- მატიოვის ბაღი – 104.
- მეფისნაცვლის სასახლის ბაღი – 219, 387, 524.
- მოჯთაჰედის ბაღი – 115, 116, 218, 251, 266, 308, 351, 365, 376, 384, 385, 402, 509, 510, 515, 516, 637.

ეკლესიები
- ახალქალაქის ეკლესია – 138.
- ბათუმის ეკლესია – 356.
- თელეთის ეკლესია – 260, 377.
- მიხეილის საავადმყოფოს ეკლესია – 273.
- სვეტიცხოველი – 83, 98, 109, 164.
- სიონი – 157, 350, 464.
- ფოთის ეკლესია – 281, 354, 371.
- ქაშვეთი – 447, 448.
- შეიხ სანაანის აკლდამა / ეკლესია (იგივე მამადავითის ეკლესია) – 63, 240, 349, 376, 404, 421, 463, 499, 505, 506, 531.
- წმ. ალექსანდრე ნეველის ეკლესია – 507.
- წმ. ალექსანდრე ნეველის სამლოცველო – 447.
- წმ. გიორგის ეკლესია – 403, 404.

თეატრები – 138, 176-178, 216, 217, 224, 232, 267, 316, 385, 386, 407, 447, 466, 467, 508, 519, 629, 632.

კარანტინი – 72, 81, 90, 99, 416, 554, 568, 583.

კლუბები – 134, 139, 201, 351, 407, 408, 447, 460.

„ლანტერნ მაჟიკი" (საპროექციო აპარატი) – 565.

მეჩეთები
- ახალციხის მეჩეთი – 97.
- ბათუმის მეჩეთი – 171, 356, 422, 429, 477.
- თბილისის მეჩეთი – 62, 120, 121, 157, 350, 376, 404, 464, 510, 511.
- რედუტ-ყალას მეჩეთი – 149.
- ქუთაისის მეჩეთი – 325, 326.

მორალური გარემო – 57, 61-65, 158, 163, 190, 425, 467.

მუზეუმები
- კავკასიის მუზეუმი – 223, 224, 226, 227, 231, 270, 366, 406, 449, 450, 471, 531, 559, 626, 627, 638.
- სამხედრო-ისტორიული მუზეუმი – 447, 450.

ობსერვატორია – 352.

ჟურნალ-გაზეთები
- „ზია'-ე ყაფყაზი" („კავკასიის სინათლე") – 408.
- „თარჯომანი" („თარჯიმანი") – 408.
- „კავკაზი" – 206-207, 255.
- „მოლა ნასრედინი" – 559-561, 565, 571.

„ქაშქული“ – 408.
„შარყ-ე რუსი“ („რუსული აღმოსავლეთი“) – 558, 559.

რკინიგზა (შემენდეფერი) – 180, 184, 213, 274, 275, 281-283, 353, 371, 388, 389, 394, 395, 439, 462, 463, 527, 528.

საბაჟოები
ანაკლიის საბაჟო – 149.
ახალქალაქის საბაჟო – 165.
ბათუმის საბაჟო – 357, 359, 413, 415-418, 431, 481, 528, 536, 549, 568, 639.
ოჩამჩირის საბაჟო – 147.
სოხუმ-ყალას საბაჟო – 143.
ფოთის საბაჟო – 155, 280.

საზოგადოებები
ირანელების საქველმოქმედო საზოგადოება „ეთეფაყ-ე ირანიან“ – 565-567, 571-573.
ირანელი მოჯაჰედების საზოგადოება – 571-573, 577.
კავკასიის სამედიცინო საზოგადოება – 204, 207.
კავკასიის სამეცნიერო საზოგადოება – 319.
კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოება – 238.
ცხოველთა დაცვის საზოგადოება – 630, 632.

საკონსულოები
თბილისში მოქმედი საკონსულოები – 351.
ირანის საკონსულო ბათუმში – 414, 429, 477, 478, 544, 545, 659.
ირანის საკონსულო თბილისში – 107, 108, 241, 242, 260, 262, 291, 309, 315, 317, 318, 320, 321, 329-332, 336-339, 370, 374, 383, 384, 405, 433, 501, 508, 510, 514, 543, 545, 566, 577, 601, 602, 609, 612, 615, 616, 643.
ირანის საკონსულო ფოთში – 371.

სამედიცინო დაწესებულებები
აფთიაქი – 457.
საავადმყოფო – 63, 202, 204, 205, 273, 303, 330, 351, 376, 401, 406, 457, 484, 638, 643, 644.

სამხედრო ობიექტები
არსენალის შენობა – 63, 97, 98, 108, 113, 158, 159, 240, 270, 349, 376, 390, 401.
არტილერიის შენობა – 63, 81, 148, 158, 159, 169, 266, 349, 376, 390, 453.
დენთის საწყობი – 240.
ჯაბახანა / საჭურველთსაცავი – 240, 270, 337, 375, 376.

სანავიგაციო კომპანიები – 189, 193, 271, 280, 292, 354, 355, 357-359, 408, 415, 440, 479, 544, 545, 554, 560, 579.

სასახლეები
არშაკუნის სასახლე (დღევანდელი სამხატვრო აკადემია) – 201, 349.
გუბერნატორის სასახლე თბილისში – 96, 501, 625.
გუბერნატორის სასახლე ქუთაისში – 133, 169.
ერეკლე მეფის სასახლე – 63.
მეფისნაცვლის სასახლე – 60, 63, 68, 80, 105, 106, 113, 158, 159, 163, 214, 230, 287, 314, 500, 518, 519.

სასტუმროები
„აზერბაიჯანი“ – 571.
„გრანდ ოტელი“ – 458.
„ევროპა“ ბათუმში – 543.

„ევროპა“ თბილისში – 561.
„ვერსალი“ – 445, 461.
„იმპერიალი“ ბათუმში – 344, 354, 389, 431, 477, 479, 481, 525.
„კავკაზი“ – 365, 458, 314.
„კავკაზი“ ფოთში – 389.
„ლონდონი“ – 381-383, 435, 457, 512.
„ორიანტი“ – 482, 483, 507, 518, 600.
„როსია“ – 445.
„ფირუზე“ ბორჯომში – 332-334.

სასწავლებლები
ანაკლიის სკოლა – 149.
ახალქალაქის სკოლა – 138.
ახალციხის სკოლა – 139.
გიმნაზია – 97, 231, 626.
კადეტთა სკოლა (კორპუსი) – 230, 231, 323, 629.
მადამ სტასულევიჩის ფრანგული პანსიონი – 306-308.
მუსლიმური სკოლა – 303, 309, 319.
მუსლიმური სკოლა „ეთეფაყ-ე ირანიან“ (იგივე „შეითან ბაზრის სკოლა“) – 572, 573, 612, 613.
ნერსესის სემინარია – 125, 126.
ოზურგეთის სკოლა – 148.
ოლგას სახ. ოსური სკოლა-თავშესაფარი – 238, 239.
ქალთა სკოლა – 108, 208, 231, 240, 253, 467, 468.
ქუთაისის სკოლა – 133, 169, 170.

საქართველოს ბუნება – 154, 225, 226, 234, 531.

საქართველოს გეოგრაფია – 90, 347, 445.

საქართველოს ვაჭრობა – 91, 159, 405, 414.

საქართველოს ისტორია – 90, 259, 347, 376, 400, 463, 464, 599, 600.

საქართველოს მოსავალი – 91, 215, 403, 526.

საქართველოს მოსახლეობა
ზოგადი აღწერილობა – 91, 158, 159, 215, 347, 349, 403, 446.
ბერძნები – 348.
გერმანელები – 116, 170, 215, 271, 295, 296, 303, 319, 324, 335, 348, 357, 358, 376, 446, 448, 605.
ებრაელები – 135, 347.
თათრები – 320, 446.
ირანელები – 205, 206, 302, 347, 349, 350, 404, 405, 415, 418, 431-433, 435, 436, 459, 554, 571, 586, 601, 615, 616.
იტალიელები – 336, 344, 348, 351, 560, 610.
ოსმალოები – 219, 348, 354, 356, 544.
რუსები – 58, 62-66, 86, 87, 116, 147, 157, 169, 171, 206, 349, 354, 376, 390, 396, 403, 412, 446, 500.
სომხები – 58, 62, 84, 105, 133, 134, 139, 147, 157, 213, 215, 297, 347, 354, 376, 403, 410, 464, 466, 500, 525.
ფრანგები – 96, 97, 216, 230, 238, 293, 348, 351, 354, 357, 415, 544.
ქართველები – 91, 147, 153, 163, 165, 168, 170, 214, 297, 347, 386, 409, 425, 429, 446, 464, 523.

საწარმოები
აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა – 96, 97.
ეტლის დამამზადებელი ქარხანა – 163, 451.
თამბაქოს ქარხანა – 132.
იარაღების ქარხანა – 452.
კავკასიის სააბრეშუმო სადგური – 629, 630.

მიტკლის ქარხანა – 266, 267.
მიხაილოვოს რკინიგზის ნაწილების დამამზადებელი ქარხანა – 275, 372.
ნავთობის ავზების დამამზადებელი ფაბრიკა ბათუმში – 525.
სამჭედლო – 406.
ტილოს საქსოვი ფაბრიკა – 352.
წისქვილი – 153, 154.

სპარსული დამწერლობისა და ანბანის რეფორმა – 268, 269, 304, 305, 320-322, 388.

ფოსტის სადგურები – 161-164, 226, 287, 311, 377.

ქარვასლები
ბარანბეკოვის ქარვასლა – 435.
თამამშევის ქარვასლა – 158.
მირზოევის ქარვასლა – 302.
ხალათოვის ქარვასლა – 120, 160, 302, 435, 376, 403.

ცირკი
ბათუმის ცირკი – 429, 526.
თბილისის ცირკი – 360, 361, 447, 453-455, 466.

ციხესიმაგრეები
ანანურის ციხე – 84, 111.
გორის ციხე – 165, 274, 372.
ლორის ციხე – 57, 58.
ნარიყალა – 63, 90, 163, 239, 240, 261, 349, 376, 400, 421, 500, 508.
ოზურგეთის ციხე – 148.
რედუტ-ყალას ციხე – 149.
სენთ ნიქალას ციხე – 149.
სოხუმ-ყალას ციხე – 143.
უფლისციხე – 372.

დარბაზობები და მეჯლისები – 105, 106, 219, 203, 219, 232, 336-338, 351, 352, 386, 387, 460, 461, 519.

ჯარი – 163, 292, 410, 452, 453.

ჯაშუშური სისტემა – 411.

„ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘᲡ წᲧᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ:

1. ᲗᲔᲓᲝ ᲫᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. I. თბ. 2004. [ფოტოტიპიური გამოცემა].
2. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2005.
3. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲑᲓᲐᲚᲐᲫᲔ. სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 2005.
4. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ. მოგონება. რედაქტორი – გურამ ყორანაშვილი. თბ. 2005.
5. ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით. თბ. 2005.
6. ᲐᲑᲣᲑᲔᲥᲠ ᲑᲘᲜ ᲐᲑᲓᲣᲚᲐᲰᲘ. გამარჯვებათა წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მარინე ილურიძემ. თბ. 2006.
7. ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲡᲣᲚᲮᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ. მოგონებები შეფიცულთა რაზმზე. თბ. 2009.
8. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი ნახევარი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2011.
9. ბარონი დე ბაი საქართველოში. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლეილა მაღრაძემ. თბ. 2011.
10. ᲘᲡᲘᲓᲝᲠᲔ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ. მოგონებები. გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები და საძიებლები დაურთეს გოჩა საითიძემ და ქეთევან რამიშვილმა. თბ. 2012.
11. ᲔᲚᲔᲜᲔ ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ. საქართველო VII-X საუკუნეების სომხურ საისტორიო წყაროებში. თბ. 2012.
12. ᲠᲐᲰᲘᲛᲘᲖᲐᲓᲔ ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛ ᲩᲐᲕᲣᲨᲘ. განჯის დაპყრობის წიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მარინა ილურიძემ. თბ. 2012.

13. მხითარ გოში. ტრაქტატი ქართველთათვის. სომხურიდან თარგმნა და გამოკვლევები დაურთო ნათია ჩანტლაძემ. თბ. 2012.

14. ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები (სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა ღირსებების მქონედ აღიარებულ პირთა სახელდებითი საოჯახო სიები). ტექსტები შეკრიბეს და დასაბეჭდად მოამზადეს ზურაბ ჭუმბურიძემ, იური ჩიქოვანმა და ანზორ სიჭინავამ. ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით. თბ. 2013.

15. საქართველო ყაჯართა პერიოდის სპარსულ წყაროებში. სამოგზაურო და მემუარული ლიტერატურა. კრებული შეადგინა, ტექსტები სპარსულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო მარინა ალექსიძემ. თბ. 2016.

გამოსაცემად მზადდება:

- თეიდო ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. II. [ფოტოტიპიური გამოცემა, თანდართული ავტორისეული სწორებებითა და კომენტარებით].
- დღიური შარდენის მოგზაურობისა სპარსეთსა და აღმოსავლეთ ინდოეთში, შავი ზღვისა და კოლხეთის გზით. თარგმანი ალ. მანველიშვილისა (მოგზაურობის სამასი წლისთავზე).

ARTANUJI SOURSES

[Historical Sources about Georgia]

15

GEORGIA IN PERSIAN SOURCES OF THE QAJAR PERIOD

TRAVELOGUES AND MEMOIRS

ARTANUJI Publishing
Tbilisi 2016

საგამომცემლო ჯგუფი

ვიოლა ტუღუში
ილია ხელაია
ალექსანდრე ჯიქურიძე

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 5.
2-25-05-22, 2-91-22-83, 5(93) 25-05-22.
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge

სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
214 34 01, 593 25 05 22, 599 56 76 71
stamba.damani@gmail.com
სტამბა დამანი / Print House Damani

فهرست مندرجات

پیش گفتار
مقدمه : گرجستان در سفرنامه ها و خاطرات فارسی دورهٔ قاجار
متون :
- سفرنامهٔ میرزا ابوالقاسم خان شیرازی ایلچی به روسیه
- میرزا صالح شیرازی، سفرنامه
- سفرنامهٔ خسرو میرزا به پطرزبورغ
- سفرنامهٔ سیف الملک به روسیه
- سفرنامهٔ حاج سیاح به فرنگ
- سفرنامهٔ میرزا خانلرخان اعتصام الملک
- سیف الدوله سلطان محمد، سفرنامهٔ سیف معروف به سفرنامهٔ مکه
- یعقوب میرزای تبریزی، حج منصور
- میرزا محمد تقی طبیب کاشانی، مسافرت تفلیس
- روزنامهٔ خاطرات ناصرالدین شاه در سفر اول فرنگستان
- روزنامهٔ خاطرات ناصرالدین شاه در سفر دوم فرنگستان
- روزنامهٔ خاطرات ناصرالدین شاه در سفر سوم فرنگستان
- سفرنامهٔ صنیع الدوله محمد حسن خان اعتماد السلطنه، از تفلیس به تهران
- روزنامهٔ خاطرات اعتماد السلطنه
- سفرنامهٔ فرهاد میرزا
- خاطرات پرنس ارفع
- خاطرات ممتحن الدوله
- سید محمد رضا طباطبائی تبریزی، هدایهٔ الحجاج، سفرنامهٔ مکه
- حاج مهدیقلی هدایت (مخبر السلطنه)، خاطرات و خطرات
- سلطن مراد میرزا حسام السلطنه، سفرنامهٔ مکه
- میرزا عبد الحسین خان افشار ارومی، سفرنامهٔ مکهٔ معظمه
- سفرنامهٔ میرزا محمد حسین فراهانی
- میرزا عبد المجید مجیدی، سفرنامهٔ مکه
- محمد معصوم نایب الصدر شیرازی، سفرنامهٔ مکه

- زین العابدین مراغه ایی، سیاحتنامهٔ ابراهیم بیک یا بلای تعصب او
- حاجی سلیم خان تکابی، حج نامه
- جمشید خان افشار ارومی مجد السلطنه، سفرنامه
- مؤلف ناشناخته، سفر حابی خداوردی خان فیروزآبادی به مکه
- سفرنامهٔ امین الدوله حاج میرزا علی خان صدر اعظم
- سفرنامهٔ مبارکهٔ مظفرالدین شاه به فرنگ
- سفرنامهٔ ظهیر الدوله همراه مظفر الدین شاه به فرنگ
- ناصر السلطنه میرزا نصرالله طباطبائی دیبا، سفرنامهٔ ناصری
- مؤلف ناشناخته، سفرنامهٔ عتبات و حج
- دوستعلی معیر الممالک، هشتاد و پنج سال زندگی در چند سفحه
- خاطرات ابوالقاسم کسمائی
- رئیس الذاکرین، سفرنامهٔ حج
- حاجی عبدالله امیر نظام قراگوزلو، سفرنامهٔ مکهٔ معظمه
- میرزا محمود خان مدیرالدوله، تفصیل سفر مکهٔ معظمه
- میرزا داود وزیر وظایف، سفرنامهٔ مکه
- خاطرات سید حسین تقی زاده، زندگی طوفانی
- روزنامهٔ خاطرات شرف الدوله
- حاج محمد تقی جورابچی، سفرنامهٔ مکه
- یحیی دولت آبادی، حیات یحیی
- خاطرات و تألمات دکتر محمد مصدق
- میر آقا نقیب الاشراف اهری، سفرنامهٔ مکه
- ابوالقاسم مرجانی آیین کلائی، سفرنامهٔ حج
- عبدالحسین اورنگ شیخ الملک، یادداشت های گذشته
- احمد کسروی تبریزی، زندگانی من
- عبدالحسین شیبانی وحید الملک، خاطرات مهاجرت
- رضاعلی دیوان بیگی، سفر مهاجرت در نخستین جنگ جهانی
- احمد خان ملک ساسانی، یادداشت های سفارت استانبول
- ضیاء الدین طباطبائی صادقی، خاطراتی از سفر ترکیه
- خاطرات علی جواهر کلام (در مدرسهٔ شیطان بازار)
- عبدالله مستوفی، شرح زندگانی من یا تاریخ اجتماعی و اداری دورهٔ قاجاریه

ضمیمه ۱ : گرجستان در آثار فارسی زبان مؤلفین آسیای مرکزی دورهٔ قاجار
-رحمت الله بخارایی، سفرنامهٔ مکه
- تحریر روزنامهٔ سفر خیریت اثر اعلیحضرت امیر بخارا سید عبدالاحد بهادر خان
- احمد مخدوم دانش، رساله یا مختصری از تاریخ سلطنت خاندان منغتیه
- میرزا سراج الدین عبد الرؤف، تحف اهل بخارا

ضمیمه ۲ : گرجستان در اشعار فارسی دورهٔ قاجار
- عندلیب کاشانی، تاریخ مریضخانه که میرزا محمود خان قونسول ایران درتفلیس بنا نمود
- فتح الله خان شیبانی، قصیدهٔ تفلیس
- ظهیر الدوله، اشعار برژومیه
- میرزا صادق قراباغی، ابیاتی در وصف تفلیس .
- وفای داغستانی، ابیاتی در وصف تفلیس

واژه نامه ها

فهرست ها

منابع

گرجستان

در منابع فارسی دورهٔ قاجار

(سفرنامه ها و خاطرات)

به کوشش مارینا آلکسیدزه

زیر نظر گریگول برادزه

این کتاب با حمایت رایزنی فرهنگی سفارت جمهوری اسلامی ایران در گرجستان

چاپ و منتشر شده است

تفلیس

۲۰۱۶